ΦΥΛΛΟΦΟΡΙΑ ΔΕΝΔΡΩΝ

ΕΠΟΧΗ

XXVIII

ილიას ნაწერები

პირველი

I II

84 Гр—4
894.631—31
ქ 841

სარედაქციო კოლეგია:

რ. თვარაძე
ე. მაღრაძე
ა. სულაკაური
გ. ფანჯიკიძე
თ. ჰილაძე
რ. ჯაფარიძე

შემდგენელ-რედაქტორები:

ჯ. ღვინჯილია
ვ. ჯავახაძე

გამომცემლობის რედაქტორი ნაილი იაშვილი
მხატვრები: დავით დუნდუა, თამაზ შარიფაშვილი
მხატვრული რედაქტორი ლერი ღვინჯილია
ტექნიკური რედაქტორი ეთერ ციხელაშვილი
კორექტორები: მაია ხვედელიძე, ნანა მჭედლიშვილი

გადაეცა წარმოებას 25.12.96. ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.03.97. საბეჭდი ქაღალდი 84×108 1/32. გარნიტური ვენა. ბეჭდვა მაღალი პირობითი ნაბეჭდი თაბახი 36,12. სააღრ.-საგამომც. თაბახი 32,4.

ტირაჟი 7000. შეკვ. № 2

ფახი სჯულშეკრულებო

გამომცემლობა „საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საწარმო „ბიბლიოგრაფია", გრიგოლ რობაქიძის გამზირი № 7.

4702176200 004
ქ————————97
M 601 (08) 97

წიგნი პირველი

ნაწილი პირველი

თავარვალი

ჩემი მოთხრობის გმირი, რომელიც მთელი ჩემი არსებით მიყვარს, რომლის გამოსახვას ვცდილობდი მთელი მისი სილამაზით და რომელიც ყოველთვის იყო, არის და იქნება მშვენიერი — ეს სიმართლეა.

ლ. ტოლსტოი

1

— დილის ათი საათი იქნებოდა, როდესაც ეშხიანი და ახოვანი ჯაბუკი კორნელი მხეიძე დავითის ქუჩის დალმართით გამზირზე ჩამოვიდა. გამზირს გაჰხედა: დარაბამიხურული მაღაზიები ისე ჩარაზმულიყვნენ, თითქოს უქმეაო. არსად არ ჩანდა ეტლი, ტრამვაი, მანქანა... ტროტუარზე და ქუჩაში ვერის დალმართისაკენ მიმავალი ხალხი მიედინებოდა.

ოპერის თეატრის წინ კორნელი პეტროგრადიდან ამას წინათ ჩამოსულ ამხანაგს, სტუდენტს მიტო ჩიკვაიძეს შეეყარა.

— რა უამრავი ხალხია! რა მოხდა? — ჰკითხა კორნელიმ.

— ნუთუ არ გაგიგია?.. — გაუკვირდა მიტოს.

— გავიგე, რომ პეტროგრადში რაღაც დიდი ამბავი მოხდა..

— გიცნობ, ვინცა ხარ, ციდან ჩამოფრენილო ანგელოზო! ამ ცოდვით სავსე დედამიწისა ისევ არა გაგეგება რა! ბიჭო, რადა ხარ ასეთი? როგორ თუ რა მოხდა! პეტროგრადში რევოლუცია მოხდა! მეფე ტახტიდან ჩამოაგდეს.

— მეფის მაგიერ ვილა იქნება?

— დროებითი მთავრობა, მუშათა დეპუტატების საბჭო.

— შესძლებს კი ის შენი საბჭო ქვეყნის მართვას? როგორ ფიქრობ? რა გველის? ახლა ხომ ომია!..

— ნუ დარდობ, თავისუფალი ხალხი მოუვლის ქვეყანას, ომი კი არა, რევოლუცია გადაჭრის ახლა ყველა საჭირბოროტო საკითხს.

მეგობრები ვერის დაღმართს მიუახლოვდნენ, მტკვრის გალმა გარეუბანი, თოფხანა, მახათას მთა და მის უკან —ჩამოთოვლილი ქედები ჩანდნენ. ქარს ღრუბლები გაეფანტა. აქა-იქ ცის თვალი ჭიატებდა და ქალაქის თავზე მშვიდობის მაცნე მტრედები დაფრინავდნენ.

ხალხი თანდათან გამოეფინა ქუჩაში. ყველანი ქალაქგარეთ, ნაძალადევში დანიშნულ მიტინგზე მიიჩქაროდნენ. კორნელი და მიტოც იქითკენ გაეშურნენ.

ნაძალადევში, ზღვა ხალხის თავზე, წითელი დროშები ფრიალებდნენ. ტრიბუნიდან მოხუცი მუშა ლაპარაკობდა, მაგრამ მას ჭაბუკური მჭექარე ხმა ჰქონდა. ხელში კეპი ეჭირა. მის მოძველებულ პალტოს კალთებსა და ჭაღარა წვერულვაშს ქარი აფრიალებდა.

— ამხანაგებო, მოგილოცავთ რევოლუციას! — იძახდა ბერიკაცი, — ასრულდა ჩვენი მრავალი წლის ნატვრა: მეფე და მისი მთავრობა დაემხო, მტარვალნი უკვე აღარ არიან! ახლა ხალხია საკუთარი თავის ბატონ-პატრონი. — ორატორს სიხარული ყელში უსწრებდა, ცრემლი ღაწვებს უსველებდა. იგი მასავით მოხუცს მიუბრუნდა და ხელგაშლილი გადაეხვია.

— გაუმარჯოს ძმობას, ერთობას, თავისუფლებას! — გაისმოდა ტრიბუნიდან.

მოხუცები მთელი ტანით ტორტმანებდნენ, ყოველი სიტყვის დაძახებისას, ტრიბუნის მოაჯირს აწყდებოდნენ, ქუდებს მაღლა ისროდნენ და ერთმანეთს ისე ჰკოცნიდნენ, როგორც სოფლელნი აღდგომა დღეს ცისკარზე. მოხუცების შემყურე ხალხს სჯეროდა, თითქოს სამუდამოდ დაემხო მტარვალი, დასრულდა ტანჯვა-წამება და ნაცვლად ამისა, ამქვეყნად თავისუფლება, ძმობა, ერთობა დამყარდაო.

კორნელიმ ხალხს თვალი მოავლო და ყველგან სიხარულით და აღტაცებით მოცული სახეები დაინახა.

გაბუნებულ ქურთუკში გამოწყობილმა, ორმოცი წლის მუშამ ტრიბუნაზე მოხუცი შესცვალა. მისი ხმა ბრძანებასავით ისმოდა:

— ამხანაგებო, რევოლუცია მოახდინეს არა ლვოვმა და გუჩკოვმა, არა კერენსკიმ და ჩხეიძემ, არამედ მუშებმა, ჯარისკაცებმა და გლეხებმა. მათ არა იმიტომ გადმოაგდეს მეფე, ძალაუფლება რომ მეფის დამჭაშების—ბატონ გუჩკოვების ხელში გადასულიყო. ნუ დაუჯერებთ მათ, თითქოს რევოლუცია უკვე დამთავრდა, არა! რუსეთი დუღს და ბობოქრობს. მილიონები ელიან, თუ როგორ იქნება გადაჭრილი მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცების საჭირბოროტო საკითხი, ყველაზე არსებითი კი — საკითხი ომის შესახებ. უნდა მოვითხოვოთ დროებითი მთავრობისაგან, ახლავე დაიწყოს მოლაპარაკება ზავის შესახებ. კმარა, ეწირებოდნენ მსხვერპლად ომის კერპს ჩვენი წამებული სამშობლოს შვილები! უნდა მთელი ხმით განვაცხადოთ, რომ ამიერიდან არა გვსურს ასეთი სისხლიანი მსხვერპლის გაღებით ვაკმაყოფილებდეთ კაპიტალისტების გაუმაძღარ სიხარბეს.

მიტომ ხელი ჩასჭიდა კორნელის და ხალხში შეიჭრა.

მუშები გულისყურით უსმენდნენ ორატორს. ამ ხალხში კორნელი დაკარგული ბავშვივით იდგა. იგი დაღონდა და თავი ჩაჰკიდა. მიტოს კი ნაცნობი მუშები მოეძებნა და მათთან კამათობდა. ქარს ტრიბუნიდან მოტაცებულ უჩვეულო სიტყვები მოჰქონდა: „რევოცულია“, „თავისუფლება“, „დროებითი მთავრობა“, „მუშათა დეპუტატების საბჭო...“

მიტინგზე შეკრებილი ხალხისაგან გარიყული კორნელი სამინელ მარტოობას გრძნობდა. ასე მოეჩვენა: თითქოს ეს ხალხი საერთო სიხარულს უკრძალავდა. „რატომ? — ფიქრობდა ჭაბუკი, — განა მეც თავისუფლების მოსურნე არ ვიყავი მართალია, რევოლუცია ასე მალე თუ მოხდებოდა, არ მეგონა. ჯერ კიდევ გუშინ ცხოვრება ჩვეულებისამებრ მიმდინარეობდა... ცარიელ ფურნესთან და სასურსათო მაღაზიებთან გრძელი „კუდები“ იდგნენ. მშიერი ხალხი ხმამაღლა აგინებდა მთავრობას, ბოლოს დედაკაცებმა დაარბიეს და დალეწეს ის მაღაზიები, მაგრამ ყოველივე ამას, მეფის ტახტის დამხობა და რევოლუცია თუ მოჰყვებოდა, ეს კი არ მეგონა“. კორნელისთვის, ისე როგორც ყველა თბილისელისათვის,

რომელიც ქვეყნად შექმნილი მდგომარეობის შესახებ საქართველოში მიმდინარე ამბების მიხედვით მსჯელობდა, თებერვლის რევოლუცია სრულ მოულოდნელობას წარმოადგენდა.

რამდენიმე დღე გასულიყო მას შემდეგ, რაც ტელეგრაფის მავთულებს სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი დეპუტატის — კარლო ჩხეიძის მიერ პეტროგრადში შედგენილი დაშიფრული დეპეშა მოეტანა: „მთავრობაძე გარდაიცვალაო“, მაგრამ არამცთუ კორნელიმ, არამედ ნაძალადევში გამართულ მიტინგზე მისულმა ხალხმაც კი არ იცოდა დაწვრილებით, რა ხდებოდა ამ დროს პეტროგრადში, მოსკოვში და რუსეთის სხვა ქალაქებში. თბილისის გაზეთებმა მხოლოდ ხუთი მარტის მერე გაბედეს რევოლუციაზე ხმის ამოღება. მენშევიკების ლიდერები თებერვლის რევოლუციის ბურჟუაზიულ ხასიათში დარწმუნდნენ და უმალვე ფარ-ხმალი აისხეს და ხალხს ისე მოევლინენ, თითქო რუსეთში მომხდარი რევოლუციის მებაირაღტრენი ყოფილიყვნენ.

ცივი ქარი უბერავდა. კორნელიმ გიმნაზიელის დაჭმუჭნილი ქუდი ჩამოიფხატა და შინისაკენ გასწია. მის დრაფის ახალ პალტოს, ტანსაცმელს ძველი ქუდი სრულიადაც არ შეშვენოდა, მაგრამ კორნელი გიმნაზიას ამთავრებდა, მალე სიმწიფის მოწმობას მიიღებდა და მოწაფის ახალი ქუდი რა ჭირად უნდოდა? მან და მისმა კოლეგებმა უვარგის ქუდებს ღერბი მოჰგლიჯეს, სკოლის ეზოში გააბურთავეს, დახიეს და კოცონზე დასწვეს, იმ იმედით, რომ აბიტურიენტები მალე შეიძენდნენ სანატრელ, სტუდენტურ ლურჯ ქუდებს.

2

კორნელი 1910 წელს ჩამოიყვანა თბილისში დედამ. სადგურიდან ეტლი დაიჭირა. შეშინებული ყმაწვილი ყვიროდა:

„დედა, უთხარი მეეტლეს, გადაუხვიოს: ტრამვაი დაგვეჯახება!“

„ნუ გეშინია... არ დაგვეჯახება, — ამშვიდებდა ტერეზა შვილს, — გოროდოვოები იმიტომ დგანან ქუჩაში, წესრიგი რომ დაიცვან“.

ტერეზა, გიმნაზიის მასწავლებელზე — დათა მიქელაძე-

ზე გათხოვილი თავისი დის — ელენეს ბინაში მივიდა. და-თამ კორნელი გიმნაზიაში მიაღებინა. ტერეზას ცრემლი მოადგა, როცა „მშობლიურ ბუდიდან, უკანასკნელი ბარტყიც გადააფრინა". იგი ორმოცდაათ წელს გადაშორებული ქალი იქნებოდა მაშინ, მაგრამ ჯერ კიდევ შენახული და ეშხიანი. მისი ოდნავ კეხიანი ცხვირი, ალიდული წარბები, შავი, შუშიანი თვალები და მრგვალი ნიკაპი, მის ხასიათსა და სიმხნევეს ამჟღავნებდნენ. თბილისი უცხო ქალაქი არ იყო ტერეზასათვის. მშობლები — არჩილ და დარეჯან მდივნები — წმინდა ნინოს სახელობის სასწავლებელში ზრდიდნენ მას. ხანჩოკლე რომანის მერე ტერეზა ექიმს — გიორგი მხეიძეს ჰისთხოვდა. ექიმი მოქეიფე, ფულის მფლანგველი, გატაცებული მონადირე, სახელგანთქმული თამადა, ფიცხი და ასირებული კაცი აღმოჩნდა. ცოლ-შვილს უყურადღებოდ ეკიდებოდა. 1905 წლის რევოლუციის მერმე, ტერეზა შვილებითურთ ქუთაისიდან სოფელ კარისმერეთში გადასახლდა. მალე ექიმი პარტახტიანი ტიფით გარდაიცვალა. ოჯახზე ფიქრი, ხარჯი და გარჯა იმ დღიდან მძიმე უღლად დააწვა ტერეზას. მხეიძეების ოჯახი მრავალშვილიანი იყო. უფროსს — ევგენის, წარმატებით დაემთავრებინა მოსკოვის უნივერსიტეტის სამკურნალო დარგი და იქვე ასისტენტად დაეტოვებინათ. მომდევნო — სტეფანე, იმავე უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტს ამთავრებდა. მესამე — შალვა, ბოჭიფული ვაჟკაცი, სტუდენტი-რევოლუციონერი, 1906 წელს გარდაიცვალა. მეოთხე და მეხუთე ქალები იყვნენ და ბავშვობაშივე სახადმა იმსხვერპლა. კორნელი ყველაზე უმცროსი იყო და დედისათვის ყველაზე უფრო საყვარელი. მისი თბილისში დაბინავება ენანებოდა ტერეზას, მაგრამ უშვილო ელენე არ ეშვებოდა: კორნელი ჩამომიყვანე, თბილისში აღვზარდოთო.

დეიდა ელენესთან კორნელი სავსებით უზრუნველყოფილი იყო. მაგრამ დეიდისა და დეიდის ქმრის საზრუნავი შეიქნა და ბევრი საწყენიც შეახვედრა მათ.

ნასადილევს კორნელი ჩანთაში სპორტულ ტანისამოსს ჩააწყობდა და გიმნაზიისაკენ გაეშურებოდა. პირველ ვაჟთა გიმნაზიაში სატანავარჯიშო საზოგადოება „შევარდენი" იყო მოთავსებული. მწვრთნელებად ჩეხები მოეწვიათ. სალამოს

„შევარდნის“ საზოგადოების თავმჯდომარე — უკვე ხანშესული ლუკეში შემოვიდოდა. გაისმოდა ჩეხური სალაში; „ნაზდარ“ — „გამარჯობა!“ „შევარდენთა“ წევრები სავარჯიშო იარაღებთან: ღერძთან, ორძელთან, რგოლებთან და ხარიხასთან მივიდოდნენ. ოთხი წლის ვარჯიშის მერმე, კორნელი მწვრთნელთა ჯგუფში გადაიყვანეს. კორნელის კარგი მოვარჯიშის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. მაშინ იგი მეოთხე კლასის მოწაფე იყო. იარაღებზე ამართვის, ყირა და ალმა ტრიალის მერმე, მძლეოსნობა და ინგლისური კრივი იწყებოდა. გაოფლიანებული ჭაბუკები ტანს შხაპით ჩამოიბანდნენ, ტანისამოსს ჩაიცვამდნენ და შინისაკენ გასწევდნენ.

დეიდა ელენეს არ დასცალდა დისწულის აღზრდა ბოლომდე მიეყვანა. მისი მეუღლე ბაქოს ერთ-ერთი გიმნაზიის ინსპექტორად დაინიშნა. ისინიც ბაქოში გადაბარგდნენ.

კორნელი თბილისში დარჩა. იგი ვექილის — ესტატე ბაყაშვილის ბინაში მოეწყო. მაგრამ სოფლად გლეხის ბავშვებში გაზრდილი კორნელი, ვერ შეეჩვია თავადის სახლში გამეფებულ წესებს და გული სარდაფში შეკუჭული მრეცხავი ქალის შვილისაკენ — სკოლის ამხანაგის — ჰეტოსაკენ უწევდა.

3

კვირა დღე იყო. მაგიდაზე მოშიშინე სამოვართან ვექილის — ესტატე ბაყაშვილის ცოლი ვარდო იჯდა და ჩაის აწყობდა. ესტატემ ჩაის სმა, გაზეთების კითხვა დაამთავრა და პეტროგრადში მომხდარ ამბებზე დაიწყო ლაპარაკი. ვარლამ სიამოვნებით უსმენდა ენამზე მეუღლეს. ვექილიც კმაყოფილი დარჩა საკუთარი ლამაზი სიტყვით, მიმდინარე ამბებს „ანალიზით“, ისტორიული ანალოგიებით. ვექილი წამოდგა და ახლა „მარსელიოზის“ სტვენით კაბინეტში შევიდა. იქი ვიღაც მკვლელის საქმის გაცნობას შეუდგა.

მისი ქალი, ნინო, კონსერვატორიაში წასასვლელად მიემზადა, ნოტებით სავსე ჩანთა აიღო. გამდელმა აკოცა და მზრუნველი ხელით ტანისამოსი გაუსწორა. ნინომ კოინელს ოთახის კარებზე დააკაკუნა.

— შეგვობრძანდით, — მოისმა იქიდან ხმა.

ჯარები გაიღო. კორნელი სარკესთან იდგა და ჰალსტუკს აკეთებდა. აბიტურიენტს კოსტუმი შეეკერა, მაგრამ ჰალსტუკის გაკეთებას ვერ ახერხებდა.

— საცოდავო, როგორ იტანჯებით!.. — დასცინა ესტატე პაწაწვილის ქალმა და ოსტატურად გაუკეთა ჰალსტუკის მარყუჟი.

სასულე ორკესტრის ხმა შემოესმათ. კორნელი და ნინო დარბაზში სარკმელს მისცვივდნენ. გამზირზე ჯარის ნაწილები მიდიოდნენ. ორკესტრმა კავალერიის მარში დაუკრა. ცხენებმა ცეკვა-თამაშით წავიდნენ. მერმე ჯარისკაცებმა სიმღერა წამოიწყეს...

მოედანი და სასახლე

ყველაფრის თხრობა შეუძლებელია, რადგან მაშინ თვითეული დღისადმი უნდა მიგვეძღვნა არა ნაკლები ერთი ტომისა, სადაც ჩვენი არსებობის შემცველი მრავალი მნიშვნელოვანი ეპიზოდი იქნებოდა ჩამოთვლილი.

გი დე მოპასანი

1

სასახლის დარბაზში, მაღალ და ფართო ფანჯარასთან მეფისნაცვალი, დიდი მთავარი — ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანივი დამდგარიყო, მის უკან კი — კავკასიის ფრონტის მთაავარსარდალი გენერალი პრჟევალსკი. ნიკოლოზი ღელავდა.

— ისევ რევოლუციურ სიმღერას ღრიალებენ. ჯარისკაცებ! — ჩაილაპარაკა მან უიმედოდ.

— თქვენო იმპერატორობითი უდიდებულესობავ, ეს რევოლუციური სიმღერა არ არის! — გაუბედავად შენიშნა პრჟევალსკიმ.

ნიჟეგოროდის საკავალერიო პოლკი სასახლეს უახლოვდებოდა. საჟენზე მაღალი, ახმახი კაცი — მეფისნაცვალი ოთხად მოიკეცა, ხელებით მოაჯირს დაეყრდნო და ფანჯარაზე დაშვებულ ფარდას ყური მიადო. მისი გრძელი კანჭი გენე-

რალ პრჟევალსკის გაპრიალებულ ჩექმას მოხვდა. გენერალმა მორიდებით და გაოცებით შეხედა. მეფისნაცვალმა უაზროდ მიაპყრო ახლა თვალი „თეთრი დარბაზის“ ჭაღს. ნიკაპი ჩამოშვებოდა. მაგრამ მის შეშფოთებულ და გამოლენჩებულ სახეზე ღიმილი აღიბეჭდა, რადგან ესკადრონი მშობლიურ, ძველისძველ სალდათურ სიმღერას ამბობდა.

— მართალია, ძველ სიმღერას ამბობემ, — ჩაილაპარაკა მეფისნაცვალმა ოდნავ დამშვიდებით. მერმე ფანჯარას მოშორდა, წელში გაიმართა და პრჟევალსკის განუცხადა:

— არასოდეს არ ყოფილა საჭირო ისეთი ფრთხილი მოქმედება, როგორც ახლა.

— ამ საშინელი ომის დროს მაინც არ მომხდარიყო ეს დაწყევლილი რევოლუცია! — შესჩივლა პრჟევალსკიმ.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! ეს რა მოიმოქმედეს?! თავზე იტაცა ხელი მეფისნაცვალმა. სირაქლემასავით მაღალ კანჭებზე მდგარმა კაცმა დარბაზი ჩქარი ნაბიჯით გაიარა და დაიყვირა:

— მემარჯვენე ელემენტებისა და ზომიერი სოციალისტების დახმარებით ახლავე თუ არ შევანელეთ და ნორმალურ კალაპოტში არ მოვაქციეთ რევოლუცია, რუსეთი უთუოდ დაიღუპება.

— თქვენო იმპერატორობითი უდიდებულესობავ, — შეეწვეწა პრჟევალსკი, — სანამ თქვენ კავკასიაში ბრძანდებით, რუსეთის ამ ნაწილს მაინც უპატრონეთ, გევედრებით.

— კავკასია ახლა მეორეხარისხოვანი საკითხია. მთავარია: რუსეთის ცენტრი და დასავლეთის ფრონტი, — მიუგო მეფისნაცვალმა.

მეფისნაცვალმა სწორად შეაფასა შექმნილი მდგომარეობა და შეეცადა ადგილობრივ საზოგადო მოღვაწეებთან საერთო ენა გამოენახა. მან სასახლეში მოიწვია მენშევიკური პარტიის ლიდერები, საქართველოს ეგზარქოსი, თბილისის ქალაქისთავი, სხვადასხვა ორგანიზაციათა და პრესის წარმომადგენლები...

— მე მივიღე დეპეშა სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარისაგან, როძიანკოსაგან, — განაცხადა მან. — იგი მატყობინებს, რომ ძალაუფლება დროებითი მთავრობის ხელში საბოლოოდ გადავიდა. მე აღმოვუჩენ სრულ დახმარებას სა-

ზოგადოებრივი ცხოვრების მესვეურთ და დაუყოვნებლივ გავცემ ბრძანებას, განთავისუფლებულ იქნან პოლიტიკური პატიმრები, გავაუმჯობესებ ცენზურის პირობებს, მაგრამ ამავე დროს გთხოვთ, თქვენც დაგვეხმაროთ წესრიგის დაცვაში.

ჟორდანია და რამიშვილი განცვიფრებით ისმენდნენ ბრწყინვალე მუნდირში გამოწყობილი მეფისნაცვლის—ტახტიდან გადმოგდებული მეფის ბიძის სიტყვას. მათ სახეზე კმაყოფილება აღიბეჭდა. მეფისნაცვალმა შენიშნა იგი და ახლა მეგობრული ხმით დაიწყო მათი მოკადრება:

— მე დროებითმა მთავრობამ დასავლეთის ფრონტის მოვალეობის შესრულებად დამნიშნა, მაგრამ ჯერ თბილისიდან ვერ გავემგზავრები, რადგან საჭიროდ მიმაჩნია აქ ხელისუფლების საკითხის მოგვარება. მე ძალიან დაინტერესებული ვარ ომის საკითხით. ჩვენი საყვარელი სამშობლოს დაღუპვის მოსურნე მტერი უნდა დავამარცხოთ. ვფიქრობ, თქვენი სურვილიც ეს არის. რაც შეეხება მომავალ სახელმწიფოებრივ წყობილებას, მას დამფუძნებელი კრება გადასწყვეტს, სადაც მე, როგორც ერთ-ერთ მოქალაქეთაგანს, სათანადო ადგილი დამეთმობა. საერთოდ, კი, უნდა განვაცხადო: მე ძალიან კმაყოფილი ვარ კავკასიით, რადგან აქ ანარქია არსად არ ყოფილა. ჩემის აზრით, ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ სოციალ-დემოკრატია, რომელსაც დიდი გავლენა აქვს კავკასიაში, წესრიგის მომხრეა. დარწმუნებული ვარ, რომ ეს მომავალშიც ასე იქნება.

მენშევიკების ლიდერებმა დაარწმუნეს: შემდეგშიც წესრიგს დავიცავთ მოსახლეობაში, რომ ანარქიამ არ გაიმარჯვოსო. ქალაქის თავმა განუცხადა: ქუჩებში მანიფესტაციები და დემონსტრაციები აკრძალულია. მოხელეთა ძველი შტატი ხელუხლებელი დარჩა, მხოლოდ გოროდოვოებს მკლავზე ს.ხვევი დაურიგდათო, წარწერით: „ქალაქის მილიცია“.

ამრიგად, თებერვლის რევოლუციის მერმე, ამიერკავკასიაში, ბურჟუაზიისა და მენშევიკების ლიდერების წყალობით, მეფის რუსეთის ხელისუფლების მთელი აპარატი ხელუხლებელი დარჩა. მეფისნაცვალი თავისუფლად დაბრძანდებოდა სასახლეში, ღებულობდა გენერალ პრჟევალსკის, ისმენდა მის მოხსენებებს და, ალბათ, გულში იმედი ესახებოდა, რომ თვითონ ბედი უკაფავდა გზას ტახტისაკენ.

მეფისნაცვალსა და პრეველსკის შორის გამართული საუბრის გაგრძელება შეუძლებელი შეიქნა. ჯარი სასახლის ფანჯრებს გაუსწორდა. ესკადრონების წინ თავი მოეყარათ მომღერლებს. წვერულვაშიანი მხედრები ოჩოკოჩებივით აღმართულიყვნენ უნაგირებზე და ხელიხელჩაკიდებულნი სიმღერით, სტვენითა და ყივილით მოდიოდნენ. ცხიმბირის ბანჯგვლიანი, ურა ცხენები ნაბიჯით, ჩოჩითით და მერმე ჭენებით წავიდნენ...

2

— გადიოდა დრო. ისტორიული ამბების ქარიშხალი აყირავებდა მეფისნაცვლისა და დროებითი მთავრობის მიერ შექმნილ წესრიგს.

იმჟამად თბილისში უამრავი ჯარი იდგა. ფრონტზე გასაგზავნი რეზერვები და ფრონტიდან ჩამოსული ნაწილები, ყველანი ერთმანეთში აირივნენ, ქუჩები, ბაღები და მოედნები ნაცრისფერ მაზარაში გახვეული ჯარისკაცებით ავსებულიყო.

გაზაფხულის საღამო იდგა. სასახლის წინ უამრავ ჯარისკაცს მოეყარა თავი. „მიტინგია“, — გაიფიქრა კორნელიმ. მიტინგები ახლა ყოველ ფეხის გადადგმაზე ეწყობოდა. სასახლის კარებთან დიდი მანქანა იდგა. სასახლიდან მეფისნაცვალი გამოვიდა, დროებითი მთავრობის მიერ უმაღლეს მთავარსარდლად დანიშნული, იგი რუსეთში მიემგზავრებოდა. მას ფოლადისფერი პალტო ეცვა, ყელზე წითელი ჩაბალახი მოეხვია. უიარაღოდ მოსული ჯარისკაცები გარს შემოერტყნენ მანქანას.

— უთხარით მათ რაიმე გამგზავრების წინ, — უჩურჩულა პრეველსკიმ მეფისნაცვალს.

მეფისნაცვალი მანქანაში აღიმართა, ნაცრისფერი ბუხრის ქუდი მოიხადა, ჩაახველა და დაიწყო:

— ჯარისკაცებო, დისციპლინა და წესრიგი ჩვენი გამარჯვების საწინდარია. დისციპლინისა და წესრიგის უზრუნველყოფა განსაკუთრებით აუცილებელია ახლა კავკასიაში, რადგან კავკასია საომარი მოქმედების ასპარეზია. ჩვენი ჯარების მიერ წამოწყებული და წარმატებით განვითარებული შეტევა

სპარსეთის ფრონტზე, ცნაცს, ჩვენი გამარჯვებით დამთავრდება.

სასახლის წინ მოედანი ხალხით იყო გაჭედილი. იგი შეირხა, ახმაურდა. წინა რიგებში მდგარნი უკანანი მოაწყდნენ. ხალხი მეფისნაცვლის მანქანას წალეკვით ემუქრებოდა ისე, როგორც ზღვის ტალღები ჩასაძირავად განწირულ პატარა ნავს. წინა რიგში მდგარი ჯარისკაცები მკერდით და ხელით ებჯინებოდნენ მანქანას. როდესაც ხალხი დაწყნარდა, ნიკოლოზ რომანოვმა განაგრძო:

— ჯარისკაცებო! თქვენ შორის პროვოკატორები დაძრწიან, ისინი გულს უცრუებენ მეომრებს და ომის წინააღმდეგ ქადაგებენ. არ დაუჯეროთ მათ. ისინი სამშობლოს მოღალატენი, მტრის აგენტები და ჯაშუშები არიან!

— ისინი მტრის აგენტები არ არიან!

— არც მოღალატენი! — დაიძახეს აქა-იქ. მერმე ყველა ერთბაშად ალაპარაკდა. დიდი მთავარი შეკრთა, მაგრამ მალე თავი დაიჭირა და ჰკანკალებული ხმით განაგრძო:

— ჯარისკაცებო, გახსოვდეთ და ერთ წუთსაც არ დაივიწყოთ, რომ ფრონტის დაშლა რუსეთის დაღუპვას ნიშნავს. მტერი მოწადინებულია აიღოს და ნაცარტუტად აქციოს ჩვენი ქალაქები და სოფლები, ჩააქროს ჩვენი კერა, მონად აქციოს რუსეთის ხალხი! ჯარისკაცებო, განერიდეთ პოლიტიკურ ამბებს. გწამდეთ რომ ისინი რუსეთისათვის უკეთესი მერმისით დამთავრდებიან! ჩვენ გავიმარჯვებთ, ჩვენ გავიმარჯვებთ!

— ვინ ჩვენ? ჩვენ არაფერი საერთო არა გვაქვს თქვენს მიერ წამოწყებულ ომთან! მშრომელი ხალხი და მისი რევოლუციური არმია, აი, ვინ დაიცავს რუსეთს! გათავდა თქვენი ბატონობა! ძირს ხალხის ჯალათები!

მეფისნაცვალმა იგრძნო, რომ მისი მოწოდება ისე გაისმა ხალხში, როგორც „ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა", რომ ყველაფერი დაკარგული და ფეხქვეშ გამოცლილი იყო. მასთან ახლოს მისულ ჯარისკაცთა მრისხანე სახეები დაინახა. მუქარა, ტლანქი გინება და ყვირილი გაიგონა.

სასახლის წინ, მოედანზე გასულმა კორნელიმ ახლა სულ ახლოს დაინახა მეფისნაცვალი. ნიკოლოზი გაფითრებულიყო. მარღი, წყლისფერი, შიშით სავსე თვალები უელავდნენ. ჯარისკაცები წინ მიიწევდნენ. ერთმა პალტოს კალთაში წა-

ავლო ხელი. მეფისნაცვალი უმალვე დავარდა მანქანის საჯდომზე. გვერდზე გენერალი პრეევალსკი და ლებედინსკი მოუსხდნენ. შოფერმა ჯარისკაცთა წრე გაარღვია. ჯარისკაცებმა ნიკოლოზი სტვენითა და გინებით გააცილეს.

ჯარისკაცები არ იშლებოდნენ. ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ მოედანზე და ცხარედ კამათობდნენ.

„ერი-ჰა, როგორი აბრუნდი სცოდნია ისტორიას“, — გაიფიქრა კორნელიმ და კავკასიის მეფისნაცვლად დანიშნულ ნიკოლოზ რომანოვის თბილისში ჩამოსვლა მოაგონდა.

ქალაქის თავმა ღუბერნატორმა, გარნიზონის და სამოსწავლო ოლქის უფროსებმა მთელი ქალაქი ფეხზე დააყენეს. ფანჯრები და აივნები ყვავილწნულებით და ხალიჩებით იყო მორთული. მოედნებზე და ქუჩებში საზეიმო თაღები აღემართათ და ზედ დიდი ასოებით დაეწერათ: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“ სადგურიდან სასახლემდე მწკრივად იდგნენ დროშებით, ორკესტრებით გამოსული ჯარისკაცები, მოწაფეები, მოხელენი და მოქალაქენი. კორნელის მოაგონდა: დირექტორებს და მასწავლებლებს მუნდირები რომ ეცვათ, შამფურივით წვრილი დაშნები ეკიდათ, ორდენები გაეკეთებინათ, ისინი თეთრი ხელთათმანით ისწორებდნენ ოქროს ვარაყით მოხატულ შავი ხავერდის სამკუთხა ქუდს.

გაისმა ბრძანება. მწკრივები გასწორდნენ. ორკესტრებმა „ჰმერთო, ჰფარვიდე მეფეს“ დაუკრეს. გამოჩნდა კაზაკების ესკადრონი, მხედრები წითელი, მოსირმული ჩოხებით. შერწე ამხედრებული თვითონ მეფისნაცვალი — ნიკოლოზ ნიკოლოზის ხე რომანოვი. მეფისნაცვალს ნაცრისფერი ჩოხა ეცვა. უკან ამალა მოსდევდა. ყბები იღლებოდა „ურას“ ძახილით. ნიკოლოზი არაბულ ლურჯაზე იჯდა. გამოცდილი მხედარი თხაფეხა და შავჩლიქებიან კვიცს მოაგელვებდა. კვიცს ვარდისფერი, გაბერილი ნესტოები უთრთოდა. დიდი დოლების ბრახუნით, ორკესტრების გუგუნით, ზურნის ჭყვიტინითა და „ურას“ ძახილით შეშინებული თვალებს აბრიალებდა. შავსა და ისარივით მაღლა აზიდულ, პატარა ყურებს შიშით წურავდა, ვენება მოხუცი მხედარი გამართული ფეხებით მიწას სწვდებოდა. სასაცილო სანახაობა იყო: თითქოს დონ კიხოტი როსინანტზე შემჯდარაო.

ნიკოლოზი სასახლეში შევიდა. მალე იგი აივანზე გამოჩ-

ნდა და სასახლის წინ მოზღვავებულ ხალხს თვალი მოავლო. გვერდზე თაიგულებით ცოლ-შვილი, ნათესავები, მხლებლები და გენერლები ედგნენ... სასახლის აივნის წინ ზურნას უკრავდნენ. თბილისის ვაჭრები, სოვდაგრები, ხელოსნები, მოქალაქენი, ყარაჩოღელნი და კინტოები ჰამჭრის დროშებითა და პურ-მარილით მოსულიყვნენ. თაბახზე მწვანილი, თრთი, მოთალი და ცოცხალი დაეწყოთ, ხელადა შეედგათ. ასე ჰიეგებნენ მეფისნაცვალს. მისი სადღეგრძელო შესვეს და ყანწი შესთავაზეს. მეფისნაცვალმა თბილისის მოქალაქეთაგან ყანწი მიიღო. სმაში დაოსტატებულმა გენერალმა ერთბაშად დასცალა სასმისი და დაიძახა: — „გაუმარდჟოს საქართველოს!“ დასცხეს ტაში, ვაშა და ზურნა.

მეფისნაცვლის ჩამოსვლის აღსანიშნავად სამოსწავლო ოქის უფროსმა — რუდოლფმა ღამით ჩირაღდნებით მოწაფეთა სვლა მოაწყო. სასახლის ბაღში და ქუჩაში ორკესტრი უკრავდა. თბილისის ირგვლივ, მთის კალთებზე ზარბაზნები გრიალებდნენ, მაშხალები და შუშხუნები ინთებოდნენ.

სასახლის დარბაზში ნადიმი მოეწყო. მეფისნაცვლის ქებაში, მის წინაშე მლიქვნელობაში, მუხლდრეკაში და ენამზეობაში ქართველი თავადები და სომეხი მრეწველები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. ქეიფის დროს მეფისნაცვალი ქართველ თავადებს შორის დაჯდა და მათ ხელიც კი გადაბვია... გაისმა „მრავალჟამიერი“. წინანდელი მეფისნაცვალი: გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი სომეხ მრეწველებსა და ვაჭრებს სწყალობდა. ახალი მეფისნაცვალი კი, ჩანდა, ქართველ თავადებს, საბჭედრო პირებსა და წარჩინებულთ უფრო ექომაგებოდა.

მეფისნაცვალს თვალში მოუვიდა მწვეარივით აკანჭული თავადი კოწია ერისთავი. ერისთავი საოცრად ჰგავდა მას. გაოცებული მეფისნაცვალი გაეხუმრა: „თავადო, დედათქვენი ხშირად ხომ არ ჩადიოდა პეტერბურგში?“ ერისთავმა კი მუგო: „თქვენო იმპერატორობითი უდიდებულესობავ, დედაჩემი თბილისს არ გასცილებია, მამაჩემი კი პეტერბურგის ხშირი სტუმარი იყოო“. ქართველ თავადებს თავზარი დაეცათ. მაგრამ მეფისნაცვალს მოეწონა ერისთავის პასუხი და გაეხარხარა...

ნიკოლოზის წინადადებით ქართული ცხენოსანი ლეგიონი ჩამოყალიბდა. კორნელის კარგად აწსოვდა საქართველოს

ეგზარქოსის მიერ ქართული ლეგიონის ლოცვა-კურთხევა სამხედრო ტაძრის გალავანში. გალავნის კედლების გასწვრივ ჩამწკრივებულ ლეგიონს მეფისნაცვალმა პატრიოტული სიტყვით მიმართა, ქართული მხედრობა შეაქო და მუზეუმიდან გამოტანილი, ერეკლე მეფის დროშა ჩააბარა. რას არ ამბობდნენ მაშინ ახალი მეფისნაცვლის შესახებ — ამ არსებითად შეზღუდული გონების მჭონე, პატივმოყვარე და სასტიკ ადამიანზე. სალონების ჭორიკანები მას რევოლუციონერსაც კი უწოდებდნენ. მის სახელს უკავშირებდნენ ცნობილ მყვირალა „მოწოდებას პოლონელებისადმი“, თუმცა იგი, საზოგადოების მეთაურობით, საგარეო საქმეთა სამინისტრომ შეთითხნა. დიდმთავარს აცხადებდნენ მეფე ნიკოლოზ მეორის წინააღმდეგ განზრახული შეთქმულების მეთაურად, ამტკიცებდნენ, მეფე თუ არ გაანთავისუფლებდა მას უმაღლესი მთავარსარდლის თანამდებობისაგან, მაშინ თვითონ ის გაანთავისუფლებდა თავის ძმისწულს ტახტისაგან. ამაოდ კი არ მოითხოვდა დედოფალი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის გადასახლებას ჯერ მის ერთ-ერთ მამულში, მერმე ციმბირში და, მხოლოდ პოლიტიკური სკანდალის შიშის გამო, დათანხმდა გაეგზავნათ იგი კავკასიაში... ქართული უმაღლესი თავადაზნაურობა უკავშირებდა დიდი მთავრის დანიშვნას მეფისნაცვლად კავკასიაში „პოლონელებისადმი მოწოდების“ მსგავს მოსალოდნელ აქტს საქართველოს შესახებ.

— დიახ, დიახ, — არწმუნებდნენ ახალი მეფისნაცვლის თაყვანისმცემელნი სკეპტიკოსებს, — ამას მოითხოვს უმაღლესი პოლიტიკა. დიდი მთავარი იძულებული იქნება ჩაიდინოს ეს თუნდაც იმიტომ, რომ მის მოსისხლე მტერს —დედოფალს ეზიზღება საქართველო და ქართველები...

ეს იყო ამ ერთი წლის წინათ, ახლა კი შეშინებული მეფისნაცვალი სადგურისაკენ გარბოდა, უკან ჯარისკაცთა გინება და სტვენა მოესმოდა.

— აი, როგორი მოულოდნელი აბრუნდი სცოდნია ისტორიას! — თქვა კორნელიმ, როდესაც სკოლის მეგობარი სტუდენტი ჯვებე მიქელაძე დაინახა.

სასახლის წინ კვლავ ჯარისკაცთა ჯგუფები იდგნენ. ჯარისკაცებმა არ იცოდნენ მაშინ, მეფისნაცვლის მანქანა სადგურისაკენ რომ მიჰქროდა. სადგურზე მეფისნაცვალს სასახ-

ლის სიმდიდრით, ოქრო-ვერცხლით, თვალმარგალიტებითა და საძღვნო საბუთებით დატვირთული საგანგებო მატარებელი უცდიდა. მეფისნაცვალი უვნებლად მიდიოდა თბილისიდან.

ჯარისკაცის ტანისამოსში გამოწყობილი ჭაბუკი გაბრაზებული ყვიროდა:

— ხედავდით, რა ტკბილად მღეროდა გამომშვიდობების წინ მეფისნაცვალი? თითქოს მისი დახმარებით არ ღვრიდა ხალხის სისხლს მეფე! ახლა კი ისიც დამფუძნებელ კრებაა და ხალხს ემხრობა! მგელი ცხვრის ქურქში გაეხვია!

— ფრთხილად, — შენიშნა ვიღაცამ, — შენ ფიქრობ, სიტყვის თავისუფლება არისო, და პირზე მომდგარ ყოველ სიტყვას აყრანტალებ. შენ კი თავისუფლად გიგდებენ ყურს ისინი, ვისაც ეს ევალება.

— არა უშავს, ჩვენ მათაც მივწვდებით! — მიუგო ჭაბუკმა.

— რა დიდი ისტორიული ამბების მოწამენი ვართ, — უთხრა კორნელიმ სკოლის მეგობარს ჯვებეს, — მაგრამ ამ ამბებში გარკვევა განა ადვილია?

— იარე ჩვენს წრეში, იქნებ იქ გაგარკვიონ!

პირველი ნაბიჯი

ბაკშვობისდროინდელი დაკვირვებების ძალა, დაკვირვებათა მარაგი, რომელიც მე გამაჩნდა ჩემი ცხოვრების დასაწყისშივე — ჩემი ნიჭის ძირითადი მარაგია.

მხატვარი პ. ა. ფედოტოვი

I

ზაფხულის დასაწყისში კორნელიმ ოცნებად გადაქცეული სტუდენტური ქუდი დაიხურა. ერთხელ საღამოს სტუდენტების წრეში წავიდა. ის წრე ჯვებეს ბინაზე იკრიბებოდა.

წრის მეცადინეობა სასტუმრო ოთახში მიმდინარეობდა, როცელიც ჯვებეს მამამ, ექიმმა და საზოგადო მოღვაწემ დაუთმო სტუდენტებს.

თუთუნის კვამლით გაბოლილ ოთახში ოციოდე სტუდენტი და რამდენიმე გიმნაზიელი ისხდნენ. კორნელი თავისი მეგობრების — გრიგოლ ცაგურიშვილის, პეტრე ცხომელიძის და ჯვებე მიქელაძის გვერდით დაჯდა.

წრის ხელმძღვანელი გენადი ქადაგიშვილი ოცდარვა წლის კაცი იქნებოდა. ქერა თმა და თაფლისფერი, კეთილი თვალები ჰქონდა. იგი შავწვერა და შავსათვალებიანი სტუდენტის გვერდით იჯდა. კორნელიმ მალე გაიგო, რომ შავწვერა— ერემო გოდებანიძე და ამ წრის ხელმძღვანელი — გენადი ქადაგიშვილი რუსეთიდან ჩამოსული, ძველი სტუდენტები ყოფილან. ერემო და გენადი მეტად ნიჭიერ ახალგაზრდა პუბლიცისტად და ჟურნალისტად მიაჩნდათ. მათზე დიდ იმედებს ამყარებდნენ.

ქადაგიშვილი სოციალურ და ეკონომიურ უთანასწოროებაზე საუბრობდა. კარგად შერჩეული და ყველასათვის გასაგები მაგალითები მოჰყავდა, მდიდართა მიერ ღარიბთა და მაშვრალთა ჩაგვრას ჰგმობდა და მოძღვარივით ღაღადებდა: „უადვილეს არს აქლემი განსვლად ხვრელსა ნემსისასა, ვიდრე მდიდარი შესვლად სასუფეველსა ღვთისასა“. ყოველი მისი სიტყვა ღრმად იჭრებოდა მსმენელის გულში. მისი სახე და ხმა განსაკუთრებით მაშინ იცვლებოდა, როდესაც საქართველოზე დაიწყებდა ლაპარაკს. ბოხი ხმა ჰაერს აპობდა, თითქოს მთავარდიაკვანი საგალობელს ამბობსო. ყელის ხორხი მძაფრად მოძრაობდა, ჯვებე ჩუმად ამბობდა: „ვენაცვალე ყანყრატოშიო“. ხოლო გრიგოლ ცაგურიშვილი შენიშნავდა: „ექვთიმე მთაწმინდელისა არ იყოს, სიტყვა ქართული დაუყენებლად, ვითარცა წყარო, აღმოდიან პირისაგან მისისა უწმინდეს ყოველთა ქართველთასაო“. ქადაგიშვილის საინტერესო საუბრებმა და ნარნარა ქართულმა კორნელიც მოხიბლა. თუმცა ჯვებეს ბინაზე გამართული წრის ხელმძღვანელთა ქადაგებანი არ იძლეოდნენ პასუხს მისთვის გადაუჭრელ საკითხებზე. მალე ქადაგიშვილის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული წრე ისე გაიზარდა, მას იმდენი სტუდენტი და მოწაფე მოაწყდა, რომ ამდენ მსმენელს უნივერსიტეტის აუდიტორიაც კი ვერ დაიტევდა. წრეში მუშაობამ კორნელი საბოლოოდ დაარწმუნა, საზოგადოებრივ ცხოვრებას რომ ჩამორჩენოდა, მან თავისი ქვეყნის აწმყო და წარსული ცუდად

იცოდა. იგი ქართულშიც მოიკოჭლებდა. პეტრე ცხომელიძემ საჯაროდ შეარცხვინა: „გადაგვარებული“ უწოდა: კორნელი არ შეედავა, რადგან მეგობარი სულ თუ არა, ნაწილობრივ მართალი იყო. პეტრეს და გრიგოლ ცაგურიშვილს ქართული გიმნაზია ჰქონდათ დამთავრებული, ამიტომ სწორ ქართულს ამბობდნენ და საქართველოს ისტორია და ქართული მწერლობა კორნელიზე უკეთ იცოდნენ. სამაგიეროდ, უცხოურის ცოდნაში კი კორნელის ვერ შეედრებოდნენ. „ყოველივე ეს რუსული გიმნაზიის ბრალია. — ფიქრობდა შინ მისული კორნელი, — თვითონვე ვგრძნობ, რუსულად რომ ვაზროვნებ და მერმე ქართულად ვთარგმნი. ორმაგი მუშაობა მიხდება. ეს ერთგვარი მუხრუჭია აზროვნებისათვის“. კორნელიმ ორი წლის წინ დაიწყო ქართული ენისა და მწერლობის საფუძვლიანი შესწავლა, ცნობილი პედაგოგის პეტრე მირიანაშვილის ხელმძღვანელობით. ამასწინათ მირიანაშვილმა უთხრა: პეტრეს და გრიგოლს მალე დაეწევი, გაუსწრებ კიდეცო, კორნელის ერთი გარემოება შველოდა: ბავშვობა ზემოიმერეთის სოფელში გაატარა, დედამ ქართულად აადგმევინა ენა. კორნელიმ სამუდამოდ დაიხსომა „დედა ენა“, პატარა მოთხრობები და ხალხური ლექსები: „ირემო მთასა მყვარალო“, „ტოროლას მაინც არ მოვკლავ“ და სხვანი, რომელთა სტრიქონები ცრემლით დაუსველებია... გადამჭრელი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის ასაკს, და არა მარტო ენის შესწავლის დარგში! ბავშვობაში მიღებული შთაბეჭდილებანი უდიდესი ძალით იჩრებიან ცნობიერებაში. თავისი ცხოვრების ვერც ერთ ფაქტს ვერ მოიგონებს ადამიანი ისეთი ძალითა და სიცხადით, როგორც ბავშვობისდროინდელს. ამიტომაც, პოეტისა და მწერლისათვის ის შთაბეჭდილებები წარმოადგენენ მისი შემოქმედების დაუშრეტელ წყაროს. კორნელის ყურში დღესაც საამოდ ჟღერს დედის ტკბილი ხმით დაღერღიებული ხალხური სიმღერები, გამდელის ზღაპრები, მეზობელთა საუბრები, თქმები და იგავები, დედისაგან ნასწავლი „სამშობლო ხევსურისა“, „სწავლა მოსწავლეთა“ და სხვა...

კორნელის, გრიგოლს, ჯვებენ, პეტრესა და სანდროს განუყრელ მეგობრებს ეძახდნენ. ისინი როგორც მოწაფეობის დროს, ისე ახლაც ხშირად იყრიდნენ თავს „შეშის მოედნის“

ზემოთ, ყორღანოვის ქუჩის პირას გაშენებულ მაღალ და გაბნიერ ყორესთან. ეს ყორე, რომლიდანაც სახლის სახურავზე გასვლა და ქალაქის დანახვა შეიძლებოდა, მათი საყვარელი ადგილი იყო... აქ უყვარდათ შეკრება, თუთუნის წევა და ოხუნჯობა. როდესაც უფროს კლასებში გადავიდნენ და, მერმე როცა სტუდენტები გახდნენ, სამშობლოზე ფიქრი დაიწყეს: ფიქრობდნენ, რა გზას დასდგომოდნენ, რომ სწავლითა და ცოდნით აღჭურვილთ თავის ხალხისათვის სარგებლობა მიეტანათ და, როგორც ჭაბუკთ სჩვევიათ ხოლმე, პოლიტიკურ და მსოფლიო საკითხებზეც მსჯელობდნენ და კამათობდნენ.

მათ შორის გრიგოლ ცაგურიშვილი ყველაზე ნიჭიერი ჭაბუკი იყო. ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს მიიქცია ქართული გიმნაზიის მასწავლებელთა ყურადღება. მალე მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებში ლექსების ბეჭდვაც დაიწყო და, სავალალოდ, მეცადინეობას თავი გაანება. კვირაში ერთხელაც კი არ მოვიდოდა გიმნაზიაში და მერვე კლასის მოწაფე სკოლიდან დაითხოვეს. მისი კლასის ამხანაგები — აბიტურიენტები სომწიფის მოწმობის მისაღები გამოცდებისათვის ემზადებოდნენ. გრიგოლ ცაგურიშვილმა გიმნაზიის დირექტორს და მასწავლებლებს სთხოვა მიეღოთ იგი, წლიურ ანგარიშში დამაკმაყოფილებელი ნიშნები დაეწერათ და გამოცდებზე დაეშვათ, იმ პირობით, რომ გამოცდების დროს იმ ნიშნებს გააანაღდებდა. გრიგოლის თხოვნა შეიწყნარეს. თვითეულ საგანში გამოცდებისათვის აბიტურიენტებს ოთხ-ხუთ დღეს აძლევდნენ და აი, თვითეული საგნისათვის მიცემულ ვადაში გრიგოლი ისე მოემზადა, რომ ატესტატში მხოლოდ ერთ საგანში ეწერა სამიანი, სამში — ოთხიანი, ხოლო დანარჩენ საგნებში კი — ხუთიანები. გრიგოლი ღარიბი კაცის შვილი იყო, დედა ადრე გარდაცვლოდა და მერმე მამაც მალე დაბრმავებოდა. ერთადერთი და ჰყავდა ოზურგეთში გათხოვილი, რომელიც ათასში ერთხელ თუ დაეხმარებოდა. ჭაბუკს რაღაც დარდი სტანჯავდა და ვერავინ მიხვედრილიყო მისი უსაშველო დარდისა და ღვინის სმის მიზეზს. უბინაობის გამო, ღამეს ხან ქალაქის ბაღებში, ხან სასაფლაოზე და ხან კიდევ შემბრალე ქალებთან ათევდა. ეს მისმა სკოლის ამხანაგმა, პეტრე ცხომელიძემ გაიგო და თავის ოთახში დააბინავა. იმ

დღიდან პეტრეს ოთახი საოცარ სანახაობას წარმოადგენდა. იატაკზე გახეთები, გაშლილი წიგნები და პაპიროსის ნამწვავები ეყარა. ლოგინი მუდამ დაულაგებელი იყო. მაგიდაზე წიგნები, რვეულები, პური, ძეხვი, ღვინის ბოთლები, კონსერვის ყუთები ეწყო, ეგდო და იდგა. ყოველივე ეს, თითქოს გრიგოლის აფორიაქებულ სულს, მის ჭიდილსა და შფოთს გამოხატავდა. გრიგოლ ცაგურიშვილი „პოეტური უწესრიგობას“ სენით დაავადებულიყო. შემოქმედის პირველი ჟრჟოლა და აღმაფრენა ნაცნობი იყო მისთვის. ერთხელ, სასულიერო სემინარიის მოწაფემ, ლევან ჭორიძემ, ბიბლია ათხოვა. გრიგოლმა მაშინვე საინტერესო თემას მიაგნო და იქვე — პეტრე ცხომელიძის, ჭორიძის, კორნელისა და სანდროს თანდასწრებით, პატარა პოემის წერა დაიწყო. მალე დაამთავრა კიდეც და მეგობრებს წაუკითხა. გრიგოლ ცაგურიშვილის პოემის „გალაათიდეს“ შინაარსი ასეთია: ურიასტანის მხედართმთავარი, იეფფაი, გამარჯვებული ბრუნდება ბრძოლის ველიდან და, თანაბამად აღთქმისა, ღმერთს — იეღოვას უნდა შესწიროს ის, ვინც ქალაქის კარიბჭესთან პირველი შეეყრება. იგი მისი უსაყვარლესი, ტურფა და კდემამოსილი ასული — გალაათიდე აღმოჩნდა. ასული აღთქმისათვის არა ჰყოყმანებს და უყოყმანოდ იღებს სიკვდილს. „გალაათიდემ“ აღტაცებაში მოიყვანა გრიგოლის მეგობრები, რომელთაც არ იცოდნენ, რომ იმ ასულის გმირობის ბაირონმა უმღერა თავის ერთ-ერთ ებრაულ მელოდიაში.

გრიგოლმა კარგი ქართული იცოდა. მისი ასაკის. მაშინდელი დროისა და პირობების მიხედვით. მწერლობაში ჩახედული იყო და კარგი ვერსიფიკატორიც ჩანდა. ერთ-ერთ ჟურნალში დიდის გარდაცვალებაზე ლექსი დაბეჭდა. დედას ვერ ივიწყებდა, მის სურათს ხატსავით ატარებდა. დედაზე და საშობლოზე საყვარელი არაფერი არ გააჩნდა ამ ქვეყნად. სევდით შებყრობილი, კაეშნიანი ჭაბუკისათვის ეს ყორღანოვის ქუჩის ყორე, საგოდებელი ადგილი — „ყორღანი“ იყო. პეტრე ცხომელიძე, გრიგოლ ცაგურიშვილი, სანდრო ხოტივარი და ვეჭილის შვილი პეტრა ტარანსკი იმ ქუჩაზე ცხოვრობდნენ. იმ ქუჩაზე უყვარდათ აგრეთვე სეირნობა „ღამის პეპლებსაც“. გრიგოლმა ლექსი „როსკიპი“ დაწე-

რა. ამ ლექსის გამო, რომელშიც თავისმკვლელი ვეძავი ქალი მადონას გვერდით იყო დაყენებული, — ლექტორმა და კრიტიკოსმა პლატონ მოგველაძემ აღტაცებული რეცენზია დაწერა. ავადმყოფური და დაცემულობით სავსე ჰანგები გრიგოლს დეკადენტებისა და იმ ახალ დაარსებული ჯგუფისაგან შეეთვისებინა, რომლის ლიდერი მაშინ თვით პლატონ მოგველიძე იყო. გრიგოლის გულში უიმედობა დასადგურებულიყო. გრიგოლი ღვინოში და ქალებში ეძებდა თავდავიწყებას. არსებითად კი იგი საღი, კეთილი და ნაზი ადამიანი იყო, მაგრამ თავის ნამდვილ სახეს უწმაწური ენამახვილობისა და უხეშობის ნიღაბქვეშ მალავდა. ყოველივე ამის გამო მასთან ხშირად ნახავდით ქალაქის ნაძირალებს, საეჭვო ყოფაქცევის ადამიანებს, სალახანებსა და საბრალო ჭაბუკს მალე ცუდი ხმა დაუვარდა. ხშირად გრიგოლი ერთბაშად მოიწყენდა, ყორღანოვის ქუჩის ყორეზე დაწვებოდა, ვარსკვლავებით მოჭედილ ცას მიაშტერდებოდა და ოდესღაც წაკითხული დიდი პოეტის სიტყვებს იმეორებდა: „იქ შეუმჩნევლად და უჩუმრად იბადებიან მრავალათასი, მილიონი სამყაროები“. პეტრე ცხომელიძე ბუნებისმეტყველებით გატაცებული სტუდენტი იყო და ეხსნიდა: „შუქსხივი წამში სამასი ათას კილომეტრს გარბის. რა დიდი მანძილი უნდა გაირბინოს მან და რა დიდი დრო უნდა დახარჯოს, სანამ დედამიწამდე მიაღწევდეს, თუკი ყველაზე მახლობელი ვარსკვლავი ჩვენგან ორი მილიონი კილომეტრით არის დაშორებული?“ ახლა ჭაბუკები „მაღალ მატერიაზე“ იწყებდნენ ფიქრს. მაგრამ მათ არ სწამდათ სამყაროს შემქმნელი უზენაესი ძალა— ღმერთი. არც ცოდნა ჰქონდათ საიმისო, რომ ქვეყნის წარმოშობისა და განვითარების საკითხში გარკვეულიყვნენ. ამიტომ გრიგოლთან ერთად, ისინიც გაშტერებული მისჩერებოდნენ აურაცხელ პლანეტებს, დრო და სივრცის უსაზღვროება აოცებდათ და ადამიანის არარაობაზე და მისი ცხოვრების უმნიშვნობაზე სასოწარკვეთით ფიქრობდნენ. ვარსკვლავებით მოჭედილ ცას მიშტერებული და მიუწვდომელის წინაშე სასოწარკვეთილი ჭაბუკებისათვის დახურული იყო ამჟამად მსოფლიოს შემცნობი წიგნი მეცნიერებისა. პეტრე ცხომელიძე ამ მხრივ სწორ გზაზე იდგა: მას ბუნებისმეტყველება იტაცებდა. სანდრო ხოტივარი მხოლოდ სამხედრო კარიერაზე ოცნე-

ბობდა. კორნელი და ჯვებეც დაინტერესებული იყვნენ მეცნიერული საკითხებით. კორნელიც წერდა ლექსებსა და პატარა მოთხრობებს, მაგრამ არავის არ უჩვენებდა მათ. ხოლო გრიგოლ ცაგურიშვილი კი პოეზიის გარდა არაფერს არ ცნობდა.

2

დილით ადრე გაეღვიძა კორნელის. ძილის წინ, სიზმრად, და აი ახლაც, ცხადშიაც სოფელი, დედა, ხეხილით სავსე ბაღი, ვეება კაკლის ხეებით და ცაცხვებით დამშვენებული დიდი ეზო ესახებოდა, ბავშვობა აგონდებოდა, მოგონება გულში თაფლივით ეწვეთებოდა. მზის სხივები ოთახში შეჭრილიყვნენ. სხივები კედელს აშუქებდნენ და შპალერზე უცხო ქსოვილთა მარმაშ არშიებს ჰქარგავდნენ. სარკმელი ღია იყო. ხეზე ჩიტები ყიოდნენ. კედელზე მზის სხივებისაგან მოქსოვილი მაქმან-ჯავარის ჟრჟოლა და ჩიტთა ჟრიამული ერთბაშად შეესაბამებოდნენ და ერთ გარკვეულ განცდას იწვევდნენ კორნელში. ისე მოეჩვენა, თითქოს სოფელში იყო, ცხენ პირს იბანდა და მაისის ჟუჟუნა წვიმა ახლად გამარგლულ ყანას ნამავდა. ასე იწვა ნეტარ გუმანში გახვეული ჭაბუკი... შერმე წამოდგა, პერანგის ამარა მივიდა სარკმელთან. მის წინ ქალაქი გადაშლილიყო, წითლად და მწვანედ შეღებილი რკინის სახურავები მოსჩანდნენ. ქალაქის ირგვლივ მზით მონათლულ და იისფერ ბურუსში გახვეული მთის მწვერვალები აღწართულიყვნენ. შორს — ბუმბერაზი მყინვარწვერი ილანდებოდა.

ქედების იქით, ლურჯი ცის ტატნობზე მიჯარული ღრუბლები მისცურავდნენ. სარკმელთან ყვავილის სურნელოვანი მტევნებით დაყურსული აკაციის კენწეროები ირხეოდნენ. ყვავებული აკაციის და შორეული ქედების ჰვრეტისას ლერმონტოვის „მწირი“ მოაგონდა, რატომღაც, კორნელის. კაშნიანი ხმით წარმოსთქვა ის ადგილი, სადაც მწირი მოხუცს ეკვლრება: როდესაც მოვკვდე, ორ აყვავებულ აკაციათა შორის დამასაფლავე, იქიდან ცისფერი დღის ელვარებით დავტკბები და ჩემს მშობლიურ კავკასიონსაც დავინახავო. მალე მთაში ჩამოწოლილი ბურუსი გაიფანტა და მერმე ცის

ლაქვარდისაკენ მედიდურად აწვდილი, მზის სხივებისაგან ელვარე და უდნობი თოვლით გადალესილი მყინვარი თვალნათლივ დაინახა. ამ უდრეკი და ბუმბერაზი მთის ჭვრეტისას კავკასიონის ქედზე მიჯაჭვული, ქედმაღალი ამირანი მოაგონდა და შერცხვა ქედმოხრილი და ცრემლიანი თავისი განცდისა.- მყინვარზე ასახულმა ამირანის ხატმა ლერმონტოვის მწირის სასოწარკვეთილი წუწუნი- გაუყუჩა, გაუყუჩა და არ კი განუქარვა...

კორნელიმ პირი დაიბანა, მაყაშვილთა სასადილო ოთახში შევიდა.- ნაჩაიებს ნინო ესტუმრა. ღია ფანჯარასთან დასხდნენ. ნინო გიმნაზიას ამთავრებდა და ახლა მუქ-ლურჯი კაბა ეცვა, შავი წინსაფრით. კორნელის დააცქერდა და უთხრა:

— წუხელ ბევრი გიძინიათ, თვალის უპე დაგსიებიათ.

— არა, დედაზე, სოფელზე, ჩემს ბავშვობაზე ვფიქრობდი და დიდხანს არ დამეძინა, — მიუგო კორნელიმ.

— მალე ნახავთ დედას და ყველანიც კარგად იქნებიან.

— სულ მარტო დარჩა საცოდავი დედაჩემი ახლა სოფელში...

— მართლაც ცოდვაა დედათქვენი...

— ნათლად მესახება იმდროინდელი ჩვენი სოფელი. მაშინ მამაჩემი ცოცხალი იყო... მამა ჩინებული ექიმი, დარბაისელი მოსაუბრე, მონადირე, დინჯი თამადა და მოქეიფე კაცი იყო. სიბერის ჟამს ქეიფი, ნადირობა და ცხენზე ჯდომაც მიატოვა. ბუკოლიური ცხოვრება დაიწყო. თვითონვე ჰქონდა აჩემებული ეგ სიტყვა: „ბუკოლიური“, — ღიმილით ამბობდა კორნელი — სოფლის მეურნეობას მიჰყო ხელი. ჭილის ქუდს დაიხურავდა, საცხლავს, მაკრატელს აიღებდა და ვაზის სხვლასა და შეყელვას დაიწყებდა. მაგრამ მეზობლებს არ სჯეროდათ მისი მეურნეობისა და ამბობდნენ: თავს იროთობსო. თვალნათლივ მაგონდება ყოველივე: მამა, დედა, სოფელი, ჩვენი ეზო. ცაცხვზე გადმოკიდებული ფარანი; ჩემი ძმები — სტუდენტები, მათი ამხანაგები, მათი სიმღერები... რუსულსა და უკრაინულ სიმღერებს ამბობდნენ. პირველად შემხიბლა მაშინ რუსეთის თვალუწვდენი ველებიდან წამოსულმა უძირო სევდამ, უნაპირო აღტაცებამ და სიხარულმა. იმღეროდნენ: უკრაინულ „არა შემოდგომის წვიმას“, „ყვირის და გოდებს ეგ ფართო დნეპრი“... სმენას გვიამებდა ჩე-

მი ძმა, რევოლუციონერი სტუდენტი შალვა. თავისი უტკბილესი ხავერდოვანი ბარიტონით. მახსოვს შალვას მეგობარი, ცნობილი ანარქისტი გიორგი ჯანდიერი. ენთუზიაზმით სავსე მარსელიოზა ჩვენი სახლის დარბაზში გამართულ ვახშმებზე. მე მინახავს ჩემი ძმის მხარბეჭი ფალასკებით შემორტყმული. მოკლე კარაბინი და ხელყუმბარები ეკიდა, ხალათის შიგნით წითელი დროშა ჰქონდა შემოხვეული. ჩემს ძმათა შორას ის ყველაზე მამაცი და ნიჭიერი იყო. იატაკქვეშ მუშაობის დროს გაცივდა, მერმე ჭლექი შეეყარა და 1906 წელს გარდაიცვალა. მისი საფლავი უჭირისუფლოდ არის ახლა მიტოვებული, მაშინ, როდესაც ვარდ-ყვავილებით უნდა იყოს მორთული, რადგან სისხლიანი ხველების დროსაც კი რევოლუციის მოახლოებულ გამარჯვებაზე ლაპარაკობდა.

— ალბათ, იმიტომაც იყო ისე ღიმსახსოვარი და ისე ტკბილი მისი ხმა, — კაეშნით შენიშნა ნინომ.

ბაულის გულითადმა თანაგრძნობამ კორნელი მოხიბლა. დანაღვლიანებულმა ჭაბუკმა ღია ფანჯარაში გაიხედა. შორეული მთის მწვერვალების ჭვრეტა გულში ისევ შეუცნობ სევდას უსადგურებდა.

— მე არ ვიცი, რა სევდაა ჩემს გულში, როცა ვხედავ შორეული მთის მწვერვალებს?! — ჩუძად წარმოსთქვა კორნელიმ, და ისევ სოფელი, დედული, ბავშვობა, დედა და განვლილი გზა მოაგონდა.

ფანჯარასთან მჯდარი ჭაბუკი თავის მომავალზე ფიქრობდა. უკან დარჩა გიმნაზია. იგი უნივერსიტეტზე ოცნებობდა. შაგრამ რუსეთში მიმავალი გზა რევოლუციის მერმე გადაიკეტა. თბილისში კი იმჟამად უმაღლესი სასწავლებელი არ არსებობდა. ჭაბუკი ცისა და მიწის შორის დაკიდებულივით დარჩენილიყო. აზნაურთა ბუდეში გამოჩეკილი ყმაწვილი და ახლად აფრენილი სტუდენტი კრიტიკულად ამოწმებდა თავის ცხოვრებას. მარტოობას გრძნობდა, სევდა-ნაღველი აწვებოდა და მის წინაშე ალმართული უსახო მისწრაფებანი უმიზდო მომავლის ბურუსში ინთქმებოდნენ.

— ნინო, რომ იცოდეთ, რა სევდაა ახლა ჩემს გულში! იღიასი არ იყოს, კაცი არ არის, რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი გავუზიარო, — განუცხადა პათეტიკურად კორნელიმ, თითქოს საზოგადოებრივი ცხოვრებით დაღლილი, ნაღვაწი

და გულგრილი ხალხის უმადურობით სასოწარკვეთილი მოხუცი ყოფილიყოს. მაგრამ ჭაბუკისათვის შეუფერებელმა სიტყვებმა მიზანს მიაღწიეს. ნინო წამოდგა, ზურგი შეაქცია, მანაც შორეულ ქედებს გაჰხედა და საყვედურით უთხრა:

— კორნელი, თქვენ ცდებით.

კორნელი მაშინვე მიხვდა ამ საყვედურის მნიშვნელობას. „თანაგრძნობას მიცხადებსო“, — გაიფიქრა. მოჯადოებული მისჩერებოდა სარკმელთან მდგარ ტანკენარ ასულს, რომელსაც გიშრისფერი დაგრაგნილი ორი ნაწნავი წელამდე სწვდებოდა. კორნელი ნინოს შემობრუნებასა და მისი ლამაზი სახის ხილვას ელოდა, რომ ქალის თანაგრძნობა ზედ ამოეკითხა. დიდხანს ლოდინი არ დასჭირვებია. მის მხარზე მტრედის ფრთასავით თეთრი და ნაზი ხელი დაფრინდა. სკამიდან წამოჭრილმა ჭაბუკმა ასული მიიზიდა და მათი ბაგენი ერთმანეთს გადაეჭდნენ პირველი სიყვარულის გაუბედავი კოცნით...

დღეს პირველად შეისრულა კორნელიმ დიდი ხნის ნატვრა და იმ ძველი სევდისა და ნაღველის ნატამალიც აღარ დარჩა. აღტაცებულმა ჭაბუკმა ხელი წაავლო სტუდენტურ ქუდს. ქუჩაში გავარდა. სახეზე ნეტარებით აღსავსე ღიმილი გადაჰკროდა. თავი მაღლა აეწია. მთელი მისი არსება სადღაც შორს მიისწრაფოდა. ეს მისი ამაღლებული და - გაწმენდილი სული მიჰქროდა... არასოდეს ცა არ ყოფილა ასეთი წმინდა, მოსარკული და საამო. არასოდეს ჯერ არ ყოფილა ასეთი ბრწყინვალე დილა. მთებს თითქოს ნათელი დასდგომოდათ.

კორნელისათვის ახალი, ბედნიერი დღეები დადგნენ...

რევოლუციამ ძირფესვიანად შეცვალა ცხოვრების ჩვეულებრივი დინება, მაგრამ კორნელი და მისი მეგობრები ისევ იკრიბებოდნენ ყორღანოვის ქუჩაზე, ისევ ეტანებოდნენ პოეზიას, განყენებულ მსოფლიო პრობლემებზე კამათობდნენ.

ჯალატი

ჟირონდელები უმთავრესად პროვინციული ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდნენ. მათ ამბოხება მოაწყვეს სამხრეთში და უცხოური და შინაური კონტრრევოლუციის ძალებს შეუერთდნენ.

XVIII საუკუნის საფრანგეთის ისტორიიდან.

1

1917 წლის გაზაფხულის რევოლუციური ილუზიიდან რამდენიმე თვე გავიდა. ცხელი ზაფხული შემოდგომის სუსხიანმა დღეებმა შეცვალეს. ამ დღეებში მომხდარი ამბების ჭარიხალმა მთელი ქვეყანა შესძრა. ოცდახუთი ოქტომბრის ღინა ღამით პეტროგრადის მუშებმა შეიარაღებული აჯანყების დროშა აღმართეს. ზამთრის სასახლე იერიშით იქნა აღებული. დროებითი მთავრობა დაემხო. მისი თავმჯდომარე კერენსკი საზღვარგარეთ გაიქცა. ის პირები, რომელთაც თავიანთი თავი ბელადებად წარმოედგინათ, მათთვის მოულოდნელმა, თავბრუდამხვევი სისწრაფით მავალმა ამბებმა დააბნია და ისინი აჯანყებულმა ხალხმა წალეკა.

— რუსეთში არ არის ისეთი პარტია, — ამბობდა იმ ამბების კვირაძალში ირაკლი წერეთელი, — რომელიც გაბედავს თავის ხელში ხელისუფლება აიღოს.

— ასეთი პარტია არის, — მიუგო ლენინმა, — იგი ბოლშევიკური პარტიაა!

და აჯანყებული ხალხის სათავეში ჩამდგარმა ბოლშევიკებმა აიღეს ხელისუფლება. რუსეთში დიდი სოციალისტური რევოლუცია დაიწყო, დანგრეული იმპერიის ნაცვლად შეიქმნა მუშებისა და გლეხების მსოფლიოში პირველი საბჭოთა სახელმწიფო. კაცობრიობის ისტორიაში ახალი ერა დაიკიდრდა.

„ჩვენ სწორი გზით მივდივართ, — მიფრინავდნენ ოკეანებსა, ტრამალებსა და მთებზე ლენინის წინასწარმეტყველური სიტყვები, — ამ გზას ადრე თუ გვიან სხვა ხალხებიც დაადგებიან“.

მაგრამ ძველი სამყარო გააფთრებით იცავდა თავს. კონტრ-

რევოლუცია დაჟინებით აგროვებდა ძალებს საბჭოთა ხელისუფლებასთან საბრძოლველად. რუსეთის ვანდეა XVIII საუკუნის საფრანგეთის რევოლუციისდროინდელ ვანდეაზე განუზომლად უფრო საშიში აღმოჩნდა. კონტრრევოლუციის ერთ-ერთ კერად იქცა ამიერკავკასიაც, სადაც შეიხიზნა პეტროგრადიდან და რევოლუციური ქვეყნის სხვა ქალაქებიდან გაშოქცეული კერენსკის მრავალი თანამოაზრე.

საბჭოთა რუსეთისაგან მოწყვეტილი ამიერკავკასია მასთან სრული გათიშვის გზით მიჰყავდათ მენშევიკების, დაშნაკებისა და მუსავატების პარტიებს. მათ ამ მხრივ დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და კერენსკის დამხობილ მთავრობასთან დაკავშირებული ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის ნაცვლად დამოუკიდებელი სამხარეო ხელისუფლება — ამიერკავკასიის კომისარიატი შექმნეს.

მენშევიკები, რუსეთის მენშევიკებთან ერთად პოლონეთის, ფინეთისა და საქართველოს თვითგამორკვევის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ. ახლა კი თვითონ სეპარატიზმის გზას დაადგნენ. ამის მჭადაგებლად, საფრანგეთის რევოლუციისდროინდელი კონვენტის მიბაძვით, „საზოგადოებრივი უშიშოების კომიტეტი“ გამოვიდა.

ამ პოლიტიკური სვლის ჭეშმარიტი მიზანი გამოაშკარავებული იქნა ბოლშევიკური პარტიის სამხარეო კომიტეტის დეკლარაციის მიერ:

„საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტის პოლიტიკა ნათელია. განიცადა რა დამარცხება რუსეთში, კონტრრევოლუცია ცდილობს, ფეხი მოიკიდოს აქ, პერიფერიაში, განაპირა ტერიტორიაზე, ამით აიხსნება საბჭოთა რუსეთიდან ამიერკავკასიის გამოყოფის მათი გეგმა“.

2

სასახლის წინ მანქანა გაჩერდა, იქიდან კავკასიის ფრონტის ჯარების მთავარსარდალი გენერალი პრჟევალსკი, შტაბის უფროსი გენერალი ლებედინსკი და შტაბის ოფიცრები გამოვიდნენ.

თბილისიდან მეფისნაცვლის წასვლის შემდეგ პრჟევალსკი პირველად შედიოდა სასახლეში. სასახლის კარებთან არ

იდგნენ ქანდაკებად ქცეული გუშაგები — წითელჩოხიანი, ხმალამოწვდილი კაზაკები. კიბეზე პორტფელიანი, ვიღაც უცნობი პირები არბოდნენ და ჩამორბოდნენ. „ვიგინდარები“,— ამრეზით გაიფიქრა პრჟევალსკიმ.

სასახლის თეთრ დარბაზში ამიერკავკასიის კომისარიატის წევრები ისხდნენ და მას ელოდნენ. გენერალმა ძლივს შეაჩინევი დამცინავი ღიმილით გაჰხედა იქ მყოფთ და მერმე მჭედრული მტკიცე ნაბიჯით გაეშურა მეფისნაცვლის სავარძელში მჯდარ მთავრობის თავმჯდომარის — ევგენი გეგეჭკორისაკენ.

გეგეჭკორი ადგა, გენერალს, მის ოფიცრებს მიეგება და თავაზიანად ჩამოართვა ხელი.

— გთხოვთ დაბრძანდეთ, — თქვა კომისარიატის თავმჯდომარემ და გენერალს, შტაბის უფროსს, ოფიცრებს თავისი სავარძლის გვერდით შესთავაზა ადგილები. ნაცრისფერ კოსტუმში გამოწყობილმა კაცმა უმალვე მოხიბლა თავისი დინჯი საუბრითა და ზრდილობიანი ქცევით გენერალი.

— ამიერკავკასიის კომისარიატის სხდომას გახსნილად ვაკხადებ, — მიმართა თავმჯდომარემ დამსწრეთ. — დღის წესრიგში ერთი საკითხია — კავკასიაში თურქეთის არმიის სარდლის ვექიბ-ფაშის წინადადება ზავის დადების შესახებ. გთხოვთ ითათბიროთ ამ საკითხზე, რათა ამიერკავკასიის კომისარიატის გადაწყვეტილება საფუძვლად დაედოს მთავრობისა და კავკასიის ფრონტის ჯარების მთავარსარდლის შემდგომ მოქმედებებს.

პრჟევალსკიმ მთავრობის წევრები უიმედოდ შეათვალიერა, პორტფელი გახსნა, თურქეთის არმიის უფროსის ვექიბ-ფაშის წერილი ამოიღო. სათვალე გაწმინდა და კითხვა დაიწყო. დარბაზში სამარისებური სიჩუმე დამკვიდრდა. ვექიბ-ფაშა დროებითი ზავის ჩამოგდებას სთავაზობდა პრჟევალსკის. წაკითხული საბუთის უდიდეს მნიშვნელობას ყველა გრძნობდა. გრძნობდა იმ პასუხისმგებლობას და უხერხულობას, რომელიც რუსეთის გარეშე თურქეთთან დამოუკიდებელი მოლაპარაკებისაგან გამომდინარეობდა. სწორედ ამიტომ, თურქეთთან ზავის ჩამოგდებაზე მოსაზრების გამოთქმა გეგეჭკორმა, უპირველეს ყოვლისა, კავკასიის არმიის მთავარსარდალს — პრჟევალსკის სთხოვა:

— ბატონო გენერალო, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, მოვისმინოთ თქვენი ინფორმაცია, რადგან თურქეთთან ჩვენი ბოლაპარაკების ხასიათს ფრონტზე შექმნილი მდგომარეობა განსაზღვრავს, — განაცხადა გეგეჭკორმა. ოქროს ვარაყით მოჭედილი ქარვის მუნდშტუკი საფერფლეში დაბერტყა და ვარდისფერი, მსუქანი ტუჩები მოკუმა. თავმჯდომარის დინჯმა ქცევამ, სწორმა რუსულმა და მიმართვის კილომ აიძულა გენერალი, დაწვრილებითი ინფორმაცია გაეკეთებინა. პრჟევალსკიმ სავალალო სურათი დახატა. და რადგან მის წინაშე მსხდომნიც რევოლუციის მებაირაღტრეებად და ფრონტის დამშლელებად მიაჩნდა, ამიტომ თავისი ინფორმაცია გესლიანად დაამთავრა:

— არმიის ზურგს უკან და ფრონტზეც დაუსრულებლივ ცხადდებიან დელეგატები. ისინი თავიანთ თავს მუშათა პარტიის დელეგატებს უწოდებენ და აქეზებენ ჯარისკაცებს, გაანიარაღონ ოფიცრები. ისინი ფეხს იკიდებენ არმიაში, არღვევენ დისციპლინას და შიგ დეზორგანიზაცია, ანარქია შეაქვთ. ისინი ომის წინააღმდეგ ქადაგებენ, ჯარისკაცებს სამშობლოში დაბრუნებას, იქ სამოქალაქო ომის გაჩაღებას ურჩევენ. ამიტომ ფრონტიდან ცალკე ჯგუფები, ასეულები, პოლკებიც კი თავისი ნებით იხსნებიან და შინისაკენ მიდიან. ასე თუ გაგრძელდა, მალე არავითარი ფრონტი აღარ იქნება.

პრჟევალსკიმ არაფერი თქვა იმაზე, რომ მან დაჰკარგა გავლენა — არ შეეძლო არმიის მართვა, იგი სამხედრო-რევოლუციური კომიტეტების ხელში გადავიდა. კავკასიის არმიის სამხარეო საბჭომ მოუწოდა ჯარისკაცებს მხარი დაეჭირათ ლენინისათვის და სახალხო კომისრების საბჭოსათვის, დაეცვათ რევოლუციური დისციპლინა და მიეღოთ ზომები ფრონტიდან ჯარების თვითნებური წასვლის წინააღმდეგ. გენერალი ცრუობდა იმიტომ, რომ ამიერკავკასიის მთავრობა დაეშინებია, დაეჩქარებია დაზავება და საშუალება მისცემოდა ჩრდილო კავკასიის კონტრრევოლუციური ძალების დახმარებისათვის.

ნამდვილად კი კავკასიის ფრონტის ჯარების შინ წასვლა ზავის დადების შემდეგ დაიწყო. მისი ერთი ნაწილი დარჩა

ბოდილო კავკასიაძი, სადაც კოხტროევოლუციური ჯარების წინააღმდეგ ბრძოლა მიმდინარეობდა.

როდესაც გენეროალმა მოხსენება დაამთავრა. გეგეჭკორმა ცნობილ მეხშევიკს აკაკი ჩხენკელს გადახედა და თვალით ანიშნა: დახმარებოდა, მაგრამ ჩხენკელმა, დახმარების ნაცვლად, თავი ჩაჰკიდა და ყავარჯნის თავს ნიკაპით დაეყრდნო. რადგან თავის თავზე და ჩხენკელზე ჭკვიანი კაცი სხდომაზე გეგეჭკორს არ ეგულებოდა, ამიტომ თვითონ დაიწყო:

— ჩვენ ვიცით, გენერალო, მუშათა პარტიის რა დელეგატებიც არიან ისინი, რომელთა შესახებაც თქვენ ლაპარაკობდით. ჩვენ სასტიკ ზომებს მივიღებთ ბოლშევიკების აგიტაციას წინააღმდეგ. როგორმე უნდა გავაჯანსაღოთ ჯარი. მაგრამ ეს მომავლის საქმეა და დიდ დროს მოითხოვს. ჩვენ კი ახლავე უნდა გავცეთ თურქეთს მის მომარბენაზე პასუხი. როგორც თვითონვე ხედავთ, საკალალო კონიუნქტურაა. ლოდინის დრო არა გვაქვს. გთხოვთ, გამოთქვათ თქვენი მოსაზრება ვექიბ-ფაშის წინადადებაზე.

— ჩემის აზრით, — დაიწყო გენერალმა ლებედინსკიმ,— ახლავე უნდა ვაცნობოთ თურქებს პრინციპული თანხმობა ზაფის ჩამოგდებაზე. ამავე დროს კი შევეცადოთ, რაც შეიძლება გაჭიანურებულ იქნას საზავო მოლაპარაკება, რათა დრო მოვიგოთ. დარწმუნებული ვარ, რუსეთში ანარქია მალე შეწყდება. დავუცადოთ რუსეთში დამფუძნებელი კრების მოწვევას. წინააღმდეგ შემთხვევაში...

— ჩემის აზრით, — შენიშნა სამხედრო-საზღვაო ძალების კომისარმა, პოლკოვნიკმა დონსკოიმ, — ისეთი დიდი და მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრა, როგორიც თურქეთთან ზაფის ჩამოგდებაა, რუსეთის გარეშე, რუსეთის დემოკრატიის გვერდის ახვევით, უხერხულია და იგი აღემატება ჩვენს უფლებას.

ჩხენკელმა სრულიად საწინააღმდეგო აზრი გამოთქვა:

— ჩვენ ვერ დავუცდით დამფუძნებელი კრების მოწვევას რუსეთში. ეს შეიძლება მეტად შორეული ამბავი აღმოჩნდეს. მტერი კი სრულიადაც არ მოისურვებს მანამდე ცდას. თურქეთი მოგვმართავს ჩვენ. ამიერკავკასიის ერებს, და არა რუსეთს. ყველასათვის აშკარაა, რომ საბჭოთა რუსეთთან ამჟამად ჩვენ კავშირს ვერ დავიჭერთ. ჩვენ მოწყვეტილი ვართ

ნისგან. მაშ, რა გზას დავადგეთ? ჩვენ უნდა მოვეთათბიროთ სამხრეთ რუსეთის მთავრობას, თუ როგორი პასუხი გავცეთ თურქების წინადადებას ზავის ჩამოგდებაზე.

ცხარე კამათი გაჩაღდა. ერთი მხრივ, ამიერკავკასიის ახალშობილ დროებით მთავრობას ეშინოდა რუსეთის გარეშე საკუთარი ნაბიჯის გადადგმისა. მეორე მხრივ კი, იმასაც გრძნობდა, მშვიდობიანი მოლაპარაკებით თუ არაფერი გამოვიდოდა, ომით თურქეთს ვერაფერს დააკლებდა. ამიერკავკასიის მმართველნი მზად იყვნენ ყოველგვარ მორიგებაზე, ვისთანაც გნებავთ, ოღონდაც შეენარჩუნებინათ ხელისუფლება და სამხრეთ რუსეთის კონტრრევოლუციასთან კავშირში თავისი იარაღი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მიემართათ. მათ მოსმენაც კი არა სურდათ იმ პირებისა, რომლებიც საღად აზროვნებდნენ და ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებას სთავაზობდნენ: იცნონ საბჭოების ხელისუფლება, გამოაცხადონ ამიერკავკასიაში საბჭოთა რესპუბლიკა და რუს ხალხთან ერთად დაიცვან საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მიწა-წყალი გერმანულ-თურქულ ჯარებისაგან. დიდი დრო არ დასჭირებია იმას, რომ ისტორიული ამბების განვითარებას დაემტკიცებია ამ თვალსაზრისის სისწორე.

ბოლოს, გრძელი და ბუნდოვანი სიტყვების შემდეგ, სხდომამ მიზანშეწონილად ჩასთვალა თურქეთის სარდლობის საზავო წინადადებაზე პასუხის გაცემა. გენერალ პრჟევალსკის დაევალა, ეს გადაწყვეტილება თურქეთის სარდლობისათვის შეეტყობინებინა, თანაც წინადადება მიეცა თურქებისათვის, საომარი მოქმედება კავკასიის ფრონტზე დაუყოვნებლივ შეეწყვიტა. პრჟევალსკის მოთხოვნით, თურქეთს წინადადება ეძლეოდა აგრეთვე, არ მოეხდინა ძალების სტრატეგიული გადაჯგუფება, რომელიც ზიანს მიაყენებდა ინგლისელთა მესოპოტამიის არმიას.

სწორედ ამ დღიდან დაიწყო ვაი-უბედურება. ამიერკავკასიის კომისარიატი ვერ ბედავდა რუსეთის გარეშე თურქეთთან დამოუკიდებელ მოლაპარაკებას და საქმეს აჭიანურებდა. თურქეთს კი ლოდინისთვის არ ეცალა. მან მოიმიზეზა სომხეთის ჯარებმა მიერ ვითომდა ჩადენილი ძალადობა ზოგიერთ მუსულმანურ სოფლებში და წინ მოიწევდა, თითქოს ერთმორწმუნე მოსახლეობის სიცოცხლის, მისი ქონების უზ-

რუნველყოფისათვის და დასაცავად, — ნამდვილად კი მის მიზანს ჯარებისაგან მიტოვებული ფრონტის გადალახვა და ამიერკავკასიის ოკუპაცია შეადგენდა.

— დღეს მამამ გადმოგვცა, თურქთა ჯარები ბათუმს უახლოვდებიანო. საქართველო დიდი საფრთხის წინაშე დგას,— შეატყობინა ახალი ამბავი ჯვებემ გრიგოლს, სანდროსა და კორნელის, როდესაც ისინი ფედერალისტების კლუბში გაშართულ კრებაზე მიდიოდნენ.

კლუბი ყოფილი სასულიერო სემინარიის შენობაში იყო მოთავსებული. სემინარიის ეკლესია კრებებს ჩასატარებელ დარბაზად გადაექციათ. ტრაპეზის წინ წითელმაუდგადაფარებული მაგიდა იდგა და ირგვლივ ჯრების თავმჯდომარე გიორგი ლეხიშვილი და კიდევ რამდენიმე კაცი ისხდნენ.

სიტყვას პოლკოვნიკი იოსებ გედევანიშვილი ამბობდა. მას სამხედრო აკადემია ჰქონდა დამთავრებული, მაგრამ რაღაც პოლიტიკური დანაშაულისათვის დაეპატიმრებინათ და უკვე დიდი ხანი გასულიყო, რაც სამხედრო დარგში არ მუშაობდა. იგი პირველი მსოფლიო ომის დროს გაზეთში „ომის დღიურებს“ ათავსებდა. ამ წერილებში დასავლეთისა და კავკასიის ფრონტზე იმჟამად მიმდინარე სამხედრო ოპერაციები იყო გარჩეული, მერმე მათი ცვლილებების, გართულებისა და მოსალოდნელი ბრძოლის ხასიათის წინასწარმეტყველება. გედევანიშვილმა ციხეში საბავშვო ზღაპრული პიესა „სინათლე“ დაწერა, რომელიც დიდი წარმატებით იდგმებოდა ქართულ თეატრებში და, სავალალოდ, პატარებზე მეტად უფროსებს მოსწონდათ.

პოლკოვნიკ გედევანიშვილს მომცრო ტანი, გრძელი ქერა ულვაშები და პატარა, ცისფერი თვალები ჰქონდა. იგი იმ დიდ საფრთხეზე ლაპარაკობდა, რომელიც მოელოდა საქართველოს და მთელ ამიერკავკასიას თურქების მიერ სამი მეტად მნიშვნელოვანი ციხესიმაგრის: — ბათუმის, ყარსისა და არდაგანის დაკავების გამო.

— ამ აჯანყების მერმე, — ამბობდა გედევანიშვილი,— თურქეთი მთელი ამიერკავკასიის ბატონ-პატრონი გახდება. მტერი შეტევაზე გადმოვიდა. იგი ამიერკავკასიის და, კერძოდ, საქართველოს ხელში ჩაგდებას ცდილობს. აი, ასეთი საფითხის ჟამს, ახლავე უნდა ხელი გამოვიღოთ და თურქთა

ურდოებს ჩვენი საკუთარი, ძლიერი და გაწვრთნილი ქართული არმია დავუპირისპიროთ. კავკასიის ფრონტი აღარ არსებობს, დაირღვა. იგი ჩვენ უნდა დავიკავოთ. არჩევანის დრო არა გვაქვს. ამიერიდან ჩვენივე თავის იმედი უნდა ვიქონიოთ. სამშობლო ქუდზე კაცს მოითხოვს. ყველა ჯარში, ყველა ფრონტისაკენ უნდა გავეშუროთ.

ტაში დასცხეს, ხალხში ჩოჩქოლი დაიწყო. სანდრო კორნელის მიუბრუნდა და უთხრა:

— ხვალვე ვეწერები ჯარში. შენ?

კორნელიმ პასუხის გაცემა ვერ მოასწრო, რადგან მაშინვე სიტყვის თქმა დაიწყო შავსათვალიანმა კაცმა — ერეშო გოდებანიძემ, რომელიც ყორღანოვის ქუჩაზე წრეში საუბარს ატარებდა:

— მამულიშვილნო! აღსრულდა დიდებული ჩვენი მგოსნის წინასწარმეტყველება: „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებსო“. აღსდგა საქართველო, აღსდგა, ვითარცა ჯვარცმული და წამებული ქრისტე ნაზარეველი! თავისუფლება, რომელიც წილად ხვდა მრავალტანჯულ სამშობლოს ჩვენსას, მისივე შვილების ხელთ არის ახლა. არ კი დავკარგოთ, არამედ შევინარჩუნოთ და არ დავუთმოთ იგი მტერს! — ორატორი წინ გაიჭრა, სათვალე მოიხსნა და ყორნის ფრთასავით შავი თმა შუბლზე დასცვივდა. ბუდეში ღრმად ჩამჯდარი თვალები ნაკვერცხალივით ანთებოდნენ გამხდარ სახეზე. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, შავწვერა, გამხდარმა კაცმა ხელი წინ გაიშვირა და სჭექა:

— აჰა, კრწანისის, მარაბდისა და ასპინძის საფლავები იხსნიან პირსა. საფლავებიდან დგებიან წინაპართა აჩრდილები! ნუთუ არ გესმით სამშობლოსათვის თავდადებულ სამას არაგველთა ძახილი? თქვენგან ითხოვენ ისინი თურქთა ურდოებისაგან მაშულის დაცვას...

კორნელის ტანში გააჟრჟოლა. არავითარი ეჭვი არ იყო იმისა, რომ იგი, ჯვებე და სანდროც ახლავე ჩაეწერებოდნენ ჯარში, ომში წავიდოდნენ, ტყვიას გულს მიუშვერდნენ და ცეცხლშიც კი გადაეშვებოდნენ, ოღონდაც ეხსნათ თურქების ურდოებისაგან სამშობლო.

მეორე დღეს მოხალისენი კლუბში გამოცხადდნენ და აქე-

დან, სამხედრო პირების თანხლებით, ყველანი საბურთალოზე, საარტილერიო ყაზარმებისაკენ გაეშურნენ. მათ შორის კორნელი მხეიძეც იყო.

ს ა რ კ ო ი ა

სალდათი ვარ საწყალი,
არც მიწა მაქვს, არც წყალი...

ჯ ა რ ი ს კ ა ც ი ს ს ი მ ღ ე რ ა

1

ოკინიგზის პატარა სადგურზე ჯარისკაცი მატარებლიდან ჩამოვიდა, უქამრო მაზარის ღილები შეიკრა. შაშხანა და ჩანთა გადაიკიდა, კალათი აიღო და ავჭამეთის ტყისაკენ გაემართა. წითაპუნა წვიმა მოდიოდა. ჯარისკაცმა ტყე გაიარა, შერჩე „ბნელენთას“ ალმართს მიადგა და წინ გადაშლილ მდინარის პირას შეჩერდა. მსოფლიო ომიდან ბრუნდებოდა იგი. ოთხი წელი გასულიყო, რაც სამშობლო მხარე-არ ენახა. აქ ემარე ესხვაფერა. მხოლოდ პატარა წისქვილი იდგა უცვლელად თავის ძველ ალაგას. მოის ჩქარსა და აქაფებულ მდინარეზე ძელქვის მორი იყო გადებული. ზედ გაიარა და წისქვილში შევიდა. ცეცხლის გარშემო მეწისქვილე და ჩალვადრები ისხდნენ. სვირიდან წამოსულ ჩალვადრებს სველი პაჭიჭები და წუღები ცეცხლზე მიეფიცხათ. მოხუც მეწისქვილეს ტომარა წამოესხა ჩაბალახის მაგივრად და ტომრის სველი ყური შუბივით ედგა თავზე. დაკონკილი ხალათი და კვირისთავამდე დაკარწახებული შარვალი ეცვა. ტყის ზღარბივით გაბურძგვნილი ჩანდა. ფქვილშეფრქვეული წვერ-ულვაშისა და წარბების ფერის გამოცნობა ძნელი იყო. მეწისქვილემ ჯარისკაცი იცნო, ტუჩებზე დააკვდა და სიხარულისგან აეთუხთუხდა:

— საწყალმა გოჯასპირმა სამჯერ გამოგიტირა, გალაქტიონ, შენ კი ცოცხალი ყოფილხარ!

ჩალვადრებიც მიესალმნენ გალუმპულ ჯარისკაცს, რომელსაც აყალო მიწით გაგლესოდა ჩექმები, ხოლო ბუხრის ქუ-

დიდან წურწურით ჩამოსდიოდა წყალი. ჯარისკაცმა ცოლ-შვილის, მშობლების, ნათესავ-მეზობლების ამბავი გამოჰკითხა მეწისქვილეს და, რა გაიგო, ყველანი კარგად ყოფილანო, მაზარა და ბუხრის ქუდი გაიბერტყა, სველი ხელი ცეცხლზე გაიშრო, თუთუნი გააწყო და მერმე წასვლა დააპირა. მეწისქვილე სახელოზე ჩამოეკიდა:

— რამდენი ხანია, არ მინახავხარ, გალაქტიონ! იმ დასაწვავი ომიდან ცოცხალი დამიბრუნდი ჩემი გოჯასპირის შვილი, და რაღა კაცი ვარ ქვეყანაზე და რაღა მეზობელი, ცოტა პატივი თუ არ გეცი?! — თქვა და განჯინისაკენ გაიწია, მაგრამ გალაქტიონმა ხელი წაავლო:

— შენ კარგად იყავი, ჩემო ხარიტონ, და ერთმანეთის პატივისცემას კი მოვესწრებით!

— რა დროებაა, ხომ ხედავ? კარგად ვინ მამყოფებს?!— მიუგო მეწისქვილემ და გალაქტიონს აჰხედა.

ჯარისკაცი მაღალი და ახოვანი ვაჟკაცი იყო, მხარბეჭიანი. სანაშენო ბუღასავით სქელი და მაგარი კისერი ჰქონდა, შავი ბრიალა თვალები. სარეკელა არაკუნებდა. წისქვილის ქვები — დოლაბები გრიალით ტრიალებდნენ, სიმინდს ფქვავდნენ და ფქვილის მტვერს აყენებდნენ. ერთი თვალი წვრილად ფქვავდა და ერთიც — მსხვილად, ღერღილსა და ქატოს. ჯარისკაცმა ხელისგულზე დაიყარა შეხურებული ფქვილი, ენის წვერი დააწო, გემო გაუსინჯა და მეწისქვილეს ჰკითხა:

— სამყოფი ფქვილი თუ გრჩება?

— სადღაა, გალაქტიონ, სამყოფი! ამ ომმა დიდი შიმშილიანობა ჩამოაგდო. ხაფქვავი სიმინდი, ოტია მდივნის მეტს, მთელს ზემოთში კაკალ კაცს არ მოეძებნება, ხომ ხედავ, ამ ოთხ ტომარას მივჩერებივარ!

— სიმინდი ზემოთში სულ მთლად დაილია, — ჩაიქნია ხელი ჩალვადრებმა, რომელთაც სამეგრელოში ღვინო გადაეცვალათ სიმინდზე.

გალაქტიონმა მოიწყინა. მოაგონდა სახლ-კარი, ცოლ-შვილი, მოხუცი მამის ანაბრად მიტოვებული ამდენ ხანს. „იქნებ შიმშილით სული სძვრებათო?!“ — გაიფიქრა. მეწისქვილეს და ჩანჩურა, ჩულიან ჩალვადრებსაც გამოემშვიდობა.

— მშვიდობით, ხარიტონ, აღარ მაქვს შეცდის დრო! — შაშხანას და ბარგს დაავლო ხელი.

ხარიტონმა და ჩალვადრებმა გააცილეს. წისქვილის ბოლოს გავიდნენ. ჯარისკაცმა მაზარის საყელო აიწია, შაშხანა კონდახით თავმაღლა გადაიკიდა და ვაჟკაცური ნაბიჯით მთას შიაშურა. თმაგაშლილი, მომტირალი ქალებივით დაეშვათ მდინარისაკენ ტოტები ქარისგან წახრილ ძეწნებსა და ტირიფებს!

— ოჰ, რა დევივით ვაჟკაცია! — ჩაილაპარაკა ჩალვადრო.

— გოჯასპირის ჯილაგია! — შენიშნა მეწისქვილემ.

2

წვიმამ გადაიღო. ღრუბლები ზეკარის მთების იქით გადავიდნენ. ცა მოიწმინდა. გაცოიდარა. ჯარისკაცი ბნელემთას აღმართს შეუდგა, ქვიანსა და აყალო მიწიანს. წყალი ვერ ატანდა თიხიან ნიადაგში. თხრილში და დაცემულ ადგილას გუბე დგებოდა. აღმართიან გზაზე მღვრიე ნაკადი, წყალსარევ რძესავით მოწანწკარებდა. წითელი ტალახი იზილებოდა, იგლისებოდა, ზედ ფეხი ცურდებოდა და გთაში სიარული ჭირდა. ჯარისკაცს ქშენა აუვარდა, ჯარში სამსახურს, ომში ტანჯვასა და ჭირლობას მოეტეხია ვაჟკაცი. ვანა ასეთი ტვირთი და აღმართი დაღლილა ომამდე, როდესაც ერგი ოტია მდივნიაურ ზამთარში მუშაობდა ან მამა გოჯასპირთან ერთად თოხნიდა მაღალ მთის კალთაზე დაკიდებულ ყანას? მოეპს გაჰხედა. მოაგონდა ბავშვობა. იმ ლამაზ გორაზე ემწყემსავდი ოტია მდივნის ნახირსო, გაიფიქრა...

ჯარისკაცი თავის სამშობლო სოფელს სარკოიას უახლოვდებოდა. მთის კალთებზე მოფენილი ვენახები გამოჩნდნენ. პურისა და სიმინდის მოყვანას დიდი შრომა და ჯაფა ჭირდებოდა სარკოიაში. მთაში როდია მდინარის არხებით მორწყული, გაშლილი ფართობები: სახნავი და სათიბი. მაღალ მთის კალთაზე მცირე და მწირი მიწაა, ისიც მემამულისა და სახაზინო. რაც უნდა ბევრი იშრომო, მაინც ერთი მუჭა მოსაყალი მოდის. მაგარი მუხლი და მკლავი უნდა ჰქონდეს მთაში გლეხს, რომ დედამიწას წლის სარჩო წაართვას. ახ-

სოვს გალაქტიონს: წელზე დაიხვევდა თოკს, თოკის ბოლოს ხეს ან მაგრად ჩარჭობილ პალოს მოაბამდა. ასე უტევდა მთის ქვიან კალთას ხევსა და ნაპრალზე დაკიდებული.

აჯამეთის გადაღმა მზისგან დანთებული ხანძარი ნელ-ნელა ცხრებოდა. ალმართზე დაკარწახებულ მოხუც გლეხს წაწყდა გალაქტიონი. მთელი ტანის სიმძიმით ებჯინებოდა წელში მოხრილი, დალეული ბერიკაცი ყავარჯენს წიფელითა და კვრინჩხით დაბურულ ხევში. მისი მოწითალო ხალათი, შარვალი და დაგლეჯილი ჩაბალახი აყალო მიწისფერი იყო. გამხმარი წვივები, ვაზის ძირივით დაგრეხილ-დაღვარჭნილი ჰქონდა, ხოლო ჭაღარა წვერ-ულვაშით გაბურძგნილი სახე— ხავსმოკიდებული, ხიოჭი და ბებერი კვრინჩხის ქერქივით დალმეჭილი, თითქო სარკოია და მოხუცი საუკუნეში მანძილზე შეხამებიან ერთმანეთსო. მოხუცი ბებერ წიფელასთან შეჩერდა. ყავარჯენს დაეყრდნო და მუშტისოდენა თავი ჯარისკაცისაკენ მიიქცია. ჩურჩხელასავით დაკვარჩხული თითებით აიწია სახეზე ჩამოფხატული, დაკონკილი ჩაბალახი და უცნობი ჯარისკაცი რომ დაინახა, გაირინდა. ქუთუთოშემოგლეჯილი, წყლით სავსე და წყლისფერივე განცვიფრებული თვალები დაახამხამა, თითქო ბნელეთას წიფელასთან უცნაური, ტყიური რომელიღაც ბებერი ქმნილება იხედებაო. დიდხანს იდგა ასე გამოყრუებული ბერიკაცი მდუმარე სახით და არ აშორებდა ჯარისკაცს უაზროდ გაშტერებულ თვალებს. დიდხანს უცქირეს ერთმანეთს და მერმე ჯარისკაცმა ჩასძახა ყურჩალას:

— გამარჯობა, ბაბუა თეოდე!

თეოდემ ბორძიკით გადაადგა ნაბიჯი ჯარისკაცისკენ, წაიფორხილა, კინაღამ არ წაიქცა, ყავარჯენი მოიშველა, თვალი ხელით მოიჩრდილა და ჰკითხა:

— რომელი ხარ, ბაბუა?

— გალაქტიონი, გოჯასპირის შვილი. ვერ მიცანი?

— გოჯასპირის შვილი? გალაქტიონი? უიმე! — შესძახა უკბილო მოხუცმა ქალსავით გამყივანი ხმით. ხელები გაშალა: „მოდი ჭირიმეო“, — დაამღერა და ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცი გულში ჩაიხუტა. დაღუდუდოებული, ჭიაშკვდარა თვალები დახუჭა, ცერით და საჩვენებელი თითით მოისრისა და ცრემლი მოიწმინდა. გალაქტიონის ამხანაგის,

რაჟდენ ტურიაშვილის პაპა იყო იგი, ბატონყმობის, ჟამიანობისა და „პახოდობის“ მომსწრე კაცი. უფროსი შვილიშვილი, რაჟდენის ძმა, სახადმა წაართვა, ხოლო ამის მიმყოლი ორმოცი წლის ვაჟკაცი, პროკოფი, მსოფლიო ომში მოუკლეს. სოფელში მისვლამდე ტიროდა მოხუცი:

— ვაი, ჩემს შავ დღეს, გალაქტიონ, რა მოწიფული და საინჟედო შვილიშვილი დამეკარგა მე უბედურს?! პროკოფის ცოლ-შვილი ჩვენს კისერზეა. ჩემისთანა ბებერის მუშაობა აწი რაღას ვარგა?! ნესტორი (თავის შვილზე — რაჟდენის მამაზე ამბობდა) მეხმარება, მარა რაჟდენი რომ ომში წაიყვანესყე, არც იმას დაადგა საშველი. წახდა დროება, ბაბუა. არც მამაშენს — გოჯასპირს დადგომია კაი დღე... — მოხუცმა ერთბაშად შესწყვიტა სიტყვა. გალაქტიონმა ეჭვის თვალით გადახედა.

— რამე უბედურება ხომ არ მომხდარა ჩვენსას, ბაბუა თეოდე?

— არა, შე კაცო! შარშან გოჯასპირს და ნესტორს გამოეცხადა ოტია მდივანმა: გალაქტიონი და რაჟდენი ომში არიან, თქვენ ბებრები ხართ, მუშაობა აწი აღარ შეგიძლიათყე და ვერ მოგცემთყე ყვირილაზე ყანას საზიაროთო. სიმინდი ახლა აღარც ნესტორს და აღარც იმ საწყალობელ მაწაშენს გოჯასპირს მოეძევათყე!

ალმართზე მიმავალი, დალეული მოხუცი ოფლში გაიწურა, გაფითრდა, დაიღალა და შეისვენა. სული ეხუთებოდა, ძლივს სუნთქავდა. გალაქტიონმა ზედაზენს გაჰხედა. შორს, მთაზე, ალვის ხეებით და მაგნოლიებით გარსშემორტყმული მდივნების ორსართულიანი ქვიტკირის სახლი მოსჩანდა.

— ოტია მდივანო, შენი ჯილაგი კი გაჭრეს და მოისპოს,— შეუკურთხა გალაქტიონმა.

გალაქტიონი და თეოდე სოფელ სარკოიაში შევიდნენ. ეზოებში არავინ ჩანდა. ქოხები და პატარა ოდები მდუმარედ იდგნენ და წვიმით დასველებულთ, თითქოს სახე ჩამოსტირითო. აქა-იქ სარზე ჩამოცმულ, წვიმით ჩამორეცხილ ცხენის თავის ქალას კბილები დაეკრიჭა. მისი შუბლის ძვალი სიკვდილის ასაცდენად და მის დასაფრთხობად ანათებსო,— აღნობდნენ გლეხები. კაკლის ხეებს წმინდა ელიას წნელი ერტყა ტანზე, ჭია ან ხენი რამ არ გაუჩნდეს და შეეყარო-

სო. კაკლის ქვეშ დაცუცქული, შიშილისაგან სიქაგაცლილი ერთი ხაგანი უთოფყალოდ ყმუოდა.

— სხვა კიდევ რა უბედურება უნდა ეწვიოს იმ ბედდამწვარ ტარასიას? შვილი ომში მოუკლეს! — თქვა თეოდემ და როდესაც ნაგაზმა ისევ გაიბა ყმუილი: „ჰატ, იქით! ჰატ, იქითო“, — დაუცაცხანა, დაფაცურდა, ქვა აიღო, ესროლა და კოჭში მოარტყა ხელმარცხიანმა ბერიკაცმა. ძაღლი წკავწკავით გაიქცა.

მეზობლის ძაღლებმა ყეფა ასტეხეს, ღობეს გადმოევლნენ და თეოდეს და გალაქტიონს დაედევნენ. გლეხებმა თავი გამოჰყვეს ქოხის კარებში. გალაქტიონი იცნეს, ეზოში გაიცვივდნენ. შეიქნა ხვევნა-კოცნა. ხმა გავარდა: გოჯასპირის გალაქტიონი ომიდან დაბრუნებულაო. ხალხი ჯარად მიჰყვებოდა ორღობეში ჯარისკაცს. თეოდე გალაქტიონს არ შორდებოდა: პირველად მე შეგეყარე და სახლამდიც მე უნდა მიგაცილო გოჯასპირის მახარობლადო.

სოფელს უყვარდა გალაქტიონი; იგი სარკოიას ფალავანი იყო, სიმამაცით განთქმული, ღონიერი, ხელმარჯვე.

3

როდესაც ჯარისკაცი ჭიშკარს მიუახლოვდა, დღე და ღამე იყრებოდა. ჭიშკრისკენ ჰაღარა მოხუცი გოჯასპირი მობაჯბაჯებდა. უკან შვილები — სეფერიანე, ბიჭია, მათი ცოლები მოჰყვებოდნენ, მერმე ბავშვები. გალაქტიონი ღობეს მიაწყდა. მარჯვენას წაავლო ხელი. გულმა უმუხთლა: თავისიანებში ის ვერ ხედავდა დედას. „ან ლოგინად ჩავარდნილა დედა, ან გარდაცვლილა, თორემ მას ვინ მოასწრებდა ჭიშკრისკენ წამოსვლა. და ჩემი სახელის დაძახებისო“, — ფიქრობდა ოთხ წლით სოფელს განშორებული ჯარისკაცი. კულულებიანი, პატარა გოგონა ჩაფრენოდა გალაქტიონის ცოლს კაბაში და წკრიალა ხმით ჰყვიროდა: ბაბა. ბაბაო. მწუხარე ფიქრი ახლა სიხარულმა შეცვალა: ცოლი ორსულად დავტოვე. ალბათ ის ბაღლი ჩემიაო.

თეოდემ ჭიშკარი გააღო, დაბარბაცდა, ნიკაპი აუთამაშდა, ძაგძაგით ბორთო ყვირილი ტყის კაცივით უცნაური, მკვანი და კატის კნავილივით წვრილი ხმით:

— გოჯასპირ, რას მომცემ სამახარობლოს? გალაქტიონი მოგიყვანე!

ან უცნაურ და დიაცებრ მყივან ძახილში მხოლოდ ხმოვანი ო, ა, ი, ე ისმოდა. მამა და შვილი ერთმანეთს მოეხვივნენ. მერე ძმები, რძლები, ძმისშვილები და ბოლოს თავისი-ცოლი ასინა გადაკოცნა გალაქტიონმა. ოთხი წლის ტიტლიკანა გოგონა ხელში აიყვანა, მოუალერსა. გაკვირვებით ათვალიერებდა ჯარისკაცი შავტუხას, რომელიც მამასავით დიდრონ, შავ თვალებს აბრიალებდა. გოგონამ დედის სახე მოაგონა გალაქტიონს. ტანთ გააჟრჟოლა. ერთბაშად დაავა შვილი მიწაზე, ჯერ პატარა ფიცრულ სახლს გაჰხედა, მერე მამას — გოჯასპირს მიატანა თვალი. მოხუცი გოჯასპირი დანათოვ მუხასავით იდგა ეზოში. მასთან შედარებით დაპლები ჩანდნენ გლეხები, მეზობლები და მით უმეტეს— ქონდრის კაცი თეოდე.

— დედა სად არის? — შესძახა მამას გაფითრებულმა ჯარისკაცმა.

— დედა მოგიკვდა, შვილო გალაქტიონ! — რისხვასავით გაისმა გოლიათი მოხუცის ბუხუნი ეზოში.

გალაქტიონმა ბუხრის ქუდი მოიხადა, შუბლზე ხელი იტაცა და საშინლად შესძახა.

ქალებმა მოთქმით გააბეს:

— დედავ, მართა, შე უბედურო!

ომიანობის ჟამს ჭირს შეჩვეული სოფელი კვლავ ჭირისუფალთა შეცხადებამ შესწარა. ამ საერთო განიაში გულსაკლავად გამოირჩეოდა გალაქტიონის ცოლის, ასინას ტირილი: „დედუა, მართაა!“ მოსთქვამდა ტკბილი, დაბალი ხმითა და ღალანით დარბაისელი ქალი. გოჯასპირი ქვითინით გაიგუდა. თავში ალი აუვარდა, მალიმალ არხევდა ჟრიალ, ხშირსა და გაფანჩულ წარბებს. ავდარში აზრიალებულ წიწილებივით ჟიოდნენ ბავშვები. ომში წასვლიდან სამი თვის შემდგ გარდაცვლოდა გალაქტიონს ანთებით დედა, სამოცდაათი წლის მოხუცი მართა. ჭირისუფლებმა ტირილით გული მოიოხეს და მერმე მეზობლები წავიდ-წამოვიდნენ.

სარკოიაზე ორმოცი დღე მოსახლე იქნებოდა. გოჯასპირი და მისი შვილები, გოჯასპირის ძმები და ძმისწულები —ყველანი ერთი გვარისა, გვლაშვილები. გელაშვილების გარდა,

სარკოიაზე რაჟდენის მამის, ნესტორის, სახლიკაცები — ტურიაშვილებიც ცხოვრობდნენ. თეოდე ტურიაშვილის ბეღლე, ყველაზე ხნიერი და გავლენიანი, ოთხმოცი წლის მოხუცი გოჯასპირ გელაშვილი იყო. სარკოია მთის დაქანებულ კალთაზე მდებარეობდა, აქა-იქ ხის პატარა სახლები ჩანდნენ, ხოლო უფრო ხშირად კი — ქოხები. გოჯასპირის და გალაქტიონის საერთო სახლ-კარი და ეზო მდივნის მამულს შეკვროდა. გოჯასპირის მიერ ოტიასაგან საზიაროდ აღებულ ამ მამულს — შვიდ ქცევა ვენახს — ბუნებრივი ღობე ერტყა გარშემო, ორ მწკრივად ჩარგული ეკლის ხე. მამულს გოჯასპირი და გალაქტიონი უვლიდნენ, ხოლო როდესაც გალაქტიონი ჯარში გაიწვიეს, გოჯასპირს სევერიანე და ბიჭია შველოდნენ. წინათ სარკოიაში გაუვალი ტყე ყოფილა, მაგრამ ახლა ძალზე შეთხელებულიყო მუხა. ადგილობრივი და ახლომახლო სოფლების გლეხები სულ მთლად აპირებდნენ მის მოჭრას და საყანე ადგილად გადაქცევას. მოჭრილი მუხა კი შეშად და საშენ მასალად გამოვიყენოთო, ამბობდნენ.

იმჟამად ერთმა საინტერესო მოვლენამ იჩინა თავი: ფრონტიდან ჩამოსულ ჯარისკაცთა ქადაგების მეოხებით, ადგილობრივი გლეხები თავისი კარმიდამოს გვერდით მდებარე სახაზინო მამულებს ურთიერთს შორის გასაყოფ მიწებად სთვლიდნენ. ამით იყო გამოწვეული გლეხთა თვითნებობა და ალაგ-ალაგ მემამულეთა მიწების დატაცებაც კი. „ამ დასაწვავ მიწაში ოფლი ვაქციოთ, ჭირნახული მოვიყვანოთ და ხერმე ნახევარზე მეტი ვიღაც უღმერთოს, უშრომელს ვაძლიოთ?“ — ამბობდნენ ისინი. რაჟდენ ტურიაშვილი გალაქტიონზე ადრე ჩამოსულიყო ფრონტიდან. გალაქტიონის სახლი კერად იქცა რევოლუციური გლეხობისათვის. გოჯასპირის შვილთან — გალაქტიონთან იყრიდნენ თავს ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები. აქ გამოსთქვამდნენ მდიდარი მემამულეებისა და არსებული წესწყობილების წინააღმდეგ ზიზღსა და სიძულვილს, ახლომახლო მდებარე სოფლების ღარიბი და ღატაკი გლეხები.

ცეცხლით გაჩაღებული ბუხრის წინ გოჯასპირი, გალაქტიონი, თეოდე ტურიაშვილი, თეოდეს შვილიშვილი —ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცი რაჟდენი და რაჟდენის ამხანაგი გიორგი აბესაძე ისხდნენ. სახლს მიწის იატაკი ჰქონდა. შუაში ორი დედაბოძი იდგა და ზედ გადებულ დირეს სახურავის ძიძგიძე საბჯენებით აწვებოდა. ბოძებს შორის სასადილო ხეფრა იდგა და გარშემო — სკამები. სუფრაზე კოკა, ჯამი და ჭიქები ეწყო. ბოძსა და კედელს შორის ფარდა იყო გაჭიმული და ამ ფარდის იქით გადარჩენილი პატარა ფართობი გალაქტიონსა და მის ცოლს ასინას საძინებელ ოთახად გაეხადათ. აქეთ გოჯასპირი და მართა იძინებდნენ — წითლად შეღებილ ტახტებზე. ერთზე ლეიბი, საბანი, ბალიშები ეწყო და ქუფთა ზეწარი ეფინა. მეორე ყუთივით იხსნებოდა, შიგ ნივთალგვარი ნივთი ელაგა. კუთხეში დაბალი განჯინა იდგა, რომელშიაც სადილ სთვის საჭირო ჭურჭლეულობა და თვით საჭმელი ინახებოდა. სახლს წინ და უკან კარი ჰქონდა და გაზეთის ქაღალდით აწებებული ერთი პატარა ფანჯარა. ბუხრიდან მარცხენა კუთხეში ქვაბები, კოკები, სხვადასხვა ზომის ორშიბო-ხრიკა, ქვევრის სარცხი—თაგვისარა და ბალღოჯი, ბარ-ნიჩაბი, ფიწალი, თოხები, ცელი, ცული, ბირდაბირი და სხვა იარაღი ეწყო, ელაგა და ეყუდა. ბუხრის მარჯვენა მხარეს საწოლი იდგა. შიგ გალაქტიონის რვა წლის გოგოს ანვენდნენ. საქონლისთვის ფაცხისმაგვარი ბოსელი ჰქონდა აშენებული გოჯასპირს. იქ იყო მისი ერთი უღელი ხარი, ძროხა, მოზვერი და უშობელი. ლაფაროში ურემი იყო აყუდებული. ეზოს ყურეში სასიმინდე და ბეღელი ედგა გოჯასპირს. პატარა ეზო მთის დაქანებულ კალთაზე მდებარეობდა. ქვიან ნიადაგზე ბალახი ფესვს ვერ იკიდებდა. სახლის უკან, ცაცხვის ქვეშ, საერთო მარანი ჰქონდათ გოჯასპირს და მის შვილებს. მამისა და შვილების სამოსახლოც საერთო ეზოს წარმოადგენდა და ღობე არ ჰყოფდა ერთურთისაგან.

სახლის უკან ვაშლი, მსხალი, ლეღვი და ბროწეული იყო დარგული, წინ — კაკლის ხეები. ეზო უშუალოდ ეკვროდა ოჯის მამულს.

ითხმოცი წლის მოხუცი გლეხი გოჯასპირ ბუხართან იჯ-

და. თეთრი წვერი მკერდამდე სცემდა. ირგვლივ შვილები, შვილიშვილები ეხვივნენ. მორგვივით სქელი კისერი ოდნავ დასჭკნობოდა. სახე მაინც ჯანმრთელი, მწითური ჰქონდა; ძალალი ცხვირი, გაფანჩული წარბები. ორბისმაგვარი ჭროღა თვალებით მისჩერებოდა გოჯასპირი ფრონტიდან დაბრუნებულ შვილს. ომის ამბავს ეკითხებოდა. თვითონ კი აქაურს უამბობდა. დახეული წუღები ეცვა და შალის წინდების ყელში ჩატანებული შარვალი. დაგლეჯილი ჩოხა ემოსა. გალაქტიონის უფროსი ძმები, სევერიანე და ბიჭია, დაჩაჩანაკებულნი ჩანდნენ. ეტყობოდათ, ოჯახისა და საკუთარი თავის რჩენა ძალზე გასჭირვებოდათ. სამი ქალი გოჯასპირისა შახლობელ სოფლებში იყვნენ გათხოვილი. ძმები, სევერიანე და ბიჭია, ერთი ათი წლით და მეორე რვა წლით მაინც იქნებოდნენ გალაქტიონზე უფროსი. სევერიანეს წაბლისფერ წვერშიაც უხვად შეჰპაროდა თეთრი, ბიჭიას კი — ტუჩების გარშემო. გალაქტიონის მეგობარს — ჯარისკაც რაჟდენ ტურიაშვილსაც დასტყობოდა წლები: თმა დაცვენოდა, კვინიხი მოსტვლეპოდა, გამხდარიყო. ახლა კისრის ძარღვები დაჰბერვოდა, სახე პილპილისფრად ალანძოდა. ჭრელი თვალები კატასავით ანთებოდნენ. ეტყობოდა, ღვინო გადაეკრათ მას და მის სტუმარს — ჯარისკაცს გიორგი აბესაძეს, დაბალ, ჯმუხსა და შავგვრემან ვაჟკაცს. მათ ნაგანები ეკიდათ. ჯარისკაცის ხალათები, სოფლური შარვალი, პაჭიჭები და წუღები ეცვათ.

ოთახში გოჯასპირის ძმა ნიკიფორე შემოვიდა. იგი სამოცი წლის კაცი იქნებოდა. გოჯასპირზე უფრო დაბალი იყო, მასზე ნაკლები ჰაერა და გაცილებით მოკლე წვერი ჰქონდა. სხვა მხრივ სულ მთლად გოჯასპირს ჰგავდა. დაწვრილებით უნდოდა გაეგო ახალი ამბავი ქალაქიდან ჩამოსული ძმისწულისაგან. ბუხართან, ძონძივით დაგდებული, გულ-ბოყვგამთბარი და ჩაძინებული თეოდე დაინახა და გოჯასპირს უთხრა:

— გააღვიძე, შე კაცო, ცოდვაა, სახლში გაუშვი.

— არასგზით არ წავა, — მიუგო თეოდეს შვილიშვილმა, რაჟდენმა ნიკიფორეს.

თეოდე ტურიაშვილს დაკონკილი, ათასნაირად დაკერებული და ხამი შალის ხვანჯრიანი შარვალი დაეკარწახნა.

ცეცხლის პირას ჩაძინებულ, ხახადაღებულ და მიხრწნილ მოხუცს აყალო მიწა შეშრობია გამხმარ ფეხებზე და თითქო თეთრი, დაბზარული თიხის კანჭები გამობმია. ახლა რვა მაკაცი იყო აბოლებულ ჭრაქითა და ბუხრის ცეცხლით განათებულ ამ პატარა ქოხში. მამაკაცთა გარდა კიდევ იყვნენ: სეფერიანეს ცოლი — ეკვირინე, ბიჭიას ცოლი —ივლიტე, მათი შვილები და გალაქტიონის ცოლ-შვილი. გალაქტიონს ფეხი დააბანინა ცოლმა თბილი წყლით და შალის წინდები ჩააცვა. მუხლზე თავისი პატარა გოგონა — თინიკო დაესვა ჯაისკაცს. ეფერებოდა — „აბაშტავებდა“, როგორც გოჯასპირი იტყოდა ხოლმე. გვერდზე მთელის ტანით მისწოლოდა რვა წლის თამარი, „შავტუხა, აკანჭული“ — ესეც გოჯასპირის სიტყვებია.

— ასინა, გალაქტიონზე უკეთესი სხვა ვინ ჩამოგივა! დაფაცურდი: ვახშმის დრო გადავიდა! — უთხრა გალაქტიონის ცოლს გოჯასპირმა.

ჭრელკაბიანი, თავსაფრიანი, გამხდარი და სათნო სახის ქალი ასინაც ამას ელოდა. მეზობლები ეზოში გავიდნენ, ბჭობა გამართეს. მალე გოჯასპირის სახლში მეზობლებმა იწყეს ყველის, კვერცხის, ქათმების მოტანა... ვისაც რა შეეძლო. და სანამ გახურებულ პატარა კეცებზე წაბლის ფოთოლდაკრულ მჭადებს აიღებდნენ, ერთიმეორეზე დაალაგებდნენ და დაახვავებდნენ, სანამ ქათმებს ქვაბში მრგვალად მოხარშავდნენ, ნიორწყალს გაუკეთებდნენ და სუფრას გაშლიდნენ, გოჯასპირმა ბუხრის პირას, დაბალ სუფრაზე — ტაბლაზე ჭაჭის არაყი, კომში და ჩურჩხელები მოატანინა ივლიტეს. უზარმაზარი თათით აიღო ტიკჭორასავით წელში გამოყვანილი ღვინის ჭიქა, შიგ არაყი ჩაასხა და სინათლეზე გაიხედა, რამდენზე ჩავასხიო. ხშირი და გაფანჩული წარბები შეათამაშა, გალაქტიონის საღღეგრძელო დალია და ჩამოსვლა მიულოცა.

— მადლობა ღმერთს, შინ მშვიდობით დაგვიბრუნდი! გალაქტიონს გაუმარჯოს! იცოცხლე, გალაქტიონ! — გადადიოდა ხელიდან ხელში არაყით სავსე ჭიქა. მერმე გოჯასპირმა წელზე დაკიდებულ ქარქაშიდან დანა ამოიღო, კომში დასჭრა და სუფრაზე დააწყო. ბუხარში ცეცხლი ბჟუტავდა, მეიმე ერთბაშად აბრიალდა და კოპიტის ტოტებზე ატკეჩი-

ლი ჭერქი ატკაცუნდა. ახლა თამარი ბუხართან ჩაცუცქულიყო და ნაკვერჩხლებზე ჭყინტი სიმინდის ციცქნა და ნამლევ ტაროებს ატრიალებდა. ჭირნახული მოწეული იყო და ძნელად თუ გამოარჩევდა ჭყინტ სიმინდს კაცი. თამარმა შემწვარი სიმინდი აიღო კერიდან, მიწაზე დაარტყა, დაბერტყა და „მამიკოს“ მიაწოდა. ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარისკაცს მშობლიურ ქოხში ყოფნა, ჭყინტი სიმინდის, კომშისა და არყის სუნი ეამა. ნიჩაბივით ფართო ხელისგულით მოიწმინდა არყით დასველებული შავი ულვაშები.

თეოდემ გაიღვიძა, ჯირკზე წამოჯდა, გაიჩაჩხა და აჯავლანდა:

— დაშისხი, გოჯასპირ, არაყი, გალაქტიონი უნდა დავლოცო! — გადაჰკრა და დაიღრიჯა დასაწყლებული და სახედამჭკნარი ბერიკაცი.

— სიბერე შეგპარვია, ბაბუა თეოდე! — უთხრა ღიმილით გალაქტიონმა.

თეოდემ უიმედოდ ჩაიქნია ჩონჩხისებური, შემჭკნარი ხელი.

— გათავდა, ჩემო გალაქტიონ, მალე ჩამაბარებთ ქაბას. შეხედე! — აჩიფჩიფდა მოხუცი თეოდე ტურიაშვილი. ტუჩსა და ღრანჭში წაივლო ხელი, ბებერი ცხენივით გააღო ხახა და ღრძილებჩაცლილი, ჩაყვითლებული და მორყეული სამი კბილიღა უჩვენა.

— ნუ გეშინია, თეოდე, მეც მალე წავიღებ საიქიოში წერილს, — დაამშვიდა გოჯასპირმა და სტუმრის, გიორგი აბესაძის სადღეგრძელო დალია.

გალაქტიონმა თვალი შეაპარა მამას: დაბერებული და მოტეხილი ეჩვენა. ამ დროს ასინამ კარი გააღო. ციცი ქარში შემოიჭრა და კედლის პირდაღებულ ფიცრებს შორის აზუზუნდა. გალაქტიონმა ქოხის კედლებს მიმოავლო თვალი, მერმე ყავარაბდილ სახურავს ახედა, დიდრონი, შუქიანი ვარსკვლავები დაინახა და ჩაილაპარაკა:

— სახლი თუ არ შევაკეთეთ, ზამთარში გაჭირდება აქ ცხოვრება!

— ზამთარში ავი საცხოვრებელია, ჭინკობისთვიდან ნამეტნავად, — ჩაერია ასინა. ფქვილს სცრიდა მერდინით, ხელისგულებს თავაზობდა და მერდინს ტკაცუნი გაჰქონდა.

გოჯასპირი დუმდა. ჭაღარა წვერზე ისვამდა ხელს. ფიქრობდა: მეც ვიცი, დანგრეულ ქოხში ცხოვრება რომ ცუდიაო. გალაქტიონი შეწუხდა: ვაითუ მამამ იფიქროს — მკილავენო და სახლის გამო საუბარი შეწყვიტა. თეოდეს გაეხუმრა:

— ისემც ღმერთი თქვენ გიშველის! — დაიძახა რაჟდენმა.

— ჭინკა თუ გინახავს, ბაბუა თეოდე?

— რავა არ მინახავს! — სრულის დარწმუნებით მიუგო თეოდემ.

— რანაირია ნეტავი?

— უშნო შესახედავია, ბაბუა! იმხელა ბრჭყალები აქვს, დაწნული წითელი თმა. ცხვირ-პირი ღორს მიუგავს. ტყის ზღარბივით უშნოა. ქარში უყვარს კივილი იმ წყეულს! — მიუგო თეოდემ. თამარმა ყურები დაცქვიტა. გალაქტიონს კი ეგაცინა:

— გეჩვენება, ბაბუა თეოდე: ის ქარი კივის ბუხარში, ველის ჭუჭრუტანებში, სახურავზე, შენ კი ჭინკა გგონია.

— რავა მეჩვენება, შე კაცო! აგერ გაჩნდებიან ერთ თვეში! თუ ავდრით მოვიდა, დარით წავა და თუ დარით, მაშინ ავდრით იცის წასვლა.

— კაი, შე კაცო! — გადაიხარხარა ჯარისკაცმა გიორგი აბესაძემ.

— რა ვიცი, ასე ამბობენ... მე კი არ მინახავს და... — განაცხადა ღიმილით გოჯასპირმა. თეოდე ისევ აჭაქანდა:

— ნამდვილია. დაცდილია: თუ თოვჭყაპს და ბუქს მოჰყვა, დარით წავა და თუ კაი ამინდში მოვიდა, მაშინ ავდარში იცის გაპარვა. არ მინახავსო?! — გაუჯავრდა გოჯასპირს,— იმდენი შენ იცოცხლე, რამდენჯერ მენახოს ის შეჩვენებული, საპზე წამომჯდარი! ჯოგ-ჯოგად დაჯდებიან აჯამეთში, გადაჭრილ ხის კუნძზე და როკზე წამოსკუპდებიან, კივილით შეაცხადებენ და ჯაგრიანი ხელებით უკრავენ ტაშს! — თქვა ჯირკზე წამომჯდარმა თეოდე ტურიაშვილმა და თვითონვე ჰგავდა ახლა აჯამეთის ტყეში როკზე დასკუპებულ ბებერ ჭინკას.

— შარშან ხოკერა კვახები დამიხოკეს ბრჭყალებით, — განაცხადა ნიკიფორემ.

— ხილი და აკიდო არ შემარჩინეს სხვენზე, — შესჩივლა სევერიანემ.

— ბნელემთაში ღამით ცხენი დამიფეთეს და კლდიან ხევში კინალამ არ გადამჩეხეს, — თქვა ბიჭიამ.

— ისემც ღმერთი თქვენ გიშველის! — დაიძახა რაჟდენმა.

— ისე ღმერთმა მე მიშველოს, შენ კი გაგიწყრეს, — აფაფხურდა ჯირკზე თეოდე და თავის კანტური დაიწყო.

— იღბალი, ბაბუა თეოდე, ღმერთი არაა...— ვერ მოასწრო სიტყვის დამთავრება გალაქტიონმა და თეოდემ გაოცებულ თვალებზე მაშინვე ხელი მოიჩრდილა, ქვა-კოხივით დააყარა:

— ღმერთი არააო?! გაუმარჯოს რაჟდენია გადარეულს! ღმერთს, ხატს და ჯვარს რომ გმობთყე, იმიტომაცაა ამ დღეში ჩავცვივდით! შენც ახალთაობის კაცი ხარ, გეტყობა!

— რა მოგვცა მერე ახალთაობამ? შიმშილი, წყურვილი. ჩვენი გამკითხავი, კაცი პატრონი არაა! — შენიშნა ნიკიფორემ.

— გაგიგონია?! სადაა კაცი პატრონი?! — დაამღერა და დაუდასტურა თეოდე ტურიაშვილმა, ჩონჩხიანი და დამჭკნარი ხელები გაშალა, ვიწრო, გამხდარი მხრები აიჩეჩა და ჩაბალახით წაკრული თავი და წარბაძგიმული, საკვირველი სახე შიგ ჩაჰყო.

ქათმები კარგა ხანია მოხაროშეს, აქნეს, ნიორწყალში ჩააწყვეს და დიდ სუფრაზე მიიტანეს. ასინამ გოჯასპირს წასჩურჩულა: „ღვინოს ვინ ამოიღებსო“. გოჯასპირმა ხელი ჰკრა სევერიანეს, წამოდგა, ორშიმო, ნიჩაბი, სხვადასხვა ზომის კოკები აიღო, შვილს ჭრაქი დააჭერინა და მარნისკენ გაეშურა. ჭრაქის ალს ქარი აბრიალებდა, აჩირაღდნებდა, სწელავდა, აქროლებდა და არ აყენებდა. აყალო მიწით თავმოწებილი ქვევრები ცაცხვის ქვეშ იყო დაფლული. თავზე ფიცარი ეხურა, დიდი ქვებით დაჯორგილი: წვიმა რომ არ ჩასულიყო, გამხმარი ლერწები ეყარა: ფრინველს არ წაებილწა. იმ ქვევრებს კი, რომლებშიც ახალი ღვინო — ამბოხი ესხა, სასულე ჰქონდა დატოვებული, რათა ამბოხს არ გაეხეთქა. გოჯასპირმა ჭრაქის შუქზე მოხადა ძველი ალისფერი ღვინით სავსე პატარა ქვევრი. მიწიდან ჩამოისა და ღვინის

საამო სურნელი ამოვარდა. ფრთხილად ჩაჰყო ორშიმო და ღვინო დიდსა თუ პატარა კოკებში გადაიღო. მერმე ქვევრს კუპრისფერი სარქველი — ორგო დაახურა. სარქველს ზოგიერთგან მოჭრილი, სველი აყალო მიწა დააგოზა, ზედ დევკაცის დიდი ქუსლებით შედგა. დაზილა, დააგლისა, უბოყალო მიწა წააყარა და კვლავ ფიცრით. ქვებით დაჯორგა და გამხმარი ლერწები გადაჰხურა. მიწაში ჩაფლულ, ჩაკირულ და მაჭრით სავსე ქვევრებიდან ამბოხის დუღილი და შიშინი ისმოდა. მოხუცმა სასოებით აიღო და წამოიღო ალისფერი ღვინით სავსე კოკები, რათა ფრონტიდან დაბრუნებულ და მრავალჯერ გამოტირებულ შვილს გამასპინძლებოდა. შორს — ტურები ბნელეთაში ჰკიოდნენ, ხოლო მდინარის გალმა პატარა ქოხში სანთელი ბჟუტავდა.

გოჯასპირმა იმედიანი თვალით აჰხედა დიდრონი და შუქნაკი ვარსკვლავებით მოჭედილ ცას. გული ღაღადით აევსო. ამ ნეტარ წამსა და ტკბილ გრძნობას ჰბადებდა მოხუცში მისი საყვარელი, საფიცარი შვილის დაბრუნება. მუხლმაგარი, გამრჯე და მიწის მუშა შვილი გვერდში ამომიდგება და აწი რალა მიშავსო, — ფიქრობდა.

როდესაც გოჯასპირმა ღვინო შეიტანა, ვახშამი სავსებით გამზადებული იყო. მოხარშული ქათმების გარდა სუფრაზე სხვა საჭმელიც ელაგა; ჭყინტი ყველი, კვერცხები, დერგილან ამოღებული მჟავე და ჩაძმარული მწნილი, პრასი, პილპილი, პამიდორი და, „კაკალ გულს მოძებნისო", რომ იტყვიან, ისე შეკმაზული ბადრიჯანი. სუფრას შემოუსხდნენ. გოჯასპირი და ნიკიფორე სუფრის თავში დასხდნენ, მერმე თეიდე და გალაქტიონი. მათ გვერდით — სეფერიანე და ბიჭია; რაყდენის და გიორგი აბესაძის შემდეგ ქალები: ეკვირინე, ეკლიტე და ასინა. ბავშვებს ეძინათ. სკამები არ ეყოთ და ტახტი მიიტანეს.

გოჯასპირი კარგ გუნებაზე იყო და თამადობაც მან დაიჩენა. მერიქიფე სეფერიანე ალისფერ ღვინოს ასხამდა ჭიქებში. ჭიქებიდან. მალე ყანწით სმა დაიწყეს. გელაშვილებს და ტერიაშვილებს ჩინებული მომღერლების სახელი ჰქონდათ დავარდნილი, მაგრამ მართას გარდაცვალების გამო მგლოვიარენი იყვნენ და სიმღერას ვერ იტყოდნენ. გოჯასპირმა ცოლის წესიერებაზე ლაპარაკი დაიწყო, მჭადი ღვინით დაასვე-

ლა. თეოდემ ზეცისკენ აღაპყრო თვალი და წარმოსთქვა. „აცხონე, უფალო, მონა შენი მართაო“, რძლებმა ღვარ-ღვარად ჩამოადინეს თვალთაგან ცრემლი. „ამინ, ამინო!“, — იძახოდნენ. მერმე გოჯასპირმა გალაქტიონის სადღეგრძელო შესვა ყანწით. მხიარულება ჩამოვარდა და სმა-ჭამა გაჩაღდა.

ეს იყო მხოლოდ — უკბილო და მიხრწნილი ბერიკაცი, თეოდე, ნაირნაირ საჭმელს ხედავდა, მაგრამ ვერ ღეჭავდა და საცოდავად ყლაპავდა ნერწყვს. ასინამ ქათმის გადანახსენი თეთრი ხორცი მიართვა, დაუჩილა. თეოდე გრძელი ფრჩხილებით წიწკნიდა, ღრძილებით საცოდავად სძიძგნიდა. მანაც დალია გალაქტიონის სადღეგრძელო, დაითრო და ყბედობას მოჰყვა. ჯარისკაცები: გალაქტიონი, რაჟდენი და გიორგი შეზარხოშდნენ. ომისა და ფრონტის ამბებს იგონებდნენ. სუფრაზე მსხდომნი სულგანაბულნი უსმენდნენ.

ჯარისკაცთა მოგონებანი

როცა მისწყდება თოფის ხმა
და ზარბაზნების გრიალი...

ვაჟა-ფშაველა

1

რაჟდენ ტურიაშვილმა დაიწყო:

— მე ფრონტის ახლოს გამართულ ჰოსპიტალში ვმუშაობდი. ექიმმა ევგენი მხეიძემ მომიწყო იქ სამსახური. ჰოსპიტლის უფროს ექიმად ებრაელი, ვიღაც შაპირო იყო. ერთხელ ჰოსპიტალი კორპუსის უფროსმა ექიმმა ნიკიტინმა დაათვალიერა. ახმახი, მსუქანი და მწვითური კაცი იყო პოლკოვნიკი ნიკიტინი. დასტაქარი შაპირო შეეგება. ნიკიტინმა ჰკითხა: ურია ხარო? შაპირომ მიუგო: მე ურია არ გახლავარ, მე ებრაელი ვარო. ნიკიტინი განრისხდა, შაპიროს უყვირა, გათათხა, დაემუქრა: დაგაპატიმრებო. ამის შემდეგ კარვები დაათვალიერა. ფეხმოღუნულ ერთ ჯარისკაცთან მივიდა. იგონებსო, უთხრა ნიკიტინმა შაპიროს, — ძალიან კარგად შეუძლია გამართოს ფეხიო. შაპიროშ შენიშნა: ამას

ისეთნაირად აქვს დაშავებული ფეხი, რომ ვერ გამართავსო. ნიკიტინმა თავისი დაიჩემა: ვიცნობ მე ჯარისკაცებს. ნუთუ თქვენ ამათი გჯერათ? აბა, უცქირეთ, თუ არ გამართოს ფეხიო. მოღუნულ ფეხზე ერთბაშად დააჯდა. დასაკლავი ხარივით მორთო ღრიალი საწყალმა ჯარისკაცმა. მისი ღრიალი ახლაც ტანში მცრის, — დასძინა რაჟდენ ტურიაშვილმა.

— ურჯულო ყოფილა ის პატრონმკვდარი! — ჩააგუგუნა მრისხანედ გოჯასპირმა.

— იმ ჯარისკაცის ამბავმა ჩემი თავგადასავალი მომაგონა, — თქვა გალაქტიონმა და დაიწყო: — მაშინ გერმანელების წინააღმდეგ ვიბრძოდით პოლონეთში. ჩვენი ათასეულის უფროსი ქართველი იყო, გავაშელი. საარტილერიო მზადების შემდეგ იგი თავისი ათასეულით შეტევაზე გადავიდა. იმ უბანზე ორი დივიზია აწარმოებდა შეტევას. გავაშელი წინ მიიწევდა და, როდესაც მტრის მოწინავე ხაზს უთენია მიუახლოვდა, მარცხენა ხელში ნაგანი დაიჭირა, მარჯვენით — კავკასიური მოღუნული ხმალი შეათამაშა და ათასეულს დასჭყივლა: წინ, მომყევითო! სირბილით გავეშურეთ. მოწინავე ხაზს მივუახლოვდით. მაშინვე გერმანელთა სანგრებიდან შაშხანისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლი გაიხლდა, რასაც ზარბაზანთა გრიალი დაერთო. ამ დროს მუცელში ტყვიამ წელკავივით გამკრა და რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ მავთულს წავაწყდი. პროჟექტორები ანათებდნენ და ათასეულს ხელისგულივით აჩენდნენ. შრაპნელებისა და ტყვიამფრქვევების განუწყვეტელი სეტყვა არა მარტო გავაშელის ათასეულს, არამედ მთელ ორ დივიზიასაც ანადგურებდა. დივიზიები მცირედი რაზმებით უწესრიგოდ უკუიქცნენ თავიანთი სანგრებისკენ და მხოლოდ მეორე დღეს, — განაგრძობდა გალაქტიონი, — გავაშელის დენწჩიკმა ათანასე ტაბილინმა, ქართველმა ჯარისკაცებმა ჯიქაიძემ და ბურდულმა მიპოვეს მავთულზე გადაკიდებული და ცნობადაკარგული. ჰოსპიტალად შეფიცრულ სახლში გამომელვიძა. მიწის იატაკიან ოთახში ნავთის ლამპა ბუუტავდა. ოთახში ორმოცი საწოლი იდგა და ზედ მუცელში დაჭრილი ჯარისკაცები იწვნენ. განუწყვეტლივ ოხრავდნენ და კვნესოდნენ: წყალი, წყალიო. ჩემ სასთუმალთან ერთგული ძაღლივით იჯდა სანიტარი. როდესაც თვალი გავახილე, თავგადახოტრი-

ლი სანიტარი წამსვე წამოდგა, ლოგინისკენ გადმოიხარა და შემეკითხა: რა გინდაო. ჩემი თხოვნაც სხვა დაჭრილთა თხოვნა იყო: „წყალი!“ ძლივს ვაბრუნებდი სიცხისაგან დახეთქილ და გამშრალ ენას უნერწყვო ხახაში. არ შეიძლება, ძამია,— მიპასუხა სანიტარმა. „წყალი“, შევუვართე მეც ჩემი ხმა საერთო გოდებას. არ შეიძლება, მოითმინეო, — მეწუდარებოდა სანიტარი. „წყალი, მალე!“ — უკანასკნელი ძალღონით შევძახე.

გოჯასპირმა ისევ ჩააგუგუნა:

— მასეთი ჭრილობის დროს წყალი ტყვიაზე უარესია.

— რა უნდა, რას თხოულობსო, — შეეკითხა სანიტარს თეთრ ხალათში გამოწყობილი ფერშალი, — განაგრძობდა კვლავ გალაქტიონი, — წყალსო, უპასუხა სანიტარმა. არ შეიძლება, რადგან მუცელში ხარ დაჭრილი. მოკვდები, წყალი რომ დალიოო, მითხრა ფერშალმა. ირგვლივ კვნესა, ერთი და იგივე სიტყვა „წყალი“ გაისმოდა. ზოგი მუქარით იძახდა ამ სიტყვას, ზოგი მუდარით, ზოგიც კიდევ განწირული ხმით. ყოველი კუთხიდან მოისმოდა გულისმომკვლელი ვედრება — „წყალი“. წამოვიწიე და ღრიალი მოვრთე. ბალიშის ქვეშ შევაცურე ხელი. ნაგანი იქ არ აღმოჩნდა, თორემ სანიტარს უთუოდ გავათავებდი. სანიტარი აცახცახდა და მითხრა: მომკალი, უმჯობესია მე მოვკვდე, ვინემ ამდენი ხალხი მოვკლაო. ფერშალი გავიდა. ახლა ოთახში მეორე სანიტარმა დაიწყო სეირნობა, ჭოსასავით უწვერულვაშო, ჩია კაცი იყო. აცრემლებული, ცისფერი თვალები ჰქონდა. საშინლად განიცდიდა დაჭრილთა ოხვრას, კვნესას, მომაკვდავთა ვედრებას. იგი ხან ერთთან მივიდოდა, ხან მეორესთან და ყველგან ესმოდა: „წყალი“. იმ სანიტარის არსებაში მხოლოდ ეგ სიტყვა შეჭრილიყო — „წყალი, წყალი, წყალი!“ სანიტარი გაფითრდა, ჩაბნელებული კუთხისაკენ წავიდა. ლამპის შუქზე მისი გუგაგაფართოებული თვალები გიჟის თვალებივით ანათებდნენ. მომაკვდავთა ამ დაუსრულებელი ოხვრისა და მუდარის გამო, მისი ნერვები უკანასკნელ ზიმამდე დაიჭიმენ. იგი მთელი ტანით აცახცახდა, შეაგინა მორთო ღრიალი: არ შემიძლიაო. ჩემს სანიტარს გაუკვირდა: რა არ შეუძლიაო. ხელში არყის ბოთლი დაუნახა: ტუჩზე მიეკრა და აპირქვავებდა. შესძახა: შენ, ეიო. ჭოსა ს-

ნიტარი უაზრო თვალებით კედელს მიეყრდნო და დაბარბაცდა. იათახში ისევ დაჭრილთა ოხვრა ისმოდა: „წყალი“. მთვრალი სანიტარი დამშვიდებით პასუხობდა ახლა მათ: მოვცემი, მოგცემთ, ძმებო! სავსე სურას და ჭიქას წამოავლო ხელი. ხან ერთსა და ხან მეორეს დაალევინა. ჩემი სანიტარი წამოიჭრა და მივარდა: რას შვრები, მკვლელო. მთვრალმა სურა ზოუენია: არ მომეკარო. მესამე და მეოთხე დაჭრილსაც შეასვა წყალი. ჩუბმა სანიტარმა ყვირილი მორთო. ფერშლები შემოცვივდნენ, მთვრალს სურა წაართვეს და შებოჭეს. წყალდალეულ დაჭრილ ჯარისკაცებს მალე პირისღებინება აუვარდათ. ათი ჯარისკაცი საშინელი ტანჯვით იკლაკნებოდა ნაწლავების ანთების გამო. დაჭრილებს ენა კრაზანას ნაკბენივით გაუსივდათ, გაუსივდათ და ხახაში ალარ ჩაეტიათ. ხროტინი მესმოდა. ათი ჯარისკაცი წუთისოფელს გამოეცალმა, — დაასრულა თავისი ნაამბობი გალაქტიონმა და დასძინა: — ასე გადამარჩინა იმ სანიტარმა სიკვდილს. სად არიან ახლა ის სანიტარი, და ჩემი მხსნელი ამხანაგები — გავაშელის დენშჩიკი ათანასე, ბურდული და ჯიქაიძე, ვინ იცის?! მოდით, იმ ამხანაგებს სადღეგრძელო დავლიოთ.

ჯოჯასპირმა და სხვებმაც დიდის სიამოვნებით შესვეს გალაქტიონის მხსნელი ამხანაგების სადღეგრძელო. ასინა თავშლის ტოტით ცრემლს იწმენდდა და შეწუხებული სახით მისჩერებოდა გალაქტიონს.

2

— ფრონტზე რომ უბედურება იყო, იმას ვინ მოსთვლის — დაიწყო ახლა ვიორგი აბესაძემ და მოჰყვა: — იმ დენშჩიკზე მომაგონდა. მეც ვიყავი დენშჩიკად ნახევარი წელიწადი პოლკოვნიკ თენგის იოსელიანთან. წინათაც ვიცნობდი მას და, რადგან ქართველი ვიყავი, მე წამიყვანა. ჩვენი პოლკი ტყის პირას იდგა. დიდი ბრძოლები გვქონდა და მერე ისევ ტყისკენ დავიხიეთ სანგრებში. დასვენება ჩამოვარდა. იოსელიანის მიწურში ოფიცრები კარტს თამაშობდნენ. ისე დამშვიდებით ჩითავდნენ ქადალდს ოფიცრები მაგიდის ირგვლივ, თითქოს ამ რამდენიმე დღის წინათ ჯოჯოხეთურ ცეცხლში არც კი ყოფილანო. ისე დამშვიდებით

თამაშობდნენ ფრაპს მიწურში, თითქოს ფრონტზე კი არა, სადმე შორს, ზურგს უკან კიევის კაზინოში ბრძანდებიანო. ცხადად მახსოვს: საღამო იყო, — განაგრძობდა გიორგი აბესაძე, — პოლკოვნიკმა ტრედენსკიმ მოლიმარი თვალებით შეხედა ჩვენი პოლკის უფროსს, თენგიზ იოსელიანს და დაიძახა: ფრაპო. — გიორგი აბესაძემ აუხსნა გოჯასპირს, ჯარისკაცებს და დამსწრეთ ეს თამაში. — მაგიდაზე კარტის დარიგების შემდეგ ჯვრის ტუზი დაეცა, იოსელიანს ხელში ჯვრის ქალი და ცხრიანი ჰქონდა. მის თანაშემწეს ილინსკის კი — სალდათი და ათიანი. ახლა ესენი ჩაებნენ თამაშში, ხოლო კაპიტან მედვედევს და ნაუმოვს ცუდი კარტები ჰქონდათ და გადაყარეს. მე პოლკოვნიკ იოსელიანისათვის გამზადებულ ვახშამს, პურს და შაქარს ტილო გადავაფარე. მეშინოდა, ვირთხებს არ შეეჭამათ. ვირთხები სანგრების უცილობელი სტუმრები არიან. ვირთხები უმთავრესად ღამით იწყებდნენ ნადირობას და არა მარტო პურსა და შაქარზე, არამედ ჯარისკაცთა გვამებზედაც. დაცუცქდებოდნენ, ლეშს დასუნავდნენ, მისწვდებოდნენ და ღრღნას დაუწყებდნენ.

ქალებს — ასინას, ივლიტეს, ეკვირინეს და მამაკაცებსაც თავზარი დაეცათ და შეძრწუნდნენ. გიორგი აბესაძე კი განაგრძობდა: — ვირთხები ადამიანის თვალის კაკალს დიდად ეტანებიან. ბრჭყალებით და გრძელი გაქსუებული დინგით მუშაობენ, თვალის კაკალს ებღაუჭებიან და ფოსოებიდან ეზიდებიან.

ქალებმა ზიზღით აიფარეს თვალებზე ხელი, გოჯასპირმა დასწყევლა ვირთაგვების სახსენებელი, მაგრამ აბესაძე ისევ დამშვიდებით განაგრძობდა:

— თვალები მათი ყველაზე უფრო საყვარელი ულუფაა. როცა მისწყდებოდა ზარბაზნების გრიალი, თოფის ხმა, შესწყდებოდა ომი და ბრძოლის ველიდან ჯარისკაცთა გვამებს აჰკრეფდნენ, მაშინ ვირთხები სანგრებში და საწყობებში შემოიპარებოდნენ. დაძრწოდნენ, მიწურზე მიყრილ მიწის სახურავში სოროებს იჩენდნენ და იქ ბუდობდნენ, რომ ღამით გასულიყვნენ იქიდან საქურდლად.

ნიკიფორემ დაიძახა:

— ეს ვირთხები რა ყოფილა!

აბესაძე ისევ განაგრძობდა:

— პოლკოვნიკმა ტრედენსკიმ მაგიდაზე მოწინააღმდეგეებს ჯვრის ტუზი და მეფე გაუშალა. ოჰო! — დაიღრიალა კაპიტანმა მედვედევმა. ის გოლიათი, მაღალი კაცი იყო, ვეება დრუნჩი ოჩოკოჩივით ჰქონდა წინ გამოზიდული, ჩაყვითლებულ და ფართო სახეზე ცხვირი შაშხანის კონდახივით აჯდა. უზარმაზარი ნიკაპი ეხამებოდა მისი სახის ისედაც გამოთაყვანებულ გამომეტყველებას. რა გაგეხარდაო, შეეკითხა იოსელიანი. იმავე წამს გერმანელების მხრიდან დიდი ყალიბის ზარბაზანმა დაიგრიალა. დედამიწის გული შეირყა და მოთამაშენი შეკრთნენ. ორმოცდაორსანტრიმეტრიანი ზარბაზნიდან ისვრიანო, განაცხადა იოსელიანმა და ტრედენსკის ტუზსა და მეფეს დამშვიდებით დააფარა უკანასკნელი კოზირები, ჯვრის ქალი და ცხრიანი. ტრედენსკიმ ყვავის ტუზი ჩამოაგდო მაგიდაზე, ჩამოაგდო და, მეორეჯერ იგრიალა ზარბაზანმა; მერმე მესამეჯერ, მეოთხეჯერ გავარდა და ახლა უფრო სასტიკად შეირყა მყარი, შეირყა კი არა, იოსელიანის მიწურა ბინა ოჩოფეხებზე შემდგარი კაცივით დაბარბაცდა. რა ამბავია, გაიგეთო, უბრძანა იოსელიანმა მედვედევს და ოფიცრები კარში გაცვივდნენ დურბინდებით. მარჯვნივ, ტყის პირას, საველშჭრო სამზადოან, ხელში პატარა ქვაბურებით ჩამწკრივებულიყვნენ ვახშმის მისაღებად ჯარისკაცები. მტერს საველშჭრო სანზადიდან ასული ბოლი დაენახა და ეს ადგილი ნიშანწი. საველშჭრო სამზადები სასწრაფოდ ხევში ჩააგორეს და ჩააქრეს. გერმანელებმა სამზადებს, ხან გადააცდინეს, ხან კიდევ ვერ მიუწვდინეს ყუმბარა და მსხვერპლი არ ყოფილა. როდესაც მედვედევმა ეს უამბო იოსელიანს, იგი განრისხდა: მოდი და ენდე ამ ჩერჩეტ ჯარისკაცებსო. მაშ ასეო, თქვა ილინსკიმ, წაგებული თანხა ჩაწერა და ბის უკან გაჩერებულ პორუჩიკს, ახალგაზრდა და შავგვრემან უკრაინელს — ბონდარენკოს ამრეზით გადახედა: შენ დამნავსეო. მერე კარტები ჩასჭრა, მაგრამ მაშინვე ჭერიდან თავზე მიწა დაეყარა. რა არის ესაო, იკითხა, განზე გასწია თავი და ჭერს ახედა. ეს დაწყევლილი ვირთხებია, ბატონო-მეთქი, ვუპასუხე მე. ილინსკიმ ომა გაიბერტყა და იოსელიანის მიერ დარიგებული კარტები აიღო, მაგრამ ორჯერ მეტი მიწა ჩამოინგრა ახლა ჭერიდან და ისევ მაგიდაზე დაცვივდა. რისი ვირთაგვები, რას

მიჰქარავო, მოყვარა მედვედევმა და ყველანი ჭერზე მიაშტერდნენ. ვიოლენციია, ბატონო-მეთქი, ჯიუტობდი მე. ბეხედეთო, დაიძახა ფერწასულმა მედვედევმა და ყველამ შენიშნეთ მიწუოის ჭერში გამოყოფილი, გაკრიალებული ლითონის წვეოი. რა არის ესო, ამბობდა ჩურჩულით მოხუცი ტრედენსკი და მასთან ერთად ყველანი წამოიჭრნენ სკამებიდან. გაფითრებული სახით და დაფეთებული თვალებით მისჩერებოდნენ ჭერში გაჩრილ ლითონის წვერს, რომელიც დაბლა ეშვებოდა. ყუმბარაო, — დაიძახა იოსელიანმა და ახლა აშკარად დავინახეთ უზარმაზარი ყუმბარის დისტანციური მილი. ოფიცრებს თავზარი დაეცათ. გერმანელების ზარბაზნიდან გამოსროლილი დიდი ყალიბის საბრეზენტო ყუმბარა ახლა მთელი თავისი სიმძიმით აწვებოდა მიწურის მიწაწყრილ სახურავს. ჭერიდან ნახევრად დაშვებულიყო. კიდევ წამი და, იგი იატაკზე დავარდებოდა, დისტანციური მილის ნემსა-ჩახმახი ფისტონზე დაეცემოდა და ეს უზარმაზარი ყუმბარა აფეთქდებოდა, დაანგრევდა მიწურსა და იქ მყოფთაგან მხოლოდ ნაკუწებიღა დარჩებოდა. მიუხედავად ამ საშინელი წუთისა, თავზარდაცემული და გაშტერებული ოფიცრები ადგილიდან ვერაო იძროდნენ, თითქოს წართმეოდათ გონება და ნებისყოფაო. კარში, — მოასწრო იოსელიანმა დაძახება და შიშისაგან გამოფიზლებული ოფიცრები კარებს მიაწყდნენ, მაგრამ იცის მაგიერ, რომ გაეღოთ იგი, მთელის ტანით ეჯახებოდნენ. აწვებოდნენ და ვერ ისაზრებდნენ, რომ საჭირო იყო კარების შეღება მიწურისაკენ. თვითეული მათგანი ცდილობდა—მოესწრო და პირველი გავარდნილიყო კარში. საშველი არ იყო: თავი დავიღუნე, ოფიცერთა გუნდში შევიჭერი და მეც ვეცი კარებს. ოფიცრებმა მუშტები დამიშინეს თავში, გამომაგდეს, კარები მოგლიჯეს და ყველანი კარში გამოვცვივდით. კარში გასვლა და ჭერიდან ჩამოშვებული ყუმბარის იატაკზე დაცემა თითქმის ერთდროულად მოხდა, მაგრამ რაღაც განგებით იგი არ აფეთქებულა. იოსელიანმა გვიბრძანა ჯარისკაცებს, გამოგვეტანა ყუმბარა და შორს ტყის პირას აგვეფეთქებინა. მოგვჭონდა ყუმბარა და შიშისაგან ფეხები გვეკეცებოდა. ასე შემთხვევით გადავრჩით სიკვდილს, თუმცა ყუმბარამ მაინც ზიანი მიაყენა ოფიცრებს: სიკვდილის მოლოდინი ისე-

თი საშინელი აღმოჩნდა, როცა ახალგაზრდა პორუჩიკს ბონდარენკოს მარჯვენა მხარეზე თმა ერთბაშად გაუთეთრდა, ხოლო კაპიტანი მედვედევი ორი თვის განმავლობაში ძლივს ახრჩუნებდა დამბლადაცემულ ენას და ლაპარაკის ნაცვლად პირუტყვივით ღმუოდა, — დაასრულა გიორგი აბესაძემ თავისი ნაამბობი ყუმბარაზე.

— შიშისაგან გაჭაღარავებული და ენაწართმეული მეც მინახავს, — დაუდასტურა გოჯასპირმა. ხოლო ჯარისკაცებმა შენიშნეს:

— იღბლიანი ყოფილხართ. ბევრჯერ დაცემულა ჩვენს ახლოსაც მტრის ყუმბარა, მაგრამ არ აფეთქებულა და არც გამსკდარა.

კიდევ ბევრი შემთხვევა უამბეს ერთურთს და თავისიანებს ჯარისკაცებმა. მსოფლიო ომიდან დაბრუნებულ ჯარისკაცთა მოგონებებს რა დაშრეტდა?!.

ღამღიაღში

ე როგორ არის, ვერ მივხვდი,
როგორი განაჩენია?
მიწა სხვისია, ვქირაობ,
შრომა კი მარტო ჩემია.

რაფ. ერისთავი

1

მერმე რუსეთის გლეხთა ამბავს მოჰყვა გალაქტიონი. გოჯასპირმა ჯი აქაური უამბო.

— გუშინწინ მენშევიკების კომისარი გვეწვია. ჩვენი სოფლის გაჭირვებაზე, მიწის სივიწროვეზე და მწირობაზე მოვახსენე. ვთხოვე: გვიშუამდგომლე მთავრობასთან, შეგვიმსუბუქოს გადასახადი-მეთქი. ჩვენს სოფელში მთავარი შენახსავალი წყარო ღვინოა, მაგრამ ერთი ქცევა ვენახი რომ ჰქონდეს, იმისთანა გლეხი არც კი მეგულება-მეთქი. მერე ვკითხეს: მიწის საკითხის გადაწყობას რანაირად ელოდებით მთავრობაო? კომისარმა გვიპასუხა: მიწის ახალი კანონი ჯერ არ

გამოსულა და მანამდის ისე იყავით, როგორც ძველადო. ასე ბეფე ნიკოლოზის დროსაც ხომ ვიყავით: ასე ვიხდიდით დრამის ფულს, მიწის იჯარას და ასე ვაძლევდით მემამულეს ღალას! — შენიშნა გოჯასპირმა.

გალაქტიონს მოეწონა მამის სიტყვა, სახლიკაცებს და ტურიაშვილს ურჩია:

— დღეიდან არავის მისცეთ დრამის ფული, მიწის გადასახადი, არც ღალა! რუსეთში გლეხებმა უკვე შეადგინეს საბჭოები და მემამულეების მიწებიც დაიკავეს.

— დღე და ღამე ვმუშაობ ოტია მდივნის მამულში, ოფლს ვაქცევ, წელზე ფეხს ვიდგამ და მოსავლის მესამედიც არ მიწევს, — თქვა გოჯასპირმა წყენით.

— რამდენი ქცევა იქნება, გოჯასპირ, ოტიას მამული?— ჰკითხა გიორგი აბესაძემ.

— შვიდზე მეტია. დაბლა სახლში რვა ქცევა ექნება, მთა შუბანზე — ექვსი და სხვაგანაც ბევრ ადგილას, სახნავ-სათესს და ტყეს ნუღარ იკითხავ! — მიუგო გოჯასპირმა.

— ამდენი მამული და შემოსავალი აქვს იმ პირძაღლ ოტიას და მაინც არ სჯერდება. გადიდებულ პროცენტებში აქვს გასესხებული გლეხებზე ფული, — ცხარობდა ნიკიფორე.

— დედიშენის შვილი ხარ, ნუ მისცემ! გუბერნატორი, ბოქაული, მამასახლისი, ყველა მის მხარეზეა. ტყავს გაგაძრობს. სახლ-კარს აგიწერს და ეზო-გარემოს ტორგში გაგიყიდის, — ცეცხლს უნთებდა რაჟდენი.

გოჯასპირმა განაცხადა:

— ეს ჩემი პატარა სამოსახლო, ცხონებულ მამაჩემს ფასად დასჯდომია: სამასი დღე მდივნებს ემსახურა.

— გათავდა, მამაჩემო! ამიერიდან ჩვენს ნაშრომს, ნაჯაფს და ნაოფლარს მდივნები ვეღარ წაგვართმევენ. ოცი წელია შენ ამ მამულში მუშაობ და, ეს მამული ჩვენია, — დაადგინა გალაქტიონმა.

რაჟდენ ტურიაშვილმა ყური სცქვიტა: „მე და მამაჩემმა რომელ მამულს დავადოთ ხელიო“. თეოდე ისევ ყბედობდა და აშინებდა ჯარისკაცებს:

— როგორ თუ ჩემიაო, როგორ თუ წაართმევთყე იმ კაცს ადგილ-მამულს? წართმევა რომელ კანონში წერია? ის ჭო-

რივით აფხორილი ოტიას მოურავი და მთავრობის ბიჭები ზურგზე ბოლს გადენენ და კუდით ქვას გასროლინებენ! არა, ბაბა, ჩემი სიტყვა დაიბეჯითეთ, თავს წააგებთყე!

— დარდი ნუ გაქვს, ჩვენი დაშინება აწი აღარავის შეუძლია. გულოვანებით ნურავინ შეგვეცილება. ჩვენ ჯოჯოხეთურ ცეცხლში ვიყავით, დავიჭერით, გამოვჯანსაღდით, ისევ ომში გაგვიწვიეს და,. ხომ ხედავთ, მაინც ცოცხლები დავრჩით,—შენიშნა გალაქტიონმა.

თეოდე ტურიაშვილი არ ცხრებოდა და ახლა რაჟდენს აუხირდა:

— ახალთაობის კაცი ვარო, დადის ეს ჩემი ჩერჩეტი რაჟდენია ხალხში და შენსავით ქადაგობს: ჯარისკაცებმა და გლეხებმა თავადაზნაურობას მიწები უნდა წავართვათო, — ჩიფჩიფებდა, იფურთხებოდა ბრაზმორეული ბერიკაცი, ჯარისკაცებს თათხავდა და ტუქსავდა.

— უნდა წავართვათ, ბაბუა თეოდე, — მოუჭრა გალაქტიონმა.

ისევ მოიჩრდილა თეოდემ ჭუთუთოშემოგლეჯილი და ცრემლიანი თვალი ჩურჩხელასავით გამხმარი, ჩანჩხურათითებიანი ხელით, გაკვირვებით შეხედა ჯარისკაცებს და ჰკითხა:

— ვინ მოგცემთყე მერე წართმევის უფლებას?

— ეს ჩვენი უფლებაა, — მიუგო გალაქტიონმა და ჯარისკაცებმა ერთსა და იმავე დროს თვალი მოჰკრეს გაბოლილ ბოძზე დაკიდებულ გალაქტიონის შაშხანას.

2

ნაშუადამევს გალაქტიონმა მეზობლები ჰიშკრამდე მიაცილა, გამოემშვიდობა. შუა ეზოში შეჩერდა. ცა ისევ ბოლრუბლულიყო. ბნელ ღამეში ღრმად ჩასძინებოდა სოფელს. როგორი სხვაობაა ფრონტსა და ამ მკვდარ სოფელს შორისო, გაიფიქრა გალაქტიონმა. მოაგონდა ფრონტი, უამრავი ჯარისკაცი, სანგრები, თოფ-ზარბაზნების გრიალი; მერმე რევოლუცია. დარღვეული ფრონტი. ჯარისკაცთა დაუსრულებელი სვლა სამშობლოსაკენ. რუსეთის თოვლი და ბუქი. ჯა-

რისკაცებით დახუნძლული ეშელონები. რკინიგზის სადგურები და ახალ-ახალი ქალაქები. კინოლენტივით გაირბინა მის თვალწინ მოგონებებმა. ამაოდ ეჩვენა ბრძოლა, ამდენი წამება და სისხლი. მეფე გადმოაგდეს, თავისუფლება მოიპოვეს. ბრძოლის ველიდან სამშობლოში დაბრუნდნენ ნაომარი, განაწამები გლეხები, და გლეხებს ისევ ეუბნებიან: როგორც ამდენჯანს ცხოვრობდით, კვლავ ისე იცხოვრეთო.... უხილავი ნაღველი შემოაწვა ჯარისკაცს. ყავარაყრილ ქოხს შეავლო თვალი, ბრაზით გაჰხედა ზედაზენსა და ოტია მდივნის სამფლობელოს. შინ შევიდა, შაშხანა ბოძიდან ჩამოიღო, ეზოში გავიდა, ჩაკუპრულ მთებს მოავლო თვალი. მერმე შაშხანა გამართა, პირი ზედაზენისაკენ აქნევინა და გულდაგულ დაუმიზნა უხილავ მტერს. მოულოდნელმა გრიალმა სიჩუმე გააღრღვია. ამ დროს რაჟდენი და გიორგი ხელიხელგადაკიდებულნი ორღობეში იდგნენ, ერთმანეთს სიყვარულს ეფიცებოდნენ, ჰკოცნიდნენ. შაშხანის ხმა რომ გაიგონეს, ნაგანები იძვრეს და ააჭახჭახეს. ამას ფრონტიდან ჩამოსული სხვა მეზობლებიც მიჰყვნენ. ზედაზენშიც გავარდა ზედიზედ შაშხანა, ჭიპოკანაშიც, კარისმერეთშიც, ყველგან. კაცი იფიქრებდა: ბრძოლა დაიწყოო. გალაქტიონმა გაიღიმა. ესიამოვნა თოფის გრიალი. ხუთივე ვაზნა დასცალა, შინ დინჯად შევიდა და შაშხანა ბოძზე დაჰკიდა.

— ამ შუაღამით რა დროს თოფის სროლა გაქვს? — დაუძახა ლოგინიდან გოჯასპირმა. — ქალი და ბავშვები შეაშინე!

— გაიგოს, მამაჩემო, ქვეყანამ, რომ ჩვენც ცოცხლები ვართ, ცოცხლებში ვწერივართ და ცხოვრება გვინდა, — მიუგო გალაქტიონმა. ფარდა გადასწია, ასინას მოეფერა: „რამ შეგაშინაო“, მერმე თინიკოს აკოცა, გაბუშტულ სახეზე ღვინით გახურებული ტუჩი და ლოყა დაადო, უმანკო ბავშვის სუნთქვას ისმენდა და ნეტარებისაგან თვალებს ნაბავდა. ოთხი წლის ნატვრა და ფიქრი შეუსრულდა ჯარისკაცს: იგი მშობლიურ კერასა და ცოლ-შვილში იყო. ახლა ოჯახი შრომასა და გარჯას მოითხოვდა მისგან.

ასეთი გუნებითა და ფიქრით ჩამოვიდა გალაქტიონ გელაშვილი სოფელში, მაგრამ ომს ბოლო არ უჩანდა. საქარ-

თველოს თურქეთის ჯარები შემოესია. ისინი თბილისისა და ბათუმისაკენ მოიწევდნენ. მიტინგზე ჯარში წასვლის მოწოდებით გამოვიდნენ კარისმერეთის სკოლის გამგე იოკიმე აბულაძე, ექიმი პოლიკარპე ვაწაძე და ძველი ხალხოსანი და საზოგადო მოღვაწე იონა ჩხეიძე, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებთა შორის დიდი სიყვარულით და პოპულარობით სარგებლობდა... გლეხები, რომელთაც მაზარების გახდა ვერ მოესწროთ, ისევ ჯარში წავიდნენ, მათ შორის — გალაქტიონ გელაშვილი, რაჟდენ ტურიაშვილი და ბევრი მათი ამხანაგიც.

მოხალისენი

როგორც შახტიდან, ჰაუპტვახტთან
ყრუდ ყმუის ძაღლი.
ჭაბუკი გუშაგი ყურს უგდებს ყმუილს,
ყმუილს და ძახილს.
კედლის გასწვრივ კი, კედლის გასწვრივ კი,
როგორც სიზმარში, მოხოხავს მტერი,
მოხოხავს მტერი და ქარი მღერის...

ტ. ჩურილინი

1

— ჯარისკაცები ყაზარმის კედელთან ისხდნენ და მზეს ეფიცხებოდნენ. როდესაც მზე მთის იქით ჩაესვენა და ზამთრის სუსხიანმა ქარმა დაუბერა, ისინი ოთახში შევიდნენ.

დღეს მეკუჭნავემ მოხალისეებს ფეხსაცმელი, თბილი ქურთუკი, შარვალი, თეთრეული, ბუხრის ქუდი, ლეიბი და შალის თხელი საბანი დაურიგა.

ყაზარმაში საშინლად ცივოდა. დერეფანში ფიცრებს ჩებნენ, ცარიელ ყუთებს ამტვრევდნენ და ღუმელში ჰყრიდნენ, მაგრამ დიდსა და ფანჯრებჩალეწილ ოთახს ღუმელი ვერ ათბობდა. მოხალისენი ტახტებზე გაუხდელად დაგორდნენ და შალის საბანზე მასაც გადაიხურეს. გარეთ ჰყინავდა და ისევ სუსხიანი ქარი ქროდა.

ოთახში ზემდეგი — სოსო ლაზრიშვილი შეიძოვიდა, ღუმელის ცეცხლს მიეფიცხა. ზემდეგი ახოვანი ვაჟკაცი იყო, ჯარში და ომში ნამყოფი, შნოიანი ქეიფის, კარგი ხმისა და უბადლო ცეკვის გამო ოფიცერთა წრეში მიღებული. მელოტი თავი ზამთარ-ზაფხულ გადახოტრიალი ჰქონდა, თვალები— შუქ-წაბლისფერი, ელვარე, ლამაზი ტუჩ-კბილი, პატარა ცხვირი და მოკლედ შეკრეჭილი ქერა ულვაშები. ღილებშეხსნილი, გრძელი, მხედრული მაზარა ეცვა. ჩეჩნურ, მოკლე ჩოხაზე, მაზარის ქვეშ ხანჯალი ერტყა და ცისფრად მოელვული პარაბელუმი ეკიდა. ლაზრიშვილს ოფიცრები ლეკს ეძახდნენ.

კორნელის ფეხები გაუცივდა. საბანზე მაზარა წაეხურა, მაგრამ არც ის შველოდა. შამფურზე წამოგებული გოჭივით ტრიალებდა. ბოლოს წამოდგა, ღუმელთან მივიდა და კანკალით თქვა:

— ო, რა სიცივეა!

ზემდეგს განიერი ბეჭებით დაეფარა ღუმელი, მან კორნელი შეათვალიერა, გაუღიმა და უთხრა:

— აი, ჯარისკაცი! მაშინ რას იტყვი, შვილო, ყინვიან ზამთრით ფრონტზე რომ წაგაბრძანებენ?!

ყურსათბურიან ბუხრის ქუდით მდგარმა მორიგემ უხეშად გაიცინა.

— ყველაფერი შეჩვევაზეა, — მიუგო კორნელიმ ზემდეგს და ცარიელ საყუმბარე ყუთზე დარცხვენით ჩამოჯდა.

სანდრომ, გრიგოლმა, პეტრემ და გიგამაც მას მიბაძეს. ისინი ღუმელთან მივიდნენ. ლაზრიშვილმა ომში ჩადენილი გმირობით კვეხნა დაიწყო. დაუჯერებელ, საზღაპრო შემთხვევებს ჰყვებოდა. მოხალისენი სულგანაბულნი უსმენდნენ. როდესაც ლაზრიშვილი წავიდა, კორნელი და მისი მეგობრები უფრო ახლოს მიუსხდნენ ცეცხლს და ახლა ისინი განაგრძობდნენ საუბარს. გრიგოლ ცაგურიშვილი მსოფლიო ომიდან დაბრუნებულ ჯარისკაცებზე ლაპარაკობდა.

— ამას წინათ, — მოულოდნელად განაცხადა სანდრომ,— გუშაგი მოჰკლეს და იარაღი გაიტაცეს.

— როგორ, გუშაგი მოჰკლეს? — ჰკითხეს მოხალისეებმა ბრიგადაში ყველაზე ადრე მოსულ პეტრე ცხომელიძეს.

— აბა, რა გითხრათ,—მიუგო პეტრემ, — როდესაც გან-

მრინებელი საწყობთან მივიდა, თავგატეხილი, უცნაურად, მკვდარი გუშაგი ნახა.

— როდემდე დატოვებენ იმ ყაჩაღ და ავაზაკ დეზერტირებს ჩვენს ბრიგადაში? — იყვირეს მოხალისეებმა.

— დაიცათ, თქვენც მოგიწევთ იმ საწყობთან გუშაგობა,— დაიმედა ისინი პეტრემ.

ის საწყობი, რომლის შესახებ პეტრე ლაპარაკობდა, ბრიგადის არტილერიის პარკის უკან იყო, მტკვრის მაღალ ნაპირას, მუშტაიდის ბაღის პირდაპირ. იქ არაფერი აღარ იყო სადარაჯო. დარბეულ და გაძარცულ საწყობში უწესრიგოდ ეყარა უვარგისი ნივთები: დამტვრეული ავეჯი, მოკაზმულობა, არტილერიის ბიბლიოთეკის დახეული წიგნები, „სამხედრო ენციკლოპედია“, რკინის ყუთები, სამხრეები...

კორნელი გვიან დაწვა, მაგრამ კარგა ხანს არ დაისძინებია. საწყობთან მოკლულ ჯარისკაცზე ფიქრობდა. განთიადისას ჩაეძინა მხოლოდ, მაგრამ მაშინვე საყვირი გაისმა. სანდრო, პეტრე და რამდენიმე სხვა ჯარისკაცი წამოდგნენ, სანქაროდ ჩაიცვეს. გაყინული წყლით პირი დაიბანეს და ლოგინი მიალაგეს. ეტყობოდა, ისინი სერიოზულად აპირებდნენ კარგი ჯარისკაცის სახელის დამსახურებას, როგორც აქ, ყაზარმაში, ისე ბრძოლის ველზეც. სხვა მოხალისეები კი ისევ არხეინად განაგრძობდნენ ძილს. ზემდეგი სოსო ლაზარიშვილი საწოლებს შორის დადიოდა და მათრახის ტარით აღვიძებდა მათ:

— ადექით, ბიჭებო, საცაა მორიგე ოფიცერი ჩამოივლის.

— გააჭირა საქმე ამ ზელიმხანმა, — ცხარობდა გიგა ხუცუშვილი.

სუსხიანი ზამთრის ალიონზე ლოგინის მიტოვება სტუდენტებისათვის ტანჯვა იყო, მაგრამ ყველაზე დიდ სატანჯველს იგი ფუფუნებაში აღზრდილ, ნაზ და განებივრებულ ჯვებე მიქელაძისათვის წარმოადგენდა.

2

როდესაც ბრიგადაში მოსწავლე ახალგაზრდებისა და სტუდენტების საკმაო რიცხვი შეგროვდა, ისინი ბატარეების მი-

ხედვით დაანაწილეს, ჯგუფებად გაჰყვეს და ოფიცრებმა მათთან ყოველდღე მეცადინეობა დაიწყეს. მოხალისეებს ზარბაზნის შემადგენელ ნაწილებად დაშლას და აწყობას, პანორამით სარგებლობას, ზარბაზნის დამიზნებას, დატენას და გასროლას ასწავლიდნენ.

მოხალისეებს ასწავლიდნენ აგრეთვე პარალელურ, ჯვარედინ და მარაოსმაგვარ ცეცხლის გახსნას, თვალიანთვის ხილულ და უხილავ მიზანში სროლას და სხვა წესებს.

მეცადინეობის მერმე, ჯარისკაცები ოხუნჯობდნენ და ერთმანეთს მეტ სახელს არქმევდნენ. მსუქანსა და ღონიერ ჭაბუკს — ონისიმე ნიკოლაძეს, რომელიც ზარბაზნის სახნისა „ხორთუმზე“ მუშაობდა, თავისუფლად სწევდა და ატრიალებდა ზარბაზანს, — მეტსახელად „სპილო“ უწოდეს. კაპიტონ სარჩიმელიას „პანაშა“ შეარქვეს, რადგან შლიაპას ატარებდა და პანორამაზე მუშაობდა. სახელწოდება მეტად ბევრი იყო, სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული. ასე, მაგალითად, მეკუჭნავეს კოლა ცხაკაიას, შაჭრის, პურის და თუთუნის მცირე ულუფის დარიგებისათვის. გოგა ხუციშვილმა, რატომღაც, „კოლა დე რიენცი“ შეარქვა და ბრაზით უთხრა:

— შე პირძაღლო, ამ ერთმა ნამცეცმა პურმა როგორ უნდა გამაძღოს ამოდენა კაცი?! ასეთი ორმოცი ნაჭერი ჩაეტევა ჩემს მუცელში.

ჯარში ჩაწერილმა მეექვსე კლასის მოწაფემ, კაკო ბაქრაძემ, შენიშნა:

— შენი მუცლის მიხედვით კი არ აწონინებენ პურსა და შაჭარს კოლა დე რიენცის. უნდა იმყოფინო, სხვა რა გზაა.

— შენსავით კანარეიკა ხომ არა ვარ, რომ ვიმყოფინო,— მიუმო გიგამ.

— ხომ ხედავ, ხუცესსავით მუცელი გაგზრდია. შენ რა გაგაძღებს, შე დოყლაპია-ბლაღოჩინო? — დასცინა კაკომაც და მუცელზე ხელი შემოჰკრა. იმ დღიდან გოგას „ბლაღოჩინს“ ეძახდნენ, კაკოს კი — „კანარეიკას“, ასე ნათლავდნენ ერთმანეთს ჯარისკაცები. თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, გოგა მართალი იყო. ერთი ნამცეცი, უვარგისი შავი პურით და აყროლებული თევზის ნახარშით კაცი კუჭს ვერ გაძღობდა.

საშინელ პირობებში მსახურობდნენ მოხალისე სტუდენტები. ყაზარმა გაბინძურებული იყო, მკბენარებით სავსე. არავითარი წესრიგი და სისუფთავე არ არსებობდა. ღამით უწესონი დგებოდნენ და იქვე — შემოსასვლელ კარებთან და კიბეზე გადიოდნენ, რის გამოც დერეფნები ალაფებული და აყროლებული იყო. ფანჯრებს მინები არა ჰქონდა და მინის ჩასმაზე არავინ ზრუნავდა. შეშის უქონლობის გამო საშინლად ცოდა. ზამთრის სუსხიან ღამით ჯარისკაცები ერთმანეთს ეკვროდნენ და ისე თბებოდნენ.

კორნელი, სანდრო, გრიგოლი, პეტრე, გიგა, კუკური და ჯვებე ერთ მხარეზე იწვნენ, სიცივის გამო ნაშუაღამევს თუ დაიძინებდნენ. მაგრამ ჯერ კიდევ უთენია დაჰკრავდნენ ნაღარას და ბატარეის ახალი ზემდეგი — თავქარიანი, თავბომბორა, ბომცრო კაცი — ზესტაფონელი ვოლაც ანაპოტისტე ფერაძე ტყვიამფრქვევის ჯერივით დააყრიდა და აყაყანდებოდა:

— ადი, მალე, მალე ქენი. ეს ყაზარმაა და არა ჩვენი სახლი. ამდენი თუ გეხვეწეთ, რალა უფროსი ვარ და ფელდფებელი, ჩემო ძმაო...

— წადი, დაიკარგე აქედან, შე ქეციანო. ფელდფებელი, თუ არა, ბრიგადის გენერალი ბრძანდები! შენისთანა უფროსები ბირსაც წაუღია. ჩვენ შეგნებითა ვართ აქ მოსული და არა უფროსების ძალითა, — დაუცაცხანებდა გიგა ხუციშვილი.

— შეგნებული თუ ხარ, ადე ზეზე. მალე ქენი. ერთი საათი გევიდა, რაც ნაღარა დაუკრეს, ჩემო ძმაო. შენ კი არხეინად კოტრიალობ ლოგინში... — გულს უწყალებდა ჯარისკაცებს ყაყანით ზემდეგი ანაპოტისტე ფერაძე.

— კარგი ერთი, ხომ ხედავ, ვდგებით, — ეტყოდნენ სტუდენტები და დიდი ვაი-ვაგლახის მერმე ჩაცმას იწყებდნენ.

ყველაზე ადრე სანდრო, პეტრე, გრიგოლი და კორნელი დგებოდნენ. პირობა შეჰკრეს: მაგალითი ეჩვენებინათ სხვა ჯარისკაცებისათვის, მოხალისენი გარეთ გავიდოდნენ და, რადგან ფეხისადგილში სიბინძურის გამო არ შეისვლებოდა, ყაზარმის უკან ხრამის პირას ჩაირაზმებოდნენ. პირველ ხანებში ერთმანეთის რცხვენოდათ, მაგრამ კაცი ყველაფერს ეჩვევა. აქედან თავლაში მიდიოდნენ, ცხენებს გამოიყვან-

დნენ, თავლის გასწვრივ გაყვანილ ღარიდან წყალს დაალევინებდნენ, დაარწყულებდნენ, დაჰბანდნენ და საურველით გაისწმენდნენ. ზოგი ადგომისთანავე გარბოდა თავლისაკენ, თავის ცხენს გამოიყვანდა, ფეხში ხელს წაავლებდა, აუწევდა და ღამით მოკავებულ მარდს ფლოქვსა და ჭაჩაჩებზე ასხამდა, შუყაყი და თურქული რომ არ შეჰყროდა. ზოგ ცხენს უკვე ეწყებოდა ეგ სენი და დაწყლულებული ფეხი ეწვოდა. თურქულის ასეთი აქიმობა არტილერიაში ნამსახური ჯარისკაცის და ყოფილი „მეტაჩკის“ — კაპლო ვარდიაშვილის რჩევის თანახმად წარმოებდა. იგი აკრძალულ იქნა ბეითლის მიერ, მაგრამ კაპლო ვარდიაშვილი მაინც განაგრძობდა თავისი უებარი წამლით მკურნალობას და მას სავსებით იზიარებდა ყოფილი მეფურგუნე და მასავით ავარა კოკო ხელაძეც.

3

იმ დღეს კორნელი, სანდრო და გრიგოლი ბრიგადის საყარაულო რაზმში მოხვდნენ. ყარაულის გამოცვლის მერმე, რაზმი პატარა შენობაში შევიდა. ჯარისკაცებმა ზურგჩანთები კუთხეში ჯოგინად დააყენეს. ზოგი ტახტზე წამოწვა და ზოგმაც საგუშაგოზე გასვლამდე, წიგნის კითხვა დაიწყო.

დაღამდა. ნავთის ლამპით განათებულ მაგიდასთან, ყარაულის უფროსი, პოდპორუჩიკი შენგელია იჯდა, პატარა წიგნი გაეშალა და სამხედრო წესდებას იზეპირებდა.

სანდრომ ჩაიდანი შემოიტანა, გუშაგებს ჩაი დაუსხა, ჯარისკაცები ჩაის სვამდნენ, შაქარს ახრამუნებდნენ და საგუშაგოზე გასვლას ელოდნენ.

დაღამებამდე გუშაგებს შიში არ უგრძვნიათ, მაგრამ როდესაც დაღამდა, ჯარისკაცებმა ყაზარმებში დაიძინეს და ბრიგადის მოედანზე წყვდიადი დაეშვა, მაშინ კი შეფიქრიანდნენ.

ნაშუაღამევს ბარგ-საწყობთან გუშაგობა რიგით კორნელის ერგო, გუშაგების განმრიგებელმა, გრიგოლმა, ჯარისკაცები საგუშაგოსკენ წაიყვანა. ბნელი მოედანი გალიეს და, როდესაც საწყობს მიუახლოვდნენ, იქ მდგარმა გუშაგმა დაიძახა:

— ვინ მოდის?

— მე ვარ, — მიუგო გრიგოლმა გუშაგს კუკური ზარანდიას. კუკურის გაეხარდა, რადგან ბნელი და სუსხიანი ღამე იყო და საწყობთან ორი საათი დგომა გასჭირვებოდა. იქნებ შიშიც განიცადა. აკი ამ საწყობთან მოჰკლეს ამასწინათ გუშაგი. კორნელიმ კუკური შეცვალა. საწყობთან დადგა და შაშხანა გადმოიღო.

— არ შეგნატრი, ძმაო, — უთხრა კუკურიმ, — ჯერ ერთი, საშინლად ცივა, და, მეორეც — ამ ბნელ ღამეში არაფერი არა ჩანს და თვალები კეფაზეც უნდა გქონდეს გამობმული, თორემ...

— ნუ გეშინია... პაპიროსი არ მოსწიო. მალე მოგაკითხავ, — დაიმედა კორნელი გრიგოლმა.

— რისა უნდა მეშინოდეს, — იავარად მიუგო კორნელიმ და წყვდიადით მოცულ მოედანს შიშით გახედა. გრიგოლმა მხარზე დაჰკრა ხელი და ჯარისკაცები წაიყვანა. ისინი მალე გაუჩინარდნენ.

საწყობი საბურთალოს მაღლობზე იყო გაშენებული. ჩრდილოეთის ცივი ქარი თავისუფლად თარეშობდა მთის გაშლილ ტაფობზე. კორნელიმ ბუხრის ქუდი ყურებზე ჩამოიფხატა. მერმე ბარგ-საწყობის კედელს მოეფარა და ისევ მოედანს გახედა. მართლაც არაფერი არ ჩანდა. ოდნავ განათებული ფანჯრები ბუტუტავდა მხოლოდ. ომში ნამყოფი ჯარისკაცების მიერ დაკავებული ყაზარმიდან დაფა-ზურნის ხმა მოისმოდა. შაქრო ვეფხელსა და კოლია ჩერნას თავის მეზურნეები და გარმონზე დამკვრელები ჰყავდათ. ბოლოს დაფა-ზურნის ხმაც მიწყდა და ირგვლივ სამარისებური სიჩუმე დამკვიდრდა. „რას გაეჭვავებულვარ ამ კედელთან? სამი კედელი დაუზვერავი ნარჩება და შესაძლოა, ვინმე იქიდან მოეპაროს საწყობს“, — გაიფიქრა კორნელიმ და საწყობის ირგვლივ სიარული დაიწყო. სიცივისაგან ფეხები სძვრებოდა. ნაბიჯს აუჩქარა, მაგრამ არც ეს შველოდა, ქარი მომძლავრდა და სახეზე ყინვის მათრახებს სცემდა, ხან კიდევ ეკლებივით სჩხვლეტდა. სიარული შეუძლებელი გახდა. კორნელი ისევ საწყობის კედელს მოეფარა. მისი აზრით, ერთი საათი იქნებოდა გასული, მაგრამ ნამდვილად, ოცი წუთიც კი არ გასულიყო. მავთულებში ქარი ავად ზუზუნებდა.

— დასწყევლოს ღმერთმა კუდიახი! — ჩაილაპარაკა კორნელიმ და შავად აყუდებულ, დამუნჯებულ მთებს და წყვდიადით მოცულ ქალაქს გაჰხედა. ქალაქში აქა-იქ ნათურები ციმციმებდნენ. წამით კორნელიმ უპირატესობა იგრძნო ველარებით იმ ხალხთან, როძლებიც თავიანთ სახლებში ჭიანჭველებივით შემალულიყვნენ და ღრმა ძილს მისცემოდნენ. მაგრამ უპირატესობის და სიამაყის გრძნობა მაშინვე გაუფრინდა, რა წამს მოაგონდა, რომ იგი დგას სადარაჯოზე, სადაც ყოველ წუთს მოსალოდნელია თავს დაატყდეს უხილავი საშიშროება. ხალხის შედარება ჭიანჭველებთან, ხოლო თავისი თავის რჩეულ ადამიანად და გმირად დასახვა, ჭაბუკი გუშაგის შიშს ახლა ველარ აქარვებდა.

სიჩუმე ძაღლის ყეფამ დაარღვია. ძაღლი ისე ყრუდ ჰყეფდა ხევში, გვირაბში დამწყვდეული გეგონებოდათ. ხევიდან თითქოს კივილიც გაისმა. გუშაგი შეკრთა და სმენად იქცა. მაგრამ კივილი არ განმეორებულა. „შაჭრო ვერელისა და ჯოლკა ჩერნას ბიჭები თუ დაბორიალობენ ამ შუაღამით?“ — გაიფიქრა გუშაგმა. ქარმა კუდიანივით მიაკივლა. გულის ცემა აუვარდა. გაყინულმა თითებმა საშინელი ტეხა დაუწყო: „არც ისე ადვილი ყოფილა ჯარში სამსახური“, — ჯავრობდა კორნელი. შაშხანა იღლიაში ამოიჩარა, ხელები მაზარის ჯიბეში ჩაიწყო და მერმე ისევ ფიქრს გაჰყვა: „ვინ ოხერი მომდევდა, ჯარში ყველაზე ადრე რომ გამოვიქეცი. თითქო ჩემს გარდა, საქართველოში სხვა არავინ იყო. რა ისეთი სიმდიდრე აწყვია ამ დასაწვავ საწყობში, რომ ვუდარაჯო და მსხვერპლად შევეწირო?! მაგრამ რას ვამბობ? ეგ ხომ შიშით გამოწვეული ჯანყია! ვინ იცის, ამ მთების იქით რა ხდება ახლა? იქნებ თურქებმა ბათუმი აიღეს და საქართველოს გულში შემოიჭრენ კიდეც? როგორ გაეხარდება ესტატეს, ამ მაზარაში რომ მნახავს. როგორ გაუკვირდება ნინოს! — ფიქრობდა ვუშაგი. ნათლად წარმოუდგა ნინოს სახე და ნეტარება იგრძნო, მაგრამ ქარმა ისევ გაიბა ტელეგრაფის ბაგეთულებში კივილი, ძაღლმაც ისევ დაიწყო ყეფა-ყმუილი ჩაბნებულ ხევში და გუშაგის პატრიოტული გრძნობა და სამჯნურო განცდა უმალვე გაქრა.

„რად იგვიანებს გრიგოლი? ნუთუ ორი საათი არ გავიდოდა ამდენ ხანს? წუთში ხომ საბოცი წამია? მე დავთვლი

სამოცჯერ სამოცს და, ეს ერთი საათი იქნება“. — თავს ინუგეშებდა გუშაგი. თვლა დაიწყო, თითქოს შიშისაგან ხანა თვლაში იყო, მაგრამ შიშს თავი მაინც ვერ დააღწია და მაღე ანგარიშიც შეეშალა. შეჩერდა და გაიფიქრა: „სამოცჯერ სამოცი რომ დავთვალო, — ერთი საათი გამოვა. ოცდაათჯერ სამოცი, — ნახევარი საათი იქნება, ხოლო თხუთმეტჯერ სამოცი კი — თხუთმეტი წუთი“. ისევ დაიწყო თვლა და თვითეული სამოცის დათვლაზე, თითს მოკეცავდა. ამიტომ თხუთმეტჯერ თითის მოკეცის მერმე, მისი ანგარიშით, უკვე საათის მეოთხედი, ე. ი. თხუთმეტი წუთი უნდა გასულიყო. ახირებული ანგარიში მაღე ისევ შეეშალა და მოუთმენლობა დაეტყო. საყარაულო შენობას მიაშტერდა, მაგრამ იქიდან არავინ არ მოდიოდა და ირკვლივ ისევ ბნელი ღამე იდგა. ძაღლმა ყმუილი შესწყვიტა, გუშაგი უმწეოდ მიეყრდნო კედელს. რაღაც გაფაჩუნდა სულ ახლოს. გუშაგი შეკრთა და შაშხანა მოიმარჯვა. „ვინ უნდა იყოს?“ — გაიფიქრა მან. ყურებზე ჩამოფხატული ბეხრის ქუდი ასწია. სმენად და ცქერად იქცა. ნათლად ხედავდა: მიწაზე ხოხვით ხევიდან ვიღაც ამოდიოდა. უცნობის თვალები ნაკვერცხლებივით ღვიოდნენ. „ავაზაკი, ყაჩაღი“, — გაიფიქრა გუშაგმა და მუხლები მოეკვეთა. ისიც მიწაზე დაწვა. წამიერ, თვალთ დაუბნელდა. ყურებმა წივილი მორთეს, მავრამ როდესაც გულმკერდით მიწას ვაეკრა, დედამიწასავით უზარმაზარი ვეღის ძგერა შემოესმა და წინ ივ ავაზაკის ანთებული თვალები უფრო ნათლად დაინახა. „მოდის, მოხოხავს მთის კალთაზე, ხევში ქვა და ღორღი ცვივა. — ამ წამს გუშაგმა ათასი რამ გაიფიქრა. — სანამდე მოვუშვა მტერი, ხომ გამათავა?“ — გაუელვა თავში და შაშხანა გაბართა. ცაზე ღრუბლები გარღვეულიყვნენ და ერთადერთი ვარსკვლავის შუქი შაშხანის ლულას დაეცა. ფოლადი ოდნავ აელვარდა. გუშაგმა იდროვა და ავაზაკის ანთებული ღვალი მიზანში სმოიღო. ნელა დაუშვა სასხლეტი. შაშხანამ დაიჭექა. წინ აღმართულმა, დაყრუებულმა ქედებმა ცხრაჯერ გადასცეს ერთიმეორეს შაშხანის გრიალი და ბაშინვე გუშაგს გულში ჩაკლული. უცნაური კივილი შემოესმა. რაღაც ავსილ ტომარივით მძიმე დაცოცდა და მთის კალთიდან ხევისაკენ დაგორდა. „მოვახვედრე თუ არა?“ — გაიფიქრა გუშაგმა. ცა-

ჩიელი ვაზნა ამოაგდო და შაშხანის საკეტი ისევ გადარაზა. იგი მიწაზე გართხმულიყო და ისევ უმიზნებდა, მაგრამ თვალანთებული მტერი ახლა არა ჩანდა.

გავარდა თუ არა შაშხანა, გრიგოლი, სანდრო და კუკური საწყობისაკენ ქარივით წავიდნენ.

— კორნელი! — დაუძახა გრიგოლმა.

— აქა ვარ.

— რა მოხდა, რა ამბავია, შენ გაისროლე?

— ჰო, მე გავისროლე.

მორიგე ოფიცერი პოდპორუჩიკი შენგელიაც მოვიდა და გუშაგს ჰკითხა:

— რა მოხდა? — პოდპორუჩიკს ზემდეგი სოსო ლაზრიშვილიც ახლდა.

— ვიღაც მეპარებოდა, — მოახსენა პოდპორუჩიკს გუშაგმა. — აი აქედან, ხევიდან... დავუძახე, ხმა არ გამცა და გესროლე.

პოდპორუჩიკმა ბრძანება გასცა და ჯარისკაცები მთაზე და ველზე გაიშალნენ. სოსო ლაზრიშვილმა პარაბელუმი ამოიღო. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ, გრიგოლმა რბილ სხეულს წამოსდო ფეხი და უყვირა:

— ვინა ხარ?

უცნობი ხმას არ იღებდა. პოდპორუჩიკმა ჯიბის ფარანი მიანათა და ყველამ ცხადად დაინახა ახლა ნაგაზი. ძაღლს თავი სისხლით შეჰღებოდა. გუშაგს შუბლში მიერტყა ტყვია.

სოსო ლაზრიშვილმა გადაიხარხარა.

— მოდი და ასეთი ჯარისკაცებით იბრძოლე! — ჩაიქნია ხელი პოდპორუჩიკმა.

— შეუძლებელია, ბატონო პოდპორუჩიკო, — დაუდასტურა ლაზრიშვილმა.

მაყაშვილის ბინაზე

„ცივ სახლში“, სხვა მოქმედ პირთა შორის, გამოყვანილია გაროლდ სკიმპოლი, სწორედ ის, რომლისთვისაც ლი ხენტთან მისი მსგავსების გამო, დიკენსს წილად ხვდა მრავალი საყვედური. ეგ საყვედური დაუმსახურებელი იყო... დამტკიცებულია, რომ შეიძლება, რომელიმე ცოცხალი პირის გამოთქმათა სესხებით შეიქმნას საუბრის განსაზღვრული სტილი და მისი შეხამება სხვათა პირთა დამახასიათებელ თვისებებთან. სრულიად დასაშვებია, რომ დიკენსს მიზნად ჰქონდა ახალი ფორმაციის გაიძვერა დაეფარა ლი ხენტის ზერელე ფილოსოფიის ნიღაბით.

გ. ჩ ე ს ტ ე რ ტ ო ნ ი

დღეს კორნელი და მისი მეგობრები ქალაქში პირველად წავიდნენ. მდინარე ვერისაკენ ჩაირბინეს, პატარა დუქანში პაპიროსები იყიდეს, თუთუნის ქარხანას ჩაუარეს და ოლღას ქუჩას დაადგნენ. ჯარისკაცებს ეგონათ, ყველანი ჩვენ გვიცქერიანო. ისინი, მართლაც, სასაცილონი იყვნენ, გრძელი, განიერი მაზარა და ვეება ჩექმები ეცვათ. ყეენსავით მაღალი, წოწოლიკა ბუხრის ქუდები ეხურათ. კორნელიმ ამხანაგები გრიბოედოვის ქუჩით ესტატე მაყაშვილის ბინისაკენ წაიყვანა. ისინი სამსართულიან დიდი ქვის სახლს მიადგნენ. კორნელიმ გაუბედავად დარეკა. კარები ნინომ გააღო.

— კორნელი! — შესძახა მან, მდგმურს მკლავში ხელი წაავლო და ყველანი შინ მიიპატიჟა. — დედა, კორნელი მოვიდა, — განაგრძობდა ნინო ძახილს და განცვიფრებული უცქერდა ჯარისკაცის ტანისამოსში გამოწყობილ ჰაბუკებს.

სანდრო პირველი შევიდა სალტუმროში. ოფიცერივით გაიჭიმა, მასპინძლებს მხედრული სალამი მისცა, დეზები ერთმანეთს შემოჰკრა და ვარდოს ხელზე აკოცა. მას კარგად შეყვარებული ტანისამოსი ეცვა: ლურჯი შარვალი — გალიფე, შავყალმიანი წითელი მაუდის ქუდი და აზიური ჩექმები. სანდროს მიბაძვით თავის დაკერა უხეიროდ შეკერილ სამხედრო ტანისამოსში გამოწყობილ კორნელის არ უხდებოდა.

— ღმერთო ჩემო, რას დამსგავსებია ეს ხალხი! — გაუღიმა სასტუმროში შემოსულ მეუღლეს ვარდომ.

— მებრძოლთ ვახლავართ, — მიესალმა თავადი ესტატე მაყაშვილი კორნელის და მის მეგობრებს. მას ახალი ნაცრისფერი კოსტუმი ეცვა. თოვლივით თეთრი მანჟეტები უჩანდა. ჰალსტუკი ძვირფასი ქინძისთავით ჰქონდა დაბნეული. საჩვენებელ თითს მოოქვილი, სამუზეუმო ოქროს ბეჭედი უმშვენებდა. წავი და დიდრონი თვალების ზემოთ შეერთებული, ხშირი წარბები, ირანელის იერს ჰფენდა. ინგლისურად გაკრეჭილ ულვაშებში და გიშრისფრად გაპრიალებულ თმაში, საფეთქლთან, თეთრი შეჰპარვოდა.

დარბაზში ფართო ფარდაგი ეფინა, ხოლო კედლებზე— აბრეშუმის ფერად-ფერადი ხალიჩები ეკიდა. ძვირფასი სურათები ესტატეს პარიზში ეყიდნა. ფარდაგი და ხალიჩები კი მის ძმას, კაპიტან ჯიბო მაყაშვილს ეჩუქნა. 1911 წელს, როდესაც რუსებმა ქალაქი თავრიზი, ხოი აიღეს, მერმე თათარხანისა და მეჯლისელების სასახლეები დაარბიეს, ნაწილი ნადავლისა ჯიბოსაც რგებოდა და რამდენიმე ძვირფასი ფარდაგი, ხალიჩა და ოქროს ნივთები თავის ძმისა და რძლისათვის ჩაბოღტანა. ამ ძვირფას ხალიჩებს ძალიან შეეფერებოდა ვიწრო და მაღალ პოსტამენტებზე შედგმული ჩინური ლარნაკები. კუთხეში როიალი იდგა და იქვე დიდ კასრში ჩარგული პალმა, დარბაზის შუა ადგილას — სუროსფერი ხუზანის სუფრით დაფენილი მაგიდა და ირგვლივ ასეთივე ცერის სავარძლები. კარ-ფანჯრებზე ფოჩიანი ხავერდის პორტიერები ეკიდა. ესტატე მაყაშვილის ბინა მდიდრულად იყო მორთული: მის კაბინეტში და სასადილოში წითელი ხის მაგიდა, წიგნის კარადა და ბუფეტი იდგა. საწოლ ოთახში — კაკლის ხის ფართო საწოლები... ტუალეტი, პატარა ამფრებით შემკული, ვარაყიანი სარკე და მოოქრული ნივთები, ევროპელი-დიდგვაროვანი ქალის ბუდუარს მოგაგონებდათ. ასე მდიდრულად მორთულ ბინაში ყაზარმიდან მოსული მოხალისენი უხერხულობას გრძნობდნენ და მორცხვობდნენ. გაწითლებული სახით ჩაირაზმნენ. ჩექმების ბრახუნით შევიდნენ სასტუმროში, დასხდნენ და ბუხრის ქუდები მუხლის თავებზე დაილაგეს.

ნინო დედას გვერდზე მიუჯდა. მხრებზე ყვითელი შალი

მოესხა. გაკვირვებული მიშტერებოდა სტუმრებს. კორნელის თავზე-თმა გადაეპარსნა, ულვაშები მოეწვა და ყაზარმაში ცხოვრებისა და ჰაერზე ვარჯიშის გამო, სახე გაშავებოდა. ვარდომ მსუქან მხრებზე ესპანური შალი გაიწორა და კორნელის უთხრა:

— კორნელი, გაიხადეთ მაზარა. გარეთ ცივა და გაცივდებით. საცოდავებო, რა სასაცილონი ხართ ამ მაზარებში! კორნელი, თხოვეთ მეგობრებს, თქვენ ხომ შინაური ხართ?

„შინაური" — გაიმეორა. ნინომ თავის გულში სიტყვა, რომელსაც, მისი აზრით, დედა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, ხაზს უსვამდა.

— ნუ სწუხდებით, ქალბატონო, ჩვენ მალე უნდა წავიდეთ, — მიუგო სანდრომ და მეგობრებს გადახედა. მეგობრებმა დაუდასტურეს და მერმე პარკეტს დააცქერდნენ, იატაკი ჩექმებით ხომ არ მოვსვარეთო. ალგომას კი მაინც არავინ არ აპირებდა.

— სად მიგეჩქარებათ? დაიცათ, რა დროს წასვლაა?! ბრიგადის ამბები უნდა გვიამბოთ თუ არა?—ჰკითხა ესტატემ სანდროს და მოხალისეებს უთხრა: — ადექით, გაიხადეთ მაზარები.

მოხალისეები წამოდგნენ. სასტუმროში იუნკერის ჩექმებისა და ყაზარმის სუნი დაყენეს. მერმე დერეფანში გავიდნენ. მაზარები გაიხადეს, კაჩხაზე ჩამოჰკიდეს და კარებთან შეჯგუფდნენ. სასტუმროში პირველად შესვლა ყველას ერიდებოდა, ერთმანეთს მუჯლუგუნს ცემდნენ და ჩექმებს აბრახუნებდნენ. სანდრო ყველაზე წინ შევიდა, მაგრამ ვარდომ ისევ გადაიხარხარა:

— ღმერთო ჩემო, რასა ჰგავს ეს ოქვენი ხალათები?!— ზონარებით შეკრული, დაბამბული სათბურები — ქურთუკები აოცებდა ვარდოს... ჯიბეკებმა სულ მთლად დაირცხვინეს, მაგრამ ისინი ესტატემ გაამხნევა:

— ასეთი ყოჩაღი მებრძოლები ბერლინამდე თუ გვეყოლა, ფურჩქვეთი ვერას დაგვაკლებს.

მან თვალი შეავლო ფართობეჭებიან და ერთი თავით ყველაზე მაღალ ვაჟკაცზე — მიტო ჩიქვაიძეზე... მძლეოსნობაში ტოლი არ ჰყავდა მიტოს, ხოლო იარაღებზე ვარჯიშობაში კი ჭორნელი სჯობნიდა. კუკური ზარანდიას, თუმცა

დიდი მოვარჯიშე არ იყო, ზედვე ეტყობოდა მთიანი სამეგრელოს კაცის ჯანი და სიმკვირცხლე. კუკური კორნელიზე და სანდროზე ორი წლით უფროსი იყო. ოცდასამი წლის ვაჟკაცს, შავი ულვაშები გადაეგრიხა. მოკაუჭებული ცხვირი და სრწივსავით ბასრი თვალები ჰქონდა. ნიჩაბივით ფართო ხელების გამო, მასთან ჩხუბს ყველანი ერიდებოდნენ. სულ სხვა ჯურის კაცი იყო სანდრო ხოტივარი. მას ლამაზი, ნაზი და ოდნავ შავგვრემანი სახე ჰქონდა. ახალი მოდის კოსტუმი, ტუფლები და ჰალსტუკი მის მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა. მოხდენილ, გრძელ თითებზე, გრძელსავე, ლამაზად დაქნილ ფრჩხილებს ატარებდა. იგი კოხტაობის მოყვარული ჭაბუკი იყო. წაბლისფერი ხუჭუჭი თმით, თაფლისფერი ლამაზი თვალებით, პატარა, სწორი ცხვირის გაბერილი ნესტოებით, მრგვალი ნიკაპით და მსუქანი წითელი ტუჩებით თბილისის ლამაზ ქალებს ხიბლავდა. სანდრო ხალხში გასული კაცი იყო. მისი კოხტაობა, პრანჭვა-გრეხა და კოსმეტიკით გატაცება ჯვებე მიქელაძეს ეჯავრებოდა, კიცხავდა და „ფრანტს“ ეძახდა. მაგრამ სანდროს კოხტაობა კორნელის არ ეჩოთირებოდა: ის და სანდრო განუყრელი მეგობრები იყვნენ.

ვექილი ესტატე მაყაშვილი ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას ეკუთვნოდა. ეროვნულ საკითხებზე ლაპარაკი, თუკი სადმე ხელი მიუწვდებოდა, არასოდეს არ მოსწყინდებოდა. მოხალისე სტუდენტებზე უკეთეს მსმენელებს იგი იშვიათად თუ წააწყდებოდა. ამიტომ თავს არ ზოგავდა ახლა, რათა თავისი მრწამსი გამოემჟღავნებინა. მას სიტყვის ლამაზი აღნაგობა — ფორმა უფრო ხიბლავდა, ვიდრე შინაარსი. მის სიტყვას ყოველთვის თან ახლდა ჭარბი ჟესტ-მიმიკა.

— რევოლუციამ ჩვენს ხალხს თავისუფლება მიანიჭა, მიანიჭა ის, რაზედაც ჩვენ ამ ასი წლის განმავლობაში ვოცნებობდით. მომავალი თაობა არასოდეს არ გვაპატიებს, დამოუკიდებელი სახელმწიფო თუ ახლავე არ ჩამოვაყალიბეთ,— განაცხადა ესტატემ და განაგრძო, — მართალია, მეტად მძიმე პირობებში გვიხდება სახელმწიფოს შექმნა, ყველაფერი ჩვენს ირგვლივ დღითიდღე ირღვევა, მაგრამ მთელი ჩვენი ძალ-ღონე უნდა დავჭიმოთ და დამოუკიდებლობა შევინარჩუნოთ. უპირველეს საჭიროებას დღეს ძლიერი ჯა-

ჩრის შექმნა წარმოადგენს. ამიტომ მიხარია, ჯარისკაცებს რომ გხედავთ. იმედი მაქვს, თქვენ ჩვენი ქვეყნის სამაგალითო ძეგრძოლების სახელს დაიმსახურებთ.

— ჩვენი ბიჭები თავს არ იზოგავენ, — მიუგო სანდრომ,— ჰგვიან და ასუფთავებენ საჯინიბოებს, გაჭუჭყიანებულ და ფანჯრებჩალეწილ ყაზარმას. ჯერ ცოტანი ვართ. ერთზე — ხუთი ცხენი მოდის. მოკაზმულობა და იარაღი არა გვყოფნის. ცუდად გვაცვია და ცუდად ვიკვებებით.

— აფსუს, — შენიშნა ესტატემ, — ეს იმ დროს ხდება, როდესაც საწყობებში იმდენი იარაღი, მოკაზმულობა და სურსათი არის, რომ რამდენიმე არმიასაც კი ათი წლით ეყოფა.

საუბარი ზარის ხმამ შესწყვიტა. სასტუმროში ესტატეს ძმა — ახოვანი კაპიტანი ჯიბო და ვიღაც ორმოცი წლის კაცი შემოვიდნენ.

ჯარისკაცები წამოიჭრნენ და ფრონტში ჩადგნენ.

— გამარჯობათ, ბიჭებო — მიესალმა მათ კაპიტანი.

— გაუმარჯოს, — შესძახეს ჭაბუკებმა.

— დასხედით, — ნება დართო ჯიბომ ჯარისკაცებს და, როდესაც დენი მოვიდა და ჭაღი აინთო, კორნელი იცნო და დაიძახა: — აა, კორნელი!

სამოქალაქო ტანისამოსში ჩაცმულ კაცს პლატონ მოგველაძეს ძალიან მოეწონა კაპიტნის მისალმება და ახოვან ჯარისკაცთა პასუხი, ვარდოსთან საუბარს თავი მიანება, ჯარისკაცთა წინაშე გაჩერდა და იყვირა:

— გაუმარჯოს საქართველოს!

— გაუმარჯოს! — შესძახეს ჯარისკაცებმა.

პლატონის მრისხანე თვალები უცნაურად აღენთნენ, თითქო უსიცილავ მტერს ხმალში იწვევდა. უცნაური კაცი იყო პლატონ მოგველაძე. იგი ყველას უნდობლად ეკიდებოდა. კაცისადმი უნდობელ დამოკიდებულებას თავისებურად ასაბუთებდა: „ისეთ ქვეყანაში, სადაც მოჰკლეს ილია, მე არავის არ ვენდობიო“. მოგველაძე უმეგობრო კაცი იყო, მარტოობა უყვარდა და ამასაც თავისებურად ასაბუთებდა: „ქართველი კაცის პათოსი ინდივიდურ ყოფაში ცნაურდება და არა კოლექტიურში“. იგი ძალზე ეჭვიანი, პატივმოყვარე, ეგოცენტრიზმით და განდიდების მანიით შეპყრობილი კაცი

იყო. განათლება ევროპაში მიიღო. ფილოსოფიის და ხელოვნების დიდ მცოდნე კაცად მოჰქონდა თავი, მაგრამ ხშირად ელემენტარული საკითხების უცოდინარობას ამჟღავნებდა. იგი სოფლელი დიაკვნის შვილი იყო, ინგლისელი ლორდის შვილობას მონატრებული. ინგლისელს რომ დამსგავსებოდა, ბაგეთა კუნთების დაძაბვისა და დაჭინთვის საშუალებით, ნიკაპი ხელოვნურად გაეფართოებინა. და არა მარტო ნიკაპი, მისი სახის ყოველი ნაკვთი, ყოველი მისი მოძრაობა, ქცევა, სიტყვა და მოსაზრება, მთელი მისი არსება, ხელოვნურად იყო გაბერილი, დაძაბული, დაჭინთული და შეკოწიწებული. იგი ხელოვნურად გაკეთებულ კაცსა ჰგავდა. მსახიობური ნიღაბის ტარებით ხშირად იღლებოდა და, როდესაც შინ მარტო დარჩენილი, სარკეში ნიღაბახდილ, ბუნებრივ თავის სახეს, გაქსუებულ ცხვირს და თხელ ნიკაპს დაინახავდა, — შეძრწუნდებოდა. თავისი სახით გულნატკენი „ზეკაცი“, მაშინვე თვალის უპეთა ქვეშ მდებარე კუნთებს ასწევდა, თვალებს ხელოვნურად აღანთებდა, ბაგეს გასჭიმავდა, სახეს დაძაბავდა და ქალაქში ისევ მსახიობის ყალბი ნიღბით გავიდოდა. თავზე დაკოსებული კატელოკით, ხელთათმანით, სტეკით, სახის მრისხანე გამომეტყველებით იგი გამზირზე ჩქარა გაივლიდა, იაქესავით მარტო, ბრაზმორეული, სამართებელივით ალესილი, თითქოს ქვეყანას ემდურის და ხმალში იწვევსო. საქართველოში იმჟამად ჩამოყალიბებულმა ლიტერატურულმა ჯგუფმა იგი თავის ხელმძღვანელად გამოაცხადა და მოულოდნელად, ორმოცი წლის კაცმა, პოეტობა დაიწყო.

პლატონ მოგველაძემ თეატრალური ჟესტით ასწია ხელი და ახოვან ჯარისკაცებს ისევ შესძახა:

— გაუმარჯოს საქართველოს გვარდიას!

— გაუმარჯოს! — მიუგეს ჯარისკაცებმა.

— გვარდიას ნუ გამაგონებთ, — განრისხდა კაპიტანი.

— მენშევიკების სახალხო გვარდიაზე როდი მოგახსენებთ, კაპიტანო, — შენიშნა მოგველაძემ.

— გვარდიაზე რა მოგახსენოთ, — განაცხადა ესტატემ,— ბოლო მთავრობა რეგულარული ჯარის შედგენას გულგრილად რომ ეკიდება და შესაძლოა ამ გარემოებამ საქართველო დაღუპოს, ეს კი კარგად ვიცი.

— ჩემს ათასეულში, — დაიწყო კაპიტანმა, — ოთხმოცამდე ჯარისკაცი თუ იქნება ამჟამად. იქვე, ჩვენს გვერდით, კი ხუთასი ვიღაც ფრონტელი არის დაბანაკებული. ამ ლეგიონის კომიტეტის წყალობით, ჯარისკაცთა შორის ბოლშევიკების აგიტატორები დაძვრებიან.

— ის ლეგიონი, ალბათ პირველ შემთხვევისთანავე, მთავრობის დასამხობად გამოვა, — შენიშნა ესტატემ.

— ჩვენი მთავრობა ნამდვილად ბეცია. იგი იმ ლეგიონის გარეშეც წყალწაღებულია. თურქეთთან კავშირის გარეშე ბოლშევიკებს ვერ გადავურჩებით. ბოლშევიკებს თურქები მირჩჩვნია, — გადაწყვიტა კაპიტანმა.

ჯარისკაცებმა გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს. არ მოეწონათ კაპიტნის ახირებული მოსაზრება.

— არჩევანზე საქმე თუ მიდგა, რალა თურქეთთან დავიჭიროთ კავშირი, შე კაი კაცო, ბარემ პირდაპირ გერმანიას დავუკავშირდეთ?! — მიუგო ძმას ესტატემ და კარებგამოღებულ თავის კაბინეტში, კედელზე დაკიდებულ დიდ სურათს გახედა.

სურათზე ბრძოლის ველი ჩანდა. ხის ქვეშ, უბრალო მაგიდის ირგვლივ, გერმანიის არმიის მთავარი შტაბის ოფიცრები იდგნენ. ოფიცრებს მორიელის კუდივით ბოლოაწეული ქუდები ეხურათ და ბრძოლის ველს დურბინდებით გასცქეროდნენ. მათ წინ, მაცქერალისათვის უფრო ახლოს, მაგიდაზე სამხედრო რუკა იყო გაშლილი. რუკას გერმანიის კაიზერი — ვილჰელმი დასცქეროდა. მთავარი შტაბის უფროსი გენერალი ლუდენდორფი კაიზერს მანევრების მსვლელობას აცნობდა და განუმარტავდა. იქვე, უძრავი და ბებერი მთავარსარდალი — ჰინდენბურგი გოლიათი ფელდფებელივით იდგა.

მსოფლიო ომის დროს, პირველ ხანებში, გერმანიის არმიის გამარჯვებით გაოცებული და აღტაცებული ვექილი მაყაშვილი პირწავარდნილი გერმანოფილი შეიქნა. გერმანიის სამხედრო ძლიერების, ფილოსოფიის, მუსიკის მთაყვანებელი... აღნიშნული სურათის გარდა, კაბინეტში შოპენჰაუერის, ნიცშეს და ვაგნერის პორტრეტებიც ეკიდა. ვიწრო და მაღალ მაგიდაზე გრანაფონი იყო, მემბრანა დღედაღამ ხახავდა ფირფიტას და ვექილის ბინაში ძველი ბავარული, ახალი პრუსი-

ული და სხვა მარშები გაისმოდა. სწორედ იმ გერმანოფილობამ დააკავშირა ერთმანეთს ესტატე მაყაშვილი და პლატონ მოგველაძე. ახლა პლატონმა დაიწყო:

— ჯერ არ ყოფილა და არც ამჟამად არის სადმე ისეთი ერი ამქვეყნად, — ამბობდა პლატონი, — თავისი ფილოსოფიით და მუსიკით გერმანელ ხალხს რომ გაეჯიბროს. არავინ არის ამქვეყნად გერმანიის მძიმე ინდუსტრიის პირმშოს — გერმანიის არმიის მჯობნი. რა ბედნიერი იქნებოდა საქართველო, გერმანიის მფარველობას რომ ღირსებოდა. ტახტზე დაგვესვა ბაგრატიონთა უკანასკნელი ნაშიერი. ვეღირსებოდეთ ძლევამოსილ ქართულ ლაშქარს. მოვიდოდნენ ქართველი ხალხის დასახმარებლად სწორუპოვარი გერმანელი მეცნიერები, სპეციალისტები, ინჟინრები, ინსტრუქტორები, მრეწველნი და საქმის კაცნი...

— ნახევარ საუკუნეზე ადრე ამოსწურავდნენ მთელი ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეს, ჩვენი ხალხის ძალ-ღონეს და მერმე გაჩანაგებულს დააგდებდნენ, — განაგრძო მიტო ჩიკვაიძემ.

ყველანი გაოცებით მიაშტერდნენ ახოვანსა და ვეება ჭაბუკს, თბილისის ორთქლმავალ-სარემონტო ქარხნის ზეინკლის შვილს. პლატონი შეკრთა, სოლო ესტატე მაყაშვილმა ნაღვლიანად შენიშნა:

— მაშ, უცადეთ, უცნაურო ჭაბუკო, რევოლუციის გაღრმავებას! უცადეთ, როდის დამთავრდება სოციალიზმის იღუზიებით შეპყრობილი ფანტაზიორების ექსპერიმენტი.

— ჩვენ იმიტომ კი არ წავსულვართ ჯარში და ვაპირებთ ბრძოლას, საქართველო გერმანიის ახალშენად რომ ვაქციოთ და აქ ვილაც დეგენერატი ბაგრატიონი კისერზე დავისვათ. ჩვენ რევოლუციურ საქართველოს და მის თავისუფლებას ვიცავთ! — შეუტია მოთმინებიდან გამოსულმა „უცნაურმა“ ჭაბუკმა. ესტატემ მიკიბ-მოკიბულად მიუგო:

— რევოლუცია უთუოდ საჭირო იყო... მეფის ტახტის დაშხობა დიდებულია... მაგრამ, დამეთანხმეთ: საშინელი დომხალი სუფევს ახლა საქართველოში. ამდენი პარტიები, ერთმანეთის წეწვა-გლეჯა, უთანხმოება...

კაპიტანს არა გაეგებოდა რა პოლიტიკისა. მას თავისი შუცლის გვრემა აწუხებდა:

— მაშ, მაშა, — მიემხრო იგი ძმას, — მთავრობა ამდენი

პარტიული რაზმებისა და გვარდიის შედგენით აფერხებს ერთი მთლიანი რევოლუციური ჯარის შედგენას და ხელს უწყობს სამხედრო ძალების დაქსაქსვას. ნამდვილი ჯარისკაცები ჩვენ არა გვყვანან.

— რასაკვირველია, — იყვირა პლატონმა და კაბინეტში შევიდა. კედლიდან ჯიბოს მიერ ნაჩუქარი კარაბინი ჩამოხსნა, საკეტი გამოიღო და ლულას სინათლეზე გახედა. ჯარისკაცებიც კაბინეტში შევიდნენ და პლატონს გარს შემოეხვივნენ. კაპიტანმა პლატონს კარაბინი გამოართვა. ახლა მან გაჰხედა, შეამოწმა და ძმას — ესტატეს შენიშნა:

— ცუდად გაგიწმენდია.

— თოფის ზეთი ვერ ვიშოვე. ლეგიონიდან გამომიგზავნე, — შეეხვეწა ესტატე.

— დაიწყება ახლა ამ სამიწე თოფის ჩხაკუნი, — ჩაილაპარაკა ვარდომ. პლატონმა გაიცინა, ხელზე აკოცა და მიუგო:

— ხომ ხედავთ, ქალბატონო, რა დღეში ვართ?! ჩვენს საზღვრებს თურქები მოადგნენ. შიგნით კი ბოლშევიკები აფეთქებას გვიპირებენ. მოდით და თოფს ნუ აიღებთ?!

ეს ყალბი, ფუქსავატური კილო და ქცევა, რომლითაც წარმოთქმული იყო ეს სიტყვები, ეკალივით მოხვდა გულზე ძიჭოს და ტანში გააჟრჟოლა, მაგრამ იყუჩა.

— არაფერი ეშველება ბოლშევიკების ალაგმვას: არც გაზეთების დახურვა და ცემა-ტყეპა, არც რუსეთში მათი გაღასახლება, — სწუხდა ვექილი.

საუბარში ისევ ჯიბო ჩაერია:

— სხვათა შორის, — განაცხადა მან, — ამაღამ, თბილისში, დიდი ამბები დატრიალდება, თქვენ კი არაფერი არ იცით.

— რა ამბავი? — ერთხმად შეეკითხნენ ესტატე და ვარდო.

— არსენალში და საპოორთა ყაზარმებში მოკალათებული ბოლშევიკური ჯარების განიარაღება. — მიუგო კაპიტანმა და ჯარისკაცებს ურჩია, ბრიგადაში წასულიყვნენ.

პლატონ მოგველაძემ მიტო ჩიკვაიძეს შეხედა და მერმე კაპიტნის გასაგონად განაცხადა:

— ჩვენი ბრიგადა ამ ჭაბუკის მსგავსი მოხალისეებისაგან

თუ არ შედგება, ბოლშევიკებს ვერას დავაკლებთ. ეს ჭაბუკი დამთავრებული ბოლშევიკი, მთლიანი პიროვნებაა და, საჭიროებამ თუ მოიტანა, იგი თავის სამშობლოს დედაქალაქს ბომბებს დაუშენს.

— საქართველოში კონტრრევოლუციამ თუ გაიმარჯვა, მას ჩვენ ბომბებსაც დავუშენთ, — მიუგო მიტო ჩიკვაიძემ.

ესტატე და ვარდო შეშინებული თვალებით მიაშტერდნენ შას და ჯარისკაცები ვახშამზე აღარ დაპატიჟეს.

სტუმრები წასასვლელად მოემზადნენ. კორნელიმ ნინოსთან ცალკე შეხვედრა ვერ მოახერხა და სწუხდა. ნინო თითქო მიუხვდა წადილს და ჰკითხა:

— კორნელი, თქვენი ოთახი არ გინდათ ნახოთ? —კორნელისთან შესახვედრად ასეთი საბაბის გამონახვა ადვილი არ იყო ახალგაზრდა ქალისათვის, რომელიც, ეს-ეს არის, ეჩვეოდა მიჯნურთა გონივრულ მოქნილობას, მიხვედრასა და გზა-ხერხის გამოძებნას.

ჯიბო და პლატონი წავიდნენ, ხოლო კორნელიმ ცოტა ხნით შეაცდევინა მეგობრებს და მერმე ის და ნინო სასტუმროდან გავიდნენ.

— მშვიდობით, ჩემო მყუდრო ბინავ და უდარდელო ცხოვრებავ! — პათეტიკურად განაცხადა ნინოსთან ერთად თავის ოთახში შესულმა კორნელიმ.

— კორნელი, თქვენ ისე ლაპარაკობთ, თითქო ჯარიდან არასოდეს არ აპირებთ დაბრუნებას, — ნაღვლიანი ხმით შენიშნა ნინომ.

— ვინ იცის? ღამით ავაზაკები თავს ესხმიან და ხოცავენ გუშაგებს.

— ღმერთო ჩემო! — ამოიოხრა ნინომ. — გამოცვლილი მეჩვენებით. თქვენს სახეზე მრისხანება სწერია...

— ჯარში და ომში მტრედის გული, სინაზე და სისათუთე არ გამოდგება. იქ არწივის ბასრი ბრჭყალები, დაუნდობელი ბრძოლა და სისასტიკე არის საჭირო, — შენიშნა კორნელიმ, თითქოს მის თავზე ომის გრიგალს გადაევლოს.

კორნელიმ წიგნები გადაარჩია და ყაზარმაში წასაღებად ფლობერის „სალამბო“ აღო. მერმე გასწორდა და ნინოს დააცქერდა. ირგვლივ სიჩუმე სუფევდა. მხოლოდ ქვედა სართულიდან როიალის სევდიანი ხმები ისმოდა. უცბად კორ-

წელის მოეჩვენა, თითქოს ეს სამსართულიანი დიდი სახლი „ტიტანიკად“ ქცეულა, ზღვაში მისცურავს და დაღუპვის წინ, სამგლოვიარო მარშს უკრავენო. ქალაქის უბნები ჩაბნელებულიყვნენ და მაყაშვილთა სტუმრებსაც ენა დაბმოდათ დარბაზში. კორნელიმ დაღუპვის წინ მდგარი კაცივით დაიწყო:

— ვინ იცის, იქნებ ისეთი დროება დადგეს, რომ თქვენც ჯარში და ომში მოწყალების დად წახვიდეთ. ბრძოლის ველზე იარას გვიხვევდეთ! ნინო, მე ვხედავ, წმინდა ასულს თეთრ ტანსაცმელში, მკერდს სისხლისფერი ჯვარი რომ უმშვენებს...

ახლა მებრძოლი „არწივის“ მკერდში „მტრედსავით“ სათუთი გული ძგერდა. ნინო კორნელის დადუმებულ სახეს და შთაგონებულ თვალებს შესცქეროდა. შეეცოდა ომში მიმავალი. კორნელიმ შენიშნა. „ნინო“,—დაიძახა მან, მიიჭრა და ორთავ თვალი დაუკოცნა.

ვარდომ სასტუმროდან დაუძახა შვილს:

— ნინო, ნუ ავვიანებ კორნელის, მეგობრები ელოდებიან!

სამასამსაშ ვერსზე

ფრონტიდან შინ მიმავალი ჯარების გზა თბილისზე გავლით მიემართებოდა. მთავრობამ ყარსის რკინიგზის ხაზი უშუალოდ შეუერთა ბაქოს რკინიგზის ხაზს სამასამესამე ვერსზე. ამგვარად, ჯარისკაცები არ ეწდა მოხვედრილიყვნენ თბილისში.

პოლკოვნიკ ახმეტელაშვილის მოხსენებიდან

1

სასახლის წინ რუხი ფერის მანქანა გაჩერდა. იქიდან გენერალი გიორგი მაზნიაშვილი გადმოვიდა. მას შავად გარუჯული, გაპარსული სახე და ბაგეთა კიდეზე დაშვებული ულვაშები ჰქონდა. იგი მონგოლს ჰგავდა. გენერალმა მაზნიაშვილმა ოცდაათი წელი მთლიანად საბრძოლო სამსახურში და

ბოლოს ევროპის ომში გაატარა, ვარშავასთან ბრძოლებში ნატყვიარი ხელი შეხმობოდა და მკერდზე უმოძრაოდ ეკიდა. იგი ამასწინათ დაბრუნებულიყო საშობლოში. ახლა აქ ისევ ომის სუნი იგრძნო და ისე, ვით ლეგიონის ცხენმა, ნაცნობი მარშის გაგონებისას, ყურები ცქვიტა, ატოკდა და აღეგზნო.

გენერალი ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარის — ევგენი გეგეჭკორის კაბინეტში შევიდა. გეგეჭკორი წამოდგა, მიესალმა და ღიმილით ჩამოართვა ხელი. აღელვებას არ იჩენდა. კაბინეტში რამიშვილიც შევიდა და ისიც გენერალს მიესალმა. გეგეჭკორმა ტკბილად დაიწყო:

— მოუთმენლად გელოდებით, გენერალო. გვსიამოვნებს თქვენი ნახვა.

— რით შემიძლია გემსახუროთ, ბატონო თავმჯდომარევ?

— თქვენ ახლა მეტად საჭირო ხართ ჩვენი ქვეყნისათვის. — უთხრა გეგეჭკორმა და მაშინვე შეეკითხა: — შეძლებთ თუ არა, გენერალო, ამჟამად თქვენს განკარგულებაში არსებული ძალებით ააშოროთ თბილისს განსაცდელი?

მაზნიაშვილი ოდნავ დაიბნა:

— ბატონო თავმჯდომარევ, — მიუგო მან, — თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ქართული რეგულარული ჯარის შედგენა მეტად ნელა მიმდინარეობს. მაგრამ... იმ ძალებითაც, რომელიც ახლა ჩვენ ხელთ არის, მე შევეცდები ყოველგვარი ზომები მივიღო... — გენერალს ჯერ კიდევ არ დაესრულებინა სიტყვა, რამიშვილი წამოიჭრა, ხელები ჯიბეში ჩაიწყო და ოთახში გაიარ-გამოიარა, მერმე უცბად შეჩერდა, გენერალს მიუბრუნდა და უკმეხად უთხრა:

— დიახ, ყოველგვარი ზომები უნდა მივიღოთ, რომ საბოლოოდ აღმოვფხვრათ აქ, ჩვენში, ბოლშევიზმი...

გეგეჭკორმა მეტად სავალალო მდგომარეობა დახატა:

— როგორც იცით, ჩვენ, ერთი მხრივ, ბოლშევიკური გადატრიალების საშიშროების წინაშე ვდგევართ, მეორე მხრივ, ჩვენს საზღვრებს თურქეთის ჯარები მოადგნენ და ამიერკავკასიის დაპყრობას აპირებენ. სამასმესამე ვერსზე ფრონტიდან მომავალი თექვსმეტი ეშელონი დაბანაკდა. ბოლშევიკური აგიტაციით აღელვებული ასი ათასი ჯარისკაცი ყოვლად მიუღებელ მოთხოვნილებებს გვიყენებს. ისინი ისე გა-

ხავხედნენ, რომ თბილისში შემოსვლას და მთავრობის გადადგომასაც კი მოითხოვენ, — დაასრულა გეგეჭკორმა. მეფეს გვირგვინით მოჭედილ გენერლის ღილებზე უნებლიეთ შეაჩერა თვალი და გაიფიქრა: „მეფის არმიის გენერალს, ალბათ, მაინცდამაინც არც ჩვენ ვეპიტნავებით, მაგრამ ბოლშევიკებთან ბრძოლაში, უთუოდ დაგვეხმარებაო“. მართლაც გენერალი მაზნიაშვილი მაშინ ფიქრობდა: „მენშევიკური მთავრობის გადაყენება და მათი გვარდიის გარეკვა ცუდი ზოდია, მაგრამ არა ბოლშევიკების და მათი ეშელონების, არამედ ქართული რეგულარული ჯარების მეოხებითო“. ფანჯარასთან მდგარ რამიშვილს გახედა, ოდნავ გაიღიმა, განკიცხვის ნიშნად, თავი გააქნია და გეგეჭკორს უთხრა:

— დახეთ, როგორ გათავხედებულან ეშელონები, სანამდე მისულან?!

რამიშვილი ისევ თავის ადგილას დაჯდა.

— და რა მოაქვთ მათ? — იკითხა მან და პასუხი თვითონვე გასცა: — სამოქალაქო ომი და ანარქია.

— დაყოვნება არ შეიძლება, — განაგრძო გეგეჭკორმა და ისევ გენერალს მიაშტერდა. გენერალმა იგრძნო, რომ ამ ცერკავკასიის შეშინებული მესვეურები მას ეკიდებოდნენ, ის როგორც წყალწაღებულნი ხავსს. და ხავსმა თავი დაიფარა, თავი ფესვმაგარ მუხად გაასაღა, თუმცა, ამაზე უარეს პირობებში და ცხარე ომის დროსაც, გენერალი არა ერთხელ დამდგარა, მართლაც, ფესვმაგარ მუხასავით.

— მე ვფიქრობ, ეშელონების საფრთხეს თავს დავაღწევთ, — განაცხადა მან. გეგეჭკორმა შვება იგრძნო. იგი გამხნევდა და ახლა დამშვიდებით ჰკითხა გენერალს:

— როგორ მიგაჩნიათ თქვენ შექმნილი მდგომარეობა?

— ეშელონები სამშობლოში, მშობლებისა და ცოლშვილისაკენ მიეჩქარებიან, ყოველ ჯარისკაცს თან მიაქვს ფრონტზე და გზადაგზა მოპოვებული ნადავლი, ბარგი-ბარხანა და, გზაში დიდი ხნით შეჩერება, მათთვის სასურველი არ არის,— მიუგო მაზნიაშვილმა, რომელსაც თავის თავი ჯარისკაცთა სულისკვეთების მცოდნე კაცად მიაჩნდა. დაიმედებულმა რამიშვილმა ფეხი ფეხზე გადაიდო, მაგრამ მაზნიაშვილმა მაშინვე არსებითი შენიშვნა გააკეთა და დასძინა:

— მეორე მხრივ, ნადავლის დაპირების პროპაგანდით, ჭა-

ლაქთან ახლოს დაბანაკებული ჯარის შეცდენა, ადვილი საქმეა. მე ამის საბუთიც მაქვს, ჯარისკაცებს დასაბარებლად თბილისის ბოლშევიკები უხმობენ.

— მაშ, მდგომარეობა მეტად უნუგეშო ყოფილა, —შენიშნა გეგეჭკორმა სასოძიძდილის ხმით. ხშირი წარბები შეჰყარა და ქვედა ბაგე დაბლადაცემულივით ჩამოეკიდა. რამიშვილი აიმრიზა:

— თქვენ ბუნდოვნად ლაპარაკობთ, გენერალო, ერთი მხრივ, საფრთხის თავიდან აშორება შესაძლებლად მიგაჩნიათ, ხოლო მეორე მხრივ...

— წინასწარ გარანტიებს ვერ მოგცემთ. საჭიროა ყველაფერი აწონილ-დაწონილი და გათვალისწინებული იქნას. საჭიროა ვიქონიოთ რწმენა გამარჯვებისა, — გააწყვეტინა სიტყვა რამიშვილს გენერალმა. გამოცდილმა მებრძოლმა პანიკაში მყოფი მესვეურების სუსტი პოზიცია იგრძნო და იგი მათ, როგორც კატა დაჭერილ თაგვს, ისე ეთამაშებოდა. რამიშვილი განრისხდა და ჰკითხა:

— საქმეც ეგ არის! უნდა ვიცოდეთ: თქვენ, გენერალს და ჩვენი ჯარების სარდალს, გაქვთ თუ არა იმედი და რწმენა გამარჯვებისა?

— იმედისა და რწმენის გარეშე არც ერთი ოპერაცია არ მიწარმოებია, — მოუჭრა გენერალმა.

— ამ შემთხვევაში რა იმედით ხელმძღვანელობთ? — აცივდებოდა რამიშვილი. მის შეკითხვაში მბრძანებლის უკმეხი კილოც გაისმა. გენერალი ავენთო და მოუჭრა:

— არა ზენაარსთა ძალების, არამედ ჯარებისა და პირადი გამოცდილების იმედით.

რამიშვილი და გენერალი ერთმანეთს შეებნენ. გეგეჭკორს სრულიადაც არა სურდა თბილისის დამცველ, მხნე და გამოცდილ გენერალთან ურთიერთობის გართულება და ამიტომ საქმე მორიგებით დაასრულა:

— კეთილი, გენერალო, თბილისის დაცვას და ამ დაცვასთვის საომარ ოპერაციას მთავრობა თქვენ განდობთ. ამრიგად, საქართველოს დედაქალაქის ბედ-იღბალი თქვენ გებარებათ.

— ნდობისათვის მადლობას მოგახსენებთ, — მიუგო გენერალმა.

— მაშინ განვაგრძოთ ჩვენი საუბარი. იქნებ გაგვაცნოთ თქვენი მოქმედების გეგმა? — შეაპარა დინჯად, მოღიმარი სახით გეგეჭკორმა და გენერლის გული მოიხიბლა. „ეს კაცი თავის პარტიულ ბიჭებუჭ ამხანაგებს არა ჰგავს. კარგი აღზრდილი, ნასწავლი და დარბაისელი კაცი ჩანს“, — გაიფიქრა გენერალმა და დაიწყო:

— უპირველეს ყოვლისა, ჩვენ გავგზავნეთ თითო ბატარეა მახათას მთაზე და სოღანლუღის ქედზე, საიდანაც როგორც ხელის გულზე, ისე ჩანან ცშელონები.

— არტილერია დიდი უპირატესობა არის, თუკი ზარბაზნებზე გამოცდილი ჯარისკაცები გვეყოლება! — შენიშნა გეგეჭკორმა.

— დარდი ნუ გაქვთ, არტილერიაში გამოჩენილი ოფიცრები მუშაობენ, — დაამშვიდა გენერალმა, დრო შეურჩია და მეათეჯერ გაუმეორა: — როგორც ხედავთ, რეგულარული ჯარის რაოდენობაზე და ოფიცრების ახალი კადრების აღზრდაზე ზრუნვა მთავრობისათვის მთავარ ამოცანას უნდა შეადგენდეს.

— დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ამიერიდან ყოველგვარ ზომებს მივიღებთ და, თქვენის დახმარებით, ალბათ, სულ მალე ჩვენი ქვეყნისათვის შესაფერ, ჩინებულ ლაშქარს შევქმნით, — მიუგო გეგეჭკორმა.

— ჩვენი სურვილიც ეგ არის! — შენიშნა გენერალმა და რამიშვილს შეხედა. იგი მუქ-წაბლისფერ წვერს აწვალებდა, ჭამხდარი კაცი კუშტად იჯდა და სდუმდა. „საქართველოს ბოროტი გენიაა“, — გაიფიქრა გენერალმა. გენერალი ვერ შეჩიგებოდა იმ აზრს, რომ ის გამხდარი და კუშტი კაცი ქართული რეგულარული ჯარის შექმნას ხელს უშლიდა.

— როგორ უნდა გამოიყენოთ ქვეითი ჯარი? — ჰკითხა გეგეჭკორმა.

— არტილერიის დასაცავად საყარაულო ბატალიონი გამოვიყენე, ფრონტის დასაჭერად ცალკე ათასეული და მოხალისე ხევსურები გავგზავნე, — მიუგო გენერალმა.

— მთიდან ფშავ-ხევსურთა რაზმის ჩამოყვანით დიდი სამსახური გაუწია პროფესორმა ქარუმიძემ და თავადმა მამუკა ანილახვარმა. გასაგებიც არის, — მკრეხლობდა მთავ-

რობის თავმჯდომარე. — ახლა ჩვენს ქვეყანას, განურჩევლად წოდებისა და პარტიისა, ყველანი უნდა იცავდნენ.

რამიშვილმა ეშმაკურად გადახედა, მარცხენა თვალი ოდნავ დახუჭა, დააწვრილა და გაიფიქრა: „დიდი დიპლომატია ეს ჩვენი ევგენი! მიდი, დაუყარე საკენკი გენერალსო“! გეგეჭკორმა დაუყარა, გენერალმა მართლაც აკენკა და ტკბილად აკაკანდა:

— ჩემი გეგმა ამით არ ამოიწურება. მთავრობის თავჯდომარემ უნდა შეასრულოს ჩემი თხოვნა.

— ბრძანეთ.

— ეშელონებს უნდა გაეგზავნოს დელეგაცია.

— რისთვის?

— წინადადებისათვის. ეშელონები გაფრთხილებული უნდა იქნან: თუ ისინი გადმობარგვას დააპირებენ, ჩვენი ავიაციონერია ცეცხლს გაუხსნის და არაფრის გზით არ მისცემს მათ ამის საშუალებას.

— ჩინებულია! — დაიძახა აღტაცებით გეგეჭკორმა და დასძინა: — დელეგატების გაგზავნას ჩვენ ვიკისრებთ.

— ეს, მართლაც, ჩინებული გეგმაა, მაგრამ შიგნით, ქალაქში მოსალოდნელი აჯანყების წინააღმდეგ რას აპირებთ? მე მხედველობაში მაქვს სომხურ სემინარიაში და არსენალში, დაბანაკებული 218-ე სათადარიგო ლეგიონი და ბოლშევიკურად განწყობილი სხვა ნაწილები. ისინი ფრონტიდან მოიმავალ და 303-ე ვერსზე დაბანაკებული ეშელონების დახმარებით ბოლშევიკურ გადატრიალებას აპირებენ. მათ წინააღმდეგ რა ზომების მიღება გადაწყვიტეთ? — ჰკითხა რამიშვილმა.

— მათ წინააღმდეგ მოქმედ სახალხო გვარდიელებს ნეხუთე ლეგიონი მივაშველეთ, ხოლო ბოტანიკური ბაღის წინ— სოლოლაკზე და მთაწმინდაზე ოთხი ბატარეა დავაყენეთ,— შიუგო გენერალმა.

ახლა რამიშვილმა გაიღიმა და დაიძახა:

— დიდებულია! მაშ, რისთვის გვაშინებდით, თქვე კაი კაცო! თბილისის დაცვა ჩინებულად მოგიწყვიათ.

— წინასწარ გამარჯვებაზე ძახილის მოყვარული კაცი არ გახლავარ, ბატონო ჩემო, — შენიშნა გენერალმა.

— მაშ ასე, კეთილი. სხვა კიდევ რა? — კმაყოფილი ღი-

მილით ამბობდა გეგეჭკორი და ვეება წითელ ფანქარს წცემდა და ატარებდა გაშლილი ბლოკნოტის ფურცელზე, რომელზედაც მერმე იმავე ფანქრით თბილისის გენერალ-გუბერნატორად მაზნიაშვილის დანიშვნის ბრძანება დასწერა.

— თითქმის ყველაფერი მოგახსენეთ, — განაცხადა ხანმოკლე ფიქრის შემდეგ გენერალმა და წამოდგა, — ახლა მახათას მთაზე არტილერია უნდა ვინახულო. ნახვამდის, ბატონო თავმჯდომარევ.

— ნახვამდის, გენერალო, გისურვებთ გამარჯვებას!

მაზნიაშვილი კაბინეტიდან გავიდა.

ახლა გეგეჭკორი ფანჯარასთან მივიდა, ქალაქს გახედა და რამიშვილს უთხრა:

— მგონი, ხიფათს გავექცეთ. — ნაცრისფერი, ახალი პიჯაკის კალთა გადასწია, შარვლის ჯიბიდან თოვლივით თეთრი, აბრეშუმის ცხვირსახოცი ამოიღო და თირკმელების ტკივილის გამო აცრემლებული და უპეშეშუპებული თვალები მოიწმინდა.

— წინასწარი სიხარული ნაადრევია, — მიუგო რამიშვილმა. — აშკარად გეტყვი, მაზნიაშვილს მე ეჭვის თვალით ვუყურებ, ბოლომდე ვერ ვენდობი.

2

მეორე საარტილერიო ბრიგადის ბატარეა საომრად ემზადებოდა. მზადებამ გარიჟრაჟამდე გასტანა. კაპიტანმა სანდრო ალექსიძემ ყველაფერი შეამოწმა. სამთო ბატარეის წინ ცხენი გააჯირითა და მკვეთრე ხმით დაიძახა:

— ცხენებზე!

— კარგი ცხენი ჰყავდა ალექსიძეს: ინგლისურ-არაბული ჯიშის „გიაური“. ალექსიძე ოცდაათ წელს მიღწეული, მწითლური ვაჟკაცი იყო. ომში და ჰაერზე სწორი ყოფნის გამო, სახე გატრუსული და ბეხრეკა ხის ქერქივით გაქარული ჰქონდა. მრგვალ თავზე თმას ზამთარ-ზაფხულ იპარსავდა. ჯარისკაცებს შევარდენსავით მჭრელი თვალებით ნუსხავდა. ოინავ გაბუშტული, პატარა ცხვირის ქვეშ, ინგლისურად გაკრეჭილ ქერა ულვაშებს ატარებდა. ფართო და შუაზე გაყოფილი ნიკაპი, მის სიმხნეს დ ნებისყოფას ამჟღავნებდა.

იგი პოლიტიკაში უმეცარი, ღრმა აზროვნებას მოკლებული, პროფესიული მუშაკი იყო.

ბრიგადის მოედნიდან ბატარეა სამხედრო გზით, ქალაქში შევიდა. ოღღას ქუჩა; გამზირი, სოლოლაკი გაიარა და პატარა ხიდის მერმე, კოჯრის გზას შეუდგა. ოფიცრები, ფეიერვერკები, ზარბაზნებში შებმული ცხენების წამყვანნი და ზედრაკი რაზმი ცხენებზე ისხდნენ, ხოლო სხვანი — საყუმბარო ყუთებზე. მენომრენი ზარბაზნებს ქვეითად მიჰყვებოდნენ. ბატარეის ბოლოს აღალი მიდიოდა: ფურგონები და ორთვალები.

ზარბაზნებსა და საყუმბარო ყუთებში სამ წყებად შებმულ ცხენებზე გამოუცდელი მხედრები ისხდნენ. ერთმანეთს შორის მანძილს ვერ იჭერდნენ, ერთმეორეს ეჯახებოდნენ. ცხენები მოშვებულ და მიწაზე დაგდებულ საწევ-ღვედების და საყელურ-ჭაპანების გარეთ დგამდნენ ფეხებს. ბარძაყებს შორის ამოკრული, გაჭიმული ღვედები აფერხებდნენ; ცხენები ფრთხებოდნენ, ყალყზე დგებოდნენ, ტლინკებს ისროდნენ, ჯიუტობდნენ და ადგილიდან არ იძრებოდნენ.

ასეთის ვაი-ვაგლახით მიაღწია ბატარეამ ბოტანიკურ ბაღს. ცხენები გამოუშვეს. ზარბაზნები დანგრეული ცხის— ნარიყალის წინ, სოლოლაკის მთის თავზე ჩარაზმეს და ქალაქისაკენ მიუშვირეს. იქვე კაპიტან გიგაურის ადრე მისული საველე ბატარეა იდგა და მისი ზარბაზნებიც ქალაქისაკენ მიეშვირნათ. ზარბაზნები მთაწმინდაზე, მახათაზე და სოღანლუღშიც იდგნენ.

მოღრუბლული დილა იყო. სოლოლაკელებმა აივნებიდან და ფანჯრებიდან მაინც ნათლად დაინახეს მთიდან გადაყუდებული რვა ზარბაზანი და ელდა ეცათ.

პეტრე ცხომელიძე მზვერავ რაზმში იყო და ცხენს ოქროყანა-ტაბახმელამდე დააჭენებდა. მეტელეფონე გრიგოლ ცაგურიშვილმა ჯარისკაცებს ქსელი გააბმევინა და ბატარეა სასახლესა და ქართული კორპუსის შტაბს შეუერთა.

სასახლეში, კორპუსის შტაბში და მოქალაქეთა შორისაც დიდი შიშიანობა იყო გამეფებული, თბილისის ახლოს მდგარი ეშელონების მუქარის გამო, მაგრამ ჯარისკაცებს აპაფერს არ უშხელღნენ. ჯარისკაცებმა მხოლოდ სოლოლაკ-

ზე ამოსვლის მერმე გაიგეს საქმის ნამდვილი ვითარება და ომისათვის მზადების მიზეზი.

კაპიტან ალექსიძისა და გიგაურის სამთო და საველე ბატარეების მფარავი რაზმი მთის კალთებზე ჩასაფრებულიყო.

მალე განგაში ატყდა. მესაყვირემ „ბრძოლისათვის“ დაუკრა. არტილერისტები ზარბაზნებს მისცვივდნენ და მიჩნეულ ადგილზე დადგნენ. სამთო და საველე ბატარეამ არსენალის განაპირა კორპუსი და სომხური სემინარია ამოიღო ნიშანში; ჯარისკაცებმა ზარბაზნები ყუმბარებით დატენეს, საკეტი მიხურეს და გასასროლი ზონარები დაიჭირეს. ასე ელოდნენ ცეცხლის გახსნისათვის ბრძანებას. მაგრამ საველე ტელეფონზე მომუშავე გრიგოლ ცაცურიშვილმა, „ცეცხლის“ ნაცვლად, „მოშალე“ დაიძახა და ჯარისკაცები ზარბაზნებს მოშორდნენ.

მოხალისენი მოუთმენლად ელოდნენ ომის დაწყებას, მაგრამ ყველაზე დიდი მოუთმენლობა მაუზერებით და კარაბინებით შეიარაღებულ შავტუხა, გრუზა მუსულმანებს ეტყობოდათ, რომლებიც სვიდაბადიდან ამოვიდნენ სოლოლაკზე. მათ არტილერის დამცველი რაზმი მოიყვანეს. კორნელიმ რაზმელთა შორის ბრიგადის შავ საქუშაოზე მიმაგრებული ტყვე თურქები— ასკერები იცნო. ახლა მათ რუსული მაზარა ეცვათ, შაშხანები ეჭირათ და მთის კალთაზე გათხრილ სანგრებში, ბატარეის მფარავ რაზმელთა გვერდით იასხდნენ. კოკრის შარაგზაზე სომეხი სტუდენტები ამოვიდნენ. მათ შორის კორნელის გიმნაზიელი ამხანაგები არამ ჩიბუხჩიანი და ლეო ბალასიანი იყვნენ. კორნელი დაინახეს და მისცვივდნენ. „რა ამბავია, რას აპირებთო“, ეკითხებოდნენ. სომეხმა სტუდენტებმა მოხალისე მუსულმანების ბრაზიანი გამოხედვა დაიჭირეს და ბოტანიკური ბაღიდან ქალაქში სახჭაროდ დაეშვნენ.

— ვინ იყო ის სტუდენტი, რომელსაც თქვენ ისე ტაბლად ეასაუბრებოდით? — ჰკითხა პლატონ მოკველაძემ კორნელის.

— ჩემი სკოლის ამხანაგი ლეონ ბალასიანი, — მიუგო კორნელიმ. — იგი ბიძაცი ვაჟკაცია. შარშანწინ, როდესაც ჩვენ მერვე კლასში ვიყავით, იგი ერთვნული გრძნობით გა-

ტაცებულ ამხანაგებთან ერთად ანდრანიკის ლაშქარში ჩაეწერა თურქებთან საბრძოლველად.

მუსულმანთა რაზმის უფროსმა სინანულით გამოსთქვა:

— აფსუს, არ ვიცოდი, რომ იგი დაშნაკი იყო, თორემ თავში ტყვიას მივარჭობდი.

საღამოს ისევ გაისმა კაპიტნის ბრძანება და ჯარისკაცები ისევ თავის ადგილებზე დადგნენ. არსენალზე და სომხურ სემინარიაზე დამიზნებული ზარბაზნები მხოლოდ ერთი სიტყვის — „ცეცხლის“ დაძახებას ელოდნენ, მაგრამ კაპიტანმა ისევ „მოშალე“ დაიძახა. იგი სასახლესთან საველე ტელეფონით იყო შეერთებული. გრიგოლ ცაგურიშვილმა ტელეფონის მილში ჩააფურთხა.

— ამაოდ ჯავრობ, — უთხრა მას გიგა ხუციშვილმა,— სამხედრო მოქმედებანი გამოიწვევდნენ ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებულ ხოცვა-ჟლეტას და სისხლის ღვრას ქალაქში.

ჯერ კიდევ გათენებამდე გვარდიელები, ქართული და სომხური ჯარების ნაწილებთან ერთად, მოულოდნელად თავს დაესხნენ არსენალს. ბოლშევიკურად განწყობილი ჯარისკაცები ხანმოკლე შეტაკების მერმე მოლაპარაკებაზე წავიდნენ და იარაღი დაჰყარეს. მიუხედავად ამისა, მთავრობა იძულებული შეიქნა სამასმესამე ვერსზე დაბანაკებული ეშელონების მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინა: მიეცა მათთვის ორთქლმავლები, თავისუფალი ვაგონები, ცოტაოდენი ფქვილი და სხვა სურსათი, რის შემდეგ ეშელონებმა თბილისს თავი გაანებეს და ბაქოსაკენ გასწიეს. ამრიგად, ქალაქში გამეფებული შიშიანობა და ბრძოლისათვის განგაში დროებით შეწყდა.

გენერალი მაზნიაშვილი თბილისის მხსნელად გამოაცხადეს და გენერალ-გუბერნატორად დანიშნეს.

კაპიტანი ალექსიძე თავისებურად განუმარტავდა და უხსნიდა თავის ჯარისკაცებს არსენალის აღებას.

— ქართული კორპუსის გარდა, თბილისში სომხური, აზერბაიჯანული და რუსული კორპუსიც ყალიბდება. არსენალის იარაღი ყველას არ გასწვდება. საჭიროა კავკასიის არმიის საწყობებს ახლავე დავეპატრონოთ.

— რა დომხალია, — აღშფოთებას გამოსთქვამდა პლა-

ტონ მოგველაძე, — ჩვენი მთავრობა ნამდვილად ბეცია. დაე, რუსებმა თავისი კორპუსი რუსეთში ჩამოაყალიბონ, სომხებმა — ერევანში, ხოლო აზერბაიჯანელებმა კი — ბაქოში.

— სხვათა შორის, ბიჭებო, — წააქეზა ჯარისკაცები კაპიტანმა, — სომხები და რუსები ძალით იჭერენ კავკასიის არმიის საწყობებს, ყაზარმებს და გარაჟებს. თავის დარაჯებს აყენებენ და მერმე იმ საწყობების ქონება მათ საკუთრებას შეადგენს. ჩვენც ამ გზას უნდა დავადგეთ.

კაპიტნის წაქეზებამ ნაყოფი გამოიღო:

— ჭაბუკნო, — მიმართა ჯარისკაცებს პლატონ მოგველაძემ, — შევადგინოთ რაზმი და ჩვენც დავიკავოთ უპატრონოდ მიტოვებული საწყობები და გარაჟები. აი, თუნდაც, ოლღას ქუჩაზე მოთავსებული გარაჟი.

მეორე დღეს, შუაღამეს, ყაზარმაში, სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი პლატონი მივიდა. გენადი, გრიგოლი, პეტრე, კორნელი, სანდრო და კუკური გააღვიძა. ოცმა ჯარისკაცმა იარაღი აისხა და გარაჟისაკენ გასწია. რაზმი ბელინსკის ქუჩასთან შეჩერდა. პლატონმა გენადი, ჯვებე, სანდრო, კუკური და კორნელი წაიყვანა და გარაჟის ეზოში შევიდა. პატარა სახლის სამორიგეო ოთახში სინათლე ჩანდა. პლატონმა კარებზე დააკაკუნა. ოთახიდან ვილაცამ ალრენით დაიძახა:

— ვინ არის?

— კარები გააღეთ! — დაუძახა პლატონმა.

კარები გაიღო. სამორიგეო ოთახში ნაკვერცხალივით გახურებული ღუმელი იდგა. ჯარისკაცებმა ძლივს გაარჩიეს თუთუნის ბოლში პატარა მაგიდის ირგვლივ შემომსხდარნი. მაგიდაზე საუზმე, არაყისა და ღვინის ბოთლები ელაგა. შოფრები პურსა სჭამდნენ.

— გამარჯობათ, ბიჭებო! — მიესალმა ოთხ შოფერს პლატონი.

— გაუმარჯოს! — მიუგეს შოფრებმა. ტყავის ქურთუკიანი ერთი შოფერი წამოდგა, პლატონს და მის მეგობრებს ჰკითხა:

— ვინ ბრძანდებით?

— ჩვენ მეორე საარტილერიო ბრიგადის კომიტეტის წევრები ვართ. ამ გარაჟის დაკავება გვაქვს ნაბრძანები.

— გვიჩვენეთ ბრძანება.

— წერილობითი ბრძანება არა გვაქვს.

— აბა, ცარიელი სიტყვით, გარაჟს ვერ ჩაგაბარებთ! ახლა თბილისში ათასი კომიტეტია.

მკერდგაღეღილი მეორე შოფერი პლატონს წინ გადაუდგა, დოინჯი შემოიდგა და უთხრა:

— თავი გაანებეთ, ამხანაგებო, გარაჟს! მოდით, ერთი ჭიქა ღვინო გადაჰკარით და მერე შინ მშვიდობით მიბრძანდით. თქვენამდეც იყვნენ აქ ქართული და სომხური ჯარის რაღაც კომიტეტის წევრები, მაგრამ დავუცაცხანეთ და ისე გავრეკეთ აქედან.

შოფერი ნთვრალი იყო, იდაყვამდე აეკაპიწნა სახელო. პლატონმა ჯანიანი კაცის შიშველი მკლავი, განიერი მკერდი და ზედ ნემსის წვეოთ მოსვირინგებული მოცეკვავე ქალი დაინახა. ცერსა და საჩვენებელ თითს შორის შოფერს ღუზა ეხატა. ყვითელ და ფართო სახეზე მაღალი ყვრიმალის ძვალი ამობორცვოდა. არაყით შეხურებული, პატარა თვალები დამცინავად უელავდნენ. შოფერმა გადიხარხარა:

— გარაჟის ჩაბარება განუზრახავთ ვაჟკაცებს!

— ჩვენ სალაყბოდ არ გვცალია. თუ გარაჟს ნებით არ ჩაგვაბარებთ, ძალით ჩავიბარებთ, — შეუტია პლატონმა.

— სცადეთ! — იყვირა ტატუირებულმა შოფერმა.

— ამხანაგებო, — მიმართა პლატონს და მის ჯარისკაცებს ქურთუკიანმა, — გარაჟის უფროსი მე ვარ. რას ჩადიხართ? აქ მთავრობის თავმჯდომარის: გეგეჭკორისა და ჩხენკელის მანქანებია. თქვენ მთავრობის წინააღმდეგ ილაშქრებთ?

— ეს თქვენ არ გეკითხებათ! ახლავე ჩაგვაბარეთ გარაჟი! — უბრძანა პლატონმა.

— ვერა, გარაჟს ვერ ჩაგაბარებთ.

— მაშ, რაზმს დაუძახეთ. შემოარტყით ალყა გარაჟს,— უბრძანა პლატონმა კუკური ზარანდიას.

მალე ეზოში რაზმი შემოვიდა. შოფრები მიხვდნენ, ძალით არაფერი არ გამოვიდოდა. ქურთუკიანმა გასაღები აიღო და გარაჟისაკენ გაეშურა.

საშორიგეო ოთახში კედელზე დაკიდებული ტელეფონი განუწყვეტლად რეკდა. ჯვებე მიქელაძემ ბილი აიღო:

— ვინ არის! დიახ, გარაჟია. ვინ ლაპარაკობს, გენერალ ბრძანდებით? კეთილი, დაიცათ... კეთილი, — ჯვებემ პლატონთან მიირბინა და უთხრა:

— გენერალი იძახის, მანქანას ითხოვს.

— არ დაიჯეროთ. ეს შოფრების ხრიკებია, — შენიშნა პლატონმა.

— არა, ნამდვილად გენერალია. მოდით, გავანებოთ თავი ამ გარაჟს.

— ჯარისკაცებს ნუ მიჯანყებ, — გაბრაზდა პლატონი.

— რაღა ჯარისკაცები ვართ, ჩვენი მთავრობის წინააღმდეგ თუ ვილაშქრებთ?! ეს ანარქიაა!

— ანარქია კი არა, რევოლუციური გზით ვიჭერთ გარაჟს. მაშ, როგორ მოვიქცეთ, თუკი ჩვენი მთავრობა უძლურია?

— გარაჟის დაჭერა რა დიდი გმირობაა?

— მაშ ბოლშევიკებს ჩავაბაროთ იგი? თუ ასეა, მიბრძანდი აქედან!

— ეს ბანდიტიზმია!

— როგორ მიბედავ, შე ლაწირაკო? — უყვირა პლატონმა და რევოლვერი იძრო. მავრამ პლატონის რევოლვერი ჰაერში შეტრიალდა და უმალვე ჯავახელი ვაჟკაცის ლადო მეტრეველის ხელში აღმოჩნდა.

— თუ საქმისათვის მოვედით, საქმე გავაკეთოთ, თორემ რევოლვერს ტრიალს მე თქვენ გიჩვენებთ, როგორაც უნდა, — უყვირა მან პლატონს.

ჯვებე გაკვირვებულ დაიწყო კინკლაობა, ჩხუბი და მიწევ-მოწევა. ჯარისკაცები ორ ბანაკად გაიყო: ჯვებეს მომხრეებმა, პლატონის საქციელი დაგმეს და ბრიგადაში წავიდნენ. მათ შორის ეწვდი ქ-დაძეველიც იყო.

პლატონმა სანდრო ეგზავნა ყახარმეში და კიდევ ათი ჯარისკაცი ჩამოაყვანინა. შოფრებმა უარი განაცხადეს ბრიგადაში მანქანების წაყვანაზე. ჯარისკაცები დილამდე მიაგორებდნენ შოფრების მიერ მოშლილ მანქანებს ბრიგადაში. ალმართზე მხარით აწვებოდნენ. გაბავთებულთ ოფლი სდიოდათ.

დილის სამ საათზე ოლღას ქუჩით გარაჟისაკენ მომავალი რაზმი გამოჩნდა. წინ მეთაური მოუძღოდა. ჯარისკაცები მწყობრად მოაბიჯებდნენ. „ჯარი მოდის“, — დაიძახა ვილაცამ. პლატონმა განკარგულება გასცა: არტილერისტები სვეტებთან, აივანზე და სახლის კუთხესთან ჩაესაფრნენ. პლატონი ქუჩაში გავიდა, რაზმს წინ გადაუდგა და შესძახა:

— გაჩერდით! — რაზმი გაჩერდა. პლატონი ოფიცერთან მივიდა და ჰკითხა:

— ვინა ხართ?

— სომხური კორპუსის ჯაარისკაცები.

— სად მიდიხართ?

— გარაჟის დასაცავად.

— პორუჩიკო, — უთხრა პლატონმა, — გარაჟს მეორე საარტილერიო ბრიგადის ჯარისკაცები იცავენ.

— მე ეგ არ ვიცი. მე მიბრძანეს გარაჟის დაცვა და დაკავება.

— ამის უფლებას არ მოგცემთ.

— მაშინ მე იძულებული ვიქნები, ძალით დავიკავო იგი.

— სცადეთ! ამ აივანზე და აი, იმ ფანჯრებში ტყვიამფრქვევები დგანან. ჩემს განკარგულებაში ორმოცდაათი ჯარისკაცია.

პლატონის რაზმელებმა საკეტი გადარაზეს და შაშხანებს ჩხაკუნი ასტეხეს.

პორუჩიკმა დაიძახა:

— მარჯვენა მხარით წინ, ნაბიჯით იარ! — რაზმი უკანვე გაბრუნდა.

— პლატონი ზეიმობდა. თავი ნამდვილ გმირად მიაჩნდა.

— ხომ გავაცურე ის პორუჩიკი!

დილით ბრძანება მიიღეს და ასეთი დიდი ვაი-ვაგლახით ბრიგადაში მიტანილი მანქანები, ჯარისკაცებს ისევ გარაჟში დააგორებინეს. ჯარისკაცებმა პლატონის დაბადების ღღე დასწყევლეს და მას „დონ კიხოტი“ შეარქვეს.

ერთხელ პლატონმა ალექსიძეს ცხენი სთხოვა. კაპიტანს ორი ცხენი ჰყავდა: ერთი — ყოველდღიურად სამუშაო, ინგლისური ჯიშის, მაღალი და ოქროსფერი ფაშატი „მზია“, ხოლო მეორე — საპარადო, დოღის ცხენი, თხაფეხა და მუქწაბლისფერი, ინგლისურ-არაბული ჯიშის ულაყი „გიაური“. „გიაურს“ კაპიტანი არავის არ ათხოვებდა და, კიდევაც რომ ეთხოვებინა, პლატონისთანა მხედარი ზედ ვერ შეჯდებოდა.

„მზია“ კორნელიმ შეუკაზმა პლატონს. ცხენს ლაგამი ამოსდო, ორმაგი მუნდშტუკიანი აღვირი თავზე გადააცვა, ჭოჩორი და გაკრეჭილი ფაფარი გაუსწორა. მერმე საოფლე ქეჩა და ინგლისური უნაგირი დაადგა, სამკერდე დაუმაგრა, მოსართავები მოუჭირა, საძუე გაუსწორა და კოხტად შეკაზმული და ათამაშებული „მზია“ პლატონს მიჰგვარა.

ცხენოსნობაში გამოუცდელი პლატონი „მზიამ“ არ მიიკარა. კაპიტანმა შეატყო, მხედარი რომ გამოუცდელი იყო და კორნელის უთხრა: ცხენზე შეჯექი და ცხენოსნობის მარტივი წესები უჩვენეო. კორნელის მამა, ექიმი გიორგი მხეიძე, სოფელში ცხენით დაიარებოდა, მართლა კარგი ცხენები ჰყავდა და კორნელი ბავშვობიდანვე შეჩვეოდა ცხენოსნობას. ბრიგადაში საუკეთესო მხედრად ითვლებოდა და კაპიტანმა ცხენსახედნოზე მოვარჯიშე რაზმის უფროსად დანიშნა.

კორნელი „მზიასთან“ მივიდა. აღვირი უნაგირის ტახტასთან მარცხენა ხელით დაიჭირა. მარცხენა ფეხის წვერი უზანგში შესდგა. აიწია. ძელივით გამართული მარჯვენა ფეხი კოხტად გადაიტანა უნაგირზე. ისიც უზანგში შესდგა. დაჯდა. უნაგირის ბალიშებს ბარძაყებით მიეჯდო, წვივები გასწია და ფეხის წვერები შიგნით, უნაგირისაკენ მიაბრუნა. აღვირი დაიმოკლა, მარცხენა ხელის თითებს შორის გაატარა, გაიკეცა და საჩვენებელ თითს ცერი დააჭირა. მერმე მცრები გაშალა, წელში გასწორდა და ცხენზე ქანდაკებასავით ჩამოსხმული დარჩა, თითქო მხედარი და ცხენი ერთიანეთს შეეზარდნენო. კორნელიმ ცხენი დასძრა. სადავე დაუჭირა და პლატონს ნაბიჯიდან ჩორთაზე, ჩორთიდან ჭენებაზე ცხენის გადაყვანის წესი, ცხენის ცვალებადი ტარება—

ალიური უჩვენა და აუხსნა. მერმე გადმოხტა. ცხენი ისევ პლატონს მიუყვანა და ღიმილით უთხრა:

— ცხენოსნობა რთული და თავისებური ხელოვნებაა.

— უთუოდ, — დაუდასტურა ალექსიძემ. პლატონმა იუკადრისა:

— დარდი ნუ გაქვთ! სხვა რომ წლობით სწავლობს რასმეს, მე მას უმალვე ვითვისებ. მალე ჩემსავით ვერავინ დაიურვებთ ბედაურს. ეს კი ფაქტია. ველოსიპედის ტარებაც ხელის მიკარებისთანავე ვისწავლე. საცნაურია მეტად: მხედველობა, მორსმჭვრეტელობა და სიჩქარეც არწივისა მაქვს. ნადირობაში ნუ გაბეჯბრებით. ერთ ხოხობს რომ წინ ჩამოვაგდებ, მეორე ზურგს უკან თუ ამიფრინდა, უმალვე მოვბრუნდები და ისიც ჩემი მსხვერპლია. არა მარტო ველოსიპედზე ჯდომა და ნადირობა, არამედ საცნაურია ისიც, ფილოსოფიურ წიგნებს რომანსავით ჩქარა ვკითხულობ და რომანსავით ადვილად ვითვისებ.

— თქვენ მაგ დარგში ბევრი გიმუშავნიათ. თქვენი გონება ფილოსოფიური ნააზრევის ათვისებას შეჩვეულია და ამიტომ საკვირველიც არ არის, ბატონო პლატონ, — შენიშნა გრიგოლ ცაგურიშვილმა.

— რასაკვირველია, — იყვირა პლატონმა. ბრძენის გამომეტყველება მიიღო, სახის კუნთები დაძაბა და კეფიდან ნასესხები და მელოტ თავზე პრიკვით დაწებებული თმა ხელის ელეგანტური მოძრაობით საფეთქელთან გაისწორა.

— აბა, ფილოსოფოსნო, სიბრძნეზე მერმე ილაპარაკეთ. პლატონ, შეჯექით ცხენზე, — უთხრა კაპიტანმა, მაგრამ პლატონი აღვიანებდა. მისი თხოვნის თანახმად, უნაგირს პერანგჩაცმული კარაბინი მიამაგრეს, თვითონ პლატონს მაუზერი, ხმალი და დურბინდი დაეკიდა, ჩექმებზე დეზები გაეკეთებინა, თავზე წითელი მაუდის შავყალმიანი ქუდი დაეხურა. პლატონმა „მზიას“ შეშინებული, ფართო თვალები და გაბერილი ნესტოები რომ დაინახა, შეკრთა და კაპიტანს უთხრა:

— უცნაური თვალები და ნესტოები აქვს თქვენს ფაშატს, აღშფოთებულია.

— არა, დაგრილებულია. მაკეთ არის. ახლა თვინიერი გახდა. ნუ გეშინიათ, — შენიშნა კაპიტანმა.

„მზია“ განზე გახტა, ათამაშდა და პლატონი ახლოსაც არ გაიკარა.

— საცნაურ არს მეტად, — აკანკალებული ხმით განაცხადა პლატონმა: — ჩემი ეშინია, კორნელი კი მიიკრა.

კორნელიმ „მზიას“ აღვირში წაავლო ხელი, გაუწყრა და მერმე პლატონს უზანგში ფეხი შეადგმევინეს და დიდის ვაი-ვაგლახით ზესვეს უნაგირზე. ცაკი პლატონი უნაგირზე აღმოჩნდა და აღვირი დაიჭირა, ცხენი საბოლოოდ დამორჩილებული და დაოკებული ეგონა და კაპიტანს სტეკი სთხოვა.

— ჩემს ცხენს მათრახი არ უყვარს, — გააფრთხილა კაპიტანმა, მაგრამ სტეკი მაინც მიაწოდა.

კაპიტანი ერთობოდა, ეშმაკურად გაიღიმა და პორუჩიკს სანდრო ბერეჟიანს წასჩურჩულა: „ნაცარქექია საოჯახად ძიემგზავრებაო“.

სტეკის მიკარებისთანავე „მზია“ აღგილს ბოსტყდა, მხედარს თავი წააცთვა და ჭენებით წავიდა. მწევარივით გაიწალა და საბურთალოს ჯაჭარმების, თავლების და საარტილერიო პარკს შორის მდებარე მრგვალი ველტორა. უნაგირზე ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ ხურჯინივით გადაკიდებულ მხედარს ოფიცრები და ჯარისკაცები უცქერდნენ და უეცრად ხარხარებდნენ. ბაგრამ ხარხარი მალე შეწყვიტეს და შეშინდნენ. პლატონს ქუდი გადავარდნოდა, კეფიდან ნასესხები და მგლოლ თავზე პატიკივით დაწებებული თმა ვეჯსავით ასჩეხოდა. თვალებდაკუსული და შეშიხებული მხედარი გახჩირული ხმით ყვიროდა:

— გააჩერეთ ფაშატი! გაგიჟდა, მიშველეთ! მიშველეთ, შა...შკე...ლეთ!..

მწევარივით მოქნილმა ცხენმა მოედანი ჭენებით შემოირბინა. ჯარისკაცები დაედევნენ. თავლასთან შეაჩერეს და ამით მხედარი სიკვდილს გადაარჩინეს, რადგან „მზია“ თავლაში შეიტანდა, დაბალი კარების დირეს დააჯახებდა და გათავებდა პლატონს. გულწასული მხედარი ცხენიდან ჩამოსვეს. როცა იგი ოდნავ მოსულიერდა, თავის მართლება დაიწყო:

— ცხენმა მიგზნო და გახელდა.

— როგორ? — ჰკითხა კაპიტანმა.

— ნუ შეახედვინებთ, თორემ ისევ გაგიჟდება, — მიუგო პლატონმა და თვალები უცნაურად დააბრიალა.

— როგორ?

— თვალი ეცა. ცხენი კი არა, კაცი ვერ უძლებს ჩემი თვალის ძალას.

— იქნებ, მართლა თქვენი თვალების ძალამ გააცელა?— შეეჭვდა ზემდეგი ანაპოტისტე ფერაძე.

— რას მიჰქარავ, — გაუწყრა კაპიტანი, — ცხენი იცნობს და მაშინვე დასჯაბნის გამოუცდელ და მშიშარა მხედარს. მორჩა და გათავდა. რის თვალი, რა თვალი!

როდესაც პლატონი დამშვიდდა, თავლიდან ფურგონის ოვინიერი ცხენი გამოუყვანეს, შეუკაზმეს და ქალაქში გაისტუმრეს, სტეკი კი არა, თავში კეტი რომ შემოეკრა პლატონს, ის ცხენი მაინც არ გაჭენდებოდა.

პლატონი გამზირს მიუახლოვდა, სახე მოღუშა, ცალი წარბი მრისხანედ აზიდა, სახის კუნთები დაძაბა და განზრახ–გაბრაზდა. იმ წუთს, ეს ესპანელი დონ კიხოტი და ჩვენებური ნაცარქექია, მართლა ფიქრობდა, თითქო შეუდარებელი მხედარი, ძებრძოლი, გმირი და ბრძენი იყო.

გამზირზე მოსეირნენი შედგნენ და პლატონს მიაშტერდნენ. მხედარი ნაცნობთ მხედრულ სალამს აძლევდა.

— პლატონ მოგველაძე ჯარში ჩაწერილა, ომში მიდის! რა კარგი ცხენი ჰყავს! გამოჩენილი მხედარი ყოფილა! რა კოხტად აცვია! ნამდვილი ევროპელია, — იძახდნენ ქალები.

— დიდი მამულიშვილია! ვიცოდით, თურქეთთან ომის დროს შინ არ დადგებოდა, — ამბობდნენ კაფე „დარბაზის“ წინ გაჩერებული სალახანები.

— დიდად განათლებული და მომზადებული კაცია.

— დიდი პატრიოტია.

— დიდი მოლაპარაკეა, ნამდვილი ენამზე, ოქროპირია,— იძახდნენ აქეთ-იქით.

უკანასკნელი ეპითეტი: „პატრიოტი“ და „ოქროპირი“ მთავარი და გადამწყვეტი იყო პლატონ მოგველაძისა და სხვათა გაბერვისა და გაღმერთებისათვის. დაუსრულებელ მიტინგებსა და კრებებზე იმჟამად სიტყვით გამოსული კაცი პატრიოტულ სიტყვას თუ იტყოდა, მას ცამდე აიყვანდნენ. მას „ორატორს“ და „მამულიშვილს“ უწოდებდნენ. და-

ნარჩენ თვისებებს თავისთავად მიაწებებდნენ. იგი ხალხის თვალში „ბრძენი“, „საზოგადო მოღვაწე“, „ხნეობით სავსეც“ იყო. პლატონ მოგველაძეც ყალბი „ენამზეობით“ გამოირჩეოდა და ამიტომ ყველა იმ ზემოთ ჩამოთვლილ ეპითეტს აწებებდნენ. პლატონს „შაურის ამუნიცია და მანეთის ამბიცია“ ჰქონდა. თუმცა იმჟამად გამზირზე ცხენით გამოსულ ნაცარქექიას ამუნიციისა და ამბიციის შორის იმდენი განსხვავება არ იყო. დაუსრულებელი ლაპარაკი, „ლაპარაკობია“, ყალბი ორატორობა და, რაც მთავარია, პატრიოტიზმით სპეკულაცია დიდ საცდურს წარმოადგენდა ჩვენში. მისი საშუალებით ხშირად ცრუ, ცრუპენტელა, მჩატე ჭკუის, გაიძვერა ადამიანი ფონს გადიოდა და სახელსაც იხვეჭდა.

ნაწილი მეორე

შამქორი

შამქორის სადგურთან, თბილისი—ბაქოს რკინიგზის ხაზზე, თურქეთის ფრონტიდან შინ მიმავალ ჯარისკაცებს მოღალატურად დაესხნენ თავს ელიზავეტპოლის ნაციონალური კომიტეტის ბრბოები და ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ გაგზავნილი ჯავშნიანი მატარებელი.

„კავკასკი რაბოჩი“, № 28, 1918

1

4 იანვარს ქართველი მენშევიკების ლიდერი ნოე ჟორდანია მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს სამხარეო ცენტრის გაერთიანებულ სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა და თურქეთის შემოტევის გამო ამიერკავკასიაში მობილიზაციის ჩატარება მოითხოვა. სხდომის ბოლოს, როდესაც ყველა დაიღალა, ჟორდანიამ ნაუცბათევად განაცხადა, რომ თურქთა უპირატესობის წინააღმდეგ მობილიზებული არმიის ტყვიაწამლით მომარაგების მიზნით ამიერკავკასიის კომისარიატს გადაწყვეტილი აქვს ფრონტიდან შინ მიმავალი ეშელონების განიარაღება და ესეც უნდა მივიღოთო. ორივე ამ წინადადებას კენჭი უყარეს და, მიუხედავად ალმასრულებელი კო-

მიტეტის სამხედრო სექციის წინააღმდეგობისა, სამხედრო ცენტრმა ამიერკავკასიაში მობილიზაცია და ეშელონების გახიარაღებაც მიიღო.

სხდომა დამთავრებული იყო, მაგრამ დეპუტატები სასახლის დიდი დარბაზიდან მაინც არ მიდიოდნენ. ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და კამათობდნენ. ერთი ჯგუფი ნოე ჟორდანიას ირგვლივ შეკრებილიყო. ამ ჯგუფში სამხედრო სექციის თავმჯდომარის მოადგილე ელენინი, დეპუტატი ქარცივაძე, ქართული კორპუსის უფროსი პოლკოვნიკი ახმეტელაშვილი და სხვები იყვნენ. მალე ყველა ჟორდანიას ირგვლივ შეგროვდა. ჟორდანიას იმჟამად დიდი პოლიტიკური მოღვაწის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, იგი ავტორიტეტით სარგებლობდა მენშევიკებს შორის და ამიტომ გულისყურით ისმენდნენ მის სიტყვას.

ნოე ჟორდანია მაშინ ნახევარ საუკუნეს მიღწეული კაცი იქნებოდა. წვერ-ულვაშში თეთრი ჭაბიდ მოჰკიდებოდა. მას ფართოდ გასელილი და გაოცებული ჭროღა თვალები ჰქონდა, თითქოს პეტროგრადსა და მოსკოვში მოხდარი ამბები მისი მსოფლმხედველობის ჩარჩოებში ვერ თავსდებოდნენ და ის აოცებსო. იგი კაუცკისთან ერთად იცავდა: მარქსის მიერ აღმოჩენილი სოციალური კანონები ისეთ ჩამოუჩენილ აგრარულ ქვეყანას, როგორიც რუსეთია, საშუალებას არ აძლევენ სოციალიზმისაკენ მიმავალი გზა გვიჩვენოსო.

ჟორდანია „წმინდა დემოკრატიის“ მომხრე იყო, მას ეშინოდა სოციალისტური რევოლუციის გზით კაპიტალიზმის დამხობისა და მცირე რეფორმების გზით მიდიოდა. იგი კომუნისტურ მანიფესტში აღიარებულ კლასთა ბრძოლის თეორიას უარყოფდა, „საერთო ნიადაგის“ თეორიას ემხრობოდა და არ სვამდა საკითხს მუშათა კლასის მიერ ძალაუფლების დაპყრობის შესახებ. მისი შეხედულებანი ახლოს იყვნენ ბურჟუაზიული დემოკრატიის შეხედულებებთან და არ მიდიოდნენ პარლამენტარული რესპუბლიკის იქით. მის აზრით, საკითხი ხელისუფლების შესახებ გადაწყვეტილი იყო ევროპაში ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ხალხის სასარგებლოდ. „პარლამენტში მოწვეული წარმომადგენლები ხალხისა, — ამბობდა იგი, — ასრულებენ სწორედ ხელისუფლების მოვალეობას. რაც შეგვეხება ჩვენ, მე-20 საუკუნის

სოციალისტებს, ის დაკვირვებია, რომ ყოველის მხრივ გავაუმჯობესოთ მუშათა ცხოვრება".

ნოე ჟორდანიას რევიზიონისტთა შორის უკიდურესი მემარჯვენე პოზიცია ეჭირა. ივი მოურიდებლად აქებდა ბურჟუაზიულ ცხოვრებას და სახელმწიფოს ნიმუშად ინგლისი მიაჩნდა. ინგლისური ცხოვრებისა და წყობილების წინააღმდეგ მუხლდრეკა, რომელმაც ფესვები გაიდგა მასში ჯერ კიდევ ჭაბუკობის ჟამს, მიუხედავად იმისა, რომ სიჭაბუკეს ამბოხება და რევოლუციური გატაცება სჩვევია, მან მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე შეინარჩუნა.

ერთხელ, 1900 წელს, როდესაც ბურები ინგლისთან ბრძოლაში სისხლისაგან იცლებოდნენ, მას, კამათის დროს, ერთ-ერთ რედაქციაში ჰკითხეს:

— ნუთუ თქვენ ბურების გამარჯვება არა გსურთ?

— ბურების გამარჯვება თუ ინგლისის დაცემას ნიშნავს, რაც წესაძლებელია მოხდეს, — აღნთო ჟორდანია,—მაშინ ნება მიბოძეთ, არ ვიყო იმ გამარჯვების მოწმე და არა მსურდეს ინგლისის დასუსტება. —

კლასთა ბრძოლას ჟორდანია მეორეხარისხოვან ხდვილს უთმობდა „საერთო ნაციონალურ ბრძოლაში". ივი აძინებდა მუშებს თავისი სიტყვებით სოციალისტური გადატრიალების განუხორციელებლობის წესახებ და მოითხოვდა მათი ინტერესების დამორჩილებას ნაციონალური ბურჟუაზიის ინტერესებისათვის. არაფერი ისე არ აფრთხობდა მას, როგორც სოციალისტური რევოლუცია. ამიტომ ივი მტრულად შეხვდა ბოლშევიკების ლოზუნგს: იმპერიალისტური ომი სამოქალაქო ომად გადავაქციოთო.

ახნაურობასთან დაკავშირებული, წვრილბურჟუაზიული წრიდან გამოსული კაცი, გამსჭვალული იყო მისი მშიშარა ფსიქოლოგიით და კეთილსინდისიერად იცავდა მის ინტერესებს.

ერთის შეხედვით ჟორდანია მისივე სამშობლო სოფლის— ლანჩხუთის მასწავლებელი გეგონებოდათ. უბრალო შალის, ულაზათოდ შეკერილი კოსტუმი ეცვა და გახუნებული შლიაპა ეხურა. მიუხედავად თავისი ნაკითხობისა, ევროპის ცხოვრების ცოდნისა და მის პოლიტიკურ მოღვაწეებთან ნაცნობობისა, ქართველი მენშევიკების ბელადი მაინც შინ გამოზ-

რდილ პოლიტიკოსს ჰგავდა, რომელიც ვერ იღებდა სწორ ორიენტაციას თანამედროვე რთულ ვითარებაში და არ ჰქონდა უნარი მომავლის ჭვრეტისა. მის თვალებში არ გამოსჭვიოდა რევოლუციონერის აზრის სიღრმე, არც ბრძოლაში გამობრძმედილი ხელმძღვანელის ნებისყოფა.

მას ზიზილ-პიპილები, ხარ-ზეიმობა, არტისტული პოზები და ენამჭევრობა ეჯავრებოდა. იქნებ არკი ეჯავრებოდა, არამედ — არ ეხერხებოდა. თავისი თავის წინა რიგში წამოყენებაც თითქოს არ უყვარდა. თუმცა საწინააღმდეგო აზრს ვერ ითმენდა, მეტოქეობას არავის არ აპატიებდა და მით უფრო — პირველობას პარტიაში არავის არ დაუთმობდა. ასეთ განზრახვას თუ ვისმე შეატყობდა, მკაცრ ზომებს მიიღებდა, თავის ავტორიტეტს გამოიყენებდა და საქმეს ისე მოაწყობდა, რომ მეტოქეს უთუოდ წაახდენდა, პარტიულ ამხანაგებში სახელს გაუტეხდა, თავს მოსჭრიდა და „თავის ადგილს მიუჩენდა“. პარტიული ამხანაგები და თანამოზიარენი ჟორდანიას „დიდ დემოკრატს“ და „დიდ სოციალისტს“ უწოდებდნენ. მაგრამ თავისი მოღვაწეობის მანძილზე და განსაკუთრებით კი საქართველოში ხანმოკლე მბრძანებლობის ჟამს მისი სახელით ბევრი ნამდვილი დემოკრატი, სოციალისტი და რევოლუციონერი წაახდინეს, დააპატიმრეს და დასაჯეს.

— ნოე ნიკოლოზის ძევ, — უთხრა სამხედრო სექციის თავმჯდომარის მოადგილემ ელენინმა ჟორდანიას, — ისეთი საკითხები, როგორიც მობილიზაცია და ჯარისკაცთა განიარაღებაა, ამჟამად მათი ცხოვრებაში გატარება დიდ არეულობას გამოიწვევს.

ჟორდანიამ მხრები აიჩეჩა და აღელვებული ხმით მიუგო:

— არეულობა მაშინ მოხდება, მობილიზაციას თუ არ ჩავატარებთ და სამასმესამე ვერსზე თავმოყრილ ჯარისკაცებს არ განვაიარაღებთ. თქვენ თეითონ განსაჯეთ, იარაღი და ტყვია-წამალი თუ არ გვექნა, ქარზე მომდგარ თურქებს როგორღა ვეომოთ?

— მობილიზაცია ჰო, — შენიშნა ელენინმა, — მაგრამ ფრონტიდან მომავალ, ნაომარ ჯარისკაცთა განიარაღებას სისხლის ღვრა და დიდი უბედურება მოჰყვება.

— ნუ დარდობთ. განიარაღება თქვენი სამხედრო სექ-

ციის გარეშე და დაუხმარებლად მოხდება. ვიცი: თქვენ, ჭარცივაძე და თქვენი თანამოაზრენი მობილიზაციის და ეშელონების გახიარაღების წინააღმდეგი ხართ, როძელზედაც დაჟრდნობას ცდილობენ ჩვენი ბოლშევიკები, — ბრაზით უთხრა ჟორდანიამ და დასძინა: — თქვენ ისიც კი გსურთ და, ალბათ, იმასაც მოითხოვთ, რომ თვითონ ამიერკავკასიის დეშოკრატია განიარაღდეს და ძალაუფლება ბოლშევიკებს და ფრონტიდან გამოქცეულ ჯარისკაცებს ჩააბაროს. დადგა დრო, როდესაც ამიერკავკასიის დემოკრატიამ თავის თავა თვითონვე უნდა უპატრონოს და თავდაცვაზე გადავიდეს. ბოლშევიკების ბუნტს და ანარქიას ჩვენ ვერ ავყვებით. ჩვენ ვერ დავუშვებთ ბრბოს ბატონობას, რომელსაც ფეხდაფეხ მოჰყვება რეაქცია. ეს რომ არ მოხდეს, ჩვენ უნდა შევქმნათ საიმედო ძალა და მტკიცე პოლიტიკა ვაწარმოოთ. მობილიზაციასაც ჩავატარებთ და ეშელონებსაც განვაიარაღებთ.

— ბატონო ნოე, — უთხრა ქართული კორპუსის უფროსმა პოლკოვნიკმა ახმეტელაშვილმა ჟორდანიას, — ეშელონების განიარაღება უთუოდ საჭიროა, მაგრამ განიარაღებისათვის დანიშნული რაზმი მრავალრიცხოვანი უნდა იყოს.

— რიცხვს ვერ გამოვეკიდებით, რაზმი შეიძლება მცირერიცხოვანიც იყოს, მაგრამ მებრძოლი კარგი ხარისხის. ამ მიზნით ჩვენ ჯავშნიანი მატარებელი გამოვყავით, — შენიშნა ჟორდანიამ და ჰკითხა: — სად არის ახალი მსოფლიო ომის გმირი ევგენი აფხაზავა?

— შტაბ-როტმისტრი აფხაზავა პარტიული რაზმის უფროსია, — მიუგო ახმეტელაშვილმა.

— აი, გამოიყენეთ ის სახელგანთქმული და გამოცდილი მებრძოლი, — ურჩია ჟორდანიამ.

2

კავალერიის ოფიცერი — შტაბ-როტმისტრი ევგენი აფხაზავა მსოფლიო ომის გმირი და გიორგის ორდენის კავალერი იყო. მკერდი ორდენებით ჰქონდა მოჭედილი.

მსოფლიო ომის დროს საჩქაროდ გამოჩეკილ ოფიცრებს ფრონტზე რამდენიმე თვით დარჩენა და მერმე საშობლოში ორდენებით დაბრუნება დასჩემდათ. ეს ჩვეულება, უმ-

თავრესად, უსაქმო, მოქეიფე და ბუდიდან ამოვარდნილ ჭაბუკებს ახასიათებდათ, რომლებიც სამხედრო სკოლაში ომის დროს შედიოდნენ და მერმე „პრაპორშჩიკის“ ხარისხით გვევლინებოდნენ. აფხაზავა ამ კატეგორიის ჭაბუკებს არ ეკუთვნოდა. იგი მსოფლიო ომამდე გაიწვიეს ჯარში. ომის დროს უბრალო ჯარისკაცი იყო, მერმე ომში თავი ისახელა, ვახმისტრად გახადეს და, რადგან გიმნაზიის ექვსი კლასი დამთავრებული ჰქონდა, სამხედრო სკოლაში გაგზავნეს. 1915 წელს სამხედრო სკოლა დაამთავრა. კორნეტის ეპოლეტზე ორი ვარსკვლავი აენთო, ხოლო ფრონტზე ორდენები მიიღო. 1916 წელს ეპოლეტზე კიდევ ერთი ვარსკვლავი მიუმატეს, პორუჩიკად გახადეს და სამშობლოში კი ოთხი ვარსკვლავით, — შტაბ-როტმისტრის ხარისხით დაბრუნდა.

ხარისხს და ომში მიღებულ ორდენებს აფხაზავა დიდად აფასებდა, თავი ნამდვილ გმირად მიაჩნდა. სამშობლოში ყველა რიდითა და პატივისცემით შეეგება მას და მის პატივმოყვარეობას ეს კიდევ უფრო აღვივებდა. ხშირად-სმენია აღტაცებული ხალხის ძახილი: „მსოფლიო ომის გმირი!“. ბავშვები და გოგო-ბიჭები ქუჩაში ფეხდაფეხ მისდევდნენ გურული გლეხკაცის ოჯახიდან გამოსულ ჭაბუკს, რომლის ოდნავ კეხიან ცხვირს, ლამაზ სახეს და ტუჩ-კბილს კოკობი ულვაში ამშვენებდა, თავბრუ ეხვეოდა.

აფხაზავას ფოლადივით ცივი, კაისერი თვალები ჰქონდა. განრისხების დროს ფოლადი კაჟზე ეცემოდა, კვესავდა და თვალები ცეცხლს აფრქვევდნენ. ამ კაცის სიფიცხე და გაბრაზება სიგიჟემდე მიდიოდა, რომლის დროს, მის ხმალსა და ტყვიას არა ერთი კაცი შეუწირავს.

შტაბ-როტმისტრს მკერდზე და კისერზე ცხრა ორდენი და სამხედრო სკოლის დამთავრების ნიშანი ეკიდა: ორი ვერცხლის მედალი, რომელზედაც რუსი ხელმწიფის მინიატურული ლომის თავი იყო გამოკვეთილი. ჯარისკაცისთვის მიჩნეული წმინდა გიორგის ოთხი ჯვარი — ორი ვერცხლისა და ორიც ოქროსი. ეს ექვსი ორდენი ჯარისკაცობის დროს ჰქონდა მიღებული. მერმე — წმ. ანას ორდენი — ოქროს ჩარჩოში ჩასმული, წითელი მინანქრისა, ხმლითა და ლენტით შეჯკული. ყველა ეს შვიდი ორდენი და სამხედრო სკოლის დამთავრების ნიშანიც, მკერდის მარცხენა მხარეს ჰქონდა ჩა-

ნოკიდებული, ხოლო წმ. კლადიმირის ორდენი, ოქროს ჩარჩოში ჩასმული, ხმლითა და ლენტით შემკული — მკერდის მარჯვენა მხარეს, კისერზე კი — წმ. სტანისლავისა, ესეც ოქროს ჩარჩოში ჩასმული და წითელი მინანქრისა.

ვერცხლისფერ ეპოლეტზე ჩამჯდარი ოთხი ვარსკვლავი და რიცხვი „12“ გვიჩვენებდა, რომ აფხაზავა მეთორმეტე საკავალერიო ულანთა პოლკის შტაბ-როტმისტრი იყო. ფრენჩზე თეთრი სირმის ქამარი ერტყა. თავზე ცისფერი არშიანი თეთრი მაუდის ქუდი ეხურა. დიაგონალის შარვლის გვერდის ნაკერში თეთრივე ნაწიბური ჰქონდა ჩაყოლებული. სანდალოზის ჩექნა ეცვა, დეზებით აჟღერებული. ყოველივე ამას ოქრომჭედლის მიერ კოხტად ნაოსტატები გველისთავიანი კავკასიური ხმალი ამშვენებდა, რომლის ტარზე შავ-ყვითელი ზოლებით წმინდა გიორგის ფუნჯიანი ლენტი — ტემლაკი ეკიდა. ეს აფხაზავან საყოველდღიურო, სადა და უბრალო ტანსაცმელი იყო. ხოლო ულანთა პოლკის შტაბ-როტმისტრი ევგენი აფხაზავა საბარადო ფერადოვან მუნდირში, თეთრი სამკერდულით, გაპრიალებული ვერცხლის ბეზარადით და შიგ ჩაჩრილი უცხო ფრინველის ფრთებით, ზიზილ-პიპილებით, ლამპასებით და ბუზმენტით მორთული რომ ვნახათ, ალბათ, ვერც მისი მშობელი იცნობდა.

აფხაზავა პლეხანოვის გამზირზე სასტუმრო „ნოეში“ ცხოვრობდა. სასტუმროს პატრონი ნოე სიხარულიძე ამაყობდა: აფხაზავა ჩვენებურია, ჩემი მეზობელიაო...

სასტუმროს პატრონს ჩინებული რესტორანი მოეწყო და კარგი ორკესტრიც მოეწვია. როიალზე თვრამეტი წლის ლამაზი და ტანადი ფრანგი გოგონა მადმუაზელ ბუში უკრავდა; იგი აფხაზავას უღიმოდა, ჯერ შორიდან აწონებდა თავს და კოხტაობდა, მერმე სიამოვნებით იღებდა შტაბ-როტმისტრისაგან მიძღვნილ თაიგულებს, შიგ ოსტატურად ჩაგრეხილ ქალალდის ფულსა და ალერსსაც, რაც ძალიან სწყინდა და ლწიფოებდა პატარა კუნაპეტს, პატარა კუნაპეტს ებრაელს, საკერდის შიგ ქურთუკში გამოწყობილ ჰენრიეტ შმუკლერს. იგი მსუქან ტუჩებს იკვნეტდა, შტაბ-როტმისტრს თვალს ირიდებდა. ქალსავით ნაზი, აკასკასებული ხელით შუბლზე ივაცვენილ ოქროსფერ ხუჭუჭ თმას იწორებდა და ცისფერი თვალებით, უიმედოდ სადღაც შორს იხედებოდა: იქით-

ვას თუ ემდურებოდა, გოლიათის მჯობნელ ჭაბუკ გმირად— დავიწყებად ოდ არ გამაჩინეო. სამაგიეროდ, ფრანგი გოგონას მოხუცი მამა, როდესაც მისი ქალი შტაბ-როტმისტრისაგან საჩუქარს მიიღებდა, — ვირტუოზულად იწყებდა ვიოლონჩელოზე დაკვრას. სახეზე ნეტარი ღიმილი ეფინებოდა და ბედს არ ემდუროდა, ოდესღაც ცნობილი პროფესორი მუსიკისა და პეტერბურგის ოპერის ორკესტრის მშვენება ახლა ოთხ გალოთებულიყო, რესტორანში ეგდო, ათასგვარ დაცინებას განიცდიდა და ღვინო-არაყისაგან ხენდროსავით გაწითლებულ ცხვირსა და დინგში ესროდნენ ქაღალდის ფულს სპეკულანტები, ვაგონდარები, უმეცრები, კულტურისა და მუსიკის მტრები. არც გერმანელი გარმონისტი ედუარდ დიკი ემდუროდა ბედს. აფხაზავას გულის მოსაგებად უკრავდა და ბულბულივით უსტვენდა მეთორმეტე ულანთა პოლკის კავალერიის მარშს.

სასტუმრო „ნოეს“ რესტორნის ოფიციანტები კარგად იცნობდნენ აფხაზავას განუყრელ მეგობარს — როტმისტრს ეხვაიას. როტმისტრის მამა რკინიგზის სადგურის ბუფეტის გამგე იყო. ოფიციანტებს უკვირდათ ბუფეტის გამგის შვილი წმინდა გიორგის ორდენის კავალერი როგორ გახდაო. მაგრამ მათ გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც აფხაზავას დაინახავდნენ. მოხუცი ოფიციანტები იძახდნენ:

— საიდან გამოუვიდა უბრალო გურულ გლეხკაცს, ასეთი ნასწავლი, დაწინაურებული და გმირი შვილი?

ჭაბუკი ოფიციანტები კი ხელსახოცს ჰაერში შეატრიალებდნენ, მხარზე გადაიგდებდნენ, ულვაშს გადაიგრეხდნენ. და იტყოდნენ:

— აფხაზავა ვაჟკაცია! მხედარს ცხენიანად გააპობს! ტყვიას ტყვიაში აჯენს! დედის ღმერთს აგაცლის! ახლა როგორი მსმელი და მხარჯველია, არ იკითხავ?! — მხარჯველისა, რა მოგახსენოთ: ქეიფის მერმე, ანგარიში მუდამ გადაუხდელი რჩებოდა. მაგრამ რა უშავდა?! ამაოდ ხომ არ ამაყობდა სასტუმრო „ნოეს“ პატრონი — ნოე სიხარულიძე აფხაზავასთან მეგობრობით?!

1918 წლის 5 იანვარს ჯავშნიანი მატარებლის უფროსი პორუჩიკი ანდღულაძე თბილისში ჩამოვიდა. მატარებელი ჩიხში დააყენა და აფხაზავას გაუარა.

პატარა და ჩია ტანის პორუჩიკი მშვიდი და წესიერი კაცი იყო. იგი, აფხაზავასთან ერთად, ყარსიდან ბაქოში მიმავალი ეშელონების განსაიარაღებლად იგზავნებოდა. როდესაც რომელიმე ეშელონი განიარაღებაზე კატეგორიულ უარს აცხადებდა, ანდღულაძე თავს ანებებდა და სისხლის ღვრას ერიდებოდა. ახლა კი წუხდა, რადგან აფხაზავასთან ერთად ოპერაციის ჩატარებისა ეშინოდა. კარგად იცოდა შტაბ-როტმისტრის ამაყი, ფიცხი და ამპარტავანი ბუნება; იქ, სადაც სიტყვა არ გასჭრიდა, აფხაზავა ტყვიას ან ხძალს გააჭრევინებდა.

ორივენი — ანდღულაძე და აფხაზავაც — გურულები იყვნენ. მაგრამ გურულიცაა და გურულიც! ერთი მუდამ წუმწუმასავით რომ ენთება, ფიცხი და „გაკუჭებულია“, მეორე ამდენადვე მშვიდი, დარბაისელი და აუღელვებელია. ერთი უკანონო, გზას ფირალივით რომ ადგია და „ფიშტო“ და „მაჭახელით“ სწყვეტს საკითხს, მეორე — ამდენადვე სამართლიანი, მართებული და გონების თვალით მხედველია. ასეთი განსხვავება იყო ამ ორ გურულ ოფიცერთა შორისაც.

პორუჩიკმა ანდღულაძემ სასტუმროს ნომრის კარებზე დააკაკუნა. ოთახში სტვენა და დეზების ყღარუნი შეწყდა.

— აჰა, ვინა ხარ? შემოდი! — გაისმა აფხაზავას უკმეხი, უხიაკი და უკეთური ხმა.

ანდღულაძე შევიდა. სავარძელში როტმისტრი ეხვაია მთელი ტანით გაშოტილიყო. მკერდს გიორგის ჯვარი უმშვენებდა. კოკარდიანი ქუდი კეფაზე მოეგდო. გაპრიალებული ჩექმები ეცვა. ფეხები იავარად გაეჭიმა და გუშინდამის ქეიფიდან გამოყოლილ და მესხიერებაში ჩამჯდარ მოტივს უსტვენდა. ანდღულაძის შესვლისაას იგი არც კი განძრეულა, ნებოლოდ მარჯვენა ხელის მოსხლეტით ცისცა სალამი და ისევ სტვენა განაგრძო.

ეხვაიასთან ერთად ღამენათევი და ნამთვრალევი აფხაზავა, ეს-ეს არის, ამდგარიყო, პირი დაებანა, თმა დაევარცხნა

და ორდენებით მოჭედილ ფრენჩს სარკესთან ისწორებდა. სარკეში ანდღულაძე იცნო, მიუბრუნდა და შესძახა:

— აა, გამარჯობა, ჯავშანავ, შენი!

აფხაზავას თვალის უპეები შესიებოდა და სახე აფორაჯებოდა. ამღვრეული თვალები მოწმობდნენ, ღვინისა და მაგარი სასმელების ალმური ჯერ კიდევ არ გამონელებოდა.

— დაჯექი, როდის ჩამოდი? რა ამბავია? ჯავშნოსანი სად არის? მივდივართ? — დააყარა პარაბელუმის ტყვიებივით აფხაზავამ ანდღულაძეს.

— ევგენი, მე შენთან საქმეზე მოვედი, — უთხრა ანდღულაძემ.

— რა საქმეზე? — ჰკითხა აფხაზავამ, დოინჯი შემოიდგა, ბეჭები გაშალა და პორუჩიკის წინ გაჩერდა.

— ხომ იცი, მთავრობამ დააკმაყოფილა ამას წინათ ეშელონების მოთხოვნილებები და ჯარისკაცებმა ბაქოსკენ გასწიეს. ახლა ფრონტიდან მომავალი ახალი ეშელონები დაბანაკდნენ ფოილოს ხიდთან და ისევ თბილისზე გამოლაშქრებით იმუქრებიან. შენ შენის რაზმით ჩემთან ხარ დანიშნული და ხვალ დილით ადრე უნდა გავიდეთ თბილისიდან განიარაღების ჩასატარებლად, — აცნობა ანდღულაძემ.

— მე ვარ, ბიჭო, შენთან დანიშნული, თუ შენ ხარ ჩემთან მომაგრებული? — აგდებულად და დამცინავად ჰკითხა აფხაზავამ.

— წაიკითხე, აგერ ნოე რამიშვილის ბრძანება, — მიუგო ანდღულაძემ, ფრენჩის გულჯიბიდან ქაღალდი ამოიღო და აფხაზავას გაუწოდა. აფხაზავამ ქაღალდი კი არ გამოართვა, გამოსტაცა, გაშალა და კითხვა დაიწყო.

ანდღულაძემ ოთახს მოავლო თვალი. მაგიდაზე პარაბელუმი, ხმალი, ქუდი, ტყავის სალაშქრო ჩანთა, შოკოლადის ყუთი, შამპანურის ბოთლები და მაღალყელიანი ჭიქები ეწყო... ლოგინი მინგრეული და მიულაგებელი იყო. ოთახში ანარქია სუფევდა. ჰაერში ფერუმარილის, სურნელოვანი წყლის, თამბაქოსა და სპირტის სუნი იდგა.

— ეს ბრძანება გაუქმებულია, — უთხრა აფხაზავამ ანდღულაძეს.

— როგორ თუ გაუქმებულია?

— ისე! ჩვენ სხვა მოწერილობა გვაქვს. — აფხაზავამ ეხ-

ვაიას თვალი უყო. ქალაქლი ოთხად დაკეცა და ანდღულაძეს გულჯიბეში ორი თითით ჩაუტენა.

4

მეორე დღეს, დილით, აფხაზავა თავისი რაზმით არსენალთან გაჩერებულ ჯავშნიან მატარებელში დაბანაკდა. მატარებელში პორუჩიკი ანდღულაძე, მისი ოცდათხუთმეტი რაზმელი, შტაბ-როტმისტრი აფხაზავა, აფხაზავას თანაშემწენი: მაყაშვილი, მაყარაშვილი და სამოცი პარტიზანი მოთავსდნენ.

ცივი და მოღრუბლული დილა იყო. ქალაქს ჯერ კიდევ ეძინა და ირგვლივ სიჩუმე და მყუდროება სუფევდა. მაგრამ ამიერკავკასიის მესვეურთ ძილი გასტეხოდათ—ვაითუ ეშელონები ფოთლოს ხიდთან გადმოსხდნენ და თბილისზე გამოილაშქრონო.

სასახლიდან ერთვნული საბჭოს სამხედრო სექციის თავმჯდომარე ნოე რამიშვილი გამოვიდა. იგი ღამენათევი იყო. სახეთელივით ყვითელი და დაღლილი სახე ჰქონდა. თვალის უპეები ჩალურჯებოდა, მუქი წაბლისფერი წვერ-ულვაში აბურძგნოდა. რამიშვილმა გამზირი გადასჭრა, საყელო აიწია, შუაზე ჩაკეცილი კრაველის ქუდი მჭიდროდ დაიხურა, ხელები პალტოს ჯიბეებში ჩაიწყო და, როდესაც ქაშვეთის ტაძარს გაუსწორდა, მახათას მთიდან კივილი შემოესმა:

არსენალის წინ, ლიანდაგზე, ჯავშნიანი მატარებელი გაწრილიყო. რამიშვილის ბრძანების თანახმად, იგი ეშელონების განსაიარაღებლად მიემგზავრებოდა.

ორთქლმავალმა მიღიდან შავი ბოლი ქშენით ამოუშვა. ბილი ქარმა გაიტაცა.

ჯავშნიანი მატარებელი ნავთლუღისაკენ გრიალით გაემართა.

რამიშვილმა ქაშვეთის ჩაუარა და მერმე ბარიატინსკის ქუჩაზე, ქართული კორპუსის შტაბში შევიდა.

მატარებელი ნავთლუღში გაჩერდა. აქ ფრონტიდან ჩრდილოკავკასიაში მიმავალი ეშელონის ჯარისკაცების ნაწილს ჯერ კიდევ ეძინა, ზოგს ვაგონის კარ-ფანჯარაში გაეძოგა თავი, ზოგს საჩქაროდ ჩაეცვა და ზოგიც ჩაიდნით სადგურის-

კენ გარბოდა. ჯარისკაცები ფოლადით შეჭედილი ვაგონების ბორბლებში, სათოფურებში იჭვრიტებოდნენ, ბავშვებივით იღიმებოდნენ და კამათობდნენ:

— ტყვია ვერ გაიტანს ამ ფოლადის ფარს?

— ტყვია? ვერა!..

— ყუმბარა?

— კი მაგრამ, გარბის და ისე ისვრის. ნიშანში არ გინდა ამოიღო?

— ამოიღებენ, დარდი ნუ გაქვს!

ფრონტიდან მომავალმა ჯარისკაცებმა არ იცოდნენ მაშინ, ჯავშნიანი მატარებელი ბოროტი განზრახვით რომ მიეწვებოდა ბაქოს რკინიგზის ხაზზე. თბილისის მახლობლად ეშელონების განიარაღება მიზანშეწონილად არ მიიჩნია აფხაზავამ და სამასმესამე ვერსისაკენ გაეშურა. ეშელონები სამასმესამე ვერსზე იდგნენ, მაგრამ აფხაზავამ არც აქ მოისურვა მათი განიარაღება და ყარაიაში ჩავიდა.

აფხაზავა სწრაფად ჩამოხტა მატარებლიდან. პარაბელუმითა და მოსევადებული ქამარ-ხანჯლით შემორტყმული შავი ჩოხა ეცვა. ახლა ის და მისი რაზმელებიც ჩოხას ატარებდნენ. რკინიგზის მილიციელები მიესალმნენ. აფხაზავა ათას კაცში საკითხავი იყო და აქაც მისი ვინაობის გამოძიება დაიწყეს: ვინ არის ეს კაცი? აუ, რამდენი ორდენი ჰქიდია! გმირი ყოფილაო.

აფხაზავა აზერბაიჯანში ნამსახური კაცი იყო, განჯაში ბევრი ნაცნობი და მეგობარი ჰყავდა: მუსულმანთა ცხენოსანი ლეგიონის უფროსი — პოლკოვნიკი მაღალაშვილი, ამჟამად — მაღალოვად მონათლული, თბილისიდან ჩამოსული რიტმისტრი ეხვაია, ქოჩაკიძე, პორუჩიკი თარხან-მოურავი, მუსულმანური ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე და შეიარაღებული რაზმების ხელმძღვანელი — ექრმი რაფიბეგოვი და სხვანი.

ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მუსავატელი რაფიბეგოვი, დაშნაკი ტიგრანიანი, თავადი მაღალაშვილი და ყველა ჯურის კონტრრევოლუციონერი განჯაში მოკალათდა.

ოთახში ყარაიას სადგურის უფროსი პავლოვი, აფხაზავა, ანდღულაძე და მუსულმანური რაზმის უფროსი მამედ ეე-

ზვიადოვი ისხდნენ. ანდღულაძემ სადგურის უფროსს ჯავშნიანი მატარებლის მოსვლის მიზანი შეატყობინა და დასძინა:

— ბაქოს რკინიგზის ხაზზე წესრიგი უნდა დავამყაროთ.

— მუსულმანთა ბრბოები თავს ესხმიან და ძარცვავენ უცრონტელ ჯარისკაცებს. ბრბოების თავდასხმის გამო, ჯარისკაცები უიარაღოდ შინ აღარ ბრუნდებიან, — შესჩივლა პავლოვმა ანდღულაძეს და აფხაზავას.

ფანჯარასა და კარებში მამედ ვეზიროვის რაზმელები იჭვრიტებოდნენ. რაზმელებს გრძელბეწვიანი ბუხრის ქუდები ეხურათ. ისინი ბერდანით და ასკერთა კარაბინებით იყვნენ შეიარაღებულნი. პავლოვის მიერ მუსულმანთა მონათვლა ბრბოებად არ მოეწონა ვეზიროვს, იგი აიმრიზა, მაგრამ აფხაზავამ სხვა საგანზე დაუწყო ლაპარაკი:

— კახეთიდან მომავალი ეშელონის ჯარისკაცებმა, — დაიწყო მან, — არ შეასრულეს კავკასიის არმიის სარდლის ბრძანება, რომლის მიხედვით იარაღი მათ ქართული კორპუსისათვის უნდა ჩაებარებინათ. ფეხებზე ჰკიდიათ დეზერტირებს ბრძანება. ჩვენ იმ ეშელონს ყარაიაში გავუვაიარალებთ. გახსოვდეთ: ყოველი ჩვენი ბრძანება უსიტყვოდ უნდა შეასრულოთ, — მკაცრად უთხრა აფხაზავამ ყარაიას სადგურის უფროსს. პავლოვი შეშინდა. წითელი მაუდის ქუდი მოიხადა და შუბლზე მჯდარი ვეება კოპის ფხანა დაიწყო.

აფხაზავა ტელეგრაფის აპარატთან მივიდა. განჯაში პოლკოვნიკ მალალოვს და ექიმ რაფიბეგოვს ყარაიაში განზრახული განიარაღება აცნობა. ისინი დახმარებას შეჰპირდნენ.

მალე სადგურის ბაქანზე ზარი დარეკეს. ყარაიას ველზე, გაყინული ჭაობებიდან იხვი და ბატი ისეთი მშვიდი ყიცილით წამოიშალა, თითქოს ალესილი ყინულით ყელი გაეხსნესო.

კახეთის ეშელონი ყარა-თაფიდან გამოსულიყო.

ანდღულაძემ ბრძანება გასცა. რაზმელები მატარებელს შემოეკვეთნენ. ჩოხის კალთები აიკაპიწეს, ქორებივით ჩაფრინდნენ ჯავშნოსნის ბუდეში და უმალვე გაუჩინარდნენ. მეშინჭანემ მატარებელი წინ წასწია და ეშელონს გზა გადაუკრა.

მილიციელებმა ბაქნიდან ხალხი გარეკეს. ცარიელ ბა-

ქანზე მხოლოდ აფხაზავა დამდგარიყო ახლა და ლიახდაგს გასცქეროდა. ზამთრის სუსხიანი ქარი ქორის ფრთასავით აფრიალებდა მისი შავი ჩოხის კალთას და თოვლით დაფარულ ყარაიას ველზე ჰკიოდა.

სრულ თერთმეტ საათზე საყვირი გაისმა და შავად გარუჯულმა ორთქლმავალმა სადგურს ქაქანით მოაშურა.

სადგურის უფროსმა აკანკალებული ხელით ჩამოართვა მემანქანეს კვერთხი. აფხაზავას წინ ჯარისკაცებით გაჭედილი საბარგო ვაგონები გარბოდნენ. ვაგონებიდან სიმღერა, სტვენა, გარმონის ხმა და ხარხარი ისმოდა. ჯარისკაცები სადგურის აბრას აკვირდებოდნენ და წარწერას დამარცვლით კითხულობდნენ:

— ყა... რა... ია...

— პატარა სადგური ყოფილა, ალბათ, ბუფეტიც არ არის.

მემანქანემ სვლა შეანელა. ბუფეტის თეფშები ერთმანეთს დაეჯახნენ და მატარებელი გაჩერდა. მატარებლის გაჩერებამდე ჯარისკაცები ჩამოხტნენ და სადგურს მიაშურეს. ყველანი ერთბაშად ალაპარაკდნენ, თითქო სადგურის ბაქანზე და დარბაზში სკა გუგუნებსო.

შენობადგომის ფოთოლივით ცვიოდა ბუფეტის დახლზე ქაღალდის ფული — „კერენკები“. „საშოვარში“ ჩავარდნილი გამგე და მისი ბიჭები ელვისებური სისწრაფით მუშაობდნენ, ფულს ჰხვეტავდნენ, ჯარისკაცებს „ასუფთავებდნენ“. სადგურის დარბაზს და ბაქანს კალიასავით შეესივნენ ჯარისკაცები. ისმოდა ყვირილი, ხმამაღალი ლაპარაკი, დალურსმული ჩექმების ბრახუნი. ირგვლივ იუხტისა და შეკოს — „მახორკის“ სუნი დადგა.

ჯარისკაცები ჭიანჭველებივით შემოეხვივნენ ჯავშნიან მატარებელს. აწეული ფარის ქვეშ, სათოფურებში ღინღლით იჭვრიტებოდნენ, იქიდან კი ბუხრის ქუდით სახედაჩრდილული რაზმელების მრისხანე თვალები იცქირებოდნენ.

ამ დროს, სადგურის უფროსის ოთახში აფხაზავა წინადადებას აძლევდა დელეგატებს: კახეთის ეწელონი გაერიარაღებულიყო. დელეგატები უარს აცხადებდნენ. მაშინ აფხაზავა ბაქანზე გამოვიდა, ჯავშნიან მატარებელზე ავიდა და მალე ჯავშნოსნის კოშკურების სათოფურებიდან გამოკიფილი ზარბაზნების ლულები ეშელონისაკენ მოემართნენ.

სისხლის ღვრის თავიდან აცილების მიზნით დელეგატებმა დააბრუნეს ჯარისკაცები: ბაქომდე რკინიგზაზე წესრიგს ჯავშნიანი მატარებელი უზრუნველყოფსო და იარალის ჩაბარებაზე დაითანხმეს.

ჯარისკაცებმა ვაგონები მიატოვეს. აფხაზავას და ანდღულაძის რაზმელებმა იარაღი ჯავშნიანი მატარებლის ვაგონ-საწყობში გადაზიდეს.

ჯარისკაცები არ უწევდნენ წინააღმდეგობას, მაგრამ როდესაც რაზმელებმა იარაღის გარდა, ეშელონის სურსათიც: ფქვილი, ერბო, თივა და სხვა მარაგის გადაზიდვაც დაიწყეს, აღშფოთდნენ.

— ჩვენ შევასრულეთ თქვენი მოთხოვნილება: იარაღი ჩაგაბარეთ, ახლა კი ლუკმაპურსაც გვართმევთ? კარგად მოგეხსენებათ რკინიგზებზე ახლანდელი მიმოსვლა. შინ მისვლამდე, ჯერ კიდევ გრძელი გზაა. გზაზე არაფერი არ იშოვება და შიმშილით უნდა ამოვწყდეთ?..

ანდღულაძემ აფხაზავას უთხრა:

— სურსათის ჩამორთმევა, ხომ იცი, ეკგენი, აკრძალული გვაქვს... მთავრობა გაიგებს და უსიამოვნება მოხდება.

— კახეთში მოტაცებული ფქვილი დეზერტირებს რომ ჩამოვართვა, ეს ეწყინება, ბიჭო, მთავრობას?

— რად გვინდა, კაცო, აი ფქვილი? ხომ ხედავ, რამდენი თოფი და ტყვია ვიშოვეთ მაგერში? — უთხრა ანდღულაძემ აფხაზავას და მერმე რაზმელებს უბრძანა: — წაიღეთ, ჩააბარეთ უკანვე ფქვილიანი ტომრები.

აფხაზავას ეწყინა:

— ბრძანება მე გავეცი და როგორ ბედავ ამ ჯარისკაცებში ჩემ შერცხვენას და მოჯაყვას? აფიცერიც შენისთანა ჯნდა! ეი, თქვენ, — უყვირა რაზმელებს, — ხომ მოისმინეთ ჩემი ბრძანება?

რაზმელებმა ისევ განაგრძეს ეშელონის სურსათის გადაზიდვა. ანდღულაძე აფხაზავას შეედავა.

— ბოლოს და ბოლოს ჯავშნიანი მატარებლის უფროსი მე ვარ და ჩემი ბრძანება უნდა სრულდებოდეს.

— ვინ მოგეხსენა, მატარებლის უფროსი ბრძანდებიო?

— აკი წაგაკითხე ბრძანება: აფხაზავა, მისი რაზმით ან-

დღულაძის განკარგულებაში ინიშნებაო? — ჰკითხა ანდღულაძემ.

— ევგენი აფხაზავა შენისთანა უფროსის განკარგულებაში და მისი ხელქვეითი არასოდეს არ ყოფილა და არც იქნება. მე მაშინაც მოგახსენე, ჩვენ სხვა ბრძანება გვაქვსთქო. მართალი გითხრა, ჯავშნიანი მატარებლის უფროსობა ჩემი საქმე არ არის და არც არაფრად მიღირს. განიარაღების ჩატარებაზე თანხმობა საქმიანი მოსაზრების გამო განვაცხადე. მაგრამ საქართველოში ყველაფერი არეულ-დარეულია. არ მეგონა, დროება ისე თუ გამოიცვლებოდა, რომ პორუჩიკი ანდღულაძე, მსოფლიო ომის გმირს — შტაბ-როტმისტრს ევგენი აფხაზავას უფროსობას გაუბედავდა. ღმერთმა იცოდეს: შენი შეურაცხყოფა არ მინდოდა. მაგრამ, ვინაიდგან დროება ისე წამხდარა, რომ შენისთანა ყაზილარი თავისგატოლებას და უფროსობასაც კი მიბედავ, იძულებული ვარ შესაფერი ადგილი მიგიჩინო. შენ, ალბათ, ნოე რამიშვილის იმედი გაქვს. მე კი ჯარისკაცი ვარ და ქართული ჯარების უფროსის განკარგულებას ვასრულებ. წაიკითხე აგერ, მანდატი, — მიუგო აფხაზავამ, გულჯიბიდან ქაღალდი ამოიღო და ანდღულაძეს გაუწოდა. ანდღულაძემ წაიკითხა: მატარებლის უფროსად აფხაზავა ინიშნებოდა, ხოლო ანდღულაძე და მისი ჯარისკაცები კი — პირიქით, მის განკარგულებაში შედიოდნენ.

ანდღულაძე სახტად დარჩა. მანდატი ქართული კორპუსის უფროსის ახმეტელაშვილის მიერ იყო ხელმოწერილი. „საქმე ჩემს ზურგს უკან მოუგვარებია. რა ფასი აქვს ახლა აქ ჩემს დარჩენას? ერთ მატარებელზე ორი უფროსი არ გამიგონია! რამიშვილთან ახმეტელაშვილი რა მოსატანია, მაგრამ მე ჩხუბის თავი არა მაქვს. წადი და სდიე ახლა ამ თავზეხელაღებულ და გადარეულ კაცს. აფხაზავა ჩემს თანაშემწეობას რომ არ იკადრებდა, რატომ რამიშვილმა არ იცოდა?“ — გაიფიქრა ანდღულაძემ და აფხაზავას უთხრა:

— მაშ, თუ ასეა, ღმერთმა ბედნიერება მოგცეს. მე ჩემს რაზმით უკანვე მივდივარ.

— მიბრძანდი! — აღარ დაუპატრონია აფხაზავას. იგი სამიერიდან ჯავშნიანი მატარებლის ბატონ-პატრონი გახდა.

ანდღულაძემ მატარებელი მიატოვა. აფხაზავას რაზმელებ-

მა ეშელონის სურსათის გადაზიდვა განაგრძეს. რამდენიმე ტომარა პურის ფქვილი, ერბო, თივა წაიღეს და ოთხი ცხენიც წაიყვანეს.

მალე ყარაიას სადგურზე აზერბაიჯანის ეროვნული საბჭოს რაზმელები მოვიდნენ. ჯავშნიანი მატარებლის ვაგონსაწყობის უფროსმა შალვა პაპავამ და მისმა დამჭაშებმა ახლომახლო სოფლებიდან მოსულთ შაშხანები, ტყვიები და ფალასები მიჰყიდეს. იარაღის გაყიდვის ამბავი დიდი სისწრაფით მოედო მახლობელ სოფლებს და გლეხებმა ჯგუფ-ჯგუფად იწყეს სადგურისაკენ სვლა. მალე სადგურთან ბაზარი გაიმართა. პაპავას და მის ბიჭებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დამთავრებული მეჯოგეების გაჭონილი ფულის თვლა, რომელსაც ცხვრის დუმის სუნი სდიოდა, როდესაც ბაქანზე ისევ ზარის ხმა გაისმა. ყარათაფიდან ახალი ეშელონი გამოსულიყო.

ყარაიას სადგურზე ახლა არტილერიით და ქვეითი ჯარით დატვირთული ხუთი ეშელონი მოვიდა. პირველი ეშელონის განიარაღებამ და აქვე მათი იარაღის გაყიდვამ ახალმოსულ ჯარისკაცთა შორის აღშფოთება გამოიწვია. საარტილერიო ეშელონებმა არამცთუ ჩამორთმეული იარაღის დაბრუნება, არამედ ჯავშნიანი მატარებლის განიარაღებაც კი მოითხოვეს.

ამაოდ განუმარტავდა აფხაზავა ჯავშნიანი მატარებლის ვაგონში მისულ ჯარისკაცთა დელეგატებს დამორჩილებოდნენ ამიერკავკასიის მთავრობის განკარგულებას. ტყავის ქურთუკში გამოწყობილი ბელაგორსკი, კარპოვი, მახათაძე და კრუგლოვი იმ განკარგულების წინააღმდეგ ილაშქრებდნენ.

მთელ რუსეთში გამოცხადებულია ახლა ერთი ძალაუფლება — მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ძალაუფლება. ჩვენ იმას ვცნობთ. აქ კი, ამიერკავკასიაში ჩვენ ვემორჩილებით მხოლოდ ბაქოს რევკომს და ბაქოს საბჭოს,— მიუგო ბელაგორსკიმ.

— იქ, რუსეთში, — გააწყვეტინა სიტყვა აფხაზავამ,— თქვენ შეგიძლიათ იცნოთ, ვინცა გსურთ. აქ კი, კეთილინებეთ და ჩვენს მთავრობას დაემორჩილეთ. სხვის მონასტერში საკუთარი წესებით არ მიძვრებიანო, ხომ გაგიგონიათ ეს ანდაზა? ანარქია, რომელიც ახლა რუსეთში სუფევს, ჩვენთვის სავალდებულო არ არის და თავზეც ვერ მოგვახვევთ.

ჩვენ გვესაჭიროება იარაღი თურქეთის არმიის წინააღმდეგ.

— თურქეთისადმი ნამდვილი წინააღმდეგობის გაწევა და მისი განადგურება შეუძლია მხოლოდ რევოლუციურ არმიას.

— მე არა ვარ ჩვეული ჯარისკაცებთან კამათს. მე ვასრულებ ჩემი მთავრობის ბრძანებას, მორჩა. ჩაგვაბარეთ იარაღი და შეუჩერებლივ გასწიეთ ბაქოსაკენ.

სხვასთან შედარებით რბილი ადამიანი კრუგლოვი შეეცადა აფხაზავა დათმობაზე დაეყოლიებინა:

— ბაქომდე ამ რკინიგზაზე შეიარაღებული ბრბოები თარეშობენ. ძარცვავენ და ჰკლავენ უიარაღო ჯარისკაცებს. დაფიქრდით: რა დღეში გვაგდებთ?

— რკინიგზის ხაზის დაცვას ჩვენ ვკისრულობთ. დარდი ნუ გაქვთ, სრულიად უვნებლად მიაღწევთ ბაქოს, — ოდნავ მოლბა აფხაზავა, მაგრამ ბელაგორსკი არა თმობდა:

— გმადლობთ, თქვენის იმედით ჩვენ შორს ვერ წავალთ. ვისგან უნდა დაგვიცვათ თქვენ, თუკი თქვენ თვითონ ძარცვავთ ჯარისკაცებს? ჩვენ მოვიპოვოთ პირველი ეშელონის იარაღის დაბრუნებას.

— მე დავამთავრე თქვენთან ლაპარაკი, მორჩა და გათავდა! — იყვირა აფხაზავამ, ამოსწურა რა ყველა თავისი საბუთი და თავისი მშვიერმეტყველების მარაგი, — იარაღს თქვენ ვერ მიიღებთ! მიბრძანდით!

— მაშინ ჩვენ მას ძალით დავიბრუნებთ!

ჯარისკაცთა ჯიუტობით აღშფოთებულმა აფხაზავამ ხარაბელუმზე იტაცა ხელი, კუპეში მდგარ ჯარისკაცთა წრე გაარღვია და ბელაგორსკისთან მივიდა. მაგრამ მალე გაიაზრა, რომ ძალა მის ხელში არ იყო, რომ დელეგატის მოკვლა დამღუპველ შედეგს გამოიღებდა და ამიტომ თავი შეიკავა:

— გაგრთხილებთ, — თქვა მან. — მთელ ამ რკინიგზის ხაზზე დგანან ეროვნული საბჭოების ჯარები. თუ თქვენ ჩვენ მოთხოვნილებას არ დაეთანხმებით, აფეთქებული იქნება ყველა ხიდი, ტიანდაგი — აყრილი და ბაქომდე ვერც ერთი ეშელონი ვერ მიაღწევს.

მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდა. დელეგატები ჯავ-

შნიანი მატარებლიდან ჩამოვიდნენ და ეშელონებისაკენ წავიდნენ. ჯარისკაცები ღელავდნენ. ისმოდა ძახილი:

— რაღას ვუცდით? მოდით, ჩამოვიღოთ ზარბაზნები, მივცხოთ და დავამსხვრიოთ ის ჯავშნიანი მატარებელი!

აფხაზავა შეშინდა. ყარაია მუსულმანთა მცირერიცხოვან რაზმის ამარა დატოვა და ღამით ალსტაფაში ჩავიდა. მან დილამდე აქ დარჩენა გადაწყვიტა იმ იმედით, რომ ეშელონები ვერ გაბედავდნენ ღამით წამოსვლას. ხოლო დილამდე იგი შესძლებდა განჯასთან კავშირის დაჭერას და მალალოვისა და რაფიბეგოვის დახმარებით ეშელონების განიარაღებას.

— შევუთანხმდი აზერბაიჯანელებს და სომხებს, — ატყობინებდა აფხაზავა თბილისს. — ძალები საკმარისია. ეშელონებს შევხვდებით და განვაიარაღებთ შაჰქორში. თუ მათ თბილისისაკენ დაიბრუნონ დაწოლა, ყარაიას ხიდს ავაფეთქებთ.

ყარაიდან ალსტაფამდე ყველა სადგურის უფროსი ვალდებული იყო შეეტყობინებინა აფხაზავასთვის ეშელონების მოძრაობა.

5

ალსტაფის სადგურის უფროსი, აბმალი და აყლაყუდა კაცი — კოსტა ჩხეტიანი, ბუფეტის გამგე, მწვრთნელი და უკბილო მოხუცი — კოლა ასათიანი, პატარა შავგვრემანი ტელეგრაფისტი — ყაფაროვი და ყველანი დიდ შიშიანობას მიეცნენ. კოსტა ჩხეტიანს ფართო სახე გაბარსული ჰქონდა და ხარაბუზასავით გრძელი ულვაშები ყურის ბიბილომდე ჩწვდებოდა. კოსტა ხშირად დაიარებოდა ბეგებთან ერთად სანადიროდ. გარეგნულად დიდი ვაჟკაცი და გულადი ჩანდა, სინამდვილეში კი — მეტად მხდალი და მშიშარა იყო. დიდი ხანი გასულიყო, რაც ალსტაფაში მსახურობდა. აზერბაიჯანელთა შორის ტრიალებდა და ისიც მზეზე გატრუსულ მაჰმადიანს დამსგავსებოდა.

დილის ექვს საათზე აფხაზავა, მისი თანაშემწენი: მაყაშვილი და მაკარაშვილი, მემანქანე ამბროსი დათუნაიშვილი

და ვაგონსაწყობის გამგე შალვა პაპავა სადგურში შევიდნენ.

ბუფეტის გამგემ კოლა ასათიანმა მოხარშული ქათმები, კვერცხი, ყველი და ღვინო მოიტანა. სტუმრები დანაყრდნენ, შეზარხოშდნენ და ასათიანის დახმარებით, შტაბ-როტმისტრის გასართობად „ხელხვავი" და „პატარა საყვარელო" შემოსძახეს. მხოლოდ სადგურის უფროსი კოსტა ჩხეტიანი იჯდა მოწყენილი, ეშელონების მუქარით შეშინებული და ზეზეულად გათავებული, თავი ჩაეკიდა და ქვევიდან უცქერდა ორდენებით მკერდმოჭედილ შტაბ-როტმისტრს.

ეშელონების მუქარა მტკივნეულად შეხებოდა აფხაზავას პატივმოყვარეობას. მას გადაჭრით გადაეწყვიტა ჯარისკაცთათვის ზურგი არ ეჩვენებინა, ქედი არ მოეხარა და წინააღმდეგობა გაეწია. იგი სავსებით დარწმუნებული იყო თავის გმირობაში და ეგონა, ბედის ვარსკვლავი მუდამ გაუღიმებდა.

— მე დავუმტკიცებ ნოეს და ყველას, თუ როგორი მებრძოლი ვარ, — იძახდა აფხაზავა და აღტაფის სადგურზე ღვინისაგან შეხურებული იკვეხნიდა: — ვის აშინებს ის ყაზილარი ბელაგორსკი და კარპოვი!

— ახლა ჯავშნიანი მატარებლის განიარაღებაზე ხელი აიღეს, თბილისში გაბრუნდით და ხელს არ გახლებთო, გეხვეწებიან,—შეაპარა კოსტა ჩხეტიანმა.

— მე არ ვიცი, რას ამბობენ ისინი. ვიცი მხოლოდ ის, რომ სათითაოდ განვაიარაღებ ათივე ეშელონს და ბაქოსკენ გავისტუმრებ — უთხრა აფხაზავამ.

— იმე, ათივე ეშელონს?! — გაუკვირდა ბუფეტის გამგეს კოლა ასათიანს. ის ჭაღარა და აპილპილებული მოხუცი იყო. საფეთქლებთან ამობურცული მისი ძარღვები მალიმალ ძგერდნენ ლოთობისა და სისხლის წნევის გამო. მაინც ღვინოს აკლავდა თავს.

— ათივეს, — მიუგო აფხაზავამ.

— რამდენიც იქნება, იმდენს განვაიარაღებთ, — დაიტრაბახა შალვა პაპავამ.

— ასთან ერთი რას გააწყობს? — არ მოუწონა სადგურის უფროსმა.

— გააწყობს, — დაარწმუნა ასათიანმა.

— სისულელეს ნუ ამბობ! იცოდე: ეშელონებმა თუ პი-

რი შეჰკრეს და უთვალავ და უანგარიშო ჯარებად წამოვიდნენ, მტრისას მაშინ, ვერავინ ვერ მოერევა. აბა, თუ ბიჭი ხარ, დაუხვდი, — დატუქსა ასათიანმა.

— საქმეც ის არის, პირს ვერ შეჰკრავენ, — შენიშნა შალვა პაპავამ და მელასავით ეშმაკური, მომწვანო თვალები აუციმციმდა.

ამ დროს აქელებული ტელეგრაფისტი ჯაფაროვი შემოვარდა და იყვირა:

— ეშელონები გამოსულან ყარაიიდან.

— საიდან გადმოგცეს? — ჰკითხა აფხაზავამ.

— სალოღლიდან.

— როგორც ხედავ, ეშელონებს პირი შეუკრავთ! — ჩასჩურჩულა ელდანაკრავმა ჩხეტიანმა პაპავას.

— როგორ? — აენთო აფხაზავა, — ბეიუქ-ქიასიქი, სოუხბულახი გამოიარეს და არც ერთმა სადგურის უფროსმა არ შემატყობინა?! ძაღლის შვილები, ყველას დავხოცავ.

— ბეიუქ-ქიასიქის და სოუხ-ბულახის სადგურის უფროსები ბოლშევიკები არიან და იმიტომ, — შენიშნა შიშისგან აკანკალებულმა ჩხეტიანმა.

— ლიანდაგი აჰყარეთ, — უბრძანა მაყაშვილს აფხაზავამ. — აბა, ბიჭებო, მატარებელზე, მე განჯას გამოვიძახებ.

როდესაც შტაბ-როტმისტრი ბუფეტიდან გავიდა, შიშისგან გაფითრებულმა ჩხეტიანმა კოლა ასათიანს უთხრა:

— რა ამიტყდა ახლა, ეს შეჩვენებული აფხაზავა?! ომი და ტყვია მჭიროდა ახლა მე უპატრონოს? ღმერთმა დასწყევლოს მაკვირტი კაცის სახსენებელი! არავის არ უჯერის. ყაჩაღი შენ დაგიჯერებს? მარტო ამ ერთი ჯავშნიანი მატარებლით აყრის იარაღს ზარბაზნებით და ტყვიამფრქვევებით მომავალ ასიათას სალდათს?!. ქე ვიყავი მოსვენებული და ახლა ალსტაფაში მიმართავს, ეს ცეცხლმოკიდებული, ფრონტს. სადგურს თუ მოვშორდი, აფხაზავა დამხვრიტავს და თუ სადგურში დავრჩი, ის აჯანყებული ჯარისკაცები გამათავებენ. აია, უეჭველი სიკვდილი მიწერია, — წუწუნებდა კოსტა ჩხეტიანი.

განჯასთან შეერთება და დეპეშის გადაცემა აფხაზავამ ვერას გზით ვერ მოახერხა. აღშფოთებული ეშელონები კი ალსტაფას უახლოვდებოდნენ. მართალია, აფხაზავას რაზ-

მელები რკინიგზის ასაყრელად წავიდნენ, მაგრამ შესაძლო იყო, ჯარისკაცებს ზარბაზნები ჩამოეღოთ ვაგონებიდან და ალსტაფაზე შარაგზით წამოსულიყვნენ.

შტაბ-როტმისტრის აღელვება, შიში და ციებ-ცხელება ტელეგრაფის ლენტზე აღიბეჭდა:

„მე ვარ აფხაზავა... ძალიან საჭიროა... თათართა ლეგიონის უფროსსს... (წყვეტი). გესმით? მე მემუქრებიან აქ. ახლავე მიიღეთ... (ისევ წყვეტი). მორიგე გაწოდებთ თავის დეპეშას... ვიცი, მაგრამ მე დავზარალდები ძალიან... (წყვეტი). დაუყოვნებლივ მიიღეთ ერთი დეპეშა თათართა ლეგიონის უფროსისათვის... (წყვეტი). აი, მიიღეთ... (წყვეტი). ჰო, ჯავშნიანი მატარებელი სამი... (წყვეტი). ნახევარი წუთი დრო... (წყვეტი). ღმერთო... განჯა... გ'ნჯ... განჯ... ახლავე მიიღეთ... (წყვეტი). მესმის, მაგრამ რა დაგიშავდებათ, ჩემგან 14 სიტყვა რომ მიიღოთ... (წყვეტი). ღმერთო, კაცი არა ხართ სამის წენდეგ... (წყვეტი). მე ხომ საფრთხეში ვარ. თუ არაფრად არ გეღირთ, თქვენი გულისათვის თქვენი ამხანავი რომ დაიღუპოს? მაშ, მალე... (წყვეტი). დაინსომეთ, მე თქვენ, როგორც ძაღლს ისე გაგისწორდებით. დაუყოვნებლივ მიიღეთ, თორემ დაიღუპებით ყველა... (წყვეტი). ღმერთო, პირუტყვი ხარ ამის შემდეგ (წყვეტი)“.

ასე ემუდარებოდა, ხან თავს აცოდებდა და ამხანაგს უწოდებდა, ხან კიდევ ემუქრებოდა და ძაღლად და პირუტყვად ნათლავდა აფხაზავა განჯის სადგურის ტელეგრაფისტს. ეტყობოდა, სადგურზე იმ ღამით მორიგე ტელეგრაფისტი აფხაზავას ამხანაგი არ იყო და მისი დაღუპვაც არაფრად უღირდა. იგი ბოლშევიკებს თანაუგრძნობდა; აფხაზავამ მხოლოდ ერთი საათის შემდეგ მოახერხა გადაეცა ლეგიონის უფროსის — მაღალოვისათვის საჭირო დეპეშა: „მოვდივარ ჯავშნიანი მატარებლით. უკან ჯარისკაცთა ხუთი ეშელონი მომდევს და მოითხოვს ჩემს განიარაღებას. გთხოვთ, ჩამიშვიდეთ განჯის სადგურში. დაწვრილებით იქ“.

აფხაზავამ განჯიდან უბრძანა ალსტაფის სადგურის უფროსს, არ გაუშვა არც ერთი ეშელონი და გაეფრთხილებინა ისინი, რომ გზა ალსტაფიდან განჯამდე დანაღმულია.

ეშელონების წარმომადგენლები კიდევ ერთხელ შეეცადნენ კონფლიქტი მშვიდობიანი გზით მოეგვარებინათ. მაგ შეა-

ძლეს თბილისთან პირდაპირ მავთულით შეერთება. ამასვე ცდილობდნენ იმ დღეს ამიერკავკასიის მესვეურნიც.

— ვინ ლაპარაკობს? — იკითხა აპარატთან მისულმა ბელაგორსკიმ.

— მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე.

აპარატთან თვითონ ნოე ჟორდანია იყო.

— ჩვენ შეგვატყობინეს, — უთხრა მან ბელაგორსკის,— რომ თქვენ გინდათ ყაჩაღთა ბრბოებისაგან რკინიგზის ხაზის დაცვის მიზნით თბილისიდან გაგზავნილი ჯავშნიანი მატარებლის განიარაღება. ამას ჩვენ, რასაკვირველია, არ დაუშვებთ. ჩვენი რჩევაა — განაგრძოთ გზა ნელა-ნელა. გარანტიას ვიძლევით, რომ ამ შემთხვევაში ხელს არავინ შეგიშლებთ. მაგრამ თუ იჯიუტებთ, მაშინ არც ერთი ეშელონი არ იქნება გაშვებული ბაქოსკენ და შეიძლება მოხდეს სისხლის ღვრა.

— სისხლის ღვრისათვის თქვენ პასუხს აგებთ ხალხის წინაშე.

— ნუ გვეშურებით. ჩვენ ვიცით, რასაც ვაკეთებთ. მე ისევ გაძლევთ სიტყვას, რომ ჯავშნიანი მატარებლის უფროსი არ მიმართავს არავითარ სამხედრო მოქმედებას ეშელონების წინააღმდეგ...

— ჰო?.. და მაინც, მიუხედავად ყველა თქვენი რწმენისა, ჩვენ დაბეჯითებით მოვითხოვთ, რომ ჯავშნიანი მატარებელი წაყვანილ იქნას რკინიგზის ხაზისაგან. მის კომანდას ჩვენ ვერ ვენდობით.

ამ პასუხმა ჟორდანია აღაშფოთა.

— მაშ, როგორც გენებოთ ისე მოიქეცით, — მუქარით განაცხადა მან, — თუ ჩვენი პირობების მიღება არა გსურთ, მაშინ შედეგებზე პასუხს არ ვაგებთ... ბოლოს და ბოლოს, თუ თქვენ არ ენდობით ჯავშნიანი მატარებლის უფროსს, მაშინ იმასაც საბუთი ისიც არ გენდობათ თქვენ... ახლა, როგორც იცით! ნებელობით! — ცივად შესძყვირა ჟორდანიამ საუბარი.

მაგრამ მდგომარეობა ამიერკავკასიის მესვეურთა სასარგებლოდ როდი ვითარდებოდა.

აღტაგლა-აღსტაფას უბანზე ახლა 16 ეშელონს ძოეყარა თავი.

როდესაც ეს თბილისში შეიტყვეს, მთავრობა შეშინდა. ნოე ჟორდანია მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სამხედრო სექციის თავმჯდომარის მოადგილის ელენინის ოთახში შევიდა. მან ახლა ლმობიერი ლაპარაკი დაუწყო ელენინს და თხოვა:

— ცუდი მდგომარეობა შეიქმნა, ამხანაგო ელენინ, ეშელონები უარს აცხადებენ იარაღის ჩაბარებაზე. უფრო მეტიც, ჯავშნიანი მატარებლის განიარაღებას მოითხოვენ. უნდა გაემგზავროთ სადგურ აღტაგლაში და იქ თავშეყრილი ეშელონები როგორმე გაუშვათ.

— ნოე ნიკოლოზის ძევ, მე დროზე გაგაფრთხილეთ, მაგრამ არ დამიჯერეთ. დავიდარაბა ატყდა და ახლა მისი მოგვარება მე მიხდება, — შენიშნა ელენინმა.

— ჩვენ ავჩქარდით და, ცოტა არ იყოს, მოუმზადებლად დავიწყეთ განიარაღების ოპერაცია, მაგრამ ახლა უნდა დაგვეხმაროთ, რომ ამ მძიმე მდგომარეობიდან როგორმე გამოვიდეთ, — შეეხვეწა ჟორდანია.

— მე შევეცდები კონფლიქტის მოგვარებას, იმ პირობით, თუ ჯარისკაცებს იარაღის ჩაბარებას არ მოსთხოვთ.

ჟორდანია ისე იყო დაშინებული: ეშელონებმა ყარაიდან და ფოილოს ხიდიდან თბილისზე არ გამოილაშქრონო, რომ მაშინვე დათანხმდა.

ჟორდანიას თხოვნის შესასრულებლად ელენინმა სადგურ აღტაგლაში აღმასკომის წევრები სივენკო, კრუპკო და მიტიუხინი გაგზავნა. გარდა ამისა, ჟორდანიამ მიმართა ტელეგრაფით ამიერკავკასიის საბჭოების სახელით ბაქოს საბჭოებს წინადადებით, გაეგზავნა აღსტაფის რაიონში თავისი დელეგაცია კონფლიქტის მოსაგვარებლად.

ეს გადაწყვეტილება აფსაზავას შეატყობინეს. ჯავშნიანი მატარებლის უფროსს ევალებოდა, „შექმნილი მდგომარეობის გამო“ განჯაში ასულიყო, განეიარაღებინა ჯავშნიანი მატარებელი და ლიანდავიდან გადაეყვანა.

მაგრამ აფხაზავამ თბილისს შეატყობინა, რომ მის განკარგულებაში არის მაღალოვის ცხენოსანი ლეგიონი და გან-

ჯის საბჭოს რწმუნებულის, ექიმი რაფიბეგოვისა და ტიგრანიანის ხუთიათასიანი არმია და რა დროს უკან დახევა არ.
S.O. ასეთი ცნობით დაიმედებული მთავრობა ისევ შეტევაზე გადავიდა და აფხაზავას ბრძანება გაუგზავნა: „წინადადება მიეცით ეშელონებს დასტოვონ ზარბაზნები და ტყვიამფრქვევები, ავრეთვე ნაწილი საწყობებისა“. ამრიგად, ეშელონების განიარაღების საკითხი პრინციპულად გადაწყდა, რასაც პოლკოვნიკ მაღალოვსა და სასახლეს შორის გამართული მოლაპარაკება ადასტურებს. მაღალოვი სასახლეს ატყობინებდა: სადგურ დალიარში და აღსტაფაში ამჟამად ათი ეშელონი არის. თქვენი დახმარება არ გვეჭირვება. მხოლოდ ზონები მიიღეთ, სადგურ ნავთლუღიდან არ გამოვიდნენ ახალი ეშელონები. სასახლემ უპასუხა: „მაშ, ვიმედოვნებთ, ყველა იმ ათივე ეშელონს განაიარაღებთ“. ცენტრიდან მიღებული ბრძანების მერმე ჯავშნიანი მატარებლისა და ეშელონებს შორის მოლაპარაკება ურთიერთის წინაშე ჩავლის შესახებ, უშედეგოდ დამთავრდა და ეშელონებს კატეგორიულად და უკანასკნელად მიეცა წინადადება განიარაღებულ.იყვნენ.

პოლკოვნიკი მაღალოვი და აფხაზავა სადგურ განჯაში შეხვდნენ ერთმანეთს. მაღალოვი ქალაქიდან სადგურზე ლეგიონის ეტლით ჩამოვიდა. მას ქართველი ოფიცრები ახლდნენ: ლეგიონის შტაბის უფროსი — ანდრონიკაშვილი, აფხაზავას მეგობარი ეხვაია და თარხან-მოურავი. მაღალოვი მაღალი, ბრგე და მწვითური კაცი იყო. პოლკოვნიკი და მისი ოფიცრები შტაბ-როტმისტრს აფხაზავას და მის თანაშემწეებს — მაყაშვილს და მაკარაშვილს მიესალმნენ. მალე ჯაკშნიან მატარებელში ოფიცერთა თათბირი გაიმართა.

— პრინციპულად, განიარაღება უკვე მიღებულია, — განაცხადა მაღალოვმა, — ჩემი ლეგიონი ექვსასი მხედრისაგან შედგება. ექიმი რაფიბეგოვი და ტიგრანიანი ხუთი ათას შეიარაღებულ მებრძოლს ითვლის. განიარაღება უთუოდ ჩვენი გამარჯვებით დამთავრდება. დროს ნუღარ ვკარგავთ. ეშელონები ხედიზედ მოდიან ფრონტიდან. ბრძავალრიცხოვანი ჯარისკაცების დაგროვება ხელსაყრელი არ არის, შტაბ-როტმისტრო, — უთხრა მაღალოვმა აფხაზავას, — ახლავე გაუგზავნეთ დეპეშა აღსტაფის სადგურის უფროსს. უბრძანეთ: არც ერთი ეშელონი, თქვენი განკარგულების გარეშე,

სადგურიდან არ გამოუშვას. გააფრთხილოს ეშელონის წარმომადგენლები, გზა დანაღმულია-თქო. ერთი საათის მერმე შამქორისაკენ ჩვენი ეშელონები წავლენ. განიარაღება შამქორში უნდა მოხდეს.

აფხაზავამ მაღალოვის ბრძანება შეასრულა და მერმე ჯავშნიანი მატარებლით შამქორს ჩავიდა. შამქორისაკენ გაეშურნენ აგრეთვე რაფიბეგოვისა და ტიგრანიანის რაზმელებით სავსე მატარებლები.

* * *

განჯა და შამქორი სამხედრო ბანაკად გადაიქცა. აქა-იქ სანგრების თხრაც წარმოებდა. სადგურის უკან ფურგონები, ორთვალები და ურმები იდგნენ. განჯიდან შამქორისაკენ სახხედრო ეშელონები მიდიოდნენ. სადგური ოფიცრებით იყო სავსე. მალე ექიმი რაფიბეგოვი, ტიგრანიანი და აზერბაიჯანის ეროვნული საბჭოს წევრები ჩამოვიდნენ, შავგვრემანი, გრუზა ვაჟკაცები. რაფიბეგოვს სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი თურქი მაიორი ახლდა: თურქების აგენტი. აზერბაიჯანის ნაციონალისტების ეს ფაციფუცი და ომისთვის მზადება, ამიერკავკასიის საზღვრებზე ერთმორწმუნე თურქთა ჯარების მოახლოებით იყო გამოწვეული. ისინი იმედოვნებდნენ, რომ თურქების დახმარებით დაამხობდნენ საბჭოთა ხელისუფლებას ბაქოში.

როდესაც ეშელონების წარმომადგენლებმა განჯასა და შამქორში სამხედრო მზადება შეიტყვეს, აღსტაფაში ჩასული თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის დელეგატები დააკავეს და მძევლებად დატოვეს.

ეშელონების წარმომადგენლებთან მაღალოვისა და აფხაზავას მოლაპარაკებას აწი არავითარი ფასი არა ჰქონდა: მოხდებოდა ის, რაც ამიერკავკასიის მესვეურებს — მენშევიკებს, დაშნაკებსა და მუსავატელებს სურდათ. აზერბაიჯანელ გლეხთა შორის წარმოებდა შოვინისტური აგიტაცია, ჩაღებდნენ რელიგიურ ფანატიზმს.

მზე ჩაესვენა. მდუმარე ჩრდილები არემარეს ნელი-ნელ ეფინებოდნენ.

პატარა კაცი, ჩანთითა და ხელსაწყოებით, სადგურის ბაქანზე გამოვიდა. ჰერზე მავთულით დაკიდებული ფარანი დაუშვა. მაზუთით გაგანგლულ მის ტყავის ქურთუკს პირვანდელი ფერი და სახე მხოლოდ ზურგის მხარეს შერჩენოდა. მოკლე ტანთან შედარებით, იმ პატარა კაცს, გრძელი და დაღვარჭნილი ფეხები ჰქონდა. ფეხზე რუხული ჩექმა ეცვა და თავზე კი გრძელბეწვიანი ბუხრის ქუდი დახურა. დარაჯმა ფარანს ჰაერს საქაჩავი ტუმბო მიამაგრა და ჰაერით გატენა. ირგვლივ გლეხები იდგნენ: ბევრი მათგანი პირველად იყო სოფლიდან სადგურში მოსული და ხახადაღებული უცქერდა კულტურის ნონაპოვარს — აირის ფარანს. პატარა კაცი უცნაურ რამეს აკეთებდა. ფანარს ტუნბო ბოხსნა და შიგ სანთლებს ცეცხლი წაუკიდა. სანთლებს ცისფერი ალი მოეკიდა და შიშინი დაიწყეს. მერმე ისინი ნაკვერცხალივით გალეწლნენ. მალე შიშინიც შეწყდა, თითქო სანთლებს ცივი წყალი გადაასხესო. ფარანმა თეთრი, თვალისმომჭრელი კაშკაშა შუქი გამოსცა.

— ასე ჩვენი სოფლის ათასი ჭრაქიც ვერ გაანათებს,— დაძახა ჯავთომ.

კუზიანმა პატარა კაცმა კედელზე მიჭედილ ყუთში კორპა შედო, დაატრიალა და ფარანი სადგურის ბაქნის ჰერს მიამაგრა. ასევე აანთო მეორე და მესამე ფარანიც.

— რა ყოფილა ეს კაცი? — გაუკვირდა ჯავთოს.

— ნასწავლი კაცი უცნაურია, — მიუგო ქიაზიმმა.

ჰასანმა ბორდან ყალიონი გამოიღო და მისებურად აუხსნა მეზობლებს ყოველივე ის, რაც „უცნაურმა კაცმა“ გააკეთა. მერმე ჰასანი და მისი მეგობრები ჯავშნიანი მატარებლისაკენ წავიდნენ.

სადგურის წინ ჯავშნიანი მატარებლის ორთქლსავალი შიშინებდა და ქვაბის მილიდან, ონკანებიდან ადუღებულ წყალსა და ორთქლს ანთხევდა მაზუთით გაჟღენთილ ლიანდაგის

მიწაყრილზე. ქშენდა და ხახიდან ბოლსა და ცეცხლს მაღლა ისროდა.

— ჰო, ჰო, ჰო, ერთი ამ ვეშაპს შეხედეთ! — შესძახა ჰასანმა.

— მტერს მიადგა ცეცხლისმფრქვეველი თავისი ზარბაზნებით, — თქვა ჯავათმა.

— ვერას დააკლებენ ეშელონები, — შენიშნა რაჰმათულამ.

გლეხებმა რაზმელებით სავსე ბაქანი გაიარეს და რკინიგზის ლიანდაგს დაადგნენ. იანვრის ღამეში ნათლად მოჩანდა თოვლით დაფენილ შამქორის ველზე ბანაკი. მდინარის გაღმა ვარდისფერ ცის ტატნობზე გაძარცული ალვის ხეები და შორეული სოფლის მინარეთი ასუდრულიყვნენ. ზარივით გადასძახა მოლამ შამქორის ველს ყურანის სიტყვები: „ლა ილაჰ ილ ალაჰ მაჰამედინ რასულ ილაჰ“. მერმე ისევ სიჩუმე და მყუდროება დამკვიდრდა. სიჩუმე ცხენების თქარათქურმა დაარღვია. ბანაკისაკენ ჭენებით მიჰქროდნენ თავადი მაღალოვი, აფხაზავა, ტიგრანიანი, ექიმი რაფიბეგოვი და თურქი მაიორი. უკან ცხენოსანი ჯარის ოფიცრები და რაზმების უფროსები მისდევდნენ, შავგვრემანი, კარგი პატივით ჩასუქებული და ჩაკურატებული ბეგები. ისინი ხის ბუდეში ჩაგებულ მაუზერს აღარ იშორებდნენ, ქურქი ემოსათ, კრაველის ქუდები დაეხურათ და ასე მიჰქროდნენ სქელგავიან და კუდგამოსკვნილ იორღებზე მჯდარნი. რკინიგზის ლიანდაგს მიუახლოვდნენ. რაზმელები წამოცვივდნენ, შაშხანები ასწიეს და შესძახეს:

— იაშასუნ, იაშასუნ!

რაფიბეგოვი მიესალმა მათ, შექმნილი მდგომარეობა აუხსნა და გაამხნევა. მის უკან მდგარი ბეგი უზანგებზე აიწია და აგზნებით გასძახა რაზმელებს:

— იაშასუნ აზერბაიჯან!

— იაშასუნ, — ისევ უპასუხეს რაზმელებმა.

— ეს ამბავი არ მომწონს, — უთხრა გიორგის ორდენის კავალერმა როტმისტრმა ჩახავამ ანდრონიკაშვილს.—არც ეს თურქი მაიორი მომწონს. რაფიბეგოვი და ეს ბეგები ძალიან შორს მიდიან. მათ ჰგონიათ, რუსეთს ვეომებით... ყოველივე ეს ის სწრაფად და ისეთ კილოზე უთხრა ჩახავამ ანდრო-

ნიკაშვილს, რომ უკანასკნელმა ვერაფერი გაიგო. გამხდარმა და აკანჭულმა მხედარმა გაიღიმა. დასტურის ნიშნად თავის კანტური დაიწყო, თითქოს მართალს ამბობო, უმოწმებდა და მიუგო:

— რაფიბეგოს ორი შვილი ჰყავს. რუსეთს არ მიდიან. თურქეთს მიდიან. კონსტანტინეპოლის ლიცეიში...

ჩახავამ გაოცებით შეხედა და საუბარი შესწყვიტა.

რაფიბეგოვის, აფხაზავას და მათი ამალის წასვლის მერმე რაზმელები ვახშმად დასხდნენ. რაზმელებს წოწოლიკა და გრძელბეწვიანი ბუხრის ქუდები ესურათ, ჩოხა და ცხვრის ქურჭი ჩაეცვათ, ზოგს მაზარა, ზოგს ნაბადი და ზოგსაც ქეჩა წამოესხა. წელზე და მკერდზე ფალასკები შემოეკრათ. თურქული კარაბინი და რუსული შაშხანა შვილივით ჩაეხუტებინათ. სადღაც დაფა-ზურნა, თარი და კრიჩით თქმული გულისდამაღონებელი ბაიათი ისმოდა, თითქოს ადამიანი თავის გაჩენის დღეს დასტირისო. მერმე ესეც შეწყდა და ბანაკმა ჩაიძინა. კოცონის გაჩაღება აკრძალული იყო. ერთი კოცონიღა ბჟუტავდა შამქორის სადგურის უკან.

არ ეძინათ გუშაგებს: ჰუსეინსა და მამედს. ჰუსეინის სახე გამოქარულ, დაბზარულ და სხვენზე გაბოლილ საორშიმო გოგრას ჰგავდა. წვრილი თვალებით დასჩერებოდა ცეცხლს და ვინ იცის რას ფიქრობდა, იგონებდა და კითხულობდა იგი შამქორში გაჩაღებულ კოცონის ღველფში. მამედს გაჭყლეტილ ბაყაყივით გართხმული ცხვირი ჰქონდა. ვარსკვლავთმრიცხველივით შეჰყურებდა იგი ცას და დიდი ჭვილის საშუალებით ეძებდა ჩრდილოეთს. მერმე წყვდიადით მოცულ დასავლეთიდან წამოსულ ღრუბლებს გახედა. ცუდი დარი იწინასწარმეტყველა.

— გათენდეს მაინც, — ამოიოხრა ჰუსეინმა და მანაც ცისაკენ აღაპყრო თვალი.

ცითგან მოწყვეტილი მეტეორი ისარივით ჩაეშვა უსაზღვრო უკუნეთში. ცაზე ცეცხლის ხაზი დასტოვა. ცრუმორწმუნე გლეხმა ბევრი რამ ინატრა: ოქრო-ვერცხლი, ცხვრის ფარა, შაშხანა და სვალინდელ ომში გამარჯვება.

— ახლოს დავარდა, — დაიძახა მამედმა და შეშინდა.

— ალაჰ! — იყვირა ჰუსეინმა და ვარსკვლავებით მოჭედილ ცას შეაცქერდა. ალაჰის მიერ ადამიანისათვის საამოდ

და სავალალოდ გაჩენილი მნათობები ისეთივე სახისა და ზომის არსებად მიაჩნდა, როგორსაც თვითონ ხედავდა.

მალე ცა ღრუბლებმა დაჰფარეს. მამედმა სადგურიდან კოცონთან მოსული ჰასანი და მისი მეგობრები იცნო და ჰკითხა:

— რა ამბავია სადგურში?

— დარბაზი ბეგებითა და ქართველი ოფიცრებით არის სავსე, რაფიბეგოვი და ოფიცრები რუსულად ლაპარაკობენ. ალბათ, ხვალინდელი დღის შესახებ ბჭობენ, — მიუგო ჰასანმა.

ჯავათ და რაჰმათულა ცეცხლს მიუსხდნენ. შუაში პატარა კაცი — ჰასანი მელასავით ჩაცუცქდა. მას ნაცრისფერი დაბამბული ქურთუკი, წუღა და ფერადი ძაფით ნაქსოვი შალის წინდა ეცვა. წინდის ყელში შარვალი ჩაეტანებინა. გრძელბეწვიან ბუხრის ქუდს სავსებით დაეჩრდილა ზანგსავით შავი და მუშტში ჩასატევი მისი პატარა სახე. გაპარსული სახის ნიკაპი და ცხვირის ნესტოები ყვავილს დაეკენკა. პატარა წირპლიან თვალებზე, ანთებიან და დაგლეჯილ, უწამწამო ქუთუთოებს ახამხამებდა. ულვაშის ორიოდე ღერი თაგვის კუდივით დაჰკიდებოდა ბაგეთა კიდეზე.

— ვერ გამიგია, რად გვემხრობიან ქართველები და სომხები? რუსი, ქართველი და სომეხი ხომ ქრისტიანები არიან? — ჰკითხა ჰასანმა მამედს. ცეცხლს დააცქერდა და ფიქრებმა წაიღეს. მაგრამ მის დაკუთხულ პატარა თავის ქალაში მოთავსებულ ტვინს ფიქრი და აზროვნება უჭირდა. ჰასანმა პირუტყვივით განაბა თვალები, ყალიონი მოქაჩა, ბოლი ღრმად ჩაისუნთქა და თავბრუ დაეხვა. თვალები ახლა სულ მთლად უაზროდ გაუშტერდნენ. ქვედა ბაგე ბებერი ცხენის ჩიჩვირივით ჩამოეკიდა, ხახის ღრუში თუთუნის წვეთ დაგროვილი ნერწყვი ზედ გადმოედინა და ღადარში გააპურჭყა.

— როდესაც თურქები მოვლენ, ქრისტიანები უნდა ამოვწყვიტოთ. მაგრამ ქართველები და სომხებიც ხომ ქრისტიანები არიან? — მოისაზრა დიდი ფიქრის მერმე ჰასანმა.

— გურჯილარ ბიზიმ ყარდაშლარუმ მუზ დურლარ... (ქართველები ჩვენი ძმები არიან), — მიუგო რაფიბეგოვის სიტყვებით მამედმა.

— ქართველები წინათ მუსულმანები ყოფილან, თურქე-

ბის ხელქვეითები, და როდესაც გურჯისტანი რუსებს დაუპყრიათ, მათ გაუქრისტიანებიათ, — ჩაერია ლაპარაკში მწიგნობარი ჰუსეინი.

— კარგი ვაჟკაცები არიან ქართველები, — განაცხადა ჯავათმა. მაღალოვი „მაღალოღლად“ მონათლა, ჯიბიდან ბატიბუტი ამოიღო და ხახაში გადაუძახა.

— შეითან კომანდირ, — დაუდასტურა ჰასანმა. კვერნასავით პატარა თვალები დააბრიალა და ტუჩები აიცმაცურა.

— მსუქანი და თეთრი ქალები ჰყავთ რუსებს. ჯანიანი, ქვირიანი და გავაჩასქელებული, — ჩაიხითხითა რაჰმათულამ და ხვანჯრიანი შარვლის უბე გამოიქექა. ჰასანს აცრემლებული თვალები მიეჭუტა. ბავშვივით ეაიღიმა. იამა, თითქო შაქარყინული ჩაუდეს პირში და მას წუწნიხსო.

ახალმოსულმა რაზმელების გვერდით კოცონთან ჩამჯდარმა უცნობმა კაცმა თავი ასწია. აშხეპილი, გეზად გადაჭიმული წარბები შეჰყარა. შავი და მგზნებარე თვალები მიაპყრო გლეხებს და მათთან ასეთი საუბარი გაბა:

— რას ამბობ, ჯანუმ. აბა, დაფიქრდი, განა რუსები, სომხები და სხვა რჯულისანი ჩვენზე ჯარესები არიან? რამდენი ნასწავლი, კეთილი და პატრონისანი მშრომელი ადამიანები ჰყავთ მათაც. ამ წუთისოფლად ათასი სჯულია. მაშ, ერთმანეთი შეიძულონ, ხოცონ და ჟლიტონ?

— მაშ, რისთვის მოვედით აქ? — ჰკითხა ჰუსეინმა.

— მეც მანდა ვარ, — მიუგო უცნობმა. — იცოდეთ, ომიდან შინ მიმავალი ჯარისკაცები ჩვენებრ გლეხები და მუშები არიან. რას ვერჩით მათ? რა დაგვიშავეს? არაფერი. ისინი კი, ვინც გვიწაეებენ — სისხლის მსმელი ბეგები ისევ კისერზე გვაზიან. ახლავე შინ წადით, გაიპარეთ, სანამ ღამეა! კარგად შეინახეთ ეგ შაშხანები. სხვა ბრძოლისათვის გამოგადგებათ. თქვენი მტრები, ჯარისკაცები კი არა, ბეგები არიან. გადავრგდოთ კისრიდან მონობის უღელი. გავინაწილოთ ბეგების მიწები გლეხებმა და კაცურად ცხოვრება დავიწყოთ. რუსეთში თავისუფლებამ გაიმარჯვა. რუსეთის მუშებმა და გლეხებმა თავისი ბეგების — თავადების ძალაუფლება დაამხეს. ახალმა მთავრობამ გლეხებს მიწა მისცა, ჩვენი მთავრობა კი ისევ ბეგებს ემხრობა და ჩვენ, მუშებსა და გლეხებს გვღალატობს.

— რუსები თუ გიყვარს და ბეგები გეჯავრება, რაფიბეგოვის ჯარში რად მოსულხარ? ხვალ რუსებთან ომი გვექნება. მაგ შაშხანას მიწაში ჩაარჭობ, თუ შენივე ძმებს ესვრი ტყვიას? — აღრენით ჰკითხა ჰუსეინმა.

— ხვალ ამ შაშხანას მიწაში არ ჩავარჭობ, არც ჩემს ძმებს ვესვრი ტყვიას, იგი სხვა დროისათვის გამომადგება. მე ამ კოცონთან იმიტომ დავჯექ, რომ თქვენთვის მეთქვა სიმართლე, ძმებო, — მიუგო უცნობმა. — ჩვენ იმ ნაომარ ჯარისკაცებს რას ვერჩით? ისინიც ჩვენებრ მუშები და გლეხები არიან.

— ისინი რუსები არიან. რუსები თურქებს ეომებიან,— შენიშნა ჰუსეინმა.

— თურქი ჩვენ რას მოგვიტანს? თურქეთში ისევ ბნელეთია. იქ მემამულე ბეგების ბატონობაში და მონობაში მყოფი გლეხების წამებაა. თავისუფლება რუსეთიდან მოდის, ურუსეთოდ ჩვენ ვერ ვიცხოვრებთ. არ მოგატყუოთ ბეგებმა. სახლებში წადით, სანამ ღამეა, — მიუგო შავგვრემანმა უცნობმა. იგი ბაქოს ნავთის სარეწების მუშა იყო — იდრისს აბმედოღლი, ბაქოს პარტიული კომიტეტის მიერ განჯაში სამუშაოდ გამოგზავნილი.

იდრისი წამოდგა და ახლა სხვა ჯგუფისაკენ გაეშურა. მას ოთხი რაზმელი გაჰყვა. მათ შორის ჯავათი და ქიაზიმიც. განჯის ეროვნული საბჭოს ჯარში კიდევ მრავალი იდრისები მუშაობდნენ და მათი წყალობით რევოლუციის მხარეზე გადაბირებული გლეხები ჯარიდან შინ მიდიოდნენ, ბეგებთან ანგარიშის გასასწორებლად. ბაქოს რკინიგზის პირას მდებარე აზერბაიჯანული სოფლებიდან გამოსული გლეხები ფრონტიდან მომავალ რუს ჯარისკაცებს თანავრძნობით ეგებებოდნენ და მშიერ-მწყურვალთ ჩოხის კალთებით აწვდიდნენ პურს, ყველს, კვერცხსა და სხვა საჭმელს; მაგრამ ბეგების მიერ ეროვნული და რელიგიური ფანატიზმით მოწამლული გლეხების ნაწილი ისევ ეროვნულ ჯარში და რაზმებში ეწერებოდა და ახლა შამქორის ველზე ჩასაფრებული ელოდებოდა ეშელონებს.

— თურქებს რუსები როგორ ჯობია! რა თქვა იმ ურჯულომ? — აღშფოთდა ჰუსეინი. ჰუსეინის აღშფოთება ჰასანსაც გადაედო.

მოღრუბლული და ბნელი ღამე იყო. გარღვეულ ღრუბელთა შორის მხოლოდ ერთი ვარსკვლავი აშუქებდა. ბოლოს ისიც ჩაქრა, კოცონიც მიიღუღა, ჩაინაცრა და შამქორის ველი წყვდიადმა და სიჩუმემ მოიცვა. მაგრამ ეს იყო მყუდროება ქარიშხლის წინ.

7

იმჟამად აღსტაფაში სამი ეშელონი იდგა, ხოლო დალიარში — შვიდი, რიცხვით ათი ათასი კაცი. მათ გზას უღობავდნენ ჯავშნიანი მატარებელი და შამქორში ჩასაფრებული რაზმელები. ჯარისკაცები აღშფოთებული იყვნენ. ყველა ცდა, მშვიდობიანი გზით მოეგვარებინათ კონფლიქტი, უნაყოფო აღმოჩნდა. მაშინ კიდევ ერთხელ სცადეს მაღალოვთან მოლაპარაკება. ნაშუადღევს ეშელონების წარმომადგენელნი შამქორში ჩავიდნენ. მათ აქ უამრავი შეიარაღებული რაზმები, რეგულარული ჯარის ნაწილები და საომარი განწყობილება დაინახეს. დელეგატებმა მაღალოვი ინახულეს.

— ჩვენ თანახმა ვართ, ჩაგაბაროთ ორი ეშელონის იარაღი, — დაიწყო კარპოვმა, — დავარწმუნებთ ჯარისკაცებს, რა პირობებში უნდა მოხდეს იარაღის ჩაბარება?

— განიარაღება შამქორში უნდა მოხდეს. სადგურს ორ-ორი ეშელონი ჩაივლის, — მიუგო მაღალოვმა.

— როგორ? ორი ეშელონის განიარაღებას არ ჯერდებით? — ჰკითხა კარპოვმა.

— რამდენსაც საჭიროდ მივიჩნევთ, — ცივად მოუჭრა მაღალოვმა.

— ამ რკინიგზებზე ასი ათასი ჯარისკაცი გაივლის. რა უფლების ძალით ანიარაღებს ამიერკავკასიის კომისარიატი კავკასიის მთელ არმიას? ეს ხომ მთელი რუსეთის საკითხია? — შფოთავდა კარპოვი.

— თქვენ კარგად უნდა მოგეხსენებოდეთ, რომ რუსეთს ამჟამად მაგ საკითხის მოგვარების თავი არა აქვს.

— ტყუილია, — შეედავა კარპოვი, — იარაღი ჩვენ რევოლუციურ სამშობლოში უნდა მივიტანოთ. არავის თბილისიდან საბჭოთა მთავრობისათვის არ მიუმართავს. ჩვენი იარაღი რუსეთს ეკუთვნის. ჯარისკაცებმა ნახეს თავისი იარა-

ღი ბანდიტების ხელში და ის იარაღი მიჰყიდა მათ თქვენი ჯავშნიანი მატარებლის უფროსმა.

— მოქალაქე კარპოვო, კეთილინებეთ, შესწყვიტოთ ცილისწამება და ჩემის თანდასწრებით ოფიცრის შეურაცხყოფა, — შენიშნა ბრძანების კილოთი მაღალოვმა. — კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ, გაჰყოთ ეშელონები და სათითაოდ ხაიაროთ ჯავშხიანი მატარებლის წინ.

— მე კი თქვენ მთავრობას სხვა წინადადება მივეცი: გაეწვია ჯავშნიანი მატარებელი თბილისში. რატომ არ შეასრულეს ეს? რა გნებავთ ჩვენგან? იარაღს არავითარ შემთხვევაში არ ჩაგაბარებთ. გაფრთხილებთ: სურსათი გველევა, ცხენები საკვების უქონლობის გამო იხოცებიან. შიმშილი თუ დაიწყო, ჩვენ ვეღარ შევაჩერებთ ჯარისკაცებს, მაშინ საკუთარ თავს დააბრალეთ...

— თავი გაანებეთ დაშინებას, — უყვირა მაღალოვმა. — გადაეცით ჯარისკაცებს, რომ ჩვენი მოთხოვნილების პირველი დარღვევისთანავე რკინიგზა აყრილი იქნება და - მაშინ ბაქოს დაემშვიდობეთ!

— ისევ გიმეორებთ: ჩაგაბარებთ მხოლოდ ორი ეშელონის იარაღს.

რადგან მაღალოვი ჯიუტობდა, დელეგატებმა განუცხადეს, რომ საბოლოო პასუხს ხვალ დილით შეგატყობინებთო.

მაღალოვი და აფხაზავა ღამით შამქორში დარჩნენ. მაღალოვს და მის ოფიცრებს აფხაზავა თავის ჯავშნიან მატარებელში გაუმასპინძლდა. ვაგონ-საწყობის გამგე შალვა პაპავა თადარიგიანი კაცი იყო: პურ-ღვინო არ შემოაკლდებოდა.

8

ბელაგორსკი, კარპოვი, კრუგლოვი, მახათაძე, არუთინოვი და ბაქოს მუშა ავშაროვი ცდილობდნენ, რომ შეიარაღებული შეტაკება თავიდან აეცილებინათ და ჩრდილოეთისაკენ ეშელონების გამგზავრება ღაეჩქარებინათ.

მათ იცოდნენ, რომ ჩრდილო-კავკასიაში გაჩაღდა სამოქალაქო ომი. საჭირო იყო საჩქაროდ გადაესროლათ იქ დაწყმარე ძალები, ზარბაზნები და ტყვიამფრქვევები, მაგრამ

ეშელონების განიარაღება უსპობდა მათ ამ შესაძლებლობას.

დელეგატები მატარებლით ბრუნდებოდნენ შამქორიდან დალიარში. ორთქლმავალზე ერთი ვაგონი იყო მიბმული, რომელშიც ბელაგორსკი და მისი ამხანაგები ისხდნენ, მზე ჩასულიყო. მატარებელი აზერბაიჯანის ველზე მიაქროლებდა მათ.

კარპოვი დამუნჯებული, დაღვრემილი სახით იცქირებოდა შამქორისაკენ. „თუ ხვალ აფხაზავამ ორ ეშელონზე მეტი განაიარაღა, ჩვენ დავას იარაღი გადასჭრის“, გაიფიქრა მან. ფიქრი ორთქლმავლის კივილმა შეაწყვეტინა. ზედიზედ მოსწია თუთუნი. ცეცხლი ჩააქრო, გლარჯა დაჭმუჭნა, დააგუნდავა და იატაკს დაანარცხა.

— უსინდისო, თავხედი მაღალოვი და აფხაზავა! — იყვირა ბელაგორსკიმ. — პირწავარდნილი კონტრრევოლუციონერები არიან! რა დათმობაზე არ წავედით, მაგრამ ყაჩაღებთან რას გააწყობ? საშველი არ არის. უნდა ძალით გავწმინდოთ ბაქომდე ეს რკინიგზა.

ქუდი მოიხადა. ბუმბულივით რბილი, ქერა თმა ჰქონდა. თვალები — მოცისფრო, სარკმლის მოაჯირზე დარჭობილი სანთლის შუქით გაბრწყინებული. წამოზიდულ ყვრიმალზე, თეთრსა და მაღალ შუბლზე სანთელი ანათებდა. გაუპარსავი წვერ-ულვაში ჩაცვენილ ლოყებს უჩრდილავდა.

კარპოვი ამხანაგისაკენ მიბრუნდა. მის მწვითურ, გამოქარულ სახეს ღრმა ნაოჭები ფარავდნენ. ყოფილი სტუდენტი-რევოლუციონერი, რომელსაც ჯანი პატიმრობაში გასტეხოდა, ფიცხი, სასტიკი და დაუნდობელი იყო მტრისადმი, მეგობრებისადმი კი ნაზი და სათუთი, კარპოვს ძლიერი განცდები უყვარდა. აგზნების დროს ტყვია და ცეცხლიც არად ჩაეჩნდა. თუ საჭიროება მოითხოვდა, ძალზე აუღელვებელი და თავდაჭერილი იყო. ბატარა, ირიბ თვალებს მოხუჭავდა, ნემსის ყუნწივით დააწვრილებდა, საბეზე ორჭოფული ღიმილი არ შორდებოდა და რაგინდ საშიშ მდგომარეობაში არ უნდა ყოფილიყო, მისი გონება მოუდუნებლად მუშაობდა და ნებისყოფა ერთი ათად უმძაფრდებოდა.

— მე ვფიქრობ, — უთხრა მან ბელაგორსკის. — ჩვენ ვაზვიადებთ ჯავშნიანი მატარებლის როლს.

— ჯავშნიან მატარებელს დიდი ზიანის მოყენება შე-

უძლია, თუკი ჩვენი ზარბაზნები ვაგონის ბაქნებზე უმოქმედოდ იქნებიან. ტყვიამფრქვევით და შაშხანით ჯავშნოსანს ვერას დავაკლებთ, — შენიშნა კარპოვს ჩასუქებულმა, დაბალმა კრუგლოვმა.

— ვაგონებიდან ზარბაზნების გადმოღება რა ბედნაა!— მიუგო კარპოვმა და არტილერიის ოფიცერს — პეტო ნატოშვილს გადახედა.

— რა თქმა უნდა, — დაუდასტურა შავგვრემანმა, ჯერ კიდევ უწვერულმა და მაღალმა ჭაბუკმა.

— ლიანდაგი დროზე უნდა ავყაროთ, — განაგრძო კარპოვმა, — ჯავშნიან მატარებელს ჩვენთან მოახლოებისა და რკინიგზის ხაზზე მიმოსვლის საშუალება რომ არ მიეცეს.

— არტილერია რაფიბეგოვს და მაღალოვს არ უნდა ჰქონდეთ, — თქვა ვანო მახათაძემ. ეს ჭაბუკი ძნელად თუ გამოირჩეოდა რუსისაგან: მოკლე ცხვირი, მოცისფრო თვალები, თეთრი და ჭორფლიანი, გამხდარი სახე ჰქონდა. ჯარისკაცის მაზარა ხომ ყველას ერთნაირ იერსა ჰფენს. მახათაძე თბილისიდან ბოლშევიკური კომიტეტის მიერ ეშელონებში სამუშაოდ იყო გაგზავნილი.

— არტილერია მათაც აქვთ, — შენიშნა ნატოშვილმა.

— საიდან იცი?

— შამქორში თვალი მოვკარი კაპიტან გიგაურს და კიდევ ორ არტილერისტს, ჩვენი სკოლის ამხანაგებს, სტუდენტებს სანდრო ხოტივარსა და ვანო მაჭავარიანს. ალბათ, ისინი ადგილობრივი ბატარეის ჩამოსაყალიბებლად ჩამოვიდნენ თბილისიდან. განჯაში ბევრი ზარბაზანია.

— დაე, ჰქონდეთ არტილერია! ჩვენი ზარბაზნებიც აღაპარაკდებიან, — შენიშნა კარპოვმა და განაგრძო: — საარტილერიო ეშელონი სადგურიდან მოშორებით უნდა დავაყენოთ. თუ მდგომარეობა გართულდა, ვაგონიდან ზარბაზნების გადმოზიდვა უნდა მოვასწროთ. ეს შენ უნდა იკისრო, პეტია, — იგი პეტო ნატოშვილს „პეტიას“ ეძახდა.

— არის! — მიუგო ნატოშვილმა.

ნატოშვილი მრეცხავი ქალის, მარინეს შვილი იყო, გულკეთილი და საქმის ერთგული ჭაბუკი. მარინე ესტატე მაყაშვილის ბინის ქვეშ, სარდაფში ცხოვრობდა. იგი ადრე დაქვრივებულიყო. ერთადერთი შვილი—პეტო გაჭირვებაში ჰყავ-

და აღწრდილი. მეშვიდე კლასამდე კორნელი და პეტრო ერთად სწავლობდნენ. მერმე კი, როგორც იატაკქვეშ მომუშავე, პოლიციამ დააპატიმრა. მალე იგი სამხედრო სასწავლებელში შევიდა და 1917 წლის გაზაფხულზე ოფიცერი გახდა.

კარპოვის გეგმა მოიწონეს. გადაწყვიტეს მიტინგის მოწვევა, რათა დაეთანხმებინათ ჯარისკაცები ორი ეშელონის განიარაღებაზე.

ჯარისკაცები ქვეითად გაეშურნენ დალიარის სადგურთან დანიშნულ მიტინგზე. ღამე იყო და აქა-იქ გრძელ ლატანებზე მიმაგრებული ჩირაღდნები წამოეგოთ. ჩირაღდნებს ქარი აღვივებდა და ალი ჯარისკაცთა სახეებს აშუქებდა. მწყობრად ირხეოდა ათასი ბუხრის ქუდი და ფრიალებდა ათასი კაცის მაზარის კალთა. ჯარისკაცები თუთუნს ეწეოდნენ. ვაჟკაცთა ფილტვებიდან საბერველივით დაქშუეებული, ბოლშერეული ჰაერი ორთქლად იქცეოდა და მისი კამარა შადრევანივით იწელებოდა.

მოდიოდნენ ათასები. ჩექმის ქვეშ თოვლი ჭრაჭუნებდა.

დალიარის სადგურის წინ მდგარი ეშელონის ღია ვაგონზე ტრიბუნა მოეწყოთ. აქეთ-იქით ჩირაღდნები აღემართათ. ჯარი ტრიბუნის წინ გროვდებოდა. ტრიბუნაზე ბელაგორსკი, კარპოვი და რევოლუციური კომიტეტის სხვა წევრები იღგნენ.

მიტინგი ჯარისკაცმა გახსნა. სიტყვა ბელაგორსკის მისცა. ჩირაღდნებით მოსულ ჯარისკაცთა უკან ღამე შავი კედელივით აღმართულიყო.

ბელაგორსკიმ ჯარისკაცებს აფხაზავას და მაღალოვის წინადადებანი, ჯარისკაცთა დელეგატების პასუხი გააცნო. ჯარისკაცები ორი ეშელონის განიარაღებაზეც კი უარს აცხადებდნენ. ტრიბუნაზე წვერულვაშიანი მხედარი გამოვიდა, ჯარისკაცთ შორის გავლენიანი და „პაპაშად“ წოდებული.

— ვინ გადაგვიჭრა გზა ფრონტიდან შინ მიმავალ ჯარისკაცებს? რა ხალხი გვებრძვის ჩვენ? — დაიწყო მან.

— კონტრრევოლუციონერები! — შესძახეს ერთხმად ფრონტელებმა.

— სწორედ ისინი, — განაგრძო „პაპაშამ“, — მენშევიკები, მუსავატელები და დაშნაკები, სომხის ვაჭრები, აზერ-

ბაიკანის ბეგები და ქართველი თავადები. ჩვენი ტყვია-წამალი მათ რევოლუციის ჩასახშობად და არა თურქების ურდოებთან ბრძოლისათვის ესაჭიროებათ. არც ერთი თოფი, არც ერთი ტყვიამფრქვევი, არც ერთი ზარბაზანი რევოლუციის მტრებს. ამხანაგებო! მე ძლიერ მიკვირს, როდესაც აქ ზოგიერთი დელეგატი თანხმობას აცხადებს თუნდაც ერთი ეშელონის განიარაღებაზე! ეს იქნებოდა ღალატი რევოლუციური სამშობლოს წინაშე, ეს იქნებოდა ღალატი წითელი არმიის წინაშე, რომელიც თავგანწირულად ებრძვის მუშათა კლასისა და ღარიბი გლეხობის მტრებს.

— მივდივართ ბაქოში, დავამსხვრიოთ ჯავშნიანი მატარებელი! — ბღაოდა ჯარი. ორი ეშელონის განიარაღებაზე ჯარისკაცთა დასტურის მიღება გაჭირდა. კარპოვმა ბოლოს დაიყოლია ჯარისკაცები. ეს თანხმობა ბელაგორსკიმ შამქორს აცნობა. მაგრამ თანხმობა შამქორმა ეშელონების სისუსტედ მიიჩნია, რამაც აფხაზავას, მაღალოვის, რაფიბეგოვისა და მათი რაზმების საომარი განწყობილება გააორკეცა.

9

9 იანვარს, რიჟრაჟისთანავე ეშელონები დალიარიდან გავიდნენ. მაღალოვმა რაზმელებს აყრილი ლიანდაგი დააკვირდებინა. რაფიბეგოვის შტაბი შამქორის ახლოს იდგა. სანგრებსა და თხრილებში ჩასაფრებული რაზმელები ეშელონების მოსვლას ელოდნენ. შამქორის სადგურიდან დასავლეთით — მაღალოვის ცხენოსანი ლეგიონი დაბანაკებულიყო. ამ ლეგიონის ბეთაურებად ნიკეგოროდის, ტვერის დრაგუნის პოლკების და „ველური დივიზიის“ ყოფილი ოფიცრები იყვნენ. ჩრდილოეთით, საფარში კაპიტან გიგაურის მიერ ქართველ და სომეხთაგან ნაკრები ბატარეა დაეყენებინათ. შამქორიდან განჯისაკენ მიმავალი რკინიგზის ხაზი ჯავშნიან მატარებელს გადაეჭრა.

შამქორი ეშელონებისათვის საშიშ ხაფანგს წარმოადგენდა. ის, რაც აქ იყო შემზადებული, მცირეიცხოვანი ბრბოების თავდასხმას როდი ჰგავდა. ეს იყო ზედმიწევნით მოფიქრებული სამხედრო ოპერაცია, რომლის დამუშავებაში მონაწილეობას ღებულობდნენ აშიერკავკასიის კომისარიატი

და საბჭედრო სპეციალისტები. შამქორის სასაკლაოს მომწყობნი გაოცებას გამოთქვამდნენ მერმე, ვინ დაავალა მაღალოვს განიარაღების ოპერაციის ჩატარება, ვინ გაგზავნა აფხაზავას ჯავშნიანი მატარებელი ბაქოს რკინიგზის ხაზზეო და დანაშაულის თავიდან აშორებისა და საზოგადოებრივი აზრის შეცდომაში შეყვანის მიზნით, შამქორში მომხდარ ტრაგედიას ერთმანეთს აბრალებდნენ.

პოლკოვნიკ მაღალოვს ექიმი რაფიბეგოვი, ტიგრანიანი, თურქი მაიორი და ბეგები ამოსდგომოდნენ. რაფიბეგოვს ფრანგული ლიცეი სტამბოლში დაემთავრებინა და ახლა თურქ მაიორს გზადაგზა ფრანგულად ელაპარაკებოდა. მაიორი აუღელვებელი, მშვიდი და ოდნავ გაღიმებული სახით იდგა. ივი დიდ სიხარულს იოკებდა: კავკასიის არმიას ზურგში ლახვარს სცემდნენ. ამიერკავკასია ანარქიის ცეცხლში ეხვეოდა და მისი ქვეყნის მშობლიურ დივიზიებს დაუბრკოლებლივ შეეძლოთ ახლა თბილისზე, ერევანზე და ბაქოზე გალაშქრება. მაიორი ევროპელ ოფიცერსა ჰგავდა. ასეთი არ იყო რაფიბეგოვი, თუმცა, მოგრძო, ღაბაბიანი სახე მასაც ევროპელსავით გაეპარსნა და ბადრიჯნის მსგავს ცხვირზე პენსნე წამოესკუპნა. ჭარხალივით წითელი და ომებში სახეგარუჯული, ახოვანი პოლკოვნიკი მაღალოვი ეშელონებზე უეჭვო გამარჯვებას წინასწარმეტყველებდა, რაც თურქ მაიორს მალამოსავით უამებდა გულს. რაფიბეგოვი კი ნეტარებისაგან შაქარივით დნებოდა, თვალებს ნაბავდა, თავს იკატუნებდა და ქართველ მხედარს — მაღალოვს მუსულმანების მიერ „გურჯებისადმი" (ქართველებისადმი) სიყვარულში და ძმობაში არწმუნებდა. ორჭოფული და ადამიანური ღირსების შეურაცხმყოფელი, მლიქვნელური ღიმილით ფეხქვეშ ეგებოდა.

მაღალოვმა თვალებზე დურბინდი მიიდო და რკინიგზას გაჰხედა. ორთქლმავლის მილიდან ამოსული ბოლი დაინახა და დაიძახა:

— ეშელონი მოდის!

დილის სრულ 8 საათზე შამქორის სადგურზე პირველი ეშელონი მოვიდა. აფხაზავამ, ისე როგორც ყარაიაში, წინადადება მისცა ჯარისკაცებს დაეტოვებინათ ვაგონები. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ შტაბ-როტმისტრი ახლა ჯავ-

შნოსანში იჯდა და გარეთ არ გამოდიოდა. რაზმელებმა იარაღი ჩაიბარეს და ეშელონი ბაქოსკენ წავიდა. ერთი საათის მერმე მეორე ეშელონი მოვიდა. აფხაზავამ იგივე გაიმეორა. განიარაღების დროს ჯარისკაცები დუმდნენ. მათ ბოლმა ახრჩობდათ და ძლივს იკავებდნენ თავს.

მეორე ეშელონი ჯერ კიდევ არ იყო გასული შამქორიდან, როდესაც მესამე ქვეითი, ხოლო მეოთხე და მეხუთე — საარტილერიო ეშელონები ჩამოდგნენ. აფხაზავამ ყველა ამ ეშელონის განიარაღება მოითხოვა. შამქორის სადგურიდან მოშორებით, გაშლილ მინდორში გაჩერებულ საარტილერიო ეშელონს ბელაგორსკი, კარპოვი, პეტო ნატოშვილი და ვანო მახათაძე ახლდა. ბელაგორსკი ჯავშნიან მატარებელში ენახა აფხაზავას.

— ჩვენ აკი ორი ეშელონის განიარაღებაზე შევთანხმდით გუშინ?! — მოაგონა ბელაგორსკიმ.

— გუშინს აქეთ მდგომარეობა შეიცვალა... ჩვენ ახლი ბრძანება მივიღეთ.

— ვისგან? მაჩვენეთ ბრძანება!

— მე ვალდებული არა ვარ გაჩვენოთ დოკუმენტები და საერთოდ ანგარიში ჩაგაბაროთ.

— მაშინ შეაჩერეთ თქვენ განკარგულების შესრულება. ჩვენ თბილისს დაველაპარაკებით.

— ამიერიდან თბილისს არა სურს თქვენთან ლაპარაკი. ამიერკავკასიის მთავრობამ რაც საჭირო იყო, უკვე გითხრათ, ახლა მე ვარ თქვენი მოპასუხე და თუ ჭკუით არ მოიქეცით, იჯიუტებთ და ვაჭრობით თავს მოგვაბეზრებთ, მაშინ თქვენთან ლაპარაკის სხვა იარაღს გამოვძებნით. — საბოლოოდ გათავხედდა აფხაზავა.

— შტაბ-როტმისტრო. ნუ გვაშინებთ! არ დაივიწყოთ, რომ ჩვენ ფრონტიდან მოვდივართ. ჩვენ ფრონტელი ჯარისკაცები ვართ. საშინლად მოგვბეზრდა და ვერიდებით სისხლის ღვრას. თქვენ მხოლოდ ახლა იწყებთ ომს, ჩვენ კი...— აფხაზავამ სიტყვის დაბმთავრება არ აცალა ბელაგორსკის, ქურქი გადაიწია, ორდენებით მოჭედილი მკერდი უჩვენა და უყვირა:

— ახლა ვიწყებ მე ომს, მსოფლიო ომის გმირი, შტაბ-როტმისტრი აფხაზავა! რას მიჰქარავ!

— მით უარესი თქვენთვის... არა, მე არ მჯერა, რომ თქვენ ორ ეშელონზე მეტის განიარაღება ნებადართული გქონდეთ. ასეთი ნებართვა გუშინდელი შეთანხმების სამარცხვინო დარღვევა და უკანონობა იქნებოდა, — აღშფოთებას გამოსთქვამდა ბელაგორსკი.

ამ დროს ჯავშნიან მატერებლიდან კარპოვის მიერ გამოგზავნილმა ჯარისკაცმა მიირბინა, ბელაგორსკი გამოიძახა და უთხრა: რაზმელებმა ეშელონების განიარაღება დაიწყესო. აქა-იქ შაშხანა გავარდა. ბელაგორსკიმ აფხაზავას შესძახა:

— შეაჩერეთ განიარაღება, თორემ პასუხისმგებელი თქვენ იქნებით!

— განიარაღების შეჩერება უკვე შეუძლებელია!

— მაშინ მოგვეცით საშუალება, თბილისში თქვენს მთავრობას დაველაპარაკოთ.

— მე უკვე მოგახსენეთ, რომ ჩემს მთავრობას არა სურს თქვენთან ლაპარაკი.

— თქვენი მთავრობა ძალადობას დაადგა? გაბსოვდეთ: ჩვენ თქვენზე დიდი ძალა გვყავს.

— თქვენ ალყაშემორტყმული ხართ. თუ ჯიუტობა დაიწყეთ, ვერც ერთი თქვენგანი აქედან ცოცხალი ვერ გავა. წადით, მოახსენეთ ეს ჯარისკაცებს!

— მე წავალ და ჯარისკაცებს, მოვახსენებ, რომ თქვენი მთავრობა უკანონობის, ძალადობისა და ყაჩაღობის გზას დაადგა.

გაფითრებულმა ბელაგორსკიმ ნავანის ტარს მოუჭირა ხელი, ჯავშნიანი მატარებლის კიბე ჩაირბინა და ეშელონებისაკენ გასწია.

10

კარპოვმა ბრძანება გასცა. მესაყურემ ნაღარა დაჰკრა. ჯარისკაცებმა შაშხანები აიღეს და ეშელონის ვაგონები მიატოვეს. ქვეითნი ველზე გაიჭრნენ, გაიშალნენ და ცეცხლი გახსნეს. არტილერისტებმა კი ფიცრები მოიტანეს, ვაგონებს მიაყენეს, ზარბაზნები ჩამოიღეს, მინდორში გააგორეს და ჯავშნიანი მატარებელი ნიშანში ამოიღეს. ჯავშნოსანი ქვე-

ითი ჯარის ეშელონს უმოწყალოდ ანადგურებდა. ზარბაზნების ხახიდან განუწყვეტლივ ელავდა ცეცხლი.

ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული ბრძოლა სადგურსე და ეშელონების ვაგონებში, როდესაც პეტო ნატოშვილის ბატარეის ზარბაზნის გრიალი გაისმა. ყუმბარა ჯავშნიანი მატარებლის ბორბლებთან დაეცა, გასკდა და მიწა მიაყარა. ორთქლმავალი დაიძრა, მაგრამ თვითონ ნატოშვილის მიერ გასროლილი მეორე ყუმბარა პირდაპირ ქვაბს მოხვდა. ეს ბედნიერი გასროლა იყო. ორთქლმავალი დაზიანდა. რაღაც შემზარავი ხველა და ხროტინი დაიწყო. მერმე ორთქლმავალზე მიბმულ ვაგონში გამაყრუებელი გრუხუნი გაისმა: ვაგონ-საწყობში ვაზნები აფეთქდნენ. სასიკვდილოდ დაჭრილმა ურჩხულმა ხახიდან მურისფერი ცეცხლი ამოაბოლა, თითქოს სტომაქიდან შავი სისხლი ამოანთხიაო. ჯავშნოსანი ბობღვით წავიდა, მაგრამ ლიანდაგს ასცდა, მიწაში ბორბლებით შეიჭრა, წაბარბაცდა და, ყუმბარებით განგმირული, თხრილში გადაიჩეხა და გვერდზე გადაწვა.

ვაგონების აფეთქების მერმე ცოცხლად დარჩენილმა რაზმელებმა ჩოხის კალთები აიკაპიწეს და დამეხილ ჯავშნოსანის ბუდეებიდან ფრთამოტეხილი ძერებივით ამოფრინდნენ, ჯარისკაცები ტყვიამფრქვევით ათავებდნენ.

აფხაზავა არ ჩანდა. ბოლოს ისიც გამოჩნდა. მარცხენა ზელის ძვალი ყუმბარის ნატეხებით ჰქონდა დამსხვრეული, სახე — ცეცხლით გატრუსული. მარჯვენაში მაინც პარაბელუმი ეჭირა. მიწაყრილისაკენ ბარბაცით ერთბაშად წამოიჭრა, მაგრამ მუხლის ქვეშ ჩოხის კალთა მოჰყვა და ისევ მიწაზე დაეცა. ახლა იდაყვს დაეყრდნო და მისკენ შაშხანით მარბენალ ჯარისკაცს პარაბელუმი დაუმიზნა. ესროლა. ჯარისკაცებმა ტყვიები დააყარეს. აფხაზავას ძალა გამოელია. საგნები ბურუსში გაეხვივნენ და, ერთიათად ქცეულნი, უცნაურად ხტოდნენ და როკავდნენ. ყველა დანარჩენი ვაზნა შტაბ-როტმისტრმა უმიზნოდ დასცალა. ხახიდან სისხლი თუხთუხით გადმოდინდა და, ტყვიებისგან დაცხრილული, ტელეგრაფის სვეტთან გაიშოტა.

მაღალოვმა ბრძანება გასცა: შამქორიდან ბაქოსა და დალიარისკენ ლიანდაგი აეყარათ. ხუთი ეშელონი მოიმწყვდიეს და მერმე განიარაღების მომწყობთა რაზმები შეტევაზე

გადავიდნენ. წინ მიიწევდნენ და უწესრიგოდ უშენდნენ ეშელონებს. ომში ნამყოფი ჯარისკაცები კი — მწყობრად უპასუხებდნენ. პეტრო ნატოშვილი თვითონ მუშაობდა ახლა ერთ-ერთ ზარბაზანზე მემიზნედ. ჯავშნიანი მატარებლის განადგურების მერმე ცეცხლი მუსულმან რაზმელების სანგრებისაკენ გადაიტანა. რაზმელებმა თხრილები მიატოვეს და გაიქცნენ. მაგრამ მაშინვე გიგაურის ბატარეამაც დაიქუხა. ყუმბარა ნატოშვილის ზარბაზნის ახლოს დაეცა და გასკდა. აქა-იქ თეთრი კვამლი გამოჩნდა და ცისკენ მძიმედ აიზიდა. გაქცეული რაზმელები, რაფიბეგოვის ბრძანებით, ბეგებმა შეაჩერეს და ისევ თხრილებში ჩაჰყარეს. რაფიბეგოვი სწუხდა: თურქმა მაიორმა არა სთქვას, აზერბაიჯანელ მებრძოლს ასკერის მამაცობისა და გმირობის ნატამალიც კი არა სცხიაო.

გიგაურის და ნატოშვილის ბატარეას შორის გამართული საარტილერიო დუელი პირველის სასარგებლოდ დამთავრდა. ეშელონების ბატარეა სდუმდა, ალბათ, ადგილს იცვლისო, — გაიფიქრა კარპოვმა. რაფიბეგოვის რაზმელებმა მინდორი გადაირბინეს, ხევ-ხევ იარეს, ეშელონების მარჯვენა ფრთას შემოუარეს და ჯარისკაცები სადგურიდან გარეკეს. კარპოვმა სადგურიდან უკუქცეულნი შეაჩერა. ოცი მებრძოლი თ. ლიანდაგთან მიირბინა და ტყვიამფრქვევის ცეცხლით რაზმელები სადგურის იქით გარეკა.

კარპოვი პეტრო ნატოშვილის ბატარეის დუმილმა გააოცა. სწორედ ახლა იყო საჭირო ერთი-ორი ყუმბარის დაშენა და სადგურს ისევ აიღებდნენ. ეშელონის კაგონებს შემოუარა, ბატარეასთან მიირბინა.

— პეტია, — დაუძახა მან ნატოშვილს. ნატოშვილი და რამდენიმე არტილერისტი ზარბაზნის ახლოს გაუნძრევლად იწვნენ. კარპოვმა დაიჩოქა და ნატოშვილის ხელს შეეხო.

— მოჰკლეს, — წუხილით წარმოსთქვა მან და მეგობრის სახეს დააცქერდა. ბოღნა და ცრემლი შემოაწვა. წამოდგა. მხრები არწივსავით აიჩეჩა. შამქორს გაჰხედა და დასძყვირა:

— ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს, არამზადებო!— მერმე არტილერიის ჯარისკაცს უბრძანა: — ფედია, ჩაიბარე ბატარეა!

ბატარეა ისევ ამუშავდა.

კარპოვმა ტყვიამფრქვევი ლიანდაგთან მიაგორა, წაუწვა და გრძელი რიგები სადგურისაკენ მიუშვა. ჯარისკაცები უფროსის გვერდით, მხარდამხარ იბრძოდნენ. მაგრამ რაფიბეგოვის რაზმელებმა მარჯვენა ფრთაზე წრე გააღწიეს. ლიანდაგი აიღეს. ეშელონს ცეცხლი წაუკიდეს და მალე ვაგონები ალში გაეხვივნენ.

მარჯვენა ფრთისაკენ მაღალოვის ლეგიონის ერთი ესკადრონი გაეშურა. ცხენებმა ყურები დაცქვიტეს. ტრამალზე ნავარდით წავიდნენ და ხმალამოწვდილი მხედრები გააქროლეს. ესკადრონს კორნეტი თარხან-მოურავი მიუძღოდა. მის წინ ყუმბარა აფეთქდა. ცხენი ყალყზე შედგა და მხედარი გადმოაგდო. კუდაწვდილმა, გაგიჟებულმა ცხენმა ჭენებით დატორა ველი.

გიგაურის ბატარეა განუწყვეტლივ გრიალებდა. პოლკოვნიკი მაღალოვი დურბინდით დასცქეროდა მაღლობიდან ბრძოლის ველს. რკინიგზის ხაზზე ცეცხლმოდებული ეშელონები ჩანდნენ. არტილერიამ ცეცხლი შესწყვიტა. გამარჯვებით დამთვრალი რაზმელები კარპოვის გარშემო თავშეყრილ ჯარისკაცებს მისცვივდნენ. დაიწყო ხელჩართული ბრძოლა.

თოვლით დაფარულ შამქორის ველზე ყუმბარებით დანგრეული სადგური ჩანდა. მარჯვენა მხარეს, ლიანდაგზე, ხუთი დამსხვრეული ეშელონი და ცეცხლით დამწვარი უამრავი ვაგონი იდგა, რომლებშიც ამას წინათ სიცოცხლე სჩქეფდა, ჯარისკაცთა სიმღერა, სტვენა და გარმონი ისმოდა. ახლა იმ ვაგონებისაგან, მხოლოდ ბორბლები, დგამი, რკინის ჩარჩოები და ჩონჩხებიღა დარჩენილიყვნენ.

მარცხნივ, ლიანდაგზე ყუმბარებით განგმირული რუხი ურჩხული ეგდო — ჯავშნიანი მატარებელი. ჯავშნოსანისა და ეშელონების ახლოს, სადგურთან, გაშლილ ველზე. ხრამსა და თხრილში დამწვარი და დასახიჩრებული გვამები ეყარა.

ლიანდაგის მიწაყრილის ახლო, პირქვე დამხობილი შტაბ-როტმისტრი აფხაზავა მოკრუნჩხულიყო. ჩოხის კალთები მოკლული არწივის ფრთებივით გაშლოდა. ბუხრის ქუდი სისხლის გუბეში ჩავარდნოდა. ცალი წარბი აეზიდნა და მისი გახელილი თვალის გუგიდან საშინელება იცქირებოდა.

იქვე მოკლული ჯარისკაცი იწვა, რომელმაც დალიარში

შიტინგი გახსნა. მორგვივით კისერი და სახე გალურჯებოდა, რუმბივით გახდომოდა. შუბლი და წარბები ისევ მოღუშული და ბრაზით შეკრული დარჩენოდა.

მაროდიორები ჩვეულებისამებრ მუშაობდნენ: დახოცილთ ტანსაცმელს ჰხდიდნენ. ველზე ჩექმაგახდილ სისხლსა და ტალახში ამოსვრილ, შიშველ ჯარისკაცთა გვამები ეყარა. ზოგი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და გაგიჟებულის თვალებით შველას ითხოვდა, მაგრამ ასეთებს მაროდიორები ხრამსა და მდინარეში ჰყრიდნენ.

* * *

აღსტაფა-შამქორსა და განჯის რაიონში ეშელონებზე თავდასხმა კიდევ რამდენიმე დღე გაგრძელდა. მაგრამ ფრონტიდან მოზღვავებულმა ეშელონებმა რკალი გაარღვიეს, ყაჩაღთა ბრბოები გაჟლიტეს, მათი ბუნაგი მიწასთან გაასწორეს და რკინიგზის ხაზი გაწმინდეს. ამიერკავკასიის მთავრობა და ეროვნული საბჭოები შეშინდნენ, დათმობაზე წავიდნენ და თავდასხმა შეწყვიტეს. რკინიგზაზე რევოლუციური კომიტეტების მიერ გამოყოფილმა ჯარისკაცებმა წესრიგი დაამყარეს და სამგზავრო მატარებლების მიმოსვლაც აღდგენილ იქნა.

ᲕᲘᲣᲚᲘᲚᲓᲜᲔᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

მხოლოდ რკინისებური მტკიცე ხასიათის მქონე ადამიანები მუშაობენ დასახული მიზნის მისაღწევად და არ ეცემიან სულით მარცხის გამო.

მაკოლეი

1

შამქორის ამბებით დაშინებული მოქალაქენი რკინიგზით მგზავრობას ერიდებოდნენ. სამხედრო ეშელონების სვლის გამო, სამგზავრო მატარებლები საათობით და ხანდახან დღეღამითაც იდგნენ სადგურებზე.

ბაქოდან 4 იანვარს გამოსული მატარებელი განჯაში მხო-

ლოდ 11 იანვარს ჩავიდა. ვაგონებში თითქმის ცარიელი იყო. ჯოთ ვაგონში ბაქოს გიმნაზიის ინსპექტორი — დათა მიქელაძე და მისი მეუღლე — ელენე ისხდნენ. დათა თბილისის გიმნაზიის დირექტორად დაენიშნათ. ელენეს თავისი დისშვილისათვის — კორნელისათვის ბაქოდან მიეწერნა: შენ ჯარისკაცი ხარ, ფრონტიდან მომავალი ჯარისკაცები ხმას არ გაგცემენ, უთუოდ ჩამოდი და თბილისამდე მგზავრობაში და ბარგის გადაზიდვაში მოგვეშველე, თორემ ეშელონების შიშით უკვე ერთი თვეა, რაც აქ ვიცდით და წამოსვლა ვერ გავბედიაო. კორნელის შვებულება აეღო და ბაქოში ჩასულიყო. ახლა ვაგონის ფანჯარასთან იდგა და სწუხდა, ნეტავ 14 იანვარს მაინც ჩავიდოდეთ თბილისშიო.

საქმე ის არის, რომ ესტატე მაყაშვილი ყოველ წელს თავის ქალის — ნინოს სახელობის დღეს იხდიდა და კორნელის ნინოობა დღეს თბილისში ყოფნა ეწადა. დათას და ელენეს ბარგის მცველ ჯარისკაცს მაზარა და ჩექმები ეცვა, ბუხრის ქუდი ეხურა და ხმალი და ნაგანი ეკიდა. დათას, ელენესა და კორნელის გარდა, მათ ვაგონში ვიღაც რუსი ინჟინერი, მისი ცოლი და რამდენიმე აზერბაიჯანელი ისხდნენ. კორნელის დაწვრილებით გაეგო გზაში შამქორის ამბები და განჯა-შამქორის მიდამოებს გასცქეროდა. სადგურ ალი-ბაშლის მერმე მათ ვაგონში გამხდარმა ჯარისკაცმა გაიარა. კორნელიმ მაშინვე იცნო სკოლის ამხანაგი ვანო მახათაძე და დაუძახა. საუბარი რამდენიმე დღის წინათ ამ ადგილებში მომხდარ ამბებზე ჩამოვარდა.

— ჩვენი მგზავრი ყოფილხარ...: — უთხრა კორნელიმ. დეიდა ელენემაც იცნო ვაგონში შემოსული ვანო მახათაძე. ვანომ დათას და ელენეს ჩაუთვალა ხელი, დაჯდა და კორხელის დახშული და ყრუ ხმით უთხრა:

— სხვათა შორის, კაპიტანი გიგაური და მისი ჯარისკაცები, შენი მეგობრები: სანდრო ხოტივარი, მიხა მაჭავარიანი და კიდევ ვიღაც-ვიღაცეები იქ იბრძოდნენ.

— იმ დროს თბილისში რომ ვყოფილიყავი, ალბათ, მეც შამქორში მიკრავდნენ თავს. ჯარისკაცს ვინ რას ჰკითხავს! გიბრძანებენ და, ვალდებული ხარ წახვიდე, — შენიშნა კორნელიმ.

— რას ნიშნავს „ვალდებული ვარ?!“ ასე შეეძლოთ მე-

ფის ჯარისკაცებს ემსჯელათ. თქვენ კი შეგნებული წალხი— სტუდენტები ხართ და უნდა იცოდეთ და გესმოდეთ, ვის და რას ემსახურებით, სად და რად იბრძვით. შამქორის სასაფლაო შავ ლაქად აზის არა მარტო ამიერკავკასიის მესვეურებს, არამედ იმ ოფიცრებსა და ჯარისკაცებსაც, რომლებიც მათ მზაკვრულ ბრძანებას ასრულებდნენ, — ღელავდა მახათაძე.

— ყველაფერი ეს ბოლშევიკების ბრალია, — ჩაება საუბარში შავწვერა, გამხდარი კაცი დათა მიქელაძე, — ბოლშევიკების მიერ აგიტირებულ ჯარისკაცებს არც ფრონტზე ყოფნა და ომი სურთ და არც იარაღის ჩაბარება. და ეს მაშინ, როდესაც თურქებმა ამიერკავკასიის საზღვარი გადმოლახეს და წინ მოიწევენ!

— მერმე ურუსეთოდ ჩვენ შევძლებთ თურქების შეჩერებას? — ჰკითხა ვანომ.

— რუსეთი აღარ არსებობს. რუსეთში ყველაფერი დაირღვა და განადგურდა, — იყვირა ინჟინერმა, უიმედოდ ჩაიქნია ხელი და ცხვირიდან ჩამოვარდნილი სათვალე გაისწორა.

— რუსეთში ის დაინგრა, რაც დასანგრევი იყო და ახლა ყველაფერი ისევ თავიდან შენდება. შენდება ახალი საბჭოთა რესპუბლიკა. — შენიშნა ვანომ და ამრეზით გადახედა აყლაყუდა, სახეგაცრეცილ კაცს, ვის დრაფის პალტოს და მეფის გვირგვინებიან ოქროსფერ ღილებს. ინჟინერი სდუმდა.

მახათაძემ კორნელის ჰკითხა:

— შენ ისევ ესტატე მაყაშვილისას ცხოვრობ?

— ვცხოვრობ ყაზარმაში. მაყაშვილებთან კი მივლინების დროს დავიარები, — მიუგო კორნელიმ და ამხანაგი შეათვალიერა.

შავი ტყავის ქურთუკზე მახათაძეს ჯარისკაცის მაზარა ჩაეცვა. მაგრამ ეს ვერ შველოდა მის საოცარ სიგამხდრეს. წვრილ და გრძელ კისერზე მალიმალ და აგზნებით სცემდა არტერია. ღიაცისფერი თვალები სიცხიანსავით ანთებოდნენ... კორნელის პეტრე ოთახში მოაგონდა. სადაც ვანოსთან ერთად მოსულ ამხანაგებს — გიგო თავაძეს, ბიძინა შარაბიძეს და გრიგოლ ცაგურიშვილს ახრთობდა. იგი გიგო თავაძის გამოსაჯავრებლად მენშევიკების ლიღერებს ჰბაძავდა სახის მე-

ტყვილებით, ქცევით, ლაპარაკით და ამხანაგებს აცინებდა. მოაგონდა თავის ოთახში გამართული მოწაფეთა ლიტერატურული საღამოები... მაზარაში გახვეულ სკოლის ამხანაგს მოულოდნელად ჰკითხა:

— ნეტავ სად არის ახლა პეტრო?

— ვინ?

— პეტრო ნატოშვილი.

— ეხ, — ამოიოხრა ვანომ და მიუგო: — შამქორში მოჰკლეს.

— რაო? — შესძახა კორნელიმ, — შამქორში რა უნდოდა?

— თავის ნაწილს მიჰყვებოდა ბაქოში... თითქო მასზე იყო თქმული: „სადაურსა სად წაიყვან, სად აღუფხვრი, სადით ძირსა“.

— სად დაასაფლავეს ის საცოდავი?

— პეტროსა და რამდენიმე ჩვენი ამხანაგის გვამები თბილისში გადაასვენეს. ზეგ დაკრძალავენ. არაფერი წამოგცდეს პეტროს დედასთან.

კორნელი შეძრწუნდა და დაწვრილებით გამოჰკითხა ყოველივე, მაგრამ ამ დროს ვაგონში მაღალოვის მხედრები შეიჭოვიდნენ და დასხდნენ. ვანომ მხედრებს მრისხანედ გაჰხედა, ომში და ჰაერზე დღედაღამ ყოფნის გამო გატრუსულ ძათ სახეს გაუპარსავი წვერი კიდევ უფრო აბნელებდა და ვანოს მოეჩვენა, თითქოს ისინი ავაზაკები, კაცისმკვლელები და ჯალათები იყვნენ. თავი ჩაჰკიდა. იგი ფიქრებმა წაიღეს. მის გრძელსა და გამხდარ კისერს მაზარის ხეშეში საყელო მიებჯინა. კომშის წნელივით დაგრეხილი ძარღვი სისხლით აღევსო, გაულურჯდა და ისევ გამალებით სძგერდა. კორნელიმ იცოდა, რა დიდი გლოვაც მიჰქონდა ვანოს თბილისში.

2

ვანო ღარიბი კაცის — სტამბის მუშის, ბათლომე მალათაძის, შვილი იყო. ბათლომესათვის მანქანას მოეგლიჯა ოთი თითი და დღი დასახიჩრებული ხელით აწყობდა სტამბაში ასოებს. ბათლომეს ექვსი შვილი ჰყავდა. სამი ქალი ჭლექით დაეხოცა. ხელფასი არ ჰყოფნიდა და გაჭირვებულად ცხოვ-

რობდა ქალაქის გარეუბანში. მის სახლს აგურის იატაკი ჰქონდა. ხშირად, ზამთრის ღამეებში, ვანო ბუხრის ცეცხლის შუქზე მეცადინეობდა. იგი მართლაც დამშეულივით სჭამდა წიგნებს, რომელთაც სტამბის მუშები აწვდიდნენ. ამ „დამშევას“ ერთი სურვილიღა იწვევდა: სურდა გაეგო, რა იყო უსამართლობის, ღარიბთა ტანჯვის, მშრომელი ხალხის ჩაგვრის მოსასპობი საშუალება. ამ კითხვებზე პასუხის გაცემაში კორექტორი სანდრო კასპელი შველოდა, რომელმაც იგი იატაკქვეშ მომუშავე ერთ-ერთ ამხანაგს გააცნო. ამ დღიდან თხუთმეტი წლის ვანოს ბედი გამორკვეული იყო. რამდენიმე თვის შემდეგ მან ბოლშევიკების არალეგალური კომიტეტის მთელი რიგი დავალება შეასრულა და რევოლუციურ მუშაობას მთელის არსებით მიეცა. უსახსრობის გამო, ვანო იძულებული შეიქნა სამოქალაქო სკოლისათვის თავი გაენებებინა და სასულე ორკესტრში შესულიყო. ვანო კლარნეტზე უკრავდა, ცოტაოდენ თანხას შოულობდა და ეიმნაზიაში შევიდა და კარგადაც დაამთავრა. იგი კორნელიზე ერთი კლასით წინ იყო. გიმნაზიის დამთავრების მერმე ჯარში უკრეს თავი. სამხედრო ექიმებმა მის სუსტ ფილტვებს ყურადღება არ მიაქციეს. 1916 წლიდან ვანომ პეტროგრადის სამხედრო სკოლაში გადაიტანა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართული მუშაობა. ახლად გამოჩეკილი პრაპორშჩიკი დასავლეთის ფრონტზე აღმოჩნდა და ახლა იქ, ჯარში დაიწყო ფარული მუშაობა. რევოლუციის დროს, პიტერის მუშებთან, მეზღვაურებთან და ფრონტელ ჯარისკაცებთან ერთად უშუალო მონაწილეობას იღებდა ზამთრის სასახლის აღებაში. ადამიანთა გულის იმედით აღვსების მოწმე შეიქნა. ამხანაგებთან ერთად გამარჯვების სიხარული უგრძვნია და ბრძოლაში დაღუპულთათვის გლოვა განუცდია. რევოლუციამ ენთუზიაზმი, დიადი მერმისის იმედი ჩაუნერგა. 1917 წლის დეკემბერს მახათაძე ქართველი ბოლშევიკების ჯგუფთან ერთად პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოში გამოგზავნა. საქართველოში იგი გამობრძმედილ ბოლშევიკად დაბრუნდა. მან რევოლუციური ბრძოლის კარგი სკოლა გაიარა.

მატარებელი შამქორს ჩავიდა. ფანჯარასთან მდგარი მეხედრები ბრძოლის ველს, მაღალოვის ცხენოსანი ლეგიო-

ონის და გიგაურის ბატარეის პოზიციებს უჩვენებდნენ კორნელის. ვანო აღელვებული გავიდა ვაგონიდან. მატარებელი იგვიანებდა. გზა დაკავებული იყო. მგზავრები დანგრეული სადგურისა და ახლომახლო ადგილების დასათვალიერებლად წავიდნენ. ლიანდაგის მიწაყრილის იქით დამსხვრეული და ყუმბარებით დალეწილი ჯავშნიანი მატარებელი, ხანძრით დამწვარი და ტყვიებით დაცხრილული უამრავი ვაგონი ეყარა.

კორნელი სადგურის გალმა, ველზე გავიდა. ორიოდე ნაბიჯის მერმე შედგა და გაფითრდა. გზის პირას შიშველი და ტალახში ამოსვრილი ჯარისკაცის გვამი ეგდო: პერანგის ამხანაგრა შერჩენოდა. აქა-იქ კიდევ დაბორიალობდნენ შეიარაღებული რაზმელები, ერთმა ხელი ასწია და დაიძახა: „მოშორდით!“. ის დარაჯი იყო. კორნელი, ვანო და მხედრები გვამს მოშორდნენ. კიდევ რამდენიმე გვამს წააწყდნენ, მაგრამ ხევში შემაზრზენი სურათი გადაეშალათ .ხევი დახოცილ და შიშველ ჯარისკაცთა გვამებით იყო სავსე. კორნელიმ თვალებზე ხელი აიფარა და იყვირა:

— ეს რა უმსგავსობა და საშინელება ჩაუდენიათ?! — მაღალოვის მხედრები გაოცებული მიაჩერდნენ ერთმანეთს, ხოლო მახათაძემ კორნელის უთხრა:

— კარგია, საკუთარი თვალით რომ ხედავ ბანდიტების და მაროდიორების მიერ ჩადენილ საშინელებას.

— ამ უმსგავსოებაში ჩვენ წილი არ გვრდევს... — დანაშაული რაფიბეგოვის რაზმელებს მოახვიეს თავზე მაღალოვის მხედრებმა.

— თქვენ დაიწყეთ და მათ მოათავეს,—შენიშნა ვანომ. იგი სახტად დარჩენილ მხედრებს მოშორდა.

— ეს ვინ ოხერი გდია, რომ გვიწყრება და გვემუქრება!— დაიწყო ერთმა მხედარმა.

— რა ვიცი, ენა კი ყველას ჩაგვივარდათ და... — შენიშნა მეორემ... — წავიდეთ ერთი, საბუთები გავუსინჯო.

— თავი გაანებეთ, — უთხრა კორნელიმ. — იგი სტუდენტია, ამჟამად ოფიცერი. განა თქვენ თვითონ გული არ გერევათ, ყოველივე ამას რომ ხედავთ?

— თქვენც ლაპარაკობთ რაღა! მაშ, ისა სჯობდა, ეშელონებს თბილისი აეღოთ, დაერბიათ იგი და ქალაქის ქუჩებსა

და ნევებში ჩვენი გვამები გდებულიყო?! — ბრაზით ჰკითხა მსხედარმა.

— ვანო მარტო იდგა გზის პირას და ისევ თოვლით დაფარულ შამქორის ველს გაჰყურებდა. ირგვლივ ისეთი სიჩუმე და მყუდროება იყო, თითქო გვამებით მოფენილ მინდორ-ველზე ამ რამდენიმე დღის წინათ არავითარი ბრძოლა და სისხლის ღვრა არ ყოფილიყოს. ქარვისფერი დაისი ნელინელ ცხრებოდა. განჯისაკენ მაღლა ცას გაკრული ორი ღერღეტი მიფრინავდა. ვანოს ისევ ბელაგორსკი და ნატოშვილი მოაგონდა. ისინი შეუდარებელი მონადირეები იყვნენ. აწ ვერასოდეს ველარ დაიჭექებდა რუსი და ქართველი ვაჟკაცის ხიფთი. ვანო დაღუპულ ამხანაგებს მისტიროდა და შურისძიებისა და მომავალი ბრძოლის წყურვილით ივსებოდა.

კორნელი მახათაძესთან მივიდა.

— კორნელი, — მიუბრუნდა მას ვანო, — მე გიცნობ შენ სკოლის მერხიდანვე. შენ პატრიოტი, წესიერი და კეთილი კაცი ხარ. რატომ მსახურობ მენშევიკების არმიაში?

— მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველო თურქებისაგან დავიცვა.

— სხვანაირ პასუხს მე შენგან არც მოველოდი. პატრიოტული მოსაზრებით მიხვედი არმიაში. მაგრამ იცოდე, თურქებს ვერ გავუმკლავდებით!..

— ჩვენ ხომ მოწყვეტილი ვართ ამჟამად რუსეთიდან?! გარდა ამისა, რუს ჯარისკაცებს არ სურთ ომი, ისინი ამიერკავკასიიდან გარბიან...

— კი არ გარბიან და დეზერტირობენ, როგორც ამას მენშევიკები და სხვა ნაციონალისტები გაჰკივიან, არამედ მიდიან, რომ დაეხმარონ საბჭოთა ჯარებს, რომლებიც კორნილოვისა და კალედინის კონტრრევოლუციური ლაშქრის წინააღმდეგ მოქმედებენ. ჩვენში რომ საბჭოთა ხელისუფლება იყოს და არა რევოლუციის მოღალატეთა ხელისუფლება, მაშინ აქ სულ სხვა ვითარება იქნებოდა.

— მართალია. მაგრამ რა უნდა ვქნათ, თუ ჩვენში ჩვენი მთავრობა შედგა და ფრონტელი ჯარისკაცები არ სცნობენ მას?

— გასაკვირიც არაა, რომ არ სცნობენ. ისინი ხომ მუშებისა და გლეხების ხელისუფლებას უჭერენ მხარს. მენ-

შევიკები, დაშნაკები, მუსავატელები ცდილობენ დაარწმუნონ ხალხი, რომ ჩვენი ხსნა რუსეთიდან გამოყოფაში, ნაციონალურ დამოუკიდებლობაშია. მერმე და, ბოლშევიკები განა ნაციონალური დამოუკიდებლობის წინააღმდეგი არიან? იცი თუ არა შენ, რომ სწორედ ჟორდანია და ქართველი მენშევიკები იყვნენ წარსულში წინააღმდეგი რუსეთის ფარგლებში შემავალი განაპირა ერების არა მარტო დამოუკიდებლობისა, არამედ მათი ავტონომიისაც. გსმენია თუ არა შენ, რომ ისინი მოითხოვდნენ უდღეურ, ხალხისათვის მავნე, ეგრეთ წოდებულ კულტურულ ავტონომიას? საქმე ლოზუნგებში კი არ არის, არამედ ადამიანებში, რომლებიც იმ ლოზუნგებს ცხოვრებაში ატარებენ. განა ნათელი არ არის, რომ ჩვენი მესვეურნი თურქეთის, მით უფრო გერმანიის წინააღმდეგ არავითარ ომს არ დაიწყებენ და არც შეუძლიათ აწარმოონ! ისინი ლამაზი სიტყვებით ატყუებენ ხალხს, საქმით კი ცდილობენ საქართველო გერმანელებსა და თურქებს ჩაუგდონ ხელთ. ისტორია მეორდება: ჩვენი ნაციონალისტები დაუბრუნდნენ იმ გზას, რომლითაც, უცხო შვეყნების დაყრდნობით, ჩვენი ფეოდალები მიდიოდნენ...

— ისინი ფეოდალები იყვნენ, — გაუბედავად მიუგო თავბრუდახვეულმა კორნელიმ, — მენშევიკები ხომ სოციალისტები არიან!

— გახეხე მათი წითელი კანი და მალე დაინახავ თეთრ გულს! ცოტა დაიცა: ისინი მალე აიხდიან ნიღაბს!

— მაშ რა გზას დავადგეთ? რა უნდა ვქნათ? რა ვაკეთოთ?

— ის, რაც რუსეთში, უკრაინაში მუშებმა და ჯარისკაცებმა გააკეთეს, ის, რასაც ისინი ბაქოში და ჩრდილო-კავკასიაში აკეთებენ. ერთადერთი გამოსავალი ჩვენთვის—საბჭოთა ხელისუფლებაა.

კორნელიმ ვერაფერი ვერ უპასუხა. იგი იდგა, როგორც ძოწაფე მასწავლებლის წინაშე.

დედის ჯვარი

ვერავინ შესძლებდა აეწერა მდუმარე ძალა მისი ჯავრისა, რომელიც, თითქო, გამოსჭვივოდა მის თვალებში და კრუნჩხვით მოკუმულ ბაგეებში.

გოგოლი

1

თბილისისაკენ მიმავალი ორთქლმავალი არაქათგამოცლილი მიცოცავდა აზერბაიჯანის დამუნჯებულ და მოსაწყენ ტრამალებზე.

შამქორის ტრაგედიამ კორნელი ცუდ გუნებაზე დააყენა. გვამები, დანგრეული, დამწვარი სადგურები და ვაგონები თვალწინ ესახებოდა. საშინელი ფიქრები სტანჯავდნენ. რევოლუცია, სამხედრო სამსახური, უკანასკნელი დღეების ამბები, მოულოდნელი შეხვედრა ვანოსთან შამქორში ჭარიშხალივით შეიჭრა კორნელის ვიწრო პირადულ ცხოვრებაში და სხვა კუთხით უჩვენა სინამდვილე. ისტორიული ამბები, ომები მეფეთა და გმირთა ჰიდილად მიაჩნდა მანამდე კორნელის. ბუმბერაზი პიროვნებისა და გმირის გვერდით, ხალხი და ჯარისკაცები ტიკინებს ემსგავსებოდნენ მის თვალში. ასეთი შეხედულება სკოლაში შემოღებული სწავლის ბრალი და შედეგი იყო. ასეთი გეზით მუშაობდა მაშინ ისტორიკოსი, მხატვარი და მწერალიც. გიმნაზიის დამთავრების მერმე, კორნელი უმაღლეს სასწავლებელში შევიდა, მაგრამ აქ მოხუცი პროფესორი დაუხვდა და ესეც ძველებურად აშუქებდა ისტორიულ მოვლენებს და ჭადაგებდა: ისტორია გმირთა და იშვიათ პიროვნებათა ბიოგრაფია არისო. ახლა კორნელის არ ეეჭვებოდა იმ მოსაზრების სიყალბე.

მატარებელი თბილისს უახლოვდებოდა. უდაბნო ამობურცული მიდამოებით შეიცვალა. მერმე ხრამები, ღელე, ოღრო-ჩოღრო ადგილები, გორაკები მომრავლდნენ, და ბოლოს — მაღალი მთებიც. სამასმესამე ვერსზე უკანასკნელი ეშელონი დარჩა. მატარებელი ზლაზვნით მიდიოდა თბილისისაკენ. თბილისის ირგვლივ აწვდილი მთები კორნელის უცნაურად ეჩვენებოდნენ: თითქო დედამიწაზე პრეისტორიულ

ცხოველთა ჩონჩხები განრთხეულანო. მამადავითი, თითქო იმ ცხოველის კუზი იყო, დაღარული კალთები — ურჩხულის ჩონჩხის ნეკნები. აი კრწანისი, ორთაჭალა, ძველი თბილისი, ნარიყალა. ღრუბლის ცივ დოლბანდში გახვეული მზის მღვრიე თვალი ქედს იქით ჩავიდა და მთაწმინდა სანთლისფრად გაყვითლებულ ცას აეტუზა.

ორთქლმავალმა ძლივს მიიტანა სადგურამდე ვაგონები, და იგი ლიანდაგზე უპატრონოდ მიტოვებულ უამრავ ვაგონებსა და ორთქლმავლების გვერდით გაჩერდა.

სადგურის ბაქანი ცარიელი იყო. სადგურის დარბაზები კი—ჭრელი ხალხით სავსე. მოქალაქენი თუთუნს სწევდნენ, ხმამაღლა ლაპარაკობდნენ შამქორის შესახებ კამათობდნენ.

ქალაქში ეტლი და ტრამვაი არ მუშაობდა. ტრანსპორტი მოშლილი იყო. დათამ და კორნელიმ მუშები დაიჭირეს. უამრავი ბარგი აჰკიდეს და მერმე ყველანი, პლეხანოვის გამზირით, სანაპირო ქუჩისაკენ გაეშურნენ. ამ ქუჩაზე იყო გიმნაზია და ამ გიმნაზიის შენობაში ახალი დირექტორის— დათასათვის გამოყოფილი ბინა. ქალაქში ბნელოდა. ლამპები სქა-იქ ბჟუტავდნენ და ქუჩებში სიჩუმე სუფევდა. კორნელი მუშებს უთვალთვალებდა და შეშფოთებულ დეიდას ამშვიდებდა: ბარგი არ დაიკარგებაო.

გამზირზე, სამხედრო სასწავლებლის ალაყაფის კარებთან, კორნელიმ ჯარისკაცები დაინახა. მთელი გუნდი იდგა. გურულ სიმღერას, კრიმანჭულს ამბობდნენ და ხარხარებდნენ. გურულების სიმკვირცხლე, სიცოცხლის ხალისი და გულმხიარულება, დაუცხრომელი და მჩქეფარე ბუნება, მთელ სამყაროსაც კი გასწვდება, არამცთუ თბილისს. რაღაც უცნაურად ეჩვენა კორნელის შამქორში ნახული საშინელების შერმე დედაქალაქის შუაგულში მოსმენილი მხიარული სიმღერა და თავაწყვეტილი კრიმანჭული, თითქოს ოჩხამურის და საჭამიასერის ტურები მოსულან და მკვდარი, ჩაბნელებული ქალაქის მყუდროებას კივილით არღვევენო. კორნელი განცვიფრებული ფიქრობდა: „დიდება შენს სახელს, ვამჩენო, რა ძველისძველი სიმღერაა გურულების ეს კრიმანჭული, ადამის დროინდელი, როდესაც ჩვენი შორეული წინაპრები, ალბათ, სტალაქტიტურ, თუ ზღვისპირა მღვიმეებში ცხოვ-

ჩობდნენ და ზღაპრულ ცხოველთა ბახილს და ფრინველთა გალობას ჰბაძავდნენ!..“

სასტუმრო „ნოეს“ რესტორანში, სადაც ისე უყვარდა ქეიფი შტაბ-როტმისტრს აფხაზავას, ცხოვრება ჩვეულებისამებრ მიმდინარეობდა. ვიოლონჩელზე დამკვრელი მოხუცი ფრანგი — ბუში და გერმანელი ჰარმონისტი დიკი თავგამოდებით უკრავდნენ მუსიკალურ დომხალს და მოქეიფე ხალხს თავს აწონებდნენ, რომ ბევრი შემკვეთი მოეზიდნათ. როიალზე დამკვრელი გოგონა მადმუაზელ ბუშიც ახალ სატრფოს გაიჩენს, თუ უკვე გაჩენილი არა ჰყავს. ასეა მოწყობილი ეს ქვეყანა: „რა ვარდმან თვისი ყვავილი გაახმოს, დაამჭკნაროსა, იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბალნაროსა“, — ფიქრობდა კორნელი.

2

დათა და ელენე საბელდახელოდ დაბინავდნენ და მერმე კორნელი შინ წავიდა. ღამის თერთმეტი საათი იქნებოდა. ვერის ხიდზე სვეტებზე დაჭიმულ მავთულებში ქარი ჰკიოდა და ზუზუნებდა. ფიქრისგორა, საბურთალო და ბრიგადის ყაზარმები არა ჩანდნენ. ხოლო ხიდთან აქა-იქ მბჟუტავი ფარნები წყალში ისახებოდნენ და ლასლასებდნენ. ვერის ბაღისაკენ ოთხი შეიარაღებული ჯარისკაცი წავიდა. ისინი მალე წყვდიადმა შთანთქა. ვერის ალმართის შემდეგ „შუშის მოედნიდან“, ყორღანოვის ქუჩაზე კორნელი კიბით ავიდა და ქვითკირის ღობესთან შეჩერდა. თუთუნი გააწყო და ჩაბნელებულ ქალაქს გაჰხედა: „რა სიჩუმეა და მყუდროება“,—ვაუკვირდა მას. მაგრამ ეს მოჩვენებითი, ხანმოკლე სიჩუმე იყო. უცბად სადღაც მდინარის იქით თოფის სროლა ატყდა. თითქოს ქუჩაში ბრძოლა გაიმართაო. ძაღლებმა ყეფა ასტეხეს. მერმე ერთბაშად სიჩუმე ჩამოვარდა. მაგრამ უეცრად ისევ ატყდა სროლა. ფურნის წინ რიგში მდგარი ხალხი გაიფანტა. გამოჩნდნენ საყარაულო გუნდის ჯარისკაცები, თოფები მაღლა აწვდეს და იმათაც სროლა ასტეხეს. ისროდნენ ქალაქში მოთარეშე ძარცველები და მცხოვრებლები, რომლებიც თავს იცავდნენ იმათგან. უფრო კი ღამის მშიშარა პატრულები.

კორნელი ყორღანოვის ჭუჩის ყორეს მოშორდა და შინისაკენ გასწია. იგი გრიბოედოვის ჭუჩის აღმართს შეუდგა. ალაყაფის კარებთან ორი ქალი დაინახა. ქალებმა საუბარი შეწყვიტეს და ჯარისკაცს დააცქერდნენ. კორნელიმ მაშინვე იცნო მრეცხავი ქალი მარინე ნატოშვილი. ისინი ერთმანეთს მიესალმნენ. მოხუცმა თავშალი გაისწორა და ჰკითხა:

— სად ყოფილხარ? საიდან მოდიხარ?

— ბაქოდან ჩამოვედი.

— აგერ ახლა იყო ვანო და მითხრა: პეტო ავად გახდა და განჯის საავადმყოფოში მოვათავსეთო. ისეთი ნაღვლიანი სახე ჰქონდა, ვიცი, რაღაც უბედურებაა ჩემს თავზე. ვაითუ პეტოს ტიფი შეეყარა?

— არავითარი ტიფი! — დაამშვიდა კორნელიმ.

— ახლა ყველგან ტიფია მოდებული, შვილო, — მიუგო მარინემ და თავშლის ტოტით ცრემლი მოიწმინდა, კორნელის შეეცოდა და ხელი მოჰხვია.

— წინდაწინ ვაება და თავის ტეხა ვის გაუგონია, — არ მოუწონა მეზობელმა ქალმა მარინეს.

— რა ვიცი, რა ვიცი, არეული დროებაა, — ამოიოხრა მარინემ, მკერდზე ხელები დაიჭდო და თავი ჩაჰკიდა.

კორნელის ენა ჩავარდნოდა. სანუგეშო სიტყვებსაც კი ვერ პოულობდა. დამუნჯებული იდგა და ადგილიდანაც ვერ იძვროდა. უხერხული მდგომარეობა შეიქმნა. ამ დროს დარაბამიხურული სამსართულიანი სახლიდან როიალის ხმა გაისმა, ისეთი შორეული და სამგლოვიარო, თითქო ხმა სამარიდან ამოდისო. ყოველ ასეთ სახლში ქვითინებდა მაშინ სასოწარკვეთილი, სისხლნაკლული და სენტიმენტალური ვერტინსკი:

„თქვენ თითებს ასდის საკმევლის სუნი,
წამწამებში კი კაეშანს სძინავს,
აღარაფერი არა გსურთ ახლა
და არაფერი არ გენანებათ".

— სად უკრავენ? — იკითხა კორნელიმ.

— გენერალ გილევიჩის ბინაზე, — მიუგო მარინემ.

— ჰო, ეს მისი ქალი კლარა მღერის, — თქვა კორნელიმ და მერმე მარინეს ჰკითხა:

— ჩვენები შინ არიან?

— შინ არიან, შვილო, — მიუგო მარინემ... — გულდათუთქულმა დედამ ეზოში შესულ ჯარისკაცს თვალი გააყოლა. ძაღლმა ყეფა ასტეხა.

— როია, — დაუძახა კორნელიმ ესტატე მაყაშვილის პოინტერს. როიამ ყეფა შესწყვიტა. მიჭრილი კუდის რიკი გააქანა, დაიგრიხა და კორნელის შეახტა. მერმე გზა გადაუჭრა და კიბეზე აირბინა, თითქო პატრონს მახლობელი კაცის ჩამოსვლა უნდა შეატყობინოსო.

3

ვანო მახათაძე გაზეთის რედაქციაში შევიდა. იქ თავისი ამხანაგები დაუხვდნენ. ყველანი გარსშემოეხვივნენ და შამქორის ამბებს ეკითხებოდნენ. ეშელონების გაჟლეტა უდიდეს აღშფოთებას იწვევდა მათში.

— ეს ახალი უმსგავსოება, — ამბობდა აღელვებით და აღშფოთებით მახათაძე, — არაფერში არ სწერია. მოკლული და დასახიჩრებულია ათასობით ჯარისკაცი. მათ არა მარტო ხოცავდნენ, არამედ ძარცვავდნენ კიდეც. მენშევიკებმა ხელთ იგდეს თხუთმეტი ათასი შაშხანა, ტყვიამფრქვევები, ზარბაზნები. ჩვენი „ბატონი“ სოციალისტების ერთგულ მოკავშირედ „ბატონი“ რაფიბეგოვის ბრბოები აღმოჩნდნენ.

— ასეთია ლოგიკის ულმობლობა, — სიტყვა გააწყვეტინა ახოვანმა, ბრგე ვაჟკაცმა ალავიძემ ვანოს. — მენშევიკებმა სოციალიზმის ნიღაბი ჩამოიხადეს და ხალხს თავისი კონტრრევოლუციური სახე უჩვენეს. ახლა საჭიროა მათთან ლაპარაკი არა ელენინების ტკბილი ენით, არამედ რკინისა და სისხლის ენით!

— უთუოდ, — ჩაება საუბარში სერგო ქავთარაძე, ოცდაათი წლის ლამაზი შავგვრემანი კაცი, — ამიერკავკასიის კომისარიატი მარტო თურქეთის ჯარების შესაჩერებლად კი არ აგროვებს თოფსა და წამალს, არამედ რევოლუციის, ბოლშევიკების წინააღმდეგ. განა საწყობებში ცოტა იარაღია, ფრონტელ ჯარისკაცებს რომ მისცვივდნენ, ანიარაღებენ და ჰხოცავენ?! ისინი არ მოერიდნენ ასეთ უმსგავსოებას, იმიტომ რომ ჯარისკაცები ჩვენს მხარეზეა. ფრონტიდან

ჩამოსულ ჯარისკაცებს სოფლად ბოლშევიკური იდეები, ანარქიული რევოლუცია შეაქვთ. ნენაშევიკებს კი არა სურთ ბემამულეებს ბიწა ჩაბოარდვან. მათ ურჩევნიათ მათთან მშვიდობის დამყარება. მიწასადაბე — ისინი არ ბოერიდებიან ხალხთან ომს. მუშებისა და გლეხების აღშფოთებას ისინი ანარქიას უწოდებენ. ეს თანამედროვე ჟიროხდისტები საბოლოოდ გადავიდნენ კონტრრევოლუციის მხარეზე.

— ჩემის აზრით, — განაცხადა ვანო მახათაძემ, — სავსებით მომწიფებულია პირობები ამიერკავკასიის კომისარიატის დამხობისათვის. მშრომელი ხალხი და ჯარი ჩვენს მხარეზეა. დაყოვნება, შესაძლოა, მერმისში სავალალოდ შეგვექნეს.

ალავიძე, ქავთარაძე და კოტე გურგენიძე ეთანხმებოდნენ ვანოს. ხოლო პარტიის ძველ წევრებს — ფილიპე მახარაძეს და მალაქია ტოროშელიძეს მიაჩნდათ, რომ ამ პირობებში აჯანყების მოწყობა მიზანშეწონილი არ იქნებოდა. მახარაძემ სკეპტიკურად შეხედა ვანოს და უთხრა:

— უმეცრებით მოწყობილი აჯანყება ყოველთვის ძვირად უჯდებოდა ხალხს. თქვენი გადაწყვეტილება მე მიმაჩნია დანაშაულად, როგორც საღი გოსაზრების, ისე პარტიის ინტერესების თვალსაზრისით. აქედან არაფერი ახალი არ გამოვა, გარდა ახალი გრანდიოზული შამქორისა. დაიცადეთ ცოტა და მასების დაწოლისა, გავლენისა და მოთხოვნის გამო ნოე რამიშვილიც კი იძულებული გახდება იცნოს საბჭოთა ხელისუფლება.

— თქვენს რამიშვილს სძინავს და ეზმანება, თუ როგორ ათავისუფლებენ გერმანელები და თურქები ბოლშევიკებისაგან საქართველოს! — იყვირა მახათაძემ და მუშტი დაჰკრა მაგიდას. — გვეყოფა, რაც ვიცადეთ და გისმინეთ! თბილისის გარნიზონის დელეგატების კრება — რევოლუციური ჯარების ეს ხელმძღვანელი ცენტრი, თქვენის წყალობით და მენშევიკების გულის მოსაგებად დათხოვნილი რომ არ ყოფილიყო, შამქორის სასაკლაო არ გაიმართებოდა. საქმე მაშინ სულ სხვა გზით წავიდოდა. და ჩვენ, უთუოდ, არ ვიკამათებდით იმის შესახებ, საჭიროა თუ არა აჯანყება. თქვენის წყალობით ჩვენ ვერ შევძელით გამოგვეყენებინა გასული წლის ბოლოს ხელსაყრელი რევოლუციური სიტუა-

ცია ძალაუფლების ჩავდებისათვის, ჩვენ დავკარგეთ იარაღის უდიდესი მარაგით სავსე არსენალი, რომელიც ხელთ ჰქონდა ჯარისკაცთა დელეგატების კრებას. თქვენი შემარიგებლობა ჩვენ შამჭორის ფასად დაგვიჯდა. საბჭოთა ხელისუფლება კავკასიაში დაუყოვნებლივ უნდა დამყარდეს. ჩვენი მუშურ-გლეხური ძთავრობა, რუსეთის საბჭოთა ცენტრებთან და სახალხო კომისართა საბჭოსთან მჭიდრო კავშირში, შესძლებს ბოლო მოუღოს ამიერკავკასიის კონტრრევოლუციას.

— ჭაბუკო, — აღელვებით მიუგო მახარაძემ ვანოს, — სამოქალაქო ომთან ზერელედ მისვლა შეუწყნარებელია და ვინც ზერელედ მოეკიდება მას, იგი შამჭოს მიიღებს. ვინ არის ჩვენს შორის მართალი, სანამდვილე მალე დაგვანახებს. თქვენ ჯერ კიდევ დედის ძძე არ შეგშრობიათ ბაგეზე და ჩვენ — ძველ ბოლშევიკებს კი ჰკუას გვასწავლით!

— ეს ძველი ისტორიაა მამა-შვილების შესახებ! კარგად ვიცით ეგ ამბავი! ლენინი კი ნათლად ამბობდა, რომ აჯანყება, რევოლუციური სამოქალაქო ომი, გარკვეულ პირობებში, აუცილებელი უნდა გახდესო. სამოქალაქო ომი ამიერკავკასიაში უკვე დაიწყო შამჭორით და ის მენშევიკებმა დაიწყეს. მათ მიერ იარაღით არსენალის დაჭერის, სოფლებში დამსჯელი რაზმების გაგზავნის. ჩრდილოკავკასიის კონტრრევოლუციასთან აშკარა კავშირის დადების შემდეგ, დროა, ჩვენ—ბოლშევიკებმა, ალმოვფხვრათ ოპორტუნისტული ილუზიები ჩვენს რიგებში, დროა, რევოლუციურ მასებზე და არმიაზე დაყრდნობით დავიწყოთ შეიარაღებული ბრძოლა ხელისუფლების მოპოვებისათვის.

— მე ვეთანხმები ვანოს, — განაცხადა სერგო ქავთარაძემ. — ამიერკავკასიაში შეიქმნა ის პირობები, რომლითაც ლენინი განსაზღვრავდა აჯანყების აუცილებლობას.

— თქვენ კვიწყდებათ საქართველოში შექმნილი თავისებური და რთული მდგომარეობა, — ჯიუტობდა მახარაძე.

— ჩვენ არ უარვყოფთ, რომ მდგომარეობა ჩვანში მართლაც რთულია, — მიუგო ქავთარაძემ მისთვის ჩვეული სიმშვიდით, — მაგრამ მდგომარეობა ახლა განისაზღვრება, უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ ჩრდილოეთიდან კონტრრევოლუციური ძალები მზად არიან თავს დაეცეს, და-

სავლეთით და სამხრეთით კი — მათი მოკავშირენი, უცხოელი ინტერვენტები. მენშევიკები ემხრობიან ერთსაც და მეორესაც. მხოლოდ აღმოსავლეთით, ბაქოში და მის მახლობელ ოლქებშია დამყარებული საბჭოთა ხელისუფლება. ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ ბაქოელებთან მჭიდრო კავშირში.

— რა კავშირზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც ბაქომდე ჩვენს შორის მუსავატური განჯაა გაჩხერილი.

— ნუთუ თქვენ მუსავატელები ჩვენს მენშევიკებზე ძლიერი გგონიათ? აშკარაა, რომ ყველა თქვენი მოსაზრებანი სიფრთხილით განისაზღვრებიან. ეს ქაღალდის ფარია, რომელიც ოპორტუნისტულ მშიშარობას სჭირდება. ცუდი პოზიციაა!

ვანო სტამბის გვერდით ოთახში შევიდა, სადაც ბოლშევიკური კომიტეტი იყო მოთავსებული და, მაზარის გაუხდელად, მოწინავე სტატიის წერა დაიწყო. მაზარის საყელო მის გამხდარ კისერს მიებჯინა. კომშის წნელივით დაგრეხილი ძარღვი ისევ დაეძაბა და გამალებით უძგერდა. ვანოს კალამი დიდი სიჩქარით დაჰქროდა ქაღალდზე და ამიერკავკასიის კომისარიატს შამქორში მომხდარი სისხლის ღვრის გამო სამარცხვინო ბოძზე აკრავდა. შამქორის ტრაგედიის მომწყობად იგი მენშევიკების ბელადებს ასახელებდა და უტყუარი საბუთიც მოჰქონდა: შტაბ-როტმისტრის გულჯიბეში ნაპოვნი ბრძანება. ასე გაიხსნა ჰეშმარიტება შამქორის ამბებისა. წერილის დამთავრების მერმე, ვანომ წინადადება წამოაყენა, შამქორში დაღუპული პეტო ნატოშვილის დედისათვის დახმარება აღმოეჩინათ. ეს წინადადება ერთხმად იქნა მიღებული.

4

მეორე დღეს, კრუგლოვის წერილით და რედაქციაში შეკროვილი ფულით ვანო მარინეს სანახავად წავიდა. იგი პასტერის ქუჩით ბორანისაკენ მიდიოდა. იანვრის ცივი ქარი უბერავდა. ვერის ბაღში ჩამწკრივებული ალვის ხეები ქანაობდნენ. წამიერ მომწყდარი ყვავები კვლავ ხის კენწეროებზე სხდებოდნენ. მტკვრის ნაპირას ბორანი ტორტმანებდა. სანაპირო ბაღის იქით, მთის კალთაზე ღარიბთა ქო-

ხები ჩარაზმულიყვნენ. მრეცხავ ქალებს ღობეზე და თოკებზე თეთრეული გაეფინათ. სარის წვერზე ბავშვის წითელი პერანგი დროშასავით ფრიალებდა. ვანოს მარინე და პეტო მოაგონდა. ნაღველი შემოაწვა და ირგვლივ აღმართულ მოღრუბლულ მთებს გაჰხედა. გაშლილ ღრუბლებს ქარი მიერეკებოდა. ღრუბლები იშლებოდნენ, კვლავ იკუმშებოდნენ, ათასგვარ სახეს იღებდნენ და ბოლოს თმაგაშლილი ქალივით მიჰქროდნენ. ვანოს კივილიც კი შემოესმა, თითქოს ქოხში ბავშვი გარდაიცვალა და დედამ შეიცხადაო. მაზარის საყელო აიწია. ბორანი ნაპირს მოშორდა და ნელა დაიწყო მდინარის გადაჭრა. ვანო ბორნიდან ჩამოვიდა. აღმართი აირა და ოლღას ქუჩისაკენ გასწია. ცუდი ამბავი უნდა მიეტანა პეტოს დედისათვის.

წუხელ ძილი არ გაჰკარებია მარინეს. ღამით ქარი აწვალებდა და აჭრიალებდა ალაყაფის კარებს. დედა კი ფიქრობდა: საცაა პეტოს მეგობარი შემოვა და შვილის სიკვდილის ამბავს მომიტანსო. მოხუცს სახე დაეღრიჯა, სახის კუნთები მოეშალა, ყბა ჩამოუვარდა და ტირილი მორთო. მაჭლებმა მესამედ იყივლეს. შუაღამე გადავიდა. ცაში ნათელი ჩადგა და რიჟრაჟმაც მოატანა. მარინემ ჩაიცვა. რკინია ღუმელში ცეცხლი შეანთო და იქვე, დაბალ სკამზე ჩამოჯდა. კუზიანი დედაბერივით მოიღუნა. გამხდარ მუხლებზე ხასხრებში დასივებული და ქარებისგან დაკრუნჩხული ხელები დაიწყო. ვაებისაგან ნელინელ ირხეოდა, თითქოს ახალშობილის აკვანს მისჯდომია, მამლის ყივილს ისმენს და დაჰღიღინებსო: „გათენდი, თუ გათენდები, მზევ, შინ შემიდიო“. ღუმელის კარებს დამუნჯებული მისჩერებოდა. იატაკზე გობი, ტაშტი, კასრი და სარწყულე იდგა. კუთხეში უკბრავი სარეცხი ეწყო. განა მარინეს მისთვის სცხელოდა ახლა? შრომისაგან დაკოჟრებული, ცხელ წყალში მოხარშული ხელები ისევ უღონოდ დასცვენოდნენ მუხლის თავებზე. ბოლითა და ორთქლით ამომწვარი, მარდი და თეთრი თვალები გაშტერებოდნენ. ნეტავ რას ხედავდნენ ისინი ანთებული ღუმელის კარების ჭუჭრუტანებში?! მარინეს პეტოს ბავშვობა აგონდებოდა. ჯერ კიდევ უთენია ააყენებდა პატარას, ჩააცმევდა, პირს დაბანდა, მერმე დავარცხნიდა, მუხლზე დაისვამდა, რძეში პურს ჩაუბუჟბუჟებდა და შო-

შიასაცით გაღებულ პირში კოვზით ატენიდა. ცუდ ამინდში ბავშვს თავხე შალს მოახვევდა, პატარა ტანს შიგ მაგრად გაუკოავდა, ტოტებს უკან გაუნასკვავდა და ბეღურას კუდსავით დაჰკიდებდა. ტკბორაასავით მუცელგაბერილი ბავშვი მთელი დღე ეზოში დაცანცალებდა. „პეტო, ხელი არ ახლო. პეტო, აქ მოდი. პეტო, გცემ“, — ისმოდა ეზოში გაჩაღებულ კოცონთან სარეცხით გართულ მარინეს ძახილი. პეტო წამოიჩიტა, წამოიზარდა. დედამ სკოლაში მიაბარა. მერმე პეტომ სამხედრო სკოლა დაამთავრა... და, აი, ვაით და ვუით აღზრდილი ვაჟკაცი, ერთადერთი იმედი და ნუგეში უნდა დაჰკარგოდა ახლა ქვრივს, ობერსა და გაჭირვებულ ქალს.

კარებზე ვიღაცამ დააკაკუნა. მარინეს ენა ჩაუვარდა. ძლივს დაიძახა:

— ვინა ხართ? მობრძანდით!

მარინემ უმალ ვერ იცნო სტუმარი. ადგა, თავშალი და ჭაღარა თმა შეისწორა. სტუმარს სახეზე დააცქერდა. იცნო, ვაფითრებულ ჭაბუკს მიესალმა და ჰკითხა:

— რა ამბავია, შვილო, ასე ადრე რომ მესტუმრე?

— მარინე, ხომ იცით, მე და პეტო ამხანაგები ვართ... მე და პეტო ხალხის საქმეს ვემსახურებით... მე და პეტო შამქორის ბრძოლაში... — ვანო უნერწყვო ხახაში ენას ვეღარ აბრუნებდა.

დედა ყველაფერს მიხვდა, მაგრამ თავი დაიჭირა, სახის კუნთები გაუქვავდა, თვალები განაბა და მშვიდად უთხრა:

— თქვი, რა მოუვიდა პეტოს? ნუ დამიმალავ, დედა ვარ და უნდა ვიცოდე. მე ვიცი, ჩემი შვილი ხალხის მჩაგვრელების წინააღმდეგ იბრძოდა...

ვანოს იმედი მიეცა, დედა მხნედ შეხვდება შვილის დაღუპვის ამბავსო. ვერ მიხვდა, თუ რა დიდი მღელვარების დამორჩილების ფასად იყო მოპოვებული დედის ეგ მოჩვენებითი სიმშვიდე და ყველაფერი უამბო.

მარინე, სადაც იდგა, იქვე ჩაიკეცა. ვანო მივარდა, მაგრამ წელმოწყვეტილი ქალი ფეხზე ვერ დააყენა. მარინეს კრიჭა შეჰკვროდა. მიცვალებულივით გაფითრებულიყო. ჭაღარა თავი უღონოდ და უმწეოდ გადავარდნოდა ვანოს მკლავზე. ვანომ დალეული დედაბერი წაიღო და საწოლზე დააწვინა. ღილები შეუხსნა და წყალი ასხურა, მაგრამ ვერ

მოაბრუნა. შეშინდა და მეზობლებს შეატყობინა. მოვიდნენ, მოასულიერეს, მიუსამძიმრეს, ანუგეშეს და მერმე წავიდნენ. მეეზოვის ცოლი, რეჰანი, აივანზე. მარინეს ოთახის კარებთან იდგა და მეზობლებს შესტიროდა: ერთადერთი საფიცარი შვილი მოუკლეს და ახლა რა ეშველება ამ უბედურსო?! მაშინვე ზედიზედ, ყრუ დაჯახების ხმა გაისმა და მერმე იატაკზე რაღაც მძიმე საგანი დაეცა. რეჰანი ოთახში შევარდა. მარინე ამდგარიყო, საწოლზე ღეები აეწია და დაკუთხულ რკინის ღერძზე მთელის ძალით თავი სამჯერ დაეჯახებინა. რეჰანმა მკლავები მოხვია, იყვირა და მეზობლები შეჰყარა.

მარინე საშინელი სანახავი იყო. შუბლი, ცხვირი და ყბა ფაიტეხნა. ნაგვემი ადგილი უშალვე შეშუპებოდა. სისხლი კანქვეშ თვალის უპეებში და ღაწვებში ჩალვროდა და კუპრივით ჩაძდგომოდა.

მრეცხავი ქალის — მარინე ნატოშვილის გლოვას არ შეუფერხებია ესტატე მაყაშვილის მზადება ნინოობისათვის.

ნინოობა

> მე საკმაოდ ვიცნობ ადამიანებს და ვიცი, რომ ჩემთვის უბრალოდ იქნებოდა, თავი შემეკავებინა და არ დამეწერა ეს წიგნი. მაშინ უფრო ნაკლებ მტრებს შევიძენდი.
>
> შანფლერი

1

დღეს თბილისს მეტი გამოცოცხლება დასტყობოდა. დანა-ჩანგლების და თეფშების ჩხრიალი, ჭიქების წკარუნი და ძრავალჟამიერი ისმოდა. ნინოობა იყო.

ნათესავები, მეგობრები და ნაცნობები დილიდანვე ულოცავდნენ ესტატე მაყაშვილის ქალს, ნინოს, სახელობის დღეს, ღამრავ საჩუქარს უგზავნიდნენ.

ცნობილი ვექილი და საზოგადო მოღვაწე — თავადი ესტატე მაყაშვილი სტუმართმოყვარე, დარბაისელი, მოქეიფე და განთქმული თამადა იყო. მაშ, რა ქართველი და რაღა კა-

ზელი თავადი იქნებოდა, ქეიფი და კახური ღვინო რომ არ ჰყვარებოდა? აკი, ჩვენმა დიდმა ილიამაც თავის ლუარსაბ თათქარიძეს კახეთისა და კახური ღვინისადმი მიმართული ხოტბა ათქმევინა: „ვენაცვალე კახეთს! ეგ რომ არ. ყოფილიყო, არც კახური იქნებოდა. მაშინ მე რაღა კაცი ვიქნებოდიო?“ ესტატეს არა მარტო კახეთი, კახური ღვინო და ქეიფი უყვარდა, არამედ სამართლისმეტყველება, პოლიტიკა და ესთეტიკაც. ხელოვნების დარგში მომუშავეთ მფარველობდა. მას მეცენატს ეძახდნენ.

ესტატეს ბინა სტუმრებით იყო სავსე.

მასპინძლის კაბინეტში საუბარი შამქორის ამბების გარშემო ტრიალებდა. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს წევრი — პეტრე ქარცივაძე ნეტარის გულუბრყვილობით იძიებდა:

— ნეტავ ვინ გასცა განკარგულება შტაბ-როტმისტრის აფხაზავას და მისი ჯავშნიანი მატარებლის აზერბაიჯანში გაგზავნის შესახებ?

სენატორი ვახეკიც ამასვე გაიძახოდა:

— ვისგან მიიღო ბრძანება პოლკოვნიკმა მაღალოვმა? მაღალოვი დამოუკიდებლად თუ მოქმედებდა, მაშინ აღძრულ უნდა იქნას მისი პასუხისგებაში მიცემის საკითხი.

მეორე საარტილერიო ბრიგადის უფროსი, გენერალი ჩიჯავაძე, კარგად იცნობდა საქმის ვითარებას და მთავარსარდლის გენერალ ლებედინსკის, მთავარი შტაბის ოფიცრების— დრაცენკოს და გოტოვცევის მსგავსად იწუნებდა ეშელონების განიარაღებისათვის შედგენილ გეგმას და შამქორში ჩატარებულ საომარ ოპერაციას. ჩიჯავაძის აზრით, განიარაღება მთის ვიწროებში — ხეობაში უნდა მომხდარიყო და არა აზერბაიჯანის გაშლილ ველზე, სადაც ეშელონებს ყველა თავისი ძალების გაშლისა და ფართო გამოყენების საშუალება მიეცათ. ის კი, ვისი განკარგულებისა და ბრძანების თანახმადაც აფხაზავა-მაღალოვის და რაფიბეგოვის რაზმებმა ეშელონებს ზურგში მახვილი ჩასცეს, თავს იმართლებდა, ბრალი ქართული კორპუსის უფროსზე — ახმეტელაშვილზე გადაჰქონდა და ასე იბანდა, პილატესაებრ, სისხლში შესვრილ ხელს.

ვარდომ სტუმრები ჩაიზე მიიწვია. მარმარილოსავით

ათლილ მის ყელს, მკერდსა და ნკლავებს, შავი ხავერდის კაბა დამაბრმავებელ სითეთრეს მატებდა. მიუხედავად იმისა, რომ ვარდო თითქმის ორმოც წელს მიღწეული ქალი იყო და მის სახეს და სხეულს ოდნავი სიმსუქნე შეჰპარვოდა, იგი ჰაინც ახალგაზრდა ქალის შთაბეჭდილებას სტოვებდა. ნინო მისი უმცროსი და უფრო ეგონებოდა კაცს, ვიდრე შვილი. ვარდო ლამაზი ქალი იყო. გიშრისფერსა და ხუჭუჭ თმაში არც ერთი თეთრი ღერი არ ერია, დიდრონ და შავ თვალებში შუქი უციმციმებდა. მის პირის კანს ნაოჭი არ შეჰხებია. ეტყობოდა ამ დარბაისელი ქალის ცხოვრება მუდამ მდიდრული, სიუხვითა და სიტკბოებით სავსე იყო, ისე როგორც ნაირ-ნაირი ნამცხვრებითა და ტკბილეულით სავსე მისი სუფრა. გენერალი ჩიჯავაძე ტკბილად ნაბავდა თვალებს და ვარდოს ქათინაურებით უმასპინძლდებოდა.

მაგრამ სტუმართა ყურადღებას დღეს, უპთავრესად, ვარდო კი არა, არამედ მისი ქალი — ნინო იპყრობდა. ნინო იმჟამად გიმნაზიას ამთავრებდა და მრავალ ჭაბუკს და არაჭაბუკსაც მისკენ ეჭირა თვალი. დღეს მაყაშვილთა ქალს, სრულასაკოვანი ქალისთვის შესაფერი ტანისამოსი ჩაეცვა. მუქწაბლისფერი აბრეშუმის გულამოჭრილი კაბა ასულის მოღერებულ ყელს, წარმტაც მკერდს, მშვენიერ მხრებსა და ბეჭებს აჩენდა. ალბათ, ამიტომაც არ აშორებდა თვალს სილამაზისა და მშვენიერების მოტრფიალე პლატონ მოველაშე, რომელსაც მისი მეგობრები „დიდ ესთეტიკოსს“ უწოდებდნენ. ესთეტიკოსს თვალები უცნაურად ანთებოდა ცხვირის ნესტოები უთამაშებდა, პოკუმულ ბაგეებს „ბრძენი დიონისეს“ დაკეცული ღიმილი არ შორდებოდა. „ბრძენი დიონისე ესთეტიკოსი“ ფიქრობდა: „ესტატე მაყაშვილის ქალი მზეთუნახავი ყოფილა. მე კი ჯერ კიდევ ბავშვი მეგონა და მის დას — ელოს ველაციცებოდი. ამიერიდან ნინო უნდა ამოვიღო ნიშანში. ესტატე ჩემი მეგობარია, ჩემი თაყვანისმცემელი და ქალს არ დამიკავებს. მაგრამ, როგორც ვიცი, მგონი, კორნელის და ნინოს უნდა უყვარდეთ ერთმანეთი. მერმე რა?“

პლატონი ნინოს მიუჯდა. „დიონისე ესთეტიკოსი, ენამზე პოეტი“ ამეტყველდა:

— თქვენი მშვენება დღეს მაბრმავებს, ტურფა ასუ-

ლო! სურნელება თქვენი ტანისა არის ისეთი, ვით შვლის ნუკრის, ან გაზაფხულზე მინდვრის ყვავილთა.

კორნელიმ, ყური მოჰკრა ამ სიტყვებს და მეტოქეს ბრაზით გადახედა. ნინომ შენიშნა. გაწითლდა, მაგრამ თავი დარცხვენით არ ჩაუკიდია. სიამოვნებდა ენამზე კაცის ქათინაური: ენამზე კაცი კი განაგრძობდა:

— ბუნებამ სრული სილამაზე ქალს მიანიჭა. ამიტომ ვამბობთ ქალი— საროო, ქალი — ლერწამი, ლოტოსი, გედი, ანგელოსი, ქალი მზე, მთვარე... გახსოვთ ძველი ეგვიპტელნი და ჰელენელნი? მათი ძეგლები: ქანდაკება, ბარელიეფი. მათი განჭვრეტა, მარმარჩვაში გამოკვეთილი: ჯაცთა, ცხოველთა, მცენარეთა ღრმა შერწყმა? იქ თუ მისწვდებით და გაიგებთ, რაა ღმერთ-კაცი, ანუ ქალ-ღმერთი, ღვთიური ხელით გაორებული: თხაფეხა ღმერთი დიონისე და პახიფაი.

ნინო სულგანაბული უსმენდა ახლა თავისავე სიტყვებით შოჯადოებულ და ლაპარაკის ეშხში შესულ პლატონს. იმას კი ვერ ვიტყვით, რაიმე აზრი თუ გამოჰქონდა ქალს „ენამზე“ კაცის თქმულისაგან. კორნელის შური სტანჯავდა, რადგან პლატონის მსგავსი განსწავლული, ლამაზი და ქარაგმული ქართული არ ეხერხებოდა. პლატონი კი ისევ აჯადოებდა ნინოს, საუბარში ითრევდა და აცინებდა. ნინოს სიცილი გულზე ეკალივით ერჭობოდა კორნელის. სამაგიეროდ, ესტატე და ვარდო მათ ქალთან მობაასე „დიდ ესთეტიკოსს“ და პოეტს, „დიდ მამულიშვილს“ და ენამზე პლატონს სიამოვნებით მიშტერებოდნენ. სენატორის მეუღლემ — მელანია ვახეკმა, მოცისფრო ჟუჟუნა თვალებზე ლორნეტი აიფარა, პლატონს დააცქერდა და ვარდოს წასჩურჩულა:

— პლატონ მოგველაძე ევროპელსა ჰგავს. ნიჭიერი და კულტურული კაცია. პლატონი და ნინო ერთმანეთს მეტად შეეფერებიან.

— რასა ბრძანებთ, — მიუგო ღიმილით ვარდომ, —პლატონი ორმოცი წლისა იქნება, ნინო შვილად წეჰფერის.

— ეხ, ჩემო კარგო, — შენიშნა მელანიამ, — ორმოცი წლის კაცი გირჩევნოდეთ თავქარიან ჭაბუკს, — ეტყობოდა მწარე გამოცდილებას მიეყვანა იგი ამ დასკვნამდე. მისი პირველი ქმარი ჭაბუკი იყო, ქეიფისა და ფულის ფლანგვის მოყვარული. მელანია გაეყარა მას და მასზე ბევრად ხნიერ

სენატორს — ვანეკს მისთხოვდა. შვილები: ვალია, კლარა და სტანისლავი პირველი ქმრის ხელში შესძენოდა. მელანიამ ისევ გაიკეთა ლორნეტი და პლატონს მუშტრის თვალით დააცქერდა. მის პატარა ხელის თითებზე წამოგებულმა ბეჭდების თვალმარგალიტებმა გაიელვეს.

ვარდოც პლატონსა და ნინოს დააცქერდა. სახეზე ღიმილმა გადაურბინა. მერმე კორნელის ნაღვლიანად გადახედა. კორნელი გაწითლდა და თავი ჩაჰკიდა. „ვარდომ და მელანიამ მე და პლატონი სასწორზე შეგვაგდეს, ცხადია: პლატონი ამჯობინეს. ამ ბრწყინვალე დარბაზში საზიზღარი ვაჭრობა არის - გამართული და მას, ჩემს გარდა, ვერავინ ხედავს“, — ფიქრობდა კორნელი. სისხლი აემღვრა, მოულოდნელად წამოიჭრა, ხმალი მარცხენა ხელით ასწია და დარბაზიდან ჩქარი ნაბიჯით გავიდა. კორნელის საქციელი ნინოს ფრიად გაუკვირდა. ვარდომ კი გაიფიქრა: „ნამდვილად ჩემი ქალი უყვარს. ერთი უცქირეთ, როგორ ეჭვიანობს და ღელავს, თავის ქერქში ვერ ეტევა. ეს რა გააკეთა, რა ქნა. ხედავ: თავს როგორ გაუვიდა!“. — მაგრამ კორნელის დეიდას ელენეს მიუბრუნდა და მისი დისწულის ქებას მოჰყვა.

2

სტუმრებმა დიასახლისს მადლობა გადაუხადეს და ჩაის მერმე საზეიმო დღისთვის მდიდრულად მოკაზმულ და ძვირფასი სამკაულებით მორთული ქალები დარბაზში გამოეფინენ. ახლა, პლატონის გარდა, ნინოს პოეტი რაფაელ ახვლედიანი, მომღერალი ვანო სარაჯიშვილი და სხვანი თავს დასტრიალებდნენ და როიალზე დაკვრას სთხოვდნენ. ვანო სარაჯიშვილის ტენორი მაღალი ღირსებისა იყო. ვანო წინათ რუსეთის მთავარ ქალაქებში მღეროდა. იქ წარმატებით ჩატარებული გასტროლების მერმე ხმის გასაუმჯობესებლად იტალიაში გაემგზავრა. იტალიიდან დაბრუნების მერმე იყო ასე რომ ხიბლავდა იგი თავისი Bel-canto-თი საზოგადოებას. „საქართველოს ბულბულიც“ იმიტომ შეარქვეს. სახელგანთქმული მსახიობი იმჟამად თბილისის საოპერო თეატრში მღეროდა. ნინო ჩინებულად უკრავდა როიალზე. რობერტ შუმანის „ფანტაზია“ C-dur-ი შეარჩია. ნოტების გადაფურ-

ცვლა კორნელის მუდმივი მოვალეობა იყო. ნინოს მაშინვე შოაგონდა კორნელის მიერ დარბაზიდან მოულოდნელი გასვლა. ახლავეო, დაიძახა და კორნელის საძებნელად წავიდა.

კორნელი ოთახში აღელვებული იჯდა. ცალი ფეხის დეზს აჟღარუნებდა და კედელზე ნინოს სურათს მიშტერებოდა. მისი თვალები სევდით აღვსილიყვნენ. ნინოსადმი მიმართული პლატონის სიტყვები აგონდებოდა. კორნელი ეუხთო: „სწორედ ასეთივე სიტყვებით მივმართე მე ნინოს, როდესაც პირველად ერთმანეთს ხვაშიადი გავუმჟღავნეთ. ახლა ამ სიტყვებს პატივი აეყარა, რადგან ისინი პლატონს თავის გასართობად დასჭირდნენ და არა ჭეშმარიტი გრძნობის გამოსახატავად. პლატონს ნინო არ უყვარს. მას სიყვარული არ შეუძლია. მას ნინო მოსწონს მხოლოდ. მოსწონს ისე, როგორც სხვა მრავალი ლამაზი ქალი. ის ლამაზი ლათაიები რამდენი ქალისთვის უთქვამს, ალბათ, პლატონს, ვინ მოსთვლის?! სწორედ ამიტომ ეუბნებოდა ნინოს, გაზეპირებული ლექსივით, იმ ტირადას. განა გულს ატანდა?“

ნინომ ოთახის კარი შეაღო:

— აქ რას უზიხართ, რა მოგივიდათ?

— თავი მტკივა.

— ტყუილია. ამაოდ მიბრაზდებით. წამოდით. რა დროს გაბუტვაა?!

— უჩემოდაც კარგად მოგალხენთ მოგველაძე, უსმინეთ მის ყალბ დითირამბებს.

— ღმერთო ჩემო, არა გრცხვენიათ? რა დროს ეგ არის?. დღეს ჩემი დღეობაა, — შესჩივლა ნინომ და კორნელის მხარზე ხელი დაადო. კორნელი შემობრუნდა. კაეშნიანი, მიმზიდველი თვალები მუდარით დასცქეროდნენ, და არა მარტო თვალები, ყველაფერი მომხიბლავი იყო ახლა ამ ქალისა. კორნელი დაცხრა. ნინოს ეშხით მოიხიბლა. უმალვე წამოდგა. ნინო შეეხვეწა:

— წავიდეთ. როიალზე დაკვრა მბსოვეს, მელოდებიან,— კორნელის ხელი ჩასჭიდა და წაიყვანა. მხრებზე კაშმიის ჭრელი შალი მოეხურა.

საამური ხმების მოლოდინში, ვანო სარაჯიშვილი ფიმილით მისწოლოდა სავარძლის ზურგს და შავი მგზნებარე თვალები გაენაბა.

პლატონ მოგველაძეს ცუდი სმენა ჰქონდა, მაგრამ მაინც მუსიკის მცოდნე კაცად მოჰქონდა თავი. „ფილოსოფიისა და პოეზიის ნაცვლად მუსიკისათვის რომ მომეკიდნა ხელი, ახლა უდიდესი კომპოზიტორი ვიქნებოდიო“, — ეუბნებოდა იგი მიამიტ ნაცნობებს, რომელთაც აზრადაც არ მოსვლიათ მისი მუსიკალური ნიჭის გამოცდა. ერთხელ, და ისიც სიმთვრალის ჟამს, გასცა საკუთარი თავი.

პლატონს პოეტად, დიდ ფილოსოფოსად, ბელეტრისტად და ჟურნალისტად მოჰქონდა თავი და ბევრსაც წერდა. იგი ბუხატვრობის ცოდნასაც იჩემებდა. მხატვართა სურათების გამოფენის გამო, ჟურნალში მოთავსებულ წერილებში რამდენ დამოუკიდებელ მოსაზრებებსაც იტყოდა, იმდენ შეცდომას უშვებდა, ეჭვმიუტანელი ნიჭის მქონე მხატვართა სურათები დაწუნებული აღმოჩნდნენ, ხოლო უნიჭოთა კი — გენიოსური. ასეთი შეცდომა იმ გარემოებიდან გამომდინარეობდა, რომ პლატონს არ ჰქონდა საკუთარი თვალსაზრისი, მსოფლმხედველობა და გემოვნება, ხოლო ხელოვნების დარგში მომუშავეს, ამის გარეშე, ვერც დიდი ნაკითხობა და ვერც დიდი მწიგნობრობა უშველის, რაიც, ღვთის წინაშე, პლატონს არ აკლდა. არ აკლდა მას სხვისი აზრის, სხვისი თქმისა და შეხედულების თავისად გასაღება და ისეთი რიხით, ბაქიაობითა და არტისტული პოზით, რომ წიგნში ჩახედულ კაცსაც კი თავგზას აუბნევდა. ეტყობოდა, ამ კაცის ყალბი ბაქიბუქი დიდხანს გასტანდა ჩვენში, სანამ მას მსახიობის ყალბ ნიღაბს არ ჩამოხდიდნენ. ახლა კი ესტატე მაყაშვილის დარბაზში მყოფი საზოგადოების თვითეული წევრი მას შესცქეროდა, როგორც ბრძენს, დიდ ესთეტიკოსს. იგი მკაცრი და მრავალტანჯული კაცის სახით იჯდა სავარძელში. მრავალთათვის იგი უჩვეულო ადამიანი და, უპირველეს ყოვლისა, თვით პლატონის აზრით, „ზეკაცი“ იყო. მსახიობის ნიღაბი, არტისტიზმი, ეგოცენტრიზმი და განდიდების მანია მას ორგანულ თვისებად გადაქცეოდა. და იჯდა ახლა ეს გულზვიადი, მედიდური და მარტისული კაცი ბრძენთა მრავალტანჯული ღმერთის დიონისეს მსგავსად დახატული. ბრიოლინით ალაპლაპებული, ინგლისურად გვერდზე გაყოფილი თმა კეფიდან წამოეღო, დეკადენტი ფრანგი პოეტის ბოდლერის მსგავსად მელოტ დაკუთხულ კვინიხზე პა-

რიკივით დაეწებებინა და შუბლის ძვალი ხელოვნურად გაეფართოვებინა. დაჭიმულ თითებს დროდადრო ყურის ძირში ელეგანტურად მიიდებდა და მოშვებულ პარიკს ქალაზე მიიჭერდა. თეთრი ჰალსტუხი გაეკეთებინა. მისივე გრძნობა-სულივით ჯულმოდგინედ დაუთოვებული ფრაკი და შარვალი ჩაეცვა. თითქო ტანსაცმლის მაღაზიის მანეკენმა ლაქის ფეხსაცმელს ქუსლით ვიტრინა გატეხა, გამზირი გაირბინა და ესტატე მაყაშვილის დარბაზის სავარძელში ჩასკუპდაო.

3

კორნელი და ნინო დარბაზში როიალთან მიეიდნენ. პლატონმა ქალს თვალი გააყოლა და გაიფიქრა: „ჯარა, ეს ქალი უთუოდ ჩემი უნდა იყოს. ვერსად წამივა. თუნდ ანაზღაურად გამექცეს, ველად გაიჭრეს და ვაკხებსავით მალემსრბოლი ფეხებით ქარი დააყენოს“.

ნინო როიალთან დაჯდა. დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. გრძელმა და თლილმა თითებმა კლავიშებზე გაიჯირითეს და დარბაზი შუმანის „ფანტაზიის“ წარმტაცი ჰანგებით აღივსო. სარაჯიშვილმა თვალები დახუჭა და ისე უსმენდა. მერმე დიდრონი, შავი და მგზნებარე თვალები გაახილა და ნინოს მოწონებით შეხედა.

პლატონი სრულიად ვეღარ სწვდებოდა ახლა, თუ რა შინაარსს და განცდას შეიცავდნენ შუმანის „ფანტაზიის“ ჰანგები. მაგრამ რაც უფრო ვერ წვდებოდა მათ, მით უფრო დინჯი და ბრძენი კაცის სახეს ღებულობდა. სახის კუნთებს კუმშავდა, ანთებულ თვალებს ჭერისკენ აღაპყრობდა, თითქოს ამბობდა: შეხედეთ, მუსიკამ როგორ დამატკბო და ზეხაარ სამყოფს გადამასახლაო. ბოლოს ამ ყალბი ქცევით, სახის კუნთების ჭინთვა-დაძაბვით დაიღალა და მალე ჰანგებთან კავშირი სრულიად გასწყვიტა. გაუქმებული ყურის ნაცვლად თვალიღა შერჩა, რომელიც მხოლოდ კლავიშებზე მარბენალ ნინოს თითებს და დაკვრის ტექნიკურ მხარეს ხედავდა. ფიქრობდა: „რა ეშმაკად სჭირია, ან რად გამოადგება ადამიანს ბეთჰოვენის, მოცარტის, შუმანის, ჩაიკოვსკისა

და სხვათა ნუსიკა. ასეთი ტახყვა-წვალებით მიღწეული ტექნიკა?“

ნინომ შუმანის „ფანტაზიის“ პირველი ნაწილი „ნანგრევები“ დაამთავრა და მეორეზე „ტრიუმფალურ თაღზე“ გადავიდა. წინ სველაზე რთული მესამე ნაწილი ელოდა— „გვირგვინი ვარსკვლავისა“.

რობერტ შუმანის შედევრი „ფანტაზია“ C-dur-ი ახალ რომანტიკულ დიდ მუსიკალურ ფორმის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს. მას შლეგელის შემდეგი ეპიგრაფი აქვს წამძღვარებული:

მიწიერ ხმათა ნაირფერად მოზღვავებაში
გამოირჩევა იდუმალი, ჩუმი რამ ტონი,
მხოლოდ მახვილი ყურისათვის ხელმისაწვდომი.

როდესაც შუმანი ამას წერდა, რასაკვირველია, პლატონ მოგველაძის ყურს არ გულისხმობდა, არამედ თავის სატრფოსა და ცოლის — მუსიკოსი ქალის — კლარას ყურს, რომელსაც „ფანტაზიის“ მუსიკალურ სახეებში ჩაქსოვილი ის „იდუმალი“ და ჩუმი ტონი უნდა გაეგონა. იმ ვარიირებული „იდუმალი“ ტონით გამსჭვალულია „ფანტაზიის“ ყველა ნაწილი. იგი ხან საშუალო ხმებშია ჩამალული და ხან კიდევ „ზედაპირზე“ ამოტივტივებული.

„ფანტაზიაში“ მეცხრამეტე საუკუნის გაორებული, რომანტიკული პიროვნების ღრმა და ფაქიზი განცდებია ჩაქსოვილი. „ფანტაზიის“ ღრმა ფილოსოფიური იდეა არანაკლებ ღრმა ლირიკულ ნაკადთან არის შერწყმული.

შუმანმა „ფანტაზიაში“ მთელი თავისი ტრაგიკული სული ჩაატია და იმ რთული კონცეფციისა და კომპოზიციის მჭონე მუსიკალური ნაწარმოების გაგება, ჩაწვდენა და ინტერპრეტაცია, არც ახალგაზრდა დამკვრელ ნინოსათვის და არც იმჟამად დარბაზში მყოფ მსმენელთათვის, თვით სახელგანთქმული მომღერლის — სარაჯიშვილისათვის ადვილი არ იყო, მით უფრო მუსიკალურ სმენას სრულიად მოკლებულ პლატონ მოგველაძისათვის. მიუხედავად ამისა, როდესაც ნინომ დაკვრა დაასრულა და დარბაზში ტაშმა იგრიალა, პლატონი თოფნაკრავივით წამოიჭრა, ნინოს მივარდა, ხელზე აკოცა, მადლობა შესწირა და შესძახა:

... რა ყოფილა ეს ქალი! თქვენ ნამდვილი შემოქმედი ბრძანდებით! მთელი ევროპა მომივლია, ბევრი მსოფლიო ვირტუოზისათვის მომისმენია, მაგრამ ასეთი თავისებური და განუმეორებელი გაგება და ინტერპრეტაცია შუმანის „ფანტაზიისა“ მათ არ ჰქონიათ. თქვენი უპირატესობა თქვენს ინტუიციასა და შთაგონებას უნდა მიეწეროს. მე ვამტკიცებ: „თქვენი ინტერპრეტაცია თქვენს მიერ განმეორებული შემოქმედებითი სინთეზით აიხსნება! — ხმამაღლა ამბობდა მოგველაძე და ნინოს მშობლები სიამოვნების გამო შაქარივით დნებოდნენ. მოხუცმა ანტონ ვახეკმა მუსიკის ფასი იცოდა, თვითონაც უკრავდა ვიოლინოზე, იგი პრაღაში და ვენაში ნაცხოვრები კაცი იყო და ამიტომ პლატონის ასეთი აღტაცება უკვირდა: „გზა და კვალს რად უბნევს როიალზე დამკვრელ, ჯერ კიდევ დამწყებ და გამოუცდელ გოგონასო?!“ ვანო სარაჯიშვილი კი საჭირო, გზიან და საფუძვლიან შენიშვნებს აძლევდა ნინოს ზოგიერთი პასაჟებისა და ნიუანსების შესახებ, თემატიკური მასალის კომპოზიციის, იმ ნაწილებისა, რომელშიაც ზღაპრულ-თხრობითი, ტრიუმფალურ-საზეიმო ხასიათი გამოსჭვივის და ბოლოს ლირიკული სიღრმე, დრამატული სიმძაფრე და მგრძნობელობა — რასაც გაცილებით მეტი მნიშვნელობა ჰქონდა კონსერვატორიის მოწაფისათვის, ვიდრე პლატონის უსაფუძვლო შექებას, რომელსაც არა ერთი და ორი ახალგაზრდა დაუღუპავს და სწორ გზას აუცდენია. მაგრამ პლატონი ამას რას დაგიდევდათ!

— მე უფრო ვრცლად მოგახსენებთ ჩემს აღტაცებას, როდესაც სავსე ფიალით შევსვამ თქვენს სადღეგრძელოს, — უთხრა პლატონმა ნინოს.

— ესეც მალე იქნება, — დაიძახა პოეტმა რაფაელ ახვლედიანმა.

4

სასადილო ოთახში გაშლილ სუფრას თავს დაჰნათოდა ელექტრონის ნათურებით გაჩირაღდნებული ჭაღი. ბროლის ლარნაკები და მაღალყელიანი ჭიქები ათასნაირფერად ღვივოდნენ და ბრწყინავდნენ ფაიფურის თეფშების გვერდით ვერცხლის დანა-ჩანგალი, ხის რგოლში გაყრილი და მაყა-

შვილთა გვარის ასოებით — ვენახელებით ნაგვირისტები, თოვლივით თეთრი ხელსახოცები ეწყო. ჩანდა დიასახლისი ფულს არ ზოგავდა საოცხზე, თუმცა მრეცხავი მარინე ნატოშვილი მუდამ გაჭირვებაში ცხოვრობდა ამ სახლის სარდაფში, ჯურღმულში, ამჟამად გლოვით მოკლული, პირქვედამხობილი და თავზე ნაცარწაყრილი.

ესტატე მაყაშვილის სასადილო ოთახში ყველაფერს სიმდიდრისა და მაღალგემოვნების ბეჭედი ეკრა, მინანქრის საყვავილეებიდან ზამბახნი და შროშანნი აღერებულიყვნენ. ლარნაკებში ყურძენი, ვაშლი, ფორთოხალი, ჩურჩხელები, თხილი, ნუში და მოხალული ფსტა ეწყო. სუფრა იშვიათი საუზმით იყო სავსე. საზეიმოდ და ლხინისთვის გაშლილ უხვსა და მდიდრულ სუფრის ოქრო-ვერცხლს, მინანქარს, ბროლსა და ფაიფურს ჭერიდან დაშვებული ჭაღი აშუქებდა, ცეცხლს უკიდებდა და ალაპლაპებდა. ფირუზისფერტარიანი, პატარა სადესერტო დანები და ჩანგლები მარაოსავით გადაშლილ ვერცხლის დგამებში ჩაეწყოთ. ბურგუნდიის ღვინოზე და შამპანურზე უფრო საამო კახურ ქინძმარაულს, ქართლურ ატენურსა და მრავალნაირ მაგარ და ტკბილ სასმელების ჩარაზმულ ბოთლებს წითელი და ვარდისფერი, ლალისა და ქარვისფერი ცეცხლი ეკიდებოდა.

სტუმრები სასადილო ოთახში შევიდნენ და სუფრას თანამდებობის, საზოგადოებრივი წონისა და ასაკის მიხედვით შემოუსხდნენ. დაბა კავალერს მისდევდა, ყველაფერი გარკვეულ წესრიგს და ადათს დაემორჩილა. სუფრის თავში ცარიელი საკარძელი თამადას ელოდებოდა. ყველანი იღიმებოდნენ, ხმადაბლა საუბრობდნენ, გარდა პლატონ მოგველაძისა. იგი მანეკენივით იჯდა. მალე ესტატემ დაიძახა:

— ბატონებო, თამადა ავირჩიოთ, თამადა! — მაშინვე სხვებმაც აქეთ-იქით დაიძახეს: თამადა, თამადაო. ცოტა ხნის ჭოჭმანის მერმე, თამადად პლატონ მოგველაძე აირჩიეს. იგი საკარძელში ჩასვეს. თამადამ სადღეგრძელო წამოიწყო:

— ნება მიბოძეთ, ბატონებო, პირველი სასმისით ჩვენს შვენიერ ნინოს მივულოცოთ სახელობის დღე, დღე ქართველთათვის სანუკვარი, შესანიშნავი. ნინოს სახელით ცნობილია წმინდა ასული, ვინც პირველად ქრისტეს რჯული განავრცო ქართლში და წარმართობას გადაამყნა ქრისტიანობა.

ნინომ ალმართა მსხმოიარე ჯვარი ვაზისა, ვაზი — სიმბოლო დიონისურ თრობის, გზნებისა და ქალწულური ნაწნავებით დააცხრო იგი, პანი და ქრისტე ქართლში მტრულად არ შემოსულან. ამიტომ იყო ქართველი კაცის მსოფლშეგრძნება ასკეტური, მისტიკური რწმენისთვის უცხო. ქართველს არა სწამს საიქიო და უკვდავება. ამიტომ სურს, წუთისოფელი ხარბად მოსჭამოს. ამის გამო ეტრფის იგი დედამიწას, ვაზს და პურ-ღვინოს. მაგრამ ევროპამ პირველშექმნილი ყოფა მოშალა, გოლიათი ქალაქებით დაჰფინა მიწა და დიდ ბუნებას წინ აღუდგა თავისი კულტურით. მაგრამ ევროპას დაეწევა როდესმე ქართლი? ნურმც დაეწევა! ჩვეს არას გვარგებს ის ჯოჯოხეთი! ჩვენ ის ვეება ღუმელები, მარტენად თქმული და ბლუმინგები — ჯოჯოხეთი ინდუსტრიისა, ცივილიზებული ქვეყნებისთვის დაგვილოცნია, იმ ქვეყნებისთვის, ვინც მსოფლიო ბაზრის ძებნაში ერთმანეთს ომით, მანქანებით ანადგურებენ. ბუნების მძლენი, საკუთარსვე სისხლში სცურავენდაე, იცურონ, ჩვენ კი იმ გზით არ გვსურს ვიაროთ! მაშ, საქართველო ბუნების და კულტურის შორის რა გზას დაადგეს? დაბრუნებას მიწასთან ვარჩევთ. თორემ ხედავდეთ: საქართველო უფსკრულის პირას, საქანელაზე ჭანაობს და დაკიდებულა. — ასე უცნაურად ამეტყველდა პლატონი და ნინოს სადღეგრძელო განზე დარჩა. მერმე თამადამ ქართველი კაცის თვისებაზე დაიწყო ლაპარაკი: — ჩვენ სიკვდილის შიშს თავს ვაღწევდით ბრძოლით და ლხინით, მიწაზე შრომით. ამიტომ უხმეს „გეორგია“ საქართველოს უცხოელებმა. ეს ყველა ცხადად გამოსჭვივის ჩვენს სიმღერებში: საშრომ-სალხინო, ძველ სუფრულში და ჩვენს ლაშქრულში, სადაც ბოიისმის მისწრაფება დროშებგაშლილი, აბჯარასხმული მებრძოლების ცხენთა თქარუნი. არა, არასდროს არ მოკვდება, შწამს, საქართველო! ისევ წინ გვიძღვის ნინოს ჯვარი, ხმალი თამარის... ნება მიბოძეთ, ქალბატონო, მთელის გულით მოგილოცოთ ქალწულის წმინდა ნინოს სახელობის დღე!

— გენაცვალე თქმაშია! — შესძახა ესტატემ.

ნინო იღიმებოდა და მას ფეხზე მდგარი სტუმრები ბრწყინვალე დღეს ულოცავდნენ. ირემივით ყელმოღერებულ ნინოს შავი თმა ოსტატურად დაეგრაგნა კეფაზე. თმის მორგვს სპილოს ძვლის სავარცხელი უმაგრებდა, რომლის

თვალ-მარგალიტებზე მეტად ასულის დიდრონი თვალები ბრწყინავდნენ.

ქეიფი წამოვიდა. კახური „მრავალჟამიერი“ შემოსძახეს. ვანო სარაჯიშვილს ჩინებულ მეორეს ეუბნებოდა სანდრო ხოტივარი, ხოლო მათ ხმებს ჯიბო მაყაშვილის ძლიერი ბანი ჰფარავდა. ფანჯრის მინები ზანზარებდნენ.

ესტატე მაყაშვილი უხვი მასპინძელი იყო. სამზადში, ევტიხის გარდა, სასახლის ყოფილი მზარეული ტრიალებდა. ევტიხის, დამლაგებელ ქალს შურას, გამდელს სალომეს შემწვარი გოჭი, ინდაური და ხოხობი ლანგარით მოჰქონდათ. დიდ ნიჟარებზე ფაფა და ტვინივით რბილი თევზის ხორცი დაეგოზათ.

გენერალ ჩიჯავაძის სადღეგრძელოს ჯერიც მოვიდა.

პლატონმა აქაც გალესა ენა:

— ნება მიბოძეთ, ბატონებო, ვადღეგრძელო ჩვენი სარდალი. ჯვარი და ხმალი, მართლაც მთელი საქართველოა. თუ წინათ ჩვენი გენიოსი ვაჟა სტიროდა:

დაჟანგებულხარ, გორდაო,
დაგობებია ქარქაში...
სადა გყავს შენი პატრონი,
დაგაწყებინოს კაშკაში?!

ახლა ის ხმალი ქარქაშიდან ამოწვდილია. ჩვენი ბიჭები თურქეთსა და შამქორს იბრძვიან. მე მაგონდება თამარ მეფის ბრწყინვალე ხანა, როს სოსლან-დავით წინ წარუძღვა ქართველთა ლაშქარს. ეკვეთა ლომებრ და სისხლიან შამქორის ომში, იგი ამირა დაამარცხა აბუბაქარი. წაართვა მის ჯარს აშუბული მწვანე დროშები. ახერბაიჯანს დაარბია მისი სამეფო, წაართვა განჯა და სულთანის ტახტზე თვით დაჯდა. ეს ბოგონება დიდ-შორეულ წარსულს ეკუთვნის. დღეს კი სოსლანის მაგიერსა, მამაც პოლკოვნიკს მაღალაშვილს და აფხაზავას აბუბაქარის ნაშიერი, მისი ნაცვალი — რაფიბეგოვი სიყვარულით უკავშირდება. შამქორის გამო ჩვენი ძტრები ბევრს ყაყანებენ და ირსლანმსმელებს გვიწოდებენ. თურმე ნუ იტყვით, თბილისის კარი ურდოთათვის უნდა გაგველო! შამქორის ომში ჩვენ დაეკარგეთ წმინდა გიორგის დიდი ორდენის კავალერი — აფხაზავა სახელგანთქმული.

მას ჰქონდა რაღაც უცნაური, რაიც აწვალებდა თვითეულ ქართველს: უცხოეთში გაჭრის სურვილი და იქ მოხვეჭა სახელისა, გმირობის ჩენა, როგორც ჩხეიძეს და წერეთელს... ეს არის ჩვენი სახელმწიფოს დაშლის შედეგი. ქართველს სურს თავის ხალხს, თავის თავსაც გაექცეს ახლა, დიდსა და ძლიერ სახელმწიფოს მონატრებული. მწამს: ყოველ ქართველს საკაძის ხატი აწვალებს; მისი მარჯვენის ძალა, ღონე, ხმალი რისხვარი. ეს პრობლემაა და მის გამო მე ტომებსა ვწერ,— ყვიროდა თამადა და მისი თვალების ბრიალით, არტისტული პოზებით და აწეული ხმით მოჯადოებულ გენერალ ჩიჯავაძეს, კაპიტან მაყაშვილს და ჯარისკაცებს სამშობლოს მიტოვება, უცხო შორეთში გაჭრა, სახელის მოხვეჭა, გმირული ბრძოლა და იქ სიკვდილი სწყუროდათ.

კიდევ ბევრი ილაპარაკა პლატონმა. მთელი თავისი ტემპერამენტი, არტისტული და ორატორული ნიჭი დახარჯა და აქაც, დაგვიანებით, სიტყვის ბოლოს მოაგონდა სადღეგრძელოს მოლოდინში ფეხზე დგომით დაღლილი გენერალი და დაიძახა.

— ქართული ლაშქრის სარდალს: ვაშა და გამარჯვება!

ფეხზე მდგარმა მხედრებმა შესძახეს:

— გაუმარჯოს!

ისევ დასჭექეს მრავალჟამიერი.

მეორე ხაარტილერიო ბრიგადის უფროსი, გენერალი ჩიჯავაძე, ნახევარ საუკუნეს მიღწეული, მაგრამ ჯერ კიდევ მხნე და ლამაზი კაცი იყო. მელოტ თავზე შერჩენილი თმა სამაორებლით გაეპარსნა, ხოლო აპრეხილი ულვაშები კი გიშრისფრად შეეღებნა. ხელოვნურად გაახალგაზრდავებული კავალერი ქალებთან აშიკობას არ იშლიდა, რასაც ხელს უწყობდა მისი ლამაზი და მიბნედილი შავი თვალები. ამ სილამაზემ დიდი როლი ითამაშა თავადის დაწინაურებაში. დაწინაურებისათვის მისწრება იყო პეტერბურგი, მეფის სასახლე, დიდი მთავრები, მათი ქალები და ფრეილინები. გენერალს მაღალ წრეში უყვარდა ტრიალი. ახლაც ესტატე მაყაშვილის ცოლის — ვარდოს გვერდით იჯდა და მას ეკურკურებოდა... წარმოთქმული სიტყვით დაღლილი პლატონი კი მოწყენილი იჯდა ახლა და გაშტერებული თვალებით თეფშს დასცქეროდა. ვერ ვიტყვით, ღვინო მორეოდა, მთვრა-

ლი არ იყო. იგი დაუსრულებელ ლაპარაკს — სადღეგრძელოებს დაელაღნა და დაეჭანცა. იგი თვითვე ექცეოდა ლოგიკურ აზრს მოკლებულ თავისავე სიტყვების ჰიპნოზში და უშიზეზო, ნაპირგადასულ ეკზალტაციაში, ავზნებაში ვარდებოდა. ხშირი ორატორობა, გაცვეთილი სიტყვისა და მოსაზრების მრავალჯერ განმეორება, გონივრულ და ზნეობრივ დაშრეტას იწვევდა. ორატორი დიდ სიცარიელეს გრძნობდა, ჩლუნგდებოდა და ძველი საზანდარივით ცვდებოდა, რადგან სათქმელი წამისა ჰქონდა, ხოლო საათობით კი იჭაჭებოდა. ამიტომ იჯდა დაქანცული, მოწყენილი, უაზროდ თვალებგაშტერებული.

— საკვირველი კაცია ეს მოგველაძე. ვერ გაიგებ რა უნდა თქვას, რას ეტრფის და რა წამს, — უჩურჩულა ვექილმა ქარცივაძემ დირექტორს დათა მიქელაძეს. დათამ შენიშნა:

— ალაგ-ალაგ საინტერესო და სწორ მოსაზრებებს აყენებს, მერმე ერთბაშად აურევს. ხან ევროპის კულტურას და ცივილიზაციას იცავს, ეპოტინება და ხან კიდევ — სოფლურ ყოფას. ხან ოპტიმისტია და ხანაც პესიმისტი. ხან ქრისტეს რელიგიას ეტრფის და ხან კიდევ წარმართობას...

— ერთი გარკვეული თვალსაზრისი და მსოფლმხედველობა არ გააჩნია, — ისევ უჩურჩულა დათას ქარცივაძემ. დათამ გაიღიმა და უთხრა:

— დეკადენტი პოეტია. გარკვეული მსოფლმხედველობა და მრწამსი საიდან ექნება?

რაფაელ ასვლედიანმა ყური მოჰკრა ქარცივაძისა და მიქელაძის საუბარს და აღენთო:

— თქვენის აზრით, დეკადენტ პოეტს თვალსაზრისი და მსოფლმხედველობა არ გააჩნია? ახირებული მსჯელობაა. ბოდლერისა და ნიცშეს ცოდნას და ფილოსოფიას ყველა ქვეყნის ფილისტერები ვერ გადასწონიან, ერთი გარკვეული მსოფლმხედველობა — დოგმატიზმი ჩვენ, პოეტებს, თქვენთვის დაგვითმია. ჩვენ პოლიტიკური მოღვაწეები და პროპაგანდისტები არ გახლავართ და არც სახარების მქადაგებელი ხუცები.

კამათმა ისეთი მწვავე ხასიათი მიიღო, რომ პლატონმა

თავი ასწია და სუფრას წესრიგისაკენ მოუწოდა. რაფაელმა გასძახა:

— ბატონო პლატონ, ჩემი ბრალი არ არის. აქ პოეტებს დასცინიან!

პლატონმა დაძაბული ატმოსფერო ოხუნჯობით გაჰფანტა:

— რაფაელ, დაწყნარდით, თორემ მე და თქვენ ისე გაგვაძევებენ ამ სუფრიდან, როგორც ფილოსოფოსმა პლატონმა გააძევა პოეტები თავის სახელმწიფოდან.

ესტატე მაყაშვილმა გადაიხარხარა. მას სხვებიც აჰყვნენ და ისევ წავიდა ლხინი, ისევ გაჩაღდა ჭამა-სმა, სიმღერა, ცეკვა-თამაში.

* * *

ის ლხინი და ღრიანცელი ეკალივით ესობოდა გულზე ქვედა სართულში პირქვედამხობილ მარინეს. ის ლხინი, სიმღერა, ცეკვა-თამაში და ფეხების ბრახუნი თელავდა მარინეს სხეულს, სჯიჯგნიდა და დასცინოდა მის უსაშველო გლოვას. თავზე ნაცარწაყრილი და მგლოვიარე დედა სწყევლიდა ქრისტე-მაცხოვარს, თავის გაჩენის დღეს, საქორწინო გვირგვინს, გოდებით დათუთქულ თავის ძუძუ-მკერდს, თავის კერასა და საძირკველს... სწყევლიდა მაყაშვილთა დარბაზს, იქ შეყრილ სტუმრებს, პეტოს მკვლელებსა და შამქორს.

როცა რიჟრაჟმა მოატანა და ცაში ნათელი ჩადგა, დედამ შვილის ტანისამოსი, ქამარ-ხანჯალი და ბუხრის ქუდი გამოიტანა, საწოლზე დაალაგა და გაშალა. თვალის უპეებსა და შემჭკნარ ღაწვების ქვეშ ჩაქცეული სისხლი ჩასდგომოდა, ისევ ჩაჰკუპროდა. ჭაღარა თმა გასძეძოდა. გლოვით მოკლული, ხერხემალგატეხილი, ბებერი, ძუ ვეფხვივით ეგდო საწოლზე. ველარ დგებოდა. მხოლოდ ტანს არხევდა და ნელინელ ირწეოდა. გამოუთქმელი მწუხარებით აშტერდებოდა და ხელს უსვამდა შვილის იარაღს, ბუდე-ქარქაშის შაგრენს, ქამრის თასმებს და მუშკივით რბილ მეშს ყნოსავდა. შვილის ტანის საამო სუნი სცემდა, მისი ბავშვობა, ვანვლილი გზა აგონდებოდა. უცხო რამ ქართულს ჩურჩულებდა. ხოლო მზის ამოსვლისას ხმას უმატებდა და ქვითინებდა. ტიროდა, ვერასოდეს რომ ვერ იხილავდა მისი ვაჟკაცი შვილი დღის

წინათლეს და ვერ გაიხარებდა წითელი მზით და მწვანე ბალახით.

სარკმელში შემოჭრილ სხივებს მიაპყრო თვალი, მზით განათებულ მთაწმინდას მიაშტერდა და ხმამაღლა დაიძახა:

— სადა ხარ, შვილო, სადა ხარ, პეტრო! სადა ხარ, ჩემო ირემო ბიჭო, ირემო ბიჭო!!.

ნაწილი მესამე

საბუთალოზე

როდესაც საარტილერიო ბრიგადის ყაზარმაში ჩხენკელი და ჯუღელი მიიდნენ, ჯარისკაცებმა კინაღამ ხიშტზე არ წამოაგეს ისინი.

„კავკაზსკი რაბოჩი“, № 25, 1913

1

ბაქოდან ჩამოსვლისა და ნინოობის მერმე კორნელისათვის ისევ ყაზარმული ცხოვრება დაიწყო. სამთო არტილერიაში ჯარისკაცებს ცხენოსნობასაც ასწავლიდნენ. ნასაუზმევს მანეჟზე გაჰყავდათ. ბატარეის უფროსი — კაპიტანი ალექსიძე ფართო და ვაჟკაცური ნაბიჯით გასწევდა მანეჟისაკენ. მხედრები ცხენებს ალვირში წაავლებდნენ ხელს. გვერდზე გაუჩინარდებოდნენ და მწკრივს გაასწორებდნენ. სასწავლო გუნდის უფროსი — კორნელი მარჯვენა ფრთაზე გაჩერდებოდა და დაიძახებდა:

— სმენა, სწორება მარჯვნივ!

კაპიტანი მხედრებს მიესალმებოდა:

— გამარჯობათ, ბიჭებო!

— გაუმარჯოს, — შესძახებდნენ მხედრები.

ეს ცერემონია ძალიან მოსწონდათ მოხალისეებს, მაგრამ მხიარულება მალე გლოვით შეეცვლებოდათ-ხოლმე.

მხრებაწეული, ბასრი და ჰროლათვალებიანი კაპიტანი მანეჟის ცენტრში დადგებოდა. ხელში შოლტს დაიჭერდა და დაიძახებდა:

— ცხენებზე!

კორნელი, მიტო, კუკური და სანდრო სწრაფად მოახტებოდნენ უბელო ცხენებს, სადავეს დაიჭერდნენ და ფეხგამართული დასხდებოდნენ, მაგრამ ჯვებე მიქელაძეს, გიგა ხუციშვილს, გრიგოლ ცაგურიშვილსა და სხვებს არაფერი გაეგებოდათ ცხენოსნობისა და კაპიტნის პირველ დაძახებისთანავე „ნაბიჯით იარ!“ — მათი წამება იწყებოდა. კაპიტანი ფრანგული ცხენოსნობის მიმდევარი იყო — მუხლში გამართული ფეხებით ცხენზე ჯდომისა.

— როგორ გიჭირავს აღვირი? ფეხები გამართე! ფეხის წვერი მოხარე! — დასჭყივლებდა კაპიტანი და მორგვივით ჩამოსხმული კისრის ძარღვები დაეჭიმებოდა. ყველაზე უფრო საბედისწერო მეორე ბრძანება იყო:

— ჩორთით იარ!

მანეჟის შუაგულიდან წრის გარშემო მორბენალ ცხენებსა და მხედრებს კაპიტანი სავსებით სწვდებოდა თავისი ცხენსახედნი გრძელი შოლტით. ჰაერში მათრახი გაიტლაშუნებდა და უბელო ცხენები ძუნძულით იწყებდნენ რბენას. კორნელის, კუკურის, სანდროს და მიტოს წესისამებრ მიჰყავდათ ცხენები, მაგრამ ჯვებე მიქელაძე, გიგა ხუციშვილი და სხვები იტანჯებოდნენ. უბელო ცხენები ნაბიჯიდან ჩორთაზე ვერ გადაჰყავდათ, წონასწორობას ჰკარგავდნენ, ცხენებს გვერდებზე ფეხებს უჭერდნენ და ხელებით ფაფარში აფრინდებოდნენ. ბრაზმორეული კაპიტანი მხედრებს სალდათურად შეუკურთხებდა და ისევ დასჭყივლებდა:

— რასა შვრებით, თქვენი... აღვირი დააგდე, ხელები გაშალე, ფეხები გამართე!

მხედრები ცდილობდნენ აღვირი გაეგდოთ, ხელები გაენძლავით გაეშალათ და ფეხები გაემართათ, მაგრამ წონასწორობას ვერ იჭერდნენ, საცოდავად იკრუნჩხებოდნენ და ის-ის იყო უნდა ჩამოვარდნილიყვნენ, როცა კაპიტანი შაკივით იღვირებდა:

— ჩამოვარდი, ჩამოვარდი! — შოლტს მოიქნევდა და მხედრებს მწარედ შემოჰკრავდა საჯდომზე. ცხენები დაფრთხებოდნენ და დაოთხილნი გასწევდნენ. ჯვებე მიქელაძე, გიგა ხუციშვილი და მომდევნო მხედრები ჭერეხებივით ცვივოდნენ მიწაზე, ხელ-ფეხს იღრძობდნენ და ცხენები ტორებით აშავებდნენ, მაგრამ კაპიტნის წინააღმდეგ კრინტსაც ვერ

სძრავდნენ. გარბოდნენ უბელო ცხენები და მხედრები საჯდომს იბეგვავდნენ. გასისხლიანებული ბარძაყის კანზე საცვლები ეწებებოდათ. საცვლებზე მიწებებული კანისა და თმის აგლეჯა ნამდვილ წამებას ჰგვრიდათ. ჯირითის მერმე კაპიტანი მხედრებს ანუგეშებდა:

— დაშავებისა და დამტვრევის გარეშე ცხენოსნობის შესწავლა შეუძლებელია.

— არ მინდა, ბატონო, ცხენოსნობა. ძალაა?! ხვალვე წავალ ბატარეიდან, — ურჩობდა მიქელაძე, თითქო ყაზარმა მისი სახლი იყო, ხოლო კაპიტანი — ჰამამისი და ნებივრობაში აღზრდილი ებუზღუნებაო.

— მიქელაძე! — ისეთი ძალით შესძახა კაპიტანმა, რომ მხედარს სული კინაღამ არ გაძვრა, — თავი გაანებე ჯარში ლრჩობას, თორემ შავ დღეს დაგაყენებ, — დატუქსა კაპიტანმა, მაგრამ სტუდენტების სახეზე აღშფოთება ამოიკითხა, უმალვე თავი დაიჭირა და ბოდიში მოიხადა:

— ვიცი, ჯარში სამსახური თქვენთვის — ინტელიგენტებისთვის— ძალიან ძნელია, მაგრამ სხვა გზა არ არის, უნდა შეეჩვიოთ, თორემ ომის დროს იხანებთ!

კაპიტნის ბოდიშით გათამამებულმა პეტრე ცხომელიძემ უთხრა:

— ხელი და ფეხი თუ მოვიტეხე, როგორღა შევეჩვიო?

— თავის დროზე მეც ტყავს მაძრობდნენ, მაგრამ არ მოვმკვდარვარ და, როგორც ხედავთ, ისევ ჯარში ვმსახურობ და, მგონი, ცუდი ოფიცერი არ უნდა ვიყო, — მიუგო ალექსიძემ.

ვიგა ხუციშვილმა ამხანაგების წრე გაარღვია, კაპიტნის წინაშე წარსდგა და დაიწყო:

— ერთი რამ მაკვირვებს, ბატონო კაპიტანო!

— რა გიკვირს, ბლაღოჩინო? — ჰკითხა ღიმილით კაპიტანმა.

— ვა, — დაიძახა გიგამ, — თქვენ რა იცით ბლაღოჩინს რომ მეძახიან? — ჯარისკაცებმა გადაიხარხარეს. გიგამ ისევ დაიწყო: — რა მიკვირს, ბატონო კაპიტანო, იცით? კაცი გაჭენებულ უბელო ცხენიდან ვეარდები რაღა და, ეგ არის! თქვენ კი იძახით: ხელები გაშალე, ფეხები გამართეო. ცირკის ჯამბაზი ხომ არა ვარ, ცხენის ზურგზე კორნელი მხეიძე-

სავით ვითამაშო! ეგ კიდევ არაფერი. ხელები გაშალე, ჩამოვარდი, ჩამოვარდიო რომ იძახით, ვანკა-სტანკა ხომ არა ვარ, თავით მიწას დავერჭო და ბერე ისევ ფეხებზე დავდგე? ხათაბალაა ჩემმა მზემ! —უთხრა საჯდომდაბეგვილმა, ხელნატკენმა და გახისხლიანებულმა გიგამ კაპიტანს და დაკოდილი ვაცივით, წელწართმეული და გაჩაჩხული, ყაზარმისაკენ წაბაჯბაჯდა. ჯარისკაცებმა და კაპიტანმაც სიცილი დააყარეს.

მეფის არმიაში ნამსახურმა ოფიცრებმა მალე ზურგი გაიმაგრეს და მოხალისეებს შკაცრი დისციპლინის მარწუხი მოუჭირეს, ომიდან დაბრუნებული ჯარისკაცები: შაქრო ვერელი, ვანო ბურდული, კოტე მეტონიძე და სხვანი ყაზარმასთან იდგნენ, მოხალისე სტუდენტებს, მოსწავლე ახალგაზრდობას დასცინოდნენ და მეფის ოფიცრებისადმი ძონური ერთგულებისათვის კიცხავდნენ.

იმ ყაზარმაში, სადაც ორასიოდე ფრონტელი ჯარისკაცი იყო, ვიღაც უცნობმა ხშირი სტუმრობა იწყო. ვინ იყო იგი, ან რა საქმე ჰქონდა შუალამისას ასეულის ბიჭებთან, არავინ იცოდა.

ის უცნობი პირი ვანო მახათაძე აღმოჩნდა. ჯარისკაცები სულგანაბული უსმენდნენ მას.

— მენშევიკური ჯარი, კერძოდ ეს ბრიგადა, — ამბობდა ვანო, — რევოლუციიდან გამოქცეული მეფის რუსეთის არმიის ოფიცრებით აივსო. ვის ინტერესებს დაიცავენ ისინი?— ჰკითხა მან ჯარისკაცებს.

— განა ხალხისა? — მიუგო ერთმა.

— თავადთა და აზნაურთა, — მიეშველნენ ჯარისკაცები.

— რა თქმა უნდა, — დაუდასტურა ვანომ და განაგრძო:— მენშევიკებმა ყაზარმა მშრომელ ხალხს მოსწყვიტეს. ისინი შეგნებულად მყნიან ძველ წესებს, მკაცრ დისციპლინას ჯარში. ცდილობენ აღმოფხვრან ჯარისკაცის თავიდან ცოცხალი აზრი, ინიციატივა და გახადონ იგი თავისი პოლიტიკის ბრმა შემსრულებლად, უსულო მანქანად. რატომ იცავდა მეფის რუსეთი და დღესაც იცავენ კაპიტალისტურ ქვეყნებში ასეთ დისციპლინას?

— იმიტომ, რომ... — დაიწყო ჯარისკაცის აზროვნებამ ბოგინი.

— იმიტომ, რომ... — დაეხმარა ვანო, — კაპიტალისტები

და მემამულენი ცდილობენ აქციონ ჯარისკაცი თავისი ინტერესების დამცველ უსიტყვო მანქანად. რევოლუციური არმია კი სულ სხვაა. რევოლუციური არმია, რომელიც საბჭოთა რუსეთში შეიქმნა, ხალხის ღვიძლი პირმშოა, იგი მუშათა და გლეხთა ინტერესებს იცავს. დისციპლინა იქ დაფუძნებულია არა უფროსებისადმი შიშზე, არამედ მუშურ-გლეხური საქმის დამცველი ჯარისკაცის შეგნებაზე. რევოლუციური არმია საქართველოშიც უნდა შეიქნას და იმ არმიის მებრძოლები თქვენ უნდა გახდეთ!

პოლიტიკური ხასიათის ასეთი საუბრები წარმოებდა ქართული ჯარის სხვა ნაწილებშიც.

ომიდან დაბრუნებული ჯარისკაცები ახლა ხშირად დასხდებოდნენ ხოლმე ყაზარმის კედლებთან, მზეს ეფიცხებოდნენ და გაზეთსა და წიგნებს კითხულობდნენ. ასეთმა ცვლილებამ ძალიან დააინტერესა კორნელი და გრიგოლ ცაგურიშვილი. ერთხელ კორნელი კარისმერეთულ თავის მეზობლებთან, რაჟდენ ტურიაშვილთან და გალაქტიონ გელაშვილთან მივიდა. რაჟდენი და მისი მამა, ნესტორი, კორნელის პაპას— არჩილს მოჯამაგირედ ჰყავდა. არჩილის ყანა და ვენახი თუ ყველაზე უკეთ მოვლილი, ხოლო ხარ-კანეჩი კი თითით საჩვენებელი იყო. — ეს იმიტომ, რომ ხვნა-თესვა, მარგვლა-მოროდი, ვაზის დამყნა. გასხვლა, შეყვლევა და გაფურჩქვნა, სამყურა-იონჯის მოყვანა, თიბვა, ურმის ბორბლების გაკეთება და ღერძის გამოთლა ტყისკაცივით ჯანიანი ნესტორის მსგავსად არავინ იცოდა.

რაჟდენის გარდა, ნესტორს მგელივით მუხლმაგარი ოთხი შვილი ჰყავდა. ყველანი კარისმერეთის ახლოს — სოფელ სარკოიაში ცხოვრობდნენ, ყოფილი ყმის — ნესტორის მამის, მარკოზ ტურიაშვილის, მამულში. ეს მცირე ნაკვეთი მიწა მარკოზმა კორნელის პაპისაგან — არჩილისაგან შეისყიდა. ასეთ პატარა ნაკვეთზე ძნელი იყო დაცოლიშვილებული ოთხი ვაჟკაცის დაფუძნება და წლის სარჩოს მოყვანა. ნესტორი და მისი შვილები, გალაქტიონი და მისი მამა გოჯაბერი კორნელის დედის ძმის — ოტია მდივნის მოჯამაგირენი იყვნენ და მის მამულსა და სახლ-კარში ჯარასავით ტრიალებდნენ. ამ ფასდაუდებელი შრომისათვის ბატონისაგან საყანე მიწას და ვენახს ღებულობდნენ სანახევროდ. მდივნების ტყეში მუხის,

წაბლისა, თელისა და ძელქვის ორიოდე ხეს სჭრიდნენ, რომლიდანაც ურმისა და ჭოხისათვის საჭირო მასალას თლიდნენ, რანდავდნენ და აკოპიტებდნენ.

კორნელი წიგნის კითხვით გართულ ჯარისკაცს — რაჟდენ ტურიაშვილს თავზე წაადგა. სიცივისაგან გალურჯებული თითი ჯარისკაცისა მუხლუხოსავით მიცოცავდა სტრიქონის ქვეშ.

— რას კითხულობ, რაჟდენ? — ჰკითხა კორნელიმ.

რაჟდენი შეკრთა. თავი ასწია და კორნელის აჰხედა. იგი წითური კაცი იყო, თავკომბალა და კვინიხიანი. ოცდაათი წლისა თუ იქნებოდა, მაგრამ სიმინდის ტაროს ფოჩივით გადაგრეხილი ულვაშები და სახეზე გაჩენილი ნაოჭები მეტ ხანს აძლევდნენ მას. მზის სხივებით შეწუხებული ჭროღა თვალები მოხუჭა და კორნელის მიუგო:

— ენას ვიწაფავ კითხვაში.

მუხლებზე გაშლილი წიგნი მაზარის სახელოთი დაფარა. მაგრამ, სანამ რაჟდენი მოიფიქრებდა და წიგნს დახურავდა, კორნელიმ დიდი ასოებით დაბეჭდილი სიტყვები წაიკითხა: „საბჭოები აშენებენ მუშურ-გლეხურ ქვეყანას. ფაბრიკა-ქარხნები — მუშებს, მიწა — გლეხებს“.

— სად იშოვე ეს წიგნი? — ჰკითხა კორნელიმ.

— შენ წიგნში დაწერილის გაგება მითხარი, თორემ წიგნს ყოველთვის იშოვნის კაცი, — მიუგო რაჟდენმა.

— რაო? რა წერია მაგ წიგნში?

— წერია რაღაც-რაღაცეები...

— მაინც?

— რად გინდა, შე ტურა? — ეშმაკურად გაუღიმა და ისე მიუგო რაჟდენმა.

— რას მიმბღავ, განა გაგცემ?

— არა, შე კაცო, ჩვენ ერთი კუთხის მკვიდრნი ვართ. ახლა ორივე ჯარისკაცი გავხდით და ჯარმა გაგვასწორა, თუმცა, შენ მაინც მდიდრის და მე კი ღარიბი კაცის შვილი ვარ.

— ამიტომ უნდა გაგცე და გიღალატო?

— ეს შენი სინდისის საქმეა!

კორნელიმ დარცხვენით ჩაჰკიდა თავი და ჩაფიქრდა. მერმე ერთბაშად შეხედა რაჟდენს და მტკიცედ უთხრა:

— მემამულეების დამცველი მე არასოდეს არ ვყოფილ-

ვარ და არც ვიქნები... შენ გაგიგონია ოდესმე საშა წულუკიძე?

— გამიგონია.

— ის თავადი იყო. დედაჩემზე გაცილებით უფრო მდიდარი მემამულის შვილი, მაგრამ ეს გარემოება ხელს არ უშლიდა მას გამხდარიყო ბოლშევიკი და მუშებისა და გლეხების მოამაგე.

რაჟდენმა ვერაფერი უპასუხა.

2

ბრიგადის მოედანზე ახალი მანქანა — „ბენცი“ გამოჩნდა. შტაბიდან, ოფიცრების თანხლებით, გენერალი ჩიჯავაძე გამოვიდა და მანქანაში მყოფთ მიეგება. მერმე მორიგე ოფიცერს უბრძანა ჯარისკაცები მიტინგზე შეეკრიბა. ჯარისკაცები მანქანას ათვალიერებდნენ და ერთმანეთს ეკითხებოდნენ, ვინ მოვიდნენო. საჭეზე დაყრდნობილ, ტყავის ქურთუკიან შოფერს მზე აწუხებდა და თვალებს ნაბავდა. იგი დაბეჩავი ღიმილით უცქეროდა მანქანასთან მისულ მოხალისეებს. კორნელიმ ვერის გარაჟზე დაცემის დროს დაპატიმრებული შოფერი იცნო.

შტაბის წინ მანქანიდან გადმოსული ამიერკავკასიის საგარეო საქმეთა მინისტრი აკაკი ჩხენკელი, მენშევიკების გვარდიის უფროსი — ვალიკო ჯუღელი და ჩხენკელის მდივანი— სტუდენტი გიორგი ფალავა იდგნენ. გენერალი ჩიჯავაძე მესამე ასეულის ყაზარმისაკენ იშვერდა ხელს, დეზერტირები აი იქ არიან მოკალათებულიო, ეუბნებოდა სტუმრებს.

მესამე ასეულის ჯარისკაცები ჯგუფ-ჯგუფად გამოვიდნენ ყაზარმიდან, ნელი ნაბიჯით მიუახლოვდნენ მოედანზე გამართულ მიტინგს და ცალკე დადგნენ. მათ შორის რუსები და სომხებიც იყვნენ. ისინი დიდად განსხვავდებოდნენ მოხალისეებისაგან ჩაცმულობით. მოხალისეებს ლამაზად შეკერილი, აწყალი მაზარები ეცვათ და შავი ხავერდის არშიიანი წითელი მაუდის ქუდები ეხურათ.

მიტინგი ქადაგიშვილმა გახსნა. პირველად სიტყვით ჯუღელი გამოვიდა. იგი მარდად შეხტა მაგიდაზე. მაზარის ღილები გაიხსნა, რუსული ქური მოიხადა. თმა ადრე გათეთრე-

ბოდა. ზედ ხელი გადაისვა და ჯარისკაცებს ძმაბიჭებსავით გაუღიმა.

— ამხანაგებო, — დაიწყო მან, — თავისუფლება და რევოლუცია განსაცდელშია. ამიერკავკასიის დემოკრატია ყველა თავის ძალების მობილიზაციას შეუდგა თურქთა ურღვევებთან საომრად. რევოლუციამ ხალხს თავისუფლება მიანიჭა, მუშები მონური შრომისაგან გაათავისუფლა და გლეხებს მიწა მისცა...

— რევოლუციამ მისცა! რუსეთის ბოლშევიკებმა მისცეს! თქვენ არ მიგიცია თ! — წეაწყვეტინა სიტყვა ვიღაც ჯარისკაცმა. ჯუღელმა ამრეზით გადახედა მას და განაგრძო:

— ამხანაგებო, ბოლშევიკები ანარქიისა და თვითნებობის გზას დაადგნენ. ჩვენ რევოლუციურ წესრიგს მოვითხოვთ. ჩვენი მიწის რეფორმა მისცემს...

უცბად ყველი მხრიდან წამოიძახეს:

— არავითარი მიწის რეფორმა არ არსებობს!

— თქვენი კანონი მიწის შესახებ ქაღალდზე დარჩა!

— თქვენს მიერ შემოღებული მიწის კომიტეტები — მოტყუილებაა!

— კომიტეტები მიწას მემამულეებს უტოვებენ!

— ყელში გაგეჩხიროთ თქვენი რეფორმა!

ჯუღელმა რაღაც უჩურჩულა ჩხენკელს. ქუდი ასწია, დაიქნია და, როდესაც წამოძახილები შეწყდა, სიტყვის გაგრძელება სცადა:

— ჩვენი მიწის რეფორმა გლეხებს კანონიერ მიწას აძლევს და არა ბოლშევიკურ დეკლარაციას. თურქების შებოტევა მოსპობს ყველა რეფორმას. გლეხების მიწებზე ახალ მემამულეებს დასვამს. ამხანაგებო, — პათეტიკურად დაიძახა ჯუღელმა, — იმიტომ კი არ ავაფრიალეთ ჩვენ თავისუფლების წითელი დროშა, რომ იგი თურქმა ბარბაროსებმა გასთელონ.

— თქვენ თვითონ გასთელეთ იგი! კმარა! — გაისმა მუქარით სავსე ხმები.

— გადაეცით ძალაუფლება ხალხს და ის დაიცავს თავის მიწა-წყალს თურქებისაგან!

ჯუღელმა დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ ძლივს დაამთავრა სიტყვა. ჩხენკელს კი თავიდანვე აუხირდნენ ჯარისკაცები, ლა-

პარაკი არ აცალეს. ჩასუქებული ორატორი კატელოკს აწვალებდა, ქშენდა და ჯარისკაცებს მოუწოდებდა:

— ამ საერთო უბედურების ჟამს, როდესაც მტერი კარზედ მოგვადგა, პარტიული განხეთქილება და ყოველგვარი შინაური დავა და კინკლაობა უნდა მოისპოს.

— ძირს ბურჟუაზიის აგენტი! ძირს შემთანხმებელი! — იძახდნენ ჯარისკაცები. ორატორი საშინლად ღელავდა, მაგრამ მასზე უფრო — მისი მდივანი ცისფეროვალება ლამაზი სტუდენტი გიორგი (გოგიტა) ფალავა ღელავდა. იგი შეშფოთებული მისჩერებოდა აბობოქრებულ ჯარისკაცთა მასას. ზოგიერთი ჯარისკაცი შაშხანით მოსულიყო და ფალავას ეშინოდა: მის საყვარელ მასწავლებელს ხიფათი რამ არ შეჰყროდა.

— გოგიტა, ბიჭო, ხომ არ შეშინდი? ფერი არ გაძევს. მაშ, რა გეგონა: პოლიტიკური ბრძოლა და ჭიდილია, — უჩურჩულა ჯუღელმა ფალავას.

— მე ჩემს თავს არ დავეძებ, მეშინია: აკაკის ცუდი რამ არ შეჰბედონ, — ჩურჩულითვე მიუგო ფალავამ და პალტოს ჯიბეში ბრაუნინგის კონდახს ხელი მოუჭირა. ჩხენკელი კი არ ცხრებოდა:

— მე მოგიწოდებთ თქვენ შინაურ და გარეშე მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად, ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ხელს უშლის თავისუფლებისა და დემოკრატიის დაცვას. ყველაფერი ფრონტისათვის!

— ძირს რევოლუციის მოღალატენი! ძირს იმპერიალისტების დამჭაშები! — დაიძახა საყუმბარე ყუთზე ასულმა ვიღაც კაცმა. იგი ვანო მახათაძე იყო. ჭუდი ხელში ეჭირა. სველი ჭერა თმა ფართო შუბლზე მისწებებოდა. ეტყობოდა, ჩქარა ცოდიოდა აქეთკენ, მიტინგზე რომ არ დაგვიანებოდა.

— ამხანაგებო, — განაგრძო ვანომ, — მენშევიკებმა დიდი ხანია, რაც რევოლუციას უღალატეს. ჯერ კიდევ არ გამშრალა შამქორში უდანაშაულოდ დაღუპულთა სისხლი, ჯერ კიდევ არ გაცივებულა მუსავატელებთან, დაშნაკებთან მენშევიკების რეაქციული კავშირის შედეგად მსხვერპლად დაცემულ ჯარისკაცთა გვამები, და უკვე აქაც, თბილისში, მიმდინარეობს ბოლშევიკების ალვირახსნილი დევნა. ისინი გაიძახიან, რომ მათი დროშა — თავისუფლებაა, მაგრამ რისთვისღა ემუქრებიან ბოლშევიკურ პარტიას რეპრესიებით, ცე-

ცხლითა და მახვილით, რისთვის ახშობენ ჩვენს პრესას? ამიერკავკასიის კომისარიატი ცდილობს აქაც ჩაჰკლას დაწყებული სოციალისტური რევოლუცია. რას დაგიდევენ ისინი ხალხს?! რას დაეძებენ ისინი ჯარისკაცებს, რომლებიც სამ წელზე მეტია, რაც მკერდით იცავდნენ ამიერკავკასიას?! ისინი შეუთანხმდნენ თურქთა დამჭაშებს — მუსავატელებს, შეუთანხმდნენ დაშნაკებს, კორნილოველებს და კალედინელებს, ისინი ერთად არიან. ამის დამამტკიცებელია — შამქორის სასაკლაო, მათ მუხანათურად დახვრიტეს კონტრრევოლუციის წინააღმდეგ შებრძოლი რევოლუციური ჯარების საშველად კავკასიის ფრონტიდან მიმავალი ეშელონები. თბილისისა და მთელი ამიერკავკასიის მუშათა მასები მთელი თავისი სულისკვეთებით და მოქმედებით გვიჩვენებენ, რომ რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში ისინი გაჰყვებიან არა მენშევიკებს, არა ნაციონალისტებს, არამედ რუსეთის ძლევამოსილ პროლეტარიატს. გაუმარჯოს საბჭოთა ძალაუფლებას კავკასიაში, — მუშათა და გლეხთა ძალაუფლებას კავკასიაში, ძირს ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური კომისარიატი!

— ძირს! Долой! — აირია ერთმანეთში ქართულ-რუსული ძახილი.

ხალხი ამოძრავდა. აჩხაკუნდა შაშხანების საკეტები.

ჩხენკელი, ჯუღელი და ფაღავა ტრიბუნიდან საჩქაროდ ჩამოვიდნენ. ისინი ნაგანებით ხელში მიაცილეს ოფიცრებმა მანქანამდე. ფაღავამ აცახცახებული ხელით მოიხურა კარები და შოფერმა მაშინვე დასძრა მანქანა. გენერალი ჩიჯავაძე ოფიცრებს მიუბრუნდა და უთხრა:

— ახია მაგათზე, მოვიწვიოთ მიტინგზე ის დეზერტირები — მესამე ასეულიცო, რომ იძახდნენ! ნუთუ ამდენ ხანს ვერ დარწმუნდნენ, რომ ბოლშევიკებთან მორიგება არ შეიძლება?!

3

მოღრუბლული დღე იყო. საართილერიო პარკის წინ მდგარი გუშაგი ნისლში გახვეულ მოედანსა და ყაზარმებს გასცქეროდა. პარკის წინ ჩარაზმული ზარბაზნებისათვის

ბრეზენტის პერანგები ჩაეცვათ, წვიმისაგან ჟანგი რომ არ მოჰკიდებოდა.

პარკის გვერდით — საგუშაგო პატარა სახლის კიბეზე სანდრო ხოტივარი ოფიცერ ზაუტაშვილს რაღაცას ეკითხებოდა და შეწუხებული სახით პარკის გუშაგისაკენ იხედებოდა.

აგურისაგან აგებული ორსართულიანი ყაზარმის სამი კორპუსი დადუმებულიყო. მხოლოდ პირველ ყაზარმიდან გამოდიოდა ხანდახან თითო-ოროლა ჯარისკაცი ხელში ყუთითა და ფუთით. საგუშაგო სახლს გვერდს აუქცევდა, მერმე პარკის უკან — მტკვრისაკენ სირბილით დაეშვებოდა.

გუშაგი ამ გარემოებამ გააოცა. ბრიგადის მოედნის პირას აგებული ერთსართულიანი სახლის — შტაბის წინ შეგროვილი ოფიცრებიც პირველ ყაზარმას მიშტერებოდნენ. უცებ, პარკსა და შტაბს შორის, თავლასთან, შაშხანა გავარდა. ტყვია ზუზუნით გადაფრინდა გუშაგის თავზე და პირველი ყაზარმის კედელს მოხვდა. გუშაგი შეკრთა და მაღალ ბორბლებზე მდგარ საველე ზარბაზანს ამოეფარა. სამივე ყაზარმის ფანჯრებს ჯარისკაცები მოაწყდნენ და მერმე მოედანზე შაშხანებით გამოცვივდნენ, მაგრამ მორიგე ოფიცერმა უკანვე შერეკა ისინი. სანდრო ხოტივარმა გაიღიმა და საველე ზარბაზანს ამოფარებულ გუშაგს გასძახა: „ნუ გეშინია, კორნელი“. შაშხანა მეორედ გავარდა და ტყვიამ უფრო ახლოს გადაუფრინა კორნელის თავზე. გუშაგმა შაშხანა გადმოიღო, აჩქარებული ნაბიჯით წავიდა და ახლა პარკის კედელს ამოეფარა. მერმე თავი გამოჰყო და შეშინებული თვალებით გაჰხედა მოედანს. მაშინვე ყაზარმების უკან მდინარე ვერის მხრიდან, შტაბის შენობიდან და პარკიდანაც შაშხანებმა დაიჭექეს. კორნელი კედელს გაეკრა და, როდესაც ისევ გამოჰყო თავი,— შტაბის შენობის უკან შეგროვილი გვარდიელები დაინახა. იტალიური მომწვანო მაზარები ეცვათ. წელზე მაუზერები და სელყუმბარები ეკიდათ და, ხელზე გადმოღებული შაშხანებით, შტაბიდან — თავლისაკენ, თავლიდან — პარკისაკენ სათითაოდ გადარბოდნენ.

ბრიგადის მოედანზე გამეფებულ ავის მომასწავებელ სიჩუმეში სროლა კანტიკუნტად ისმოდა. პირველი ყაზარმა გვარდიელების მიერ ალყაშემორტყმული იყო. ყაზარმაში

ჩასაფრებულ ჯარისკაცებს შეეძლოთ ფანჯრებიდან ცეცხლი გაეხსნათ. ორ ცეცხლს შუა მომწყვდეული კორნელი შეშინდა და ძაგძაგი დაიწყებინა. სანდრომ კიბე ჩამოირბინა, გუშაგთან მივიდა და უთხოა:

— კორნელი, თუ ძმა ხარ, დადექი ზარბაზნებთან. თუ ამ შეტაკების დროს პოსტს არ მიატოვებ, ჯილდოზე წარგადგენ. მეც შენთან დავდგები.

სანდრო ხოტივარი მაინცდამაინც მამაცი ჭაბუკი როდი იყო. იგი სამხედრო კარიერაზე, ხარისხზე და ჯილდოზე ოცნებობდა. ამიტომ სიმამაცით ბაქიაობდა და ხიფათსაც თითქოს აინუნშიც არ აგდებდა, მაგრამ როდესაც კორნელი მასთან ერთად ზარბაზნებთან დადგა და შაშხანებმა ისევ დაიჭექეს, სანდრო კორნელიზე უფრო გაფითრდა, შიშისგან სული კინაღამ არ გაეპარა. მიუხედავად ამისა, აკვიატებული ხმა მაინც ჩასძახოდა: „ადგილიდან არ დაიძრე, ჯილდოს მიიღებ, ჯილდოს, ჯილდოს!“

კორნელის და სანდროს ლაპარაკი შემოესმათ. პარკის კედელთან, იქ, სადაც ამასწინათ კორნელი იდგა, ულვაშებგადაგრეხილი, მწითური გვარდიელი ატუზულიყო. იგი ჩუმად გასძახოდა მეორეს:

— ილარიონ, მიირბინე იმ სახლთან! — იგი საგუშაგო სახლზე მიუთითებდა. ილარიონმა ქარივით მიირბინა კედელთან.

— გაშპა გურული, — სიცილით უთხრა სანდრომ კორნელის. ილარიონს ოთხი გვარდიელი მიჰყვა და როცესაც სროლა ისევ განახლდა, საგუშაგოს კედელთან ჩასაფრებულმა ილარიონმა და მისმა ამხანაგებმა ორმოცი ნაბიჯის მანძილიდან გაუხსნეს ცეცხლი მესამე ასეულის ყაზარმას. სარკმლის მინა ჩაილეწა, მიწაზე დაეცა. წკრიალი გააღიზა და მარილივით დაიფშვნა. მალე ფანჯარაში შაშხანის ხიშტზე მიმაგრებული თეთრი დროშა — ზეწარი აფრიალდა.

სროლა შეწყდა. ორმოციოდე ჯარისკაცი უიარაღოდ, სათითაოდ გამოვიდა ყაზარმიდან და ბოლმით ავსილი მოედანზე დადგა.

გვარდიელებმა ჯარისკაცებს ალყა შემოარტყეს.

კორნელი ახალმა გუშაგმა შესცვალა. ის და სანდრო პირველი ყაზარმის უკან გავიდნენ. ხრამში და ალმართზე გვარდიელთა ათასეული დაბანაკებულიყო. ზოგნი მიწაზე ისხდნენ,

ქუდი მოეხადათ და გაოფლიანებულ ცხვირ-პირსა და ქეჩოს ბაღდადით იხმენდნენ. კორნელიმ პირველად სალა ... ...ევ-შევიკების „სახალხო გვარდია“ — წვერულვაშიანი, ხოობა და ჩასუქებული ვაჟკაცები, რომლებიც სრულიად არა ჰგავდნენ იმჟამად სიღარიბისა და სიმშილის გამო გაჩანაგებულ და მისუსტებულ მუშებს, ალყაშემორტყმულ ჯარისკაცებს. რეგულარული ჯარის მებრძოლებთან შედარებით გვაოდიელები პრივილეგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.

დაპატიმრებულთა შორის კორნელიმ იცნო მეზობლები თავისი სოფლიდან, — გალაქტიონ გელაშვილი და რაჟდენ ტურიაშვილი.

— ხომ დავანგრიეთ ბოლშევიკების და დეზერტირების ბუნაგი, — უთხრა ილარიონმა სანდროს.

— რად გინდა მერე შენ?! — მიუგო გვარდიელმა.—ვინც მთავარი იყო, გაგვეპარა მაგიერში.

მართლაც, ასზე მეტმა ჯარისკაცმა, მათ შორის მეტრონიძემ, ვანო ბურდულმა და სხვებმა გაქცევა მოასწრეს და გვაოდიელები ხუთი წუთით გვიან რომ მოსულიყვნენ, ცარიელი ყაზარმა დაუხვდებოდათ.

— მართლა უნდოდათ ამ ფირალებს ჩხენკელის მოკვლა?— ჰკითხა ილარიონმა სანდროს.

— მძიმე და სახიფათო მდგომარეობა იყო.

— ხიშტზე კინაღამ არ წამოუგიათ! — იყვირა ილარიონმა.

— მოკვლიდნენ, უეჭველად მოკვლიდნენ, არ გინდა ლაპარაკი! — დაუდასტურა ოფლში გაღვარულმა გვარდიელმა.

ალექსანდრეს ბაღი

როდესაც მუშათა და ღარიბ მოქალაქეთა მასა ათ ოქტომბერვალს ალექსანდრეს ბაღში დანიშნულ საპროტესტო მიტინგზე შეიკრიბა, მენშევიკებმა დახვრიტეს იგი.

პროკლამაციიდან.

1

დილის ათი საათი იქნებოდა. ალექსანდრეს ბაღში სერგო ქავთარაძე შევიდა. ხეივანი გაიარა, შეჩერდა და ირგვლივ მიმოიხედა. ბაღი ცარიელი იყო. სასულე ორკესტრისათვის

გამართული ესტრადა, რომელსაც მიტინგის დროს ტრიბუნადაც იყენებდნენ, დუმდა. ირგვლივ გაზეთების ნაკუწები, მზესუჭვრიტას ჩენჩო და თხილის ნაჭუჭები ეყარა. ფოთლებისაგან გაძარცვულ ხეთა მწერვალებს ყვავები ეხვეოდნენ, ცარიელ ბაღს, მუშათა სასახლეს — ახლანდელ სასტუმროს „თბილისს“, მადათოვის კუნძულს და მტკვრის ტივებიან ნაპირს ავის მაუწყებელი ხმით დასჩხაოდნენ.

ბაღიდან ქავთარაძე გამზირზე გამოვიდა და საპარიკმახეროში შევიდა. პალტო და კეპი კაჩხაზე ჩამოჰკიდა, მაგიდასთან დაჯდა და ჟურნალ-გაზეთები გადაათვალიერა. წვერიანმა პარიკმახერმა — გიორგი ჯომარდიძემ გაუღიმა, მიესალმა და სავარძელი შესთავაზა. წვერის პარსვის დროს ჰკითხა:

— მიტინგი თერთმეტი საათისათვის არის დანიშნული?

წვერგაპარსულს ქუჩაში, საპარიკმახეროს წინ, პატარა, ქერა კაცი შეეყარა, პატარა კაცი სამხედრო საქმეთა მინისტრი, სოციალისტ-რევოლუციონერი ვლადიმერ გობეჩია იყო. ისინი კარგად იცნობდნენ ერთმანეთს. მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ერთად სწავლობდნენ და ამხანაგებადაც კი ითვლებოდნენ, მაგრამ მერმე მათი გზები გაიყარნენ. ქავთარაძე ბოლშევიკი გახდა, გობეჩია კი — სოციალისტ-რევოლუციონერი.

— როგორ ბრძანდებით? — ჰკითხა გობეჩიამ.

— ვცხოვრობთ თქვენი ლოცვა-კურთხევით, — მიუგო ქავთარაძემ ღიმილით.

— ჩვენი ლოცვა-კურთხევა მაინცდამაინც ვერას გარგებთ.

— მართალია, ამბობენ მენშევიკები გართულნი არიან ციხეებში ბოლშევიკების მოთავსების საქმითო.

— მართალი თუ გინდა, მე პირადად არა ვარ მომხრე რეპრესიებისა, — შენიშნა გობეჩიამ და უსაყვედურა, — მაგრამ თქვენც გადაამლაშეთ. აი ახლაც სეიმის წინააღმდეგ ლაშქრობას აწყობთ. რა გინდათ, ძმაო? სეიმი ხომ საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი, საიდუმლო კენჭისყრით არის არჩეული?!

— ვიცით, ვიცით მაგ თქვენი ოთხფორმულიანი არჩევნების ფასი, რა შედეგი მიიღეთ მერმე? არც ერთი მუშა და არც ერთი გლეხი. სამაგიეროდ მრეწველები, მემამულეები

და სასულიერო წოდების პირები ხომ ბლომად გაიყვანეთ? რაღა გიჭირთ ,— ჰყვედრიდა ქავთარაძე.

— კარგი ერთი, სერგო, — იწყინა გობეჩიამ, — მაინცდამაინც არც მაგის თქმა შეიძლება, ჩვენ ამიერკავკასიის დემოკრატიის მთლიანობას და ერთსულოვნებას ვიცავთ და არა მის გათიშვას, მისი ძალების დაქსაქსვას. მაინცდამაინც ახლა არის ეგ საჭირო, როდესაც თურქეთი გვეომება და წინ მოიწევს.

— დაანებეთ თავი ლათაიებს! თქვენ ხომ მიტინგზე არა ხართ?! დემოკრატიის სოლიდარობა მუშებისა და გლეხების გარეშე რა სოლიდარობაა? სამაგიეროდ ბატონ რაფიბეგოვს ხომ მეგობრობთ! დაიხსომეთ — ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ნაციონალისტები ერთად ვერ მოსძოვენ. ამაში თქვენ მალე დარწმუნდებით.

— კარგი ერთი, სერგო. მაინცდამაინც არც მაგის თქმა შეიძლება. თქვენ ფანატიკოსები ხართ, ჩვენ კი — ცხოვრებას ვუწევთ ანგარიშს.

— თავი გაანებეთ ძველ ზღაპრებს. რაც შეეხება თურქებს, მათთან თქვენი ომი ტყუილია. განა თქვენ არ თანხმდებით ვექიბ-ფაშის მოთხოვნილებაზე, გამოაცხადოთ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა და ამიერკავკასიის სეიმის ჩამოყალიბებით იურიდიულად გააფორმოთ რუსეთიდან ამ მხარის ჩამოწყვეტა, რათა უფრო ადვილად მოელაპარაკოთ და შეუთანხმდეთ თურქეთს?

გობეჩიას უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ გადაიფიქრა, ხელი ჩაიქნია და სეიმისაკენ გაეშურა. გობეჩია თვინიერი კაცი იყო და დათმობაზე ადვილად მიდიოდა. მაგრამ მათი შეთანხმება მაინც არ ხერხდებოდა, მათი გზები, როგორც ვთქვით, გაყრილიყვნენ.

ქავთარაძე ნელი ნაბიჯით გაუდგა გამზირს. როდესაც სამხედრო ტაძარს მიუახლოვდა, დაინახა, როგორ გამოვიდა სასახლიდან ნოე ჟორდანია და საოპერო თეატრში დანიშნულ სეიმის გახსნაზე ქვეითად გაეშურა. ჟორდანიას თვალები დღეს უფრო მეტ განცვიფრებას და შეშფოთებას გამოხატავდნენ. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ოთხ თვეზე მეტი გასულიყო და საბჭოთა სახელმწიფო, რომლის დამხობასაც იგი წინასწარმეტყველებდა, მაინც მტკიცედ იდგა.

რუსეთში სოციალისტური ტიპის სახელმწიფოს აშენება ჟორდანიას არ სწამდა და არც სჯეროდა. ამიტომ იყო გაოცებული და განრისხებულიც. ამიტომ იყო მას — მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარეს, ამავე საბჭოს გაუქმება რომ გადაეწყვიტნა. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს უნდა გადაეცა სახელმწიფოს მმართველობის ყველა ფუნქცია დემოკრატიული მთავრობისათვის, იმ მთავრობისათვის, რომელიც ჟორდანიას წინადადებით, სწორედ დღეს, ათ თებერვალს, სეიმის სახით ყალიბდებოდა. საბჭოს მხოლოდ მთავრობის მოქმედებათა კონტროლის უფლება რჩებოდა. ეს უფლება ამიერკავკასიის მაშინდელმა მესვეურებმა მას მალე ჩამოართვეს და იგი უმოქმედო და უღლაჯო ორგანოდ აქციეს. ყოველივე ეს მაშინდელი წყობილებისათვის კანონზომიერი იყო, რადგან მენშევიკების ლიდერი ნოე ჟორდანია რეფორმიზმს — კლასთა თანამშრომლობას, კაპიტალიზმის გზით სოციალიზმში შეზრდას იცავდა. ამიტომ მან თავისი პროგრამის განხორციელება ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური სახელმწიფოს შენებით დაიწყო. ვინც ჟორდანიას პროგრამას არ ეთანხმებოდა და მის განხორციელებას ხელს უშლიდა — მენშევიკები მას ხალხის ძტრად და მოღალატედ აცხადებდნენ.

ნოე ჟორდანიას გვერდით მომცრო ტანის ბრგე ვაჟკაცი— ოფიცერი იმნაძე მიჰყვებოდა. ჟორდანიამ თავი დაუკრა ქავთარაძეს, იმნაძემ კი თვალი მოარიდა და განზე გაიხედა. ეს საქციელი ქავთარაძეს არ მოეწონა და გაუკვირდა. იმნაძე კარგად იცნობდა მას და აი, ახლა ათასი ფიქრი და ეჭვი დაებადა: „როგორ ავხსნა იმნაძის საქციელი? რად ამარიდა თვალი? ჩვენი შეხვედრა ყოველთვის მეგობრული იყო. მე ის 1915 წელს სოფელ ლანჩხუთში გავიცანი. მაშინ იგი ჩვენს რიგებში ირიცხებოდა. იგი გვშველოდა ჩვენ მიტინგების მოწყობაში აქაც, თბილისშიც, 218-ე ლეგიონის მიტინგი მან მოკვეწყო ბოლშევიკებს, მაგრამ მერმე რა მოუვიდა? ჰო, მართლა ახლა მოიმაგონდა: 218-ე ლეგიონის განიარაღებისა და რუსეთში გამგზავრების შემდეგ იმნაძე შემხვდა და განმიცხადა: ლენინელთა შეურიგებელ პროგრამას არ ვიზიარებო. ამიერიდან მემარჯვენე ბოლშევიკი ვაროო. მაშინ მე ამისათვის ჯეროვანი ყურადღება არ მიმიქცევია, მაგრამ ახლა, შესაძ-

ლოა, იმნაძე ჟორდანიას პროგრამას იზიარებს, მენშევიკებს ეკედლება და, როგორც ყოველთვის, სხვა პარტიიდან ნოსული ახალი კაცი, სხვაზე უფრო მეტ გულმოდგინეობას, ერთგულებას იჩენს და ყურადღების დამსახურებას ცდილობს. იქნებ ამიტომ დაირცხვინა და ამაღირდა თვალი? რა ვიცი? იმნაძე ყოველთვის კეთილსინდისიერი, წესიერი, მკვირცხლი და მაჭაცი ჭაბუკის შთაბეჭდილებას სტოვებდა", — ფიქრობდა ქავთარაძე და ერთხელ კიდევ მიიხედა უკან: „იქნებ რაღაც აქვს სათქმელი, მაგრამ არა სურს, ჟორდანიამ რომ იცოდეს ჩვენი ნაცნობობა". იმნაძე ჟორდანიას გვერდით სვლას განაგრძობდა. რაღაცას ეუბნებოდა მას და უკან ერთხელაც არ ჰოუხედავს.

ქავთარაძე ალექსანდრეს ბაღში შევიდა. ტრიბუნასთან მუშები და ჯარისკაცები ჯგუფ-ჯგუფ-დ იდგნენ და უკანასკნელი დღეების განმავლობაში ნომხდარ ამბებზე გაცხოველებით მსჯელობდნენ. ქავთარაძემ ფილიპე მახარაძე, მაშია ორახელაშვილი, ბესო ალავიძე, ვანო მახათაძე და ბევრი სხვა ამხანაგი დაინახა. მათთან მივიდა და მიესალმა. მახათაძე ძალიან გამხდარი მოეჩვენა. მახათაძეს მხრები აეჩეჩა და მაზარა კაჩხაზე ჩამოკიდებულივით სჩანდა. იგი მუშებს, ჯარისკაცებსა და წითელ დროშებს გასცქეროდა. მას უყვარდა ეს ხალხი და სწამდა მათი გამარჯვება. ფაბრიკა-ქარხნების გაფიცული მუშები წითელი დროშებით შემოვიდნენ ბაღში. მათთან ერთად უამრავი ჯარისკაცი და მოქალაქე შემოვიდა. მიტინგის ხელმძღვანელები და ორატორები ტრიბუნაზე ავიდნენ. მიტინგი ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციის წარმომადგენელმა კუზნეცოვმა გახსნა. მისი წინადადებით მიტინგის თავმჯდომარედ სერგო ქავთარაძე იქნა არჩეული.

— ამხანაგებო, — მიმართა ქავთარაძემ ხალხს, — დღეს, ათ თებერვალს, ჩვენ შევიკრიბენით აქ იმისათვის, რომ გამოვაცხადოთ პროტესტი ამიერკავკასიის სეიმის გახსნის გამო, რომელმაც იურიდიულად უნდა გააფორმოს საბჭოთა რუსეთიდან ამიერკავკასიის გამოყოფა, დაგმოთ კონტრრევოლუციური პარტიების — მენშევიკების, ესერების, ნაციონალდემოკრატების, ფედერალისტების, მუსავატელებისა და დაშნაკების ბლოკის პოლიტიკა. ჩვენ გამოვთქვამთ რევოლუციურ პროტესტს ბოლშევიკების წინააღმდეგ მიმართული რეპ-

რესიების გამო. მენშევიკები განუკითხავად აპატიმრებენ ჩვენს ამხანაგებს თბილისსა და პროვინციებში, ხურავენ ჩვენს გაზეთებს. გუშინ მენშევიკები თავს დაესხნენ და დაარბიეს გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩის“, „ბრძოლის“ და „ბანვორი კრივის“ რედაქციები. ამ გაზეთების რედაქციების თანამშრომელნი კი დააპატიმრეს. დაე, მძვინვარებდნენ და ავობდნენ რევოლუციის მტრები. დაე, ღვრიდნენ რევოლუციურ მებრძოლთა სისხლს. რევოლუცია მაინც გაიმარჯვებს! უკვე რამდენიმე დღეა, რაც მენშევიკების პროვოკატორები ავრცელებენ ყალბ ხმებს თითქო მზადდებოდეს ბოლშევიკების გამოსვლა. გამორიცხული არ არის პროვოკაციული გამოხდომები მენშევიკების მხრივ დღევანდელ მიტინგზეც, ისე როგორც ეს მოხდა აქვე, პროფკავშირების მიტინგზე. ამიტომ, ამხანაგებო, მოგიწოდებთ დაიცვათ წესრიგი და სიმშვიდე, რომ არ წამოვეგოთ კონტრრევოლუციის აგენტების რაიმე პროვოკაციაზე.

პირველი ორი ორატორი ლაპარაკობდა: რომ ამიერკავკასიის ხალხებს სჭირდება არა მკვდარშობილი სეიმი, არამედ ძმური კავშირი საბჭოთა ხელისუფლების დროშის ქვეშ. ისინი მოითხოვდნენ დაპატიმრებული ამხანაგების დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მეტეხის ციხიდან და ბოლშევიკური გაზეთების გამოცემას.

შემდეგი ორატორი — პეტრენკო ამბობდა ფრონტელ ჯარისკაცთა განწყობილების შესახებ.

— სამასმესამე ვერსზე მდგარი რვა პოლკი, — მოახსენა მან მიტინგს, — კარგად არის ორგანიზებული და შეიარაღებული, მათ სათავეში მათივე არჩეული კომიტეტები დგანან. ჯარისკაცთა შორის არიან ისეთები, რომელთაც სურთ თბილისზე წამოვიდნენ და ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური მთავრობა დაამხონ. სამხედრო რევოლუციური კომიტეტი ჯერჯერობით აკავებს ეშელონებს. მაგრამ, — განაცხადა პეტრენკომ, — ამიერკავკასიის მთავრობა თუ შეეცდება მეოთე შამქორი მოაწყოს, თუ ისევ გააგრძელებს რეპრესიებს მუშათა პრესისა და ბოლშევიკების მიმართ, მაშინ ჩვენ ვეღარ დავაკავებთ ეშელონებს და ჯარისკაცები თბილისს შემოუტევენ.

გამოსულ ორატორთა სიტყვების შინაარსი მალე შეიტყო მთავრობამ და სასტიკი ზომების მიღება გადასწყვიტა.

ტრიბუნაზე ექსელბანტებით მორთული ოფიცერი — ქალაქის კომენდანტის ადიუტანტი ყიფიანი ავიდა და მიტინგის თავმჯდომარეს წინადადება მისცა:

— თანახმად კომენდანტის ბრძანებისა, მიტინგი ქალაქსა და მის მიდამოებში აკრძალულია. ახლავე დაშალეთ მიტინგი.

— შესაძლოა, მე თქვენ არ მიცნობთ, — მტკიცედ მიუგო ქავთარაძემ, — მაგრამ ისინი, ვინც თქვენ გამოგგზავნათ, კარგად მიცნობენ. მაშ, წადით, ადიუტანტო, და მოახსენეთ მათ, რომ მიტინგის თავმჯდომარე სერგო ქავთარაძეა, რომელიც თავის თავზე ღებულობს მთელ პასუხისმგებლობას მისი მშვიდობიანი ხასიათის შესახებ, თუკი მთავრობის მხრივ არ მოხდა რაიმე პროვოკაცია.

— მე ჩემი მოვალეობა შევასრულე. ახლა კი, როგორც გენებოთ, ისე მოიქეცით, — მოკლედ მოსჭრა ადიუტანტმა, ტრიბუნის კიბე ჩაირბინა, ხალხი გააპო და ის-ის იყო ბაღის ჭიშკარში გავიდა, როდესაც გვარდიელი ილარიონ ძნელაძე შეეყარა. ილარიონმა უთხრა:

— რას გავს აი? შეგროვილან ქალაქის შუაგულში ფირალები და ქვეყნის მოსპობით გვემუქრებიან.

— მოშორდით აქაურობას, — ურჩია ადიუტანტმა და წტაბისაკენ გასწია.

2

ადიუტანტი ქალაქის მცველ შტაბის უფროსს — ვერეშჩაკს ეუბნებოდა:

— მიტინგს სერგო ქავთარაძე ხელმძღვანელობს. იგი მიტინგის დაშლაზე უარს აცხადებს.

— ძალით დავშლით! — დაიძახა ვერეშჩაკმა და თბილისის საბჭოს აღმასრულებელ ბიუროში გასწია. იქ ამიერკავკასიის მთავრობის ზოგიერთი წევრი მისულიყო. ულვაშებგადაგრეხილი გვარდიელი ილარიონ ძნელაძე ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარეს ევგენი გეგეჭკორს ეუბნებოდა:

— არა, ევგენი, ახლავე უნდა ვიფრინოთ ისინი, მერე

გვიან იქნება. სალდათები ვიცით: ქვას ქვაზე დაკრეფენ თბილისქალაქში და არც ერთ მენშევიკს არ დავტოვებთო.

— ვერაფერსაც ვერ დაგვაკლებენ, — აბშვიდებდა ევგენი.

გვარდია მენშევიკების პარტიული ჯარი იყო. მენშევიკებს ლიდერებსა და გვარდიელებს შორის მეგობრულ-ძმაბიჭური, უბოდიშო და მოურიდებელი დამოკიდებულება სუფევდა. ამით აიხსნებოდა ილარიონის შეჭრა ბიუროში, მთავრობის წევრებთან მისი უბოდიშო საუბარი და სახელმწიფოებრივ საკითხებში ჩარევა. განუწყვეტლივ შემორბოდნენ ბიუროში აქელებული გვარდიელები, თანამდებობის პირნი და ალექსანდრეს ბაღიდან ჰორები მოჰქოხდათ:

— მიტინგმა ჩვენს მიერ გაგზავნილი მილიციელები გაანაიარაღა. მიტინგი მეტეხზე გალაშქრებასა და პატიმრების გათავისუფლებას აპირებს...

ოთახში საშინელი ყაყანი იდგა. ყველა თავის მოსაზრებას გამოსთქვამდა, თუ რა ზომები უნდა მიეღო მთავრობას მიტინგის წინააღმდეგ.

— შესწყვიტეთ ეს ბაზარი! მოგვეცით მუშაობის საშუალება! — დაიძახა მაღალმა და გამხდარმა კაცმა — ნოე რამიშვილმა და ზედმეტი ხალხი ოთახიდან გაარეკინა.

სწორედ ამ დროს შევიდა ბიუროში სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი ქალაქის მცველი შტაბის უფროსი ვერეშჩაკი. რამიშვილი მასთან მიიჭრა და განუცხადა:

— ჩაჰკეტეთ მიტინგი. არ გამოუშვათ იგი ბაღიდან ქალაქში სადემონსტრაციოდ, თორემ უდიდესი სკანდალი მოხდება, ყოველივე ამას საშწუხარო შედეგი მოჰყვება.

ოთახში ადიუტანტი ყიფიანი. შტაბს-კაპიტანი ავაქიანი და სხვა სამხედრო პირები შემოცვივდნენ.

— მიტინგის დამთავრების შემდეგ ბოლშევიკები ქალაქში გამოსვლას აპირებენ!—დაიძახა ყიფიანმა.

— სეიმის გარეკას! — დაამატა სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილმა საგანგებო რაზმის თანამშრომელმა.

— მიტინგზე კუზნეცოვი, ბაქოს ბოლშევიკები ჯოჯილან, — დაასმინა მიტინგი ავაქიანმა.

— კუზნეცოვი? ბაქოს-ბოლშევიკები?!

— მოქალაქენო, პანიკას ნუ შევქმნით! — განაცხადა აუ-

ღელვებელი ხმით და სრულიად მშვიდი სახით ევგენი გეგეჭკორმა. — ბაღში ჩავკეტოთ მიტინგი, მორჩა და გათავდა.

— ჩაკეტა არ კმარა, — შენიშნა რამიშვილმა და მერმე ვერეშჩაკს უბრძანა: — გარეკეთ მიტინგი. თუ არ დაგმორჩილდნენ, ძალა იხმარეთ.

თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა რებრუხმა რამიშვილის მრისხანე სახეზე ურყევი გადაწყვეტილება ამოიკითხა, შეშინდა და წაილუღლუღა:

— მე ვფიქრობ, მიტინგის ძალით გარეკა მიზანშეწონილი არ იქნება და არც ივარგებს.

— მე მიზანშეწონილად მიმაჩნია. კეთილ ინებეთ და ხელს ნუ გვიშლით! მე კარგად ვიცნობ ბოლშევიკებს და მათ ხრიკებს, განზრახ მოიწვიეს მიტინგი სეიმის გახსნის დღეს. მათი მიზანი — სეიმის ჩაშლაა, ამის უფლებას არ მივცემთ, გარეკეთ მიტინგი! — ისევ უბრძანა რამიშვილმა ვერეშჩაკს.

— მე მაინც ვფიქრობ, ძალით მიტინგის გარეკა არ ივარგებს, — ისევ გაუბედავად შეაპარა რებრუხმა.

რამიშვილი აღენთო, რებრუხთან მიიჭრა, თვალები ყაჩაღივით შეანათა და უყვირა:

— მაშ, რას გვიბრძანებთ? ნაძირალები და ცილისმწამებელნი ხალხში ათასგვარ ჭორსა და სიცრუეს ავრცელებენ, შხამსა და გესლს ანთხევენ. ამიერკავკასიის „რევოლუციური დემოკრატიის“ მიერ არჩეულ მთავრობას აგინებენ და ათრევენ. ვიგინდარები „რევოლუციური დემოკრატიის“ ორგანოების დამხობისაკენ მოუწოდებენ მიტინგს. ანარქიით, ეშელონებით, სისხლითა და ტყვიით გვემუქრებიან, თქვენ კი არავითარ ზომების მიღებას არ გვირჩევთ?!. გიცნობთ, გიცნობთ, რაც ვაჟბატონი ბრძანდებით, თქვენც ბოლშევიკების ამფსონი ხართ, თქვენც მათ მიგაყოლებთ. — რებრუხი დაიბნა და ვერაფერი ვერ უპასუხა. რამიშვილი ვერეშჩაკს მიუბრუნდა და კვლავ უბრძანა:

— ახლავე გარეკეთ მიტინგი!

— არის!

ხანმოკლე თათბირის მერმე მთავრობის წევრები სეიმის გახსნაზე დასასწრებად გაეშურნენ, ვერეშჩაკი კი ქალაქის მცველ შტაბში.

ვერეშჩაკმა სამი ოფიცერი — იმნაძე, ყიფიანი და ნიკოლაძე გამოიძახა. მისი განკარგულების თანახმად, ოფიცრებმა სამოცდათხუთმეტი გვარდიელი გამოიყვანეს. ამ რაზმს ალექსანდრეს ბაღში გაჰყვა აგრეთვე ქალაქის საბჭოს აღმასკომის წევრი, შტაბს-კაპიტანი ავაქიანი. ავაქიანს კუზნეცოვის მოძებნა და მისი დაპატიმრება დაევალა.

3

შტაბის ეზოში გვარდიელები საჩქაროდ იკრიბებოდნენ. წელზე ფალასკებს ირტყამდნენ. ზოგი გზაში სტენიდა შაშხანას და საკეტს აჩხაკუნებდა. ზოგსაც წვივსახვევის გაკეთება ვერ მოესწრო და ისე მიძუნძულებდა რაზმში ჩასადგომად.

სასახლის წინ მოსეირნე ხალხი შეჩერდა და შტაბის ეზოდან წითელი დროშით გამოსულ გვარდიელთა რაზმს გაჰხედა. როდესაც რაზმი ბარიატინსკის ქუჩას მიუახლოვდა, გვარდიელებმა ნაბიჯი შეანელეს.

— სად მიდიან? რა მოხდა? — ეკითხებოდნენ ერთმანეთს გამვლელნი.

რაზმმა გამზირიდან ბარიატინსკის ქუჩაზე შეუხვია და ბაღის ჭიშკარს ფეხაკრეფით მიადგა.

მიტინგზე ჯარისკაცის ბუშლატში გამოწყობილი ძველი ბოლშევიკი ნესტორ ცერცვაძე ამბობდა ახლა სიტყვას. მოხუცს შეკრეჭილი ჰაღარა წვერი და კეთილი, მოცისფრო თვალების ზემოთ გაფანჩული წარბები ჰქონდა. მოხუცის სიტყვა ხატოვანი და ჰკუამახვილური იყო. მიტინგზე მოსულ მრეცხავ ქალს — მარინესაც კი ელიმებოდა, მიუხედავად თავისი ჯავრისა, მის ოხუნჯობაზე. ვანო მახათაძემ ტრიბუნიდან დაინახა მარინე და თავი დაუკრა.

— ამხანაგებო, — ამბობდა ცერცვაძე, — ამიერკავკასიის მთავრობამ შამქორში გამართული სასაკლაოს მოწყობის შემდეგ ნიღაბი ჩამოიხსნა. მათი ბრძანებით მიმდინარეობს მასობრივი დაჭერები, ირბევა და იხურება ბოლშევიკების გაზეთები. ახლა უკვე ყველასათვის აშკარაა, რომ მენშევიკებმა უღალატეს რევოლუციას, გასცეს და მიჰყიდეს იგი მრეწველებს და მემამულეებს, როგორც იუდამ ქრისტე ოცდაათ ვერცხლზე, ეს მენშევიკებმა მოსწყვიტეს საქართვე-

ლო რევოლუციურ რუსეთს, ეს მათ ჩაუკეტეს რუსეთისაკენ მიმავალი კარები ქართველ ხალხს. თუ ვინმე მდიდრდება ახლა ჩვენში, ეს — სპეკულანტები, ვაჭრები და მემამულეები არიან. სული სულს იცნობს და გული გულსო, ნათქვამია. მენშევიკები მათ დაუმეგობრდნენ და მათ ინტერესებს იცავენ. ამიტომ მენშევიკების ლიდერის — ნოე ჟორდანიას თვითეულ სიტყვას ტაშის ცემით და ოვაციით ეგებებიან ისინი, ყველა ჯურის კონტრრევოლუციონერები. ამხანაგებო, ჟორდანია, ისე როგორც სამსახოვანი ღმერთი — ასახიერებს თავის თავში საქართველოში არსებულ სამ კონტრრევოლუციურ პარტიას: მენშევიკებს, რომელთაც მოატყუეს და გაჰყიდეს ნუშები და გლეხები; ნაციონალ-დემოკრატებს — მრეწველების, ვაჭრებისა და მემამულეების ქომაგებს; ფედერალისტებს — ამ უჯარო გენერლების, კოტორ-აზნაურების, მღვდლებისა და მშიშარა ინტელიგენციის ხროვას. ამრიგად, სალმთო სჯულის სიტყვები: ღმერთი ერთია, მაგრამ სამსახოვანი — მამა, ძე და სულიწმიდაო, — მენშევიკების ლიდერმა — ნოე ჟორდანიამ საქმედ აქცია.

ხალხში სიცილი გაისმა, რაც მალე სარხარში გადავიდა.

უცბად ხარხარი შეწყდა. ხალხი ამოძრავდა. ბაღში გვარდიელების შეიარაღებული რაზმი შევიდა. ვინც რაზმელების სახე ახლოს დაინახა, ზედ ავის მაუწყებელი განზრახვა ამოიკითხა და შეშინდა. ზოგი გაიქცა კიდეც. მიტინგის თავმჯდომარემ, სერგო ქავთარაძემ, შავ ჩოხაში გამოწყობილი შტაბს-კაპიტანი იმნაძე იცნო და ტრიბუნიდან ჰკითხა:

— რა ამბავია?

— არაფერია, — მიუგო იმნაძემ და თანაც გაქცეულთ გასძახა: — ნუ გარბიხართ, შეჩერდით!

ქავთარაძე დარწმუნდა, რაზმი ავი განზრახვით არ მოსულაო, და ხალხს გასძახა:

— ამხანაგებო, დამშვიდდით. ესენი ქართული ლეგიონის ჯარისკაცები არიან... წითელი დროშით მოვიდნენ... სურთ, ჩვენს ორატორებს მოუსმინონ.

— მამა გიცხონდა! — ჩაილაპარაკა ძნელაძემ.

გაქცეული ხალხი დაბრუნდა.

ტრიბუნის წინ ისევ ზღვა ხალხი ტრიალებდა. მუშათა და ჯარისკაცთა თავებზე წითელი დროშები ფრიალებდნენ. ხალხი დამშვიდდა.

სიტყვა ვანო მახათაძეს მისცეს.

— დღეს, — დაიწყო მან, — მენშევიკები, მუსავატელები და დაშნაკები სამარეს უთხრიან ამიერკავკასიაში რევოლუციის მონაპოვარს. მაგრამ, ამხანაგებო, ნუთუ თქვენ დაანებებთ მათ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების მოსპობას?

ბაღის ჭიშკართან შეჯგუფებული რაზმი გველის მორგვივით გაიშალა, გალავნის ხეივნის გასწვრივ გაცოცდა და ხალხი ბარიატინსკის ქუჩას მოსწყვიტა.

მიტინგი ისევ ამოძრავდა, შეტორტმანდა... გვარდიელებმა შაშხანები გადმოიღეს, გაიშალნენ, ხეივნები გადაირბინეს და მიტინგს ალყა შემოარტყეს. ასეთივე ალყა შემოარტყა მიტინგს მადათოვის კუნძულის მხრიდან ჭიშკარში შემოსულმა რაზმმაც. ეს ორი რაზმი თითქმის ერთდროულად შემოვიდა ბაღში. მახათაძემ ტყვიამფრქვევი დაინახა და ქავთარაძეს უთხრა:

— ღალატია!

ქავთარაძე მიბრუნდა, გვარდიელებისათვის სიტყვა უნდა ეთქვა, მაგრამ ერთი სიტყვის თქმაღა მოასწრო: „ამხანაგებო!“ მაშინვე შტაბს-კაპიტანმა იმწამს ნიშანი მისცა: ნაგანი გაისროლა. ლულიდან ცისფერი ბოლი ამოიკლაკნა. იმწამს მარჯვენა ხელი მაღლა აწეული დარჩენოდა, გაფითრებულიყო, თვალები გიჟსავით ანთებოდნენ. პირველი დაშენა ჰაერში გააკეთეს. ხალხმა ვერ გაიგო, უცბად, რაში იყო საქმე და გვარდიელებს გაოცებით მიაშტერდა. მერმე ბევრი მიწაზე დაწვა და ზოგიც გაიქცა. მეორე დაშენა გვარდიელებმა ხალხისაკენ მიმართეს. ტრიბუნაზე მდგართა ყურებთან ტყვიებმა გაიზუზუნეს. მოხუცი ორატორი და რამდენიმე კაცი პირქვე დაეცნენ. მესამე დაშენა ვერაგული იყო. მან სამი კაცი იმსხვერპლა. ბავშვთა და ქალთა წივილ-კივილი გაისმა. ტრიბუნა დაცარიელდა.

ზედ მხოლოდ ქავთარაძე დარჩა.

— ერთად ნუ გარბიხართ. — ყვიროდა იგი. — ნელა დაიშალეთ. ისინი ვერ გაბედავენ უიარაღო ხალხს ესროლონ!

ბაღში აშენებულ პატარა სახლის კუთხესთან, სანაგვე ყუთზე, გვარდიელმა ტყვიამფრქვევი შედგა, გამართა და მალე აამუშავა. ქავთარაძემ ტრიბუნის კიბე ჩაირბინა და ისიც ამ-

ხანაგების გვერდით დაწვა. კიბეზე ჩარბენის დროს კეპი გაუხვრიტეს. ტყვიამფრქვევი კოდალას ნისკარტივით უკაკუნებდა ტყვიებს ხის ტანსა და ტოტებს. ჯარისკაცებს ტყეში ბრძოლა აგონდებოდათ.

ერთმა რუსმა ოფიცერმა ხეივანში გაირბინა და ბარიატინსკის ქუჩაზე გასვლა დააპირა. გვარდიელებმა შესძახეს და შეაჩერეს.

— მე პოლკოვნიკი ვარ, საქმეზე მივდიოდი. ბაღში შემთხვევით მოვხვდი... გამიშვით, — მოითხოვდა ოფიცერი.

— დაწექით, პოლკოვნიკო! — გასძახა გვარდიელმა. მაშინვე პოლკოვნიკს ფეხში ტყვია მოხვდა და ახლა იგი უნებლიეთ დაწვა მიწაზე.

ტრიბუნასთან სერგო ქავთარაძე და მათი ამხანაგები იყვნენ. დაჭრილი პეტრენკო სისხლისაგან იცლებოდა.

ისმოდა ბავშვთა და ქალთა ტირილი. აქა-იქ თეთრ ცხვირსახოცს აფრიალებდნენ.

ბოლოს იმნაძემ სასტვენი დაუკრა და სროლა შეწყდა.

მაშინ შტაბს-კაპიტანი ავაქიანი, მაუზერით ხელში, მიწაზე დაწოლილ ხალხისაკენ გაეშურა.

— არ წამოდგეთ! არ გაინძრეთ! — ყვიროდა იგი, — თორემ ყველას დაგხოცავთ! — იგი ხან ერთთან, ხან მეორესთან მიიჩრებოდა და სახეზე აკვირდებოდა: კუზნეცოვს ეძებდა.

— შტაბს-კაპიტანო, — თხოვა ექიმმა მაშია ორახელაშვილმა, — მე ექიმი ვარ, ნება მომეცით, დაჭრილებს დახმარება აღმოვუჩინო.

— აღმოუჩენენ, დარდი ნუ გაქვთ, — მოუჭრა ავაქიანმა და გაშორდა.

მას ორი გვარდიელი მიჰყვა. გვარდიელებმა მიწაზე დაგდებულ დროშას ფეხი დააბიჯეს. დროშაზე ეწერა: „ახალი თავისუფლების განთიადი“. მახათაძემ ფეხქვეშ გათელილ დროშას ხელი დასტაცა და მაღლა ასწია.

— ვის ესვრით? — აგზნებით იყვირა მან, — უიარაღო ხალხს, ბავშვებსა და ქალებს? სირცხვილი და შეჩვენება თქვენ!

გვარდიელმა შეაგინა და ნაგანი ესროლა. ტყვია მხარში მოხვდა. ვანო დაბარბაცდა, წაიქცა და დროშა ხელიდან გაუვარდა.

სროლა ისევ განახლდა. ხალხი კვლავ მიწას გაეკრა. ბავშვები და ქალები შიშისაგან კანკალებდნენ, ხელებს იმტვრევდნენ და მოკრუნჩხულ თითებზე იკბენდნენ. სასაკლაოზე მიყვანილ პირუტყვის მსგავსი ღმუილი ისმოდა:

— გაგვიშვით! შეგვიბრალეთ, ნუ დაგვხოცავთ!

ქავთარაძემ იფიქრა: იმნაძე და ავაჭიანი მიცნობენ და, ალბათ, გამათავებენო. მან შეამჩნია, რომ ბაღის ნაწილი გიორგიევის ქუჩისაკენ, სადაც ბუკინისტების მაღაზიები ჩარაზმულიყვნენ, არ იყო დაცული გვარდიელების მიერ. წამოდგა, მოიკუზა და გაიქცა. რკინის ღობეზე გადახტა და მახლობელ სახლის ეზოში შევარდა.

— ამხანაგო, ქუდი დამითმე! — შეეხვეწა იგი ქუჩიდან ეზოში შემოსულ სტუდენტს. სტუდენტმა მაშინვე მოიხადა ქუდი და გაუწოდა. ქავთარაძემ თავისი კეპი გადასცა, სალდათის ბაზარი გაიარა, ავლაბრის ხიდისკენ მიმავალ ქუჩას დაადგა და გაიფიქრა: „აი, რისთვის მომარიდა თვალი ამ დილით იმნაძემ“.

ალექსანდრეს ბაღიდან ისევ თოფის სროლა ისმოდა. ერთ მოხუც მუშას ტყვია ყელში მოხვედროდა, სისხლი თუხთუხით გადმოსვლოდა და მიწაზე გუბე დაეყენებინა. ამხანაგს სურდა მასთან მიცოცებულიყო, მაგრამ მის გვერდით წამომდგარ ჩაბალახიან ვიღაც ვაჟკაცისათვის ტყვიას მკერდი გაეგლიჯა. ადგომა არ ხერხდებოდა... ყველა დედამიწას გაჰკროდა. წაქცეული ჯარისკაცის ხელი სისხლის გუბეში ჩავარდნილიყო. ჭკუაზე შემცდარი ქალის ზარდამცემი კივილი გაისმოდა.

იმნაძემ ისე დაუკრა სასტვენი და სროლა შეაჩერა.

ბაღიდან მკვდრები და დაჭრილები გამოჰქონდათ.

მალე ბაღი დაცარიელდა. მიტინგისათვის აღმართული ტრიბუნა სდუმდა. ფეხით გათელილი და გვარდიელების მიერ დახეული წითელი დროშები მიწაზე ეყარა. იქვე ეგდო მახათაძის ხელში ნაჭერი დროშაც, რომელზედაც „ახალი თავისუფლების განთიადი“ ეწერა. ტრიბუნის ირგვლივ დაჭმუჭვნილი გაზეთები, მზესუმზირიტას ჩენჩო და თხილის ნაჭუჭები ეყარა. მგლოვიარე ჰირისუფლებივით ასუდრული კვიპაროსები ცახცახებდნენ. ზედ ყვავები შემომჯდარიყენენ და ჩხაოდნენ...

ჰოსპიტალში

მწერალს იმდენივე სიმამაცე ეჭირვება, რამდენიც მებრძოლს: მწერალი უნდა ფიქრობდეს ჟურნალისტებზე არა უმეტეს იმისა, ვიდრე მებრძოლი ჰოსპიტალზე.

სტენდალი

1

კორნელი მუშტაიდის ახლოს ტრამვაიდან ჩამოვიდა.

მუშტაიდის ბაღის წინ, სააბრეშუმო სადგურის შენობაში, ჰოსპიტალი მოეწყოთ. კორნელიმ ჰოსპიტლის ბაღის ჭიშკარი შეაღო. ომში დაჭრილი, უფეხო და უხელო, ყავარჯნიანი ჯარისკაცები ბაღის სკამებზე, ჰოსპიტლის კიბეზე ისხდნენ და მზეზე თბებოდნენ. ზოგს თავი ჰქონდა შეხვეული, ზოგს კი ფეხი და ხელი. ჯარისკაცები საცვლების ამარა იყვნენ. ჩუსტები და ჰოსპიტლის ძველი, გაცვეთილი ხალათები ეცვათ. ომში დაჭრილებს, დასახიჩრებულთ და სისხლდაშრეტილთ მუშტაიდის ბაღში ჯანსაღ ჯარისკაცთა ღრეობა შურდათ. დამცინავი ღიმილით გააყოლეს თვალი ამპარტავანი სახითა და ნაბიჯით მიმავალ ჭაბუკ ჯარისკაცს. კორნელის შერცხვა, ჰოსპიტლის კიბე აირბინა, კარები შეაღო და დერეფანში შევიდა.

ქვედა სართულში უფროსი ექიმის კაბინეტი, კანცელარია და აფთიაქი იყო, ზედაში — პალატები, ამბულატორია, საოპერაციო ოთახი. დერეფანში ექიმები, ფერშლები და ბორჩენილი ჯარისკაცები ფუსფუსებდნენ. ბელნიერი ჯარისკაცები სანიტარული ფურცლისა და შვებულების მისაღებად შედიოდნენ კანცელარიაში.

აფთიაქის კარებთან კორნელიმ ოლღა თავაძე დაინახა— პირმრგვალი, შავთვალწარბა, ეშხიანი, მომცრო ტანის ახალგაზრდა ქალი. იგი ფარმაცევტი იყო, ჰოსპიტლის აფთიაქის მომუშავე. გვერდზე მასავით მომცრო ტანის, თავდიდა სტუდენტი ედგა, ძმა—გიგო თავაძე. ოლღა და გიგო კორნელის სამშობლო სოფლიდან, კარისმერეთიდან იყვნენ, ღარიბი კაცის, ნალბანდის შვილები. გიგოს გასულ წელს დაემთავრებინა ქუთაისის გიმნაზია. იგი ახალგაზრდა მარქსისტთა შო-

რის გამოირჩეოდა, როგორც მცოდნე და ენამწარე მოკამათე. ოქროსფერღილებიანი, მოძველებული, ლურჯი დიაგონალის ქურთუკი ეცვა, ლურჯივე ქუდი ეხურა. გიმნაზიის დამთავრების მერმე უსახსრობის გამო გიგო რუსეთში ვერ წასულიყო. თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის მსმენელად ირიცხებოდა. კორნელი მიესალმა დაძმას. თავაძეებმა მოკრძალებითა და მოწიწებით ჩამოართვეს ხელი.

— კორნელი, ძმის სანახავად მობრძანდით? — ჰკითხა ოლღამ.

— დიახ, — მიუგო კორნელიმ.

— ბატონი ევგენი უფროსი ექიმის კაბინეტში გახლავთ. კორნელი, — დაიწყო ოლღამ, — ევგენის ძმა რომ ბრძანდებით, იმიტომ არ მოგახსენებთ, დედას გეფიცებით, თქვენი ძმისთანა კაცის მნახველი არა ვარ. ექიმებს, ფერშლებს, მოსამსახურეებს, ავადმყოფებს, დარაჯები რომ დარაჯებია, იმათაც კი ისე უყვართ, ისე უყვართ ბატონი ევგენი, რომ ვერ აგიწერთ,—ქალმა მაყვლისფერი თვალები განაბა, გაიღიმა და ნიკაპი წინ წასწია. — მიბრძანდით, ბატონო კორნელი, კაბინეტში, — დასძინა მან.

— არა, აქ დავუცდი, — უთხრა კორნელიმ და უფროსი ექიმის კაბინეტს გაჰხედა. გიგომ ჰკითხა:

— რა საგანს ასწავლის ევგენი უნივერსიტეტში?

— ტოპოგრაფიულ ანატომიას და ქირურგიას, — მიუგო კორნელიმ.

— ძალიან სასიხარულოა, ჩვენმა სოფელმა ასეთი ნასწავლი და სასიქადულო შვილი რომ მისცა ჩვენს ქვეყანას,— უთხრა გიგომ და გულში კი გაიფიქრა: „რატომ არ იქნებით, ბიძია, ნასწავლი და დაწინაურებული, დოქტორები და პროფესორები? ბავშვობიდანვე ხელის გულზე გატარებდნენ, ჩიტის რძეც კი არ მოგკლებიათ. მე კი მჭადის ნატეხი მენატრებოდა. შობა-ახალწელს და აღდგომა დღეს თუ გვეღირსებოდა ხორცი. ავდარსა და თოვლ-ჭყაპში დახეული წუღით დავტყაპუნებდი. მეხუთე კლასიდან რეპეტიტორობით თავს ვირჩენდი. კაცი პატრონი დღესაც არა მყავს და რა პროფესორი და მეცნიერი უნდა გამოვიდეს ჩემისთანა საწყალი, ღარიბი გლეხის შვილისაგან?“ — გიგომ შურით შე-

ბედა კორნელის თეთრ სახეს, კოკობ ულვაშებს, ლამაზად დახატულ ვიწრო წარბებს, შევარდენსავით ბასრ თვალებს, რომელშიც სიმხნე და მამაცობა გამოსჭვიოდა.

კორნელის გრძელი და კოხტად შეკერილი მაზარა ეცვა, ზედ ხმალი და ნაგანი ეკიდა. ჟოლოსფერ ეპოლეტებზე ფეიერვერკერებისათვის მიჩნეული სამი ზოლი დაჰყვებოდა გარდიგარდმო. ეპოლეტის ღილთან ზარბაზნის გადაჯვარედინებული ორი ლულა და მათ შორის აფეთქებული ყუმბარა ეკრა. გაპრიალებულ ჩექმებზე დეზები გაეკეთებინა. „ოფიცრობა თუ უნდოდა, უნივერსიტეტში რაღას შედიოდა?“— გაიფიქრა გიგომ, თავის დაგლეჯილ და ქუსლმოქცეულ ფეხსაცმელზე დაიხედა, სტუდენტური ქურთუკი გაისწორა და ისევ გააბა კორნელთან საუბარი.

— აგერ, ბატონი ევგენი მობრძანდება, — დაიძახა ალტაცებით ოლღამ.

კაბინეტიდან უფროსი ექიმი — თერაპევტი შალვა მიქელაძე და ქირურგი ევგენი მხეიძე გამოვიდნენ. ევგენი მაღალი და ახოვანი კაცი იყო. თეთრი ხალათი ეცვა და თეთრივე ქუდი — ჩაჩი ეხურა. უფროსი ექიმის ქცევა და გამომეტყველება ამტკიცებდა ევგენისადმი მის პატივისცემასა და მოკრძალებას. კორნელის უფროსი ძმა, ევგენი მხეიძე, ჰოსპიტლის ქირურგიული განყოფილების გამგე იყო. იგი ახლახან ჩამოსულიყო რუსეთიდან, სადაც ანატომიის ცნობილი პროფესორის ასისტენტად მუშაობდა. მსოფლიო ომის დროს ფრონტზე სამხედრო ექიმად მუშაობდა და დასახიჩრებულ ჯარისკაცებზე ოპერაციებმა დიდი პრაქტიკა შესძინეს. თავის ქალის ტრეპანაციისა და ტვინის არეში ჩატარებული ოპერაციებით იმთავითვე დიდი ყურადღება მიიქცია. 1912 წელს ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია ტოპოგრაფიულ ანატომიაში და დოქტორის წოდება მიანიჭეს. იგი მაღალი და გამხდარი კაცი იყო. შინაგან სნეულებათა ექიმი შალვა მიქელაძე კი, მომცრო ტანისა. შავწვერულვაშიანი შალვა ძალიან ჰგავდა ცნობილ რუს მოგზაურს მიკლუხო-მაკლაის. იგი ღიმებოდა და დიდი თვალებით მისჩერებოდა კორნელის ძმას. ევგენი მხეიძის შავგვრემანი, ოდნავ გამხდარი, ლამაზი სახე, მაღალი შუბლი და კაეშნით სავსე, მომაჯადოებელი შავი თვალები, მხატვარს ზუსტად რომ გადმოეცა, პორტ-

რეტისათვის ასეთი წარწერა უნდა გაეკეთებინა: „ადამიანთა სენისა და ტანჯვა-ვაების მკურნალი“. ექიმის მაღალი დანიშნულება სავსებით შეეგნო ევგენის, განსხვავებით იმ ექიმებისაგან, რომლებიც, თუმც არტისტულად ფლობენ დანას, მაგრამ გულგრილი არიან ადამიანთა სენის, ტკივილების, წვალებისა და შინაგანი სამყაროსადმი. ასეთი გულგრილი ექიმები და ქირურგები უმრავლეს შემთხვევაში ყასბებსა ჰგვანან. სუქდებიან, სახე სისხლისფრად ელანძებათ და მსუქანი ქეჩო ეკეცებათ. ასეთი ექიმები და ქირურგები საზოგადოების სიყვარულს ვერ იმსახურებენ, რადგან მათთვის უცხოა ადამიანის სულის ყველაზე მაღალი გამოხატულება: სიყვარული ცოცხალი არსისადმი. მართალია, არტისტი, რომელიც დრამატული და ტრაგიკული მდგომარეობის დროს ნამდვილად ატირდება სცენაზე, ცუდი არტისტია, ისევე, როგორც ქირურგი, რომელსაც საოპერაციო მაგიდაზე მწოლის ტანჯვა-ტკივილის გამო გული აუჩვილდება და ხელი კანკალს დაუწყებს; მაგრამ სულით მახინჯი და ბოროტი კაცის როლის შემსრულებელი არტისტი ისევე, როგორც ადამიანის სხეულის დასახიჩრებულ და დაავადებულ ნაწილზე მომუშავე ქირურგი ხშირად შეუდარებელ ხელოვანად და თავისი საქმის დიდოსტატად იქცევა, ადამიანისადმი დიდი სიყვარულის გამო. რაც უნდა იყოს, ერთი რამ უდავოა: არსებობს ექიმთა ორი ჯგუფი: ერთნი მარტოოდენ ფიზიკურ სამყაროს ხედავენ, მეორენი — ფიზიკურსა და სულიერსაც და ადამიანის სულიერი ბუნებით შთაგონებულნი, მისი სხეულისადმი მეტი სიყვარულით იმსჭვალებიან და მას ოსტატურად მკურნალობენ. ქირურგი ევგენი მხეიძე ექიმთა მეორე ჯგუფს ეკუთვნოდა. იგი „ადამიანთა სენისა და ტანჯვა-ვაების მკურნალი“ იყო. შემთხვევით როდი უყვარდა და ესმოდა ხელოვნება. მას კარგი სმენა და ხმა ჰქონდა და როიალზეც ჩინებულად უკრავდა.

ევგენი უფროს ექიმს მოშორდა, კორნელისთან მივიდა და მერმე ოლღას გაეხუმრა:

— მგონი, კარისმერეთლებმა თბილისი დავიპყრათ!

— მართალია, ჩემო ბატონო, — დაუდასტურა სიცილით ოლღამ და ძმა გააცნო.

ევგენი რვა წელი არ ყოფილა საქართველოში; მოსკო-

ვის უნივერსიტეტის დამთავრების მერმე, 1911 წელს, იგი რუსეთიდან აფრიკაში გაემგზავრა — ქაიროში. იქ გამოჩენილი არაბი ანატომის ხელმძღვანელობით გვამებსა და მუმიებზე მუშაობდა. მერმე პარიზში ჩავიდა და იქიდან კი 1913 წელს კვლავ რუსეთში დაბრუნდა. ევგენი მცოდნე და ბევრის მნახველი კაცი იყო. აფრიკაში იგი უფრო გაშავებულიყო და ამიტომ მეგობრები „არაბს“ ეძახდნენ. ერთი ნაკლი დასჩემდა პროფესორს ევგენი მხეიძეს — ღვინის სმა. საოცარი იყო — ნასვამი უფრო შთაგონებითა და არტისტულად მუშაობდა საოპერაციო მაგიდასთან.

ევგენიმ ოლღას ჰკითხა:

— ეგ რომელი ძმაა, პატარა გიგო?

— დიახ, ჩემო ბატონო!—მიუგო ოლღამ.

— ყოჩაღ, უკვე სტუდენტი გამხდარა! — ევგენი გიგოს მიესალმა და ხელი გაუწოდა. გიგომ ჭუდი მოიხადა. ჭირურგს ხელი ჩამოართვა მოწიწებით, მერმე ჭუდი დაიხურა და ისევ დარცხვენით ჩაჰკიდა თავი.

— თუ გინდათ, ოპერაციაზე დამესწარით, — უთხრა ევგენიმ კორნელისა და გიგოს. კორნელი მაშინვე დასთანხმდა. ხოლო გიგო შეკრთა და შეყოყმანდა, კაკლის კაჭარის ოღენა თვალები გადმოკუსა თავგიდელამ, მაგრამ უარის თქმისა მაინც შერცხვა.

როდესაც ჭაბუკებს თეთრი ხალათები ჩააცვეს და საოპერაციო ოთახში შეიყვანეს, კორნელის გამალებული გულს ცემა აუვარდა. ევგენის ასისტენტი — ახალგაზრდა ქირურგი — სიკო მოსეშვილი და ფერშალი ქალები შეეგებნენ. ფართოფანჯრებიან, ნათელ და სუფთა ოთახში შუა ადგილას საოპერაციო მაგიდა იდგა. ზედ თეთრი ზეწარი ეფინა. კარადები გაკრიალებული საოპერაციო იარაღებით, სახვევებითა და წამლებით იყო სავსე. ანთებულ სპირტჭურებზე ნიკელის ქვაბურები თუხთუხებდნენ და შიგ საოპერაციო იარაღები ეწყო გამოსახარშად.

— შემოიყვანეთ! — უბრძანა ევგენიმ ფერშალს. ოთახში კიდევ ორი ქირურგი შემოვიდა და მერმე სანიტრებმა ბოქლებზე შემდგარი საკაცით მთიელი ვაჟკაცი თედო ჯიქაძე შემოაგორეს. ჯიქაძე მაგიდაზე დააწვინეს და საოპეციოდ გაამზადეს. მას კუჭის წყლული ჰქონდა, მკრთალ

ღაწვებზე ვარდისფერი წითელი ლაქა აჩნდა. ევგენი მოეახლოვდა, მაჯა გაუსინჯა და დაამშვიდა:

— კარგი მაჯა გაქვს. შენი ოპერაცია უბრალოა. ხომ არ გეშინია, ბიჭო? არ შემარცხვინო, მთელი ვაჟკაცი ხარ!

ევგენი მეგობრულად გაესაუბრა. მან თანაგრძნობით ხელი შუბლზე გადაუსვა. დიდრონი და უცნაური თვალებით დააშტერდა, გაუღიმა და გულში იმედი ჩაუღვარა. თედო საფსებით მიენდო, გაუღიმა და უთხრა:

— რისა უნდა მეშინოდეს? თქვენ ხელში ვარ, ექიმო,— ამ სიტყვების აზრი ეს იყო: მიშველე, გემუდარები, არ დამღუპო.

ფერშალმა სპირტით განბანა და ტკივილის გასაყუჩებელი ნემსი გაუკეთა. ცხვირ-პირზე ბადე დაადო და ქლორი ასუნთქებინა. მალე თედოს ჩაეძინა. ევგენი მივიდა, მუცლის იმ მიდამოს დააცქერდა, რომლის კანიც და ქსოვილის ქვეშ დაწყლულებული ნაწლავი ეგულებოდა. ტოპოგრაფიული სიზუსტით ჰქონდა შესწავლილი ადამიანის სხეულისა და ჩონჩხის აღნაგობა, ძვლების, მყესის, ძარღვების, კუნთებისა და შინაგან ორგანოთა შედგენილობა-განლაგება. ქირურგისათვის მისაწოდებლად, პატარა მაგიდაზე კანისა და ქსოვილების გაკვეთისათვის საჭირო იარაღები — დანები და მაკრატლები ეწყო; სისხლის დენის შეჩერებისათვის — პინცეტები და ნემსები; მერმე იარაღები ფიქსაციისა და მუცლის ჭრილის გაგანიერებისათვის — კავები, სარკე და ზონდები; ბოლოს — ჟომები ნაწლავებისათვის. ქირურგმა დანა კალმისებურ პოზიციაში დაიკავა და მუცლის კანი და ქვემდებარე ქსოვილები ზევიდან შიგნით თანდათანობით, შრეთა მიხედვით განკვეთა და ასე გაიკვლია გზა ნაწლავისაკენ.

კორნელიმ მუცლის ღრუში ნაწლავები დაინახა და გული აერია. მისი ძმის გრძელი და შხვარტი თითები კი საოცრად ჩქარა მოქმედებდნენ: ჰკვეთდნენ, სჭრიდნენ, იჭერდნენ, კონავდნენ ძარღვებს. კორნელი ვეღარ სცნობდა სრულიად შეცვლილ თავისი ძმის შთაგონებულ სახესა და თვალებს. გული თანდათან უღონდებოდა. როდესაც ქირურგმა ავადმყოფს ნაწლავის დაწყლულებული ადგილი ამოსჭრა, მთელ ვაჟკაცს ოხვრა აღმოხდა. კორნელიმ მის შეწუხებულ სახეს და დახუჭულ თვალებს შეხედა. ქირურგმა კარგა ხნის მერმე ოპ-

ერაცია დაამთავრა. კორნელის გიგო თავაძისათვის უნდოდა თავისი შთაბეჭდილების გაზიარება, მაგრამ იგი ოთახში აღარ აღმოჩნდა.

ქირურგმა ხელი დაიბანა, იოდი წაისვა და შერმე მოღიმარი სახით დააცქერდა თედოს.

— საწყალი, — ჩაილაპარაკა გაფითრებულმა კორნელიმ.

— აწი არა უშავს. შენ ფერი რად დაგკარგვია? ცუდად ხომ არა გრძნობ თავს, გმირო მებრძოლო? თავაძე სად არის? — ჰკითხა ევგენიმ. გიგო დერეფანში ფანჯარასთან ატუზულიყო. შეშინებული თვალები თედოს გააყოლა და მთიელი ვაჟკაცის გაპარსული თავი დაინახა. თედოს თვალები დაეხუჭა და გიგოს ასე მოეჩვენა, თითქო საკაცით მიცვალებულს მიაგორებენო.

— სადა ხარ, შე კაცო?— ჰკითხა ევგენიმ გიგოს. გიგომ დაირცხვინა და საწყლად მიუგო:

— არ შემიძლია, ბატონო ევგენი, ოპერაციის ყურება.

ევგენიმ გაიცინა და შერმე კორნელის უთხრა:

— მართლა, აქ შენი მეგობარი წევს, ვანო მახათაძე.

— ვიცი, სწორედ მის სანახავად მოვედი, ალექსანდრეს ბაღში დასჭრეს. როგორ არის?

— მსუბუქი ჭრილობა იყო. ლავწის ძვალი ჰქონდა გაკაწრული. მალე გაეწერება. — მიუგო ძმამ.

— შეიძლება ვნახოთ? — ჰკითხა გიგომ.

— რატომ არა? წამოდით. — ევგენიმ გიგოს და კორნელიას ფერშალი ქალი გააყოლა. ქალმა ისინი მესამე პალატაში შეიყვანა.

2

გიგო თავაძე კარგად იცნობდა ვანო მახათაძეს. 1915 წელს ვანო მახათაძე ციმერვალდელების ჯგუფთან კავშირის გასაბმელად რამდენჯერმე ჩავიდა ჭუთაისში. ახალგაზრდა მარქსისტთა შორის გიგო თავაძე ვანოს ყველაზე ნიჭიერ და მცოდნე კაცად მიაჩნდა. ვანოს გავლენით ციმერვალდების ჯგუფმა ჯარის ნაწილებში რევოლუციური მუშაობა დაიწყო. ვანოსა და გიგოს შორის მას შემდეგ მეგობრული კავშირი გაიბა, მაგრამ მერმე კარგა ხანმა განვლო, ვანო სამხედრო პირი გახ-

და და ფრონტზე გაემგზავრა. როდესაც მეორე ინტერნაციონალი დაიშალა და მსოფლიო კი ომის ალში გაეხვია, გიგო ხთავაძე თანდათან შორდებოდა ინტერნაციონალისტების ჯგუფს და მენშევიკებისაკენ იხრებოდა. ეს ცვლილება ვანომ არ იცოდა და ამიტომ პალატაში შესული გიგო რომ დაინახა, სახე გაუბრწყინდა და სიხარულით შესძახა:

— გიგოს გაუმარჯოს, გიგოს! — გიგომ და ვანომ ერთმანეთი გადაკოცნეს.

ვანო ჰოსპიტლის გრძელ ხალათში იწვა. მის სასთუმალთან ბავშვობის მეგობარი — ბიძინა შარაბიძე იჯდა. ბიძინას ტკბილი ხმა ჰქონდა, ჩინებული ხატვა და ძერწვა იცოდა და მწერლობაშიც ჩახედული იყო. გიმნაზიაში ყოფნისას ვანოც გაიტაცა მწერლობამ. კორნელიმ, ბიძინა შარაბიძემ და ვანომ ლიტერატურული წრე ჩამოაყალიბეს, სადაც ქართველ, რუს და უცხოელ მწერლების ნაწარმოებებს არჩევდნენ და მის გარშემო კამათობდნენ. რუსეთიდან ახლახან ჩამოსული ბიძინა ხარკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი იყო. მას ცისფერი თვალები და ღიმწაბლისფერი თმა ჰქონდა.

მესამე პალატაში მსუბუქად დაჭრილები დაეწვინათ.

ვანო ისე გამხდარიყო, რომ ჭლექიანს ჰგავდა. პერანგზე ღილები მოწყვეტოდა. უთმო, თეთრი სხეული, ფიცარივით ჩათლილი, უხორცო მკერდი, ძვლები და ამოყრილი ნეკნები უჩანდა. მარჯვენა მხარი და ლავიწის ძვალი შეხვეული ჰქონდა. კორნელის შეეცოდა და ჰკითხა:

— რა მოგივიდა?

— დამჭრეს. სოციალისტის და რევოლუციონერის: ჯორდანია—რამიშვილის ბიჭებმა, — მიუგო ვანომ და წყლისფერი თვალები ბრაზით აღენთნენ. კომშის ხის წნელივით დაგრეხილი მისი კისრის ძარღვი სისხლით ავსილიყო და გამალებით ძგერდა. ვანოს სიტყვები გიგოს არ ეჭაშნიკა. ვანომ მოკლედ უამბო კორნელისა და გიგოს მიტინგის დახვრეტა. მერმე ტუჩი მოიკვნიტა და გიგოს შესძახა:

— შენ რასა შვრები, კაცო! ჩემი წერილი თუ მიიღე პეტროგრადიდან?

— მივიღე, — მიუგო გიგომ და ორჭოფულად გაიღიმა.

ვანო თავის მეტად საინტერესო წერილზე ლაპარაკობდა.

რევოლუციის დღეებში ომიდან დაბრუნებული პრაპორშჩიკი ვანო მახათაძე პეტროგრადში იყო და მუშებთან და ჯარისკაცებთან ერთად მონაწილეობას იღებდა მეფის მთავრობის მინისტრების დაპატიმრებაში. მახათაძემ ეს ამბავი პეტროგრადიდან გიგოს შეატყობინა: „შეიტყვეთ ყველამ, ნიკოლოზ მეფის მინისტრები რევოლუციურ ჯარს დაპატიმრებული ჰყავს. მე ამ ჯარში ვიმყოფები... ხედავ: საჭირო ყოფილა ფანატიზმი“. მახათაძე ამ წერილის გამო ეკითხებოდა თავაძეს, მაგრამ რამდენადაც ვანო მარცხნივ მიდიოდა და ლენინის მიერ დასახულ გზას მიჰყვებოდა და მტკიცე, ურყევი ბოლშევიკი ხდებოდა, გიგო იმდენადვე მარჯვნივ იხრებოდა და ბოლოს მენშევიკებს მიეკედლა. ამრიგად, ჰოსპიტალში პირისპირ შეხვდნენ ერთმანეთს ორ საწინააღმდეგო ბანაკში მყოფი ძველი მეგობრები.

— ლენინი, — დაიწყო აღტაცებით ვანომ, — ყველაზე უფრო საჭიროა და საყვარელი ადამიანი არის დღეს მსოფლიოში მუშათა კლასისათვის. მე ორჯერ მოვუსმინე მას პეტროგრადში. ყოველი მისი მოსაზრება და სიტყვა სამუდამოდ ჩამეჭედა გონებაში.

— ოქტომბრის რევოლუცია ნაადრევი ნახტომი იყო,— დაახეთქა გიგომ. — შეუძლებელია სოციალიზმის დამყარება ისეთ ჩამორჩენილ, აგრარულ ქვეყანაში, როგორიც რუსეთია. ევროპისა და ამერიკის გარეშე რუსეთსა და ჩინეთში სოციალიზმის დამყარება ზღაპარია...

— ერი-ჰა! — ამრეზით შენიშნა ვანომ, — როგორი დიდი აპრუნდი გაგიკეთებია? ეელარ გცნობ, შე კაცო. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ რუსეთმა თავისუფლება მოიპოვა და კაპიტალისტურ ქვეყნებს სანუდამოდ გაემიჯნა. ახლა რევოლუციის ხანძარი ჩინეთს, ინდოეთს, სხვა კოლონიურ ქვეყნებსაც თუ მოედო და ეს ქვეყნები ევროპასა და ინგლისს ხელიდან გამოეცალა, ის შენი კაპიტალისტური ევროპა, მით უფრო ინგლისი, ხუხულასავით დაინგრევა. რევოლუცია მარტო რუსეთით არ შემოიზღუდება. იგი სხვა ქვეყნებშიც მოხდება.

— მსოფლიო მეურნეობის სისტემიდან გამოთიშულ რუსეთში სოციალიზმისა და კომუნიზმის განხორციელება და დამყარება განა შესაძლებელია? — ჰკითხა გიგომ.

— შენ, ჩემო ძმაო, გამოუსწორებელი ოპორტუნისტი, მენშევიკი გამხდარხარ, — ამრეზით მიუგო ვანომ.

— ვინც თქვენ არ გეთანხმებათ, თქვენ ყველას ოპორტუნისტს უწოდებთ. მე მეცნიერული სოციალიზმის ნიადაგზე ვდგევარ, — შენიშნა გიგომ, გიდელივით დიდსა და ჩაგრძელებულ თავზე თხუნელას თათის მსგავსი, მოკლეთათებიანი ხელი გადაისვა და კაკლის კაჭარის ოდენა თვალები გადმოკარკლა. ეს იმას ნიშნავდა, რომ რასაც ამიერიდან იგი იტყოდა, უტყუარ ჭეშმარიტებად უნდა მიეღოთ და არავინ არ უნდა შეჰკამათებოდა, თორემ მოკამათეს არ დაინდობდა და უთუოდ გააბურთავებდა.

— თქვენი მეცნიერული სოციალიზმი რომელია? სოციალიზმი ათასი წლის მერძე, არა?! — დაცინვით ჰკითხა ვანომ და დასძინა: — ასე მსჯელობენ რეფორმისტები: კაუცკი, ჟორდანია... ხოლო მარქს-ენგელსი, მათი „კომუნისტური მანიფესტი“ და იქიდან გამომდინარე ლენინის რევოლუციური მოძღვრება კი სულ სხვას ქადაგებს. როდესაც რევოლუცია საბჭოთა ქვეყანას ბურჟუებისაგან საბოლოოდ გაასწმენდს, მაშინვე ინდუსტრიალიზაციასა და ელექტროფიკაციას დავიწყებთ. ქვეყნის სახალხო მეურნეობას ავაყვავებთ და ფეტიშად მიჩნეულ წენს ამერიკას, ევროპას დავეწევით და უკანაც ჩამოვიტოვებთ, — უთხრა ვანომ და განაგრძო: — თქვენ საზოგადოების განვითარებაში წინასწარ მოხაზულ, გარდუვალ წრეს აღიარებთ. საზოგადოების განვითარებას ისტორიის ბრმა ძალას ანდობთ, ხოლო ადამიანის შეგნება და ნება-სურვილი კი არაფრად არ მიგაჩნიათ.

რადგან გიგო თავაძე მარქსის ეკონომიურ მოძღვრებას კარგა ხანს სწავლობდა, ამიტომ მარქსის „კაპიტალიდან“ ციტატები მოიტანა და ფორმულების ინტერპრეტაცია დაიწყო, ყველა ქვეყნის ეკონომისტებს იმრიგად ეჭიდებოდა, რომ სოციალიზმის განხორციელება პრობლემატურად გამოიყურებოდა. ვანომ შენიშნა:

— შენი ეკონომიური თეორია ბუნდოვანი და გაუგებარია; იგი ამავე დროს სოციალიზმის მიმართ აშკარად მტრულ ხასიათს ატარებს.

ახლა გიგომ აღარ დაინდო ვანო:

— ისეთი დიდი გონების ადამიანები, როგორიც ადამ სმიტი, მალთუსი, რიკარდო, ჯონ სტიუარტ მილი, ჯევონსი და კარლ მარქსი იყვნენ, იმ ეკონომიურ საკითხებზე, რომელსაც მე შევეხე, თავს იტეხდნენ და ზოგი მათგანი ხშირად ბორძიკობდა კიდეც. შენ კი ეკონომიური თეორიის რთული ადგილები, რომლებიც დედანში ვერ გაგიგია, გადაგიგდია და სოციალიზმის განხორციელებისათვის მცდარ და მტრულ მოძღვრებად მიგიჩნევია. მაგრამ, ჩემის აზრით, საჭიროა იცნობდე იმ მოძღვრებას, რომელსაც იზიარებ. ესე იგი, მარქსისტი თუ ხარ, მარქსის მოძღვრებას, განსაკუთრებით კი — მის ეკონომიურ თეორიას დედანში უნდა იცნობდე.

— მეც მანდა ვარ, შენსავით არ გავკადნიერდები. საკითხავია: ვის უფრო სწორად და მართებულად გაუგია მარქსის ეკონომიური მოძღვრება, მე თუ შენ? შენ მარქსი უკუღმა გაგიგია, რადგან მისი ეკონომიური მოძღვრების გამყალბებლებს დაუბრმავებიხარ. მაგრამ ისინი მარქსთან რა მოსატანი არიან! შენს გაგებას მარქსის მოძღვრების რევიზიის სუნი უდის. შენ კარლ კაუცკის და ოტო ბაუერის ტყვეობაში ხარ. მარქსის რევოლუციური თეორიის ნაცვლად, მშრალ დოგმას აღმერთებ და დაგვიწყნია, რას ამბობდნენ თვით მარქსი და ენგელსი თავისი მოძღვრების შესახებ. ისინი ამბობდნენ: ჩვენი თეორია დოგმა კი არ არის, არამედ სახელმძღვანელო მოქმედების თვისო, — პიუგო ვანომ.

3

კიდევ დიდხანს იკამათეს და ბოლოს მოკამათენი ბიძინა-წარაბიძემ დააშოშმინა; იგი ფანჯარასთან მივიდა, მუშტაიდის ბაღში შეგროვილ ფრონტელ ჯარისკაცებს გაჰხედა და დაიძახა:

— ერთი შეხედეთ. იმას, არყის ბოთლს რომ აპირქვავებს, აგერ იმას. ფეხზე ძლივს რომ დგას და იგინება. ან კიდევ იმას, ბაღის ღობის რიკულებსა და შუბებს რომ ღუნავს და აფუშებს. ისინი დაგიმყარებენ სოციალიზმს?

— შენ კიდევ არ მოიშალე დემაგოგია? — ჰკითხა ვანომ და ისიც ფანჯარასთან მივიდა. ბაღიდან ღრიანცელი, გარმონის ხმა და ჯარისკაცთა ყვირილი მოისმოდა. აქა-იქ კარტს

თამაშობდნენ. ვანომ ბიძინას, გიგოს, კორნელისა და ფანჯარასთან მყოფ ჯარისკაცთა გასაგონად დაიწყო:

— წინათ ეს მუშტაიდის ბაღი და ვიღაც ოხერი გორგიჯანოვის კაფე-შანტანი სულ სხვა ხალხით იყო სავსე: ოფიცრებით, ვაჭრებით, სპეკულანტებითა და როსკიპი ქალებით. გრიალებდა ორკესტრი. ყარაჩოხელნი თარზე ატირებდნენ უნიჭო ბაიათს. ესტრადის მომღერალნიც კინტოური სიმღერებით ართობდნენ ხალხს: — «Горгиджанов бедный, всегда ходит бледный». ომის დროს გამდიდრებული სპეკულანტები, მედროვენი და ვაჭრები უამრავ ფულს ხარჯავდნენ გორგიჯანოვის საროსკიპოში. სულით მახინჯნი, ავხორცნი და ბილწნი ითვრებოდნენ და საგასტროლოდ ჩამოსულ, სხეულით მოვაჭრე ქალების ტუფლებიდან შამპანურს მიირთმევდნენ. იქნებ ის დრო და ის ხალხი გერჩია რევოლუციასა და ჯარისკაცებს? — ჰკითხა ვანომ ბიძინას.

მდიდართა მიმართ ზიზღი, ბრძოლის სურვილი და დაუდგრომლობა ბავშვობიდანვე ახასიათებდა ვანოს. ბაღში ფრონტიდან დაბრუნებულ ზოგიერთ ჯარისკაცთაგანის ღრიანცელი, კუნთმაგარ ვაჟკაცთა მიერ გამართული კრივი და უწესობანი გულს უღონებდნენ. ჯარისკაცები ბაღის ღობეს ეჯახებოდნენ. რკინის რიკულებს ღუნავდნენ და გრეხდნენ, ვანომ ჯარისკაცებს გაჰხედა და ბიძინა შარაბიძეს უთხრა:

— სურვილი რისამე გაფუჭებისა, ჩხუბისა და ბრძოლისა ბობოქრობს მათში, როგორც შეუგნებელი პროტესტი და მათ მიერ განცდილი ტანჯვა-წამებისათვის საპასუხო აქტი. ფრონტიდან დაბრუნებულ ვაჟკაცთა ძალა და ენერგია დაუშრეტელია და სასტიკი. ვის ან რის წინააღმდეგ უნდა წარიმართოს იგი, ჩვენ ახლა კარგად ვიცით: შეგნებული და დადებითი ნაყოფის მომტანი ბრძოლისა და შრომისაკენ მივმართავთ მას... რუსეთის ხალხის კულტურული დონის ასამაღლებლად უკვე მოპოვებულია ყველა წინა პირობა. საბჭოთა ქვეყნის მუშები და გლეხები ისე სწრაფად ასწევენ თავის კულტურულ დონეს, ისინი ისეთ მოწინავე ქვეყანას შექმნიან, რომ იმ შენს კაპიტალისტურ ქვეყნებს შორს ჩამოიტოვებენ.

კორნელის, გიგოსა და ბიძინას წასვლის მერმე ვანო ისევ ფანჯარასთან მისულიყო. იგი გულდაწყვეტილი გასცქეროდა

მტკვრის გაღმა საბურთალოს ყაზარმებს, მუშტაიდის ბაღში უხელმძღვანელოდ მიტოვებულ ჯარისკაცებს. „იქ, შორს, ამ მთების იქით — რუსეთში ახალ სოციალისტურ ქვეყანას საფუძველი ეყრება. აქ კი ჯერ კიდევ დიდი მუშაობა არის საჭირო საბოლოო გამარჯვებისათვის“, — ფიქრობდა მახათაძე. ჭილყვავი ვეება, ბებერ ჭადრებზე და ალვის ხეების კენწეროებზე ჩხავილით დაფრინდა. მახათაძეს ალექსანდრეს ბაღი და მიტინგის დახვრეტა მოაგონდა. თბილისის გარშემო აზღუდულ მთებს გაჰხედა და გაიფიქრა: „მტარვალი გამარჯვებას ზეიმობს. დაე იზეიმოს. მუშათა დანთხეული სისხლი, ადრე თუ გვიან, ყაყაჩოსავით გაიშლება და ჩვენი ქვეყნის მთებსა და მიდამოებზეც დაიწერება წამიერ დახეული და ფეხქვეშ გათელილი დროშის სიტყვები: „ახალი თავისუფლების განთიადი“.

ოცის პოლოდინში

მთელი მწკრნეთი სავსე იყო დაძაბული სურვილით ზრდისა, განვითარებისა, სინათლისა და ჰაერის შთანთქმის დაძაბული წყურვილით, რათა მიწის სასიცოცხლო წვენი გარდაქმნილიყო გულისა და თვალის საამებელ ფერებად, სურნელებად, სილამაზედ. სიცოცხლე ყველაფერს ძლევს.

მ. გორკი

1

იმ წელს ადრე გამოზაფხულდა. მზიანი და თბილი დღეები დაიწირა.

ნასადილევს ჯარისკაცებს ქვეშსაგებელი მოედანზე გაემზეურებინათ, ლეიბზე წამოწოლილიყვნენ და მზით გამთბარნი ნებივრობდნენ. ზოგსაც ძალა ერჩოდა, ჭიდაობდა, სიგრძეზე ხტოდა და ოთურმას გადადიოდა.

კორნელი ვერის ბაღებს გასცქეროდა. ჭერმის, ალუბლისა და ატმის აყვავებული ხეები ქოლგასავით გაშლილიყვნენ იისფერ ბურუსით მიფენილ მთის კალთებზე.

გაზაფხულის მოახლოების ჭვრეტა მშვენიერებისაკენ

სწრაფვით ავსებდა კორნელის სულს და მარადმიუღწეველ სანეტარო შორეთისაკენ უხმობდა.

მშვენიერებით მოჯადოებულ და გამიჯნურებულ ჭაბუკს გაზაფხული თითქოს თავის აყვავებულ კალთაში აწვენდა, ყვავილთა სურნელებით ათრობდა, საამო ნიავის ჩურჩულისაგან შეეხზულ ნანას უმღეროდა და ტკბილად აძინებდა. ნეტარ ჰუმანში გადასულსა და ოცნებით გატაცებულ ჭაბუკს აყვავებულ ხეთა შორის მაყაშვილთა ასულის — ნინოს სახე ეჩვენებოდა. ქალის სახე მთის კალთაზე მიფენილ იისფერ ბურუსის ზემოთ დგებოდა. მოწმენდილი ცის ტატნობზე გედის მკერდივით ქულა ღრუბლის გუნდები მისცურავდნენ და შერმე მთის იქით გროვდებოდნენ. ღრუბლები კორნელის ოცნებისმაგვარ ბუნდოვან სახეს ღებულობდნენ: ხან ციხე-კოშკები და შუბოსანი მხედრები აღიმართებოდნენ და ხან კიდევ, ატოტებული ვეფხვები და ზღაპრული ქმნილებანი. მთის კალთებზე ხალიჩასავით მიფენილი მწვანე ბალახი ბიბინებდა. ბალახისა და ხის ფესვები ათასი ბაგით ეტანებოდნენ და ხვრეპდნენ წვიმით გამაძღარსა და გაჟღენთილ დედამიწიდან წვენსა და სიცოცხლის წყაროს. დედამიწიდან შესრუტული და შეხვრეპილი წვენით გაჟღენთილი მცენარენი ნოყივრდებოდნენ და ახალი ცხოვრებისათვის ხელახლად იბადებოდნენ. ვაზის ლერწებზე და ხეთა ტოტებზე კვირტები იბორცვებოდნენ, ფუვდებოდნენ, სკდებოდნენ და ბოლოს ნორჩი ფოთლები პარკიდან ახალგამოსული პეპლის ფრთებივით ეკიდებოდნენ...

ჩიტები ჟივილით ეხვეოდნენ აყვავებული ხის ტოტებს. მარაოსავით გაშლილი და მზის სხივებით გაისრული ფრთებითა და ჭარბი ტრფობით ეფერებოდნენ ერთმანეთს.

თავლასთან დაბმულ ულაყს ოქროსფერი, ლამაზი ფაშატისათვის მოეკრა თვალი. წელი გაეზნიქა, ვარდისფერი ნესტოები გაებერა, ჭრელა თვალები ჩირაღდნებივით აღენთო, კუდი და ფაფარი გაეფოფრა, გასაფრენად გამზადებულიყო, ხმამაღლა ჭიხვინებდა და ლაგამსა და აღვირს ჰგლეჯდა...

ქვეყანა და მასზე აღმოცენებული ყოველი არსი ახალ და მარად მდინარე ცხოვრებისათვის იღვიძებდა, ივსებოდა და იფურჩქნებოდა.

ამ გაზაფხულის მზიანსა და სატრფიალო დღეებს სრუ-

ლიადაც არ შეეფერებოდა ყაზარმაში დამწყვდეულ ჭაბუკთა მზადება ომისათვის, ომის მოლოდინი და სისხლის ღვრა.

— 2 —

დღეს კორნელი და სანდრო თავლაში მორიგეობდნენ. ბაგები გაესუფთავებინათ, დაეგავათ, ნეხვი გარეთ გაეტანათ, ცხენებისათვის ქერი მიეცათ და მერმე კუთხეში მიყრილ თივის ზვინზე გაშოტილიყვნენ.

ყაზარმაში კორნელის ფლობერის „სალამბო“ გაეშალა და უკანასკნელი თავის, „მატოს“ კითხვა დაეწყო. გრიგოლ ცაგურიშვილი, ჩვეულებისამებრ, ცალგვერდა ცქერით გარინდულიყო. სანდრო და პეტრე კი კორნელის მიშტერებოდნენ.

კორნელი „სალამბოს“ კითხვას ამთავრებდა. ჯარისკაცები მძაფრად განიცდიდნენ გახურებული შანთებით და ჯაჭვების ცემით კართაგენის მხედართმთავრის — მატოს წამებას. როდესაც ცოცხალმკვდარი მატო საყვარელი ქალის. სალამბოს ფერხთით დაეცა, მოგვმა შაგაბარიმმა მკერდი გაუპო, გული ამოჰგლიჯა და ჩამავალ მზეს უჩვენა, მსმენელები აღელდნენ. ჯადოქარი მწერლის მხატვრულმა ძალამ მაგიური გავლენა მოახდინა ჭაბუკებზე და წამებული მხედართმთავრის — მატოს სახე მათ სულსა და გულში სამუდამოდ აღიბეჭდა.

ჭაბუკებმა წაკითხულის გამო აზრთა გაცვლა-გამოცვლა დაიწყეს. გრიგოლ ცაგურიშვილს ხშირი წარბები შეეყარნა და ცალგვერდა ცქერით იქვე სადღაც შორს იხედებოდა, თითქოს მიცემული ამოცანა უნდა გამოეყვანა, ან დავიწყებულს ეგონებსო. იგი ჩურჩულებდა და ჩურჩულით თქმულს დალეული ფანქრით უბის წიგნაკში წერდა. სალამოს მეგობრები ალტაცებით უსმენდნენ მის ახალ ლექსს.

გრიგოლი გაფითრდა. წვრილი და გრძელი თითები გიშრის ცერ თმაში შეაცურა. ღრმად ამოისუნთქა და დაიწყო:

მ ა ტ ო

ვისროლე თვალი, ვით საჭიროში,
ან ბედისწერას წინასწარ ვხედავ,
წავშალე შუბლზე ჯიღა. ძირონი,
გადამავიწყდა საშობლო, დედა.

მოკვდნენ ღმერთები: იშტარ, ტანიტი...
დაინგრეს ღმერთთა კერპები მა-ტო,
მიცდიან წლები ხელში დანითა,
ვით კართაგენი, მეც შენებრ, მატო.
აწ ყველა ღმერთი ჩემთვის ფუჭია,
ავი მოლოხის დავგმე კერია.
არცა მსურს ვიყო მატლი თუ ჭია,
ჩემში ათასგვარ ჰანგს უმღერია.
წარსული ჟამი, ცხოვრება, ომი,
მონობის შანთით დადაღულია.
საუკუნენი უკან ღმუიან,
როგორც სუდანის დაჭრილი ლომი.
ვიგონებ მე ჩემს დამღუპველ ამბორს,
უდაბნოს მზეზე უფრო მხურვალეს.
გაქრა გმირობა ცდუნების გამო,
და ახლა ვერვინ ვერ მიმკურნალებს.
ჰო, ჰამილკარის ქალო, სალამბო,
შენს ფერხთით ვკვდები მე ბარბაროსი.
გულს შემომედო, რიგორც მალამო,
გველი, პიფონის შხამი, ქაოსი,
შხამი ძარღვების გაპობას ლამობს,
თვალებს მიბრმავებს ღამე უკუნი.
მიყვარდა წუთზე უფრო საამო
უნდო უდაბნოს უცხო გუგუნი.

კორნელი წამოხტა და მთრთოლვარე მეგობარი გადაჰკოცნა. გმირის დაღუპვის მიზეზად გრიგოლს ქალი და ცდუნება მიაჩნდა: ასეთ შეხედულებას სავსებით ეთანხმებოდა პლატონ მოგველაძეც.

— ღირსშესანიშნავი ლექსია, — ეუბნებოდა მერმე იმ გრიგოლის მეგობრებს ყაზარმაში, — მართლაც, ქალი სიმბოლოა გულგრილი ბუნებისა, მამაკაცი კი ქალის ანტიპოდია. იგი აქტიურია — ინდივიდუალური სწრაფვის, გონების, ნებისა და გმირობის სათავე. ქალი კი — პასიურია, კულტურა შექმნილია მამაკაცთა მიერ. ეს ორი ძალა: პასიური და აქტიური — ბუნება და კულტურა, ანუ დიონისური და აპოლონური საწყისი, საუკუნეთა მანძილზე ებრძვიან ერთმანეთს, ამ ბრძოლის ნიშნის ქვეშ მიმდინარეობდა და დღესაც მიმდინარეობს კაცობრიობის ისტორია, დასაბამიდან დღევანდლამდე. ეროტის შხამიანი ისრით დაიღუპნენ ყველა ქვეყნის გმირები: აქილევსი — ჰიპსიპილეს, ჰერაკ-

ლე — დეანირეს, ზიგფრიდი — კრიმჰილდეს და მატო — სალამბოს მიერ... ჰამლეტის სიტყვები: „და სასახელო ძლიერ საქმით, დიდად განზრახულთ, წინ ეღობება... ოფელია“, მე სწორედ ისე მესმის, როგორც ვაჟური და ქალური საწყისის ბრძოლა. ჩვენი ბუმბერაზი პოეტის — ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელის“ გმირი — მინდიაც მზიას გამო გახდა „უგერგილოდ და ყროლადა“, „დაცარიელდა ცოდნითა“, დაიღუპა. ეს „ვაჟური“ და „ქალური“ საწყისი ფრიად საგულისხმოა ვაჟას „გველის მჭამელში“. ვაჟური — გმირული საწყისის გათვალისწინების მერმე სულ სხვაგვარი მნიშვნელობა ენიჭება თვითონ ფშაველი პოეტის ფსევდონიმს — „ვაჟა“-ს. მე ამ საკითხზე დიდ შრომას ვწერ, იკვეხნიდა პლატონ მოგველაძე.

კორნელი არ იზიარებდა პლატონის „ფილოსოფიას“ მატოს და სალამბოს ტრაგედიას ის ხედავდა კართაგენში გამეფებული რელიგიის სიმკაცრეში და ადამიანზე მის ულმობელ ბატონობაში.

თავლაში „კანარეიკა“, კაკო ბაქრაძე, შეფრინდა და კორნელის ახალი ამბავი ახარა:

— კორნელი, დედაშენი მოვიდა!

— დედა?

— ჰო, მალე წამოდი, კაპიტანი ალექსიძე გეძახის.

კორნელის გული საგულედან კინაღამ არ ამოუვარდა და ჩიტივით აფართხალდა.

3

კორნელი არტილერიის პარკთან გაჩერდა. გულზე ხელი მიიდო და, დიდედა დარეჯანი ბავშვობისას რომ შეულოცავდა ხოლმე, ისე ჩააბულბულა: „გულო, მოდი საგულესა, გულო, ნუ შეგეშინდებაო“. მერმე ჩექმის ყელი ამოსჭიმა, ბუხრის ქუდი გაისწორა და ყაზარმისაკენ გასწია.

— აგერ, ქალბატონო, თქვენი ვაჟკაცი მობრძანდება,— უთხრა კაპიტანმა ალექსიძემ კორნელის დედას.

ტერეზა სამოც წელს მიღწეული ქალი იყო, მაგრამ ჯერ კიდევ ლამაზი და იერიანი. შავი პალტო ეცვა და შავ შლიაპაზე სირაქლემას ფრთა გაეკეთებინა. შვილის დანახვისას

მასაც გულისცემა აუვარდა. გაფითრდა, მაგრამ თავი დაიჭირა. შავი ლამაზი თვალები ოდნავ დახუჭა და ისე შეხედა კორნელის. ეს არისტოკრატიული ჩვეულება სიბერეშიც შერჩენოდა. აბალგაზრდობის ჟამს ლორნეტსაც ატარებდა, თუმც მისი მახვილი და მარჯვედ მხედველი თვალი არ საჭიროებდა მას. ხშირად იცვამდა ამორძალთა საცხენოსნო კაბას — „ამაზონს“ და ჯიშიან ფაშატს აჯამეთში დააჭენებდა. ტყეში ლარივით გაჭიმულ გზაზე ჭაბუკი თავადების ამალა მისდევდა, ვით კავალრები პრინცის ქალს ბულონის ტყეში. ოდესღაც პრინც ოლდენბურგის სასახლეშიც ხშირად დაიარებოდა, რადგან ოლდენბურგის ცოლი, ქართველი თავადის ქალი აგრაფინა, მისი ბავშვობის მეგობარი იყო. მაგრამ ჟამთა ვითარებამ და სოფელში გამუდმებულმა ცხოვრებამ თანდათან წაშალა მისი არისტოკრატიული ჩვევები და ქმარშვილით ჩაპარკულმა, აბჟამად ქვრივმა, მუყაითმა, ჭირისა და ლხინის მომსწრე ხელმოკლე ქალმა თან ჩამოიტანა თბილისში ზემოიმერეთის სოფლის სურნელება. იქაური ნარნარი ქართული, გონებამახვილობა და ზნე-ჩვეულება.

კორნელი შეჩერდა, გაიჭიმა და კაპიტანს ხელი აუღო. ჯარისკაცს დაბამბული, უშნო სათბური ეცვა. თავზე წოწოლა ბუხრის ქუდი ეხურა, სახე მზეზე გატრუსოდა. თათარს დამსგავსებიაო, გაიფიქრა ტერეზამ და გულს ჯავრი შემოაწვა.

— კორნელი, — შესძახა მან და შვილს მოეხვია. კორნელიმ ხეპრულად გაუწოდა სახე. დედას არ სწყენია, რადგან კარგად იცოდა, რა თბილი გულიც სძგერდა გარეგნულად უხიაკი და კუშტი შვილის მკერდში. უხიაკობის გამო ტერეზა დაცინვით „კულუმბურს“ ეძახდა. კორნელიმ დედასთან ერთად მოსული, ტერეზას მიერ ნაშვილები და გაზრდილი ლამაზი გოგო მარო გადაკოცნა, ვარდოს, ესტატეს და ნინოს მიესალმა, ჭუჭყიანი ხელი უჩვენა მათ და ბოდიში მოიხადა:

— უკაცრავად, თავლაში ვიყავი...

ნინო მამასთან იდგა და კორნელის უღიმოდა. დედის, მაყაშვილთა და კაპიტნის წინაშე მდგარი ჯარისკაცი ღელავდა. იგი გაფითრებულიყო. დედას იგი გამხდარი და გალახული ეჩვენა. ყაზარმა საპყრობილედ წარმოიდგინა, შვილი კი — პატიმრად.

— კორნელი, ეს რა ჩაგიდენია, ბიჭო? დედას არაფერი არ უნდა ჰკითხო? აქ რა გაგაძლებინებს, ასეთ სიბინძურეში? აქ რა ჭამა-სმა გექნება, შე საწყალო? — ღელავდა დედა და შვილს ისევ ბავშვსავით მიეხუტა.

— ნუ დარდობთ, ქალბატონო, ჩვენი ჯარისკაცები ცუდ პირობებში როდი ცხოვრობენ, — ანუგეშა კაპიტანმა ტერეზა და მერე კორნელის მიუბრუნდა: — წაიყვანეთ დედათქვენი ყაზარმაში, უჩვენეთ როგორ ცხოვრობთ.

ამ დროს გრიგოლი და სანდროც მოვიდნენ და ტერეზამ მათაც იგივე უსაყვედურა:

— ჯარში რა გინდოდათ? ჯერ წიწილაც კი არ დაუკლავს კორნელის, ახლა კი ომში წასვლას აპირებს!

კორნელი დედას მიუბრუნდა და დატუქსა:

— ეგრე ნუ ამბობ, დედა, კაპიტანთან ნუ მარცხვენ! ბავშვი ხომ არა ვარ!

სტუმრები ყაზარმის მეორე სართულზე ავიდნენ. გრძელ ოთახში სასწავლო გუნდი მოთავსებულიყო. კარებთან მორიგე იდგა. ოთახის კედლების გასწვრივ ჯარისკაცთა საწოლები იყო გამწკრივებული და შაშხანები ჯოჯგინად დაედგათ. იქვე მაგიდაზე დაშლილი ზარბაზნის ნაწილები ეწყო. კედლებზე ნახაზები, ცხენის ანატომიის თვალსაჩინო სახელმძღვანელო და სხვა სასწავლო სურათები, სქემები და რუკები ეკიდა. ოთხი მხედარი ფარიკაობდა. ზოგნი უნაგირის ნაწილთა სახელებს ზეპირობდნენ. სარკმელთან შუახნის კაცი იწვა და წიგნს კითხულობდა. შავგვრემან და ჭალარაშერეულ ჯარისკაცს ლაჯებში ვიოლონჩელი ჩაედგა და გამებს ზეპირობდა.

ვარდომ დაიძახა:

— ყაზარმაში მუსიკოსებიც ყოფილან!

— დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, — დაუდასტურა კაპიტანმა, — რა ჯურის ხალხი გინდათ, ჩვენ რომ არა გვყავდეს: მუსიკოსები, პოეტები, ფილოსოფოსები, ექიმები, ქიმიკოსები, ინჟინრები. სხვათა შორის, — მიუბრუნდა კაპიტანი ესტატე მაყაშვილს, — ვექილებიც. ეი, შენ, მჭედლიშვილო! — უყვირა მან მუსიკოსს, — რამდენჯერ უნდა გაგიმეორო: ყაზარმაში ვიოლონჩელის მოტანა არ შეიძლება.

— აკი გთხოვეთ, ბატონო კაპიტანო? — მიუგო მჭედლიშვილმა.

— არ შეიძლება. ყაზარმას კონსერვატორიად ვერ გადავაქცევთ.

— უვიოლონჩელოდ ერთ დღესაც ვერ გავძლებ, — ნაღვლიანად შენიშნა მჭედლიშვილმა და გრძელი თმა გაისწორა.

— გასძლებ, დარდი ნუ გაქვს. შეინახე! — უბრძანა კაპიტანმა. მჭედლიშვილმა საწოლის ქვეშიდან ბუდე გამოაცურა და შიგ ვიოლონჩელი ისე დარდიანად ჩადო, თითქო აკვანში ავადმყოფ ბავშვს აწვენსო.

— კაჭკაჭიშვილო, რა დროს წოლა და წიგნის კითხვაა!— გასძახა ახლა კაპიტანმა გრძელი ოთახის ბოლოში წამოწოლილ ჯარისკაცს. ჯარისკაცი წამოხტა, იგი მარჯვედ ვერ იხედებოდა, სათვალე გაისწორა. ოთახში შემოსული სტუმრები დაინახა და დაიბნა, დინჯად წავიდა მათკენ. ესტატე ღიმილით მიეგება და უთხრა:

— თქვენც აქა ხართ, დათა?

— დიახ, — მიუგო დათამ. იგი ესტატეს მიესალმა, ვარდოსა და ნინოს ხელზე აკოცა. მერმე ტერეზა გააცნეს. ტერეზა ამ დროს გრიგოლ ცაგურიშვილს ელაპარაკებოდა. შვილივით უყვარდა ეს „ობოლი ბიჭი“. იქვე მისი ნაშვილები— მარო მიტო ჩიკვაიძეს ესაუბრებოდა. კაპიტანმა ტერეზას უთხრა:

— ცაგურიშვილი ჩვენი პოეტია, აკი გითხარით, ქალბატონო: ეშმაკმა იცის — ყაზარმაა ეს, კონსერვატორია, უნივერსიტეტი თუ მწერალთა კლუბი!

— თქვენ უნდა ამაყობდეთ ასეთი ჯარისკაცებით, ბატონო კაპიტანო, — შენიშნა კაჭკაჭიშვილმა. ჩიბუხი გააბოლა და გაპარსული ბაგე მოკუმა.

დათა კაჭკაჭიშვილი შუა ტანის კაცი იყო, ძვალმსხვილი და ფართობეჭებიანი. წვივებზე გამაშები გაეკეთებინა. გაპარსული სახე სისხლისაგან დაშრეტოდა. ფართო სახე, მაღალი ყვრიმალი და მოღრეცილი ცხვირი ჰქონდა. წყლიფერი და აცრემლებული თვალის უპეები შესიებოდა. მელოტ თავზე გვერდებიდან ჩამოღებული თმა ღერებად გადაევარცხნა. იგი პარიზში სწავლობდა და პროფესით ქიმიკოსი იყო. მაგრამ სამშობლოში დაბრუნების მერმე ქიმიკოსმა მოუ-

ლოდნელად ჟურნალისტობას მიჰყო ხელი. მას, ისე როგორც პლატონ მოგველაძეს, დაუსრულებელი ლაპარაკი, ორატორობა, ფრანგული რომანების კითხვა, ფილოსოფიისა და ხელოვნების ცოდნით კვეხნა და ბაქიაობა უყვარდა. თანაც ამაო ოცნებაში და უსაფუძვლო გეგმების შედგენაში ატარებდა დღეებს: აქ — ახალი საბადოები უნდა აღმოეჩინათ, იქ—ქარხნები და ელსადგურები აეგოთ, ბტკვარი რიონისათვის შეეერთებინათ და შავი ზღვისაკენ გადაეგდოთ. საქართველოსა და რუსეთს შორის მდებარე მთები უნდა გაეჭრათ, გვირაბები გაეთხარათ და ტრანსკავკასიის რკინიგზა გაეყვანათ. შავ ზღვაზე — ვერფები აეშენებინათ. საქართველოს ტერიტორია ტრაპიზონიდან დარუბანდამდე უნდა გადაჭიმულიყო, ხოლო ქართველობა ერთი საუკუნის განმავლობაში 25 მილიონამდე გაზრდილიყო. ყველა მისი გეგმა მოკლებული იყო პოლიტიკურ, ეკონომიურ საფუძველს./როგორც პროექტების ავტორისათვის, ისე იმათთვისაც, ვინც მათ ეცნობოდა, საოცრებას წარმოადგენდა ერთი რამ; ვისი დახმარებით, ვის ხარჯზე, რა თანხით აპირებდა იგი ყველა ამ გრანდიოზული მშენებლობის განხორციელებას!

— რამდენი დაჯდება ტრანსკავკასიის რკინიგზის აგება? — დაინტერესდა ერთხელ კუკური ზარანდია, მას შემდეგ რაც დარწმუნდა, რომ საქმე ჰქონდა არასრულჭკუაზე ჰყოფ ადაჭიანთან.

— ორას მილიონ ხუთასი ათას საშას ორმოცდაათი მანეთი. — მიუგო კაჭკაჭიშვილმა.—ყველაფერი მაქსიმალური ზიზუსტით მაქვს გამოანგარიშებული. ამბობენ, რომ შენ მთავრობის თავმჯდომარის ევგენი გეგეჭკორის ნათესავი ხარ. დამეხმარე რკინიგზის პროექტის დამტკიცებაში. მანამდე კი ძალიან მიჭირს და ორმოცდაათი მანეთი მასესხე. როცა ის პროექტი დამტკიცდება, მაშინ მოვართმევ...

— განა სულელია? საკითხავია, ვინ დარჩა გაბითურებული: დათა თუ შენ? — გადაიხარხარეს ზარანდიას მეგობრებმა.

ეს ოხუნჯობა ღიდხანს ტრიალებდა ხალხში.

ახლა დათა კაჭკაჭიშვილი ესტატეს, მის მეუღლესა და ქალს ართობდა, ფრანგულად ესაუბრებოდა მათ. ფრანგული ჟღურტული უჩვეულოდ გაისმოდა ყაზარმაში.

ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა ნინო ნიშანში ამოიღეს. ესტატეს ქალს ძალიან შვენოდა შავი ბეწვის პალტო და ასეთივე ქუდი. დათას ფრანგული კორნელის შეშურდა, ცალი თვალით ნინოს გაჰყურებდა. დათა ფრანგი მწერლის წიგნს ფურცლავდა და მისი ნოველის გამო აღტაცებით ლაპარაკობდა. ნინო ღელავდა და მთელის არსებით განიცდიდა ნოველის სიუჟეტს. თითქოს იქ მოყოლილი ამბავი მართლაც გუშინ მომხდარიყოს, თითქოს იქ მოქმედი პირი, უარყოფილი სიყვარულის გამო გაუბედურებული ქალი, ნინოს საყვარელი მეგობარი ყოფილიყოს და ნამდვილად გუშინ განეტევებინოს სული.

გრიგოლმა თვალი უყო კორნელის, რაც ნიშნავდა: დათა კაჭკაჭიშვილს დამიხედეო. ამ დროს ტერეზამ შვილის ლოგინი დაათვალიერა და ამოიოხრა:

— ზღვის ხმელი ბალახით გატენილ ლეიბზე და ამ თხელი საბნის ქვეშ როგორ სძლებ, შე საწყალო?

— როგორც სხვები. რა მიშავს!

— როგორ რა უშავს, — მიუბრუნდა ტერეზა მაროს,— შენ ხომ კარგად გახსოვს: ბუმბულში ვაწვენდი, ჩიტის რძეც არ მიმიკლია...

კორნელიმ აღარ აცალა სიტყვის დამთავრება და უკმეხად მოუჭრა:

— კმარა, აკი გთხოვე: ნუ მარცხვენ-თქო. აქ ყაზარმაა და არა სანატორიუმი.

მუხლმოკვეთილი ტერეზა კორნელის ხაწოლზე ჩამოჯდა.

ესტატე და კაპიტანი ალექსიძე კი ფანჯარასთან იდგნენ და გაწყვეტილ საუბარს განაგრძობდნენ:

— თურქებმა იციან ჩვენი სისუსტე და არავითარ ანგარიშს არ გვიწევენ, — დაიწყო ესტატემ, — ყარსისა და არდაგანის დაკავებით რომ დაკმაყოფილდნენ, ვინ ოხერი დაეძებს. თურქთა სარდლობა ისე ეთამაშება ჩვენს დელეგაციას ტრაპიზონში, როგორც კატა თაგვს...

— კიდევ რა ამბავი ისმის თურქეთიდან, ბატონო ესტატე? — ჰკითხა კაპიტანმა მთავრობის წევრებთან დაახლოებულ ვექილს.

— ახალი ამბავი ის არის, რომ მოლაპარაკებიდან არა გამოდის რა... თურქები ბათუმს უახლოვდებიან... დღეს თუ

ხვალ შემოუტევენ კიდეც.—კაპიტანმა თვალები გადმოკარკლა და, ჯარისკაცებს მისი ხათქვამი რომ არ გაეგონათ, ტუჩზე ხელი მიიფარა და ესტატეს ყურში სასოწარკვეთილი ხმით ჩასძახა და გაიბა:

— ბატონო ესტატე, რა გვე..შვე...ლე...ბა?!

— მენშევიკების ჩხირკედელაობა თუ არ გათავდა, ამიერკავკასიის სეიმი არ დაშალა და ქართველებმა ცალკე დამოუკიდებელი სახელმწიფო არ გამოაცხადეთ, ისე არაფერი არ გვეშველება... თურქები პირდაპირ გვეუბნებიან ამას: მაშინ თქვენთან ცალკე შევთანხმდებითო, — მიუგო ესტატემ.

— მერწმე, დავშალოთ სეიმი და გამოვაცხადოთ დამოუკიდებლობა! — იყვირა კაპიტანმა.

— უნდა დავშალოთ, — დაუდასტურა ესტატემ, — დამოუკიდებლობა გამოვაცხადოთ... რაღას ეუცდით? ამბობენ, გერმანია თანახმაა საქართველოს მფარველობა გაუწიოსო. მაშინ თურქები ცეროს დაგვაკლებენ.

— თურქები ისედაც ვერას დაგვაკლებენ. მთავრობამ მთავარი ყურადღება რეგულარული ჯარის შექმნას თუ მიაქცია. ვინ გამოიგონა მენშევიკების სახალხო გვარდია? მათი ბრძოლა ვინ გაიგონა? ისინი ომის დროს მიტინგებს და ლაყბობას გამართავენ და ბერმე თხებივით დაიფანტებიან. დახსომეთ ეგ ჩემი სიტყვა, — უთხრა კაპიტანმა ესტატეს და ამოიოხრა: — ეხ, ძველი ორი საარტილერიო ბრიგადა და ძველი საიმედო ჯარისკაცები რომ გვყავდეს, თურქებს ტყავს გავაძრობდით. წარმოიდგინეთ, ბატონო ესტატე, ჩვენი — ოფიცრების მდგომარეობა: რა უნდა გავაწყოთ მტრის წინააღმდეგ ასეთი ჯარისკაცებით?! — ჰკითხა კაპიტანმა და ყაზარმაში მდგარ ჯარისკაცებზე მიუთითა.

ესტატე გაოცდა:

— განა ესენი ცუდი ჯარისკაცები არიან?

— არა, მე არ ვემდური მათ, — მიკიბ-მოკიბულად მიუგო კაპიტანმა. — ესენი კარგი ბიჭებია. მონდომებულიც არიან... მაგრამ მე არ შემიძლია მარტოდა სტუდენტების, მოწაფეების იმედით ომი... ესენი ნაზი და სათუთი ხალხია... ეხ, — ისევ ამოიოხრა კაპიტანმა, — ჩემი ახმახი და ურა-ბი-

ჭები სხვა მეომრები იყვნენ. ტყავს ვაძროობდი, მკაცრ დისციპლინის ჭადრაკში ვატარებდი... ომშიც იმიტომ ვენდობოდი, ტყვიის არ ეშინოდათ... სტუდენტებს კი რა მოუხერხო? მერიდება გავამათრახო სტუდენტები, ჩემებურად ხელი მოვუჭირო და წვენი ვადინო, თორემ იცოცხლეთ: ესენიც კარგი ჯარისკაცები დადგებოდნენ.

კაპიტანს ბაგე დამცინავი ღიმილით მოეღრიცა.

— განა ეგეთი ცუდი დისციპლინა გაქვთ? — ჰკითხა ესტატემ.

— რა თქმა უნდა, — უიმედოდ ჩაიქნია ხელი კაპიტანმა. ჩექმის ყელზე სტეკი შემოირტყა, ოთახს გაჰხედა და ზედმეტად დარწმუნდა თავისი სიტყვის სიმართლეში.

სანამ იგი ესტატესთან დისციპლინაზე საუბრობდა, მისი ჯარისკაცები ესტატეს ასულს შემოხვეოდნენ, ეაშიკებოდნენ. ალექსიძე ფანჯარას მოშორდა და ნინოს გაუღიმა.

— კაპიტანო, შეიძლება თავლაში თქვენი ცხენები ვნახოთ? — ჰკითხა ნინომ.

— როგორ არა, წამობრძანდით, — მიუგო კაპიტანმა და მწითური ვაჟკაცი, ცხენოსანთათვის დამახასიათებელი ფართო ნაბიჯითა და დეზების ჟღარუნით ნინოსაკენ გაეშურა.

4

თავლაში ბაგაზე დაბმული ცხენები ქერსა და თივას ახრამუნებდნენ, აქა-იქ ჭიხვინებდნენ, ერთმანეთს ჰკბენდნენ, ფაფარში აფრინდებოდნენ და წიხლებსა სცემდნენ. აცდენილი წიხლი ბაგათა ტიხრის ფიცრებზე ბრაგვანს ადენდა და ჭალები თავლაში შესვლას ვერ ბედავდნენ.

— მორიგე! — ისეთი ძლიერი ხმით იყვირა კაპიტანმა, რომ ქალებს გული კინაღამ არ შეუღონდათ. ცხენებმა თითქოს იგრძნეს უფროსის მოსვლა და მისი გაბრაზებაო: ღმალვე სიჩუმე ჩამოვარდა. კორნელის მაგივრად დარჩენილ მორიგე პეტრე ცხომელიძე კაპიტანს გაეჭიმა.

— რად დაგიბამს ჩემი ცხენის გვერდით ეგ ფაშატი? სად არის შენი მათრახი? — ჰკითხა კაპიტანმა.

— აქა მაქვს, — მიუგო მორიგემ და ბოძზე ჩამოკიდებული მათრახი ჩამოიღო. ცხენებმა ისევ მორთეს ჭივინი

და ერთძახეთს წიხლი დაუშინეს. ულაყმა ავშარა გასწყვიტა, ყალყზე დადგა და ფაშატისაკენ გაიწია.

— რასა დგეხარ, ნაცარქექიავ! მიდი, მისცხე, გადაუჭირე მათრახი, — უბრძანა კაპიტანმა. მორიგე გაუბედავად მიეპარა ულაყს, მათრახი გადაუჭირა და ისევ თავის ბაგაზე დააბა.

მუქწაბლისფერმა ულაყმა „გიაურმა“ თავისი პატრონი იცნო, ყურები ცქვიტა, ქვიქვირი შეათამაშა, წევარსავით შევარდნილი მუცელი დაძაბა, ნესტოები დაბერა და ხვიხვინი მორთო.

— რა ამბავშია ხარ, ყაჩაღო? მე შენ გიჩვენებ სეირს,— გაუწყრა კაპიტანი, გვახე ხელი შემოჰკრა და კედელთან მიაგდო. მერმე მივიდა და ხავერდივით ნაზსა და ატლასივით ლასლასა, ფაფარშეკრეჭილ გრძელ კისერზე ხელი გადაუსვა. წვრილ ფეხებზე მდგარი „გიაური“ შეტორტმანდა და ბაგაზე თამაში დაიწყო.

— დაშშვიდდი, დაშშვიდდი, შენ გეუბნები, გიაურო. — ისევ მოეფერა კაპიტანი.

— რა ლამაზია! — აღტაცებით დაიძახა ნინომ.

— რა ჯიშისაა? — ჰკითხა კაპიტანს ესტატემ.

— ინგლისურ-არაბულისა.

— ატესტატი აქვს?

— რასაკვირველია! ამისი წინაპარი ლორდ ბერნჰემის ჭარხნიდან იყო... —და კაპიტანი მოჰყვა „გიაურის“ გენეალოგიას. ომის დროს, როდესაც ბარათოვის ცხენოსანი კორპუსის კაზაკებმა საარაკო რეიდი გააკეთეს თურქეთის ტერიტორიით და ინგლისელთა მესოპოტამურ არმიას შეუერთდნენ, ინგლისელ გენერალს „გიაური“ პოლკოვნიკ ამილახვარისათვის უჩუქნია. მერე ამილახვარმა ულაყი ალექსიძეს დაუთმო.

მზის სხივები თავლის ღია კარებში შეგრილიყვნენ და ცქერადწასულ ნინოს მისდგომოდნენ. ქალის შუქიან თვალებს შავი წამწამნი შემოსჭაროდა და სპილოს ძვლისფერ ღაწვებზე მიჰფენოდა. „გიაურმა“ თითქოს იგრძნოო ქალის ცქერა კისერი წაიგრძელა, ნინოს შეხედა და ჩაიხვიხვინა. ნინოვ გაუღიმა. კორნელი ქალს გვერდზე ედგა, ისე რომ ნინოს პროფილი „გიაურის“ გრძელსა და ოდნავ მოღუნულ კისერზე ახატულიყო. მეტად შეჰფეროდნენ და შეშვენოდნენ

ერთმანეთს ლამაზი ცხენი და მშვენიერი ასული. ნინომ სიყვარულით სავსე ცქერა დაიჭირა კორნელისა, მაგას მიეტმასნა და ჰკითხა:

— თქვენ უვლით გიაურს?

— დიახ, — მიუგო კორნელიმ.

თავის სახელის გაგონებისას „გიაური“ ისევ ატოკდა, ათამაშდა, ტანზე აყრილი კუნთები აუძიგძიგდნენ. მერმე კაჟივით შეექმნენ და დაუმშვიდდნენ, თითქოს ასულის სიტყვები ნაზი ხელის გულივით გადაუსვეს ჩაზნექილ ზურგზედო. გრძელი კისერი და პატარა თავი ისევ ნინოსაკენ მიიბრუნა.

— თქვენ აშკარად მოეწონეთ ჩემს ცხენს,—უთხრა კაპიტანმა ნინოს. ნინომ გაუღიმა და მერმე ისევ „გიაურს“ შეხედა. ცხენს საფეთქელსა, უბებსა და ვარდისფერი ნესტოების მიდამოში მავთულივით დაგრეხილი, სისხლით აღვსილი ძარღვები დაუნახა. „გიაური“ ანთებული თვალებით მიშტერებოდა უცნობ ქალს. მის ვარდისფერსა და ფართო ნესტრებიდან ცხელი ჰაერი მოჰქროდა და ნინოს ღაწვებზე მიმოფანტულ თმას არხევდა.

— რა იყო, რას მაშტერდები, ხომ არ მიცანი? — გულუბრყვილოდ ჰკითხა ნინომ, გაუცინა და, ყველასათვის მოულოდნელად, ცხენთან გაბედულად მივიდა, კისერზე ხელები მოჰხვია, შუბლსა და ქოჩორზე გადაუსვა. კაპიტანი გაოცდა.

— საკვირველია! გიაური ჩემს გარდა არავის არ იკარებს!

— ნინო კარგი მხედარია. იგი თავის პაპას, ჩემს მამას, ნოდარსა ჰგავს. მამაჩემი მხნე მეომარი და განთქმული მხედარი იყო. გაგიჟებით უყვარდა ცხენები, — ამაყად განაცხადა ესტატე მაყაშვილმა. ვარდოს კი გული მოსდიოდა და უკვირდა: „ეს რა გააკეთა ჩემმა ქალმაო?!“ კორნელიც ღელავდა: „გიაურმა“რამე არ შეამთხვიოსო. ნინომ შეატყო და ჰკითხა:

— კორნელი, თქვენ ხომ არ უფრთხით ცხენს?

— კორნელი კარგი მხედარია, — მიუგო კაპიტანმა და მერმე კორნელის უბრძანა: — გამოიყვანე ცხენი. აბა, მიდი შენებურად.

კორნელიმ თავისი ლურჯა გამოიყვანა. თავლის წინ დააყენა და ზურგზე შეახტა. ფეხები მაკრატელივით გაშალა, ჰაერში კალმახივით შებრუნდა და ცხენს პირუკუღმა მოექცა — ზურგით თავისაკენ. ახლა გვაზე ხელი დაჰკრა, კვლავ შებრუნდა, ხელებზე აიმართა, ყირაზე დადგა და მერმე ჩამოხტა. ტერეზამ შეჰკივლა. ნინომ კი ჩაიკისკისა. ცხენებმა ისევ ჭისვინი მოართეს, ყალყზე დადგნენ და ერთმანეთს წიხლი დაუშინეს, მორიგემ მათრახით დააშოშმინა ისინი.

კაპიტანმა სტუმრებს ყველა თავლა შემოატარა და ისე გაასვათა ისინი, რომ ტერეზამ ვარდოს შესჩივლა:

— რომელი კაზაკები ჩვენ ვიყავით, იმ ოჯახაბენებულმა კაპიტანმა ბრიგადის ყველა თავლა რომ მოგვატარა და გვე ცხენებს გადაგვატანა?! უკვე ღამდება და კორნელისათვის ორი სიტყვის თქმაც კი ვერ მოვასწარი.

5

ალექსიძემ, დათა კაჭკაჭიშვილმა, სანდროვ და კორნელიმ ტერეზა, მარო და მაყაშვილები სამხედრო გზამდე მიაცილეს. კორნელი დედას მიჰყვებოდა და მისვან ნაცნობ ღარიბებას ისმენდა:

— არ გაცივდე, ღვინო არ დალიო, თავი იბატიე. თავს გაუფრთხილდი. ომში თუ წაგიყვანეს. რა მეშველება?

კორნელიმ დედა დაამშვიდა და საუბრის შეცვლა მიზნით ჰკითხა:

— კარისმერეთში რა ამბავია?

— დიდი არეულობაა. არნახული ყაჩაღობა. ღამით თოფის სროლა და შიშიანობა. ცუდი დროება დადგა, შვილო, — წუხილით მიუგო ტერეზამ და განაგრძო: — ახლა თურქები მოგვადგნენ ზეკარზე. ზეკარი თუ გადმოლახეს, შენს მტერს მაშინ. ჩვენმა ოინამ ბევრი იქადაგა კარისმერეთში, ჯარში წასულიყვნენ ყოფილი ჯარისკაცები და ახალგაზრდები.

— კარისმერეთელები ჩვენს ბრიგადაშიც არიან: გალაქტიონ გელაშვილი და რაჟდენ ტურიაშვილი, — შენიშნა კორნელიმ.

— რას ამბობ, გალაქტიონი და რაჟდენი აქ არიან? — გაეხარდა ტერეზას, მაგრამ მერმე დარდიანად უთხრა შვილს:—

გლეხებისგან მოსვენება არა გვაქვს, განსაკუთრებით კი — ფრონტელი ჯარისკაცებისაგან. საცოდავი ბიძაშენი ოტია! იმ ყაჩაღებს უნდათ წაართვან მას სარკოიაში ვენახი. გლეხებმა სულ მთლად დაჰკარგეს სინდის-ნამუსი. ჩვენს ყანებში ნაბოგირევში, ჭინჭარეულში და ქვასაბერტყელაში მოწეული ჭირნახული მთლიანად დაისაკუთრეს.

— დანარჩენი ყანების მოსავალი? — ჰკითხა კორნელიმ.

— დანარჩენი ყანების მოსავალი რას გვიშველის! საარბევში ნაკლები მოსავალი იცის. სულ სხვაა ყვირილას სანაპიროები, დიდველისა და ნაბოგირევის ბოლოები, — მიუგო ტერეზამ.

— რა გაეწყობა... — დაამშვიდა კორნელიმ დედა, თვითონ კი ფიქრობდა: „რაღა რევოლუციაა, გლეხებს თუ ისევ ამუშავებენ მემამულეთა მიწებზე?“ ნათლად წარმოუდგა სამშობლო სოფელი — კარისმერეთი. განსაკუთრებით გეოგრაფიული სახელწოდებები მოსწონდა: „ჭინჭარეული“, „ნაბოგირევი“, „სარბევი“ და „ქვასაბერტყელა“. დედა ისევ შესჩიოდა:

— სანიავოზე და მთა-შუბანზე ტყე აგვიჩეხეს გლეხებმა. საოცრად თვითნებობენ და კაცი პატრონი არ არის, ჩვენი უფლება და ადგილ-მამული რომ დაიცვას. იმისთანა ხეები დააფინეს იმ შეჩვენებულებმა, რომ ვნახე, გული მეტკინა. რამდენი საწნახელი, ^ბოძები, საძირკვლები, ფიცრები და ლარძაყინები გამოვიდოდა, ვინ მოთვლის?!

„ლარძაყინები“, — გაიმეორა კორნელიმ და გაიფიქრა: „სად იშოვნონ გლეხებმა ტყე, თუკი ყველა ტყე სახელმწიფოს და მემამულეებს ეკუთვნის?“

ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა ტერეზა და მაყაშვილები საბურთალოს მაღლობიდან ბილიკით სამხედრო გზაზე გაიყვანეს, იქ დაემშვიდობნენ და უკან გამობრუნდნენ. კორნელი მარტო დარჩა საბურთალოს მაღლობზე და სამხედრო გზაზე მიმავალ დედას, მაროსა და მაყაშვილებს კარგა ხანს გასცქეროდა.

ბათუმის ფრონტზე

სამშობლო განსაცდელში თუ ჩავარდა, დარწმუნებული ვარ, მამაცი ახალგაზრდობა უყოყმანოდ დაღვრის სისხლს მისთვის, მაგრამ სრულიადაც არ არის მართალი, თითქო ფრანგებს ომი უყვარდეთ.

ანატოლ ფრანსი

1

ღამით პირველი ბატარეა ომში წასასვლელად სამზადისს შეუდგა. მისი უფროსი, კაპიტანი სერგო ხიდაშელი, მოძცრო და ჯმუხი ოფიცერი, ორმოც წელს მიღწეული კაცი იქნებოდა. მუქწაბლისფერი თვალები ჰქონდა, უბრალოდ ეცვა და ჯარისკაცში ვერ გამოიცნობდით. მიუხედავად მისი ულამაზო, გატრუსული, ფართო და გაუპარსავი სახისა, მუდამ დაჭმუჭნილი მაჩარისა, დაგლეჯილი ჩექმებისა, ხახაში ჩამძვრალი ულვაშებისა და მურტალი გინებისა, რისთვისაც „ტეტიას“ ეძახდნენ, ბრიგადაში მას მაინც დიდი პატივისცემით, რიდითა და შიშით ეკიდებოდნენ, და არა მარტო ჯარისკაცები, არამედ მისი ამხანაგებიც — ოფიცრები და თვით გენერალი ჩიჯავაძეც კი. ისინი ხიდაშელს დასავლეთის ფრონტის გმირს, დიდ შებრძოლს და მამაც ჯარისკაცს უწოდებდნენ. მართლაც, კაპიტანი სერგო ხიდაშელი მამაცი და მცოდნე არტილერისტი იყო, ორი წელი დასავლეთის ფრონტზე გაატარა, მრავალი ჯილდო მიიღო და მათ შორის — წმინდა გიორგის ორდენიც.

ბატარეა ყაზარმის წინ, ჩირაღდნებით განათებულ მოედანზე ეწყობოდა, ჯარისკაცებს პარკიდან ხარბაზნის ვახნებით სავსე ყუთები, უნაგირები და სხვა მოკაზმულობა გამოჰქონდათ. ხარბაზნებში შებმული ცხენები ლაგამს ხრაღნენ და ფრუტუნებდნენ.

ბათუმისაკენ მიმავალ ჯარისკაცებს ზოგნი შურით და ზოგნიც კიდევ სიბრალულით გაჰყურებდნენ.

უცბად შავანაფორიანი მოხუცი მღვდელი და ფუთაამოჩრილი დიაკონი გამოჩნდნენ.

— ეა, ერთი ამ მღვდელსა და დიაკონს უცქირეთ! წესის

ასაგებად ან აღაპზე ხომ არ მოსულან?! — ჰკითხა გიგა ხუციშვილმა ამხანაგებს.

— ლოცვა-კურთხევით უნდა გაისტუმრონ ომში მიმავალი ბატარეა, — მიუგო პეტრე ცხომელიძემ. კაკო ბაქრაძემ ხუციშვილს უთხრა:

— მიდი, შე დოყლაპია, მიეშველე იმ მღვდელს: ხუციას შვილი არა ხარ?

— შენ თვითონ მიდი, კანარეიკა, შენა... საცეცხლურს მაინც მოერევი. დიაკონს საცეცხლურში საკმეველი ჩაუყარე და იმ ბლაღოჩინს უკმიე, — ურჩია ხუციშვილმა.

— ეგ მღვდელი და დიაკონი რად უნდათ? ხედავთ, როგორ გვაპამპულებენ?!—დაიძახა ვიღაცამ.

ჯარისკაცებმა გაიცინეს, მაგრამ მაშინვე ხიდაშელის ზარივით გაბმული ხმა და ძახილი გაისმა:

— სმენა! — მოედანზე ფუსფუსი, სიცილი და ლაპარაკი უმალვე შეწყდა. ომში მიმავალი ბატარეის ჯარისკაცებმა ძწკრიალები გაასწორეს და გაშეშდნენ.

კორნელიმ პირველად დაინახა ბრიგადაში მოსული მღვდელი ჯვრითა და ოლარით, დიაკონი საცეცხლურით, სასხურველითა და ლოცვანით. ისევ ხიდაშელის ძახილი გაისმა:

— ლოცვაზე ქუდები მოიხადეთ! — ჯარისკაცებმა მოხდილ ქუდებს ბარცხნა ხელი მიაგებეს, ზედ ქუდები დაილაგეს და ისევ გაშეშდნენ. სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ ცხენების აღკაზმულობის ყრუ ჩხარუნი, ლაგმის ღეჭვის ხმა და საარტილერიო ჩირაღდნების ცეცხლის ტკაცუნიღა ისმოდა. თეთრწვერა მღვდელმა ბატარეის ლოცვა-კურთხევა დაიწყო. იგი თაფლის სანთლით გაშუქებულ პატარა წიგნს — „დავითნს“ ძველი და ქარაგმული ქართულით კითხულობდა. გამხდარი დიაკონი კი ისე უვნებოდ და უგულოდ ღიღინებდა „უფალო შეგვიწყალენს“, თითქო მეათასე მიცვალებულს წესს უგებდა, ამ ხელობას გამოეთაყვანებია და მობეზრებიაო. დამბლადაცემულივით ძლივს აბრუნებდა ენას ხახაში. ჭაღარა ულვაში თუთუნის ბოლით გაჰყვითლებოდა, გრძელ წვერს ვაცივით აცანცარებდა. „მამაო ჩვენოს“ მაგივრად „ბაბაო ჩვენოს“ ამბობდა და ძილმორეულ თვალებს ნაბავდა.

— იმერლებო, სადაური კაცია ეგ დიაკონი, „მამაოს“ ნაცვლად „ბაბაოს“ რომ იძახის? — ჩუმად ჰკითხა პეტრე

ცხოველიძემ კუკური ზარანდიას და გრიგოლ ცაგურიშვილს.

— ეგ მეგრელი არ არის, — მიუგო ზარანდიამ, — გურული უნდა იყოს.

— არც გურულია, — შენიშნა გრიგოლმა.

მღვდელმა ბატარეის ლოცვა-კურთხევა, ნაკურთხი წყლის სხურება დაამთავრა და ჯარისკაცებს მოუწოდა, არ დაეზოგათ თავი თვისი, მამა-პაპათა მსგავსად შებმოდნენ თურქთა ურდოებს. ურჯულოთა მონობისაგან ეხსნათ სამშობლო და ქრისტეს რჯული. მოხუცს ხეზე მიკრული ჩირაღდანი ანათებდა. ჯარისკაცები მხნედ, მდუმარედ იდგნენ და ანთებული თვალებით მოხუცს შესცქეროდნენ. კორნელის ტანში გააჟრჟოლა. ჩირაღდნის ალი აციმციმდა. ერთბაშად ქარი ამოვარდა, ხიდაშელის მაზარის კალთა მოიტაცა და მის მკერდზე ოქრომოვლებული, თეთრი მინანქრისაგან ნაჭედი წმინდა გიორგის ჯვარი გამოაჩინა. მერმე გენერალმა ჩიჯავაძემ ბატარეას მოკლე სიტყვით მიმართა და ხიდაშელს იდუმალი ხმით უთხრა:

— გახსოვდეს, სერგო, შენი ბატარეა ჩვენი ბრიგადის პირველი შიკრიკია, გამარჯვების მახარობელი ჩვენი პირველი მერცხალი. ღმერთი გფარვიდეს, — დასძინა მან, მოეხვია და სამჯერ აკოცა. ხიდაშელმა მადლობა გადაუხადა. მაზარა შეიკრა და ცხენზე შეჯდა. ცხენი ბატარეის წინ გააჯირითა, მერმე შეაყენა, უზანგებზე შედგა და გამყივანი ხმით სჭექა:

— ცხენებზე! — ჯარისკაცები ცხენებზე შესხდნენ. ზარბაზნებთან ქვეითნი გასწორდნენ და გაშეშდნენ.

— მარჯვნივ ზარბაზნებისაკენ, ნაბიჯით ი...აა...რ! — ისევ გააბა ბრძანება კაპიტანმა. პირველი სამთო-საცხენოსნო ბატარეა დაიძრა, ბრიგადის მოედანი გაიარა, სამხედრო გზაზე გავიდა და სადგურისაკენ გაეშურა.

კორნელი და ბრიგადაში დარჩენილი ჯარისკაცები საბურთალოს მაღლობიდან გასცქეროდნენ. ბატარეა მალე წყვდიადმა დაჰფარა, ხოლო ზარბაზანთა ბორბლების გრიალი კიდევ დიდხანს ისმოდა. მერმე ისიც მიწყდა. წინ ხევი იყო, ვერის ბაღები და მერმე წყვდიადში შავად აყუდებული მთები. ცაში ვარსკვლავები ციმციმებდნენ.

— ისე წავიდნენ ჩვენი ბიჭები, რომ მათთან გამომშვი-

დობებაც კი ვერ მოვასწარი, — გულდაწყვეტით უთხრა კორნელიმ მეკობრებს.

— ალბათ, ჩვენი ბატარეის ჯერიც მალე მოვა, — შენიშნა გრიგოლ ცაგურიშვილმა. მოედანზე ისევ მოვარდა ქარი და ზარბაზნების ბორბლების გრიალი მოიტანა... კორნელის გენერლის სიტყვები მოაგონდა: „გახსოვდეს, სერგო, შენი ბატარეა ჩვენი ბრიგადის პირველი შიკრიკია, გამარჯვების მახაროზელი ჩვენი პირველი მერცხალი“. კორნელის ტანში გააჟრჟოლა. სამშობლოსადმი განუზომელი სიყვარული და დიდი მოვალეობა იგრძნო. ეტყობოდა, მისი მეგობრებიც ამასვე გრძნობდნენ. გრიგოლმა დაიძახა:

— ღმერთო, ჩვენებს გაუმარჯვე!

2

თურქეთი ამიერკავკასიის მაშინდელ უმწეო მდგომარეობას კარგად ხედავდა და არც ერთი მისი სუსტი მხარე არ გამოპარვია. მისთვის ხელსაყრელი იყო ის შუღლი, რომელსაც ნაციონალისტური პარტიები ამიერკავკასიის ხალხთა შორის აღვივებდნენ. დაწყებული 1917 წლის ნოემბრიდან, სახავო მოლაპარაკების დღიდან, თურქეთი, გერმანიის სარდლობის მითითებით, ურყევად, ბეჯითად და თანამიმდევრულად ანხორციელებდა დასახულ მიზანს: ჯერ სამი ციხესიმაგრის — საჯანყის, არდაგანის, ყარსისა და ბათუმის დაკავებას, მერმე კი—მთელი ამიერკავკასიისა.

ერთხელ ვეჭილი ესტატე მაყაშვილი ნაშუადამევს შინ გვიან მივიდა, ცოლი გააღვიძა, სავარძელში მოცელილივით ჩაეშვა და განაცხადა:

— ვარდო, დავიღუპეთ, ბათუმი დაეცა!

— უი, ჩვენს დღეს, რა იცი, იქნებ ყალბი ცნობაა? — აღშფოთდა ვარდო და საწოლში წამოჯდა.

— არა, სარწმუნო ცნობები არის მიღებული. სწორედ ახლა ველაპარაკე მთავრობის თავმჯდომარეს, ევგენი გეგეჭკორს. საშინელი მდგომარეობაა, — მიუგო ესტატემ ცოლს. თმაში ხელი წაივლო, მოიღუნა და იდაყვებით მუხლს დაეყრდნო. მერმე ერთბაშად ასწია თავი, ხელები გაშალა, მაღ-

ლა აატოტა და კაპიტან ალექსიძესავით, სასოწარკვეთით შეს-ძახა და გააბა:

— ვარდო, რა გვეშველება, რა გვე..შვე...ლე...ბა? თურ-ქები ბათუმის დაკავებით არ დაკმაყოფილდებიან, თურქთა ურდოები მთელ საქართველოს შეესევიან და ააოხრებენ. ყო-ველი მხრიდან გვიტევენ: ბათუმიდან, ახალციხე-ახალქალა-ქიდან, ბორჩალოდან...

— უი, რას ამბობს ეს კაცი, რა ვქნა! როგორ თუ ბორჩა-ლოდან? — თავზარი დაეცა ვარდოს, საწოლიდან შიშველი ფეხები გადმოჰკიდა.

— ჰო, სომხეთში შემოჭრილან ის ურჯულოები, კარაკ-ლისი აუღიათ. ბამბაკის ხეობით ბორჩალოს მოსდებიან, რომ ბორჩალოდან მერმე თბილისზე გამოილაშქრონ, — მიუგო ესტატემ და სუნთქვა შეეკრა, ჰაერი აღარ ჰყოფნიდა. საყე-ლო და ჰალსტუხი მოიძრო და გადააგდო. ვარდომ თეთრი, მაუქანი და შიშველი ფეხები ფარჩის ნოქარგულ ქოშებში შეაცურა, სალამური პერანგის ამარა ტუალეტთან მიიჭრა, ლამპას აუწია, ჭიქაში ვალერიანეს წვეთები ჩაასხა და გულ-წასლონებულ მეუღლეს შეასვა. ესტატემ გაიხადა და ვარდოს გვერდით საწოლზე გაიშოტა. დიდხანს ბორგავდა. მერმე თანდათან დაშვიდდა და ფშვინვა ამოუშვა. ვარდომ ლამ-პა ჩაუწია, დაწვა, აფოიხრა და მასაც მალე ჩაეძინა.

ესტატეს ძაღლმა „როიამ“ აივანზე ყეფა ასტეხა. მერმე ერთბაშად შედგა, წკმუტუნი მორთო და ხტუნვა დაიწყო. კა-რებზე ვილაცამ დააკაკუნა. ესტატეს გამოეღვიძა, გულისცემა აუვარდა და შიშისაგან ხმა ჩაუწყდა. ვარდოს თავზარი და-ეცა: თურქები თუ შემოიჭრნენ ამ ღამით ქალაქში, თბილისის რბევა და ხალხის ხოცვა-ჟლეტა დაიწყესო, — გაიფიქრა. კაკუნი ისევ განმეორდა. წახდა ვაჟკაცი — დამბლადაცემუ-ლივით ეგდო ვეძილი ლოგინზე. მაინც დიაცმა აჯობა მხდალს და ჯაბანს. უი, რა მშიშარა ყოფილაო, ეწყინა. მარჯვედ წაიოცხრა საწოლიდან, ისევ ქოშებში შეაცურა ფეხები, შა-ლა წაისისხა, საწოლ ოთახიდან უკან აივანზე გავიდა უშიშ-რად და ძკვახედ გაძახა გაბთიანდისას მისი ბინის კარებზე ძოძ-დგარს:

— ვინა ხარ?

— მე ვარ, — გაისმა გარედან.

— ჯიბო მოვიდა, — გასძახა ქმარს ვარდომ. ესტატემ შარვალი და პიჯაკი ჩაიცვა და ცოლ-ქმარმა ჯიბოს კარები გაუღეს. ნინო და გამდელიც შევიდნენ სასადილოში.

ჯიბოს შავი ქურქი ეცვა. თავზე ჩაბალახი შემოეხვია. მარტო გასისხლიანებული თვალები და გაალურჯებული ცხვირი უჩანდა.

— რა ამბავია? — ჰკითხა ესტატემ.

— ბათუმი დავკარგეთ, — მიუგო ჯიბომ ძმას და ისიც უღონოდ დაეშვა სკამზე, სასადილო მაგიდასთან.

— რა გვჭირს, რა დაგვემართა?! — ისევ შესძახა ესტატემ.

— აბა, უკეთესს რას მოელოდი ჟორდანია, გეგეჭკორისა და რამიშვილის მთავრობისაგან, — ჩაიქნია ხელი ჯიბომ.

— რა მოხდა, კაცო, ალარ იტყვი? — ახლა ვარდო აცრემლებოდა მაზლს.

— ნუ მეკითხებით, ნურაფერს ნუ მაამბობინებთ... დიდი სირცხვილი, თავსლაფის დასხმა, — მიუგო ჯიბომ, ადგა, ქურქი გაიხადა და პირსაბანთან მივიდა. მისი ჩექმები და ტანისამოსი ტალახში გათხვრილი და დაგლეჯილი იყო, თითქოს იერიშის დროს მავთულღობურას წაწყდომიაო.

— რას ჰგავხარ, რა დაგმართნია?—ისევ ჰკითხა ვარდომ.

— დააცათ, სული მოათქმევინეთ, — შეეცოდა ბიძა ძმისწულს.

— ჩაბალახს რად არ მოიხდი? — მაინც არ ეშვებოდა ვარდო.

— შეხედეთ, რასა ვგავარ, — მიუგო ჯიბომ და ლოყაზე ჩამოფარებული ჩაბალახის ტოტი ასწია. მრავალ ადგილს დაკაწრულ, დახეულ, დასივებულ და შეშუპებულ სახეზე ცეცხლი ეკიდებოდა. ქუთუთოც გახეული, თვალებიც დასისხლიანებული, დაღუდუდოებული ჰქონდა. მაყაშვილები წამოცვივდნენ და სახეზე გაოცებით დააშტერდნენ, ჯიბომ ხელები დაიბანა, პირი კამოირეცხა და თვალის უპეები ფრთხილად ამოიწმინდა.

— უი, ჩემს დღეს, ეგ რა მოსვლია! — იძახდა ვარდო. მერმე მაზლს ჩაი გაუცხელა და ვახშამი მიართვა.

— ეგრე ერთის დარტყმით და სამარცხვინოდ თუ დაეცემოდა ბათუმი, არ მეგონა, — უკვირდა ესტატეს.

— ეგ კვლავ თავისას გაიძახის! ეხ უნდა იბრძოლოს, აბა, ერთი მითხარი? გერმანიასთან ზავის დადება რომ გაიგო, ბათუმის გარნიზონის უმეტესობა თურქების შემოტევამდე წავიდა და განაცხადა: რახან ამიერკავკასიის ხელისუფლებამ უარი განაცხადა საბჭოთა მთავრობის ცნობაზე, ჩვენ ვტოვებთ ბათუმს და რევოლუციის დასაცავად და მის გასაღრმავებლად მივდივართო. ამაოდ ცდილობდნენ ოფიცრები და აგიტატორები, აეხსნათ მათთვის, თუ რა უდიდესი საფრთხე მოელოდა საქართველოს, — თქვა ჯიბომ და ისევ უიმედოდ ჩაიქნია ხელი.

— მენშევიკები მხოლოდ ახლა მოვიდნენ გონს, — დაიწყო ესტატე მაყაშვილმა, — როგორ გნებავთ, ისეთმა ერმა იბრძოლოს, რომელიც ასი წლის განმავლობაში რუსეთის თვითმპყრობელობის უღელქვეშ იმყოფებოდა და რომელსაც ოცი წლის მანძილზე ჩასჩიჩინებდნენ და ჩააგონებდნენ ჟორდანია და მისი მეგობრები ეროვნულ ნიჰილიზმს და კოსმოპოლიტურ იდეებს. ილიას, აკაკის და მათი თაობის წაღმა ხნული მენშევიკებმა უკუღმა ფარცხეს და ქართველ ხალხში ეროვნული შეგნების ამოძირკვას მიჰყვეს ხელი. აი, ახლა ჩვენ ვმკით იმ ვაჟბატონების ნაბოქმედარს.

— ნოე ჟორდანია სამტრედიაში ვნახე, — თქვა ჯიბომ.— თბილისიდან ჩამოსულ საგანგებო მატარებლის სალონ-ვაგონის ფანჯრიდან იგი საკუთარი თვალით ხედავდა „რევოლუციის მონაპოვართა“ მშვენიერებას: ანარქიას, ფრონტის დაშლასა და დეზერტირების უწესობას. მის გვერდით ამიერკავკასიის არმიის მთავარსარდალი — გენერალი ლებედინსკი და შტაბის ოფიცრები იდგნენ. დაწყევლილი სამტრედია! არასოდეს არ დამავიწყდება, რა საშინელებაც იქ ხდებოდა.

— ასეთი რა უბედურება ხდებოდა სამტრედიაში? — დაინტერესდა ვარდო.

— საშინელება! ბათუმიდან განუწყვეტლივ მოდიოდნენ ჯარისკაცებითა და ლტოლვილებით შეკუნწულული მატარებლები. გამოქცეულნი ვაგონებში ვერ ეტეოდნენ, ბაქანზე, სახურავზე ისხდნენ, კიბეზე ეკიდნენ. ყველას ნადავლი, დატაცებული სახაზინო ქონება, ჩემოდნები, კალათები, ვეება ფუთები და ბარგი-ბარხანა მოჰქონდა. ფრონტი ირღვეოდა... ჯარისკაცები შინისაკენ გარბოდნენ, — მიუგო ჯიბომ. ისევ

უიმედოდ ჩაიქნია ხელი და დასძინა: — თავი გამანებეთ, ნუღარ მომაგონებთ!

— მერე რა ზომები მიიღეთ? ასე უცქერით ფრონტის დარღვევას და ჯარისკაცთა გაქცევას? — წყენით ჰკითხა ძმას ესტატემ.

— რა ზომები უნდა მიგვეღო? ტყვიამფრქვევი უნდა დაგვედგა და ფრონტიდან გამოქცეულნი გვეხოცა? ჯარის რომელი ნაწილი უნდა დაგვეპატიმრებინა და გაგვერეკა ფრონტზე, როდესაც ბათუმის თითქმის მთელი გარნიზონი გამორბოდა? გადამღობი რაზმის კომენდანტი — კაპიტანი შენგელია და მისი რაზმი თავგამოდებით მუშაობდნენ, მაგრამ რომელი ერთი დეზერტირი უნდა დაეპატიმრებინათ? სადგურთან ზღვა ჯარი ტორტმანებდა. ვაჭრები, სპეკულანტები და ჩარჩები იქვე ყიდულობდნენ ჯარისკაცებისაგან საწყობებში დატაცებულ ტანისამოსს, ფეხსაცმელსა და იარაღსაც. დილიჟნები და ეტლები მახლობელ სოფლებში დეზერტირების გადაზიდვას ვერ აუდიოდნენ. ცხენისწყლის პირას დაბანაკებული ჯარის ნაწილებში ბოლშევიკები სახელდახელო მიტინგებს მართავდნენ, ჯარისკაცებს ფრონტის მიტოვებისაკენ მოუწოდებდნენ და „რევოლუციის გასაღრმავებლად“ და სამოქალაქო ომის გასაჩაღებლად შინ იარაღით დაბრუნებას უქადაგებდნენ.

— განა ეს სამშობლოს წინაშე ღალატი არ არის? — იყვირა ესტატემ და არ უწყოდა, რომ ქალაქებიდან და სოფლებიდან ომში წასული მუშები და გლეხები რევოლუციის მერმე არ დაიცავდნენ ისეთ მთავრობას და სახელმწიფოს, რომელიც მშრომელი ხალხის ინტერესებს ოდნავად მაინც არ აკმაყოფილებდა. თავადი ესტატე და მისი ძმა ჯიბო მაყაშვილები ბოლშევიკების აგიტაციით მოწამლულ დეზერტირებს უწოდებდნენ იმ მუშა და გლეხ ჯარისკაცებს.

ვარდომ მაზლს ჩაბალახი აჰხადა და იყვირა:

— ღმერთო ჩემო, როგორ დასახიჩრებულხარ! რისთვის არ ამბობ, რა მოგიკიდა?

— ხრამში, ნაპრალში გადავიჩეხე. ჯაგებსა და ძეძვში, ეკალ-ბარდებში გავეხვიე, — მიუგო ჯიბომ და მოჰყვა —ჩემი ათასეული ჩაქვის თავზე იდგა. იგი მუშა ბესო არაბიძის მიერ მოგროვილი ჯარისკაცებისაგან შედგებოდა. ათ მარტს

მთის ქედზე კარგი და ხელსაყრელი პოზიცია დავიკავე, რგოლისებური სანგრებით. ასეულების უფროსები და ჯარისკაცები გავაფრთხილე: ჩვენი პოზიცია თურქებმა თუ მოგვტაცეს, ბათუმის გარნიზონს, გაჭირვების ჟამს, უკან დასახევი გზა გადაეჭრება-მეთქი. შტაბი მთის ძირში იყო მოთავსებული. ჩემს წინ გურია-აჭარის მთები იდგნენ. უკან შავი ზღვა ჩანდა. დალამდა. ჩაქვის სადგურზე და ზღვის პირას ფარნები აღენთნენ. შორს ბათუმის ნავსადგურის შუქურა კიაფობდა: შტრის გემებს ვერავდა. ზღვამ ღელვას უმატა. მთებში ნისლი ჩამოწვა და მოიღრუბლა, ბათუმის დაცვა მაშინაც უიმედოდ მიმაჩნდა.

— რატომ, შე კაცო? — წყენით ჰკითხა ესტატემ.

— იმიტომ, — მიუგო ჯიბომ, — რომ არავინ არ ფიქრობდა ბათუმის ციხე-ქალაქის მიდამოების დაზვერვას, არავინ არ იცოდა თურქთა ჯარების რაოდენობა. მათი მოძრაობის გეზი, დაბანაკება, განლაგება და, მით უფრო, მათი ოპერაციის გეგმა. ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო მოულოდნელი შემოტევა. ამის გარდა, კარგად ვიცოდი, რომ ბათუმის გარნიზონის ჯარისკაცებს ბრძოლა არ სურდათ, ხოლო მოხალისე ჭაბუკებისაგან სახელდახელოდ შედგენილი ჯარის ნაწილები კი — გაუწვრთნელნი, ბრძოლაში გამოუცდელნი, არასაიმედონი იყვნენ. ამაში მალე დავრწმუნდი. მოხალისე ჭაბუკები საქმეს მიეჩვევდნენ. ისინი შიშისაგან კანკალებდნენ და ხშირად გარბოდნენ სანგრებიდან ხევში. „დათვის სენი“ შეეყარათ. მათი შიში ჯარისკაცებსაც გადაედო. ნაშუადამევს, ჯერ კიდევ ცაში ნათელი არ ჩამდგარიყო, როდესაც ჩვენ წინ აღმართულ მთის კალთებზე სროლა ატყდა, მოხალისეებმა უწესრიგო სროლითვე უპასუხეს. ასეულების უფროსებს ვუბრძანე ჩვენი სანგრებიდან დაუყოვნებლივ შეეწყვიტათ სროლა. საშინელი სურათი იყო. მოხალისე ჭაბუკები სანგრებიდან თავს არ სწევდნენ და ასე ზეპირად ისროდნენ ბაში-ბუზუკებივით. ეშმაკმა იცის, ვინ რას და ვის ესროდა იმ ბნელი ღამით! ზოგის ტყვიები მოღრუბლული ცისკენ მიფრინავდნენ და ზოგის კიდევ — იქვე მიწაში ერჭობოდნენ. აშკარად დავრწმუნდი, რა მებრძოლი ჯარისკაცებიც მყვანდნენ. დიდი ვაი-ვაგლახის მერმე სროლა შევაჩერეთ. სიოლა აღარ იცმოდა ახლა თურქების მხრიდანაც. ასეულის

უფროსებსა და ბესო არაბიძეს ვუთხარი: ჩვენი სანგრებიდან ატეხილი სროლის გამო მტერმა ჩვენი დაბანაკება გამოარკვია და შესაძლოა გარიჟრაჟისას შეტევაზე გადმოვიდეს-მეთქი. ერთმა ოფიცერმა ეს ჩემი მოსაზრება ორ ჯარისკაცს გახუცხადა. მათ თავის ამხანაგებს შეატყობინეს და მალე მოხალისენი ენით აუწერელმა შიშმა შეიპყრო. გათენებამდე მტრის მოლოდინი ვერ აიტანეს, შარდზე გასვლა მოიმიზეზეს და ხევისაკენ ჯგუფ-ჯგუფად გაპარვა დაიწყეს. გაპარვამ ბასობრივი ხასიათი მიიღო. მე, ბესო არაბიძე და ასეულების უფროსები მოვუწოდებდით ჯარისკაცებს, არ ეღალატნათ სამშობლოსათვის. ვუნმარტავდით, თუ რა ხიფათი მოელოდა საქართველოს ბათუმის დაკარგვით. ამაოდ ქაქანებდა საბრალო და წესიერი კაცი — სტამბის მუშა არაბიძე. მსოფლიო ომში ფრონტზე მყოფ ჯარისკაცებსაც აღარ შერჩენოდათ წინანდელი სიმამაცე და დისციპლინა. ყველანი თავის გადარჩენაზე ფიქრობდნენ ახლა. გათენებისას სანგრებში მე, ოთხი ოფიცერი, ბესო არაბიძე და ოციოდე ჯარისკაცილა აღმოვჩნდით. ჩემი მოსაზრება გამართლდა. სანგრებიდან ატეხილი სროლის გამო მტერმა ჩვენი დაბანაკება გამოამჟღავნა და დილით ადრე ათასეულის მარჯვენა ფრთას მოადგა. ჩინებული ათასეული იყო. სულ ახლოს ლაპარაკი შემომესმა. დურბინდი საჭირო არ იყო. თვალითაც კარგად ვხედავდი, როგორ ამოჰყვეს თავი ასკერებმა ბუჩქებიდან. მერმე მახლობელ თხრილში იწყეს ხტომა: ერთ მათგანს შაშხანა გულდაგულ დავუმიზნე, ვესროლე. იგი ჰაერში შეტრიალდა და უკანვე გადავარდა. ჩასაფრებულნი გვესროდნენ. ჩვენც ვპასუხობდით. ტყვიები სანგრების ბრუსტვერს ეჯახებოდნენ და ჩემს თავზე მტვერს აყენებდნენ. ბუჩქებიდან დაცხრილული, ნორჩი ფოთლები მიწაზე სცვიოდნენ. ასკერები ჩინებულად ისვრიან. ჩემს გვერდით ჯარისკაცს თავი გაუხვრიტეს იმ წყეულებმა. მეორეს მხარში მოახვედრეს. სხვები დაფრთხნენ. მოკუზულებმა გაირბინეს სანგრები. თხრილში ჩახტომის დროს ახოვან ჯარისკაცს ტყვია კისერში მიარჭვეს. იგი თავჭვე დაეშვა. სანგრებში, ჩემს გარდა, ახლა აღარავინ იყო. შაშხანის ლულას ბუხრის ჭუდი დავხურე და სანგრის ზედაპირს ოდნავ ავაშორე. ასკერებმა ტყვიები დაუშინეს და დაცხრილეს. ტყვიამფრქვევს ვეცი და ლენტები დავცალე. მერ-

მე ჯარისკაცის მიერ გადაგდებული ფალასკა ავიღე, მაგრამ მაშინვე გავიფიქრე: რამდენ ხანს ვუნდა ვებრძოლო მტრებს ერთმა კაცმა? მსოფლიო ომი გამოვიარე და როგორ ბრიყვულად ვკვდები ამ ჩაქვის თავზე-თქო! თავის გადარჩენა ვადავწყვიტე. პირჯვარი გადავისახე. სანგრების მიწაყრილს შევახტი. მაშინვე ტყვიები დამაყარეს, მაგრამ გვიანღა იყო. მათ ერთი წამით მომკრეს თვალი. ხრამში გადავხტი და მერმე მთის კალთაზე დავეშვი. თავი ვერ შევიკავე. ზვავივით წავედი ხევისაკენ. ჯაგებსა და ეკალ-ბარდებში შევრგე თავი.

— დედა, შვილო, — შესძახა ვამდელმა და ჯიბოს წინ მჯდარ ნინოს მოეხვია.

— სახე და ხელები მაშინ დავიკაწრე. — მაყაშვილები ხელზე და სახეზე მიაშტერდნენ. ჯიბომ ისევ განაგრძო: — უბედურებას აღარ იკითხავ? იმ ჯაგებსა და ეკალ-ბარდების ხვიარებში ისე შევიჭერი და გავეხვიე, განძრევაც კი ვერ მოვახერხე. ასკერები წინ რომ წამოსულიყვნენ და სანგრები დაეკავებინათ, ქედიდან დამინახავდნენ და უთუოდ განათავებდნენ. ეტყობოდა, ჩემმა ტყვიამფრქვევმა მათ ანგელოზები დაუფრთხო. დაყოვნება სიკვდილს უდრიდა. ჯიბის დანა ამოვიღე. შმაგივით დავტრიალდი ჯაგებში, მახრჩობელა გველის რგოლებივით ტანზე შემოგრაგნილი ხვიარები, ეკალ-ბარდების ლერწები დავგლიჯე და თავი გავიხსენი. ღელე-ღელე მოვდიოდი. მარჯვნივ გავუხვიე და სამშვიდობოზე გავედი, გასისხლიანებული სელ-პირი ღელის წყლით ჩამოვირეცხე. გზა-გზა შაშხანები, ფალასკები, ჩანთები და ფეხსაცმელებიც კი ეყარა, რომ დაუბრკოლებლივ მოეკურცხლათ ბიჭებს.

— ვაი, სირცხვილო! — დაიძახა ესტატემ და ჭკვარედ ჩაფიქრდა.

— რა პირით ვეჩვენო დივიზიის უფროსს? რა მოვახსენო-თქო, ვფიქრობდი და იქვე თხმელაზე მიყრდნობილი ჯარისკაცი დავინახე, — განაგრძო ჯიბომ. — „ბატონო კომანდირო, მიშველე, აქ არ დამტოვო“, ხროტინით მითხრა მან. თვალები ანთებოდნენ და სისხლი თუხთუხით გადმოღვროდა ტყვიანაკრავ ყელიდან. მისი წუთები დათვლილი იყო. მე ვიცანი ის ახოვანი ჯარისკაცი, სანგრიდან გადმოხტომის დროს კისერში რომ ტყვია მოარტყეს ასკერებმა. როგორ მეშველა მისთვის?!

— დატოვე, ძია ჯიბო? — შეწუხებული საბით ჰკითხა ნინომ.

— არა, — მიუგო ჯიბომ, — მხარში შევუდექი და კარგა ხანს ვატარე. შაშხანა დააგდე-თქო, ჩავძახოდი, მაგრამ აო უშვებდა. ხელი ისე მოეჭიდნა, თითქო ზედ შეჰხორცებიაო. იქნებ არც კი ესმოდა ჩემი ძახილი ღონემიხდილ და გაშტერებულ კაცს. მალე სიარული ვეღარ შესძლო, დაბარბაცდა და მუხლები მოეკეცა. გამიშვი, დამსვიო, მითხრა და სიტყვის გაბგერება ქარიან დღეს კალმის ნახვრეტში ჩაბერილი ჰაერის ფშვინვასავით ჩამესმა ყურში. ჯარისკაცი ცარიელ ტომარასავით მოეშვა, ჩაიკეცა და დედამიწაზე გაიშოტა. დაკვეთილი სისხლი ყელიდან მხრებზე გადმოღვროდა. შავად ბოკუპრული, პატარა იარა ყელზე აჯდა, ვით გახურებული შაითით ამომწვარი და ჩხვლეტისაგან დაჩნეული ნაჭდობი. სახე უმალვე გაუშავდა და გაუსივდა. დახეთქილ ბაგეებზე ნეწყვის ნალექი ფითრივით მოედო. თვალები გახელილი დაოჩენოდა. იგი ახოვანი და ზორბა ვაჟკაცი იყო. შემეცოდა. თვალები დავუხუჭე და ისე დავტოვე.

— უი, საწყალი! — შეიცხადეს ვარდომ და ნინომ. თვალზე ხელი აიფარეს.

— ჩემმა ათასეულმა ბრძოლის ველი მიატოვა და ომის დაწყებამდე გაიქცა, ხოლო მისი უფროსი არსად ჩანდა. შეიცხვენილი და ლაფდასხმული გავეშურე ჩემი ოფიცრებია, ბესო არაბიძისა და ჯარისკაცების საძებნელად. დიდი ხნის ხეტიალის მერმე ვიპოვე. კარგა დიდი მანძილი გაურბენიათ,— ნაძალადევად გაიღიმა ჯიბომ და განაგრძო: — ბესო არაბიძე ძომვარდა, გადამეხვია და გადამკოცნა. ჩვენ დაგინახეთ, საბრებიდან რომ გადმოხტი და ტყვიები დაგაყარეს. მკვდარი გვეგონე. შენ საძებნელად მოვდიოდითო, მითხრა, მხარზე თავი დამადო და ამოდენა კაცი მწარედ აქვითინდა: „ეს რა მოყვივიდა? ბათუმი დავკარგეთ, დავკარგეთ უბრძოლველად. რიგორი სირცხვილი ვჭამეთ, ჯიბო, როგორი?!“ ეს იყო და ეს. ჩემს თანაშემწეს ვუბრძანე: ჯარისკაცები მოეგროვებინა, თუმცა შესაკრები არავინ იყო. ჩვენს ათასეულიდან ოცი ქვეითელი და ოციოდე სტამბის მუშა დარჩენილიყო. მეორე ქობულეთში ჩავედი და დივიზიის უფროსს მოვახსენე ყოველ-

ვე. მორჩა და გათავდა. მე ასეთ ჯარში აღარ ვიმსახურებ. მეყოფა შერცხვენა და თავისძოჭრა, — დაამთავრა ჯიბომ.

სიჩუმე ჩამოვარდა. ესტატე ძმასთან ერთად მწვავედ განიცდიდა ბათუმის დაკარგვას.

— სად იდგა იმ დროს ხიდაშელის ბატარეა? — მოულოდნელად ჰკითხა მან, თითქო ხიდაშელის ერთი ბატარეა გადაარჩენდა ბათუმს.

— ბათუმი ხიდაშელის ბატარეის ჩამოსვლამდე დაეცა. მე იგი სამტრედიაში ვნახე,—მიუგო ჯიბომ და აბრეზით დაიძახა: — ოხ, ეგ სამტრედია, სამტრედია! რა საშინელი სურათი ვნახე იქ. ლტოლვილები, ჩაბალახიანი, წვრილტლიანი ბიჭების სირბილი, ყაყანი, ორომტრიალი, უთვალავი ხალხის ფუსფუსი, ფუთებით, ხურჯინებით, კალათებით. ზურგზე მოკიდებული ბარგით სირბილი და ფაციფუცი ახლაც თვალწინ მიდგას, თითქო ჭიანჭველათა ბუდე დაანგრიეს და აზრადაც კი არ მოსდით სტიქიური შიშით შეპყრობილ იმ პატარა ქმნილებებს შეკავშირება, ორგანიზება, მტერთან ბრძოლა და გაძკლავებაო.

— ეხ, ჩემო კარგო, — შენიშნა ესტატემ, — ჭიანჭველათა ბუდის დანგრევისა და კატასტროფის ჟამს შენიშნული ფუსფუსი და ფაციფუცი გაცილებით უფრო საზრიანი, გეგმიანი, ურთიერთდახმარებით, სოციალური ინსტიხჭტით არის სავსე, ვიდრე ის, რაც შენ გინახავს, სადაც ადამიანები მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენაზე ფიქრობენ, ან კიდევ სახელმწიფო ქონების დატაცებაზე და გონებადაბნელებულთ აწ აღარ ახსოვთ საერთო საქმე და საშიშობლო ქვეყნის ბედ-იღბალი. სადღაა წინაპართა სიმხნე, გმირობა და მაგმულისათვის თავდადება? ასე იქნება მანამ, სანამ ერს ერობა, დამოუკიდებლობა არ ექნება.

მართლაც, ჯიბო მაყაშვილის ნაამბობი შეესაბამებოდა ბათენის დაცემის სურათს. სრულიად უმნიშვნელო ბრძოლის შემდეგ ბათუმის ციხე-ქალაქი მთელი თავისი გარნიზონით თურქებს ჩაბარდა. მეოთხე ქვეითმა ლეგიონმა თავისი ნებით მიატოვა პოზიცია და ოზურგეთისაკენ გაიქცა. მეორე ლეგიონი ბათუმიდან გამოვიდა და ჭიბულეთთან დაბანაკდა. მცირერიცხოვანი რაზმებისა და ერთეულ პირთა სიმტკიცე და სიძლიერე კი საერთო მარცხით და შერცხვენით დაჩრდილა..

ხიდაშელის ბატარეის წასვლის მერმე მოღრუბლული და წვიმიანი დღეები დაიჭირა. ნისლში გახვეული მთები აღარ სჩანდნენ. ცა და მიწა შეერთებულიყო. ყაზარმების წინ, ატალახებულ მოედანზე, ჯარისკაცები მეცადინეობაზე აღარ გაჰკავდათ. წვიმით გაჟღენთილ ბრეზენტში გახვეული ზარბაზნები სდუმდნენ. რა ხდებოდა ფრონტზე, არავინ იცოდა. არ იცოდნენ ბათუმის დასაცავად გაგზავნილმა „პირველმა მერცხალმა“ — ხიდაშელის ბატარეამ ისახელა თუ არა თავი.

ყაზარმაში ცუდი ხმა გავრცელებულიყო: ბათუმი დაეცაო. არტილერისტები მოწყენილი ისხდნენ და მოღრუბლულ ცას ფანჯრებიდან გასცქეროდნენ. მჭედლიშვილი სამგლოვიარო მარშს უკრავდა ვიოლონჩელზე. რაღაც საოცარი და ავისმაუწყებელი მყუდროება ჩამოწვა და გულსაკლავი ცუდი დღე გათენდა. ოფიცრები ამ მოღრუბლულ დღესავით დაღვრემილი სახით დადიოდნენ და ჯარისკაცებთან საუბარს ერიდებოდნენ, თითქოს ემდურიანო.

კორნელიმ და სანდრომ მაზარები წამოისხეს და ახალი ამბის გასაგებად შტაბისაკენ გასწიეს. პირველი ყაზარმის წინ, რკინით გადახურულ შესასვლელის კარებთან კაპიტანი ალექსიძე და ჯარისკაცის მაზარაში გამოწყობილი ვიღაც კაცი იდგნენ და ისე ჩუმად და საიდუმლოდ საუბრობდნენ, თითქოს ეშინოდათ, მათი ნაუბარისათვის ყური არავის მოეკრა.

— ესტატე, — დაიძახა სანდრომ. კორნელიმ ვექილი ესტატე მაყაშვილი იცნო. იგი მაზარაში უფრო ხნიერი ჩანდა. საყელო აეწია. ჯიბეში ხელები ჩაეწყო, მხრები აეჩეჩა და სახურავიდან გუბეში წვიმის წვეთების ცვენასა და ზედ გარბენილ წრეებს უიმედოდ დაშტერებოდა. ესტატესთან გენადი ქადაგიშვილი და ერემო გოდებანიძე მივიდნენ. ისინიც მდუმარედ და მგლოვიარე სახით დააშტერდნენ გუბეს, თითქო ყაზარმიდან მათთვის საყვარელი ადამიანის ცხედრის გამოსვენებას ელოდებიანო. ესტატეს თავი არ აუღია, ისე ყრუდ განაცხადა:

— აი, ეგ არის საქართველოს უკანასკნელი საუკუნეები!

ბედი: სპარსთა და თურქთა მიერ ჩვენი ქვეყნის დარბევა და აწიოკება... საცოდავი საქართველო...

— აღარ აცალეს რჯულ-ძაღლთა, ვეფხს ერთხელ გასმა კბილისა, — განაგრძო ვაჟას სიტყვებით გოდებანიძემ.

— ერთხელაც იქნება, და აღსდგება ის ვეფხვი. მტრებს ცხვრის ფარასავით დაიფრენს და ველარ ჩადგება ბარბაროსი და ვერაგი თურქი საქართველოსა და კულტურულ კაცობრიობას შორის ჯებირად. ვწამს და მჯერა ჩვენი ხალხის მოშავალი, — იმედი ჩაღვარა დამგლოვიარებული მეგობრების გულში გენადი ქადაგიშვილმა.

— როდის იქნების ეს? — დაიძახა ესტატემ. — უნდა გავწყდეთ ქართველები, მტერს კი ერთი მტკაველი მიწა-ც არ მივცეთ!

კორნელი და სანდრო ესტატესთან მივიდნენ. კორნელიმ ესტატეს ჰკითხა:

— მართლა აილეს ბათუმი თურქებმა?

— ნამდვილი ამბავი ჯერ არ ვიცი... მაგრამ ბათუმი, ალბათ, დაეცემა... — მიკიბულ-მოკიბულად მიუგო ესტატემ და მერმე დასძინა: — მგონი დაეცა კიდეც... ჯერ წურავის ეტყვით... ბათუმის დაცემით ომი არ წაგვგრა... მტკიცედ იყავით, ბიჭებო!

— ეს მაზარა რას ნიშნავს?—ჰკითხა კორნელიმ.

— ჯარში ჩაეწერე, — მიუგო ესტატემ. კორნელიმ ისევ ჰკითხა:

— რისთვის ვზივართ თბილისში? ჩვენი ბატარეა ხომ მზად არის ომისათვის?

ესტატეს მაგივრად ალექსიძემ მიუგო კორნელის:

— ჩვენი ბატარეაც მალე გასწევს ფრონტზე.

ამ დროს ბრიგადაში გენერალი ჩიჯავაძე მოვიდა და ქალაქიდან სასიხარულო ამბავი მოიტანა: თურქების დამარცხება მდინარე ჩოლოქთან. სწორედ ამ ბრძოლაში უსახელებია თავი ხიდაშელის ბატარეასაც. მართლაც, მდინარე ჩოლოქთან ექვს აპრილს მომხდარი ბრძოლა ქართველთა სრული გამარჯვებით დამთავრდა. ასე დაიწყო თურქებთან ომში საქართველოს მარცხის გამოსწორება.

ჩოლოქთან გამარჯვება უზრუნველჰყო არა იმდენად ამიერკავკასიის მთავრობამ, ან გენერალ მაზნიაშვილის სამხედ-

რო და ორგანიზატორულმა ნიჭმა, რამდენადაც თავისი კერიისა და სამშობლოს დასაცავად ამდგარი უბრალო ადამიანების პატრიოტიზმმა, სიმამაცემ, გამძლეობამ, რომელთაც გადაწყვიტეს ქუთაისისაკენ მიმავალი გზა გადაეღობათ მტრისათვის. ამ პატრიოტული აღფრთოვანებით საქართველოს მთელი მოსახლეობა განიმსჭვალა.

სახალხო აღფრთოვანებამ ოფიცრებიც, დასავლეთ საქართველოს ჯარების უფროსი გენერალი მაზნიაშვილიც შეიპყრო; ისინი მთავრობისა და უმაღლესი სამხედრო სარდლობის წინააღმდეგ მოქმედებდნენ.

მაზნიაშვილი სამტრედიიდან სამი ეშელონით პირველ აპრილს გავიდა, რათა მდინარე ჩოლოქის მარჯვენა ნაპირზე პოზიცია დაეჭირა და ქუთაისისაკენ თურქების მსვლელობა შეეჩერებინა. ბევრს ბედნიერ ნიშნად მიაჩნდა ის გარემოება, რომ ლაშქარი პირველ აპრილს წავიდა ომში, ხალხის რწმენით, საქართველოში მერცხლების მოფრენის დღეს. ეშელონში შედიოდა: პოლკოვნიკ ფურცელაძის პარტიზანული რაზმი, ინჟინერ ხუნდაძის თაოსნობით შორაპნის, ჭიათურის, ტყიბულის რაიონებში შეკრებილი მუშები და ჟურულისა და ხიდაშელის ორი ბატარეა. ეს სამი ეშელონი, რომელიც მთლიანად სტუდენტებისაგან, საშუალო ინტელიგენტების, მუშებისა და გლეხებისაგან შედგებოდა, აშკარად მცირე ძალას წარმოადგენდა თურქების წინმსვლელობის შესაჩერებლად. მაგრამ ეს მცირერიცხოვანი ძალა ომის დასაწყისში წარმოადგენდა იმ ბირთვს, რომლის გარშემო შეგროვდნენ მერმე ჯარები. პატრიოტული გრძნობით გამსჭვალული ამ რაზმის მებრძოლების მაგალითმა სხვა ნაწილების ჯარისკაცებიც აღაფრთოვანა და თურქების შემოსევისაგან სამშობლოს დაცვის წყურვილი ჩაუნერგა. მალე ფრონტისაკენ სხვა მოხალისე რაზმებიც დაიძრნენ.

გენერალმა მაზნიაშვილმა მტრისათვის გზის გადაჭრა მდინარე ჩოლოქისა და ნატანების ჭაობიან ადგილებში გადაწყვიტა, ზღვის ნაპირიდან ოზურგეთამდე, სადაც გამოცდილი მეგზურების გარეშე, მტრის ჯარი, მით უმეტეს მისი არტილერია და აღალი, ჩაეფლობოდა და გზას ვერ გაიკვლევდა. ფრონტი წმინდა ნიკოლოზის ფორტიდან ჯერ ველზე და მერმე ქედებზე — ნასაკირალამდე და სოფელ შემოქმედამდე იყო

გაჭიმული. ამრიგად, გენერალ მაზნიაშვილის პოზიციის მარჯვენა ფრთა შავ ზღვას ებჯინებოდა, ხოლო მარცხენა — გურია-აჭარის მთებს. ამ პოზიციას მტრისათვის მხოლოდ ორი თავისუფალი გასასვლელი ჰქონდა, ერთი: მარჯვენა ფრთაზე— რკინიგზის გვერდით, მდინარე ჩოლოქისა და ნატანების ხიდით და მეორე — მარცხენა ფრთაზე, ლიხაურის ხეობით ქალაქ ოზურგეთისაკენ. მუხებისაგან შემდგარმა ხუნდაძის რაზმმა ჩოლოქის ხიდის მარჯვნივ, ზღვის ნაპირამდე დაიკირა პოზიცია, ხოლო ფურცელაძის რაზმმა კი — ხიდის მარცხნივ. ჯარისკაცები მაშინვე სანგრების ამოღებას შეუდგნენ. კაპიტანმა ჟურულმა და კაპიტანმა ხიდაშელმა ბატარეისათვის ორი პოზიცია აირჩიეს: ერთი—სადგურ ნატანების უკან და მეორე — იქვე ხიდთან. ამ დროს სამტრედიიდან ჯავშნიანი მატარებელიც ჩაბოვიდა და გენერალმა რეზერვში ჩააყენა. გახრწნილი ჯარის ნაწილებს გენერალი არ იკარებდა, რადგან მწარე გამოცდილებით იცოდა, რომ უდისციპლინო, ბრძოლის ველიდან გაქცევის მოყვარული ჯარისკაცები, სარგებლობის ნაცვლად, ჩოლოქის პოზიციაზე დაყენებულ თავდადებულ მცირერიცხოვან რაზმსაც კი გაუხრწნიდა. გენერლის განკარგულებაში თბილისიდან და ქუთაისიდან ახალ-ახალი რაზმები იგზავნებოდნენ. მაზნიაშვილთან მახლობელი სოფლების მცხოვრებლები, ბოხუცები და ბავშვებიც კი გამოცხადდნენ: ჩვენ ვიცით ნატანების ჭაობების ყველა ბილიკი და მზვერავებად გამოვდგებით. სოფლებში ახალი პარტიზანული რაზმების შეკვეთა და ჯარში ოფიცრების დინება დაიწყო. გამოცხადებულ ოფიცერთა შორის აღმოჩნდა გენერალური შტაბის პოლკოვნიკი გრიგოლ თუხარელი, დასავლეთის ფრონტზე ნაბრძოლი მამაცი და განათლებული კაცი, რამაც მაზნიაშვილი დიდად გაახარა. იგი მან თავისი შტაბის უფროსად დანიშნა. ჯარში გამოცხადდა აგრეთვე კაპიტანი კოსტილი. კოსტილი ჩოლოქთან ბრძოლის დროს ფეხში დაიჭრა. ოზურგეთს ხოხვით მივიდა და პირველი პოლკის უფროსს მეტად მნიშვნელოვანი ბრძანება მიუტანა. იგი ჭობულეთთან ბრძოლის დროს იქნა მოკლული და მერმე დიდი საშხედრო პატივით დაკრძალული თბილისში.

ექვს აპრილამდე გენერალი პოზიციებს ამაგრებდა და აღ-

მოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდან მომდინარე რაზმებს სხვადასხვა ჯგუფებში ანაწილებდა.

ექვსი აპრილისათვის გენერალს, ჯავშნიანი მატარებლისა და არტილერიის გარდა, იმდენი ქვეითი ჯარი ჰყავდა, რომ მრავალრიცხოვან მტრის ჯარსაც კი გაუმკლავდებოდა. დღისით დაზვერვას ჯავშნიანი მატარებელი ასრულებდა, ხოლო ღამით მახლობელი სოფლების მოხუცები, რომლებიც ნაცნობი გზებით დადიოდნენ ჭობულეთამდე, ჭაობიან ადგილებში. სწორედ ამ გამოცდილმა მეგზურებმა ბოიტანეს თურქების მიერ ჭობულეთის აღებისა და ბათი ჯარების ნატანებისაკენ მსვლელობის ამბავი.

იმ შემთხვევაში, თუ მტრის უმთავრესი ძალა მარჯვენა ფრთას მოაწვებოდა, გენერალს გადაწყვეტილი ჰქონდა, მის შესახვედრად და მსვლელობის შესაფერხებლად, ჯავშნიანი მატარებლის გაშვება, ჯავშნიანი მანქანების მსგავსად მისი გამოყენება და შეწირვა. ჯავშნიან მატარებელს სხვა როლიც ენიჭებოდა. რეზერვების უქონლობის გამო ჯარისკაცებმა საიმედო, დამხმარე ძალად მიიჩნიეს ჯავშნოსანი; მაგრამ იგი საშიშ ძალადაც იქცეოდა იმ ჯარისკაცთათვის, რომლებიც ომის დროს სანგრების მიტოვებასა და გაქცევას დააპირებდნენ. ეს უკანასკნელი გარემოება ჯავშნიანი მატარებლის უფროსმა, გოგუაძემ ნათლად აუხსნა ჯარისკაცებს. გაშლილ მინდორზე გასული ჯავშნიანი მატარებელი მტრის არტილერიით რომ არ დაზიანებულიყო, სამტრედიიდან მოწვეულ რკინიგზის ოსტატებს გენერალმა ჩოლოქის ხიდიდან მოკლე შტო გააყვანინა და მატარებელი ტყეში დამალა. როდესაც გენერალმა ოზურგეთის ფრონტის გამაგრებაც დაამთავრა, ღამით მწვერავებმა შეატყობინეს, მტრის ჯარის ერთი ჯგუფი ოზურგეთისაკენ გზატკეცილით, ხოლო მეორე კი ჩოლოქისაკენ რკინიგზის ლიანდაგის გასწვრივ მოიწევსო.

განთიადისას მტერი ოჩხამურის ხიდს მიუახლოვდა. მებრძოლი უბნის უფროსმა, კაპიტანმა ჟურულმა, ზარბაზნები დაუშინა ჩოლოქისაკენ მიმავალ გზატკეცილს და რკინიგზის ლიანდაგსაც. გენერალმა სანგრებში ჩასაფრებულ ჯარისკაცებს სასტიკად აუკრძალა სროლა მანამდე, სანამ ასკერები ტყესა და მდინარე ჩოლოქს შორის გაშლილ მინდორზე არ გამოვიდოდნენ. ჯავშნიანი მატარებელი დაიძრა და ჩიხიდან

რკინიგზის მთავარ ხაზზე გრიალით გავიდა. ოჩხამურის ხიდს რომ გასცდა და სამასი მეტრი გაიარა, მტერმა უმალვე შეამჩნია იგი და მისკენ დრეზინა გაუშვა. დრეზინა მებრძოლ ვაგონს დაეჯახა და მის ქვეშ მოექცა. ვაგონი ლიანდაგს აცდა და მატარებელი გაჩერდა. ჯავშნიანი მატარებელი და სანგრებში ჩასაფრებული ჯარისკაცებიც სდუმდნენ. თურქებმა იფიქრეს: მატარებელი დაიმსხვრა, ქართველებმა სანგრები მიატოვესო: ტყიდან მცირერიცხოვან ჯგუფებად გამოვიდნენ და ჯავშნოსანს გაუბედავად მიუახლოვდნენ. მალე ტყესა და მდინარე ჩოლოქს შორის მდებარე ბინდორზე უფრო თამამად გამოეფინენ ასკერები. უეცრად სანგრებში ჩასაფრებულმა ჯარისკაცებმა და ჯავშნიანმა მატარებელმა ერთდროულად გახსნეს ყველა შაშხანიდან და ტყვიამფრქვევიდან ცეცხლი. მას ხიდაშელისა და ჟურულის ბატარეების ქარიშხალისებური ცეცხლიც მოჰყვა. ასკერები ჭერეხებივით სცვიოდნენ ველზე... ცოცხლებმა ტყეს მიაშურეს და გაიქცნენ... მაშინ ქართული ჯარი სანგრებიდან აცოცდა, მდინარე ჩოლოქი ფონით გაიარა, მტერს დაედევნა და ოჩხამურამდე სდია. ეს დიდი გაშარჯვება იყო. ჩოლოქის ბრძოლაში თურქებმა ბრძოლის ველზე ათასამდე მოკლული ასკერი დატოვეს, ხოლო ბათუმში შატარებლით უფრო მეტი დაჭრილი ჩაიყვანეს.

სახალხო, ეროვნული აღტკინება, რომელსაც მერმე მდინარე ჩოლოქთან გამარჯვება მოჰყვა, ამიერკავკასიის მესვეურებს ძილს უფრთხობდა. მენშევიკებს ეშინოდათ, რომ ხალხის მიერ ამოწვდილი იარაღი მათ წინააღმდეგ არ შემობრუნებულიყო და საჩქაროდ მოელაპარაკნენ ვექიბ-ფაშას, რომლის მოქმედებას გერმანია წარმართავდა.

ბორჯომი — თბილისი

უმჯობესია სწერო სიცილზე, ვიდრე ცრემლებზე, რადგან სიცილი ადამიანს სჩვევია.

რაბლე

1

კაპიტან ალექსიძის ბატარეაც ბრძოლის ველისაკენ მიდიოდა. მატარებელი საბარგო სადგურის ბაქანს მოადგა. ვაგონებს ბოგირები მიადგეს ჯარისკაცებმა და შიგ ზარბაზნები, საყუმბარო ყუთები, ფურგონები და ორთვალები შეაგორეს. მერმე ცხენები შეიყვანეს და სურსათ-სანოვაგეც შეიტანეს. ღამის ათ საათზე ბატარეა უკვე მზად იყო ბორჯომისაკენ გასამგზავრებლად. სადგურის ბაქანზე და მოედანზე ჯარისკაცები ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და მღეროდნენ, ზოგი მაღაზიაში გარბოდა საჭმელ-სასმელის საყიდლად.

ეშელონის გამგზავრების წინ გენერალი ჩიჯავაძე მოვიდა, ჯარისკაცები დააწყვეს. ჩიჯავაძემ ჯარისკაცებს მოკლე სიტყვით მიმართა. იგი ცუდ ქართულს ლაპარაკობდა და შიგადაშიგ რუსულს ურევდა:

— თქვენი ბატარეაც ომში მიემგზავრება. მძიმე პირობებში გიხდებათ თქვენ ომი. გაუგონეთ თქვენს უფროსებს, თავგამოდებით ასრულებდეთ მათ ბრძანებას და ფხიზლად გეჭიროთ თვალი, თქვენ ახალქალაქის ფრონტზე მიემგზავრებით. თურქები და თათრები ვერაგი ხალხია. ფხიზლად იყავით... — გენერალს ქართული სიტყვები აღარ ჰყოფნიდა, რუსულს იშველიებდა. ჯარისკაცები საჭირო სიტყვებს აწვდიდნენ, რომელსაც იგი ძალზე ამაჩნჯებდა. მარჯვენა ფრთაზე სიცილი ატყდა. კაპიტანი თვალით ტუქსავდა მათ. გენერალმა განაგრძო:

— მე ვიყავი კავკასიის ფრონტზე, თურქი ვერაგია, ღამე თუ ფხიზლად არ იქნებით და კარგი ყარაული არ დააყენეთ, მოულოდნელად მოგეპარება და... — გენერალმა ისეთი სიტყვა ჩაურთო, რომ წინადადება ორაზროვანი გამოვიდა და ახლა კაპიტანსაც სიცილი წასკდა. გიგა ხუციშვილმა კორნელის უთხრა:

— როგორ ამახინჯებს ქართულს! ხედავ, რეებს ამბობს ეგ სახეძაღლი?!

გენერლის სიტყვის მერმე ჯარისკაცები „თბილანა“ ვაგონებში შევიდნენ. ოფიცრები კი რბილ ვაგონში მოთავსდნენ. ოფიცრების გარდა, რბილ ვაგონში ისხდნენ აგრეთვე: ზემდეგი, ფეიერვერკერები და ჟურნალისტები — ერემო გოდებანიძე, გენადი ქადაგიშვილი და დათა კაჭკაჭიშვილი. ამხანაგები ფეიერვერკერებს ლანძღავდნენ იმის გამო, რომ ისინი რბილ ვაგონში მოათავსეს. როდესაც მატარებელმა მცხეთა გაიარა, ასეულის უფროსმა ზალდასტანიშვილმა ჩემოდანი გახსნა, საუზმე და ჭაჭის არაყი ამოალაგა. ზემდეგმა კუპეში ღვინით სავსე პატარა კასრი შეიტანა. ოფიცრებმა ქეიფი დაიწყეს, ღვინოს ფეიერვერკერებსაც ასმევდნენ. კაპიტანი ალექსიძე შეზარხოშდა და თავის ქვეშევრდომებს უკბრა:

— მაშ, ასე, ომში მივდივართ. იქ გამოჩნდება ვინ არის თქვენს შორის მამაცი და ჯაბანი. დარდი ნუ გაქვთ. იქ ცერემონიას არ დაგიწყებთ. სიტყვა „ამხანაგი“ სამუდამოდ დავიწყეთ. დისციპლინის დარღვევისათვის ტყავს გავაძრობთ!

კაპიტანს ღვინო ეკიდებოდა. იგი დასავლეთის ფრონტზე ჩადენილი გმირობით იკვეხნიდა და ბრძოლის ეპიზოდებს ჰყვებოდა. მაგრამ ის ეპიზოდები მას თვითონ ეჩვენა ისეთი ფანტასტიკური, რომ მათ თხრობას თავი გაანება და სუფრული შემოსძახა. ყველანი მიეშველნენ. კაპიტანს ომი და ქეიფი უყვარდა. ჯარისკაცებს არასოდეს ასე მხიარული და აგზნებული არ ენახათ იგი.

მატარებელი დილით ადრე ჩავიდა ბორჯომში. ოფიცრები ბორჯომ-ბაღში ბატარეის ბინის საძებნელად წავიდნენ. კორნელი ჯერ კიდევ არ გამოფხიზლებულიყო. თავი სტკიოდა, მაგრამ ბორჯომის ხეობის წარმტაცმა ბუნებამ და ჰაერმა გამოაკეთა. ხევში ჩაცვივნულ ლოდებზე გრიალით მარბენალ მტკვრის ორივე მხარეს ფიჭვეთა და ნაძვით დაბურული მთები იდგნენ. თუთუნის ბოლით გაჟღენთილი ვაგონის მერმე მთის სუფთა და ჟანგბადით სავსე ჰაერმა კორნელის შვება მოჰგვარა. იგი მტკვართან მივიდა, პირი დაიბანა და გამოცოცხლდა. მალე ალექაძე მაღალი, ოქროსფერი და ლამაზი ფაშატით სადგურზე მოვიდა („გიაური“ თბილისში

დაეტოვებინა), ბრძანება გასცა და ჯარისკაცებმა ბატარეა ვაგონებიდან გადმოტვირთეს, ცხენები შეკაზმეს და ზარბაზნებში, სავაზნე ყუთებსა და ფურგონებში შეაბეს.

ბატარეა ბორჯომ-ბაღისაკენ გაემართა. წინ ცხენებით კაპიტანი ალექსიძე, პორუჩიკი ბერეჟიანი მიუძღოდნენ. მერმე პორუჩიკი დვალი, უმცროსი ოფიცრები და მხედრიონი რაზმი მიდიოდა. ეს ბატარეის თავი იყო. ტანი — ოთხი სამთო ზარბაზნისა და სავაზნე ყუთებისაგან შედგებოდა, ბოლო კი— ღალისაგან. კორნელი ფეიერვერკერი იყო და მესამე ზარბაზანს ცხენით გვერდზე მიჰყვებოდა. პირველ, მეორე და მეოთხე ზარბაზანს კი — სანდრო ხოტივარი, კოსტა გვარამაძე და გიგო გარსევანიშვილი. ზარბაზნებზე მომუშავენი, ცხენმჯდომნი და მთლიანად მთელი ბატარეა კარგად გამოიყურებოდა. ხალხი ქუჩაში გამოფენილიყო. ბორჯომელთა სახეებზე კორნელიმ სიხარული და იმედი ამოიკითხა. ამან სამშობლოს წინაშე მოვალეობა აგრძნობინა. მხედრებმა ალვირები დაიმოკლეს და უნაგირებზე გასწორდნენ. ქვეითნი მტკიცე ნაბიჯით გაეშურნენ. მთის კალთებზე აგარაკები გამოჩნდა. მტკვრის პირას, გზატკეცილის გასწვრივ, მაღალი ალვის ხეები ჩარაზმულიყვნენ. ბატარეამ ხიდი და ბაზარი გაიარა. მერმე „ეკატერინეს წყაროსთან“ შეჩერდა. ორსართულიან სახლში შტაბი მოთავსდა, ხოლო ეზოსა და ხეივანში გაშლილ კარვებში კი — ჯარისკაცები. კორნელიმ უნაგირს საპარადო ტანისამოსით, სურსათით, წიგნებითა და რვეულებით გატენილი სალაშქრო ჩანთა მოხსნა. იმდენი წიგნები წამოელო, კაცი იფიქრებდა, ომში კი არა, საგარაკოდ წამოსულაო. ეგ სენი სჭირდა: ორი დღით თბილისიდან სადმე რომ წასულიყო, საყვარელ წიგნებს და რვეულებს თან წაიღებდა. ჯარისკაცები სადილობამდე ეწყობოდნენ კარვებში. მერმე ისადილეს, ქალაქის ბაღში გავიდნენ, უპატრონოდ მიტოვებული ბაღი დაათვალიერეს და შჟავე წყალი შესვეს.

რამდენ დღეს დარჩებოდა ბატარეა ბორჯომში და რომელი მიმართულებით გაგზავნიდნენ მას, კარგად არავინ იცოდა.

საღამოს კორნელიმ და სანდრომ ცხენები შეკაზმეს და ლიკანის სასახლისაკენ გაისეირნეს. ახალციხისაკენ მიმავალ გზას რომ დაადგნენ, უნაგირზე გასწორდნენ, სადავე დაუჭირეს და ცხენები ჩორთით წაიყვანეს. ბორჯომის ვიწრო ხე-

ობაში ვეება ქვაბის ყრუ გუგუნივით გაისმა ცხენთა ტორებების თქაოუნი. ირგვლივ ისევ ხაძვითა და ფიჭვით დაფენილი მთები იდგნენ. შიშველი კლდეები იცქირებოდნენ. ხევში მტკვარი ხმაურობდა და დიდმთავართა სასახლეებს უვლიდა. აპრილის ბოლო იყო. ალვის ხეთა ნორჩი ფოთლები თრთოდნენ და კანკალებდნენ. ბუნების წარმტაცი სურათის ჭვრეტით მხედრების თვალი ვერა ძღებოდა. ბორჯომის ხეობიდან გზა აწყურამდე მიდის. მთა-გორებით შემოჯარული ხეობა სწორედ იქ თავდება. გამოქვაბულიდან გამოსულივით უახლოვდება კაცი აწყურს, საიდანაც ახალციხის ზეგანი და ფართო ველები იშლებიან, რომელთაც მაშინ თურქები ფლობდნენ. კორნელის ბევრჯერ უვლია იმ წარმტაცი გზით, ბორჯომიდან აბასთუმნამდე და მუდამ მოჯადოებულა მისი სილამაზით. აღტაცებულ მხედარს გული ბრძოლის ველისაკენ მიუწევდა, რათა გაეთავისუფლებინა „ახალციხე“, საუკუნეთა განმავლობაში რომ დარაჯობდა ათაბეგების სამფლობელოს. ცხენები ჭენებით მიჰქროდნენ ახლა, თითქო მხედრები უკუქცეულ მტერს დადევნებიანო.

2

კორნელის უფროსი ძმა ახალციხე-ახალქალაქის ფრონტის ბორჯომში გახსნილი ჰოსპიტლის ქირურგიული განყოფილების უფროსად დაენიშნათ. ძმები ხიდზე შეეყარნენ ერთმანეთს. ისინი შარაგზაზე გავიდნენ. ევგენი კორნელის ფრონტზე გამგზავრებას სწუხდა. მას იგი ახლაც ბავშვი ეგონა და მამობრივი მზრუნველობით ეხვეწებოდა, ჭკუით ყოფილიყო და თავს გაფრთხილებოდა.

ძმები ლიკანის სასახლისაკენ მიდიოდნენ. უცბად ორსართულიანი სახლის ეზოდან ჯარისკაცების სიმღერა შემოესმათ. ქართული ლეგიონის ჯარისკაცები მღეროდნენ: „ომში წასვლა მას უხარის, ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო“. ჭიშკართან ძმებმა ლეგიონის უფროსი პოლკოვნიკი იოსებ გედევანიშვილი, მისი თანაშემწე კაპიტანი ჯიბო მაყაშვილი და ბატარეის უფროსი კაპიტანი ალექსიძე დაინახეს. კორნელი შეკრთა. მთელი ჩვენი მხედრობა აქ შეკრებილაო, გაიფიქრა. ერთმანეთს მიესალმნენ. საქართველოზე და ქართულ ლაშქარზე გულგატე-

ხილი ჯიბო ისევ ჯარში წამოსულიყო. მას ღვედით ეჭირა ლამაზი, გრძელბეწვიანი ძაღლი—ლავერაკი.

— ჯიბო, ეს თქვენი ლეგიონია?—ჰკითხა ევგენიმ.

— ჩვენი გახლავთ, — მიუგო ჯიბომ და ძმებს წვერგაპარსული, გოძელულვაშიანი, პატარა და ჩია კაცი, ლეგიონის უფროსი, პოლკოვნიკი გედევანიშვილი გააცნო. საუბარი გააბეს.

— ვარდო და ნინო გემდურიან, — მოულოდნელად უთხრა ჯიბომ კორნელის და ორჭოფული ღიმილით შეაცქერდა. ღიმილი ნიშნავდა: შენი და ნინოს რომანი მეც ვიცი. კორნელიმ მორიდებით ჰკითხა:

— რისთვის მემდურიან?

— რად არ გამოემშვიდობე მათ ბორჯომში წამოსვლის წინ?

— ვერ მოვასწარი, ბატარეაში მუშაობას მოვუნდი. სადგურიდან კი კაპიტანმა არ გამიშვა...

— ვინ არ გაგიშვა? სად არ გაგიშვი? — ჰკითხა ალექსიძემ წყრომით. მერმე ევგენის მიუბრუნდა და უთხრა: — შენ ძმას ტყუილი სცოდნია. — ევგენი და ალექსიძე კარგად იცნობდნენ ერთმანეთს. ერთად მსახურობდნენ დასავლეთის ფრონტზე. კორნელი დაიბნა, მტყუანივით შეხედა კაპიტანს, მერმე თავი ჩაჰკიდა. ლავერაკს თავზე ხელი გადაუსვა და ჯიბოს ჰკითხა:

— ეს ძაღლი თქვენია?

— ჩემია, — მიუგო ჯიბომ. ახლა ყველამ ლამაზ ლავერაკს მიაპყრო თვალი. ჯიბომ დაიწყო. — ეგ დიდმთავრისეული ძაღლია. ლიკანის სასახლეში მაჩუქეს. მინდა ესტატეს გავუგზავნო. როგორ გაეხარდება!

როდესაც ძაღლის შემოწმებას მორჩნენ, ალექსიძემ გედევანიშვილს მიმართა და აღშფოთება გამოსთქვა:

— მითხარით, ღვთის გულისათვის, მართლა ომს ვაპირებთ თუ თამაშს?! თბილისიდან ფრონტზე უყუმბაროდ გამომისტუმრეს, ყუმბარებს ბორჯომში მიიღებო. ბორჯომში მართლაც ყოფილა ცოტაოდენი მარაგი ყუმბარებისა, მაგრამ ფრონტის უფროსმა უარი მითხრა: ის ყუმბარები ახალციხის ფრონტზე გაგზავნილ შავიშვილის და კაპანაძის ბატარეისათვის გვინდაო. ეგ რა გამოდის? მაშ, მე ახალქალაქში ქვები ვესროლე ზარბაზნებიდან თურქებს? ნახევარი შავიშვილმა წა-

იღოს და ნაწევარიც მე მომცენ. კაცი არ ვიყო, ის ყუმბარები ხელთ თუ არ ვიგდო.

— არა, კაპიტანო, — უმალ მოუჭრა პოლკოვნიკმა გედევანიშვილმა, — ყუმბარების ის მარაგი შავიშვილისა და კაპანაძის ზრუნვის შედეგია. თქვენ უნდა იზრუნოთ თქვენი ბატარეისათვის.—გედევანიშვილის ლეგიონი ხვალ დილით უნდა გასულიყო ბორჯომიდან ახალციხის ფრონტისაკენ, შავიშვილის ბატარეა ამ ლეგიონის შენაერთი იყო და ამიტომ იცავდა გედევანიშვილი იმ ბატარეის ყუმბარების მარაგს. — ახლავე გაემგზავრეთ თბილისში, იქიდან წამოიღეთ ყუმბარები, იმ ანგარიშით, რომ სამი ან ოთხი დღის შემდეგ ფრონტზე იყოთ, რადგან ერთი კვირის მერმე ჩვენ შეტევაზე გადავალთ. რასაც ახალციხე-ახალქალაქის მაზრაში მაშინ ხელთ ვიგდებთ, ის შეგვრჩება, თორემ ისე თურქეთთან მიღწეული შეთანხმება საქართველოსათვის მომაკვდინებელი იქნება, — უთხრა გედევანიშვილმა.

გედევანიშვილს კარგი თვალით უცქერდა მთავრობა, ხალხიც ნიჭიერ სარდლად და მწერლად თვლიდა. ამიტომ მასთან კამათი კაპიტანმა უხერხულად მიიჩნია და ფრონტზე უყუმბაროდ გამოსტუმრებულმა ბატარეის უფროსმა ისევ თბილისში ჩასვლა და იქ ყუმბარების შოვნა გადასწყვიტა.

— რა ვუყო ამ ძაღლს? —სწუხდა ჯიბო და ახლა ალექსიძეს შეეხვეწა: — სანდრო, თან წაიყვანე კორნელი. ამ ძაღლს ჩაუყვანს ესტატეს. მერმე თქვენთან ერთად გამობრუნდება უკანვე.

— წამოვიდეს, —მიუგო ალექსიძემ. კორნელის აღდგომა გაუთენდა: ნინოს ვნახავო, გაიფიქრა.

სანდრო ხოტივარი და პეტრე ცხომელიძე კორნელის აედევნენ და ალექსიძემ მათაც დართო ნება ორი დღით თბილისში წასულიყვნენ.

3

მატარებელი თბილისისაკენ მიდიოდა. ტაშისკარი გაიარა და ხაშურს მიუახლოვდა. მესამე კლასის ვაგონში ჯარისკაცები: კორნელი, პეტრე და სანდრო ისხდნენ, მათი კაპიტანი კი — რბილ ვაგონში. კორნელის ფერხთით, სკამის

ფეხზე, ჯაჭვით მიბმული თეთრი ლავერაკი იწვა. კორნელის თბილისში ჩასვლა უხაროდა. ამ ღამეს და ხვალ მთელ დღეს ნინოსთან გაატარებდა და ზეგ დილით კი კაპიტანთან, სანდროსთან და პეტრესთან ერთად გაბრუნდებოდა ბორჯომში. „ეს თავდასხმაა“, — ფიქრობდა კორნელი. მგზავრებს თავაზიანად ეპყრობოდა, საუბრობდა და იცინოდა. მატარებელი მცხეთას მიუახლოვდა. კორნელი ვაგონში ველარ ისვენებდა. ვაგონის კარებთან გაჩერდა და ფიქრობდა: „რა ბედნიერი წუთია! ომში წასვლის წინ გამოვემშვიდობები ნინოს და ყველაფერს გავუმჟღავნებ. თუ ჩვენი შეხვედრა ბედნიერი იქნა, გმირის სახელის მოსახვეჭად უკანვე გავბრუნდები, და თუ უბედო, ერთი ასკერის ტყვიას მაინც გავაცივებ“. ასეთი განცდით უახლოვდებოდა კორნელი თბილისს. მაგრამ როდესაც თბილისში ჩავიდა, სადგურსა და ქუჩებში გაიარა, მისი აღტაცება უმალვე გაქრა. ჯარსა და ბორჯომში ნაგრძნობი პატრიოტული გრძნობა და სამშობლოს წინაშე პასუხისმგებლობა სალახანა ხალხის დანახვამ შეუბღალა.

ისმოდა წარსულ წელთა მემკვიდრეობით გადმოცემული სალაყბო და სალაზღანდარო სიმღერები: „ჰოპ, ზოია“, „ჩიკი-ჩიკი, პრაპორშჩიკი“. თურქების შემოტევის მერმე საქართველოსადმი მტრულად განწყობილი „ჩვენებური“ სალახანები და გარედან მოსული ნაძირალები ქუჩურ სიმღერებს ამბობდნენ:

თურქებმა შემოგვტიეს,
კარაკლისი აიღეს..
თქვენს თბილისსაც დაამხობენ,
ქართველებო, გაიგეთ!

ასე დასცინოდნენ ქართველებს და მათი დაბარცხება უხაროდათ. ამ უცხო ხალხს არც ჩვენი უნიადაგო, სამშობლოს მომავალზე ხელჩაქნეული „მამულიშვილნი“ ჩამორჩებოდნენ. საოცარი იყო, როგორი მალობრივი გავრცელება ჰპოვა მაშინ ჩერჩეტი ხალხის სალაყბო სიმღერამ:

ორი ქოთანი გავყიდე, ვაი,
ყურიანი და უყურო, ვაი.
საიქიოს ერთად წავალთ, ვაი,
ფულიანი და უფულო, ვაი.

წუთისოფლის მასხრები, სალახანები, ჟულიკები და სპეკულანტები მომრავლებულიყვნენ. ფეხებზე ეკიდათ „ფოსტის ფულები“. უშრომლად, მაქინაციის გზით შეძენილ ფულს ფლანგავდნენ და დროს ქეიფსა და ღრეობაში ატარებდნენ. უსაქმო, მოქეიფე და ყაჩაღობის გზაზე შემდგარ ჯაბუკებს მწევარივით ვიწრო წელზე ქართული, მოსევადებული ქამარხანჯალი შემოერტყათ. ლეკურის ცეკვით გალესილ და თხასავით ჩქარ ფეხებს „აზიაცკები“ და მასთან შეუხამებელი „გალიფე“ უძღვენებდათ. თავი ცარიელი ჰქონდათ, ხოლო „ფრეხჩის“ გულჯიბე — ფულით გატენილი. ბუხრის ქუდს იბწორებდნენ, მარზე იყვნენ. იდგა ყაილა, ჩხუბი, იარაღის ტრიალი, თითქო შინ დარჩენილი სუფრის ბიჭები, ხოლო ომში მხდალნი და ჯაბანნი, მართლაც, ზელიმხანები ყოფილიყვნენ. ასეთი ბიჭები ეწერებოდნენ სახელდახელოდ შემდგარ უამრავ არსებულ და არარსებულ რაზმებში და თავის უფლებას და იარაღს ბოროტად იყენებდნენ. ასეთი ბიჭები იკავებდნენ საპასუხისმგებლო ადგილებს, იღებდნენ ქრთამებს, იძლეოდნენ ნებართვას საწყობებიდან მოკაზმულობისა და საკვების მისაღებად, ვაგონებით სარგებლობისათვის და ყალბი რაზმის შედგენისათვის. სახელმწიფო მოშლილ აპარატს წარმოადგენდა. აი, ასეთი მომზადებით და საზოგადოებრივი აზრის ასეთი მობილიზებით დაუხვდა მაშინდელი თბილისი და მთელი ამიერკავკასია თურქეთის შემოტევას. მტრის წინააღმდეგ ბრძოლის წყურვილი, ერთის და ორის შეგნება და პატრიოტიზმი უპრინციპო სალხინსა და ვიგინდარების სიმრავლით იჩრდილებოდა. ყოველივე ეს ახლა უფრო ნათლად დაინახა კორნელიმ.

კორნელის მაყაშვილები და ვარდოს მეზობელი ქალი მარგარიტა შეეგებნენ. ჯიბის ნაჩუქარი ლავერაკი — ლედა ძალიან მოეწონა ნინოს, თავზე ხელი გადაუსვა და მოეფერა. როცა ლავერაკს მიეტმასნა და უშალვე დარწმუნდა, ღირსეული ძუ რომ იყო. ტუჩი მიადო, თითქო რაღაც წასჩურჩულაო.

— დაიწყება ახლა ამ ტიალი ძაღლების ალიაქოთი. თითქო როია არ კმაროდა! რა შეინახავს ამ ჟამიანობის დროს ორ ძაღლს? — განაცხადა ვარდომ. ლედა იატაკზე იწვა და ვარდოს მისჩერებოდა.

— შენ ამაოდ ბრაზობ, დედა! შეხედეთ, როგორი ჭკვიანი, ერთგული და მორჩილი თვალები აქვს, — უთხრა ნინომ.

— ეს ძაღლი ძალიან ჭკვიანია, — დაეთანხმა კორნელი და უთხრა: — დაიხურეთ ეს ჩემი ქუდი.

— რათა?

— მაშინვე მოგხდით ლედა.

ნინომ კორნელის ქუდი დაიხურა. კორნელიმ მაგიდის ფეხზე ჯაჭვით მიბმული ძაღლი აუშვა და უბრძანა:

— მოხადე ქუდი, ეცი!

ლედამ ისკუპა, ნინოს შეახტა, ქუდს პირი წაავლო და კორნელის მისცა. ეს „ნომერი“ ძალიან მოეწონათ ქალებს. ატყდა სიცილ-კისკისი. ნინო ყველას ჰხურავდა ქუდს და ლედას მიუტევდა. ახლა მარგარიტა აიჩემა.

— ნუ გეშინიათ, დავაბი, — უთხრა კორნელიმ გერმანელ ქალს და მაშინვე გაწყვეტილი ჯაჭვი იატაკზე დავარდა.

— გაიჭერით? — ჰკითხა მარგარიტამ.

— ჟანგიანია, — დაიძახა გამდელმა და ჯაჭვი ხელიდან გააგდო. — სისხლი არ მოგეწამლოს, ჭრილობა გამოიწოვე, შვილო!

— დაიცათ, იოდს მოვიტან, — დაიძახა ვარდომ და ოთახში შევიდა.

— იოდს გამოწოვა სჯობია. გამოიწოვე, შვილო, — არ ეშვებოდა გამდელი კორნელის.

— მეზიზღება, იოდს წავიცხებ.

— აი, ჯარისკაცი! ომში კი მიდის, — დასცინა მარგარიტამ.

კორნელი ღუმელთან მივიდა და ჯაჭვის რგოლით ღრმად გაჭრილ თითიდან უხვად გადმოდენილი სისხლი დაბერტყა. მაგრამ სისხლი ისევ სწრაფად წამოვიდა ჭრილობიდან. ვარდომ იოდს ვერ მიაგნო. დაიგვიანა. მოულოდნელად, კორნელის საჩვენებელ თითს მარგარიტამ ხელი წაავლო, ტუჩებით დაეწაფა და სისხლი ამოსწოვა, თითქო შანთით შეეხო და გველის ნაკბენი ამოუდაღაო. მარგარიტამ თავი ასწია. რგოლისებურ მის ვეება საყურეში მარგალიტი კიაფობდა. მოღიმარი, ცისფერი თვალები აგზნებულსავით უბრწყინავდნენ. მსუქან ტუჩებზე სისხლი ეცხო. კორნელი გაოცებით მისჩერებოდა.

— ფუი, სისხლი გაცხიათ, პირი გამოირეცხეთ,—ზიზღით შესძახა ნინომ მარგარიტას. კოხტა ფეხებზე მდგარი, ტანადი ქალი პირსაბანისაკენ წავიდა. მსუქან და განიერ ბეჭებს ფერადი მოსასხამი უმშვენებდა. ოქროსფერი, ხუჭუჭი თმის კულულები შეწითლებულ ღაწვებზე დასცვენოდნენ. იყო რაღაც გამომწვევი და თეატრალური ამ ქალში. საქართველოში მცხოვრები გერმანელის შვილი, მარგარიტა ლეტცი, ღვთისნიერი, მეცადინი, ნასწავლი და თავის საქმეში შეყვარებული რუსული ენის მასწავლებლის სტენაფე შემენკოს ცოლი იყო. მარგარიტამ კოჭლი ქართული იცოდა. სუფრის შნო და ლაზათი ესმოდა. რომელ საზოგადოებაშიც შევიდოდა, მაშინვე თავისი ეშხით, სილამაზითა და კისკისით მოხიბლავდა. მამაკაცთა მოჯადოებისა და მოსიბვლის ნიჭიც უხვად ჰქონდა. ახლაც ფრონტიდან ჩამოსულ ჯარისკაცს — კორნელი მხეიძეს ეაშიკებოდა, ჯიბოს ამბავს ეკითხებოდა და სულსა და გულში უძვრებოდა, მაგრამ კორნელის ახლა მისი დარდი არა ჰქონდა, ნინოსადმი სიყვარულმა მოაფრინა თბილისში და მარგარიტას ჯადოსნურ ბადეში არ ეხვეოდა. ვარდომ იოდი წაუცხო კორნელის თითზე და ბინტით შეუხვია. ჯარისკაცმა მადლობა გადაუხადა ვარდოს. მარგარიტას კი ღიმილით უთხრა:

— ეგ რა ამბავი დაათიეთ ამ ჩემი გაკაწრული თითის გამო!

— ეგ სულ ლედას ბრალია. რად ჩამოიყვანეთ ეს ძაღლი? ძუ მაინც არ იყოს! — მარგარიტას გასაგონად შენიშნა ვარდომ.

— მერე რა ლედას ბრალია, ძუ და ლამაზი რომ არის?— ჰკითხა მარგარიტამ და ვარდოს გესლიანი შენიშვნა ახლოსაც არ ვაიკარა. ვარდოს არ მოსწონდა მაზლის — ჯიბოსა და მარგარიტას შორის გაბმული რომანი.

ვახშამზე კორნელიმ დაწვრილეებით უამბო მაყაშვილებს ბაბარეის ბორჯომში გამგზავრებისა და იქ ცხოვრების ამბავი. ვარდო სწუხდა: ესტატე კარგა ხანია რაც ბათუძის ფროსტისაკენ გაემგზავრა და მისგან ჯერაც არავითარი ცნობა არა მაქვსო.

იმ ღამით კორნელის და ნინოს შეხვედრა ვერ მოხერხდა.

მეორე დღეს კორნელი, სანდრო და პეტრე დილიდანვე

შველოდნენ კაპიტანს თოფხანიდან ზარბაზნის ვაზნების გადმოზიდვაში. კორნელიმ ბრიგადაში ისადილა. დაღლილ-დაქანცულმა აბანოში ტანი დაიბანა და მხოლოდ საღამოს დაბრუნდა შინ. ორი საათი იძინა და მერმე ჯარისკაცის ტანისამოსი გაიხადა და, რადგან თბილი ღამე იყო, სტუდენტური ლურჯი სატინის ხალათი და დიაგონალის ლურჯივე შარვალი ჩაიცვა. სარკესთან ახლადგაპარსული სახე შეათვალიერა, თმა დაივარცხნა, გვერდზე გაჰყო ინგლისურად და მაყაშვილთა ბინაში შევიდა. ჩაის მერმე მოასწრო და ნინოს უთხრა: რაღაც სერიოზული უნდა გითხრათ და თქვენს ოთახში მელოდეთ.

ᲐᲐᲔᲛᲐᲜᲘ

ხე მწვანე და მაღალი ნანა-მთაზე დამდგარა.
მიჯნურივით გარშემო ვაზი შემოჰხვევია,
ნეტარებენ ორივე და ვით სუნთქვა სიცოცხლის,
ოდნავ არხევს ნიავი და ნანას ეუბნება.

ჩინური ლირიკიდან

ნინოს ოთახში წინათ ესტატეს ძმის, ქრისტეფორეს ქალი, ელენე, ცხოვრობდა. ელენე მხატვარ ვანო მაჭავარიანს მისთხოვდა, ქმრის ბინაში გადავიდა, და მერმე, სარაჯიშვილის თხოვნით, ვარდომ ეს ოთხი რუსეთიდან თბილისის საოპერო თეატრში გასტროლებზე ჩამოსულ ცნობილ მსახიობ ქალს, სამარინას, მიაქირავა. სამარინამ სამ წელს დაჰყო თბილისში და მერმე ელენესეული ოთახი ნინოს დარჩა.

ნინოს ოთახში სატუალეტო მაგიდას ამურებით მოჩუქურთმებული, ოქროსფერ ჩარჩოში ჩასმული მრგვალი სარკე და სხვა ძვირფასი ნივთები ამკობდნენ. მარჯვნივ სარკიანი კარადა იდგა, მარცხნივ, მის პირისპირ კაკლის ხის ფართო საწოლი, მათ შორის—კაკლის ხისავე პატარა მრგვალი მაგიდა. მის ირგვლივ, სავარძლები. ოთახის ორი სარკმელი ბაღში იხედებოდა. ორივე ღია იყო. მაქმანის თეთრ ფარდებს თბილი ნიავი ოდნავ ატოკებდა და ოთახში იასამნის საამო სურნელს აკმევდა.

კორნელის მიერ დანიშნული პაემანის მოლოდინში ღრმად

ჩაფიქრებული ნინო სავარძელში იჯდა და მუხლებზე დაწყობილ და გაფითრებულ ხელებს დასჩერებოდა.

ოთახში კორნელი შევიდა და ქალს მობოდიშებით უთხრა:

— დიდხანს გალოდინეთ?

ნინოს ხმა არ გაუღია, მხოლოდ აღელვების გამო უფრო გაფითრდა და თვალები სიცხიანივით შეანათა. ქალის სახე გაოცებას და შეშფოთებას გამოხატავდა. რა საიდუმლო უნდა მითხრასო, — ფიქრობდა იგი.

ნინოს მღელვარება კორნელის გადაედო. იგი დაიბნა. ოთახში გაიარა, სარკმელთან მივიდა, ფარდა ასწია და ბაღში გაიხედა. ფანჯარასთან ვაზი თუთის ხეს მიჯნურივით შემოჰხვეოდა. აყვავებული იასამანი, ჩაღამებულ ხეთა გუნდები-ქანაობდნენ და ღელავდნენ. ზევით ცაში კი ვარსკვლავები ცრემლებდნენ. კორნელის უნდა აეხსნა ნინოსათვის მიზეზი ასეთი უდროო და საიდუმლო პაემანისა. ამას ითხოვდა მისგან გაოცებული, მდუმარე ქალი, მაგრამ ამ წუთისათვის წინასწარ შედგენილი და მომზადებული სიტყვა სრულიად წაშლილიყო ჭაბუკის მეხსიერებაში. ენადაბმულივით იდგა სარკმელთან და აღარ იცოდა საიდან და როგორ დაეწყო საუბარი. ღელავდა. მერმე საწერ მაგიდასთან შეჩერდა. მაგიდაზე მწვანე ქაღალდი იყო დაფენილი. ზედ სამელნე, კალმისტრები, ფანქრები, ორიოდე წიგნი და რვეულები ეწყო. ნინო ქალთა უმაღლეს კურსებზე დაიარებოდა იმჟამად. კორნელიმ რვეული გადაფურცლა. შიგ ესთეტიკაზე წაკითხული ლექცია ჩაეწერა ნინოს.

— ვინ გიკითხავთ ამ საგანს?—ჰკითხა კორნელიმ.

— პლატონ მოგველაძე, — მიუგო ნინომ. კორნელის მაინცდამაინც არ ეამა იმ კაცის ხსენება. ნინომ უთხრა:

— მოგველაძის ლექციებს ეტყობა, რომ ლექტორი პოეტია.

— მე წავიკითხე ამას წინათ დაბეჭდილი ერთი მისი გრძელი ლექსი, აბდაუბდა. სავსებით ამჩატებულა ხანში შესული კაცი, — შენიშნა კორნელიმ.

— იგი უცნაური კაცია. მსმენელნი არტისტს ეძახიან, ჰალსტუხზე მარგალიტიან ქინძისთავს იკეთებს. მუდამ ახალი და დაუთოებული კოსტუმი აცვია. — დაიწყო ნინომ და, რა

დარწმუნდა კორნელი ჩვეულებრივი საუბრისათვის მოსულაო, წამოდგა და მასთან მივიდა.

— სულიცა და გულიც იმ ტანისამოსივით აქვს დაუთოვებული, — ისევ გესლიანად შენიშნა კორნელიმ და ჰკითხა:— როგორ კითხულობს ლექციებს რუსულ უმაღლეს კურსებზე, როდესაც რუსული არ იცის?

— არა, — არ დაეთანხმა ნინო კორნელის, — მართალია, რუსული ღალატობს, საშინელი გამოთქმა აქვს, მაგრამ მაინც საინტერესოა.

ნინო სარკესთან მივიდა. თმა გაისწორა და ვეფხვის ტყავივით აჭრელებული ჯემპრის ჯიბეში ხელები ჩაიწყო. ჯემპრი სავარჯიშო ვიწრო პერანგივით შემოტმასნოდა მოვარჯიშე ტანად ასულს. კორნელი ზურგით მიაწვა კედელს, ხელები გულზე დაიკრიფა, ქალს მიაცქერდა და მოულოდნელად უთხრა:

— ნინო, ეს უკანასკნელი ღამეა.

— როგორ თუ უკანასკნელი? — ისევ ელდა ეცა ნინოს და მერცხალივით გაფრენილი წარბი აზიდა.

— ხვალ დილით ბორჯომს მივდივარ. მერმე ბაკურიანში ავალთ, ცხრაწყაროს გადავივლით, ომში ჩავებმებით და, ვინ იცის, იქნებ თურქის ტყვიამ გამაციოს და ვერასოდეს ვეღარ გნახო, — შეაცოდა თავი კორნელიმ.

— ეგრე რად ამბობ? — შესძახა ნინომ. მის ხმაში წყნარი, ჩივილი და საყვედური გაისმა... კორნელის ესიამოვნა, ნინომ რომ „შენობით“ მიმართა, სულ ახლოს მივიდა მასთან და ჰკითხა:

— ნინო, თუ მიხვდები, რისთვის ჩამოვედი თბილისში?

— რისთვის?

— შენი უნახველობა მტანჯავდა, — მიუგო კორნელიმ,— იციან თუ არა ვარდომ და ესტატემ?..

— რა უნდა იცოდნენ?—გაუკვირდა ნინოს.

— ჩვენს შორის სერიოზული კავშირი, — მტკიცედ უთხრა კორნელიმ.

— მე არაფერიც არ მითქვამს დედისათვის, — მიუგო ნინომ და დარცხვენით ჩაჰკიდა თავი. კორნელის შეეცოდა. ღრმერხულ კითხვებს თავი დაანება და გადაწყვიტა, ყოველივე პირდაპირ ეთქვა, მაგრამ საჭირო სიტყვებს ვეღარ პოულობ-

და. გაფითრებული კორნელი საშინლად ღელავდა. სიჩუმე ჩამოვარდა. მღელვარება ახლა ნინოსაც გადაედო, ოთახში გაიარა. კორნელიც ერთ ადგილას ვეღარ სძლებდა. ახალგაზოდებმა ოთახში უაზრო და უმიზნო სეირნობა-ბორიალი დაიწყეს. მერმე კორნელი ისევ სარკმელთან მივიდა. ბაღის ღობესთან ალვის ხეები ჩამწკრივებულიყვნენ და შრიალებდნენ. ხეთა მწვერვალებს ახლა ნიავი უტევდა. ტოტები ქანაობდნენ, ტორტმანებდნენ და ზღვის ტალღასაებრ ღელავდნენ. მთაწმინდის მაღლა, ცაში, კვლავ ვარსკვლავები ციმციმებდნენ. კორნელი თავის ბედის ვარსკვლავს გასცქეროდა. ახლა ან არასოდეს. „ახლა უნდა გავუმჟღავნო ხვაშიადი", — ფიქრობდა იგი.

— კიდეც რომ მეთქვა დედისათვის, მერე რა? — მოესმა ზურგს უკან ქალის დაგვიანებული პასუხი.

— არაფერი,—ჩაილაპარაკა სარკმელთან მდგარმა ჭაბუკმა.

— მაშ რა გაწუხებს? — გაუბედავად ჰკითხა ნინომ. კორნელი ერთბაშად შემობრუნდა, ნინოს დააცქერდა და მიუგო:

— სულ სხვა რამ. — იგი სარკმელს მოშორდა და სავარძელში ჩაეშვა.

— მაინც? — ჰკითხა გაოცებულმა ნინომ და ახლა მის ხმაში გაბრაზება გაისმა.

— ომში გასწვლის წინ აღსარებისათვის მოვედი.

— რა აღსარებისათვის?

— ნუთუ ეგ ვერ ამოიკითხე ამდენ ხანს ჩემს გულში, ჩემს სახეზე, ჩემს თვალებში?

— რა უნდა ამომეკითხა?

— შენდამი სიყვარული.

ნინო უღონოდ მიეყრდნო სავარძლის ზურგს. მოდუნებული მკლავები უმწეოდ დაეკიდნენ.

კორნელი მოუთმენლად ელოდა ქალის პასუხს. გული ბუდიდან ამოვარდნას ლამობდა. მოლოდინის თვითეული წამი ტანჯვას ჰგვრიდა. სავარძლის უკან მდგარმა ნინომ თვალი შეაპარა და ჭაბუკმა ქალის სახეზე თანაგრძნობა ამოიკითხა. ასულის უმწეოდ დაკიდებული, ქანცმილეული და მორჩილი ორივე ხელი მიიზიდა. ნინო მოცელილივით დაეცა მის მუხლებზე. ჭაბუკმა მკლავები მოჰხვია და გულში ჩა-

იკრა. ქალმა დიდრონი და ცრემლიანი თვალები განაბა, გულწასულივით დახუჭა, სიტკბოებით აღსავსე ბაგე კი ტრფიალისათვის გახსნოდა. კორნელი მის ბაგეს დაეწაფა, მერმე თვალდახუჭულ ქალს დახედა. ნინოს ფართო და მარმარ შუბლზე წარბები მერცხლებივით გაფრენილიყვნენ. შავი და გრძელი წამწამები გაშლილი მარაოსავით დაფენილიყვნენ მკრთალ ღაწვებზე. პატარა ცხვირის ნესტოები ჩქარი სუნთქვისაგან ირხეოდნენ და კორნელის სახეზე, ღაწვსა და ყუროის ბიბილოზე ცხელი ნიავი მოჰქროდა. ქალის ზედა ბაგეს პატარა ხალი ამშვენებდა. პეპელას ფრთებივით შუახე გაყოფილი ნიკაპი ასულისა მჭიდროდ მიჰკროდა ჭაბუკის მკერდს. ნიკაპზეც ხალი აჯდა, თითქოს ძვირფასი ქინძისთავით გაისრული თეთრი პეპელა ბუნებისმეტყველს ფიცარზე მიუჭედნიაო. სარკეში კორნელიმ საკუთარი თავი და მკერდზე მიყრდნობილი ნინოც დაინახა. ასულს მრგვალსა და მტრედის მკერდივით სათუთ მუხლებზე კაბა აკეცოდა. მარჯვენა ფეხი მოჰკეცოდა, ხოლო მარცხენა შორს გაშხვართოდა. ფეხზე შუქით განათებული, ხორცისფერი აბრეშუმის წინდა ბრწყინავდა. ვიწრო და მოგრძო, შავი ლაიკის ტუფლი კრიალებდა. კორნელის სახესთან მიძინებული შვლის ნუკრის მსგავსი სუნთქვა ისმოდა და გიშრისფერი თმის ნაწნავთაგან მუშკისა და ამბრის საამო სურნელება იკმეოდა. კორნელი ამ სურნელებით თვრებოდა. ღამეზე შავსა და ყორნის სხივნაკრავ ფრთასავით ელვარე, მძიმე თმის ნაწნავებს ეფერებოდა, უსწორებდა... პირველად იგრძნო მაჯის სიმსხო ნაწნავთა უცნაური შეხება. ისინი ღამის სინესტის გამო დანამულიყვნენ და ცოცხალი არსების მსგავსად ირხეოდნენ მის ხელში.

შეუმჩნევლად მიჰქროდნენ წუთები. ნაშუაღამევს სინათლე ჩაქრა. თვალი ბნელს მიეჩვია და კორნელი ნათლად არჩევდა ახლა ქალის სახეს და ყოველ საგანს. ღია სარკმლის ახლოს იასამნის მტევნები ისევ ირხეოდნენ ეთერში. შორს მთაწმინდა ჩანდა. თბილისს ვარსკვლავებით მოჭედილი ცა დაჰღაღადებდა. კორნელი უსაზღვრო ბედნიერებას განიცდიდა. ნეტავ მარადჟამს გაგრძელებულიყო ის ღამე, არ დაეძებდა. მთელი მისი არსება ნეტარი და გამოუთქმელი განცდით აღივსო, ჩანგივით მოიმართა და აჟღერდა. ამ ნეტარ ჟამს ცოლქმრობაზე ლაპარაკი აზრადაც არ მოსვლია. თუ წინათ, მღელ-

ვარების გამო, სიყვარულით მთვრალი ჭაბუკი ხმას ვერ იღებდა, ახლა ანკარა წყაროსაებრ გადმოდინდა სიტყვები.

სარკმლიდან რიჟრაჟის მაუწყებელი გრილი ნიავი მოჰქროდა და ფარდებს საზეიმო დროშებსავით აფრიალებდა. ნინოს შესცივდა და, უფრო მჭიდროდ მიეკრა ჭაბუკს და ჩურჩულით უთხრა:

— ჩემო კორნელი!..

— ეს ორი სიტყვა ჩუმი და საამური ჰანგივით მოესმა ჭაბუკს. ეს ორი სიტყვა მოესმოდა ფოთოლთ შრიალში, იასამნის მტევნების რხევაში და გაღვიძებულ ჩიტთა ჟრიამულში... ქვეყანა ამ ორი სიტყვით ავსილიყო. კორნელი ნინოს ეამბორა და გულის სიღრმიდან აღმოხდა:

— შენა ხარ ჩემი იმედი და ბედნიერება განუსაზღვრელი!..

ისინი განთიადისას განშორდნენ ერთმანეთს.

კორნელი ფეხაკრეფით შევიდა ოთახში. სარკმელი გამოაღო. მთებს და ქალაქს გაჰხედა. ჭაბუკი უსაზღვრო ბედნიერებას, სულიერ განახლებასა და განწმენდას გრძნობდა. მას აღმაფრენა, ბრძოლა და ბრძოლის ველზე გმირობის გამოჩენა სწყუროდა. არ ეძინებოდა. სარკმლის მოაჯირზე იჯდა. განთიადის მოცისკრე ვარსკვლავს მიშტერებოდა და უცნაურ საგალობელს უმღეროდა:

— ჰოი, შენ, ვარსკვლავო, შუქურავ განთიადისა! შენი ცისკრები არის სანეტარო მტკვარსა, ევფრატზე და საარაკო შორეულ განგზე... ეგ შენი ბრწყინვა საიმედოდ უჩანთ მეზღვაურთა და მოგზაურთა... შენ ბედის ვარსკვლავს გარქმევენ კაცნი... მაგრამ სად უბედური, რადგან შენთვის უცხოა გრძნობა სიყვარულისა, სიკეთისა და სათნოებისა.

შორმე მტრედისფერი ცა გაფითრდა, შუქურა ჩაქრა. აღმოსავლეთი ვარდისფრად შეიღება. ბაღი ვარდთა და ყვავილთა სურნელებით, ჩიტთა ჟრიამულით აღივსო და ცეცხლში გახვეული მძლეთამძლე მზეც ამოვიდა.

კორნელი საწოლზე დავარდა. სახე ბალიშში ჩაფლო და უსაზღვრო ბედნიერებისაგან მოზღვავებული ცრემლით დაასველა.

განშორება

ძნელი ყოფილა სიშორე, ნეტავ არ გამომეცადა...

ხალხური

დილით ადრე ამდგარიყო კორნელი. სადგურზე კაპიტანს, სანდროსა და პეტრეს უნდა შეხვედროდა და ბორჯომისაკენ ერთად გამგზავრებულიყვნენ. სასადილო ოთახში გამდელმა ჩაი და საუზმე მიართვა. ვარდოს გრძელი ხალათი ეცვა, კორნელის პირდაპირ იჯდა და ფრონტზე მიმავალ, იარაღასხმულ ჯარისკაცს აშტერდებოდა. ჯარისკაცი გაწითლებულ, უძილო თვალებს ვერ უსწორებდა და ქვეშ-ქვეშ იყურებოდა.

ღამით ნინოს ოთახის კარების ჭრიალისათვის მოეკრა ყური ვარდოს, დილამდე არ დაუძინებია. დილით იატაკის ჭრაჭუნიც შემოესმა. ამიტომ აშტერდებოდა შეშფოთებული ვარდო კორნელის. ჭაბუკი უხერხულობას გრძნობდა. ხელში ჭიქა აუკანკალდა.

— ნუ ჩქარობთ, ჯერ ადრეა,—უთხრა ვარდომ და პური და კარაქი შესთავაზა.

— უკვე დროა, — მიუგო კორნელიმ და, თვალებში რომ არ ეცქირნა, საათს დაჰხედა. დიდხანს დააშტერდა: ფიქრობდა: „ნინოს ჯერ კიდევ სძინავს, როგორ გამოვემშვიდობო? ვარდო ეჭვით მიცქერის, ხომ არ უდარაჯნია ჩვენთვის წუხელ?“

— რა საშინელი დროება დადგა. ესტატე, ჯიბო, თქვენც ფრონტზე მიდიხართ, რა გვეშველება?—უთხრა ვარდომ.

— პოლკოვნიკმა გედევანიშვილმა გვითხრა, ომი მალე დამთავრდებაო, — ანუგეშა კორნელიმ.

— გედევანიშვილს დაეჯერება. იგი ხომ კარგი პოლიტიკოსი და სამხედრო საქმის დიდად მცოდნე კაცია! ეს კარგი ამბავი მითხარით, — გაეხარდა ვარდოს.

— ღმერთმა უსმინოს გედევანიშვილს, — ჩიფჩიფით წარმოთქვა სამოცი წლის ქალმა, ნინოს გამდელმა, სალომემ.

— მაშ, ასე, — დაიძახა კორნელიმ და სკამიდან წამოიჭრა, — ნახვამდის „ქალბატონო ვარდო და სალომე. ესტატეზე ნუ იჯავრებთ... მე და ჯიბოც უვნებლად დავბრუნდებით...— კორნელიმ ვარდოს და გამდელს ხელზე აკოცა. ქალებმა კი

თავზე აკოცეს ჯარისკაცს და გზა დაულოცეს. კორნელი დერეფანში გაჩერდა და გამდელს უთხრა:

— ნინოს ჩემი სალამი. თუ სძინავს, ნუ გააღვიძებთ!

კორნელიმ ქუდი მოიხადა, ისევ დაიხურა, ხმალი და ქამარზე დაკიდებული ნაგანი გაისწორა. რაღაც უნდოდა ეთქვა, ვეღარ მოახერხა, გაწითლდა. ვარდომ აღელვება შეატყო.

— გავაღვიძებ, გამოემშვიდობებით, — უთხრა ვარდომ და ნინოს ოთახისაკენ წავიდა.

— არა, არ არის საჭირო... ღვთის გულისათვის, ნუ შეაწუხებთ... ნახვამდის, ნახვამდის, — დაიძახა კორნელიმ და კიბეზე ჩაირბინა. ქუჩაში გავიდა და ნინოს ოთახის ფანჯრებს აჰხედა. შეჩერდა და კარგა ხანს მიაცქერდა. ნინომ თითქოს იგრძნო: ფანჯარას მიაწყდა.

— მოვდივარ, — შესძახა კორნელიმ და კარებში შევარდა. კიბის უკანასკნელ საფეხურზე ქალი ბავშვივით აიტაცა.

— ნახვამდის, ძვირფასო... არ დამივიწყო. დაგვინახავენ, მივდივარ, ნახვამდის! — უთხრა კორნელიმ, ეროხელ კიდევ ჩაიკრა ქალი და კიბეზე ჩაირბინა.

ნინო კიბის მოაჯირს მიაწყდა, ზედ დაებჯინა, თავი მკლავზე დაუვარდა და უმწეოდ ატირდა.

2

ნინო კარგა ხანს ქვითინებდა, თითქოს ომში მიმავალმა ჭაბუკმა მისი გული თან წაიღო. დედა ოთახში ელოდა, შვილს ჩრომ დააგვიანდა, შეშინდა, ეჭვით აღივსო, დერეფანში გაიჭრა და ჰკითხა:

— რა გატირებს?

— ცოდვაა, ომში წავიდა.

— არა უშავს, — მიუგო მან, — მშვიდობით დაბრუნდება. მამაც ხომ ომშია?!

ნინო თავის დაულაგებელ ლოგინზე დაეშვა. დედა გვერდით მიუჯდა: უკვე სავსებით დარწმუნებულიყო, მის ქალს კორნელი რომ შეჰყვარებოდა. ნინოს ისეთი ფერმკრთალი სახე ჰქონდა, აწითლებული და ცრემლით სავსე თვალების ქვეშ კი ისეთი ჩაშავებული უპეები, რომ დედას ეჭვი შეე-

პარა: ვაითუ ყაზარმაში და ფრონტზე ნათრევმა ჯარისკაცმა აზიზად აღზრდილ ჩემს ქალს ცუდი რამ აკადრაო. შვილს უთხრა:

— შენ უკვე პატარა არა ხარ, უმაღლესში სწავლობ. ცუდი ნაბიჯი არ გადადგა!

— რა ცუდი ნაბიჯი? — გაოცებით და გულუბრყვილოდ ჰკითხა ქალმა.

— დედა ვარ შენი, ნურაფერს დამიმალავ.

— რა უნდა დაგიმალო?

— რას აკეთებდით იმდენ ხანს წუხელ?

— ვლაპარაკობდით.

— აბა, იმდენ ხანს სალაპარაკო რა გქონდათ? ნუ დამიმალავ. შენ გგონია, მე არაფერი ვიცი?

გამოუცდელი ასული დაიბნა, ყურის ბიბილოებამდე გაწითლდა და ბრაზით ჰკითხა:

— ყურს გვიგდებდი? ნუთუ ეს იკადრე?

— სრულებითაც არა. ეგ რა საკადრისია! ნუ ცხარობ. ვის არ ჰქონია საქმე ვაჟთან? მე და მამაშენსაც გვიყვარდა ერთმანეთი. მე თუ გეკითხები, იმიტომ რომ დედა ვარ და უნდა ყველაფერი ვიცოდე.

— რა უნდა იცოდე? მადლობა ღმერთს, ბავშვი აღარა ვარ.

— ბავშვი აღარა ხარ, შვილო, მაგრამ სიყვარული ხშირად ისეთ ნაბიჯს გადაგადგმევინებს, რომ ბოლოს ინანებ.

— რა სიყვარულზე ლაპარაკობ! აკი გითხარი: ომში ვიდა და შემეცოდა-მეთქი.

— განა მარტო მაგისათვის ტიროდი? აბა, სარკეში ჩაიხედე, რასა გავხარ!

ნინომ უნებურად ჩაიხედა სარკეში. შიგ თავისი სანთლისფერი სახე, გაწითლებული და ნამტირალევი თვალები დაინახა. მისი სახე ყველაფერს ამხელდა. ამაყი და მორცხვი ქალი გაბრაზდა, ცრემლით გაიგუდა და დედას უყვირა:

— რა გინდა ჩემგან? რას ჩამაცივდი?

ნინო ბალიშზე დაემხო და აქვითინდა. „რასაკვირველია, მას კორნელი უყვარს“. — დაადგინა ვარდომ. ცნობისმოყვარეობა სტანჯავდა. ამ დროს გამდელიც შემოვიდა და, რო-

დესაც დედა შვილს ისევ კითხვებით ჩააცივდა, ქალმა კვლავ ყვირილი მორთო:

— თავი გამანებეთ, რა გინდათ ჩემგან? წადით, გამეცალეთ!

დედა და გამდელი ოთახიდან გავიდნენ.

— ასეა მოწყობილი ეს ქვეყანა: შვილი ვაით უნდა შობო, უით ზარდო. მოვა მერმე ვიღაც უცნობი და შენი შვილი კისერზე ჩამოეკიდება, მშობლებს კი დაივიწყებს,—შესჩივლა ვარდომ გამდელს.

— რას ამბობ! ნინო მაგეთი არ გახლავს, — მიემხრო გამდელი გაზრდილს.

ნინო მთელი დღე თავის ოთახში იწვა და არაფერი უჭამია, მხოლოდ საღამოს დაალევინა ჩაი გამდელმა. ნინო სირცხვილისაგან იწოდა. თანაც ბრაზობდა, დედამ ნამტირალევი რომ ნახა.

დაღამდა. საწოლთან გამდელი მიუჯდა. თავზე ხელი გადაუსვა და ნანასავით შეაპარა:

— მე ვიცი შენი დარდის მიზეზი, ნინიკო, იგი — სიყვარულია. შენი ბედნიერების გარდა, სხვა რაღა მინდა? რამდენი ღამე მითევია შენს აკვანთან! ჩემი ძუძუ-მკერდით გამოგზარდე. გული მტკივა, ასე შეწუხებულს რომ გიმზერ, — ცრემლები გადმოღვარა დალეულმა, ბებერმა ქალმა —სალომემ, რომელსაც სიღარიბისა და გაჭირვების გამო საკუთარი კერა მიეტოვებინა და, ქმრისა და უფროსი შვილის გარდაცვალების მერმე ესტატე მაყაშვილის სახლში ეპოვნა თავშესაფარი. მისი ერთადერთი შვილი რუსეთში, რკინიგზის რომელიღაც სადგურში, მზარეულად მსახურობდა. დიდი ხანი გასულიყო, რაც მისგან ცნობა არა ჰქონდა.

— სიყვარული ტკბილიც არის და მწარეც, შვილო, — ჩიფჩიფებდა გამდელი და ცრემლებს ღვრიდა.

— რა გატირებს, გადია? დამშვიდდი. ნურაფერს ნუღარ შეტყვი სიყვარულზე. შენ გული მატკინე...

— რატომ?

— შენ თქვი: სიყვარული მწარე არისო.

— არა მარტო მწარე, ტკბილიცაა. განა სიმწარე გატირებს ახლა?

— მაშ?

— სიყვარული. შენ გიყვარს იგი.

— ვინ?

— კორნელი.

— ეგ შენა თქვი და არა მე.

— მე მართალს ვამბობ, შენ კი მალავ.

— სიყვარული არავისთან გასამხელი საიდუმლო არ არის. სულ ერთია, ვერავინ ვერ გაიგებს და განუგეშებს. რა წამს სიყვარულს გაამჟღავნებ, ქვეყნის წინაშე გაშიშვლდები და დამცირდები, იტყვიან: მდგმურს კისერზე ჩამოეკიდაო. ჭორს გაბერავენ, გაგამტყუნებენ, გათრევენ, გაგლანძღავენ...

— მე ხომ არ გაგამტყუნებ, მე ხომ გაგიგებ! — ჩურჩულებდა მოხუცი და ისევ ტიროდა.

ნინომ ხელი ძოხვია და მოეფერა.

ძილი არ ეკარებოდა ოთახში მარტო დარჩენილ ნინოს. გუშინდელი პაემანი აგონდებოდა და მიჯნურის სიტყვები ყურში ისევ საამოდ ეწვეთებოდა. თვალზე ცრემლი ადგებოდა. ცრემლი მანამდე უცნობი იყო ამაყი ქალისათვის. მანამდე ნინოს უდარდელი და ნებიერი ცხოვრება ჰქონდა. მდიდარი მშობლები თავისი ქალის ყველა სურვილსა და ნატვრას ასრულებდნენ, აკოხტავებდნენ და თავს ევლებოდნენ. ესტატე ხშირად ისტუმრებდა ცოლ-შვილს ყირიმში — ევპატორიაში, სადაც მისი უფროსი ძმა, გენერალი გიორგი მაყაშვილი ცხოვრობდა. ნინო უდარდელი, აღტაცებული და გულუბრყვილო გოგონა იყო. კორნელიმ კი ააფორიაქა, ქვეყნისა და ადამიანის მიმართ ახლა ღრმად ჩააფიქრა, გულში სიყვარულის მაღალი გრძნობა ჩაუნერგა. ნინოს ორი თაყვანისმცემელი ჰყავდა: ერთი გამოუცდელი და ჯერ მერყევი ჭაბუკი — კორნელი. მეორე კი გამოცდილი, ნიღბოსანი მაცდური — პლატონ მოგველაძე. პირველი უყვარდა. მეორე? ამ კითხვაზე პასუხი ვერ გაეცა.

ნაწილი მეოთხე

ბაკურიანი

ვნახე ქედები აზღუდულ მთათა,
ოცნებასავით საზღაპრო მართლა,
როცა რიჟრაჟზე შეურხეველნი,
ბოლავდნენ, როგორც საკურთხეველნი...

ლერმონტოვი

1

სანდრო ალექსიძის ბატარეა ბორჯომიდან ბაკურიანს წასულიყო. კაპიტანნა ყუმბარები მატარებელზე გამობმულ საბარგო ვაგონში შეატანინა მუშებს. პეტრე, სანდრო და ჯვებე მიქელაძე საბარგო ვაგონის მეთვალყურედ გაგზავნა ღამის მატარებლით ბაკურიანს, კორნელი კი ბორჯომში დატოვა, როგორც თავისი შიკრიკი.

ბორჯომში ღამენათევი და ნამთვრალევი კაპიტანი დილის ექვს საათზე ჩაჯდა მატარებლის რბილ ვაგონში. მისი შიკრიკიც თან ახლდა. ბატარეის აღალის ნაწილი, ფურგონები და ორთვალები, ღამით წასულიყვნენ ბაკურიანისაკენ.

მატარებელი ქშენით და ქაქანით შეუდგა ვიწროლიანდაგიან აღმართს. პატარა ორთქლმავალზე პატარავე ვაგონები იყო მიბმული, მატარებელი ფიჭვითა და ნაძვით მოფენილ მთებში ვარბოდა, ყოველი მოსახვევის მერმე განვლილ ვიწრო ლიანდაგს რამდენიმე მეტრით ქვევით ტოვებდა და ასე მაღლა და მაღლა ადიოდა, თითქოს კორნელის გულისთქმას ასრულებსო, რადგან ნინოსთან შეხვედრის მერმე მოზღვავებული გრძნობით სავსე ჭაბუკის გულიც მთის მწვერვალებისა და ზეცისაკენ იწევდა. ბუნების სილამაზე და სიდიადე აქამდე არ განუცდია კორნელის ასეთი ძალით.

მზიანი დილა იყო. ვაგონის ფანჯრიდან ლილისფერი, მოსარკული ცა მოჩანდა. ზედ თეთრად მიჯარული ღრუბლები შეუმჩნევლად მიცურავდნენ. ნაძვითა და ფიჭვით დაბურულ მთაში იისფერი ნისლი ჩამდგარიყო. მიყრუებული ადგილების პატარა სადგურებზე ცოტა ხნით ჩერდებოდა მატარებელი და მერმე ხვიარა ლიანდაგით ისევ მაღლა, ცისა-

კენ მიისწრაფვოდა. ვაგონის ფანჯრიდან „გვირგვინას“ ჩამოთოვლილი მწვერვალი და ტყის ზღაპრული სივრცეები ჩანდნენ. ბორჯომიდან გაყვანილი ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის საბოლოო პუნქტი ბაკურიანია. მატარებელმა წაღვერრა, ცემი, საკოჭავი გაიარა და ბაკურიანს მიუახლოვდა. კორნელიმ ალექსიძე გააღვიძა:

— ბატონო კაპიტანო, გაიღვიძეთ, ბაკურიანში შევდივართ!

შალის-საბანსა და ნაცრისფერი დიაგონალის პალტოს ქვეშ წინდაჩაცმული ფეხი გამოცურდა. მერმე შარვლის პაჭანიკიანი ტოტით შემოჭირებული, ოდნავ გამრუდებული წვივი. პალტოს საყელოს ქვეშ კედლისკენ გადაბრუნებული კაპიტნის ჭარხალივით წითელი და სქელი კისერი ჩანდა. ზამთარზაფხულ გადახოტრიალ, მრგვალი თავის ქვეშ ტყავის ჩანთა და ჰაერით გაბერილი რეზინის ყურბალიში ამოედო. კორნელიმ გაუმეორა:

— ბატონო კაპიტანო, ბაკურიანში მივედით.

— ჰო, გავიგონე, ყრუ არა ვარ. ბაკურიანია? — ჰკითხა კაპიტანმა და კორნელისაკენ გადმობრუნდა.

— დიახ, ბაკურიანია, — მიუგო კორნელიმ.

კაპიტანი იდაყვს დაეყრდნო. ღვინისა და ძილისაგან დასიებული თვალებით სარკმელში გაიხედა.

— ესეც შენი ბაკურიანი, — თქვა მან. დაამთქნარა და საწოლზე წამოჯდა. კაპიტანს ომში და ჰაერზე ხშირი ყოფნის გამო გაქარული პირის კანი აქერცლოდა. შელურჯებული, პატარა და გაბუშტული ცხვირის ქვეშ გაკრეჭილი ქერა ულვაშები აბურძგნოდა. შუაზე გაყოფილი, ნებისყოფისა და სიმხნის გამომხატველი ფართო ნიკაპი ჰქონდა. კაპიტანმა პალტო და საბანი ხელით მისწია. აგურისფერი წინდა გაისწორა, ფეხის წვერი მიმინოს ნისკარტივით შეათამაშა და ჩექმის ყელში შეაცურა. ლოთობისაგან შეშუპებული ფეხი ჩექმაში არ ჩადიოდა. ღონივრად მოჭიმა ყელი. პერანგში გახვეული განიერი ბეჭები წისქვილის ქვებივით ამოძრავდნენ. ხვანჯრიანი შარვლის სათავე ვიწრო წელზე მოიჭირა და მკერდი მოჭიდავესავით ამოებურცა.

— ბატარეა, ალბათ, წავიდა ახალქალაქისაკენ, — უთხ-

რა მან კორნელის. ფრენჩი ჩაიცვა, გამოეწყო და ისიც ფანჯარასთან გაჩერდა.

ბაკურიანის პატარა სადგურის წყალსადენთან ბატარეის ზემდეგი — ანაპოტისტე ფერაძე, ბაკურიანში გამართული არტილერიის საწყობის მეკუჭნავე კოლა ცხაკაია და ბატარეას ჩამორჩენილი ჯარისკაცები: სანდრო, პეტრე და ჯვებე პირს იბანდნენ. ზემდეგი ანაპოტისტე და ჯარისკაცები კაპიტანს წარუდგნენ.

— წავიდა ბატარეა? — იკითხა ვაგონიდან ჩამოსულმა კაპიტანმა.

— წავიდა, ბატონო კაპიტანო, — მიუგო ზემდეგმა.

— როდის?

— დღეს, დილის რვა საათზე.

— აკი ექვსი საათისათვის გიბრძანეთ?

— არ მოხერხდა, ბატონო კაპიტანო. ხომ იცით სტუდენტები როგორი ხალხია?! —დაიწყო კრეჭა ყველის ვაჭარივით ზემდეგმა ანაპოტისტე ფერაძემ.

— თქვენ თვითონ არ ვარგიხართ. სტუდენტების რა ბრალია? შეკაზმეთ ჩემი ცხენი! — უბრძანა კაპიტანმა.

— არის! — მიუგო ზემდეგმა და მეკუჭნავე კოლასთან ერთად წავიდა.

კაპიტანმა მაჯის საათს დახედა და ჯარისკაცებს უთხრა:

— ცხრაწყარომდე დავეწევი ბატარეას.

— ჩვენ კი რა გვეშველება? ყველა ცხენი წაუყვანია ბატარეას და აქედან როგორ წამოვიდეთ? — ჰკითხა პეტრემ.

— ჩვენი ფურგონები და ორთვალები საღამოს აქ იქნებიან. ღამით ნუ წამოხვალთ, ღამე აქ გაათიეთ და ხვალ დილით გამოსწით, — მიუგო კაპიტანმა და მოხალისეთა თანხლებით სადგურის დარბაზში შევიდა. პირი დაიბანა და ჯარისკაცებს მოხარშული კვერცხებით, ქათმითა და არყით გაღმასპინძლდა. მერმე ბატარეის პუნქტი დაათვალიერა.

კაპიტანს ბაკურიანის სამხედრო კომისარი, ზემდეგი და მეკუჭნავე მიეგებნენ. პუნქტი ადგილობრივი სოფლის სკოლაში — ხის სახლში იყო მოთავსებული, ტყის პირას. ერთ ოთახში კომისრის კანცელარია იყო, მეორეში ორი მაგიდა და ოთხი საწოლი დაედგათ პუნქტში მომუშავეთათვის. მესამე კი საწყობად გადაექცათ. შიგ ალექსიძის მიერ გამოგ-

ზავნილი ყუმბარების მცირედი ნაწილი, ყუთები, მოკაზმულობა, ტანისამოსი, შაქრითა და ფქვილით სავსე ტომრები ეწყო.

კაპიტანს ოქროსფერი, მაღალი, შეკაზმული ფაშატი გამოუყვანეს. ლამაზი ცხენი იყო, თეთრჩლიქებიანი და ფაფარშეკრეჭილი. კაპიტანი შეჯდა და ცხრაწყაროსაკენ წავიდა. მისი გავაჩასქელებული და მაღალი ფაშატი შუაზე მიჭრილი კუდის ქნევით მიდიოდა. სალაშქროდ გამოწყობილი კაპიტანი მსუბუქად ირხეოდა მის ზურგზე, თითქოს იალქნიან ნავში ზის. მხედარი ტყეს მიუახლოვდა, მოუხვია და შალე მისი განიერი ბეჭები, მორგვივით კისერი და ნაცრისფერი ბუხრის ქუდიც დაიმალა. ჯარისკაცებს გული დაწყდათ, თითქოს ობლად დარჩნენო.

კაპიტანი ბატარეას ცხრაწყაროზე დაეწევა, დღესვე ფრონტზე მიიყვანს და ჩვენ, ფურგონების მოლოდინში, აქ უნდა ვიხეტიალოთ, იქნებ ფურგონებს დააგვიანდეს კიდეც და ბატარეამ ბრძოლა უჩვენოდ დაიწყოსო? — ფიქრობდნენ გულდაწყვეტილი ჯარისკაცები.

2

კორნელიმ, სანდრომ, პეტრემ და ჯვებემ ბაკურიანი დათვალიერეს. ბაკურიანში ასი გლეხური ყაიდის ორსართულიანი სახლი თუ იქნებოდა მაშინ. იშვიათად, მაგრამ მაინც ნახავდით ევროპული ყაიდის შენობასაც. ეს ფოსტა, საექიმო პუნქტი, აფთიაქი და სატყეო სამმართველო იყო. ყურადღებას იქცევდა ბოტანიკური ბაღი. ბაკურიანი ქვეალპურ და ალპურ ზონას ეკუთვნის. იგი ცნობილია, როგორც სამკურნალო ადგილი სუსტფილტვებიანთათვის. ბაკურიანიდან გზა ცხრაწყაროსა და ჯავახეთისაკენ მიდის.

მოხალისენი ხეტიალით დაიღალნენ. ისადილეს და მერმე დაღამებისთანავე ძილი დააპირეს, განთიადისას გზას რომ გასდგომოდნენ, მაგრამ ორთვალები და ფურგონები ბორჯომიდან არ ამოდიოდნენ და ეს აღელვებდათ.

ბატარეის პუნქტი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადგილობრივი სკოლის ხის პატარა შენობაში იყო მოთავსებული. ჯარისკაცები საწყობ-ოთახში შევიდნენ. ფქვილით სავსე ტომ-

რებზე წამოწვნენ და მაზარები გადაბურეს. ბნელოდა. მხოლოდ ბატარეის პუნქტის კანცელარიაში და საწყობ-ოთახში ბჟუტავდა სანთელი. ცასა და მიწაზეც სიჩუმე და მყუდროება გამეფებულიყო. ტყე და შორეული ქედები გულისდამაღონებლად სდუმდნენ. ხანდახან თუ დაიყეფებდა სოფელში ძაღლი. კორნელი უმთვარო ცის ვარსკვლავებს ხედავდა ფანჯრიდან და ფიქრობდა: „ბაკურიანი ისე მაღლა ყოფილა, რომ აქ ვარსკვლავები უფრო დიდრონი სჩანან, ვიდრე თბილისში. მერე რა ფართო ცის ტატნობი იშლება. ნეტავ ბაკურიანში ან ცხრაწყაროზე რად არ გააშენებენ ობსერვატორიას?“ —ფიქრი მეკუჭნავემ შეაწყვეტინა:

— ეი, თქვე ვირისთავებო, შაქარი არ ააცოცოთ, თორემ დამაკლდება და პასუხისგებაში მიმცემენ. რას იცინით?

მეკუჭნავე კოლა ცხაკაია ერთი ახმახი, გამხდარი და უშნოდ აკანჭული სტუდენტი იყო. მას მოკლე ნიკაპი, გადმობრუნებული ბაგე, ცისფერი თვალები და ქერა თმა ჰქონდა.

— ამ ტომარას ძირამდე დავიყვანთ. ჩვენი მაზარის ჯიბეში ნახევარი ფუთი შაქარი მაინც ჩაეტევა. ოთხი კაცი ვართ ორ ფუთს გამოეთხოვე, ჩემო კოლა დე რიენცი, —უთხრა პეტრე ცხომელიძემ. კორნელიმ შაქრით სავსე ტომარი გასინჯა და იყვირა:

— ვა, რამოდენა ნატეხები ყოფილა!

— ხელი დააყენე, ეგეთები არ იყოს! — შესძახა კოლამ და დასძინა: — მართლა, ბიჭებო, ჩემს ოთახში წამოდით. აქ სულ ერთია ვერ დაიძინებთ.

— ვითომ რათაო, რად ვერ დავიძინებთ? არხეინად დაიძინებთ, — არ დაეთანხმა პეტრე.

— დაიცათ, ეგ სანთელი დამდნარა და მალე ჩაქრება. მაშინ ნახავთ სეირს: კატისოდენა ვირთხები რომ დაგესევათ!

— ვირთაგვები კი არა, მგლებიც რომ დაგვეხვივნენ, აქედან მაინც ფეხს არ მოვიცვლით. ცუდად არის შენი საქმე, კოლა დე რიენცი, — აბრაზებდა მეკუჭნავეს ცხომელიძე.

როდესაც მეკუჭნავე წავიდა და სანთელი ჩაქრა, სოროებიდან მართლაც გამოძვრნენ ვირთაგვები, შაქარს ხრავდნენ და ხანდახან ჯარისკაცების ტანსა და სახეზეც კი გადარბოდნენ. ვირთაგვების წრიპინს და შლიგინს, კორნელის გარდა, არავინ არ აქცევდა ყურადღებას. პეტრემ, სანდრომ და ჯვე-

ბემ გულდაგული ხვრინვა ამოუშვებს. თბილისის ყაზარმაში ეგ არ მსმენია ამ ოხრებისაგან და აქ რა ღმერთი გაუწყრათო, ფიქრობდა კორნელი. ყველას პეტრე სჯობდა. მას არაყი გადაეკრა და ისე ხვრინავდა, თითქოს შვიდმილიან სალამურს უკრავსო. კორნელის კარგა ხანს არ დასძინებია. ნაშუაღამევს სიცივემ აიტანა. კატასავით დაგორგლდა, მაზარა შემოიტმასნა და ტომარას ზურგით მიაწვა, მაგრამ რული მაინც არ ეკარებოდა. ნინო აგონდებოდა.

მზემ საწყობ-ოთახის ფანჯარაში შეანათა. სანდრო წამოხტა და ამხანაგები გააღვიძა. ყველა დაბეგვილი და დაშტვრეული იყო. ფქვილით სავსე ტომრების სინესტე ძვალსა და რბილში გასჯდომოდათ. თავი სტკიოდათ, მაგრამ ბაკურიანის ჰაერი და ბუნება მკვდარსაც კი განკურნავს, ფეხზე წამოაყენებს და უხვიროდ გამოძინებულ ვაჟკაცებს ვერ გამოაჯანსაღებდა?!

მთის მაღალ ტაფობზე გაშენებული ბაკურიანიდან ფართო ჰორიზონტი იშლება. საწყობის ახლოს, მინდორში, მწვანე ბალახი ბიბინებდა. მინდვრის პირას წიწვიანი, მიმდგარი ტყე იწყებოდა. მზე ოქროსა და ვერცხლისფერ ყაისნაღით აჭრელებდა სხივთა ძაფებს ნაძვის წვერებსა და ტოტებს. ოქრომკედით ნაგვირისტებ მოსასხამში გახვეულ ნაძვთა მწვერვალები და გარდიგარდმო გაწვდილი ტოტები მძიმედ ქანაობდნენ გამჭვირვალე ეთერში. ცვარი ღაპაღუპით ჩამოსდიოდა და მაღალ ბალახში სცვიოდა. მთელი ღამე უცურნიათ ნაძვებსა და ფიჭვებს ეთერის თვალუწვდენელ ზღვაში და ახლა მათ ხაოიან ტანს, ტოტებს, ნამით დამძიმებულ წიწვებს, მარგალიტის მძივებად ჩამოსდიოდა მზის სხივებში მოელვარე ცვარი.

— ადგილობრივ მცხოვრებთ ხშირად უნახავთ ამ მინდორში ირმის ჯოგი, — უთხრა ჯარისკაცებს კოლა მეკუჭნავემ.

— რა წარმტაცი სურათი იქნებოდა ამ ტყის პირას ირმის ჯოგი! — წამოიძახა კორნელიმ და ტყეს გაჰხედა. ტყეში უმძაფრესი სიჩუმე და მყუდროება იდგა, რომელსაც ნაძვთა და ფიჭვთა მძიმე ტოტების შრიალი და ზღვის ტალღასავით მოვარდნილი გმინვა თუ დაარღვევდა ხანდახან, ან კიდევ: ჯაფარას ძახილი და ჭია-ღუას მტერის — კოდალას დაუღალავი და გაბმული კაკუნი. ირგვლივ მთის ცივი და მსუ-

ბუქი ჰაერი იდგა. შორს, ცხრაწყაროს უღელტეხილზე, თოვლი გამდნარიყო და მაღალი მთების ლილოჭრელი კალთები ალპიური ძროხების აჭრელებული გვერდებივით მოსჩანდნენ. აი, ის ცხრაწყაროს უღელტეხილი უნდა გადაელახათ ჯარისკაცებს, მაგრამ ორთვალები ჯერაც არ ამოსულიყვნენ ბორჯომიდან.

ჯარისკაცები ერთი გლეხის ოჯახში შევიდნენ. რძე და კვერცხი მოითხოვეს. კოლას ტომრებიდან „აცოცებული“ შაქრის ნატეხები ამოიღეს. ერთ დიდ ნატეხში ერთ ბოთლ რძეს, ათ კვერცხს ან კიდევ ერთ წველა ყველს იძლეოდნენ. ასეთი იშვიათი ხილი იყო მაშინ შაქარი იქაურებისათვის. ჯარისკაცთა მასპინძლის, გიორგი მიქაბერიძის, ბალღები კერასთან ისხდნენ და ჩამოკონკილი ცოლი რძეს ადუღებდა. გლეხობა უპატრონოდ იყო მიტოვებული, გაჭირვებული და შიშველ-ტიტველი...

ბორჯომიდან ფქვილიანი ტომრებით დატვირთული ფურგონები და ორთვალები ამოვიდნენ.

3

ორთვალაში წაბლისფერი. გამწვევი ცხენი იყო შებმული. მას სანდრო და ხან კიდევ კორნელი მიერეკებოდნენ. ორთვალის თივადაფენილ ყუთზე პეტრე ცხომელიძე და ჯვებუ მიქელაძე ისხდნენ თავისი ბარგი-ბარხანით. ოთხივე ჯარისკაცის შაშხანებიც შიგ ეწყო. სანდრო ჯსტვენდა და ცხრაწყაროსაკენ მიმავალ აღმართზე ცხენი ნაბიჯით მიჰყავდა.

ცხრაწყარო მეტად მაღალი უღელტეხილი არის. გზა წიწვიან და ფოთლოვან, ნარევი ჯიშით დაბერებულ ტყეში მიიკლაკნება. მზის სხივებით გაირღვული, წვიმოვანი ფოთლები პარკიდან ახალგამოჩეკილი პეპლების ფრთებივით გადმოკიდებულიყვნენ. ვეება კერხვების ტიტველი ტანები სჩანდნენ და ირგვლივ უმძაფრესი მდუმარება ეამეფებულიყო. ფიჭვი, ნაძვი, სოჭი, წიფელა, მუხა, რცხილა და ვერხვი ოდნავ იჩხრიალებდნენ. ჯარისკაცები ხშირად ცივაბო კლდის პირს მიჰყვებოდნენ. მწვანე ქოლგებივით გაშლილი ვეება ხეთა მწვერვალები ნაპრალიდან გზის პირს უსწორდებოდნენ. ხევიდან ნაკადის შხუილი მოისმოდა. ტყეში ხმელი ხავსისა და ნეშოს სუნი იდგა.

ბაკურიანის ტაფობი აღარ ჩანდა, ტყე მოეფარა. ჯარისკაცები ბაკურიანზე გაცილებით მაღლა იყვნენ ახლა.

ცხენი ფრუტუნით, კუდის ქნევითა და ბანჯგვლიანი ფეხების გულდაგული ნაბიჯებით მიჰყვებოდა აღმართს. მართლაც დასასრული აღარ უჩანდა ამ მაღლა ცისკენ სვლას. ნოუხვიეს და მაღლობიდან მწვანე მინდორი, შორეული ფართო ველები გამოჩნდნენ. ჯარისკაცებს გრიალი შემოესმათ. ცხენმა ყურები სცქვიტა და იონჯისფერი თვალები დაახამხამა. ჯარისკაცებს შორეული მეხის გრგვინვა ეგონათ, მაგრამ გრიალი ზედიზედ და მწყობრად განმეორდა.

— ზარბაზნებია, — დაიძახა კორნელიმ. სანდრომ ცხენი შეაყენა. ახალციხის მხრიდან განუწყვეტელი გრიალი მოისმოდა.

— შავიშვილის და კაპანაძის ბატარეა ისვრის, — თქვა სანდრომ და ცხენს მათრახი გადაუჭირა. ფრონტისაკენ ეჩქარებოდა.

ბაკურიანიდან ცხრაწყარომდე თხუთმეტი კილომეტრია. ცხრაწყარო ჯერ კიდევ არ ჩანდა. ცა იღრუბლებოდა.

ტყემ თანდათან იკლო, დადაბლდა და ხეები ქონდრიკაცებივით დაიგვაჯა. მთის დაგრეხილი, როკიანი ჭნაკი და ნეკერჩხალი ჯაგებმა შესცვალეს. წიფლისა და ნაძვის მაგიერ პატარა ბუჩქები, სქელი დეკა და ღვიით მოფენილი ყვავილოვანი იალაღები მომრავლდნენ. მერქნიანი მცენარეების საზღვრიდან ბალახეულმცენარეულობაზე გადასვლა მეტად შესამჩნევი იყო თვალისათვის. მთის კალთებზე მაღალი ბალახი ბიბინებდა. კლდეებს აგურისა და სისხლისფერი ხასხასა ხავსი მოჰკიდებოდა. ეს მთის უმაღლესი, ზეალპიური სარტყელი იყო. ჩრდილსა და საფარში დაჭიავებული, შავად დახვრეტილი თოვლი ზამთრისა და ქარბუქის ძევლად გაწოლილიყო. საშინლად აცივდა. მაზარები წამოისხეს. ღრუბლები დაეშვნენ, ჩქარა წამოვიდნენ. ჯარისკაცებმა ცხრაწყაროს ძირში აშენებული ქვის პატარა სახლი დაინახეს. ოფლში გაღვარული ცხენი უკანასკნელ აღმართს შეუდგა. კორნელი და პეტრე მოკლე ბილიკით შეჰყვნენ აღმართს. ნისლმა იმატა, ცხრაწყაროს მიუახლოვდა და ჯარისკაცებსაც მისწვდა. ქვეითებმა სირბილით, ხოლო ორთვალამ ჭენებით მიაშურეს სადარაჯო სახლს. ის იყო სანდრომ ჭენებით მიაგდო ცხენი და ქარმაც

დაუბერა. წვრილი წინწკლები და მერმე წვიმის წვეთები განდაგან წამოვიდნენ. ერთბაშად ჩამოღამდა. ორ ნაბიჯზედაც ძნელად თუ რასმე გაარჩევდა კაცი.

ჯარისკაცებს სახლის დარაჯი, დიმიტრი ეგოროვი მიეგება. ორთვალა გადახურულში დააყენა, ცხენი კი —თავლაში.

ცხრაწყაროზე აშენებული სადარაჯო სახლი რამდენიმე ოთახისაგან შესდგებოდა. ერთში საგუშაგო იყო და წინათ ჯარისკაცები ცხოვრობდნეხ. მოხალისენი შიგ შევიდნენ. ბარგი, ჩანთები და შაშხანები ტახტზე დაალაგეს. რკინის ღუმელში ცეცხლი ენთო. ოთახში ჯავახეთიდან გადმოსული, ზანგივით შავი გლეხები ცეცხლს მიფიცხებოდნენ. სამი სომეხი და ორიც ქართველი იყო. მათი თქმით, ბატარეა სოფელ ხიზაბავრაში ჩასულიყო. ჯავახეთის სოფლების დასაცავად მიმავალ ჯარისკაცებს ისინი სასოებით უცქერდნენ. მზემოკიდებულ სახეზე თეთრი კბილების რკალი უელავდათ. პური და ყველი ამოიღეს. ჯარისკაცებმა, თავის წილ, ჩაი და შაქარი შესთავაზეს. შაქრის დანახვისას, აღტაცებულმა რუსმა, დიმიტრი ეგოროვმა, წამსვე წყალი აადუღა. კორნელის და მის ამხანაგებს შაქარივით დაუტკბა. ქერა და ხშირი წარბებით დაჩრდილული, ნაცრისფერი თვალები გაუბრწყინდა. იგი გაქართველებული რუსი იყო. მაღალი, გამხდარი, ქერა წვერულვაშიანი. ჩვენებური ქალამნები და ჯავახური შალის ქურთუკი ეცვა. მისი რჩევის თანახმად, ჯარისკაცებმა გამოდარებას დაუცადეს.

ეგოროვმა ხუთი ყულაბა ჩაი შესვა. კორნელის და მის ამხანაგებს თავისი შაშხანა უჩვენა. იგი ზამთარ-საფხულ ცხრაწყაროზე ცხოვრობდა. მსოფლიო ომის დროს რუსთა ჯარები ამ გზით მიდიოდნენ თურქეთისაკენ და ეგოროვს ბევრი რამ ახსოვდა. მისი მაღალი კანჭები მთასა და ტყეში სიარულსა და ნადირობას შეჩვეულიყო. იგი მთის კაცს უფრო ჰგავდა, ვიდრე ბარელს. მთას თავისი დაღი დაესვა და თავის რჯულზე მოენათლა. გარეთ ციოდა და უკუნეთი იდგა. რკინის ღუმელის კარი და გვერდები ნაკვერცხალივით ჰღვიოდნენ. ცხრაწყაროზე სასტიკ ყინვას იჭერს. აქ არა ერთი მწყემსი, მგზავრი და პირუტყვი გაყინულა, ქარბუქს გზას აუცდენია და ნამჭერით დაფარულ უფსკრულში გადაუჩეხია. გუდაურის სადგურის მერმე, ეგ სახლი, როგორც ამბობენ, ერთი უმაღლესი

პუნქტთაგანია არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ ევროპაშიც. იგი ორი ათას ოთხას ბეტრის სიმაღლეზე დგას ზღვის დონიდან. ეგოროვმა ფანჯარაში გაიხედა, გაიღიმა და დაიძახა:

— გამოიდარა! — რაზე ატყობდა გამოდარებას, ცოცხალი ბარომეტრი, ჯარისკაცთათვის გაუგებარი იყო.

რამდენიმე წუთის მერმე, ნისლი მართლაც გაიფანტა და გამოიდარა. მოხალისენი აივანზე გავიდნენ.

ღრუბელთა ვეება და თეთრი გროვები მთის მწვერვალებს და მთელ მიწას ჰფარავდნენ. ნისლთა ქარავნები ტორტმანით ეშვებოდნენ ციდან დედამიწაზე, იცრიცებოდნენ, ხევსა და ნაპრალებში მიიპარებოდნენ დამარცხებული ჯარივით. მალე ძლევამოსილი მზეც გაბოჭნდა, ღრუბლების თეთრი ლაშქარი სხივთა ისრებით შემუსრა, დაარბია და განგმირა. ღრუბლების თეთრ ქულულებზე თითქო სისხლის ღვართქაფი დაიღვარა და ზედ უცნაურ ფერთა ხანძარი გაჩაღდა. ოკეანესავით გაშლილი ღრუბლებიდან კავკასიონის ქედის მწვერვალები ამოცურდნენ. კუნძულებივით ამოწვდილი: იალბუზი, უშბა, დიხთაუ, ყაზბეგი, ბორბალო აღიმართნენ. ჯარისკაცებს მოეჩვენათ, თითქო ყველაზე მაღალი მაინც ცხრაწყარო იყო, რომელსაც თავს დასდგომოდა ახლა ლილისფერი და მოწმენდილი ცის გუმბათი.

ჯარისკაცები გაოცებით გასცქეროდნენ ცხრაწყაროდან გადაშლილ ბუნების დიად სურათს. ხევსა და ნაპრალებისაკენ დაშვებული ნისლიც ქრებოდა, ახლა მახლობელი მთებიც გამოჩნდნენ. სანისლო, კოდიანი, თორტიზა და გვირგვინა, სოფლები — ბაკურიანი და ციხისჯვარი, ძირს — თვალუწვდენი და შავნაბადა ტყით მოფენილი — ბორჯომის ხეობა.

— რა მაღლა ამოვსულვართ!—დაიძახა კორნელიმ.

ცხრაწყაროდან ფართო ჰორიზონტი იშლებოდა და ჯარისკაცთა გულიც სიამით სძგერდა. რაღაც გამოუთქმელ სიხარულსა და ხალვათობას გრძნობდნენ. სდუმდნენ, დუმილით გასცქეროდნენ ქედებს. უდნობი თოვლით დაფარული მთის მწვერვალები იის, იაგუნდისა და ლალისფრად იღებებოდნენ.

— შეხედეთ როგორ ჩამწკრიეებულან ვარვარა მუზარადიანი ქედები, თითქო ბუმბერაზები სადარაჯოზე დგანანო?!

დგანან გულზვიადნი და მრავალდროებათა მოწამენი. არწივი თუ დაჰყივლებს ხანდახან. რა სიჩუმეა და მდუმარება! ეს ადგილი დუმილის სამყარო მგონია, — უთხრა მეგობრებს კორნელიმ. პეტრე ცხომელიძეს ვაჟას „მთანი მაღალნი“ მოაგონდა:

იდგნენ და ელოდნენ, უსაზღვროა მთების მოლოდინი

განცვიფრებით გასცქეროდნენ ჭაბუკები ცხრაწყაროდან საქართველოს ბუნებას და მისი მშვენებით იხიბლებოდნენ.

სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა,

წამოიწყო ჯვებე მიქელაძემ.

— ღმერთო, იხსენი საქართველო თურქთა ურდოებისაგან! — განაცხადა პეტრე ცხომელიძემ.

ჯავახეთი

ხოლო აწ ვიწყებთ ჯავახეთს.

ვახუშტი

1

შეორე დღეს ჯარისკაცები ცხრაწყაროდან ჯავახეთს გაემგზავრნენ. მზიანი დილა იყო, მაგრამ მაინც სუსხიანი ნიავი ჰქროდა. ისევ ცვარიანი ბალახით, მუქყვითელი, წითელი, ცისფერი და ნაირნაირი ყვავილებით მოფენილი მთის კალთები ეგებებოდნენ.

დალმართს დაადგნენ. სანდროს ჩორთით მიჰყავდა ცხენი და თანაც მღეროდა: „ჩუხჩუხით ჩამორბოდა, რუ დაბალი კორდის ძირს“. მზეს ძალა მოემატა. გზაზე მწყერჩიტები გადაფრინდნენ. ცოდან ტოროლას სტვენა ჩემოესმათ.

ტოროლა ცისკენ ისარივით მიფრინავდა. ცას ვერ აღწევდა და ფრთამოკეცილი უკანვე ეშვებოდა, თითქოს ტყვია მოარტყეს და დედამიწაზე უნდა დაეცესო. მაგრამ ეთერში წამიერ შეჩერდებოდა, მერმე ისევ ავარდებოდა ლაჟვარდოვან ცისკენ და სალამურივით უსტვენდა, თითქო მზეს საგალობელს

ეუბნება და შესთხოვს: შენ შემეწიენე, ნუ მომკლავ და შენგან მონიჭებულ სიცოცხლის წყაროს მაზიარეო. ტოროლას სტვენა ზარივით გაისმოდა ეთერში და გულს უამებდა ჭაბუკებს. „ტოროლას მაინც არ მოვკლავ, ბევრიც რომ მქონდეს წამალი“, — ამბობდა ბავშვური ღიმილით კორნელი და პირველყოფილი სიწმინდით გათენებული დილა და დიადი ბუნება აჯადოებდა. გული ისეთი რაღაც გამოუთქმელი დიდი სიხარულით, აღტაცებითა და ბედნიერებით ავსებოდა, რომ ამდენ ნეტარებას კაცის გული ვერ დაიტევდა. ნინოს მიჯნური ცას წვდებოდა ტოროლასაებრ, თავზე მდგარ ცას, მოსარკულსა და აჟღერებულს ტოროლას სტვენით. მაგრამ მზისკენ აფრენილი პატარა ჩიტის ის შორეული სტვენა, გაწყვეტილი სიმის და გაბზარული ზარის ნაღვლიან ჟღერად ჩამოესმოდა ახლა კორნელის. უსაზღვრო ცაში მარად უქრობი ცეცხლით გავარვარებულ ვეება მნათობს შეჰყურებდა და ამ უსაზღვროებისა და მძლეთა მძლე ძალის ჭვრეტისას გულს კაეშანი, ბედნიერებისა და მიჯნურის დაკარგვის შიში ეპარებოდა და ცრემლად დაღვრილი ავთანდილის სიმღერა-ღაღადისი აგონდებოდა:

მიმავალი ცასა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მზესა:
„აჰა, მზეო, გეაჯები, შენ უმძლესთა მძლეთა მძლესა,
ვინ მდაბალსა გაამაღლებ, მეფობასა მისცემ სვესა,
მე ნუ გამყრი საყვარელსა, ნუ შემიცვლი ღამედ დღესა“.

მოუხვიეს, ცხრაწყაროს უკან დარჩა, წინ კი მწვანე ჯეჯილით დაფენილ და მაღალი მთებით შემოზღუდული ჯავახეთის ფართო ველები გადაიშალა. ამ მთების იქით თურქეთია. მწვანე ზღვასავით ლივლივებდნენ ჯავახეთის ყანები. საძოვრებით განთქმული ქციის კალთებზე ცხვრის ფარა შეფენილიყო. ჩანთაგადაკიდებული ბიჭი ფარას მწყემსავდა და სალამურით ტოროლას ეჯიბრებოდა. ძნელად თუ დაიჯერებდა ამ იდიალური სურათის შემყურე კაცი, რომ აქვე, სულ ახლოს, ბრძოლის ხაზი იყო. ბიჭმა სალამურზე დაკვრა შეწყვიტა და ორთვალაში მჯდარ ჯარისკაცებს მიაშტერდა. მწვანე მინდვრებზე და თვალუწვდენელ ყანებზე მთიდან თოკივით გაბმული გზა ახალქალაქამდე აღწევდა. მერმე ჰორი-

ზონტს უერთდებოდა. შორს მთები აზიდულიყვნენ, თურქეთში გადასული საქართველოს მთები.

— ვაგლახ, — დაიწყო პეტრემ, — საძოვრებით განთქმულ იმ ჩვენ მთებს იჯარით ვიღებთ ახლა! იმ მთების იქით მტრისგან მიტაცებული საქართველოს ძველთაძველი მიწა-წყალია — ტაო-კლარჯეთი. ჩვენი ხალხის ოფლითა და სისხლით მორწყული. იქ არის ჩვენი ხალხის მიერ აგებული გზა და ხიდები, ციხესიმაგრენი, ოშკის, იშხანის, წმინდა ხახულის დიდებული ტაძრები და მონასტრები, ქართველი ხალხის კულტურისა და დიდების ძეგლები.

— იმ ბარბაროსებმა რაც მოიტაცეს, იმას აღარ გვჯერდებიან, — განაცხადა ჯვებე მიქელაძემ, — ახლა საქართველოს გულისაკენ იჭრებიან და მთლიანად მის ამოგლეჯას ლამობენ. თურქები არასოდეს არ მოეშვებიან და არ გაახარებენ ქართველ ხალხს.

პეტრემ აგზნებით დაიძახა:

— ღმერთმა შინ ცოცხალი ნუ დაგვაბრუნოს, ბიჭებო, ჩვენი ხალხის წამების, წახდენისა და ყლეტისათვის, თურქების სისხლი რომ არ ავიღოთ.

— ამინ! — წარმოთქვეს კორნელიმ, სანდრომ და ჯვებემ ისეთი აღელვებული ხმით, თითქოს აღთქმას აძლევენო.

ორთვალა ვაკეზე გავიდა. მზემ დააცხუნა. გზაზე მტვერი და პაპანება დამდგარიყო. ჯარისკაცებმა მაზარები გაიხადეს, სახეზე ცხვირსახოცი ჩამოიფარეს. გზის პირას სოფელი ღადო გამოჩნდა, ტალახისფერი მიწური სახლებითა და მიღრეცილ-მოღრეცილი ჭუჩებით, გვერდზე პატარა მდინარე ჩამოდიოდა. ტირიფების ქვეშ ტიტლიკანა, გატრუსული ბავშვები წყალში ჟივილით ეშვებოდნენ და ჭყუმპალაობდნენ.

სოფლის მოედანზე შავწვერა და მზეზე გატრუსული გლეხები იდგნენ. ბანებზე კი ქალები ისხდნენ. ზოგნი მატყლს ჩეჩავდნენ, ძაფს იღებდნენ, ზოგნიც ართავდნენ და წინდებსა ქსოვდნენ. მათ წითელი წინსაფარი და ვერცხლის ფულით მოჭედილი თავსაკრი ჰქონდათ. წყალში მდგარი ბავშვები ჟივილ-ხივილით შეეგებნენ მგზავრებს. მდინარიდან ყანების, ბოსტნებისა და ბაღების სარწყავი ღარები და პატარა არხები

იყო გაყვანილი. სოფელ ღადოს მცხოვრებნი განსულ საუკუნეს აქ დასახლებული ლტოლვილი სომხები იყვნენ.

სანდრომ ორთვალა მოედანზე დააყენა. სამჭედლო მოიკითხა და ნალბანდს ცხენი დააჭედინა. პეტრემ კი ჭამის საკითხი მოაგვარა და მალე ჯარისკაცები მოხარშულ კვერცხს, ყველსა და პურს შეექცნენ. კორნელიმ მახპინძელს ფული ჩაუთვალა.

ღადო უკან დარჩა. მალე ჯარისკაცები გზაზე მიგდებულ, ტეხილი ქვების დასაბეკნ, გაჟანგულ ბახთიან მანქანას და ახალციხისაკენ მიმავალ სამხედრო ფურგონებს წააწყდნენ. ახალქალაქის დასაცავად ქალაქის ახლოს სომეხთა ერთი ლეგიონი და ბატარეა მდგარიყო. ოდესღაც განთქმულ ასპინძას კი სოფელ ხიზაბავრისა და საროს მოხალისეთაგან შემდგარი ქართული ათასეული იცავდა, შტაბს-კაპიტან ბოლქვაძის მეთაურობით. მეფურგონენი თურქების მიერ სოფლების გადაწვის, ძარცვა-გლეჯის და ხალხის ხოცვა-ჟლეტის გამო სჩიოდნენ. ჯარისკაცებს გზაზე მასწავლებელი და მისი ცოლი შეეყარნენ. მათ ახალქალაქი დაეტოვებიათ, რადგან თურქები ქალაქს მიახლოებოდნენ და მცხოვრებთა შორის შიშიანობა დაწყებულიყო. ლტოლვილ ცოლ-ქმარს ქართულ-სომხური ჯარის იმედი არა ჰქონდათ.

— საქართველოს და სომხეთს ქართული და სომხური ჯარების გარდა, ახლა სხვა ვერავინ დაიცავს. თქვენ ჩვენი ქვეყნის ძალა და ღირსება არა გწამთ, მტრის წინაშე ფარხმალი დაგიყრიათ და სამარცხვინოდ გარბიხართ, — გაცხარდა პეტრე ცხომელიძე. მასწავლებლის ცოლს ფართო ჭილის ქუდი ეხურა, ალერსიანი ღიმილით შესცქეროდა ჯარისკაცებს. იგი რუსი იყო. მზისგან დამწვარ მის საამო სახეს თეთრი კბილების რკალის გაელვება და ცისფერი თვალები მეტ სილამაზეს მატებდა. ქალიც მასწავლებელი იყო.

სანდრომ ცხენს მათრახი შემოჰკრა და გაოცება გამოსთქვა:

— როგორ დაითრია იმ შავტუხა უშნო კაცმა ის ლამაზი რუსი ქალი?

— ზოგს ცხოვრებაში კოჭი მუდამ ალჩუზე უჯდება,— მიუგო ჯვებემ.

ცოტა ხნის მგზავრობის მერმე კიდევ ერთი სოფელი დაინახეს. სანდრომ შარაგზიდან გადაუხვია და იმ სოფელში შევიდა. ჯარისკაცებს ჯოგის ძაღლები დაეხვივნენ. გლეხმა ძაღლებს შეუკურთხა, კომბალი მოუქნია, გარეკა და ჯარისკაცები შინ მიიპატიჟა. ეს ქართული სოფელი, კოთელია იყო.

მაძღარი და არაყით შეზარხოშებული ჯარისკაცები ჯავახელის ფართო მიწურიდან გვიან გამოვიდნენ. მზე შუბის ტარზე დასულიყო. კორნელიმ ფული ამოიღო და მასპინძელს შეაძლია. საშინლად იწყინა ახოვანმა ჩოხოსანმა ჯავახელმა კაცმა. იგი გაფითრდა, ქერა ულვაშზე ვაჟკაცურად გადაისვა ხელი, ცისფერი თვალები აუციმციმდნენ და კორნელის უთხრა:

— ჩემს სახლში იყავ, განა დუქანში! სტუმარი ღვთისაა.— კორნელიმ ბოდიში მოიხადა, ქერით გამაძღარი ცხენი სანდრომ ორთვალაში შეაბა და, სოფლელების რჩევის თანახმად, შარაგზიდან გადაუხვია და ხიზაბავრისაკენ გასწია. მგლისმახრჩობელა ჯოგის ძაღლები ისევ გამოცვივდნენ მიწური სახლების ბანებზე და გაავებით დაიწყეს ყეფა. მასპინძელმა ისევ მოუქნია კომბალი, შერისხა და დაუტატანა. ჯარისკაცები დიდხანს უცქერდნენ სოფლის თავში ამაყად მდგარ, ჯუშტსა და გაუტეხელ ჯავახელ მასპინძელს და ქართველი კაცის დარბაისლობაზე, ადათზე, სტუმარმასპინძლობაზე და კაცობაზე ლაპარაკობდნენ.

ხიზაბავრიდან ალექსიძის ბატარეა სოფელ ტამალისაკენ წასულიყო. ტამალას, ადგილობრივი მცხოვრებნი, ხშირად დაძალასაც ეძახიან. ტამალისაკენ ბატარეის წასვლა ძალიან ეწყინათ ჯარისკაცებს. ხიზაბავრა მტკვრის მაღალ ნაპირზე მდებარეობს. მტკვრის ვაღმა, დაბლობში, ხეხილით სავსე ბაღები სჩანან. ბარალეთის მერმე, ხიზაბავრა მეტად დიდი სოფელია.

ღამდებოდა, გზააბნეული სანდრო დიდხანს დაბორიალობდა ამწვანებული პურით მოფენილ ყანებში. ბოლოს მეურმე შეეყარათ, და მან მახლობელ სოფლისაკენ გზა ასწავლა.

სანდროს ისევ ყანაზე მიჰყავდა დაქანცული ცხენი. მწვა-

ნე ჯეჯილი საამოდ ბიბინებდა. მწყრის ქვიტქვიტი ისმოდა. შავ, ნოყიერ და ფხვიერ მიწაში ორთვალას ბორბლები და ცხენის ფლოქვები ღრმად ეფლობოდნენ. ილაჯგაწყვეტილი ცხენი საცოდავად ქშენდა.

ჯარისკაცებმა სოფელი ვარევანი დაინახეს. აქაფებული, პატარა მდინარე შუაზე ჩამოუდიოდა. მდინარის პირას ალვის ხეები ჩარაზმულიყვნენ. სოფლის ახლოს, მინდორში, ნაბელი და გამხმარი ხე იდგა. ზედ ფიჩხი ეყარა. ხეს ყანჩა დასტრიალებდა და მინდორში მომუშავე გლეხებს სრულიადაც არ ერიდებოდა. ყანჩა ხეზე დაფრინდა, მაღალ კანჭებზე დადგა და ხის სვეტის კვარცხლბეკზე აღიმართა. კორნელი ორთვალიდან გადმოხტა და შაშხანა გულდაგულ დაუმიზნა. ესროლა. ყანჩამ ფრთები გაშალა და გაფრენა დააპირა, მაგრამ მაშინვე უღონოდ მოიქნია და გადაბელილ ხეს ფარფატით დააკვდა. მისი გრძელი ყელი და ნისკარტი გველივით იკლაკნებოდა.

— ყოჩაღ! — შესძახა სანდრომ კორნელის და ნანადირევისაკენ მოჰკურცხლა. ხეზე ავარდა და ჩინჩახვგახვრეტილი ყანჩა ჩამოიღო.

ომის შიშით მოცლულ სოფლიდან ჯარისკაცის ტანისამოსში გამოწყობილი სამი თოფიანი კაცი გამოიქცა. ერთი სანდროს მივარდა, უყვირა და ფრინველი ხელიდან კინაღამ არ გამოსტაცა. სანდრო განზე გახტა და შაშხანა გადმოიღო. კორნელიმ, პეტრემ და ჯვებემ დაღმართი ჩაირბინეს და სანდროს მიეშველნენ. სოფელ ვარევანის შეიარაღებული გლეხები ღელავდნენ:

— რას ერჩოდით ამ ყანჩას? ეს ბუდე ჩვენ თვითონ გავუმართეთ ძას ხეზე. მთელ სოფელს იცავდა ეს წმინდა ფრინველი ქვეწარმავლებისაგან.

ყანჩა წმინდა ფრინველად ჰყავდათ მიჩნეული გლეხებს.

— არ ვიცოდით ეგ ამბავი, გვაპატიეთ, — სწუხდა კორნელი.

გლეხები მიხვდნენ, ჯარისკაცები რომ მათი სოფლების დასაცავად მოსულიყვნენ და ამიტომ, სანდროს მოჭიშპემ ჯარისკაცები ღამის გასათევად შინ მიიპატიჟა. გზადაგზა იჩოქებდა, უხილავ მტერს შაშხანას უმიზნებდა და აგინებდა.

ვარევანშიც ისეთივე მიღრეცილ-მოღრეცილი ქუჩები და

მიწური სახლები იყო, როგორც კოთელიაში. შაშხანის გასროლის გაჰო შეშინებული ხალხი ქუჩაზე გამოფენილიყო. ჯარისკაცებს გაოცებით და უნდობლად უცქერდნენ. ვარევანში ქართველები და სომეხი კათოლიკები ცხოვრობდნენ. აქაც დაადასტურეს: ბატარეა სოფელ ტამალაში ჩავიდაო.

— ახლავე დავიძინოთ. გათენებამდე უნდა ჩავიდეთ ტამალაში, — უთხრა სანდრომ ძეგობრებს.

ასპინძა

მოთხრობა მომხდარ ამბებზე იმ შემთხვევაში შემიძლია წავიკითხო, თუ იგი იმ პირის მიერ არის დაწერილი, რომელმაც ის ამბები განიცადა, მათი მნახველი და დამსწრე იყო.

შანფლერი

1

სოფელი ტამალა ასპინძის აღმოსავლეთით მდებარეობს, მთის კალთაზე, ტყეში. ბატარეისათვის პოზიცია ალექსიძეს ტამალის მაღლობზე აერჩია. თვითონ ხევის გალმა, სათვალთვალო პუნქტზე, მოთავსებულიყო. კაპიტანთან ოფიცრები, ტელეფონისტები და მხლებლები იყვნენ. სათვალთვალო პუნქტიდან ტამალის მაღლობი, მის წინ გაშლილი ველი, სოფელი ასპინძა, ასპინძის ციხე და ახალციხისაკენ მიმავალი როკეთის გზა კარგა მოსჩანდა. ასპინძა მტკვრის მარჯვენა ნაპირას მდებარეობს, ტამალიდან ხუთი კილომეტრის მოშორებით. შარაგზა სწორედ იქ უხვევს და ახალციხისაკენ ჰიემარეება. ალექსიძის ამოცანას ასპინძის აღება შეადგენდა, რათა ახალციხესთან თურქების კავშირი გაეწყვიტნა და როკეთის მოკლე გზა ხელთ ეგდო. ბატარეის მფარავ რაზმს ჯავახელი მოხალისენი და პორუჩიკი ზაუტაშვილის ასეულის ჯარისკაცები შეადგენდნენ .შტაბს-კაპიტნის ბოლქვაძის ათასეული კი მოწინავე. ხაზზე იყო და ასპინძიდან მომავალ შტერს ელობებოდა.

ტამალის მაღლობზე ბატარეა გათენებამდე ასულიყო. ზარბაზნებიდან და საყუმბარო ყუთებიდან გამოშვებული ცხე-

ნები სოფელში ჩაეყვანათ და მათ ფურგონებთან და ორთვალებთან ჯარისკაცები დარაჯობდნენ. სოფლის ბოლოს საექიმო-სანიტარული პუნქტი მოეწყოთ. ექიმი ლადო იშხნელი, ორი ფერშალი, ოლღა წერეთელი და ეპიფანე ურუშაძე დილიდანვე შემოსულიყვნენ თეთრი ხალათებით. ომისათვის სამზადისი და ციებ-ცხელება ტამალის მკვიდრთაც მოსდებოდათ. მიწურ სახლებთან ჭრელ-ჭრელა კაბებში გამოწყობილი ქალები იდგნენ და შიშისაგან ცახცახებდნენ. ასინი ბრძოლის ველისაკენ მიმავალ ქმარ-შვილს და არტილერისტების ფუსფუსს გალენჩებული გასცქეროდნენ.

ტამალას მაღლობზე ჯარისკაცებმა ზარბაზნები დააყენეს. ჟუთებიდან ვაზნები ამოალაგეს. ზარბაზნების უკან შავგვრემანი, პირტიტველა ფეიერვერკერი კოსტა გვარამაძე იდგა. მოედანზე ალექსიძის თანაშემწე, — პორუჩიკი ანდრო ბერეჟიანი დადიოდა. იგი მაღალი, გამხდარი და ქერა კაცი იყო. გრძელი სახე და ცისფერი, აგზნებული თვალები ჰქონდა. ლურჯი შარვალი, შაგრენის ჩექმები და ხაკისფერი ფრენჩი ეცვა. თავზე რუსული ქუდი ეხურა და თვითონაც რუსსა ჰგავდა. მას მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაემთავრებინა. მსოფლიო ომის დროს, ჯარში მობილიზაციით გაეწვიათ. ორდენებთან ერთად, უნივერსიტეტის დამთავრების ნიშანსაც ატარებდა. იგი მეტად ნერვიული კაცი იყო. განმარტოებით ყოფნა უყვარდა და ღამით უძილობა სტანჯავდა. ხშირად, ნაშუადამევს, ხეტიალის დროს, თავის თავთან საუბრობდა, იგინებოდა და იფურთხებოდა, რისთვისაც ჯარისკაცებს ნახევრად შეშლილი ეგონათ. ჯარისკაცებს არ უყვარდათ იგი, მისი ტლანქი მოპყრობისა და გინების გამო. ერთხელ პორუჩიკმა ბერეჟიანმა გრიგოლ ცაგურიშვილს დედა შეაგინა. გრიგოლმა ბერეჟიანის მოკვლა გადასწყვიტა. კორნელიმ უთხრა:

— ბერეჟიანი მეტად გულკეთილი კაცია, მაგრამ ხშირად ავი ზნე უვლის და მაშინ ყველაფერი ავიწყდება. შენც უნდა დაივიწყო სიგიჟის დროს მის მიერ მოყენებული შეურაცხყოფა და აპატიო.

— გიჟს ჯარში რად აყენებენ! — გაუკვირდა გრიგოლს.

კორნელიმ ღიმილით:

— იცი, მასთან ომში ნამყოფი ოფიცრები ბერეჟიანს მეტად მამაც და უშიშარ მებრძოლად სთვლიან.

დღეს გრიგოლს პორუჩიკის მოკვლისათვის არა სცხელოდა. პორუჩიკის ახლოს, მუხასთან, ორმოში ჩამჯდარიყო, ტელეფონი გაემართა და კაპიტნის სათვალთვალო პუნქტს ეთებოდა. მასთან კაკო ბაქრაძე და კიდევ ორი ჯარისკაცი იწვნენ. ტამალის მაღლობის მერმე, ჯაგებითა და ტყით დაფენილი მთის კალთა ეძვებოდა. ზაობაზნების უკან, მოედანზე, ჯანიანი მუხა იდგა. მუხას ღრმად გაედგა ფესვები და ტელეფონისათვის ორმოს გათხრამ გრიგოლს და მის ამხანაგებს დიდი ჯაფა და ტანჯვა მოაყენა.

რიყრაჟმა მოატანა. ცა მტრედისფრად შეიღება. ზედ ნარევი ტყით შემოსილი მთის მწვერვალი ბათლად აისახა. ჯარისკაცებმა იცოდნენ, რომ ბრძოლა გაუთავდებას უნდა დაწყებულიყო. გრიგოლ ცაგურიშვილი მუხის ფოთოლივით თითოდა და კანკალებდა.

— ამ სოფელს, ბიჭებო, — უთხრა მან ჯარისკაცებს და ხელი ქვევით, ტამალისაკენ გაიშვირა, — ჯავახელები დამალას ეძახიან. აქ, ამ ას ორმოცდაორვე წლის წინათ, ასპინძის ომის დროს, მეფე ერეკლემ თავისი ჯარის ნაწილი დამალა. როდესაც ასპინძაში ქართველ ჯარს ძოულოდნელად თავს დაესხნენ თურქები, ერეკლეს მიერ ამ სოფელ დამალაში დამალული ჯარის მარჭაფი გამოვიდა და ქართველებმა მტერი დაამარცხეს. ხომ ხედავთ, რა მიწაზე გვიღვია ფეხი, ბიჭებო?!

— ახლა მაგ წარსული დიდების ნიშანწყალიც კი არ ემჩნევა ამ გაკეთრებულ, ღარიბ და პატარა სოფელს, — შეხიშნა დათა კაკაჭიშვილმა.

— რამდენიმე ჩინებულითა და შინაყმით თვისითა და შვიდითა ხევსურითა გასწირა თავი თვისი და ეკვეთა ფიცხლად, ვიდრე სიკვდილამდე, — დაიწყო ასპინძის ომზე გენადი ქადაგიშვილმა. იგი და ოფიცერი ზაუტაშვილი, მუხის ქვეშ, პორუჩიკ ბერეჟიანთან იდგნენ.

ჯავახელმა სტუდენტმა, ამჟამად ბატარეის ჯარისკაცმა, ლადო მეტრეველმა, ვერ მოითმინა და გრიგოლ ცაგურიშვილის და სხვათა გასაგონად განაცხადა:

— ასპინძის ომის დროს, მეფე ერეკლეს მარჭაფი იდუ-

მალაში იდგა და არა ამ სოფელ დამალაში, ანუ როგორც მოშმეტებულნი აქ უწოდებენ — ტამალას. იდუმალა სხვა სოფელია, ასპინძის დასავლეთით სამ-ოთხ კილომეტრზე ნდებარე, ახალციხე-ახალქალაქის შარაგზის პირად. ეგ სოფელი ტამალა, ანუ დამალა კი ასპინძის აღმოსავლეთით მდებარეობს. აი, ამ მთის კალთაზე, ტყეში. იდუმალაში ტყე არ არის,— განმარტა მეტრეველმა და დასძინა: — მაგრამ განა ასპინძასთან და იდუმალასთან არა ვდგავართ? მართლაც ორივე მიწაზე გვიდგას ფეხი.

ერემო გოდებანიძემ გეოგრაფიული განმარტება მოუწონა მეტრეველს და ჯარისკაცებს გასძახა:

— ისტორიული ასპინძის ომის ასპარეზზე ვართ, ბიჭებო! დღეს თავი უნდა ვისახელოთ... გახსოვდეთ, — რაღაც უნდოდა ეთქვა ერემოს, მაგრამ მას, გრიგოლ ცაგურიშვილს და გენადი ქადაგიშვილს ისტორიული მოგონებანი და მოწოდებანი, ხოლო მეტრეველს კი — გეოგრაფიული განმარტებანი, შაშხანის გასროლამ შეაწყვეტინა: „ბა-თუმ“, — გაისმა ასპინძისაკენ. თურქთა კარაბინი ორმაგი გასროლის ხმას გამოსცემდა ხოლმე; ისე როგორც სანადირო თოფი დუბლეტით გასროლის დროს. სროლა გახშირდა. ახლა ქართველები და სომხები უპასუხებდნენ თურქებს. ბრძოლა დაიწყო. უწესრიგო სროლის ხმა ვეება ქვაბის გუგუნივით მოისმოდა ხევიდან. ბოლოს ტყვიამფრქვევიც ამუშავდა.

ტელეფონმა ნაწყვეტ-ნაწყვეტ მორთო ზუზუნი, ველგონებოდათ მილში კრაზანა შეფრენილა და იგუდებაო. გრიგოლმა მილი აიღო. ხელი მოუჭირა და ზუზუნი ჩააქრო. თითქო კრაზანა გაჭყლიტაო. იგი შეუდარებელი მეტელეფონე იყო. მილი ყურზე მიიდო და სათვალთვალო პუნქტიდან მიღებული ბრძანება პორუჩიკს გადასცა:

— ბატარეა, საომრად!

— საომრად! — გაიმეორა ბრძანება პორუჩიკმა.

ჟმცროსი ოფიცერი ცაგარელი, ფეიერვერკერები და ჯარისკაცები ზარბაზნებს მისცვივდნენ. მემიზნენი პანორამებს მიუსხდნენ.

— კუთხე — 120, დაუმიზნე ბატარეის უკან ხეს... თარაზო — ნული ერთი... კორა—ექვსი ნოლი... — იმეორებდა

გრიგოლი სათვალთვალო პუნქტიდან გადმოცემულ ბრძანებაა.

პორუჩიკმა იგივე გაანგარიშება პრაპორშჩიკ ცაგარელს გასძახა. პრაპორშჩიკმა — მწყობრის ფეიერვერკერებს, ძათა კი — მემიზნეებს. მემიზნენი პახორამებს ეკვროდნენ, სწრაფად ატოიალებდნენ ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ამწევ მექანიზმების სახელურს. ელავდნენ ჯარისკაცების ძიერ ხარბაზნებთან მიტანილი სპილენძის ვაზნები, ხმაურობდნენ ვაზნებით გატენილი ხარბაზნების საკეტები.

— ცეცხლი! — იძახდა პორუჩიკი.

— ცეცხლი! — იმეორებდნენ ფეიერვერკერები და აწეულ ხელებს დაბლა იქნევდნენ. მემიზნეები საკეტის ჩახმახებზე მიბმულ ზონრებს სწრაფად სწევდნენ და ხარბაზნები ასპინძის მაღლობებს ყუმბარებს უგზავნიდნენ.

2

ბრძოლა მძვინვარებდა. მზემ დააცხუნა. გახურებულმა არტილერისტებმა მახარები გაიხადეს. კაპიტანმა ისევ გაახშირა ცეცხლი. „მისცხეთ!“ — იძახდა აღტაცებით გრიგოლი, მაგრამ მისი აღტაცება მალე შიშმა შესცვალა. მარცხენა ფრთაზე მოხსნილი ჯარი უწესრიგოდ გამორბოდა ტამალისაკენ და პანიკას ჰქმნიდა. სროლა მოახლოვდა. ტყვიები ზუზუნით გადაფრინდნენ დაჩოქილი არტილერისტების თავზე.

ბრძოლის ხაზიდან გამოქცეულ ჯარისკაცთა ჯგუფმა სათვალთვალო პუნქტს მიაშურა. კაპიტანი აენთო:

— შესდექ, გაბრუნდი, უკან! — შესძახა მან გამოქცეულთ. შიშისაგან აყვანილი ერთი მაღალი ჯარისკაცი ყველაზე წინ გაძორბოდა.

— უკან, გაბრუნდი, უკან! — დასჭყივლა კაპიტანმა და ნაგანი იშიშვლა. ამაოდ ყვიროდა და იგინებოდა იგი. აყლაყუდამ გიჟის თვალებით შეხედა კაპიტანს და ტამალისაკენ რბენა განაგრძო. იგი მაღალი და შავწვერა კაცი იყო. გრძელბეწვიანი ბუხრის ქუდი ეხურა. ჯარისკაცის დაბამბული შარვალი და ჭურთუკი ეცვა, ფეხზე კი — ჭალამანი და სოფელში მოქსოვილი შალის წინდა. ყვირილი, ძახილი და მუქარა აღარ ესმოდა შიშისაგან გამოლენჩებულ და გონდაკარგულს.

ერთადერთი მოსაზრება, რომელიც მის გონებას შერჩენოდა, ეს ტამალაში მირბენა და თავის გადარჩენა იყო. კაპიტანმა უბრძანა აქაურ სოფლის ერთ თავკაცს, ახლა მას მიემართნა შავწვერა ჯარისკაცისათვის და, როდესაც არც ამან გასჭრა, ჯარისკაცს ნაგანი დაუმიზნა და ორი ტყვია ზურგში ზედიზედ მიარჭო. ჯარისკაცმა იყვირა, დაიკლაკნა და უმალვე მიწაზე დაეცა.

— ესროლეთ, მაგათი... — დაიძახა ბრაზმორეულმა კაპიტანმა.

შტაბის ოფიცერს, შავგვრემან და ლამაზ პორუჩიკს — კოტე დვალს მუშაობა არ შეუწყვეტია, ხოლო კაპიტნის ძახლებლებმა და მცველებმა შაშხანები გადმოიღეს და პოზიციიდან გაქცეულთ ტყვიები დაუშინეს. კაპიტნის ნაგანმა და მხლებლების შაშხანებმა ნაყოფი გამოიღო: დეზერტირებმა ისევ ბრძოლის ველს მიაშურეს. მაგრამ ბრძოლის ხაზიდან ჯარისკაცთა ახალი ტალღა დაიძრა. გამოქცეულნი ხრამში ჩაცვივდნენ, მრისხანე კაპიტნის სათვალთვალო პუნქტს გვერდი აუქციეს და ტყეს მიაშურეს. მარჯვენა ფრთაზე შტაბს-კაპიტანი ბოლქვაძის ჯარისკაცები მედგრად ირბრძოდნენ. მარცხენა ფრთა კი სრულიად მოიხსნა.

მტერმა ტამალას მაღლობზე იერიში მიიტანა. არტილერისტების თავზე კვლავ ზუზუნით გადაფრინდნენ ტყვიები. მუხის დაცხრილული ფოთლები მოედანზე ცვიოდნენ. პორუჩიკი ბერეჟიანის, ფეიერვერკერის კოსტა გვარამაძისა და ზარბაზნის ხორთუმზე მომუშავე გიგა ხუციშვილის გარდა, ყველანი მიწას გაჰკვროდნენ. მიწაზე ხოხვით მიჰქონდათ ზარბაზნებისაკენ ვაზნები. მემრზნეებს ზარბაზნის წინ მიჭედილი ფოლადის ფარები იცავდნენ ტყვიებისაგან. თუმცა პანორამისათვის გამოჭრილ ფანჯარაში ადვილად გაძვრებოდა ტყვია და მემიზნეთა თავები დაცული არ იყო.

ვაზნების გადმოზიდვის დროს ორი ჯარისკაცი დაიჭრა. სანიტრებმა ისინი შემხვევი პუნქტისაკენ წაიღეს. გახელებული კრაზანასავით ეხეთქები დნენ ტყვიები ზარბაზნის ფარს და უკუქცეულნი ხეებში ზუზუნით ცვიოდნენ. მტერი სულ ახლოს მივიდა ბატარეასთან.

— მტერს მარჯვენა მხრიდან მიაქვს იერიში, ზარბაზნებზე

მომუშავეებს დამიხოცავს და ხელთ იგდებს ბატარეას, — უთხრა კაპიტანმა პორუჩიკს კოტე დვალს.

— ფინდიხზე გადავიდეთ, — ურჩია დვალმა და დურბინდით გახედა ტამალის მაღლობს.

— ფინდიხი არ კმარა. მფარავი რაზმი უნდა გავაძლიეროთ და კონტრიერიშზე გადავიდეთ. დადგა ის სახიფათო წუთი, რისიც მეშინოდა. მარცხენა ფრთის იმედი თავიდანვე არა მქონდა. ახლა იმ მამაძაღლებისგულისათვის სტუდენტები უნდა გავწირო, — შესჩივლა კაპიტანმა დვალს და ბრძანება გასცა:

— ბატარეის მზვერავნი და ცხენმჯდომნი ზაუტაშვილთან! — მერმე დვალს მოეთათბირა და სათვალთვალო პუნქტიდან ბერეჟიანს უბრძანა:

— ცეცხლი!

ფეიერვერკერმა კოსტა გვარამაძემ ისევ ასწია ხელი, მაგრამ „ცეცხლის“ დაძახება და ხელის დაქნევა ვეღარ მოასწრო. ტყვიამ მკლავი გაუხვრიტა. იგი პრაპორშჩიკმა ცაგარელმა შესცვალა. გაფითრებული კოსტა გვარამაძე შემხვევი პუნქტისაკენ დაუხმარებლად წავიდა.

მაშინვე დაიჭრა პორუჩიკი ანდრო ბერეჟიანიც, ტყვია მარჯვენა ფეხის ბარძაყში მოხვდა. ტყვიამ ძვალი დაუზიანა, კუნთი გაუხვრიტა და გავიდა.

— დაჭრეს! არამზადები!.. — შეიგინა პორუჩიკმა და ბარძაყზე ხელი წაივლო.

არტილერისტები გაშმაგებით მუშაობდნენ და ხანდახან მოჰხედავდნენ ფეხში დაჭრილ პორუჩიკს: წაიქცა თუ არაო?— ბერეჟიანი საგრძნობლად გაფითრებულიყო. კოჭლობდა, ფეხს ძიწას ვერ აკარებდა, მუხას მიყრდნობოდა და ახლა იქიდან განაგრძობდა ბატარეის ბრძოლის ხელმძღვანელობას. ამ წუთიდან ბერეჟიანი ჯარისკაცთა საყვარელი კომანდირი შეიქნა.

— რამდენიც უნდა მაგინოს, მისგან არასოდეს არაფერი არ მეწყინება... დაე, მაგინოს. მაგისთანა ოფიცრისაგან ალალია. — უთხრა გრიგოლმა კაკო ბაქრაძეს. ტელეფონის მილი მიუგდო, წამოხტა და ბერეჟიანთან მიირბინა.

— ბატონო პორუჩიკო, თქვენ დაჭრილი ხართ. დაწექით, ჭრილობას შეგიხვევთ.

— სისულელეა! რა დროს ჭრილობის შეხვევაა? — ვიყვირე ბერეჟიანმა.

გრიგოლმა სისხლით გაჟღენთილი შარვალი დაუნახა და ისევ ჩააცივდა.

— ბატონო პორუჩიკო, სისხლისაგან დაიცლებით...

— ლაპარაკი! დაიკარგე აქედან! ტელეფონთან მიდი!— დაუცაცხანა ბერეჟიანმა და ისე დაუბრიალა თვალები, რომ გრიგოლი მაშინვე თხრილში ჩახტა.

ტელეფონმა ისევ დაიწყო ზუზუნი. გრიგოლმა პორუჩიკს ახალი ბრძანება გადასცა; მაგრამ მისი შესრულება ძნელი იყო. ბატარეიდან ხუთასი ნაბიჯის მანძილზე ბუჩქებში ასკერები გამოჩნდნენ. ისინი მორბოდნენ, ისროდნენ და შემზარავად იძახდნენ:

— ალაჰ, ალაჰ!..

პორუჩიკს კაპიტნის გამოანგარიშება გაუკვირდა: ორასი ნაბიჯის მანძილი აეღო მიზნად. მემიზნეებმა ზარბაზნების ტუჩები მთის კალთისაკენ დაუშვეს. ხუცოშვილი თავისი ზარბაზნის ხორთუმს მკერდით დააწვა.

— ფინდიხით! — შესძახა გააფთრებით ბერეჟიანმა.

— ცეცხლი! — დაიძახა პორუჩიკმა და ბუდიდან ნაგანი ამოიღო. წინ ყველაფერი თეთრმა ბოლმა და მტვერმა დაფარა.

— ცეცხლი! ცეცხლი! — იძახდა ბერეჟიანი. მემიზნეები ზარბაზნების ლულებს ატრიალებდნენ და ახლოს მოსულ მტერს ფინდიხის ჯვარედინი და მარაოსებრი ცეცხლით ეგებებოდნენ.

მთის კალთებით ბატარეისაკენ მომავალი თურქები უკუიქცნენ. მაგრამ მალე ისევ განაახლეს გაშმაგებული სროლა და უფრო მეტი რაოდენობით იწყეს ხევში ბატარეის წინ შეგროვება.

3

სწორედ ამ დროს ჩამოვიდნენ ვარევანიდან ტამალოში კორნელი და მისი მეგობრები. მათ, ორთვალას მეგზურად, ფალასკებით შემორტყმული და შაშხანით შეიარაღებული შავწვერა მღვდელი — ტერტერა მოუძღოდა. ანაფორის კალ-

თა აეკაპიწებინა და ისე დაკარწახებული მირბოდა ტამალისაკენ. თუოქების წინაშე უკუქცეულთ მოუწოდებდა ველზე წაასულიყვნენ. მართლაც, ტერტეროს ოციოდე სომეხი გლეხი მიჰყვა. ისინი ბაღში გადაატნენ და მთის კალთას მიაშურეს. ტერტერა მარტო არ იყო ბრძოლის ველზე. სოფელ ვარგავის მცხოვრები მღვდელი კონსტანტინე წეშაბერიძეც ხიზაბავრელებთან ერთად, მხარდამხარ იბრძოდა.

. ტამალის მიწური სახლების წინ კორნელიმ ცხენები, ფურგონები, ზარბაზნის სავაზნე ყუთები და შეიარაღებული ჯარისკაცები დაინახა. მკლავში დაჭრილი, გაფითრებული ფეიერვერკერი კოსტა გვარამაძე თივაზე იწვა და ძალისძალად იღიმებოდა. სანიტარული პუნქტისაკენ დაჭრილები მიჰქონდათ. მთიდან მაღალი და ახოვანი ვაჟკაცი, თავში დაჭრილი ხიზაბავრელი ჩამოდიოდა ნელა, დინჯი და ქვეყანასთან ანგარიშგასწორებული კაცის ნაბიჯით, თითქოს ასპინძასთან გამართული ბრძოლა-ჭიდილი, ბოფუსფუსე ხალხის შფოთი და განგაში უკან დაეტოვებინა და ახლა უკანასკნელ განსასვენებელ ადგილისაკენ ეშურებაო. საბვევი სისხლით ჰქონდა გაჟღენთილი და კაცის თავი ყაყაჩოსებრ სჩანდა და სამშობლოსათვის თავდადებული გმირის შარავანდედი მოსავდა. კორნელი გაჩერდა. დადუმებული და რაღაც გამოუთქმელი მოკრძალებით მიაშტერდა მთიდან ნელი ნაბიჯით მომავალ ხიზაბავრელ მებრძოლს.

კორნელი მეგობრებს დაეწია და მერმე ყველანი სათვალთვალო პუნქტისაკენ გაქცნენ და კაპიტანს გამოეცხადნენ.

კაპიტანი ალექსიძე, პორუჩიკი დვალი, მხლებლები და ტელეფონისტები ტელეფონის აპარატთან იყვნენ. იქვე ჯარისკაცი ოფიცრების შეკაზმულ ცხენებს ეწყემსავდა.

— სად დაიკარგეთ? გასწით ბატარეისაკენ! — დაიძახა კაპიტანმა და ბრძოლის ველს დურბინდით გაჰხედა.

კორნელიმ და მისმა მეგობრებმა ტამალის მაღლობისაკენ სირბილით გასწიეს. ფონდიხით სროლა ისევ გრძელდებოდა. გრიგოლმა მეგობრები დაინახა. ისინი ყანაში მორბოდნენ, ტყვიების ზუხუნით შეშინებულნი და მოკუზულნი, რეტდასხმულ ღალღასავით ღუნავდნენ თავს.

— ცეცხლი! — გასძახა ბერეჟიანს მეგობრების მოსვლით გახარებულმა გრიგოლმა და ხელი ასწია, თითქოს ბატარე-

ის უფროსი ის იყო. მაგრამ მაშინვე ტელეფონის მილი კაპიტნის ბრძანების მისაღებად ბერეჟიახს გადასცა.

— არის... არის... არის! — იძახდა ბერეჟიანი, მერმე მუხასთან კოჭლობით მივიდა და იერიქონის საყვირივით გაჰყვირა: — ცეცხლი მოშალე! ცხენმჯდომნი და მხვერავნი დაქვეითდნენ!

ტამალის მაღლობზე საშინელი განგაში ატყდა. სოფლიდან შაშხანებით, ფალასკებითა და ხელყუმბარებით ბატარეის მხვერავი რაზმის მხედრები, ცხენმჯდომნი მორბოდნენ. მუხის ტანს მიყრდნობილი, გაფითრებული პორუჩიკი ყვიროდა:

— დადექით! სად არის პორუჩიკი ზაუტაშვილი?

— მოდის, — შესძახა გრიგოლმა. ტელეფონის მილი ამხანაგს შეაჩეჩა, წამოხტა და ის და კაკო ბაქრაძე — კანარეიკაც, იერიშზე მიმავალი ამხანაგების რიგებში შაშხანით ჩადგნენ.

ტამალის მაღლობზე ბატარეის მფარავი რაზმის უფროსი, ქვეითი ჯარის ოფიცერი, პორუჩიკი ზაუტაშვილი აძოლდა. იგი დაბალი, ჯანიანი, ჯმუხი და ბრგე ვაჟკაცი იყო. ფრენჩი და ჯარისკაცის ჩექმები ეცვა. ხმალი, ნაგანი და დურბინდი ეკიდა. კარგა ხანს გაუპარსავს, ხეშეში, წაბლისფერი წვეოულვაში ამრისვლოდა და ტალახში გასვრილსა ჰგავდა. თვალები დასისხლიანებოდა. ზედვე ეტყობოდა, ბრძოლის ცეცხლიდან რომ მოსულიყო. ბერეჟიანმა უბრძანა:

— წაიყვანეთ ბატარეის მხვერავები და ცხენმჯდომნი. თქვენს მფარავ რაზმს შეუერთეთ. მტერს მაღლობზე ამოსვლა აცალეთ. ბერმე იერიშზე გადადით. მტერი თუ უკუიქცეს, ასპინძამდე დაედევნეთ... — ზაუტაშვილი სმენაზე ვაჭიმულ ჯარისკაცივით იდგა. ბერეჟიანის ბრძანების მოსმენის მერმე ვეება გაშლილი ხელი რუსული ქუდის წიაფრაზე მიიდო და შესძახა:

— არის, ბატონო პორუჩიკო! — იგი ჯარში ბეჯითი მიმსახურე და გამაცი ჯარისკაცი იყო. ეგ იყო მისი ღირსება და არა დიდი სამხედრო ნიჭი და უნარი. ზაუტაშვილი ჯარისკაცივით ზურგისაკენ შებრუნდა, ბრახუნა ჩექმების კოლოფიანი ქუსლები ისე ძლიერად მიარტყა ერთმანეთს, თითქოს ღვეზებში ყუმბარა აუფეთქდაო.

ზაუტაშვილი ბატარეიდან გამოყოფილ მოერიშე რაზმთან მივიდა. რაზმში ოცდაოთხი ცხენოსანი, თორმეტი მსვეფავი, ორი მეტელეფონე, ოთხი ფეიერვერკერი და ოთხი მეფურგონე გამოცხადდა, სულ ორმოცდაექვსი კაცი. მარცხენა ფრთაზე შექმნილი სავალალო მდგომარეობის გამოსწორება კაპიტანმა ალექსიძემ ზაუტაშვილის მფარავი რაზმისა და თავისი ჯარისკაცების საშუალებით სცადა. არტილერისტების მიმატების მერმე ზაუტაშვილის რაზმი ას სამოცდაათ კაცამდე გაიზარდა.

ფინდიხის სროლით დაზარალებული ასკერები მთის კალთიდან ისევ ხევში ჩავიდნენ. ზაუტაშვილმა თავისი რაზმი მთის კალთაზე გაშალა და ტამალის მაღლობის ირგვლივ ნალისებრი პოზიცია დაიჭირა. იგი ჩრდილოეთ-დასავლეთის მხრით შემოერტყა ბატარეას, რადგან მარცხენა ფრთის გარღვევის მერმე მტერი იქიდან უტევდა ტამალის მაღლობს: აღმოსავლეთით, მარჯვენა ფრთას, შტაბს-კაპიტანი ბოლქვაძის ჯარისკაცები ისევ მედგრად იცავდნენ. სამხრეთით კი მტერი არ სჩანდა და როგორც ტამალა, აგრეთვე ტამალის მაღლობზე მდგარი ბატარეაც უზრუნველყოფილი იყო.

სროლა კანტიკუნტად ისმოდა. ალექსიძემ ხრიკს მიჰმართა. ტამალის მაღლობის მცველ ზაუტაშვილის რაზმს ახალშოსული ორასი მოხალისე ჯავახელი მიაშველა და მერმე ასპინძელი ტყვე „თათარი“ გაანთავისუფლა, რომელმაც შტაბში მოსმენილ ალექსიძის და ოფიცრების ლაპარაკიდან ის დასკვნა გამოიტანა, რომ ზარბაზნებზე მომუშავენი და მემიზნენი ასკერებმა დაჰხოცეს და ბატარეაც იმიტომ სდუმსო. ზარბაზნების დუმილი, ასპინძელი „თათარის“ მიერ მოტანილი ცნობის დამადასტურებელ ნიშნად ჩათვალა მტერმა და, ბატარეის ხელში ჩაგდების წყურვილით წაქეზებულმა, ტამალის მაღლობისაკენ იერიში კვლავ განაახლა. ასკერების სროლას ზაუტაშვილის ჯარისკაცები დუმილით უპასუხებდნენ.

4

კორნელი შაინდლის ბეჭედში იჯდა. გული ბაიბურა გაჰქონდა. თვალი ჩინი ვერ ეკარგებოდა. ცამეტი დღე გაუცურებდა ხევსა და ტამალის მაღლობისაკენ მიმავალ შავლი ჯვებით და

ბუჩქებით დაფარულ მთის კალთას. თვალისჩინი კიდევაც რომ ჰქონოდა, მაინც ვერაფერს დაინახავდა. ბაღების იქით, გაშლილ მინდორში, ნისლი იდგა და ასპინძისა და მისი ციხის დანახვა სჭირდა. იერიშის მიტანამდე კორნელი შიშმა აიტანა და ციებაშეყრილივით ცახცახებდა. მისი სმენისა და მხედველობის არე მთის კალთიდან ასპინძამდე გაშლილი ბრძოლის ასპარეზით შემოიფარგლებოდა. როდესაც შაშხანებიდან სროლა დიწყო და შორს ტყვიამფრქვევიც ამუშავდა, იგი ბურანიდან ოდნავ გამოვიდა და მოიერიშე რაზმის უფროსს, პორუჩიკ ზაუტაშვილს გაჰხედა. ამ ერთ კაცში ხედავდა იგი ახლა რაზმის გამარჯვებასა და საკუთარი თავის გადარჩენის საათავესაც. მის საფიქრალ საგანს ამ კაცის ბრძანების შესრულება და ზუსტი მოქმედება შეადგენდა. ეგ მიაჩნია ბრძოლის ველზე გადარჩენის საწინდრად თვითეულ ჯარისკაცს, თუ მისი ნაწილი დისციპლინირებული და მაგრად შეკრულია და არა დამარცხებული და პანიკით შეპყრობილი. ამიტომ მიშტერებოდა იმედიანის თვალით კორნელი თავის უფროსს.

სროლა ერთბაშად შეწყდა. მერმე რაზმელებმა შერხეული ბუჩქები დაინახეს. თითქო ხევიდან მთის კალთას ქარი მოაწყდა და მაღლობს თანდათან უახლოვდებაო. მალე ლაპარაკიც მოესმათ და რაზმელებმა ნათლად დაინახეს ასკერები, რომელთაც შაშხანა მოემარჯვებინათ და ასე ამოდიოდნენ ტამალაზე. ცდა აუტანელი შეიქნა, კორნელის სიმწრის ოფლი სდიოდა.

ზაუტაშვილმა ნაგანი დასცალა. ჯავახელმა სტუდენტმა— მეტრეველმა, პეტრემ, გრიგოლმა, კორნელიმ, სანდრომ და ბევრმა სხვამ ნიშანში ამოიღეს ასკერები. მაშინ წამოდგნენ მზვერავები და ხელყუმბარები გასტყორცნეს. მთაში გრიალი და აფეთქების ხმა გაისმა. მერმე ტყვიამფრქვევმა დაიწყო, ასკერები თავქვე დაეშვნენ და მოჰკურცხლეს. ზაუტაშვილი წამოხტა და დაიძახა:

— წინ, მომყევ! — მთელი რაზმი „ვაშას“ ძახილით და ყიჟინით დაედევნა მტერს. დაბრილ-დახოცილთ გადააბიჯეს და ხევით, ბაღისაკენ დაეშვნენ. უკუქცეული მტერი ორად გაიყო. ერთმა ჯგუფმა ნისლით დაფენილ მინდორს მიაშურა, ხოლო მეორე — ბაღსა და ტამალის მთის კალთებს შორის მიმავალ გზაზე გავიდა. ასკერები ღობე-ყორეს ებღაუჭებოდ-

ნენ და ბაღში სტეხიდნენ, მაგრამ რაიმელთა შაწხანები და ზაუტაბვილის ასეულის ტყვიაძფრქვევი გაძალებით ცხრილავდა მათ. ბაღში გადაძახართ კი ქართველი ძღვდელი და ტეოტერას რაზმი უეასპინილდებოდა. ასლა ასკერებძა ბაღს თავი გაანებეს, შეჯგუფდნენ და შარაგზით ასპინძისაკენ მოკუოცხლეს. ზაუტაბვილის რაზმელები უკუქცეულთ დაედევხეხ.

ვრიგოლ ცაგურიშვილთან რვა ჯარისკაცი იყო. მათ შორის მსოფლიო ომში ნამყოფი თედო მეტონიძე და გალაქტიონ გელაშვილი. ცხრა კაცისაგან შემდგარმა ამ ჯგუფმა პატარა ხევი გაიარა და ნისლით დაფარულ ველს მიადგა. ორასი ნაბიჯის გარბენის მერმე იგი იძულებული გახდა რბენა შეეწყვრტა და ჯაგებში ჩასაფრებულიყო, რადგან ასკერთა მრავალრიცხოვან ჯგუფს წააწყდა. ნისლის გამო მოწინააღმდეგენი ერთმანეთს კარგად ვერ ხედავდნენ და ბრმად ისროდნენ. თედო მეტონიძე ხელში დაიჭრა, მაგრამ ბრძოლიდან არ გასულა.

ასპინძამდე ცოტაღა რჩებოდა. გრიგოლი ჯიუტობდა და წინ ძიიწევდა. წინ ბაღალი ბალახითა და კალმით დაფენილი ჭაობიანი ველი იყო. ცომივით რბილ ნიადაგს წააწყდნენ. წინსვლა შეუძლებელი შეიქნა. ჭაობი ფეხის ტერფებს იწოვდა. ტყვიები ავი წივილით მიმოჰქროდნენ. გელაშვილმა რაზმი გააფრთხილა:

— ხევში ჩავიდეთ, თორემ ნისლი თუ გაიფანტა, აქედან ცოცხალი ვერ გავალთ.

ჩუმი სტვენა და ძახილი შემოესმათ.

— ფრთხილად! — იყვირა გრიგოლ ცაგურიშვილმა და ასკერებმა მაშინვე სროლა ასტეხეს. ჯარისკაცები მიხვეულ-მოხვეული გზებით იხევდნენ ნისლით დაფარულ ველიდან ხევისაკენ. ხევამდე ცოტაღა დარჩათ. უცბად მეტელეფონე კაკო ბაქრაძე დაეცა.

— მიშველეთ, არ დამტოვოთ, — იძახდა მუცელში დაჭრილი მამაცი მოხალისე, მეექვსე კლასის მოწაფე, პატარა და კოხტა ბიჭი — კაკო ბაქრაძე, „კანარეიკად“ მონათლული ხუციშვილის მიერ.

გრიგოლმა შველა დააპირა. სანამ კაკოსთან მიირბენდა, მარჯვენა ბარძაყში თითქო კეტი შემოჰკრესო, ნაბიჯი გა-

დადგა და მისი ფეხი მუხლის ზევით მათრახივით მოკეცა.. ძვალდაძსხვრეული ჯარისკაცი დედამიწაზე გაიშოტა, მაშხანა ხელიდან გაუსხლტა და შორს დავარდა. ისევ წამოიწია, მაგრამ ფეხი ადგილიდან ვერ დაძრა. ტკივილი ტვინში აუვარდა. დასაკლავი ხარივით იბღავლა და ისევ მიწაზე დაეცა.

ხელში დაჭრილი თედო მეტონიძე, გალაქტიონ გელაშვილი და სხვანი ხევში ჩაცვივდნენ. ასკერებმა ჯეჯილიდან და ჯაგებიდან ამოჰყვეს თავები და სროლა აუტეხეს.

დაჭრილი ფეხის ოდნავი განძრევაც კი გამოუთქმელ ტკივილს ჰგვრიდა ხოლმე გრიგოლს. კვნესა დაიწყო, თუმცა კარგად იცოდა, ასკერებს შეეძლოთ გაეგონათ მისი ხმა და გაათავებდნენ. ჭრილობიდან სისხლი უხვად ეღვრებოდა და მიწაზე გუბეს აყენებდა. კიდევ რამდენიმე წუთი და, გრიგოლი სისხლისგან დაიცლებოდა. ინდივიდუალური პაკეტი გახია და ფეხზე ბინტი მაგრად შემოიხვია. სახვევის თავებს ხანამ შეიკრავდა, გულიც შეუღონდა. ცხედარივით გაფითრებული და სისხლდაშრეტილი ჯარისკაცი ისევ დედამიწაზე გაიშოტა.

როდესაც გონს მოვიდა და თვალები გაახილა, ტრამალიდან ტყვიამფრქვევის კაკანი შემოესმა. იქიდან ასკერები გამორბოდნენ. მათ ზაუტაშვილისა და ბოლქვაძის ჯარისკაცები მოსდევდნენ. გამოქცეულნი კაკო ბაქრაძეს წააწყდნენ. კაკომ ხელები აღაპყრო, თითქო შველას თხოვდაო ასკერებს. ერთი ასკერი შეჩერდა და მკერდში ხიშტი გაუყარა. კაკომ ბავშვსაებრ შემზარავად იკივლა. ასკერმა ფეხი დააჭირა. იკინა ამოაძრო და ისევ მგლური ძუნძულით გასწია ასპინძისაკენ. გრიგოლმა ეს დაინახა. მისი შაშხანა ათ ნაბიჯზე ეგდო. მიწას ხელებით დაებჯინა და მისკენ ხოხვით წასვლა დაპირა, მაგრამ დაჭრილი ფეხი არ ემორჩილებოდა. ასკერმა თვალი შეასწრო. იგი არ შემდგარა. კარაბინის კონდახი მხარზე არ მიუდვია და არც გულდაგულ ამოუღია დაჭრილი ჯარისკაცი ნიშანში. ხელზე გადმოღებული თოფი ესროლა. ტყვია ძარღვენა ბეჭის ქვეშ მოხვდა გრიგოლს, ფილტვი გაუხვრიტა და მეექვსე-მეშვიდე ნეკნებს შორის გავიდა. გრიგოლი გვერდზე დაეცა.

თვალგახელილი და გაოგნებული იწვა მიწაზე. ზედ მკერდში ხიხინი და ხრიალი გაისმა. მალე დახეთქილი ბაგე სისხლმა შეუღება. მკერდში გაჩენილი იარა იმგვარად არ სტკიოდა. ირიბად წამოსული ტყვიისაგან გატეხილი, დამსხვრეული ბარძაყის ძვალი ჰგვრიდა აუტანელ ტკივილს. ფეხი უმალვე დაუმძიმდა, გაუსივდა და რუმბივით გამოება. გრიგოლი თავის საყვარელ უმცროს მეგობარს — ქაკო ბაქრაძეს, „კანარეიკას“ ვეღარ ხედავდა. მაღალი ბალახი ფარავდა მას.

მზემ დააჭირა. ასპინძის ველზე დამდგარი ნისლი გაშრა, თრთქლად იქცა და გაიფანტა. კაპიტანმა ალექსიძემ დამარცხებულთა მისაშველებლად ასპინძიდან გამოსული მტრის ჯარი დაინახა დურბინდში და მისი გაფანტვა ბრძანა. ზარბაზნებმა დაიგრიალეს, კაპიტანი ხელისგულივით ხედავდა ახლა ბრძოლის უბანს. დამარცხებულთა საშველად წამოსულ მტრის მაშველ ჯარს ბატარეამ ღობურა ცეცხლით გზა გადაუჭრა. ზუსტად და სწორედ წვებოდნენ ყუმბარები მტრის ჯარის შუაგულში. მტერმა ასპინძას მიაშურა. მაგრამ ყუმბარები ზუსტად და სწორედ წვებოდნენ ახლა თვით ასპინძაშიც. მალე შენობებს ცეცხლისმკიდე ყუმბარებმა ხანძარი გაუჩინეს. პირდაპირი, პარალელური, ჯვარედინი და მარაოს მსგავსი ცეცხლით მილეწ-მოლეწა და დაანგრია კაპიტანმა ასპინძა, რის შემდეგ ბოლქვაძისა და ზაუტაშვილის რაზმელები სოფელში შევიდნენ.

ასპინძის აღებამდე ყუმბარები შხუილით მიფრინავდნენ გრიგოლის თავზე, თითქო ტამალის მაღლობიდან ასპინძამდე ბოძებზე გაჭიმულ ფოლადის ღვედებს კეტებსა სცემდნენ და ეთერში დარხეული ლითონი ზუზუნებდაო. როდესაც ზარბაზნების გრიალი შეწყდა, გრიგოლის ყურთა ნიჟარებში უცნაური ჰანგის ჟღერა და ყიჟინი გაისმა, თვალთ დაუბნელდა, დედამიწა დაერწა, უკანასკნელი ძალ-ღონე გამოელია და გრძნობაც დაჰკარგა.

5

კორნელი მხეიძემ, პეტრე ცხოველიძემ და ლადო მეტრეველმა ხვრელიდან ბალეშს მიაშურეს. ხეებზე მიბმული ცხენები ასხნეს, ზედ მოახტნენ და გაჰკრცხლეს. სხვებთან ერთად

ისინიც ასპინძაში რომ შესულიყვნენ. ასპინძისაკენ მარბენალ ქვეითებს გაუსწრეს. ხიზაბავრელმა ჯარისკაცებმა მიაძახეს: ცხენები დატოვეთ, ჩამოდით, მოგკლავენო, მაგრამ მხედრებმა ყური არ ათხოვეს და კვლავ ასპინძისაკენ გაჰკურცხლეს.

გზა ასკერთა გვამებით იყო მოფენილი. კორნელის ნაგანი და ხმალი ეკიდა. მარჯვენა ხელში უნაგირის ტახტაზე დაყრდნობილი შაშხანა ეჭირა. თავს ხალვათად გრძნობდა, რადგან გავაჩასუქებული, ჩალისფერი მისი ცხენი თავგამოდებული, ახალციხური იორღა აღმოჩნდა. მხედრები ზარბაზნებით დანგრეულ და ხანძარგაჩენილ ასპინძაში შეიჭრნენ. ქუჩა თქარათქურით გაიარეს. სოფელი ცარიელი იყო, მხოლოდ მის ბოლოში ყველაზე გვიან გაქცეულ ოთხ ასკერს მოჰკრეს თვალი.

— ჰო, ჰეი, ბიჭებო, ცხენიდან ჩამოვიდეთ! — გასძახა კორნელის და პეტრეს ლადო მეტრეველმა, აქაურმა ჯავახელმა ვაჟკაცმა. ცხენიდან ჩამოხტა და ხელზე გადმოღებული შაშხანით ხესთან მიირბინა. მას პეტრე ცხომელიძეც მიჰყვა.

თურქებთან ომის წყურვილით გაშმაგებულ და თავდავიწყებულ კორნელის კი იორღა არ შეუჩერებია. ჭაბუკმა შაშხანა მარცხენა მხარზე გადაიკიდა, ხმალი იშიშვლა და სოფლის ბოლოს, დანგრეული ქვიტკირის ღობესთან წამოეწია მინდორში გასულ იმ ოთხ ასკერს. შიშს შებრძოლების უნარი წაერთმია მათთვის. სამი ქართველი ცხენოსანი რომ დაინახეს, ასკერებმა შაშხანები გადაჰყარეს, ღობესთან მიირბინეს, ხელები ასწიეს და თავიანთ ენაზე აყაყანდნენ: ალბათ, ტყვედ გნებდებითო... კორნელიმ გრიგალივით ჩაუქროლა მათ. ერთი ახოვანი ასკერი ამოიჩემა, ხმალი ასწია და გაქანებულ ცხენიდან გადასწვდა. მოუქნია, თავში გადაუჭირა და დაუსვა. „ალაჰ“ — გიჟივით ხმაჰყო ასკერმა, ჩაიკეცა და ქვიტკირის კედელს ზურგით მიაწვა. „იქნებ გერმანული ყაიდის დაბამბულმა ჩაფხუტმა უშველა?!“ — გაიფიქრა კორნელიმ. იმ სამმა ასკერმა შაშხანების გადაგდება ინანეს. კედელს მოსწყდნენ, მაგრამ ხეზე მიყრდნობილი ლადო მეტრეველის და პეტრე ცხომელიძის შაშხანებმა დაიჭექეს. მეტრეველი სამაგალითო მსროლელი იყო მართლაც: ტყვიას ტყვიაში სცემდა.

მხედრები დახოცილ ასკერებთან მივიდნენ. ასკერებს ჯერ

კიდევ გაწელილი, ჭროღა თვალები, გრძელი, ქერა ულვაშები ჰქონდათ. სახის ნაკვთები და წყობა კი ისეთი, ხიზაბავრელი ქართველები გეგონებოდათ. „იქნებ მათ ძარღვებში წინაპართაგან მომდინარე ქართველთა სისხლი ერია. იქნებ ვინმე პურადაშვილის ან ველჯანაშვილის შთამომავალი იყო, ფურადღლად და ველჯანოღლად მონათლული, ვინ იცის?“ — გაიფიქრა პეტრე ცხომელიძემ. ის ახოვანი ასკერი ღობესთან იჯდა, კედელზე მიყრდნობილი დარჩენილიყო. ქუდი გადავარდნოდა. კორნელი დააცქერდა. ფართოდ გაპობილ და გადახსნილ ქალაში სისხლგადასხმული ტვინი დაუნახა. ტანში გააჟრჟოლა და თვალი მოარიდა. პეტრემ დაიძახა:

— დაიხსომეთ, ბიჭებო, პირველად ჩვენ შევედით და ავიღეთ ასპინძა!

მხედრებმა ასკერთა კარაბინები აჰკრიფეს. მალე ქვეითი ჯარიც მოვიდა, ასპინძა დაიკავა და მერმე გაქცეულ მტერს დაედევნა. კორნელი, პეტრე და ლადო უკანვე გაბრუნდნენ.

6

ზარბაზნების გრიალის მერმე გრძნობაწართმეულმა გრიგოლმა თვალი გაახილა. მზე მაღლა იდგა ახლა და ისედაც დასიცხულ და წამებისაგან ღონემიხდილ ჯარისკაცს გული უღონებდა. გრიგოლმა სიკვდილის მოახლოება იგრძნო. ყვირილი დააპირა, მაგრამ ღონე აღარ ეყო. „ნუთუ ეს სიკვდილია“, — გაუელვა აზრმა, რომელიც მალე ბოდვის უძირო უფსკრულში შთაინთქა.

როდესაც თვალი გაახილა, ლურჯი და უსასრულო ცა დაინახა. ტკივილი სტანჯავდა. ცრემლიან თვალებს ლულავდა და უკანასკნელი ძალაც ელეოდა. მეგობართა მოშველების იმედიც დაჰკარგოდა. მის ყურებში ისევ რაღაც ყიჟინებდა. ცრემლიან თვალთაგან ციცინათელას მსგავსი წერტილები გარბოდნენ და ეთერში დავლურს უვლიდნენ. შუბლზე სიმწრის ოფლი მოსდგომოდა. ყველაზე უფრო საყვარელი არსება — დედა აგონდებოდა. ჩურჩულით ამბობდა დიდი ხნის წინათ დაწერილ ლექსს, თითქო თავის თავზე დაწერა ბან იგი:

ომში დავეცი დაჭრილი,
ტყვია მებრძოლებს ხვრეტავდა.
დედა, საშველად გარჯილი,
დამადგა ნათელ სვეტადა;
შუბლზე შემეხო ამბორით,
ჩემი განკურნა ეწადა.
გაოცებული ვამბობდი:
„საიდან გამომეცხადა?!“

„ნენა, ნენა, ნენა“, — დაიძახა ბალღსავით გულამოსკვნილმა გურულმა ჭაბუკმა და ცრემლით გაიგუდა. იგი გულაღმა იწვა. გასიებული ფეხი უხურდა. სიცხისაგან გამშრალ ენას ძლივს აბრუნებდა უნერწყვო ხახაში. წყურვილი აწამებდა. ბალახის კონას ჩასჭიდა აკანკალებული ხელი, გაჭირვებით ჩაბღუჯა, მოთხარა და ძლივს მიიტანა პირთან. ხარბად დაღეჭა და გამოსწოვა ბალახის ძირებს წვენი. სისხლიანი ბაგე და სახე ჯავახეთის ფხვიერი მიწით გაეთხუნა.. ტაჯვით გაეხედა მიდამოს, მაგრამ მაღალი ბალახისა და კალამის გარდა, ვერაფერი დაინახა.

ბალახში კალიები დახტოდნენ. მწვანე ხვლიკმა პაწია ცივი ნაკადივით გადაურბინა მკერდსა და კისერზე... გრძელი და ტინტილა კუდი ნიკაპზე მოახვედრა.

მზე ისევ უმოწყალოდ აჭერდა.

7

ტამალაში დაბრუნებისას კორნელი, პეტრე და ლადო გრიგოლს წააწყდნენ. მეგობრებს თავზარი დაეცათ. იქვე ეგდო კაკო ბაქრაძე — „კანარეიკაც“. პეტრემ მუხლი მოიყარა, გრიგოლს დააცქერდა, ხელი შეახო და დაიძახა:

— მომკვდარა! — თვალებზე ხელი მიიფარა. მეტრეველმა დაამშვიდა:

— დაიცა, იქნებ ცოცხალია! — კორნელიმ სისხლის გუბეში ჩავარდნილი თავი გაუსწორა გრიგოლს, შეანძრია და გულსაკლავად ჩასძახა:

— გოგი, გოგი, გოგი! — ბავშვობის მეგობრები ასე ეძახდნენ გრიგოლს. გრიგოლმა ამღვრეული თვალი გაახილა, კორნელის შეხედა და უმალვე დახუჭა. ღიადმა დაჭრილ ფეხზე შეახო ხელი, გრიგოლი ელექტრონივით [illegible]

თქო გალვანური დენით დამუხტული ყოფილიყოს. მკერდში ჩახშული გმინვა აღმოხდა. თვალიც ოდნავ გაახილა, მაგრამ ახლა თვალის გუგის თეთრი ლიბრიღა გამოუჩნდა. კორნელიმ ველარ გაუძლო მეგობრის ტანჯვას და დაიძახა:

— ავწიოთ და ტამალაში წავიღოთ!

— ხელით არ იქნება წაღება, — შენიშნა შეტრეველმა.

ახალბოსული გალაქტიონ გელაშვილი ტყეში შევიდა, ხეს ტოტები შეაჭრა და ძელები გამოთალა. ძელებზე მაზაია გადასჭიმეს და იმ სახელდახელო ორი საკაცით აიტანეს ტამალაში გრიგოლი და კაკო. თვაორელიძე მანამდე აეტანათ ჯარისკაცებს.

ცნობაწართმეული გრიგოლი მეგობრებმა სანიტარულ პუნქტში მიიტანეს. პუნქტი ბიწურ სახლში იყო გამართული. გრიგოლი ფართო ოთახის შუა ადგილას, მაგიდაზე დააწვინეს. ფერშლებმა ეპიფანე ურუშაძემ და ოლია წერეთელმა ტანისამოსი გახადეს. დიდი ვაების მერმე ჩექმები ძლუჭრეს და გააძვრეს. ტანი სპირტში დასველებული ბამბით გაუსუფთავეს და ქირურგი ოშხნელი თავის საქმეს შეუდგა. ფერშლები საჭირო იარაღებს აწვდიდნენ და შველოდნენ.

სამხედრო ექიმი, დაბალი და შავგვრემანი კაცი — მაიორად ოშხნელი დასაელეთის ფრონტზე ნამსახური, გულკეთილი, წესიერი და ნაკითხი კაცი იყო. ქირურგი დიდხანს ამოწმებდა ჭრილობებს. ბეჭში დაკრულ მეექვსე და მეშვიდე ნეკნებს შორის გასულ ტყვიას ლილისფერ რგოლში ჩასხლტა წითელა იარა დაეტოვებინა. შეკუმშული ფილტვებით სუნთქვას გამო ნეკნები ძლივს შესაჩნევად ეხხეოდა ჯარისკაცს.

ქირურგი ბარძაყის ძვალს შეეხო. გრიგოლმა ღრიალი მოჰთო. მთელის ტანით დაიკლაკნა. წერეთლის ქალი, ურუშაძე და სანიტრები იჭერდნენ.

კორნელის გული შეუღონდა. კარში გავიდა. კედელს მიეყრდნო და ტირილი დაიწყო. მიწურიდან ისევ საშინელი ღრიალი ისმოდა. ოშხნელმა გრიგოლს იარაზე იოდით გაჟღენთილი ბამბა დაადო, ბინტი ბარძაყზე შემოახვია, ფეხი ტკეჩებში ჩაუგდო და მაგრად გაუკრა.

სანიტარულ პუნქტში ალექსიძე მოვიდა. კედელთან ატუზული კორნელი დაინახა და ჰკითხა:

— მოკვდა?

— არა.

— მაშ, რა გატირებს?

ალექსიძე მიწურში შევიდა და ცაგურიშვილს თავზე დაადგა.

— ცოტა ქვევით, სანსარში რომ მოხვედროდა, ფეხს მოჭრიდი, — უთხრა ექიმმა. — ახლა კი არ ვიცი, რა ვიღონო!

კაპიტანმა სანთელივით გაყვითლებულ გრიგოლის სახეს დახედა და წუხილი გამოთქვა:

— ბაქრაძე და თვარელიძე მომიკლეს. ესეც თუ მოკვდა, უბედურება იქნება. ეს ხომ პოეტია! გამარჯვება მაინც წამამწარეს. მაინცდამაინც სტუდენტები დამიხოცეს ამ შეჩვენებულებმა! საბრალო ცაგურიშვილი, რა ეშველება ახლა მას. როგორ ვათრიო ასე მძიმედ დაჭრილი ამ მთაში?

— მეც ეგ მაფიქრებს, — მიუგო იშხნელმა და მერმე ოთახში მყოფთ მიჰმართა: —ახლა წავიდეთ, შენ დარჩები ცაგურიშვილთან, — უთხრა მან ფერშალს, ეპიფანე ურუშაძეს. ექიმი და კაპიტანი გარეთ გავიდნენ. იშხნელი ზედიზედ ეწეოდა თუთუნს.

— ცოტაღა დამრჩა ყუმბარა. ღამით ტამალაში არ გავჩერდები, ვარევანში ავიყვან ბატარეას, — უთხრა კაპიტანმა ექიმს.

ასეთი ვაი-უბედურებისა და მსხვერპლის ფასად აღებული ასპინძა ჯარმა ღამით დასტოვა. ბოლქვაძის სახელოვანი ათასეული, ტამალის დასაცავად, კაპიტანმა ისევ ძველ პოზიციებზე განალაგა, თვითონ კი თავისი ბატარეა, ზაუტაშვილის მფარავი რაზმითურთ, სოფელ ვარევანში აიყვანა.

ბატარეა ვარევანისკენ საღამოს დაიძრა. გრიგოლ ცაგურიშვილი რესორებიან, სანიტაროულ ორთვალაში მოათავსეს, ფურგონებზე კი — მსუბუქად დაჭრილი პორუჩიკი ბერეჟიანი, ფეიერვერკერი გვარამაძე და ჯარისკაცები. ცხენმჯდომი თვარელიძე, ტელეფონისტი კაკო ბაქრაძე და სხვა ჯარისკაცთა გვამები ურმით მოჰქონდათ. ბატარეა ღამით ნიავიდა ვარევანში და სოფლის ახლოს გაშლილ მოედანზე დაიბანაკდა.

გრიგოლი ბრეზენტით მოჩარდახებულ ორთვალაში იწვა. იგი საშინლად გამხდარიყო. თვალები ფოსოებში ჩასცვენოდნენ, ხოლო ყბებს შორის გაჩენილ ღრუში მუშტი გაეტეოდა. წარბები ტანჯვით შეჰყროდნენ. გრძელ წამწამებს ახამხამებდა და აჩემებულ წერტილს მიშტერებოდა. სიცხისაგან დახეთქილ ბაგეს ენის წვერით მალიმალ ისველებდა. საბნის ქვეშ ტკეჩებში გაკრული და ათასნაირად შეხვეული, ზვინივით ვეება ფეხი ესვენა.

— გოგი, მიცანი? — ჰკითხა კორნელიმ.

— გიცანი, — მიუგო გრიგოლმა უღონოდ. ერთი წამით მიაპყრო თვალი და მერმე ისევ სადღაც შორს გაიხედა.

კორნელი და მისი მეგობრები გაჭირვებით არჩევდნენ გრიგოლ ცაგურიშვილის მიერ ჩურჩულით თქმულ სიტყვებს:

— სადა ვართ? — ჰკითხა მან კორნელის.

— ვარევანში.

— გამოიქეცით?

— არა, ასპინძა ავიღეთ. ვარევანში კაპიტნის ბრძანებით აწოვედით, — აუხსნა კორნელიმ.

— ვიცი. ბაკურიანში დგომა უფრო უხიფათო იქნებოდა. ჭკვიანი კომანდირია... ყველანი ჭკვიანები ხართ. სიკვდილისა გეშინიათ...

— გრიგოლ, ნუ ამბობ ეგრე,—იწყინა პეტრემ.

გრიგოლმა ოდნავ გაახილა თვალი და წინ გაშლილ ყანებსა და სარამოს ჟამს მთვლემარე ველებს გაჰხედა. მზე მთებისაკენ გადახრილიყო. დაჭრილი თავი უღონოდ დაგორდა ბალიშზე. დასიცხული და ავადმყოფურად ანთებული თვალები ცის კიდურს მიაპყრო.

— არაფერი არ ყოფილა იქ, — თქვა მან უეცრად. სახე ტკივილისაგან დაემანჭა, კვნესა დაიწყო. სანთლისფერი, გრძელი და ჩხირივით წვრილი თითები აამოძრავა, საბნის ყურე ხელში ჩაიგდო და დაჭიმუჭნა. მალე კვლავ ჩურჩულს მოჰყვა, თქო აბოდებსო: — მეგონა უშიშრად მოვკვდებოდი სამშობლოსათვის... ძნელი ყოფილა, — დასძინა მან.

მეგობრები დამწუხრებულნი და თავჩაქინდრულნი იდგნენ მომაკვდავის წინაშე. ბრეზენტის ერთი მხარე, თანახმად

გრიგოლის თნოვნისა, აწეული იყო. ბრეზენტზე წითელი ჯვარი ეხატა. ორთვალასთან ფერშლები: ოლღა წერეთელი და ეპიფანე ურუშაძე მორიგეობდნენ. საამო სახის სტუდენტი ქალი, ოლღა, ჯარისკაცების ზურგს უკან იდგა, ბრეზენტზე მიედო ყური, გრიგოლის ყოველ სიტყვას იჭერდა და მწარედ ტიროდა. ცრემლი ღვარღვარად ჩამოსდიოდა მსუქან ლოყებზე. ეს მოხალისე სტუდენტი ქალი დიდად აფასებდა გრიგოლის პოეტურ ნიჭს და მისი ყველა დაბეჭდილი ლექსი ზეპირად იცოდა.

დასავლეთიდან მომავალ ვარდისფერ ღრუბლებს ცეცხლი ეკიდებოდა. მზე ჩავიდა. ცის დასავალზე ბაიასავით შუქდალეული ზოლი გაწვა.

ახლა გრიგოლი მშვიდად იწვა, თითქო ტკივილი დაუცხრა, დაუამდაო.

სოფელ ვარევანში ნახირი საძოვრებიდან ბრუნდებოდა. დასავლეთისაკენ კისერგაწვდილი ძროხები და ხარები უმოწყალოდ ბღაოდნენ.

— პირუტყვნიც კი მზეს მისტირიან, — ამოიოხრა გრიგოლმა, ბაგე მოიკვნიტა და მერმე თვალი დახუჭა.

ღამდებოდა. ნელინელ ჩამოდიოდა ციდან დედამიწაზე ჟჩინმაჩინის კიბეთა საფეხურებით ღამე. ჩუმად წვებოდნენ ჩრდილები მთის კალთებსა და ველებზე.

ორთვალასთან ექიმი იშხნელი მივიდა. გრიგოლს დააცქერდა, მაჯა გაუსინჯა და ჯარისკაცებს მწუხარე სახით გადახედა. ისინი სულგანაბული უცდიდნენ ექიმის განაჩენს.

— ჭირსა შიგან გამაგრება, ასე უნდა ვით ქვიტკირსა...— უთხრა ექიმმა ჯარისკაცებს. — მე მისი ფეხი მაწუხებს.

— რა სჭირს მის ფეხს? — ჰკითხა კორნელიმ.

— Fractura Articulacionis Genu, — მიუგო იშხნელმა და დაიწყო ძვლების გადატეხათა შესახებ ვრცელი განმარტება. ქირურგი განზრახ აჩერებდა გრიგოლის მეცობრების ყურადღებას ძვლების გადატეხათა სახეობებზე. მას სულ სხვა რამ აწუხებდა. საქმე ის იყო, რომ გრიგოლს მუცლის ღრუში სისხლი ჭარბად ჩაქცეოდა. სისხლის მოწამვლა — განგრენა აფიქრებდა ექიმს. სიცხე ორმოც გრადუსს მიბჯენოდა და აღარ იწევდა. იშხნელის აზრით, გრიგოლს შვება შესაძლებელი იქნებოდა, თუ სისხლს გადაუსამდნენ, ამის გარდა,

იყო კიდევ ერთი უცხოური პრეპარატი, რომელიც გრიგოლ უშველიდა, მაგრამ ივი იმჟამად საქართველოში არ იშოვებოდა. ყოველივე ამის გამო ქირურგს გრიგოლის დღეები დათვლილად მიაჩნდა.

გრიგოლს ჰაერი აღარ ჰყოფნიდა. შფოთავდა. ექიმმა მისი სანიტარულ პუნქტში გადაყვანა ბრძანა.

ღამე იყო. იღვიძებდნენ ურიცხვი მოიარენი ღამისა. და მის მწერები, ხოჭოები და ჭრიჭინები განუწყვეტელი და ყურისწამღები გნიასით ხერხავდნენ წყვდიადს და ხერხავდნენ უნაყოფოდ, რადგან გრიგოლის ტანჯვა-წუხილს ვერ აქარვებდნენ. წორეული ეჟვნების ჟღარუნით გაბმული ურიცხვ მწერების ეს გნიასი, კვნესა, ჭრიჭინი და სიმღერა, ბებერი ქა მისა და მარადისობის კაეშნიან ბგზავრულ სიმღერად ესმოდ გრიგოლს. გულს უღიმებდა შეუცნობი იდუმალებით და ა უწყოდა, რომ მწერთა გაბმული ჭრიჭინის გარდა მისი ყურე ბიც წრიდნენ და ჟიჟინებდნენ. ხევში ვასაკაც ახმიანდა, თ თქოს კრინს აბობსო. იდგა კუშტი და გულსაკლავი ღამე ურიცხვი ეარსკვლავებით ნოქედილი ცა კაშკაშებდა და არა აგდებდა გრიგოლის ტანჯვა-წამებას.

დილით გრიგოლი ცხრაწყაროს გზით ბორჯომში უნდ გაეგზავნათ. იშხნელმა კორნელის უთხრა:

— ახალციხე-ახალქალაქის ფრონტისათვის ბორჯომშ ჰოსპიტალი გაიხსნა. ქირურგიული განყოფილების გამგე თქვენი ძმაა დანიშნული. მისწერეთ წერილი და შეატყობი ნეთ, რომ თქვენი მეგობარი ეგზავნება სამკურნალოდ, თქვენ ძმა სასწაულებს ახდენს ქირურგიაში, იქნებ ცოგურიშვილი გადაარჩინოს.

— მე ვინასულებ ევვენის, — ახლა ალექსიძემ მიმართ კორნელის, — ბორჯომში მივდივარ... წ-დი, ჯავახეთში იბრ ძოლეო... ეიბრძვით და არავის ვახსოვართ. სარბაზნის ვაზ ნებს არ გვიგზავნიან. რა ქვეყანაა ეს?! — ბრაზობდა კაპი ტანი.

— უთქვენოდ ბატარეა?! —გაუკვირდა იშხნელს.

— ბერეტიანი გაჭირვების დროს კიდევ იბრძოლებს. ოხ რია... იბრძოლებს, მაგრამ უეზნოდ რა უნდა გააწყოს?— მიუგო კაპიტანმა.

გრიგოლი ისევ რესორებიან ორთვალაზე მოაწყვეს, ში

ოლღა წერეთელი ეჯდა. ასეთივე ორთვალაში მოათავსეს სხვა დაჭრილებიც. თვარელიძისა და ბაქრაძის ცხედრები კი ფურგონზე დადვეს. მეგზურად სანდრო ხოტივარი გამოჰყვეს.. სანდრომ დახვეული მაზარა უნაგირის ტახტაზე დააკრა, შაშხანა და ხმალი გადაიკიდა, ცხენზე შეჯდა და სამგლოვიარო პროცესიას ცხრაწყაროსაკენ გაუძღვა. ცხრაწყაროზე კაპიტანი დაეწია. მაღალი და ჯიშიანი ფაშატი გაქაფულიყო. კაპიტანმა სადარაჯო სახლში შეისვენა, გრიგოლ ცაგურიშვილი ინახულა და ბაკურიანისაკენ ჩორთით გასწია. სამგლოვიარო პროცესია ბაკურიანში ღამით ჩავიდა. დილით ბაკურიანის კომისარმა გრიგოლი და სხვა დაჭრილები, აგრეთვე ორში მოკლული ბაქრაძე და თვარელიძე მატარებლით გაგზავნა ბორჯომში.

კაპიტანმა ალექსიძემ ექიმს ევგენი მხეიძეს კორნელის წერილი გადასცა და ჰირადადაც სთხოვა, დიდად ნიჭიერი პოეტი გრიგოლ ცაგურიშვილი, როგორმე სიკვდილს გადაერჩინა. ბორჯომიდან თვარელიძისა და ბაქრაძის ცხედრები მშობლებმა თბილისში გადაასვენეს. გრიგოლი კი ბორჯომის ჰოსპიტალში მოათავსეს.

ᲕᲐᲠᲔᲕᲐᲜᲘ

> სადღაა ის ბედნიერი დრო, როდესაც წიგნის კითხვისას უფრო ნაკლებად მსჯელობდნენ და იმანჭებოდნენ. ახლა კი ეკლებზე ზიხარ, დაუსრულებლად ეკითხები შენს თავს: კარგად არის თუ არა დაწერილი ეს წიგნი, ხომ არ უღალატნია შენს მიერ მოწონებულ ავტორს საკუთარი თავისათვის, თავისი ერისათვის, და ათასი სხვა კითხვები გებადება.
>
> Ს ე ნ ტ-ბ ე ვ ი

1

კაპიტან ალექსიძის ჯარისკაცები სოფელ ვარევანის ქმაყოფაზე ცხოვრობდნენ. სოფლის უხუცესნი და ჩინებულნი განსაზღვრულ გადასახადს აწესებდნენ თვითეული კომლისათვის. მზარეულები დიდი ხალისით ხარშავდნენ ცხვრისაგან საჭამადს, წვნიანს და პატარა ქვაბულებით რიგში ჩამდ-

გარი ჯარისკაცებიც მოუთმენლად ელოდნენ მსუქანი და საამო კერძის მიღებას. ჯავახეთში ჯარისკაცებს მეტად კარგი კვება ჰქონდათ. ჯავახელები თავს არ ზოგავდნენ და მეშველი ჯარი პატივში ჰყავდათ. თორნის პურები, კვერცხები და მოწნული ყველი ჩოხის კალთებით მოჰქონდათ. ჯარისკაცები დალაღდნენ. ეს იყო მხოლოდ, საცვლებისა და საპნის უქონლობა, ჭუჭყი და უსუფთაობა სტანჯავდათ. პატარა მდინარის სიპზე რეცხავდნენ საცვლებს. მაგრამ შარვლის და ხალათის ნაკერში დაბუდებული მკბენარი ისევ აღოღდებოდათ, ნაკბენისაგან დაჩნეული წინწკლები წითელ-ბატონების გამონაყარივით აჯდათ მთელს ტანზე და დაზღმურდლული კანი ექავებოდათ. ფრჩხილების ქვეშ გოჯიჯივით შეგორებული მკბენარი იღლიებიდან გამოჰყავდათ და ამ საქმეში დაოსტატებული კოკო ხელაძე მამალ-დედალსაც კი სცნობდა. დედალს აწეული ბოლო აქვსო, — ამტკიცებდა.

ჯარისკაცები მიწურ სახლებში ცხოვრობდნენ. ღამით კორნელი, სანდრო, პეტრე და ჯვებე ერთად წვებოდნენ ფართო და გრძელ ტახტზე, რომელზედაც სავსებით თავსდებოდა მათი ჯავახელი მასპინძელი თავისი ჯალაბითურთ. ორად გატიხრული მისი დარბაზის ერთ ნახევარში კაცთა საცხოვრებელი იყო, ხოლო მეორეში კი—პირუტყვთა. განავლის ოხშივარი შეტად თბილ ჰაერს იჭერდა მიწურში, ყნოსვისათვის არასასიამოვნოს. პირუტყვი ჯავახელის განუყრელი მეგობარია. ღამით ბაგაზე ძროხები და ხარები იცოხნებოდნენ და ხანდახან გულსაკლავად ოხრავდნენ და ჭშენდნენ. ალბათ, მათაც თავისი დარდი სტანჯავთო, — ფიქრობდა კორნელი და დალაღებულ ნახირს ტიხრის იქით გადახედავდა ხოლმე. ხარები და ძროხები თვალებს აბრიალებდნენ სიბნელეში, თითქო უცხო კაცის, ჯარისკაცის დანახვა აფრთხობდათო. დროდადრო შარდის შიშხინი ისმოდა.

პირუტყვის განავალს, ფუნა-ნეხვსს ჯავახელი გლეხი არ ელევა. ნეხვს ზელენ, მზეზე ახმობენ და ეს მოკლე ფიცრებივით და აგურებივით გამომხმარი წივა საწვავ მასალას წარმოადგენს. წივათი თორნეს ახურებენ, წივას მეტად მხურვალე ნაკვერცხლები სცვივა და ესეც იმის მიზეზია, რომ მიწურში ხშირად აბანოსავით ცხელა. ჯავახეთის სუფთა ჰაერისაგან

მეორედ დაბადებულ ჯარისკაცთათვის მიწური ყოფნა ლა ძილი სატანჯველი იყო.

ასპინძა ისევ დაიკავეს თურქებმა, მაგრამ წარსული ჰარცხის გამო, ტამალაზე გამოლაშქრებას ვერ ბედავდნენ. როდესაც კაპიტანი ბორჯომიდან ჩამოვიდა და ბაკურიანიდან ვაზნები ჩამოიტანეს, იგი ასპინძის დაბრუნებისათვის სალაშქროდ არ გაეშურა. პირიქით, ტამალიდან ბოლქვაძის ქვეითი ჯარი მოხსნა, ვარევანში გამაგრდა და მტერს იქ დაელოდა. თურქებმა ამით ისარგებლეს, ტამალა აიღეს და მიწასთან გაასწორეს, ხოლო ვინც ტყვედ ჩაიგდეს, ყველას ყელი გამოსჭრეს. ახლა ჯერი ვარევანზე მოდგა. ღამით გუშაგობა, როგორც პოზიციებზე, აგრეთვე ბატარეაში, უშიშარი არ იყო. მაისი ილეოდა, ღამით კი ისევ საარაკოდ ციოდა. სამაგიეროდ, დღე მზიანი და მხურვალე იყო. ჯარისკაცები მიწური სახლის ბანებზე ისხდნენ და გორაობდნენ, ან არადა, ვარევნელთა კარდაკარ დადიოდნენ, რათა ღორმუცელები პურით, ყველით, მაწვნით და კვერცხით ყელამდე ავსილიყვნენ.

კორნელის და პეტრეს, გრიგოლი და დასოცილი მეგობრები აგონდებოდათ და მათ გლოვობდნენ.

— უშველის ნეტავ შენი ძმა გრიგოლს? — ეკითხებოდნენ ჯარისკაცები კორნელის.

ასე გადიოდნენ დღეები.

კორნელი და მისი მეგობრები მდიდარი კაცის მიწურს მიადგნენ. ჯარისკაცებს მგლისმახრჩობელა, ჯოგის ძაღლები დაეხვივნენ. მიწურის ახლოს აყირავებული ურემი იდგა და კალოზე მობნეულ ბზეს ქათმები ჰქექდნენ. ვიწრო და მოღრეცილ-მოღრეცილ ქუჩაში წითელპერანგა ბავშვები — გოგო-ბიჭები გამოეფინენ. მოხუცმა მასპინძელმა ძაღლებს დაუცაცხანა და ჯარისკაცები შინ მიიპატიჟა. მას შავი ჩოხა ეცვა. მოკლედ შეკრეჭილი ჭაღარა წვერი ჰქონდა, მოღუნული ცხვირი, ცისფერი თვალები და ღიაწაბლისფერი ხშირი წარბები. ხელში მაღალი ყავარჯენი ეჭირა. სახლის კედლთან ფიცრებივით დაწყობილი წივა მზეზე ხმებოდა. ასეთ ფიცრებივით დაწყობილ წივას ჯავახეთში „კალაღსაც“ უწოდებენ.

მიწური სახლი აქაც ორი დიდი ოთახისაგან შესდგებოდა. ერთში თორნე და ბოსელი იყო, მეორეში კი — სასადილო და

დასაძინებელი. ასეთი მიწური ჰქონდათ მდიდრებს, ღარიბები კი პირუტყვებთან ერთად ერთ სადგომში ცხოვრობდნენ. ფანჯრის მაგივრად მიწაყრილ ჭერში სათოფე იყო გამოჭრილი, საიდანაც ლილისფერი ცა მოსჩანდა და, მიუხედავად ამ პატარა ფანჯრისა, ბინაში სინათლის ნაკლებობა არ იგრძნობოდა. ჯარისკაცებმა ბოსელი და სამზადი გაიარეს. წივის ნაკვერცხლებით გავარვარებულ თორნესთან ყვითელი, წითელი და თეთრი ჩითის კაბებით შემოსილი ქალები ფუსფუსებდნენ, ქათმებს ხარშავდნენ და თორნეში პურს აცხობდნენ. მოხუცი მასპინძლის ჯალაბს, საამო სახის ქართველ ქალებს, თავები თეთრი თავსაფრებით წაეკრათ. სტუმარ-ჯარისკაცთა დანახვისას, სახეზე ჩიქილის ტოტი აიფარეს და რიდითა და მოწიწებით თავდახრილნი კუთხეში დადგნენ. მამაკაცთა წინაშე პირის აბვევა და დაბურვა მაჰმადიანთა გავლენით აიხსნებოდა. მეორე ოთახი უფრო ფართო და ნათელი იყო. კედლის გასწვრივ ფარდაგდაფენილი გრძელი ტახტი დაედგათ. ჯარისკაცები ამ ტახტზე ჩამოსხდნენ.

— გაავერანეს ჯავახეთი თათრებმა. გუმბრი, ყონდურა, კარწახი და სხვა მრავალი სოფელი გაძარცვეს, დასწვეს და მიწასთან გაასწორეს. ახლა ასპინძა აიღეს და ტამალა კი დაანგრიეს, — მაჰმადიანივით გამოთქვა მასპინძელმა „ასპინძა“, — წინ მოიწევენ ის ურჯულონი. აქ მარტო ხიზაბავრელი და ვარევნელი ქართველნი და სომეხნი იბრძვიან. თქვენი ზარბაზნების იმედი მოგვეცა. მაგრამ ასპინძა და ტამალა რად დაუთმეთ თათრებს, ვერ გამიგია, ნუთუ ჩვენ სოფელსაც ტამალას ბედი ეწვევა და ხიზნებად უნდა ავიყარნოთ?! მთავრობა ყურს არ გვიგდებს. ჯარს არ აგზავნის... მარტონი და უღონონი ვართ ურჯულოთა წინაშე. ავერანებენ ჯავახეთს...— ისევ გაიმეორა მასპინძელმა და გულზე ჯვარი შემოაწვა.

— ბორჯომიდან ჯარი მოდის და მალე დავიფრენთ ჯავახეთიდან თურქებს, — დააიმედა მასპინძელი ხუციშვილმა.

— ღმერთი გშველოდეთ, ჩვენი მეშველი ხართ! — ღრმა ცოხნა გახარებულმა მოხუცმა ჯარისკაცებს და ქალებს გაძახა: — ამა, ქალებო, პური მოამზადეთ სტუმრებისა.

ქალებმა ორ კოპზე მდგარი ვრცელი ფიცარი მოიტანეს და ტახტზე დადგეს. ამ ერთი ლიდის სიმაღლე უცნაურ სუფრა-ტაბლაზე კვერცხი, ქაშქა, მიწნული ყველი, ჯაშებით მა-

წონი, თაფლი და თორნეში ახალგამომცხვარი ცხელი პურები დაალაგეს. ქერის არაყიც მოაყოლეს. გიგა და პეტრე ტაბლასთან ახლოს ისხდნენ და კიდევაც სწვდებოდნენ საჭმელ-სასმელს, ხოლო ჯვებე და კორნელი კი ხშირად დგებოდნენ, ტახტზე მდგარ უცნაურ სუფრასთან მიდიოდნენ, პურსა და ყველს იღებდნენ და მერმე ისევ თავის ადგილს უბრუნდებოდნენ. მოხუცმა მასპინძელმა შენიშნა, სტუმრებმა მის სუფრაზე ჯდომის წესი რომ არ იცოდნენ. ტახტზე ავიდა, მაჰმადიანივით ფეხმორთხმული დაჯდა სუფრასთან და ჯარისკაცებს შესძახა:

— აბა, მობრძანდით, სტუმრებო!

კორნელი და ჯვებე სიცილით ავიდნენ ტახტზე და მოხუცის მსგავსად მოუსხდნენ სუფრას. ბუხრის ახლოს, კედელთან, მდუმარედ ატუზული და პირახვეული ქალები სწრაფად ასრულებდნენ მოხუცი ჯავახელის ბრძანებას. ოთახში ჩოხა-მოსხმული გლეხები შემოვიდნენ: მოხუცი მასპინძლის ძმა და მოკეთენი. არაყმა ჯავახელებს ენა აადგმევინა. ერთადერთი მათი საფიქრალი საგანი, თურქებთან ომი, სამშობლოს დაცვა და ჯავახეთის მიტოვების შიში იყო.

— ღმერთმა დაგვიფაროს, ჩვენი სახლ-კარი, ადგილსამყოფელი რომ მივატოვოთ, ისევ ხიზნებად ვიქცეთ და ღვთის ანაბარა ცის ქვეშ ვიღოლოთ, — თქვა ახალმოსულმა გამხდარმა ბერმა პაპამ, რომელსაც თურქების მიერ ჯავახეთის აყრა და ჯავახელთა ხიზნობა ახსოვდა. ყავარჯენს დაეყრდნო და მიწას სასომიხდილად დააშტერდა. ხუციშვილს შეეცოდა და უთხრა:

— დარწმუნებული იყავით, რომ თურქებს ჯავახეთიდან გავრეკავთ. ჯავახელები, როგორც მათი მამა-პაპები, კვლავ თავის საყვარელ ჯავახეთის მიწა-წყალზე იცხოვრებენ.

— ღმერთმა გისმინოს, — ახლა მოხუცი მასპინძლის ძმამ, სამოცი წლის ბრგე კაცმა დაიძახა. მის გულში იმედი ჩაიღვარა, გუნება გამოუკეთდა და თავის ძმისშვილს, მასპინძლის გასათხოვარ ქალს, გაეხუმრა: — ელოს რა უშავს ხიზნობაში, სასიძო გაიჩინა და ქალაქში ის წაიყვანს.

— ვინ სასიძო? — ჰკითხა ბერმა პაპამ.

— აი, ამათი ამხანაგი, — ჯარისკაცებზე მიათითა მასპინძლის ძმამ, — კოკო ხელაძე, არა, ელო? — ელო გაწით-

ლდა, სახეზე ჩიქილის ტოტი აიფარა და ოთახიდან მოჰკურცხლა.

— ვა, კოკო ხელაძე? — გაუკვირდა ხუციშვილს. — კრივში შენ დასჯაბნე, — უთხრა მან კორნელის, — მიჯნუროობაში კი კოკოს უჯობნია, ხე, ხრიკიტარავ! — ჯარისკაცებმა გადაიხარხარეს და ამ დღიდან კორნელის „ხრიკიტარა“ შეარქვეს. ქალებმა მოხარშული ქათმები მოიტანეს. კარგი პურის ჭამა გაიმართა. ერთმა შეზარხოშებულმა ჯავახელმა ახალგაზრდამ სიმღერა წამოიწყო, მაგრამ იმ სიმღერაში მხოლოდ სიტყვები იყო ქართული, ჰანგი, კილო კი — მუსულმანური.

2

ვახშმის მერმე ჯარისკაცები ბატარეისაკენ გაეშურნენ. შტაბში ბორჯომიდან ჩამოსულმა სანდრო ხოტივარმა საშინელი ამბავი შეატყობინა მეგობრებს: გრიგოლ ცაგურიშვილი გარდაიცვალაო. ბორჯომში გრიგოლის ბრმა მამა, ოზურგეთში გათხოვილი და ჩამოსულიყვნენ და ცხედარი გურიაში წაუსვენებიათ. გრიგოლის სიკვდილმა თავზარი დასცა ბატარეას, მაგრამ ყველაზე უფრო სავალალოდ ეგ ცნობა კორნელის, პეტრეს, გრგასა და ჯვებეს დაურჩათ. მეგობრები გრიგოლის ცხოვრებასა და ლექსებს იგონებდნენ.

გრიგოლის ლექსი „მატო“ მოაგონდა კორნელის და შიგ გამოთქმული წინასწარმეტყველება აოცებდა. უბის წიგნაკში ჩაწერილი „უკანასკნელი ლექსი“ წაიკითხა.

— უღმერთო იყო გრიგოლის სიკვდილი და, ბარათაშვილზე იღიას თქმულს არ იყოს, მის დაღუპვასთან ერთად, „ვინ უწყის, რამდენი საუნჯენი დავმარხეთ ჩვენა?!“ — განაცხადა პეტრე ცხომელიძემ.

კორნელი და მისი მეგობრები თავის საცხოვრებელ მიწურ სახლთან შეჩერდნენ. გულის დამაღონებელ სიჩუმეს პატარა მდინარის შხუილიღა არღვევდა. ციოდა. მთაზე მთვარე გადმოდგა და ჯავახეთს გაშტერებით დააცქერდა. მდინარის პირას, ალვის ხესთან ატუზული ძაღლი მთვარეს უყეფდა. მერმე ერთბაშად იყუჩა, მიიხედ-მოიხედა, თითქოს ახლა იგრძნო და შეამჩნია თავისი მარტო ყოფნაო. კუდი ამოიძუა, მოიკუზა და ქეჩოში ბალანი ჯაგარივით აებურძგნა. სიჭაგაც-

ლილი პატარა ძაღლი გაიძურწა, ისევ მთვარეს აჰხედა და ყმუილი მორთო. ვარევანის ხევში ყმუოდა იგი, თითქოს ასპინძასთან მძიმედ დაჭრილსა და ბორჯომში გარდაცვლილ გრიგოლ ცოგურიშვილს არავინ ჰყოლოდეს დამტირებელი მის გარდა.

— დასწყევლოს ღმერთმა! — დაიძახა კორნელიმ. ნაგანი ბუდიდან ამოიღო და ძაღლს დაუმიზნა. სანდრომ ხელი ატაცა და უთხრა:

— არ გაბედო. ფრონტზე სროლა განა იქნება? მაშინვე დაგაპატიმრებენ!

— შენ, ჩემო ძმაო, ძაღლების კვლა ხელობად ხომ აი გაგიხდია? — ჰკითხა პეტრემ კორნელის.

— როგორ?—გაუკვირდა გიგას.

— აკი ერთ ძაღლს სული გააცხებინა თბილისში, საწყობთან გუშაგობისას! — მიუგო პეტრემ.

კორნელიმ ნაგანი ბუდეში ჩააგო.

მეორე დღეს კორნელი ადრე ადგა. მეგობრები გამოაღვიძა. ბუხარში მიმჭრალი ღვეზელი გააღვივა, წივა შეჰყარა და საჩაიე ქვაბურა ცეცხლზე დაადგა. სანდრომ ჩანთიდან შაქარი ამოიღო და ჯავახელ მასპინძელთან ერთად ჩაი მიირთვეს.

მერმე კორნელი მეგობრებს გაეპარა. სოფლის ბოლოს, ბანზე მაზარა გაშალა, ზედ წამოწვა და მზით გამთბარნა ჰაბუკმა გრიგოლზე ფიქრი დაიწყო. შტაბში მომუშავე ჯარისკაცმა წერილი გადასცა.

კორნელი კონვერტს დააცქერდა. ზედ ეწერა: „სადგური ბაკურიანი, მეორე ბატარეის ფეიერვერკერის — კორნელი მხეიძისათვის გადასაგზავნად“. კორნელიმ ნინოს ხელი იცნო. სიხარულისაგან გულის საშინელი ცემა აუვარდა. წერილი გახსნა და კითხვა დაიწყო. ნინო სწერდა:

„კორნელი, დედათქვენი, ქალბატონი ტერეზა, გუშინწინ ჩამოვიდა თბილისში. ხვალ თქვენი ძმის, ბატონი ევგენის სანახავად ბორჯომს მიემგზავრება. აგარაკზე ამ ზაფხულ ვერ წავალთ. ყველგან შიშიანობა, შიმშილი და ანარქია სუფევს. ყირიმში წასვლაზე ფიქრიც მეტია. ქალბატონმა ტერეზამ კარისმერეთში მივვიპატიჟა. დედა შეპირდა და, როდესაც თქვენი დედა ბორჯომიდან ჩამოივლის, ალბათ, სოფელში წავყვებით. საბრალო მოხუცი: ყოველ წუთს თქვენზე ფიქ-

რობს და იტანჯება. უთქვენოდ მისი სიცოცხლე წარმოუდგენელია. გახსოვდეს ეს კორნელი, ძვირფასო, თავს გაუფრთხილდი. საცოდავი ცაგურიშვილი! ბევრი ცრემლი დაჰღვარა დედათქვენმა. ახლა ჩვენსა ყველანი მამის, ჯიბოს და შენს ხსენებაში არიან, გვეშინია, ცუდი რამ არ შეგემთხვეთ ომში. ხშირად მესიზმრებით: ხან დაჭრილი და ხან კიდევ მწუხარე სახით. სიზმრები მტანჯავენ. ნერვები მომეშალა და ახლა ჩემს ოთახში გამდელი ათევს ღამეს. დედათქვენის ჩამოსვლის შერმე, უფრო კარგად შევიქენი, თითქო შენც აქ იყო. მეცოდება დედა თქვენი. ხშირად ამოიოხრებს ხოლმე, ომი რა კორნელის საქმეა. კაცის მოკვლას კი არა, ქათმის დაკვლასაც ერიდებოდაო. ჯიბო გვამშვიდებს. ახალქალაქისაკენ დიდი ბრძოლები არ ყოფილაო. რატომ წერილი არ მოიწერეთ. შეეცადე შვებულება აიღო. თბილისში ნუღარ გაჩერდები. პირდაპირ კარისმერეთში წამოდი. შენი ოთახის გასაღებს მარგარიტას დავუტოვებთ. მამა სამტრედიაში ყოფილა. ღმერთო ჩემო, რა საშინელი დრო დადგა! ვინ წარმოიდგენდა, მამა თუ ომში წავიდოდა? რა უნდა ჩვენგან დაწყევლილ თურქებს? როდის დამთავრდება ომი? მოიწერე კარისმერეთში წერილი და მანდაური ამბავი. როგორ მოგეწონა ჯავახეთი? ღმერთი გწყალობდეს... გკოცნი".

ხ ი ნ ო მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი

კორნელიმ რამდენჯერმე წაიკითხა წერილი. ხან მეგობრის — გრიგოლის მწუხარე სახე ეხატებოდა, ხან ნინოსი, რომელიც აღარ მალავდა თავის სიყვარულს. „ხშირად მესიზმრებითო", მაყაშვილთა ასული გულის ხვაშიადს უმჟღავნებდა. „კორნელი, ძვირფასო, თავს გაუფრთხილდი", წაიკითხა კორნელიმ და გულში იძახდა: „რა არის ეს? მარტო შეცოდება თუ საყვარელი ადამიანისადმი მიმართული მუდარა? — ფიქრობდა კორნელი. — დაუკვირვებელი ლაპარაკი და მისდაუნებურად ჩემი დამცირება იცის დედაჩემმა: მისი ომი ვინ გაიგონა. ქათმის დაკვლასაც ერიდებოდაო, რომ უთხრა. ქათანი კი არა, თურქს ხმლით თავი გავუპე. კაცი ვიარაშზე ვიყავი; ჩემს გვერდით მეგობრები დაეცნენ. მეგობრის სისხლი მცხებია: ჯიბოსიც მიუქარავს, ახალქალაქისაკენ დიდი ბრძოლები არ ყოფილაო... მაშ, ასპინძის ომი თ.ბაში

იყო? რამდენი რამ შემიძლია ვუამბო ჩვენებს? მაგრამ როდის შევძლებ კარისმერეთში წასვლას, ვინ იცის?“

კორნელიმ წერილის ბოლო ჩაიკითხა: „ღმერთი გწყალობდეს, გკოცნი“. დიდხანს დასცქეროდა ამ სიტყვებს. თვალები ნეტარების ცრემლით აემღვრნენ. ასოები ერთმანეთში აერიენ. სტრიქონებს თეთრი ბურუსი გადაეფარათ, წაიშალნენ და ქაღალდზე ნელინელ ისევ მაყაშვილის სახე აიხატა: იგივ საამო, შუაზე გაყოფილი, გიშრისფერი თმა, იგივ შუქიანი შავი თვალები, მერცხლებივით გაფრენილი წარბები და ბავშვური გულუბრყვილობით აბზუებული ტუჩები... ნინოს სახე, ნისოსთან სამიჯნურო პაემანი და შეხვედრა მოაგონდა. კორნელიმ შეამჩნია, წერილში „შენ“ და „თქვენ“ მომხიბლავად რომ არეულიყო, რასაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა...

მესაყვირე

პიერ შამპიონ — ხშირად იღიმება, მაგრამ ამავ დროს გულგატეხილიც არის; გულთბილი, ალერსიანი და ყრუ, დახშული ხმა აქვს. იგი დღენიადაგ ოცნებობს, იგი თანამედროვეებთან როდი ცხოვრობს, არამედ — წარსულის აჩრდილებთან. იგი თითქმის მუდამ ფართო კაშნეში არის შეფუთული, ალბათ, იმის შიშით, ისტორიის ნესტიან წყვდიადში რომ არ გაცივდეს.

ანატოლ ფრანსი

1

მესაყვირემ შესაკრები დაუკრა. ჯარისკაცები სოფლის მოედანზე შეგროვდნენ. ისინი უმცროსმა ოფიცერმა, ჯერ უწვერულმა ჭაბუკმა ცაგარელმა, ზარბაზნების წინ დაამწკრივა. მოედნის ირგვლივ და ბანებზე ვარევანელნი გამოეფინენ. არავინ არ იცოდა მიზეზი შეკრებისა. ათას რამეს ამბობდნენ. ბოლოს ოფიცერი ცაგარელი ჯარისკაცებს გამოუტყდა: ასპინძის ბრძოლისათვის ორდენებით გაჯილდოვებენო. სანდრო ხოტივარს სიხარულისაგან ცახცახი დააწყებინა. მალე შტაბიდან კაპიტნის მოადგილე — პორუჩიკი ბერეჟიანი გამოვიდა. ცაგარელმა ბატარეას „სმენა“ უბრძანა. ბერეჟიანი

ბატარეას მიესალმა, კოჭლობით წავიდა და მარჯვენა ფრთაზე დადგა.

ბოლოს ჯარისკაცებმა ჩქარი ნაბიჯით მომავალი კაპიტანი ალექსიძე დაინახეს. კაპიტანს ოფიცრები, ექიმი, ჟურნალისტები — ერემო გოდებანიძე, გენადი ქადაგიშვილი, დათა კაჭკაჭიშვილი და სხვანი ამალასაებრ მოჰყვებოდნენ. სახეზე ყველას სიხარული მოჰფენოდა. ახლა ბერეჟიანმა ბრძანა „სმენა“ და კაპიტანი ჯარისკაცებს გაბრწყინებული სახით მიესალმა:

— გამარჯობათ, ბიჭებო!

— გაუმარჯოს! — შესძახეს ჯარისკაცებმა.

კაპიტანმა ახალი ამბავი შეატყობინა მათ:

— გუშინწინ, ოცდაექვსმაისს, ამიერკავკასიის სეიმი დაიშალა და საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა.

გენადი ქადაგიშვილმა აღტაცებით დაიძახა:

— გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს, ვაშა!

— ვაშაა!—გააბეს ჯარისკაცებმა. კაპიტანმა ხელი აწია, „ვაშას“ ძახილი შეაყოვნა და კვლავ განაგრძო:

— თურქეთთან დროებითი ზავი დაიდვა. ამიერიდან საქართველოს სახელმწიფოს გერმანია მფარველობს. მოგილოცავთ ისტორიულ აქტს: საქართველოს დამოუკიდებლობას. გაუმარჯოს საქართველოს, ვაშა!

— ვაშაა! — ისევ გააბეს ჯარისკაცებმა. ქუდები მაღლა შესროლეს. მოედანზე თავშეყრილი და ბანებზე გადმომდგარი ვარევანელნი გაოცებით გაჰყურებდნენ ბატარეის ზეიმს.

ამ საერთო ზეიმის დროს, აღელვების გამო გაფითრებული, გამხდარი კაცი, ერემო გოდებანიძე, კაპიტნის ამალიდან გამოვიდა და ბატარეის წინ დადგა. კაშნეში შეფუთვნილმა აცმა სათვალე და ქუდი მოიხადა, მთრთოლვარე ხელი შავ მაზე გადაისვა და სიტყვის სათქმელად მოემზადა. ქუდების აღლა შეგდება და ყიჟინა შეწყდა. ჯარისკაცები გასწორდნენ ა მალე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ერემო გოდებაიძემ დიდი პაუზა გააკეთა, ჯავახეთის მთებსა და მახლობელ იდამოებს თვალი მოავლო და მერმე მჭექარე ხმით დაიწყო:

— მამულიშვილნო, მოგილოცავთ ქართლის აღდგომას! ჰა, მესხეთი, ჯავახეთი — ქართლის აკვანი, სადაც თამარის იდებული ხელით ნაგები და შემკობილი მონასტრები, ცი-

ხე-კოშკები, კლდეზედ მდუმარედ აღმართულნი, ურყევად მდგარნი, ვით მოწინავე გუშაგები ქართლის დიდების, მისი სჯულისა, მისი სიბრძნის, შოთას გენიის — ქართლის აღდგომის მოწამენი გამხდარან კვალად! ჩვენი მესხეთი, ჯავახეთი — ქართლის ბეღელი, თაკის მშობელთან შეერთებას ხელგაშლით ითხოვს. მიჰხედეთ ხერთვისს, მის ბუმბერაზ ციხე-კოშკებსა, ფრიად მაგარსა, ჯავახეთის მტკვართან ნაშენსა, სალმტკვარი ერთვის არტანულად წოდებულ მტკვარსა... კუმურდოს ტაძრის მშვენიერი გახსოვდეთ ნაშთი... შეხედეთ მთაზე აწვდილ ციხეს, გალავანს ვრცელსა — თმოგვს, კლდეებრ მტკიცეს, ეკლესიას, გამოქვაბულებს, უზარმაზარი ქვებით ნაგებ უმაგრეს ციხეს. ამ გზით შემოსულ და გასულ მტერს ელოდა ვაი. იყო ქალაქი შეუვალი, აწ — არც დაბაა, გარნა სოფელი, უხეირო, თურქთ სამოსახლო. ნაინც ქედმაღლად გადმომდგარა და მოგვიწოდებს: დაუბრუნეთო საქართველოს ძველი დიდება! კლდე ვარძიისა თუ გინახავთ, კლდე ბუმბერაზი, კლდეში შეჭრილი ეკლესია და სენაკები? ოთხასი მღვიმე შვიდსართულად დალაგებული, ცაცაბო კლდეში ოსტატურად გამოკვეთილი, ღვთისმშობლის ღამეს ათას სანთლით გაბრწყინებული? ლოცვა-ღაღადი, ნათლობა და ხალხის ღრეობა; სიმღერა, ცეკვა, ტაშ-ფანდური, ხალხი რომელსაც პირველ ქართველთან კავშირი არ გაუწყვეტნია, იმ პირველ კაცთან, ვინც პირველად ნახა ვარძია? იმ ქრისტიანთან, იმ ქართველთან ჩვენ დღესაც ვლრეობთ... ვეზიარებით დიდ ვარძიის შორეულ წარსულს! როგორ განკვეთეს და რა ხერხით კლდე ბუმბერაზი? ვით გააკეთეს ამოდენა კლდეში ტაძარი და ან ამდენი სენაკები და მღვიმეები?! იმ ტაძრის ტალანს თუ ჩაჰკეტავ რკინის კარებით, ვარძიის ციხე მტრებისათვის შეუვალია. ახლაც შიგ არის ჩაკეტილი ორი სოფელი. მას ეფარვიან და თურქები ვერას აკლებენ. ვარძიის ღვთისმშობლის ეკლესია და სენაკები თამარმა ხელჰყო აღშენებად, შეამკო დიდად და ქართლს დაუდო მეწინავე ციხესიმაგრე. იქ ბრძოლამდე ადრე მამაც ქართველთა მხნე ლაშქარი და იქ თამარმა იწყო ვარძიის ღვთისმშობლის წინ ცრემლით ვედრება და მყის წარგზავნა ბასიანში დიდი ლაშქარი, სოსლან-დავითი და სპა თვისი და ზღვა დროშები... ახლა რაღაა, ეს შემკული ოდესღაც ყოველის წესიერებით და სიმ-

დიდრით დიდი ვარძია? გაუქმებული, ცარიელი, იავარქმნილი, სად თურქნი მწყემსი ძველ ტაძარში და სენაკებში ერეკებიან ცხვარს და ნახირს და ყველაფერი არის წაბილწულ, უპატრონოდ მიტოვებული... აწ ვეპატრონოთ წმიდა ადგილთ, სათაყვანებელთ... ნუ მივცემთ თურქეთს საქართველოს გასაოხრებლად, არამედ მივცეთ მას ნუგეში და აღვადგინოთ და დავუბრუნოთ ერს ერობა და სახელმწიფო. მიჰხედეთ აწყურს, ახალციხეს, ფეხქვეშ გათელილს. ციხის გარშემო სწრაფ მარბენალ ფოცხოვის წყალში რამდენ ქართველთა დანთხეული სისხლი ჩაღვრილა?! დიდხანს იცავდა ახალციხე მესხეთის მიწას, მაგრამ გასწირა საქართველო ჟამთა სიავემ და ციხე იგი, თვით თამარის ხელით ნაგები, ბოლოს შეიქნა ჩვენ დამღუპველ თურქთა სიმაგრედ, რომელიც მერმე მთელ დანარჩენ საქართველოზე მტრის ურღოს ქართლში თარეშობას უადვილებდა... და რაა დღეს ის. ქართლის ძველი ციხე-ქალაქი? უცხო ტომების სამყოფელი. ყაფან-ბაზარი... ასპინძის ომის მებრძოლებო, «ჯარისკაცებო! ისევ აქ ვიბრძვით, წინაპარნი სად სისხლსა ჰღვრიდნენ, რათა დაეცვათ საქართველოს მიწა. და წყალი, სად გამარჯვების დიდი სიხარული უგრძვნიათ, დამარცხებას კი მოუგვრია ჭმუნვა და გლოვა. იდუმალასთან თავს დაესხნენ თურქნი ქართველებს, მაგრამ ერეკლემ გაიმარჯვა ფრცელ ბრძოლაში. „რაოდენიმე ჩინებულით და შინაყმითა გასწირა თავი სიკვდილამდე" და მტერი სძლია, და მან ასპინძის მაღლობები კვლავ დაიპყრა. ასპინძის ველზე დაბანაკდნენ მაშინ თურქები, მარჯვენა მხარეს დიდი ხიდით მტკვარზე გასულნი. სწორედ იქ მოხდა შეტაკება ისტორიული. ქართველებს ხიდი ეყარნათ და, რომ თურქების ჯარი დამარცხდა. დასახელი გზა გადაეჭრა და გაიქცეოდა, მტკვარი სისხლით მთლად შეიღება. მაგრამ არ ჰქონდათ დახმარების იმედი ქართველთ. რუსთ ელჩი ტოტლებენი იწადინებდა, რათა ერეკლე ჩამოეგდო მეფურ ტახტიდან და ქართველთ ჯარი გაემარჯვებით წინსვლა ვერ შესძლო და მხოლოდ ლაშარ ეპიზოდად დარჩა „ასპინძა", სოფელი მყრალი, წაბილწული დღეს თურქებისაგან. მაგრამ ქართლს ბედმა გაუღიმა და მიანიჭა თავისუფლება სანუკვარი. მთელი ევროპა დღეს სახელმწიფოს აღდგენაში მოგვეშველება და თურქთა ურდო ამიერიდან მას ვერ დაანგრევს. ძმებო, გილოცავთ საქართველოს

მკვდრეთით აღდგომას. მარად სიცოცხლე, გაშარჯვება, ვაშა სამშობლოს! — დააბოლოვა ერემო გოდებანიძემ თავისი სიტყვა.

ერემო გოდებანიძე ავადმყოფი და აგზნებული კაცი იყო. მას ჭლექი სჭირდა. ორი კვირა გასულიყო, რაც სიცხეს აძლევდა, მაგრამ ფრონტს მაინც არ შორდებოდა. კაშნეში შეფუთნილი, ეს გამხდარი და ჩონჩხადქცეული კაცი იმდენად ნერვიული გახლდათ, რომ გაბრაზების დროს, გიჟს ემსგავსებოდა. რა აცოცხლებდა კიდევ ამ გამხდარ და ჭლექიან კაცს — საკვირველი იყო! მაგრამ მასში ძლიერი სული და უჩვეულო ნებისყოფა ბუდობდა. იგი ნაკითხი, ფართო გონების და ფაქიზი გემოვნების კაცი იყო, თავისი რწმენის ფანატიკოსი. საქართველოს წახდენით და დაცემით დაჯავრიანებული და გულმოკლული, იგი მაინც თავისი ქვეყნის აღორძინების იმედით სულდგმულობდა. ერემო გოდებანიძე პეტროგრადის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის მსმენელი, კურსდაუმთავრებელი სტუდენტი იყო. ძარის თაყვანისმცემელი. იგი ძველი ქართული ლიტერატურის დარგში მუშაობდა და მრავალი ღირსშესანიშნავი მიგნებები გააჩნდა. მას განსაკუთრებით რუსთაველი და მისი დრო იტაცებდა, მაგრამ არც ბერძნული და არც ირანული ენა და ლიტერატურა სათანადოდ არ იცოდა. გოდებანიძემ ლურსმული წარწერების გაშიფვრაც დაიწყო, თუმცა ძველ ხალხთა ენები არ იცოდა. ავიწყდებოდა, რომ უსაფუძვლო ჰიპოთეზებით გამაგრებული საეჭვო ალბათობა და დამაჯერებლობა მეცნიერებაში ფეხს ვერ მოიკიდებდა. ერემო გოდებანიძეს არ აკლდა ნიჭი, გზნება, გატაცება, შემოქმედებითი მიგნება, ინტუიცია, ფაქტების გამოცნობის უნარი. იგი ხშირად ნათელმხილველს ემსგავსებოდა და ჰაღარა ჟამის მიერ დამარხული და დამახინჯებული ფაქტები ისტორიისა, გარდასულ ჟამის წყვდიადიდან ახლებურად ანათებდნენ. მისი ნიჭის ნაკლი იყო—მისტიციზმი და იმპროვიზაცია, რომლებიც ხშირად მეცნიერული კვლევა-ძიების ადგილს იჭერდნენ. იგი ზოგჯერ ფანტაზიის ჩვენებებს ისტორიულ სინამდვილედ ასაღებდა. ამიტომ გოდებანიძის ზოგი შრომა, ამა თუ იმ ეპოქასა და ისტორიულ პირზე, მაგალითად რუსთაველზე, ისე იკითხე-

ბოდა, როგორც ფანტასტიკური რომანი. ასეთი ფილოლოგი და ისტორიკოსი იყო ერემო გოდებანიძე. ამით ჩვენ მისი დამცირება სრულიადაც არა გვსურს. განა ასეთი ისტორიკოსები არ იყვნენ სახელგანთქმულნი ნიბური, მიშლე და სხვა მრავალნი?!

საქართველოს წარსული დიდებით აღტაცებული კაცის სიტყვა ჯარისკაცებს ტანში აჟრჟოლებდათ, ერემომ პატრიოტული გრძნობით განმსჭვალა მებრძოლები. მაშინ მათ სახეზე აშკარად ამოიკითხავდით სამშობლოსათვის თავდადების ურყევ გადაწყვეტილებას. მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მწუხარებას გამოთქვამდნენ რუსეთთან საქართველოს გაბოყოფის, გერმანიის ქვეშევრდომად მისი გადაქცევის გამო. ესენი იყვნენ ფრონტელი ჯარისკაცები, ბოლშევიკები და მათი თანამოაზრენი.

— მალე დაინახავთ, — განაცხადა მიტო ჩიკვაიძემ, — რა ბედნიერებას და ჯილდოს მოუტანს გერმანია საქართველოს ხალხს.

— ჟორდანიამ უკვე მიიღო ჯილდო, — მიუგო მეტონიძემ, — გერმანელების მიერ ნაჩუქარი ცრუ დამოუკიდებლობა. ჩვენი ჯილდო კი — ხის ჯვარი იქნება.

მიტომ განმარტა:

— ჯარისკაცთა უმრავლესობამ არ იცის საქართველოს დამოუკიდებლობის ფასი და რაობა, სახელდობრ ის, რომ მენშევიკები საქართველოს ხალხს ამ დღიდან რევოლუციური რუსეთისაგან თიშავენ და იმპერიალისტური ქვეყნების სამსახურში აბამენ. მას შემდეგ, რაც მენშევიკების და ქართველი ნაციონალისტების წყალობით საქართველო რუსეთს მოსწყდა და ჯერ თურქეთმა და მერმე გერმანიამ ჩვენს მიწახედვებში შემოდგა, ამიერკავკასიის ხალხთა შორის ჭიშპობა და მძვინვარება ერთი ასად გაიზარდა, უცხო ძალა ხელს შეუწყობს მის გაღვივებას.

— თქვენ მუდამ ეროვნულ ნიჰილიზმს ქადაგებდით, არა გწამდათ ჩვენი ხალხის მომავალი, დამოუკიდებელი ცხოვრება და ამიტომ ახლაც მოწადინებული ხართ ქართველ ხალხს ეს ეროვნული ზეიმი ჩაამწაროთ! — ცხარობდა გენადი ქარაგიშვილი. ამრიგად, ჯარისკაცების აზრი, ისე, როგორც მთელი ქართველი ხალხის აზრი და შეხედულება ორად გაიყო.

2

ჯავახეთში კორნელიმ კაცთმძულვარების ისეთი საშინელი სურათი ნახა, რაც მერმე არასოდეს აღარ დავიწყვია: გადამწვარი და განადგურებული სოფლები, დახოცილთა, ჩამოხრჩობილთა, წამებულთა და დამდუღრულთა გვამები..

არტილერისტებმა ერთი სოფელი ინახულეს. ამ სოფლის მცხოვრებთა ნახევარი სომხები იყო და ნახევარიც—მაჰმადიანი. პირველი შეტაკების დროს მაჰმადიანებმა გაიმარჯვეს და სოფლის სომხური ნაწილი ცეცხლსა და მახვილს მისცეს, ხოლო, როდესაც სომეხთა მეშველი ჯარი მოვიდა, მაჰმადიანებს სამაგიერო მიეზღო.

სოფლიდან გამორეკილ გლეხებს ჯარისკაცებმა ნახევარი ადლის სიღრმეში სახელდახელოდ დაფლული გვამები მოათხრევინეს. საფლავების ახლოს მძორის სუნით დაგეშილი ძაღლები დაძრწოდნენ. საღამო იყო. ჯარისკაცები გლეხებს აჩქარებდნენ. მალე წერაქვები და ნიჩბები დახოცილთ მისწვდნენ. ერთი იქ დაფლულთაგანი თორმეტი ან ცამეტი წლის გოგონა იქნებოდა. ღრმა და შავი იარა აჩნდა კვინიხზე. მოწითალო თმის ნაწნავები გველის წიწილებივით დაჰკლაკნოდნენ ბეჭებზე. გოგონას ყვითელი ზედაწელი შერჩენოდა. წელს ქვევით შიშველი იყო. ვერაგ მხეცს ძუძუები მოეთალა და სარცხვენელ ასოში პალო ჩაერჭო. ჯარისკაცები თავზარდაცემულნი დააცქერდნენ გოგონას, რომელსაც ცალი ფეხი მიწით ჰქონდა დაფარული, ხოლო მეორე — შიშველი, ტალახში ამოსვრილი და გასისხლიანებული...

დღე და ღამე იყრებოდა, ნიჩბის ტარს დაყრდნობილი შავწვერა გლეხები თვალს არიდებდნენ გვამს. გლოვით დამუნჯებულნი და შიშისაგან გამოლენჩებულნი გაჰყურებდნენ დასავლეთს, იმ მხარეს, სადაც მათთვის საძულველი ჯოჯოების — თურქების ბუნაგი ეგულებოდათ. მზე ჩავიდა. მაღლობზე დაყუნტულმა ძაღლებმა ყმუილი გააბეს.

კორნელი და მისი ამხანაგები ჭენებით წავრდნენ ვარჭვანისაკენ, თითქოს ეროვნული შუღლით გონებადაბნელებული, გაბოროტებული და მხეცად ქცეული ადამიანების ნამოქმედარის ხილვას გაურბიანო. შავსა და ფხვიერ მიწაზე და-

თვისლ ყანებზე გადაიჯირითეს. როდესაც ვარევანს მიუახლოვდნენ, და იქიდან სროლა შემოესმათ, ჯარისკაცებმა იფიქრეს: თურქები თუ დაესხნენ ვარევანსო. სროლას, სოფლის განაპირიდან, ქართული სიმღერა მოჰყვა. ბატარეის ბიჭები ქვიფობდნენ, მღეროდნენ და თოფს ისროდნენ. კაპიტანმა ალექსიძემ სასტიკად დასაჯა ისინი. მათი მეთაური და თამადა მეფურგონე კოკო ხელაძე იყო. იგი ჯავახელ მასპინძლებს არ ზოგავდა. არაყით ილეშებოდა და უმსგავსოდ ძღებოდა. ხელაძისა და მისი ძმაბიჭების საქციელის გამო, კორნელიმ და მისმა მეგობრებმა ჯავახელთა კარდაკარ სიარული მიატოვეს.

— ერთი უცქირეთ, იმ ვერანას, ნამუსი სულ დაჰკარგა,— ბრაზობდა პეტრე ცხომელიძე და კოკო ხელაძეს აგინებდა.

როდესაც თურქებმა დროებითი ზავი ვერაგულად დაარღვიეს და საქართველოზე კვლავ გამოილაშქრეს, ბატარეამ ვარევანი დატოვა და ახალქალაქისაკენ გაეშურა. კოკო ხელაძემ თავისი მასპინძლის ჯალაბი მოჩარდახებულ ფურგონზე დასვა და სოფლიდან ისე გამოიყვანა. ასე აუნაზღაურა მასპინძელს მის სახლში ხშირი სტუმრობა კოკომ.

ბატარეა ახალქალაქის მცველი ჯარის შესაშველებლად მიდიოდა.

ახალქალაქში

დიდი მწერლები იმით არიან ცნობილნი, რომ თავის ეპოქას ასახავდნენ და არა იმით, რომ იგონებდნენ ზღაპრებს.

ემილ ზოლა

1.

ბნელი ღამე იყო, უმთვარო და ნესტიანი. ბატარეა გრძელ ლატანებზე წამოგებულ ჭრაქებითა და ჩირაღდნებით მიიკვლევდა გზას. შორს, თურქების მიერ გადამწვარი სოფლის და ახალქალაქის ხანძარი მოჩანდა. ბატარეამ დანიშნულ ადგილს დილით მიაღწია და ახალქალაქისაკენ მიმავალ შარაგზის პირას გაშენებული პატარა სოფლის ახლოს, სომეხთა

ბატარეის ერთი საველე ზარბაზნის გვერდით დაიჭირა პოზიცია.

ახალქალაქამდე ათი კილომეტრი იქნებოდა. მახლობელ მაღლობებიდან თოფის სროლა კანტიკუნტად და ხან კიდევ მოხშირებით ისმოდა. ტყვიამფრქვევიც აკაკანდა. შავწვერა, გამხდარი, დონ კიხოტივით მაღალ კანჭებზე მდგარი სოჭეხი პრაპორშჩიკი, რომელიც ჯარში გაწვევამდე სოფლის მასწავლებელი ყოფილა, ერთადერთ საველე ზარბაზანს და სამ ჯარისკაცს მეთაურობდა. სომხებს კიდევ ორი ზარბაზანი ჰქონებოდათ. ასეთი არტილერიით იცავდა ახალქალაქს ალექსიძის ბატარეის მოსელამდე სომეხთა ათასეულის უფროსი პოლკოვნიკი ანდრონიკოვი. ახალქალაქის მიტოვება სამი ღღის უკან დაეწყოთ მცხოვრებლებს, მაშინვე, როდესაც ანდრონიკოვის ათასეული ახალქალაქიდან გასულიყო და ახალქალაქიდან ხუთი კილომეტრის მოშორებით მთის კალთებზე დაეჭირა პოზიცია. იმჟამად თურქებს სომეხთა ორი ათასეული და ახალქალაქელი მოხალისენი ებრძოდნენ. ახალქალაქის ბრძოლის უბანს პოლკოვნიკი ანდრონიკოვი ხელმძღვანელობდა. მისი შტაბი მარცხენა ფრთაზე, სომეხთა ორ სამთო ზარბაზანთან იყო მოთავსებული.

საველე ზარბაზნის უფროსი, პრაპორშჩიკი ჩახმახიანი, კაპიტან ალექსიძეს გამოეცხადა და აღშფოთებით მოახსენა:

— ამ გაშლილ მინდორზე ათჯერ გამოვიცვალე პოზიცია. სად არ დავაყენე ჩემი საველე ზარბაზანი, მაგრამ პოლკოვნიკი ანდრონიკოვი, რატომღაც ბრძანებას არ იძლევა, რომ იგი ავამუშაო, მთის ძირში ჩასაფრებული თურქები დავხოცო, ახალციხისაკენ გავრეკო და ქალაქში შევიდე.

კაპიტან ალექსიძეს გაეღიმა და იმ გამხდარ, ახმახსა და აგზნებულ კაცს უთხრა:

— პრაპორშჩიკო ჩახმახიანო, ერთი საველე ზარბაზნით ციხე-ქალაქების აღება რომ შეიძლებოდეს, ამდენ ხანს ატამბოლამდე მივიდოდი, ქალაქს ავიღებდი და მეც შიგ შევიდოდი.

ჩახმახიანს ჭიგოსავით გრძელი ხელები ჩექმის ყელამდე დასცვივდნენ, კისერი წეროსავით წაიგრძელა, რომ უფრო კარგად მოესმინა კაპიტნის ნათქვამი, მაგრამ ვერაფერი ვერ გაიგო და გაოცებით მიაშტერდა.

კაპიტანი ბრძოლის უბანს გაეცნო, ბრძანება გასცა და მისი ბატარეა პატარა მდინარის პირას დააყენეს და ბრძოლისათვის განამზადეს. ჯერჯერობით ორ ზარბაზანს უნდა ემოქმედნა. ახლა ამ ორ ზარბაზანზე მემიზნეებად კორნელი და სტუდენტი კაპიტონ სარჩიმელია იყვნენ. ზარბაზნები მარცხენა ფრთაზე აწვდილ, ამწვანებულ მთის ძწვერვალს დაუმიზნეს და კუთხე 45°-ზე დააყენეს. გასროლის დროს ზარბაზანი ბორბლებითურთ მაღლა ხტოდა და მერმე ისევ მიწაზე ეცემოდა. გიგა ხუციშვილი საჩქაროდ ჩაუშვებდა ხოლმე ძოთხრილ მიწაში ზარბაზნის ხორთუმს — სახნისს. კარგა ხანს ისროდნენ.

ოციოდე ყუმბარის გასროლის მერმე კორნელი გახურდა. მაზარა გაიხადა და ისე მუშაობდა პანორამაზე. ზარბაზნის გასროლის დროს, გრგვინვისაგან ჰაერის შერყევის გამო, მიწის ნიადაგი იძროდა, გაღებულ ხახაში კბილები კბილებს ეხეთქებოდნენ და ყურებს ჟივილი გაჰქონდათ. გრიალმა გააყრუა და, საკეტის გაღებისას, ლულიდან გამოსული წამლის ბოლი თვალებს სწვავდა. პეტრე ცხომელიძემ მეორე ზარბაზანზე მომუშავე მემიზნეს, კაპიტონ სარჩიმელიას გასძახა:

— მიდი, მისცხე, ამოჰყარე სანგრებიდან თურქები.

გრიგოლ ცაგურიშვილის მაგივრად ტელეფონთან ფეხმოროთხმულმა ჯარისკაცმა მილს ხელისგული დააჭირა და მანაც შესძახა სარჩიმელიას:

— მუხლზე რად იჩოქებ, პანამა? — შარვალი ხომ არ გაუვარე? — ჯარისკაცებმა ხარხარი მორთეს. სარჩიმელიას „პანამას“ ეძახდნენ, რადგან მემიზნე იყო და ზარბაზნის პანორამაზე მუშაობდა. სათვალებიანმა გამხდარმა სტუდენტმა, პანამამ, ჯარისკაცებისაკენ თავი მიიბრუნა, გაიცინა და მეჩხერი კბილები ვამოუჩნდა. სარჩიმელია თვინიერი და გულკეთილი ჭაბუკი იყო. მეგობრების ჯიბრზე იმ ზაფხულს ქალაქში პანამის შლიაპა დაიხურა და მერმე კაპიტონის მაგივრად სამუდამოდ შეერქვა „პანამა“, გვარს სარჩიმელიას „ანი“ მოაშორეს და იტალიელთა გვარის მიხედვით — „სარჩიმელი“ უწოდეს.

ბატარეის წინ, ხევში მიმავალ პატარა მდინარის ტირიფებიან ნაპირას, მტრისაგან გამოსროლილი ერთი ყუმბარა დაეცა. მე-

ორე კი — ბატარეის უკან. ცხადი იყო, ალექსიძის ბატარეას მტერი „ჩანგალზე“ იღებდა. ამ დროს თავისუფალი და უსაქმოდ დარჩენილი ზოგი ჯარისკაცი მდინარეში ტანს იბანდა, ზოგიც რიყეზე იჯდა და მზიან ამინდში მკბენარით სავსე პერანგს ხილავდა. ჯარისკაცებმა მდინარე მიატოვეს და-მოჰკურცხლეს. სანდრომ და ლადო მეტრეველმა მიწაში ჩაფლული, აუფეთქებელი ყუმბარა მოთხარეს და კაპიტანს მიუტანეს. ყუმბარა სამთო ზარბაზნისა იყო. კაპიტანი მესამე ყუმბარის დაცემას დაელოდა და მერმე ოთხივე ზარბაზნიდან გრიგალისებური ცეცხლი გახსნა. კაპიტანი და მისი ოფიცრები დურბინდით შეიარაღდნენ. დათა კაჭკაჭიშვილი კორნელის ზარბაზანთან ახლოს იწვა და ისიც დურბინდში იხედებოდა. მალე ყვირილი მორთო:

— ყუმბარებმა ამოჰყარეს სანგრებიდან თურქები. — კაპიტანმა უხიაკი ხმით სჭექა:

— მე მათ ვუჩვენებ, დაბომბვა როგორიც უნდა!

კაპიტანმა მალე ჩააჩუმა მტრის არტილერია და ოთხივე ზარბაზნის ცეცხლი ახლა თურქთა ქვეითი ჯარის პოზიციებისაკენ გადაიტანა.

როდესაც ალექსიძის ბატარეამ საომარი მოქმედება შესწყვიტა და შუადღიდან ვიდრე საღამომდე ფრონტზე სიმშვიდე ჩამოვარდა, ახმახი პრაპორშჩიკი ჩახმახიანი მოიხსნა, გაძვალტყავებულ თავის თეთრ როსინანტზე შეჯდა, აქამდე სრულიად უმოქმედოდ მდგარ ერთადერთ საველე ზარბაზანს წინ გაუძღვა და ახალქალაქისაკენ პირდაპირ მიმავალ შარაგზას დინჯი და აუღელვებელი ნაბიჯით დაადგა, თითქო ქალაქის ასაღებად მარტო მიდისო.

2

კაპიტანმა ქადაგიშვილს მოულოდნელი ამბავი შეატყობინა:

— გენერალ არჯევანიძის ბრძანების თანახმად, ახალციხე-ახალქალაქის ფრონტზე, ჯარების საომარი მოქმედება შეწყვეტილია. ახლა ჩვენს ამოცანას ლტოლვილებისა და მათი ქონების უზრუნველყოფა შეადგენს. მერმე ჩემი ბატარეა მშვიდობიანად უნდა ჩავიყვანო ბაკურიანში.

— როგორ! — გაოცდა ჭადაგიშვილი, — დამოუკიდებლობის შედეგად, ახალციხე-ახალქალაქის მაზრას ვცლით და თურქებს ვაბარებთ?

— თურქეთთან მოლაპარაკების დამთავრებამდე, ეშმაკმა უწყის რას ფიქრობს ჩვენი მთავრობა? — მიუგო კაპიტანმა და განაგრძო: — განა მე მეხალისება ფრონტის მიტოვება და უკან დახევა? მეტი გზა არ არის, უფროსის ბრძანება უნდა შევასრულო.

კაპიტანი ღელავდა: თურქებმა ახალქალაქი თუ აიღეს და წინ წამოვიდნენ, ჩემი ბატარეის მფარავი ასეული მტერს ვერ შეაჩერებს და ბატარეა სავალალო მდგომარეობაში ჩავარდება.

როდესაც ბატარეამ სროლა შესწყვიტა, კორნელი, სანდრო, პეტრე და გიგა ბატარეის უკან მოედანზე მდგარ თივადაფენილ ორთვალასთან მივიდნენ და შიგ მძინარე ჯვებე მიქელაძე გააღვიძეს.

— ამ პირძაღლს, — გაუკვირდა გიგას, — ზარბაზნების გრიალში როგორ ეძინა?!

ვარევანიდან მთელი ღამით მოგზაურობას დაექანცა ნებივრად აღზრდილი, ნაზი და სუსტი ჭაბუკი. ჯვებე მიქელაძემ თვალები დააჭყიტა და მეგობრებს მშვიდად და უვნებოდ ჰკითხა:

— დამთავრდა ომი?

— აი, მებრძოლიც ასეთი უნდა! — დაიძახა ვიგვ. მან და კორნელიმ ფეხში ხელი წაავლეს, ორთვალიდან ჩამოათრიეს და ხარხარი მორთეს.

კაპიტანი კარავიდან გამოვიდა. კორნელის, სანდროს, პეტრეს და ლადო მეტრეველს დაუძახა და უბრძანა:

— შესხედით, ბიჭებო, ცხენებზე და ამ შარაგზით ახალქალაქისაკენ იარეთ. ჩვენი მფარავი რაზმი დაათვალიერეთ და ცისი სულისკვეთება შეამოწმეთ. მერმე შარაგზიდან მარჯვნივ გადაუხვიეთ და ახალქალაქისაკენ მანამდე იარეთ, სანამ ბტერს არ აღმოაჩენთ. სროლა არ აუტეხოთ. მაშინვე გამობრუნდით და ზუსტად მაცნობეთ მათი ადგილსამყოფელი. — კაპიტანმა ბრძანება დაასრულა და მერმე ჯარისკაცებს უთხრა: — ამბობენ, თურქებმა ახალქალაქს გვერდი აუქციეს და

სომხური ასეულისაკენ წამოვიდნენო. აბა, მალე, — ახლა ისევ უბრძანა ჯარისკაცებს კაპიტანმა, — დროს ნუღარ ჰკარგავთ. მეტრეველი აქაურია და თქვენი მეგზური იქნება.

მზვერავებმა იარაღი აისხეს, ფალასკები, ხელყუმბარებიც შემოირტყეს და ცხენებზე შესხდნენ. სანდრომ დურბინდიც წაიღო. ჭენებით გაეშურნენ. სომხური ასეულის სანგრებამდე უშიშრად იარეს. ასეულის სანგრები გზის პირას იწყებოდა, ყანაზე გადადიოდა და მერმე პატარა მთის კალთას და ხევს ებჯინებოდა. სანგრებისათვის თხრილი ღრმად ამოეღოთ. კაცი შიგ თუ დაჯდებოდა, სავსებით დაიფარებოდა. მზვერავებმა ჯარისკაცების თავები, სანგრების ბრუსტვერზე დაწყობილი შაშხანები და ორი ტყვიამფრქვევი დაინახეს. ბევრი იმ ასეულის მოხალისეთაგანი ჯავახელი იყო, ჯავახეთში მოქსოვილი შალის ქურთუკი, შარვალი, სოფლური წინდა, ქალამანი ეცვა და თავზე გრძელბეწვიანი ბუხრის ქუდი ეხურა. რუსეთის არმიის ტანისამოსში გამოწყობილი ოფიცრები და თითო-ოროლა ჯარისკაცი შიგ რომ არ ყოფილიყო, ასეულს თურქების ჯარის გეგონებოდათ. მოხალისენი შიშითა და გაფაციცებით იცქირებოდნენ ირგვლივ. გაფითრებული სახით შესცქეროდნენ მზვერავებს. ზოგიც ნაძალადევად იღიმებოდა, მაგრამ საბრძოლო განწყობილება და საომარი პირი არც ოფიცრებს და არც მათ ჯარისკაცებს არ უჩანდათ.

პოდპორუჩიკის რჩევის თანახმად, მზვერავებმა შარაგზიდან ყანებში გაუხვიეს და ახალქალაქისკენ წავიდნენ.

შიში ალექსიძის მხედრებსაც შეეპარათ, ჭენების ნაცვლად, ცხენები ნაბიჯით მიჰყავდათ და მახლობელ მიდამოებს ახლა ისინიც შიშით და გაფაციცებით გასცქეროდნენ. ბინდდებოდა. სანდრომ დურბინდი მოიმარჯვა და დაიძახა:

— აჰა, ახალქალაქი. ციხის კედლებს ნათლად ვხედავ. ფრთხილად, ნუ შექუჩდებით. გაიშალეთ! თურქები მოდიან. დაგვინახეს. თხრილში ჩაცვივდნენ... გესმით? ტყვიამ გაიზუზუნა.

ალაჰმა უწყის, მართლა დაინახა თუ არა სანდრომ თურქები, მაგრამ ტყვიამ კი მართლა გაიზუზუნა. მზვერავები გაიშალნენ, მანძილი დაიჭირეს, შაშხანები გადმოიღეს და ყაჩაღი უთავბოლო ბორიალი დაიწყეს. მხედრების ახლოს ისევ გაი-

წივლა ტყვიამ. სანდროს ცხენი ყალყზე დადგა. მზვერავებმა მთის ძირში ხევს მიაშურეს. მხედრები ხევს დაჰყვნენ და ღელე-ღელე იარეს. მერმე შარაგზაზე გავიდნენ და ახლა ჭენებით გაქანდნენ კაპიტნისაკენ.

ალექსიძემ მზვერავთა მოხსენება მოისმინა. აღელვება დაეტყო. ბატარეის წინ, გორაკზე, გუშაგები, ხოლო ბატარეასთან კი გაძლიერებული რაზმი დააყენა, ჯარისკაცებს სოფელში გამართული კოცონები ჩააქრობინა, თუთუნის წევა აუკრძალა, ბატარეის შტაბსა და სომხურ ასეულს შორის გაბმული ტელეფონის ქსელი შეამოწმებინა, ზარბაზნებთან გაშლილ კარავში მორიგე ოფიცერი დატოვა და მხოლოდ ამის შემდეგ წავიდა სოფელში და შტაბის ოთახში გაუხდელად დაწვა.

შიშიანობამ და განგაშმა დილამდე გასტანა. მაგრამ მტერი წინ არ მოიწევდა. თურქების ნაცვლად, ახალქალაქიდან და მახლობელ სოფლებიდან ლტოლვილები განუწყვეტლად მოედინებოდნენ.

ახალქალაქის მაზრის მცხოვრებნი თავიანთ სოფლებს ტოვებდნენ და დატვირთული ურმებით, ფურგონებით, ფარა-ნახირით და ჯოგებით ცხრაწყარო-ბაკურიანისაკენ მიდიოდნენ.

ჯავახეთი იცლებოდა, ხიზნებს თან მიჰქონდათ თავისი ქონება და ავლა-დიდება. გზადაგზა მტრისა და ადგილობრივი ყაჩაღების ბრბოებიც სძარცვავდნენ.

ბალე ალექსიძის ბატარეამაც ცხრაწყარო-ბაკურიანისაკენ გასწია.

ხიზნები

მე ჯავახეთს რა მიშავლა
მთვარე იდგა მზესავითა,
კალმახი და ქერის პური
წინ მეყარა ბზესავითა.

ხალხური

1

შარაგზა მოჩარდახებული ურმებითა და უთვალავი პირუტყვით გაიჭედა. ბატარეას მოძრაობა უჭირდა, საათობით ჩერდებოდა და ადიდებულ მდინარესავით მომავალ ურმებისა და ფარა-ნახირის ტალღათა დენის შეჩერებას ამაოდ ელოდებოდა.

მოღრუბლული დღე იყო. დამწუხრებული გლეხები ქვეითად მოსდევდნენ ურმებს. ურმებზე მათი ჯალაბი — მტირალი ქალები და ბალღები ისხდნენ. ყველგან ბავშვთა ტირილი, ხართა, ძროხათა და ცხვართა ბღავილი და თხის პეტელი ისმოდა.

ადიდებული და თვალუწვდენი მდინარე ცხრაწყაროსაკენ მიედინებოდა: ურმები დატვირთული ხორაგით და ურმები დატვირთული ჯავახელთა ცოლ-შვილით. ყველგან გულისწამღები ქართულ-სომხური ძახილი გაისმოდა: „ნინო, გიორგი, სედრაკ, აზდღიკ!“ მაგრამ უამრავ პირუტყვთა ბღავილში და ბორბლების გრიალში ხმას ვერ აწვდიდნენ ერთმანეთს.

ფარა და ნახირი, ურმები და ფურგონები, მხედარნი და ქვეითნი ზლაზვნით და ვაი-ვაგლახით მიიწევდნენ ცხრაწყაროსაკენ.

ერთბაშად ჩამოიღამა. ყოველივე ნისლში გაეხვია. იმ ადგილს ხშირად სჩვევია მოღრუბლვა, ნისლი და ჯანყი. მოზღვავებულ ნისლთა ჭარავნები ჯავახეთის მაღალ და ფართო ტაფობიდან მთისაკენ მისცურავდნენ, თითქო შავი ზღვიდან გამოსული, ფარ-შუბით აღჭურვილი, უჩინმაჩინის ქუდით მავალი, კისერგაწვდილი თეთრი მებრძოლები, უხმო ნაბიჯებით უტევდნენ მთის მწვერვალებს. ნისლთა ლაშქარი ველსა და ტყეს, მთებსა და ნაპრალებს მისწვდა და შეესია. იგი ყო-

ველი მხრიდან მოდიოდა. ამ დაუსრულებელმა დინებამ გრიგის „გნომების სვლა“ მოაგონა ლურჯაზე ამხედრებულ კორნელის. ცხენთა ტორების თქარუნი და ზარბაზანთა ბორბლების ერთფეროვანი გრიალი გრიგის მუსიკის რიტმთან შეწყობილ ბანს ეუბნებოდა მას.

ცხრაწყაროსაკენ მიმავალი გზიდან მზით განათებული აღმოსავლეთი ჩანდა. ღრუბლები დასავლეთიდან მოდიოდნენ. ჯერ კიდევ მოწმენდილი და განათებული ცის კიდურისაკენ გრძელი და უცნაური, გველჩიტების მსგავსი ფრინველები მიჰქროდნენ. წეროები თუ იყვნენ! ხიზნები და ჯარისკაცები გაოცებით გასცქეროდნენ აღმოსავლეთისაკენ გაფრენილ უცნაურ ფრინველებს.

ჯავახელმა ბერიკაცმა ცას შეხედა.

— ქარიშხალი გვიახლოვდება! — დაიძახა მან.

მთათა გადაღმა იისფერი ელვა აციმციმდა. გლეხებმა გადააფურთხეს და პირჯვარი გადაისახეს. მაშინვე შორეული გრგვინვა გაისმა. კორნელის ლურჯა შიშით აცახცახდა.

უჩინმაჩინის ქუდდახურული ნისლთა ქარავნები ახლა ხიზნებსა და ჯარისკაცებსაც მისწვდნენ, თითქო ზღვიდან გამოსული ღრუბელთა ლაშქარი ფეხის ხმას აყენებდაო. წვრილი წინწკლები და წვიმის წვეთები წამოვიდნენ განდგან. ირგვლივ ფაიფურის მსგავსი ორთქლი, ნისლი, პირველყოფილი ბუნი, უკუნეთი და მდუმარება იდგა.

ყოველივე კუპრისფერ ნისლში გაეხვია. ორ ნაბიჯზეც ძნელად თუ რამეს გაარჩევდა კაცი. უეცრად საშინელი ქარი ამოვარდა. გრიგალი დაგრაგნა. კორნელის შიშისმომგვრელი, საზარელი ღმუილი შემოესმა. მურისფერი ნისლი შავი ზღვის ბორევივით დატრიალდა და გაცოფდა, დაქანდა და მერმე გზაზე მიმავალი ხიზნები შთანთქა. ცა და მიწა შეერთდა.

სულ ახლოს, ხიზნებისა და ჯარისკაცთა თვალწინ გაიელვა. თვალისმომჭრელი. ვეება ელვის სანთელი დაიგრიხა, დაიკლაკნა და მთის წვერს დაეჯახა. ათასი ზარბაზნით ატეხილი დაშენაც კი ვერ გააპობდა დაცუებულ ჰაერს ისე ძლიერად, როგორც იმ წუთას ატეხილმა ჭექა-ქუხილმა გაყრუა იქაურობა. მიწა ზანზარებდა. ზედიზედ ელავდა და ქუხდა. ცხოველნი დაფრთხნენ, მხედრები ყალყზე შემდგარ ცხენებს ვეღარ იჭერდნენ. იდგა შიშისაგან გახელებულ პირუტყვთა ქშე-

ნა, ბუღრავი... ღმუოდნენ ბუღები. წამახული რქებით მიწას თხრიდნენ.

ღრუბლები ორომტრიალით მოდიოდნენ, ერთმანეთს ეჯახებოდნენ და მათ წიაღში შობილი ცეცხლის ვეება ნაკვესები კვლავ მოგიზგიზე ისრებად ერჭობოდნენ მთის მწვერვალებსა და კალთებს.

ზეცა წარღვნით იმუქრებოდა. კაკლისოდენა სეტყვის ნატეხები თავს უხეთქავდნენ ხიზნებს.

სეტყვა-ხორხოშელა მოხშირდა და საოცარი სისწრაფით და ძალით წამოვიდა. პირქვე დამხობილი ხალხი საფარს ეძებდა, მაგრამ შიშველ მთაზე რა საფარი იქნებოდა? ხიზნები და ჯარისკაცები ურმების, ორთვალა ფურგონებისა და გარეტიანებულ პირუტყვთა მუცლის ქვეშ მიძვრებოდნენ. ცხენები, ძროხები, ხარები და ცხვრები გალენჩებულ-გაშტერებული იდგნენ და სეტყვით დაცხრილული ყურებიდან სისხლი სდიოდათ. კორნელი ცხენიდან გადმოხტა. მაზარა გაიხადა და თავზე გადაიფარა.

ქარიშხალმა და სეტყვამ კარგა ხანს გასტანა. მერმე ღრუბლები გაიფანტა და ერთბაშად გამოიდარა.

2

დაბეჭილი და გაწუწული ხიზნები და ჯარისკაცები წამოდგნენ. ისევ გაისმა ძახილი, ბავშვთა ტირილი, პირუტყვთა ბღავილი. ისევ გაუდგნენ ცხარაწყაროსაკენ მიმავალ გზას ძვალ-რბილამდე გალუმპული და შეციებული ხიზნები.

პატარა მღვიმეში კივილი გაისმა. იქ, შიშველ ლოდზე, ვადაზე ადრე მშობიარე დიაცი იწვა. კორნელიმ დიაცის გვერდით წამოკანკუული, უდღეური დაინახა. ჩვრებში გახვეული ბავშვი და მისი დედა ურემზე მოათავსეს. ისევ ისმოდა ძახილი:

— ნინო, გიორგი, სედრაკ, აზდღიკ. — ვინ გაიგონებდა წარღვნის დროს იმ ძახილს! სტიროდნენ ქართველი დედები და ოხრავდნენ სომხის ქალები.

მიდიოდნენ ხიზნები. უკან რჩებოდათ მეცხვარეთა კომბლის თავისოდენა სეტყვით ჩალეწილი და მირეგვ-მორეგვილი ყანები. ცხრაწყაროს უახლოვდებოდნენ, რის შემდეგ ახა-

ლი და სხვა ქვეყანა იწყებოდა მათთვის. იქითკენ მიდიოდნენ ჯავახეთის სოფლებიდან გაძოქცეული ხიზნები, რომელთაც ყველაფერი დაჰკარგეს. როდის ნახავდნენ ისინი თავის მიტოვებულ, საყვარელ სოფლებს: ყანდურას, კარწახს, საროს, ხიზაბავრას, ბარალეთს, კოთელიას, ვარევანს?.. იქ დარჩენოდათ ხიზნებს ორმოში ჩაყრილი ფეტვი და ხორბალი, ხეხილით სავსე ბაღები — თაფლივით ტკბილი ბალი, ხართუთა, ჭანჭური, ვაშლი და მსხალი, წითელი წინწკლებით მოკენჭილი, ფორაჯიანი კალმახით სავსე ტბა ფარავანი და მდინარენი, უფლის თვალისაგან ნაკურთხი ყანები და საძოვრები, მოსავლიანი და ნაყოფიერი, ფხვიერი და მასაზრდოებელი მიწა, საყვარელი ჯავახეთი, სამშობლო კერა...

მოდიოდნენ ჯავახეთიდან მოხუცნი და ჯეელნი. სტანჯავდათ თურქების მიერ ჯავახეთის აოხრება. აშინებდათ ხიზნობა, უცხოობაში ყოფნა. ჩიოდნენ სამშობლოდან დევნილნი, გაჭირვებაში ჩაცვივნულნი. მოთქმით სტიროდნენ და სწყევლიდნენ საქართველოს მიწა-წყლის მიმტაცებელ, ქართველი ხალხის წამხდენ და მაწამებელ თურქებს. ავრნდებოდათ მდიდარი და ჭირნახულით სავსე სამშობლო, ჯავახელი კაცის სწორედ ასეთი ჩივილი გაისმის ერთ ხალხურ ლექსში:

მე ჯავახეთს რა მიშავდა:
ეთვარე იყო მზესავითა,
კალმახი და ქჯრის პური
წინ მეყარა ბზესავითა.

ცისკარუყარის ომრმე

ვაის გაველყარე, ვუის შევეყარე.
ხალხური

1

ბაკურიანის სადგურზე უცხოური, შავარწივიანი დროშა ფრიალებდა. ბაქანზე გერმანელი ჯარისკაცები იდგნენ.

— საიდამ სადაო, წმინდა საბაო? — ჰკითხა გიგა ხუციშვილმა კორნელის.

— აბა, რა ვიცი, — მიუგო გაოცებულმა კორნელიმ.

სადგურის წყალსადენთან რამდენიმე გერმანელი პირსა და შიშველ მკერდს ცივი წყლით იბანდა. კორნელი ჰამაშებიან ერთ ჯარისკაცს მიუახლოვდა და გერმანულად ჰკითხა:

— გამარჯობა, მოკეთე. როდის ჩამოდით თქვენ გერმანიიდან საქართველოში? — გერმანელმა გაიღიმა, ფხვნილით გაფერილი კბილები გამოაჩინა, პირსახოცი მხარზე გადაიგდო და მიუგო:

— ამას წინათ. — გერმანელი ჯარისკაცი ტყუილს ამბობდა. გერმანიის რეგულარული ჯარების ჩამოსვლამდე ტყვე გერმანელ ჯარისკაცებისაგან და საქართველოში გერმანულ კოლონიებში მცხოვრებლებისაგან ათასეული ჩამოეყალიბებინათ და ამ ათასეულის ერთი ჯგუფი ბორჯომში გამოეგზავნათ.

კორნელი და მისი მეგობრები განცვიფრებით გასცქეროდნენ ბაკურიანის სადგურზე გადმოკიდებულ გერმანულ დროშას.

— ვაის გავექეცი, ვუის შევეყარეო, სწორედ ეგ არის! — განაცხადა გიგა ხუციშვილმა, — თურქებს ვებრძოდით, და გერმანელებმა კი დაგვიპყრეს!

— კი არ დაგვიპყრეს, გვეხმარებიან და თურქთა შემოსევისაგან გვიცავენ, — მიუგო პეტრე ცხომელიძემ.

— მალე გაიგებთ, რადაც დაუჯდება ქართველ ხალხს ეს დახმარება! — შენიშნა მიტო ჩიკვაიძემ. — მოგებული მხოლოდ მთავრობა დარჩა, ხალხს კი — ერთი ჭირი მეორე ჭირით შეეცვალა. თავისი ქურქის გადასარჩენად, საფიქრელია, მათ საბჭოთა რუსეთთან ომში არ ჩაგვითრიონ!

ჯარისკაცთა შორის კამათი გაჩაღდა. რუსეთის არმიაში ნამსახური, ომის მონაწილე ჯარისკაცები იძახდნენ: გერმანელები საქართველოდან თუ არ გააძევეს, ჯარში აღარ ვიმსახურებთო. კამათმა ცხარე ხასიათი მიიღო და ბოლოს კაპიტანმა ალექსიძემ თავისი ჯარისკაცები სადგურიდან გარეკა.

ბორჯომში საკმაოდ მრავალრიცხოვანი უცხოური ჯარი დაუხვდათ არტილერისტებს. გერმანელი ჯარისკაცები ქუჩაში მწყობრად მიაბიჯებდნენ. წინ გარმონზე დამკვრელი მიუძღოდათ და „ძველბავარიულ მარშს“ უკრავდა. ქართველი და გერმანიელი ჯარისკაცები ჯგუფ-ჯგუფად დაიარებოდნენ ბორ-

ჯომის ბაღში, მოლზე დაგორდებოდნენ და საუბრობდნენ. კერმანელებთან საუბარში კორნელიმ გამოარკვია, რომ მათ საქართველოში მოსვლის მიზანი კარგად არ ესმოდათ. ისინი ომით დაღლილნი იყვნენ და სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებობდნენ. ომში მხეცობით განთქმული, უხეში და დაუნდობელი, ამოდენა ვაჟკაცები, ახლა როგორც მშობელ დედას მოხატრებული ბალღები, ისე გალობდნენ:

Die Yöqlein im Walde
Sie sängen, sängen schön:
In der Heimat, in der Heimat,
Da giebté es Wiedensehn*.

კორნელის გაუკვირდა: ამ სენტიმენტალური სიმღერის წამომწყები, გრძელულვაშიანი ერთი ახმახი, მწითური ჯარისკაცი იყო და ქალივით წვრილი, გამყინავი ხმა ჰქონდა.

ბორჯომში ალექსიძის ბატარეამ ერთფეროვანი და უშინაარსო ცხოვრება დაიწყო. ევგენიმ კორნელის დაწერილებით უამბო გრიგოლ ცაგურიშვილის გარდაცვალების ამბავი. გრიგოლის გარდაცვალება კორნელის ცხოვრებაში პირველ, ჭეშმარიტად დიდ მწუხარებას წარმოადგენდა. ის მწუხარება რომ ჩაეხშო, იგი თბილისიდან წამოღებულ წიგნებს კითხულობდა, ომის დღიურებს აწარმოებდა და პატრიოტულ ლექსებს წერდა, რომელშიც აღშფოთებას გამოსთქვამდა იმის გამო, რომ, მიუხედავად ამაო მსხვერპლის გაღებისა, საქართველო მაინც უცხოური ძალის ხელში ჩავარდა. კორნელის ენატრებოდა ნინოს ნახვა, კარისმერეთის ამბის გაგება და, რადგან კაპიტანი ჯიბო მაყაშვილი ახალციხის ფრონტიდან ბორჯომში ჩამოსულიყო, მის სანახავად გაეშურა. მთაზე გადმომდგარ აგარაკს მიადგა, კიბეზე ავიდა, დერეფანი გაიარა და ჯიბოს ბინის წინ შეჩერდა. არ დაუკაკუნებია. ისე მიაწვა კარებს. კარები უმალვე გაიღო და კორნელი სახტად დარჩა. კაპიტანი ჯიბო მაყაშვილი იატაკზე დაგებულ ჭვეშაგებში იწვა, მყისვე წაავლო ხელი საბანს და მის გვერდით მწოლარ ქალს გადა-

* ჩიტუნები ტყეში სტკენენ
უტურფესად, ერთად დღესა:
სამშობლოში, სამშობლოში,
იქ კვლავ ვნახავთ ერთმანეთსა.

ჰხურა. მაგრამ გვიანღა იყო. კორნელიმ გერმანელი ქალი — მარგარიტა ლეტცი იცნო. კაპიტანი შეკრთა. საქციელი წაუხდა, მაგრამ მაინც გაიღიმა, გრძელი კბილები გამოაჩინა და ცხენივით ჩაიხვიხვინა.

— ბატონო ჯიბო, კარების ჩაკეტვა დაგვიწყნიათ. მაპატიეთ დაუკაკუნებლად რომ შემოვედი, — უთხრა კორნელიმ.

— ეს კარები არ იკეტება. გაიხურეთ. საღამოს შეღიარეთ, — ურცხვად მიუგო კაპიტანმა და ვეება თათი საბანგადახურულ ქალს თავზე დაადო. თბილისიდან ჯიბოსთან ბორჯომში ჩამოსული მარგარიტა კატასავით მოიკეცა. მაგრამ ვარდისფერი მარმარილოს მსგავსი შიშველი მუხლი საბნიდან ვამოუცურდა და ფრონტიდან ჩამოსულ ჯარისკაცს თვალი ვერ მოსწრა.

გერმანელი ჯარების ჩამოსვლის მჭრმე ქართველ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს შორის ურთიერთობა ძლიერ გამწვავდა. ოფიცრობა მხარს უჭერდა მთავრობას, რომელიც თვლიდა გერმანიას არა მარტო საქართველოს მხსნელად თურქთა შემოსევისაგან, არამედ რევოლუციისაგანაც. სტუდენტი-მოხალისეები და დასავლეთის ფრონტზე ნამყოფი ჯარისკაცები ბრაზით გასცქეროდნენ და უსმენდნენ ძველი წესწყობილების აღდგენაზე მეოცნებე ოფიცრებს.

ცოტა ხნის მერმე ბოლშევიკების ბორჯომის კომიტეტმა ბაღში მიტინგი მოიწვია. მიტინგს ფრონტელი ჯარისკაცი თედო მეტონიძე თავმჯდომარეობდა. პირველი სიტყვა მიტო ჩიქვაიძემ აიღო:

— ამხანაგებო, — ამბობდა იგი, — საქართველოს მშრომელებს, ყველა პატიოსან ადამიანს კარგად ესმის მენშევიკურ ხელისუფალთა გამყიდველი პოლიტიკა. ნაცვლად იმისა, რომ იცნონ სახალხო კომისართა საბჭოს ხელისუფლება, დაამყარონ კავშირი რუსეთში მიმავალ კავკასიის რევოლუციურ არმიასთან და დაეყრდნონ მას, მათ კავშირი გასწყვიტეს საბჭოთა რუსეთთან, მოაწყვეს მუხანათური თავდასხმა ჩრდილო-კავკასიაში მიმავალ ეშელონებზე შამქორში, დახვრიტეს მიტინგის მონაწილენი ალექსანდრეს ბაღში თბილისში, ისინი სისხლში ახრჩობენ გლეხთა აჯანყებებს, არბევენ ბოლშევიკურ ორგანიზაციებს, ხურავენ ჩვენს გაზეთებს. ჰგმობენ საბჭოთა რუსეთს, გერმანიასთან, ავსტრო-ჰუნგრეთთან და თურქეთთან

ბრესტის სამშვიდობო ხელშეკრულების დადების გამო, თვითონ კი სამარცხვინოზე სამარცხვინო ხელშეკრულება დასდეს თურქებთან. პატრიოტიზმზე ძახილი, ძახილი სამშობლოს დაცვაზე მათ სჭირიათ ხალხის მოსატყუებლად, რათა გაარიდონ იგი რევოლუციურ ბრძოლას. ეროვნული დროშის საფარქვეშ ისინი უთანხმდებიან რევოლუციის მტრებს, გერმანელ გენერლებსა და თურქ ფაშებს. თქვენ დაუჯერეთ იმ მატყუარების პატრიოტულ სიტყვებს და წახვედით მოხალისეებად ეროვნულ ჯარში. თქვენ გეგონათ, რომ სამშობლოს იცავდით, მაგრამ რა გამოვიდა სინამდვილეში? თქვენ იბრძოდით, სისხლს ღვრიდით, ჟორდანიას მთავრობამ კი, ჩვენს ზურგს უკან, კიდევ ერთი საზიზღარი ღალატი ჩაიდინა. თურქების შემდეგ საქართველოში გერმანელები გამოჩნდნენ, ვითომც ჩვენი მოკავშირეების სახით. ნამდვილად კი ისინი მენშევიკურ ხელისუფალთა მოკავშირენი არიან. ამის შესახებ ახლა ხმამაღლა ლაპარაკობენ ჩვენი ბატარეის ოფიცრებიც, არიან ისეთებიც, რომლებიც თანახმა არიან, რომ საქართველოში ერთ-ერთი გერმანელი პრინცი მეფობდეს. ისინი, ვისაც გინდათ იმას სცემენ თაყვანს, ოღონდაც თავისი ძალაუფლება შეინარჩუნონ.

ბატარეის ოფიცრები შტაბის აივანზე იდგნენ და აღშფოთებული უსმენდნენ მიტო ჩიკვაიძეს.

— გაშოიძახეთ საყარაულო ნაწილი და გარეკეთ მიტინგი!— უჩურჩულა პორუჩიკ ბერეჟიანს ბრაზისაგან გაფითრებულმა ალექსიძემ.

— რომელი საყარაულო ნაწილი? მიტინგზე მთელი გარნიზონის ჯარისკაცები მოვიდნენ, — შენიშნა ბერეჟიანმა.

— გამოიძახეთ სახალხო გვარდიელები, ან გერმანელები, — ჯიუტობდა ალექსიძე.

— ახალციხე-ახალქალაქის ფრონტის უფროსის გარეშე ვაკის უფლება ჩვენ არა გვაქვს. — აუხსნა ბერეჟიანმა.

— რომელი ფრონტის შესახებ ლაპარაკობთ, — ჩაიქნია ხელი პორუჩიკმა დვალმა, — ახლა არავითარი ფრონტი არ არსებობს.

ალექსიძემ ამრეზით გადახედა მას.

— ჟორდანიას და მის მთავრობას, — განაგრძობდა მი-

ტო ჩიკვაიძე, — არავითარი დამოუკიდებელი რესპუბლიკა არ შეუქმნია, ვერც შექმნის. სამარცხვინოა ემსახუროო ფაბრიკანტების, მემამულეებისა და ვაჭრუკანების სახელმწიფოს! ძირს რევოლუციის გამყიდველები! ჯარისკაცებო, წადით შინ, თან წაიღეთ იარაღი. იგი თქვენ სამართლიანი ბრძოლისათვის დაგჭირდებათ!

მიტო ჩიკვაიძის შემდეგ გალაქტიონ გელაშვილი გამოვიდა.

— ჩვენ რუსეთის ჯარში ვემსახურობდით, — გრგვინავდა მისი ხმა, — სიხსლს ვღვრიდით გერმანელების წინააღმდეგ ბრძოლაში. ახლა კი ჩვენს მიწაზე მათი ბატონობა უნდა მოვითმინოთ? ისინი შველიან მემამულეებს, გაუსწორდნენ გლეხებს. ჩვენ არ ვემსახურებით მემამულეებისა და თავადების არმიაში. არა გვსურს მათი დაცვა. პირდაპირ უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენი გზა — საბჭოთა რევოლუციის გზაა. უცხოურ მტაცებელთა სამსახურში მყოფი მთავრობის პოლიტიკას ჩვენ აღარ დავიცავთ!..

სტუდენტ-მოხალისეთა სახელით გიგა ხუციშვილმა ილაპარაკა. პირველად გამოვიდა მიტინგზე კორნელიც.

— ქართველი ახალგაზრდობა, — დაიძახა სიტყვის ბოლოს კორნელიმ, — აღშფოთებულია საქართველოში გერმანელი ჯარების მოსვლით. ისინი ჩვენში ისე იქცევიან, როგორც დაპყრობილ ქვეყანაში. პროტესტის ნიშნად სტუდენტები არმიიდან მიდიან!..

— ხედავ, მხეიძეც ბოლშევიკებს მიმხრობია, ჩასწერე ყველა მათი გვარები! — უბრძანა ალექსიძემ პორუჩიკ დვალს. — მე მათ ვუჩვენებ სეირს! არამზადები!

კიბით შტაბის ეზოში ჩაირბინა და გენერალ არჯევანიძისაკენ გასწია.

რამდენიმე დღის მერმე ჯარისკაცებმა ჯგუფ-ჯგუფად იწყეს თავიანთი ნაწილების მიტოვება. ბატარეიდან ყველაზე ადრე წავიდნენ თედო მეტონიძე, გალაქტიონ გელაშვილი, მიტო ჩიკვაიძე, გიგა ხუციშვილი და კორნელი მხეიძე.

ბინდდებოდა. მატარებელი ბორჯომის ხეობიდან გამოვიდა. კორნელი ვაგონის ფანჯარასთან იდგა, ტაშისკარისა და ქვიშხეთის შემდეგ გაშლილ ქართლის ველს, ლიხის მთას გას-

ცქეროდა. ქარი სახეში სცემდა და თმას უწეწავდა. იგი ნინოზე ფიქრობდა:

„ნინო ცოლობაზე, ალბათ, უარს მეტყვის, როცა გაიგებს, რომ ჯარიდან ჩემის ნებით წამოვედი. მისი მშობლები შემიძულებენ დეზერტირობისათვის. რაც არ უნდა მოხდეს, ჯარში აღარ დავბრუნდები...“ კორნელიმ სარკმელში თავი გაჰყო და რკინიგზას გაჰხედა. ლიანდაგი ამ ადგილას მძაფრად უხვევდა. ორთქლმავალი მძიმედ ქშენდა და აღმართზე ეზიდებოდა ვაგონების ქარავანს,

ნაწილი პირველი

დილიჟანი

აბა, ერთი კაცი ქუთაისში! აბა, ერთი კაცი! — იძახის მედილიჟნე და მუდამ ერთი კაცი აკლია სათვალავში.

ი. ჩხეიძე

1

დილიჟანი პირველ საათზე უნდა გასულიყო ქუთაისიდან კარისმერეთისაკენ და კორნელიც დანიშნულ დროზე გაჩოცხადდა შალამბერიძის კანტორაში. მაგრამ ქუთაისიდან ან ჩვენი ქვეყნის რომელიმე დაბა-ქალაქიდან განა გასულა დილიჟანი ოდესმე დანიშნულ დროზე? აქაც ასე მოხდა: იგი გავიდა არა პირველ საათზე, არამედ ნაშუადღევის ოთხ საათზე და ისიც დიდი ვაი-ვაგლახისა და ლანძღვა-გინების შემდეგ. მანამდე კორნელი პატარა ეზოში მიგდებულ ძველ ეტლში ჩაჯდა და ჩაიძინა. ერთი საათიც არ იქნებოდა გასული, ჯარისკაცი დაფეთებული წამოიჭრა, ლაჯებში გაჩრილ და მკერდზე მისუტებულ შაშხანას წაავლო ხელი. უხეიროდ ჰოკირწყლულ ბალახვნის ქუჩაზე ცარიელი დროგები მიირახრახებდნენ და რკინის სალტეში ჩასმული ბორბლების ხმაური თოფ-ზარბაზნების გრიალად ჩაესმა კორნელის.

ჩრდილი გადასულიყო. ივლისის მზე უმოწყალოდ აჭერდა. დანგრეული დუქნის უკან ობმოკიდებული გუბე ყარდა. თავლიდან ნეხვისა და შარდის სუნი მოდიოდა. დღეს ბაზრობა იყო, ქუჩებში ქუთაისელნი და მახლობელ სოფლებიდან ჩამოსულნი გარბოდნენ და ფუსფუსებდნენ.

„რას ჰგვანან ულაზათო, დაჩიავებული ქუთაისლები? — ჯავრობდა კორნელი, — აქაურ ინტელიგენტებსაც გაჭირვების

დაღი აზით. ეს ჩვენი გაძვალტყავებული და ჩამოკონკილი გლეხობა ხომ გულსაკლავად გამოიცქირება. რა ეშველება ასეთ დასაწყლებულ და ღარიბ ხალხს? ეჰ, ჩვენო საბრალო, გაღატაკებულო იმერეთო!“ რამდენიმე წელი გასულიყო, რაც კორნელის არ ენახა ქუთაისი და, თბილისის მერე პროვინციად ეჩვენა იგი. წამოდგა. შალამბერიძის ქანტორაში შევიდა.

მედილჟნე დათიკო დახლთან იდგა. ნაცნობი მგზავრები ღვინოს ასმევდნენ. ლოთობისაგან ღიპი დასდებოდა ჯერ კიდევ ჭაბუკს. იგი დამთვრალიყო, მგზავრების საყვედურს ყურადღებას არ აქცევდა: ბაზარში საყიდელზე წასული ერთი „პასაჟირი“ მაკლია, მოვა და მაშინვე წავალო. ბატარეაში წესრიგს შეჩვეულმა კორნელიმ ბირჟაზე გალაზღანდარავებულ მედილჟნეს უყვირა, დილჟნის კოფოზე დაჯდა. მგზავრები მიჰყვნენ და მადლობა გადაუხადეს.

შეზარხოშებულმა მედილჟნემ დასჭყივლა, დაოთხილი ცხენები ჭენებით გაატარა ბალახვნის ქუჩაზე, რიონის სადგურისკენ მიმავალი რკინიგზის ლიანდაგი გადასჭრა და ტყეს შეუდგა.

მცირე ალმართის მერე გზა ლარივით გაიჭიმა საღორიას ტყეში, რომელსაც ქუთაისის გუბერნატორი ოლდენბურგი, რატომღაც „ბულონის ტყეს“ უწოდებდა, რასაც მისი ცოლი — ქართველი თავადის ქალი აგრაფინა და აგრაფინას ბავშვობის მეგობარი, გუბერნატორის სახლის ხშირი სტუმარი — კორნელის დედა ტერეზაც იმეორებდნენ. ახლა საღორიას მუხა დაჭადებულა, სოკო მორევია, ფოთოლი მატლს შეუჭამია და გვალვით დახრუკულსა ჰგავს. ტყეში ჯაგები და ყვითელი ყვავილებით ალმოდებული იელის ბუჩქები გამოჩნდა. იელს ფუტკარი ეხვეოდა. ტყეში გაჭიმულ ამ გზით არა ერთხელ უმგზავრია კორნელის ბავშვობისას, სიყრმისა და ჭაბუკობის ჟამს. უკან მოიხედა: უკვე შორს იყო მწვანეში ჩაფლული და მთის კალთებზე მიფენილი ქუთაისი, სადაც დაიბადა, ფეხი აიდგა და ანბანი ისწავლა. როდესაც ბაგრატის ტაძრის ნანგრევებიც მიიმალა, კორნელი შებრუნდა, ტყეში ლარივით გაჭიმულ გზას გაჰხედა. ტყის გრილმა და სუფთა ჰაერმა კარგ გუნებაზე დააყენა. ღიღინი დაიწყო. ასეთი ღიღინი დასჩემდა არდადეგებზე ქალაქიდან კარისმერეთისაკენ მოგზაურობისას.

აიჩემებდა აკაკის, ბარათაშვილის ან უცხოელი პოეტის რომელიმე ლექსს და მას ჩუმად დაამღერებდა. აი, ახლაც დილიჟნის ბორბლების ერთფეროვან გრიალსა და ცხენთა ტორების შეწყობილ თქარუნის აკომპანიმენტზე ასეთი სიმღერა წამოიწყო:

მშვენიერო ქუთაისო,
სავარდო და სამაისო.

ღიღინი მედილიჟნემ შეაწყვეტინა. იგი ყბედობდა. მოხუც გლეხს დასცინოდა.

— ეს კაცი ფრონტიდან წამოსულა და საკვირველი არაა, შინ მიეჩქარებოდეს. შენ კი, ბებერო, იმ დასაწვავ სოფელში, საფლავის გარდა, რა ქვეყნის საქმე გელოდება? — გაწუწკებულ მედილიჟნეს გული სწყდებოდა: ერთი საათი კიდევ რომ ეცლიათ, რამდენ ღვინოს დამალევინებდა ის მოქეიფე ხალხიო. ჩოხაში გამოწყობილი მოხუცი გლეხი უდიერ მედილიჟნეს მშვიდად ეუბნებოდა:

— წუთისოფელი, ბიძია, არავის მოუჭამია! მოიცა, შენც გაგატკვერინებს ნახშირს!

ენაწყლიანი გლეხისაგან კორნელიმ გაიგო, რომ ახალციხის გზით ბაღდათსა და ქუთაისზე მომავალ „თათრებისათვის“ ზეკარის მაღლობებზე გამაგრებულ ჩვენს მცირე რაზმს გზა გადაუჭრია.

ეს რაზმი ქუთაისიდან ყოფილა გაგზავნილი და შეტაკების დროს „თათრებსა“, სხვათა შორის, ქართული გიმნაზიის ახალგაზრდა პედაგოგი გიორგი ჭუბაბრია მოუკლავთ. ჭუბაბრიას პეტერბურგის უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული. იგი კორნელის ძმის სტეფანეს დიდი მეგობარი იყო. მისი დაღუპვა ძლიერ ეწყინა კორნელის, თანაც ცაგურიშვილი და „კანარეიკად“ წოდებული ბაქრაძე მოაგონდა.

— ბევრი ნიჭიერი და კარგი ადამიანი დაიღუპა ომში, — უთხრა კორნელიმ გლეხს და ახალციხე-ახალქალაქის ფრონტის ბრძოლებზე ზოგი რამ უამბო.

— შენი მარჯვენა იკურთხოს, თათრებისაგან აწიოკებს რომ გადაგვარჩინე, — დალოცა მოხუცმა და პირჯვარი გადაისახა.

რიონის სადგურთან საღორიას ტყე გათავდა. მთიდან შავ

ზღვამდე გადაჭიმული რიონის წარმტაცი ველი გადაიშალა. იგი ძლიერ წააგავს ალაზნის ველს. წინ ზეკარის ხეობა მოსჩანს, მთები: შუბანი, წანტეხილი, საირმე, გორამაღალი... რიონის სადგურიდან დაღმართი იწყება, მერმე ჭარის სათარეშო გაშლილი ადგილი: სარბევი და წინაველი.

დილჟანი მდინარე ყვირილასთან, ბორნის ახლოს, მიკიტან სიგუნავას დუქნებთან გაჩერდა. ორი ქალის გარდა, ყველა დანარჩენი მგზავრი სამიკიტნოში შევიდა, ღვინის სმა და ზოგმაც ყვირილაში დაჭერილი თევზის ჭამა დაიწყო. კორნელი კი ადიდებული მდინარისაგან დანგრეული ხიდის თავში გაჩერდა. იორგვლივ გაშლილ ჭალებს მოავლო თვალი. მდინარის გალმა ცნობილი მრეწველის, ანანოვის სასახლე და ვარციხის მამული მოსჩანს, ღვინის სარდაფები. ქვიტკირის სახლები. მერმე აჯამეთის დაბურული ტყე. დასავლეთით რიონის ველია, ჩრდილოეთით — კავკასიონის მთები: ხომლი, ნაქერალა, ხოლო მის იქით — უდნობი თოვლით გადალესილი სვანეთის უშბა, თეთნულდი...

მზე დასავლეთისკენ გადახარა. კორნელიმ პაპიროსი ამოიღო. ცეცხლი მოუკიდა. მოსწია და ხიდის მოაჯირს დაეყრდნო. მდინარის ტალღებს დააცქერდა. ყვირილა უმეტეს შემთხვევაში მურისფერია, რადგან მისი წყლით ჭიათურის შავ ქვას რეცხავენ. ახლა კი, მაღაროების უმოქმედობის გამო, მდინარის წყალი გამჭვირვალე იყო და მის ფსკერზე ქვები და კენჭები მოსჩანდა. კორნელიმ თევზებიც დაინახა. მალე სიგუნავას დუქნიდან არღნის ხმა და სიმღერა შემოესმა. რამდენჯერ ჩაუვლია კორნელის დედასთან, დეიდასთან და ბიძასთან ერთად საგუნავას ამ ცნობილ დუქნებთან, ვინ მოსთვლის? ჭუთაისიდან ზემოიმერეთისკენ მიმავალთ გული არ გაუძლებდათ, რომ აქ ღვინო არ გადაეკრათ, პური და ყვირილას განთქმული თევზი არ შეეჭამათ. დაფა-ზურნაზე ან არღანზე არ ექეიფათ, განსაკუთრებით თავადებსა და აზნაურებს. დაგვიანებას არვინ ჩიოდა. ახ, ახლაც ქეიფობენ უდარდელი მგზავრები და ჩანჩურა მეარღნე სიბერტო. თავგამოდებით ქოქავს ფოჩებიან ჯუბით აჭრელებულ ოდესურ არღანს. სიგუნავას დუქნებს ეტლებისა და დილიჟანებისათვის წინ ფართო მისასვლელი აქვს ფარდულსავით ყავრით გადახურული.

კორნელის მოაგონდა ამ ფარდულის ქვეშ, სვეტზე მიბმული „ალია“ — ბიძია ოტიას ყაბარდოული ულაყი. ნაწილობრივ სალამო ჟამი იყო. ჟღალწვერა, მსუქანი, ახოვანი, ჩოხაში გამოწყობილი მემამულე ოტია მდივანი ამ სიგუნავას სამიკიტნოში ქეიფობდა და თანაც ყვირილას გალმა-გამოღმა მიმავალ მგზავრებს, ნაცნობებს და მეზობლებს ეპატიჟებოდა. დაღამდა. დიდის ვაი-ვაგლახით გამოიყვანა მაშინ დუქნიდან შვიდი წლის ყმაწვილმა კორნელიმ მთვრალი ბიძია ოტია. ოტია ძლივს შეჯდა ცხენზე. დისწული წინ დაისვა. ნაბადი მოახურა და შუბლზე აკოცა: ნუ გეშინია, ალია ახლა, თუ გინდა, თურქეთში ჩაგვიყვანსო. მგზავრებმა გზა დაულოცეს და ოტია ყვირილაზე გავიდა. ცხენით ალმართი აირბინა და მოკლე გზით დააპირა კარისმერეთში ჩასვლა. ვარციხე-დიდველაზე გავლით. აჯამეთის დაბურულ ტყეში შევიდა. თვლემდა. უნაგირზე ყანყალებდა და სადავეს ვერ იჭერდა. ხან ხრამს მიადგებოდა, ხან კიდევ გაუვალ ტევრში შეიჭრებოდა. შეშინებული ყმაწვილი ბიძას აღვიძებდა და მკერდზე ეკვროდა. ბევრი იბორიალა ოტიამ იმ ბნელ ღამით აჯამეთში, სანამ ტყიდან გავიდოდა და კარისმერეთისკენ მიმავალ სწორ გზას დაადგებოდა. ხშირად ჩერდებოდა ალია. ფრუტუნებდა და ხვიხვინებდა. ვინ იცის, რისთვის? მაშინ აჯამეთში გაცილებით მეტი ნადირი იყო: ირემი, ტურა, მელა, მგელი. მართლაც, ღრმაღელესთან ტურების შემზარავი კივილი და მოთქმა ატყდა. ალია ისევ შეჩერდა. ოტიამ დეზი ჰკრა და ტყეში ხმამაღლა დასჭყივლა:

— ჰატ, შე მგლის არჩივო, ტურების გეშინია?

ღრმაღელე გაიარეს თუ არა, ტყე ერთბაშად გათავდა. ერთ ბოშიშვილებულ ალაგას კორნელიმ ნათლად დაინახა დაცუცქული რაღაც შავი არსება და ნაკვერცხალივით ანთებული მისი თვალები. ეს არსება ყმაწვილმა ჯერ ალჟაჯად, კუდიანად, ჭინკად მიიჩნია, მერე კი მგელი ეგონა. ელდა ეცა. გულის საშინელი ძგერა აუვარდა, ბიძას მოეხვია და ტირილი მოართო. ოტიას არა ერთხელ უნახავს ღამით ტყეში ასეთი რამ, და დისწულის დასამშვიდებლად ცხენი პირდაპირ იმ უხილავი არსებისაკენ წაიყვანა, წუმწუმა აანთო და, მართლაც, კუდი-

ანის ბრ-ალა თვალები მაშინვე ჩაჭრა და კორნელიმ ნათლად დაინახა ძველი მუხის ძირი, კუნძი, და იქვე მიწაზე დაყრილი, ცულით ჩანახლეჩი ნაფოტები, რომლებიც ღამით ნაკვერცხლებივით ანათებდნენ ფოსფორულ ნივთიერებათა გამო. ასეთი გულისხეთქვით ჩაიყვანა ოტიამ სოფელში დისწული. მაშინ კორნელის სწამდა ალქაჯის, კუდიანისა და ჭინკის არსებობა. ახლა კი სიგუნავას დუქნებთან და იმავე მდინარე ყვირილასთან სტუდენტი-ჯარისკაცი იდგა და არა ბიძია ოტიას მუხლზე მჯდარი და მის ნაბადში გახვეული ყმაწვილი. მაშინაც ასეთი დღე იყო და კორნელი ასევე იდგა ამ ხიდზე, გამჭვირვალე ყვირილას ფსკერზე გარეცხილ ქვებს, კენჭებსა და წყალში მცურავ თევზებს დასცქეროდა. მაშინაც არავინ ღონდებოდა დაგვიანებით. მაშინ კორნელის დაღამებისა ეშინოდა, ახლა კი ნინოს ნახვა აჩქარებდა.

ნინოს მოგონებისთანავე კორნელი სიგუნავას დუქანში შევიდა, მეეტლეს გამოუძახა და ამდენი ლოდინისათვის გაუჯავრდა. მოხუც გლეხს მოესწრო მგზავრებისათვის მისი მშობლების ვინაობის გამხელა და ისინიც მორიდებით ეხვეწებოდნენ ამ კუთხეში განთქმული ექიმის, გიორგი მხეიძის შვილს — კორნელის, შეესვა ერთი ჭიქა ღვინო. კორნელიმ დალია და მგზავრებს შესძახა: ღამდება, მალე წავიდეთო. ზოგი აედევნა კორნელის დილიჟანისაკენ, ზოგი კი ვერ შორდებოდა პურ-მარილითა და ღვინით გაწყობილ დახლს. მაგრამ კორნელი მეეტლეს და ჩამორჩენილ მგზავრებს აღარ დაელოდა და ცხენები ბორნისაკენ გარეკა. მაშინ მედილიჟნე და ღვინოზე დახარბებული მგზავრები დუქნიდან გამოცვივდნენ, დილიჟანი ბორანზე შეაყენეს და ყვირილაზე გავიდნენ. მეეტლემ ანანოვის სასახლეს, მამულს ჩაუარა და ისევ დაადგა სწორ გზას, რომელსაც ათ კილომეტრზე ორივე კიდით აჯამეთის ტყე გასდევს. მერმე მუხის ტყე თავდება, ველი და მზეზე მიფიცხებული ამწვანებული გორაკები, მევენახეობით სახელგანთქმული სოფლები ახარებენ თვალს თავისი მშვენებითა და სილამაზით. როდესაც კორნელი გზის მცველის პატარა დანგრეულ სახლთან გადმოხტა, მზე უკვე ჩასულიყო. მგზავრები დიდის ამბით ეთხოვებოდნენ კორნელის, განსაკუთრებით კი მოხუცი გლეხი. პირიდან ყალიონი გამოეღო და მადლობას უხდიდა:

— აგაშენა, ბიძია ღმერთმა, ამ წიგნძე გზა საუბრით შეუმჩნევლად დავითოკეთ. აბა, ნუ გეშინია ეს ღიპიანი და ლოთი დათიკო მედილიენე კი ვერ გაგართობს გონიერი საუბრით. მარტო ჭამა-სმაზე ფიქრობს. ჩამოუგდია ლაში და დამალევიეო, იძახის, — ღდინამდე ჩასდია მედილიენეს მოხუცმა.

ჯარისკაცებში

ლაშქარს წასვლა მას უხარის,
ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო;
დაბრუნება და შინ მოსვლა,—
ვისაც კარგი ცოლი ჰყავსო!

ხალხური

1

კორნელიმ შარაგზიდან გადაუხვია. აქ დასახლებული ფრანგი აგრონომის ტიებოს მამულს, სახლს, ღვინის სარდაფებს ჩაუარა და ხანისწყლისაკენ მიმავალ სოფლის გზას დაადგა. მდინარის გასწვრივ ნაცნობი ჭალებია. გამოროდებული სიმინდი მაჯის სიმსხო გამხდარიყო და საცაა თავს იყრიდა. მდინარის გაღმა, ბროწეულიან მაღალ ნაპირის იქით სოფელი ჩანდა. ეზოებში ჩალითა და თივით დახვინული ხევები პაპუასების ქოხებს აგონებდა კორნელის, ხოლო ხანძარმოდებულ ცაზე ახატული გოლიათი ცაცხვები — ეგვიპტელთა პირამიდებს. „ასე ზვინავდა, ალბათ, პაპაჩემი, პაპის პაპაც და ვინ იცის, რა ჭაღარა წარსულიდან მოუღწევია ჩვენამდე ხეზე ჩალისა და თივის შენახვის ამ წესს“, — ფიქრობდა კორნელი.

დღე და ღამე იყრებოდა, როცა ყანაში ცხენზე მჯდარი ყმაწვილი გამოჩნდა. თავზე ჭილის ფართო ქუდი ეხურა; იგი მექსიკელ ყმაწვილს მიამსგავსა კორნელიმ. სამწობლოში ამ უცხო სურათების წარმოსახვა შორეულ ქვეყნებში მოგზაურობისა და მათი ნახვის სურვილით თუ აიხსნებოდა! ჯარისკაცის დანახვაზე ყმაწვილი ცხენიდან ჩამოხტა. კორნელიმ იცნო დედის მოჯამაგირე ბიჭი — ავთია. გახარებული ყმაწვილი გაკვირვებით შესცქეროდა სამხედრო ტანისამოსში გა-

მოწყობილ კორნელის. დიდრონ შავ თვალებს აბრიალებდა, იცინოდა და თეთრი კბილების რკალს აჩენდა. იგი ღარიბი გლეხის, დომენტი ხვედელიძის შვილი იყო. დომენტიმ კორნელის დედასთან — ტერეზასთან დააყენა მოჯამაგირედ: გაზრდილი ხალხის ხელში იქნება, წერა-კითხვას და ცოტა რუსულსაც ისწავლისო. კორნელის უყვარდა აგოია. მასთან თამაში, და, როცა სოფელში ჩავიდოდა, არც დედას და არც სხვა ვისმეს დააჯაბნინებდა მის თავს. ამისთვის უხაროდა აღდგომა დღესავით აგოიას ტერეზას შვილის ჩამოსვლა კარის-მერეთში. კორნელიმ ხელი ჩამოართვა, აკოცა, ნიკაპი აუწია, აჰხედ-დაჰხედა: რამოდენა გაზრდილაო, გაუკვირდა და ჰკითხა:

— აქ რისთვის ჩამოსულხარ?

— ჩვენი წისქვილი აღარ მუშაობს და ქალბატონმა აქეთ გამომატანა საფქვავი, — მიუგო ფეხშიშველა ბიჭმა.

აგოიას შავი სატინის ძველი ხალათი და მოკლე შარვალი ეცვა. ჯანმრთელი იყო. მაღალი და მაგარი კანჭები ჰქონდა. ყვირილაში ცურვასა და ყვინთვაში ტოლი არა ჰყავდა, ტერეზა უკვე დაეჩვეოდა მოჯამაგირესავით ასაქმებდა, თანაც საქონელში გზავნიდა და ისიც თავისი სალამურით, ჩანთაში ჩაწყობილი საგზლით მწყემსავდა საქონელს. კორნელი გზას გაედგა, აგოიამ ჩემოდანი ჩამოართვა.

— ცხენზე შეჯექი, — არ ეშვებოდა ყმაწვილი.

— დილიანში ჯდომით დავიღალე და ასე ფეხით სიარული მირჩევნია, — არწმუნებდა კორნელი. მაზარა, ჩანთა და შაშხანა მაინც აღარ დაანება აგოიამ, მხარზე გადაიკიდა და ცხენი აღვირით წაიყვანა.

— ქალბატონი აღარ იყო ჯავრით: ვაითუ კორნელი თათრებმა მომიკლანო?! თათარი თუ მოკალი? — მოულოდნელად და გულუბრყვილოდ ჰკითხა აგოიამ.

— მოვკალი, — მიუგო კორნელიმ. ყმაწვილმა ბაგე მოკუმა. დადუმებული სახით მიაშტერდა ჯარისკაცს. რომელსაც კაცი მოეკლა...

ბონდის ხიდზე შედგნენ. კალმახით, ბოლოწითელითა და ფიჩხულით სავსე, ანკარა და გამჭვირვალე მდინარეს — ხანისწყალს თან მოაქვს ზეკარის ხეობიდან მონაბერი ნიავი „ხაბარდულა“. კორნელიმ ქუდი მოიხადა, შუბლი გაიგრილა და წარმტაც არემარეს თვალი მიმოავლო. დასავლეთით აჯა-

მეთის ტყე და რიონის ველი მოჩანდა; ჩრდილოეთით — კავკასიონის ქედები; უკან, სამხრეთით — ცისკენ შუბივით აწვდილი მწვანე შუბანი და მწვანე ხავერდის მსგავსივე ხეობა. შუბანის მწვერვალზე სავსე მთვარე გადმომდგარიყო. ირგვლივ სიჩუმე და მყუდროება სუფევდა, რასაც ქვებზე და ლოდებზე მორბენალი მდინარის გრიალი არღვევდა. „რა ლამაზი სანახაობა იშლება ამ ხიდიდან. აქ, ხიდზე და მდინარის გალმა ნაპირზე უყვართ კარისმერეთელ გოგო-ბიჭებს მთვარიან ღამეში სეირნობა. აქ ვისეირნებ მეც ნინოსთან ერთად“, — გაიფიქრა კორნელიმ.

— არც ქალბატონი და არც მისი სტუმრები არ მიგელიან. როგორ გაეხარდება ქალბატონს! — იცინოდა აღტაცებული აგოია. თანაც თავი მოსწონდა: მხარზე შაშხანა ეკიდა.

2

აღმართს შეუდგნენ. აღარ გათავდა ეს ტურებით სავსე (ხოლო აგოიას და აქაური გლეხების რწმუნებით ჭინკებითაც სავსე) მთის აღმართი.

უცნაური რამ შეემთხვა ახლა კორნელის. ბორჯომიდან ქუთაისამდე, ქუთაისიდან გზის მცველის პატარა სახლამდე, ერთი წუთითაც კი არ დავიწყნია, რომ იგი ომიდან მომავალი ჯარისკაცი იყო. ხოლო აგოიასთან შეხვედრისას, მდინარის ხიდიდან გაშლილი არემარისა და ამ მთების ხილვის ჟერმე კი, თითქო ყოველივე წარიშალა: ჯარი, ომი, თბილისი. თბილისში რვა წელს ყოფნის გამო შეძენილი ქართლური კილოც კი გამოეცვალა. მანაც, როგორც აგოიამ, ზემოიმერულ კილოზე დაიწყო ლაპარაკი და ყმაწვილ აგოიასავით მიუნდა ცელქობა და სირბილი ამ მინდორსა და გორაკებზე, სადაც ბავშვობა გაუტარებია. მაგრამ, როდესაც გორაკზე ალვის ხეები, კვიპაროსი, მაგნოლიები და მათ შორის აივანი და სახლი გამოჩნდა, მაშინვე შედგა, მაზარა მიწაზე გააგო, დაგორგლა და ბოლოებს თასმა მოუჭირა. მერმე მაზარის რგოლში თავი და ხელი გაჰყო, დაგორგლებული მაზრა მხარზე ჯადაჭიდა და ტანზე შემოიკრა ისე, როგორც ლაშქრობის დროს იცვან ხოლმე ჯარისკაცებმა. აგოია გულისყურით ადევნებდა თვალს. შაშხანაც გადაიკიდა კორნელიმ და შინისაკენ ხელ-

რულად ძორთული და შეიარაღებული გაეშურა. ასე უნდოდა უინ მისვლა ფრონტიდან დაბრუნებულ ჯაოისკაცს.

როცა კორნელი ორღობეში შევიდა, სამხედრო ნაბიჯით იწყო სიარული. მეზობლები განცვიფრებით შესცქეროდნენ სოფელში მიმავალ უცნობ ჯარისკაცს. პატარა მინდორი გალია და მეზობლებიდან განცალკევებულ თავის ეზოსა და სათიბის ჭიშკარს მიადგა. ჭიშკარი არ გაუღია კორნელის, ღობის გადასასვლელ ალაგზე გადახტა. აგოიამ სარზე მიაბა ცხენი და შინისაკენ დააპირა წასვლა, კორნელის დედის — ტერეზას მახარობლად. კორნელიმ შეაჩერა: დაიცა, მოულოდნელად მივეპაროთ ჩვენებსო. ძაღლების ყეფა ატყდა და სახლის აივნიდან ძახილი გაისმა: რომელი ხარ მანდო. კორნელიმ და აგოიამ ახლა ეზოს უკანა ჭიშკრიდან, თხილნარით სცადეს შინ შეპარვა. აყეფებულმა ძაღლებმა — ტერეზას „მახარემ“, მაყაშვილების „როიამ“ და „ლედამ“ იცნეს აგოია. პირუტყვთა ენის მცოდნე ბიჭმა ტკბილი სიტყვითა და შეწყრომით მონუსხა და გააჩუმა ისინი. თხილნარში კორნელის გულმა ვეღარ გაუძლო. ჭყინტი თხილის ბუძგი მოსწყვიტა და უყნოსა. უყვარდა თხილის ბუძგისა და გასრესილი ფოთლის საამო სურნელი. ბუძგიდან კაჭარი ამოაგდო, გასტეხა და ჯერ კიდევ ახალი თხილის გული შეჭამა. თხილნარის მერმე ღარის წყალს ასცდნენ და სასიმინდეს ამოეფარნენ. კორნელიმ თავი გამოჰყო და ნათლად დაინახა აივნის წინ, დიდ ცაცხვის ქვეშ ფარნის მაგარი ლამპით განათებული მაგიდის ირგვლივ მსხდომნი: დედა ტერეზა, ვარდო, ეფროსი ძმა სტეფანე, ტერეზას დის მაზლი იონა ჩხეიძე და სხვანი. ჩაის სმა დაემთავრებინათ. მშვიდად, მოღიმარი სახით ისხდნენ ყველანი და ტკბილად საუბრობდნენ. კორნელიმ გაიფიქრა. „როგორ მშვიდად ზის დედა, და ვერ კი გრძნობს, რომ მისგან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით ვდგავართ ახლა!“ აგოია ვეღარ ითმენდა: რას შვრები, მალე ბივიდეთ ჩვენებთანო. კორნელიმ ძაღლები დააჭერინა აგოიას. თვითონ ჩრდილს მიჰყვა და ღობე-ღობე იარა. ამ დროს აივნიდან კიბე ჩამოირბინა ნინომ და იონას გვერდით დაჯდა. იონამ რაღაც უთხრა და ყველამ ხმამაღლა გადიხარხარა. კორნელიმ გაიფიქრა: „ვაითუ ნინოსთანაც ისე ოხუნჯობს უცნაური და აუტანელი იონა, როგორც სჩვევია?!“ იონასთან

კარგი მეზობლობა ჰქონდა ტერეზას, ძმაშიც კი არ გამოარჩევდა. კორნელი ღობეს მოშორდა. ფეხაკრეფით მიჰყვა ცაცხვის ჩრდილს, ვეება ხის ტანს ამოეფარა. ახლა სულ ახლოს იდგა დედისაგან. ხელითაც მისწვდებოდა. ბოლოს სინათლეზე გამოვიდა, ერთბაშად შედგა, დამხვდურთ მხედრულად მიესალმა და ღიმილით შესძახა:

— ნება მიბოძეთ, გამოგეცხადოთ!

ყველანი შეკრთნენ. ერთი წამით ჩამოვარდნილი სიჩუმე დედის შეძახილმა დაარღვია:

— დედა, შვილო კორნელი!

ყველანი სკამებიდან წამოცვივდნენ. დედა ტერეზა ყველაზე უმალ მივარდა შვილს. ხელი მოჰხვია, მკერდში ჩაიკრა და, მეტის სიხარულისაგან აცრემლებულმა, სახე და თვალები დაუკოცნა. როგორი აღტაცებით და სიყვარულით კაეშნითა და მწუხარებით ელავდნენ ამ წუთას დედის თვალები! ტირილი სიცრცლს ეჯიბრებოდა. კორნელიმ ყველა გადაჰკოცნა: იონა, ძმა, ვარდო მაყაშვილი და, პირველად სხვათა თვალწინ, ვარდოს ქალი ნინოც. ხელი მოუჭირა და თვალებში ჩააცქერდა, თითქოს ეკითხებოდა: დაგავიწყდი თუ ვიარ? გაოცებული ნინო ძლივს ახერხებდა ღიმილს და ბავშვივით დარცხვენილი მისჩერებოდა ხან ვარდოს და ხან კიდევ კორნელის დედას — ტერეზას. ტერეზას სახლში გაზრდილი მოჯამაგირე ქალი მაიკო და აგოდას მამა დომენტი ხვედელიძე სამზადიდან გამოვარდნენ და მათაც გადაჰკოცნეს კორნელი, რომელიც ფრონტიდან დაბრუნებულ ნამდვილ ჯარისკაცს ჰგავდა. დედის თვალებში იგი სავსებით დავაჟკაცებული ჩანდა, სიმაღლეც კი მოემატებია. მზით დამწვარი სახე სამილენძისფერი გახდომია, მხარ-ბეჭი კი — განიერი. ყვრიმო ხელისგული შაშხანის ლულის თავზე ჰქონდა დაბჯენილი.

როცა ხელი-კოცნით და შეკითხვებით ვული იწყო, მერმე მივაყურადეთ, ვერ-ვიგეთ დაღლილი ჯარისკაცისაგან სკამი. კორნელი დუმდა.

— ეს რა გეყავს, ბიჭო, ასე მოფუტკრულად და ჯიჯაღურად რომ დაგვესხი თავს? — უხაროდა ტერეზას: საყვარელი შვილი უკვნებლად დაუბრუნდა ომიდან. მაინც არ იცნა და არ გათავდა ეს დასაწყისი ომი. წინათ მსოფლიო ომში

წასული უფროსი შვილის, დოსტაქრის — ევგენის დარდი ანელებდა, ახლა კი — უმცროსისა.

— დიდი ბრძოლა გქონიათ ასპინძასთან, — უთხრა ძმამ, სტეფანემ, — ევროპულ კოსტუმში გამოწყობილმა, ლამაზმა და ჩასუქებულმა კაცმა კორნელის.

— ბრძოლა კი არა, ის არ გინდა! ჭიამკვდრების, მოწაფეების და სტუდენტების ბრძოლა რა სახსენებელია? — დასცინა იონამ კორნელის.

— შენ კი გიორგი საკაძე მყავხარ! — შენიშნა ტერეზამ ენამწარე იონას. შიშობდა: ამაყი ბიჭი არ გამიბრაზდესო.

ნინომაც ისეთი დაყვავებით გადმოხედა კორნელის, თითქოს ამცნობდა: ვიცი უცნაური იონას ენამწარობა და ოხუნჯობაო.

თბილისში შემთხვევით ვნახე თქვენი ბატარეის უფროსის მოადგილე ბერეჟიანი. საცოდავი გოიგოლ ცაგურიშვილი! — თქვა სტეფანემ. ქალებმა მწუხარედ ამოიოხრეს და ნინოგონეს ის ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტი და მასთან ერთად ბედაგოგი გიორგი ჭუბაბრიაც.

— მე აჩრდილს არ დამავიწყდება გრიგოლის უკანასკნელი სიტყვები! — განაცხადა კორნელიმ.

— რა თქვა ისეთი? — ჰკითხა სტეფანემ.

— გრიგოლი, როგორც იცით, დიდი პატრიოტი იყო, ბაგრამ სიკვდილის წინ ყოველივე ანაბეჭდად მიიჩნია. მევონა, უშიშრად და გაბედულად ბოლომდე ვერისათვის, მაგრამ ახლა გხედავ, რა ძნელი და თანაც უაზრო ყოფილაო. — ბოლოს კორნელიმ.

ქალებს გულისავან სახე დაჭრელებოდათ. ტერეზა ცრემლს იწმენდდა. გულდათუთქული ოხრავდა: „ვაი შენს დედას, წკილოო!“ ოხუნჯობის მოტრფიალე იონასაც თავი ჩაეკინძრა, ცრემლმორეული თვალებით დაშტერებოდა დედამიწას; ასეთი კაცი იყო იგი: ავი და კარგიც. მწარე და ტკბილიც, ცივი, მიუკარებელი და გულთბილიც. კაცთმოყვარე. ვარდო და ნინო ჯიბოს ამბავს ეკითხებოდნენ კორნელს. ჯარისკაცნა მანამდე ვერ მოისვენა, სანამ ასპინძის ბრძოლა არ უამბო თავისიანებს. ისე შორს შესტოპა, რომ ასპინძა-ახალქალაქთან მომხდარი ბრძოლა ერთიანად გაზარდა. კორნელი მხოლოდ მაშინ შეჩერდა, როდესაც გაოცებული და უცნაურად

პირდაღებული აგოია შეამჩნია. შეხედა თუ არა მას, რაჯომ-ღაც გაიფიქრა: „ვაითუ აგოიასავით შემეკითხონ, თათარი ხომ არ მოგიკლავს და რომ დავუდასტურო, ვაითუ იონამ ჯანა-ცილოდ ამიგდოსო?!“ რა წამს ეს გაიფიქრა, მაშინვე იგრძნო, თუ რაოდენად გაზვიადებული, ალაგ-ალაგ კი მოჭორილი იყო მისი ნაამბობი ასპინძაზე და უეცრად დასძინა:

— რომელი ერთი შემთხვევა მოვიგონო? მთელი დღე დამჭირდება, ყოველივე რომ გიამბოთ.

— მერე გვიამბე, შვილო. რას გავხარ, შე საწყალო, რო-გორ გამხდარხარ! — უთხრა დედამ.

— არც ისე გამხდარია კორნელი. — დაამშვიდა ტერეზა ვარდომ.

— როგორ არა გენაცვალე, მაგრამ რახან კარისმერეთში ვიგდე მაგისი თავი, მოვდგები და რჯულზე გავასუქებ, — მიუგო ტერეზამ და შინ მიმავალ შვილს უკან მიჰყვა.

3

კიბეზე ავიდნენ. აგურის მოზრდილი სახლი კორნელის პაპის — ალექსი მხეიძის მიერ იყო აგებული. იგი ექვსი ოთა-ხისაგან შესდგებოდა.

როდესაც ალექსი მხეიძის შვილები ცოლ-შვილს მოე-კიდნენ, ხოლო ქალები დათხოვდნენ, ეს ექვსი ოთახი ძმებ-მა — ექიმმა გიორგიმ და პედაგოგმა დიმიტრიმ ამგვარად გაიყვეს: სამი ოთახი, მათ შორის დიდი სასტუმრო დარბაზიც, გიორგის შეახვედრეს, სამი კი — მის მომყოლ ძმას — დიმიტ-რის. ქუთაისის გიმნაზიის მასწავლებელი დიმიტრი ზაფხუ-ლობით მეტწილად სიღედრის სოფელში ჩადიოდა. ახლა ეს მისი სამი ოთახი გამოკეტილი იყო და თუ ბევრი სტუმარ-მოყვარე არ ეწვეოდა, ისე ტერეზა არ გაიღებდა ხოლმე.

სარდაფზე დაშენებული სახლი მთის კალთაზეა წაჰოჭი-მული. სამხრეთით და ჩრდილოეთით მტრედისფრად შეღე-ბილი ფართო ველები აშშყენებს. აივნის ერთ კუთხეს ბაღი-დან ვაზივით ამოსული, ხვეული ხეები — გლიცინიები ჰფა-რავენ, რომლებიც აყვავების ჟამს მოცისფრო სურნელოვან მტევნებს ისხამენ. აივანზე მდინარიდან და ხეობიდან მონა-ბერი გრილი ნიავი ჰქრის და კორნელისაც ამისათვის უყვარს

ზაფხულის ღამით აქ წოლა. დიდ ოთახში სასტუმრო და სასადილო ერთადაა. კედლებზე ხალიჩები ჰკიდია და იატაკზე ძველი ნოხია დაფენილი. ჭერის შუა ალაგას, მრგვალი მაგიდის ზემოთ, ძველივე ჭაღი ჰკიდია, რომელშიც ახლა ძლივს ბჟუტავს ლამპა. ფარდაგდაფენილი ტახტის წინ პატარა მაგიდა დგას. ზედ ალბომები აწყვია, რომლებშიც პაპა ალექსისა და არჩილის, დიდედა ოლღასა და დარეჯანის, მათი შვილების, შვილიშვილების, ნათესავებისა და მეგობარ-ნაცნობების სურათები ინახება. მაგიდის ირგვლივ ძველი სავარძლებია. ამბობენ ალექსიმ ისინი ვენიდან გამოიწერაო. სარკმელთან პიანინო დგას. ეს ალექსის შვილს — კორნელის მამას — ექიმ გიორგი მხეიძეს შეუძენია. ბუხრის ახლოს ბუფეტია, სარკმელებს სუფთა, თეთრი და მოქარგული ფარდები ამკობენ. კორნელის დედა, ტერეზა, სისუფთავის მოყვარული ქალია. სახლიც და ეზოც მუდამ სუფთად აქვს შენახული და მოკრიალებული. სასტუმროს გვერდით, ჩრდილოეთისაკენ, ექიმის გიორგი მხეიძის ყოფილი კაბინეტია, სადაც ამჟამად ტერეზას სტუმრები, ვარდო და ნინო ცხოვრობენ. თავისი ბეუღლის კაბინეტი ყველა დანარჩენ ოთახზე სუფთად აქვს შენახული ტერეზას; საწერი მაგიდა, წივნის სამი კარადა, ტყავგადაკრული ტახტი, სანადირო თოფი და ექიმის ხელსაწყოები...

წიგნებით გაჭედილი კარადა დარგებადაა დაყოფილი, ამა თუ იმ სახის მეცნიერებათა მიხედვით. ექიმი გიორგი მხეიძე დიდად განათლებული და ნიჭიერი კაცი იყო. მამის ბიბლიოთეკის მიმართ პატივისცემა და ფაქიზი მოპყრობა შეინარჩუნეს შვილებმა. კაბინეტი კარგა მოზრდილი ოთახია, მაგრამ სტუმრების ჩამოსვლის წერმე ტყავგადაჭიმული ტახტი ტერეზას აივანზე გაუტანია, საწერი მაგიდა კედელთან მიუდგამს და ოთახში ორი საწოლი გაუმართია: ვარდო და ნინოსათვის. კაბინეტის უკან ტერეზას საძინებელი ოთახია. კორნელიმ ამ ოთახში დაალაგა თავისი იარაღი და ბარგი-ბარხანა. ქამარი შეიხსნა. მოიწელიფა. ხელები მაღლა ასწია, გაასმორა და მიიხედ-მოიხედა. კედელზე კორნელის მიერ აკვარელით და ფანქრით დახატული სურათები და პორტრეტები დაუკიდნია ტერეზას: „შუბანი“, „სარკოია“, „გოჯასპირ“, „იონა“, „დომენტი“ და „ავთია“. ეს პორტრეტები და

სურათები კორნელის ტალანტს ამჟღავნებენ. ისინი მშვენიერ ჩარჩოებშია ჩასმული.

— რისთვის გაანებე ხატვას თავი? შენი სურათები ყველას მოსწონს, — უთხრა ტერეზამ. დედა მოალერსე თვალებით უცქეროდა შვილს. შავ ტანისამოსში იყო გამოწყობილი. ჭაღარა თმის ნაწნავისაგან დაგრაგნილი მორგვი სავარცხელით ჰქონდა გამაგრებული კეფაზე.

— გამხდარი და ფერმკრთალი მეჩვენები, დედა. გამხდარხარ, გამხდარხარო, რომ მეუბნები, ერთი შენს თავზეც დაიხედე! — უთხრა კორნელიმ.

— მოვხუცდი, შვილო. ნაშრომ-ნაჯაფი, ჭირისა და ლხინის მომსწრე-ქალი ვარ. რას არ გადაუვლია ჩემს თავზე?! ამოდენა მამულის და ოჯახის მოვლა, მისი გაძღოლა, ქვრივი ქალისათვის ადვილი არ არის! ევგენი და სტეფანე ხანდახან მეხმარებიან ცოტას, მაგრამ ის რას გაწვდება? სახლის სახურავი გამოსაცვლელია. არც ერთი კრამიტი აღარ ვარგა, ეზო შემოსაღობავია. ჭირნახულის მოწევა დიდ ხარჯს და შრომას მოითხოვს. მისით არაფერი არ მოდის. ამ არეულ და უკუღმართ დროში, ღვთის მადლით, კიდევ კარგად მაქვს აწყობილი საქმე და ოჯახიც არ დამინგრევია. სხვა ყველაფერს გაყიდიდა ჩემს ადგილზე და მოსწრებულ შვილებს მიადგებოდა კარზე, ან კიდევ, ჩემს მერე ქვა-ქვაზე დადუღებულაო — იტყოდა და ყველაფერს მიჰყიდ-მოჰყიდიდა. მე კი, ხომ ხედავ, ამ ხნის ქალი ვარ, მაგრამ მაინც მომავალზე ვფიქრობ. წელს ხუთასი ძირი ვაზი და ხეხილი ჩავყარე. არ მინდა მოვუსპო შვილებს და შვილიშვილებს მამაპაპისეული საძირკველი. მე რომ მოვკვდები, შვილო, აქაურობა, ერთბაშად დაინგრევა და გაბარტახდება. ნუ გეშინია, ისეთი რაღაც არ შემხვდეს, აქ იმუშაოს, იტრიალოს, იმურმალოს, ოჯახი და სახლ-კარი ფეხზე დააყენოს.

მიხუცი დედის ოჯახზე ფიქრი, გარჯა და ხარჯი ვერ გაიცადა კორნელიმ იმჟამად და დედას ჰკითხა:

— ახლა, სტუმრების ჩამოსვლით, მეტი საზრუნავი გაგიჩნდებოდა. კმაყოფილნი არიან აქ ყოფნით?

— რაღომ არ იქნებიან კმაყოფილნი? მასპინძლობა ჯერ არ დაშვიწყნია, სასმელ-საჭმელი, ღვთის მოწყალებით, ჯერ არ მაკლია, იუმცა შარშან, ჯაჯანა მენჯავაძის და ლუკუას

გარდა მთლიანად წაიღეს ჭირნახული ქემი ყანის მოზიარე გლეხებმა. დიდ უბედურება გველის გათავხედებული გლეხებისაგან. ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები ხომ აშკარად მტაცებლობას დაადგნენ. წაიღეს, უკითხავად დახნეს და დათესეს სიმინდი ჩვენს მიწაზე. ისეთი ხეები დაგორეს ჩვენს ტყეში, საწნახელისათვის გამოდგებოდა. — ტერეზა აღარ ათავებდა ბევრჯერ თქმულის განმეორებას, გლეხებისაგან მიყენებულ ზარალსა და შეკერწროებაზე ლაპარაკს. კორნელიმ ვერც ახლა განიცადა დედის დარდი და ისევ თავის გულისყურის საგანზე ჩამოუგდო სიტყვა:

— თუ მოეწონათ კარისმერეთი მაყაშვილებს?

— კარისმერეთის ბუნებას და ჰაერს, მადლობა ღმერთს, ვერავინ დაიწუნებს. ბინაც კარგი აქვთ და, სოფლის პირობაზე, კარგადაც მოვაწყვე. აი, ნახე! — ტერეზამ მაყაშვილთა ოთახის კარები შეაღო. აბრეშუმის საბნებით, სუფთა და უმტვერო თეთრეულით გაწყობილი საწოლები უჩვენა. კორნელიმ რბილსა და ნაზ აბრეშუმს ხელი გადაუსვა:

— ნინოს აქ სძინავს?

— სწორად გამოიცანი. — მიუგო ღიმილით დედამ და შებჯარა: — ბიჭო, მგონი შენ ნინო გულში ჩაგვარდნია! არ არის ურიგო გოგო. პირიქით, ლამაზია, კარგად აღზრდილი და ნასწავლიც, მაგრამ პარტო სწავლაშიც არ არის საქმე. რამდენი ნასწავლი ქალი მინახავს, ცხოვრება გაუმწარებია ქმრისათვის. ქალის ხასიათს ადრე ვერ გაიგებ, შვილო. ზოგი ეთხოვებამდე ინაზება, მტრედივით ღუღუნებს, მერე კი — მტრისას, დაბადების დღეს დაგაწყევლინებს! არა, ნინოს ეჭყობა, კარგი ქალი უნდა დადგეს, მაგრამ ჯერ რა დროს შენი ცოლია? ოცდაორი წლისაც არა ხარ! ჯერ უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრე, წელი გაიმავრე და მერე ცოლ-შვილიც კარგია...

— ცოლი კი არა, ის არ გინდა! — ბანზე ახუგდო სიტყვა კორნელიმ.

— შენი ძმებიც მასე ამბობდნენ: ქალს თავის დღეში არ შევირთავთო, მაგრამ ხომ ნახე, როგორ მოულოდნელად მოაჩუმათეს. არა, ესტატე მაყაშვილის ქალს ჩვენ ვერ დავიწუნებთ, ათასი გავდოთ ყავარზე კუდი, ეს ცხადია, მაგრამ...

— დედა, შენ ისე ლაპარაკობ, თითქო მე და ნინოს შო-

რის ჟველაფერი გამორკვეული იყოს და ხვალვე ჯვარისწერას ვაპირებდეთ...

— რა ვიცი, შვილო, ისე გეუბნები. თუ გიყვართ ერთმანეთი და სიტყვაც მიცემული გაქვთ ერთმანეთისათვის, მაშინ ჩემი ლაპარაკი რა საჭიროა! მაგრამ ეს ისეთი საქმეა, რომ წინდახედულება მართებს კაცს...

— ცოლი კი არა, ხომ ხედავ, ირგვლივ რა ამბავია?! ომი, ნგრევა და შიმშილი. წავიდეთ, სირცხვილია, გვიცდიან. უთხარი, პირი დამაბანინოს აგოიამ.

— აგოიას აღდგომა გაუთენდა შენი მოსვლით! ნუ გაასულელებ, შვილო, თორემ აღარავის გაუგონებს და თავზე დაგვაჯდება.

კორნელი უკანა აივნით კიბეზე ჩავიდა და სამზადში შეიხედა. ბევრი ჭირისა და ლხინის მომსწრეა ეს სამზადი. ამდენად ისტორიულიც. კერაზე ცეცხლი ენთო. ზედ ნაჭა-ჯაჭვით ქვაბი ეკიდა.

მხეიძეთა სამსახურში მოხუცებული მაიკო გახურებულ კეცებს იღებდა კერიდან მაშით, თავსაფარს ისწორებდა და დომენტის უჩენდა საქმეს, წყაროდან კოკით წყალი მომიტანეო. კორნელის ვენაცვალეო, დაიძახა მან და მის ხელში დაბადებულს და გაზრდილს მოეხვია. ომიდან უვნებლად დაბრუნებას ულოცავდა. უკვირდა: ბიჭო, ომში წასვლა როგორ გაბედეო. წინათ ჯარში ნამსახურმა გლეხმა — დომენტიმ ისევ გამოჰკითხა ომის ამბები. კორნელიმ თუთუნი თხოვა. დომენტიმ ტერეზას მიერ ნაჩუქარი რკინის კოლოფი „მონპასიე“ ამოიღო და სუფთად დაჭრილი, სოფლური თუთუნი კორნელის მიაწოდა. დომენტის ჩაბალახით წაეკრა თავი ამ სიცხეში. შავ ულვაშებში ჭაღარა გარეოდა. წვერი კი გაპარსული ჰქონდა. იგი დაბალი, ჯმუხი და შავგვრემანი კაცი იყო. ფეხზე პაჭიჭები და წუღები ეცვა. მაშით ნაკვერცხალი აიღო და კორნელის მიაწოდა. დომენტის ვაჟი — აგოია ეშმაკივით ჰკუსავდა ცეცხლით განათებულ თვალებს და კორნელის ესაუბრებოდა.

— სად შეგხვდა ეს ჭინკა? — ჰკითხა მაიკომ კორნელის.

— წისქვილთან შევხვდი! — წამოიძახა ზარივით წკრიალა ხმით აგოიამ. ქვაბიდან ამოღებულ, ორთქლმოდებულ ჭადამს სული შეუბერა, ხელისგული შემოჰკრა, ბუმბული შემოაცა-

ლა და ნაწლავების მოლოდინში ქათამზე მიგეზებული კატა ფეხით კედელს მიახეთქა. კორნელი სამზადიდან გავიდა.

სახლის უკან, ივანზე, პირსაბანი იდგა, მაგრამ კორნელიმ ხალათი და პერანგი გაიხადა, ივანზე გადაეყუდა და აგოიას მიერ წყაროდან კოკით მორბენილ ცივ წყალს შეუშვირა პეშვი. წყალი სახეზე შეისხა და განაცხადა: სოფელში სოფლურად უნდა დაიბანოს კაცმა პირიო. გულ-მკერდი ჩამოიბანა. აგოია ხელს ჰკიდებდა: აუ, რამოდენა, რა მაგარი კუნთები ჰქონიაო, —იძახოდა. დედამ შვილს სუფთა პირსახოცი და პერანგი მიაგება. კორნელიმ სატინის ხალათი, შავი შარვალი ჩაიცვა და ასე ჩავიდა ეზოში ცაცხვის ქვეშ. სტუდენტს გაუმარჯოსო, შესძახეს.

ი ო ნ ა

ვიოხუნჯოთ, მეტი რა შეგვრჩება ამ ტანჯვით სავსე წუთისოფლად? მოვკვდებით და მატლი შეგვჭამს.

ი ო ნ ა ს ა ვ ე თ ქ მ უ ლ ი დ ა ნ

1

ტერეზა სამზადში დიასახლისობდა. ჩაი ვარდომ დაუსხა კორნელის. იონამ კი ისევ დაიწყო თავისი:

— ამაოდ იკოხტავებდი ამდენ ხანს თავს. სულ ერთია, ნინოს მაინც არ მოსწონხარ! — კორნელიმ და ნინომ დარცხვენით შეხედეს ერთმანეთს. კეხიანი ცხვირის დიდრონი ნესტოები და თხელი, დამცინავი ტუჩები შეკავებული ღიმილით უთრთოდა იონას: იგი წინდაწინვე სტკბებოდა აჩემებული მსხვერპლის წამებით.

— ნინომ შემოგითვალა, — ვანაგრძობდა იონა, — იმერელი ბიჭის რა მცოდნია მაყაშვილის ქალსო!

ნინომ წყენით და ღიმილით შეჰყარა წარბები.

— ბატონო იონა, კმარა ამდენი დაცინვა!

იონა ისევ აუხირდა კორნელის:

— ნუ მიაძენი ამ ჰურს და ყველს! დამშეული ხომ არა ხარ? ვახშამზე რაღას შეჭამ? მალე გაათავე, ტყისაკენ გავბირებთ გასეირნებას!

— დაღლილს რალა სეირნობა ეჭირვება? თქვენ ისეირ-

ნეთ. მე და კორნელი დეიდა ტერეზასთან დავრჩებით, — შენიშნა ნინომ.

იონამ გადაიხარხარა და წამოიძახა:

— შენც არ მომიკვდე! ქალბატონი ვარდო სწორედ იმ ჭკუაზეა, მგელს ბატკანი დაუტოვოს!

ნინოს ეწყინა:

— ძია იონა, თქვენი ოხუნჯობის საგანი ნუთუ მუდამ მე უნდა ვიყო?

სტეფანემ უთხრა:

— ყურს ნუ უგდებთ იონას. თუკი ყურაღღება მიაქცევთ და გაბრაზდებით — გათავდა, მაშინ აღარ მოგეშვებათ.

იონამ სიცილი შესწყვიტა და ახლა კაეშნით განაცხადა:

— ეხ, ჩემო ნინო, ვიოხუნჯოთ, მეტი რა შეგვრჩება? ყველანი წუთისოფლის სტუმრები ვართ. ბოლოს მძორად ვიქცევით და მატლი შეგვჭამს. თქვენ რა გიჭირთ, ახალგაზრდები ხართ! მე ვიკითხო, ჩემი ცხოვრების შემოდგომაც რომ თავდება და ცალი ფეხი სამარეში მიდგას! — ასე უადვილებდა იონა ყველას თავისი ოხუნჯობის ატანას. ეს მისი ნაცალი ხერხი იყო. ეს ხერხი გარეკანი იყო იონას დაცინვით და ოხუნჯობით სავსე აბისათვის, რომელიც უნდა გადაეყლაპა ბოლოს მის მიერ აჩემებულ მსხვერპლს.

— ჯერ რა დროს თქვენი სიბერეა, ბატონო იონა?! — დაამშვიდა ვარდომ.

იონა მოლბა. ასეთი იყო იგი: ჯერ გაჰქირდავდა, აუქირდებოდა ადამიანს, მერმე კი მოეფერებოდა. კარისმერეობში კულტურულ საზრდოს მოკლებული იონა ახლა ნინოს აქებდა და ეხვეწებოდა: პიანინოზე დაუკარიო. ნინო აღგა და ოთახში შევიდა. ყველანი სმენად იქცნენ. ნინო ბეთჰოვენის „მთვარის სონატას“ უკრავდა. როდესაც მუსიკა დასრულდა და ნინო ცაცხვის ქვეშ მივიდა, მუსიკის ხელოვნების მოტრფიალე იონამ განაცხადა:

— ნინო შესანიშნავად უკრავდა, მაგრამ ბუნებამაც ხელი შეგვიწყო ამ ნაწარმოების ღრმა ათვისებისათვის. ეს კარისმერეთის ამ მყუდრო, წყნარ და მთვარიან ღამეს ღნდა ვუმადლოთ. მუსიკის ასეთნაირი აღთქმა ქალაქში შეუძლებელია!

კორნელი იონას დაეთანხმა და მის ნათქვამს დაუმატა:

— სტუმრებს, ნაცნობებსა და მეგობრებს მანამდე არ მოასმენინებდა ვაგნერი ბაჰირაიტის თეატრში თავის ნაწარმოებს, სანამ ქალაქიდან გამოყოლილ წვრილშახ ინტერესებისაგან და ყოველდღიურობისაგან არ განიტვირთებოდნენ. რამდენიმე დღე გრძელდებოდა ასეთი წინასწარი სამზადისი და სულიერი განწმენდა. ქალაქიდან ჩასულნი სპეციალურ სასტუმროში ცხოვრობდნენ. ბაჰირაიტის ლამაზი ბუნების ჰვრეტით სტკბებოდნენ, რაც მათ სულის სათანადო მომართვას, განწმენდას იწვევდა და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებოდა ნამდვილი ზეიმი: ვაგნერის მუსიკის მოსმენა ბაჰირაიტის თეატრში.

ახლა მუსიკასა და ხელოვნებაზე ჩამოვარდა ბაასი. მაყაშვილები ძალზე გააოცა სოფელში ჩაკეტილმა იონამ ცოდნით და თავისი დახვეწილი გემოვნებით.

2

იონას ქუთაისის გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული. ოცი წლის ჭაბუკი მოხუც მამას, მდიდარ მემამულეს ამოუდგა გვერდში და სოფლის მეურნეობას მიჰყო ხელი. სოფლის მეურნეობა მალე მობეზრდა და ისევ განათლების მიღების წყურვილმა დასძლია. პეტერბურგის უნივერსიტეტში გაემგზავრა. სამი წლის მერმე საქართველოში დაბრუნდა. დიდძალი ლიტერატურა გადაიკითხა. მას, უმთავრესად, დრამა და თეატრი იტაცებდა. ქართველი, რუსი და უცხოური შესანიშნავი მსახიობებისათვის მოუსმენია. მაგრამ დღემდე მსახიობ ლადო მესხიშვილის მთაყვანებელი დარჩა. ლადო მესხიშვილზე არ შეეძლო დამშვიდებით ელაპარაკნა. აი, ახლაც დაიწყო გაბუკობისას განცდილის თხრობა:

— აბრეშუმის ახალუხსა და წინდისფერ ჩოხაში გამოწყობილი, ირმის რქის მასრებით, ვერცხლჭედური ბუხრის ჭუდით მორთული მოვასტებოდი ბაბაჩემის ლურჯას. გავიქცეოდი აღმეთქს ტყეს, ყვირილას, სალოცავს და თქარათქურით წელიწადობით ჭუთაისში, სადაც მელოდნენ ბეგებრები, ლადო ასკერი და შეგნებიან ცეცხლის ბანელა. თვალწინ ბიჭებს ლადოს ეჭირა, ტრიალ აკოსტა, ტრანკა, ჰამლეტი... ბარბაცია ლადოს დევას და ლადოს აკლია: როგორ გვატკ-

ბობდა, ის ჯადოქარი, ღვთიური თამაშით?! ლადოსთან, შეგობრეთან ნაქეიფარი, დაღლილი და დაჭანცული ვბრუნდებოდი ქუთაისიდან სოფელში. თან მომჭონდა გაუმაძღარი სურვილები. არ მაკმაყოფილებდა უზრუნველი ცხოვრება, სიმდიდრე, ეზო-გარემო, სახლი, არც ეს წარმტაცი აივანი, საიდანაც ასე ნათლად მოსჩანს თეთნულდი, უშბა. სევდიანი თვალი იღლებოდა კავკასიონის ქედებისა და მწვერვალების ცქერით. მაგონდება ნაცნობი სიტყვები:

И над вершинами Кавказа
Изгнанник рая пролетал...

კორნელიზე ცოტა უფროსი ვიქნებოდი, რომ დავუკარგე მშვიდობა სულსა და ის, რაც დემონზე და სატანაზე იყო თქმული: „Собраніе зол, — его стихия", ადამიანზე ზედგამოჭრილი მიმაჩნდა. ამ სახლის აივანზე ვიზეპირებდი კაეშნით მოცულ ბარათაშვილის „სულო ბოროტოს" ლერმონტოვის „დემონს", ბაირონის „მანფრედს". უნებისყოფო და ეჭვით შეპყრობილი დანიის პრინცის — ჰამლეტის მონოლოგს: „ყოფნა არყოფნას". დღეს ვიცი, რა იწვევდა ჩემში სასოწარკვეთილებას და პესიმიზმს. ნუ გავიწყდებათ, რომ მე გარს მერტყნენ უსაქმონი: ღარიბთა შრომით, ტანჯვითა და ოფლით გამაძღარნი. შევიგნე ყოველივე ეს და ხმაც ავიმაღლე: გავექეცი იმ წრეს და მივედი ხალხთან. ხალხი ყველაზე უფრო დიდი მკურნალია პიროვნებისა. კორნელი და ნინო, თქვენ აღარ დაგჭირდებათ იმ ბედუკუღმართი გზის გავლა, რადგან ჩემზე უფრო ბედნიერი თაობის, რევოლუციისა და თავისუფლების შვილები ხართ.

— ვინ იცის, რომელი თაობა აღმოჩნდება უფრო ბედნიერი! — შენიშნა ვარდომ.

— ნუთუ ეს გეეჭვებათ? მაშ პროგრესი და წინმსვლელობაც აღარ იქნებოდა! — შენიშნა იონამ.

— რევოლუცია, რომელიც კაცობრიობის წარსულ და თანამედროვე კულტურას დაუნდობლად ანგრევს და ბარბაროსულად ანადგურებს, ნუთუ წინსმსვლელობა გგონიათ? — ჰკითხა ვარდომ. იონა მოულოდნელობისაგან სახტად დარჩა. კორნელიმ გაიღიმა და იონას მაგივრად მიუგო:

— განა შეიძლება გამოიჩეკოს წიწილა, თუ მან არ გასტეხა კვერცხის ნაჭუჭი?

კორნელის პასუხი უხეშად მოეჩვენა ვარდოს და დარცხვენით ჩაჰკიდა თავი. სტეფანე შეეცადა საუბარი სხვა საგანზე გადაეტანა და ახლა ჩოლოქის ბრძოლაზე დაიწყო ლაპარაკი:

— იქ თურქები საგრძნობლად დაზარალდნენ ჯავშნიანი მატარებლის მეოხებით, ჭერეხებივით ეყარნენ ასკერები ბრძოლის ველზე. სადგურ სუფსაზე ესტატე და პლატონ მოგველაძე ვნახე. „საქართველოს დამოუკიდებლობის“ გამოცხადების მერმე ესტატე მაყაშვილი თბილისში წავიდა, ხოლო პლატონი კარისმერეთის მახლობელ სოფელში — მშობლებთან.

იონა პლატონის მეგობარი იყო და მის ნიჭსა და ცოდნას დიდად აფასებდა. ფილოსოფიაზე და ხელოვნებაზე ქუთაისში გამართული არც ერთი მისი ლექცია არ გამოუტოვებია. პლატონი რამდენჯერმე ყოფილა იონასთან კარისმერეთში. იონას თავი მოსწონდა ასეთი „დიდი“ ქართველი ინტელიგენტის სტუმრობით. ახლაც საგანგებოდ გაუგზავნია წერილი. მისგან პასუხი მიუღია. ესტატე მაყაშვილი ამ ოთხ დღეში უნდა ჩამოსულიყო და იონაც ამ დღისათვის ეპატიჟებოდა პლატონს. გულჯიბიდან პლატონ მოგველაძის წერილი ამოიღო და კორნელის გაუწოდა. კორნელიმ წაიკითხა.

„ძვირფასო იონა! დიდად მადლობელი ვარ მოპატიჟებისათვის! მელიდე: თავს დაგესხმით ჩერქეზული ბედაურით. დაამზადე: ალისფერი ღვინო, ჩვენ რომ „ერეკლე მეორე“ ვუწოდეთ! ძრწოდეთ: ღვინის სმაში ყველას დავჯაბნით! ვეჭვობ, მოგვაკლდეს: ხანისწყლის სახელგანთქმული კალმახი, ფორაჯიანი, წითელი წინწკლებით დამშვენებული. ზედასენიც ვინახულოთ: უცნაური ოტია მდივანი. საცნაურია მეტად: ჰომეროსის მოხუც გმირებს მაგონებს იგი! იქნება ისევ წრეგადასული ლხინი ქართველთა: მის მეუღლისგან გრიგალივით დარხეული დაირა გავაგიჟებს: თვითონვე მოითხოვ ცოლიკაურით სავსე ყანწს! საამოა: სტეფანე მანდ ყოფილა! ხანისწყალმა განვაბანოს პოეზიის სუფთა და ანკარა ტალღებით! შუბანის ნიავმა გაგვიგრილოს მჭმუნვარე შუბლი! მომაქვს შენდამი მოძღვნილი ლექსი: „Sic transit Gloria Mundi“.

მომიკითხე პატივისცემით: ქალბატონი ტერეზა, ვარდო და ნინო, ნეტავ სად არის ამჟამად ჩვენი ჭაბუკი — ვუნდერკინდი კორნელი?

მარად შენი: პლატონ მოგველაძე".

ამ წერილიდან კორნელიმ გაიგო, რომ პლატონ მოგველაძე, მისი მეტოქე, სამი დღის მერმე დედამისის სტუმარი იქნებოდა, რადგან იონას ქოხში საპატიო სტუმრის მიღება შეუძლებელი იყო. იონას სტუმართა პატივისცემა ხარკად აწვა ტერეზას.

— მართლაც მიხარია, სტეფანე, შენ რომ აქ დაუხვდები მას. ხომ იცი რა განათლებული კაცია და შენთან საუბარი ესიამოვნება, — უთხრა იონამ სტეფანეს.

— პლატონს ცოდნა აქვს, მაგრამ ყოველგვარი სისტემის და მეთოდის გარეშე, და ეს იმიტომ, რომ მას არ მიუღია მტკიცე ფილოლოგიური განათლება, — შენიშნა სტეფანემ.

— პლატონს განათლება აკლიაო, ამას ვინ დაგიჯერებსო?!

— დაუჯერებელი არაფერია, რადგან ის ყოფილი სემინარიელია, მერმე იურევის მეორეხარისხოვანი უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა. ისეთი სკოლა, როგორიც მე გავიარე ფილოსოფიისა და ლიტერატურის პროფესორებთან: ჩელპანოვთან, გილიაროვთან, დაშკევიჩთან, პერეტცთან, პიპინთან და დე-ლა-ბარტთან, მას არც კი დასიზმრებია! — იწყინა სტეფანემ.

— კი, მაგრამ მან ხომ გერმანიაში დაამთავრა ბოლოს უნივერსიტეტი! — შენიშნა იონამ.

— მას გერმანიაში სამოწყალოდ მოუწერეს ხელი დიპლომზე და მაშინვე შინ გამოისტუმრეს, როგორც ჩვეულებრივ ისტუმრებენ ხოლმე ჩამორჩენილი ქვეყნების, შავკანიან და ყვითელკანიან მსმენელებს ევროპიდან, — მიუგო სტეფანემ.

— აღდგომა და ხვალეო, ხომ გაგიგონია. აი, ჩამოვა ის კაცი და ვნახოთ, რომელი აჯობებთ კამათში?!

— როგორ ვეკამათოთ ისეთ ადამიანს, რომელიც მაგალითად, სერიოზულად ამტკიცებს: რომანტიზმი, როგორც ლიტერატურული სკოლა და მიმართულება, ფილოლოგების მიერ მოჭორილი ამბავიაო?

— ტყუილად აძაგებ პლატონს: იგი დიდი ინტელიგენტია,

ფილოსოფიურად გახსნავლული ადამიანი, პოეტი, უსთეტიკოსი და ორატორი, შენ კი ვინ გიცნობს? — ჰკითხა უტიფრად იონამ სტეფანეს.

— ის შენისთანა პროვინციელ ადამიანებს ატყუილებს და აჯადოებს. არც მინდა პლატონისმაგვარი ლათაიებით გავდიოდე ფონს და ისე მიცნობდნენ, — მიუგო სტეფანემ.

კორნელიმ უფროს ძმას დაუჭირა მხარი და ახლა ერთად უტევდნენ იონას:

— მე თვითონ გახლავართ მოწმე: პლატონის ცოდნა ქართული პოეზიისა და ბერძნული ლიტერატურის დარგში, ხუთი ლექციით ამოიწურა. მისი ყალბი სტილი ამ წერილიდანაც სჩანს. ცხენზე ჯდომა მე ვასწავლე, საცოდავს, ბატარეაში, და აქ კი იკვეხნის: თავს დაგესხმით ჩერქეზული ბედაურითო. წარმომიდგენია, რა ყალბი იქნება შენდამი მოძღვნილი მისი ლექსი! — განაცხადა კორნელიმ. მას ძლიერ სწყინდა, რატომღაც, პლატონი რომ წერილში „ჭაბუკს“ უწოდებდა.

— კუმ ფეხი გამოჰყო, მეც ნახირ-ნახირო, შენზეა ნათქვამი. ჯერ ლექსი არ მოგისმენია და წინასწარ ჰკილავ?! ეს დიდი ადამიანი გულწრფელი აღტაცებით მოდის ჩვენთან. ხომ ხედავ, იწერება: მიხარია, სტეფანე მანდ ყოფილაო. ნეტავ კორნელი სად არისო? რად იცით კაცის ასეთი ახირება? — სწყინდა იონას, თანაც ეშინოდა: ტერეზას გული არ აუცრუონ შვილებმა და, ჩვეულებრივი მასპინძლობისა და დარდიმანდობის ნაცვლად, პლატონს ციკვად არ შეხვდესო. მაგრამ ტერეზა იონას მიემხრო:

— იონა, განგებ გაბრაზებენ, თორემ პლატონ მოგველაძე რომ დიდი და განათლებული კაცია, ეს თვითონაც კარგად იციან. შენ არ იყავი, კარისმერეოილან რომ ქუდმოგლეჯილი გარბოდი ქუთაისში მივველაძის ლექციებზე? — ამსგავსებდა თავისი შვილი სტეფანე ტერეზამ.

იონა დაშვიდდა.

მთვარიან ღამეს

ნუ უკიჟინებ, სატრფოო,
შენსა მგოსანსა გულისთქმას...:

ნ. ბარათაშვილი

ნავახშმევს ყველანი ტყისკენ გაეშურნენ. ვენახი გაიარეს, ჭიშკარი გააღეს და მერმე მთვარით განათებულ მინდორზე გავიდნენ. მინდვრის კიდეზე მუხნარი იყო. იქვე ისეთი მწვანე, ნაზი და ხავერდოვანი მთები აზლუდულიყვნენ, თითქოს მხატვარს მთელი თავისი უნარი და საღებავი გაუღია იმისათვის, რომ ეს სინაზე და ხავერდოვანი მწვანე ფერი სრულყოფილი გაეხადნა. ვარდო, იონა და სტეფანე ერთად მიდიოდნენ. კორნელი და ნინო კი მოშორებით, ისე რომ მათი საუბრისათვის ყური არ მოეკრათ.

— რა აუტანელი ყოფილა იონა, — უთხრა ნინომ კორნელის.

— მისი გარდაქმნა შეუძლებელია. ამას უნდა შევურიგდეთ.

— იმ თავის პატარა და ღარიბ ქოხში რა ჩინებული ბიბლიოთეკა ჰქონიათ მართლა, კორნელი, რისთვის ცხოვრობს იონა ისეთ ქოხში? — ჰკითხა ნინომ.

კორნელიმ შორიდან დაიწყო:

— იონას მამას ლევან ჩხეიძეს, თვალუწვდენელი საყანე ადგილები, საძოვრები და ტყეები ჰქონია. ცხენის ჯოგი, ხარკამეჩის ნახირი ჰყოლია. მის ტყეში მოჭრილი შეშა ნახევარ ქუთაისს ამარაგებდა. ერთი სიტყვით, მდიდარი მემამულე, მკაცრი კაცი, გლეხების მტანჯველი ყოფილა. იონა წასჩხუბებია მას ამ ნიადაგზე და, ხალხოსნური იდეებით გატაცებულს, დაუგმია მემამულეთა და თავადაზნაურთა ცხოვრება, როგორც თვითონვე გიამბოთ. იგი დაჩაგრული გლეხკაცების მოტრფიალე და მისი მფარველი გამხდარა. იონა მამას გაჰყრია. მიწის მცირედი ნაკვეთი აუღია, იმდენი, რამდენსაც საკუთარი შრომით დასძლევდა. შიგ ფიცრული, ქოხისმაგვარი ის პატარა სახლი ჩაუდგამს. თავდაპირველად ძლიერ უჭირდა თურმე იქ ცხოვრება. თავადაზნაურობას ჭკუაზე შემცდარ ადამიანად გამოუცხადებია. კარისმერეთის გლე-

ხობა და მთელი თემის მოსახლეობა კი თავის მოამაგეს ხედავს ამ უცნაურ ადამიანში. საავადმყოფო, მდინარეზე ხიდი, სკოლა, თეატრი, სამკითხველო მისი თაოსნობით დაარსდა ამ დაბაში...

— ძალიან საინტერესო ადამიანია, — შენიშნა ნინომ.

— ეგ საინტერესო ადამიანი არაერთხელ გაგვიშრობს ჩვენ სისხლს კარისმერეთში, — წამოსცდა კორნელის.

ნინომ გაკვირვებით შეხედა. კორნელიმ თავი გაანება იონას და ნინოს ჰკითხა:

— როგორ მოგეწონათ კარისმერეთი?

— კარისმერეთი მშვენიერი ყოფილა. საუცხოო ბუნებაა! — მიუგო ნინომ. მუხასთან შეჩერდა და მთვარით განათებულ, ცხვირწინ ამართულ მთებსა და ტყეს მიმოავლო თვალი. ფეხზე მესტების მსგავსი წითელი წუღები ეცვა და კორნელის დაბალი ეჩვენა. მკლავებიც თითქო უფრო დაწვრილებია და მკერდიც არ ედგა ისე მაღლა. იქნებ ეს ამ შილიფად შეკერილი საშინაო კაბის ბრალიაო, — გაიფიქრა კორნელიმ. თვალში წუხილი და სევდა შეატყო მაყაშვილთა ასულს და ჩუმად უთხრა:

— რა ბედნიერი ვარ, თქვენ რომ აქა ხართ?

— კარისმერეთში თქვენი ჩამოსვლის იმედი, ამდენ ლოდინში, კინაღამ დამეკარგა!

კორნელიმ აღელვებული ხმით მიუგო:

— მე მხოლოდ აქ ჩამოსვლის იმედით ვცხოვრობდი!

— რისთვის არ მოიწერე ბორჯომიდან წერილი? — „შეპირებით“ დაიწყო ნინომ, — არ ვიცოდი, ბორჯომში იყავი თუ ისევ ტრონტზე. არ ვიცოდი რა მეფიქრა? დეპეშა მაინც გამოვეგზავნე: დამაშვიდებდა. კარისმერეთში ასეთი ლამაზი ბუნებაა, მე კი ოთახიდან არ გამოვდიოდი და დღედაღამ ვკითხულობდი თქვენი ბიბლიოთეკის წიგნებს. არავინ იცოდა მისზეზი ჩემი კაეშნისა და, რადგან არავინ იყო ისეთი, რომ გამეზიარებინა ჩემი ფიქრი, ეს კიდევ უფრო მტანჯავდა. არ შეიძლება ასეთი გულცივობა, კორნელი! — ოდნავ გაბრაზდა ნინო და მერმე ისევ მოფერებით უთხრა: — მაპატიე ეს საყვედური.

— ძვირფასო ნინო, ყოველივე იმის შემდეგ, რაც ჩვენს ქორის მოხდა, განა შენი დავიწყება შემიძლია? — კორნელიმ

ხელი მოჰკიდა მის პატარა, გრილ ხელს და ქალი მუხის ჩრდილში მიიყვანა.

— კორნელი, ნინო, ნუ იმალებით მუხის ქვეშ! — დაიძახა ამ დროს იონამ.

კორნელის იონასთვის არ უპასუხნია. ხელი გაუყარა მკლავში ნინოს და ასე წაიყვანა მთვარით განათებულ მინდორზე, ისე ნელა, კაცი იფიქრებდა: კი არ მიდიან, მისცურავენო.

ცოტა ხნის მერე ვარდომ საათს დახედა და განაცხადა:

— პირველი საათი ყოფილა! კორნელი დაღლილია. უნდა მოისვენოს. ნინო, შენი დაწოლის დროც გავიდა!

როდესაც შინ მივიდნენ, ვარდო და ნინო გამოემშვიდობნენ მხეიძეებს.

ტერეზამ აივანზე გაუშალა ლოგინი შვილს, მამის ყოფილ ტახტზე. თუმცა სტუმრები, ვარდო და ნინო დაწვნენ, მაგრამ იონა, სტეფანე და კორნელი კიდევ დიდხანს საუბრობდნენ. ლაპარაკობდნენ მსოფლიო ომზე და თურქეთთან ომზე. ევროპის ქვეყნების პოლიტიკაზე, საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს მომავალზე. ტერეზას რული მოეკიდა. ის და სტეფანეც მალე წავიდნენ დასაძინებლად.

იონა კიბეზე ჩავიდა. ღობეს მიადგა. თავის პატარა ეზოს ჭიშკარი გააღო და თავის ქოხისაკენ ნელი ნაბიჯით გაეშურა. იგი მარტოხელა, უცოლო კაცი იყო. კორნელი აივნის სვეტთან იდგა და იონას უცნაურობაზე, მისი ხასიათის ორმაგობაზე და მარტოობაზე ფიქრობდა. მერმე აჯამეთის ტყეს და მთას — შუბანს გაჰხედა. დიდი სიჩუმე იდგა კარისმერეთში. სიჩუმეს ხანისწყლის გრიალი და შხუილი არღვევდა. ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი, კარისმერეთის ცა ღვიოდა და ლაპლაპებდა გაჩირაღდნებული საყდრის გუმბათივით. მთვარის ნათელი სათიბის ბოლოში აღმართულ მთებს დასდგომოდა. მთებში მთვარის შუქი სვეტებად ჩამდგარიყო. მსუბუქი ბერუსით შოცული შუბანი და მიმყოლი მთებიც ნათლად გამოიცქირებოდნენ. თითქოს ჰაერივანი, უსხეულო არიანო, გადნებიან და სივრცეში გაწყრებიანო. ძამეწყრომე ეწუცდია კორნელის, გაბაფხულის და ზაფხულის მთვარიან ღამეში, ასეთი სათუთი გრძნობა იმკრეთის ამწუანებელი არემარისა და ნაზი მთების ჭვრეტისას. პირველად ბავშვობის

ქამს განიცადა: ეზოში ქოლგასაით გაშლილ ამ დიდი ცაცხვის ქვეშ. მას აქეთ მეორდება დიდი ბუნების წინაშე სიმშვიდით და რაღაც შეუცნობელი კაეშნით სავსე ის განცდა. ასეთი განცდა ასუფთავებს და ამაღლებს მის სულს.

ტახტზე ჩამოჯდა. ტანისამოსი გაიხადა. სკამზე დააწყო. დაწვა. აბრეშუმის საბანი გადაიხურა და მშობლიური სახლის ჟივანზე მკვდარსავით დაეძინა.

ქარისხვრევის პატარა ამბავი

არსად ისე არ მკლავნდება ადამიანის ხასიათი, როგორც იმაში, თუ რა მიაჩნია მას სასაცილოდ.

გოეთე

1

ირიჟრაჟებდა თუ არა, კორნელის დედა, ტერეზა, მაშინვე წამოდგებოდა. დომენტის, მაიკოს და აგოიას სამუშაოზე დააყენებდა. დღიურად დაქირავებულთაც საქმეს მიუნაწილებდა. მერმე ეზო-გარემოს. შემოუელიდა. ხილზე ბავშვივით იყო გაწუწკებული ტერეზა. საშინაო კაპას დაიკარწახებდა, ცეხანში ბალახში არ დამისველდესო, ბაღში შევიდოდა და კალთას მწიფე მსხლით, ატმით, ლელვით, ან სხვა ხილით აივსებდა. ყველაზე კარგებს გამოარჩევდა, ღრმა ოეფშზე დაალაგებდა. სკამზე დასდებდა კორნელის სასთუმალთან. გამოიღვიძებდა თუ არა კორნელი, მაშინვე გაუწვდიდა ხელს მწიფე, დაცვრილ, ცივსა და ახალმოკრეფილ ხილს. ჩაუველდა აგოია აივანს და უსათუოდ გადახედავდა კორნელის: ჰკვიძავს თუ ისევ სძინავსო და, თუ მღვიძარს ნახავდა. გაეხარდებოდა, კვიცვით დაიჭიხვინებდა, შეიკუნტრუშებდა. აივანზე აირბენდა. ძაღლები „როია“, „ლელა“, და „ბახარე“ თავზე ახტებოდნენ. აივანზე შლიგინი და აურ-ბაური ატყდებოდა. მერმე აგოია საბნის ქვეშ შეაცურებდა ხელს და ქალბატონის შვილის შიშველ ფეხისგულს მოსძებნიდა: უღიტინებდა. კორნელი ფეხს გააქნევდა. მოხდებოდა, ისე რომ შემთხვევით მოახვედრებდა ფეხს, კბილში სისხლს გამოა-

დენდა ან თვალს დაუზიანებდა. აგოია ხელს მიიფარებდა სახეზე და ზლუქუნით მიეყრდნობოდა კედელს. კორნელი წამოხტებოდა, დაშავებულ ადგილს დაუთვალიერებდა. მოფერებით ჩაიხუტებდა ყმაწვილს და ეტყოდა: მაპატიე, უეცრად მომივიდაო, და მაშინ, როგორი ტკივილიც არ უნდა ჰქონოდა აგოიას, იგი მაინც გაიცინებდა: ხშირად მოიგონებდა კიდეც, მეტკინაო, ოღონდ კი წამოეგდო ლოგინიდან კორნელი. მეორე დილით ისევ შეუჩნდებოდა კორნელის, რისთვისაც ტერეზა დაუცაცხანებდა, მუჯლუგუნის კვრით გააგდებდა უკანა კარში. ახლა დედა-შვილს შორის დაიწყებოდა დავა:

— რისთვის სცემ, ცოდვაა! — ეტყოდა საყვედურით კორნელი.

— ვცემ კი არა, უარესსაც ვუზამ! შენი ჩამოსვლის წემდეგ გავირდა, მუშაობაზე ხელი აიღო და გამოსულელდა. სტუმრებს არ აძინებს, — უპასუხებდა ტერეზა განებივრებულ შვილს.

მხეიძეების ოჯახში არავინ იყო აგოიას ტოლი და ვისთვის უნდა აება მას მხარი, თუ არა კორნელისათვის? დედა ადრე გარდაცვლოდა აგოიას. სიზმარივით ახსოვდა მისი ალერსი და ხანდახან თუ ტერეზა თბილ სიტყვას ეტყოდა ან გაუცინებდა, ისე გაუხარდებოდა, თითქო ცა გაეხსნაო. ზაფხულობით, წვიმა-ავდრის დროს, საკუჭნაო ოთახში აწვენდნენ. სხვა დროს კი უკანა აივანზე. დაკონკილ საბანში გაეხვეოდა და გვერდზე მეგობარი ძაღლები მიუწვებოდნენ. კორნელი დიდხანს დააცქერდა ერთ ღამეს ამ ინტიმურ, ჰაგვამ დამამწუხრებელ სურათს. შეეცოდა აივანზე ძაღლებთან ძაღლურად მიგდებული ყმაწვილი. ტახტი გამოატანინა საკუჭნაო ოთახიდან დედას და, დიდი კამათის შერმე, მათხოვრული ლეიბი და საბანიც გამოაცვლევინა. იონას უხაროდა: კორნელი მე დამემსგავსაო, — იკვეხნიდა.

2

დღეს დურგალი იულო ეწვია ტერეზას. მხეიძეები შინაურ კაცად სთვლიდნენ მას. სტეფანე მისი ვაჟის ნათლია იყო. ესეც რომ არ ყოფილიყო, თითქმის ორმოცი წელია,

მხეიძეებისას მუშაობს იულო: სახლის, სამზადის სახურავს, სასიმინდეს, ხულას, საღორეს, ტახტებს და მაგიდებს — ყველაფერს მას აკეთებინებს და განა ეს არ კმაროდა ახლობელი გამხდარიყო ტერეზას ოჯახისათვის იგი? აშალაშინებდა ფიცრებს გახუნებულ, ცისფერ ახალუხის ამარა, თვითონვე ფიცარივით გათხელებული, კაფანდარა ბერიკაცი და თან სტეფანეს და კორნელის ედავებოდა „ბალშენიკების“ და „მენშენიკების“ თაობაზე. სოციალისტები ურჯულოები და ქვეყნის დამაქცევრებად მიაჩნდა. ჩამოხეულ თვალს მოჭუტავდა და სოფლის ჭორების გუდას მოხსნიდა თავს. ორი ღერი რუსულიც იცოდა და კამათის დროს „პოსტოი-პოდოჯდის“ იძახდა. აი, დღესაც შალაშინიდან ბურბუშელას იღებს, ნეკსა და შუა თითს უჩვენებს კორნელის და ნიშნის მოგებით ეუბნება:

— ქვეყანა ღმერთს ვერ გაუსწორებია და სოციალისტები გაასწორებენ?

კორნელი იღიმება და ეხვეწება:

— შენ ეს ძელები გამისწორე, გამირანდე, ქვეყნის გასწორებას კი შენ არავინ გეკითხება!

კორნელიმ ბოძები ჩაარჭობინა მიწაში ერთი ადლის სიღრმეზე და რიყის ქვებით ისე მაგრა მოაბეკნინა, სამი უღელი კამეჩიც ვერ მოარყევდა და მოსთხრიდა. ოთხ ბოძზე მაჯის სიმსხო, ლარივით სწორი ძელქვის ორი ძელი დააჭედინა პარალელურად. მერმე ჩეხური სავარჯიშო ტანისამოსი ჩაიცვა და ორძელთან მივიდა. ნინო და აგოია უყურებდნენ. კორნელი ორ ძელს შორის შეიჭრა, მკლავები გაშალა და ორძელს დაახტა. ქანი, ამართი, ყირა გააკეთა. ყირიდან იღლიით ტრიალზე გადავიდა. მერმე ისევ წინშვერი, ამართი გააკეთა და მარჯვნივ გადახტა. ეს შვიდი ელემენტისაგან შემდგარი ვარჯიში სწრაფად, ლაღად, რიტმულად და სუფთად შეასრულა. ხანისწყლის კალმახივით მოიქნევდა ხოლმე ამოდენა ტანს. განცვიფრებული აგოია შეხტებოდა, მუხლებზე შემოიკრავდა ხელს, „დედაიას“ დაიძახებდა და მერმე კოლინდარზე წაკოტრიალდებოდა. ტერესა თვალს არიდებდა კორნელის: „კინჩხს მოიტეხო“, — უყვიროდა. იულო კი ბავშვივით იცინოდა და გაოცებული იძახდა: „შეხედე, ამ ტურასო!“

ნინოს თეთრი ხალათი და შავი სავარჯიშო ტრუსები ჩა-

აცმევინა კორნელიმ, ორძელთან მიიყვანა, მკლავებით ბჯენი და ქანი უჩვენა. მუხლის თავამდე სწვდებოდა ნინოს აჭარლის შარვალივით განიერი, ბანდურა ტრუსები. იქნებ ამიტომაც სჩანდა შავი წინდებით შემოსილი მისი წვივები ვიწრო და წვრილი. კორნელიმ ხელისგული შეახო წელზე ნინოს. უბიძგა. მერმე წინშვერი გააკეთებინა.

წინშვერისათვის ნინოს ძალა აღარ ეყო. სარმასავით მოქნილი ფეხები აუკანკალდა. მარჯვენა ხელისგული მიაგება კორნელიმ, -ზედ ასულის ფეხთა სიმძიმე დააწვა. მარცხენა ხელით წითელმესტებიანი ფეხის ცერები გადაუწია, გაუსწორა და როცა ფეხისგულს შეეხო, ნინოს კისკისი აუტყდა, ღონე გამოელია, ქანცმილეული ორძელზე იღლიებით დაეცა და სათუთი ხორცი დაიბეგვა. სახე შეეჭმუხნა ტკივილით. მკლავი მოჰხვია კორნელიმ, ორძელიდან ჩამოიღო და მერმე კიდევ უფრო მაღლა ასწია. ბალღივით მჩატე ეჩვენა. გაუკვირდა ნინოს: რა ადვილად ამიტაცა ამოდენა ქალიო. აივანზე იონას ხარხარი და ძახილი გაისმა:

— კარგად არ ასწავლის ეს ბიჭი ამ ქალს ვარჯიშობას?!

კორნელიმ მიწაზე დაუშვა ნინო და იონასკენ დარცხვენით და წყენით გაიხედა.

ტერეზამ სამზადის ყავარაყრილი და სახლის კრამიტგადახდილი სახურავი უჩვენა იულოს და მისი შეკეთება სთხოვა. სშირი წვიმა, ქარბორია და ზენაქარია იმერეთში სახურავის მტერი. წვიმა ალპობს ყავარს. ზენაქარი ჰგლეჯს და ამტვრევს ყავარსა და კრამიტსაც.

— ყავარი და ფიცრები სარდაფში მიწყვია და ის გაიხმარე, — უთხრა ტერეზამ იულოს.

— შენი ოცი ყავარი ეყოფა ამხელა სახლს? ხომ ხედავ, სულ მთლად დამპალა ყავარი. სამზადი ახლად დასახურავია, — შენიშნა დურგალმა.

— შენ რასაც გეუბნებიან, ის გააკეთე, სწავლებას თავი გაანებე, — იწყინა ტერეზამ.

დურგალმა ეშმაკური ღიმილით გადახედა. იცოდა ხელნაშვილნი და ფხიკიანი ქალბატონის ხასიათი. მაგრამ შეჩვეული იყო მჯიღნის ქალთან პაექრობას, კამათს და არ ვრიდებოდა. სახურავისკენ ბირდაბირივით გაიქნია ხელი და რესულად მიაძახა:

— ნოვი ნადა, ტერეზა, ნოვი!

ტერეზა გაბრაზდა:

— ახალ სახურავს, ახალთახალი და ტკიცინა ასიგნაციები სჭირია. ფული ვინ მომცა, შე გამოშტერებულო!

დურგალს წაბლისფერი, აცრემლებული და მოჭუტული თვალები უღიმოდნენ. ჭალარა წვერი ვაციცით ააცანცარა, გაიცინა და გაბრაზებულ ქალბატონს მიახალა:

— ფული შენ თუ არა გაქვს, აბა, ვის უნდა ჰქონდეს კარისმერეთში, შე ტუტა?!

უკბილო, ჩია და ფიცარივით გათხელებული დურგალი გულუბრყვილო ბავშვივით უღიმოდა ახლა ტერეზას. ტერეზამ შებედა და სიცილი წასკდა. ამან უფრო გაათამამა იულო. ზედიზედ მიაყარა ქალბატონს: ტუტა, ტუტა, ტუტაო. ხელი წაავლო მკლავში, ფეხების ბაკუნი დაიწყო. ფიქრობდა: ხომ ხედავ, ტერეზა. მთელი შენი ასავალ-დასავალი ვიცი. ტერეზამ ისე ხმამაღლა გადაიხარხარა ეზოში, რომ სამზადიდან გოგო-ბიჭები — მაიკო, დომენტი და აგოია გამოცვივდნენ — რა აცინებს ქალბატონსო. ქალბატონმა უმალვე თავი დაიჭირა და ახლა მწუხარე სახით მოჰყვა ყველას გასაგონად საყვედურებს:

— რომელი მილიონერი მე მნახე!.. ფული საიდან მექნება? რა შემოსავალი მე გამაჩნია, ქვრივსა და ობერს? ნუ გეშინია, ჩემი ქმარი თავზე არ მადგეს და ეს ეზო სავსე არ იყოს მოხარჯებული ურმებით და ზედ მწოლიარე ავადყოფებით?!

იულომ მიუგო:

— სასაყვედუროა შენ რა გჭირს? ცხონებულმა გიორგიმ კარგი შვილები დაგიტოვა და, ალბათ, ევგენი და სტეფანეც უმოწყალოდ ხვეტენ ქალაქში ფულს!

ტერეზამ შუბლი შეიჭმუხნა:

— ცოლშვილიან ადამიანს ამ დროში რა ფული გადარჩება? კორნელი კი თვითონ დახმარებას და ხელისშეწყობას საჭიროებს: ხომ ხედავ, კისერს იტეხს აგერ ავოიასთან ერთად?!

ბოლოს დურგალი დათანხმდა თავნება, ჯიუტ და ენამჭევრ ქალბატონს. მეორე დღეს სარდაფიდან ყავარი გამოიტანა, ტყეში სარტყლები, ბასკენი, ფინები, ლარძაყინები გამოთა-

ლა და სამზადის სახურავზე დაცუცქდა. ყავარს რიგზე აწყობდა, ფინს და ბასკენს გადაუჭერდა, დაჰბურღავდა, პირით დაჭერილ, ფართოქუდიან ლურსმნებს ნაბურღში ჩაარჭობდა და დილიდან საღამომდე ჩაქუჩით აჭედებდა.

სახურავზე კორნელი კიბით ავიდა და იულოს გვერდით მიუჯდა. აქედან ხელისგულივით სჩანდა კარისმერეთი, ბახარი, აჯამეთის ტყე, ჭალები, ზურმუხტისფერი, ხავერდოვანი მთები და შორეული კავკასიონი.

— მოდი, ის ყავარი მომაწოდე! — უთხრა იულომ კორნელის და საქმე გაუჩინა.

იულო ძველ და ახალ ყავარს ერთმანეთზე აწყობდა. ოსტატურად, დაუცდენლად აჭედებდა ჩაქუჩით გრძელ ლურსმნებს, ისე, რომ ერთიც არ გაუღუნია. თანაც რაღაც უცნაურად ღიღინებდა დალეული და ჩია ოსტატი. გახუნებულ, ზოლებიან, ათასნაირად დაკერებულ ცისფერი ახალუხის მარა იყო და ასე ირხეოდა სახურავზე ბოლოქანქარასავით დაცუცქული.

— შენ თებერვალისტი ხარ, ნაცია-დემოკრატი, თუ ჭენშენიკი? — მოულოდნელად ჰკითხა კორნელის.

— მე არც ერთი არა ვარ! — მიუგო კორნელიმ.

— ხალხისათვის ყველა ურგებია. ხომ ხედავ: ხალხი ჭიმშილით კვდება, ხოლო მენშენიკი კომისარი იოკიმე აბულაძე და პოლიკარპე ვაწაძე კი ტახივით ჩასუქდნენ, ფეხებზე ჰკიდიათ საწყალი და გაჭირვებული კაცის ცხოვრება! — შენიშნა დურგალმა.

იულო გვიან მოეკიდა ოჯახს, წვრილი შვილების პატრონი, იგი დურგალიც იყო და, ამავე დროს, ყანის მუშაც. დაუღალავმა და მძიმე შრომამ ადრე მოსტეხა ფარგასავით გამხმარი და კაფანდარა კაცი. მძიმე შრომასა და სიღატაკეს გონებაც დაუჩლუნგებია.

„მას სრულიად არ ესმის, თუ რა დიდი ისტორიული ჭნიშვნელობის ამბები და სოციალური ძვრები მიმდინარეობენ ამქვეყნად“, — გაიფიქრა კორნელიმ და დაჩიავებულ დურგალს დააცქერდა. იულოს ქუსლჩაკეცილ წუღებში შეჰდგა შიშველი ბანჯგვლიანი ფეხი. იგი ხანდახან გამოიღებდა მას, ერთიმეორეზე დაწყობილ ყავარს დააბიჯებდა და თიხებს მუხლუხოსავით ამოძრავებდა. ბესრეკა ხის ჭერქივით დაეთ-

ქილ ხელში ჩაქუჩს მოიმარჯვებდა. დურგლის ხელისგული მთლად დაფარულიყო აბედისფერი სქელი კოჟრით. ამიტომ იდებდა არხეინად ავარვარებულ ნაკვერცხალს ხელისგულზე იულო, თითქო ხორცზე კი არა, ნიჩაბზე სდებსო. აჭედებდა ჩაქუჩით ყავარს ტერეზა მხეიძის სამზადის სახურავზე გაჩაჩხული ბერიკაცი და თან კორნელის ეღრიჯებოდა შვილის გამო:

— ბუჭა მეხუთე კლასში გადადის, ანგარიშში და რუსულში ორიანი აქვს, გამოცდები ექნება და შენ მომიმზადე...

ეზოში ტერეზა შეჩერდა, თავი მაღლა ასწია და კორნელის დაუძახა:

— კორნელი, რაა მართლა, არ გრცხვენია?! რატომ მიცდენ ოსტატს? ხომ იცი, მაგი ლაპარაკს არ გაათავებს!

იულომ ჩაიცინა:

— ლაპარაკი კი არა, მუშაობა გავათავე! ვახშმად რას ამზადებ, შე ტურა, ის მითხარი?

ტერეზამ ასძახა:

— სულ ჭამაზე რომ ფიქრობ, შე უბედურო, ნეტა ისე მუშაობაზე ფიქრობდე! ჯერ რა დროს ვახშამია, მზე არც კი გადახრილა!

იულომ ალმოდებულ დასავლეთისკენ გაიშვირა ჩაქუჩი:

— მზე ჩასულა, ვერ ხედავ? შაბათია!

ამ დროს წმინდა გიორგის ეკლესიის სარკმელზე გაბზარულმა ზარმა დაიგუგუნა. ტერეზამ და იულომ პაექრობა შეწყვიტეს და პირჯვარი სასოებით გადაისახეს. მზე აჯამეთის ტყის იქით ჩადიოდა. სოფელს სიმშვიდე და მყუდროება ეფინებოდა. მაგრამ გავიდა ცოტა ხანი, ცხელმა ნიავმა დაუბერა და ბაზრიდან მომავალმა ყიჟინამ, სიმღერამ და არღნის ჭრიალმა მყუდროება დაარღვია.

— ეჰე! — შესძახა იულომ, — ჯარისკაცები ქეიფობენ!

კორნელიმ ბაზრისკენ გაიხედა. იონას ეზოში ქოლგასავით გაშლილ ძელქვასა და ცაცხვებს იქით კრამიტით გადახურული დუქნები ჩანდნენ.

მზე ჩავიდა. დაღამდა. იულომ სამუშაო გაათავა. ხერხი, ხელცული, ხელეჩო, შალაშინი, სატეხელი და ბურღი შეჰკრიბა, ტომარაში ჩაალაგა და კიბეზე ჩავიდა. კვლავ მოისმა

სიმღერა. მაგრამ ახლა არა ჯარისკაცები, არამედ მდინარის გაღმა, შინ მომავალი ყანის მუშა გლეხები იმღეროდნენ. იგი საგალობელს ჰგავდა, ძალზე შეეფერებოდა სახურავიდან გაშლილ ბუნების დიად სურათს: რიონის ველს, ჯანიან მთებს, აჯამეთის ტყის იქით ჩამავალ მზეს, ქარვისფერ დაისს. ის ძველთაძველი სიმღერა თითქო გამოსათხოვარი საგალობელი იყო მზისადმიო.

კორნელის სოფელი ვარევანი მოაგონდა, როდესაც ალისფერი და მდუმარე ცას უცნაური ფიქრით მისჩერებოდა მისი საყვარელი მეგობარი, ბრძოლის ველზე დაჭრილი, მომაკვდავი გრიგოლ ცაგურიშვილი. ბაზარში მოულოდნელი ყიჟინა, თოფის სროლა ატყდა და კორნელის თავზე ზედიზედ გაისუსუნა ტყვიამ. სამზადიდან დედის ძახილი გაისმა:

— კორნელი, ჩამოდი, რა გინდა ამდენ ხანს მაგ სახურავზე?!

აგოია დაფეთებული ქუჩაკივით გამოვარდა გარეთ და კიბესთან მიირბინა. კორნელიმ თავახდილი სახურავის გაბოლილ სარტყელთა შორის თავი ჩაჰყო და სამზადში ჩაიხედა. კვამლი ეცა და თვალი აუწვა. სახურავის საბჯენ ბოძს ჩაჰყვა. დირეზე გაჩერდა. სხვენზე გოგრები, ბროწეული. კაკალი, ცერეცო, ლობიოს პარკი ეყარა. ჭოკზე ტყლაპები გადაეკიდათ. კედელს კი დამჭკნარი და გაშვარტლული სამკვეთო, ყვითელი ყვავილისა და პილპილის აკიდოები ალამაზებდა. კორნელის ბავშვობა მოაგონდა. რამდენჯერ შეპარულა იგი ამ სხვენზე კაკლის, თხილის, უნაბისა და კომშის საჭურლლად? სხვენზე ჩელი გადაჰყო და კაკალი ჯიბეში ჩაიჩხრიალა. მაიკომ ნაჭაზე დაკიდებული ქვაბი ასწია, დირეზე კორნელი დაინახა და დაიძახა:

— დედა, სად გასულა ეს ბიჭი, არ გადმოვარდეს!

ტერეზამ შიშით აჰხედა კორნელის, აგოიამ გადაიკისკისა?!

— მე ზედ გავალ და გამოვალ! რა გადმომაგდებს?!

ტერეზამ თავში ჩაარტყა:

— რაღა შენი წაქეზება სჭირია, შე ჭირიანო!

კორნელიმ ჯამბაზივით გაიარა დირეზე, დირეს ხელებით დაეკიდა, იატაკზე ჩამოხტა, ფეხის ცერებზე დაეწვა, ჩაიკეცა და მერმე ზამბარივით წამოხტა. გაიცინა. იცოდნენ მისი ოინები: ხის წვერში გავიდოდა, დაარხევდა, მერმე მახ-

ლობელ ხის ტოტს წაავლებდა ხელს და ახლა მას მოექცეოდა კენწეროში. ასეთ ჯამბაზობაში იყლო თუ შეედრებოდა: უზარმაზარ კაკლის ხის ტოტს თრითინასავით ქეჩომდე გაჰყვებოდა დურგალი და ისე დაბერტყავდა ჭოკით, ერთ კაკალსაც კი არ დაუტოვებდა ყვავს ზამთრისათვის.

სოფლიდან სადგურამდე

უნდა გენახა, რას ჰგავდა (ეს ძირმაგარა): ხარის თვალივით მაჯდა. ყურწუმელის ნეშო დავადევი, დავამწიფე და მერე დანის წვერით ავხიე..

გოჯასპირი

1

მატარებელი დილის ათ საათზე მოდიოდა სადგურზე და კორნელი კარისმერეთიდან ადრიანად უნდა გასულიყო ვექილ ესტატე მაყაშვილის შესახვედრად. შვილის გაღვიძება არ დასჭირებია ტერეზას: გარიჟრაჟამდე თვითონვე გაეღვიძა. შუადამე კარგა ხანია გადასულიყო, სოფელს ჩასძინებოდა და ჩამიჩუმიც კი არ ისმოდა. სიჩუმეს მხოლოდ მდინარის გრიალი და მამლების ომახიანი ყივილი არღვევდა. ბოლოს მამლების ყივილიც მისწყდა. როდესაც კორნელის ისევ გამოეღვიძა, განთიადს მოეღწია კიდეც. აღმოსავლეთით თანდათან იღვიძებდა რიჟრაჟი. ბოლოს ზეკარიდან ძოწისფერი წნე ამოგორდა, სხივი დაარღო ხანჯალივით ხანისწყალს და აბრიალდნენ მდინარის პირას ჩარაბული ბროწეულის ყვავილები.

კორნელიმ საჩქაროდ ჩაიცვა. ნასაუზმევს ბიძია ოთარასაგან ნათხოვარ, ახალგახედნილ კვიცზე — „კუკურიზე“ შეჯდა, ავოია დედის ფაშატ ცხენზე „ხაბარდულაზე“ შესვენს. კორნელის მხარეს ფრენჩი და გალიფე ეცვა, ახურა ჩექმა ღეზებით; თავზე წრიალყალმიანი ქუდი ეხურა; ხმალი ცყავის ბეღელში ჩაგებული ნაგანი ეკიდა. ერთი სიტყვით: ნამდვილ ოფიცერს ჰგავდა და არა ჯარისკაცს. ავოიას კი პაჭიჭები და წუღები ჩაეცვა. თავზე ბილას ქუდი დაეხურა. ხოლო მწყემსის ჩანთის ნაცვლად, მიხარშული გათქით,

ხაჭაპურითა და ხილით სავსე, ექიმის — ძხეიძისეული სახადირო ჩანთა გადაეკიდნა. რკინიგზის სადგურამდე კარგა დიდი მანძილი იყო და საგზალი დასჭირდებოდათ. ტერეზამ სათიბის ბოლომდე მიაცილა შვილი.

ორღობეში გავიდნენ. დალმართი რომ გაიარეს, კორნელიმ უკან მიიხედა. მაღალგორამდე გორაკებია და ერთ მათგანზე სოფელი ზედაზენი, კორნელის დედული მდებარეობს. ვეება ქოლგებივით გადაშლილ ცაცხვებს შორის ეკლესია მოსჩანს. მის გალავანში მარხიან ცნობილი მემამულენი: ტერეზას დედა-მამა, ხოლო კორნელის — პაპა-დიდედა, დარბაისელი და ტკბილი „დედუა“, — ასე ეძახდნენ შვილიშვილები დიდედას.

მდინარის გაღმა, დავაკებულ ადგილას, კარისმერეთის ბაზარია: ორი პარალელური ქუჩა დუქნებით და მოედანი. იქვეა: სკოლა, თეატრი, ფოსტა, აფთიაქი და საავადმყოფო. ბაზრობა იყო. მოედანზე ჩალვადრებთან და ურმებთან ხალხი ირეოდა. ჩაბალახის მაგივრად, თავი ზოგს ჩვრით წაეკრა, ზოგს, ჩოხის მაგივრად, ხამი ჩითის დაკონკილი ხალათი და შარვალი ჩაეცვა. ზოგს უაზრო თვალები, ციებიანი, ყვითელი, სისხლისაგან დაშრეტილი, გატანჯული და ნაშიმშილევი სახე ჰქონდა. გლეხთა შორის უფრო ჯანსაღად ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები გამოიცქირებოდნენ. ჯარიდან მათ მაზარა, სახაზინო ტანისამოსი ჩამოჰყოლოდათ. თუჰცა ჯარისკაცებსაც დასტყობოდათ შიმშილის სუსხი.

კარისმერეთში უმთავრესად მევენახეობას მისდევენ. სიმინდის ნაკლებობა აქ ყოველთვის საგრძნობი იყო, ომიანობის ჟამს ძალზე შემცირდა სოფლად მუშახელი და მიწის დიდძალი ფართობი დაუმუშავებელი და ხელუხლებელი იყო. მემამულეთა მიწებზე მოწეული ჭირნახულის მესამედი არ ჰყოფნიდათ გლეხებს. ახლა ფრონტიდან დაბრუნებულნიც სარჩენი გახდომიათ. ქვემო იმერეთიდან და სამეგრელოდან მოტანილი ცოტაოდენი სიმინდი კი ძალზე ძვირად ფასობდა. პური, სიმინდი, ნარმა, საპონი არ იშოვება და თუ გამოჩნდება, ცეცხლის ფასად ღირს, ვერ მიეკარებიო, — ჩიოდნენ გლეხები. ფრონტიდან ჩამოსულ ჯარისკაცებს შაშხანები ეკიდათ და ისე დადიოდნენ ხალხში. ერთმა მათგანმა თქვა:

— მთავრობამ კავშირი გაწყვიტა რუსეთთან და პური საიდან გექნებათ?

მენშევიკების კომისარმა, იოაკიმე აბულაძემ, შენიშნა:

— პური აღარც რუსეთში არის ახლა.

გლეხებმა შესძახეს:

— რუსეთში პურს რა გამოლევს!

ამ დროს გამოჩნდა მოედანზე კორნელი. ხალხმა ახლა მას დაუწყო ცქერა. მხედარი გასწორდა. ომგადახდილი რაინდივით დაიჭირა თავი. იხტიბარს უტეხდა მხოლოდ ჩანთით და ჭილის ქუდით სანჩო-პანსასავით მოჩანჩალე აგოია. მეზობლები, ვაჭრები, მჭედლები, ხარაზები სამუშაოს სტოვებდნენ, თავაზიანად დგებოდნენ და ესალმებოდნენ მხედარს. განსაკუთრებით მოკრძალებით მიესალმა გიგო თავაძის მამა, მჭედელი კალისტრატე. კორნელი ყურის ბიბილომდე წითლდებოდა, როცა ბერიკაცები ღრმა სალამს აძლევდნენ. იოაკიმე აბულაძესთან მოკამათე ჯარისკაცმა იცნო მხედარი და მისი ვინაობით დაინტერესებულ ხალხს განუცხადა: ეს ექიმის, გიორგი მხეიძის შვილიაო.

კორნელი და ბატარეიდან წასული ჯარისკაცი რაჟდენ ტურიაშვილი ერთმანეთს მიესალმნენ. რაჟდენმა ოტია მდივნის ცხენს გავაზე ხელი გადაუსვა, მოსართავები გაუსწორა, მერმე ფაფარზე დაადო ხელი, მხედარს აჰხედა და შეეკითხა:

— როდის ჩამოდი?

ახლა სხვა ჯარისკაცები მივიდნენ. ჯარისკაცებს გლეხები მიჰყვნენ და მალე კორნელის გარშემო დიდძალი ხალხი შეგროვდა. ზოგი ლმობიერი თვალებით შესცქეროდა, ზოგი კი ისე მრისხანედ, თითქო შეჭმას უპირებსო. კორნელი თვალს ვერ უსწორებდა მათ, უხერხულობას გრძნობდა. ყოველივე ამის გარდა, ხალხთან პირისპირ დგომასაც არ იყო ჩვეული. მოხუცი გლეხი, ტერეზას ყანის მოზიარე ჯაჯანა მენჯავიძე მოლიმარი სახით შესცქეროდა მას და როდესაც გაიგო კორნელი ქალაქიდან ჩამოსულაო, ჰკითხა:

— მართალია, ბევრი გერმანელი ჯარი შემოვიდაო საქართველოში?

— ბევრი... — მიუგო კორნელიმ.

— იქნებ გერმანელებმა შემოიტანონ პური საქართველოში!

— გერმანელები თვითონ დაეძებენ პურს... იმიტომ ცდილობენ ისინი უკრაინის ხელში ჩაგდებას, — აუხსნა კორნელიმ.

— აბა, რა გვეშველება? — დარდიანად ჩაილაპარაკა მენჯავიძემ, — შიმშილით ამოვწყდებით...

— როგორც რუსეთში, ისე უნდა მოვიქცეთ, ჩამოვართვათ მემამულეებს მიწები და ჩვენ თვითონ დავამუშაოთ. აი, მაშინ გვექნება პური და სიმინდიც, — ჩაერია საუბარში ჯარისკაცი აბესაძე და კორნელის თვალი თვალში გაუყარა. მერმე გაიღიმა და დასძინა: — საინტერესოა რა გუნებაზე დადგებოდი, დეღაშენს რომ მიწები ჩამოართვან?

— ტირიფს არ დავიწყებ. მემამულეებს ზედმეტი მიწები უნდა ჩამოართვან და გლეხებს უსასყიდლოდ დაურიგონ, — მშვიდად მიუგო კორნელიმ.

— ტერეზა მხეიძეს რა ისეთი მამული გააჩნია! — უთხრა რაჟდენ ტურიაშვილმა თავის მეგობარ აბესაძეს. — შენ ანანოვის, როსტომ წერეთლის, ოტია მდივნის მამული უნდა იკითხო. მათი მიწების ჩამორთმევა მართლაც მესმის!

— ჰოდა, ცდა და მსჯელობა კი არ არის საჭირო, არამედ ახლავე უნდა. მოვკიდოთ მაგ საქმეს ხელი! — დაიძახა აბესაძემ.

მწყერისფერ ჩოხაში გამოწყობილი მოხუცი გლეხი ჯაჯანა მენჯავიძე ცდილობდა ჭკუაზე მოეყვანა ახალგაზრდები.

— რა ტკბილი ცხოვრება შენა გაქვს მემამულის მიწაზე მუშაობით? ისე შეჩვეულხარ შენის ოჯახით სხვისი მიწის მორწყვას, რომ უარის თქმასაც ვერ ახერხებ! — გაუბრაზდა აბესაძე. მოხუცი შვინდის ორკაპ ყავარჯენს დაეყრდნო, ბერმე ჯარისკაცს შეხედა და უთხრა:

— ასეთი გაჭირვებული ცხოვრება არავის არ უნდა, ჰაგრამ სჯობს, დავიცადოთ. ვნახოთ, რას გადაწყვეტს მთავრობა! იქნებ მართლა ჩამოართვან მემამულეებს ნორმაზე მეტი მიწები და ჩვენ გადმოგვცენ! აკი გამოგვიცხადეს: მალე დამფუძნებელი კრება შეიკრიბება და ყველა საკითხი საბოლოოდ იქ გადაწყდებაო?!

აშკარად შემარიგებლობას ქადაგებდა ტერეზას დეიდა,

დარეჯან მდივნის მონათლული და ტერეზას ყანის მოზიარე მოხუცი გლეხი ჯაჯანა მენჯავიძე. აბესაძემ ხელი აუქნია:

— უცადე, დამფუძნებელ კრებას! ვინც ჭკუა იხმარა და ხელთ იგდო მიწა, შერჩა, შეერგო და ზედ მუშაობას განაგრძობს. ჩვენც იმ გზას უნდა დავადგეთ!

— წართმევა რა ჭკუაა? აკი შვიდ ქცევაზე მეტს, ნორმის ჭიხვედვით, მემამულეებს აღარ უტოვებენ! — ჩაერია ლაპარაკში იოაკიმე აბულაძე, მსუქანი და მწითური კაცი. —

— ნორმა თქვენ ქაღალდზე გიწერიათ. შვიდ ქცევას კი არა, ორმოცს, ხამოცსა და მეტსაც უტოვებენ მემამულეებს. ნახე რა ხდება ქართლში, კახეთში, იმერეთში და ყველგან: მემამულეებს კი არ ჩამოუშვრეს მიწები გლეხების სასარგებლოდ, არამედ, პირიქით, უმიწაწყლო გლეხები დააზარალეს! — ესარჩლებოდა გლეხებს ჭიათურიდან სოფელში ახლახან ჩამოსული მუშა მიხა ფრუიძე, ტერეზას აღზრდილი ქალის — მაროს ძმა.

— მენშევიკები თვითონ თავადები და აზნაურები არიან, ისინი მიწას შენ მოგაშავებენ? — ჩაიქნია უიმედოდ ხელი აბესაძემ.

მოედანზე ზღვა ხალხი ირეოდა. ჯარისკაცები გლეხებს აქეზებდნენ, მთავრობას აგინებდნენ და აშკარად იმუქრებოდნენ, მილიციელნი სდუმდნენ. მეორე დღეს იოაკიმე აბულაძე ქუთაისში წავიდა, სამაზრო კომისარს განუცხადა: მიწის საკითხის გარშემო კარისმერეთისა და მახლობელი სოფლების გლეხობაში დიდი მღელვარებაა, რომელსაც შესაძლოა აჯანყებაც მოჰყვეს.

2

კარისმერეთი შიმშილს მოერია კოშკელმა. ღელე გაიარა. იქვე ბუჩქნარში ვერხვი იდგა. ლითონის თხელი ფურცლებივით შავხილი და მკრთალ შუქზე ელვარებდა ფოთლები ცახცახებდნენ და შრიალებდნენ. მცდარმა ახალგახუნილი, გრძელვადიანი კვერი შეაჩერა. თითქოს იხიც ყურაღმეტილი ისმენდა ასწლოვანი ვერხვის შრიალსო. ვერხვის ქვეშ დედალი ინდაური მიდიოდა ჭუკებით. ღალღასოდენა ნაცრისფერი ჭუკები სწრაფად აბიჯებდნენ ბალახს ჩხი-

რივით პატარა, შავზოლებიან ფეხებს და უმწეოდ ჟუჟუკებდნენ. ქორი როგორ შენიშნავდა დიდ სიმაღლიდან ვეება დედამიწის ზედაპირზე მოფუსფუსე ამ უჩინარ წერტილებს? მაგრამ ინდაური შიშითა და გაოცებით გასცქეროდა ცის ტატნობს. ირგვლივ მდუმარება სუფევდა. უცბად ინდაურის წითელი და მოლურჯო ჩიჩახვი ბაყაყის ლაყუჩებივით გაიბერა. ინდაურმა კულიდან გადმოღვრილი ღვინისმაგვარი ხმა გამოსცა — „კულკულოო“ და გაიქცა. ჭუკები დაფრთხნენ. კორნელიმ შევარდენი დაინახა, იგი ვერხვზე შემოჯდა. აგოია ცხენიდან ჩამოხტა. კომბლის მსგავსი მოკლე ჯოხი აიღო და შევარდენს გასტყორცნა. გადაფრინდა ფრთამარდი ფრინველი. ფრთები დააქნია, მერმე გაშალა და მთისკენ წერტილივით მიიწურა. კომბალი ასკილის, მაყვლისა და კურკანტელის ბარდში ჩავარდა. ვერხვი ნამინდვრალის ახლოს იდგა, ჯაჯანა მენჯავიძის ვენახის კიდეზე. მზიანი დღე იყო. ცა სარკესავით სუფთა. კორნელი ისევ ყურს უგდებდა სიჩუმეში ვერხვის ფოთლების შრიალს. შორს, სოფელ ზედაზენსა და სარკოიას იქით ლამაზგორაა, გორამაღალი, წყავისწვერი და საირმე, ამ მთებს გასცქეროდა კორნელი. შევარდენმა წყავისწვერზე მომხდარი შემთხვევა მოაგონა.

ამ ხუთი წლის წინათ კორნელი იონასთან ერთად მოგზაურობდა: მაღალი მთის წვეროდან მზის ამოსვლა უნდა ენახა. იონა ბუნების სილამაზის მოტრფიალე ადამიანი და მთამსვლელი იყო. ღამე ალისმერეთში გაათენეს იმ ვარაუდით, რომ გათენებამდე ასულიყვნენ წყავისწვერზე, საიდანაც მზის ამოსვლის წარმტაცი სურათი იშლებოდა. ალისმერეთიდან კარგად მოსჩანდა შუბივით აწვდილ მთაზე კოცონი. ივი წარმართთა ცეცხლივით კიაფობდა მთელ ღამეს. იონა და კორნელი ბილიკებს შეჰყვნენ და მზის ამოსვლამდე მიაღწიეს კიდეც წყავისწვერს. მთის წვერზე დეკა, ღვია, ეკლიანი ბუჩქები და წყავის მწვანე შქერი გაშლილიყო. აღმოსავლეთით წითელი ზოლი ფართოვდებოდა, ცა ღვიოდა, ცეცხლი ეკიდებოდა. მზე შორეულ ხევიდან, სადღაც ქვემოდან ამოდიოდა, თითქო ძოწეულ ზღვიდან ამოგორდაო. ავარვარებულ ვეება ბურთივით ხტოდა, თამაშობდა და ლაპლაპებდა...

იონა და კორნელი ამ სურათის ჭვრეტით მოიხიბლნენ.

წყავისწვერიდან დაეშვნენ. ალპიური საძოვრები ჩაირბინეს, ტყეში შევიდნენ, მერმე სოფელ ალისმერეთს დაადგნენ თავზე. ტყეში ათასი ფრინველის ჟრიამული ისმოდა, ზოგი მათგანი შვილო გოგიას და ზოგიც კაფე-თესეს იძახდა. ალისმერეთში ჯანიანი მუხის ტყეა მიფენილი. ზევით, მაღალ მთებზე კი წიფლისა და ურთხმელის ხშირი ტევრები. იქ ნახავთ აგრეთვე უხამს ხეებს: ხიოჭი ტანის კვრინჩხებს, რომელთაც მოხუცი გლეხის წვერ-ულვაშივით ჰკიდიათ ნაცრისფერი ხავსი და ცხენისკუდა.

მზის ამოსვლის მერმე ჩიტთა ჟრიამული, გალობა შეწყდა და მთაში გულსაკლავი სიჩუმე ჩამოდგა. ხანდახან თუ გაიგონებდით ფერადჯუბიან დაუდგრომელ კოდალას ბოხ კაკუნს. ძელქვისა და წიფლის ტოტებზე კოდალა ნისკარტით ჩიჩქნიდა ხის ქერქს და ჭიას და ხოჭოს აძვრენდა. ალალმა ჩამოუქროლა და საირმესკენ წაიღო, სადაც აგოიას მსგავსი ყმაწვილი მწყემსავდა ბატონის ნახირს. მწყემსმა კოშბალი სტყორცნა მის თავზე გადავლებულ ალალს და კოდალა გააგდებინა. კოდალა დედამიწაზე დავარდა და ბალახი ალისფერი სისხლით დანამა. გამხმარ ფიჩხს ჩასჭიდა ბრჭყალები, ზედ მაგრად მიეჭდო: თავს ვუშველიო, ფიქრობდა და, როდესაც მწყემსმა აიყვანა, გულშემზარავი ჭყივილი მოართო, თითქო ყელი გამოსჭრესო. კორნელიმ მიირბინა და მწყემსს ფრინველი გამოართვა. ალალს მახათივით ჩაერჭო კოდალასათვის თავში ნისკარტი. კორნელის მუჭში საშინლად ძგერდა და ფართხალებდა ჯერ კიდევ ცოცხალი, პატარა ჩიტის გული. ნისკარტზე მიწებებული მკვდარი ჭია შენიშნა კორნელიმ. ძალიან შეეცოდა ფერადჯუბიანი და ლამაზი ჩიტი. პირველად ჩაუფიქრდა ცნობისმოყვარე ყმაწვილი ბუნების მოვლენათა აზრს და ქვეშეცნეულად სწვდებოდა: ძლიერისავან სუსტი და ჩია ქმნილება განწირულიაო. კოდალას არჩივი ჭია იყო, ხოლო ალალისა — თვითონ კოდალა. ამაზე შორს ალარ წასულა მისი ფიქრი და განზოგადოება. კორნელისა და მზით გატრუსული, ტიტლიკანა, ჩანთაგადაკიდებული ყმაწვილის ყურთასმენა უცნაურმა ყივილმა დააფრთხო. ცას გაჰხედეს: არწივები იბრძოდნენ, ვეება ფრთებს მოიქნევდნენ, ირაოს გააკეთებდნენ და მერმე საშინელი ძალით ეჯახებოდნენ ერთმანეთს მკერდით. მაგარ ნისკარტსა და ხან-

ჯალივით ალესილ ბრჭყალებსა და დეზებს სცემდნენ. ციდან თოვლის ფანტელივით მოცვიოდა ბუმბული. კორნელი და მწყემსი ყმაწვილი შეკრთნენ. მეხისაგან ნახშირისფრად გაფატრულ, უზარმაზარ მუხას შეაფარეს თავი. არწივები გადაფრინდნენ. კორნელი მთის ტაფობზე გავიდა. ხელში გაჩრილ ცივსა და გაშეშებულ კოდალას დახედა, გაფშეკილ ფეხში წაავლო ხელი და შორს გადაისროლა. უმნიშვნელოდ და არარად ეჩვენა კოდალას სიკვდილი ძლიერი და ლაღი არწივების ბრძოლასთან. მწყემსმა ჩანთიდან წითელი ვაშლი ამოიღო, ალესილი კბილები თაგვივით ჩაარჭო და ერთიც კორნელის და იონას მიაწოდა. ნახირი შეაგროვა, წიფლის ტყეში შერეკა, რადგან ამ ტყის იქით უფრო გაშლილი და კარგი საძოვრები იყო. იონასა და კორნელის ჩხიკვთა ჩხავილი შემოესმათ. შემოდგომა იყო. ჩხიკვები ჰკრეფდნენ, აგროვებდნენ და ხის ღრუში ჰყრიდნენ წაბლისა და წიფლის ნაყოფს ისე, როგორც ალისმერეთის გლეხები თავიანთ ჭირნახულს სასიმინდე ხულა-ბეღელში. ყმაწვილობისას ნახული და განცდილი მერმე ასწონა კორნელიმ გონების თვალით, როცა დავაჟკაცდა, როცა ჯარში და ომში წაიყვანეს. ეს მოაგონდა ვერხვის ხის ქვეშ გაშტერებულ, ბუნების მშვენებით მოჯადოებულ, მეოცნებე მხედარს, რომელსაც თავისი მოგზაურობის მიზანი დავიწყნოდა და დედამიწისაგან მოწყვეტა და უხილავ მხარეების ხილვისათვის ცაში შევარდენივით გაფრენა სურდა. „წავიდეთ, გვაგვიანდებაო“, — შესძახა აგოიამ კორნელის.

3

აგოიამ წყალი სთხოვა ღობეზე გადმომდგარ გრგოს, მოხუცი გლეხის ჯაჯანა მენჯავიძის შვილიშვილს. ცოტა ხნის მერმე თავსაფრიანი, ლამაზი ქალი ჩამოვიდა კიბეზე და ღობისკენ გამოსწია. ერთ ხელში თეფში ეჭირა, ხოლო მეორეში პატარა სურა. თეფშზე ვაშლი, თხილი და ჩურჩხელა ეწყო. ჯაჯანას შვილის, ლუკაიას ცოლი მიესალმა კორნელის. კორნელიმ იცნო იგი.

— ჩვენ წყალი ვითხოვეთ. ეს რად გინდოდა, სალომე?

— ჯაჯანა და ლუკაია ასე არ გაგიმასპინძლდებოდნენ!

გოგონას თხილით, ვაშლით და ჩურჩხელით სავსე თეფში ეჭირა. სალომეს ჭინჭილაში ღვინო დაასხა და კორნელის მიაწოდა.

— ეს არის ვისაუზმეთ. ღვინის მოყვარული კაცი არა ვარ, — იპატიჟებოდა თავს კორნელი, თუმცა იცოდა: უარი შეურაცხყოფა იქნებოდა სტუმართმოყვარე სოფლელი ქალისთვის. სალომეს ჭინჭილა ჩამოართვა, ტუჩზე მიიდო, ასწია, ლილისფერ ცას შეხედა და ლიკლიკით დალია ცივი ცოლიკაური.

— თუ დაგვიცდით, ხაჭაპურს გამოვაცხობ, პურის ფქვილი მაქვს ცოტა შენახული. პურს ვინ ჩივის, სიმინდიც აღარ იშოვება. ჯაჯანა და ლუკაია თავს არ იზოგავენ, მაგრამ წლიდან წლამდე სამყოფი სიმინდი მაინც ვერ მოვიწიეთ, — მიაყარა სათნო სახის ქალმა სხაპასხუპით კორნელის, რომლის ყურადღება ღობესთან დარცხვენით მდგარმა მასპინძლის გოგომ მიიპყრო.

იგი თხუთმეტი წლისა იქნებოდა, თეთრი ფერ-ხორცი და ოქროსფერი დაკვარკვნილი თმა ჰქონდა, მოცისფრო თვალები, მკვრივი და აშოლტილი ტანი. შთაბეჭდილებას ვერ ახდენებდა ღარიბული ტანსაცმელი და ბალახში დასველებული მისი შიშველი ფეხები. გოგოსთან საუბარი მოუნდა კორნელს, მაგრამ სალომე არ ათავებდა ლაპარაკს სიმინდზე, მოსავალზე და მანაც შენიშნა:

— წელს მგონი კარგი პირი უჩანს მოსავალს?! დროზე მოვიდა წვიმა.

— კი, ჩემო ბატონო. წვიმამ მონათლა ყანები და აწი თუ გვალვამ არ შეგვაწუხა, მოსავალს ჯერჯერობით კარგი პირი უჩანს და წლის სარჩოც მოგვივა, — მიუგო სალომემ.

კორნელის მოწონა ღვინო და, როდესაც სალომეს ქალმა, ქეთუამ, მეორე ჭინჭილა შესთავაზა, გაუღიმა და ისიც ბოლომდე დასცალა. მადლობა ვადაუხადა მასპინძლებს და გზას გაუდგა. ავთიას ჩურჩხელები დაეთრია და მადიანად შეექცეოდა. კორნელის თვალწინ ედგა ახლა სოფლელი გოგონას, ქეთუას სახე. ცოტა ხნის მერმე კვლავ შეაჩერა ცხენი, ქანდაკებასავით გაშეშდა უნაგირზე. კუკური კისერმოღუნული, გავასქელი, ჩქარად მატარებელი ცხენი იყო. მის

აცქვეტილ და პატარა ყურებს შორის ბუმბერაზი მთები მოსჩანდნენ.

მხედარი ისევ უცნაურ ფიქრს მისცემოდა:

„ამ მთის იქით პირველზე უფრო დიდი და მაღალი მთაა. მეორეზე მაღალი მესამეა და ასე მერვე და მეცხრე ყველაზე უფრო ბუმბერაზი, თოვლივით გადალესილი ზამთარზაფხულსაც და ვინ იცის, რა ამბავია ამ ცხრამთას იქით! მე მოწყვეტილი ვარ დიდ ქვეყანას და მომწყვდეული მთათა შორის ჩარჩენილ პატარა ხეობაში. ვერხვის შრიალი ავსებს ამ პატარა არემარეს და ვინ იცის, რას მოგვითხრობს იგი?!.“

კორნელის ფიქრი თითქო ვერ გასცდა ამ მაღალ ქედებს. შორს ციხე-კოშკების ნანგრევები მოსჩანდნენ. კორნელის ეგონა, კუკური რაშივით გადაიფრენდა ცხრამთას და „ქაჯეთის ციხეში“, ნესტანს იხილავდა. აგოია ღიმილით შესცქეროდა კუკურის ფეხების ბაკუნს, თამაშს და ხტომას. კორნელიმ მათრახი მოუქნია, ცხენი ადგილიდან დაიძრა, მოსწყდა, თავ-კუდი გაიშვირა და გამოროდებულ ყანის პირას ისარივით გაფრინდა, მკერდით მიაპობდა ჰაერს, მაგრამ „ქაჯეთის ციხის“ ნაცვლად კორნელიმ პატარა სოფლურ წისქვილთან შეაჩერა, რასაც მერმე დიდ მნიშვნელობას აწერდა.

4

წისქვილს გამურული და გაჭვარტლული კედლები ჰქონდა. ორი თვალი ბრუნავდა, რახრახებდა. წისქვილის წინ გლეხები იდგნენ. იქვე ცარიელი ურმები გაეჩერებინათ.

კორნელიმ იცნო ღრმად მოხუცებული გლეხი, ჯარისკაცის გალაქტიონ გელაშვილის მამა — გოჯასპირი. ყალიონს აბოლებდა მოხუცი და ასე ესაუბრებოდა გლეხებს. კორნელი მიესალმა მათ, ცხენიდან ჩამოხტა, თუთუნი გაზეთის ქაღალდში გაახვია და გოჯასპირს ცეცხლი სთხოვა. გოჯასპირმა კვეს-აბედი, კაჟი ამოიღო, გაჰკრა და აბედის ანთებული ნამცეცი მიაწოდა.

— ეს კვეს-აბედი კიდევ არ მოიშალე, გოჯასპირ?!

მოხუცს გაუკვირდა: ჩემი სახელი საიდან იცისო. კორნელიმ ვინაობა გაუმჟღავნა. მოაგონდა ბიძია ოტიას სიტყ-

ვები, თუ როგორ დაესაბლა გოჯასპირის მამა — ყმა გლეხი თავის ბატონის, ოტიას მამის — არჩილისაგან გამოსყიდული მიწის პატარა ნაკვეთზე. ვენახისა და ყანის მოვლა არავინ იცოდა მასავით მთელს სოფელში. ასეთი იყო მისი შვილი გოჯასპირიც და ამის გამო აძლევდა ოტია მას თავის მამულს სამესამედოდ.

კორნელის მოაგონდა აგრეთვე მარანი, გაროფილი და როკივით მაგარი ძელქვის საწნახელი. ამ ვეშაპივით გაწოლილ უზარმაზარ საწნახელში ჩადიოდა გოჯასპირი ყურძნის გასატეხად. სააღდგომო კვერცხივით იღებებოდნენ გოჯასპირის წვივები საფერავის წურვის დროს, თითქო სისხლის მდინარეში განბანილანო. ზედ მწერები: კოღო, წიალები ესეოდნენ და ჰკბენდნენ. აწვებოდა დევკაცი ყურძნის წვენით განბანილ, ყურძნის ჭაჭითა და კურკით გახეხილ ვეება ტერფებით მკვრივ მტევნებს. ყურძენს ჭყლეტდა, ტკბილით გალეშილ საწნახელს ღარზე რაკრაკით სდიოდა ალისფერი ჩქეფი, ჩაფებით მიჰქონდათ აუზიდან ჩაბალახით თავწაკრულ ბიჭებს ტკბილი და მერმე მიწაში ჩაფლულ და ჩაკირულ ქვევრში ასხამდნენ. მოჭრიალებდნენ ერთიმეორეზე გაბმული ყურძნით სავსე ძარიანი ურმები მთის აღმართზე. კორნელი, აგრეთვე მისი ტოლი ბავშვები კრახუნა ყურძნის ქარვისფერსა და უტკბილეს მტევნებს ესეოდნენ. სამსადის გვერდით დაპირქვავებულ, დახვავებულ სიმინდის ხვინებზე ოტიას ყანის მოზიარენი ისხდნენ. გოგო-ბიჭები ჭაროებს არჩევდნენ, ხოლო მოურავი სასიმინდეში სიმინდს კოდრებით აყრევინებდა. ისმოდა ტეხეზას და მისი დების — ჯულენესა და თამარის ოხუნჯობა, გოგოების კისკისი, პაპა-დიედის — არჩილისა და დარეჯანის განკარგულება, ძახილი. ჰათი ჭირნახულის მოწევასა და შენახვას ორმოცამდე კაცი დასჭრიალებდა თავს: მოჯამაგირენი, ყანისა და მამულის მოსიარენი, შინაურნი და მეზობელ-გარეშენი.

პირსავსე მოვარე დაჰლალადებდა ზედაზენს. შუაღამე გადასულიყო. ვაზის გაყვითლებული, და აწ უკვე გახევებული ფოთლები და გამხმარი ჩალის ღერები ნაღვლიანად შარიშურობდნენ და ისინებდნენ შემოდგომის ქარშოშმანიავან.

ყოველი შემოდგომის ბოლოს, როცა ჭირნახულის მოწე-

ვას და შენახვას მორჩებოდნენ, მდივნები ვახშამს უმართავდნენ ნადს. აი ახლაც სამზადში გოგო-ბიჭები ტრიალებდნენ, ცხვარს, გოჭს, ინდაურსა და ქათამს ამზადებდნენ. როკავდა გოგო ეკვირინეს ხელისგულის ცემისაგან ცერზე შემდგარი საცერი — მერდინი. დღეს კორნელის ბიძა, ოტია მდივანი დადგება თამადად და „ამ ზედაზნის ყაზახებს კარგა ლამაზად და ლაზათიანად დაათრობს და კისერსაც მოსტეხს“. სუფრაზე სოფლის განთქმული მომღერლები: გელაშვილები და ტურიაშვილები შეიყრებიან. ოტია იჩქარის სამზადის გვერდით, კაკლის ხის ქვეშ, დაბალი სუფრების გაშლას. სიგუნავას სამიკიტნოდან მეარღნეც კი ჩამოუყვანია და ამ მთვარიან ღამეს დილამდე გააყრუებს ზედაზენს „ტუნია-ტურნანას“ ჭრიალი. სამზადში დები — ტერეზა და ელენე თავზე დასდგომოდნენ ჯანიან გლეხს გოჯასპირს, საპონს აწვდიდნენ, ხელში სპილენძის თუნგი ეკავათ და ყურძნის წვენში გალოპილ, ბანჯგვლიან წვივებს აბანინებდნენ ნელთბილი წყლით. ვაი შენს ტყავს, გოჯასპირ, შენი ფეხის ოფლი და ნაწური უნდა ვსვათო, — კისკისებდნენ ბროწეულივით ჯაბრაწული, ქვირითიანი და საქმარშვილოდ მოწიფული ქალები. ენაწყლიანი მოუბარი იყო გოჯასპირ. აჯამეთის ტყეში და მთაში მხეცებზე ნადირობისა და მრავალი საოცარი ამბის სწორუპოვარი მთხრობელი.

— სათიბის ახლოს, აჯამეთის პირას, დათვს შეჰყრია ბიძია პაატა, უნდა მოეკლა, მაგრამ ტყეში შეასწრო, — უთხრა ტერეზამ.

— სათიბთან დათვი ჯერ არავის უნახავს! — არ დაუჯერა გოჯასპირმა ტერეზას თქმული.

დაკარწახებული ხვანჯრიანი შარვლის ტოტები ჩამოუშვა, პაჭიჭები და წუღა ჩაიცვა, ჭროღა, ელვარე თვალები მიაპყრო ტერეზას და ელენეს. წაბლისფერ წვერულვაშზე გადაისვა მზისაგან დამწვარი, ნიჩაბივით ფართო ხელი და ამ დროს უკანა კარებთან ვიღაც აბურტყუნდა, მერმე სამზადის კარები ნელა შემოაღო და თვალები შემოანათა. შავტუხა გოგოს ეკვირინეს, გახურებულ კეცზე დასაცხობად გამზადებული ცომი ხელიდან გაუვარდა და ნაკვერცხალზე დაეცა. ცომი აშიშინდა, ბოლისა და ნამწვრის სუნი დააყენა. ყველანი შეშინდნენ. შეკრთა გოჯასპირიც. რა არის ეს? ტყი-

დან გამოვარდნილი ნადირი ხომ არ მოადგა სამზადის კარებსო, გაიფიქრა. მართლაც, სამზადის კარებში უზარმაზარი დათვის თავი გამოჩნდა. ტერეზა, ელენე და გოგო-ბიჭები წივილ-კივილით გაიქცნენ წინა კარებისაკენ. ნადირმა ზღურბლზე გადმოაბიჯა, სამზადში შემოგორდა და ბაჯბაჯით წამოვიდა. რბილად აბიჯებდა ნაძვის წიწვებს და კოკოლებს, ბალახს და ჯაგებს, ქვასა და ქვიშას შეჩვეულ თითებს რუხი ხავსისფერი დათვი. თავ-კისერს მაღლა სწევდა და შავი ნესტოებით ისუნთქავდა სამზადში დამდგარ ხორცისა, ტკბილეულისა და მწარე კვამლის სუნს უკაცური, უდაბური მთისა და ტყის ნადირი. დინგი გააქანა. მწვანე სანათურების მსგავსი, ბრაზიანი თვალები მიანათა გოჯასპირს. გოჯასპირმა ხელი მოავლო მაშინ კუთხეში მიყუდებულ, გავარვარებულსა და სამართებელივით მოპირულ ცულს. თვითონაც ნადირივით დააბრიალა შუაცეცხლით განათებული თვალის კაკლები. ხშირი და გაფანჩული წარბები აზიდა და ჯანიანი ხელით აღმართა ცული. წისქვილის დოლაბებივით ამოძრავდნენ გოლიათი კაცის ბეჭები და ის იყო, უნდა გაეპო ტყიდან მოვარდნილი ნადირისათვის თავი და, მაშინვე ტერეზამ გულშემზარავად მიაკივლა. რაჟდენის მამა, ნესტორი, ზურგზე მოახტა ნადირს, ყურებში ჩასჭიდა ხელი, აღარ უშვებდა, ჩაბღუჯა. მოხერხებულად უნდა ჩაეცა ხანჯალი, მაგრამ ნესტორს ხელში ცარიელი ქურქი შერჩა, დათვის ტყავიდან — ქურქიდან ლამაზი ასული, ფერმკრთალი და ცოცხალ-მკვდარი თამარი გამოძვრა.

— თქვე ოჯახქორებო, დას მიკლავდით!? — გასძახა ოტიამ განცვიფრებულ და მოტყუებულ გლეხებს: გოჯასპირსა და ნესტორს.

ასე გადარჩა სიკვდილს ლაღი და ეშმაკი თამარი, რომელიც დათვის ქურქში გაეხვია, მდიდრულად მორთულ დარბაზიდან სამზადს მიეპარა და გლეხებისა და გოგო-ბიჭების დაფრთხობა დააპირა.

მოაგონდა დედის მიერ ნაამბობი ეს შემთხვევა გოჯასპირის პირისპირ მდგარ კორნელის. მოაგონდა დედულეთი.

— რატომ არ ამოდი ზედაზენში, ოტიას უნახავი მიდიხარ? — ჰკითხა გოჯასპირმა.

— სტუმარს მოველით თბილისიდან სადგურზე. მერმე

ყველა ერთად ამოვალთ, სარკოიას და ალისმერეთსაც ვინახულებთ, — მიუგო კორნელიმ. საათს დახედა, ცხრა საათი იყო. შეეშინდა, არ დამაგვიანდესო.

— სადგურამდე ათი ვერსიც არ იქნება. სულ ნაბიჯით რომ იაროო, ამას ერთ საათში მაინც გაივლი. ქალაქიდან კი მატარებელი თორმეტ საათზე ჩამოდის და ჯერ რა დროს დაგვიანებაა, — უთხრეს გლეხებმა.

— უიმე, აგერ არ ყოფილა ოტიას ცხენი! — წამოიძახა გოჯასპირმა, როცა წისქვილის სვეტზე მიბმულ კუკურის დააკვირდა.

კორნელი მოხუცი გლეხის გოჯასპირის მომღიმარ სახეს დააცქერდა, სხვა გლეხები, რომელთაც გოჯასპირთან ერთად ჩამოეტანათ სარკოიადან საფქვავი, მოშორებით იდგნენ, ჩამოკონკილნი, გაჭირვებისა და უზომო ჯაფისაგან წელში ისე მოხრილნი, როგორც მომძლავრებული ქარისაგან ამ წისქვილთან, მდინარის პირას წაფერდებული ტირიფები. ფეხზე პაჭიჭები და ქალამნები ეცვათ. ოთხმოცი წლის მოხუცს გოჯასპირს მკერდზე სცემდა თეთრი წვერი. გაფანჩულ წარბებში განირჩეოდა თმის სამი ღერი, ყველაზე გრძელი და წამწამებამდე გადმოდენილი. გოჯასპირს არყის ხის ქერქისფერი ჯერ კიდევ ბასრი თვალები ჰქონდა, აყალო მიწასავით წითელი, სისხლით სავსე და მუხის ქერქივით დახეთქილი კისერი. ძარღვები ფესვებივით შემოხლართოდა ხელზე. კორნელის მოეჩვენა, თითქოს გოჯასპირის ჟღალ ჩოხას დედამიწის, მაჭრის, ღვინისა და ჭაჭის სუნი ასდისო, ხოლო ტანს და მაჯას — თონის პურისა და გომიჯისა. მიუხედავად გოჯასპირის ხნიერებისა, მისი ვეება ხელები ჯერ კიდევ განაგრძობდნენ დედამიწასთან ჭიდილს, რათა მოეპოვებინა „პური ჩვენი არსობისა“.

საუბარი აქაც ომიანობას შეეხო. კორნელიმ უამბო, თუ როგორ იბრძოდა მის შვილთან, გალაქტიონთან ერთად ჯავახეთში, როგორ გამოსჭრა გალაქტიონმა ტყეში საკაცე და როგორ აიტანეს დაჭრილი ჯარისკაცი ცაგურიშვილი და მოკლული ბაქრაძე ბრძოლის ველიდან სოფელში. მერე შიმშილობაზე დაიწყეს ლაპარაკი.

— ოღონდ მიწები დაგვირიგოს მთავრობამ, თორემ მოსავლის ნუ გეშინია, სამყოფს მოვიწევთ, —ამცნო სოფლის

სმა ერთმა ჩამოკონკილმა და დასაწყლებულმა გლეხმა კორნელის. მას ქამარში ჩაერჭო აბედივით დაბეგვილი და შრომით დაკოჟრებული ხელის ცერი.

— მიწებს ვინ მოგვაშავებს, — დატუქსა გოჯასპირმა.

— ამბობენ, უფასოდ დაგვირიგებენო მიწას, — იმედს არ ჰკარგავდა გლეხი. გოჯასპირმა უიმედოდ ჩაიქნია ხელი. კორნელიმ ვეება ხელის ზურგზე დაზღმურდული, პირღია ძირმაგარა შენიშნა და მისი შეხვევა ურჩია. გოჯასპირმა გაიღიმა და ბოხი ხმით მიუგო:

— რა უჭირს? უნდა გენახა, რას ჰგავდა: ხარის თვალივით მაჯდა. ყურწუმელის ნეშო დავადევი, დავამწიფე და მერე დანის წვერით ავხიე.

კორნელი განცვიფრებული მიაშტერდა გაუტეხელ, ჯანიან და თავის ჩვეულებათა და შეხედულებათა ჯიუტ მცველ გოჯასპირს. უცნაურად ეჩვენა გოჯასპირის თვალები: თითქოს ისინი ჩვენი ხალხის მრისხანე და ძველისძველ სიბრძნეს ატარებენო, — გაიფიქრა. მერმე მთის კალთებზე მიფენილ ვენახს და ტყეს გაჰხედა და არყის ხის ქერქისფერი თვალები გოჯასპირისა ახლა მთიდან, ტყიდან, სოფლის ყოველი კუთხიდან იხედებოდნენ.

ჰაერში ნაავდრი მიწის, მუხის ქერქის, მდინარის, თევზისა და ფქვილის სუნი იდგა. წისქვილის ბორბლები და დოლაბები გრიალებდნენ. წისქვილის ახლოს ამართული ბებერი მუხა შრიალებდა... აი, სწორედ მაშინ იყო, გოჯასპირი ქართველი ხალხის ხატად რომ წარმოუდგა კორნელის.

5

კორნელი სადგურს მიუახლოვდა. ბაქანზე, ქართველ მილიციელთა და სამხედრო პირთა გვერდით, თურქი ოფიცრებიც იდგნენ. ისინი რკინიგზის ხიდს და ლიანდაგს გასცქეროდნენ. მათი ტანისამოსი გერმანელ ოფიცერთა ტანისამოსს ჰგავდა, ცოტა ხნის მერმე ორთქლმავლის კივილი გაისმა და მატარებელმა სადგურს მოაშურა. ეშელონი გაჩერდა. ვაგონებში უცხო და შავგვრემანი ჯარისკაცები ისხდნენ. თუმცა მათაც გერმანელი ჯარისკაცების მსგავსი სამხედრო ტანისამოსი ეცვათ, მაგრამ ისინი კოლონიური ლაშქრის ჯარისკა-

ცებს მოგაგონებდნენ. ბაქანზე გაშეშებულ ოფიცრებთან ეშელონის ჯუჯა მეთაურნი მივიდნენ და, სამხედრო წესისამებრ, გაპრანჭული მიმოხვრითა და შიქასტებით მიესალმნენ ერთმანეთს. მათმა ქცევამ და ბრწყინვალებამ სრულიადაც ვერ დაჩრდილა ტანოვანი და ლამაზი ქართველი ჩვენი მილიციელნი და, მით უფრო ოფიცრები. ასკერები ვაგონიდან არ ჩამოდიოდნენ. ბაქანზე თავშეყრილი ხალხი მდუმარედ და ზიზღით ათვალიერებდა მათ.

ბაქნის ახლოს, ხილით სავსე გოდრებთან, ჩაცუცქულიყვნენ ავი დროებით დასაწყლებული ჩვენი სოფლელები. გულუბრყვილო ღიმილით და თვალებით მისჩერებოდნენ ისინი ასკერთა ეშელონს. ჩამოკონკილი საცვლების მაგვარ ხალათსა და შარვალში გამოწყობილ, ბაიასავით გაყვითლებულ გლეხთა ღიმილი ეკალივით ერჭობოდა გულზე კორნელის: „ვაითუ მათ არ აინტერესებთ ის ამბები, რაც მათ სამშობლოში ხდება“. — ფიქრობდა იგი, მრისხანედ გასცქეროდა თურქ ოფიცრებს და ჯარისკაცებს, თითქო პირადად მათი ბრალი ყოფილიყოს ხილით მოვაჭრე გლეხების უბედურება. ასკერთა ტანისამოსი და იერი ძალზე განსხვავდებოდა მათი ოფიცრების ტანისამოსისა და იერისაგან, და არა მარტო ტანისამოსი: ეტყობოდა, ოფიცერთა და ჯარისკაცთა შორის დიდი უფსკრული იყო გათხრილი. ასკერებს ფეხზე გაეხადათ, წვერი გაუპარსავი ჰქონდათ და ისედაც შავი და მურისფერი მათი სახე ზანგთა სახეს ემსგავსებოდა. ქერა ნაკლებად ერია მათ შორის. ისინი ციებიანსა და შიმშილით მისიკვდილებულ პატიმრებს ჰგავდნენ. ომისაგან დაღლილობა და ტანჯვა აღბეჭდოდათ სახეზე. სასაკლაოსკენ გარეკილი პირუტყვის უგონო, კაეშნიანი და მორჩილი თვალებით უცქეროდნენ ვაგონიდან ბაქანზე თავშეყრილ ხალხს, იქვე გოდრებთან ჩაცუცქულ, მათებრ ღარიბ და უფლებააყრილ სოფლელებს. ეტყობოდათ მათაც არა გაეგებოდათ რა ამქვეყნად მიმდინარე ამბებისა. ეშელონის საბარგო ვაგონებს ეწერა: 8 ადგილი ცხენებისათვის და 24 კაცისათვისო. კორნელის ყურადღება მიიპყრო ვაგონის ღია დარაბიდან მაცქერალმა ერთმა ასკერმა. უვნებოდ, უაზროდ იცქირებოდა იგი და ისე შეეჭცეოდა ბატიბუტს. რამდენიმე ქართველი ვაგონთან მივიდა. ერთმა ძათგანმა თურქულ ენაზე გაიბა

საუბარი ასკერებთან, ოფიცერმა შეარისხა ასკერები და მათაც შესწყვიტეს ქართველებთან საუბარი.

იმ ჯუჯა და ჩანჩურა ოფიცრების მედიდურება ჩვენზე გამარჯვების მოპოვებით არის გამოწვეული, ფიქრობდა გულმოკლული კორნელი და ოკუპანტებისადმი მტრული გრძნობით იმსჭვალებოდა. იხტიბარს არ იტეხდა. ტანისამოსს ისწორებდა და ისიც მედიდურად სეირნობდა სადგურის ბაქანზე თურქი ოფიცრების გვერდით, არა როგორც დამარცხებული ქვეყნის შვილი, მონა-მორჩილი, არამედ როგორც თანასწორი და კიდევ უფრო მეტიც — მათი აქავე აჩეხვის მოსურნე. თურქი ოფიცრები გაკვირვებით უცქეროდნენ შნოიანად და ლაზათიანად ჩაცმულ არტილერისტს, რომელსაც სრულიად არ ეპარებოდა ახლა ეჭვი იმაში, რომ იგი თურქ ოფიცრებზე გაცილებით უფრო ღირსეული და განათლებული იყო. სადგურის იქით აღმართულ მთებსა და ტყეს გაჰხედა და იმ მთიდან და ტყიდან კვლავ გოჯასპირის სახე და არყის ხის ქერქისფერი თვალები იხედებოდნენ, თითქო გოჯასპირი ქართველი ხალხის ხატად მოევლინაო. კორნელიმ ქართველ მეთაურს, შალვა კიკნაძეს შესჩივლა:

— ვინ მისცა თურქეთის ჯარს ასეთი თავისუფალი მიმოსვლის უფლება საქართველოს რკინიგზებზე?

მეთაურს გაუკვირდა.

მაზუთით გაზუნზლული მემანქანე ორთქლმავლის კიბეზე ჩამომჯდარიყო, მისი კბილების რკალი და თვალის გუგა თეთრად ანათებდა. მემანქანემ ზედიზედ გააბოლა თუთუნი და მეთაურის, კიკნაძის მაგივრად აუხსნა კორნელის:

— თანახმად ხელშეკრულებისა, თურქეთს უფლება ეძლევა გაატაროს ბათუმიდან ბაქოსაკენ რკინიგზით ჯარები. გეგეჭკორმა დართო ნება.

კორნელი არ ცნობდა ბათუმისა და ახალციხე-ახალქალაქის მაზრების დაპყრობის მერე მენშევიკური მთავრობის მიერ დადებულ იმ სამარცხვინო ხელშეკრულებას, რომელმაც საქართველო თურქეთის ლაშქრის გასასვლელ დერეფნად აქცია.

— როგორ მეორდება ისტორია! — შესჩივლა მემანქანეს და მეთაურ კიკნაძეს, ახოვან ქერა ვაჟკაცს, კორნელიმ: — განა ამ დღეში არ იყო იმერეთი მეფე სოლომონ დიდის დრო-

სად? თვრამეტი წლის მეფე სოლომონი რომ ტახტზე ავიდა, თურქების ჯარი ქუთაისის, ბაღდათის, შორაპნისა და ხრეხილის ციხეებში იდგა.

ამ ისტორიულ ცნობას იონას მიერ მიცემულ წიგნიდან აწვდიდა კორნელი მემანქანეს და მეთაურ კიკნაძეს.

— შორაპანმა და მისმა ციხემ ისევ იხილეს ფაშა ახმედის ნაცვალი ეს თურქეთის ჯუჯა მეთაური, — თქვა კორნელიმ, თურქი ოფიცრისაკენ მიიხედა და მერმე კიკნაძეს უთხრა:

— შენი მოგვარე, პირველი ფაშა მამედ-ალი კიკიანი ქუთაისის ციხეში იდგა დიდძალი ჯარით და მბრძანებელიც ის იყო ყველა დანარჩენი ფაშებისა.

მემანქანისა და კიკნაძის გარდა, ახლა სხვა ოფიცრებიც, ჯარისკაცებიცა და მოქალაქენიც შეგროვდნენ.

— როდესაც თურქების თავგასულობა ყოველგვარ საზღვარს გასცდა, თვრამეტი წლის სოლომონ მეფემ მხედართმთავრები, წარჩინებულნი დაიბარა და დაიძახა: ამგვარ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობიაო. ნუღარმც გამთენებია აღდგომა, თურქები თუ იმერეთიდან არ გავრეკეო, და გარეკა კიდეც! — უამბობდა კორნელი სოლომონ მეფისდროინდელ ამბავს გარშემო შეყრილ ხალხს. ხალხი ისევ ზიზღით გასცქეროდა ასკერებს და მათ ოფიცრებს.

— საქართველო იმ დღეში ფეოდალებმა და თავადებმა ჩააგდეს და ახლა ეს უბედურება ქართველ თავადებს, ნაციონალისტებსა და მენშევიკებს უნდა მოეკითხოს! — ჩამოსძახა ორთქლმავლის კიბიდან მემანქანემ კორნელის.

კორნელიმ პასუხი ვეღარ მიაწვდინა, რადგან ბაქანზე ზარი [illegible]კეს, სადგურის უფროსმა სამგზავრო კვერთხი მია[illegible]მანქანეს, ხოლო ობერმაც წასვლისა დაუსტვინა.

[illegible]ია ეშელონის წასვლის მერმე მატარებელი დაგვიანდ[illegible]ოვიდა თბილისიდან: ესტაფეტე მაყაშვილმა სადგურის[illegible]ზე დაინახა კორნელი, რომელიც გაფაციცებით მისჩერ[illegible]და ვაგონებს. კორნელიმ ჩემოდანი ჩამოართვა, მერმე [illegible]ვურის უკან მიბმულ ცხენებისკენ გაეშურნენ. ესტაფეტეს მოყვითალო, საზაფხულო კოსტუმი ეცვა. შარვალი წვივზე შემოეჭირა და ინგლისური ქინძისთავით დაეიმაგრა, ისე როგორც ველოსიპედზე ჯდომის დროს იციან. მისი ჩემოდანი

საშუალო ზომისა და მჩატე იყო და კორნელიმ მუხლზე ძე-იდგა. „ხაბარდულაზე“ მჯდომი ესტატე აღტაცებული იყო ზემოიმერეთის ბუნებით, მაგრამ ბუნების ჭვრეტა ხელს არ უშლიდა ვექილს მთელი გზა ელაპარაკნა პოლიტიკაზე.

იმდენი ახალი ამბავი უამბო კორნელის, რომ გზა შეუმჩნევლად გალიეს.

კამათი ცაცხვის ქვეშ

და იწვევდა ღიმილს ქალის მოულოდნელ ეპიგრამით.

ჰ უ შ კ ი ნ ი

1

ნაშუადღევის ორი საათი იქნებოდა. ცაცხვის ქვეშ, ფართო ფარდაგზე ვარდო, ესტატე, ნინო და კორნელი წამოწოლილიყვნენ. ესტატე გიორგი ჭბეიძის ყოფილ ბიბლიოთეკაში შერჩეულ წიგნს კითხულობდა ნაპოლეონზე. თეთრი შარვალი და ხალათი ეცვა. გულაღმა იწვა. თავქვეშ მუთაქა ამოედო. ხანდახან წიგნს მკერდზე დაიდებდა, ცას მიაშტერდებოდა და თვალს ღიმილით მილულავდა მეოცნებე კახელი თავადი. ბოლოს თავისი მოსაზრებანი კორნელის გაუზიარა:

— ისტორია ბედიაო, იტყოდა ნაპოლეონი, და ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ ესოდენ დიდი გამარჯვებებით როგორ შეიმოსებოდნენ უბრალო კორსიკელი ოფიცრის დროშები? როგორ გახდებოდა იგი ომის ღმერთი და თითქმის მთელი ევროპის მპყრობელი? მისი ცხოვრების მომდევნო წლები — ესეც ბედისწერაა! ბედისწერასთან თამაშში იგი ჰკარგავდა ყველაფერს, რაც ასეთი ზღაპრული სიადვილით მოიპოვა. მისი ლეგენდარული კარიერა წმინდა ელენეს კუნძულზე დასრულდა. სიკვდილის წინ ნაპოლეონი არაფრით აღარ განსხვავდებოდა ჩვეულებრივ ფრანგ მოქალაქისაგან და მორწმუნე კათოლიკესაგან...

— ეს მთლად სწორი არ არის, — გაუბედავად შეედავა კორნელი, — ნაპოლეონს დააკარგვინა ყველაფერი არა ბედისწერამ, არამედ მსოფლიო ბატონობის იდეამ. არა ბედის-

წერამ, არამედ მის წინააღმდეგ შეკრულმა ხალხთა კავშირმა. უმთავრესად კი — რუსეთის ხალხმა, რომელმაც მისი დიდი არმია გაანადგურა.

— ჰო... მაგრამ რუსი ხალხიც შეიძლება, ამ შემთხვევაში, ჩაითვალოს, როგორც ბედისწერის დამსჯელი ხელი.

— ნაპოლეონი განწირული იყო ისტორიის მთელი მსვლელობით.

ესტატეს უნდოდა რაღაც ეპასუხნა, მაგრამ ამ დროს ეზოში პლატონ მოგველაძემ ცხენი შემოაჯირითა. პლატონს საზაფხულო, ნაცრისფერი ფრენჩი ეცვა, გალიფე და გერმანული ჰამაშები, თავზე ჭილის შლიაპა ეხურა, ტყავის ბუდეში ჩაგებული ცეისის ბინოკლი ეკიდა. გაპარსული იყო. იგი სათავგადასავლო რომანის გმირს ჰგავდა.

იონა დიდის ამბით მიეგება, ცხენი აგოიას გადასცა. აგოიამ მოსართავები მოუშვა და გაქაფებული ცხენი ეზოში გაატარ-გამოატარა. პლატონმა ხელი ჩამოართვა ყველას. სტეკი ჰამაშზე შემოიკრა და კორნელის ჰკითხა:

— მოგწონთ ჩემი ცხენი?

შავი, გიშრისფერი ულაყი მართლაც ლამაზი იყო. პატარა თავი, მოხდენილი, აცქვეტილი ყურები, მოღუნული, გრძელფაფარიანი კისერი და სქელი გავა ჰქონდა. პლატონს შეუქეს თავდის, დათა მიქელაძის ცხენი, მაგრამ კორნელი თვალებში ჩააცქერდა ცხენს, თვალზე ხელი მიაფარა და განაცხადა: ცალ თვალზე დაბრმავებულაო. თუმცა ვერავითარ სიბრმავეს, თვალში ჩამდგარ შავ წყალს, ლიბრს, ბისტს და თვალზე გადაფარებულ თეთრ გარსს ვერ ამჩნევდა. კორნელიმ გული ატკინა პლატონს.

იხტიბარგატეხილი სტუმარი სკამზე დაჯდა, შლიაპა მოიხადა, მარაოსავით დაარხია გახურებულ სახესთან. ცხელოდა. ჰიჰინობელა განუწყვეტლივ ჰიჰინებდა.

— კარისმერეთი ნამდვილი აგარაკია. უკვე დაგტყობიათ აქ ყოფნა, — უთხრა პლატონმა ვარდოს და ნინოს. ნინოს რამდენიმე ქათინაურით გაუმასპინძლდა, ესტატეს თბილისის ამბები გამოჰკითხა.

ამ დროს სახლიდან სტეფანე გამოვიდა.

— სტეფანე შენზე უფრო ნასწავლ და ფილოლოგიის

მცოდნე კაცად თვლის თავის თავს და კამათში შენი დამარცხება არ ეეჭვება, — უთხრა იონამ პლატონს.

პატივმოყვარე პლატონს თავი ზეკაცად მოჰქონდა და მისი გატოლება მომაკვდავ, ჩვეულებრივ მასწავლებელთან ეწყინა. წამიერ მოიღუშა, მაგრამ თავს სძლია, გაიღიმა და იონას შენიშნა:

— რა დროს კამათია? ჯერ სული მოგვათქმევინე!..

სტეფანემ უხერხულობა იგრძნო:

— ამას ყურს ნუ უგდებთ, ეს ცნობილი ინტრიგანია!

სტეფანემ და თვით იონამაც გადაიხარხარეს. იონა ისევ ოხუნჯობის ეშხზე მოვიდა.

— კარგი, მერე იკამათეთ, ახლა წამოდი. საცოდავო, დაბეგვილი გექნება საჯდომი... არ გამიგონია ფილოსოფოსის ჯირითი. ცხენზე ჯდომისა რა იცის პლატონმა, მე ვასწავლე ჯარში ცხენოსნობაო, თქვა ამ ბიჭმა, — გაიშვირა თითი კორნელისაკენ იონამ.

— ღმერთო, რა უცნაური კაცი ხარ! ჯერ არც კი მოვსულვარ და, გინდა ახლავე ყველას წამკიდო?! — უსაყვედურა პლატონმა იონას.

2

როდესაც პლატონმა ხელ-პირი დაიბანა და ცაცხვის ქვეშ დაჯდა, იონამ კვლავ წააქეზა:

— პლატონ, მართლა უარყოფ შენ რომანტიზმს, როგორც ლიტერატურულ სკოლას?

— დიახ, — განაცხადა პლატონმა.

— სტეფანე აღშფოთებულია. — უთხრა იონამ.

— აღშფოთება არაფერ შუაშია. მე ვსთქვი: ასეთი მტკიცება მცდარია-მეთქი, — შენიშნა სტეფანემ.

— დამეთანხმეთ, ცნება რომანტიზმი შეიცავს მეტისმეტად გაურკვეველ და მრავალნაირ ლიტერატურულ მოვლენას, — დაიწყო პლატონმა.

— პირიქით, — მიუგო სტეფანემ, — რომანტიზმი, როგორც ლიტერატურული მიმართულება, გარკვეულია.

— არა, — შეედავა პლატონი, — რომანტიზმი, ისევე, როგორც რეალიზმი და ნატურალიზმი, შემადგენელი ელე-

მენტია იმ დიდისა და ერთადერთი მარადიული სკოლისა, რომელსაც სიმბოლიზმი ეწოდება პოეზიაში. აქ ეპოქები, ეკონომიკური და სოციალური ვითარებანი არაფერ შუაშია. არიან გენიოსი და უნიჭო პოეტები და მწერლები. პირველნი კარგად წერდნენ, ხოლო მეორენი ცუდად. ესქილე, შექსპირი, გოეთე, ბოდლერი სიმბოლისტები იყვნენ, ვინაიდან რეალურ სინამდვილეში და წარმავალ მოვლენებში ისინი ზერეალურს და წარუვალს სჭვრეტდნენ. ხომ გახსოვთ გოეთეს მიერ „ფაუსტში“ თქმული სიტყვები: „Alles Vergängiche ist nur ein gleichnis“..?! ე. ი. ყოველივე წარმავალი სიმბოლო არის მხოლოდ... იგულისხმება — სიმბოლო წარუვალისა.

— რა უცნაური რამ ყოფილა ეგ სიმბოლიზმი, ყველა ლიტერატურული მიმდინარეობა რომ ზღვასავით შეუსრუტავს! ვთქვათ, ეგრეა, მაგრამ ლიტერატურის ისტორიისათვის სიტყვა, „კარგი“ და „ცუდი“ განა ერთნაირად ღირებული არ არის? — ჰკითხა სტეფანემ.

— ეგ თქვენი საქმეა: მკვლევართა, კრიტიკოსთა და პედაგოგთა, — ღიმილით მიუგო პლატონმა.

კამათი კიდევ დიდხანს გაგრძელდა. იონა აღფრთოვანებული იყო, რადგან ქართველ ინტელიგენტთა „ბრძნულ“ კამათს ისმენდა. კამათის შედეგად სტეფანე დარწმუნდა, რომ საქმე ჰქონდა დამთავრებულ სიმბოლისტთან, დეკადენტთან, პარადოქსების მოყვარულ ადამიანთან. პლატონმა კი სტეფანე ჩათვალა მცოდნე ფილოლოგად, მაგრამ როგელიც ტრადიციულ კვლევას და ლიტერატურის ქრესტომატულ კურსს ვერ გაშორებია.

ვარდო და ნინო კამათის გარეგნულ მხარეს აქცევდნენ მხოლოდ ყურადღებას, მათ პლატონ მოგველაძის არტისტული ქცევა აჯადოებდათ. პლატონი „ზეკაცის“ მსგავსად დაჯდა. სახის კუნთები დაძაბა და შუქიანი თვალით გაჰხედა შორეულ ქედებს, თითქოს მიუწვდომელსა და მოუთხრობელზე ფიქრობსო. მერმე ბინოკლი მოითხოვა. იონამ უთხრა:

— რაჭა-ლეჩხუმისა და სვანეთის მთები ჩემს ეზოდან უკეთ სჩანან.

სენტიმენტალური გასეირნება

მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი,
მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი.

რუსთაველი

1

იონას ეზო ორი ქცევაც არ იქნება. შიგ ქოხის მსგავსი ფიცრული პატარა სახლი დგას. ეზოს ქოლგასავით გაშლილი თუთის ხე და ვეება ძელქვები ამშვენებს. სახლის წინ დალმართი ერთბაშად ეშვება, რის გამო ეზო გორაკის შთაბეჭდილებას სტოვებს. დაბლა ეზოში უზარმაზარი ძელქვებია და შორს იქით, მართლაც ხელისგულივით სჩანან რიონის ველი, რაჭა-ლეჩხუმისა და სვანეთის მთები. მოწმენდილ დღეს, დაკვირვებული თვალი რიონის სადგურს და მთის ძირში თეთრი ზოლივით გაწოლილ ქალაქ ქუთაისსაც შეამჩნევს. პლატონმა ბინოკლში გაიხედა. თვალზე მოაწყო და დაიძახა:

— შეხედეთ, რა კარგად მოსჩანს თეთნულდი და უშბა!

ბინოკლი ვარდოს გადასცა. ვარდომ შაქრის თავივით აწვეილი, კონუსის მსგავსი თეთნულდი და ბუმბერაზი უშბა დაინახა. როდესაც ცქერა მოსწყინდა, იონამ სკამები გამოიტანა და სტუმრები თუთის ხის ქვეშ დასვა. კორნელი და ნინო ეზოს უკან ვენახში შევიდნენ. ჭიშკართან საგანგებო ჭიშიანი ვაზებით შეთხზული ტალავარი იყო გაშენებული.

— ეს ვაზები ფრანგმა აგრონომმა აჩუქა იონას. „ერეგოლიომს“ ეძახიან. ამ მსხმოიარე ვაზის მტევანი სულ გირვანქას იწონის და შავქლიავის ოდენა მარცვალი იცის. როგორც ვატალისჩინს, ისე უფრთხილდება ამ ტალავარს იონა. დედაბრის შვილია, ვინმე გაბედავს და თუნდაც ერთ მარცვალს მოსწყვეტს უიმისოდ, — უთხრა კორნელიმ ნინოს.

— ძუნწი ყოფილა, — შენიშნა ნინომ.

— არა, მაგრამ კანონად აქვს შემოღებული: უიმისოდ არავინ არ უნდა ახლოს ხელი მტევნებს. თვითონ თავისი ხელით უფრო მეტს მოგართმევს სადესერტო ყურძენს — მუსკატს, ქალისთითას, რომელიც გნებავთ, — განუმარტა კორნელიმ.

ღობეზე გადავიდნენ და მუხნარისაკენ გასწიეს. ტყეში

გრილოდა. ტყის პირას, ხრამში, მწიფე მაყვალი შენიშნეს და მას დაუწყეს კრეფა. მაგრამ ჯაგებს იქით, მინდვრის ბოლოს, უფრო მსხმოიარე მაყვალი იყო. ხმელი ეკალი ედებოდა კაბაზე ნინოს. კორნელიმ ხელი მოჰკიდა და მოხერხებული ბილიკით წაიყვანა. გავიდნენ თუ არა მინდორზე, ნინომ გულშემზარავად შეჰკივლა, გადახტა და ხელი ჩაჰკიდა კორნელის. კორნელიც შეკრთა. გველი აჩქარებით მიიკლაკნებოდა მინდორზე მახლობელ ბუჩქისაკენ. ჩუმად და უხმოდ მიცურავდა, თითქო მწვანე ბალახში ვერცხლისწყალი იღვრებაო. კორნელი გაიტაცა კიდეც ამ უცნაურმა მოძრაობამ, გაშტერებული უცქეროდა ქვეწარმავალს.

ნინოს კივლზე შეშინებული ვარდო, ესტატე, სტეფანე, ონა და პლატონიც მოცვივდნენ და ნინოს ჰკითხეს:

— რა მოგივიდა?

— გველი! — ნინოს მაგივრად მიუგო კორნელიმ.

ახალმოსულნი ქვებით შეიარაღდნენ და ბუჩქში შემძვრალ გველს დასცხეს, მაგრამ იონამ განაცხადა:

— ბუჩქებში შეგვასწრო. გვიანღა არის: ხვრელში ჩაძვრებოდა.

ნინო ცუდად გახდა. მიწის ფერი დაედო. გული უღონდებოდა. წითელი მესტებით დამშვენებულ შიშველ ფეხებსა და წვივებზე იხედებოდა, თითქო ზედ ქვეწარმავალი შეჰხებოდეს ცივი, საზარელი ტანით.

— რა საშინელია! არ შემიძლია გველის დანახვა, — ჩიოდა ნინო და ატირებული ბავშვივით ეხუტებოდა დედას.

პლატონმა კი სალაპარაკო მასალა იშოვნა:

— გველის სახით მოვიდა ცდუნება ამქვეყნად. გველი ცდუნების, სიბრძნისა და მიჯნურობის სიმბოლოა. ლერნეოსის გველის შხამით მოწამლული ისრით განგმირა გმირმა ჰერაკლემ მონა-მსახური, კენტავრი ნესსი თავისი მეუღლის, ტურფა დეანირეს გატაცებისათვის. სიკვდილის წინ შედედებული სისხლი გადასცა კენტავრმა ჰერაკლეს ცოლს, საყვარელ დეანირეს. ამ თვლისმით, ლერნეოსის გველის შხამით მოწამლული სისხლით დაღუპა მერმე შეუცნობლად დეანირემ უძვირფასესი თავისი მეუღლე — ელადის გმირი ჰერაკლე... ლემნოსის კუნძულის მოგვ ქალთან ქრისესთან ალერსისა,

მიჯნურობისა და ცდუნების ჟამს მოშხამა ყვავილხარიდან გამოცურებულმა გველმა ჰელენეთის ჭაბუკი გმირი ფილოქტეტე. ჰეთოსის მთით გამართულ კოცონზე სწვავდნენ ჰერაკლეს, როცა მან აკურთხა ჭაბუკი ფილოქტეტე გმირად და აღთქმა დაადებინა: ქალთან ცდუნება არასოდეს ვიგემოო. ფილოქტეტზე სოფოკლე ამბობს: „შენ უბედობა გარგუნა ღმერთმა: იგემე ქრისეს შინაბუნების გუშაგი — გველი“. გაიხსენეთ კლეოპატრა, რომელმაც უცნაური სიკვდილი ისურვა უარყოფილი სიყვარულის გამო: შიშველი ძუძუსთავი მოალერსე გველს დააკბენინა. ბუსიკით გრძნეული გველის — პიფონის მაგარ სალტეებში განიცდიდა უტკბილეს ვნებათა ღელვას კართაგენის მხედართმთავრის ჰამილკარის ქალი სალამბოც... გაიხსენეთ გველის ჭამით გამეცნიერებული მინდია...

აღარ გაათავა პლატონ მოგველაძემ ცდუნების, სიბრძნისა და მიჯნურობის სიმბოლოს — გველის გამო უცნაური საუბარი. ნინო კი ეჭვმა შეიპყრო: რაღა მაინცდამაინც მე და კორნელის შეგვეფეთა ის ურწმუნო; ვაითუ ცუდი ნიშანიაო?!

დედამ ოთახში დააწვინა ნინო. გულის დამაამებელი წვეთები დაალევინა. ვარდოს წასვლის მერმე კორნელი სასთუმალთან მიუჯდა და დაამშვიდა.

— გველიც ბუნებისაგან შობილია, ნინო, წინასწარ აღებული აზრით თუ არ მიუდგები, ლამაზიცაა ერთგვარად. შხამიანი რომ არ იყოს, ადამიანს ამრიგად როდი შეზარდებოდა. ბუნებისმეტყველისათვის იგი ისეთსავე გულისყურის საგანს შეადგენს, როგორც სხვა ყოველი ქმნილება. ევგენიმ მიამბო: ცნობილმა ფიზიოლოგმა პავლოვმა ერთი ჩემი ამხანაგი ლაბორატორიიდან დაითხოვა იმის გამო, რომ ქვეწარმავალებზე მუშაობა შეეზიზღა და არ ისურვაო. ფიზიოლოგს იმ სტუდენტისათვის უთქვამს: შენგან ბუნებისმეტყველი არ გამოვაო. მე კი მივუმატებდი: არც ხელოვანი.

ნინოს ფერი მოსცლოდა.

— ის მკვდარი გველი იქნებოდა, ცოცხალი უფრო საზარელია, — უთხრა ნინომ კორნელის.

2

საღამოს ყველანი ეზოში ჩავიდნენ და სეირნობა დაიწყეს. ნინო და კორნელი სასტუმრო ოთახში დარჩნენ. ნინო მაგიდაზე გაშლილ ძველ გაზეთს კითხულობდა, რომელშიც პოეტის გრიგოლ ცაგურიშვილის ლექსი იყო დაბეჭდილი. იგი მახვილს და რიტმს ურევდა. ბავშვივით არბილებდა ასოებს. კორნელი თავზე ადგა და ქართულს უსწორებდა. მერმე ისე დაიხარა მაგიდაზე, რომ ნინოს თმას შეეხო. ქალის თმის შეხება, საამო სურნელი და ლოყის ალმური ათრობდა. კიდევ უფრო დაიხარა და ახლა ნინოს ლოყას შეეხო სახით. საამური სითბო და სიტკბოება იგრძნო. ქალს თავი არ გაუწევია, მღელვარებისაგან გაფითრდა, სიტყვა ჩაუწყდა და გაინაბა, თითქო ჯადოსნურ ბადეში გააბესო. სდუმდნენ. დილამდე იქნებოდა კორნელი ასე ტკბილად განაბული, რომ აგოია არ ამოსულიყო აივანზე. კორნელი გასწორდა: ხიდზე წავიდეთო, უთხრა ნინოს.

კორნელიმ ჭიშკარი გააღო და ნინო მდინარისკენ წაიყვანა.

გზაზე რიყის ქვები ეყარა და ნინო მესტებიან ფეხის ცერებით ფრთხილად მიდიოდა. კორნელიმ მკლავში გაუყარა ხელი.

მდინარის მაღალ ნაპირს მიადგნენ. ცოტა ქვემოთ ხიდი იდო და ზედ კარისმერეთელი გოგო-ბიჭები სეირნობდნენ. შორს, აჯამეთის ტყის იქით, ცის დასავალზე, ჯერ კიდევ შესამჩნევი იყო წითელი ზოლივით გაწოლილი, უკვე დამცხრალი მზის ხანძარი. მთა შუბანს მდუმარედ გადმოადგა სავსე მთვარე. კორნელი ლოდებზე გრიალით მარბენალ მთის ახკარა მდინარეს დააცქერდა. სდუმდა არემარე, მხოლოდ მდინარის იქით, გვიმრით დაფარულ ნაპირთან, ბავშვთა სიმღერა ისმოდა. წკრიალა ხმით მღეროდნენ სოფლის უდარდელი ბავშვები. კორნელი ყურს უგდებდა მათ და გულზე რაღაც გამოუთქმელი ნაღველი აწვებოდა.

— რაზე ჩაფიქრდი? — ჰკითხა ნინომ.

— შენზე, — მიუგო კორნელიმ.

— რას ფიქრობ ჩემზე?

— რომ უშენოდ ცხოვრება არ შემიძლია.

ნინო გაფითრდა, ტანში ჟრუანტელმა დაურბინა, გაოცებით შეხედა კორნელის და უთხრა:

— კორნელი... რა მემართება, არ ვიცი. გულ-ღვიძლი მეწვის, ცეცხლი მეკიდება. მე ჯერ არ განმიცდია ასეთი გრძნობა. მე... მე თანახმა ვარ გავხდე შენი... — სიტყვა ჩაუწყდა. ტუჩი მოიკვნიტა, თავი დარცხვენით დაჰკიდა.

— ძვირფასო ნინო! — დაიძახა აღტაცებით კორნელიმ. — ნუთუ მართალია, რაც შენა თქვი? — ხელი მოჰხვია და თავნაყარ სიმინდისაკენ წაიყვანა. იონას ვენახის უკან, თხილნარში შევიდნენ და გადაჭრილი მუხის ძირთან დასხდნენ. სავსე მთვარე მაღლა იწევდა. ვენახის იქით თავნაყარი სიმინდი შრიალებდა. ნინოს ჩუმი ხმა გაისმა:

— შინ არავისთან წამოგცდეს, რაც ახლა გითხარი. არ მინდა ვინმემ იცოდეს, გესმის? მრცხვენია...

— მესმის შენი გულის თქმა! ჩვენი გრძნობა და სიყვარული ჩვენს გულში უნდა განისვენებდეს, სხვას რა ხელი აქვს მასთან, ჩემო ნინო, ჩემო თვალის სინათლევ! — უთხრა ჩუმად კორნელიმ და ორთავ თვალში აკოცა. მერმე აიტაცა და მუხლებზე დაისვა. ქალს თვალები დახუჭული ჰქონდა, თითქო ტკბილად სძინავსო. ხმას არ იღებდა. კორნელი შეშინდა: რა მეშველება, რამე რომ მოუვიდესო. რა წამს ეს გაიფიქრა, ფერმკრთალი და თვალდახუჭული ქალი მკვდრად მოეჩვენა. სახლისკენ გაიხედა. ოთახში ლამპა ბჟუტავდა. ბოძზე გაშტერებული მთვარე გადმომდგარიყო. ირგვლივ სიჩუმე სუფევდა, მხოლოდ ღობესთან მაღალი კელაპტარივით ცამდე აწვდილი, ვერცხლისფრად განათებული ალვის ხის ფოთლები ცახცახებდნენ და შრიალებდნენ.

იმ წუთას კორნელის მართლა სჯეროდა, რომ მის ცხოვრებაში რაღაც საასწაული უნდა მომხდარიყო. ჩირგვში რაღაცამ გაიფაჩუნა. კორნელი შეკრთა, მაგრამ ფაჩუნი მაშინვე შეწყდა. ცოტა ხნის მერმე ქალი შეირხა. კორნელიმ მუდარით შეხედა: ქალს თვალები ნამტირალევი ჰქონდა. რა ატირებდა არა თქვა. მთვარეულივით წავიდა შინ.

ყანაზე მიდიოდნენ.

კორნელიმ ჭყინტი სიმინდი მოტეხა: გადასწყვიტა ვახშამზე დაგვიანების მიზეზად ეს მოეტანა. შუა ყანამ ხევ და, სიმინდის ფურცელი ყელზე ხანჯალივით ებჯინებოდა ტაროს

შეავლო ხელი, გაჩილა, მარცვალს ფრჩხილი დააჭირა, მარცვალი გასკდა და რძესავით შხეფი სახესა და ბაგეზე მიესხა. მერმე თავნაყარ სიმინდს ტარო შეატეხა. სიმინდის ღერო შეირყა. გადატეხილ მუხლზე ცრემლი დააჯდა.

ნინო უღონოდ და უძრავად იდგა ყანაში. და, როდესაც კორნელიმ მკლავში ხელი გაუყარა, ისევ მთვარეულივით გაჰყვა შინისაკენ. ქალი ღობესთან შეჩერდა.

— ცუდად ვარ! — ძლივს ჩაილაპარაკა მან.

— რა მოგივიდა? — ჩასჩურჩულა კორნელიმ.

— არ შემიძლია, — ცრემლმორეული ხმით წარმოსთქვა ნინომ და დაკოდილი შვლის ნუკრის თვალი მიაპყრო ჭაბუკს, აცახცახდა და მყისვე მუხლი მოეკვეთა.

„უი ჩემს თავს!“ — გაიფიქრა კორნელიმ. ბავშვივით აიყვანა ხელში ასული და ასე გაეშურა შინისაკენ...

უგუნებოდ შეჭმნილმა ნინომ თავის ტკივილი მოიმიზეზა. გაიხადა და მაშინვე დაწვა...

— რად დაიგვიანე? რა მოგივიდა? — შემოესმა ვარდოს ხმა აივანზე კორნელის.

— არაფერი არ მომივიდა. მდინარის პირას ვსეირნობდით... — მიუგო ნინომ.

კორნელი აივნის ბოძს მიეყრდნო. მთვარით განათებულ მწვერვალებს გაჰხედა. მოზღვავებული გრძნობის გამო თვალში ცრემლი ედგა.

ქალბატონისა და ნაჭმევის შეჯირვებანი

გაცილებით უფრო ადვილია რომელიმე გმირის ტანისამოსის ზედმიწევნით დახატვა, ვიდრე მოთხრობა იმისა, თუ რას განიცდის და გრძნობს იგი, თანაც ალაპარაკო ის.

სტენდალი

1

მოხუცი გლეხი სამზადს მიადგა. ტერეზა გუჯაბით სტენიდა გობზე გაფატრულ გოჭს. მუცლის ღრუს უვსებდა მოხარშულ ბრინჯითა და ჯიგრით. შეჭამანდის შეკმაზაში ტოლი არ ჰყავდა მას.

— აქა მშვიდობა! — დაიძახა მოხუცმა გლეხმა და სვანური ქუდი მოიხადა.

— ჯაჯანას ვახლავარ. ასე როგორ დაგვივიწყე, შე კაცო. ერთი თვეა არ მოსულხარ ჩვენსა! — მიესალმა ტერეზა დედის მონათლულ გლეხს, ჯაჯანა მენჯავიძეს.

— თქვენს თავს რა დამავიწყებს, ქალბატონო, რას ბრძანებ?! — მიუგო ჯაჯანამ.

— თავი კი მოგვანატრე და, რა ვიცი, — შენიშნა ტერეზამ და გაფატრული გოჭის ამოსაკერად ნემსი და კედის ძაფი მოიმარჯვა.

— ხომ იცი, ქალბატონო, ეს ყანის მარგვლა-მოროდიო, ეს ვენახის მორწყვაო, — იმართლებდა თავს ჯაჯანა.

— შე კაცო, თავნაყარი სიმინდის მარგვლა ვის გაუგონია? — დასცინა ტერეზამ.

გამტყუნებულმა გლეხმა თავი ჩაჰკიდა. ცოტა ხნის დუმილის მერმე ისევ დაიწყო:

— ქალბატონო, შენი კორნელი ვნახე ბაზარში. მადლობა ღმერთს, შინ მშვიდობით დაგბრუნებია! ჩემს ეზოსთან გაჩერებულიყო ცხენით.

— სალომეს დაუთვრია... ასე უნდა, ჯაჯანა? ღვინო ჯერ რა მისი საქმეა! — უსაყვედურა ტერეზამ.

— ღვინო იმისთანა მოწიფული ვაჟკაცის საქმეა, აბა, ჩემისთანა გადაყრუებული ბებერისთვის, რაღა დროისაა?! — მიუგო ჯაჯანამ და დასძინა: — რა დიდებული ვაჟკაცი დამდგარა!

— რაღა ვაჟკაცი, რა? დაუჩემებია: შვებულება მითავდება და ისევ ჯარში უნდა წავიდეო, — შესჩივლა ტერეზამ.

— არა, ქალბატონო, ჯარში რა უნდა: მთელი ჩვენი სოფლის ბიჭები, ერთი კაკალი კაცი ალარ აბერებს ჯარში დაბრუნებას, — გააფრთხილა ჯაჯანამ.

— კი, მაგრამ ყველა შავ გზას რომ დაადგეს, ვინღა იომებს და იმსახურებს ჯარში? ხომ აგვაწიოკა მაშინ თათარმა? — გამოიდო საქვეყნო საქმისათვის თავი ტერეზამ. ჩემი კორნელი თოფ-ზარბაზნის გრიალში და ტყვიაში იყოს და სოფლის ბიჭები კი შინ იჯდნენ, ამიშენდება ოჯახიო, — გაიფიქრა.

— თათარს, ქალბატონო, ჩვენ რას დავაკლებთ ურუსეთოდ? — ჩაიქნია უიმედოდ ხელი ჯაჯანამ.

— ჩვენი თავის იმედი თუ არ გვექნება, ჩემო ჯაჯანა, რუსეთი ახლა საიდან გვიშველის?

— არ გვინდაო, ქალბატონო, ურუსეთოდ ყოფნა, ასე ამბობს მთელი სოფელი, — შეატყობინა სოფლის აზრი ჯაჯანამ ტერეზას.

— ჰო, და მასე რომ ამბობენ, იმიტომაც ვიმარჯვებთ, — შენიშნა მხეიძის ქალმა. გუჯაბით გაქონილი ხელი ცხელი წყალით დაიბანა და წინსაფარზე შეიხოცა. მაიკომ გოჭი შამფურზე წამოაგო და გაწვართნა. ფეხებით ზედ მიაკრა. ნაკვერცხალი გამოჩხრიკა და ღადართან დარჭობილ ორკაპიან პალოებზე გასდო. თეფშზე დასხმულ ძმარში გახსნა კვერცხის გული და ბატის ფრთით წაუცხო ტაბუცუნი გოჭს, უფრო კარგად რომ შებრაწულიყო.

ჯაჯანას ნერწყვი მოადგა:

— რა გოჭია, ქალბატონო, ძუძუზე აყვანილი, ძვლიანად შესატკვერია!

— რვა გოჭი კიდევ მყავს, — ღიმილით უთხრა ტერეზამ.

ჯაჯანა თვალს ადევნებდა, ამ შიმშილიანობის ჟამს, მისთვის უჩვეულო სადილის მზადებას. მერმე მდიდრულ სახლკარს გაჰხედა, ჩაახველა და ტერეზა სამზადიდან გაიხმო:

— ქალბატონო, სიტყვა მაქვს და თუ გცალია, მინახულე ერთი აქით.

ტერეზა სამზადიდან გარეთ გაჰყვა და სამზადის კედელთან, გრძელ სკამზე დაჯდა. კრიალოსანი ამოიღო. გვერდით ჯაჯანა მიუჯდა. შვინდის ორკაპიანი ყავარჯნით დაუწყო მიწას ჩხრეკა, ხაზვა და ასეთი საუბარი გაიბა:

— დიდი მღელვარებაა, ქალბატონო, გლეხობაში. მემამულეების მიწები უნდა ძალით დავიკავოთო!

ტერეზა აიმრიზა:

— მე რაღა დამრჩა წასართმევი, ჩემო ჯაჯანა?!

— შენ მართლა რაღა დაგრჩა, ქალბატონო, წასართმევი, მაგრამ შენ ძმაზე ოტიაზე კი იმუქრებიან. ამდენი სახნავსათესი უცდებაო. სარკოიას ტყეზეც აქვთ მიტანილი გუმანი.

— რაც მთავრობას კანონით ეკუთვნის, იმას ვინ წაართმევს და რაც არ ეკუთვნის, ის აკი ჩამოართვეს: შუბანის

მამული, საყანე ადგილები ყვირილაზე... მეტი რაღა უნდათ? მაგრამ მგელი ხომ იცი, ჩემო ჯაჯანა, მტაცებელი ნადირია. ერთხელ თუ შეეჩვია ფარას, მშვიდობით მერე, — მანამდე არ მოეშვება, სანამ დიდი ბოღვერა ძაღლი არ დახვევს და დაჭინჩავს. ნუ გეშინია, ჩვენც გამოგვიჩნდება მცველი... მოგერიე და წაგართვიო, ეს რომელ კანონში და სამართალში წერია?! — ცხარობდა ტერეზა და კრიალოსნის მძივებს აღელვებული მარცვლიდა.

— ჯაჯანა, შენ და შენი ღმერთი, მართალი მითხარი: მაქვს თუ არა მე ჩამოსართმევი მამული? — ჰკითხა ბეჯითად ტერეზამ და მოხუცს თვალი თვალში გაუყარა.

— არა, ქალბატონო, ჩამოსართმევი მამული სად მოგეძევება, — მიუგო ცბიერად ჯაჯანამ, მაგრამ ამ ურყევ დასტურს დაბალი ხმით მიაყოლა: — თუ ჭინჭარეულის საყანეებზე არ შეგედავენ. ჭინჭარეული, ქალბატონო, რამდენი ქცევა იქნება? შვიდზე მეტია, მგონი, არა? — დაიწყო რატომღაც ჯაჯანამ ჭინჭარეულის ფართობის გამოძიება.

ეკალივით მოხვდა გულზე ტერეზას ეს ამბავი. ჭინჭარეულზე ყოფილა ლაპარაკიო, — გაიფიქრა. შეეშინდა, არ ჩაშომართვანო და ორი ქცევა დააკლო:

— შვიდი კი არა, ხუთიც არ იქნება.

— ხეთი რავა არ იქნება, ქალბატონო?! ჩემ ეზოს აკრავს, ყოველ დღე შიგ ვტრიალებ და თვალითაც ვატყობ, ნამდვილად შვიდი ქცევა იქნება, — აცივდებოდა ჯაჯანა.

— თუ გინდა, ათი ქცევაც იყოს! მერე რა? ჭინჭარეული რომ წამართვან მერე მარტოკა ნაბოგირევი გვაცხოვრებს? — ვაბრაზდა დოინჯშემორტყმული ტერეზა. წარბი მრისხანედ აზიდა და თვალები გაავებული ჭორივით შეანათა ჯაჯანას. წახდა მოხუცი. მაგრამ მაინც შეაპარა ნუგეში:

— ნაბოგირევი რას გეყოფა, ქალბატონო, მაგრამ ზვარებელო, ქარჩხავი და ქვასაბერტყელა შენი არ არის?

ტერეზა ვერ ელეოდა ჭინჭარეულს და ახლა ეს მოიშიზეზა:

— ზვარებელო და ქარჩხავი მწირი მიწა გახლავს.

— მწირი საიდანაა, ქალბატონო? ჭინჭარეულს ბევრად სჯობია: ყვირილა სილავს და ნოყიერია, — არ დაეთანხმა ჯაჯანა.

— თუ გინდა ნოყიერი და ბოღაზიც იყოს, ჭინჭარეულთან მაინც ვის რა ხელი აქვს? — კიდევ უფრო გაბრაზდა და გაიფოფრა ტერეზა.

ჯაჯანა სდუმდა. იშმუშნებოდა. თეთრ წვერზე ისვამდა ხელს, ხანდახან შეაპარებდა ქალბატონს წაბლის კაჭარივით კრიალა თვალს, მერმე ისევ მიწას დააცქერდებოდა, ვერ გაებედნა ეთქვა ტერეზასთვის ის, რის თქმასაც აპირებდა:

— მართალია, ქალბატონო. არა, მე ისე მოგახსენე... ვიფიქრე, თუ ვინიცობაა ღმერთი გაწყრა და მიწების დატაცება დაიწყეს გლეხებმა, ქალბატონისთვის არ სჯობია, ჭინჭარეული მისი თანხმობით მე და ჩემს ლუკაიას გადმოგვცეს-მეთქი? მთავრობა დატაცებულ მიწებს თუ უკან დაუბრუნებს მეპატრონეებს, მაშინ ჭინჭარეულიც შენი იქნება! — გაბედა ბოლოს ჯაჯანამ, მაგრამ სჯობდა არ გაებედნა, რადგან ტერეზამ „ქვა-კოხივით“ მიაყარა:

— არ მომწონს, ჯაჯანა, მართალი გითხრა, ეს შენი ლაპარაკი. ცუდად გიფიქრია! მტერი იფიქრებდა ასე, და არა მოყვარე... რას ჩერჩეტობ: როგორ თუ მომტაცებენ მაჭაპაპეულ მიწებს! რომელი ანანოვი მე ვარ და რა იმდენი მიწები მე მაქვს, ჭინჭარეული რომ წამართვან?

ტერეზა თოფნაკრავივით წამოდგა. ნელა წამოდგა აგრეთვე წელმოწყვეტილი ჯაჯანაც.

— არა, ქალბატონო, სხვანაირად არ გამიგო. მე და ლუკაია ცხონებულ დარეჯანის და შენს ამაგს ვერასოდეს ვერ გადავიხდით. შენს სასარგებლოდ გვინდოდა საქმის გაჩარხვა და იმიტომ მოგახსენე. ისე კი შენ იცი, თუ შეგრჩა, ქალბატონო, ჭინჭარეული, ეს მაინც იცოდე: მე უნდა მომცე გაისისთვის საზიაროდ. იქვე ვარ, მუშაობას არ მივაკლებ, — იმართლებდა თავს ჯაჯანა.

ტერეზა მიხვდა ჯაჯანას წადილს: ჭინჭარეული მის ეზოს ეკვრის. მადა გახსნია და მისი ხელში ჩაგდება მოუწადინებია, ამ წამხდარ ყაზახს! დედის მონათლული რომ ამას მიპირებს, მტერი როგორ დამზოგავსო! — გაიფიქრა და უთხრა:

— თავიდანვე ასე გეთქვა, შე დალოცვილო! მოტაცებაზე რომ მიდგეს საქმე, ბევრი რამის მოტაცება მინდა, მაგრამ ვინ დამანებებს?

ჯაჯანამ ჭალარა წვერზე ხელი გადაისვა, მერმე ყავარჯენს დაებჯინა, ხმას აუმაღლა და ტერეზას გაღმა შეედავა, რათა გამოღმა შეენარჩუნებინა:

— შენ შინ ზიხარ, ქალბატონო, და არ იცი, რა ამბავია სოფელში! ჯარისკაცები ამბობენ: რუსეთში მემამულეების მიწები გლეხებს გადაეცა და, საქართველო რა წითელი კვერცხიაო? დღეს თუ ხვალ იარაღით აპირებენ გამოსვლას და მიწების ძალით წაღებას. მერე ნეტავი იცოდე, ვინ არიან ეს ჯარისკაცები, ხალხს რომ აჯანყებენ!

— ვინ ჯარისკაცებია? — უკმეხად ჰკითხა ტერეზამ.

— რომ გითხრა, არ დაიჯერებ. გოჯასპირის შვილი, გალაქტიონი და რაჟდენ ტურიაშვილი არიან ამ საქმის წამომწყები და მეთაურები.

ახლა ხომ მიხვდი, ქალბატონო, რა მაიძულებდა მეთქვა შენთვის ჭინჭარეული დროებით გაღმომეცი და იქნებ შეგინახო-მეთქი. შენ კი სხვაფერ იფიქრე... საქვეყნოდ თავმოსაჭრელ და საჯაყ საქმეს მე შენ გკადრებ? რამ გაფიქრებია ეს, ნათლია? — მიუგო ნიშნის მოგებით, უმიზეზოდ შეურაცხყოფილი და მართალი კაცივით ჯაჯანამ. მაგრამ არც გაჭექილ ქალბატონს და არც ვირეშმაკ მოხუც გლეხს არაფერი არ სჯეროდათ ერთმანეთისა.

— თავსლაფი კი დაგასხი გალაქტიონს! ყაჩაღ გოჯასპირს ყაჩაღი შვილი ეყოლებოდა, აბა, როგორ იქნებოდა! მამაჩემის აღზრდილის შვილი რომ დაქცევას მიპირებს, სხვა რა ხეირს დამაყრის?

— ვაგიგონია! — აიწურა მხრები გლეხმა, ორივე ხელი გაიქნია უიმედოდ, სახე დაელრიჯა, და წარბები ეშმაკურად აძგიბა. გლეხის ეს მანჭვა-გრეხით და ზემოიმერული კილოთი თქმული და გამღერებული: „გაგი... გონია" ამის მთქმელი იყო: შენგან არ მიკვირს, ქალბატონო! სხვა კი არა, ისეთი დროება დადგა, რომ აღარც დედაშენის მონათლული დაგინდობს და აღარც ღვიძლი ძმაო. მერმე ისევ განაგრძო: — აბა, ქალბატონო, ეს საქმე არ გამოგივათ და ტყუილა თავს ნუ წააგებთ-მეთქი, დავტუქსე გალაქტიონი და რაჟდენი. მაგრამ ვინ დაგიჯერა! ასე, ქალბატონო, ჭინჭარეულის იმედი მექნება, — დაელრიჯა ჯაჯანა.

კი, ჩემო ჯაჯანა, ჭინჭარეულს საზიაროდ შენ გარდა, სხვას არავის მივცემ, — შეჰპირდა ტერეზა.

როცა ჯაჯანა წავიდა, ტერეზა დიდხანს ქაქანებდა დომენტისთან და მაიკოსთან:

— ხედავ, როგორ გათავხედდა ხალხი და რა გზას დაადგა? მოგერიე და წაგართვიო!

იონა სამზადში შევიდა და ტერეზას უთხრა:

— სტუმრები შიმშილით დაწყდნენ და სადილი დააჩქარეთ.

გაკაპასებულმა ტერეზამ აგდებულად და უკმეხად მიუგო თავის დის მაზლს:

— რა დროს სტუმრებია. სტუმრები კი არა, მალე გზაზე დავიწყებთ ღოღვას და წოწიალს მოწყალების სათხოვნელად!

იონას გაუკვირდა, ჭკუაზე ხომ არ შეცდაო, და ჰკითხა:

— რა ამბავია, რა მოგივიდა?

ტერეზამ ჯაჯანას ნალაპარაკევი უამბო.

— ქვეყანა ისე წახდა, რომ ჯაჯანა და ლუკაიაც წართმევის და წაგლეჯის გზას დაადგნენ, — ყვიროდა ტერეზა.

სამზადში ამ დროს სტეფანე და კორნელიც შევიდნენ. ტერეზამ ისინი კუთხეში მიიმწყვდია. რჩევას ეკითხებოდა. ქაქანით ტვინი გამოულაყა. სადილი, სტუმრები და მათი პატივისცემა დაავიწყდა. იონა გაბრაზდა:

— ოტიას იმდენ მამულს რომ არ შეარჩენდნენ, ახლა გაიგე? აბა, რისი თავისუფლება და რევოლუცია არის, გლეხებმა თუ ველარასფერი მიიღეს?

ტერეზა მოტყდა და იონას ჰკითხა:

— კარგი, ოტიას თავი დავანებოთ. ჩვენ რა ისეთი მემამულე ვართ, ჩვენც რომ ნიშანში ამოგვიღეს?

იონამ მიუგო:

— ჭინჭარეულს თუ დაგჯერდნენ, კარგია, შენ ნუ მომიკვდები.

სტეფანე და კორნელი იონას დაეთანხმნენ.

ტერეზამ ხელი ჩაიქნია, თითქოს თქვენისთანა ახირებულ ხალხს რა უნდა ველაპარაკოო. მერმე დაცინვით უთხრა:

— მარტოკა თეატრი, მუსიკა და ლექსები თუ გეყოფათ, ამასაც ვნახავ!

იონა რომ წავიდა, ტერეზამ შვილებს განუცხადა:

— მაგის აყოლა ჩვენ არ გვარგია! ნაგას შვილი და ძირი არ გააჩნია. მარტოხელა და ჩემს ხელებში შემყურე კაცია. მაგას ერთი ციდა ვენახი და ეზო აქვს. სამარცხვინო სახლი — კორომელა უდგია. ხელს არავინ ახლებს და სხვას რას დაეძებს. მე ვიკითხო, მე უბედურმა!

ნაწილი მეორე

ბაზრის მოედანზე

...აჯანყების საბაბად გადაიქცა ხელისუფალთა მიერ გლეხების განიარაღების ცდა.

1918 წლის დოკუმენტებიდან.

1

— იონამ პლატონ მოგველაძე თავის პატარა, „კორომელა“ სახლში შეიყვანა. ხის პატარა სახლი, უფრო სწორად ქოხი, ორი თვალისაგან შესდგება. ერთში აკლდამასავით პატარა საძინებელი ოთახია და მის უკან — საკუჭნაო. მეორეში კი — მიწის იატაკიანი სამზადი, ფართო ბუხრით. კუთხეში დიდი ქოთნები დგას. დერგები — მწნილით და ყველით, დოქები — წოია-კვაწარახით. ჯოხზე ტყემლის ტყლაპები ჰკიდია. ამ სოფლური ბუხრის წინ უყვარს შემოდგომით და ზამთრობით პურისჭამა იონას. ერთხელ პლატონიც აქ ასადილა. პლატონმა მოიგონა ეს სოფლური, იდილიური პურისჭამა, ქოთანში ამოლესილი ლობიო, ახალმოყვანილი ჭყინტი ყველი, ჭადები. ნაქურჩალით თავდაცმულ, რკინისფერ კოკიდან ასხამდა იონა წითელ ღვინოს — ამბოხს, რომელსაც სწორედ მაშინ უწოდეს „ერეკლე მეორე“.

საძინებელი ოთახი საკვირველებას წარმოადგენდა. შეაღებდით თუ არა აკლდამისოდენა ოთახის უბრალო ფიცრულ კარს, წინ კედელზე, ჭერის ახლოს მიმაგრებული იყო ადამიანის თავის ქალა, რომელსაც მარცხნივ და მარჯვნივ შავ ჩარჩოში ჩასმული შექსპირისა და ბაირონის პორტრეტები ამკობდნენ. მარჯვნივ კუთხეში მინიატურული ბუხრის თავ-

ზე ღვთისმშობლის დიდი სურათი ეკიდა. მარცხნივ — წიგნით სავსე განჯინა იდგა. განჯინაში რიგზე ეწყო ევროპისა და რუსეთის კლასიკოსების თხზულებები. თაროზე ქართველ მწერალთა წიგნები ელაგა. ქვედა თაროები სავსე იყო: „მოამბით“, „დროებით“, „ცნობის ფურცლით“. გახუნებულ ფურცლებს თუთუნის ფერი დასდებოდათ. აქ იყო: წარსული საუკუნის დამლევს „ქართველთა ამხანაგობის“, „კვალის“ რედაქციის, „წერა-კითხვის საზოგადოების“ და სხვათა მიერ გამოცემული წიგნები: „გიორგი სააკაძე და მისი დრო“ — ანტონ ფურცელაძისა, „იმერეთის მეფე სოლომონ დიდი“ — სიკო კანდელაკისა, „სიბრძნე სიცრუისა“ — საბა-სულხან ორბელიანისა, „ქადაგებანი“ — გაბრიელ ეპისკოპოსისა და სხვა მრავალი. მარჯვნივ ფარდაგდაფენილი სკივრი — ტახტი იდგა მუთაქებით, რომელზედაც იონა იძინებდა. მარცხნივ კედელში, სარკმელი იყო დატანებული. ფანჯრის წინ საწერი მაგიდა იდგა წიგნებით, ხოლო შემოსასვლელ კარებთან, კუთხეში — პატარა მაგიდა. მაგიდაზე ეწყო: სარკე, ჯაგნარა თავისა და ტანისამოსისათვის. მის გასწვრივ კუთხეში — ეტაჟერი. ესეც წიგნებით და ჟურნალ-გაზეთებით დატვირთული.

საკვირველი ასეთნაირად მორთულ ოთახში მაინცდამაინც არაფერია, მაგრამ კედლებისთვის რომ შეგეხედათ, უთუოდ გაოცდებოდით. შპალერის ადგილი ათასნაირი ზომისა და ხასიათის სურათებს და პორტრეტებს დაეჭირათ: რეპროდუქციულს, ფოტოგრაფიულს, ჟურნალიდან ამოჭრილსა და ღია ბარათზე დახატულს. რას არ ნახავდით კედელზე: თემატიკურ დომხალს, სტილის აღრევას. საკვირველი ის იყო, რომ ეს პროვინციული, ავადმყოფური სიყვარული ღია ბარათებისადმი უმართებულო იქნებოდა აგვეხსნა იონას ცუდი გემოვნებით და ჩამორჩენილობით. იგი მოწყვეტილი იყო ქალაქს, კულტურულ ცენტრს, განსაკუთრებით ამ უკანასკნელ დროს და ეს სურათები და ღია ბარათები ფანტომების როლს ასრულებდნენ, კულტურისა და ხელოვნებისავან ოდესღაც მიღებულ შთაბეჭდილებათა მოგონებისა და შენარჩუნებისათვის. აქ ნახავდით მესხიშვილს, ნუცა ჩხეიძეს, ვასო აბაშიძეს, კაჩალოვს, მოსკვინს, ადელგეიმსა და მრავალ სხვა მსახიობს, სხვადასხვა როლში. აგრეთვე ნაპოლეონს, რუსეთის პეიხაჟს და ეგვიპტის პირამიდებს. მწერლების და პოეტების — ტოლს-

ტოის, პუშკინის, გოეთეს, ილიას და აკაკის სურათებს, ჩარჩოებში ჩასმულს და კედელზე დაკიდებულ ფილოსოფოსთა, დიდ პოეტთა თქმებს, აფორიზმებს და ათას სხვას, საწერი მაგიდის ზემოთ დიდი სურათი ეკიდა: „ქრისტე მოციქულთა შორის“.

პლატონის ყურადღებას ყველაზე მეტად იონას ფოტოგრაფიული სურათები იპყრობდა: ლამაზი ყმაწვილი იონა მუნდირში გიმნაზიელობის დროს, იონა სტუდენტი — ხუჭუჭა თმითა და ჯიღისოდენა შუქიანი თვალებით. იონა გადაგრეხილი ულვაშებით, ჩოხა-ახალუხში და იარაღში ჩამჯდარი ვაჟკაცი. იონა და მესხიშვილი. ევროპულ კოსტუმში გამოწყობილი შუახნის კაცი — იონა ფრანგ აგრონომს ტიებოს ესაუბრება. იონა და ზდანევიჩი. იონა ურემთან, ყანაში, უბრალო გლეხური ტანისამოსით. იონა სოფლად არხის გაყვანის დროს... ამ სურათში ჩანს ხალხოსნის იონას ბიოგრაფია.

როდესაც პლატონ მოგველაძე ოთახში შევიდა, იონამ კუთხეში აყუდებული გრძელი ყავარჯენი აიღო და მისი ბოლო ადამიანის თავის ქალას ქვედა ყბის ძვალზე დააჭირა. ქვედა ყბამ მოძრაობა იწყო და ქალა ხან დახურავდა ხახას, ხან კიდევ გააღებდა:

— იონა, რასა შვრები? რა საშინელებაა! გაანებე თავი! — დაიძახა პლატონმა და ოთახიდან კარში გავარდა.

— ზეკაცი ვარო, რომ იძახი, აი შეხედე, ზეკაცის ბოლოც ეს არის, — ამბობდა იონა.

— რად გინდა ოთახში თავის ქალა? — უკვირდა პლატონს.

— ეს კორნელის ძმამ ევგენიმ მაჩუქა, ეკიდოს აქ, რომ ყოველთვის მახსოვდეს ადამიანის ცხოვრების ამაოება, — მიუგო იონამ სერიოზული სახით, და მერმე საუბარი ირანელი ლირიკოსების, ომარ ჰაიამისა და საადის ლექსებზე და შექსპირის მიერ „ჰამლეტში“ გამოთქმულ ამაოებაზე ჩამოაგდეს. ეს ძველისძველი და გაცვეთილი თემა იყო. იონამ მოიგონა:

— ომარ ჰაიამი მიმართავს მეგობარს და ეუბნება: შეხედი, ფრთხილად დააბიჯე ფეხი დედამიწას! ვინ იცის: ეს მტვერი შენს ფერხთა ტერფების ქვეშ, იქნებ მზეთუნახავი ქალის ნეშტისა და მისი წარმტაცი თვალების წილიაო.

პლატონმა აღტაცებით დაიძახა:

— როგორი დაწვლილებული და სწორუპოვარი ხატოვა-

ნებით წერდნენ ირანელი პოეტები! — და მოიყვანა გოეთეს ცნობილი აზრი ირანელ ლირიკოსებზე.

რადგან იონამ ასეთი მცოდნე კაცი და ხელოვანი ხელთ იგდო, მაგიდის ყუთი გამოსწია და ლერმონტოვის ლექსის — „ანგელოზის“ თარგმანი წაუკითხა. მოგველაძემ ათასნაირად გასინჯა თარგმანი. ზოგან რითმები და ცალკე სიტყვები დაუწუნა იონას, მაგრამ საბოლოოდ მაინც ასე უთხრა:

— დიდი ოსტატობით გითარგმნია.

იონას ეამა და გაიღიმა. კიდევ გადააკვლო თვალი პლატონმა თარგმანს:

— შენი თარგმანი ბარათაშვილის ლექსებს მაგონებს. მიკვირს, რად არ აქვეყნებ? საერთოდ, რად არ მიჰყოფ ხელს თარგმნას?! — ლექსი გამოართვა და აღუთქვა: თბილისში ჩავალ თუ არა, მაშინვე დავაბეჭდინებო.

ბარათაშვილის თაყვანისმცემელ იონას გაეხარდა, მაგრამ პლატონის შემდგომმა მსჯელობამ გააოცა:

— ჩინებული ლექსია ლერმონტოვის „ანგელოზი“. — თქვა პლატონმა, — ქერუბიმთა გალობის მსგავსად ამეტყველებული, თითქოს არფების შორეული ჰანგები მოისმისო ციდან, მაგრამ მე არა ვარ ასეთი პოეზიის მოტრფიალე. კაეშნითა და ცრემლით სავსე ქვეყნის გმობა, ასკეტიზმი, სხეულის დათრგუნვა და მის ნაცვლად სულისათვის ცხოვრების მინიჭება, არ ეგუება ქართველი კაცის ბუნებას. ქართველი წარმართია. ძველ ბერძენთა კულტურის გავლენა დიდი იყო ჩვენზე. დედამიწის სჯულს და წარმართობას უფრო მძლავრად უდგამს ფესვებს ქართველობაში, ვიდრე ქრისტეანიზმს. შენდამი მოძღვნილი ჩემი ლექსი: „Sic transit Gloria Mundi“ სწორედ ამ გაგებით მაქვს დაწერილი.

იონამ სთხოვა პლატონს წაეკითხა ეს ლექსი, მაგრამ პლატონმა უარი განაცხადა, ახლა სათანადო განწყობილებაზე ვერა ვარო. იონამ შენიშნა:

— მუსიკა ნასადილევს არის კარგი. როგორ დაგვამშია ტერეზამ? სადილი ძალზე დაგვიგვიანა და ვინ იცის, იქნებ ჩვენი სტუმრები იგინებიან კიდეც!

სტუმრების მოგონებაზე პლატონმა ესტატე მაყაშვილი და მისი ოჯახი შეაქო. იონამ გაიღიმა:

— მე რომ შენი ამბავი ვიცი, ნინოს არ მოეშვები!

პლატონმა იწყინა:

— რას ამბობ, კაცო? ნინოს მიჯნური ხომ კორნელია? — მერმე ჩაფიქრდა და თქვა: — რამდენჯერ უნდა დაიდაგოს ის საცოდავი ჭაბუკი, სანამ შეიგნებდეს, რომ ქალები არ არიან ღირსნი მამაკაცთაგან მაღალი სიყვარულისა. გაიარს ჟამი და ეგ თავდათრობა და ყმაწვილკაცური აღტაცება, სასოება და მაცდური ოცნება განქრება.

— დემონიც კი მიჯნურობაში ეძიებდა შეძრწუნებული სულისათვის სიმშვიდეს და შენ რა მოგივიდა? — ჰკითხა ონამ, და ურჩია, — მოეკიდე ოჯახს. მაშინ შენი პესიმიზმი, დეკადენტობა, უიმედობა და ახირებაც გაქრება. დამიჯერე: უცოლობამ ახირება იცის კაცისა... რა ვუყოთ, რომ სიჭაბუკის მიჯნურობა გაგიცრუვდა!

პლატონმა შეატყო, იონამ სერიოზულ საუბარს რომ ოხუნჯობა შეაპარა და უთხრა:

— იცი, იონა, სოფელში დასვენებული ვარ. ქალი მენატრება, ჩვენებური სოფლის გოგონა, ევროპის კულტურით გაუხუვნელი, ბუნების შვილი.

იონას გაეცინა.

პლატონი მის წითურსა და სისხლით სავსე სახეს, საფეთქელზე მუხლუხოსავით გაწოლილ ძარღვს, კაკლის კაჭარისფერი თვალებს დააცქერდა. იონას კეხიანი, დიდი ცხვირი ჰქონდა, დაღრენილი ნესტოები, სოლივით შეკრეჭილი ჭაღარა წვერი. პლატონი მას ბებერ სატირს უწოდებდა.

2

ნასადილევს იონამ ნაბდის ქუდი დაიხურა და კორნელის უთხრა:

— მედილიჟნეს დავაბარე ჭუთაისიდან გაზეთები ჩამოეტანა. სამკითხველოში დატოვებდა, წაიდეთ, მუდამ სახლში ხომ არ უნდა იჯდე!

ესტატემ პლატონს შესჩივლა:

— რამდენი ხანია გაზეთი არ წამიკითხავს, რა ხდება ამ წუთისოფლად არ ვიცი.

— შესაძლებელი ყოფილა ქვეყანას მოსწყდე და ისე იცხოვრო, — შენიშნა პლატონმა.

— თუმცა ახლა დამშვიდებული ვარ, — განაგრძო ესტატემ, — საქართველოს გერმანია მფარველობს. საქართველოში გერმანელი ჯარების სარდალი გენერალი ფონ-კრესი და მისი ოფიცრები გენერალ გაბაშვილის სახლში ნადიმზე გავიცანი. იგი თბილისის ირგვლივ ციხე-სიმაგრეების აგებას, თბილისში, ქუთაისსა და ფოთში სამხედრო სკოლების გახსნას, საჰაერო ფლოტის, მძიმე არტილერიისა და სატანკო ლეგიონის ჩამოყალიბებას გვირჩევს. მაშინ არც თურქეთი და არც საბჭოთა რუსეთი თქვენთვის საშიში აღარ იქნებაო, გვითხრა.

— დაუჯერებენ კი მენშევიკები იმ მამაც და ჭკვიან გერმანელ გენერალს? — ჰკითხა პლატონმა ესტატეს.

— უბედურებაც ეგ არის, — წუხდა ესტატე.

იონა და კორნელი სოფელში შევიდნენ. ეზოებში და ჭიშკრების წინ გლეხები იდგნენ. „გრამიტონს გაუმარჯოს. ლუკაიას ვახლავარ. იუსტინეს სიცოცხლე“, — ესალმებოდა გლეხებს იონა და ისინიც დიდის მოწიწებით უკრავდნენ თავს ამ სოფლის მოამაგეს. ყველას სამისოს ეტყოდა იონა: — დაკარგული ხარი იპოვე თუ არა? ვიცოდი, ენდელაძე ქურდობას არ იკადრებდა. კინაღამ თავი არ მოსჭერი კაცს, — ეუბნებოდა იონა ლუკაიას. სერაფიონი და ნიკიფორე საფიცრე ხის გამო ერთმანეთზე ნაჯახით რომ მიიწიენ ოტია მდივნის ტყეში, უთუოდ უნდა შევარიგოთ: სოფლისთვის სირცხვილია. მიწაზე ჩვენ კერძო საკუთრების გაუქმებას ვაპირებთ და თქვენ როგორ ირჯებითო, — ჭკუას არიგებდა იუსტინეს. არხი რისთვის დროზე არ დაკეტეო, — აფრთხილებდა გრამიტონს. ათას სხვა ჭირ-ვარამზე და საჭიროებაზე ჩამოუგდებდა სიტყვას სოფლელებს იონა. ხმამაღლა ლაპარაკობდა, გლეხთა ენით ჭაჭანებდა, ძნელად თუ გამოარჩევდით სოფლელებისაგან. ალბათ, იმის გამო, რომ მისი დედა, ბაბილინე გენძეხაძე, გლეხის ქალი იყო. გლეხები გულისყურით უსმენდნენ იონას: იჯერებდნენ მის რჩევა-დარიგებას. იონა და კორნელი ბაზრის მოედანზე გავიდნენ.

მედილიჟნე დათიკოს მართლაც დაეტოვებინა სამკითხველოში გაზეთები. მაგრამ გაზეთები ძველი იყო, ერთი კვირისა და ათი დღის წინათ გამოსული. სამკითხველოს წინ, რო-

მელიც კარისმერეთისათვის თავისებურ კლუბს წარმოადგენდა, რამდენიმე სტუდენტი, ადვილობრივი მოსამსახურეები, გლეხები და ჯარისკაცები იდგნენ. ისინი იონას და კორნელის მიესალმნენ. როცა სტუდენტებმა შეიტყვეს, რომ უკვე სამი კვირა გასულიყო მას შემდეგ, რაც კორნელი კარისმერეთში ჩამოსულა, გაუკვირდათ, ამდენ ხანს შინ რამ გაგაძლებინაო. კორნელის ამხანაგებმა — ბიძინა შარაბიძემ და გიგო თავაძემ მოიგონეს თბილისი, ალექსანდრეს ბაღში ბოლშევიკური მიტინგის დახვრეტა, ვანო მახათაძე, მუშტაიდის საავადმყოფო და კორნელის ძმა — ქირურგი ევგენი მხეიძე. აქვე იყვნენ სტუდენტები — ნიკო გოცირიძე და კირილე მეძმარიაშვილი. ნიკო გოცირიძე, შავგვრემანი და ახოვანი კაცი, პეტროგრადის სამხედრო სამედიცინო აკადემიაში სწავლობდა. ოქტომბრის რევოლუციის დროს მეორე კურსის სტუდენტი ბოლშევიკებს მიემხრო. სამხედრო რევოლუციური კომიტეტის განკარგულებაში იყო და ვანო მახათაძესთან ერთად მონაწილეობას იღებდა იმ რაზმში, რომელმაც ზამთრის სასახლე აიღო. ამ დღიდან დამეგობრდნენ ისინი. მოედანზე ვანო მახათაძეც გამოჩნდა. იგი ავადმყოფი დიდედის სანახავად იყო ჩამოსული და როდესაც ახლომახლო სოფლებში მცხოვრებ გლეხთა, ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარისკაცთა აღშფოთება და აჯანყებისათვის მზადება გაიგო, თბილისში აღარ გაბრუნდა. სამხედრო კომიტეტმა მათი ხელმძღვანელობა მიანდო.

მას გალაქტიონ გელაშვილი და რაჟდენ ტურიაშვილი ახლდა. ნიკო გოცირიძის ამხანაგი კირილე მეძმარიაშვილიც მედიკურ ფაკულტეტზე სწავლობდა კიევის უნივერსიტეტში. იგი კარგად იცნობდა კორნელის ოჯახს, კორნელის ძმებს.

— უთუოდ უნდა ვინახულო ჩემი ყოფილი მასწავლებელი სტეფანე. იგი შესანიშნავი პედაგოგი და ადამიანია. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების მერმე, მისი ხელმძღვანელობით, ექსკურსია მოვაწყვეთ და მთელი აღმოსავლეთ საქართველო თითქმის ფეხით მოვიარეთ, — თქვა კირილემ. იონამ მოაგონა:

— ექსკურსიის შემდეგ ჩვენსა არ იყავით?

— დიახ, ათი კაცი მიგვიპატიჟა სტეფანემ. ჰო, რა ჰატივი გვცა ქალბატონმა ტერეზამ. — მიუგო კირილემ და გაიხსენა, რა და რა ქალაქები, სოფლები, მონასტრები, ციხე-

ნიშაგრეებში, ისტორიული ადგილები ინახულეს ექსკურსანტებმა აღმოსავლეთ საქართველოში. მომცრო კაცმა გაიცინა და მეჩხერი კბილები გამოაჩინა:

— ბაჭუა ყურაშვილმა შეგვარცხვინა სხვიტორში, ჩვენს დიდებულ და მხცოვან პოეტთან — აკაკი წერეთელთან, თორემ ისე დიდებული ექსკურსია იყო.

ყველანი დაინტერესდნენ, თუ რა ჩაიდინა ბაჭუამ.

— სხვიტორში აკაკი წერეთელმა მიგვიპატიჟა სადილზე. აკაკი კარგ გუნებაზე იყო, მოხუც დას ეხუმრებოდა: ხედავ რა საცოლშვილო სტუდენტები გვეწვივნენ, აირჩიე საქმროო. ამ დროს ბაჭუამ კიტრი გაფცქვნა და დასჭრა. ნაჭერს ხელით ალებდა, ჩანგალზე აგებდა და ასე აწოდებდა აკაკის დას, თვით აკაკისა და ყველა ჩვენგანს, — თქვა კირილემ.

ყველამ გაიცინა.

იონამ გაზეთი „ერთობა“ გაშალა და კითხვის დაწყებამდე დინჯად წარმოსთქვა:

— ნეტავ ორი-სამი წელი კიდევ ეცხოვრა მხცოვანს და მოსწრებოდა ახალ დროებას! — მერმე ხმამაღლა წაიკითხა ახალი ამბავი, რომელიც უკვე ახალი აღარ იყო და კარგა ხანია ჩამოიტანა კარისმერეთში თბილისიდან ესტატე მაყაშვილმა. იონა დუშეთის აჯანყების შესახებ მენშევიკური მთავრობის ცნობას კითხულობდა: „ჩვენი ჯარები ანანურიდან ფასანაურისაკენ გავიდნენ. ტყვედ წამოიყვანეს სამასამდე. ფრონტზე შემოღებულია სიკვდილით დასჯა მოღალატეთათვის. გრიგალისებური ცეცხლი გავაჩაღეთ ოცდარვა ზარბაზნიდან. ჩვენმა თვითმფრინავებმა ყუმბარები ჩაჰყარეს ბოლშევიკების ბანაკში. ბევრი დაპატიმრებულია“.

— ნეტავ სად იყო ეს ზარბაზნები და თვითმფრინავები, — გაუკვირდა ვანო მახათაძეს, — როდესაც მენშევიკები ოსმალეთს ეომებოდნენ?

— თვითმფრინავები გერმანელი ჯარების სარდლობამ მიაწოდა მენშევიკებს. — მიუგო კორნელიმ.

— უიარაღო გლეხკაცობის წინააღმდეგ ბრძოლაში მენშევიკები დიდ ვაჟკაცობას იჩენენ, თურქეთთან ომის დროს კი გამორბოდნენ და სამარცხვინოდ დამარცხდნენ, — ჩაერია ლაპარაკში გალაქტიონ გელაშვილი.

გიგო ჯავახე შეედავა:

— რა უნდა ექნა მთავრობას. თურქეთს შებრძოლებოდა თუ შიგნით — აჯანყებულებს?

გალაქტიონი დაიბნა. უცბად ვერ მოახერხა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. მას ვანო მახათაძე მიეშველა:

— მენშევიკებმა მონურ ყოფაში დატოვეთ მუშები, მოატყუილეთ გლეხობა. გლეხობა ისევ უმიწაწყლოდ დარჩა და ახლა გიკვირთ, რატომ არიან მუშები და გლეხები ჩვენს წინააღმდეგ, რად არ გვეხმარებიან გარეშე ძალასთან ბრძოლაშიო?! რა ნაყოფი გამოიღო თქვენმა ბრძოლამ? თქვენ მოსწყვიტეთ საქართველოს მშრომელი ხალხი მოძმე რუსეთს. ხელი მოაწერეთ გერმანიასთან ფოთში დადებულ სამარცხვინო შეთანხმებაზე, რომლის მიხედვით საქართველო გერმანიის ახალშენად იქცა. თქვენ ჩააბარეთ გერმანელებს ყველაფერი: ჩვენი რკინიგზები და ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრენი.

— ყოველივე ეს ასე მოხდა, — გააწყვეტინა გიგომ ვანოს სიტყვა, — იმიტომ, რომ თქვენ, ბოლშევიკები, ყველგან ანარქიას და აჯანყებებს გვიწყობდით. ამიტომ ჩვენი ხალხი ადვილად შეურიგდა უცხო ძალის ბატონობას, იმ იმედით, რომ იგი ჩვენში წესრიგს დაამყარებს.

— გერმანელები მართლაც ამყარებენ „წესრიგს“. გშველიან თქვენ, მენშევიკებს, გლეხობის დახვრეტაში და მემამულეების ინტერესების დაცვაში. თქვენ კარგად იცით, რომ ხალხს არ უნდა იცნოს თქვენი ხელისუფლება. მას ეზიზღება იგი, ამიტომ ებღაუჭებით გერმანიას. თქვენ, ვისაც გნებავთ, იმას ჩაებღაუჭებით, ოღონდაც მორჩილებაში გყავდეთ ხალხი.

— მართალია, სწორია! — გაისმა აქეთ-იქიდან შეძახილი.

— დამოუკიდებლობა, რომელზედაც მენშევიკები გაიძახიან, — მიუბრუნდა ვანო სამკითხველოს წინ თავშეყრილ ხალხს, — მტკნარი სიცრუეა. ისინი იცავენ მდიდრების, მემამულეებისა და მუქთახორების დამოუკიდებლობას.

ნიკო გოცირიძემ დაამატა:

— ნუთუ თანაგრძნობას და აღფრთოვანებას მოელოდით იმ ხალხისაგან, რომელსაც თქვენი ბატონობის შედეგად, გარდა შიმშილისა, სიტიტვლისა და დახვრეტისა, თქვენგან არაფერი არ მიუღია?

— მე თურქების წინააღმდეგ ვიბრძოდი, — ჩაურთო გალაქტიონ გელაშვილმა, — მაგრამ რა ჯილდო მოგვცა მერე მთავრობამ მე და ჩემისთანებს? ისევ უმიწაწყლოდ დავრჩით და ცოლ-შვილი შიმშილით გვეხოცება.

3

კამათმა მწვავე ხასიათი მიიღო. ზოგი ფეხზე იდგა და ზოგიც გრძელ სკამზე იჯდა სამკითხველოს წინ. ამ დროს სამიკიტნოდან ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი, ახოვანი და მაღალი ვაჟკაცი გამოვიდა. მოედანზე შეჩერდა. ჭის სარქველზე ჩამოჯდა, ბაზარს გაჰხედა. სამკითხველოს წინ ატეხილი ქოთქოთი შემოესმა. ნაღვინევი თვალები გააშტერა, გაიღიმა, ბუხრის ქუდი გაისწორა. ენა გადმოაგდო, შეაბრუნა, მოკეცა, და მერმე ისეთი საოცარი და ძლიერი ხმა გამოსცა ზედიზედ, რომ სტუდენტები შეკრთნენ. ბაზარში მიკიტნის ბიჭებმა სიცილ-ხარხარი ასტეხეს:

— „სამფა, იტალიური ბრანწი დაარტყა იასონ ჯანჯღავამო“.

მაღალი ვაჟკაცი ნელა წამოდგა და სამკითხველოსკენ წამოვიდა.

— იასონი მთვრალია. რაც არ უნდა თქვას, ყველაფერზე დაეთანხმეთ, თორემ დედას გიტირებთ. — გააფრთხილა ამხანაგები გიგო თავაძემ.

იასონი ვაჭრის შვილი იყო. კომერციული სკოლა ჰქონდა დამთავრებული თბილისში. ერთი წელი მოსკოვში დაჰყო კომერციულ ინსტიტუტში, მაგრამ იქ ლოთობას და ჩხუბს გადაჰყვა და 1916 წელს ისევ სოფელში დაბრუნდა. ჩოხა ჩაიცვა და კარისმერეთის ძმა-ბიჭებთან გააბა კავშირი. ამ კავშირმა ნაყოფი გამოიღო და მალე ჩხუბში კაცი შემოაკვდა. კარისმერეთის ძმა-ბიჭებს ძალიან უყვარდათ იასონი, არა მარტო მისი ვაჟკაცობის, სიმარდისა და პურმარილის გამო, არამედ მისი ჩინებული საოხუნჯო ლექსების გამოც. იგი „ეშმაკის მათრახის“ თანამშრომელი იყო.

იასონი არხზე გადახტა და ხმაგაკმენდილ სტუდენტების წინ რისხვასავით მოვლენილი აღიმართა.

— შარზეა, — წასჩურჩულა გიგომ ბიძინას და გაიღიმა.

— რა გაცინებს, ღვთის გლახა? — შესძახა იასონმა და ქერა, გრძელი ულვაში გაისწორა.

— არ გამიცინია, იასონ, — მიუგო გიგომ და შიშისაგან გააცივა.

— ფეხებზე მკიდია მე შენი სტუდენტობა! სტუდენტი მე შენზე ადრე ვიყავი, მოსკოვი მოვიარე, მაგრამ რა ყრია სტუდენტობაში, თუ თავში არაფერი გიძევს?!

— მართალია, იასონ, — დაემოწმა გიგო.

— აქ სოციალიზმი უნდა დამყარდეს, იქ კაპიტალიზმიო! ვინ გკითხავთ, თქვე ჭირიანებო, კარისმერეთის ბაზარში რუსეთის, ევროპისა და მთელი ქვეყნის გარდაქმნაზე რომ ტლიკინობთ?

— მართალია, იასონ, ქვეყნის გარდაქმნა რა ჩვენი საქმეა, — ისევ დაუდასტურა გიგომ.

— თქვენოდენი ცოდნა ამ გოგრაშიც მოიძებნება, მაგრამ ხომ ხედავ მაგ საქმეში არ ვერევი? რა გააჩნია საქართველოს? ჭიათურის მოუწყობელი მაღაროები, ვაგონების შემკეთებელი ერთი პატარა სახელოსნო თბილისში, ნავთის გადასამუშავებელი ქარხანა ბათუმში, ტყავის და თამბაქოს საცოდავი ქარხნები თბილისში, აბრეშუმის ძაფსახვევი ქარხანა კარისმერეთში, სადაც ოცი ქალიც კი არ მუშაობს. სულ ჩვენში ათასი მუშაც კი არ იქნება. ეს არის, ბიჭო, კაპიტალიზმი? ან რა კაპიტალიზმია თუნდაც რუსეთში? კაპიტალიზმის დრომოჭმულობის, სოციალიზმის დამყარების შესახებ კარისმერეთში კამათი განა სასაცილო არ არის?

— მართალია, იასონ, ეს მართლაც სასაცილოა, — ისევ მიუგო გიგომ.

— მერე ეს სტუდენტური ქუდი რომ დაგიკოსებია მაგ გასივებულ თავზე, შე მათხოვარო, ნაცნობს არ უნდა მოუბადო?

— მართალია, იასონ, ნაცნობს უნდა მოვუხადო...

— აქ მოდი! — შეჰკივლა იასონმა. სიჩუმე ჩამოვარდა და ზეზეულად გათავებული, დაბალი და მოკუზული სტუდენტი შიშითა და ცახცახით წარსდგა აყლაყუდა ვაჟკაცის წინაშე. იასონმა ნიჩაბივით ფართო ხელი ამოსდო ნიკაპში, თავი მაღლა ააწევინა და უყვირა:

— ვის აბითურებ, შე მაიმუნო, მართალია, მართალიაო,

რომ იძახი? ყველაფერი მართალი როგორ არის? მე შენი დედა კი... — გაბრაზდა იასონი. ხანჯლის ტარზე გაივლო ხელი და ნახევრამდე ამოზიდა. გიგო კინაღამ მუხლებზე დაეცა შიშის გამო და იასონს შეევედრა:

— იასონ, ბიჭო, ჩემთან ხანჯალი რად გინდა?

იასონმა ფერწასულ და აკანკალებულ გიგოს შეხედა და ხანჯალი ქარქაშში ჩააგდო.

— ეს მართლა მართალია, — გაიცინა მან, — შენისთანა მაიმუნთან ხანჯალი რად მინდა!

ირგვლივ ხარხარი ატყდა.

— გიჟია, ეს პატრონმკვდარი, — გაიღიმა გალაქტიონ გელაშვილმა.

4

სამკითხველოსთან ოთხი მილიციელი მივიდა. მილიციელები შორიახლოს შეჩერდნენ, გალაქტიონს შეხედეს და ჩურჩულით დაიწყეს ბჭობა. მერმე გარს შემოეხვივნენ და წინადადება მისცეს იარაღი აეყარა.

გალაქტიონმა სახეზე შეატყო მილიციელებს, რომ არ მოეშვებოდნენ, ამიტომ თვალის დახამხამებაზე უმალ შეაჯახა ორი მათგანი ერთმანეთს, დუქნის წინ, არხის წყალში გადაუშვა და ნაგანი ბუდიდან ამოიტაცა. გალაქტიონის მიერ წყალში გადაყრილი, გაწუწული მილიციელები არხიდან ამოვიდნენ. გალაქტიონმა გოლიათივით გადახედა ქონდრისკაცებს და დამცინავად ჩააგუგუნა:

— თქვე ღმერთძაღლებო, ჩემზე პატარა კაცი ვერ ნახეთ კარისმერეთში, მე რომ მეჭიდავებით?!

მილიციელებმა ხელი ვერ ახლეს გალაქტიონს და პირში ჩალაგამოვლებულნი სხვებთან ერთად გაიპარნენ.

ამ დროს სამიკიტნოს წინ დაპატიმრებული ერთი ჯარისკაცი გაატარეს. მილიციელები დასცინოდნენ და მუჯლუგუნის ცემით მიჰყავდათ. გალაქტიონი ვეფხვივით გადახტა არხზე და ნაგანი მილიციელებს დააღირა. გალაქტიონმა და რაჯდენმა მილიციელთ შაშხანები და რევოლვერები აჰყარეს და პატიმარი გაათავისუფლეს. საპარიკმახეროდან ჯარისკაცები — გიორგი აბესაძე და ერმილე ფაიქიძე გამოვიდნენ. გალაქტი-

ონის მიერ წყალში გადაყრილმა მილიციელებმა კარისმერეთის მთელი მილიცია მოიყვანეს — თხუთმეტი კაცი. ბაზრის თავში მოსახლე გლეხის ეზოდან ოთხი ჯარისკაცი გადმოხტა და შაშხანით ხელში გამოიქცა ბაზრის მოედნისაკენ. ჯარისკაცები და მილიციელები პირისპირ დადგნენ და შეტაკება ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო.

. ვინ შეატყობინა სოფლელებს ბაზარში მომხდარი ამბავი, ალაჰმა უწყის! საკვირველი იყო მხოლოდ, როგორ შეგროვდა ასე მალე ამდენი შეიარაღებული გლეხი? იონა, გიგო და ბაზარში მყოფნი შეშინდნენ და დუქნებში შეცვივდნენ. ვაჭრებმა დუქნებს დარაბები მიახურეს. ვანო, ნიკო და კორნელი კი სამკითხველოს წინ დგომას განაგრძობდნენ. გალაქტიონმა მილიციის უფროსს ნაგანი დააღირა და შესძახა:

— აიყარე იარაღი!

ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა ელიზბარ ბაქრაძე. ყოფილი ჯარისკაცები გაიფანტნენ, დუქნის ქვის ბოძებს და ხეს აპოეფარნენ, საფარი იშოვეს და შაშხანები გადმოიღეს. მილიციელნი კი თავის მხრივ თაოსნობას ვერ იჩენდნენ. მათ უფროსს მოქმედების საშუალება აღარ ჰქონდა. ერთმა ჯარისკაცმა მილიციელების დაბნეულობით ისარგებლა, მათთან მიირბინა, ხელყუმბარა აღმართა და იყვირა:

— დაჰყარეთ იარაღი, თორემ ყველას აგაფეთქებთ!

ბაქრაძემ განკარგულება გასცა და მილიციელებმაც იარაღი დაჰყარეს. ამრიგად, კარისმერეთის მთელი მილიცია განიარაღებულ იქნა. განიარაღების მოთავედ და ხელმძღვანელად კი გოჯასპირის შვილი გალაქტიონ გელაშვილი გამოაცხადეს.

მუხის ძვეშ

...ამაყად ელი ავდარსა,
ჭარს არ უყადრებ თავსაო;
ელვა და ჰქა-ქუხილი
ვერ შეგიხრიან წარბსაო.

ბაჩანა

1

კარისმერეთის მილიციის განიარაღების მერმე ჯარისკაცები სოფელ სარკოიაში შევიდნენ. ძაღლებმა ყეფა ასტეხეს და ტიტლიკანა ბავშვები შუკაში გამოცვივდნენ. მილიციის განიარაღების ამბავი ელვის სისწრაფით მოსდებოდა სოფლებს. მოხუცი გლეხი გოჯასპირი ჭიშკართან შეეგება გალაქტიონს და მის ამხანაგებს:

— ეს რა ჩაგიდენია, შე კაი კაცო? — ჰკითხა მან გალაქტიონს, — ამიერიდან ტყეს უნდა შევაფაროთ თავი. ამ საქმეს მთავრობა ასე არ დატოვებს!

შვილმა განრისხებულ მამას მიუგო:

— გათავდა, უკან დასახევი გზა აღარ არის, დღეიდან შეტევაზე უნდა გადავიდეთ.

— ეჰ, შვილო, მაჭარი გიდუღს ძარღვებში, თავი არ წაავო, — გააფრთხილა გოჯასპირმა.

— მე არ მეშინოდა სიკვდილის, როცა მეფის ჯარში ვმსახურობდი, ომში ვიყავი, და ახლა, როდესაც მართალი საქმისათვის ვიბრძვი, სიკვდილი რას შემაშინებს?!

— მთავრობის ჯარი კარისმერეთის მილიცია ხომ არ გგონია, ათი და ოცი თოფით რომ დაამარცხო? — გააფრთხილა შვილი გოჯასპირმა.

— ჯერ ოცი თოფი გვექნება, მერე კი ათასიც. აჯანყებას მთელ საქართველოს მოსდებია, — მიუგო გალაქტიონმა.

— მერე ხალხს ვინ მოუყრის თავს, ვინ უთაოსნებს? — ჰკითხა გოჯასპირმა. ხშირი და გაფანჩული წარბები შეჰყარა და მიწას დააცქერდა ფიქრში წასული ბერიკაცი.

— ამიტომაც მოვედით აქ და სწორედ ამის თაობაზე გვინდა ვითათბიროთ, — მიუგო გალაქტიონმა და გოჯასპირს აჯან-

ყებული გლეხობის ხელმძღვანელი: ვანო მახათაძე, ნიკო გოცირიძე და კირილე მეძმარიაშვილი გააცნო.

გოჯასპირმა უნდობლად შეათვალიერა სტუდენტები. კარისმერეთის მილიციისათვის წართმეული შაშხანები და რევოლვერები რაჟდენის სახლში დაალაგეს აჯანყებულებმა და ოთახის კარები გამოჰკეტეს.

2

ღრუბლიანი ღამე იყო. მაგრამ მთვარის შუქი მაინც ატანდა. გოჯასპირმა ოტია მდივნისაგან საზიაროდ აღებული მამულის ჭიშკარს ღვლეჭის რგოლი აჰხადა, ურდული გამოიღო და ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები შიგ შეუშვა. მამულის თავში ვეება მუხა იდგა, რომელიც შორიდანვე გამოირჩეოდა მთელს სოფელში. მისი შრიალი, ოდნავ ნიავის ქროლვის დროსაც კი, ზღვის გმინვას და ხმოვანებას მოგაგონებდათ. მის ქვეშ, ფერადი ყვავილებით დაფენილ მოლზე, უყვარდათ მდივნებს წოლა და კრახუნა ყურძნის ჭამა. მოწმენდილ ღღეს ხელისგულივით მოსჩანდა იქიდან კავკასიონის ქედები.

ამ მუხის ქვეშ შეგროვდნენ გლეხები. გოჯასპირი და რაჟდენის მამა ნესტორი მიწიდან ამოკუნძულ ფესვებზე დასხდნენ. ვანო მახათაძე გვერდით მოისვეს. სხვები კი პირდაპირ მოლზე მოთავსდნენ. ვანომ დაიწყო:

— ამხანაგებო, რაც დღეს კარისმერეთის ბაზარში მოხდა, ამას გლეხთა აჯანყება ეწოდება, აჯანყება მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ.

დამსწრეთა შორის სიჩუმე ჩამოვარდა, თითქო დღეს მომხდარი ამბავის მნიშვნელობა და პასუხისმგებლობა ახლა შეიგნეს და იგრძნესო. ზოგმა თავიც კი ჩაჰკიდა შიშით. გოჯასპირმა ხელი გადაისვა მკერდზე დაფენილ თეთრ წვერზე და მალულად შეაპარა თვალი შვილს. ასე მოეჩვენა: თითქო გაანათაო ღამეში გალაქტიონის თვალმა. ვანო მახათაძემ განაგრძო:

— ასეთი აჯანყებები ეწყობა დღეს საქართველოს ყველა კუთხეში: ოსეთში, სამეგრელოში, აფხაზეთში, დუშეთში... რამ გამოიწვია ისინი? რატომ გაილაშქრა ხალხმა მენშევი-

კური მთავრობის წინააღმდეგ? იმიტომ, რომ მენშევიკებმა უღალატეს რევოლუციას. არ იცავენ ხალხის ინტერესებს, არ ასრულებენ თავიანთ დაპირებას გლეხკაცობის წინაშე და განზრახ აჭიანურებენ მემამულეებისაგან მიწების ჩამორთმევას. საბჭოთა რუსეთთან კავშირის გაწყვეტა უბედურებას გვიქადის. ხომ ხედავთ, საქართველო გერმანიისა და თურქეთის ჯარების სათარეშო გახდა! რატომ არიან ისინი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ? იმიტომ, რომ რუსეთში მუშებმა და გლეხებმა უკვე დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება. იმიტომ, რომ იქ მემამულეებს ჩამოერთვა მიწები და გლეხებს გადაეცა. იმიტომ, რომ მთავრობა მხოლოდ მშრომელთა ცხოვრების გაუმჯობესებაზე ფიქრობს. ახლა ჩვენ ერთი მიზანი გვაქვს: ბოლშევიკური პარტიის მოწოდება აჯანყების შესახებ საქმედ ვაქციოთ. შევქმნათ აქ კარგი შეიარაღებული ძალა. მივეშველოთ საქართველოში მოდებულ აჯანყებას და მივაღწიოთ მენშევიკური მთავრობის დამხობას. ჩვენ აქ შევიკრიბეთ იმისათვის, რომ აჯანყების პრაქტიკულ საკითხებზე ვითათბიროთ.

გლეხებისათვის მისაწვდომი და გასაგები იყო ვანოს სიტყვა, რადგან მისი ყოველი სიტყვა მათი სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარეობდა.

კრებამ გადასწყვიტა, მემამულეთა მიწების ჩამორთმევა და მათი გლეხებს შორის განაწილება ორგანიზაციულად მომხდარიყო. შეადგინეს გეგმა, თუ ვისთვის უნდა ჩამოერთმიათ მამული. უწინარეს ყოვლისა ნიშანში ამოიღეს დათა წერეთლის, მუხრან ანანოვის, ოტია მდივნის, დიმიტრი ყიფიანის, ფრანგ აგრონომის ტიებოს მიწები. აქვე გადაწყდა ჩამოეყალიბებინათ ორგანიზაცია, რომელიც შეუდგებოდა სოფლად საბჭოების მოგვარებას, ღარიბი გლეხებისათვის მემამულეთა მიწების დარიგებას და შეიარაღებული რაზმების შედგენას. არჩეულ იქნა აჯანყების საბრძოლო შტაბი, რომელშიც შევიდნენ: ვანო მახათაძე, ნიკო გოცირიძე, კირილე მეძმარიაშვილი, ჭიათურის მუშა მიხა ფრუიძე, გალაქტიონ გელაშვილი, რაჟდენ ტურიაშვილი, გიორგი აბესაძე. შტაბს დაევალა მახლობელ სოფლების გლეხებთან, ჯარისკაცებთან კავშირის გაბმა.

ასე ჩატარდა სოფელ სარკოიაში აჯანყებულთა პირველი კრება.

მუხის ქვეშ მსხდომნი წინ გაშლილ რიონის ველს გასცქეროდნენ. შორს სანათურები ციმციმებდნენ — ეს ქუთაისი იყო. აი სწორედ ქუთაისის ორგანიზაციასთან დაკავშირებაზე ფიქრობდა ამ დროს ნიკო გოცირიძე. ამ მიზნით გადასწყვიტა ქუთაისში კირილე მეძმარიაშვილის გაგზავნა; ნიკოს აწუხებდა, თუ როგორ გამოეხმაურებოდა ქუთაისი კარისმერეთის მილიციის განიარაღებას.

— თუ გვარდია გამოგზავნეს, — მოახსენა მან კრების წევრებს, მაშინ ყვირილაზე ხიდი უნდა ავყაროთ, ბორანი მოვშალოთ და მდინარის ნაპირები გავამაგროთ.

— ერთი ან ორი ტყვიამფრქვევი რომ გვქონდეს, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა, — გაუმხილა ვანომ თავისი ნაფიქრალი ამხანაგებს.

ტყვიამფრქვევის შოვნა კრებას ჭიათურის მუშამ, მიხა ფრუიძემ აღუთქვა. მერმე აჯანყებულნი ოტიას მამულიდან გამოვიდნენ და გოჯასპირის ეზოს მიუახლოვდნენ.

ღრუბელი დაირღვა. მთვარე გამოვიდა და გოჯასპირის ჭიშკართან მდგარნი დღესავით გაანათა.

3

როდესაც იოაკიმე აბულაძემ ქუთაისის სამაზრო კომისარს კარისმერეთის მილიციის განიარაღება და აჯანყება აცნობა, გადაწყვეტილ იქნა ზემო იმერეთში დამსჯელი რაზმი გაეგზავნათ: სამოცი ცხენოსანი გვარდიელი. რაზმის უფროსი ოტია მდივნის ცოლისძმა, დათა ყიფიანი იყო, თვითონაც ზემოიმერელი მემამულის შვილი და განიარაღებისათვის მიჩნეული სოფლების მცოდნე.

რაზმი ქუთაისიდან დილით გავიდა. მხედრებმა სალორიას ტყე გაიარეს და რიონის სადგურის მერმე მდინარე ყვირილას მიადგნენ. პირველად ისინი ვარციხეში გაჩერდნენ. ვარციხის სასახლიდან მრეწველი ანანოვი კარგა ხანია გაქცეულიყო. მისი ღვინის ქარხნების და სარდაფების მუშები მახლობელ სოფლებში წასულიყვნენ. რაზმის უფროსმა ყიფიანმა, ვარციხის მილიცია აღადგინა და ანანოვის სახლ-კარს,

ქარხანას, სარდაფებს დარაჯები მიუჩინა, აჯამეთში ხის მოჭრა აკრძალა და საეჭვო გლეხების დევნა, დაპატიმრება და ქუთაისის ციხეში მათი გაგზავნა დაიწყო.

ვარციხეში რაზმის ჩამოსვლა ადრე გაიგო კარისმერეთმა. სამხედრო-რევოლუციური შტაბის წევრებმა — ვანო მახათაძემ, ნიკო გოცირიძემ, კირილე მეძმარიაშვილმა და გალაქტიონ გელაშვილმა მზადება დაიწყეს: აღრიცხვაზე აიყვანეს და შეაიარაღეს სამასამდე გლეხი. ვარციხეში ყიფიანი ათიოდე გლეხის დაპატიმრებით და მათი ქუთაისის ციხეში გადაგზავნით დაკმაყოფილდა. მერმე ანანოვის ღვინის სარდაფში დამზადებული შამპანურით — „რიონით“ დამთვრალი ყიფიანი, მენშევიკური გვარდიის მთავარი შტაბის ერთ-ერთი ინსტრუქტორი ვარლამ ფოფხაძე, ყიფიანის თანაშემწე პოდპორუჩიკი სიმონ წერეთელი, მათი ამხანაგები, სანდრო წულუკიძე და კოწია ჩხეიძე კარისმერეთისაკენ გაეშურნენ. ჭენებით მიჰყავდათ ცხენები აჯამეთის ტყეში, ნაბიჯით მიმავალ რაზმთან კი ზემდეგი დასტოვეს.

ყიფიანი და წერეთელი ქეიფისა და ლხინის მოყვარული ოფიცრები იყვნენ. უხაროდათ ზემო იმერეთისაკენ — ღვინის რაიონში გამგზავრება. ქუთაისიდან მათ თავიანთი ამქრები: უსაქმო თავადი სანდრო წულუკიძე და კოწია ჩხეიძე წამოიყვანეს, წულუკიძე და ჩხეიძე ქუთაისის კლუბში შულერობას, ბულვარში და ჩილინგაროვის საშაქარლამოსთან ლაზღანდარობასა და ოხუნჯობას, სამიკიტნო-რესტორნებში ქეიფს იყვნენ შეჩვეულნი. სიმღერაში, დარდიმანდობაში ტოლი არ ჰყავდათ, და ყიფიანმა ისინი თავისი სიძის — ოტია მდივნისას დაჰპატიჟა ზედაზენში საქეიფოდ. ოტიას სიმღერა და მისი ცოლის — ბაბოს დაირა განთქმული იყო ზემო იმერეთში.

სოფელ სარბევში შედარებით უფრო კარგი „წესრიგი“ დაუხვდა ყიფიანს. გვარდიის შტაბის წევრიც კმაყოფილი დარჩა და ლამაზად ქარგავდა ხალხის წინაშე თქმულ სიტყვას. არც იმდენი ხალხი დაუტუსაღებიათ აქ სამი დღის „საქმიანობისა“ და ქეიფის მერმე ყიფიანი აჯანყებულთა მთავარი ბუდის — კარისმერეთის დასარბევად გაემგზავრა.

ყიფიანის რაზმის ჩამოსვლა ძალზე გაეხარდა კარისმერეთელ თავადაზნაურობას, მემამულეებს. ყველაზე მეტად კი ოტია მდივანს უხაროდა, რადგან ოფიცერი დათა ყიფიანი

მისი ცოლისძმა იყო და უპირველეს ყოვლისა მის მამულსა და სახლ-კარს დაიცავდა იგი.

— ჩემი ბიჭები ჩამოვიდნენ და ახლა იმ უცხვირპირო გელაშვილებს, ტურიაშვილებს და ენდელაძეებს მათრახისცემით გაასივებენ! — ტრაბახობდა ოტია.

მართლაც, დიდველაში ჩამოსვლისთანავე ფრანგი აგრონომის ტიებოს სახლიდან საბჭო გარეკეს, მეთაურები დააპატიმრეს, საშინლად სცემეს და ყველანი კარისმერეთის საპატიმროში შეჰყარეს. მემამულეებს ჩამორთმეული მიწები დაუბრუნეს. მათ შორის ოტიასაც. შეუდგნენ შემჩნეული გლეხების, ბოლშევიკების დევნასა და დაპატიმრებას, მაგრამ აჯანყების მეთაურებს, მათ რაზმს ვერასგზით ვერ მიაკვლიეს. აღდგენილი იქნა ელიზბარ ბაქრაძე და მისი მილიცია.

ყიფიანმა გლეხებს იარაღის ჩაბარება მოსთხოვა.

კარისმერეთის სკოლაში თითო-ოროლა გლეხმა იწყო მოსვლა და შაშხანების ჩაბარება. რაზმის მეთაურებმა იფიქრეს: აჯანყებული გლეხები შეშინდნენ, გვნებდებიან და, ალბათ წინააღმდეგობასაც აღარ გაგვიწევენო. სწორედ ამის გამო, როდესაც ტერეზა თავისი შვილებით და სტუმრებით ზედაზენში გაეშურა, ყიფიანმა ერთი დღით ზედაზენში ასვლა გადასწყვიტა და ჩხეიძე და წულუკიძე თან წაიყვანა. სიფრთხილისათვის რაზმთან თავისი თანაშემწე — წერეთელი დასტოვა.

ოტია

ვინც ლუარსაბის სახეში თავის თავს იცნობს, ვინც ლუარსაბზედ დაწერილს თავის თავზედ მიიღებს, ის, რასაკვირველია, ლაფის სროლას დაიწყებს და „გიჟიას" დაუძახებს ამ მოთხრობის უხეიროდ დამწერსა. ეს კარგად იცოდნენ, რომ ჩვენ პირთან საქმე არა გვაქვს. ჩვენ საზოგადო ჭირზედა ვწერთ.

ი. ჭავჭავაძე

1

მთის კალთაზე შეფენილ სოფელ ზედაზენს რომ გაჰხედავ, ყველაზე უმალ წმ. გიორგის ეკლესიას და რკინის სახურავით გადაჭედილ ოტია მდივნის სახლს შეამჩნევ. ორსართულიანი ქვიტკირის სახლი მაღლობზედ არის გადმომდგარი. მზის ჩასვლისას მის შუშაბანდს ცეცხლი ეკიდება, თითქო იწვის, ხანძარი გასჩენიაო. ექვსთვალიან სახლის წინ კარგა მოზრდილი ბაღია ალვის ხეებით, მაგნოლიით და კვიპაროსით დამშვენებული. სათიბი მეტად დიდია: ერთი თავიდან მეორე თავამდე ცხენი ჭენებით დაიღლება. ასეთივე დიდი სათიბია სახლის უკანაც.

თელის ფიცრისაგან აგებული სამზადი მოზრდილი ოდის ოდენაა, რომელსაც ბობოლა გლეხიც კი ისურვებს საჭოსახლოდ. ეზოში მაღალი სასიმინდეები დგანან. იელის წნელით ნაღობი და მოგრიგალებული სანიავოდ, ხულა, ბეღელი, თორნე. სახლის გვერდზე ტალავარია, მის ქვეშ — მარანი.

ოტიას რამდენიმე უღელი ხარ-კამეჩი ჰყავს. ძროხები, ცხენები, რომელთაც სახლის ქვედა სართულში, თავლაში აბამენ. ქვედა სართულში, თავლისა და საჯინიბოს გარდა, მოჯამაგირეთათვის საცხოვრებელი ოთახია და საწყობი. საწყობის კედელზე მათრახები, აღვირები, თოკალთო-უნაკირები ჰკიდია. იატაკზე და თაროებზე კი სამეურნეო იარაღები, ხელსაწყო და ათასგვარი ნივთი ალაგია. ცხენებისა და ხარ-კამეჩის გარდა, ოტიას ცხვარი, თხა, ღორი და უამრავი ფრინველი ჰყავს. ამ ეზო-გარემოს გარდა, რომელიც ორი სათიბით, ვენახით, თხილნარითა და ბაღით ოც ქცევას შეადგენს, ოტიას კიდევ აქვს მამული სხვადასხვა ადგილას: შუბანზე,

ყვირილაზე, სანიავოზე და ხამინდვრალში. ამას უნდა მივუმატოთ კიდევ მთა და დიდი ტყე. ამრიგად ოტია ჭდიანზე უფრო მდიდარი მემამულე, ანანოვის გარდა, მთელ იმ არემარეზე, არავინ იყო.

მთაზე გადმომდგარ ქვიტკირის სახლს მდივნები „მაღლა სახლს“ უწოდებდნენ, ხოლო დაბლა, მდინარის პირად აგებულ ხის სახლს კი — „დაბლა სახლს“. ოტიას მამა, არჩილი, ცოლის შერთვამდე დაბლა სახლში ცხოვრობდა თურმე. ახლა იმ ნასახლარში ოტიას მოურავი, ბეგლარ სანიკიძე. ცხოვრობს თავისი ოჯახითურთ. იგი დაბალი სახლის მამულს უვლის და შემოდგომაზე მაღლა სახლის მარანში მიაქვს ძარღანი ურმებით კრახუნა, ციცქა და ცოლიკაური. კენწეროებამდე აბელილ მუხების ქვეშ მდგარ სასიმინდეებს ავსებს ოტიას ყანაში მოტეხილი სიმინდით.

ნასახლარი ჩინებული მამულია. ბეგლარის მიერ მოვლილი ვაზები ჯარისკაცებივით გარაზმულან. გვერდით ლამაზი ეზოა და შიგ, ხის სახლისა და სასიმინდეების გარდა, პატარა ბაღლა და ბეღელიც დგას. ნასახლარის იქით ტყე იწყება.

ბეგლარის მამულს მცველი ნაგაზები ჰყავს, რომელთაც დიდი შიში აჭამეს ბავშვობისას კორნელის. გარს შემოეხვივნენ ყეფით. გაფითრებული ყმაწვილი დიდედა დარეჯანს პიუყვანა ბეგლარმა. ახოვანი ქალი დარეჯანი ბუხის ქვეშ იჯდა და ბეგლარის ცოლთან საუბრობდა. ძაღლების ყეფა შემოესმა და ომახიანი ხმით გასძახა: არიქა, ბეგლარ. მოკალი მაგ ძაღლი, მოკალი, მოკალიო. წამოვარდა, დიდი ქვა ესროლა და აკივლებულ ნაგაზს კუსუბო მოუქცია. დარეჯანმა შარდი დააქცევინა შვილიშვილს, წყალი შეასვა და მერმე კალთაში ჩაიწვინა. ჩიტივით აფართხალებული გული ცდით შემოუჯვარა, წრუპუნი იწყო და შეულოცა: „გულო ჩადი საგულესა... გულო, ნუ შეგეშინდებაო“. შვილიშვილს თვალები დაუკოცნა და კაბის ქვეშ დაკიდებული დიდი ჯიბიდან ტკბილისკვერი, თხილი და უნაბი ამოიღო და მისცა.

პირთამდე სავსე, ჩაგანძული ოჯახი ჰქონდა დიდედა დარეჯანს. შვილიშვილები დიდედას „დედუას“ უწოდებდნენ. დარეჯანი ალიონზე კოთხოთი სიმინდს გამოიტანდა, სამზარეულოს საძირკველზე დაჯდებოდა და კაბადაკარწახებული დაიძახებდა: ჯიჭი, ჯიჭი, ჯიჭიო. ფართო ეზოდან, სათიბიდან

და მახლობელი გორიდან უამრავი ფრინველი: ინდაურები, იხვი, ბატი წამოვიდოდა, ქათამი ჯიშიანი ჰყავდა, სანაშენო, მოშინაურებული და ტყედწასული, გაქსუებული, მამალი ხოხობივით გრძელბოლოიანი, რომელთაც დიდედა დარეჯანი იჭერდა, ფრთის ღეროებს ჰგლეჯდა და აკრიახებულს შუათანა თითით კვერცხს უსინჯავდა. სათიბიდან ბატის ურიცხვი გუნდი რომ ფრენით წამოვიდოდა, ეს მართლაც წარმტაცი სანახაობა იყო. სამზადის საძირკველზე ფრინველით შემოჯარული დარეჯანი იჯდა და გაისმოდა ყვერულის, ბატის, იხვისა და აფხორილი ინდაურის ღულღუნი, კაკანი, კრიახი, ყვირილი და ერთი აურზაური...

საღამო ჟამს მწყემსები ცხენის ჯოგს, საქონლის ნახირსა და ცხვრის ფარას მორეკავდნენ. „მო...ო...დი, ირემა, მო...ო...დი, ირემა“, — დაუძახებდა დარეჯანი რქამოტეხილ ჯიშიან ძროხას და თეთრ-ქოჩორა ირემა ერთ კასრ რძეს მოიწველიდა.

დიდედა დარეჯანისა და პაპა არჩილის სიკვდილის მერმე შვილებმა საგრძნობლად დააკნინეს ეს ჩაგანძული ოჯახი. თუმცა ოტიას მეუღლე, ყიფიანის ქალი ბაბო, კარგი მეოჯახე და გამრჯე აღმოჩნდა, მაგრამ ოტია და მისი ძმები ჰყიდიდნენ მთის, ტყის, საყანე ადგილების ნაწილს და დაუსრულებელ ქეიფში ჰფლანგავდნენ ფულს.

ბაბო ლაზათიანი, წარმოსადეგი, იერიანი ქალი იყო. იგი ოცდათოთხმეტი წლის ქალი იქნებოდა, სიცოცხლით სავსე და ჯერ კიდევ ახალგაზრდა. ოტია კი სამოცისა. ცოლ-ქმრის ასაკის სხვაობა ხელსახები და საგრძნობი იყო ალბათ, ამიტომაც უყვარდა ბაბოს ახალგაზრდა თავადებისა და აზნაურების სტუმრობა, მათთან აშიკობა და ეშხიანი, შავი თვალების ბრიალი.

ცოლ-ქმარი — ბაბო და ოტია, სამზადის წინ საძირკველზე ისხდნენ და ტერეზას მოჯამაგირის, დომენტი ხვედელიძის მიერ მოტანილ წერილს კითხულობდნენ. თავის ძმას და რძალს სწერდა ტერეზა: ხვალ დილით ვაპირებთ სტუმრებითურთ ზედაზენში ამოსვლასო. გახარებულმა ოტიამ გადასწყვიტა, ცხენები გაეგზავნა კარისმერეთში საყვარელი დის ტერეზას, დისწულებისა და მათი სტუმრების ამოსაყვანად. გა-

რიჟრაჟამდე გავაგზავნი, ბატონო, — უთხრა მაღალ კანჭებზე შემდგარმა მოურავმა ბეგლარ სანიკიძემ ოტიას.

ბეგლარს ოდნავ თეთრი გარეოდა წვერში. შავი სატინის ხალათზე შინდისფერი ჩოხა მოესხა. ფეხებზე წუღები და პაჭიჭები ჩაეცვა, თავზე კი მტუტისფერი სვანური ქუდი დაეხურა. გვერდზე დაკიდულ ნაგანს ძველი, ნახმარი კავკასიური ქამარი ჩამოეჭაჭა და მწევარივით წვრილი წელი უფრო დავიწროებოდა ორმოცი წლის ვაჟკაცს. იგი მაღალი, მხარბეჭიანი და ჯანაინი კაცი იყო, რუსეთ-იაპონიის ომში ნამყოფი ჯარისკაცად — ეფრეიტორად. ცოტა რუსული წერა-კითხვაც იცოდა და ჯარიდან განთავისუფლების მერმე ქუთაისში მსახურობდა სტრაჟნიკად. ბოლოს სოფელს დაუბრუნდა. ღონიერი და მამაცი ვაჟკაცი ერთ დროს ყაჩაღობაზედაც აწერდა ხელს. ბევრჯერ გაუძარცვავს აჯამეთის ტყეში ქუთაისიდან დილიჟანით მომავალი მგზავრები. იგი განთქმული მონადირეც იყო. უიმისოდ ოტია მდივანი თავის დღეში არ წავიდოდა ეწერში, ტყესა და მთაში სანადიროდ. სწორედ ამ ნადირობის, ვაჟკაცობისა და დარდიმანდობის წყალობით დაუახლოვდა იგი ოტიას. თავადაზნაურთა შორის ტრიალებდა, ქეიფობდა, ბოლოს შვილიც კი მოანათვლინა და მოურავად დაუდგა ოტიას. ცბიერი ბეგლარი მოხერხებულად ატყუებდა მას. ბატონის ადგილ-მამულიდან დიდი გამორჩენა ჰქონდა. ამიტომაც იცავდა ერთგული ძაღლივით ოტიას ადგილ-მამულს და მის სახლში მიღებულ, თავის კაცად ითვლებოდა. მაგრამ რევოლუციის მერმე ფრონტიდან დაბრუნებული გლეხები — გალაქტიონ გელაშვილი, რაჟდენ ტურიაშვილი, გიორგი აბესაძე და სხვები მასზე არანაკლები ვაჟკაცები იყვნენ და ბეგლარი გააფრთხილეს: ოტია მდივნის მამულის ჩამორთმევაში თუ წინააღმდეგობა გაგვიწიე, სიცოცხლეს გამოგასალმებთო. ბეგლარი შეშინდა.

ოტიაც მოტყდა. ძველებურად ვეღარ დაიარებოდა ცხენით თავის ადგილ-მამულში. სიბერე შეეპარა. ახლა პერანგის ამარა ზის იგი ზაფხულის პაპანებაში, სამზადის წინ. ლურჯი, დიაგონალის ხვანჯრიანი შარვალი აცვია, ღიპის ქვეშ შემოჭერილი; ქუსლჩათელილ წუღა-მესტებში შეუდგამს პატარა, მსუქანი, თეთრი და შიშველი ფეხი; ღილებმოხსნილ მადეპალამის პერანგიდან მწითური და სქელი კისერი, უბეწვო და

დედაკაცივით მსუქანი გულმკერდი ჩანს. მწყრის კურტუმოსავით მსუქანი პატარა ხელები მუხლის თავებზე დაუწყვია. ნეკზე ყველრულის დეზის ოდენა ფრჩხილი მოუშვია, თითქო არისტოკრატობის მაჩვენებელი. თითზე საგვირგვინო ბეჭედი წამოუგია. შუბლიდან წურწურით ჩამოსდის ოფლი და საჩვენებელი თითით იწურავს, ბაღდადით იმშრალებს. მისი პირისახე ფართო, მსუქანი და ჯანიანია. უზარმაზარი გოგრისოდენა თავი მორგვივით სქელ კისერზე აქვს დადგმული. მელოტ თავზე მხოლოდ შუბლის ზემოთ, შუა ალაგას შერჩენია თხელი ქოჩორი. კეფაზე კი ლომის ფაფარივით აყრია ჭაღარა თმა. გრძელი და ფართო წვერი მკერდამდე სწვდება და ისიც შეჭაღარავებია და ნაცარმიფრქვეულსა ჰგავს. უხვად ნაზარდი წვერ-ულვაში მოკუმული ბაგეების ირგვლივ შესთხელებია და შიგ მრგვალი ნიკაპი ილანდება. ბაგე ორშიმოს პირივით და ყუნწმოწყვეტილი ხაპივით მოსწრუპნია, თითქოს ღვინის სახვრეპად აქვს მოწყობილიო. ვინ დათვლის, რამდენი საპალნე ღვინო შეუხვრეპია ოტიას!

ოტიამ ტერეზას წერილი დაკეცა და ბეგლარს შეეხვეწა:

— ჩემი საყვარელი და, დისწულები, მათი ძვირფასი სტუმრებით მეწვევიან ხვალე და, თუ კაცი ხარ, თევზი დამიჭირე.

ბეგლარმა უთხრა:

— ამაღამ ვითევზავებ, ბატონო.

ოტიამ ჰკითხა:

— სად ჯობია, ბეგლარ, თევზაობა?

— წაბლარას ხევში, იქ მაქვს ფაცერი გამართული, — მიუგო ბეგლარმა.

— წინათ ნასახლართანაც ბევრი თევზი იყო. რა თევზი იცის იმ დალოცვილმა კორის წყალმა, — თქვა ოტიამ და მოჰყვა: — ერთხელ ცხენზე ვიჯექი და მამულს ვათვალიერებდი, ბუჩქიდან კურდღელი წამოხტა და მწევარი მივუტიე.

— ბროლია? — ჰკითხა ბეგლარმა.

— გახსოვს, ბეგლარ, ბროლია? — შეკითხვითვე მიმართა ოტიამ და განაგრძო: — იქნებოდა ერთი, აგერ იმ მთავარი მოზვერის სიმაღლე, დედიჩემის სული ნუ წამიწყდება! კურდღელმა მთისკენ მოჰკურცხლა. შენც არ მომიკვდე: წარბიც ვერ შეარხევია მწევარმა. ბოლოს ბროლია მიუახლოვდა და მთის ძირში, როგორც იქნა, შუბივით მაღლა აზიდული მარ-

ცხენა ყური დაბლა დააწურია კურდღელს მაგრამ მთის ჯალთაზე ბროლიას ძალა გამოელია და კუ[illegible] თვალიდან, რომ მარჯვენა ყური, არ იქნა და არა შეხლ არ მომიკვდე, ისევ ისე შერჩა თავზე შუბივით დარჭობილი!

მოურავი ბეგლარი და ტერეზას მოჯამაგირე დოძეიტი ხვედელიძე დიდის ინტერესით უსმენდნენ ბავშვივით გაღიმებულ, მოცისფრო, ცქრიალა თვალებიან მოუბარ ბატონს. ოტიამ განაგრძო:

— ჰო, რა თვალის სეირი იყო! სწორედ ამ დროს ცხონებულმა მამაჩემმა, არჩილმა, შემომძახა: არიქა, ოტია, ახედე, ბოშო, რა დაემართა იმ ქალსო.

ბეგლარმა ჰკითხა:

— რომელ ქალს, ბატონო?

— აგერ გითხრა, — მიუგო ოტიამ, — თვალი მოვკარი, ყმაწვილო: დედაჩემი კორის წყალთან ხრამში გადავარდა. ცხენი გავაქანე და, რა ვნახე, არ იკითხავთ? ცხონებულ დედაჩემს თავისი საშინაო ჩითის კაბა დაეკარწახებინა და მდინარის ნაპირზე მოზღვავებულ თევზისათვის კალთა მიეშვერია. თევზი მდინარის ნაპირზე ცვივოდა, წყლიდან სადაფისფერ ტანს ისროდა, ხტოდა, დედაჩემს სახეზე ეხეთქებოდა, ბალახში ფართხალებდა და ყირაზე გადადიოდა.

დომენტი ხვედელიძემ დაიძახა:

— შეხედე, ქვირითის ყრის დრო მოსვლია თევზს! მაშინ იცის ნაპირთან მოზღვავება.

ოტიამ ისევ განაგრძო:

— აი, ამ ჩემი მკლავის სიგრძე ბოლოწითელა ცხონებულს თავზე ახტებოდა. დედა შეჰკივლებდა, ხარხარებდა და წყლისკენ მიშვერილი კალთა სავსე ჰქონდა თევზით. მივეშველეთ და იმ საღამოს ოცი ფუთი თევზი დავიჭირეთ. ძარიანი ურმით ამოვიტანეთ სოფელში. იმ დედაჩემის ხული ნუ წამიწყდება! — დაასრულა ოტიამ.

— ეხ, ჩვენო ტკბილო დედუა! — დაიწყო ბაბომ: — რა ნათლად მიდგას თვალწინ შენი ჰკვიანი, ლამაზი, ფართო სახე და სიცილ-როხროხი! რა წარმოსადეგი, გამრჯე, მეოჯახე, დინჯი და თანაც რა ნასწავლი ქალი იყო!

ბეგლარმა შენიშნა:

— სოლომონ მეფის სარდლის, პაპუნა წერეთლის შთამომავალი, აბა რა იქნებოდა?!

— როდესაც ბატონს, არჩილ მდივანს, ქალბატონი დარეჯან წერეთლის ქალი შეურთავს, მაყრიონს ასი ცხენოსანი გამოჰყოლია, — თქვა ბაბომ გაგონილი.

— რისი ასიო! — გაუწყრა ოტია ბაბოს, — ასი კი არა, ათასი ცხენოსანი ყოფილა. სულ რჩეული თავადები და აზნაურები: ერისთავები, წერეთლები, მდივნები, აბაშიძეები, ყიფიანები და სხვები. წინ კოხტად მოფარდაგებულ და ქალის უნაგირით შეკაზმულ ბედაურს ჩიხტიკოპით და თეთრი ლეჩაქით მორთული ცამეტი წლის მზეთუნახავი, თამარ მეფესავით ლამაზი ასული მიაჭროლებდა, უკან მზითვით დატვირთული ქარავანი მიჰყვებოდა: — დაიწყო დედის ქება ოტიამ.

— ნუთუ ცამეტი წლის გაათხოვეს? — გაუკვირდა ბეგლარს.

— ცამეტი წლის ყოფილა, იმ ცხონებული დედაჩემის სულს გეფიცები! — მიუგო ოტიამ და საბუთიც მოიტანა — დედაჩემი რომ სულ პატარა ყოფილა, მამაჩემისაგან გამიგონია: ქორწილის მერმე დედაჩემს ზემოთიდან ზედაზენში გამდელი გამოჰყოლია და თავისი გაზრდილისათვის სათამაშოები — ტიკინა, დედოფალა წამოუღია. სანამ დედა არ დაქალებულა, მამაჩემი წელიწადნახევარს სანთიობოში არ შესულა, ეცოდებოდა.

ბაბომ მოიგონა:

— მახსოვს, ჩიხტიკოპით მორთული დაჯდებოდა ტახტზე ქალბატონი დარეჯანი და ნელის ღიღინით, ზეპირად იტყოდა რუსთაველის წიგნს: „იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღვთისავან სვიანიო“.

ოტიას წარსული მოაგონდა, გული აუჩუყდა და თვალთაგან ჩამონადენი ცრემლი ბაღდადით მოიწმინდა. ბაბომ ხელი მოჰხვია და დაამშვიდა:

— დიდებული ქალი იყო ცხონებული დარეჯანი და დიდებული ცხოვრება, შვილები და შვილიშვილებიც დატოვა: დედუაზე ტირილი არ გვმართებს! — მერმე ხელი ჰკრა ოტიას და უთხრა: — რა დაემართა, ოტია, იმ ბატს, შეხედე?!

კაკლის ხის ქვეშ ბატმა მთვრალივით იწყო ბარბაცი, ბოლოს წაიქცა. ერმილემ მიუსწრო და დაჰკლა. ამ დროს ოტიას მშიერი მიმინო ეჟვნებით აივანზე ნავარდობდა. ბაბომ არ დაუჯერა ოტიას და დაკლული ბატის გულღვიძლი მისცა, არ გასულა ნახევარი საათიც და მიმინომ მოიწყინა. მანაც მთვრალივთ იწყო ბარბაცი. თვალი აემღვრა, ზედ თეთრი ლიბრი გადაეკრა, მალ-მალე დაახამხამა.

— ნახავ შენ, ეს მიმინო თუ არ მომიკვდეს! — უთხრა ოტიამ ბაბოს და, მართლაც, ერთი საათის მერმე მიმინოს სული გავარდა. ოტია ბაბოს აგინებდა:

— რა კაპუეტი მიმინო მომიკლა ამ ჭალმა! ჯერ ძარში მყავდა დამწყვდეული, მერე ბნელ ოთახში: თვალი არ წახდენოდა. ასე ვმართავდი, ყმაწვილი, ვწვრთნიდი და, შეხედე, ეს რა მიქნა ამ ჭალმა?

ბაბო სწუხდა:

— ის ტურის შესაჭმელი ბატი ჭირიანი ყოფილა! ჩემო ბეგლარ, — შეეხვეწა ბაბო ბეგლარს, — ხომ ხედავ გულზე გასივდა კაკალი კაცი, შენ მაგის ოსტატი ხარ და იქნება დაუჭირო ოტიას სანაცვლო მიმინო.

მართლაც, ბეგლარმა ბადით, ხორცით, ჩიტით და წრუპუნით მთა და ბარი შეაჯერა და უკეთესი მიმინო მოუყვანა ოტიას, მაგრამ ოტია მაინც არ ისვენებდა:

— ეს ცუდი ნიშანია. შინგამოზრდილი დამღუპავს და სიცოცხლეს გამიმწარებს.

ბეგლარმა გულში გაიფიქრა: „გულთმისანი ყოფილაო!“

მაშა-პაპანია შრომით

იგი რომანტიკულ წიგნებში დახატულ ქალს ჰგავდა. ჭვეყანა უეცრად გაფართოვდა ვაჟის წინაშე, მის მზიურ ცენტრად გახდა ქალი, რომელშიაც მოქცეულიყო ყველაფერი.

ფ ლ ო ბ ე რ ი

1

მზიანი და მწველი დღე იყო. ტერეზა მხეიძის მოჯამაგირემ, დომენტი ხვედელიძემ, ურემში კამეჩები შეაბა. ზედ ქალბატონი ტერეზა, ვარდო და ნინო დასხდნენ. დომენტი წინ მიუძღოდა კამეჩებს, აყალო მიწისფერი წუღებით, მტუტისფერი პაჭიჭებითა და სვანური ქუდით. კამეჩივით მიიზლაზნებოდა გლეხი ორღობეში, ნაურმალ გზაზე, და ამ გამოცდილი მეურმისა და მეურნის სახრის მოძრაობა, ტრიალი და ქნევა ჯადოსნურად იმორჩილებდა გაფანჩულ-ქაჩაჩებიან სპილოსოდენა კამეჩებს. ესტატე ტერეზას ცხენზე, ხაბარდულაზე იჯდა. კორნელი, სტეფანე და იონა კი — ოტიას მიერ გამოგზავნილ ცხენებზე — კუკურიზე და სხვებზე. პლატონ მოგველაძე და დათა ყიფიანი ყაბარდოულსა და ჩერქეზულს მოაგელვებდნენ.

დომენტიმ ორღობეში გაატარა ურემი. მერმე მწვანე მინდორზე გაიყვანა და ტყისკენ აიღო გეზი.

ახალგაზრდა მეთაური სიმონ წერეთელი ცხენოსნებს, ურემზე მჯდარ ტერეზას და მაყაშვილის ქალებს ტყისპირას გამოემშვიდობა. გული დაწყდა, ოტია მდივანთან რომ ვერ ჰიდიოდა საქეიფოდ და ისიც ასეთ წარჩინებულ საზოგადოებასთან ერთად. თვალი გააყოლა ურემზე მჯდარ ქალებს, ვეება ყაყაჩოსავით ქანაობდნენ მათი ქოლგები, თითქო სანათურებით გაჩირაღდნებული შუქფარები ჰხურავთო.

დომენტიმ ტყეში შეიყვანა კამეჩები, ბორბლების ნაკვალევს მიჰყვა. დაიწყო აღმართი, წვიმისაგან ალაგ-ალაგ ჩაშავებული, აყალო მიწიანი ოღრო-ჩოღრო გზა. ურემი აღმართს დაეკიდა. ქალებმა ბჭალებს წაავლეს ხელი. ურმის ბორბალი ხან მარჯვნივ და ხანაც მარცხნივ ვარდებოდა თხრილში. ბჭალები ხელიდან უსხლტებოდათ ქალებს. ჰკი-

ოდნენ, ერთმანეთს ეხვეთქებოდნენ. ქოლგები დაკეცეს, სახეზე მუხის დაცვარული ფოთლები და შტოები ეჯახებოდათ. ნინომ თვალი ატკინა. როგორც იქნა, აიარეს ალმართი, მაგრამ მერმე ღელისაკენ დაღმართზე მგზავრობა უფრო სატანჯველი აღმოჩნდა. ისევ დაიწყეს კივილი ქალებმა. ნინოს ფერი წასვლოდა. დომენტის ემუდარებოდა ურემი გააჩერე, ჩამოვალო.

— ნუ გეშინია, ნუ გეშინია, ქალბატონო! — ანუგეშებდა ქალებს დომენტი და მწიფე მაყვალივით უკრთოდნენ კეთილი და მორჩილი თვალები. ხანაც ურმის უღელს მოავლებდა ტალახისფერ ფართო ხელს, მარჯვნივ და მარცხნივ მიმოსწევდა საჭესავით და უმოწყალოდ გადაუჭერდა კამეჩებს შვინდის სახრეს. „ო, ხი, ო, ხიო“, უცნაურ ბგერებს გამოსცემდა და ასე შეუწყრებოდა კამეჩებს.

ვარდო და ნინო დაიტანჯნენ. ურმის ბორბალი შესდგებოდა ახლა ლოდზე, მერმე ერთბაშად, საშინელი ძალით დაეცემოდა მიწაზე და მაშინ ვარდოს და ნინოს ისე დაეღრიჯებოდათ სახე, თითქოს გულ-ღვიძლი და შიგნეული ჩაუწყდათო. „წინ სამი ღელეა, ხოლო მთაში ასეთი ალმართი და დაღმართი არ გამოილევა“, — გაიფიქრა კორნელიმ. ველარ გაუძლო გულმა: ცხენიდან ჩამოხტა და ნინოს შესთავაზა. მუხლი მოღუნა და ნინო ზედ შეაყენა. უსანგში შეადგმევინა ფეხი და უნაგირზე დასვა. აღვირი დაიჭირა და ნელის ნაბიჯით წაიყვანა ცხენი. სული მოითქვა ნინომ. კუკურის ჩაზნექილი ზურგი თითქოს მსუბუქი იალქანიაო, თითქოს ზღვის ტალღები ნელინელ არხევენო ნინოს ტანს, ეს იყო მხოლოდ: ქართული უნაგირი უჭირებდა საქმეს. მისი კაბა მუხლის თავების ზემოთ მისცურავდა.

ისევ დაეშვა დაღმართზე ურემი. ახლა ვარდოღა იყო წამებაში. დომენტი გულ-მკერდით აწვებოდა უღელს. ტყის კაცივით იჩაჩხებოდა. ფაფხუროობდა და ასე იმაგრებდა დაღმართზე დაქანებულ და გახურებულ კამეჩებს: სახეში და რქებზე შემოჰკრავდა გამეტებით სახრეს და კამეჩები მალიმალ ახამხამებდნენ გიშრისფერსა და თვინიერ თვალებს. ტერეზა შეჩვეული იყო ურმით მგზავრობას, რამდენჯერ გაუვლია მას, მის დებსა და შვილებს ეს ტყე ბნელ ღამეში, წვიმაავდრისა და ელვა-ქუხილის ჟამს. ნაბდებწამოხურულნი ისხ-

დნენ ურმებზე ავდრიან ღამეში და გლეხები კვარით, ჭრაჭითა და ჩირაღდნებით გზას უნათებდნენ.

ნინომ თავი დახარა, მუხის ტოტი რომ არ დასჯახებოდა. მუხლის თავი გადაუშიშვლდა.

— შეხედეთ ამ ქალბიჭას. როგორ გადამჯდარა მაჰაკაცივით ცხენზე! — არცხვენდა იონა ნინოს.

იონა პლატონთან მივიდა, დიდი ცხვირის დაღრენილი ნესტოები გაბერა და ზედაზენამდე იძახდა:

— კანჭები, კანჭები, იმ გოგოს კანჭები გამაგიჟებენ!

პლატონმა უთხრა:

— ფავნი ხარ, იონა, ბებერი ფავნი.

იონამ ტყეს გახედა და მართლაც პანივით გადაიხარხარა.

პლატონმა სურო, ასკილი, კურკანტელი და ფითრი მოსწყვიტა, ნინოს მიართვა და უთხრა: მენადები ამით ირთავდნენ თავსო.

ესტატე და დათა ყიფიანი ომსა და აჯანყებაზე საუბრობდნენ.

2

ტყე გაიარეს. დომენტიმ დაბლა სახლისაკენ გაუხვია. წინ კარგა მოზრდილი მდინარე გადაიშალა, ჩქარი და აქაფებული. დომენტიმ ფონი მოსძებნა, უღელზე შეხტა და კამეჩები მდინარეში შერეკა. გახურებულ კამეჩებს ეამათ გრილი ტალღების შეხება, შეჩერდნენ, ქაფიანი ტუჩებით დაეწაფნენ წყალს, თვალები განაბეს და მდინარეში ჩაწოლა დააპირეს. დომენტიმ მაგრა გადაჰკრა სახრე კამეჩებს, როცა ამანაც ვერ გასჭრა და ერთი კამეჩი დასაწოლად მუხლებზე დაეშვა. სახრე შეაბრუნა და ტარით დაატაკა მუცელში, თან ისე ხმამაღლა შესძახა: „ო ხი, ო, ხი, კამეჩოო“, რომ კაცს ეკონებოდა, უზარმაზარი ბირდაბირით ხერხავენ ხეს ტყეშიო. კამეჩებმა ჩქარი ნაბიჯით მიაშურეს ნაპირს.

ნინო მდინარის პირას შესდგა.

კორნელი ცხენს გავაზე მოახტა, ქალს ხელი მოჰხვია, ალვირი მოზიდა და ცხენი მდინარეში შეიყვანა. პლატონმა იონას გასძახა:

— [illegible], [illegible], კონტავრმა შვნი დეანირგ შოიტ-ცა! მალე მოზიდე შვილდი!

კორნელიმ უფრო მაგრა მოჰხვია მკლავები ნინოს.

— მდინარეს ნუ უცქერ, თავბრუ დაგეხვევა. ფეხები ასწიე, დაგისველდება, — არიგებდა კორნელი.

კუკურიმ თქარათქურით გაიარა მდინარე. ცივი შხეფები გასხურებოდა ნინოს გახურებულ სახეზე. ჰკიოდა და თანაც ეცინოდა. ვარდო ურმიდან უყურებდა.

— ძალზე დამეგობრდნენ კორნელი და ნინო. როგორ იქნება მაგათი საქმე, არ ვიცი, — თქვა ვარდომ.

— ნინოს ვენაცვალე, — უპასუხა ტერეზამ, — რა ცქრიალა და გონიერი გოგოა!

როდესაც კორნელიმ ნაპირზე გაიყვანა ქალი და ცხენიდან ჩამოხტა, ვარდომ ისევ უთხრა ტერეზას:

— გული მეუბნება: ვაითუ კორნელიმ ნინო მომტაცოს! — ტერეზამ გაიცინა და მიუგო:

— რა ცუდი ბიჭი მოგტაცებს თუ?

— ადრეა ჯერ ნინოსთვის ქმარ-შვილი, — ჩაფიქრებული სახით შენიშნა ვარდომ.

ტერეზასათვის აშკარა გახდა, რომ ვარდო კორნელისა და ნინოს დაქორწინების წინააღმდეგი არ იქნებოდა. ამ წუთიდან განსაკუთრებული ყურადღებით და თბილი გრძნობით ეკიდებოდა მაყაშვილებს.

კორნელი ისევ წინ მიუძღოდა ცხენს. „ბედნიერია. მან ჯერ არ იცის, რა ჭირ-ვარამი, შრომა და ჯაფა სჭირია ოჯახს“, — გაიფიქრა დედამისმა.

როცა ცხენოსნები მდინარის პირას დავაკებულ ადგილზე გავიდნენ, ნინომ მოულოდნელად დასძრა კუკური და მინდორზე მიუშვა. კორნელი იღიმებოდა და ასე ეგონა: ღიმილითვე ეგებებოდა მას ზედაზენი, მთელი ქვეყანა.

სტუმრები მოვიდნენ

კვეხნაში კი ნუ ჩამომართმევ და, ჩემი სახელი სათათრემდინ არის გავარდნილი, იმერეთშიაც მისულა ჩემი ქება... მაგრამ, აი, ამ შენმა უხეირო ლუარსაბმა ასე გაგიხადა ის ფხიკიანი იმერელი, რომ... სულ ჩემი მზე ვალოცვინე, თითონვე თავის პირით მითხრა: ბაყბაყ დევი ხარო. თითიც მომიკაკვა და ყურში ჩუმად ჩამჩურჩულა, სანაძლეო მოიგე, ნახევარი იმერეთი შენი უნდა იყოსო. რომ მეჩივლა, რასაკვირველია, იმ ნახევარს გამოვიტანდი, მაგრამ ჩვენი მამა-პაპის მამულებიც მაშინ ისე ოხრად გვრჩებოდა და იმერეთი რაღად მინდოდა?

ი. ჭავჭავაძე

1

სტუმრები ოტია მდივნის სათიბს, დიდსა და ყავრით გადახურულ ჭიშკარს მიადგნენ: სათიბი და ეზო მესერით იყო შემოვლებული. ბაბომ თვალი მოჰკრა სტუმრებს და ყვირილი მორთო: ოტია, სტუმრები მოვიდნენ. ბაბო და ოტია ჭიშკრისაკენ გაეშურნენ. მოურავმა ბეგლარმა ჭიშკარი გააღო. დომენტიმ ურემი ეზოში შეიყვანა. მოჯამაგირეებმა, ერმილემ და დათუამ, სტუმრებს ცხენები ჩამოართვეს.

— ტერეზას ვენაცვალე, — დაიძახა ბაბომ, მკერდზე მიიკრა მული, პირსახე და თვალები დაუკოცნა. მერმე სტეფანესა და კორნელის გადაეხვია. სტუმრებს ხელი ჩამოართვა.

ოტიას ცრემლი მოსდგომოდა თვალზე სიხარულისაგან.

ამ დროს ბაბოს ძმამ, დათამ, ცხენი ყალყზე შეაყენა, ასკუპა და შურდულივით გაუშვა სათიბში, ნაგანი იძრო, დასჭყივლა და გაისროლა. გიჟი, გიჟიო, — ხარხარით მიაძახა ბაბომ. იგი მაღალი, ტანადი, თეთრი, ფერხორციანი და საამო შესახედი ქალი იყო. ფართო სახეს შვილდისებურად მოზიდული წარბები, დიდრონი, შავი და ბრიალა თვალები, არწივსავით მოღუნული ქართული ცხვირი და ბროლივით თეთრი „მიჯრით მიწყობილი“ კბილები შვენოდნენ. წაბლისფერი თმის დაგრაგნილი ნაწნავი მორგვივით ჰქონდა დახვეული კეფაზე და სპილოს ძვლის სავარცხლით დამაგრებული. ლამაზ ხელებს ოქროს სამაჯური და საათი უმშვენებდა. ხოლო გრძელ, შხვართსა და ბოლოში გაწვრილებულ, ჩამოთლილ

თითებს — თვალ-მარგალიტებით მოჭედილი ბეჭდები. ოქროს მანიაკი და ძვირფასი ქვებით მოკიაფე ზარისებრი საყურე გაეკეთებინა. ისეთი გრძელი, შემოქობილი, შლეიფიანი კაბა, კოფთა და ფეხსაცმელები ეცვა, იფიქრებდით: დარბაზობისათვის შეუკერავსო. იმერეთში სილამაზით განთქმული ჩიქოვანის ქალი თუ შეედრებოდა ბაბოს!

ევროპულ ტანსაცმელს არ შეეფერებოდა დიდედა დარეჯანის მიერ ნაბოძები უძველესი, ქართული სამკაული: ოქროს მანიაკი და ზარისებრი საყურე.

ახოვანმა და საზეიმო ტანისამოსში გამოწყობილმა დარდიმანდმა ქალმა, მისმა ეშხმა და ლაზათმა სტუმრების ყურადღება მიიპყრო, განსაკუთრებით კი პლატონისა. თვალს ვეღარ აშორებდა. შთაბეჭდილებას ანელებდა მხოლოდ ოდნავ პროვინციული მიხრა-მოხრა, თავის დაჭერა და ომახიანი, ვაჟკაცური, ბოხი ხმა.

ბაბოს ქუთაისის ქალთა გიმნაზიის ექვსი კლასი ჰქონდა დამთავრებული. ზამთრობით ქუთაისში ცხოვრობდა. ხანდახან თბილისშიც ჩადიოდა, მაგრამ მთამ შეუძლებელია თავისი ელფერი ოდნავ მაინც არ დაამჩნიოს ადამიანს.

ბაბო მოღიმარი და ბედნიერი სახით ისე სწრაფად შემობრუნდა და დაიძახა: მობრძანდით. ჩემო ბატონოო, თითქოს თექვსმეტი წლის ისეთივე ტანკენარი გოგონა ყოფილიყოს, როგორიც მაშინ, როდესაც იგი ოტიამ მოიტაცა და ნაბადში გახვეული ქალი რაშისებური ბედაურით ზედაზენში ამოიყვანა. მას აქეთ ოცმა წელმა განვლო.

მაშინ ოტიაც წარმოსადეგი კაცი იყო. ორმოცი წლის თუ იქნებოდა, ღიპიც არ ედო, ჭაღარაც აქა-იქ ერია, კაცი თუ არ დააკვირდებოდა ვერც კი შენიშნავდა. ხანჯალი და რევოლვერი, რომელსაც იგი „სმიტს“ ეძახდა, უფრო ვაჟკაცურად და მოხდენილად ეკიდა, ვიდრე ახლა. მკლავიცა და ჭკუაც უკეთ უჭრიდა. რუსულიც უფრო ეხერხებოდა, თუმცა სწავლა მაინცდამაინც ჭკუაში არ უჯდებოდა. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის ხუთი კლასით დაკმაყოფილდა, მიუხედავად კორნელის მამის — გიორგი მხეიძის ქადაგებისა, მეტი სწავლა არ მოისურვა. ზეწრები დაგრიხა, ერთმანეთს გადააბა, პანსიონის მეორე სართულიდან ქუჩაზე დაეშვა, ქეიფსა და ქალებს აყოლილი ჭაბუკი, სამუდამოდ გაიპარა

გიმნაზიიდან და, რუსული ენის გარდა, მერმე ფრანგული, მით უფრო ლათინური და ბერძნული არასოდეს აღარ დასჭირვებია. იგი სოფელს დაუბრუნდა და მამის, არჩილის, სიკვდილის მერმე მდიდარი მემამულე გახდა. გუბერნატორის, წარჩინებული რუსი მოხელეების სახლში დაიარებოდა. მასთანაც ხშირად ყოფილან ზედაზენში სტუმრად ისინი. კარისმერეთის ბოქაული და სტრაჟნიკები დღე და ღამ ოტიასას ქეიფობდნენ და მისი სახლ-კარის და მამულის ერთგული მცველები იყვნენ. ახლა კი რაა მისი ცხოვრება? მამა-პაპათა ყოფილი ყმები და შიგ გაზრდილი მოჯამაგირენი აღარ ერიდებიან და ემუქრებიან.

ოფიცერი დათა ყიფიანი ცხენიდან გადმოხტა, ბაბო და ოტია ჩაჰკოცნა. ყველანი სახლისაკენ გაეშურნენ. ოტია დათას მიჰყვებოდა, ბაბო — ტერეზას.

— რა ამბავია, ბოშო, ვერ აგიწერ, — შესჩივლა ცოლისძმას ოტიამ. — დამაქციეს და ამომაგდეს გლეხებმა. ტყე და ვენახი ამიჭრეს. გოჯასპირმა და მისმა ყაჩაღმა შვილმა, გალაქტიონმა, ბოქლომი გამომიცვალეს სარკოიას მამულის ჭიშკარზე და შიგ ბეგლარს და ჩემს ბიჭებს არ უშვებენ, შეიხვილიფეს ამხელა მამული.

— ნუ გეშინია, ოტია, ცოტა დამაცალე, აქაც ამოვალ ჩემი რაზმით და მაშინ ყველას გავბაწრავ და ციხეში ჩავყრი, — დაამშვიდა დათამ.

— ე ბიჭო, მიშველე რამე! ჩემი ცოლის ძმა არ ხარ!? ასე თუ მომდგნენ გლეხები და გამაპარტახეს, მერე რითიღა ვიცხოვროთ მე და შენმა დაიამ? მათხოვრობა უნდა დავიწყოთ, დედიჩემის სული ნუ წამიწყდება. პატიოსნებას გეფიცები! — უკანასკნელი ორი სიტყვა რუსულად უთხრა ოტიამ.

ბაბოს და ტერეზას სულ სხვა სახის საუბარი ჰქონდათ.

— რა ლამაზი გოგონაა მაყაშვილების ქალი! მოდი, კორნელის შევრთოთ, — უთხრა სოფელში ჭორიკანობას და მაჭანკლობას შეჩვეულმა ბაბომ ტერეზას.

ალმართზე მიდიოდნენ.

— მგონი, მაღე ეწყობა საქმე! — გაანდო საიდუმლო ტერეზამ.

ბაბომ კორნელის და ნინოს გადახედა, დაიხარა და ტერეზას ყურში წასჩურჩულა:

— კორნელის ენაცვალოს ბიცოლა, შეხედე, ტერეზა, მაჟაშვილის გოგონას რავა ეკურკურება! — მერმე ისე ხმამაღლა გადიხარხარა, რომ მთის წვერზე მცხოვრებნიც კი გაიგონებდნენ.

ტერეზამ გაიღიმა და ისევ დინჯად და ჩუმად უთხრა:

— ძალიან კარგი გოგონაა, მაგრამ ჯერ რა დროს კორნელის ცოლია?!

ბაბო ასე არ ფიქრობდა:

— მერწმუნე, ტერეზა, კაცი რაც უფრო ადრე მოეკიდება ცოლშვილს, მით უკეთესია. — იქნებ მწარე გამოცდილებითაც ამბობდა ამას ბაბო. ოტია მასთან შედარებით უკვე ღრმად მოხუცებული სჩანდა. პლატონი თვალს არ აშორებდა ბაბოს და, როდესაც მისი ჯანიანი ხარხარი გაიგონა, იონას უთხრა:

— რა დიდებული ქალია! შიშველი სქესი მეტყველებს მასში. კარგი ვაჟკაცი თუ დაიურვებს სარეცელზე, ეგ ავხორცი იქნება!

— ოტიას ხომ ხედავ: მოხუცია, ქალი მამაკაცს არის დანატრებული და თუ ვაჟკაცობას გამოიჩენ, მაგასაც დავინახავ! — წააქეზა იონამ.

ღმართი რომ აიარეს, სტეფანე შეჩერდა. ესტატეს, ჩხეიძეს და წულუკიძეს თითით უჩვენებდა მდინარის პირად გაშლილ ჭალებს. უკან მთას, სარკოიას ტყეს:

— ეს სულ ოტიას მამულია და აი, იქ, მთაშიაც ბევრი ადგილ-მამული აქვს!

სტუმრებმა თვალი ვერც კი მიუწვდინეს ოტიას სამფლობელოს. წულუკიძემ თქვა:

— მოსახლე და მემამულეც ასეთი უნდა!

სტუმრები ქვის მაღალი კიბით ქვითკირის სახლის მეორე სართულზე ავიდნენ. შუშაბანდიან აივანზე გაჩერდნენ. აჯამეთის ტყეს, შავ ზღვამდე გადაშლილ რიონის ველს, ამწვანებულ მთა-გორებსა და შორეულ ქედებს გაჰხედეს. აქედან უფრო წარმტაცი სურათი იშლებოდა, ვიდრე ტერეზას სახლის აივნიდან. როდესაც სტუმრები ბუნების სილამაზის ჭვრეტით დატკბნენ, ბაბომ შინ შეიყვანა ისინი. ხელ-პირი დაბანინა მარმარილოს პირსაბანში. მოქარგული თეთრი და უმტვერო პირსახოცი მიაგება.

სახლი ევროპულად ჰქონდა მორთული ოტიას. დიდი დარბაზი — პარკეტის იატაკით, ჩუქურთმებიანი ჭერიდან ჭაღი ეშვებოდა. კედლები ხალიჩებით იყო მორთული, ტახტზე ტერეზასა და მისი დების მიერ ახალგაზრდობის დროს ფერადი მძივებით და ოქრომკედით ნაგვირისტევ-ნაქარგი ხავერდის მუთაქები და ბალიშები ეწყო. კუთხეში „მერკურის“ ფირმის გრამაფონი იდგა. ესტატემ ფირფიტები დაათვალიერა. რა ჯურის მომღერლები არ გინდოდათ, რომ არ შეგხვედროდათ აქ: ქართველი, რუსი, იტალიელი... ესტატე „ძველ ბავარულ მარშს“ წააწყდა და ცალკე გადასდო. ოტიას საყვარელი ფირფიტები, ხშირი ხმარების გამო, გაცვეთილიყვნენ: ქართული ხალხური სიმღერები — „ხელხვავი“, „ხასანბეგურა“, „პატარა საყვარელო“, ქუთაისური ჰუმორული სიმღერები — „ქალი გამიდიდგულდა“, „ფარჩის კაბა შეუკერავს ჩიქვანის ქალსა“ და „ცედური მრავალჟამიერი“, ბონდო მიქელაძის, კოკინია დგებუაძის და დანიელა ურიას მონაწილეობით.

— ეს გრამაფონი და ფირფიტები ჩემმა დისწულმა ევგენიმ მიყიდა თბილისში ხუთი წლის წინათ, — განაცხადა ოტიამ.

ბაბომ თავის საწოლ ოთახში შეიყვანა ვარდო და ნინო. აქ ორი ნიკელის ფართო საწოლი იდგა. ხალიჩებით მორთულ კედელზე ორი შაშხანა, ორი მოკლე კარაბინი, სანადირო თოფები, ხმლები და ხანჯლები ეკიდა. ფანჯარასთან ტუალეტი იყო მოწყობილი შესანიშნავი მრგვალი სარკითა და ნივთებით. ეს ბუდუარი პეტერბურგიდან გამოაწერინა გუბერნატორის ცოლმა ბაბოს. ერთი სიტყვით, ვარდო მაყაშვილიც კი გაოცებული დარჩა ოტიას სახლის მორთულობითა და ნივთებით. არ ეგონა, ამგვარად მორთულ სახლს თუ ნახავდა მთაში მივარდნილ სოფელში.

როდესაც ბაბომ სწორი რუსულით საუბარი დაუწყო, ამან კიდევ უფრო გააოცა. ისინი მალე დამეგობრდნენ. ბაბომ ნინო გულზე მიიხუტა, ხილამაზე შეუქო და შუბლზე აკოცა. უმალვე მოთაფლა დარბაისელმა იმერელმა ქალმა თავადის ესტატე მაყაშვილის ცოლ-შვილი.

— რა ჩინებული რძალი გყოლიათ, — უთხრა ვარდომ ტერეზას.

ტერეზამ სასტუმროში გაიყვანა. თავისი ძმებისა ოტიას და სხვათა ახალგაზრდობის დროინდელი სურათები უჩვენა: წკერ-ულვაშიანი ლამაზი ვაჟკაცები, ფეოდალური საქართველოს ნაშიერნი, იმერული გრძელი ჩოხებით მორთულნი, დამბაჩებით, სმლებითა და ხანჯლებით შეიარაღებულნი.

— გაფრინდა ის დრო, — ჩაიქნია ხელი ბაბომ.

ტერეზას გულმა არ მოუთმინა და ბაბოსთან ერთად შემოიარა ეზო-გარემო, სადაც ბავშვობა და თავისი ახალგაზრდობა გაუტარებია. წყარო და ღარის წყალიც ინახულა. ანკარა წყაროს ცივი წყალი შესვა და ხელ-პირი დაიბანა. მერმე თხილნარში შევიდა. ხეხილით სავსე უკანა ეზოში ჭიხალი და ვაშლი შეჭამა. ბოლოს სამზადი ინახულა. მოჯამაგირე ქალები, სალომე, ქეთუა და ეპრაქსია გადაეხვივნენ და ქალბატონს ხელი დაუკოცნეს.

დიდი მზადება იყო: შუა ცეცხლზე ქვაბები ეკიდა და შიგ ჩვილი ხბოს ბეჭი, ინდაურები, ქათმები იხარშებოდნენ. ცეცხლთან შამფურზე წამოგებულ გოჭს ერმილე ატრიალებდა.

— დაგიქცევია ოჯახი! — უთხრა ტერეზამ.

— მანამდე არაფერი გეტკინოს, ჩემო ტერეზა, რამდენჯერაც მე თქვენისთანა საყვარელი სტუმრები არ მეწვიონ! — მიუგო ბაბომ, გადაეხვია, აკოცა და გობიდან სახაჭაპურედ მოხვეული ყველი აიღო და გასინჯა: მარილი არ ჰქონდესო. უხარმაზარი ქვაბი წყლით იყო სავსე და შიგ ბეგლარის მიერ დაჭერილი კალმახი ეყარა.

— კალმახები კეცსა და კეცს შორის შევწვათ და ჭინჭრიანი გადავასხათ, — უთხრა მოსამსახურეს, ჭაღარა ქალს, სალომეს, ბაბომ. — ვარიები ისრიმ-მაყვლის წვენში ჩააწყეთო. საცივს მე გავაკეთებ. შენ რომ საცივის გაკეთება იცი, ტერეზა, შენ შემოგევლოს ჩემი თავი, იმისთანა არსად არ მიჭამია!

2

მამაკაცები ეზოში, ცაცხვის ქვეშ დამსხდარიყვნენ. მასამდე თავლა ენახათ. ოტიამ პლატონ მოგველაძის „ჩერჩეზულს“ ხახა გააღებინა, კბილები გაუსინჯა. თვალთან ხელი მიუტანა: დაბერებულა, მარჯვენა თვალზე მალე დაბრმავდებაო, — განაცხადა. პლატონს გაუკვირდა:

— კორნელიმაც ასე მითხრა. თქვენ და თქვენი დასწული ცხენთა შემტყობი ყოფილხართ.

— ძია ოტიას ალია რომ გენახათ, გაოცდებოდით! — უთხრა სტეფანემ, — მახსოვს, ალიაზე შეჯდებოდა ოტია, ხელზე მიმინოს დაისვამდა და სანადიროდ ასე წავიდოდა.

ოტიამ შესჩივლა:

— მიმინო ბაბომ მომიკლა, ბატის გულ-ღვიძლი მისცა, ის ტურის შესაჭმელი ბატი კი ჰირიანი აღმოჩნდა...

— გაგიჟებით ვეტრფი მიმინოს. — შენიშნა პლატონჭა. — კარგ კაპუეტს ჰიპნოზის ძალა აქვს. კამარას შეჰკრავს, ხოხობს ბუჩქთან ახლოს მიუჯდება, თვალს თვალში გაუკრის, მონუსხავს, ძალას გამოაცლის, წაახდენს და დაიჭერს.

— სწორია, კაპუეტი წაახდენს! — დაუდასტურა ოტიამ.

ესტატე მაყაშვილი, ყიფიანი, ჩხეიძე და წულუკიძე ყურს უგდებდნენ.

— თქვენ ალია ახსენეთ, არ დაგრჩენიათ მისგან სანაშენო? — ჰკითხა ესტატემ.

— არა, ალია სანდროს მოგვარე კაცმა, ნოდარ წულუკიძემ მომპარა, — მიუგო ოტიამ.

სანდრომ თავი ჩაჰკიდა, თითქოს დაიბნეოდა, და შენიშნა:

— წულუკიძის ქურდობა კაცს არ გაუგონია!

— სწორედ იმ წყეულმა ნოდარ წულუკიძემ მომპარა ალია. — არ მოერიდა ოტია და განაგრძო: — ალიას, ჩემს გარდა, ვერავინ ვერ მიეკარებოდა. ცხენის გახედნა და ცხენოსნობა, სტეფანეს და დათას ახსოვთ, რანაირი ვიცოდი. ალია მაშინ გაუხედნავი კვიცი იყო და ჯოგთან ერთად გავზავნე იმ ხაფხულს ვორმაღალაზე საბალახოდ. ყაბარდული ულაყის სახელი განთქმული იყო მთელს იმერეთში, მაა ბევრი ნატრობდა, განსაკუთრებით კი ზეკარზე საქონლის საბალახოდ გადგოსული მეჯოგე მევრელები: კვარაცხელია, თოლორდავები. ერთხელ ის წყეული ნოდარ წულუკიძე მესტუმრა. ათი ძმაკაცი ახლდა. ერთი კვირა შეეინახე და ვაქეიფე. ჩიტის რძეც არ მომიკლია. დედიჩემის სული ნუ წამიწყდება! წულუკიძე მოჩხუბარი, ლეკურის იშვიათი მხმარებელი, დიდი მოქეიფე და კარგი ცხენოსანი იყო.

— სულ მთლად ჩვენ სანდრო წულუკიძეს ჰგვანებია, ისე ღმერთი ამას უშველის! — შენიშნა კოწია ჩხეიძემ.

ოტიამ გაიცინა:

— სანდრო ნოდართან ვერ მოვა! ჰოდა, ის ნოდარ წულუკიძე მთვარიან ღამით გორამაღალაზე ასულა. მეგრელი მწყემსები მოუსყიდნია და ალიასათვის მიუგნია. ხელში გრძელი თოკი მოუმარჯვებია, საგდებელი უსვრია და კვიცისთვის თავზე გადაუცვია. ულაყი დაფეთდა. მაგრამ ნოდარ წულუკიძემ მაგარი მკლავით მოსწია ბაწარი, დაითოკა და მოიახლოვა. სწრაფად მოახტა კვიცს, ფაფარში ხელი ჩასჭიდა. თოკი ცხვირზე მოახვია და გაჭაფულ პირში ჩაუგდო. ალია გავიქდა. ყალყზე დადგა, დატრიალდა, ისკუპა და ადგილიდან მოწყდა. მწყემსებმა და ქუთაისიდან დაბრუნებულმა მეურმეებმა მიამბეს: წულუკიძემ ალიას სადავე ვერ დაუჭირა, ცხენი თხრილებსა და ხრამს ახტებოდა, ხანისწყალში გადაეშვა და თქარათქერით გაირბინაო. ალიამ სოფელი ხანი, კაკასხიდი, ბოლოკოური, ალისმერეთი, წაბლარასხევი უკან ჩაიოიტოვა და ბაღდათში ჩამოვიდა. ფერსათი, დიმი, როკითი, დიდველა გაიარა. აკამეთის ტყეში რაშივით შევარდა, ვარციხესთან დაიქანცა. გაჭაფულ და ნესტოებგაბერილ ულაყს ქშენა, ფრუტუნი და ხველა აუვარდა. ხავერდის ტყავში გახვეული მაგარი კუნთები მოუდუნდა, სქელი კისერი მოეგრიხა და თავი ჩაჰკიდა. წულუკიძემ სადავე დაუჭირა. ყვირილაზე და რიონზე გავიდა, პირდაპირ გეზი აიღო: პატრიკეთს ჩაუარა. ფარცხნაყანები, მაღლაკი. გუბი, კუხი, ხონი გაიარა და საწულუკიძოში ჩავიდა.

უამბობდა ოტია სტუმრებს.

— წარმომიდგენია, ბატონო ოტია, რა გუნებაზე დადგებოდით, როდესაც ალიას დაკარგვას გაიგებდით! — შენიშნა პლატონ მოგველაძემ.

— ალიას დაკარგვა რომ გავიგე, იმისთანა შენს მტერს, მე გულზე შემომეყარა! მთელი ქუთაისის გუბერნია შევძარი. ყმაწვილო. საქმე ღუბერნატორამდეც კი მივიყვანე. მაგრამ ალიას ვერსად ვერ მივაკვლიე. იმ წყეულ წულუკიძეს ცხენისწყალი ეაცეცურავს და ალია ფიდო დადიანისთვის მიუყვანია სამეგრელოში. თვითონ წულუკიძეს მერე კაცი შემოაკვდა ჩხუბში. უფროსი ძმის ცოლზე მისი მოურავი შე-

ისწრო, ალაგესთან დაეწია, ლეკური იშიშვლა, რეკა და კვინიხში შემოკრა. გაპობილი თავის ძვლები მჭიდროდ დაჭიდა ერთმანეთზე, ისე, რომ ფოლადი ძლივს გამოაძრო ხრიალით. მერე ხანჯალი იძრო და საკატლეტე ხორცივით დაკეპა და ამისათვის ციმბირში გადაასახლეს. მიკვირს, რად გადაასახლეს, თუკი რძალზე შეისწრო იმ კაცმა მოურავი?! — დასჭინა ოტიამ.

მოურავი ბეგლარი აიწურა, ქურდულად შეაპარა თვალი ოტიას, სტეფანეს და კორნელის.

— სულ მთლიანად დაუკეპია, ბატონო, და გადაასახლებდნენ, აბა რას უზამდნენ? — შენიშნა კოწია ჩხეიძემ ოტიას.

— დაკეპავდა, ყმაწვილო, აბა რას უზამდა? რძალზე რომ ვინმე შევისწრო, შიგ ხახაში მივცემ ტყვიას! — მიუგო გაბრაზებულმა ოტიამ და აგზნებულმა მემამულემ უცნარი რამ მოჰყვა: — ის კი არა და, ერთხელ ფერსათში დიმიტრი კიკნაძე შემეჯიბრა ღვინის სმაში, დაჩაგვრა მომინდომა, ვაცლიდა ყანწს და გადმომიგდებდა: თუ ბიჭი ხარ, მომყევი სმაშიო. სანაძლეო დავდოთო, ვინც წააგოს, საჯაროდ თითი მოკაკვოსო. ვაი, ღმერთმა მამკლას მაშინ, შენ თუ კისერი არ მოგტეხე-მეთქი, — ვიფიქრე. მასპინძელს დიდი ყანწი ვიხოვე, ორი ბორჯომის ბოთლი პირწმინდად ჩავიდა, დედიჩემის სული ნუ წამიწყდებაო! — დაიფიცა ოტიამ.

— ორი ბორჯომის ბოთლი როგორ დალიეთ ერთბაშად, ბატონო ოტია?! — გაუკვირდა პლატონს.

ოტიამ ასწავლა:

— ცოდნა უნდა, ყმაწვილო! ყანწს არ უნდა უსუნო. ღვინის დალევის მერე სული უნდა ამოითქვა, ღვინის ორიქლი და სიმაგრე ამოუშვა. ღორნოშოს საწებელში ამოვლებული ბატის ან ქათმის ფრთა უნდა წუწნო, ოდნავ წაიხემსო და ერთი კაკალი კაცი ვერ გაჯობებს ღვინის სმაში. დავლიე და გადავულოცე. შეშინდა და მიშარა. უარი განაცხადა: მაგ ყანწს ვერ დავლევო. თავს ნუ იგდებ, თორემ გაგათავებ-მეთქი, შევძახე. წახდა ყაზახი. მხრები აწურა და ჰამალი ინდაურივით აიფხორა. სავსე ყანწი მივართვი. მეოთხედიც კი არ ექნებოდა დალეული, მიტკალივით გაფითრდა, თვალები კვერნასავით დაუპატარავდა, მიეჭუტა და სლოკინი აუვარდა. ყანწი დააგდო, ისკუპა, აივნიდან გადახტა და ეზოში გამექცა.

მეც ვისკუპე აივნიდან და გამოვეკიდე; აღარ მოვეშვი, ვუდიე და ვსდიე, ყმაწვილო, უკან. ის-ის იყო მიმასწრო ღობესთან და კიდევაც ვიძვრე ხანჯალი. იქნებოდა ჩემგან ასე ერთი ორმოცი ფეხის ნაბიჯზე. ხანჯალი წვერით დავიკავე, ვესროლე და, ზედ კაკალ დუნდულზე მივარჭვე იმ ჭირიანს. ბარძაყი სააღდგომო კვერცხივით შეკუღებე, დედიჩემის სული ნუ წამიწყდება!

ყველამ ხმამაღლა გადაიხარხარა. იონა სწუხდა: რა სისულელეს უყვება ამ საპატივცემულო სტუმრებსო, და უთხრა:

— კი მაგრამ, ასე ძალით ვის გაუგონია, ოტია, ღვინის ღალევინება? იქნება არ შეეძლო იმ კაცს და უნდა მოგეკლა?

ოტიამ მიუგო:

— მაშინ არ უნდა გამეჯიბრო, ყმაწვილო, ღვინის სმაში. მე რომ დამალევინებ, შენც უნდა დალიო, აბა როგორ გინდა!

ოტიას დაეთანხმნენ გამოცდილ მსმელები ღვინისა — ჩხეიძე და წულუკიძე.

— მე რომ თქვენს ადგილას ვყოფილიყავი, უსათუოდ მოვკლავდი. ღვინის სმაში თქვენ გჯობნიათ, მაგრამ სირბილში დიმიტრი კიკნაძეს და ამას გადაურჩენია! — ოხუნჯობდა ჩხეიძე. მერმე ისევ ალია მოაგონდა და უთხრა:

— კი მაგრამ, მე მახსოვს, ალია მერეც გყავდათ, თქვენს ხელში დაბეოდა კიდეც.

— ჰო, — განაგრძო გაწყვეტილი თხრობა ოტიამ, — ფიდო ცაციანი ჩვენი მოკეთე იყო და ალია იმავე ფასში დამიბრუნა, რაც წულუკიძემ გამოართვა.

— ეს რა მოგსვლია, ბატონო ოტია, იძულებული გამხდარხართ გეყიდნათ საკუთარი ცხენი, — უთხრა ღიმილით ესტატემ.

— ვიყიდე, დედიჩემის სული ნუ წამიწყდება! ვაი, რა ოქროს თუმნიანები ჩავუთვალე იმ ჩემი ცოდვით სავსე ფიდო დალიანს! — სწუხდა ოტია. მსუქან მეცელზე მოქეიფე ჭამა-ხანჯალი გაისწორა. მთიდან მონაბერმა ნიავმა წეწყლეებული წვერ-ულვაში გაუშალა. მოღუნული ცხვირის ნესტრები გაუფართოვდნენ. სქელ კისერზე დარაიის ახალუხის თეთრი საყელო უჭერდა. ღილკილოები შეიხსნა. შუბლიდან წურწურით ჩამოსდიოდა ოფლი. საჩვენებელი თითით იწურავდა და სახეს ბაღდადით იმშრალებდა.

ესტატე მაყაშვილი და პლატონ მოგველაძე განცვიფრებული მისჩერებოდნენ ჩოხაში გამოწყობილ ზემო იმერელ ფეოდალს.

ჭიჭინობელა განუწყვეტლივ ჭიჭინებდა კაკლის ხეზე. ზაფხულის ვარვარა მზით რეტდასხმული.

3

სუფრის გაშლის მოლოდინში მოსაუბრე სტუმრები ფართო და განიერ ტალავარში შევიდნენ. აქედან ჩინებულად სჩანან გურია-აჭარის, რაჭა-ლეჩხუმისა და სვანეთის მთები. ოტიას სახლის უკან ტყით დაფარული, ამწვანებული მთაა აღმართული, იქიდან უბერავდა ეს გრილი ნიავი. სტუმრებმა ხალვათობა იგრძნეს.

— რა–შეედრება სოფელს? ერთი შემოგვხედეთ, რასა ვგავართ ქალაქში მოხარშული ხალხი და მერმე თქვენს თავზე დაიხედეთ. ზედვე გეტყობათ სოფლის ბარაქა, ჯანი და ჰავა, — უთხრა პლატონ მოგველაძემ ოტიას.

ოტიამ „ეს არეული დროება“ დასწყევლა. მოიგონა ნშობლები, „ბედნიერი წარსული“ და სახეზე ნეტარი ღიმილი აღარ შორდებოდა.

ამ დროს ცაცხვის ქვეშ სუფრის გაშლა დაიწყეს. მოურავმა ბეგლარმა კოკები, თოხი, ხის ბარი, ორშიმო მოიტანა და ქვევრს მოხდა დაუწყო. ყველანი გარს შემოეხვივნენ. მოურავი მიწაში დაფლულ პატარა ქვევრს მიადგა. ამ ტალავარში ასი და ორასი ჩაფიანი ქვევრებიც არის. ტკბილის ჩახმის წინ, შემოდგომაზე, ბეგლარი გრძელ კიბეს ჩაიგდებს, ფანარს ჩაიტანს და ასე დაუწყებს ხოლმე ამ ვეება ქვევრს საღრძით ხეხვასა და რეცხას გრძელ ჯოხის წვერზე წაკოჟებული ბალის გამხმარი ჭერჭით — ბალღოჯით, თაგვისარა — ჯაგნარა ბალახით. ბეგლარმა ქვევრის თავზე დაყრილი შავი მიწა თოხით გადაიღო. მერე ხის ნიჩაფი წყალში დაასველა, ზედ ფეხი დააჭირა. ქვევრის თავზე დაგროხებული, სველი, აყალო მიწა რგოლისებურად მოსჭრა, ამოიღო, მრგვალი ფიცარი მოასუფთავა და ქვევრს სარქველი — ორგო აჰხდა. ქვევრი ცოლიკაურით იყო სავსე. იქიდან უცნაური ხმაური ისმოდა. ღვინოს ყურძნის მარცვლები, ჭაჭა და კურკები ედგა

თავზე; ნელა ჩაუშვა ბეგლარმა კუპრისფერი ორშიმო, ყურძნის მარცვლები გასწია და მიწაში ჩაფლულ, ჩაკირულ ქვევრიდან ღვინო ამოიღო. კოკებში გადაიღო. ოტიამ ჩოხის სახელო აიკაპიწა. ღიმილით აიღო ტიკჭორასავით წელში გამოყვანილი კახური ჭიქა, ბეგლარს შიგ ღვინო ჩაასხმევინა. ქარვისფერ ცოლიკაურს გაჰხედა, ჭიქა კახელ თავადს, ესტატე მაყაშვილს მიართვა და, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრს, ჭაშნიკი გაასინჯა. ესტატეს მამა მევენახე იყო და ვექილმაც ღვინის კარგი შეტყობა იცოდა.

— ვაი, საყვარელო, რა ღვინო იცის თქვენმა კახურმა ვაზმა, მისი ძირი არ გახმეს! — უთხრა ოტიამ.

ესტატემ ჭიქა მაღლა ასწია, ანკარა ქარვისფერ ღვინოს გაჰხედა, ჭიქა ტუჩზე მიიდო, ღვინოს გემო გაუსინჯა, გადაჰკრა, თავი სიამით გააქნია და განაცხადა:

— ჩინებული ღვინოა. რეინისა და ბურგუნდიის ღვინოს მაგონებს. ეს უფრო მაგარია, მაგრამ ისე საამოდ, ადვილად და მსუბუქად ისმება, თითქოს ღვინოს კი არა, ეთერსა და ჰაერს სვამო.

ოტიას ეამა და მიუგო:

— ჩვენებური ღვინო კახურ ღვინოსთან — რქაწითელთან და საფერავთან ვერ მივა. კაცმა მართალი უნდა თქვას.

ჩხეიძეს სული მისდიოდა. ბეგლარს ჭიქაში ჩაასხმევინა ღვინო, გადაჰკრა და ისიც ჩაერია საუბარში:

— ღვინოს დაყენება უნდა, ბატონო! თუ კარგად დააყენებ, იმერეთში აი, ხომ ხედავთ, ასეთი დიდებული ღვინო დგება!

დაირა და ჩარირაშა

მასპინძელსა მხიარულსა
ჰყავს სტუმრები საყვარლები...

ხალხური სიმღერა

1

ბაბომ ცაცხვის ქვეშ გაშლილ სუფრაზე სტუმრები მიიპატიჟა. სუფრის თავში პლატონ მოგველაძე დასვეს.

— პლატონი განთქმული თამადაა, დიდებული მოლაპარაკე და ოქროპირი, — გააფრთხილა ადრევე მასპინძელი იონამ.

— მარტო ლაპარაკი რად მინდა, ყმაწვილო, თუ ღვინის სმა არ იცის და არ მასვა! — შენიშნა ოტიამ ღიმილით, თითქოს ღვინო დიდი ხანია არ დაელიოს.

დათა ყიფიანი, სანდრო წულუკიძე, კოწია ჩხეიძე ჩასიჩაშულ ჩახილაღებული ჩოხებით ფეხზე იდგნენ, თავაზიანი ღიმილით უღოცავდნენ პლატონს თამადობას, თითქოს ეხვეწებოდნენ: აბა, შენ იცი, თუ ბევრ ღვინოს დაგვალევინებ, გვალხენ და კარგ დროებას გვატარებინებო. კორნელიმ ნინოს ჩასჩურჩულა: ჰო, რა მსმელები ჩამწკრივდნენ ერთად! პლატონის ხელმარჯვნივ ბაბო, ესტატე, ვარდო და ტერეზა იჯდნენ, ხელმარცხნივ: სტეფანე, ოტია, იონა, დათა და მისი ამქრები; ბოლოში: მოურავი ბეგლარ სანიკიძე და ტერეზას მოჯამაგირე დომენტი ხვედელიძე.

სუფრაზე ნაირ-ნაირი საჭმელი ეწყო: თხელი მჭადები, რომლებსაც წაბლის ფოთლის ძარღვები დამჩნეოდა, თორნის პური, კიტრი, მწვანილი, რძის წვნითა და პიტნით შეზავებული გადაზელილი ყველი, სულგუნი, ჭყინტი ყველი უმაილო — საკრაჭუნებელი, ნადუღი, მხალი, ხაჭაპური, შემწვარი ვარიები ბროწეულის, ისრიმ-მაყვლისა და ნიგვზის წვენში ჩაწყობილი...

ისე წაესივნენ საჭმელს, თითქოს მთავარ კანში შესულ აბრეშუმის დამშეულ ჭიებს ჩელტებზე თუთის ხის შტოები და ფოთლები დაუყარესო. იონამ ყური მიუგდო მოშიებული ხალხის ჭამა-ღეჭვის ხმას.

— ნელა ჰპვეთ, — დაიძახა იონამ, — რამ გაგაჯელათ, მტრის ოჯახში ხომ არა ხართ!

პლატონმა ვერცხლის აზარფეში აიღო წარწერით: „შე უგუნურო, დალიე, ქვეყანა შენი იქნება“! ადგა, შორეულ ქედებს ნაღვლიანად გაჰხედა და დაიწყო:

— გთავაზობთ სასმისს, აწ განსვენებულთა და ნეტარხსენებულთა არჩილ და დარეჯან მდივნების ხსოვნისათვის. მათი მხნეობა და თვისებანი ცნაურდებიან ძეთა და ასულთა მათთა სახით. დარეჯანი ზეპირად იტყოდაო „ვეფხისტყაოსანს“, გამიგონია. ეს უკვდავი ქმნილება უძვირფასესი მზითვი იყო ოდითგანვე ქართველი ქალისა, რათა თაობიდან თაობაში გადასულიყო ქართული სიტყვის ჯადოქრის — გენიოსი შოთას მარჯვენით დაწერილი წიგნი დიდებული. წიგნი საერთო სახარებად ქცეული.

მერმე პლატონმა გვარის გაგრძელებასა და მის უკვდავებაზე ილაპარაკა, არჩილ და დარეჯან მდივნების ისეთ ხოტბა-ქებას მოჰყვა, რომ ოტიამ, ტერეზამ და ბაბომ ტირილი დაიწყეს.

— რა დიდებული მოლაპარაკე ყოფილა ეს კაცი, შენი ჭირიმე! — ამბობდა ოტია და ბაღდადით იწმენდდა ცრემლებს.

განსაკუთრებული სიყვარულით შესცა თამადამ ტერეზას, ვარდოს და ბაბოს სადღეგრძელო. ბაბოს სადღეგრძელოს დროს პლატონი ყანწით ხელში კვლავ ეცნაურად ამეტყველდა. ბაბო კოლხეთის მზეთუნახავ ქალს მეღეას შეადარა.

— მედეამ იცის ტრფობაც და არწივის თვალების ცეცხლი სიშორეც, მისმა ხელმა იცის ალერსი და ვეფხის ტოტების საშინელი ბრჭყალების ჩვენებაც. სიამით სავსე ბაგე შესაძლოა მეორე წუთში მხამით აღსავსე გაპობილ ბროწეულად გეჩვენოს. ორმაგია იგი, ვით ამორძალი პენთესილე, აქილეს დასაღუპავად რომ ჰქონდა აწვდილი ძუძუ.

— ყურში სანთელი ჩაისხი, თორემ უთუოდ მოგაჯადოებს და ცუდად წავა საქმე! — გასძახა იონამ ბაბოს.

მერმე პლატონმა თამარ მეფეს შეადარა დიასახლისი. შეამკო, თავბრუ დაახვია. ნინო კი ისევ წმინდა ნინოს ხატს და ბოტიჩელის მგალობელ ანგელოსებს, უნაზეს და უსპეტაკეს

შროშანივით რომ მოუღერებიათ ყელი და თვისი ფერმკრთალი სახე ცისკენ აუწვდიათო.

გაისმა „მრავალჟამიერი“, „მასპინძელსა მხიარულსა“, „ხელხვავი“. დათა ყიფიანს, სანდრო წულუკიძეს, კოწია ჩხეიძესა და იონას ჩინებული ხმები ჰქონდათ. მაგრამ ოტიას პირველი მაინც სხვა იყო: ზარივით წკრიალა, მაღალი და უჩვეულო. პლატონი აღენთო, ყანწი აიღო და ოტია ადღეგრძელა:

— შეხედეთ ოტიას, მის წვერ-ულვაშს, მის გაფანჩულ წარბებიდან მაცქერალ მოცისფრო თვალებს, მთიდან მოფრენილი არწივის ჭროღა თვალებსა და მოღუნულ ცხვირს! არა და არა! — გადაიქნია ისტერიკულად თავი უკვე შეზარხოშებულმა და აგზნებულმა პლატონმა, — ქართველი ხალხი არ გადაშენდება! არ გადაშენდება მანამ, სანამ არსებობენ ოტიას მსგავსი ქართველები!

— აშენდა მაშინ საქართველო, — ჩაილაპარაკა იონამ. პლატონი კი გაიძახოდა:

— არ გადაშენდება, სანამ იარსებებს პური, ვენახი, ქვევრებში ღვინო, ორშიმო და ათასწლოვანი ჩვენი სიმღერები და ადათები! — პლატონმა ყანწი დასცალა და ოტია მდიანი გადაკოცნა.

— ოქროპირია ჩვენი პლატონი, ოქროპირი! — დაიძახა ესტატემ.

— რა ვიცი, ყმაწვილო, ძალიან კი შემაქო ეს მოხუცი კაცი! — გაიცინა ოტიამ.

— რა ვუყოთ, რომ მოხუცდი, მაინც ლომი ხარ, ოტია, ბებერი ლომი, — მიაძახა ცოლისძმამ დათა ყიფიანმა.

— ბებერი ლომი ზედ გამოჭრილი სახელია ოტიაზე! — ყვიროდა კოწია ჩხეიძე.

— არა ვარ, ყმაწვილო, ბებერი! იმე, ამისთანა გინახავს! შენთან შედარებით, მართლა ლომი და ბაყბაყდევი ვარ! — გასძახა ოტიამ ჩიხაში ფიცარივით გახვეულ, წარბაძგიძულ კაუანდარა კოწიას.

— დიახაც, არა ხართ მოხუცი, ბატონო ოტია. ჩვენთან შედარებით თქვენ მართლაც ჯერ კიდევ ჭაბუკი ხართ. ჩვენ ორ თაობას შორის ვართ გაჩხერილი და დაღალატიანებულნი: არც ძველს ვწევიეართ და არც ახალს. მიჯნა კრწანისის ტრა-

გედის მერმე იქნა გავლებული! — ამბობდა პლატონ მოგველაძე.

ისევ აღფრთოვანებით შესძახეს ოტიას: ლომი ხარ, ოტია ბებერი ლომი! ოტიამ ახლა ძალი მოიკატუნა:

— რაღა ლომი ვარ, ყმაწვილო, ხომ ხედავთ, ბუდიდან ამოგდებას და სახლ-კარის დაქცევას მიპირებენ...

დათამ გაამხნევა:

— ნუ გეშინია, ოტია, აქ არა ვარ? არ გავახარებ შენს მტრებს!

2

სტუმრებს ღვინო მოეკიდათ. იონამ ყანწი დასცალა.

— ოტიას ცოლიკაური ისეთი მაგარია, რომ უკვე კეტი შემომკრა თავში! — აღიარა მან. ყანწი კორნელის გადაუგდო და გასძახა: — დალიე. გმირი და მებრძოლი ვაროო, რომ იძახი! დალიე, სიძესავით რომ წამომჯდარხარ მანდ ნინოს გვერდით!

ოტიას მოსწონდა, სიამოვნებდა. როდესაც სტუმრები მის სუფრაზე ღვინის სმას გააჩაღებდნენ. იონას კისერში წაავლო ხელი, მისწია და ტუჩებში აკოცა. იონა აიმრიზა:

— მეზარება წვერულვაშიანი და ბებერი კაცის კოცნა!

ოტიამ გაიცინა:

— შენმა ეზამ, შენ დიდი ჭოჭორა ბიჭი მყავხარ!

ტერეზამ დაუშალა, მაგრამ იონამ მაინც დაალევინა ღვინო კორნელის. ოტია სიყვარულით სავსე თვალებით მისჩერებოდა ახლა კორნელის:

— დალიე, ჩემო საყვარელო დისწულო! ნამდვილი ყურძნის წვენია, კი არ გაწყენს, დედის რძესავით შეგერგება, იმ დედრჩემის სული ნუ წამიწყდება.

მერმე ნინოს ჭალახელა. ნოამაინცა თავისი ჰაბუკობა:

— იცეკვე შენ იცოცხლე, ჩემო კორნელი, რამდენი ბე შენს ხნობაზე და მერეც აქ, ქუთაისში...და თბილის-ქალაქში ღვინო მისვამს და დრო მიტარებია!

დათამ შენიშნა:

— მე შენ გეტყვი, ადვილ-მამული და ქონება არ გიწყობს ხელს?!

ოტიამ დისწულის, კორნელის და ცოლისძმის, დათას, გასაგონად დაიწყო:

— ჩავიდოდით, ყმაწვილო, თბილისში და იქაურ თავადებთან ერთად ვქეიფობდით ორთაჭალის ბაღებში! ვქეიფობდით გემოზე და მერე დავერეოდით გოგოებს!

ნინომ თავი ჩაჰკიდა, ბაბომ კი გესლიანად შენიშნა ქმარს:

— ორთაჭალის გოგოებს რომ დაერეოდი, ჩემო ოტია, იმიტომაც დაგჭირდა მერე აქიმობა, კისლავოდსკი და ათასი დავიდარაბა.

ოტიამ თუთუნის გაწყობა დაიწყო. ბაბოს უაზროდ მიაშტერდა, მერმე გაიღიმა და ნინოს გადახედა, თითქოს ახლა იგრძნო მეუღლის ნათქვამის უხერხულობაო.

— დავერეოდით გოგოებს. მერე რა? ვარშიყობდით, ბოშო, სხვას კი არაფერს ვშობოდით და ვაკეთებდით, — გულუბრყვილოდ უპასუხა ოტიამ ცოლს. თუთუნის ქაღალდს ენის წვერი გაუსვა და ბაბოს შეეკითხა:

— ეარშიყება, აბა, რას უშობა ახლა კორნელი ამ გოგოს?

ბაბოს გულზე შემოეყარა, იცოდა ოტიას ამბავი, სიმთვრალეში გაჯიუტება და ხანდახან გალენჩებაც რომ იცოდა. თვალით ანიშნა, სისულელეს ნუ როშავო. ოტიამ პირიქით უყვირა:

— რა გინდა, ბოშო, რას ჩამაცივდი! ლაპარაკს მიკრძალავ თუ?

ბაბო უხერხული მდგომარეობიდან ვარდომ გამოიყვანა. ოტიას ჰკითხა:

— ბატონო ოტია, კისლავოდსკში ბრძანდებოდით?

— იცოცხლეთ, ჩემო ბატონო, მე კისლავოდსკში დრო ვატარებია, — ნეტარი ღიმილით მიუგო ოტიამ და მოჰყვა: — ერთხელ შავი ჩოხა ჩავიცვი და ძმაკაცებს: გიორგი ერისთავს, პაპუნა წერეთელს, სპირიდონ მიქელაძეს, აქვსენტი ფალავას კავუარე და ჩასირმული და იარაღასხმული პარკში შევედით. პავილიონში კაზაკების პოლკის ორკესტრი უკრავდა. ქალები და კაცები მინერალურ წყალს სვამდნენ, ნაყინს შეექცეოდნენ. რუსის ქალებს, რაც მართალი მართალია, ძალიან მოვწონდით.

ახლა მთელი სუფრა უგდებდა ყურს ოტიას.

— ერთი თავადიშვილის ქალი მომწონდა: ტატიანა კონს-

ტანტინოვნა, გვარი დამავიწყდა,— განაგრძო ოტიამ, — შესანიშნავი ქალი იყო. კავალრები ბუზივით ესეოდნენ. ბიჭის ხელით მშვენიერი თაიგული გავუგზავნე, თუმცა ფული წინა ღამით წავაგე კარტში. ტატიანა კონსტანტინოვნამ დამიწახა, გამიცინა და თავი დამიკრა.

„— Какие прелестные грузинские князья“[1], — უთხრა ქალმა გვერდში მჯდომ, ჩასუქებულ ინჟინერს. ინჟინერი ტატიანა კონსტანტინოვნას ეარშიყებოდა. გაბრაზდა, რადგან დავჩრდილეთ. ამიტომ ჩვენს გასაგონად უპასუხა: „Если бы только вы знали, Татьяна Константиновна, какие они все глупые!“[2].

— სისხლი ამივარდა, ყმაწვილო, თავში და შევსძახე: „Инженер, подите сюда!“[3] აკანკალებული და ზეზეულად გათავებული ინჟინერი წამოდგა და შორიახლო გამიჩერდა. მივვარდი, ხანჯალი ვიშიშვლე და დავაღრიე: „Станьте сейчас же на колени, а то зарежу!“[4] გავაფრთხილე, — ამბობდა ოტია.

პლატონს მოეწონა ოტიას მიერ კისლავოდსკში ჩადენილი „გმირობა“ და, უფრო კარგად რომ მოესმინა მისი ხალბობი, წამოდგა და ისე დაუგდო ყური.

ოტია განაგრძობდა:

— წახდა ყაზახი, იკადრა და დაიჩოქა, სიმინდის ფოჩივით გადაგრეხილ ქერა ულვაშში წავატანე ხელი და საბაძთებელივით გაქანქალებული ხანჯლით ცალი ულვაში ძირში მოვთიბე, მთლად ერთიანად მოვპარსე, დედიჩემის სული ნუ წამიწყდება! მერე ქალთან მივედი, ინჟინრის ულვაში წინ მაგიდაზე დავუგდე და ვეთხარი: „Татьяна Константиновна, примите от меня в подарок усы вашего недостойного кавалера!“[5]. — ქალმა გაიღიმა და მიპასუხა: „Благодарью вас, князь-ю“[6].

---

[1] რა მშვენიერი არიან ქართველი თავადები.

[2] ნეტავ იცოდეთ, ტატიანა კონსტანტინოვნა, როგორი სულელები არიან ყველა ისინი.

[3] ინჟინერო, აქ მოდით!

[4] ახლავე დაიჩოქეთ და ბოდიში მოიხადეთ, თორემ დაგკლავთ!

[5] ტატიანა კონსტანტინოვნა, მიიღეთ ჩემგან საჩუქრად ულვაში თქვენი უღირსი კავალრისა.

[6] ვმადლობო, თავადო.

საშინელი სიცილ-ხარხარი ატყდა სუფრაზე, პლატონი იძახდა:

— აგაშენა ღმერთმა, ბატონო ოტია, ამ დოფლაპია და უზრდელ ინჟინრისათვის ულვაში რომ მოგიპარსიათ, თქვენი მარჯვენა იკურთხოს!

— თუ ღირდა ის ქალი ამდენ დავიდარაბად? — ჰკითხა იონამ ოტიას.

— ღირდა და მეტი არა! — მიუგო მან. — ქალებში შენი სიწუწკე რომ ვიცი, ალბათ, ჭკუას დაკარგავდი. ო, რა ლამაზი ქალი იყო. ახლაც სანუკვად მაქვს, ყმაწვილო, გულში ჩარჩენილი! — ოტიამ მკერდი მუშტით შეინგრია.

— ბაბოზე ლამაზი მაინც არ იქნებოდა, — გაეხუმრა იონა!

— ოტიას მე არ მოვწონვარ, — შენიშნა სიცილით ბაბომ და პლატონს გადახედა.

— ისეთი კაცი ჯერ არ შობილა, თქვენ რომ არ მოსწონდეთ, ქალბატონო ბაბო! თქვენი დაირა და ცეკვა გვაღირსეთ, ისე ვერ წავალთ ზედაზნიდან! — უთხრა პლატონმა.

ბეგლარის თვალმა იელვა და პლატონზე ბოროტად შეჩერდა. იგი რატომღაც ღელავდა ამ ღამით. სუფრიდან ხმირად დგებოდა.

3

— დაირა, დაირა! — გაიძახოდნენ სტუმრები.

ბეგლარი სასადილო ოთახში შევიდა. კედლიდან დაირა ჩამოიღო და სამზადში ცეცხლზე გაახურა. ესტატე ისევ რუსი ინჟინრის ამბავს იგონებდა:

— რა დიდებული ხმარება გცოდნიათ ხანჯლისა, ბატონო ოტია!

— რომ გითხრათ, ჩემო ბატონო, არ დაიჯერებთ და რა გამოვიდა? — დაიწყო ოტიამ, — მამიჩემის არჩილისეული ხანჯლით ლეკურიანი კაცი გამიფუჭებია. ქვევიდან ავკრავდი, ლეკურს ხელიდან გავაგდებინებდი ან ვადაში გადავუტეხდი. ო, რა ფოლადია! — თქვა ოტიამ, ხანჯალი ამოიღო, სტუმრებს უჩვენა და განავრძო: — ერთხელ ქონგურაში მარიობა დღეს ჩხუბი ამიტეხეს ქალის თაობაზე. და მთელი სოფელი დამესია! ყვირილამდის მსდიეს. რიყის ქვები კოხვით დამაყარეს, მაგ-

რამ ვიშიშვლე ეს ჩემი მამის არჩილისეული ხანჯალი და ქვებს შევაგებე. ყველა ხანჯლის პირზე დავირტყი და ავიცდინე, დავირტყი და ავიცდინე, იმ მამიჩემის სული ნუ წამიწყდება!

კოწია ჩხეიძემ ეშმაკურად გაიღიმა და ოტიას ჰკითხა:

— შენი სახელის მოზიარე ოტია ჩიქოვანი თუ გაგიგონია?

— ოტია ჩიქოვანი როგორ არ გამიგონია, შე კაცო! — მიუგო ოტიამ.

— ჰოდა, — დაიწყო კოწია ჩხეიძემ, — იმ ოტია ჩიქოვანის ძმა, ალექსი ჩიქოვანი, ჩხუბში მოუკლავს ყარამან ხიდირბეგიშვილს. ოტიამ ათი წელიწადი ეძია ძმის მკვლელი, სისხლის აღება უნდოდა, და ერთ დღეს ქუთაისში შეეფეთა თეთრ ხიდზე. ოტია ჩიქოვანმა სასწაული რამე ხმარება იცოდა ლეკურის. ვერავინ ვერ მოასწრო შეხედვა. თვალის დახამხამებაზე სწრაფად იშიშვლა ლეკური, მოუქნია და სწყვიტა ყარამან ხიდირბეგიშვილს კისერში. ისე სუფთად გაატარა ლეკური, რომ ტანზე შერჩენილმა ყარამან ხიდირბეგიშვილის თავმა დაძახება მოასწრო: რას მერჩოდი, ოტიაო? მერე დაირწა და თეთრი ხიდიდან რიონში გადავარდა, — დაასრულა ნაამბობი კოწია ჩხეიძემ.

— ეხ შეუძლებელია!

— არა, შესაძლებელია!

შეიქნა დავა და ყვირილი სუფრაზე. კამათობდნენ: შესძლებდა და მოასწრებდა თუ არა ყარამან ხიდირბეგიშვილის მოკვეთილი თავი, ტანიდან მოშორების წინ დაეძახა ოტია ჩიქოვანისთვის: რას მერჩოდი, ოტიაო?

— ცოცხალ ორგანიზმში რა წამს ტვინისათვის სისხლის მიწოდებას შეაჩერებთ, მაშინვე იწყება სიკვდილიც! — განაცხადა სტეფანემ.

— ანემია და არა სიკვდილი, — გაუსწორა ესტატემ, — სიკვდილი რამდენიმე წამის შემდეგ არის შესაძლებელი და თუ ამ ხნის განმავლობაში ტვინს სისხლს მივაწოდებთ, ადამიანი ისევ გაცოცხლდება. სისხლის კვების შეწყვეტა არცთუ ისე სწრაფად იწვევს ნერვიული სისტემის დაღუპვას. ამ დებულების დასამტკიცებლად მეცნიერმა ბრუნო-სეკარმა ძაღლს თავი მოჰკვეთა, მოკვეთილ თავში ხელოვნურად სისხლის მი-

მოქცევის აღდგენის მერმე ძაღლი თვალს მიაპყრობდა წოლე მას, ვინც მის სახელს იძახდა.

— შესაძლოა, მაგრამ ეს მაგალითი ამ შემთხვევაში არ გამოდგება, — შეედავა სტეფანე, — რადგან ხიდირბეგიშვილის მოკვეთილ თავში სისხლის მიმოქცევა არავის არ აღუდგენია. ჩანს, ხიდირბეგიშვილი მაშინვე მომკვდარა და, მაშასადამე, თვალის მოძრაობას და ლაპარაკსაც ვერ შესძლებდა.

— მას თვალის დახამხამების უმალ მოჰკვეთეს თავიო. ეს იყო წამი წამწამისა მსწრობელი. ამ ხნის განმავლობაში არამცთუ სიკვდილი, ანემიაც არ მოხდებოდა. იგი მოასწრებდა დაძახებას, — ურჩობდა პლატონი.

— მოასწრებდა, ყმაწვილო, უეჭველად მოასწრებდა! — გაიძახოდა ოტია.

კოწია ჩხეიძე გულში ფიქრობდა: ისე ღმერთი თქვენ გაშველითო, მაგრამ მოკამათეთა გასაგონად კი ადასტურებდა:

— კი, ბატონო, ნამდვილად მოასწრო.

— ხიდირბეგიშვილის მაგალითი ძალიან ჰგავს „ათას ერთ ღამის“ ზღაპარს, სადაც მოკლული ბრძენის თავი უპასუხებს ხალიფს შეკითხვებზე, — ღიმილით შენიშნა სტეფანემ კოწიას.

— ხმლის ხმარებაც ასეთი უნდა! — განაცხადა ესტატემ.

— ხმალი განა ყველას უნდა ერტყას! ხმლისა და სატევრის ხმარებას თავისი წესები აქვს. ბევრს ალა-ალა ჰგონია. საქართველოში ხმლისა და სატევრის გარშემო მთელი რიტუალებია შექმნილი. მე ამის გამო გამოკვლევას ვწერ, — პირუგო პლატონმა.

4

ამ დროს ბეგლარმა გახურებული დაირა მოიტანა და ბაბოს გადასცა.

ყველა სმენად იქცა:

— ბატონო პლატონ, თქვენ სადღეგრძელო მიირთვით და მე მის შემდეგ დავუკრავ. გარდა ამისა, ერთის პირობით: თუ თქვენც თქვენს ნაწარმოებებს წაიკითხავთ. — უთხრა ბაბომ.

— გთხოვთ, ბატონო პლატონ, გთხოვთ! — გაისმა სუფრაზე ძახილი.

— კეთილი, — თქვა პლატონმა, წამოდგა, აზარფეშა აიღო და დაიწყო: — მეგობრებო, ნება მიბოძეთ შევსვა სადღეგრძელო იშვიათი და უცნაური ადამიანისა. ეს ამ კუთხის მოამაგე, სულით მდიდარი, ხალხოსანი იონა გახლავთ. რაც მის გამო მიფიქრია, ახლა ლექსად მოგახსენებთ.

მზე აჯამეთის ტყის იქით ჩასულიყო. ალისფერი ცის დასავალი მსახიობივით დაძაბულ პლატონის სახეს, მის დიდრონსა და შავ თვალებს აშუქებდა. თავჩაღუნული იონა ღრმად სუნთქავდა. უხაროდა: ასეთი „დიდი ადამიანი და პოეტი“ უძღვნიდა ლექსს. მერმე თავი ასწია და პლატონს შეხედა, მოეჩვენა, თითქოს. პლატონის თვალები შუქს ისვრიან და ეს შუქი აჯამეთის ტყემდე და ალისფერ ცის დასავლამდე აღწევსო. ცოტა ხნის დუმილის მერმე პლატონმა დაიწყო:

Sic transit Gloria Mundi

ღიდი შუადღის სიცხისგან მთვრალი
ხანისწყლის გრიალს ეუსმენდე მინდა.
ვთქვი და თბაფეხა ღმერთს პოეტარ თვალი, —
ხმითხმით მთაში გაეშორდა ჩიტასს.

მე გავიფიქრე: ღირდა თუ არა
სოფლის მიღება, სიკვდილის გაღმა, —
და მყის შენს თვალებს გადეფარა
შეყარდენილით ღამიღმა მარდად.

შენს ორმაგ სიტყვას, სევსეს პანტელეტით,
ფარ-ხმეველთა ბრბო ვერ გაიგებს.
გესლს და დაცინვას, მსგავსად ჰამლეტის,
ვერვინ მიხვდება, დაითარიღებს.

გინდა წამებულს და ღაქენათევს
ერის მოძულეს შუბი მიასო
და მყის დაივიწყ შენს გულს ნადებს,
როგორც კოლხელი ქალი იაზონს.

სტუმრებმა ტაშისცემით გააყრუეს ოტიას ეზო. იონა წამოდგა, პლატონთან მივიდა, თვალცრემლიანმა გადაკოცნა. „რა პროვინციელი, რა გულუბრყვილო და მიამიტი კაცია ეს

ჩვენი მოხუცი იონა! ეს აბდაუბდა, ოჩოფეხებზე შემდგარი ლექსი რამ მოაწონა?“ — უჩურჩულა კორნელიმ ხიხოს.

ამ დროს დაიგრიალა ბაბოს დაირამაც, თითქოს ათასი მხედარი, მთელი ლაშქარი ჭენებითა და ყიჟინით ოტიას ეზოში შემოიჭრაო. დაირის გრიალი — „ტუში“ მისალმებას გამოხატავდა. თითქო ბრძოლის ველიდან დაბრუნებულ, გამარჯვებულ მხედართმთავარს და გმირს ეგებებიანო.

ბაბოს წარბები აეზიდა. მოღუნული ცხვირის ნესტოები არაბულ ცხენსავით გაჰბეროდნენ. ეყვნებით მორთულ ფართო დაირას ძალზე შეენოდა ჯიღისოდენა შუქიანი თვალებით დამშვენებული ეშხიანი ქალის მხნეობით სავსე ქართული სახე, მის ზარისებრ საყურის თვალ-მარგალიტებს ლამპის შუქისაგან ცეცხლი ეკიდებოდა და ციცინათელასავით ციმციმებდნენ. ლამაზი ხელით და მკლავით შემოკლებული დაირა ქალს განზე ჰქონდა გაზიდული. საკვირველი იყო, როგორ გამოსცემდნენ შხვართი თითები ესოდენ მძლავრსა და უამრავ ხმას: „დუმ-დარა, დუმ-დარა“. — ბაბო იონასათვის მისასალმებელ ტუშს უკრავდა დაირაზე.

სუფრა აიწია ქეიფით. ხალხი აილეწა. პლატონმა შესძახა:

— აუ. დაირა, დაირა, დარიალიდან გასულმა ლაშქარმა დარუბანდი დაარბია!

ბაბომ მისალმება შეწყვიტა და ლეკურზე გადავიდა. ალტაცებული პლატონი წამოხტა, წრეს დაუარა, ფეხები გაუსვა და ბაბოს წინ შეჩერდა. მაღალი ქალი წამოიჭრა; დაირა მაღლა აიტაცა, წელში გაიზნიქა და ტანის ლამაზი მიმოტანით აგრიალებდა ახლა მაღლა აზიდულ დაირას, თანაც წარმტაცად ცეკვავდა. პლატონ მოგველაძე აენთო, საოცარი სისწრაფით უსვამდა ფეხს, ფეხს ფეხზე აჯვარებდა, ერთურთს აკვანტებდა, რიტმს ურევდა. ყველაფერს ჰგავდა მისი ცეკვა: ველური ტომების სიმბოლურ როკვას კოცონის გარშემო, ექსტაზში მოსულ ვაკხების შაბაშს — ყველაფერს, ხოლო ქართულ ცეკვას კი — არა. მიუხედავად ამისა, ცეკვის დასრულებისას პლატონი თავის ადგილზე მივიდა, სუფრას მედიდურად გადახედა და გასძახა:

— ადექით, ყველამ იცეკვეთ! ცრუობს ის ქართველი, ვინც იძახის, ცეკვა არ ვიცით! არც ერთი ტომის ადამიანში

არ ცნაურდება ისე ძლიერად დიონისური თავდავიწყება, ექსტაზი, ვაკხური გზნება და გაჭანება, როგორც ქართველში!

მერმე „დიდი მამულიშვილის“, კახელი თავადის და „ბრძენი პოლიტიკოსის“, ზემო იმერეთის სტუმრის, ვექილ ესტატე მაყაშვილის სადღეგრძელო შეისვა. ისევ იგრიალა დაირამ. ისევ დაირხა ლეკური. ახლა ბაბოს ძმა, დათა ყიფიანი გამოვიდა მინდორზე ლამპებით განათებულ ცაცხვის ქვეშ. იგი მალალი, მწითური და მხარბეჭიანი კაცი იყო. წაბლისფერი ულვაშები შეკრეჭილი ჰქონდა, წვერი გაპარსული. არწივის ფრთებივით გაშალა ჩოხის კალთები. გაფრინდა. ტრიალი დაიწყო და მერმე ბაბოს წინაშე დაერჩო, თითქოს არჩეულ მსხვერპლს დაეცა ცდანო. ბაბომ ისევ აიტაცა დაირა, ვაჟს გაექცა, გნოლივით გაგოგმანდა. დათა მიჰყვა, თავი დაუარა, ქალი უკან გამობრუნდა შემკრთალი სახით. ასე რამდენჯერმე დაედევნა დათა. მერმე განზე გაექცა, ჩოხის კალთები და სახელო აიკეცა, აიკაპიწა და შორიდან აყურებინა ტანის ლამაზ როკვას და რხევას. ფეხთა სიმარდეს, ვაჟკაცურ ლაღობას, თითქო არწივი ცაში იროაოს აკეთებსო, თავს აწონებს და ხიბლავსო. მერმე ისევ გაეშურა ქალისაკენ. დაიმორჩილა იგი და შეხმატკბილებულნი ახლა ურთიერთს უღიმოდნენ და ისე წარმტაცად ცეკვავდნენ, რომ სუფრაზე ერთსულოვანი და დაუსრულებელი ტაში გაისმა. პლატონისა და მაყაშვილთა აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა.

5

ალქინძ-ძმარში ჩაწყობილი კალმახი მოიტანეს, ვახუშტის მიერ თავის გეოგრაფიაში მოხსენებული მდინარის სახელგანთქმული კალმახი. პლატონმა კალმახი შეაქო. ოტიას თვალები გაუბრწყინდა, პატარა თევზი შეარჩია, ხელი წაავლო ბოლოში და თეთრ ხახაში გადაუძახა.

ახლა პლატონმა დამსჯელი რახმან უფროსის, ბაბოს ძმის, დათა ყიფიანის საღეგრძელო წამოიწყო:

ესტატე მაყაშვილმა თქვა:

— გისურვებთ გამარჯვებას საქართველოს მტრებთან ბრძოლაში, მტრებთან, რომელნიც აჯანყებენ გლეხობის ჩამორჩენილ და შეუგნებელ ნაწილს თავადაზნაურთა, წარჩი-

ნებულთა, ინტელიგენციის, ჩვენი ქვეყნის „სასიცოცხლო და წამყვანი ძალების“ წინააღმდეგ.

იონამ შენიშნა:

— ფეოდალები, მემამულეები, თავად-აზნაურობა და მათი წრიდან გამოსული ინტელიგენტები ვერ ამოსწურავენ ქართველი ხალხის ცნებას. მშრომელი ხალხი, მუშები და გლეხები, საქართველოს მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეადგენენ. ყური ვუგდოთ მათაც, რა სურთ მათ და რა აწუხებთ? — მოურავი ბეგლარ სანიკიძე და ტერეზას მოჯამაგირე დომენტი ხვედელიძე სმენად იქცნენ. დომენტის ჰოეწონა იონას ნათქვამი, კინაღამ არ დაიძახა: მართალიაო.

იონას სიტყვებმა სუფრა აშალა. ოტია მთვრალი იყო და ცხარობდა:

— რა სურს გლეხებს, შე ჩერჩეტო, ამდენ ხანს ვერ შეიტყვე? რა სურს და ჩვენი სიკვდილი, სახლ-კარის დაქცევა; ადგილ-მამულის წართმევა. მიდი და უგდე ყური! მიდი და მიემხრე მათ! შენ, ჩემო ძმაო, შენი სისულელით მამაპაპისეულ ადგილ-მამულზე უარი განაცხადე, არაფერი არ ჰოგეძევა და ჩვენ რას დაგვეძებ.

— რას ილანძღები, ოტია? — უყვირა იონამ, — ჩერჩეტიცა ხარ და კიდევ მეტიც! გაიგე, რომ გლეხებს თქვენი, მემამულეების ზედმეტი მიწები უნდათ მხოლოდ და ადამიანური ცხოვრება.

— სად მაქვს მე, შე უცხვირპირო, ზედმეტი მიწები? — იწყინა ოტიამ, — მიწა და მამული შენ ხომ არ მოგიცია ჭეშთვის, რომ მართმევ?! მიწა მამაჩემმა შრომით და ჯაფით შეიძინა. მერმე მე ვუმატე და ვუმატე. სხვა ასე თქვენსავით რომ ქეიფობდა და ადგილ-მამულს ყიდდა, მე მაშინ მიწაში ოფლს ვაქცევდი, ვჯახირობდი, ფულს ვაგროვებდი და ადგილ-მამულს ვყიდულობდი.

— თავს ნუ იკატუნებ, ოტია. ასეთ აშკარა სიცრუეს შენ ვინ დაგიჯერებს? შენი შრომა და ჯაფა კაცს არ უნახავს. სახალისოდ თუ გასხლავდი და შეყელავდი ხანდახან ვაზს!. — შენიშნა იონამ. შეზარხოშებულმა გლეხმა, დომენტი ხვედელიძემ, ახლა ვეღარ მოითმინა და წამოიძახა:

— მართალია... შენი შრომა და ჯაფა რა სახსენებელია, ოტია!

— შე კაცო, — უყვირა ბაბომ ოტიას, — ჯამათისთვის და ჩხუბისთვის კი არ ბოსულა კარისმერეთიდან ზედაზენში ეს დიდებული საზოგადოება!

ბაბოს მხარი დაუჭირა მისმა ძმამ დათამ და კოწია ჩხეიძემ.

თამადამ კოწიას, სანდროსი და კორნელის სადღეგრძელი შესვა. რჩებოდა მხოლოდ ბეგლარის, დომენტისა და კიდევ რამდენიმე კაცის სადღეგრძელო.

ამ დროს ისევ მოიტანეს გახურებული დაირა. ბაბომ ჰაერში შეაგდო და შეაჟღარუნა, ჯერ მაგრად შემოჰკრა, დააგრიალა, მერმე სახეზე აიფარა და წკიპურტის ცემით დოლივით ჩაარაკრაკა. შეანელა. უჩუმრად დაუწყო დაირას ხანგრძლივ და დაჟინებით წკიპურტის ცემა, თითქო ცაცხვის ფოთლებსა და ტოტებზე წვიმის დიდრონი წვეთები სცვივაო, უფრო და უფრო ამძლავრა წკიპურტი ბაბომ და ბოლოს ისე დააგუგუნა, თითქოს ცაცხვს, კაკალს, მუხას, აჯამეთის ტყეს, მთასა და ოტიას სახლის რკინით გადაჭედილ სახურავს ხოშკაკალმა გადაუარაო. ოდნავ მიყუჩების მერმე ხმა კვლავ მომძლავრდა, აქარიშხლდა. დაირა ისევ მაღლა აილეწა ჰაერში, თითქო მისი ხმებით მინდორ-ველი, მთა და ბარი, მთელი ქვეყანა ცათამდე აღივსოო. გეგონებოდათ, გახურებული დაირის გრიალი ცის გუმბათს ჩამოანგრევსო. მერმე დაირის ხმა ციდან დაეშვა, მიწელდა, მიწას განერთხო, სადაც შორს, ხეებუვში ჩაწვა და იქ მიიძინა.

ეს მთელი სიმფონია იყო. სტუმრები გაოცებულნი დარჩნენ.

— ვერ წარმომედგინა, დაირას თუ ასეთი ხმების გამოცემა შეეძლო. დაირაზე თუ ასეთი ვირტუოზული დაკვრა შეიძლებოდა! შესანიშნავი იყო! — უთხრა აღტაცებულმა ნინომ.

— მოგეწონა, გენაცვალე? დაირა რა არის, ჩემო ნინო! აი, კარისმერეთში ჩამოვალ და შენ დაკვრას მოვისმენ როიალზე, — უპასუხა ბაბომ.

პლატონი წამოხტა, ბაბოს ხელები დაუკოცნა და ექსპრომტით მიმართა:

დამისხით ისევ ოტიის ღვინო,
და გაახურეთ ბაბო, დარა,
დღეს ზედაზენში ესურს მოვილხენო
ძველი ქართველი კაცისნაირად.

ექსპრომტი ტაშით დააჯილდოეს. ბაბო ნეტარებისაგან კისკისებდა, განსაკუთრებით დათა ყიფიანს მოეწონა ექსპრომტი. მოეწონა თვით პლატონიც.

6

თამადამ განმეორებით დალია ბაბოს სადღეგრძელო. სკამი ახლოს მისწია ბაბოსკენ, ქათინაურებს ჩასჩურჩულებდა. ბეგლარი აიმრიზა, ხოლო ოტია გახალისდა. გვერდზე კოწია ჩხეიძე მოისვა და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. კოწიამ გაიღიმა და ტუჩები მელასებრ აიცმაცურა. ხარაბუზას მსგავსი გრძელი ულვაშები გაისწორა. მარღი თვალები სისხლივით გასწითლებოდა. ოტიამ აბრეშუმიკით ნაბი, ჭაღარა წვერი ხელში დაიკავა, კოწიას მუხლი ჰკრა, ჭროღა თვალები შეანათა და უეცრად ენის კლიტემდე გალებული ხახით მიაკივლა:

— ბე... ე... ე... ბი... ა::: ა::: ა..!

ეს იყო შეძახილი, საკვირველი მიმართვა. პლატონმა და ყველამ ნათლად დაინახეს კალმახით გამძღარი მოხუცის ენა, თევზის ნალექით და თეთრი ყლარტით დაფარული. გაზნექილი ენა ისე ედო ოტიას ხახაში და ისე უცახცახებდა, თითქო ბულბული უსტვენსო, ხოლო თვალები ნეტარებისაგან გაენაბა. ყავარივით გათხელებული და კაფანდარა კაცი, კოწია ჩხეიძე, მოინუსხა, დაიგრიხა, დაიმანჭა, წარბები ეშმაკივით აძგიბა, ერთგული ძაღლივით მიეტმასნა ოტიას და ახლა ორივემ ხმადაბალი ღიღინით დაიწყეს:

— ჩა... რიი... რა... მა! — თავი თავზე მიედოთ. მათ იონას და წულუკიძის ბანი მისდევდათ. ყოველ თქმას ოტია და კოწია თავისებური იერით, სახის გამომეტყველებით ამშობდნენ, რომელშიც ოხუნჯობა, დაცინვა ისმოდა:

ოთხმოცი წლის ბებია,
რად არ გაეხოვდებაო?

დაცინვა ძლიერდებოდა:

ჩიხტიკოპი დაიხურე,
შენაც დაგშვენდებაო!

ოტიას და კოწიას ღიმილი არ მოშორებიათ, მაგრამ მალე სერიოზულობაც დაეტყოთ სახეზე. თითქო მომღერალნი დარწმუნდნენ, ჩიხტიკოპით დამშვენებული ბებია მათ წინაშე დგასო და შემდეგი ფრაზა: — ჩარირამა, ჩემო ბებია, — ოტიამ და კოწიამ ტანის რხევით წარმოსთქვეს. წარბაზიდულნი უცქერდნენ და ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ოხუნჯობაში. ბებიას ფერუმარილის წასმას და გათხოვებას ურჩევდნენ. ახლა ოტიამ ამოიკვნესა:

ჩემო მკვლელო, ჩემო მწველო,
ჩემო ახლო მეზობელო.

მერმე თვალები ღიმილით განაბა. სამი თითი, პირჯვრის წერის დროს რომ იციან, ისე შეაკავშირა, ტუჩებთან საკოცნელად მიიტანა, თითქოს არა ჰქონდა გზა ხსნილი ოთხმოცი წლის ბებიას სიყვარულით დამწვარ-დადაგულს, და ბოლოს ისევ ამოიოხრა:

უი, შენ რომ ცეცხლი წამიკიდე...

სიმღერა დასრულდა, ოტიამ ვადაიბარხარა.

ასეთი არტისტული შესრულება ამ საოხუნჯო ხალხურ სიმღერისა არასოდეს არ გაუგონია პლატონს.

— ჯერ კიდევ დიდებულად ჟღერს თქვენი პირველი, — უთხრა მან ოტიას.

— ლომი ხარ, ოტია, ბებერი ლომი! — შესძახა ისევ დათა ყიფიანმა.

— რამ დამაბერა, ყმაწვილო? გული მე არ მტკივა და ღვიძლი. კუჭი სად მაბია, არც კი ვიცი. მე მგონია აგერ მაქვს. — მიუგო ოტიამ და მუშტი მხარზე დაიკრა. ჩაიხითხითა: — თქვენ ოლონდ ამ ცოლიკაურის ღვინოსა და ხანისწყლის კალმახს ნუ მომაკლებთ და იმისთანა პირველს ვიტყვი, ყმაწვილო, რომ შენგან მოწონებულს: სულ ნემსის ყუნწში გავაძვრენ!

— იმე, ასე თუ გასვეს და გაჭამეს, კი გააძვრენ, შენ ნუ მომიკვდები! — შენიშნა ჩხეიძემ.

ამ დროს ნინოს უცნაური რამ მოეჩვენა: თითქო მიწი-

დან რაღაც ქმნილებანი ამოვიდნენო, საჩე არ უჩანდაო და ღამეში მარტო ამ ქმნილებების თვალებიღა ანათებდნენ. გრძელი ხელები სუფრისაკენ წამოემართნენ. ამას ყრუნვა მოჰყვა:

— არ გაინძრეთ, ხელები მაღლა!

ოტიას ეზოს ირგვლივ შაშხანებმა დაიგრიალეს. ნინოს გული შეუღონდა. კორნელიმ ხელი სტაცა და მკერდზე მიიწვინა. ყველამ ასწია ხელი, ქალებმა იკივლეს. დათა ყურფიანმა ნაგანი ამოიღო. მის წინ მდგომი, შაშხანამომარჯული კაცისათვის უნდა ესროლა, მაგრამ ბეგლარმა შესძახა:

— არ ესროლო! — მაშინვე ზურგიდან ორი კაცი ეცა ყურფიანს, ჩაბღუჯეს, შეჰკრეს და ნაგანი ააცალეს. ახლა მთელი ეზო აივსო შეიარაღებული ხალხით. ბაბო ვეფხვივით ჯაჭვრა, წრე გაარღვია და ძმას ხელგაშლილი გადაეფარა.

— უკან, არ გაბედოთ, თქვე წამხდრებო! — დასჭექა ნანა ვაჟკაცურად.

გლეხებმა იარაღი აჰყარეს ჩხეიძეს, წულუკიძეს და ოტიასაც.

— ა, ბაბა, მიირთვი ეს სმიტი, ამიზა მკლავ? — ეუბნება მომხდურებს თავზარდაცემულმა და გაოგნებულმა ოტიამ.

ბაბომ ძმას ქარქაშიდან ხანჯალი ამოაძრო, აღმართა და კვლავ ვაჟკაცურის ხმითა და თვალების ბრიალით დაიძახა:

— არ მომეკაროთ!

შაშხანიანებმა უკან დაიხიეს. ერთმა ყაბალახახვეულ მომხდურთაგანმა დაიძახა:

— ნუ გეშინიათ, არავის არ მოვკლავთ, ჩვენ ყაჩაღები არა ვართ, ქალებს და ბავშვებს არ ვერჩით!

ძმას აფარებულ ბაბოს ბეგლარმა უთხრა:

— დაწყნარდი, ქალბატონო, მომეცი ხანჯალი.

ბაბომ ხანჯალი გაიქნია:

— ხელი არ ახლოთ ჩემ ძმას, ნაბიჯი არ გადმოდგათ, თორემ შუაზე გაგაპობთ!

მომხდურებმა მოულოდნელად მაჯაში სტაცეს ხელი, ჯადაუგრიხეს და ხანჯალი წაართვეს. მაშინ ბაბო სახლისაკენ გაიქცა, ოთახში შევარდა, კედელს ეცა, მაგრამ ზედ არც ერთი თოფი, ხმალი და ხანჯალი აღარ ეკიდა.

— ძმას მომიკლავენ, არ გავატან! — იკივლა ბაბომ.

ბეგლარმა ხელი მაგრად შემოჰხვია, თვალებში მუდარით ჩახედა, აღარ გაუშვა. ბაბომ შეწუხებული სახე მაღლა ასწია, მოურავს თავში სტაცა ხელი, გულმკერდზე მიიკრა და მტირალის ხმით უთხრა:

— ბეგლარ, ახლა გამოჩნდება შენი კაცობა, მიშველე, ძმას მომიკლავენ, ჭკუას დავკარგავ!

მერმე ისევ ეზოში გავარდა. დაბალი და ჯმუხი კაცი იონას ეუბნებოდა:

— ჩვენ გლეხები ვართ, ჩვენ მუშებისა და გლეხების მტრებს ვებრძვით, დათა ყიფიანის დაპატიმრება გვინდოდა...

დაბალ კაცს წელზე ტყვიებით სავსე ფალასკა ჰქონდა შემოკრული. მან იცნო იონა. იონამაც იცნო იგი და როდესაც გაიგო, ოტიას სტუმრების დატუსაღება და წაყვანა გადაუწყვეტიათო, ჯმუხსა და შავწვერიან გლეხს, ყოფილ ჯარისკაცს — ერმილე ენდელაძეს შეეხვეწა:

— ესტატე და პლატონი ჩემი სტუმრები არიან, ხელი აუ ახლოთ.

— მაგათ არ ვახლებთ ხელს, — უთხრა ერმილემ.

ვარდომ სველი ცხვირსახოცი მიადო ნინოს საფეთქელზე და ჩასჩურჩულა:

— ნუ გეშინია, ყიფიანს და მის ამხანაგებს იჭერენ, ჩვენ არავინ გვერჩის.

ტერეზამაც გადაუსვა თავზე ხელი:

— დაწყნარდი, გენაცვალე.

ნინომ კორნელის თავი გაანება და დედას მიეყრდნო. მაშინ ჩაბალახაფარებულმა ერთმა ჯარისკაცმა კორნელის ხელი შეახო და ჩუმად უთხრა:

— კორნელი, ვერ დაამშვიდე თავადის ქალი?

კორნელის გაუკვირდა: საიდან იცის ჩემი სახელიო; თითქო ნაცნობი იყო მისი ხმა, ფეხზე წამოდგა და ჰკითხა:

— ვინა ხარ? — ჯარისკაცმა ხელით ანიშნა: ნუ მეკითხებიო.

ღამის ოთხი საათი იქნებოდა, კარისმერეთის მხრიდან საშინელი სროლა მოისმა, ისეთი განუწყვეტელი და ხშირი, თითქოს ფრონტია და მთელი დივიზია ისვრისო. ყიფიანი გაფითრდა, ტანთ გააჟრჟოლა, იფიქრა: ჩემს რაზმს ებრძვიანო. ერთბაშად გამოფხიზლდა. მიხვდა შეცდომას, თავისი

რაზმი რომ მიატოვა კარისმერეთში და ზედაზენში ამოვიდა საქეიფოდ. წერეთლის და ფოფხაძის სახე თვალწინ დაუდგა. „ვინ გაიმარჯვებს: ჩემი რაზმი თუ გლეხები? ღმერთო, ჩვენებს გაუმარჯვე!“ — ამბობდა გულში. სროლა გაძლიერდა. ჯარისკაცებმა ყიფიანს, ჩხეიძეს, წერეთელს წრე შემოარტყეს და ჭიშკრისკენ წაიყვანეს. უკან კივილით ბაბო მიჰყვებოდა. ესტატე და პლატონი ღობესთან იდგნენ და ბჭობდნენ.

ტერეზას მოჯამაგირემ, დომენტი ხვედელიძემ, რკინის კოლოფი „მონპასიე“ გახსნა, გაზეთის ქაღალდში თუთუნი გაახვია და, მერმე იონასა და კორნელის განუცხადა:

— სულ ყველა ვიცანი... შორებლები არავინ ყოფილა.

— ვინ იყვნენ? — ჰკითხა იონამ.

— ტურიაშვილები, გელაშვილები და აბესაძეები.

კორნელის მყისვე მოაგონდა უცნობის ხმა და ახლა კი მიხვდა, უცნობი რომ გალაქტიონ გელაშვილი იყო.

ოტიას მოჯამაგირეები: სალომე, ეპრაქსია, დათუა და ერმილე სახლის უკან აივნის ქვეშ ატუზულიყვნენ და სუფრასთან მჯდომ და გაშეშებულ ოტიას მისჩერებოდნენ. სალომემ დათუას ჰკითხა:

— ასე როგორ მოგვეპარნენ? ერთიც არ დაიყეფეს ძაღლებმა!

— იქნებ დაიყეფეს, მაგრამ ბაბოს დაირა და ოტიას ჩარიჩამა შენ გაგაგონებდა?! — მიუგო ერმილემ.

— ბიჭო, ერმილია, სად დაიკარგნენ ჩვენი ძაღლები? — ჰკითხა სალომემ და სამზადისკენ წავიდა, ხმადაბლა დაიძახა: — ბროლია, კვესია!

სამზადის უკან, ბეღლიდან, წკმუტუნი და უილაჯო ყეფა შემოესმა. ჭრაქი წაიღო, ბეღლის კარი გააღო და იყვირა. ბროლია ძლივს იდგა ფეხზე, ბარბაცებდა. მკვდარი კვესია, ბუკია და ტურია ერთმანეთზე მიგდებულიყვნენ და ენაგადმოგდებული ხახიდან ქაფი სდიოდათ.

— მოწამლულია, — თქვა ეპრაქსიამ.

— დედა, ვინ მოწამლა ნეტავი? — გაუკვირდა სალომეს. ერმილეს გადახედა.

— მე რა ვიცი, — წაიდუდუნა ბიჭმა.

ძნელი მისახვედრი არ იყო თუ ვინ დახოცა ისინი! ძალ-

ლების მოწამვლაში უთუოდ ოტიას მოჯამაგირის ხელი ერია. გლეხები სათიბში ისე უნდა გადასულიყვნენ და მუცელზე ხოხვით ისე მიჰპაროდნენ სუფრას, რომ არც ერთ ქრისტიან კაცს და სულდგმულს არ უნდა გაეგო.

სუფრა ცარიელი იყო. სკამები ყირაზე იდგა და ეყარა: მხოლოდ ქალები და ოტია ისხდნენ ისევ სუფრასთან. ტერეზა და ვარდო ნინოს ამშვიდებდნენ. ტერეზას წინ გაშტერებული, ღვინითა და შიშით გალენჩებული ოტია იჯდა. უაზრო თვალებით მისჩერებოდა თავის დას — ტერეზას და გაოცებული ხმით ერთსა და იმავეს გაიძახოდა:

— რა ამბავია, დიდება შენს სახელს, ღმერთო! რა ამბავია?

კარისმერეთიდან კვლავ თოფის სროლის ხმა ისმოდა. ქოტა ხნის მერმე ოტიას ეზო მეზობლებით გაივსო, მთელი სოფელი შეგროვდა. ოტია ადგილიდან არ იძროდა. უაზრო თვალები ისევ გაშტერებოდა, დამბლადაცემულივით ძლივს აბრუნებდა ენას და ისევ ერთსა და იმავეს ეკითხებოდა თავშეყრილ ხალხს:

— რა ამბავია, დიდება შენს სახელს, ღმერთო! რა ამბავია?

ტერეზამ ვერ მოითმინა და გაბრაზებით მიუგო:

— ვერ ხედავ, რა ამბავია, შე კაცო? რა ამბავია და, ქვეყანა გადატრიალდა!

ბაბო

საწუწუნოებას გაფიცებ
მაგ ძუძუ-მკერდი დამალე,
მოგჩერებივარ, მიტყდება
გულის წუხილი მალ-მალე!

ხალხური

I

ბაბო რატომღაც აჩქარებდა სტუმრებს: დაწექითო. მაყაშვილები წინა ოთახში მოათავსა. პლატონი, ოთონა, სტეფანე და კორნელი — დარბაზში, ხოლო ტერეზა — საძინებელ

ოთახში. ლოგინზე დაგორებული ოტია ხვრინავდა და ხროტინებდა, ხანდახან გაუგებარ სიტყვებს ლუღლუღებდა, შფოთავდა, თითქოს მაჯლაჯუნა აწვება და ჰხუთავსო. ოთახში პატარა ლამპა ბჟუტავდა იისფერი შუქფარით. ბაბომ უჩუმრად გაიარა მოჩვენებასავით.

— დაწექი, რას დაბორიალობ ამ ნაშუაღავებს?! — უთხრა ტერეზამ.

ბაბო ლოგინზე დაჯდა. გახდა დაიწყო. ოტიამ ამძლავრა ხვრინვა და ხროტინი. სუნთქვის დროს ხრიალებდა და ხანაც სალამურივით უსტვენდა.

— ეს საცოდავი იხრჩობა და ღვინის სმას მაინც არ იშლის! — ამოიოხრა ტერეზამ.

— მას უკან, რაც გლეხებმა ადგილ-მამული წაგვართვეს და შეგვავიწროვეს, ეს უბედური სულ გალოთდა, — უთხრა ბაბომ.

— არა, გენაცვალე, მაგ ვერ აიტანს ასეთ დამცირებას: გული გაუსკდება და მოკვდება. რა ცხოვრებას მოესწარი, შე საცოდავო ჩემო ძამია, ამ ხიბერეში?! — სწუხდა ტერეზა.

ბაბო დაწვა და წუწუნს მოჰყვა:

— ყველაფერს წაგვართმევენ. თითივით გაგვაშიშვლებენ. სულ იმას ვტიროდი: ერთი შვილი რატომ არ გაგვიჩნდა, რატომ მოგვიძულა და დაგვწყევლა ასე იესო მაცხოვარმა-სეთქი. იესო მაცხოვარმა დასწყევლოს იმ ყაჩაღის თავი და ტანი. რათ მინდოდა თურმე შვილი და ძირი, თუ აღარაფერს შეგვარჩენდნენ?!

— არც იმათ შერჩებათ, ბაბო, ეს წუთისოფელი. გამოჩნდება ჩვენი პატრონი! — ანუგეშა ტერეზამ.

— როდის გამოჩნდება, გენაცვალე? ხომ ხედავ დღითიდღე უარესდება ცხოვრება? ვაი, ჩემს უბედურ დღეს! იქნებ ძძა ცოცხალი ველარც კი ვნახო! — ტერეზამ ისევ ანუგეშა აჭირებული რძალი: დათას მოკვლას ვერ გაბედავენ გლეხებიო.

დუმილი ჩამოვარდა. ბოლოს ბაბომ საიდუმლო გაუმხილა ტერეზას:

— რა დროს მოგვიღეს ბოლო? მაშინ, როდესაც ცა გამეხსნა და, მგონი, მისმინა უფალმა!

— რა ცა გაგეხსნა?

— ორსულად უნდა ვიყო!

— ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, მოგვხედე და უშვილოდ ნუ გარდაავლინებ უბედურსა და დაჩაგრულ ჩემს ძმას! — თქვა ტერეზამ პირჯვარის სახვით და დაწვრილებით გამოჰკითხა რძალს ორსულობის ამბავი.

ღვინით გალეშილი ოტია კვლავ ხვრინავდა, ხროტინებდა და ისე იგუდებოდა, თითქო მთავარი სული ამოსდისო.

2

ამ დროს უკანა აივანზე ჭურდულად ამოვიდა ოტიას მოურავი ბეგლარი. ყაჩაღივით აეტუზა სვეტს. ღელავდა. ყურს უგდებდა უბრალო ჩქამის ხმასაც კი. თავს მოიქცევდა ქალბატონის საძინებელ ოთახისკენ. მისი დიდრონი თვალები ფოცხვერის თვალებივით ანათებდნენ ბნელ ღამეში და როს იქვე, სათიბთან აღმართულ მთის ზემოთ ღრუბელი გაიღლვა და ვარსკვლავებმა უმატეს ციმციმს, აივანზე ჩაბალახით თავწაკრული უცნობი გამოვიდა. ხელი ჩასჭიდა ბეგლარმა, ნაბადი მოჰხვია და კიბეზე ჩაირბინა. წელზე ხანჯალი შემოარტყა და მაუზერი დაჰკიდა. ისინი ცხენებზე შესხდნენ. თქარათქურით გაიარეს მდინარე და აჯამეთის ტყეში შევიდნენ.

სოფელს ეძინა. მამლის ყივილი ისმოდა მხოლოდ. ბნელი ღამე იყო. გარღვეულ ღრუბლებში აქა-იქ ჩანდა ცა და თითო-ოროლა ვარსკვლავი შუქს ვერა ჰფენდა დედამიწას. ცხენები შეკრთნენ. ფრუტუნი იწყეს. მხედრებს შორიდან ცხენის ფეხის ხმა და უცხო ლაპარაკი შემოესმათ. შეღგნენ და რევოლვერებზე გაისვეს ხელი. გზაზე მხედრები მოდიოდნენ, როდესაც მეწინავენი გზის მოსახვევში შეჩერებულ ცხენოსნებს გაუსწორდნენ, უმალვე იშიშვლეს რევოლვერები. ერთმა უბრძანა: — ხელები ასწიეთო! ბეგლარმა იცნო გალაქტიონ გელაშვილი და მიუგო:

— ბეგლარი ვარ, გალაქტიონ გამარჯობა!

გალაქტიონი, რაჟდენი და გიორგი აბესაძე ახლოს მივიდნენ. ნაბადწამოსხმულის ვინაობა გამოჰკითხეს. მაშინვე ვაჟკაცური ხმა გაისმა:

— ადგილ-მამული წაიღეთ! რაც დაგვრჩა, იმის წართმე-

ვასაც გვპირდებით! გოჯასპირი არ წაგვართმევდა ჩვენ ავგილ-მამულს, შენ და რაჟდენს რომ არ შეგეგულიანებინათ. რადგან ძალაზეა საქმე, რა გაეწყობა, მიირთვით, ბატონო.. ძმის მოკვლას რაღას მერჩით, ეს არის ვაჟკაცობა, გალაქტიონ?

გალაქტიონმა და რაჟდენმა იცნეს ოტია მდივნის მეუღლე ბაბო. წუმწუმით გაანათეს. მხედარს ჩაბალახით ჰქონდა წაკრული თავი. შავი სატინის ხალათი, ლურჯი ფერის დიაგონალის შარვალი და აზიური ჩექმები ეცვა. ვაჟკაცურად იჯდა ცხენზე წარბაზიდული და შავ თვალებს აბრიალებდა. გალაქტიონი გაოცდა და მიუგო:

— თქვენმა ძმამ აგვაწიოკა, ჩამოხრჩობას გვიპირებდა. ჩვენ კი დავიჭირეთ, ციხეში ჩავსვით და არავის არ მოუკლავს.

— დღეს თუ არა, ხვალ მოკლავთ.

— ხვალ ქუთაისში გავგზავნით.

— რას ერჩით დათას? ის კაცი ჯარში მსახურობს და მთავრობის ბრძანებას ასრულებს! დათა თქვენთან გაზრდილი არაა? როდის იყო იგი თქვენი მტერი? თქვე დალოცვილებო, თქვენც ხომ ჯარში მსახურობდით? თქვენც ხომ მთავრობის ბრძანებას ასრულებდით?

— ჩვენ ამ მთავრობის ბრძანებას აღარ ვასრულებთ, ხომ ხედავთ? — შენიშნა გალაქტიონმა.

— როგორც გერჩიოთ. ჩემს ძმას მე უნდა გავყვე ქუთაისამდე. თქვენ ვერ გენდობით.

— ჩვენ ყაჩაღები არა ვართ და უდანაშაულო კაცის კლა არ გვაინტერესებს.

— თუ ცოცხალია, უნდა მაჩვენოთ დათა ამაღამ.

— ამაღამ არ გაჩვენებენ.

— მკვდარი ყოფილა! — შეჰკივლა ბაბომ. ცხენი მოზიდა, მათრახი გადაჰკრა და კარისმერეთისკენ გაჰკურცხლა.

— ქალი კი არა, ქაჯია ეს ოჯახქორი, — მიაძახა გალაქტიონმა.

ბეგლარმა ჰკითხა:

— გალაქტიონ, მართალი მითხარი, ცოცხალია მაგისი ძმა? თუ ცოცხალია, რას უპირებთ?

— ცოტა ხანს ციხეში ვაყურყუტებთ და, თუ დაგვყენეს, მერე ქუთაისში გადავგზავნით.

— დამსჯელი რაზმი დავნებდათ?

— დაგვნებდა. იარაღი ავყარეთ და ეკლესიის გალავანში შევრეკეთ.

ბეგლარს თავზარი დაეცა, მაგრამ გულში გაიფიქრა, ბოლშევიკებს ძალაუფლება ჩაუგდიათ ხელში და ახლა თავი უნდა მოვუქნო, თორემ მეც მომდგებიან და შემავიწროვებენო. ამიტომ თანაგრძნობით ჰკითხა:

— მსხვერპლი არ ყოფილა?

— მათ მხარეზე ორია მკვდარი და ოთხიც დაჭრილი. ჩვენ კი ერთი მოგვიკლეს და ორიც მსუბუქად დაგვჭრეს.

— ვინ მოჰკლეს?

— ლავროსი თოიძე!

— ბესარიონის შვილი ჭიპიკონადან?

— ჰო, — მიუგო რაჟდენმა.

— უი, საწყალი, — შესძახა, ცხენი ასკუპა და ჭენებით გამოუდგა ქალბატონს მოურავი.

— თავი გამაგდებიე, ბეგლარი თუ არ ყვარობდეს ბაბოს, — თქვა გალაქტიონმა.

— ის ბებრუცუნა ოტია, აბა, რახ მოერევა ამ ანგელივით ქალს? — დაეთანხმა რაჟდენი.

ბეგლარი ტყის პირას დაეწია ქალბატონს. კარისმერეთის ალმართზე ურმის ჭრიალი შემოესმათ. გლეხებს დამსჯელ რაზმთან შეტაკების დროს მოკლული ლავროსი თოიძე მიჰქონდათ ჭიპიკონაში. ნაკვერცხალივით ანთებოდნენ თვალები ვიწრო გზაზე მომავალ დაფეთებულ ხარებს, თითქო გრძნობდნენ, თუ რა საგვლალო ტკირთი მიჰქონდათ ამ ბნელ ღამით სოფელში. მოხუცმა მეურმემ ხარები შეაჩერა. აყირავებულ და იღლიაში ამოჩრილ უღელს დააწვა. ასე გაჰხედა უცნობ ცხენოსნებს. ბეგლარმა რაღაც უთხრა ქალბატონს. ქალმა ნაბადგადაფენილ გლეხის კვამს დახედა და ჩაილაპარაკა:

— ჭირსაც წაეღია...

— რაო? — გაოცებით ჰკითხა მეურმემ მეზობელ გლეხს.

— ჭირსაც წაეღაო! — მიუგო მან.

შავად მინაბდული ტყე სდუმდა, მხოლოდ ჭოტის ხმა ისმოდა შორს, მწუხარებით სავსე, და როცა ცხენთა ფლოქვების თქარუნი მისწყდა, მეურმე ერთბაშად მიხვდა უცნობი მხედრის სიტყვებს. თქვენი სინსილა და ფესვიც ამოვარდე-

სო, დაიძახა და მაგრად გადაუჭირა სახრე ხარებს. კვლავ აჭრიალდა ურმის შეხუთრებული და გაუსაძნავი ღერძი ალმართზე.

3

მთის ძირას, კარისმერეთში, აქა-იქ სანთელი ბჟუტავდა. შორს რკინიგზის სადგურის ლამპები ციმციმებდნენ. მთაში, კარისმერეთში და წინ გაშლილ ველზე ღამე და მყუდროება სუფევდა.

კარისმერეთის ბაზარში არ შესულან ცხენოსნები, ეშინოდათ აჯანყებული რაზმის დარაჯებისა. კირილე მეძმარიაშვილის სახლში ლამპა ენთო და მის ეზოსთან შეჩერდნენ.

— მასპინძელო! — დაიძახა ბეგლარმა. მაშინვე კარი გაიღო და აივანზე კირილე და რამდენიმე გლეხი გამოვიდნენ. კირილემ იცნო ოტია მდივნის მოურავი. ბეგლარი და ბაბო ეზოში შევიდნენ. ცხენები სარზე მიაბეს. ოთახიდან ჯაყანი ისმოდა. ყველანი მიესალმნენ შემოსულთ, მაგრამ კამათი არ შეუწყვეტიათ. მაღალი, გოლიათი, ჩოხაში გამოწყობილი შუახნის კაცი, კავალერიის ოფიცერი — როტმისტრი ნოდარ ავალიშვილი ვანო მახათაძეს და ნიკო გოცირიძეს ედავებოდა:

— მილიცია ხომ მოხსენით, მთავრობის რაზმი დააპატიმრეთ, ყველგან თქვენი ხალხი ჩააყენეთ. კარგი და პატიოსანი. მაგრამ რას ერჩით თავადსა და აზნაურს, ყველას რომ აპატიმრებთ, ბრუნდსა და მართალს აწიოკებთ, სახლ-კარს უნგრევთ და ცეცხლს უჩენთ?! — ჰკითხა ავალიშვილმა.

— რატომ ბრუნდსა და მართალს?! რისთვის არავინ ახსენა ხელი იონას? განა მისი მამა აზნაური არ იყო? მაგრამ იონა ხალხოსანია, სოფლის დამხმარე და მისგან გლეხების ევიწროება არავის ახსოვს, — მიუგო კირილე მეძმარიაშვილმა. იონას ხსენებაზე ნოდარ ავალიშვილი აიმრიზა:

— თქვენ კარგად იცით, მე იონაზე ნაკლები სამსახური არ გამიწევია ხალხისათვის. 1905 წელს საკუთარი წითელი რაზმი შევადგინე. მეფის მთავრობას ვებრძოდი. ციხეში ვიჯექი, მაგრამ დღევანდელ ვითარებაში, როდესაც თვითმპყრობელობა დაემხო და თავისუფალი, დამოუკიდებელი ქვეყანა გავხდით, — ახლანდელი მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლა ანარქია და ავანტიურაა!

— ავანტიურა გერმანელი ოკუპანტების შემოყვანაა და მათზე ჩვენი ქვეყნის გაყიდვა! — მიუგო ძველ ქურთუკში გამოწყობილმა ჭიათურის მუშამ, მიხა ფრუიძემ.

— საქართველოს გაყიდვის უფლებას არავინ მისცემს ვინმეს. მას შემდეგ, რაც ჩვენ რუსეთმა მიგვატოვა, ის არ სჯობია, გერმანიის მოკავშირე ქვეყანა გავხდეთ? — ღელავდა ავალიშვილი, ჭაღარა, ახოვანი კაცი.

— რა სჯობია, უთქვენოდაც კარგად ვიცით! საქართველოს დღევანდელი დამოუკიდებლობა ეს არის: გერმანული სიშტების კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან ბოლშევიკური მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ, — მოაგონა ლენინის ნათქვამი მიხა ფრუიძემ.

— მაშ სად არის ხსნა?

— ხსნა საბჭოთა ხელისუფლებაშია! რუსეთისა და საქართველოს მშრომელი ხალხის კავშირში, — მოუჭრა ფრუიძემ.

— საბჭოთა ხელისუფლება ჩვენმა ხალხმა არ მიიღო. ხომ ხედავთ, ყველგან დამარცხება განიცადეთ. ახლა ზემო იმერეთის ეს ჩვენი პატარა და მშვენიერი კუთხე გინდათ აოხრდეს და სისხლით მოირწყას?! — აფრთხილებდა ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაციის წევრებს თავადი ნოდარ ავალიშვილი.

— მაშ, რას გვიბრძანებთ? — ჰკითხა ვანო მახათაძემ. მის გამხდარსა და გრძელ კისერზე ძარღვი ისევ კომშის ხის წნელივით დაიგრიხა და სისხლით აღივსო. ნოდარ ავალიშვილმა უმალვე აფხაზავა მოაგონა.

— შეურიგდეთ უნდა მთავრობას და ხელი აიღოთ აჯანყებაზე, — ურჩია ავალიშვილმა.

— ხალხის გამყიდველებთან ჩვენი შერიგება შეუძლებელია. ჩვენ ბრძოლაზე ხელს არ ავიღებთ, — განუცხადა მტკიცედ ვანომ.

— დაფიქრდით! მე შუამავალი ვარ და მასეთ პასუხს მთავრობას ვერ გადავცემ, — გააფრთხილა ავალიშვილმა.

— არა, სწორედ ასეთი პასუხი გადაეცით თქვენს მთავრობას! — მკაცრად უთხრა ფრუიძემ.

— რატომ „ჩვენს მთავრობას?“

— იმიტომ, რომ იმ მთავრობას მხარს უჭერენ თაღადები, მემამულეები და კონტრრევოლუციონერები.

— გამოდის, მეც კონტრრევოლუციონერი ვარ!

— მაშ თქვენი თავი რევოლუციონერი გგონიათ?

ნოდარ ავალიშვილი წამოდგა. გოლიათმა კაცმა დაბალი ბუხრის ქუდი აიღო, ლეკსავით გადახოტრიალ თავზე ჩამოიფხატა. იარაღსა და ცხენის ლაგამს ნაჩქარევი, დაძაბრული ხელი შეახო ხანჯლის ტარს და შეჰკივლა:

— რა თავს იგდებ, ბიჭო, შენ?!

— თავადო, ბიჭები თქვენს სახლში მოიკითხეთ! — აი დაერიდა მიხა ფრუიძე, ტანმორჩილი, შავგვრემანი, ჯერ უწვერული მუშა, და მაზუთით გათხუპნილი ქურთუკის ჯიბეში ჩაიყო ხელი.

— ხმა ჩაიწყვიტე! — დაიღრიალა ავალიშვილმა და ხანჯალი ნახევრამდე ამოიღო ქარქაშიდან, მაგრამ რაზმელმა ფარნა კვესიტაძემ მოასწრო: შაშხანა გადმოიღო, შუბლზე მიაყენა ბრაზმორეულ თავადს და წაახდინა. ავალიშვილმა ვეება ხელისგული დაჰკრა ოთხი თითის სიფართე სატევრის ტარის თავს და იარაღი ქარქაშში ჩააგო. სისხლი მოაწვა ყელში. „ამ ცინგლიანმა გამაფუჭა ოფიცერი. რა დროს მოვესწარი!“ — გაიფიქრა, ბრაზით დააბრიალა თვალები, მუცლით დასტოვა კირილე მეძმარიაშვილის ბინა: ბოლოს ინანებდა, დაიძახა კარებში.

როდესაც იგი ოთახიდან გავიდა, ბაბომ ნაბადი გადაიგდო. ნიკო გოცირიძის წინ გაჩერდა და სიტყვა-სიტყვით მოახსენა განცვიფრებულ კრებას ის, რაც გალაქტიონ კელაშვილს გზაში უთხრა:

— ადგილ-მამული წაიღეთ. რაც დავგრჩა, იმის წართმევასაც გვიპირებთ. რადგან ძალაზეა საქმე, რა გაეწყობა: მიირთვით, ბატონო. ძმის მოკვლას რაღას მერჩით, ეს არის კაცობა? მაჩვენეთ იგი!

მოურავი მიეშველა ქალბატონს:

— ამ ქალს მისი ძმა რომ ანახოთ, რა დაგიშავდებათ?!

ბაბოს ანახვეს ძმა. ბაბო დარწმუნდა, რომ დათას ლახვრება არ მოელოდა და ზედაზენში გაბრუნდა.

ცხენს მიაჩქარებდა. გარიჟრაჟამდე უნდა მისულიყო ზედაზენში, რადგან აღრე იცოდა ადგომა ოტიამ და, ცოლი

შინ რომ არ დახვედროდა, ერთ ალიაქოთს ასტეხდა. ბაბოს დაცხა. ნაბადი მოიძრო და ბეგლარს გადასცა. ცისკარმა მოაჭანა. ძლიერ შკენოდა ქალს მამაკაცის ტანისამოსი და ცხენზე ჯდომა. მაღალი მკერდი, მსუქანი ბარძაყები, შხვართა თრთები. ნაზი და თეთრი ხელები ამხელდნენ, რომ იგი ქალი იყო. სხვამხრივ კი ჩაბალახით თავწაკრული მხედარი კარგა პატივით ჩასუქებულ, ახოვან თავადსა ჰგავდა. მოურავი თვალს არ აშორებდა: აღელვებდა ქალბატონის წელის თანაბარი რხევა, აფუებული მკერდი და ბრიალა თვალთა მეფური ხედვა. ტანში ჟრუანტელი უვლიდა, ხახა უშრებოდა და ჭვასავით მაგარი კუნთები ეკუმშებოდნენ. ცეცხლი მოედო მოურავს, და როცა ბაბომ ხალათის საყელო შეიხსნა, ცხვირსახოცით მოიწმინდა ოფლი სახეზე. მოღერებულ ლამაზ ყელსა და ბროლივით თეთრ, მაღალ გულმკერდზე, მოურავმა გონება დაჰკარგა. მკლავი რკინის სალტესავით შემოარტყა წელზე. კისრის ძარღვები თოკივით დაეჭიმნენ და ფოცხვერის მსგავსი მომწვანო თვალები ალენთნენ.

ტყეში ქალის კისკისი გაისმა.

— არავინ დაგვინახოს ამ შუა ველზე, შე გადარეულო! — უთხრა მოურავს ქალბატონმა. თვალები დაუბრიალა. მკერდში ჰკრა ულონო მუშტი და განზე გაიწია. მოურავი ისევ მიიჭრა ქალთან და უთხრა:

— სარწმუნოებას გაფიცებ, ქალბატონო, ეს ძუძუ-მკერდი დამალე. ჰკუას დაგკარგავ. — წერხელებდა მოურავი და ცხენებს ტყისაკენ ახვევინებდა.

— რიგიო დავმალო, ბეგლარ, რას ამბობ. — ეუბნებოდა ქალი, მაგრამ ბეგლარს უკვე არაფერი ესმოდა. იგი ცხენიდან ჩამოხტა. ქალს ალვარი გამოსტაცა და ტყეში შეიყვანა. აყალო მიწაყავით წითელი, ბანჯგვლიანი ხელები მოჰკიდა წელში და ამოდენა ქალი უნაყრიდან ხტორკინივით გადმოიღო. მერმე ცენები დაიბა. ძირს. ტოტებდაზნექილ მუხის ქვეშ ნაბადი გაბალა, ზედ ბაბო დასვა და გვერდით მიუჯდა. ღრიანცელი ალებული კვიცივით მძუნვალე ხელისგული შეასო მკერდზე ქალს ცეცხლი მოეკიდა. თავი გადაწია, თვალები მიხუჭა. ნეტარებით სავსე ღიმილმა გახსნა მისი ბაგე და კბილებმა აკაშეთის ტყის იქით მოახლოებული ცისკარივით გაახალთა ბოურავი დააცქერდა. სულ მთლად აიმღვრა კაცი.

ლონიერი მკლავებით მკერდთან მიიზიდა და ქალს ტუჩებზე დააცხრა, თითქოს ღვინით სავსე მოსევადებულ კულას დაეწაფაო. ულაყი შემოტრიალდა, ბრიალა თვალები მიანათა და ჩაიხვიხვინა. მუხის შტოზე განაბული თრიტინა შეკრთა, ისკუპა და ფოთლებმა ხმაურით ჩამოჰყარეს შხაპუნა წვიმის წვეთებისოდენა ცვარი.

ისევ კარისმერეთში

> რადგან მე არ ვიცი ქურდ-ბაცაცების უბანთა ენა და არც მათი ჩვეულებანი, აგრეთვე არც ის მრავალენობრივი საუბრები, რომლებიც მაღალი წრის რომანისტების აღწერით, სალონების მპყრობელ პირებს სჩვევიათ, ამიტომ იძულებული ვარ, თქვენის ნებართვით, მოკრძალებით მივყო ხელი საშუალო ხაზს, შევარჩიო ის სცენები და ის პერსონაჟები, რომელთაც მე ყველაზე უფრო კარგად ვიცნობ.
>
> თ ე კ ე რ ე ი

1

ტერეზა სტუმრებით ისევ კარისმერეთში ჩავიდა. შუადღე გადასული იქნებოდა, როცა კორნელი და „ქრისტეს ფეხისმჭამელი“ და „მაკვარანცხი“ აგოია მსხალზე ავიდნენ. აგოია მწიფე, ქარვისფერი, დაშაქრული მსხლით ივსებდა უბეს, მერმე მიწაზე ეშვებოდა, კასრში ჰყრიდა და ჭაში უშვებდა ოწინარით; მხეიძეებს ჭაში ჩაცივებული მსხალი უყვარდათ. აგოია ხეს კენწეროში მოექცა, თრითინასავით ხტოდა ტოტიდან ტოტზე. კორნელი კი კაკვით იწევდა მეზობლის ეზოსაკენ გადაზნექილ ტოტს. მოულოდნელად გაისმა ზარის გუგუნი. აგოიამ მუხლი მოღუნა. მაიმუნივით ჩამოეკიდა ტოტს და განცვიფრებული თვალები მიანათა კორნელის: რა დროს ზარის რეკვააო? მერმე თოფის სროლა ატყდა. ტყვიამ გაიწივლა და კორნელის კაკვი ხელიდან გაუსხლტა. ნაღვლიანი ძახილით აიშალნენ მახლობელი ხეებიდან მალაღურები. აივანზე ქალებმა დაიძახეს: რა ამბავიაო.

განეწყვეტლივ რეკავდნენ ზარს და ისროდნენ თოფს.

— ჩამოდი! — დაუძახა კორნელიმ აგოიას და ხიდან მიწაზე ჩახტა.

კორნელი და აგოია ბაზრისაკენ გაეშურნენ. ყოველი მხრიდან მოობოდნენ შეიარაღებული ჯარისკაცები და გლეხები. ერთმა მათგანმა კორნელის უთხრა: განგაშიაო.

რაზმელები ეკლესიის გალავანთან გროვდებოდნენ. ბიძინა შარაბიიემ გიგო თავაძეს წასჩურჩულა:

— ქუთაისიდან წამოსული მთავრობის ჯარი ყვირილას მოსდგომია. ცუდად არის აჯანყებულების საქმე.

წმინდა გიორგის ეკლესიის გალავანთან, უზარმაზარი ცაცხვების ქვეშ შეიარაღებული ხალხი ტრიალებდა. ვანო ბახათაძე, ნიკო გოცირიძე, კირილე მეძმარიაშვილი, მიხა ფრუიძე, გალაქტიონ გელაშვილი და რაჟდენ ტურიაშვილი ცალკე იდგნენ.

— დადექით! — დაიძახა გელაშვილმა. რაზმი ღაეწყო.

ისევ გაისმა მისი ძახილი:

— სმენა! — მწკრივში ოთხ-ოთხი დააყენა, — ნაბიჯით იარ! — დაიძახა და რაზმი გზაზე გაიყვანა.

ბიძინას გაეცინა:

— გალაქტიონი ოფიცერი გამხდარა!

კორნელიმ შენიშნა:

— კარგად მიდიან!

ვანო, ნიკო, კირილე, მიხა ფრუიძე ეტლში ჩასხდნენ, რაზმს გადაუსწრეს და დათხილმა ცხენებმა გააქროლეს. ბაზარში ესტატე და პლატონიც გამოსულიყვნენ. ახალმა ამბავმა ღიდად შეაშფოთა ესტატე:

— ხათაბალა თუ გინდათ, ეგ არის! როგორც ჩანს, ქუთაისიდან წამოსული ჯარი ბრძოლით დაიკავებს აჯანყებულ სოფლებს. აჯანყებულებს დიდი და ჩინებული რაზმი შეუდგენიათ. კარისმერეთიც ბრძოლის უბანში მოექცევა. ქალებს აქ დატოვება სახიფათოა. როგორმე უნდა ჩავიდეთ შორაპანში და თბილისისაკენ მიმავალ მატარებელს გავყვეთ.

გიგო თავაძემ მოკრძალებით შენიშნა თავადს:

— ვშიშობ, შორაპნამდე უხიფათოდ ჩახვიდეთ, ბატონო, გზები შეკრულია და, მგონი, შორაპანიც აჯანყებულთა ხელშია.

ბაზრობა დღე იყო, მაგრამ ახლომახლო სოფლებიდან თითო-ოროლა გლეხიღა ჩამოსულიყო სავაჭროდ. გლეხები ამრეზით ისმენდნენ ნასწავლი ხალხის საუბარს. ვაჭრები და

ტერეზას ყანის მოზიარე გლეხი ჯაჯანა მენჯავიძე კი დიდის ამბით მიესალმნენ ესტატეს და პლატონს. ჯაჯანამ ნაბდის ქუდი მოიხადა და აქაქანდა:

— არ დამიჯერეს, ბატონო, ბერიკაცს. მე მუდამ ვაფრთხილებდი იმ აცერცეტებულ ბიჭებს: მოიცადეთ, მთავრობა დღეს თუ ხვალ მიწას დაგვირიგებს-მეთქი. — მერმე გლეხებს მიუბრუნდა და უთხრა: — ახლა მიბრძანდით და დაუდექით წინ მთავრობის ჯარს.

— დავუდგებით, ახლა გაიგე? შენ კი მოწყდი აქედან... — დაუყვირა ჩოხაში გამოწყობილმა შავწვერა გლეხმა. შაშხანა ჩამოიღო, ხელი ჰკრა და შინ წასვლა ურჩია.

შავწვერა — გაბო შველიძე იყო, ნიკო გოცირიძის მეზობელი, რუსეთ-იაპონიის ომის მონაწილე. იგი ორმოცდახუთი წლის კაცი იქნებოდა. ქერა რაზმელი, ერთი ნოქარი და ადგილობრივი სკოლის ორი მოწაფე ახლდა. ესენიც შაშხანებით იყვნენ შეიარაღებული. ჯაჯანა გაჯიუტდა.

— ვინ მოგცა უფლება, სიტყვას რომ მართმევ და ბოხუცებულ კაცს ხელს მკრავ? მე ჩემი აზრი მოვახსენე ამ ხალხს!

— შენი აზრი შენ შეინახე. დამიჯერე, ჯაჯანა, ასე ამობებს, — ურჩია შველიძემ და ბაზრიდან გააგდო. მერმე სამკითხველოს წინ შეკრებილ ხალხს წინადადება მისცა დაშლილიყვნენ.

შარაბიძე და თავაძე სამიკიტნოში შევიდნენ.

2

გენძეხაძის სამიკიტნო ყველაზე უკეთესი იყო კარიმეჩეთში და აქაურები ხან „ბირჟას“ და ხან „რესტორანს“ უწოდებდნენ.

მთავრობის ჯარის ყვირილაზე მისვლა ელვის სისწრაფით მოსდებოდა მთელ დაბას... ყველანი ამაზე ლაპარაკობდნენ, განსაკუთრებით სოფელ ქონგურიდან ჩამოსული მეეტლეები: კანია, სელოლე, პავლია და ბუკუია.

ჯიბაზად წოდებული, აბოვანი და დევივით ღონიერი ზეინკალი თავის ბიძას, ძდიდარ ვაჭარს — ნიკოლოზ ჩხარტი-

შვილს ესაუბრებოდა. ნიკოლოზს ამავე დროს მამულიც ჰქონდა ჭიათურის მაღაროებთან.

იქვე იდგა ჭიათურის მრეწველი ახალაძე, ქერა ჩასუქებული, შუახნის კაცი, ევროპულ კოსტუმში გამოწყობილი. გულჯიბიდან ოქროს ძეწკვიანი ოქროსივე დიდი საათი ამოიღო. სამის ჩეთვერიაო, განაცხადა და მეეტლე პავლია ღვანცელაძე დააჩქარა.

ვაჭარს, ნიკოლოზ ჩხარტიშვილს, ღიპზე ძლივს სწვდებოდა ჩოხა. ტოტებიანი შარვალი და „რაგოჟის ტუფლები“ ეცვა. თავზე ჭილის საზაფხულო შლიაპა დაეხურა. ასე იყო შეხამებული მის მორთულობაში აზია და ევროპა. ნიკოლოზი ორმოცდაათი წლის კაცი იქნებოდა. მრეწველს, ახალაძეს, მიაცილებდა ჭიათურაში და საიდუმლოდ ბჭობდნენ. გერმანულ ფირმასთან ავალებდა მოლაპარაკებას მის მამულში მუშაობის დაწყებისათვის. აჯანყება, რომელიც მთელ საქართველოს მოედო და ახლა კარისმერეთამდეც მოაღწია, ჩხარტიშვილს და ახალაძეს თავზარსა სცემდა.

ამ დროს იასონ ჯანჯღავა შემოვიდა. იასონს ყველამ თავმდაბალი სალამი მისცა, უფრო კი გოგო თავაძემ. სტუდენტური ქუდი მოიხადა და თავი მიწამდე დაჰხარა. იასონი დახლთან მივიდა, მიკიტანს, რაჟდენ გენძეს ძეს ღვინო ჩაბოასხმევინა. რაჟდენმა პერის ნატეხი დასჭრა. უზარმაზარი საათის გასაღები და ჯაჭვივით მსხვილი ძეწკვი მკერდზე სცემდა. ოფიშზე დაწყობილი ორი ნაჭერი ყველი და კიტრი შემოსწვა დასლზე და იასონს ჭვევიდან აჰხედა: რას იბღვირები? რაც მოვიტანე, ესეც არაფერია შენისთანა კოჭორისთვისო, ფიქრობდა, ჯიბეზე აკვირდებოდა: ფული ჩხრიალებს თუ არაო. იასონმა ახალაძეს, ნიკოლოზ ჩხარტიშვილს და ზენკალს — ჯამბაზს დაუქახა. ბირჟაზე გალაზღანდარებული მეეტლე-მედილიჟნეები პავლია და მისი ამხანაგები — კანია, სეღოლე და ბუკუცია შორიახლოს იდგნენ და ფიქრობდნენ: იასონი დაგვიძახებს თუ არაო. თეთუნს ახვევდნენ გაზეთის ქაღალდში და ღვინით ავსილ ჭიქებს თვალს არ აშორებდნენ.

— მოკიდეთ ჭიქას ხელი, — სთხოვა მათ იასონმა.

პავლიამ სვანური ქუდი მოიხადა, გაიღიმა და დაჭრილი ჭორივით მხარჩამოგდებული წავიდა დახლისაკენ. მას სეღოლე და ბუკუციაც მიჰყვნენ. პავლია ყვირილასკენ წამოსულ

ჯარისა და სოფელ სარბევთახ მოძმდარი გრძოლის აძბავს უყვებოდა დილიდანვე ხალხს:

— გავარდა თუ არა თოფი, იმავე მინუტში ვწყვიტე უქე ცხენებს კნუტი. ვოქები მივუშვი. დევეშვი და დევეშვი. შემეშინდა: ფაიტონს კალოსები არ მოძვრეს-თქვა. ტყვიები, მაღლა კოზლაზე რომ ვიჯექი, ყურთან მიარდა. შემეშინდა: მაგ შობელძაღლებმა არ მომარტყან-თქვა! — პავლიამ იასონი დალოცა და ღვინო გადაჰკრა. ჩამოტყავებულ თვალში ცრემლი ჩაუდგა. კარისმერეთის ბირჟაზე „სვინტლად“ წოდებულმა, ქერა ულვაშზე ხელი გადაისვა და იასონის ქებას მოჰყვა:

— იცოცხლე, იასონ, დიდხანს. კაცი ხარ ქვეყანაზე: პურ-მარილიანი და მხარჯველი. კაცს ფულის შოვნის შნოც უნდა ჰქონდეს და ფულის ხარჯვის და პურ-მარილისაც. — მრეწველ ახალაძეს და ვაჭარ ნიკოლოზ ჩხარტიშვილს გადახედა. ესენი დასტურის ნიშნად თავს იქნევდნენ, მაგრამ პავლიას სიტყვიდან მხოლოდ „ფულის შოვნის შნო“ უჯდებოდათ ჭკუაში, ხოლო, რაც შეეხება „პურ-მარილს“. ქეიფსა და ფულის უთავბოლო ხარჯვას, ეს სრულიად უანგარიშოდ მიაჩნდათ. მიუხედავად ამისა, პავლიას მაინც ცბივრად ემოწმებოდნენ. კვერს უკრავდნენ, მაგრამ ულვაშებში ქვეშ-ქვეშ იღიმებოდნენ და ასე ფიქრობდნენ: „დიახ, როგორ არა! ნეტავი დედაჩვენს: თავი გადავდვათ, ვიღლიტოთ და ვიქუცოთ, ფული და ქონება ტანჯვით შევიძინოთ და მერე თქვენისთანა ოხრებთან შევჭამოთ! მეტი არ იხარა თქვენმა თავმა. ისე დაწვა და არ ადგა თქვენი გვერდები!“

— ღმერთმა დასწყევლოს კრიჭანგი კაცი! — ჩაერია ლაპარაკში მიკიტანი რაჟდენიც.

— იასონ, შენ რომ მეზობელი გყავს, იმისგან მართლაც ღმერთმა დაგიფაროს, კაპიკსაც ვერ გააგდებინებ! — მიაძახა იქვე სუფრაზე თავის ამხანაგებით მოქეიფემ, ყოფილმა სტუდენტმა ვანიკო ღოღობერიძემ.

— რომელი? — ჰკითხა იასონმა და ბუხრის ქუდი თავმომწონედ გაისწორა.

— სამსონი, — მიუგო ღვინით აჭარხლებულმა, ცქრიალა, უგონო და მხიარული თვალებით ვანიკომ.

ახალაძის მეგობარი სამსონიც ჭიათურის მრეწველი იყო. ვანიკოს პავლე ძიეშველა:

— ამბობენ, ალეკოილი დანა უდევს ჯიბეშიო!

იასონმა ღიმილით ჰკითხა:

— რათ უნდა, ბიჭო, ალესილი დანა ჯიბეში?

— ჯიბეში ხელი რომ ვინმემ ჩამიყოს, ზედ შეაჭრისო.

იასონმა, ვანიკომ და მისმა მეგობრებმა გადიხარხარეს. მრეწველი და ვაჭარი უხერხულობას გრძნობდნენ, მაგრამ ძალაუნებურად ისინიც იკრიჭებოდნენ.

კუთხეში გიგო თავაძე და ბიძინა შარაბიძე ისხდნენ. ისინი გულისყურით უსმენდნენ სამიკიტნოში მოქეიფე ხალხს. სწავლაზე დახარბებული სტუდენტები თავს არ უყადრებდნენ გალოთებულ, გალაზღანდარებულ თავიანთ ამხანაგებს, უფრო კი მეეტლეებს.

— ფულს ის პატრონმკვდარი სამსონი ამხანაგებში არ შეჭამს. გაჭირვებაში და ვაჟკაცობაში არ გამოგადგება. აბა, რა ჭირად მინდა მაგისი ფული! — ტრაბახობდა ღვინით შეზარხოშებული სპეკულიანტი ანტუშა ნიორაძე, რომელიც უმასპინძლდებოდა სამიკიტნოში ვანიკო ღოღობერიძეს, გალოთებულ სტუდენტს სერგო ჩხეიძეს, მასწავლებელს ანდრია კოვზირიძეს და პროვიზორს მიშა წეროძეს.

სპეკულიანტი ანტუშა ნიორაძე ოცდაათი წლის კაცი იქნებოდა. ანტუშა და მისი სტუმრები ღვინის სმითა და ქეიფით შეკავშირებული მეგობრები იყვნენ. ამ უსაქმო და ლოთ ახალგაზრდებს ღვინის სმა და ქეიფი ესიზმრებოდათ ყველგან, სადაც კი დანა-ჩანგალი და თეფში გაიჩხრიალებდა. ანტუშა ცოლწვილიანი კაცი იყო. ცოლად ნასწავლი ქალი შეხვდა. თვითონ სამოქალაქო სასწავლებლის ოთხი კლასი ჰქონდა დამთავრებული. ამ გარემოებით ერთგვარად დაჩაგრული, იგი „კარისმერეთის ინტელიგენციას“ მისწებებოდა. ევროპულ კოსტუმში გამოპრანჭულიყო. ბინაც ევროპულ ყაიდაზე მოეწყო და ცოლიც პიანინოზე აბრახუნებდა. ანტუშამ ვანიკოს აკოცა და სიტყვა წარმოსთქვა:

— მე თქვენდრონი კლასიკური ცოდნა არა მაქვს, მაგრამ უნდა გითხრათ სიმართლე, არ მომწონს გიგო და ბიძინასთანა ხალხი, მუდამ წიგნს რომ ჩიჩქნიან და თავი პროფესორებად მოაქვთ.

გიგომ გაიგონა ეს სიტყვები და ენაბწარედ ძოუჭრა:

— ჭიგნი, ბიჭო, რა შენი საქმეა!

— არა, უკაცრავად, სრულიადაც არა! — ცხაროობდა ანტუშა, — მე სწავლის და წიგნის წინააღმდეგი არ გახლავარ, მაგრამ არ უნდა გამოწყდე კაცი ტოლსა და მეგობრებში.

— მარტო წიგნი რა ჩემ ფეხებად გინდა? გამოათხლეებს კაცს. დაღუპე იქით! — თქვა პავლიამ, რომელიც სამოქალაქო სასწავლებელში იყო ერთ დროს მოწაფედ, მაგრამ შემდეგ წაეტეხა ფეხი ანტუშასავით.

— სწორია, — დაუდასტურა ბუკუიამ პავლიას.

— ესეც შენი ამხანაგები და მეგობრები, — დაუძახა გიგომ ანტუშას.

— როგორ, ესენი ადამიანები არ არიან თუ? შენ ხარ ამის შემდეგ სოციალისტი? — მიუგო ბრაზით ანტუშამ.

— რა სოციალისტია, იმასაც გავიგებ, დედა ეტირება! — შესძახა პავლიამ.

— პროფესორები! — დამცინავად დაიძახა ანტუშამ და მის მიერ დაპატიჟებულ ამხანაგებს მოაგონა: — გიგოდან, ძმაო, ერთი ბოთლი ღვინოც კი არავის ახსოვს. ვისაც ღვინო და პურ-მარილი არ უყვარს, მისი არც სოციალისტობა და არც სწავლა მჯერა!

— შენისთანა ხვადაგთან შევჭამ, ბიჭო, მე პურს? — გადასძახა გიგომ ბრაზით.

იასონს გაუკვირდა: ეს რა ამაყი ვინმე ყოფილაო.

— ვის უბედავ, შე ჭირიანო, ხვადაგის დაძახებას? შენი... — დაიღრიალა ანტუშამ და ჯიბეზე ხელი გაისვა, მაგრამ ბიძინა შარაბიძე სწრაფად გახტა განზე და რევოლვერის ამოღება მოასწრო. მრეწველი და ვაჭარი კარში გავიდნენ.

ამ დროს იასონმა სჩეჩა:

— ანტუშა, დაჯექი, მე შენ გიბრძანებ! შენ ეი, ყმაწვილო. ნუ ვაჟკაცობ... ენა ჩაიგდეთ, ხმა არ გამაგონოთ, გული არ მომასვლევინოთ, თორემ! — გასცა განკარგულება თვალების ბრიალით იასონმა და მყისვე წესრიგი დამყარდა. იასონს წელზე მაუზერი ეკიდა. გაიცინა და ისევ დახლთან მივიდა.

ვანიკო ღოღობერიძე ამშვიდებდა ანშუტას და დაბალი ხმით ეუბნებოდა ამხანაგებს:

— მე, ძმაო, ჩემი უკანასკნელი გროშიც პურ-მარილში შევჭამე, და ახლაც რომ მითხრას ამისთანა მეგობარმა, როგორიც ანტუშაა, წყალში გადავარდიო, გადავარდები! ამას კი არ ვტრაბახობ ან ვპირმოთნეობ. ანტუშას ფული მე რას გამაკვირვებს!

ანტუშას ეწყინა:

— რატომ ამბობ მაგას, ვანიკო? მე და შენ თუ ერთმანეთს ვერ ვიცნობთ, ნუ, მადლობა ღმერთს მაშინ! ვანიკო? — მიუბრუნდა ანტუშა ამხანაგებს. — ვანიკო? ვანიკო ოცდაოთხ საათში გადაგალევს თავზე, თუ რამე აქვს. ვანიკო? ვანიკოს ჭიათურა რომ ჩააბარო, თვენახევარში გამოუყვანს წირვას! — ვანიკოს, ცოტა არ იყოს შერცხვა ასეთი გაზვიადებული შექებისა და თავი ჩაჰკიდა, რადგან სულ ამ სპეკულიანტის, ანტუშას, ხარჯზე იყო.

პროვიზორი ფიქრობდა: ისე აშენდა თქვენი პატრონი, ჭიათურა მე თქვენთან თქვენახევარში არ შევჭამოო!

ანტუშამ ისევ ხმამაღლა დაიწყო ლაქლაქი:

— მარტო ღვინოში რომ არ აროს საქმე, ეს მეც კარგად ვიცი. მე იმისთანა ამხანაგი შევარცხვინე, რომელიც იმიტომ მიკადრებს, რომ მე იმაზე მეტი ფული მაქვს და შემიძლია ერთ ბოთლ ღვინოზე დაეუძახო... შევარცხვინე მე მაგისთანა კადრება!

— აბა, უფულოდ ვის რად უნდა ამ რეგვენის თავი? — ჩაილაპარაკა გესლიანად გრიშამ.

ანტუშა ისევ ყვიროდა:

— ვანიკო, დალიე! შენ მაინც კარგად მიცნობ, მადლობა ღმერთს! უშენოდ რათ მინდა კარისმერეთი! არც წარმომიდგენია კარისმერეთი უშენოდ! სუფრა უშენოდ? — უთხრა ანტუშამ ვანიკოს და ტუჩზე დააკვდა. ანტუშას ესახელებოდა სტუდენტების წრეში ყოფნა.

გრიშამ ბიძინას უთხრა:

— ენდელაძესთან წავიდეთ. იმას ღვინოც უკეთესი აქვს. ეულდრო აღგილია და იქ საუბარიც შესაძლებელი იქნება.

— წავიდეთ, თორემ ამ ხალხს რომ ვხედავ, გული მეკვეთა. აფსუს, ჩვენო ქვეყანაც, — თქვა ბიძინამ.

ანგარიში მოითხოვეს. იასონს მიუწერეთ გაქირავნენ და კარებისკენ გაეშურნენ.

ანტუშამ და პავლიამ ბრაზიანი თვალები გააყოლეს. პავლიამ ტუჩები მოკუმა და სალახანა და ავარა მეეტლემ სტუდენტები დამცინავი წრუპუნით და სტვენით გააცილა. ბიძინა თოფნაკრავივით შებრუნდა. უცნაურად უბრწყინავდნენ თვალები. მტკიცე ნაბიჯით წავიდა. ისეთი მრისხანე გამომეტყველება ჰქონდა, რომ მისი შემხედვარე კარგი ვაჟკაციც შეკრთებოდა. სწრაფად გააქანა და შემოჰკრა მუშტი სახეში პავლიას. პავლია იატაკზე გაგორდა, ტუჩი გაუსკდა და ხახა სისხლით აევსო. ძლივს წამოდგა. წამოიჭრა ანტუშაც. გამოდით, თქვენი დედაო, დაიძახა ბიძინამ, კუნთები დაჭიმა, მოემზადა და საბრძოლველად დაერჭო ერთ ადგილას.

იასონი შუაში ჩაუარდა. ანტუშა და პავლია გააჩერა. მერე ხელი მოჰხვია ბიძინას. კარში გაიყვანა და უთხრა:

— წადი, მოშორდი! მეეტლეებთან ჩხუბი რა შენი საქმეა!

როდესაც სამიკიტნოში შებრუნდა, სიცილი ვეღარ შეიკავა:

— ეს რა უბედურად შემოგკრა?! ბოქსი სცოდნია იმ შობელძაღლს! — პავლიამ სისხლი მოიხოცა, სისხლის დანახვაზე აენთო, ხორცის საჭრელ ფართო დანას დაავლო დახლზე ხელი და გარეთ გავარდა. იასონი მიჰყვა, ხელი სტაცა და სამიკიტნოში ბურთივით შეაგდო.

— ვის ემუქრები დანით? იცი რა ნასწავლი კაცია ბიძინა?

ბაზარში თავმოყრილი ხალხი კარებს მოაწყდა თვალის სეირისათვის.

მალე სამიკიტნოში გაბო შველიძე შევიდა და იკითხა: რა ამბავიაო?

— არაფერი ამბავი არაა, ბიძია, — აგდებულად მიუგო იასონმა.

მასწავლებელი ანდრია კოვზირიძე წამოდგა, შველიძესთან მივიდა. ყურში რაღაც წასჩურჩულა. ამის შემდეგ გაბო შველიძე კარში გავიდა.

— შენ რას ჯაშუშობ? რა უთხარი შველიძეს? — ჰკითხა იასონმა.

— არაფერი... ავუხსენი: არაფერი ყოფილა ისეთი-მეთქი, — მიუგო ანდრიამ.

იასონს სამი ცარიელი ბოთლი ედგა წინ. მიუხედავად

იმისა, რომ სამიკიტნოში პურმარილიანი და მხარჯველი აღამიანის ესოდენი ქება გაისმოდა, ვაჭარი ჩხარტიშვილი და მრეწველი ახალაძე ამ ანკესზე არ ეგებოდნენ, არც ერთ ბოთლ ღვინოს არ ითხოვდნენ და სდუმდნენ.

იასონმა რაჟდენს ჩაულაპარაკა:

— ორი ჩარექი კიდევ ჩამოასხი და მოიტანე.

მიკიტანმა წაუყრუა. იასონმა გაუმეორა:

— ჩამოასხი მალე ორი ჩარექი!

რაჟდენი ისე დააცქერდა, თითქოს ეკითხებოდა: გაქვს თუ არა, შვილოსან, ფული, ასე რომ გულუხვობო?! იასონი გაბრაზდა, თვალების ბრიალით უთხრა:

— რას მომჩერებიხარ? ღვინო, მალე!

რაჟდენს შეეშინდა. თავი ჩაღუნა და ტიკებისკენ აღრენილი დათვივით წავიდა:

„შენ გადამიშენდი მაინცდამაინც, იასონ! შემოჩენილია: თუ უთხარი რამე, ჩხუბს და ყაილას ამიტეხავს“. — ფიქრობდა მიკიტანი.

ორი ჩარექიც შემოდგა დახლზე. კანიამ პავლიას გადახედა. თვალები კატასავით უბრწყინავდა, თითქო ეუბნება: გამოჭყიტე, შე უპატრონო, ეს დასაწვავი თვალები, ხომ ხედავ მუქთ კუბოში ჩავწექით! მაგრამ პავლიას ღვინის თავი არა ჰქონდა და მალე სამიკიტნოდან გაიპარა.

3

სტუდენტები ენდელაძის სამიკიტნოს პატარა ოთახში ისხდნენ. მჭადს, სულგუნს, ძმარგადასხმულ პამიდორს, კიტრსა და შემწვარ წიწილს შეექცეოდნენ. სასიამოვნო ღვინო იყო და ამიტომ მეორე ბოთლს სცლიდნენ. ქუთაისიდან მთავრობის ჯარის მოახლოება და კარისმერეთში ბოლშევიკური ხელისუფლების დამყარება აღელვებდათ და ყოველივე ეს შეადგენდა ახლა მათი მსჯელობის საგანს.

— აჯანყებულებს ეგონათ, რომ ქვეყნის შიგნით შექმნილ ანარქიას ადვილად აპატიებდნენ, — დაიწყო შეზარხოშებულმა პიძინამ.

— ჩუმად ილაპარაკე, გვერდზე უცნობი პირები სხედან და ყურს გვიგდებენ, — გააფრთხილა გიგო თავაძემ. — იოა-

კიმე აბულაძე და სტეფანე სირბილაძე დაატუსაღეს, ციხე თავადაზნაურებით აავსეს. გარეთ აღარავინ დარჩა, რომ ხალხს უხელმძღვანელოს. არც ერთი ყოფილი ოფიცერი. ბიძინა, შენ ომში ნამყოფი ხარ და უნდა მონაწილეობა მიიღო ნოდარ ავალიშვილის მიერ შედგენილ რაზმში.

— რამდენი კაცი ჰყავს ნოდარს? — ჰკითხა ბიძინამ.

— იასონ ჯანჯღავა, ზეინკალი ჯამბაზი, ოტია მდივნის მოურავი, ვანიკო ღოღობერიძე, ანტუშა... ბევრი!

არ დაუმთავრებია გიგოს სიტყვა, და მაშინვე გაბო შველიძემ ოთახის ფარდა გადასწია და ორი რაზმელით შიგ შევარდა.

— გაასწორეთ ანგარიში და წამომყევით, თქვენ დაკავებული ხართ! — გაბო შველიძე ფერმკრთალი იდგა, ფერი ეცვალათ შეზარხოშებულ სტუდენტებსაც.

— რისთვის გვაპატიმრებთ, ჩვენ ხომ შეთქმულება არ გიწყობთ? — აუკანკალდა ხმა გიგოს.

— არ გრცხვენია, გაბო, შენ გვაპატიმრებ? დალიე ღვინო... — უთხრა ბიძინამ თავის მეზობელს.

— მე თქვენთან ღვინოს არ დავლევ... მალე წამობრძანდით!

— რას ებოდიშები? — დაიძახა ქერა რაზმელმა და შაშხანა გადმოიღო.

— ვისი განკარგულებით გვატუსაღებთ? — ჰკითხა ბიძინამ.

— რევკომის!

— არაფერი მესმის! — გაუკვირდა გიგოს.

სტუდენტები გაძალდნენ, მაგრამ გაბომ ხელი ჰკრა გიგოს და ბიძინას. ქუჩაში გამოჰყარა. დარცხვენილი სტუდენტები თავჩაღუნული მიდიოდნენ შუა ქუჩაში. ბაზრის ხალხი და ვაჭრები აკვირდებოდნენ. ერთმა ახალგაზრდა ვაჭარმა თავში შემოირტყა ხელი და მეზობელ მიკიტანს უთხრა:

— ბიძინა და გიგო დაუჭერიათ. რაღა გვეშველება?

ბიძინამ გაიგონა ეს სიტყვები და ისედაც ნაღვინები, ჭარხალივით წამოწითლდა სახეზე. პატიმრები ბანკის შენობის, სამკითხველოს წინ გაატარეს. ბაზარში შემოსასვლელი ქუჩით მილიციის ეზოში შეიყვანეს და ქვიტკირის ღობესთან გააჩერეს. გაბო შველიძე მაღალი კიბით სახლის მეორე სარ-

ეულზე ავიდა მილიციის სამმართველოში. ქვედა სართულში საპატიმრო იყო. ბიძინამ რკინის კარებთან შეიარაღებული დარაჯი და რკინისრიკულებიანი პატარა სარკმელი დაინახა. იქიდან პატიმრები იცქირებოდნენ. მეორე სართულის აივანზე ჯარისკაცის ტანისამოსში გამოწყობილი მილიციის უფროსი გამოვიდა, სტუდენტებს გადმოხედა და დაიძახა:

— შეჰყარეთ ციხეში!

— აბა, მალე! — აგდებულად მიმართა რაზმელმა, ვიღაც ჭაბუკმა, სტუდენტებს. საპატიმროს დარაჯმა დიდი გასაღები შედო საკეტში, ქუჩიდან და მახლობელ სახლის აივნებიდან ხალხი იცქირებოდა. გიგო შეშინდა. ბიძინას ჩაულაპარაკა: შევიდეთო. გაბომ მიიყვანა იგი კარებამდე. ბიძინა კი ადგილიდან არ იძროდა. სისხლი ყელში მოაწვა, თვალები აემღვრა. გაბრაზებული რაზმელი ახლოს მივიდა, შაშხანა გამართა და შესძახა:

— წამოდი, მე შენ გეუბნები!

ბიძინამ შაშხანაში სტაცა ხელი. რაზმელმა გააფრთხილა:

— ხელი გაუშვი, თორემ გესვრი!

თავდავიწყებამდე მისული ბიძინა ყვიროდა:

— მესროლე! რისთვის უნდა ჩავჯდე ციხეში, მე საქართველოს დამოუკიდებლობას ვიცავ, მე სიკვდილის არ მეშინია. მესროლე!..

მილიციის სამმართველოს რაზმელებმა კიბეები ჩამოირბინეს და ბიძინას ალყა შემოარტყეს. ამ დროს მილიციის გვერდით, სახლის აივანზე, ქალის კივილი გაისმა:

— ბიძინა, არ გაბედო... ბიძინა, შედი ციხეში!

ბიძინამ მოსამართლე დოროთე ვაწაძე და მისი ცოლი მაშო დაინახა აივანზე. დოროთე ძმა იყო ბოლშევიკი ექიმის — პოლიკარპე ვაწაძისა. ბიძინას დედის ნათესავმა მაშომ და დოროთემ ურჩიეს ბიძინას საპატიმროში შესვლა: ახლავე პოლიკარპეს და ირინას შევატყობინებთო. ბიძინა საპატიმროში შეაგდეს. მოზრდილი ოთახი სავსე იყო ხალხით. იქ იყვნენ ვანიკო ლოლაბერიძე. სპეკულანტი ანტუშა და სხვანი. კედლის გასწვრივ ტახტები იდგა. ხალხი სტუდენტებს დაეხვია. იმუქრებოდნენ: ოხ, თუ გვედით აქეთან, მაგათ ოხტში კი ამოვალთო, მერვე ახალი ამბები გაიოხკოხეს. ვანიკომ დიდი ნესვი გაჭრა და ერთი ნაჭერი ბიძინას მიართვა.

ბიძინა ტახტზე ჩამოჯდა. საერთო ყაყანს და ბოლშევიკების მიმართ ატეხილ ლანძღვა-გინებას ყურს არ უგდებდა. სრულიადაც არ სურდა მოესმინა საპატიმროში შეკრებილი ხალხისათვის: ღიპიანი მიკიტნისათვის, მამლაყინწა ანტუშასათვის და ჩანჩურა ოფიცრისათვის, რომელიც მუშტების ქნევით ემუქრებოდა ბოლშევიკებს და მათი სახლ-კარის დაწვასა და გადაბუგვას აპირებდა. ბიძინამ თავი ჩაჰკიდა. დარდობდა, რომ იგი მიკიტნებთან და ნაძირალებთან ერთად ჩასვეს ციხეში.

„ახლა ამ ბრბოში უნდა ვიყო და ამათ ლაყბობას უნდა ვუსმინო“. ბრაზით გადახედა ხალხს. ეს ფიქრი ამოიკითხეს მის თვალებში პატიმრებმაც. აღარავინ არ ეკარებოდა ახლა მას. ცოტა ხნის მერმე დარაჯმა კარი გააღო და ბიძინას გვარი დაიძახა. გიგომ და ბიძინამ გაკვირვებით შეხედეს ერთმანეთს და, როცა ბიძინა გავიდა, ვანიკომ განაცხადა.

— ბიძინა ალბათ ვანო მახათაძემ გადაიბირა.

მილიციის უფროსის ოთახში ექიმი პოლკარპე ვაწაძე დაუხვდა ბიძინას. მილიციის უფროსი, ყოფილი ჯარისკაცი, დაბალი და ბრგე ვაჟკაცი იყო. კუშტად იჯდა საწერ მაგიდასთან შუბლშეკრული, ხელში ქაღალდს ატრიალებდა და გაოცებული ამბობდა:

— როგორ თუ გიგო თავაძეც და ბიძინა შარაბიძეც გაეანთავისუფლო? მაშინ ბარემ გააღეთ ციხის კარები და ყველა შენშევიკი და კონტრრევოლუციონერი გამოუშვით!.. არა, მე წინააღმდეგი ვარ. მე მათ ვერ გავათავისუფლებ.

— რას ამბობ, ერმილოზ. მე თავდებად დავდექი. — ეუბნებოდა პოლიკარპე.

— შენ არ იცნობ ამ ხალხს და არც შეგიძლია პასუხი აგო... არა, დამიცადეთ, აქ. რეკომს მოველაპარაკები.

მალე მილიციის უფროსი შეწუხებული სახით მობრუნდა. მაგიდასთან დაჯდა. ფანქარი და კალმისტარი ნერვიულად ისროლა. თანაშემწეს მიახალა ქაღალდი და უხეშად უთხრა:

— გამოუშვით თავაძე! ჩვენც ვმუშაობთ რაღა?!

ყვირილაზე

ბოლშევიკები ცოტანი იყვნენ. მათი მიზნები მეტად მარტივი იყო. დღესდღეობით კი ისინი პირდებოდნენ ხალხს ზავსა და მიწას და მომავლისათვის მკაცრ ბრძოლას.

ალ. ტოლსტოი

1

რიონის ველისა და აჯამეთის ტყის იქით ერთბაშად აწვდილან მთა-გორები. მდინარე ყვირილა ერთმანეთზე მიჯოილ მთათა ვიწროებიდან გამოდის. უნაგირივით ზედ წემდგარი ხიდის გარეშე შეუძლებელია იმ ხეობაში შესვლა. ქუთაისიდან წამოსული ათასეული პოლკოვნიკ გედევანიშვილისა და სამთო ბატარეა კაპიტან ხიდაშელის მეთაურობით ამ ხიდს მიუახლოვდა, მაგრამ ფიცარი და მოაჯირი აყრილი აღმოჩნდა. აჯანყებულ გლეხებს აეყარათ იგი და მდინარისათვის გაეტანებიათ. მზვერავი რაზმი უკანვე გაბრუნდა და ეს გარემოება პოლკოვნიკ გედევანიშვილს შეატყობინა ხიდამდე შვიდი კილომეტრი იქნებოდა და პოლკოვნიკი ბრძოლით დაკავებულ სოფელში — სარბევში შეჩერდა იმ განზრახვ თ, რომ ხიდზე ფიცარი დაეგო, ჯარი ყვირილაზე გადაეყვანა და ასე შესდგომოდა აჯანყებული სოფლების დამორჩილებას.

რევოლუციური შტაბი, ვანო მახათაძის, ნიკო გოცირიძის, კირილე მეძმარიაშვილისა და მიხა-ფრუიძის შემადგენლობით, სოფელ ქონგურაში ჩავიდა.

გლეხები და ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები, თითქო ღრეობააო, ისე დამსხდარიყვნენ ჯარ-ჯარად სკოლის ეზოში, კაკლის ხის ქვეშ. ზოგს ფეხზე გაეძრო, ზოგი მჭადსა და ყველს შეექცეოდა, თეთუნს სწევდა და ომიდან დაბრუნებულ ჯარისკაცებს უსმენდა. გლეხები წამოდგნენ და ვანოს მიესალმნენ.

გალაქტიონ გელაშვილს და რაჟდენ ტურიაშვილს გაუგზავნიათ მცირე რაზმი, რომელსაც ციხისთავის ხეობაში შემოსასვლელი გზა დაუჭერია. მთაზე, საფარში, მიხა ფრუიძის მიერ ჭიათურიდან ჩამოტანილი ტყვიამფრქვევი დაუდგამთ. ტყვიამფრქვევი ყოფილი ჯარისკაცისათვის, გიორგი

აბესაძისათვის ჩაუბარებიათ. მახათაძე კმაყოფილი დარჩა რევოლუციური შტაბის წევრის გელაშვილის მოხსენებით და მებრძოლებს გადახედა. ერთს შაშხანა გამოართვა, საკეტი გამოაძრო, ლულაში გაიხედა. ცუდად უვლიო, შენიშნა და მერმე შორი მანძილისთვის მიზანში ამოღება აუხსნა.

— კაცს თუ თვალი მივატანე, არ დავაცილებ, — დაიტრაბახა გლეხმა.

— შაშხანა სანადირო თოფი კი არაა, ას საფანტში რომ ერთი მოარტყა, — დასცინა ჯარისკაცმა.

— ჯავრი ნუ გაქვს, ამხანაგო, ბერდანითაც მინადირია საირმეზე. — მიუგო გლეხმა.

— ამას რა დაემართა? — იკითხა ნიკო გოცირიძემ და მიწაზე მჯდომ ჯარისკაცს დახედა ფეხის იარაზე. გლეხს ჭუსლი გადატყაოდა და ანთება ეკიდებოდა. სულს უბერავდა. კირილემ ჩანთა გახსნა, იოდი წასცხო და ბინტით შეუხვია. ჯარისკაცი დაიჯღანა:

— ოცი ვერსი გამოვიარე ამ დასაწყვავი ჯღანებით და ფეხი დამიშავა...

ვანომ განკარგულება გასცა და კარისმერეთში მობილიზებულ იქნა ბოლშევიკური რაზმისათვის ყველა დილიჟანი, ეტლი და ორთვალა.

წინა დღეს ოცი კილომეტრი გაიარეს ჯარისკაცებმა. ახლა დასვენებული იყვნენ. ომში ნამყოფი ჯარისკაცები სახელდახელოდ ასწავლიდნენ გლეხებს და მუშებს შაშხანის ხმარებას და სამხედრო წყობილებას. დღისით ეზოში იყრიდნენ თავს რაზმელები, ღამით კი სოფელ ჭონგურის გლეხთა ბინებში იძინებდნენ: აივანზე და იატაკზე წვებოდნენ, გარეთ გუშაგებს აყენებდნენ და პაროლიც შემოიღეს. აჯანყებული გლეხები იმედიანად იყვნენ. გვარდიის დამარცხებაზე და ქუთაისის აღებაზე ოცნებობდნენ. კარგ წესრიგსაც იცავდნენ, სოფლის ჭირნახულს და ხილს ხელს არ ახლებდნენ. ვანო, ნიკო და კირილე ჭიათურის და ტყიბულის მუშებში და გლეხებში მიმდინარე ამბებზე საუბრებს ატარებდნენ.

კაკლის ქვეშ ნეურმე გლეხები ისხდნენ: გალაქტიონის მამა გოჯასპირი, რაჟდენის მამა ნესტორი და სხვანი. სოფლელებს თავიანთი ურმებით მოჰქონდათ ხამორისათვის საჭირო მასალა, სურსათი, შტაბის წევრები მეურმეებთან მივიდნენ,

მოლხე წამოწვნენ და სოფლელებთან საუბარი გააბეს. მეურმეები პურს ჭამდნენ. მოხუცმა გოჯასპირმა საგზლად წამოღებული პატარა ტიკჭორიდან ღვინო ჩამოასხა და სავსე ჭიქა ნიკოს მიაწოდა:

— დალიე, გაჭირვებული გლეხკაცობის მშველელი და ჩვენი წინამძღოლი ხარ. ტანი მრთელი გქონდეს და ღმერთმა ბედნიერება ნუ მოგაკლოს.

კირილემ იცოდა აქაური სოფლელების სისუსტე: ღვინის უზომო სმა. მისი აზრით, ღვინო აქაურ ხალხს შრომის უნარს უკარგავდა, ამჩატებდა, გამუდმებულ ქეიფს, უზრუნველ ცხოვრებას, ლაყბობასა და ოხუნჯობას აჩვევდა. ამიტომ გლეხები გააფრთხილა:

— ახლა ბრძოლაში ვართ და ღვინის სმას უნდა ვერიდოთ.

— შე კაი კაცო, ეს რა ღვინის სმაა, — მიუგო ოთხმოცი წლის მოხუცმა გოჯასპირმა.

შეზარხოშებული და გალაჟღაჟებული მეურმეები ღიმილით შესცქეროდნენ კირილეს, ვანოს, ნიკოს და ეტყობოდათ, ღვინის სმის გუნებაზე მოსულიყვნენ. მზად იყვნენ სიმღერაც კი წამოეწყოთ. გოჯასპირმა ყალიონი გამოიღო პირიდან, გააბუ-ბუყა, არყის ხის ქერქისფერი მოღიმარი თვალებით შეხედა კირილეს და უთხრა:

— ღვინო ძარღვში მიდის და მკლავში და მუხლში ძალას გვმატებს. მალე დალიე, ჭიქას ნუ აცდენ, ბაბუა!

კირილეს გაეცინა და ჰკითხა:

— რამდენი შეგიძლია, გოჯასპირ, ქეიფში დალიო?

— ქეიფს გააჩნია. გაბმულ ქეიფში ბევრი დაძილევია, — მიუგო გოჯასპირმა. ვეება ხელისგული გადაისვა თეთრ წვერზე.

დალეულმა ბერიკაცმა — მეურმემ მუხლში წაატანა ხელი და ყველის ვაჭარივით ჩაიხითხითა:

— გაბმულ ქეიფში ერთ ჩაფხე მეტს დალევს გოჯასპირი.

ნიკო გოცირძე დააკვირდა ათას კაცში გამოსარჩევ მოხუცს და ახლა მან ჰკითხა:

— რამდენი შვილი გყავს, ბაბუა გოჯასპირ?

— ათი მყავდა. ახლა შვიდი ქალ-ვაჟი დამრჩა.

— აუ! — დაიძახა კირილემ.

გოჯასპირმა ჯუჯა, ნაყვავილარ სტუდენტს გადახედა და ჰკითხა:

— რა გაგიკვირდა! შენ რამდენი შვილი გყავს, ბიძია?

— მე ცოლი არა მყავს და შვილი საიდან მეყოლება? — მიუგო დარცხვენილმა კირილემ.

— რა ღმერთი გაგიწყრა მერე, — ჩააგუგუნა გოჯასპირმა.

— კარგი ქალი მე არ წამომყვა და არც მთლად გლახა მინდა, ბაბუა გოჯასპირ, — გაეხუმრა კირილე.

— შე დალოცვილო, ყველაზე ლამაზ და პირველ ქალს შენ ვინ გამოგატანს! შენი ტოლი ეძიე, იმას მოკიდე ხელი და ის შეირთე, ბიძია, — დაარიგა ჭკუა გოჯასპირმა.

ვანომ და ჯარისკაცებმა გულიანად გაიცინეს.

ვანომ ქონგურაში საველე ტელეფონი დადგა. ჯარისკაცები შეარჩია და ციხისთავის კარზე დაბანაკებულ რაზმისკენ უბრძანა მავთულის გაყვანა. ერთი საველე ტელეფონი ეტლში ჩადგა და კირილესთან და მიხა ფრუიძესთან ერთად გაეშურა ციხისთავის კარისაკენ.

რაზმს მაღალი და მოხერხებული ადგილი დაეჭირა, ხელისგულივით მოჩანდა ყვირილას ხიდი და ველიდან მოშავალი გზა. გიორგი აბესაძე დაწვა. ტყვიამფრქვევი გამართა, ხიდს დაუმიზნა და დაიკვეხა:

— არც ერთ კაცს არ გავატარებ ხიდზე.

ჯარისკაცები ტელეფონის მავთულების გაყვანას მორჩნენ და ქონგურა ციხისთავის კარს შეუერთეს.

2

ღამე იყო. მთის კალთაზე შეფენილ სოფელ ქონგურას ეძინა. ვარსკვლავები თითქო უფრო დიდი ჩანდნენ მთიდან და ცაზე უცნაურად კაშკაშებდნენ. ღობესთან მუხის მორები ეწყო. ვანო ზედ ჩამოჯდა. მას ნიკომ, კირილემ, მიხა ფრუიძემ, გალაქტიონმა და რაჟდენმა მიბაძეს, ისინიც მორებზე ჩამოსხდნენ და ამ ღამით რევოლუციური შტაბის სხდომა გაიმართა. ითათბირეს, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ბოლშევიკური რაზმის საომარი მოქმედება. ნიკომ კუშტი სახით დაიწყო:

— გვარდია ყოველნაირად შეეცდება ხელთ იგდოს ხიდი,

შეეცდება არ გაუშვას ჩვენი რაზმი ხეობიდან ველზე. გარდა ამისა, გვარდიის ერთ ნაწილს შეუძლია სუოგიდახ შეძოჭლა და მაშინ ციხისთავის კარიდან და ზურგიდან გზაგადაჭრილნი ამ ვიწრო ხეობაში მოვემწყვდევით და ჩვენი დამარცხება ადვილი იქნება.

ეს გარემოება აწუხებდა ვანოსაც და ეს შეადგენდა მის მთავარ საზრუნავს. გალაქტიონმა და რაჟდენმა ერთმანეთს გადახედეს. თავი ჩაღუნეს, მაგრამ გვარდიის მოსალოდნელ და შესაძლებელ მოქმედებას ვანომ თავისი საბრძოლო გეგმა დაუპირისპირა. აჯანყებულ გლეხთა რევოლუციური რაზმი ოთხას ორმოცდაათი კაცისაგან შედგებოდა. ციხისთავის კარს ორმოცდაათი ჯარისკაცი იცავდა. ვანომ გადაწყვიტა 200 კაცის დატოვება ქონგურაში ციხისთავის კარზე მისაშველებლად, ხოლო დანარჩენი უნდოდა ორად გაეყო და მარჯვენა-მარცხენა ფრთებზე გაეგზავნა მაღლობების დასაჭერად და ხეობაზე ზურგიდან მოსალოდნელი თავდასხმის უზრუნველსაყოფად. შტაბმა ვანოს გეგმა მიიღო. მერმე ყველანი წავიდნენ, ხოლო კირილე ვანოსთან დარჩა, მორზე დაწვა და დაღლილს მალე ძილი მოეკიდა.

ირგვლივ ეზოში და სახლის აივანზე ეძინათ აგრეთვე ჯარისკაცებს.

ვანომ კირილეს გადახედა და მალე ისიც მორზე გაიშოტა. თაკჭვეშ ამოიდო ხელები და თვალები დახუჭა, მაგრამ ისევ უეცრად გაახილა. დიდრონი ვარსკვლავებით მოჭედილ ცას მიაშტერდა და ასეთმა ფიქრმა წაიღო:

„ნეტავ რა ამბავია სამეგრელოში და აფხაზეთში? ჩვენებს ზუგდიდი და სოხუმი აუღიათ. თუ ჩვენი რაზმის ბრძოლა გამარჯვებით დასრულდა, მთელი ზემო იმერეთი აღსდგება და მაშინ ორი მიმართულებით შევუტევთ ჭუთაისს: სამეგრელოდან და ზემო იმერეთიდან. ჭუთაისის აღების შემდეგ მთელ დასავლეთ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება გაიმარჯვებს“.

სასიმინდესთან დაყირავებული ურმების იქით რამდენჯერმე გაისმა კაცის ქშენის მსგავსი ხმა. ღამეში ვერ შეაჩნია ვანომ ვინ იყო. ადგა, ურმის ბჭალს წაავლო ხელი და გადაიხედა. ხარები იწვნენ და ნელა იშმუშნებოდნენ მუშაობისაგან დაქანცულნი. აბრიალებული თვალებით შეხედეს ვა-

ნოს და ისე მძლავრად ამოიხვნეშეს ამ უჩქამო ღამეში, თით-ქოს ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა ტანჯვა და ვაება აღმოხ-დათო. ასეთი აზრი ამოიკითხა ვანომ ჭკვიანი პირუტყვების ხვნეშაში.

ნელა ავიდა აივანზე. მძინარ ჯარისკაცებს დახედა. ეზო-ში ბორიალი დაიწყო, დარაჯი ინახულა და როდესაც ნაშუა-ღამევს მამლებმა ყივილი დაიწყეს, გალაქტიონ გელაშვილი გააღვიძა. განგაში აატეხინა და სკოლის ეზოში გლეხთა რე-ვოლუციური რაზმი შეაკრებინა. რაზმელები შაშხანებით, ჩანთებითა და ფალასკებით მოდიოდნენ.

პირველი ასეულის უფროსი გალაქტიონი იყო, ხოლო მე-ორე ასეულისა — რაჟდენ ტურიაშვილი. რაზმის დაწყობას და დალაგებას დიდი დრო დასჭირდა. პირველ ასეულს მარჯ-ვენა ფრთის მაღლობები უნდა დაეჭირა, ხოლო მეორეს — მარცხენა. ვანო გამოემშვიდობა გალაქტიონს, რაჟდენს და გამარჯვება უსურვა. ხევის პირას მიმავალი გზა რაზმელებით გაიჭედა. სიჩუმეში ფეხის ხმა, ხელა და სურსათით დატვირ-თული ურმის ჭრიალიღა ისმოდა.

გათენებამდე უნდა მომხდარიყო რაზმელების გადაჯგუ-ფება და ასეულებისათვის მიჩენილი ადგილების დაკავება. აქედან უზრუნველჰყოფდნენ ისინი მარჯვენა და მარცხენა ფრთას. თუ გვარდია ზურგიდან დააპირებდა შემოტევას, გა-ლაქტიონი და რაჟდენი შებრუნდებოდნენ, მაღლობებიდან იწყებდნენ სვლას, გზას გადაუჭრიდნენ მტერს და ქონგურაში დატოვებული მარქაფიც მიეშველებოდათ. ამის შემდეგ ვა-ნომ, ნიკომ და კირილემ წაიძინეს, მაგრამ დილის 5 საათზე ტელეფონის ზუზუნი ატყდა და გიორგი აბესაძემ ცხისთავის კარიდან შეატყობინა ქონგურაში მოთავსებულ შტაბს:

— ხიდს ოცამდე კაცი უახლოვდება. უკან საძი ურემი და ექვსი ცხენოსანი მოჰყვება.

ვანომ გააფრთხილა:

— მიუშვი მდინარემდე და ხიდამდე. დააკვირდით: მზვე-რები გვარდიელები ხომ არ არიან? თუ ხიდის დაცემა და მდინარეზე გადმოსვლა დააპირონ, ცეცხლი გაუხსენით...

— არის! — ბიეგო აბესაძემ.

ბახათაძემ ჩასთვლიმა, მაგრამ რამდენიმე წუთის მერე ისევ ტელეფონის ხარი გაისმა:

— მხედრები გვარდიელები არიან. სარბევიდან მოერეკებიან გლეხებს, ალბათ, ხიდის დასაგებად, ურმებზე ფიცრებია. ვიწყებ ცეცხლის გახსნას.

— მხოლოდ არა ტყვიამფრქვევიდან, გააფრთხილა მახათაძემ. — ტყვიამფრქვევის არსებობა მტერმა ჯერ არ უნდა იცოდეს.

ციხისთავის კარიდან შაშხანამ დაიგრიალა. გრიალი მთიდან მთაზე გადავიდა. შეკრთნენ ხიდზე მომუშავე გლეხები. მთას გაჰხედეს და მერმე ისევ დაიწყეს მუშაობა. კიდევ გავარდა ზედიზედ შაშხანა. გიორგი აბესაძემ კარაბინი დაუმიზნა მხედარს. გაისროლა. ცხენი ყალყზე დადგა. უმოწყალოდ დაიწყო თავის ქნევა, თითქოს წელკავი დაეძგერაო და მიწაზე დავარდა. დანარჩენი მხედრები გაიქცნენ. ცხენები თხრილში ჩააყენეს და ციხისთავის კარისკენ დაიწყეს სროლა. მთიდან ხუთი შაშხანა უპასუხებდა: გლეხებმა ურემი მოაბრუნეს და ბუჩქების უკან საფარში დააყენეს. გვარდიელმა ყვირილი ატეხა: სად მიდიხართ, უკან, დააგეთ ფიცარიო. შეშინებული გლეხები ისევ გამობრუნდნენ ხიდისაკენ. თხრილიდან უფრო გულდაგულ ასტეხეს ახლა სროლა გვარდიელებმა. მაგრამ ხიდზე ერთი გლეხი დაეცა. მკლავში დაიჭრა. და ყველანი უკანვე გაიქცნენ. მათსა და გვარდიელებს შორის საშინელი ყაყანი ატყდა.

გათენდა. მთიდან ერთი რაზმელი კისრისტეხით გამოქცა აბესაძისაკენ.

— გიორგი, გამატანე ხუთი კაცი. ჩემი საფარიდან ხელჩასვლევით ჩანან თხრილში ჩაჯდარი გვარდიელები და ყველას დაგხოცავთ.

ყვირილზე გადამდგარ კლდიდან განუწყვეტელი სროლა გაჩაღდა, ტყვია მიწას თხრიდა. მიწა და მტვერი თავზე ეყრებოდათ გვარდიელებს. გვარდიელები წამოცვივდნენ, ცხენებს მოასტნენ და მახლობელ ტყეს მიაშურეს ჭენებით, მაგრამ ერთი უმალვე დაემხო ცხენს და მეორე კი ხურჯინივით გადაეკიდა უნაგირზე.

ხიდის დაგების პირველი ცდა ასეთი მარცხით დასრულდა.

ვანო მახათაძემ, ნიკო გოცირიძემ და კირილე მეჭმარიაშვილმა ქონგურაში მიხა ფრუიძე დატოვეს, ციხისთავის კარს

ავიდნენ და რაზმს ძალლობა გაეროუცხადეს. [illegible] ველმა შეხვედრამ და ადვილმა გამარჯვებამ რაზმელები აღაფრთოვანა და საომარ განწყობილებაზე დააყენა.

ნიკო მაღლობზე ავიდა, დურბინდი ამოიღო და რიონის ველს და სოფელ სარბევს გაჰხედა, მაგრამ სოფელ სარბევისაკენ მხოლოდ რამდენიმე მხედარი და ურემი მიდიოდა. სხვა არაფერი დაუნახავს. რაზმელები ტყვიამფრქვევს დაეხვივნენ, სინჯავდნენ და ათვალიერებდნენ. გიორგი აბესაძე ისევ თავმომწონედ იდგა, თითქოს მისი ტყვიამფრქვევი მძიმე ქალიბის ზარბაზანი ან ტანკი ყოფილიყოს.

— ბრძოლაში არაფერი სჯობია ამ დასაწვავს, — თქვა და მოჰყვა კარპატებში ბრძოლის ამბავს... სწუხდა, დიდი ბრძოლისთვის ლენტები რომ არ ეყოფოდა.

ამ დროს ქონგურადან ფრუიძის მიერ გამოგზავნილი ურმები ამოვიდნენ სურსათით, ვაზნებით და რაზმელებს დაურიგეს. ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დამთავრებული პურის ჭამა, როცა ზარბაზანმა დაიგრიალა.

— ბატარეაც გამოუგზავნიათ, — უთხრა ნიკო გოცირიძეშ კირილეს.

ისევ გავარდა ზარბაზანი და კირილე წამოვარდა. რაზმელები ჩაესაფრნენ. მათ ყოფილი ჯარისკაცი ფარნა კვესიტაძე ხელმძღვანელობდა, ფარგასავით გამხდარი, მაგრამ სწრაფი და უშიშარი კაცი.

— ადგილებზე, მალე! — გააბა მან ისეთი ცივი, მრისხანე ხმითა და სახით, თითქო დივიზიას გასძახაო. მასაც ნავანი და მოკლე კარაბინი ეკიდა, გალაქტიონის, რაჟდენისა და გიორგი აბესაძის მსგავსად.

ვანო მაღლობზე ავიდა და ისევ დურბინდი მოიმარჯვა. მან ყვირილასაკენ მიმავალი გვარდიელები შენიშნა. შორს, ჯაგებსა და ბუჩქებში, ცეცხლის ალმა ზედიზედ გაიელვა, თითქოს გავარვარებული ღუმელის კარი გამოაღეს და იქვე მიჰხურესო. ამის შემდეგ მალე მოაღწია ზარბაზნების გრიალმა. ყუმბარები რაზმელების თავზე მიფრინავდნენ და მათ უკან ამართულ მთის მწვერვალზე ფეთქდებოდნენ.

— საარტილერიო მზადებაა. მერმე შეტევაზე წამოვლენ. — უთხრა ნიკომ გიორგი აბესაძეს.

— ამ ხიდთან და მის არემარესთან არავის გავაჭაჭანებ —

უპასუხა გიორგიმ და დასძინა: — მდინარე დაბლა ფონში თუ არ გადალახეს.

ვანომ ტელეფონის მილი აიღო და ქონგურადან ფრუიძე გამოიძახა.

— სასწრაფოდ მომაშველე ორმოცდაათი კაცი.

გვარდიელები ორ ჯგუფად გაიყვნენ. ერთი ხიდისაკენ წამოვიდა, მეორე კი ფონისაკენ გაეშურა, ისე, როგორც გიორგი აბესაძე მოელოდა.

ნიკომ მარჯვნივ, ყვირილას ფონზე გადამდგარ მაღლობზე გაგზავნა რაზმელები და უფროსად ყოფილი ჯარისკაცი დაუნიშნა. აბესაძემ პოზიცია გამოიცვალა. ხიდსა და ფონს შუა მოთავსდა, ისე, რომ ორივე მიზანში ამოიღო. გვარდიელები ველზე გავიდნენ, ჯაგებსა და დაბალ ტყეს შეაფარეს თავი და სათითაოდ დაიწყეს მდინარისაკენ გადარბენა. ასე მიუახლოვდნენ ისინი ხიდსა და ფონს. ჯერ კანტრკუნტად დაიწყეს მთისკენ სროლა და მერმე მოუხშირეს. ციხისთავის კარიდან რაზმელებმა უპასუხეს. ბრძოლა დაიწყო.

მარჯვნივ გაგზავნილ ორმოცდაათ რაზმელს ჯერ კიდევ არ მიეღწია დანიშნულ მაღლობამდე, როცა ათი გვარდიელი წამოდგა, ყვირილასკენ გაიქცა და მდინარეზე უხიფათოდ გადავიდა. გიორგი აბესაძე აენთო: ალბათ, რაზმი ჯერ არ ასულა მაღლობზეო. როცა მდინარეზე გადასვლით გათამამებული გვარდიელების მთელი ჯგუფი წამოდგა და შუა მდინარეს ისე მიაღწია, რომ რაზმელთა ერთი შაშხანაც არ გავარდა. აბესაძემ ვეღარ მოითმინა და ტყვიამფრქვევი აამუშავა. ხოშკაკალივით ეცემოდა წყლის ზედაპირზე ტყვია და წყალში შესულთ შხეფებს ასხურებდა. გვარდიელები უკუიქცნენ, მაგრამ ნაპირისათვის ბევრს აღარ მიუღწევია. ზოგის გვამი მდინარეს მიჰქონდა, ზოგიც წყლიდან ამოდიოდა, მუცლით მიხოხავდა ქვიშიან ნაპირზე და ბუჩქებს ეკიდებოდა. ტყვიამფრქვევი დადუმდა და როცა დახოცილთა უკან ჯაგებში ჩასაფრებულმა გვარდიელებმა სროლა ასტეხეს, მათ უპასუხეს მაღლობზე ასულმა რაზმელებმა. ამის შემდეგ აღარავის გაუბედნია მდინარეზე გადასვლა, ხოლო ნაპირს გასული ათი გვარდიელი მთის ძირს ეფარებოდა.

რაზმელთა ტყვიამფრქვევი მოულოდნელი იყო ათასეუ-

ლის უფროსის გედევანიშვილისათვის. იგი განრისხდა და ბატარეის უფროსს, სერგო ხიდაშელს უბრძანა, დაეშინა ყუმბარები ფონის თავზე ამართული მაღლობისა და მახლობელ მიდამოებისათვის. ხიდაშელმა გადაწყვიტა ტყვიამფრქვევის მოძებნა და მასზე მომუშავეთა განადგურება. ამიტომ მოუთმენლად ელოდა იგი, თუ საიდან ასტეხდა სროლას ტყვიამფრქვევი, რომ ის ადგილი დაეხსომებინა და ცეცხლით გაენადგურებინა. ნახევარ საათს ისროდა ბატარეა. ამ განუწყვეტელი ცეცხლის დროს გვარდიელებმა ისევ სცადეს რამდენიმე ადგილას მდინარეზე გასვლა. ცეცხლისაგან გადარჩენილი ტყვიამფრქვევი კვლავ ამუშავდა. გვარდიელები დიდძალი ზარალით კვლავ უკუიქცნენ. მაგრამ ხიდაშელმა დაიხსომა ის ადგილი, საიდანაც ტყვიამფრქვევი მუშაობდა და ოთხივე ზარბაზნის ჯვარედინი ცეცხლით დაჰფარა იგი.

ბატარეა უებრად მუშაობდა და ჭარიშხალს აყენებდა. ყუმბარის ნამსხვრევმა მარცხენა ფეხი დაუშავა ვიორგი აბესაძეს. მან ხელი წაავლო ტყვიამფრქვევს და ხევში ჩააგორა. სისხლით შეღებილ შარვალზე დაიხედა და ჩექმის გახდა დაიწყო. ამ დროს ფერშალი ამოვიდა და ჭრილობა შეუხვია.

— ჩექმის ყელს რომ არ ეშველნა, ნაძახვრევი ძვალს დაგილეწავდა, — უთხრა კირილემ.

აბესაძემ ჩექმას დაგლეჯილი ყელი გადასჭრა, უყელოდ წამოიგო დაჭრილ ფეხზე და ამხანაგს უთხრა:

— ამატანინე ტყვიამფრქვევი იმ მთაზე.

მარცხის შემდეგ გვარდიელებმა თავი გაანებეს მდინარეზე გადასვლას და უფრო ქვევით შეუდგნენ ფონის ძებნას, იქ სადაც მდინარე უფრო დაწორებულია მთას.

3

მეორე დღეს, ნაშუადღევის ოთხ საათზე, ზარბაზნებმა ისევ დაიგრიალეს. ნიკო გოცირიძემ შენიშნა დაბლაფონისაკენ გვარდიელების სვლა. პოლკოვნიკ გედევანიშვილს სურდა რაზმელთა ყურადღების შეჩერება ზედა ფონზე და ხიდზე, ხოლო მთავარი ძალებით ქვედა ფონით გადასვლა. ვანო მიუხვდა განზრახვას და ტელეფონით გადასცა ქონგურაში ფრუიძეს, შეეტყობინებინა ცხენოსანი რაზმელის საშუალებით

გალაქტიონ გელაშვილისათვის, რათა ეს უკანასკნელი ქვედა ფონისაკენ წასულიყო.

გალაქტიონი დროზე მივიდა და გაშალა თავისი ასეული მაღლობზე. გვარდიელები არ ჩქარობდნენ ქვედა ფონით გადასვლას.

ქონგურასა და საბრძოლო უბანს შორის განუწყვეტლივ დაჰქროდნენ დილიჟნები და ეტლები მოკლულთა, დაჭრილთა, სურსათისა და ტყვია-წამლის გადასაზიდად. ნიკო გოცირიძე გელაშვილისაკენ გაეშურა. გიორგი აბესაძეს მოხერხებული ადგილი აერჩია და არ ანებებდა ჯარისკაცს ტყვიამფრქვევს. შარვალდაკარწახებული, გაბინტული ფეხით და ტუჩებდახეთქილი ამბობდა:

— მე კიდევ ვუჩვენებ მათ სეირს.

გალაქტიონმა ბრძოლის ამბავი გამოჰკითხა ნიკოს. სწუხდა, რომ სხვაგან გაგზავნეს თავისი ასეულით და არ მიაღებინეს მონაწილეობა ბრძოლაში. ნიკომ რაზმელები დაათვალიერა და დურბინდში გაიხედა. გვარდიელები ყვირილასთან გროვდებოდნენ. რადგან ყვირილასა და მთებს შორის კარგა დიდი მანძილი იყო, ამიტომ ნიკომ და გალაქტიონმა გადაწყვიტეს ეცლიათ გვარდიელების ერთი ნაწილისათვის მდინარეზე გადმოსვლა და, როდესაც მთავარი ძალები შეიდოდნენ ყვირილაში, მხოლოდ მაშინ გაეჩაღებინათ ცეცხლი და გაენადგურებინათ მდინარის აქეთ, რიყეზე გამოსული და მდინარეში შესული გვარდიელები.

გვარდიელები ყვირილას მიუახლოვდნენ და საშინელი სროლა ატეხეს. სროლა ატეხეს აგრეთვე ზედა ფონზე და ციხისთავის კართან და ამ საერთო ცეცხლის ქვეშ შეტევაზე გადავიდნენ. გაიარეს მდინარე და რიყეს მოეფინენ. ამ უხიფათო გადასვლის შემდეგ მთელი ასეული წამოდგა ფეხზე და ჯარ-ჯარად შევიდა მდინარეში. სწორედ მაშინ დაუშინეს გალაქტიონის რაზმელებმა და აბესაძემ. ტყვიამფრქვევი განადგურებული ეგონა ხიდაშელს. გაოცდა. გვარდიელები ჰვრებებივით სცვიოდნენ რიყეზე, ველზე და მდინარეში. დაჭრილნი შაშხანებს აგდებდნენ. უვნებლად დარჩენილთ ეკიდებოდნენ, წყალში ჰყვინთავდნენ, იძირებოდნენ...

აქ ნოკლულ იქნა ოცამდე გვარდიელი და ორმოცამდე კი დაიჭრა. თუმცა ძალზე გაავებული უშენდა გალაქტიონის ასე-

ულს ახლა ხიდაშელი ყუმბარებს, მტერს მდინარეზე ვადმოსვლა აღარ უცდია.

ზარბაზნები დადუმდნენ. კანტიკუნტად საღამომდე ისმოდა შაშხანის სროლა და მერმე ისიც მიწყდა.

მზე ტყის იქით ჩადიოდა. მისი სხივებით განათებულ ყვირილას ტალღებს წყლის ზედაპირზე აცურებული გვამები მიჰქონდა.

ძმათა სისხლისმღვრელი ომი გრძელდებოდა.

4

მეორე დღეს მხოლოდ შაშხანის სროლა ისმოდა და ასე შორიდან სინჯავდნენ ერთმანეთს სანგრებში ჩასაფრებული მოწინააღმდეგენი. მაგრამ მალე პოლკოვნიკ გედევანიშვილს ქუთაისიდან ქვეითი და ცხენოსანი გვარდიის ნაწილები და კაპიტან ახალაძის საველე ბატარეა ჩამოუვიდა. ახლა პოლკოვნიკს ორი ბატარეა და ათასხუთასი კაცი ჰყავდა. იგი სწორედ ისე მოიქცა, როგორც ნიკო გოცირიძე მოელოდა: ორი გვარდიელი მარჯვენა ფრთის შემოსავლელად გაგზავნა, ორიც მარცხენა ფრთისა.

დილით მათ გალაქტიონ გელაშვილისა და რაჟდენ ტუტრიაშვილის ასეულებს შეუტიეს. რაზმელები თავგამოდებით იბრძოდნენ და არ უთმობდნენ პოზიციებს. მაგრამ დღის ათ საათზე რვა ზარბაზნის გრიალი ატყდა. ციხისთავის კარს, ზედა ფონსა და მახლობელ მწვერვალებს ისევ დაუშინეს ყუმბარები და ქვეითი ჯარი შეტევაზე გადავიდა. მერმე ზარბაზნების გრიალი ერთბაშად შეწყდა და წამით სიჩუმე ჩამოვარდა. ამ სიჩუმეში უცნაური გუგუნი შემოესმათ რაზმელებს. გიორგი აბესაძემ ცას ახედა და დაიძახა:

— თვითმფრინავები მოდიან!

— ალბათ, გერმანელმა ფონ-კრესმა გადაწყვიტა დაეხმაროს ნოე ჟორდანიას, — თქვა ვანო მახათაძემ და ღურბინდი მოიმარჯვა.

— რისთვის ერევიან პირძაღლები ჩვენს საქმეში? — დაიძახა ბრაზით ფარნა კვესიტაძემ.

— დამოუკიდებელ საქართველოს ესწრაფებიან, — ჯანაცხადა მახათაძემ და ყვირილასაკენ მომავალ თვითმფრინა-

ვებს დურბინდით გაჰხედა. ყბის ძვალზე კუნთი ბრაზისაგან შეუთამაშდა.

თვითმფრინავი ციხისთავის კარისაკენ წამოვიდა, დაეშვა და მისი ძრავა საშინლად აგუგუნდა. აქა-იქ გავარდა ცისაკენ დამიზნებული შაშხანა. მაშინვე თვითმფრინავმა რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდო. მთაში ყუმბარის აფეთქების ხმა და გრიალი გაისმა. ერთს მეორე და მესამე თვითმფრინავი მოჰყვა. თავზე გადაუარეს რაზმელებს, მწვერვალებს მოეფარნენ და ისევ გამოჩნდნენ. არწივის მსგავსად გააკეთეს ცაში იარაო და ციხისთავის კარისაკენ და ზედა ფონის მწვერვალისკენ გაემართნენ. კვლავ ჩამოჰყარეს ყუმბარები. მფრინავებს ცუდი ორიენტაცია ჰქონდათ, რადგან ყუმბარები აჯანყებულთა სანგრების მოშორებით ეცემოდნენ. მანქანები აბეზარი გრიალით ევლებოდნენ მწვერვალებს თავზე. მერმე ქუთაისისაკენ აიღეს გეზი, გახელებულ კრაზანისოდენად იქცნენ და მალე შეუმჩნეველ წერტილებად მიიწურნენ.

ისევ აგრიალდნენ ყვირილას ახლოს მოტანილი ზარბაზნები. მათ შაშხანები, ტყვიამფრქვევები წაეშველნენ და გვარდიელები ყვირილაზე გადავიდნენ. ობლად აკაკანდა გიორგი აბესაძის ტყვიამფრქვევი უთანასწორო ბრძოლაში და, სასიკვდილოდ განწირულს, მალე ხმა ჩაუწყდა. ხევში ჩააგორეს გიორგიმ და მისმა ამხანაგებმა, ცხენს აჰკიდეს კურტანზე და ქონგურასაკენ წაიღეს. გვარდიელები იერიშზე გადავიდნენ. ციხისთავის კარი, ზედა ფონი, მწვერვალები დაიკავეს და მტრის ესკადრონი ქონგურასაკენ გაეშურა. მალე ქონგურაც აიღეს საერთო ძალით.

დამარცხებული რაზმელები ტყეში გაიხიზნენ. ვანო, ნიკო, კირილე, მიხა ფრუიძე, გალაქტიონი, რაჟდენი და სამოციოდე რაზმელი ნაქერალაზე გადავიდნენ და აქედან სვანეთს მიაშურეს. დანარჩენები თავიანთ სოფლებში წავიდ-წამოვიღნენ.

აჯანყებულ გლეხთა სახლებს გვარდიელებმა ცეცხლი წაუკიდეს. პოლკოვნიკი გედევანიშვილი მძიმე ძალებით კარისმერეთში ჩავიდა. მეორე დღეს ეკლესიის წინ, მოედანზე, მიტინგი მოეწყო.

ᲐᲜᲢᲘᲜᲐ

მენშევიკებს დიდი შეიარაღებული ძალა გააჩნიათ — არტილერია, ტყვიამფრქვევები, თვითმფრინავები და გლეხთა აჯანყებას ცეცხლითა და მახვილით უსწორდებიან. ისინი სწვავენ სოფლებს, ანგრევენ ხიდებს, მიმართავენ აჯანყებულთა მასობრივ დახვრეტას.

1918 წლის დოკუმენტებიდან

ნათალი ქვისგან აგებულ წმინდა გიორგის ძველ ეკლესიას გარს უვლის ქვიტკირის მაღალი გალავანი. გალავანი თავისი ქონგურებითა და სათოფურებით კარისმერეთის ციხესიმაგრეს წარმოადგენდა ოდესღაც. ახლა კი ამ გაუქმებულ ციხის ჩამონგრეულ კედლებზე სურო გასულა, ლეღვისა და თუთის ხე აღმოცენებულა.

გალავნის ერთ კუთხეში სამრეკლოა აღმართული. ზედ დიდი და პატარა ზარები ჰკიდია. აღდგომა დღეს, როცა ზოსიმე დიაკონი სამრეკლოზე გავიდოდა, დიდი ზარის გაჭიმულ თოკს ფეხს დააბიჯებდა და ოსტატურად დარეკავდა ორივე ხელში დაჭერილი თოკებით ცხრა ზარს, იშვიათი საგალობელი და ჰიმნი ზედაზენამდე ისმოდა.

გალავნის წინ ვეება ქოლგასავით გადაშლილი ცაცხვებია, რომელთა ტანს ოთხი ვაჟკაცის მკლავიც კი ვერ შემოსწვდება. უზარმაზარი ფესვები მიწიდან ამობურცულან და გველებივით დაკლაკნილან. ცაცხვის ქვეშ წარჩინებულთა საფლავებია.

გალავნის გვერდით, ხის პატარა სახლის აივანზე. ხალხი იდგა. წინათ ამ სახლში საეკლესიო სკოლა იყო, ახლა კი მღვდლების დასასვენებელი ოთახი, მთავარდიაკონის, დიაკონისა და ეკლესიის სხვა მსახურთა ბინებია.

მოედნის ბოლოში კარისმერეთის ბაზარი იწყება. მის იქით — თეატრის, სკოლის, საავადმყოფოს, ხახინისა და ფოსტა-ტელეგრაფის შენობები. დღეს ყველა სავაჭრო დაწესებულება დაკეტილი იყო. ქალაქისა და მახლობელი სოფლების ხალხიც ეკლესიის წინ საბურთალო მოედნისკენ მიდიოდა.

მოედანზე დიდძალი ქვეითი და ცხენოსანი ჯარი შეგრო-

ვილიყო ძაიხახითა და ტყვიაძფოქვეკით. წიხ ოფიცრები იდგნენ. გვარდიის თავში მზვერავი რაზმი ჩამწკრივებულიყო. ჩაცმულობის მხრივ გვარდია რეგულარულ ჯარზე ბევრად უკეთ გამოიყურებოდა. რადგან მენშევიკური ხელისუფლება გვარდიას ეყრდნობოდა, ამიტომ ეს უკანასკნელი დიდი უპირატესობით და შეღავათებით სარგებლობდა. უგვანო საქციელისა და ბოროტმოქმედებისათვის იშვიათად რომელიმე გვარდიელი თუ დასჯილა. ეს იცოდნენ ყაჩაღებმა, ქურდბაცაცებმა, თავზეხელაღებულებმა და ამიტომ გვარდიაში შედიოდნენ. ამ ხალხმა ისიც კარგად იცოდა, რომ გვარდიაში შესვლის მერმე მათი ბნელი საქმე მოისპობოდა.

აი ასეთ საეჭვო პირთაგან შედგებოდა მზვერავი რაზმი. მიუხედავად ამისა, ეს ყაჩაღები და სისხლის დამნაშავენი რევოლუციონერებს უწოდებდნენ თავიანთ თავს. კოხტად ეცვათ, თავზე ბუხრის ქუდები ეხურათ, წელზე ვაზნეებით სავსე ფალასკები, ხელით სასროლი ყუმბარები ერტყათ, კარაბინი და კონდახზე დაგებული მაუზერი ეკიდათ. დაბურობილ სოფელს და ქალაქს ყველაზე უფრო სასტიკად სწორედ ისინი არბევდნენ და სძარცვავდნენ. საკმარისი იყო შეგეხედნათ მზვერავი რაზმისათვის, - რომ დარწმუნებულიყავით, როგორი სალხისაგან შედგებოდა იგი მეტწილად. რაზმში იდგნენ ახოვანი, ჯმუხი და მოღუშული ტუღუში; აფაქიძის მწევარივით მაღალკანჭებიანი ნაჭყებია; მუხასავით მაგარი და მკერდგანიერი ტუპია; ჯუჯა კაცი — გონჯა და სხვები. ყველაზე ახოვანი და საშო სახის მჭონე მაინც გრამიტონ ლაბაძე იყო. მას პოლიტიკურ ტერორისტს ეძახდნენ, იდეურ კაცად თვლიდნენ და როგორც გვარდიის ჯარისკაცებს, ისე ოფიცრები თავაზიანად ეკრძალებოდნენ. ეს ის გრამიტონ ლაბაძე იყო, რომელმაც რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში ყაჩაღების ბრბო შეადგინა და თავისი ანგარული მიზნებისათვის „ექსპროპრიაციას" მიჰყო ხელი. მან მილიონერი ანანოვი გაიტაცა და მასში დიდი გამოსასყიდი თანხა დაძრო. ლაბაძის დამწერს ხელისუფალნი დიდ ჯილდოს ჰპირდებოდნენ. მას ცოლად ჰყავდა ნესტორ წერეთლის ლამაზი ასული თამარი. განთქმული ყაჩაღის დასაჭერად ბოქაულ ბაქრაძეს აქეზებდა არა მარტო წებიერებული ჯილდო, არამედ თავადის მზეთუნახავი ქალის ხელში ჩაგდების სურ-

ვილიც. წესრიგისა და კანონების ამ ერთგულმა მცველმა ბოლოს თავის მიზანს მიაღწია. გრამიტონ ლაბაძე გასცა მისმა შორეულმა ნათესავმა უჩა ჭიჭინაძემ, რომლის ბინაშიც მან ერთხელ ღამე გაათია. ბაქრაძე თავისი ჩაფრებით თავს დაესხა და დააპატიმრა ლაბაძე იმ დროს, როდესაც უკანასკნელი ღრმა ძილში იყო. ყაჩაღი ციმბირში გაასახლეს. ბაქრაძემ კი თამარი შეირთო. სამშობლოში ლაბაძე 1917 წელს, რევოლუციის მერმე დაბრუნდა და სახალხო გვარდიაში შევიდა.

აივნის წინ თავადები და აზნაურები იდგნენ. ზედაზნიდან ჩამოსული მემამულე ოტია მდივანი ბედნიერი კაცის მოღიმარი სახით შესცქეროდა ჯარს და ამბობდა:

— ჩვენმა ნაყმევმა უნიფხო გლეხებმა აოხრება მოგვინდომეს, მაგრამ ახლა თვითონვე დაადგათ შავი დღე!

ოტიას მეუღლე ბაბოც ჩამოსულიყო ზედაზნიდან. ტერეზასთან, ვარდოსთან და ნინოსთან იდგა. ისიც მოღიმარი სახით აბრიალებდა შავ თვალებს და მოედნისკენ მომავალ ძმას, დათას გასცქეროდა. დათა ცხენოსან რაზმს მოუძღოდა. მერმე ნოდარ ავალიშვილის მიერ შედგენილი „თავდაცვის რაზმიც“ გამოჩნდა. რაზმში შედიოდნენ: იასონ ჯანჯღავა, ჯამბაზი, ყოფილი ყაჩაღები, მეეტლეები, მიკიტნები, სპეკულანტი ანტუშა და სხვები. ბოლშევიკური რაზმის დამარცხების მერმე დათა და მისი დამსჯელი რაზმი ნოდარ ავალიშვილმა გაანთავისუფლა. ნოდარის ხალხი სოფლად დაძრწოდა, ანიარაღებდა, აპატიმრებდა გლეხებს და ყოფილ ჯარისკაცებს. მოედანზე მოვიდნენ აგრეთვე ნოდარ ავალიშვილის მიერ განთავისუფლებული ყოფილი ბოქაული, ახლა კი კარისმეორეთის მილიციის უფროსი ელიზბარ ბაქრაძე, დათა ყიფიანის თანაშემწე წერეთელი, მათი ამხანაგები — ჩხეიძე, წულუკიძე და გვარდიის შტაბის ინსტრუქტორი ვარლამ ფოფხაძე, ფოფხაძე ყოფილ საეკლესიო სკოლის აივანზე ავიდა, სადაც მენშევიკური მთავრობის რწმუნებული ილია ტრაპაიძე კარისმეორეთის კომისარს იოაკიმე აბულაძეს და ჯარების უფროსებს ესაუბრებოდა.

ელიზბარ ბაქრაძეს მილიცია გამოეყვანა, აივანზე მოზღვავებულ ხალხს უკან აჰევინებდა და წესრიგს ამყარებდა. ჯარსა და ხალხს შორის მოედანზე მოზრდილი მანძილი რჩე-

ბოდა. ელიზბარი ოფიცრის ტანსაცმელში იყო გამოწყობილი. მხოლოდ სამხედრო ნიშნები არა ჰქონდა, ხარისხაყრილ ოფიცერს მოგაგონებდათ. იგი ხშირად იხედებოდა აივნისაკენ, რათა მთავრობის რწმუნებულს დაენახა ოფლში გაწუოული, ჩასუქებული მილიციის უფროსის ერთგულება და საქმიანობა. როცა ელიზბარ ბაქრაძემ ქუდი მოიხადა და ცხვირსახოცით მელოტი, გაპარსული თავი მოიწმინდა, მას უკნაურად დააცქერდა მზვერავი რაზმის ჯარისკაცი გრამიტონ ლაბაძე. ლაბაძემ მეთაურის დაუკითხავად დატოვა ბნელი, მოედანზე გავიდა და ბაქრაძისაკენ გაეშურა. კონდახზე დაგებული მაუზერით მიაბოტებდა ტლუ და ახოვანი ვაჟკაცი. იგი ელიზბართან ახლოს მივიდა, შეჩერდა და აგრესიულად ჰკითხა:

— შენ ელიზბარ ბაქრაძე არ ბრძანდები?

— დიახ! — მოუგო შეშინებულმა მილიციის უფროსმა.

— ყოფილი ბოქაული?

— დიახ, მერე რა გნებავს?

— მე ვერა მცნობ?

— კერა.

— აბა, ახლა მიცნობდე! — წაიძახა ლაბაძემ, მაუზერი გადმოიღო და მკერდში ტყვია დაახალა. ბაქრაძე შეტორტმანდა და მოედანზე ჩაიკეცა. ლაბაძემ ფეხი დააბიჯა და ტყვეებით სულ მთლად დაცხრილა.

სალხს თავზარი დაეცა, ქალებმა და ბავშვებმა წივილკივილი ასტეხეს. ბევრი გაიქცა. ოფიცერმა და ჯარისკაცებმა ლაბაძეს ალყა შემოარტყეს და პოლკოვნიკ გედევანიშვილისაკენ წაიყვანეს. როცა ლაბაძე აივანზე ავიდა, გედევანიშვილი შეშინდა, რევოლვერზე ხელი დაიდო და ისე ჰკითხა:

— ეს რა ჩაიდინე?

— ყოფილი ბოქაული მოვკალი, მეფის ჯაშუში, მტარვალი და გამცემი... — მიუგო ლაბაძემ.

— ვინ მოგცათ თქვენ თვითნებასამართლების მოწყობის უფლება? — გაჯავრდა პოლკოვნიკი.

— მაგ უცხვირპირომ მეფის მთავრობას არა ერთი და ორი კაცი ჩაალპობინა ციხეში და გადაასახლებინა ციმბირში, მეც ციმბირში მიკრა თავი.

— მერე, ჩვენ განა ხალხი არა ვართ? განა ჩვენ სახელმ-

წიფო არა გვაქვს, კანონები?! — გააწყვეტინა სიტყვა პოლკოვნიკმა. — დააპატიმრეთ! — ბრძანა მან.

ლაბაძემ უკან დაიხია. მის სახეზე ყაჩაღივით იელვეს თვალებმა. ხელი მაუზერზე იტაცა და მთავრობის რწმუნებულს, ტრაპაიძეს გასძახა:

— ილია, ხელი მიშვას პოლკოვნიკმა! შენ მაინც ხომ იცი, რატომ მოვკალი ის ძაღლი! ნუ მემუქრება...

მზვერავი რაზმი მოიხსნა, აივანს ალყა შემოარტყა და პოლკოვნიკს ლაბაძე მოსთხოვა. ტრაპაიძემ დაწყნარება ისინი და გედევანიშვილს რაღაც უთხრა. რაზმელები ლაბაძითურთ ისევ შწკრივში ჩადგნენ.

მოედანზე ხალხის ჭოთჭოთი გაისმა. განცვიფრდა კორნელი. ეს რა ამბავია, როგორი ჯარი ჰყოლია მენშევიკებსო?!

— სკანდალია, წარმოუდგენელი სკანდალი... — ღელავდა პოლკოვნიკი იოსებ გედევანიშვილი, — ეს ჯარი კი არა, ყაჩაღთა და ავაზაკთა ბრბოა. — წასჩურჩულა მან კაპიტან ხიდაშელს.

ტრაპაიძემ უთხრა:

— საშწუხარო ამბავი მოხდა, მაგრამ ახლა მაგის გარჩევაში ვერ შევალთ.

ელიზბარ ბაქრაძის გვამი წაიღეს. გაქცეული ხალხი ისევ მორეკეს მიტინგზე.

ტრაპაიძემ, ფოფხაძემ და იოაკიმემ ჯარის უფროსებთან თათბირი გამართეს. მალე არტილერიის ოფიცერი აივნიდან ჩავიდა. ჩია პოლკოვნიკმა გედევანიშვილმა გრძელი, ქერა ულვაში გაისწორა, აივნის მოაჯირზე გადადგა, წარბი აზიდა, ცისფერი თვალები ხალხს მიმოავლო და დიაცებრ გამყივანი ხმით დაიწყო:

— მოქალაქენო! სამხედრო ნაწილების, სახალხო გვარდიის და კარისმერეთის რაიონის მცხოვრებთა მიტინგს განსნილად ვაცხადებ.

გედევანიშვილმა სიტყვა მთავრობის რწმუნებულს ილია ტრაპაიძეს მისცა.

კოსტუმში გამოწყობილი ჩია კაცი აივანზე წამოიჭიმა. ფერმკრთალი, მრისხანე და კუშტი სახე ჰქონდა. დიდხანს იდგა დადუმებული, ხალხს ნუსხავდა მედიდური და სიტყვას არ იწყებდა. ხალხი გაირინდა. იმავ წუთს სულ ახლოს

იგრიალეს ჯარისკაცებმა, ხალხს ზეზეურად გადაუარა ყუმბარებმა და მაღლა, მთის კალთაზე შეფენილ სოფელ ჭიპკონაში ჩავარდა. ხალხი შეშინდა. უფრო გაირინდა. კიდევ იგრიალეს ჯარისკაცებმა. თავხარდაცემული და დადუმებული ხალხი უძრავად იდგა.

— რა საჭიროა უიარაღო ხალხის დაშინება?! რისთვის ისვრიან? — ჰკითხა იონა ჩხეიძემ მთავრობის რწმუნებულს.

— მე ვთხოვე პოლკოვნიკს, — განუმარტა ტრაპაიძემ, — გაეფრთხილებინა წინასწარ ჩვენი არტილერია, რათა მას გაეწროლა რამდენიმე ყუმბარა. ჯარისკაცები კარგ ზეგავლენას ახდენენ ხალხზე...

იონა გაოცდა. გაუკვირდა ხალხისადმი ასეთი აგდებული და ცინიკური მოპყრობა. ზიზღით შეხედა ტრაპაიძეს. აივნიდან ჩამოვიდა და გლეხებში ჩადგა.

— გაჩუმდით და უსმინეთ! ხომ ხედავთ, ამათ ჯარისკაცები და აეროპლანები აქვთ. ბოლშევიკებს კი მარტო უვარგისი თოფები! — ეუბნებოდა გლეხებს ოტია მდივნის მოურავი, ბეგლარი.

გლეხები წრიშითა და მოკრძალებით გასცქეროდნენ ჯარს, აივანზე გადმომდგარ ჩასირმულ და ზიზილპიპილებიან ოფიცრებს, თეთრწვერა დეკანოზს ერასტი მაჭავარიანს, აივნის წინ შეგროვილ თავადებსა და აზნაურებს. ნიკოლოზის დრო მოაგონდათ გლეხებს.

— ...იმისათვის, რომ რეკოლუციის მონაპოვარი შევინარჩუნოთ. — ამბობდა ტრაპაიძე. — და ვიხსნათ ქვეყანა ანარქიისაგან, საჭიროა დემოკრატიული ელემენტები მჭიდროდ შეკავშირდნენ ჩვენი მთავრობის გარშემო. კონტრრევოლუციასთან საბრძოლველად. აჯანყებები, რომლებიც მოაწყეს ბოლშევიკებმა აქა-იქ, მათ შორის თქვენს რაიონში — ეს ღალატია დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ, ეს თანამედროვე ვანდალია. ამიტომ ჩვენ დაუზოგველად ჩავაქრობთ ყოველგვარ ამბოხებას, რომელიც წყალს ასხამს ჩვენი მტრების წისქვილზე. — დემაგოგიითა და მუქარით სავსე თავისი სიტყვა ტრაპაიძემ დაასრულა მოსახლეობისადმი მოწოდებით: დაუყოვნებლივ აღედგინათ წესრიგი და გაეცათ აჯანყების მეთაურები და მონაწილენი.

— თქვენ მოისმინეთ ჩვენი ჯარისკაცების გრიალი? — გა-

იშვიათი თითი ორატორმა იქითკენ, საიდანაც ისინი ჰქუხდნენ, — იცოდეთ, ეს ჩვენი უკანასკნელი გაფრთხილებაა მათთვის, ვისაც რაღაცის იმედი კიდევ აქვს და იარაღი არ დაუყრია. ქვას ქვაზე არ დავტოვებთ ჩვენ იქ, სადაც კრისმერეთის მსგავსი ამბოხება და ანარქია მოხდება.

მერმე პოლკოვნიკმა გედევანიშვილმა აიღო სიტყვა მან გლეხებს მოსთხოვა სამი დღის განმავლობაში ჩაებარებინათ საქონლის, პურისა და სიმინდის ფქვილის განსაზღვრული რაოდენობა.

შედგენილ იქნა სამხედრო-საველე სასამართლო. ვაიწყეს დაპატიმრება, გადასახლება, სოფლების „წმენდა“ კრისმერეთის რაიონს ისევ მოევლინენ ყოფილი ოფიცრები და პოლიციელები მენშევიკური კომისრებისა და მოხელეების სახით. გლეხებს ანაზღაურებინებდნენ თავადაზნაურთათვის მიყენებულ ზარალს.

დამსჯელი რაზმები სწვავდნენ ურჩ სოფლებს, დაპატიმრებულ გლეხებს აშიშვლებდნენ, აწამებდნენ და გასაარათლების გარეშე ხვრეტდნენ.

— ახლა აღარ აჯანყდებიან, — იკვეხნიდა სოფელ ჭიპიკონიდან ჩამოსული დათა ყიფიანი, — წავიღეთ ყველაფერი, რაც კი ყანაში და ბეღელში მოეპოვებოდათ. არამცთუ პოლშევიკებს, თაგვებსაც კი არაფერი დარჩათ.

ნაწილი მესამე

ისევ აივანი და სალაყბო

ცხოვრება რასელ-სკერზე და ბლუმსბერში მიმდინარეობდა ისე, თითქოს ევროპაში სრულიად არაფერი შეცვლილყოს. ლეიპციგიდან დახეკას არავითარი ცვლილება არ შეუტანია იმ ნაირკერძთა რაოდენობაში, რომელიც მისტერ სემბოს მოჰქონდა ბუფეტიდან. მოკავშირენი საფრანგეთში შეიჭრნენ, მაგრამ ხუთ საათზე სადილისათვის მიჩნეულ ზარს სრულიად იმგვარად რეკდნენ, როგორც ჩვეულებრივ...

თეკერეი

1

ტერეზა, იონა, კორნელი, პლატონი და მაყაშვილები აივანზე ისხდნენ, ჩაის სვამდნენ და ზემოიმერულ ხაჭაპურებს შეექცეოდნენ. ვარდოს ძალიან მოსწონდა ხაჭაპური.

— როგორ აკეთებ, — მასწავლე, — შეეხვეწა ტერეზას.

— რთველის შემდეგ თბილისში ჩამოვალ, — მიუგო ტერეზამ, — პურის ფქვილი და უმარილო ყველი თუ ვიშოვე, ხაჭაპურს არ მოგაკლებთ.

— ფქვილსა და ყველს როგორ კერ ვიშოვით?

— თქვენებური ყველი არ გამოდგება, ჩვენებური უმარილო ყველი უნდა.

— ბაზარზე იმერეთიდან ჩამოტანილ უმარილო ყველს, ქათამსა და სამტრედიის გოჭსაც ვიშოვით.

— ვერ წარმოიდგენთ, ქალბატონო ტერეზა, რამდენად სჯობია იმერული ქათამი და გოჭი კახურს, — ჩაერია ქალთა საუბარში ჭამა-სმის მოყვარული ესტატე.

— თქვენ ქერს აშმევთ ფრინველს, ჩვენ კი სიმინდს და იმიტომ სჯობია, ბატონო ესტატე!

— ვითომ ეგ არი მიზეზი?

— რა თქმა უნდა! სასუქ ინდოურს ჩვენ ცალკე ვამწყვდევთ, ჭადის ცომს და ნიგოზს ვაყლაპებთ და ძალით ვატენით პირში. ისეთნაირად გასუქებული ინდოური მინახავს: ცარიელი ქონი ყოფილა. აი, ასეთი ინდოურის საცივი უნდა ნახოთ როგორია, — აუხსნა ტერეზამ ესტატეს.

— განა მარტოკა საცივი! შეკაზმისა და საჭამადის ხარვ. აღმოსავლეთი საქართველო ვერ შეედრება დასავლეთს, — შენიშნა ესტატემ და ნერწყვი გადაყლაპა.

— რატომ? განა ხინკალი და ბოზბაში ნაკლები საჭმელია? — არ დაეთანხმა ვარდო, მასაც ნერწყვი მოადგა და მსუქანი ტუჩები ვარდისფერი ენით გაილოკა.

— ლუარსაბივით არ გავჭირვეულდები, მაგრამ, მე მკონი, ხინკალს მაინც საცივი სჯობია, ჩემო ვარდოჯან!

— ხინკალს გააჩნია, — შეედავა ვარდო. — თუშური ხინკალი არ გიჭამია? განა არ გახსოვს, დედაჩემი როგორ ხინკალს აკეთებდა? დედაჩემის ხინკალი თვით ილია ჭავჭავაძეს უჭამია თელავში და აღტაცებით უთქვამს: უკეთესი არსად მინახავს და არც მიჭამიაო. მე თვითონ მახსოვს, დაჯდებოდა და სიცილით ეტყოდა ხოლმე დედაჩემს: დღეში ოთხმოცი ცალი ხინკალი უნდა შევჭამოო.

— ილია გინახავთ, ქალბატონო ვარდო? — ჰკითხა ილიას მათაყვანებელმა იონამ ვარდოს. უცნობი წვრილმანი — ილიას მიერ ხინკალის სიყვარული მხცოვანი მწერლის სხვა ჩვეულებათა და თვისებათა აღნიშვნით შეიცვალა, როველთა ექვველობაში ჩვენ პასუხს არ ვაგებთ.

— როგორ თუ მინახავს? — მიუგო ვარდომ, — ილია ჩვენი ნათესავი, დედაჩემის ბიძაშვილი იყო. ძლიერ უყვარდა ჩვენსა მოსვლა. მახსოვს, ჩვენს დარბაზში ხშირად ითამაშებოდა კარტის თამაში. მამაჩემი მდიდარი თავადი იყო და ნასწავლი კაცი, თბილისიდან ჩამოსდიოდა სტუმრები. ილია მუხლზე დამისვამდა, მეფერებოდა, დედაჩემს ეხვეწებოდა: ვარდოს მშობლიური ენა არ დაავიწყოო.

— ამბობენ, ილია დედაშენს ეარშიყებოდაო! დედაშენი მეტად ლამაზი ქალი იყო, — გაეხუმრა ცოლს ესტატე.

— ნეტა რეებს ამბობ! — იწყინა ვარდომ, — ილია ჩვენს სახლს თუ ეტანებოდა, ეს იმიტომ, რომ დედაჩემი მისი ნათესავი, სტუმართმოყვარე და განათლებული ქალი ბრძანდებოდა, საფრანგეთში ნამყოფი, მწერგნობარი, მოწინავე იდეების მიმდევარი. იგი კარგად იცნობდა ვოლტერს, რუსოს, განმანათლებლებს. თავისუფალი სიყვარულისა და ქალის უფლებების დამცველი იყო და ამის გამო მასთან დავა და უკმაყოფილება ჰქონდა.

რადგან ვარდო დედისა და მამის — თამარ და სანდრო მამაცაშვილების ქებას მოჰყვა, ამიტომ ტერეზამაც გაბედა თავი, თავი არ დააჩაგვრინა ვარდოს და მანაც მოიგონა თავისი მშობლები: ნეტარხსენებული დარეჯან და არჩილ მდივნები.

— დედაჩემი, — განაცხადა მან, — სოლომონ მეფის სარდლის პაპუნა წერეთლის შთამომავალი, მზეთუნახავი და მწიგნობარი ქალი იყო.

წინაპართა და მშობელთა ქება-დიდება, მათი სილამაზის, სიმდიდრისა და გმირობის, სიბრძნისა და სულიერ თვისებათა ზღაპრული გაზვიადება თავადაზნაურთა უკუნებელი სენი იყო. როგორც ჩვენი ქვეყნის ცნობისმაგრეები და უმნიშვნელო კოშკებიც კი თამარ მეფის სახელთან აქის დაკავშირებული, ასევე ყოველი თავადი და აზნაური უთუოდ მეფეთა და წარჩინებულ პირთა შთამომავლად ასაღებდა თავს; ამიტომ გასაკვირი არაა, თუ ვარდო ერეკლე მეფისა და ჩვენი ქვეყნის მხცოვანი მწერლის, ილია ჭავჭავაძის ნათესავი აღმოჩნდა, ტერეზა — სოლომონ მეფისა, ხოლო პლატონ მოგველაძე კი — გაბრიელ ეპისკოპოსისა...

ჩაის შემდეგ აგოიამ ჩხირზე წამოგებული შემწვარი ჭყინტი სიმინდი მოიტანა. ორი ყველაზე დიდი ჩინებული ტარო კი ზურგს უკან დაემალა და კორნელის და ნინოს მისცა: ტერეზამ გაიცინა:

— აგოია კორნელის და ნინოს პარტიაა! ჩვენ ხალხი არა ვართ, ბიჭო?

აგოია შეხტა და გაიქცა. სიმინდს ჭაში ჩაციებული ტკბილი მსხალი მოაყოლა. ნინომ ყუნწი ამოსწია. ყუნწი ტკაცუნით ამოვარდა. ამ დროს ბაღში მალაღურები ჩაფრინდნენ და კორნელის ბაზარში შაშხანის გასროლა მოაგონდა, თავზე რომ ზუზუნით გადაუარა ტყვიამ. მაშინაც ასეთი მზიანი აჭინდი იყო, მყუდრო და მშვიდი. ასე იცხდნენ აივანზე ვარდო, ნინო, ტერეზა, იონა და მალაღურებიც სწორედ ასევე ეცეოდნენ ხის კენწეროებს, მსხალსა და მწიფე კორკიმელს. ასე იყო მოწმენდილი ცის ტატნობი და მაშინაც ასე მშვიდად იდგნენ უდნობი თოვლით გადალესილი შორეული ქედები, თითქო მუზარადი დაუსურავთ თავზე, ცას შეჰკეცლებიან და დაბლა მიწაზე მომხდარი ამბავი, ბრძოლა-ჭიდილი

და პატარა ადამიანთა პატარა ამბები მათ არ შეეხებათო. მოაგონდა კორნელის და მაშინვე სარკოიას მიმართულებით, მთიდან ზარბაზნების გრიალი გაისმა. ტერეზა შეკრთა. დომენტი ხვედელიძე ეზოში გამოვიდა, მთას გაჰხედა და განაცხადა:

— სოფელ მაღალგორას ესვრიან.

— აღარ გათავდა ეს უბედურება, — შენიშნა იონამ.

— ნუთუ ისევ აჯანყებაა? — იყვირეს ქალებმა.

— არა. ეს უკანასკნელი გაბრძოლებაა, მაღალგორასთან საქართველოს საზღვარიც თავდება. — აუხსნა დომენტიმ და უიმედოდ ჩაიქნია ხელი.

ზარბაზნების გრიალი გახშირდა.

მთებიდან დახშული გუგუნი ისმოდა, თითქოს ავდარში გაიარა, ღრუბლები ქედების იქით გადავიდნენ და ჭუხილს შორეული გრიალი მოისმისო.

— წარმოიდგინეთ ასი ზარბაზნიდან ერთად რომ ისროდნენ, როგორი წარღვნა დადგებოდა ამ გარესკნელზე! — განაცხადა პლატონმა. — მსოფლიო ომის მონაწილე ერთმა გერმანელმა ოფიცერმა მიამბო: მაკენზენის ზარბაზნების გრიგალისებური ცეცხლის წინაშე უკუქცეული ჯარისკაცები დღეში სამოც კილომეტრს გარბოდნენ, რის გამო დაბეგვილი საჯდომი დიდხანს სტკიოდათო.

იონამ გადაიხარხარა და პლატონს ჰკითხა:

— საჯდომი რისთვისღა სტკიოდათ?

პლატონი დღეს ცუდ გუნებაზე იყო. შერცხვა, მაგრამ რადგანაც სალონური საუბარი ერთხელვე დაარღვია, ამტომ გაჯიუტდა და იონას მიუგო:

— როცა კაცი სწრაფად და დიდხანს გარბის, ფეხის ქუსლი საჯდომს სცდება.

ახლა უკვე ყველა იცინოდა.

— შე კაცო, რამდენჯერ გავქცეულვართ, მაგრამ საჯდომი არ დაგვიბეგვია. — გაიცინა იონამ. — რა უზრდელობას ლაპარაკობ ამ დილით, ჩვენო ესთეტიკოსო? მე დამცინავ ვაჟბატონი, ციხიკოსიაო! თუმცა ასე სჯობია, ჩემო პლატონ, დროა ციდან დედამიწაზე დაეშვა. დამერწმუნე: საჯდომი ისეთივე აუცილებელი, მნიშვნელოვანი და განუყრელი ნაწილია ჩვენი სხეულისა, როგორც ლოყა, ცხვირი, თვალი...

— თვალის მსგავსი ადამიანს არა გააჩნია რა! — შეედავა პლატონი, — ქვეყანას, რომელსაც ვხედავთ, ვერ აღვიქვამდით და შევიცნობდით უმისოდ. თვალის საშუალებით გადავცემთ ხოლმე ერთმანეთს ჩვენს განცდას, აზრს, სიყვარულის გრძნობას. თვალის საშუალებით ვწვდებით სილამაზეს. გოეთე ერთ თავის ელეგიაში ამბობს: განა ყველაზე უკეთ მაშინ არ ვწვდები სილამაზეს, როდესაც ლამაზი ასულის აღნაგობას თვალხილული ხელით ვსინჯავო!..

— არა, არა, ძმაო, — გაიცინა და იყვირა იონამ, — არც ერთი წესიერი გოგონა არ დაუშვებს, რომ პოეტი თვალხილული ხელით შეეხოს მის სხეულს.

სიცილ-ხარხარი ატყდა.

— რა აუტანელი ხარ, იონა! — იწყინა პლატონმა, — მე ესთეტიკურ საკითხებზე, სილამაზის ცნებაზე მოგახსენებ, შენ კი ყველაფერი ოხუნჯობამდე დაგყავს და ამასხარავებ.

ზარბაზნების გრიალი შეწყდა.

2

— არ გეწყინოს, პლატონ, — განაცხადა მცირე დუმილის მერმე იონამ, — მე განზრახ ვლაპარაკობ ასე. მინდა ციდან დედამიწაზე დაეშვა, სადაც ტალახი, კამეჩის განავალი, ნეხვიც შეგხვდება, მაგრამ იცი, ცხოველთა და ფრინველთა ის ნესვი, სკორე სოფლად მომუშავეებს ხანდახან ოქროს ფასად გვიღირს.

— ვინ მოგახსენათ, რომ მე მიწას გავურბი? პირიქით, მე მიწის სჯულს და მის ძალას ვქადაგებ და არა ევროპის ცივილიზაციას. მე გავექეცი ქალაქს იმისათვის, რომ თავი შევაფარო სოფელს, მიწის პირველყოფილ სინედლეს. ი, თქვენი კულტურა! — დაიძახა პლატონმა და ამ დროს ატეხილ ზარბაზნების გრიალზე შეაჩერა დამსწრეთა ყურადღება. — ხალხი ერთმანეთს ანადგურებს. მე არც ერთი მათგანის მხარეზე არა ვარ, ვინაიდან ისინიც და ესენიც მატერიალური დოვლათის გადალაგებისათვის და განაწილებისათვის ზრუნავენ და ებრძვიან ერთმანეთს და არა ადამიანში უკვე დაკარგული სულის აღდგენისათვის. მე სულ სხვა ყოფას და ხანას შევნატრი.

— მაინც? — ჰკითხა იონამ და პირველად შეატყო პლატონს ჭარბი აგზნება, ახირებული ულოგიკო საუბარი, საწინელი ჯიუტობა და ეწყინა.

პლატონმა კი მთვრალივით შეანათა თვალები და განაგრძო:

— მე შევნატრი უძველეს ხანას, ბედნიერსა და ნეტარს, როდესაც არ იყვნენ ცათამწვდენები, მანქანები, ასფალტი, რკინა-ბეტონი, ოქრო. მიწურში ცხოვრობდნენ, პირველყოფილი კაცით ხნავდნენ ყველასათვის სამყოფ დედამიწას, ხელით რთავდნენ და ქსოვდნენ ცხვრის მატყლისაგან შალს. შვილდისრით ნადირობდნენ. მაშინ მიჯნურობაც და ზნეობაც მაღალი იყო, ქალიც — ჯანსაღი, გულწრფელი, უბრალო და სადა. იგი დიდად განირჩეოდა თანამედროვე ევროპის კულტურით გარყვნილი ქალისაგან, კრეპდეშინებითა და ფაიდეშინებით განებივრებული, სისხლნაკლული, უსაქმო, ანგარებით სავსე, ცბიერი და მოღალატე დიაცისაგან. იმ უძველესი ეპოქის კაცსა და ქალს არ რცხვენოდათ პირველყოფილი სიტიტვლისა, რადგან იგი გულუბრყვილო და წმინდა იყო ისე, ვით ბუნება. ასეთი პირველყოფილი და წმინდა სიტიტვლე ახლავთ სახელგანთქმული ფრანგი მხატვრის პოლ გოგენის ტაიტელ ქალებს, რომლებიც თავიანთ ბუნებრივ ყოფაში წარმტაცად გამოიყურებიან. გოგენის ტაიტელები ახალი მადონები არიან. ევროპის ცივილიზებული ქალის სიტიტვლეს კი უსირცხვილობის ბეჭედი აზის. და თუ ის ლამაზია, უფრო უარესი: მაშინ იგი წყაროა ბოროტებისა და ტანჯვისა, როგორც იგივე გოგენი ამბობს თავის „ნოა-ნოაში“. მაგონდება უიტმანის სიტყვები: „ოხ, გავსწიო იქ, სადაც საკმაო სივრცეა და ჰაერი! განვთავისუფლდე ბორკილებისა და პირობითობისაგან!“ ჩემი ოცნება ფშავ-ხევსურეთი და სვანეთია!

— არა. პატივცემულო პლატონ, თქვენ იქ ვერ გასძლებთ! — არ დაეთანხმა ტერეზა. — ჩვენ ხშირად ვაბრუნებინებდით სვანებს სავენახე მიწას. ნადირთა ტყავის ტყაპლჭებიან, პაჭიჭებიან, ჩიყვიან და ჩულიან სვანებში თქვენ როგორ გასძლებთ!

— გზა მშვიდობისა! ვნახოთ, როგორ გასძლებს კულტურისა და ცივილიზაციის უარმყოფელი ჩვენი გოგენი მთაში, სვანეთისა და ხევსურეთის მადონებში! — განაცხადა იონამ.

— თქვენ სათანადოდ ვერ მიცნობთ მე, იონა. განა ვაჟა არ გაეცნო თქვენს ევროპულ კულტურას და ცივილიზაციას? ეს გაჭირვება ტრაგიკულია მეტად, — მიუგო პლატონმა.

— სწორედ რომ ვთქვათ, — შენიშნა ესტეტმა, — ვაჟა-ფშაველა არა მარტო თავისი წარმოშობით, არამედ თავისი სულიერი ცხოვრების მიხედვითაც ტიპიური ფშაველი იყო, მთის კაცი. ის არ იყო გამსჭვალული იმ კულტურით, რომლის მანკიერებას თქვენ აქ აძაგებდით. ამიტომ მისგან გაქცევა მას არ სჭირდება. ვაჟა იგივ ტიპიური ფშაველი იყო, ფშავთა თვალით ხედავდა, ფშაეთა ყურით ისმენდა და მაინცდამაინც დიდი კულტურა მას არ სჭანჭვდა. მე ვიზიარებ ერთი ჩვენი ნიჭიერი კრიტიკოსის აზრს: „ვერც სემინარიამ, ვერც უნივერსიტეტმა ვერ შესძლო შთაებერა მასში თანამედროვეობის სული. მისი აღქმა და ათვისება დარჩა პრიმიტიული, ხნეობა — საშუალო საუკუნეობრივი. მას არაფერი არ გაეგებოდა ჩვენი უტილიტარიზმისა, არც ჩვენი რაციონალიზმისა, ორთქლის, ელექტრონისა და მანქანების ხანაში იგი თავისი მუზარადით და თავისი რაინდობით წარსულის აჩრდილს მოგვაგონებდა“.

— ვაჟას უკულტუროობა ზღაპარია! — იყვირა, არ დაერიდა პლატონი ესტეტს. — ნუ გავიწყდებათ: იგი პეტერბურგის უნივერსიტეტის მსმენელი იყო, პლატონისა და პლოტინის, კანტისა და კონტის, ნიშცეს და შოპენჰაუერის, შექსპირისა და გოეთეს მცოდნე. მაშ კიდევ რალა ეშმაკს ვეწოდოთ კულტურა? მისი ჩოხა და ფარ-სმალი ისეთივე საცნაურია, როგორც ლეონ ტოლსტოის გლეხური ჩექმა, ხალათი, კავი და ცელი. იგი ფშაველი კაცის სიბრძნით სუნთქავდა. ხოლო ლეონ ტოლსტოი ადამიანის ბედნიერებად სთვლიდა ცივილიზაციისაგან თავის შეფალი რუსი გლეხის სიბრძნეს და პირველყოფილებას. მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ დააღწია თავი ცივილიზაციის დილეტანტურ ეულს.

— ცივილიზაცია გონუხრელი და უცილობელი გზაა მთელი კაცობრიობისა, — ჩაერია კამათში სტეფანე. — ამ გზით მიდიან ყველა ერები, ზოგი ჩქარა, ზოგიც — ნელა. ამიერიდან ჩქარი ნაბიჯით წავლენ ცივილიზაციისაკენ ფშავ-ხევსურებიც, სვანებიც...

— ვინ წაიყვანს მათ? ბოლშევიკები ხომ არა? — ჰკითხა პლატონმა.

— ისტორიული აუცილებლობა წაიყვანს და თუ ამის გამომხატველი ბოლშევიზმია, მაშინ ბოლშევიკები წაიყვანენ, — მიუგო სტეფანემ. ხოლო რაც შეეხება ლევ ტოლსტოის, როძელსაც თქვენ, რატომღაც, ლეონ ტოლსტოის უწოდებთ, და ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედველობას, მათი საკითხი გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე თქვენ გგონიათ... მათი კლასური თუ ფშაური საშუალოსაუკუნეობრივი ტანისამოსი არა გლეხურ სიბრძნეს გამოხატავს, არამედ პატრიარქალურ სოფლის ცხოვრებასთან მათ ორგანულ კავშირს. გლეხის წინდა უბრალოებას ისინი უპირისპირებდნენ ბურჟუაზიის ანგარებას, გაუმაძღარ სიხარბეს, სისაძაგლეს, რომლითაც იგი სოფლურ ყოფას სწამლავდა.

— ეგ პოლიტეკონომიის ქრესტომათიული კურსიდან ამოღებული ფილოსოფიაა... ვიცით, ვიცით ეგ აქბავი...

— ალბათ, არ იცით. რახან ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების უბრალო ახსნა რაღაც მისტიკით გენდათ ჩესცელოთ. ლევ ტოლსტოისა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედება ხალხის ძირებით იკვებებოდა; მაგრამ მათ შემოქმედებაში, ფილოსოფიურ შეხედულებებში აისახა აგრეთვე ახალი ცხოვრების გაგების უმწეობა. იგი იყო გამოძახილი გლეხთა უმწეობისა, ანგარიშმიუცემელი შიშისა მათთვის ტრაგიკული ცხოვრების წინაშე. გლეხები ბატონყმობისაგან გაათავისუფლეს, მაგრამ მიწები კვლავ იმავე მემამულეებისა და სოფლის ბობოლების ხელში დარჩა, მაგრამ სიღატაკეს და შიმშილს, სოფელში მდიდრისა და მევახშის ძალადობას მორწმუნე გლეხი განიცდიდა, როგორც ღვთისაგან მოვლენილ უბედურებას, და ფატალურად ემორჩილებოდა თავის ბედს.

— ეს მორჩილებაც, თუ გნებავთ, ხალხის სიბრძნის გამოხატულებაა.

— დაიცათ, დამამთავრებინეთ ჩემი მოსაზრება, მაშინ დავინახავთ რაში მდგომარეობს ხალხის ჭეშმარიტი სიბრძნე, ფატალიზმი. ბოროტების წინაშე მორჩილება განსაკუთრებით მძაფრად გამოიხატა ლევ ტოლსტოის ნაწარმოებში. ვაჟა-ფშაველა სვამდა თავის ნაწარმოებებში ადამიანისა და ადგილმამულის, ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის, ძველ სა-

ზოგადოებაში ადამიანის ტრაგედიის ღრმა სოციალურ და ფილოსოფიურ პრობლემებს, მაგრამ მანაც ვერ შესძლო გაეგო, თუ როგორ მოესპო ეს ტრაგედია. განა შეიძლება, საერთოდ, მისი მოსპობა? აქედან არის გამოწვეული მის მიერ მთის სათემო წყობილების, მემამულისა და გლეხებისათვისაც ბედნიერი პატრიარქალური ცხოვრების იდეალიზაცია.

— თქვენ თვითონ იგონებთ ტრაგედიებს იმის ასახსნელად, რაც ტოლსტოისა და ვაჟა-ფშაველასათვის სრულიად ნათელი იყო.

— დარწმუნებით ლაპარაკი როდი ნიშნავს ნათლად და გარკვეულად ლაპარაკს. ჭეშმარიტებისაკენ მიიმართება არა სწორი და განუხრელი, არამედ მიხვეულ-მოხვეული და დაბრკოლებებით სავსე გზა.

— ფრთხილად, არ დაეცეთ, მარქსისტებთან ერთად, მაგ გზაზე!

— სხვაზე ცუდათ არც მივლია და არც ვივლი. მაშ ასე, მე ვამთავრებ. ტოლსტოი და ვაჟა-ფშაველა ნამდვილად იდეალებდნენ პატრიარქალურ გლეხურ ცხოვრებას. მაგრამ ისინი სრულიადაც არ იყვნენ ცივილიზაციის მოწინააღმდეგენი. მათი ფილოსოფიის მეორე მხარე გახლავთ — გლეხური რევოლუციის იდეოლოგია. ორივეს მათ მთელის თავისი არსებით ეზიზღებოდათ ძველი წყობილება, ისინი ოცნებობდნენ მის დამხობაზე და ახალი კულტურული ცხოვრების დამკვიდრებაზე.

— თქვენ ისე, როგორც მარქსისტებმა იციან ხოლმე, ცდილობთ დოგმატიკური მოძღვრების ჩარჩოებში ჩასტენოთ ყველაფერი, ხოლო რაც იმ ჩარჩოებში არ თავსდება, მას მისტიკად აცხადებთ... გაბრაზდა პლატონი.

უცბად ისევ ზარბაზნების გრიალი გაისმა. ტერეზამ პრჯვრის წერა დაიწყო.

— აი რეალური ჩარჩოები კლასთა ბრძოლისა, რომლის აშორება არც ერთ ადამიანს არ შეუძლია... განა ეს არის დოგმატიზმი? — შენიშნა სტეფანემ პლატონს.

— ალბათ, ბოლშევიკებმა ისევ მოახერხეს დიდი ძალების შემოკრება, თუკი ასეთ წინააღმდეგობას უწევენ მთავრობის ჯარს, — სასოწარკვეთილი ხმით წარმოსთქვა ესტატემ.

იონა ვერ ისვენებდა. ბაზარში წასვლა და ახალი ამბის

გაგება სურდა. ტერეზა და ვარდო აფრთხილებდნენ, ასეთ დროს შიხ ჯდომა სჯობიაო.

შინ როგორ დავჯდე, როდესაც ასეთი დიდი ამბები ხდებაა?!

მთაში ზარბაზნების გრიალი შეწყდა.

მყუდრო და მშვიდი საღამო დადგა.

სტუმარ-მასპინძელი

...ჩემი აზრით, მამაო, ეს წიგნიც უნდა დაწვათ ცეცხლზე სხვა წიგნებთან ერთად, ვინაიდან შესაძლოა ჩემმა ბიძაშვილმა, სენიორმა, თავის რაინდული სნეულებისაგან განკურნვის შემდეგ ხელი მიჰყოს ლექსების კითხვას, ან თვითონვე გახდეს პოეტი, რაც კიდევ უფრო უარესია, ვინაიდან, ამბობენ, ეგ სენი აბეზარი და განუკურნებელიაო.

სერვანტესი

1

პლატონისათვის სასტუმროში ტახტზე გაეშალათ ლოგინი. სასთუმლის ახლოს, პატარა მაგიდაზე, ლამპა იდგა. პლატონმა ჩემოდანი გახსნა და წიგნები ამოიღო. ძილის წინ კითხვა უყვარდა. ერთზე ეწერა: „Die Welt, als Will und Vorstellung“[1], მეორეზე — „Aesthetik“[2]. პლატონმა პიჯაკი და შარვალი გაიძრო, დაკეცა, ხელით გაასწორა და სკამის ზურგზე სასოებით გადაჰკიდა; მერმე პერანგი და მისი ამხანაგიც გაიძრო. დედაკაცივით სხეული ჰქონდა. გრძელი საღამური პერანგი ჩაიცვა, პერანგის ქვემოთ გამხდარი წვივები გამოუჩნდა. პლატონმა თმაში წაივლო ახლა ხელი და პარიკი მოიძრო. მელოტმა კაცმა თითქო ნიღაბი ჩამოიხსნაო. კათოლიკე მღვდელთა ქუდის მსგავსი ჩაჩი თავზე ჩამოიფხატა, აბრეშუმის საბანი გადასწია, დაწვა, გერმანული წიგნი აიღო ხელში, გადაფურცლა და კითხვა დაიწყო. დაღრეჯილი სახე მსახიობივით დაძაბა, ხაშხაშით მთვრალის მსგავსი თვა-

[1] „ქვეყანა, როგორც ცნება და წარმოდგენა“.

[2] „ესთეტიკა“.

ლები სტრიქონებს მიაპყრო. ცოტა ხნის მერმე კორნელის დაუძახა, წიგნი გადასცა და უთხრა:

— აბა, ამ აბზაცს თუ გადათარგმნით.

კორნელიმ შეუცდომლად გადათარგმნა: „ერთხელ ქრისტე მიდიოდა გზაზე, რომელზედაც მკვდარი ძაღლი ეგდო. ყველამ ზიზღით აუქცია ლეშს გვერდი. მხოლოდ ქრისტემ შეხედა და შეამჩნია მისი მარგალიტივით კრიალა კბილები“. პლატონს გაუკვირდა, შეაქო და ხელოვნების ფილოსოფიაზე ჩამოუგდო საუბარი. კორნელის მასთან საუბრის თავი არა ჰქონდა, მით უმეტეს ფილოსოფიაზე.

— საცნაურია მეტად ქრისტეს მიერ სილამაზის განჭვრეტა ყოველ ქმნილში და სიყვარული ყოველი არსისა. ასეთი ქრისტიანული გაგებით არის დაწერილი ბოდლერის „ლეშ-ი“.

და ამ დამპალ ჩონჩხს, ისე, როგორც ვარდს,
უცქერდა ზეცა ღურჯი ალერსით.

ესთეტიკური ღირებულების რა მაღალ რანგში არის აქ აყვანილი სიმახინჯე, თუმცა, ყოველივე ეს იწილო-ბიწილოს მოიაგონებს, ჩემო კორნელი. ვერც ქრისტეს დიდი სიყვარული და ვერც დოსტოევსკის სიკეთე და სილამაზე იხსნის ადამიანს სიკვდილის შიშისაგან. რელიგია, ფილოსოფია, ხელოვნება, პოლიტიკა, მეცნიერება და ტექნიკა — ვერც ერთი მათგანი ვერ იხსნის ადამიანს და ქვეყანაზე დაღუპვისაგან. იბადებიან აურაცხელი პლანეტები, თავს აღწევენ ვულკანურ ხანას და ცხრებიან. მერმე მათზე ორგანული ცხოვრება ჩნდება და ბოლოს ისევ ბერდებიან ისინი, კვდებიან და უხარშავხარ გაცივებულ მასად იქცევიან. ჩვენი დედამიწის ბედიც ასეთია. ყველაზე უკეთ დაიტირა ეს დედამიწა არტურ რემბომ, რომელიც ჭრაგიკულში ეძიებდა ადამიანის გამოსავალს ამქვეყნად.

და პლატონმა წაიკითხა „მთვრალი ხომალდის“ უკანასკნელი სტროფონები:

უძრავ სივრცეში ხეტიალი — მე მეცოდება
ევროპა თვისი შველობილი ნავსადგურებით.

პლატონი ცდილობდა შეუცნობის წინაშე მისტიკური შიში ჩაენერგა ჭაბუკისათვის. იგი ლაპარაკობდა მიწიერი ცხოვ-

რების ამაოებაზე, კაცობრიობის დაღუპვისა და მსოფლიო კატასტროფის გარდუვალობის შესახებ. ახლა თავი დიდ მოძღვრად, მასწავლებლად წარმოედგინა, კორნელის კი თავის მოწაფედ. სთვლიდა. მაგრამ მოწაფე ისეთი ურჩი აღმოჩნდა, რომ თვითონვე დაიწყო თავისი „მასწავლებლის“ ჭკუის დარიგება:

— მაპატიეთ, — შეაჩერა მან პლატონი, — პირდაპირ, პირუთვნელად უნდა გითხრათ, აი თქვენ ამდენს ლაპარაკობთ რელიგიაზე, ფილოსოფიაზე, ქრისტეზე, მსოფლიოს და ადამიანის განწირულებაზე, ლაპარაკობთ ყველაფერზე, უაღრესად განყენებულ საკითხებზე, მაგრამ რატომ არაფერს არ იტყვით დღევანდელ დღეზე, იმ გრანდიოზულ ამბებზე, რომლებიც ამქვეყნად მიმდინარეობენ? მსოფლიოსა და კაცობრიობის დაღუპვა — ეს ზღაპარია, რომელიც არავის, მათ შორის თქვენც არ გჯერათ! საოცარი ხალხი ხართ დეკადენტები! ნაცვლად იმისა, რომ ცრემლები ღვაროთ მსოფლიოს დაღუპვაზე, კაცობრიობის მომავალ ტრაგედიაზე, უკეთესი იქნებოდა გეფიქრათ თქვენი ქვეყნის ტრაგედიაზე, თქვენს ხალხზე. იცით, რას ჩადიან ჩვენში გერმანელები? იცით, რომ ნური-ფაშა განაგრძობს ჩვენი რკინიგზით საბჭოთა ბაქოში თავისი ჯარების გადაყვანას? იცით, როგორ თავხედობენ და უმსგავსოდ უჭირავთ თავი თბილისშიც კი გერმანელ და თურქ ოფიცრებს? მენშევიკებს აქებენ და ეჭიდებიან მათ თავისი ტყავის გადასარჩენად. მათ კარგად იციან, რომ ერთ საათსაც კი ვერ იბოგინებდნენ თბილისში, თუ არა გერმანელი ჯარები! დღეს გერმანელებს ემსახურებიან, ხვალ კი ვის მიჰყიდიან თავის ხალხს? თქვენ...

პლატონმა არ აცალა კორნელის აზრის დამთავრება და გაოფლიანებით დაესხა თავს:

— აქ ცნობილი იყოს თქვენთვის ჭაბუკო, რომ ჩვენ ომისა და მისნეული სამხედრო პირები და მანეკენები არა ვართ! ჩვენ არც პედაგოგები და არც ქრისტიანული მორალის მქადაგებელი ხუცები გახლავართ, არც პოლიტიკური მოღვაწეები, სოციალისტები და პროპაგანდისტები. ჩვენ პოეტები, მოგვები და ჯადოქრები ვართ. ჩვენთვის არ არსებობს კარგი და ცუდი. ჩვენ არ გვეშინია საშინელებათა ხილვისა, რადგან ცხოვრების სადავე პოეზიის ქურუმების და

ჯადოქრების ხელთ არის. ჩვენ შეგვიძლია ჯოჯოხეთი სამოთხედ ვაქციოთ და პირიქითაც. ჩვენ სხვისი შექება, მოწონება და ხალხის აზრი არ გვაინტერესებს. ერთმა კაცმაც რომ გამიგოს მართებულად ამქვეყნად, მაშინ მე გამართლებული ვარ, როგორც პოეტი თავიდან ბოლომდე, უთუოდ! — იყვირა პლატონმა და ისეთი მისტიკური ჭვრეტით გაისედა განზე, თითქო ტრანსში გადავიდაო.

კორნელის აღარ ეეჭვებოდა ახლა, რომ მის წინაშე არანორმალური ადამიანი იყო. პლატონი ლოგინზე იჯდა. მისი თვალები შეშლილი ადამიანის თვალებივით ბრიალებდნენ. მისი უცნაური ქუდიც მეტად ჰგავდა საგიჟეთში დამწყვდეულთა ქუდს, და კორნელის ეგონა, პერანგის ამარა დარჩენილი პლატონი ტახტზე შეხტებოდა და დაიძახებდა: „ესპანეთში ალმოჩნდა მეფე და იგი მეფე მე ვარო“, მაგრამ პლატონმა, შეშლილის წერილების ნაცვლად, ნიცშეს სიტყვებით დაასრულა თავისი მონოლოგი:

O. Mensch, gib acht:
was sprächt die tiefe Mitternacht!
ich schlief, ich sənlief,
ich bih aus Tiefetraum gedacht![1]

2

ამ დროს ძაღლების ყეფა, ხალხის ყიჟინა ატყდა და ფანჯრები შორეულმა სანძარმა გაანათა. აივანზე გაცვივდნენ. ამოზურთულ წითელ ღრუბლებივით მიჰქროდა მთიდან ბოლი. ფერფლი და აბრიალებული ყავარი. მერმე დამაბრმავებელი სინათლე აციმციმდა. ალი ავარდა, დაიკლაკნა და ცისკენ აღიმართა. ტერეზამ იყვირა:

— ვინ დაიწვა?

— ჯარისკაცის — აბესაძის სახლი დაწვეს იმ დასაქცევმა გვარდიელებმა, — მიუგო ქალბატონს ყოვლისმცოდნე დოშენჯი ხვედელიძემ.

---

[1] ო, სმენად იქეც, ადამიანო,
რას ამბობს უკუნი შუაღამე!
მე მეძინა, მე მეძინა,
მე ღრმა ძილისაგან გაღვიძებული ვარ.

მთიდან ქალების შემზარავი კივილი მოისმა. რაღაც უცნაურად მოხვდა კორნელის გულში ქალების კივილი და პლატონს უთხრა:

— ჩვენ ისე დაშორებული ვართ ცხოვრებას, რომ არ გვესმის ამ ღამის ჭეშმარიტი აზრი, ამჟამად დატრიალებული უბედურების მნიშვნელობა. ჩვენ ბოლშევიკური ანარქიით, ბარბაროსობით გვაშინებენ. ეს რაღაა? აი, რას ამბობს უკუნი ღამე! — გასძახა კორნელიმ პლატონს.

— ამ ღამის მიუწვდომელ აზრთან შედარებით ეს ხანძარი, ადამიანთა გაჭირვება, ტანჯვა, გოდება და ფუსფუსი ამაოებაა მხოლოდ, — შენიშნა პლატონმა.

— ყველაფერი ყირაზე დგება, თქვენ კი — ამაოებააო, გაიძახით!.. კარგი ამაოებაა, თქვენ ნუ მომიკვდებით! — კიდევ მეტის აღელვებით მიუგო კორნელიმ. — რატომ სწვავენ ლარიბთა ქოხებს? არა, მეტის ატანა აღარ შემიძლია! მე იმ დაჩაგრულთა მხარეზე ვარ... და უბედურ ხალხს უნდა მივეშველო...

— ესღა გვაკლდა, — წყენით უთხრა ტერეზამ. ესტატემ ირონიულად გადახედა.

— მე ვფიქრობ, — უთხრა მან, — ბოლშევიკები უთქვენოდაც როგორმე გასძლებენ.

— არა, ხვალვე უნდა ავიდე ზედაზენში. პოლკოვნიკ გედევანიშვილს უნდა მოველაპარაკო. მეტის ატანა, მართლაც, შეუძლებელია. რად აწიოკებენ ხალხს ამრიგად? — ღელავდა იონაც.

— ო, როგორ მომბეზრდა ყოველივე ეს, — გაიაცხადა თავის წილ პლატონმა. — მომბეზრდა დაუსრულებელი ომები, არეულობა, ჯანყი და შფოთი, წუწუნი და ტირილი. ვტოვებ თქვენს ბრძოლის ბანაკს. მართლაც ერთიღა რამ დარჩენია ახლა იშვიათ ადამიანს — თავი შეაფაროს სპილოს ძვლისავან აგებულ კოშკს, რაზედაც ფლობერი იცნებობდა.

— იმ კოშკშიც მოგწვდებიან. მაღლა-მაღლა ნუ დაფრინავ, ჩამოვარდები. — მიაძახა სასტუმროში შესულ პლატონს იონამ.

კორნელიმ იონა აივნის კუთხეში გაიხმო და საიდუმლო გაანდო:

— იონა, ჩემის აზრით, პლატონი სრულ ჭკუაზე არ უნდა იყოს, მე ამის უტყუარი საბუთი მაქვს.

— შენ მართლა გამაგიჟებ ამალამ. რას ამბობ, კორნელი, არ გრცხვენია? როგორ ბრალსა სდებ.

— პლატონი საეჭვო იდეებით არის ჭკუანალრძობი. შედი და ნახე მისი წიგნები...

იონამ გაიღიმა და იყვირა:

— მაჩვენეთ ის დასაწვავი წიგნები!

ბოჯანსკირის აღსასრული

აქ გაიგო, რომ ზარბაზანი გავარდება თუ არა, მახათაზე ერთ კაცს ჩამოახრჩობენო. პეტრეს თავის დღეში არ ენახა ეს ამბავი. „ბევრი ვაი-ვაგლახი მინახავს ჩემს სიცოცხლეში, — თქვა გულში, — მოდი ერთი ესეცა ვნახოო.

ა. ჭავჭავაძე

1

გვარდიელები დაბეგრილ სოფლებში ურმებით დადიოდნენ და ჯარისათვის სურსათ-სანოვაგეს აგროვებდნენ. აჯანყებული გლეხების სახლ-კარს ცეცხლს უკიდებდნენ.

სარკოიაში ას ოცი წლის მოხუცს თეოდე ტურიაშვილსაც მიადგნენ ისინი ბეგარის მისაღებად. თეოდემ კამათი აუტეხა:

— ამდენი ჯარი, ცხენი რანაირად შეინახოს სოფელმა! ღმერთი არ გწამთ?

— უაჩალებს ხომ კარგად ინახავდი, — მიუგო ცხენოსანმა გვარდიელმა და მათრახი გადაუქნია.

თეოდემ წაიფორხილა და ღობის სარს წაავლო ხელი. თითქოს ზედ აყალო მიწისფერი ჩაბალახით თავწაკრული ბებერი კაცი ჩამოეკიდაო. მოაგონდა ბატონი, ტყის კოდვის დროს რომ წაადგა თავზე და თეოდე ბიჭებს გააჯოხინა. ცხენოსანი გვარდიელი ტყის მცველად წარმოიდგინა იმ წუთას, ცულით მკლავი რომ მოათალა თეოდემ და ამისათვის ციხეში აკვრევინეს თავი.

— ას ოცი წლის ბებერს მათრახს მირტყამ, შე წამხდარო! — შეუტია გვარდიელს თეოდემ. დაღუდუდოებული და მოჭუტული თვალები დაახამხამა, ღობეს მიეყუდა ზურგით. ჩანჩხურა ხელებით აღმართა ყავარჯენი და, შემოსაქნევად ღონე რომ აღარ ეყო, გვერდში შუბივით დააძგერა.

— ეს როგორ გამიბედე, შე ბებერო, მისრწინილო ქოფაკო? — გაბრაზდა გვარდიელი და ისევ გადაუჭირა მათრახი, ცხენი მკერდით დააძგერა და თეოდე თოფნაკრავივით მოსწყდა ღობეს, მოცელილივით დაეცა სიპზე საფეთქლით.

— რას შობი, შე ურჯულო, — გაისმა მოხუცი გოჯასპირის ბუხუნი ორღობეში. თეოდეს მივარდა. უნდოდა წამოეყენებინა, მაგრამ მოხუცს უკვე განეტევებინა სული. ორჯერ გაიქნია მხოლოდ ვაზის ძირივით დაღვლარჭნილი და შეშხმარი კანჭები. ქალებმა სიპზე სისხლი დაინახეს და კივილი მორთეს. მეზობლებმა ეზოში შეათრიეს ას ოცი წლის მოხუცი. ამ დროს შემოიჭრა სოფელში ცხენოსან გვარდიელთა რაზმი. წინ ოფიცერი მოუძღოდა. გოჯასპირმა იცნო ოტია მდივნის ცოლის ძმა, დათა ყიფიანი და შეკრთა. დათამ ცხენი შეაჩერა და გოჯასპირი შერისხა:

— ეს შენ მიჯანყებ, ბებერო, სოფელს და მთავრობის ჯარის შენახვაზე ხელს აღებინებ?!

— სოფელს ჩემი აჯანყება რათ უნდა? სოფელს რა გააჩნია, რომ თქვენ მოგცეს? ჩვენ თქვენგან, მთავრობისაგან ველოდით პურისა და სიმინდის შემოტანას და თქვენ ჩვენგან ითხოვთ?! — მიუგო გოჯასპირმა.

დათა ყიფიანი გაბრაზდა:

— რატომ ელოდით? რა დამსახურებისათვის ელოდი, შე უცხვირპირო, მთავრობისაგან შველას და დახმარებას? ოტია მდივნის და ჩვენი მამულების დატაცებისათვის? ყაჩაღი შვილის გამოზრდისათვის? შენი სახლის გადაქცევისათვის ავაზაკების ბუდედ? რატომ ელოდი?! — ყვიროდა ყიფიანი, წარბებს გველივით ატოკებდა და ყოველი სიტყვის დაძახებისას სახეზე მოწოლილი სისხლით ევსებოდა ღერღტსავით გრძელი კისრის ძარღვები. გრჟივით გადმოკარკლულ თვალებზე ცეცხლი ეკიდებოდა.

გოჯასპირმა გაიფიქრა: არც მე დამაყრიან კარგ დღეს ეს კაცი და მისი გვარდიელებიო, მიიხედ-მოიხედა და ღობის-

კენ დაიხია. ყიფიანმა ნაბიჯი გადააგდგმევინა ცხენს მაჩკენ და უხიაკად მიმართა:

— რას ფიქრობდა შენი შტერი შვილი, გალაქტიონი, ჩემი დის სახლში რო ყაჩაღები დამასია უიარაღო კაცს? რას ფიქრობდით, მდივნების ნაყმევო გოჯასპირ და ნიკიფორე ცელაშვილებო, ნესტორ და მარკოზ ტურიაშვილებო, თქვენი ყაჩაღი შვილები რომ არ ჩაქოლეთ? მოთხრა და აოხრება მოგვინდომეთ? რას ფიქრობდით? გათოკეთ! — იყვირა დათა ყიფიანმა.

მაშინვე ხუთი გვარდიელი ეცა უიარაღო გოჯასპირს, მაგრამ მოხუცმა ჯანიანი მხარ-ბეჭი შეარხია, მკლავები გააქნია და ხუთივე აქეთ-იქით მიმოფანტა. გალაქტიონის ცოლმა ასონამ შეჰკივლა. გოჯასპირს გალაქტიონის ბავშვების ტირილი შემოესმა. აიმღვრა მოხუცი. დათა ყიფიანს შეხედა და შესძახა:

— რა ამბავია, ბატონო, ღმერთს შეხედე!

ყიფიანმა ბრაზით გაუყარა თვალი თვალში და ისევ იყვირა: „გათოკეთ!“

გოჯასპირი ღობის სარს სწვდა, მაგრამ იგი მაგრად ჩარჭობილი აღმოჩნდა. უცბად ვერ ამოჰგლიჯა. გვარდიელი მიეპარა, რევოლვერის კონდახი შემოჰკრა თავში და გააბრუა, მერე წაესიენენ, ორღობეში წააქციეს და გათოკეს. ასევე გათოკეს მისი ძმა ნიკიფორე, რაჟდენის მამა ნესტორ ტურიაშვილი, გოჯასპირის შვილები — სევერიანე და ბიჭია.

სოფელში ქალებისა და ბავშვების წივილ-კივილი გაისმა.

გოჯასპირი, რატომღაც, სოფელში დატოვეს. დანარჩენები კი კარისმერეთის საპატიმროსაკენ წაასხეს.

გოჯასპირი ოტია მდივნის მამულის ჭიშკართან გრძელ ტკივზე დასვეს. დათა ყიფიანი ცხენიდან ჩამოვიდა და უთხრა:

— გოჯასპირ, თუ გინდა სიცოცხლე შეინარჩუნო, მითხარი: სად იმალებიან გალაქტიონი და მისი ამხანაგები?

— ამ მთას და ტყეს ხომ ხედავ, ბოლო არ უჩანს, რა ვიცი, — მიუგო მოხუცმა.

დათა გვერდზე მიუჯდა, დაუტკბა:

— სიტყვას გაძლევ, გოჯასპირ, არც ერთს არ დავხვრეტავთ, კარისმერეთიდან გაგასახლებთ მხოლოდ.

დიდი კამათისა და ვაი-ვაგლახის მერმე გოჯასპირი დასთანხმდა:

— მეხსიერება თუ არ მღალატობს... საჩხერის გზით უნდა წასულიყვხენ ოსეთში, — ჩააგუგუნა მოხუცმა. სვანური ქუდი ოთხად მოკეცა და რევოლვერის კონდახით გატეხილ კეფაზე მიიდო.

— თუ ტყუილი მითხარი, საშინელ საქმეს წაგკიდებ! — გააფრთხილა ყიფიანმა.

2

ტყიდან ორი მხედარი — იონა და კორნელი გამოვიდნენ, მდინარე გაიარეს და წისქვილთან შეჩერდნენ. ცრემლმორეულმა მეწისქვილემ, ხარიტონმა სოფელ სარკოიას დარბევა და გვარდიელების მიერ ას ოცი წლის მოხუცის თეოდე ტურიაშვილის მოკვლა უამბო მათ. მხედრები ბნელემთის ალმართს შეუდგნენ.

— რა უბედურებაა! ასე 1905 წელს მეფის ჯალათი, გენერალი ალიხანოვი და მისი კაზაკებიც კი არ აწიოკებდნენ და აოხრებდნენ სოფლებს, — უთხრა იონამ კორნელის.

— არ მეგონა, ადამიანს თუ ასეთი გამხეცება შეეძლო. — შენიშნა კორნელიმ.

— მე მგონია, ზედაზენში დაგვხვდება პოლკოვნიკი გედევანიშვილი. ჩემს გულისწყრომას მოვახსენებ და, ხალხს აწიოკებაზე ხელი თუ არ აიღო, თბილისში ჩავალ და იქ შევარცხვენ ჟორდანიას, — ღელავდა იონა.

ალმართი რომ აიარეს, სოფელი სარკოია გამოჩნდა. კორნელიმ ოტიას მამულის თავში გადაშლილ ბუმბერაზ მუხას გაჰხედა, გაჰხედა და გაშტერდა. ცხენი შეაჩერა და იონას უთხრა:

— იონა, რა ამბავია ეს? შეხედე, მგონი მუხაზე კაცი ჰკიდია!

— ღმერთმა დალახვროს მაგათი თავი და ტანი! მართლაც კაცი ჰკიდია! — იყვირა იონამ.

ცხენები ააჩქარეს. თავხარდაცემული და დარბეული სოფელი სარკოია თითქოს აყრილაო, სახლებისა და ჭოხების კარები გამოკეტილი იყო და ეზოში არავინ ჩანდა. ღლაჯვა-

წყვეტილმა ბებერმა ძაღლმა დაიკეფა მხოლოდ და ერთი ტიტლიკანა ბავშვიღა შევარდა ქოხში და კარები სწრაფად მიიხურა. მხედრებმა სოფელს გვერდი აუქციეს და ოჭია მდივნის მამულისაკენ გასწიეს.

შორს, მაღლობზე, ტოტებდაგრაგნილი, ასწლოვანი მუხა იირხეოდა მონაბერი ქარისაგან და მის უზარმაზარ ტოტზე ჩოხაგახდილი და საცვლებისამარა ჩამოკიდებული ვიღაც მოხუცი ქანაობდა.

— ვინ არის ნეტავ? — იკითხა კორნელიმ შიშით.

— რა ვიცი, — მიუგო გაოგნებულმა იონამ.

კორნელიმ ცხენს დეზი ჰკრა. სოფლის თავში განმარტოებით მდგარი მუხა და მის ტოტზე ჩამოკიდებული მოხუცი თანდათან უახლოვდებოდა მხედრებს.

ნელა გაჰყოლოდა ვიღაცამ უკანა კარი იმ ქოხისა, რომელშიაც ტიტლიკანა ბავშვი შევარდა. ბოსელთან მიირბინა, ყანაში გადავიდა. ღობესთან ჩაცუცქდა და უცხო მხედრებს ჭუჭრუტანიდან გაჰხედა. ვერ იცნო მოხუცი ევროპული შლაპითა და ჭაბუკი რუსული ქუდით. გაუკვირდა, ცხენები რომ შეაყენეს. თვალები ხელით მოიჩრდილეს და მუხაზე ჩამოკიდებულ კაცს განცვიფრებით გაჰხედეს. „მთავრობის კაცები ხომ არ არიანო". — გაიფიქრა. ისევ ყანისაკენ გამობრუნდა და მეზობლის ქოხს მიაშურა.

სოფელში სამარისებური სიჩუმე იდგა. არავინ არ ჩანდა, თითქოს მოსახლენი მოწყინა ჩამძვრალანო. მხოლოდ ბებერი ძაღლი ჰყეფდა ისევ ილაჯგაწყვეტით და ბავშვი კნაოდა ქოხში გულსაკლავად. გლეხთან ქალი გამოვიდა და ორივენი ყანაში შეაპარწნენ. მეზობლის ეზოში. ბუჩქისმაგვარ ხეზე გასულიყო კიღაც და უჩინრად გასცქეროდა უცხო მხედრებს. ხიდან ჩამოვიდა. ვენახში შევიდა და ოჭია მდივნის მამულს მიადგა. ეკლიანი ღობე უშლიდა. თვალი ედევნებინა მხედრებისათვის. იგი თხრილში ჩაცუცქდა. დაკოჟრებული ხელებით გადასწია წნელი და ღობეში პატარა ფანჯარა გაიკეთა. მხედრებმა ჭიშკარი შეაღეს და მუხისაკენ გასწიეს. გაუკვირდა გლეხს, რადგან, ვინც ჩამოხრჩობილს მიეკარებოდა და გამოესარჩლებოდა. მასაც სიკვდილი ელოდა გვარდიელებისაგან. ან თავზეხელაღებული ხალხია, ან მთავრობა ჩამოვიდაო. ასე ფიქრობდნენ ჯავ-ბუჩქნარში, ვენახში და

ყანაში შემალული განცვიფრებული გლეხები და შორიდან ზვერავდნენ მხედრებს.

ჭაბუკი მხედარი დაწინაურდა, მაგრამ ცხენი შედგა, კუდი და ფაფარი გაიფოფრა, დაფეთებული თვალები მიაპყრო ჩამოხრჩობილს და ხვიხვინი მორთო, შიშისაგან აცახცახდა და განზე გახტა. ჭაბუკმა შესძახა, მათრახი გადაუჭირა და ცხენი ღობესთან მიარბენინა. მოხუცმა და ჭაბუკმა სარზე მიაბეს ცხენები. მუხისაკენ ნელი ნაბიჯით გაემართნენ და შორიახლოს შეჩერდნენ.

ტოტებდაგრაგნილი, ბუმბერაზი მუხა შრიალებდა და მისი შრიალი მთაში გამეფებულ სამარისებურ სიჩუმეში ზღვის ხმოვანებას მოგაგონებდათ. მოხუცმა ზურგიდან შეხედა ჩამოხაგახდილს, ხეზე საცვლებისამარა ჩამოხრჩობილ გლეხს. ჯერ იაპა მოიხადა და თვალი ხელით მოიჩრდილა. მოიხადა თუ არა შლიაპა, ოტია მდივნის მამულის ღობესთან ჩაცუცქულმა გლეხმა მაშინვე იცნო კარისმერეთის რაიონის მოჭირნახულე იონა. იმედი მიეცა და ღია ჭიშკრისაკენ გასწია.

მუხაზე ჩამოხრჩობილი დევკაცი გლეხი ნელა ქანაობდა მონაბერი ქარისაგან. ხან აღმოსავლეთისაკენ იზამდა პირს და ხან დასავლეთისაკენ, თითქოს ლიტანიას ასრულებსო. იონა ახლო მივიდა.

— გოჯასპირ! — იყვირა მან და ჯავრისაგან ნიკაპი აუთამაშდა. კორნელი თავზარდაცემული იდგა.

ჩამოხრჩობილს ენა პირიდან გადმოვარდნოდა, სახე და თავ-კისერი გასივებოდა, გალურჯებოდა და ზოგან კუპრისფერი გადაჰკროდა. თვალები სისხლით აღვსოდა და ბუდიდან ამოვარდნას ლამობდნენ. თვალებზე, ენაზე და ტუჩებზე მწერი ეხვეოდა. ხელ-ფეხი გაბოჭილი ჰქონდა. გაშეშებულ ხელსა და ფეხებზე თითები მოჰკრუნჩხოდა. შრომით დაკოჟრილ ვეება ხელებზე ძარღვები დაზიდულიყვნენ. ხელის ზურგზე ახლად მოშუშებული იარა შენიშნა კორნელიმ. მოაგონდა წისქვილთან შეხვედრა, გოჯასპირის ხელზე დაზღმურღული ძირმაგარა. მოაგონდა გოჯასპირის სიტყვები: უნდა გენახა, რასა გავდა! ხარის თვალივით მაჯდა. ყურწუმელის ბეშო დავადევი, დავამწიფე და მერე დანის წვერით ავხიე. ჭარმა იმძლავრა. მკერდზე დაფენილი თეთრი წვერი შეღრხია გოჯასპირს და შუაზე გაუყო. შეურხია ტანჯვით შეტეხილი,

გაფანჩული წარბები, კეფაზე ლომის ფაფარივით დაყრილი თმა. კიდევ უფრო გააქანა ქარმა ჯალათების მიერ ჩამოხრჩობილი ბერიკაცი. ხან მაღალგორისაკენ აქნევინებდა პირს და ხანაც აჯამეთის ტყისაკენ, თითქოს ოთხმოცი წლის მოხუცი სამშობლოს ეთხოვებოდა.

შეაცქერდა კორნელი და შეეცოდა. მოაგონდა დედა ტერეზასაგან ნაამბობი გოჯასპირზე. მისი უცნაური, არყის ხის ქერქისფერი თვალები. მერმე მთას, მაღალ გორასა და აჯამეთის ტყეს გაჰხედა და თითქოს იმ მთიდან და ტყიდანაც არყის ხის ქერქისფერი თვალები უცქეროდნენ. კორნელი შეძრწუნდა.

ორღობეებში თითო-ოროლა კაცი გამოღოღდა. ერთი ჭიშკარში შევიდა. მოკრძალებით მიუახლოვდა იონას და კორნელის, ნაბდის ქუდი მოუხადა შიშისაგან ზეზეულად გათავებულმა გლეხმა.

— რა ამბავია, ლავროსი, რა უბედურება მომხდარა ეს, — უთხრა იონამ.

— დაგვაქცევს, ბატონო იონა, ამ ურჯულოებმა. სიმინდი და ღვინო გაწიკეს, საქონელი და ფრინველი წაგვართვეს. არაფერი არ შეგვარჩინეს. ბოლშევიკები ხართო და ნახევარი სოფელი დაატუსაღეს: ხალხი ტყეში გაიხიზნა. ვინც დავრჩით, შიშისაგან სული აღარ გვიდგას. ხომ ხედავ, საწყალობელი გოჯასპირი მის მიერვე ნაშრომ და ნაოფლარ ოტიას მამულში ჩამოახრჩვეს, — მიუგო ლავროსიმ და ტირილი ვეღარ შეიკავა.

— რას ერჩოდნენ ის ოჯახჭორები, — წამოიძახა აღშფოთებულმა იონამ და ისევ შეხედა გოჯასპირს.

— გალაქტიონის მამა ხარ, შენი შვილი სად წავიდა და სად იმალება, რატომ სწორი არ გვითხარიო. ახლა ამას გთხოვთ, ბატონო იონა, ხეზე ნუ დაალპობენ და ყვავ-ყორნებს ნუ შეაჭმევენ ამ ცოდვით სავსე გოჯასპირს.

— როგორ თუ დაალპობენ! რად არ ჩამოხსენით და არ დაასაფლავეთ?

— ვინ მრგვცა, ბატონო იონა, მაგის ნებაა? ვინც მიეკარება, მასაც ის დღე მოელისო, გამოგვიცხადეს, — მიუგო ლავროსიმ.

ამ დროს გლეხებმა სათითაოდ იწყეს დენა მისკენ. იონას და კორნელის ესალმებოდნენ შიშისაგან თავზარდაცემულნი, ჩამოკონკილნი და დაბეჩავებულნი. ზოგი შიშს გამოელენჩებია და ხახადაღებული შესცქეროდა იონას. უფრო უშიშრებსა და მედგრებს კი იმედი ჩაესახათ. გვარდიისა და მენშევიკური მთავრობის მიმართ დავროვილი ბოღმა ამოანთხიეს.

— მოდით, ჩამოვხსნათ! — შესძახა მათ კორნელიმ. მაღალი ჯირკი მიათრია, ზედ შეხტა, თოკს ხელი წაავლო და ჯიბის დანით გადასჭრა. გლეხებმა ნელა დაუშვეს მუხის ქვეშ, ტყის თეთრი ყვავილებით, ენძელათი, მაჩიტელით, მთისჩადუნითა და ბაიით აჭრელებულ მოლზე მოხუცი გოჯასპირის გვამი. ხელ-ფეხზე ბაწარი შეაჭრეს, მუხლი მოიყარეს, საცოდავად ჩაცუცქდნენ, სახე დაელმიჭათ ტირილით და გოჯასპირს განიერსა და ბანჯგვლიან მკერდზე ცრემლი დააფრქვიეს. ჭუთუთოებს უხუჭავდნენ და გაშეშებულ ხელ-ფეხს უსწორებდნენ.

ამდენ ხანს სამარედ ქცეულმა და გარინდებულმა სოფელმა, თითქო გაეღიღვიძაო, თითქო მიწიდან ამოვიდა საფარში მიმალული ხალხიო.

ტერეზასთან ნამსახური გალაქტიონის ცოლი, ასინა, ეზოში შევარდა. ნაწნავების გაშლა ვერ მოესწრო. ხელში შავი თავსაფარი დაეჭირა, რომელსაც ქარი ბაირაღივით აფრიალებდა. ქარი აწვებოდა ახალგაზრდა ქალს. ლურჯი ჩითის გახუნებული კაბა შემოეგრაგნა გამხდარ ტანზე და წინ აზიდული კალთები ქოლგასავით გაებერა, თითქო აჩქარებდა ვოჯასპირისაკენ მარბენალსო. მკერდზე დაეცა კვილით მამამთილს გალაქტიონის ცოლი. თავში ხელი წაიშინა. თმას იგლეჯდა, ღაწვებს იხოკავდა, გულსაკლავად ტიროდა:

— გოჯასპირ, რას ხედავს ჩემი სამიწე თვალები, ბაბა?! რა მოგივიდა, ათას კაცში საკითხავო, ჭკვიანო კაცო?! არ გყავდა შენი გალაქტიონი, მტრებისათვის გამოეგლიჯა შენი თავი, ლომკაცო ჩემო ბატონო! გოჯასპირ, ჩვენო წარმოსადეგო თავკაცო, ვინ გაგიბედა ხეზე ჩამოხრჩობა ყვავ-ყორნების შესაჭმელად, ბაბა!! ქალი ვარ, ვერ მოვერიე იმ ურჯულოებს, ბატონო! გალაქტიონი მოძებნის ჩვენს დამაქცევრებს, კაი დღეს არ დააყრის იცოდე. ბაბააა...

ხალხს ოხვრა აღმოხდა და ამ ოხვრის აზრი მხოლოდ შურისძიება იყო.

გულის სიღრმემდე სწვდებოდა ასინას მოთქმა კორნელის. ტანთ გააჟრჟოლა. იცოდა: გალაქტიონი სამაგიეროს გადაუხდიდა მამის მკვლელებს. გლეხები ასინასთან მიიჭრნენ და წამოაყენეს. გასავათებული ასინა უღონოდ კვნესოდა, თითქო სული ამოსდისო. ჩამოკაწრულ ლოყებზე ცისხლი და ცრემლი სდიოდა. გლოვით გადახედა დამსწრეთ, იონას და კორნელის მიატირა:

— კორნელი, შეხედე, არ გეცოდება, შენი ბაბუა არწილს და ბებია დარეჯანის ხელში გაზრდილი გოჯასპირ, ბიჭო? მე და კორნელი ჯარში ვიყავითო, მეუბნებოდა გალაქტიონი... ერთად ვებრძოდით თათარსო, ბიჭო... თათარი არ წაგვიკიდებდა ამ ცეცხლსა და გენიას, ბატონო...

კორნელიმ ცრემლი მოიწმინდა.

ფართოდ გაღებულ ჭიშკარში შავ ტანსაცმელში გამოწყობილი ქალები შემოვიღნენ. თავზარდაცემულნი და გაკვირვებულნი დაირაზმნენ ღობის. გასწვრივ. თავსაფრები გაისწორეს. ერთმანეთს გადახედეს და დადუმდნენ. ჯერ ერთი დაიძრა მაღლობიდან დაღმართზე და მერე ყველანი გოჯასპირისაკენ გამოემართნენ შავი კაბის კალთების ფართხუნითა და შრიალით. მეწინავე შეჩერდა. უცნაურად გააქნია თავი და ავის მაუწყებელი ხმით იკივლა:

— გო... ჯა... სპირ!..

ასინამ გველნაკბენივით აღიარა თავი, ხმა გასცა და მერმე სოფელი სარკოა ქალთა ტირილმა, მოთქმამ და კივილმა შეზარა.

3

სოფელ ზედაზნისაკენ მიმავალ გზაზე იონას და კორნელის ორი ცხენოსანი გვარდიელი წამოეწია.

— რად ჩამოხსენით სახრჩობელიდან ის კაცი? — ჰკითხა გვარდიელმა.

— ჩვენ პოლკოვნიკ გედევანიშვილთან მივდივართ, რომ დაკრძალვის ნება დართოს ჰირისუფლებს... აღშფოთებული ვარ ამ სისასტიკით, თქვენ არ დაგრიდეთ ას ოცი წლის მო-

ხუცის — თეოდე ტურიაშვილის მოკვლასაც კი... — მიუგო იონამ.

წვერულვაშიანმა და ჩასუქებულმა გვარდიელმა იონას აგდებულად და ღიმილით უთხრა:

— როცა ტყეს სჭრიან, ნაფოტი სცვივაო, ხომ გაგიგონიათ ეს ანდაზა!

— ასე ამბობდა თქვენი ბელადი ჟორდანია, როდესაც ჩვენი საყვარელი მწერალი ილია ჭავჭავაძე მოჰკლეს, — ბრაზით შესძახა კორნელიმ. — თქვენ ტყეს კი არა, ბუმბერაზს მუხას, ჩვენს სიამაყეს, ქართველი ხალხის დედაბოძს — მშრომელ გლეხობას ანადგურებთ, მის ათასწლოვან ფესვებს სჭრით და აგდებთ დედამიწიდან. თქვენ ქართველი ხალხის დაუძინებელი მტრები, ვერაგები და მხეცები ხართ...

გვარდიელნი აიმრიზნენ.

— თქვენ ვინ ბრძანდებით? — ჰკითხეს კორნელის და გზაზე გადაუდგნენ.

კორნელიმ სტუდენტური დიაგონალის შარვალში ხელი ჩაყო. ნაგანი ამოიტაცა, ჩახმახი შეაყენა და გვარდიელებს უყვირა:

— გზა, ჩამომეცალეთ, მკვლელებო, მკვლელებო!

კორნელის ისეთი აგზნებული და გაოფთრებული სახე ჰქონდა, რომ გვარდიელები შეშინდნენ და ცხენები ყანაში გადაიყვანეს. იონა დიდხანს იცქირებოდა უკან. იგი კორნელს უწყრებოდა და ტუქსავდა:

— შენ თავზე ხელაღებული კაცი ყოფილხარ! რევოლვერით აკობებ ამდენ გვარდიელს?

— დაიკარგონ აქედან, დაიკარგოს მათი მთავრობა! ისინი ადამიანები კი არა, ყაჩაღები და ბანდიტები არიან. მათ თურქები სჯობიან. მათ უნდა ესპობდეთ ისე, როგორც გველებს. ისინი საქართველოს ხალხს სტანჯავენ. გოჯასპირი ქართველი ხალხის ხატად მყავდა წარმოდგენილი. გოჯასპირთან მიყვარდა საუბარი, მიყვარდა მისი ტკბილი ქართული და გონივრული ბეჭობა. და ასეთი კაცი ხეზე ჩამოჰკიდეს, ჩამოახრჩვეს და ამით მენშევიკებმა სამუდამო ზღვარი დასდვეს თავის თავსა და ქართველ ხალხს შორის, — აღშფოთებით იძახდა კორნელი.

პოლკოვნიკ გედევანიშვილთან უშედეგო მოლაპარაკების

ჭერმე იონა და კორნელი კარისმერეთში დაბრუნდნენ. იმავე საღამოს ისინი სარკოიაში გოჯასპირის დაკრძალვას დაესწრნენ.

სოფლის სასაფლაოზე, მოხუცი გოჯასპირის კუბოსთან, იონამ სიტყვა წარმოთქვა, რომელშიც აღშფოთებას გამოთქვამდა მენშევიკური პოლიტიკისა და გვარდიელების სისასტიკის გამო. ამას უშედეგოდ არ ჩაუვლია. მას მეთვალყურენი მიუჩინეს.

გ ა ნ შ ო რ ე ბ ა

გაგეყარე, საყვარელო,
დღე გამითენდა საწყალი;
თვალს ცრემლი არ შემშრობია,
როგორც ნედლსა ხესა წყალი.

ხ ა ლ ხ უ რ ი

1

მაყაშვილები შორაპანში ჩავიდნენ და თბილისისაკენ მიმავალ მატარებელს გაჰყვნენ. მათთან ერთად გაემგზავრა აგრეთვე აღშფოთებული იონა, გვარდიის მიერ სოფლად ჩადენილი მხეცობა მენშევიკური მთავრობისათვის რომ შეეტყობინებინა. ამ გულუბრყვილო, უანგარო ხალხოსანმა და მეოცნებე კაცმა როდი იცოდა, რომ მენშევიკური გვარდია და ჯარი სწორედ იმაევ მთავრობის კარნახით მოქმედებდა „ვანდეად“ გამოცხადებულ პროვინციებში ასე სასტიკად და უმოწყალოდ.

პლატონ მოგველაძე ადრევე წასულიყო თავის სამშობლო სოფელში.

მატარებლის წასვლის მერმე, როდესაც ვაგონის ფანჯარაში გადმომდგარი ნინოს სახე მიიმალა, კორნელი უგუნებოდ შეიქნა, გვერდით პაჭიჭებიანი და ჩაბალახწაკრული დომენტი ედგა.

— გაფრინდა შენი ოქროს ჩიტი! — უთხრა კორნელის ტანმორჩილმა, შავტუხა და ჯმუხმა მოჯამაგირემ და მორი-

დებით შეაპარა ქალბატონის შვილს თვალი. კორნელიმ სახეზე ღიმილი ვერ შეიკავა

— გაფრინდა, ჩემო დომენტი! დამცინი განა?

— არა, შე კაცო! შევარდენი თუ ვარგობს, კაკაბი სად წაუვა! კაი ქალია, კუტალია, მაგრამ ქალაქის ქალი ქალბატონს სოფელში არ გამოადგება!

— მოგწონს?

— ნამდვილად კალმით დახატულია, მაგრამ მაგეთი ნაზი და სუსტი ქალი გაგიჩერდება ქალბატონთან სოფელში? მაგი გიოჯახებს და გიზილავს ჩვენი ორღობის ტალახს? გაგიგონია! უბედოა ქალბატონი, არც ერთი რძალი არ გამოადგა!

კორნელიმ ნაძალადევად გაიღიმა, დომენტის დააცქერდა და გაიფიქრა: „ნეტავ იცოდეს დომენტიმ, თუ რა სატანჯველია საყვარელ არსებასთან განშორება“.

— რამ ჩაგაფიქრა, კორნელი? ნუ გეშინია, შენც მალე წახვალ ქალაქში.

— ამ თვის დამლევს წავალ, მაგრამ არ ვიცი, როგორ მოვიქცე? მე ჩემის ნებით წავედი ჯარიდან, შეეძლით დამპატიმრონ.

— აბა, რა გეშველება? — შეწუხდა დომენტი. ტერეზას მიერ ნაჩუქარი რკინის კოლოფი „მონპასიე“ ამოიღო ჯიბიდან, თუთუნი გაჩეთის ქაღალდში გაახვია და კორნელის მიაჩერდა.

— დამპატიმრონ, ჩემთვის ახლა სულ ერთია. — ჩაიქნია ხელი კორნელიმ. — ჯარში აღარ დავბრუნდები, ამიერიდან მე ამ მთავრობას არ დავიცავ და არ ვემსახურები.

— ეს მთავრობა არც მე მომწონს, მაგრამ რას იზამ...

სადგურზე გლეხები შეგროვდნენ. ყურს უგდებდნენ კორნელის. უნდოდათ გაეგოთ, ეს ნასწავლი ახალგაზრდა კაცი რას ელაპარაკებოდა სოფლელ კაცს. მაგრამ დომენტიმ აგონიას დაუძახა. იგი პირდაღებული მიჩერებოდა ორთქლმავალს, ბორბლებსა და მქუხარე ქვაბს.

კორნელი და აგონია ცხენებზე შეხტნენ, დომენტი კი ურემზე დაჯდა. ალმართს შეუდგნენ. ტყეზე იარეს. როდესაც გაივაკეს, აგონიამ კორნელი შეაქება, ცხენები გაუფრენოთ, აბა, რომელი გავასწრებთო. კორნელის ცხენის ჭენების თავი არა ჰქონდა, ნინოს წასვლის მერმე კაეშანი შეემოსა. უხა-

ჯდა უნაგირზე და ნინოზე ფ
ლზე ფიქრობდა, აგორა მაგას
აწვალებო. აქაფებული ცხენი
ე მოდიოდა კორნელისაგან კარ
ბეურმე. აუტანლად ცხელოდა.
ილში დააყენა ცხენი და დომე
ილე და მუხის ქერქის სუნი მ
ჰყვებოდა ურემს.
მერეთიც გამოჩნდა. იგი მთის
ს, დეკანოზ ეროსტი მაჭავარი
ხლები მაღლა, მთის კალთაზე
ან მოშორებით, ჭალის პირას, პ
ლით დახურული ქოხები ჩანდ
ს ამხანაგს. გიგოს მამა. ნა
ბოვრობდა. კორნელის სახლის
ლისტრატეს ქოხი და ხელისგუ
ბო, რომელიც დეკანოზის, აზნ
ყანე ადგილის გვერდით მდებ
ფრთხილდებოდა კალისტრატე
ვა საყანე ადგილი მას არ გაჩ
ებდა დეკანოზისაგან, რადგან
ნებიც მუშაობას ვერ აუვდა
ილი კაცი. არც სამჭედლო იძლ
მოსავალს, რომ ყანის მუშა
და საშეგრელოში გაჰხოვილი
აშრჯებელს. წელს კალისტრა
მინდი. წელში მოხრილი მამის
ქადრა და კვერდში ამოუდგა.
იანჭა თოხმა მკლავები დაწყ
შ თავწაღუნულ, ფეხშიშველა
ქანა ოფლში ამოვლებული ბე
ურებული ფესვები დაიბანა და
ა მჭადი ლობიოში ამოაწო, —
ი შუშაობის სიმძიმეს, დასვენ
ერმე, როცა ყანა გვალვამ შ
ბიისფერი სიყვითლე შეაპარა,

— თუ ყანა არ მოირწყა, ამდენი შრომა წყალში ჩაგვიცვივა და ამაოდ ჩაგვივლის.

თოხი მხარზე გაიდო და დაკარწახებული გაჰყვა მამას არხისაკენ. სათავე მოძებნეს და დიდი შრომისა და ჯაფის მერმე გადმოგდებული წყალი მოწყენილ და დამჭკნარ ყანაში მიუშვეს. მამა-შვილი სიმინდში ტრიალებდნენ, თოხნიდნენ, რუს ანტოტებდნენ და გზას უკვლევდნენ. ერთ ადგილას გუბე დადგა. თაკარა მზით და გვალვით გაცხმარი, დამსკდარი და დაბზარული მიწა ხარბად ისრუტავდა არხიდან მოდენილ წყალს. ზედაპირზე ბუშტები გაჩნდა, თითქო მოწყურებული დედამიწა დახარბებული ხვრეპს და ისრუტავს წყალსო. სიმინდის ძირებში წყალი ჩადგა და ჯრილი ნიავიც მოვარდა. დახრილი სიმინდი წელში სწორდებოდა, ჩამოშვებული, დამჭკნარი ფურცელი გამოცოცხლდა, აშრიალდა.

— აწი აღარ დაგვეღუპება მოსავალი, — უთხრა შვილს კალისტრატემ. მაგრამ მალე წყალი დაიშრიტა ნაკვალევში.

— რა ამბავია? — დაიძახა კალისტრატემ და მეზობლის ბიჭი აფრინა არხისაკენ.

— ვინ ეშმაკი შემოგვიჩნდა? — გაცხარდა გიგო.

— თუ დღეს და ხვალ წყალი დაგვიკეტეს, მშვიდობით მკრეხ, ყანას ველარაფერი ველარ უშველის, — თქვა უიმედოდ კალისტრატემ.

გიგომ ოფლში გაწურულ, ფეხშიშველ, ტალახში ჩამდგარ მამას გადახედა და წლებით გატეხილი მოხუცი შეეცოდა. უხერხულობაც იგრძნო, იმის მაგივრად, რომ მოსწრებული შვილი, სტუდენტი იქით ეხმარებოდეს ბერიკაცს, ივი ახლაც მისი შემყურეა. მშობლებმა ყოველ წელს უნდა უგზავნონ დამშეულ თბილისში თავისი ნაოფლარ-ნასისხლარი სიმინდის ფქვილი, კვერცხი და ვაი-ვაგლახით გამოზრდილი ღორის შაშხი. მართალია, გიგო მოწაფეებს ამზადებდა თბილისში, მაგრამ ამის საფასური არ ჰყოფნიდა. თოხის ტარზე დაყრდნობილმა გიგომ ბრაზით შეხედა არხიდან იბენით მოსულ აქელებულ ბიჭს. მეზობლის ბიჭმა განაცხადა:

— სათავე დეკანოზს ერასტი მაჭავარიანს დაუკეტია. თავზე ადგია მუშებს და ყვირის: ვინ გაბედა წყლის წართმევა, არ იცის იმ უსინდისო კალისტრატემ, ყანას რომ ვრწყავო!

თვინიერმა, მორწმუნემ და უწყინარმა მოხუცმა კალისტრატემ დამნაშავესავით ჩაჰკიდა თავი, მიწას დააცქერდა და გაუბედავად წაილუღლუღა:

— ჩემი ყანა ყანა არაა თუ?

— ჯერე ჩემი ყანის მორწყვა მაცალოსო, — მიუგო ბიჭმა.

— მერე რაღა დროს იქნება? ხომ ხედავ, რა დღეშია ყანა? — დაიძახა გიგომ და სახეზე წამოანათა.

— უნდა ვაცალოთ, შვილო, სხვა რა ჯანია? — ურჩია ფიცხ შვილს მამამ.

— თვითონ მოიცადოს, არხი მისი საკუთრება არ გახლავს. არხი ხალხისაა, — შეედავა შვილი.

— დეკანოზს ვერ წავართმევთ წყალს, ჩვენი მოძღვარია, — გადაწყვიტა კალისტრატემ. მაგრამ შვილი გულის სიღრმემდე იყო შეურაცხყოფილი დეკანოზის ავდებული პასუხით.

— გაჩვენებ, თუ ვერ წავართმევ, — დაიძახა გიგომ. შარვლის ტოტები ჩაუშვა და არხისაკენ წასასვლელად მოემზადა.

— როგორ თუ წაართმევ? მუშებს ადგას თავზე. დეკანოზი ფიცხი კაცია, ერთს მაგრად დაგაპანღურებენ, — გააფრთხილა კალისტრატემ. ამ-ს საპასუხოდ გიგომ მეზობლის ბიჭს გადახედა და შეჰკივლა:

— წალდი!

— მეზობლის ეშმაკუნა ბიჭმა მართლა მოურბენინა ჭოხიდან წალდი.

გიგომ წალდი ჰაერში შეაგდო, ტარში ხელი წააცლო და ლიბრკენ გაიჭრა. კალისტრატე გაოცდა.

სწორედ ამ დროს მიუახლოვდნენ სადგურიდან მომავალი კორნელი, დომენტი და აგოია კალისტრატეს ეზოს.

— წალდი რად გინდა, ბიჭო? — ჰკითხა განცვიფრებულმა მამამ შვილს.

— თავს წავაგდებინებ!

— ვის წააგდებინებ, ბიჭო, თავს?

— ვის და შენს დეკანოზს!

კალისტრატეს შერცხვა კორნელის, ღობეზე მომდგარი მეზობლებისა და შვილი დატუქსა:

— რაო, რას ამბობ? ეპისკოპოსის ტოლ კაცს წაგდებინებ თავს, შე წამხდარო? გაჩუმდი! — გაუწყრა მამა და ღობეზე შემხტარი შვილისკენ გაიწია.

— მიმიფურთხებია შენი ეპისკოპოსისათვის... — იყვირა გიგომ, ღობეზე გადახტა და არხისაკენ მოჰკურცხლა.

კალისტრატე გაშტერდა. მიიხედ-მოიხედა. ქოხს ვიპერდა, თოხი მიწაზე დააგდო. შუბლზე ხელი იტკიცა და დაიძახა:

— მიშველეთ, შვილი გადამერია!

დომენტიმ ურემი გააჩერა და გადასძახა:

— რა ამბავია, კალისტრატე?

— შვილი გადამერია, დომენტი, ნამდვილად გადამერა, — მიუგო კალისტრატემ. მერმე ქოხში შევარდა და წიგნებით სავსე თაროს ეცა.

— რას შობი, შენ ბერთლა გადარეულო? — შესძახა ცოლმა. ჩარევით დამწკნარმა, შუა ცეცხლთან მოფუსფუსე მოხუცმა მართამ.

— ამ წიგნებმა გამიგიჟა, უნდა დავწვა, — იყვირა ნალბანდმა და წიგნები შუა ცეცხლში შეუძახა.

— არც ერთს არ დავტოვებ. ღმერთზე და ხატზე ამ წიგნებმა აღებინეს ხელი შენს გატუტუცებულ შვილს — ყვიროდა კალისტრატე და სათითაოდ ისროდა ცეცხლში მამასისხლად ნაყიდსა და გაწერკვებით ნაშოვნ წიგნებს...

თავსაფრიანი, დამწკნარი მართა კარში გავარდა, მზობლის ბიჭს სწვდა და გაჯოხა:

— შენი ბრალია, შე უკუღმართ დღეზე გაჩენილო წალდს რას მიარბენინებდი?!

წალდით შეიარაღებული გიგო კი არხისაკენ გაიოდა. კორნელი, დომენტი და ალიოც იქითკენ წავიდნენ.

თეთრწვერა დეკანოზი, აზნაურები ერასტი მაჭავარიანი მდიდარი და ცოლ-შვილით ჩაბარჭული, ლაბაში კაცი იყო. სასულიერო აკადემია ჰქონდა კარგად დამთავრებული, ოცდაცამეტ ქვეთავიან გიმნაზიალი ასწავლიდა სამრევლო სკოლას. რევოლუციის მერმე კი სოფელში დაბრუნდა. ეკუთვნოდა თავზე აყვანა არხეს მიმდებარე ველებზე გაბატონებულებს. ძალიან ეშინოდა, ქონება არ წაერთმიათ. წვრილ აბრეშუმის ანაფორა ეცვა. ჰშვენდა და სახელიც სწყდა, მაგრამ ამ ჭირვეულ

ნის ნიღბის ქვეშ პატივმოყვარე, გრძნეული და ენამწარე იეზუიტი იმალებოდა. იცნო გლეხურად დაკარწახებული სტუდენტი — ნალბანდის, კალისტრატე თავაძის შვილი. გრგო ბუშებს მიუახლოვდა და შესძახა:

— აუშვით სათავე!

— როგორ თუ აუშვან? — გაუკვირდა დეკანოზს.

— ისე. ყანა მაქვს ძოსარწყავი, წყალი ძჭირია, — მიეგო ბრაზისაგან გაფითრებულმა გრგომ.

— მე არ მჭირია? — გაიფოფრა მჭალი ინდაურივით დეკანოზი.

— ამ არხის წყალი შენც გეყოფა და მეც.

— მერმე, კალისტრატე თავაძეს უცადოს ერასტი მაჭავარიანმა? — დასცინა დეკანოზმა.

— არხი ერასტი მაჭავარიანის არ გახლავს. არხი საქვეყნოა, — შეუტია გრგომ.

გლეხს თოხი გამოსტაცა და გარღვეულ სათავიდან დაეწყო წყალს ნაკელევში გადაყვანა.

— გააგდეთ ეს უცხვირპირო! — იყვირა დეკანოზმა.

— იქით! — შეუტია გლეხს გრგომ და წალდი მოიძარჯვა.

— ეს გასწავლე, ბიჭო, მე შენ გიმნაზიაში? ამას უნდა მიბედავდე კალისტრატე თავაძის შვილი?

— ღარიბის ოჯახი დაიქცეს და მდიდრის აშენდესო. ხომ არ წერია იმ დასაწვავ სალმთო სჯულში, შე ქვეყნის მატყუარა? — აგდებულად ბიუგო გრგომ. მეშებს ღიმილი შენიშნა დეკანოზმა. აღელდა და გრგოს შესძახა:

— რას ჩერჩეტობ და ბოდავ. შე მაიმუნო?

თავზეხელაღებულ ვაჟკაცს — იასონ ჯანჯღავას აბატია გრგომ ეს დამამცირებელი სიტყვები სამკითხველოსთან, მავრამ მის მიერ ათვალისწუნებულ სასულიერო წოდების პირი აღარ მოეთმინა. თოვლივით თეთრ წვერში წაავლო ხელი. გრძელი წვერი თ დაითრია მოხუცი. წალდი აღმართა, ვასისახლიანებული თვალები მიანათა და წეჰყვირა:

— თავს წაგაგდებინებ, შე ბნელეთის მოციქულო!

— დომენტი მივარდა და გიგო შეერისხა:

— არ გაბედო, რას შობი?!

დეკანოზი განზე გადახტა, ანაფორა დაიკარწახა და შინისაკენ მოუსვა.

კორნელიმ გულიანად გადაიხარხარა. იგი ცხენზე იჯდა. გიგომ ჯერ დეკანოზს გააყოლა თვალი, მერმე კორნელის აჰხედა და მოულოდნელად მანაც გაიცინა.

— დეკანოზს თავს სჭრიდი, შე ცეცხლმოკიდებულო? — ჰკითხა დომენტიმ და სიცილით დაამატა: — ჯოჯოხეთის ცეცხლი არ აგშორდებოდა საიქიოში.

აგოიამ იფიქრა, ყველა იცინისო, და იმანაც გადაჭიხვინა. დეკანოზმა მოიხედა და გიგოს მოაძახა:

— ძვირად დაგიჯენ მაგ წალდის მოქნევას!

— შენი ყანა დაიღუპოს, რას დავეძებ, ფეხებზე მკიდია, თქვე მაიმუნებოო. ხედავ, რა მითხრა? აბა, შენ თუ გაიბედავდა? — ჰკითხა გიგომ კორნელის. შიშველ ფეხებზე, დახეულ ტანისამოსზე დარცხვენით დაიხედა, სიბეჩავე იგრძნო და კორნელის უთხრა: — ღმერთმა დასწყევლოს ბეჩავი და ღარიბი კაცის გაჩენის დღე! რა მამაჩემის შვილის საქმეა უნივერსიტეტი და მეცნიერება.

დომენტი თავზე დაადგა:

— სანამ კუჭი არ მოეწვა, სხვანაირად გალობდა ეს ვაჟბატონი, ახლა კი თავი კინაღამ არ წააგდებინა დეკანოზს.

— მდგომარეობა ქმნის შეგნებასო, ნათქვამია, ჩემო დომენტი, — წამოსცდა კორნელის.

— ახლა ხომ დარწმუნდი, მაგ სიტყვების სისწორეში? — ჰკითხა გიგომ.

— შენმა საქციელმა დამარწმუნა, — მიუგო კორნელიმ.

თავმოყვარე გიგომ დაცინვად მიიღო ამხანაგის სიტყვები და შეტევა დააპირა, მაგრამ ამ დროს მეზობლის ბიჭმა მორბინა და გიგოს უთხრა:

— მალე, გაიქეცი, კალისტრატე შენს წიგნებს სწვავს!

გიგოს თვალები კინაღამ ბუდიდან არ გადმოსცვივდა. კორნელის საჩქაროდ გამოეშვიდობა. და შინისკენ მოჰკურცხლა.

2

კორნელი, დომენტი და აგოია მდინარეზე გავიდნენ და წისქვილთან შეჩერდნენ. მეწისქვილე ხარიტონი კორნელის და დომენტის მიესალმა. დომენტიმ უთხრა:

— ჩემი საფქვავი თუ ჩამოათავე, მომეცი. აგერ ავიტან ურმით.

— შენი კი არა, თუკი ვინმეს საფქვავი მქონდა, ყველა წაიღეს.

— ვინ წაიღო?

— გვარდიელებმა.

— ესაა სამართალი და კანონი?

— სამართალს და კანონს ახლა ნუ ეძებ, — მიუგო ხარიტონმა დომენტის.

— რანაირად ვუთხრა ახლა ეს ქალბატონს, არ მომკლავს?

კორნელი აღრენილ გუნებაზე იყო და უთხრა:

— არა უშავს რა. ამდენ ხანს სულ გლეხებს გართმევდნენ, ახლა დაე ჩვენც წაგვართვან.

დომენტი არა ერთხელ ყოფილა მოწმე გლეხთა საკითხის გამო ტერეზასა და იონას ჩხუბისა, თვალები დააჭყიტა და კორნელის შენიშნა:

— შენი იმედი მიეცა ქალბატონს. იონას გაუმარჯოს!

— ჩემი და იონას იმედი დიდი ხანია დაკარგა დედამ. — მიუგო კორნელიმ და, როცა ხარიტონს გამოემშვიდობენ და შინისაკენ გასწიეს, უკან მოიხედა.

წიაქვილის გალმა ალმართული ბებერი მუხა შრიალებდა, კორნელის მოაგონდა გოჯასპირთან აქ შეხვედრა, გოჯასპირის ეეება ხელის ზურგზე დაზღვერდული ძირმაგარა, მოხუცის სიტყვები: „ხარისთვალივით მაჯდა, ყურწუმელის ნეშო დავადევი, დავამწიფე და მერმე დანის წვერით ავხიე". შიასა და ტყეს გაჰხედა და იმ მთიდან და ტყიდან თითქოს ისევ ოთხმოცი წლის მოხუცის გოჯასპირის თვალები იხედებოდნენ. სახრჩობელამ წარეშალეთ შთაბეჭდილება დასტოვა კორნელიზე. მოაგონდა გოჯასპირის შვილის გალაქტიონის ცოლის ასინას სიტყვები. გზაზე მიმავალი ფიქრობდა, თუ რა ცეცხლი დატრიალდებოდა გალაქტიონის გულში, რომელსაც მამის ჩამოხრჩობის გაიგებდა. „სად წაუვა ნოდარ ყიფიანი, იოაკიმე აბულაძე და ტრაბაიძე?" ისიც ისე ჩააძალებს მათ, როგორც ლაბაძემ ბოქაული ბაქრაძე მიტინგზე. ეს ბრძოლა ასე მალე არ დასრულდება. როგორი ზღვარი ყოფილა გათხრილი მდიდრებსა და ღარიბებს შორის, ამდენხანს სათანადოდ არ ვიცოდი. ბეჩავ კალისტრატეს შვილ-

მა დეკანოზს ცუდით თავი კინაღამ რომ წააგდებინა, ეს ეც იმ ხღვარის შედეგია“. — ფიქრობდა კორნელი. მერე დომენტის მიუბრუნდა და უთხრა:

— როგორი ღარიბი მოსახლე ყოფილა კალისტრატე!

— ჩემზე ღარიბი მაინც არ არის, — შენიშნა დომენტიმ და ამოიოხრა.

— ვიცი.

დომენტიმ ჩაახველა და უთხრა:

— ღარიბი კაცის საშველი მართლაც არ ყოფილა ნართალი თქვა კალისტრატეს იმ თავგასიებულმა შვილმა

— თქვენ თვითონ უნდა უშველოთ თქვენს თავს, თქვენში დიდი ძალაა.

— ჩვენი ძალა სხვამ დაასძალა.

— ვერ დაასძლევს, ერთი პირი თუ გექნებათ.

— ერთი პირი არც შეიკრება. ყველას ერთნაირად კი არ უჭირს. რომც უჭირდეს, რა უნდა გააწყო? ყველა კი ვერ გაბედავს მემამულის მიწის წაღებას... სახლის ნაცვლად მე საქათმე მიდგას, ეზო თქვენი ტალავრის ხელაა. ნაგვან მე ვერ გავბედე და ვერ ვიკადრე სხვისი ტყე გამეჩრა და სხვისი მიწა მიმეზომა. ისე, აბა, მეც გავთლიდი საძირკველს და ფიცარს, ერთ პატარა სახლს მეც დავიდგამდი და ერთ ქკეცა საეზოვეს მეც ვიშოვნიდი სადმე.

— უნდა ყველას ერთად გაგებედათ.

დომენტიმ გაიფიქრა: ხომ არ მცდის ქალბატონის შვილიო და მიუგო:

— ვინც გაბედა, რა ხეირი ნახა? ხომ ხედავ, რა დღე დაადგა!?

დომენტი ჩაფიქრდა, მერმე მოკრძალებით შეხედა კორნელის და უთხრა:

— წართმევას გვიშლიან. თავისი ნებით კი მიწას არავინ იძლევა... ის კი არა, დედაშენს შევეხვეწე: ხომ ხედავ რანაირად ვცხოვრობ, ნახევარი ქცევა მიწა და ხუთი ძირი მუხა დამითმე, ქალბატონო. და სიკვდილამდე ვემსახურებიო.

— მერმე, რა ვუპასუხა?

— ეწყინა, სწა არ გაბედა და იყურა.

— ახლა უთხარი. გიშველი.

— მიშველე, კორნელი, რამე!

— გიშველი, როგორც კაცი.

მეურმეს სიხარულისაგან თვალი გაუბრწყინდა, კარისმეურეთს გაჰხედა. ხარები ააჩქარა. იმედი მიეცა: იქნებ ეს ღვთისნიერი ადამიანი დამეხმაროს, ქალბატონს ნახევარი ქცევა სამოსახლო მიწა და ხის მასალა მოაცემინოს ჩემთვისო. ხან ეჭვი მოიცავდა: „ტერეზა რა ჯიუტი, კერპი და ხელმოჭერილი ქალია, შვილმა იქნებ არც კი იცის".

ალმართი რომ აიარეს, გახარებულმა მეურმემ ხარები შეაჩერა. ურმის ჭალს ცული მოხსნა და მთის კალთაზე მოფენილ ჯაგებში შევიდა. ჯაგებს თაგვისარას გახევებული, ნემსა ფოთოლი ესხა, ბზის ფოთლის მაგვარი, და იმას დაუწყო კაფვა.

— ხვალ თქვენი ჭურები უნდა გამოვრეცხო და გამოვხეხო, — უთხრა დომენტიმ კორნელის. ცდილობდა, როგორმე მოეგო ქალბატონის გული და თანაც დასძინა: — ამისთანა გვალვები თუ დაიჭირა, ვენახს რაღა გადააარჩენს. ათ ჩაფსაც ვერ ჩავუსხამ ჭურში ქალბატონს.

ქვევრის სარეცხად და სახეხად მოჭრილი თაგვისარა ბევრჭუჩა, მიწისფერი წუღა დააბიჯა, წნელით შეკრა ძნასავით და ურემზე დააგდო.

3

კარისმეურეთის ვაჟკაცზე კაცი ვერ ჩაივლის იმ, რომ იგი არ შენიშნონ, ცქერა არ დაუწყონ და მისი ვინაობის გამოძებნა არ დაიწყონ. ბაზარს რომ მიუახლოვდნენ, რაჟდენ გენძეხაძის სამიკიტნოში მოქეიფე ხალხმა უკვე იცოდა, რომ ექიმის შვილი, კორნელი მხვიძე. სადგურიდან მობრუნებულა და იქიდან ცხენით მოდისო.

იასონ ჯანჯღავა სამიკიტნოდან გამოვიდა და პოწიერებით მიესალმა, პურ-ღვინოზე მიიპატიჟა: ჩვენები ყველანი აქ არიან და მე მთხოვეს მოიყვანეო. კორნელი შეყოყმანდა. მაშინ ანტუშა ნიორაძემ მიირბინა: მან და იასონმა ცხენიდან ძალით ჩამოათრიეს, კორნელიმ ცხენი სვეტზე მიაბა და დომენტი დაათრთხილა:

— დედას უთხარი, მალე მოვა-თქო!

სამიკიტნოში რომ შევიდა, გაუკვირდა: სტუდენტები — ვანიკო ღოღობერიძე, სერგო ჩხეიძე, მასწავლებელი ანდრია კოვზირიძე და პროვიზორი მიშა წეროძე ისევ რაჟდენ ენძელაძის სამიკიტნოში ქეიფობდნენ, ისევ იმ მაგიდას უსხდნენ, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინ ეჭირათ და კორნელის ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს ეს ხალხი მუდამ აქ ქეიფობდა.

— ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! — დაუძახეს და ღვინო ესხურეს თავაზეს.

— კორნელიმ ჩაის ჭიქა დალია, რაც დიდად ესიამოვნათ დამსწრეთ.

— ვენაცვალე კორნელის, ვაჟკაცი ყოფილა, გვიკადრა და ჩვენთან ღვინის დალევას არ თაკილობს! — დიძახა ანტუშამ.

სტუდენტები აიმრიზნენ.

— რა გააჭირვე საქმე ამ კადრებით? — შენიშნა ვანიკომ.

— რა გავაჭირე და, ხომ ხედავ, გიგო თავაძე და ბიძინა შარაბიძე როგორ იორჯებიან და იბერებიან?

— ფეხებზე მკიდია! — დაიძახა იასონ ჯანჯღავამ.

— გააჭირეს საქმე პოლიტიკაზე ლაპარაკით! — იყვირა ანტუშამ.

— რა გააკეთეს მერე? — აგდებულად ჰკითხა იასონმა.

— ის გლახის შვილი გიგო თავაძე რა დიდ გულზეა, ცის! ბრძენი ჰგონია თავისი თავი! — აიჩეჩა გაკვირვების ნიშნად ანტუშამ მხრები და რუსულად დასძინა: — ვოტ დურაკ, იდიოტ![1]

— გიგო მომზადებული კაცია, — არ დაეთანხმა კორნელი.

— იყოს მერე! ჩემთან რა უნდა იმ მკვდარ-ძაღლს? ანტუშა სპეკულანტი არისო! გაანძრიოს იმ უპატრონომ ხელი და იშოვოს იმ მათხოვარმა ფული! — ოხუნჯობდა ანტუშა.

იასონ ჯანჯღავამ ხელი მაღლა აღაპყრო და ღმერთს შეევედრა:

— ღმერთო მაღალო, წმინდა ილორის ძალავ და ნადლო ღარიბისა და მათხოვრის საშველი მაინც არ ყოფილა და

[1] აი, სულელი, იდიოტი!

არც არასოდეს იქნება ამქვეყნად და ასე დაუქცია სახლკარი ყველა დაქცეულს; გაჭირვებულს და მოგვასვენე!

ამ სიტყვებზე იასონმა ჰიქას თავი წაუქცია. პურზე ცვარცვარად დაღვარა ღვინო, მერმე იატაკზე დაუშვა და ერთბაშად დააქცია. ხარხარი ატყდა. ანტუშა მუცელზე იჭერდა ხელს, თვალთაგან ცრემლი სდიოდა, ხახას ერთ მტკაველზე აღებდა, ენის კლიტე ერხეოდა და სიცილისაგან გაგუდული იძახდა:

— კაი, გაჩერდი, გაჩერდი, იასონ! მოვკვდი, მეტი აღარ შემიძლია, ოხ, ოხ, რა თქვა ეს, ამ ცეცხლმოკიდებულმა!

კორნელის ტანში გააჟრჟოლა სპეკულანტის ანტუშა ნიორაძის, სიცილზე. ეს სიცილი ადამიანური ღირსების შეურაცხმყოფელი იყო. ეწყინა. კიდევ უფრო ნათელი გახდა მისთვის გიგო თავაძის უპირატესობა ამ სალახანა ხალხის წინაშე. მოაგონდა გიგოს სიტყვები: „ღმერთმა დასწყეველოს ბეჩავი და ღარიბი კაცის გაჩენის დღე. რა მამაჩემის შვილის საქმეა უნივერსიტეტი და მეცნიერება“. იასონ ჯანჯღავამაც ხომ დაახლოებით ეს განაცხადა? მაგრამ სულ სხვა მნიშვნელობა და აზრი ენიჭებოდა სასოწარკვეთილი სტუდენტის სიტყვებს საკუთარ თავზე.

ანტუშა ნიორაძემ დიდის ამბით ადღეგრძელა მიმინოსავით მხრებაწეული იასონ ჯანჯღავა. იასონს მაღალი ცხვირი, ჭერა ულვაშები და ჭროღა, მოცისფერო თვალები ჰქონდა. წერწეტ წელზე ვერცხლით მოსევადებული ჭამარ-ხანჯალი ერტყა და მაუზერი ეკიდა. ჩოხის სახელო აეკაპიწნა. ბუდიდან ამოვარდნილ და გალოთებულ სტუდენტებს ესახელებოდათ ყაჩაღთან — იასონ ჯანჯღავასთან ქეიფი.

გაისმა არღნის ხმა. დაოთხილი ცხენები ბაზარში შემოიჭრნენ. ბაკურტანმა რაჭველ გუნძეხაძემ წინსაფარი გაისწორა და კარებთან მიძუნძულდა: იქნებ ჩვენს დუქანში შემოვიტყუო მოქეიფე ბიჭებიო. სხვებიც ცნობისმოყვარეობას წაეღო. მოჰქროდა ფოჩებითა და ეკვნებით მორთული ეტლი. ფანრების ალაგას სიმინდის ღეროები და ბუსის შტოები ჩაერჭოთ. ეტლში საკინძეშეხსნილი და მკერდგაღეღილი ბიჭები ისხდნენ, ყაჩაღები, მტაცებლები და მგლეჯელები. მთვრალებს შავი სატინის ხალათები და ბათქომში ნაყიდი ხავერდის ბერძნული შარვლები ეცვათ, წითელყელიანი წინ-

დები და მესტები. ირწეოდნენ, წელს ვერ იმაგრებდნენ, არღანზე დაძღეროდნენ „დუმ-ბა, დუმ-ბაო“ და ხანაც საოცრად შეჰკივლებდნენ „ე-ჰეო“. ბირჟის წინ ავაზაკების თვალებმა გაიელვეს.

ერთმა ნაგანი იძრო და ააჭახჭახა.

ეტლით მიჰქროდნენ თავზეხელაღებული და ნაციმბირალი ძმაკაცები. მიკიტანმა რაჟდენ გენძეხაძემ იცოდა, რომ მათ ბევრი ფული ჰქონდათ ბათუმიდან ჩამოტანილი და ამიტომ მიეგება მათ ხელგაშლილი. უღიმოდა და ღიმილში იყო ჩაქმული: თქვენ გენაცვალოს, ბიჭებო, ჩემი თავიო. ტუჩებზე ხელის მიდებით ანიშნებდა პირზე კოცნას. მიუხედავად ამისა, ისინი შეჩერდნენ არა რაჟდენ გენძეხაძის, არამედ ამბაკო კუჭავას სამიკიტნოში, და იასონი, ანტუშა და ვანიკო ღოღაბერიძეც იქ გადიპატიჟეს. პირში ჩალაგამოვლებული მიკიტანი რაჟდენი კარებს მოშორდა. ფეხებში მოჯამაგირე ბიჭი წამოებლანდა, გაბრაზდა და ისეთი პანღური ამოჰკრა, რომ თავით კედელს დაატაკა.

ჯაჯანა მენჯავიძესთან

დედა ნახე, მამა ნახე, შვილი იქ გაჩონახე.

ანდაზა

1

კორნელი უგუნებოდ შეიქნა: „ეს რა სალხს გადავეკიდეო? უნდა მოვუსვა აქედან, თორემ იასონი, ანტუშა და ვანიკო აღარ მომეშვებიან. შინ მომაკითხავენ. მეც თუ კარისმერეთის სამიკიტნოში მათთან ერთად არღნით ქეიფი დავიწყე, ჩემი საქმე აშენდებაო“, — ფიქრობდა. როდესაც ალმასთი აიარა და ჯაჯანა მენჯავიძის ეზოს მიუახლოვდა, ჭიშკარზე გაიწორდა, ცხენს სადავე დაუჭირა და თიხაპარკზე გადაიყვანა. თავშომწონედ და ვაჟკაცურად გაიხედა ეზოსკენ, ჯაჯანას და ლუკაიას თავკაცივით მიესალმა. მათ მიაძახეს:

— კორნელი. შეგვიცადე, შეგვიცადე. ბაჭონო! — არ ეშვებოდნენ, ლობისაკენ წამოვიდნენ.

კორნელიმ ხელით ანიშნა: არ შემიძლიაო. მაგრამ მერმე სახლის ყურეში ლუკაიას ცოლი სალომე და მისი ქალი ქეთუა დაინახა. აღვირი მოზიდა და ცხენი შეაყენა.

ლუკაია ღობეზე გადახტა. მას ჯაჯანაც მიჰყვა. ძუნძულით გაეშურნენ კორნელისაკენ, მოღიმარი და ბედნიერი სახით გარს შემოეხვივნენ ორღობეში, შეიქნა იმერული პატივი:

— ერთი ჭიქა ღვინო დაგვლიე.

— დედაშენს გაფიცებ...

— გეიკადრე, ჩემო ბატონო, — დაეხმარა ლუკაიას და ჯაჯანას ღობეზე გადმომდგარი სალომე.

— მობრძანდით, ბატონო! — ისეთის მუდარით და სახით დაუძახა ქეთუამ კორნელის, რომ მხედრის გული გატყდა.

მასპინძელმა ლუკაიამ ცხენს აღვირში წაავლო ხელი. კორნელი ცხენიდან ჩაეხვია. ეზოდში მოხუცი ჯაჯანა ამოუღლა.

— სტუმრები გაგიცილე, ბატონო?

— დიახ.

— რა დედაბელი ხალხი იყო! დიდი შიშიანობა ნახეს ამ თოფ-ხარბაზნების გრიალში. სულ იმ გალაქტიონის და რაქდენიას ბრალია. რამდენი ხალხი გაიფუჭეს! არ დამიჯერეს, ბატონო. გოჯასპირი მენანება, ის უპეტურ დღეზე გაჩენილა...

ეზოში შევიდნენ. ჭიშკართან კორნელიმ ხელი ჩამოართვა სალომეს და ქეთუას. ქეთუას გარდა სალომეს ჰყავდა ორი შვილი — ვაჟები. უმცროსი ჯერ კიდევ ძუძუს წოვდა. ლუკაიამ სკამები გამოიტანა. ქეთუამ ხელ-პირი დააბანინა ნამგზავრ კორნელის და სუფთა პირსახოცი მიართვა.

— აგაშენა, ქეთუა, ღმერთმა, შენს ქორწილს მექეიფოს, — უთხრა ფეხზიშველ გოგონას კორნელიმ ხანშესული კაცივით.

— მაგის ქორწილი კაი შეილია. ვინ სულელი გაბრაყვდება და შეირთავს? — შენიშნა სალომემ.

— შეირთავს კი არა, თვალი გეჭიროთ: არავინ მოგტაცოთ! — მიუგო კორნელიმ. ქეთუას ბაბუამ — ჯაჯანამ და მამამ — ლუკაიამ გაიცინეს.

ქეთუას შერცხვა, ხეს ამოეფარა და იქიდან იჭვრიტებოდა.

ნიავმა დაუბერა. აგრილდა. მზე ჩადიოდა და მისი უკანასკნელი სხივები „მკვდრის მზესავით“ ანათებდნენ ჯაჯანა მენჯავიძის პატარა და მწვანემოლიან ეზოში აღმართულ ალვის ხეების კენწეროებს.

ლუკაიამ ჩურჩხელა, ღვინო და ჭინჭილები გამოიტანა, ტაბლაზე დაალაგა.

2

ხის პატარა სახლის უკან მოდგმულ სამზადიდან ბოლი ავარდა. სალომე სწორუპოვარი დიასახლისი იყო. საქმეს ცეცხლს უკიდებდა. სანამ კორნელი რამდენიმე ჭინჭილას დასცლიდა, საუბარს შეჰყვებოდა და შინ წასვლას დააპირებდა, მან და ქეთუამ ვახშამიც დაამზადეს.

მაგიდა მოიტანეს და ზედ შესანიშნავი ნახელავი ბადრიჯანი, მწვანილი, ჭყინტი ყველი, ხაჭაპური, ისრიმ-მაჯვლის წვენითა და ნიგვზით შეკაზმულ საწებელში ჩაწყობილი შემწვარი ქათამი დაალაგეს. თამადამ, ჯაჯანა მენჯავიძემ, კორნელის სადღეგრძელო შესვა, დალოცა, ბედნიერება უსურვა და თავისი თავიც არ დაავიწყდა.

— ჩემთვის დედაშენი ტერეზა დიდი იმედია, რომ გამიჭირდება, მაინც იმას უნდა მივადგე, ხან ცხენი, ხან სიმინდი და ხან ტყეში ხის მოჭრა ვთხოვო. კერკეტი ქალია. ხელმოჭერილი თუ არ იქნა, ბატონო, რას ბრძანებ: ოჯახი დაეწგრევა. ესაა მხოლოდ, სანახევროდ არასგზით არ დამითმო ჭინჭარეული. მესამედიდან არ გამოგვიყვანა. კერკეტი ქალია, ვერ გავტეხეთ.

ლუკაიამ ეზოს გადაღმა გადაშლილ ყანას — ჭინჭარეულს გადახედა.

— წელსაც მესამედი გიწევთ? — ჰკითხა კორნელიც.

— დიახ, ახლა ამ დასაქცევმა გვალვამ დაჩაგრა ყანა და რა მოსავალი უნდა მოვიწიოთ? დაგვიდექი, შენ გაჩრდას. ქალბატონთან მოციქულად, სანახევროდ მოგვცეს ეს ჭინჭარეული — დაელრიჯნენ ტერეზას ყანის მოზიარენი, ჯაჯანა და ლუკაია მენჯავიძეები სტუმარს.

— კარგი, მოველაპარაკები...

— შენ იხარე, ჩემო ბატონო, შენც თუ იონასავით მოგვხედე გლეხკაცობას, დიდად შეუმსუბუქდება სოფელს გაჭირვება. იონა გაჭირვებული და ღატაკი გლეხკაცის მშველელია. დადგება და მისთვის მთელ სოფელში შეწირულებას შეკრიფავს. ზამთარში უნდა ნახო მისი სახლი. სამკითხველო გეგონება. თავს მოუყრის ახალგაზრდობას და წერა-კითხვას ასწავლის. მოზრდილებს წიგნებს შეურჩევს. იქვე თავის ოთახში დააჯენს და აკითხებს.

— შინ კი არავის გაატანს წიგნს, — მიეშველა ქეთუა პაპას.

— შენს მეტს, — ჩაიცინა ჯაჯანამ.

კორნელი სალომეს დააცქერდა. მერმე ქეთუას შეხედა. ქეთუას დიდრონი, შუქიანი და მგზნებარე თვალები ჰქონდა, თეთრი ფერხორცი, ლოყა ალისფერ ღვინოსავით ალანძული. ჯაჯანა ისევ სთხოვდა, სანახევროდ მიეცა დედამისს ჩინჩარეული.

სალომემ კორნელის ბავშვობა მოიგონა: ტერეზას თავის შვილებში ყველაზე გამორჩეულად შენ უყვარხარო, ხელი მოჰხვია და თავზე აკოცა. ლუკაიამ ჩაბალახი მოიხადა, მაგიდისკენ მიიწია, კულა აიღო და ჯაჯანას მიაწოდა: ქალბატონ ტერეზას სადღეგრძელო შესვიო. ჯაჯანა მოჰყვა ტერეზას ქებასა და დიდებას, კულა მეორეჯერ აავსო. ახლა კორნელის მამა მოიგონა, ექიმი გიორგი მხეიძე.

— მამაშენს ჩემთვის და ჩემი შვილებისათვის ექიმობაში ფული არასდროს არ გამოურთმევია. ამისთანა ექიმი იმერეთში არ ყოფილა. არც ნადიობაში, ქეიფში და თამადობაში ჰყავდა ტოლი. ავიც იყო და კარგიც. იონა მამაშენმა გამოზარდა. იმან შეაყვარა წიგნი და სწავლა.

კორნელის მოეწონა ჯაჯანას სიტყვა, რადგან მამით ამაყობდა. მანაც ჯაჯანასაებრ დააქცია პურზე ღვინო და ასე დასცალა კულა.

ჯაჯანა დააკვირდა და გაოცდა: თითქო მის სუფრაზე ახალგაზრდა ექიმი გიორგი მხეიძე ზისო, ისე ჰგავდა შვილი მამას სიცილით და ჭცევით.

ჭიშკართან ერთხელ კიდევ დალოცეს კორნელი. ამდენი ღვინო თავის დღეში არ დაულევია კორნელის. ცხენზე

შეჯდა, შინისაკენ გაეშურა. ჯაჯანამ და ლუკაიამ კარგა დიდ მანძილზე გააცილეს და სულ იმას ეხვეწებოდნენ: ჭინჭარეული დედაშენმა სანახევროდ დაგვითმოსო.

დედა და შვილი

კარგი ქენი, ქვას დადევი, გაიარე, წინ დაგხვდება.

ანდაზა

1

კორნელი ღობეს მიადგა. აივანზე ლამპა ენთო. ტერეზა დომენტისთან საუბრობდა. ძაღლმა მახარემ ყეფა ატეხა, დომენტიმ თავი ასწია, ჭიშკრისაკენ გაიხედა და დაიძახა:

— რომელი ხარ?

— დომენტიმ იცნო მხედარი და ჭიშკარი გაულო. კორნელიმ ცხენი მთვარით განათებულ ეზოში გააჭენ-გამოაჭენა, კიბესთან ყალყზე შეაყენა, ჩამოხტა და აივანზე ავიდა. დედას ხელი მოჰხვია და აკოცა:

— ნუ ჯავრობ, დედაჩემო, დამაგვიანდა... ცოტა დაველოდე... გავინავარდე...

— ვიცი, დომენტიმ მითხრა, სადაც გაინავარდე! — გაბრაზდა ტერეზა. — ბაზარში ლოთობა, სოფელში ცხენით პორწიალი და უსაქციელობა რა შენი საქადრისია? რომ არაფერი, ნოდარ ავალიშვილი მყავხარ! რითი განირჩევი ახლა შენ იასონ ჯანჯღავასაგან?

— იასონ ჯანჯღავას და ჯაჯანა მენჯავიძის ბრალია, დედაჩემო. არ მომეშვნენ. ღვინო დამაძალეს, მერე რა: ნაკლებად უჯობნიათ.

— გაუმარჯოს ლუარსაბ თათქარიძეს, — დასცინა დეიამ. — ღვინით გამომწვარ და გამოკუპრულ იასონ ჯანჯღავას, ჯაჯანა და ლუკაია მენჯავიძეებს როგორ ეჯიბრები სმაში? ჭკუაზე დაკარგე, შე უბედურო? მოვიდეს აქ ჯაჯანა, ის მართლა ბებერი ტურა, იმას კი ვასროლიებ კუდით ქვას! პატივისცემა ჰგონია ივ სულელს, კაცი თუ ღვინოში ჩაახრჩო და მოკლა.

— რა შენი საქმეა ჯაჯანასთან ღვინის სმა! — შენიშნა მაიკომ.

— განა მთვრალი ვარ მე ახლა? უთხარი, დომენტი, მთვრალი კაცი ცხენს გააჭენებს და ყალყზე დააყენებს? მე ნასვამი ვარ და არა მთვრალი. ნასვამი ვარ, მართალია, მთვრალისა კი რა მოგახსენოთ...

— ვაი ჩემს უბედურ დღეს, ენას ძლივს აბრუნებს და მთვრალი არა ვარო. მადლობა ღმერთს, ბიჭო, ნინო და მისი მშობლები აქ არ არიან. ლოთი ქმარი ვის რათ უნდა?

— არ უნდათ და, ნუ უნდათ! არ იფიქრო, ვისმე დავუჩოქო!

— კი დაუჩოქებ, შვილო, მაგრამ გვიანდა იქნება, ქალი ბევრია, კარგი კი ცოტა.

— ნინო რა ხვითო გგონია! შენ მაინც არ გამოგადგება, დედაჩემო, ისეთი სუსტი და ნაზი ქალი.

კორნელიმ გაიცინა და თვალი უყო დომენტის, დედა არ დაეთანხმა:

— შენ გამოგადგეს, შვილო, და მაშინ ჩემთვისაც გამომდგარი იქნება. ახლა რაღა დროს მაგაზე ლაპარაკია? თუ მასე იყო, რაღას აყვარებდი ქალს თავს? — გაუკვირდა დედას.

— მაშ, თავს ხომ არ შევაძულებდი? წესია ასეთი, — აუხსნა დედას შვილმა. დედას ეწყინა შვილის უზნეო ლაპარაკი.

— ორპირობა სიყვარულში ეაქკაცს არ შეშვენის, „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“-ო, ხომ გახსოვს შოთას ნათქვამი! მე შენ გერა გცნობ, შვილო, ამაღამ.

— გაბრაზდი, რას მიყურებ, ეგრე გაკვირვებული? როდესაც ირგვლივ მხოლოდ სიცრუეს, ორპირობასა და ვერაგობას ხედავ, მაშინ ძნელია დარჩე უმწიკვლო. მე ბევრი რამ გადამეფიქრა. ბავშვობისას რომ გახსოვარ, ის აღარა ვარ. მერმე გეტყვი სველაფერს. მაკო, ვაჩუქე გამოიტანე, ჰო, რა მშვია...

— ჯაჯანა ბერკეტიძეს და იასონ ჯანჯღაველს არაფერი არ გაუმჟღავნებია?

— ჯაჯანა სპირიდონოვიჩი მასპინძელი იყო, საყვარელი

სტუმარიც ვყავდი, მაგრამ, რადგანაც ღვინის სმა ჩავარდა — ქათმის ფრთის გარდა, არაფრისთვის არ მიხლია ხელი.

— ღვინის სმის დროს არ უნდა ჭამო?

— შენც არ მომიკვდე, ოტიამ მასწავლა: ქათმის ფრთა ან ბარკლის ძვალი ამოაწე ღოღნოშოს წვენში, ლოკე, სუნწიწე და ღვინის სმაში ვერავინ ვერ გაჯობებსო.

— ნამდვილია, — დაემოწმა დომენტი.

— ნეტავი სხვა რამეს ისწავლიდე და შეასრულებდე, შვილო, ასე გულმოდგინედ.

მაიკომ ვახშამი მოიტანა: საცივი, ყველი და მჭადი. კორნელიმ დომენტი და მაიკო გვერდით მოისვა, ღვინო დააწია სახარჯო, აძმარებული ეჩვენა და დაიწუწა.

— ამ შუალამეს ქვევრს ვერ მოვხდით — უთხრა დედამ.

კორნელიმ საცივი და მჭადი შეჭამა, ჭიქა ასწია და დაიწყო:

— ნუ მიშლი, დედა, ღვინის სმას. აკი გითხარი, მთვრალი არა ვარ, ნასვამი ვარ-მეთქი. ეს ღმერთმა გაგიმაჯოს და კიდევ დიდხანს გაცოცხლოს, დედაჩემო! — უთხრა კორნელიმ და სახე დაულოშნა. დედამ დანერწყვილი სახე მიაწმინდა ცხვირსახოცით და კორნელი გააფრთხილა:

— გახსოვდეს, შვილო, ცოლს ლოთი ქმარი არ უყვარს.

— ვისაც ქეიფი და ღვინო არ უყვარს, მისი ნურაფერი ნუ გინდა. იგი გულჩათხრობილი, ჩუმი, ვერაგი, საეჭვო კაცია.

დომენტი დაემოწმა და მერმე მანაც ადღეგრძელა ტერეზა:

— დიდხანს იცოცხლე, ქალბატონო. ღმერთმა შენი თაკი ნუ მოგვიშალოს, შენი წყალობა ნუ მოგვაკლოს!

— რა გიწყალობა, დომენტი?!

— ბევრი რამ, ვინ მოთელის!

— მაინც რა? სამოსახლო მიწა? ხე-ტყის მასალა?

— დომენტი! — დაიძახა ტერეზამ, — შვილებთან ერთად საჩივრებს თავი გაანებე-მეთქი, რომ გაგაფრთხილე. ვაინც არ იშლი?! მაგ გზებით უფრო მაწყენინებ და საქმეს ვაარ-დენ. ახლა ჯაშუშობა დაიწყე? — კუნიაზივით გადახტა ქალბატონმა მოჯამაგირეს და მონუსხა.

— არა, შვილებს გეფიცები, — თავს იმართლებდა შერცხვენილი დომენტი.

— დედა, კიდეც რომ ეთქვა, მერე რა: ხომ შორეული არა ვარ? რა საიდუმლო უნდა გქონდეს შენ ჩემგან დაფარული?

არის ოჯახში ათასი ისეთი საკითხი, რომელიც მე შემეხება, მე უნდა გადავწყვიტო და, რომელშიაც სხვისი ჩარევა არაა საჭირო!

— მე სრულწლოვანი გახლავარ, ამ ოჯახის წევრი, მონაწილე, და მაშასადამე, ჩემგან დაფარული არაფერი არ შეიძლება იყოს... მე რომ მიმალავ ბევრ რამეს, იმიტომაც ცუდათ მიდის ბევრი შენი საქმე და ხალხსაც თავს აძულებ, ყველას გულცივი, ხელმოჭერილი, კრიჟანგი ჰგონიხარ, კაკალს ვერ გააგდებინებო, ამბობენ.

— იმდენი კაკალი თავში გამოტეხავს ჯაჯანა მენჯავიძეს, რამდენჯერ მე მისთვის დახმარება გამეწიოს! მთელი ეს სოფელი რომ შეჰყარო, ვერც ერთი ვერ იტყვის ჩემზე, კრიჟანგიაო. თავი რომ მებას მხრებზე, კაცს თავი არ დავაჩაგვრინო და სხვაზე უფრო საზრიანი ვიყო, ეს რა კრიჟანგობაა?

— მართალია, ქალბატონო! — დაუდასტურა დომენტიმ.

კორნელის გაუკვირდა: წეწმინდა და თვალთმაქცობს დომენტიო. გაქვავებული იჯდა ჩამოხეული ჩაბალახით თავწაკრული გლეხი სუფრაზე და მორჩილი თვალებით შესცქეროდა ქალბატონს. კორნელის შეეცოდა:

— დედაჩემო, ხვალვე უნდა მივცეთ დომენტის მიწის პატარა ნაკვეთი და ცოტაოდენი ხე-ტყე სამოსახლოდ. ნუთუ არ გეცოდება წვრილი ცოლ-შვილის პატრონი, შენი ერთგული მეზობელი? — მოულოდნელად ჰკითხა კორნელიმ დედას.

— მეცოდება, მავრამ რა ვქნა? — მიუგო ტერეზამ.

— ჰოდა, თუ გეცოდება, ისე უნდა მოვიქცეთ, როგორც გითხარი, მოიტა ხელი!

დომენტიმ თავი ჩაჰკიდა. მისი მრავალი წლის ნატვრა ახლა უნდა შესრულებულიყო, მაგრამ ტერეზამ წარბები ყაჩაღივით ასიდა, შვილს თვალი უყო და ანიშნა, თავი გამანებეო. მაიკოც გაილურსა. მალულად შეაპარა თვალი მრის-

ხანე ქალბატონს. აგოია კი პირდაღებული მისჩერებოდა კორნელის, რომელიც დედას არ ეშვებოდა.

— რომელი ანანოვი ან რა ისეთი დიდი მამულია პატრონი მე ვარ, სამოსახლო მიწები და ხე-ტყე რომ დავაროგო! — განაცხადა ტერეზამ. — ბოლოს და ბოლოს, თუთუმეტი ქცევა სახნავ-სათესი მიწის და ხუთი ქცევა ტყის გარდა სხვა რა გამაჩნია?

— ეზოს და სათიბს არ ანგარიშობ? — ჰკითხა კორნელიმ.

— ეზოს დომენტისთვის სამოსახლო მიწას ვერ ჩამოვაჭრი. თუ უნდა, სარბევში მივცემ ცოტას. ხე-ტყეს რაც შეეხება, აკი გითხარი, დომენტი, ხუთი ძირი მუხა წაიღე-იქო.

დომენტის სახე საცოდავად დაეღმიჭა, ვედრებით მიაპყრო თვალი ტერეზას და გაუბედავად მიუგო:

— სარბევამდის ათი კერსია, ქალბატონო! იქ ნუ დამკარგავ. მთავარ ნუჩებს ვერ მოგაჭრევინებო, მეუბნება. ვინ ჩხის ტოლ დაგვაჯულ მუხაში კი, რა ბოძები, საძირკველი და ფიცარი უნდა გამოვთალო? მომხედე, წყალობას თვალით გადმოხედე, ქალბატონო, შენს მორჩილს, ერთგულ მეზობელს. შენი ჯიხოს ყური ჩამომიჭერი წყაროსთან, ჰეთხედი ქცევაც არ იქნება. შენს გვერდზე დამაყენე მეზობლად. მერმე მე და მთელი ჩემი ოჯახი შენს სამსახურში ვიქნებით.

— შენ რომ დასახლდები, ჩემო დომენტი, ჭერე ჩემი სამსახურისათვის აღარ გეცლება და არც მოისურვებ. ჯიცი, გამოცდილი ვარ. თუ გინდა, სარბევში ჩამოგიჭრი ცოტას.

— სარბევამდის, ქალბატონო, ხომ მოგახსენე, ათი ვერსია-მეთქი. სარბევი რა სამოსახლო ადგილია? სარბევს ნუ დამკარგავ და გადამასახლებ. აქაა ჩემი მამა-პაპის, ჭიობლების საფლავები და ძირის სალოცავი.

— მე არსადაც არ გასახლებ, როგორც გერჩიოს...

აგოია ტერეზას შესცქეროდა. წამით ჩამოვარდნილ სიჩუმეში მის მიერ გადაყლაპული ნერწყვის ხმა გაისმა.

— შენდეგ, დედაჩემო, — დაიძახა კორნელიმ, — რიგიერ მოგჩერებია აგოია!

— მერე რა, რომ მოჩერებია? იქნებ ანგელოზი და წმინდა სული გგონია! მავე ეშმაკის ფეხიდან არასოდეს ადამიანი არ გამოვა. ერთბაშად არ დაეიმახსოვროს ამაკი

აგოიას წარბიც არ შეუხრია, მხოლოდ ნაღვლიანი თვალები მიაპყრო მამას. მამას გული დაეწვა.

— აგოია წესიერი და კეთილი ბიჭია, — გამოეჭომაგა კორნელი და ყმაწვილს დაუძახა: — აგოია, აქ მოდი!

დარცხვენილი ბიჭი გაქვავდა.

— მიდი! — შეაპარა მამამისმა. კორნელიმ ხელი წაავლო მკლავში და ისე მაგრად მოუჭირა, რომ ბიჭმა ტანჯვით შესტეხა სახის კუნთები.

— შენ არ იცნობ აგოიას, დედაჩემო, — დაიწყო კორნელიმ, — აგოია ჭკუით და გრძნობით სავსე ბიჭია. ისწავლის, კაცი გამოვა ქვეყანაზე. შენ, ალბათ, არ გისაუბრია მასთან!

— ენა გრძელი აქვს, ვიცი.

— ენა. ჭკუა და გულიც კარგი აქვს... რად აირჩემე? რად ამოიღე ნიშანში, მარწუხებს რად უჭერ?

— იმიტომ, რომ მართლაც კაცი გამოვიდეს.

— მაწ ასე. დედაჩემო, მოიტა ხელი! ერთგულ, მოკეთე, ბედისაგან დაჩაგრულ, დაცემულ კაცს ხელი გავუწოდოთ. გაჭირვებული კაცი ხეზე კი არ უნდა ჩამოახრჩო გოჯასპირივით. — კორნელიმ თვალებზე ხელი აიფარა და თქვა: — არ მწორდება იმ უბედური მოხუცის სახე. ვეტავ არ მენახა და არ მესაუბრა მასთან...

ქვასავით უძრავსა და კუშტად ცქერას დედას ხელი მოჰხვია, წუბლზე აკოცა, ლოყა მიადო დადუმებულ, ცივ'ა და დაჭკნარ სახეზე. ტერეზა არ შერხეულა და არც გამოხმაურებია. შვილმა არ იცოდა, რა ფიქრები ბუდობდნენ ახლა მის თავში. იგი დედას ეფერებოდა, თან ოხუნჯობით ეუბნებოდა:

— უხიაკი, კუნიახი და კეპში ქალი ნუ-ხარ. იყავი უხვი და კეთილი. „უხვად გასცემდე. ბღვასაცა შესდის და გაედინებიან“.

— თუ თავად გიჭირს, რაღა უნდა გასცე?

— შენ ისე არ გიჭირს, ნახევარი ქცევა მიწა და ხუთი ძირი ხე, რომ ვერ გასცე.

ტერეზა შეირხა და აღელვებით დაიწყო:

— დღეს დომენტი ხვედელიძე მთხოვს სამოსახლო აიდგილს და ხე-ტყეს, ხვალ ჯაჯანა და ლუკია მენჯავიძეები, ზეკ მარკოზ და ნესტორ ფაიქიძეები... ასე თუ მივეცი და ვა-

რიგე ადგილ-მამული, ნეტავი დედაჩემს! ასჯერ მეტი მამული რომ მქონდეს, ჩვენი სოფლის ღარიბებსა და ღატაკებს ისიც ვერ გაწვდება. ჩემი ბრალი ხომ არ არის დომენტი ხვედელიძისა და სხვათა სიღატაკე? არა, იცოდეს ყველამ, რომ ეზოს ვერავის ვერ მივცემ.

— არ გრცხვენია, ქალბატონო, — იწყინა დომენტიმ და არ მოერიდა ტერეზას? — ჩემი ამაგი, უანგარო სამსახური დაივიწყე, წყალში გადამიყარე და ჯაჯანა და ლუკარა მენჯავიძეებში ამსვარე?

— რა ამაგი? — გაიფოფრა ტერეზა, — ტყუილა მემსახურებოდი თუ? მაგისთანა ლაპარაკი იულო დურგალმა იცის და მეზარება. მემსახურე თუ არა, მე ვიცი, ოქროს ჯიღებით დამადგი თავზე! — ჩაიქნია ხელი ქალბატონმა და მიისხანე შუბლზე კოპები დააჯდა.

— ზვარბელო რომ არ მომერწყო და გამეთოხნა ამ ჩაფხულს, მუშას შენ იშოვიდი?

— რომ გათოხნე, იმიტომაც მიირთმევდი და მირთმევ ამ ქარვისფერ და ქათქათა ჭადს.

— შენი ვენახი ჩემს კისერზეა. დღემუდამ შიგ ვტრიალებ და ვუვლი...

— რომ უვლი, იმიტომაც მიირთმევ ჩემს სანაქებო ღვინოს სათრობად.

— სტუმარი თუ არ გეყოლა, ქალბატონო, ღვინოს სათრობად შენ დაალევინებ კაცს? რა ხელმოჭერილი და ქვაწვა ქალი ხარ, არ იცი?

— შენც კაი გვარიანი ეშმაკი, ჩუმი ვერაგი, ქვებუდანი ყაზახი ბრძანდები, ჩემო დომენტი.

ასეთ კინკლაობაში გადავიდა ქალბატონისა და ჰოჯამაგირის დავა.

კორნელიმ ვერ გატეხა ხელმოჭერილი, „ქვაწვა ქალი“. გაბრაზებული წამოდგა, ჩაის ჭიქაში ჩაასხა ღვინო და ასე დაიწყო:

— მე შენი შვილი. აღარა ვარ. გათავდა, დედაჩემო... ხვალვე წავალ, დავტოვებ აქაურობას და მერმე აქ ფეხსაც არ დავადგამ. ჩაიტანე საფლავში შენი ეზო-გარემო. ნემსის საღირალიც არა მსურს. ეს ჩვენი გაყრისა იყოს, — თქვა კორნელიმ, ჩაის ჭიქა გადაჰკრა და ეზოში ჩავიდა.

ცაცხვის ქვეშ წამოწვა. მასთან ძაღლი მახარე მივიდა, მიუალერსა. კორნელიმ თავზე ხელი გადაუსვა. ჭკვიან, მონამორჩილ თვალებში ჩაჰხედა და მასთან ასეთი საუბარი გაბა:

— ეხ, ჩემო მახარე, ბევრი რამ არის საიდუმლო ამქვეყნად. რაც ფილოსოფოსთ სიზმარშიც არ დასიზმრებიათ. — ძაღლმა თავისი სახელი რომ გაიგონა, დაწვა და, თანხმობის ნიშნად, მაგრად დაუწყო მიწას კუდის ცემა. — შენს ლეკვებს გადაჰყრიან, მოჰკლავენ, შენ კი მაინც უნდა ლოკავდე იმ ვერაგი პატრონის ხელს, ფეხჭვეშ ეგებოდე, მის სახლკარს დარაჯობდე და იცავდე, რომ ერთი ლუკმა პური წამოვიგდოს. ბევრად გჯობია ნადირ-მტაცებელი.

ძაღლმა კალთაში ჩაუდო თავი და წკმუტუნი დაიწყო, თითქო ტირის და თავის ძაღლურ ცხოვრებაზე შესჩივისო.

აივანზე ტერეზა დომენტის ჰკიცხავდა და ჰკუას არიგებდა:

— კორნელი მამას ჰგავს, ალალ-მართალი და ხელგაშლილია. შემბრალე და ხათრიანი. მას ცხოვრებაში უკან დახევა და ჩრდილში ყოფნა უყვარს. ყველა თავზე დააჯდება. თავხედი და უნიჭოც წინ გაასწრებს. შენ მაგის გულკეთილობით, მიამიტობით გინდა ისარგებლო. მე ქმარსა და შვილებს რომ ავყოლოდი, ჩემო დომენტი, ახლა მათხოვრიცით ქუჩა-ქუჩა ვიქნებოდი აღოღებული და სხვის კარზე მიატული.

— ნახევარი ქცევა მიწა და ხუთი მუხა რომ მიწყალობო, ეს შენ, ქალბატონო, არ დაგაქცევს!

ნაცვლად იმისა, რომ ტერეზას დომენტისათვის ეპასუხნა, მან აგოიას უყვირა:

— წადი აქედან. რას მომჩერებიხარ პირში!

შეურაცხყოფილმა ყმაწვილმა პირველად შეუბრუნა სიტყვა ქალბატონს:

— რას მიყვირი? მე ძაღლი არა ვარ!

ნელა ჩავიდა კიბეზე, კორნელისთან მივიდა და გვერდით მიუჯდა. კორნელის თავი მახარეს ზურგზე დაედო და ვარსკვლავებით მოჭედილ ცას მიშტერებოდა.

აგოია ჩვეულებისამებრ არ იღიმებოდა და არ ცელქობდა. ლმობიერი თვალებით მისჩერებოდა კორნელის და ვერ მიეხვედრებინა მამის მაგიერ მადლობა ეთქვა. კორნელის გაუკვირდა და ჰკითხა:

— რა მოგივიდა, აგოია, ხომ არ მიგბერტყეს?

აგოიამ ოდნავ გაიღიმა და თავი გაიქნია.

— აბა, რამ დაგაღონა?

აგოია კორნელის მიუახლოვდა, მახარეს დაჰხედა და იქვე გაიღიმა. რკინიგზის მახლობელი სადგურიდან ორთქლმავლის კივილი მოისმა. კორნელის ხახა გაშრობოდა. გახურებულ ტუჩებზე უნერწყვო ენა მოივლო და აგოიას ცივი წყალი მოატანინა. ეზოში დაცვარულ ბალახზე წამოწოლილი შვილი რომ დაინახა, ტერეზა შეშფოთდა და აივნიდან გასძახა:

— რაა, ამ ბინძურ ძაღლს რომ ჩახუტებიხარ, რწყილებს დაგასევს.

— ეს ძაღლი მირჩევნია ზოგიერთ ადამიანს.

— ასე მამაშენს უყვარდა ლაპარაკი, მამაშენი ჯიუტი, ახირებული კაცი იყო და შვილებიც მას დაემსგავსეთ.

— მამაჩემი არ იყო ცუდი კაცი.

— ცუდი არ მითქვამს, მაგრამ უხეირო, უანგარიშო და უნებისყოფო კი იყო ის საცოდავი. სხვას იმდენი ცოდნა და ნიჭი რომ ჰქონოდა, სოფელში კი არ დარჩებოდა და დაობდებოდა, არამედ პროფესორი გახდებოდა და თბილისში იცხოვრებდა.

— მართალია, კარიერის მოყვარული კაცი არ იყო.

— რა საქმესაც მოჰკიდებ ხელს, იმ საქმეში უნდა იყარგო, დაწინაურდე და სარგებელიც ჰპოვო! მამაშენი საუკეთესო ექიმი იყო მთელს იმერეთში, ჩვენ კი მუდამ გვიჭირდა, რადგან ნახევარზე მეტ პაციენტს უქმად აქცევდა, ფულს არ ართმევდა.

— ფული შენთვის კერპია სალოცავი, ფული — საიავე ყოველგვარი უბედურებისა. შოთაც ამასვე აქებინებს: „ჭირი, თუ ოქრო ჩაგიდო ქისაში, ეშმაკთა ძროხაა“.

— მაშ, ოქრო არაა, გაიჩექე ყველაფერი, გადაიკიდე ხანთა და იარე შაიბა ცერად.. ადექი, კორნელი, ბალახი სველია, გაცივდები. ჩაი ცხელი მთვრალი ხარ და ხვალე მიელაპარაკები.

— ხვალ მე შენ აქ ვეღარ მნახავ.

— კორნელი, რაა ეს უსაქციელობა? რა მოხდა?!

— შენ ერთადერთი ჩემი თხოვნა არ შეასრულე, მე ხალხის იმდენი გაჭირვება, ტანჯვა და წამება ვნახე, რომ აღარ მსურს წილი მედოს მის უბედურებაში, ვიყო იმათ მხარეზე, ვინც აწამებს, ხვრეტს და ახრჩობს გლეხებს, მე არაფერი არ მინდა შენი. ვტოვებ იონასავით ამ სახლ-კარს.

ტერეზა გაოცდა. მხრები აიჩეჩა და უთხრა:

— იმ უსახლკარო და უქნარა იონას გადაუბირებიხარ. იგი გირევს შენ ჭკუა-გონებას.

დედა ეზოში ჩავიდა და გვერდით მიუჯდა შვილს. შვილი ალსარებას ამბობდა:

— არასოდეს თქვენ არ გესმით ჩემი გულისთქმა. არც შინაურებს და არც გარეშეთ. ყველანი მიუკარებელ, გულცივ, დამცინავ და ახირებულ ადამიანად მსახავენ მაშინ, როდესაც ჩემი გული და კაცობა მთელ ამ ქვეყანას გასწვდება. არასოდეს მე არ მიგრძვნია ისეთი მარტოობა, როგორც ამ უკანასკნელ ჟამს. არც შენ, არც ნინომ და არც სხვა ვინმემ არ იცის ჩემი გულისთქმა, რა მაწუხებს, რა მაღელვებს და რა შეადგენს ჩემს საფიქრალ საგანს...

— მითხარი, შვილო, რა გაწუხებს? მე ხომ დედა ვარ, ჩემზე უფრო ვინ გაგიგებს? — გულზე ცივცხლი წაეკიდა დედას.

კორნელიმ ცას ახედა. ვარსკვლავს მიაჩერდა და ნაღვლიანად წარმოთქვა:

— ოღონდ ვარსკვლავთა, თანამავალთა ვამცნო გულისა მე საიდუმლო. ამ საიდუმლოს მე, ალბათ, საფლავში ჩავიტან.

დედამ თავზე ცრემლი შეიშრა და შეშფოთდა.

— რა საიდუმლოა, რა გაწუხებს, შვილო, მითხარი, ნუ მტანჯავ!

— გეტყვი, დომენტის თხოვნას თუ შეუსრულებ, გაიგე: მე ზნეობრივი განწმენდა, ახალი ცხოვრების დაწყება მწყურია.

— შევასრულებ, შევასრულებ, შვილო! ნუ ვომკალი! — მიუგო დედამ.

ნაწილი მეოთხე

ჟუთაისში

ჩვეულებრივი ვნებები ცდუნებით სავსე სიამოვნებისაკენ ითოვენ ადამიანს. დამღუპველი გართობები ზღვად მოვალეობას ავიწყებენ მას.

შილერი

1

რამდენიმე დღის შემდეგ კორნელი ჟუთაისში ჩავიდა. იგი თბილისში გასამართლებელი საბუთებით უნდა ჩასულიყო, თორემ დეზერტირად გამოაცხადებდნენ.

კორნელის ძმამ, სტეფანემ, თავისი მეგობარი ექიმი, როდიონ ხათრიძე ინახულა და სთხოვა მას მიეცა კორნელისათვის ავადმყოფობის მოწმობა. როდიონმა ჰოსპიტალში დაწოლა, იქიდან კომისიაში გასვლა და განთავისუფლება ურჩია კორნელის.

კორნელიმ ჰოსპიტალში სამი-ოთხი დღის შემდეგ დაწოლა გადაწყვიტა.

სალამოს კოსტუმი ჩაიცვა და ქალაქის ბაღისაკენ გაეშურა. თეთრ ხიდს რომ მიუახლოვდა, გზაზე უბელო ცხენებზე მჯდარი ჯარისკაცები დაეწივნენ. კორნელიმ იცნო ჯარისკაცთა შორის რამდენიმე ამხანაგი — სტუდენტი. მეწინავე მხედარმა, მაღალმა ჭაბუკმა, მხატვარმა მიხა მაჭავარიანმა, ცხენი შეაყენა და კორნელის ხელი ჩამოართვა.

— ქალაქის ბაღთან ისეირნე, — უთხრა მიხამ, — ცხენებს დავარწყულებ, ყაზარმაში მივიყვან და მეც მალე მოვალ.

ჯარისკაცებმა გზიდან გადაუხვიეს და ცხენები რიონისაკენ წაიყვანეს.

კორნელი თეთრ ხიდზე შეჩერდა. მოაჯირს მიაწვა და რიონს გაჰხედა. ცოტა ხნის შემდეგ მიხამ და მისმა ამხანაგებმა ცხენები მდინარეში შეიყვანეს, წყალი შეასვეს, დაარწყულეს და მერმე ბანა დაუწყეს. კორნელის თბილისი წაგონდა, საბურთალოდან რომ მიჰყავდა ცხენები მტკვარზე საბანაოდ. თავლა, ყაზარმა, ჯარში სამსახური კარგა ხანია წარსულს ჩააბარა კორნელიმ და ახლა უკვირდა, თეთრ ლო-

დებთან სიპზე შემდგარი, დაკარწახებული სტუდენტები რომ ჰბანდნენ ბატარეის ცხენებს.

მზე ჩადიოდა და რიონის მარცხენა ნაპირზე გადმომდგარ სახლების ფანჯრებს ცეცხლს უკიდებდა. უკანასკნელი სხივები მთის თხემზე ობლად დარჩენილ ბაგრატის ტაძრის ნანგრევებს და გაბაშვილის გორაზე აღმართულ ხეთა კენწეროებს ეცემოდნენ. რიონის ნაპირთან, ვაჟთა გიმნაზიის ეზოში, ტოტებდაგრაგნილი, ასწლოვანი ჭადარი იდგა. მის ჩრდილქვეშ უყვარდა დასვენება და რიონის ნიავით შუბლის გაგრილება სოლომონ მეფესო, — გაუგონია კორნელის. ახლა მის ძირას გერმანელი ჯარისკაცები ირეოდნენ და სამხედრო სიმღერას ამბობდნენ, რომელსაც ღოდებზე მარბენალი რიონის ტალღათა გრიალი ფარავდა.

ქუთაისში ჯერ კიდევ ცხელოდა. ხალხი თეთრ ხიდს ეტანებოდა გასაგრილებლად. რიონზე გადმომდგარი რესტორნის „იალტის“ აივანზე ყველა მაგიდა დაეჭირათ, ნაყინსა და ლაღიძის ლიმონის წყალს მოირთმევდნენ, ცივსა და საამოს.

კორნელი კარგა ხანს იდგა თეთრ ხიდზე. „სავარდო და სამაისო“ ქუთაისის მშვენიერებს ჭვრეტით სტკბებოდა და რატომღაც მხცოვანი პოეტის აკაკის ლამაზი, მოღიმარი და ჭალარა სახე აგონდებოდა.

მოგონება გერმანიის საოკუპაციო ჯარის მუზარადიანმა მხედრებმა გააწყვეტინეს. რაზმი ხიდზე გავიდა. „ას წელზე მეტ ხანს თელავდა მეფის რუსეთი და მისი ჯარი საქართველოს. ნუთუ ახლა, რევოლუციის შემდეგ, გერმანიის ახალშენად უნდა ვიქცეთ? დამოუკიდებლობის შედეგად საქართველომ თავისუფლება კი არა, ოკუპაცია მიიღო“ — გაიფიქრა კორნელიმ და საამო საღამო ჩამწარდა. თვალი გაყოლა ხიდზე მიმავალ გერმანელი დრაგუნების გავაჩასუქებულ ბედაურებს და მოიწყინა.

რიონის პირას ჰოსპიტალს ქვიტკირის მაღალი ყორე ერტყა გალავანივით. ეზოში, თეთრად შეღებილი ერთსართულიანი შენობების გვერდით, პატარა ეკლესია ჩანდა, ხახვისმაგვარი რუსული გუმბათით აღმართული. აი, ამ ჰოსპიტალში უნდა დაწოლილიყო კორნელი ექიმთა კომისიაში გამოცხადების წინ. მოაგონდა ჭუჭყიანი ლოგინი, ნარმის საცვლები, შავი პური, ჩაი და, შაქრის ნაცვლად, მლაშე „სახა-

რინი", უყურადღებოდ მიტოვებული, სნეული ჯარისკაცების ტანჯვა-წამება და ტანთ გაჟრჟოლა. „ნეტავი არ დამწვენდნენ იმ ჰოსპიტალში და ისე მომკემდნენ მოწმობას", — ფიქრა კორნელიმ.

ნელი ნაბიჯით გაუდგა გზას. ჯერ ხიდზე არც კი იყო გასული, როდესაც რესტორნის დარბაზში სამჯერ გაისროლა ვიღაცამ რევოლვერი. რესტორან „იალტის" დარბაზიდან და აივნიდან ხალხი წივილ-კივილით გამოვარდა ქუჩაში.

— რა ამბავია?

— ნოდარ ავალიშვილმა კაცი მოკლა.

— ვინ მოკლა?

— ოფიცერი ანდრო ჩიჩუა.

რისთვის მოკლა ჩიჩუა ავალიშვილმა, ვერ გაიგო კორნელიმ. ბოლოს ქუჩაში გამოვიდა თვით ნოდარ ავალიშვილი, მაღალი, მხარბეჭიანი და მწითური ვაჟკაცი. ჟღალი ჩოხა ეცვა, უკან მეგობრები მიჰყვებოდნენ — ოფიცრები და ჩოხიანი თავადები. ნოდარს წელზე მაუზერი ეკიდა და მედიდურად იცქირებოდა. მილიცია, პატრული და კომენდანტი — ვერავინ ვერ ბედავდა მის დაპატიმრებას, სანამ გარნიზონის უფროსი, გენერალი სუმბათაშვილი არ მოვიდა. დაბალი, მავრამ ჯერ კიდევ ჯანიანი და ბრგე მოხუცი ეტლიდან ჩამოვიდა, ნოდართან მივიდა, ცისფერი თვალები შეანათა და უთხრა:

— როტმისტრო, გამომყევით!.. — მერე ხმას დაუწია და შეეხვეწა: — წამომყევით, მიამბეთ, რა მოხდა? ხომ იცით, მე თქვენ არ დაგლუპავთ!

ნოდარი და ორი მისი ამხანაგი ეტლში ჩაუსხდნენ გენერალ სუმბათაშვილს და ასე გაჰყვნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ ნოდარ ავალიშვილი ისევ არხეინად დასეირნობდა ბაღის წინ თავადაზნაურებთან ერთად. ხალხი ამბობდა:

— ეს მეოთხე კაცი მოჰკლა ავალიშვილმა. ნიკოლოზის მთავრობამ ვერაფერი მოუხერხა და ჟორდანიას მთავრობა რას დააკლებს?

საკმარისი იყო არ მოსწონდა ვინმე თვალში ნუზარაოშებულ ავალიშვილს და იგი მაშინვე გააჩერებდა და ახტუნებდა მას. ხტუნვის დროს ფეხებში ტყვიებს დაასხიდა ან

ხმლით ყურს მოაცლდა, მერმე პანღურს ამოჰკრავდა და გაისტუმრებდა.

რა ვაჟკაცობა ან რა ჟინის მოკვლა იყო ეს, კორნელიმ ვერ გაიგო. ხოლო ნოდარის მეგობარ ოფიცრებს და თავადებს ძალიან მოსწონდათ მისი საქციელი და დიდხანს ხარხარებდნენ ამის გამო ქუთაისის ბალთან.

— სიგიჟე თერთმეტნაირიაო, ამბობს საბა-სულხანი: შმაგი, ხელი, სულელი, ცოფი და სხვა, — უთხრა კორნელიმ ერთ ჯუჯა ოფიცერს.

ჩიჩუას გვამი წაიღეს და ცნობისმოყვარე ხალხიც წავიდწამოვიდა.

ვაჟთა გიმნაზიის აღაყაფს კარებთან მეხილეებისა და მიკიტნების ბიჭები, ქუთაისელი ნოქრები გერმანელ ჯარისკაცებს საღებავით აჭრელებულ კონსერვებს, წვივზე დასაბმელ ჰამაშებს ართმევდნენ და ევაჭრებოდნენ. ნოქრები გიმნაზიელებს ეხვეწებოდნენ:

— შეეკითხეთ, რა ღირს,

და გიმნაზიელები გერმანულად ამბობდნენ.

— ვიფრ კოსტეტ?[1]

ფეხმოკცეული და ჯუჯა გერმანელი ოფიცერი, რომელიც, შეიძლება, აფრიკაში ნამყოფი იყო, ზანგები იაფფასიან, ბრწყვიალა, შელებილი ქვებით, ჩიქებითა და რკინის ყუთებით განუცვიფრებია და მოუკადნიებია, არ უწყიდა, რომ კულტურულ ქვეყანაში იმყოფებოდა, ეშმაკურად იღიმებოდა და ვაჭრობის დროს თითებს იშველიებდა.

2

ამ დროს ოფიცრებით გამოპრანჭული მიხა მაჭავარიანი და ქუთაისის ეკლის შვილი, სტუდენტი კოწია ადეიშვილი კორნელის დაეწვნენ. მიხას თბილისის ქართული გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული. მერმე ნხატვრობა დაიწყო. აბრეშუმ და საინჭერესო კაცად ითელიდნენ ნაცნობი ქალები და ამიტომაც გაჰყვა მას ცოლად ნინოს ბიძაშვილი ელო. მიხას საშინაო საქმეებში ჩაბოლვა კორნელის

[1] ვიფრ კოსტეტ?

იყვე, ქალთა მადევარი და მურტალი ენის პატრონი ჭაბუკი იყო. კორნელის თვალი უყო და ჰკითხა:

— ნინოსთვის წესი ხომ არ აგიგია, შე პირძაღლო?

— რას ამბობ? — იწყინა კორნელიმ.

— ხელი აიღე! მე ვიცი, მამა აბრამის ბატკანი მყევხარ! — მიხას არ სწამდა არც თავისი და არც სხვისი პატიოსნება. ამიტომ შეაჩერა კორნელი და განაგრძო: — მე რომ ელო არ შემვერთო, უთუოდ ნინოს ჩავჭიდებდი ხელს.

— ნინო ადვილად არ ჩააჭიდინებს მამაკაცს ხელს, — გაბრაზდა კორნელი, მაგრამ მიხა მაინც არ დაერიდა:

— ნინოში გაცილებით მეტი ქალობა იგრძნობა, ვიდრე ელოში. შენიშნე, როგორი პაწია, შავი ულვაშები აქვს?

— მერე რა?

— ულვაშები ვნებიანობის ნიშანია. — გაიქნია მიხამ თავი და თვალები ნეტარებით მილულა.

— დაანებე თავი ნინოს! სხვა სალაპარაკო ვერაფერი გამოძებნე?

— კარგი ერთი, ნუ ცხარობ. განა ნინოს ვაძაგებ. მე დარწმუნებული ვარ, რომ იგი დაცული ქალია.

— ამერიკა აღმოაჩინა! — მიუგო კორნელიმ.

მიხამ მხარი დააჯახა და უთხრა:

— ყოჩაღ, კარგი გოგო ჩაიგდე ხელში!

მიხა ჩაფიქრდა და მეგობრებს საიდუმლო გაუმხილა

— იცით, ბიჭებო, მე კდემამოსილ გოგოებს მრუშები მირჩევნია. ისეთები შეგხვდება მათში რო — ფა, ფა, ფა!

— ისეთებიც შეგხვდებიან, რომ დაბადების დღეს დაგიწყევლინებენ, — შენიშნა ადეიშვილმა, გაფანჩულ წარბებზე ქუდი ჩამოიფხატა, კეფა მოიქექა, გაიღიმა და გიშერივით შავი თვალები მიაპყრო მიხას.

— მგლების თუ გეშინია, ტყეში ნუ შეხვალო, ხომ გაგიგონია რუსული ანდაზა? კორნელი, გინდა ცირკში წავიდეთ? ცირკის ქალებს გაგაცნობ. ნახე როგორებია. ფული შევაგროვოთ და მათთან ერთად ვივახშმოთ. წამოდი! — არ ეშვებოდა მიხა კორნელის.

— ქუთაისის ცირკი რა სანახავია! ბაღში გავისეირნით, ისა სჯობია. მერმე, თუ გინდათ, ვივახშმოთ.

— თავი გაანებე ბაღს! ქუთაისის ბულვარში რა ჰყრია? ჯგუფ-ჯგუფად დადიან ბიჭები გოგონებთან და ნახუნაგის აღებასაც ვერ ბედავენ.

მართლაც, ქუთაისის ახალგაზრდობა ბაღის ირგვლივ ტროტუარს უფრო ეტანებოდა, ერთმანეთში ირეოდა, ხმამაღლა ლაპარაკობდა, ყვიროდა, იცინოდა და ისე ხმაურობდა, თითქოს ბაღი სკაად, ფუტკარი შიგ ვერ ეტევა, ათასობით გამოჭედილა, სკას გარს დახვევია და გუგუნებსო.

დაღამდა, მხოლოდ ქალაქის ბოლოს მოსჩანდა ალისფერი ცა, მასზე ახატული გაბაშვილის გორა და გორიდან აღმართული ცაცხვების კენწეროები. სანათურებმა აქა-იქ იწყეს ბჟუტვა. სიბნელეში მოსეირნე ბიჭები ახლა დაურიდებლად გადადიოდნენ შეტევაზე და აქა-იქ გაისმოდა გათამამებული ბიჭების მიერ შეწუხებული გოგოების კივილი, კისკისი და გინება.

თეთრი ხიდიდან კორნელიმ ერთხელ კიდევ გადახედა ადრე ჩაძინებულ ბნელ ქუჩებს და მთაში ჩაბუდრულ პატარა ქალაქს. შორს ძაღლის ყეფა მოისმოდა, ისე როგორც სოფელში.

თეთრი ხიდის ახლოს, სახელდახელოდ შეფიცრულ ცირკის კარებზე ასხმული ელექტრონის ლამპები და სასულე ორკესტრის ხმა სრულიად არ ეხმიანებოდა სიბნელეში ჩაძინებულ პროვინციულ პატარა ქალაქს.

კორნელი უგუნებოდ შევიდა ცირკში.

კარებში კაპიტანი სიდაშელი შეეფეთა. კორნელი და მისი ამხანაგები მიესალმნენ. კორნელიმ თვალი გაუსწორა ჯმუხ, შავგვრემან, დაბალ და ულამაზო კაცს. ხიდაშელს უბრალოდ ეცვა, ოფიცრის ეპოლეტები რომ არ ჰქონოდა და წმინდა გიორგის ორდენი არ ჰკიდებოდა, ჯარისკაცი გეგონებოდათ.

— შედით, შედით, პირველი განყოფილება არაა საინტერესო. მე მერმე მოვალ, ჭიდაობაზე. დღეს მედელაური და ახალგაზრდა სპორტსმენი მოწაფე ქვარიანი ჭიდაობენ. განთქმული მოჭიდავე დჟოე-მორა ქვარიანზე დიდ იმედებს ამყარებს. მართლაც, იმ ჭაბუკისაგან იშვიათი მოჭიდავე დადგება.

— უკეთესი აღნაგობა, ძალა და სიმარდე მე არ მინახავს, — დაიწყო აღტაცებით მიხამ.

— რა ვუყოთ მერმე, შენ რომ არ გინახავს! — ჩაიშმუშნა ხიდაშელმა, მხარზე ხელი დაარტყა და წავიდა.

კორნელიმ თვალი გააყოლა და გაუკვირდა, რომ კარის-მერეთისა და ახლომახლო სოფლების გლეხთა მწარებელს, ჯალათს ასე მშვიდად და უშფოთველად ეჭირა თავი

„არამზადა“, — გაიფიქრა მან.

ცირკში ცოტა ხალხი იყო. ჯარისკაცები და მოსაფეხები სჭარბობდნენ. ქანდარაზე მდგომნი ჩვეულებისამებრ სიცილით, ყვირილით და სტვენით ამჟღავნებდნენ თავიანთ აღტაცებას ცირკის მსახიობისადმი. გაფაციცებით შესქეროდნენ გაჭიმულ მავთულზე ქოლგით მოსეირნე ახალგაზრდა ქალს, რომელსაც წელქვევით, ტანზე შემოჭირებულ ბორციასფერი ტრიკო ეცვა და შიშველსა ჰგავდა. მავთულზე მოსეირნე ქალს სავსებით მოეჯადოებია მაყურებლები. ჯოველთა განწყობილება უმალვე გადაედო მიხას და მის ახანაგებსაც.

ქალი ოსტატურად არხევდა ქოლგას, წონასწორობს იცავდა, იცინოდა და ტუჩებზე ხელის მიდებით უგზავნიდა კოცნას ხალხს. ხანაც საჯდომით დაეცემოდა მავთულზე, „ჰოპლაო“ დაიძახებდა, ჰაერში შეხტებოდა და ისევ დაიგებოდა მავთულზე ფეხის ტერფებით.

ქალი მავთულის ბოლოს ჩერდებოდა დროგამოშვებით, მერმე ისევ გაირბენდა.

მიხამ, კოწომ და ახალგაზრდებმა ტაშისცემით აკლეს ცირკი. მათ სხვებიც აიყოლიეს, და ასეთი გამარჯვება და მოწონება გულზე ეფონებოდა მოვარჯიშე ქალსა და ცირკის ფეხმოტეხილ და კოჭლ დირექტორს. მავთულზე მივარჯიშე ქალი მიწაზე ჩამოხტა. წინა რიგებისაკენ გასწია. მიხას მოეჩვენა, ჩემსკენ მორბისო. უფრო მაგრა დასცხო ტაში. აი ახალგაზრდა ქალმა ალერსით გაუცინა. მადლობა გადაუხადა და, რევერანსი გააკეთა. რამდენჯერმე გამოიძახეს ქალი და იგი ყოველთვის მიხასაკენ გამოქცეოდა. ბიჭყვიალა თვლებით მოროტულ, კოკობზიკა და მოკლე კაბას ასწევდა, ნაზად გაიცინებდა. რევერანსს გააკეთებდა, შეკოწიწდებოდა და ასე გაქცეოდა არენიდან. ცირკში მოთამაშე ქალს ამ გაცვეთილმა და გახეპირებულმა სიკეკლუცემ ისევ მოჯადოვა მიხა და კოწო.

— ამას თუ წაიკოცყვან, ვახშმად გპატიჟებთ! — დაიძახა კოწომ.

მიხასაც ეს უნდოდა. აღარ დაუცადა ღერძზე მოვარჯიშე ქალების გამოსვლას, არც ვანო მედელაურისა და ქვარიანის ჭიდაობას. უკანა შესასვლელით საპირფარეშოში წაიყვანა კოწო და მავთულზე მოვარჯიშე ქალი და მისი მეგობარი გააცნო.

ძვირად დაუჯდა კორნელის ვახშამი და საგარაკოდ წასულ კოწო ადეიშვილს მშობლების ბინაზე ცირკის ქალებთან გატარებული ღამე.

სამგზავროდ და თბილისში სახარჯოდ დედის მიერ მიცემული ფული გაუნახევრდა.

3

ნამთვრალევი ყმაწვილები მხოლოდ შუადღისას ადგნენ. რიონში იბანავეს, მოეხედავად იმისა, რომ ამინდი გამოცვლილიყო, მოღრუბლულიყო, ცივი ქარი უბერავდა და ოდნავ ჟინჟღლავდა. კორნელიმ მაინც დიდხანს იბანავა, გაცივდა და ესპანური შეეყარა. მესამე დღეს თავის საშინელი ტკივილი, წელისა და სახსრების მტვრევა დასჩემდა. სტეფანეს ცოლმა, კატომ, სიცხე გაუზომა. სიცხე ორმოც გრადუსამდე ასულიყო და ძალმა ძალით დააწვინა მაზლი. სადილობის დროს, როცა სტეფანე გიშნაზიდან მობრუნდა, კორნელის ამბოდებდა. შუაღამე ცივი ტილო ედო. ბნელ ოთახში მწოლიარე ოვლისი ძმა რომ ამ დღეში დაუხვდა, სტეფანემ მაშინვე ექიმს გამოუძახა. როდიონ ხაორიძემ ყურადღებით გასინჯა ავადმყოფი და, ანთების წინააღმდეგ წინასწარი ზომების მიღების მიზნით, კოტოშების მოკიდება არჩია და წავიდა. შავსათვალებიანი, შავგვრემანი, გაბარჩული და ჩასუქებული კაცი სტეფანეს მაღალზე სწერდა რეცეპტს. წაბლი შეკრული ჰქონდა. სტეფანე თვალს არ აშორებდა. წაშინებული საჭით იჯდა ძის წინ და მაგიდაზე დაწყობილ თეთრ და ფუშჭიელა ხელს ათვალიერებდა.

— ძალიან, ძალიან მადეომარეობაა? ბავს რომ რაიმე

დაემართოს, დედაჩემი აქედან გადამასახლებს. ჭუთაისში გა-
მოგიგზავნე და თვალი ვერ ადევნეო, მეტყვის.

— ესეც რომ არ იყოს, — განაგრძო კატომ, — კორნელი უმცროსი შვილია, დედას გაგიჟებით უყვარს და არ ვიცი, რა მოუვა.

— ჯერ არაფერი მაგის მსგავსი საშიშროება არ მოგველის, თუმცა, — დასძინა ექიმმა, — ფილტვები არც ისე ადრი აქვს. წყეულ ესპანურას თუ თავშივე არ წაავლე ხელი, იგი სწორედ იმ ორგანოს დააწვება, რომელიც ყველაზე აუტია ჩვენს ორგანიზმში.

— რათ უნდა ჰქონდეს მოვარჯიშე ვაჟკაცს სუსტი ფილტვები? — გაუკვირდა სტეფანეს.

— ნუ გიკვირს, სტეფანე, — შენიშნა ცოლმა ქმარს, — შენი ძმა, საცოდავი შალვა, ხომ ჭლექით გარდაიცვალა..

— გასაკვირი არაფერია, — ჩაერია ცოლ-ქმრის ლაპარაკში ექიმი, — იმერეთის მოსახლეობის ოთხმოცი პროცენტი მალარიითა და ჭლექით არის დაავადებული.

— უი, ფილტვების ანთება არ აღმოაჩნდეს, — სწუხდა საამო სახის მქონე კატო.

— ნუ გეშინიათ. ვფიქრობ, ყველაფერი კარგად მოვარდება. ესპანურა ვის არ შეჰყრია! — დაანუგეშა ექიმმა ცოლ-ქმარი.

კორნელის მხოლოდ მეცხრე დღეზე დაუვარდა სიცხე, მაგრამ ორდნავ მომეტებული სიცხე კი ოცდაერთ დღემდე ვერ გამოუდენა ტანიდან ექიმმა. კორნელი ოფლში სცურავდა და კატო ვერ უთავდებოდა საცვლებისა და ზეწრის ცვლას. ბოლოს სიცხეც გამოუნელდა, მაგრამ წვერმოშვებული და ჩონჩხივით ჩამომხმარი კორნელი მართლაც ჭლექიანს დაემსგავსა და ექიმმა როდიონ ხათრიძემ, აგარაკის ნაცვლად სამშობლო სოფელში — კარისმერეთში ურჩია დასვენება, ითველის იქ გატარება და ყურძნის ბლომად ჭამა. ექიმის აზრით, ყველა აგარაკზე უკეთ ის აღგილი და იმ ადგილის ჰავა მოუხდება კაცს, სადაც დაბადებულა, ბავშვობა და ყრმობა გაუტარებია. სოფელში წასვლის წინ კორნელიმ ექიმთ. კომისია გაიარა. განცვიფრებული ექიმები მის კანგადაჯრულ ჩონჩხს მისჩერებოდნენ. როდიონმა გაიფრთხილა:

— რუსეთში წასვლაზე ნურც იფიქრებ, ძამიაl

კომისიამ კორნელი სამხედრო სამსახურისათვის უვარგისად სცნო.

საექიმო კომისია ოლდენბურგის ქუჩაზე იყო მოთავსებული, რეალური სასწავლებლის ახლოს.

როცა კორნელი ქუჩაში გამოვიდა, ბიცოლა ბაბო შეეყარა. უკან მოურავი ბეგლარ სანიკიძე მოჰყვებოდა. ბეგლარს „მწვანე ბაზარში“ ნაყიდი სურსათით და სანოვაგით დატვირთული კალათები ეკავა ხელში. კორნელის დანახვაზე ბაბო თავზარდაცემული შეჩერდა. შიშისაგან გაფართოებული თვალებით მიაშტერდა კორნელის. უმალ ვერ იცნო.

— დედა, შვილო, კორნელი! ეს შენა ხარ? რა მოგივიდა? — დაიძახა ბოლოს ბაბომ და კორნელის მოეხვია.

— ასე გამათავა კაცი ესპანურამ, — მიუგო კორნელიმ და მკრმე ბეგლარს ხელი ჩამოართვა.

— აქ რას აკეთებ? — ჰკითხა ბაბომ.

— ჯარიდან თავი გავიხსენი. — მიუგო კორნელიმ და მეგობრები, მიხა მაჭავარიანი და კოწო ადეიშვილი გააცნო.

ბაბომ ეშხიანი და ბრიალა თვალები მიაპყრო მათ. ჟაკეტი გაისწორა. ორსულობის გამო მუცელი დასტყობოდა. კორნელიმ თვალით ანიშნა: ეს რა ამბავიაო.

ბაბომ ისეთი ომახიანი ხმით გაიცინა, რომ თბილისის ქუჩა თავით ბოლომდე ხარხარით აივსო. ბეჭდებით შემკული ხელი მუცელზე გადაისვა და კორნელის უთხრა:

— ჩემო კორნელი, უშვილოდ და უპიროდ ალარ გადავა ბიძაშენი, ცა გაგვეხსნა და ღმერთმა შვილი გაგვიჩინა.

ბეგლარმა თავი ჩაჰკიდა. ბაბომ ჭლექიანივით ჩამომხმარ კორნელის შეხედა და უთხრა:

— წამოდი, ბიჭო, ჩვენსა ზედაზენში. ისე გაგხდი და გაგაკეთებ, რომ ტერეზამაც ველარ გიცნოს. ეს შენი მეგობრებიც წამოიყვანე.

— ოტია მარტოა და გაეხარდება, — დაჰპატიჟა მოურავმაც.

ბაბომ დოინჯი შემოიდგა და ისე შეეხვეწა კორნელის:

— უთუოდ წამოდი მეგობრებითურთ.

ბაბომ მიხა მაჭავარიანს და კოწო ადეიშვილს შეხედა,

მ-ხას თვალი გაუსწორა, გაცინა და ბროლვით თეთრი კბილები გაძოაჩინა. ჭას არ შეეძლო მშვიდად ეცქირნა მამაკაცისათვის. სახეზე ბაშინვე მაცდური ღიმილი გაღაურბენდა და თვალებიც ეშმაკურად აუციმციმდებოდა.

„ეს პატრონჰკვდარი ორსულადაა, კეკლუცობას და არშიყობას კი მაინც არ იშლის“, — გაიფიქრა ბეგლარმა.

— ჩვენ ვერ წამოვალთ, ქალბატონო, არ გვცალია. კორნელი რომ დაგიკრებდეთ და წამოვიდოდეს ზედაზენში, მართლაც კარგს იზამს. — უთხრა მიხამ ბაბოს.

— არა, ბატონო, თქვენც გვეწვიეთ, მართალია, გლეხებმა აგვაწიოკეს, მოთხრა და აოხრება მოგვინდომეს, მაგრამ ახლა, ღვთის მოწყალებით, ისევ კარგად ვაოთ. — ბაბომ ცბიერად გაიღიმა და კორნელის ჰკითხა: — ბოლშევიკები ხომ არ არიან ეს შენი მეგობრები?

— არა, ქალბატონო, ჩვენ ბოლშევიკები არა ვართ. ის, ჩვენი ზარბაზნები იყო რომ გრიალებდნენ ზედაზენში, — მიუგო მიხამ.

— ჰოდა, მით უფრო უნდა გვეწვიოთ, — მიელაქუცა მელანავით მოურავი.

— ღმერთმა დაწყევლოს იმ ყაჩაღების თავი და ტანი! — უთხრა ბაბომ კორნელის, — გლეხები რომ თავზე დაგვესხენ, იმ ღამის მერმე სულ უქეიფოდაა ოტია. ლოგინად ჩავარდა ის ცოდვით სავსე. დიდი შიში ჭამა, გენაცვალე. რუმბივით გაუსივდა ფეხები. ახლა ცოტა დაუცხრა სიმსივნე. ოშოშია ვერ ვიშოვნეთ ზედაზენში, ტერეზას ჭირიმე, იმან გამომიგზავნა კარისმერეთიდან ბეგლარის ხელით.

— ოშოშია რათ გინდოდათ? — ჰკითხა კორნელიმ.

— მოთუშულ ოშოშიას ვადებთ ფეხზე და იმან დაუცხრო სიმსივნე. შენ გეცინება, კორნელი, მაგრამ ხშირად სოფლის წამალი უფრო რგებს ავადმყოფს.

— ოშოშია კი არა, წყალტუბოში წაიყვანეთ, — ურჩია კორნელიმ.

— წყალტუბო, ზეკარი და არც კისლოვოდსკი მიჰკლებია, მაგრამ არც ერთმა არ არგო. უზომოდ ღვინის სმა და ქალების დევნა რომ ამ დღეში ჩააგდებდა იმ ოჯახაშენებულ ბიძაშენს, უნდა სცოდნოდა.

— მაინც არ იშლის თავისას, — ჩაერია ლაპარაკში მოურავი და ეშმაკურად გაიღიმა. — ცოლისძმას დათას ტიტველი ქალების სურათები და პანორამა სთხოვა...

ჩოხამოსხმულ, ფართოხანჯლიან მოურავს ღვინის სმისაგან გალურჯებული ცხვირი, შესივებული თვალის უპეები, აჯამეთის ტყის კატასავით ანთებული თვალები ჰქონდა.

როცა ბაბო და ბეგლარი წავიდნენ, მიხა მაჭავარიანი კორნელის გაეხუმრა:

— რა დიდებული ბიცოლა გყოლია, შე სახეძაღლო!

„რაღა დიდებული! ქმარს ღალატობს და მოურავთან ცხოვრობს“, — გაიფიქრა მან.

4

კორნელი კარისმერეთში ჩავიდა და რთველი იქ გაატარა.

დელა თავგამოდებით ჰკვებავდა რძით, კვერცხითა და მწიფე ყურძნით. ერთ თვეში ისე გაასუქა, რომ ტანისამოსში აღარ ეტეოდა. ულვაშები დაიმშვენა. დასრულდა და დავაქაცდა. დურგალს იულოს, დომენტი ხვედელიძეს და აგოიას შველოდა მუშაობაში, ჭირნახულის მოწევასა და ყურძნის წურვაში.

დომენტი ტერეზასაგან მიღებულ საეზოვე ადგილში ხის პატარა სახლის მშენებლობას უნდა შესდგომოდა და ამიტომ აგოიას კორნელისთან ერთად ქალაქში წასვლაზე უარი უთხრა.

ნოემბერიც დადგა. ცივმა ქვენა-ქარმა დაუბერა და ხეზე შერჩენილი გამხმარი ფოთლები ჩამოჰყარა. მუხისა და ჭადრის გახევებულ. მოკრუნჩხულ და კაპორჩხალივით ფეხებზე შემდგარ ფოთლებს უმოწყალოდ მიერეკებოდა მინდორსა და შარაგზაზე. ქარი მძვინვარებდა და ტყიდან უზარმაზარი მუხების გუგუნი, დომენტი ხვედელიძის პატარა სახლის სახურავზე დაცუცქული დურგლის იულოს ჩაქუჩის კაკუნის ხმა მიჰქონდა.

კვირა დღე იყო, თბილისში წასასვლელად გამზადებულ შვილს დედამ ადრე გაუშალა სუფრა. სუფრაზე, დომენტისა და იულოს გარდა ჯაჯანა და ლუკაია მენჯავიძეებიც იხდნენ.

ტერეზას ყანის მოზიარე გლეხებმა თამადად აუჩქარებელი, დინჯი და ჯმუხი ლომენტი ხვედელიძე აირჩიეს. ტერეზა შვილს აჩქარებდა: სადგურზე არ დაგაგვიანდესო. შეზარხოშებულმა ხალხმა დიდის ამბით გააცილა იგი რკინიგზის სადგურისაკენ. როდესაც კორნელი მენჯავიძის ეზოს მიუახლოვდა, ქეთუამ ქარვისფერი ყურძნის — ცოლიკაურის აკიდები გამოურბენინა, „საცოლესავით მიცინისო“, — გაიფიქრა კორნელიმ. მადლობა გადაუხადა და უთხრა:

— გმადლობთ, ქეთუა. გაზაფხულზე ისევ ჩამოვალ სოფელში, ისევ გინახულებ. მაშინ აი ამ ცაცხვის ქვეშ ქამართულ ჯარში ვიცეკვებ შენთან ერთად დაირაზე.

ლოყაწითელა გაოცებულმა გოგომ გაუცინა.

— ნუ ასულელებ! — უთხრა ჩუმად ტერეზამ შვილს, მაგრამ კორნელიმ ქეთუას კვლავ უცნაურად უთხრა:

— ეს შემოდგომაც გაივლის, სუსხიანი ქარბუქი და ქარიშხალი წააქცევს მუხებს აჯამეთის ტყეში. თოვლი დაფარავს დედამიწას და შენც ვეღარ გნახავს ჩემი თვალები. ჭინკები მოგიტაცებენ. მაგრამ მოვა გაზაფხული, კვლავ გიპოვნის დედაშენი და ის შეინახავს ჩემთვის შენს თავს, როგორც დემეტრე — კორას.

ახლა ქეთუამ და ყველამ გაიცინეს.

— ნეტავი შენ, შვილო, ასე რომ ოხუნჯობ და თავს იცავ. თავს გაუფრთხილდი. გზაზე არაფერი მოიწიო, — უთხრა ტერეზამ კორნელის. გადაეხვია, ჩაჰკოცნა და გამოემშვიდობა.

— კორნელი ხაბარდულაზე შეჯდა და რკინიგზის სადგურისაკენ გასწია. უკან აგოია დაედევნა.

რკინიგზაზე

წყალნი წავლენ და წამოკლენ, ქვიშანი დარჩებიანო.

ინდაზი

1

ცივი და ძვალ-რბილის დამაზრობელი ქვენა ქარი უბერავდა, თანაც თოვდა და წვიმდა. თოვლჭყაპი მოდიოდა. მთას მწვერვალები ნისლით დაბურულიყვნენ. წყლით გაჟღენთილი და დამძიმებული ღრუბლები მიწაზე ეშვებოდა და ისე ნელა მიიზლაზნებოდა, როგორც ის მატარებელი, რომელშიაც კორნელი იჯდა. მატარებელი ყოველ უმნიშვნელო საღგურზეც კი საათობით ჩერდებოდა და ქუთაისიდან თბილისში ჩასვლას დღენახევარი მოუნდა.

გაჭვარტლული ორთქლმავალი მისუსტებული ხმით და გულსაკლავად გაჰკიოდა ძირულის პირას მთებს შორის დაგებულ ლიანდაგზე, თითქო ძალა გამოელია და შველას ითხოვსო. ძლივს მიიტანა სული სადგურამდე, გაჩერდა, დაბარბაცდა და უვარგისი, დანჯღრეული ვაგონები შუბლით ერთმანეთს შეაჯახა. ასე უხეიროდ შედგა სადგურზე იმ იმედით, რომ კარვა სანს დაესვენა, იარები მოეშუშებინა და გზაზე დაღლილს ძალა მოეკრიბა.

კორნელიმ ვაგონიდან ჩასვლა ვერ მოახერხა. რადგან სველი და დაკონკილი ცაბალახით თავწაკრული გლეხები მოაწყდნენ კარებს. ყიჟინით, დაფეთებული თვალებით აწვებოდნენ ერთმანეთს. კიბეზე და ბაქანზე ლობიოთი და სიმინდით სავსე ტომრებს, ხურჯინებსა და კალათებს ეზიდებოდნენ. ქალაქის ბაზრისაკენ ეჩქარებოდათ, ორიოდე გროშის გამოსარჩენად.

ჟღალწვერიანი, ქურქში და ჩექმებში გამოწყობილი კაცი სწორედ ისინდა ყველას, იდაყვით აწვებოდა დახეულპაჭიჭებიან, ჩია და სუსტ გლეხს, ცხვრის ფარასავით აფენდა ხალხს აქეთ-იქით და ისე იკაფავდა გზას მგელივით მუხლმაგარი. მარჯვედ ავარდა კიბეზე და ბაქანზე შეაგდო ხურჯინი, რომელშიაც დაკლული ვეება ღორი ჩაეტენა. ღორი არ ეტეოდა ხურჯინში და ცეცხლზე გარუჯულ ყურებს უზარმაზარი ღა-

მურას ფრთებიდან აბარტყუნებდა. უმოწყალოდ ხანჯლავდა და ასე მიათრევდა მძიმე ხურჯინს ქურქიანი კაცი. იყო რაღაც მგლური ამ კისერმოუდრეკელი და გააფთრებული კაცის სახეში და მის შვაგ მოძრაობაში, თითქოს ადამიანი კი არა, მგელი მიათრევს ამ კასერგამოღადრულ ღორსო.

— ერმილე, მომაწოდე ტომარა! — გასძახა მან ამხანაგს.

ხალხში გაჩრილი ბიჭი ერმილე ვერ ახერხებდა ტომრის მიტანას კიბემდე.

კიბესთან საშინელი ყაყანი და ცოდვა-მადლის განკითხვა იდგა. გეგონებოდათ, ვაჟკაცებული ხალხი დასარბევად ნოაწყდა ვაგონსო.

„რა უწესრიგობა სჩვეულა ჩვენს ხალხს. როგორი ყაყანი იცის მან", — გაიფიქრა კორნელიმ.

ვაგონის ბაქანზე ასულ ჟღალწვერა, ქურქიან კაცს ვილაცამ შეუტია:

— სად მოძვრები, სპეკულიანტო?

— შენ თვითონ ხარ სპეკულიანტი! — იწყინა ქურქიანმა და ისე შეუღრინა და შეხედა, რომ შიშისაგან სული კინაღამ არ გააგდებინა.

— მაშ, სად მიათრევ ამ ტომრებს და ხურჯინს? — გაიოცა პირველს მეორე მგზავრი.

— არადა, მე ვიცი, შენ გამოკვებავ ჩემს ცოლ-შვილს ქალაქში! — მიუგო ქურქიანმა, ქალაქ ბუხარის რესტორნის ბუფეტის ყოფილმა გამგემ. რევოლუციის შემდეგ საქათველოში ჩამოსულიყო ერი და ქურქის შიგნით გვარდიელს, წელზე ნაგანი ეკიდა.

კორნელიმ უთხრა:

— მოეცალე კარებს. აცალე სხვებსაც შემოსვლა, ბაირაშობა ხომ არ არის?

ქურქიანმა იმდენი ტომრები და ხურჯინები დააბრალა, რომ ვაგონის ბაქანი საწყობი გეგონებოდათ.

ტყუილად გაემართა ალეთი ჭყლეტა კიბესთან ხალხს. მატარებელი დიდხანს ჩერდებოდა სადგურზე: ასჯერ რომ შესულიყვნენ რიგ-რიგობით ტომრიანი და ხურჯინიანი კლიხები ვაგონში, დრო მაინც დაორჩებოდათ. ახლა კი ერთმანეთს უშლიდნენ ხელს და თავ-პირს ამტვრევდნენ.

— დაიცათ, აცალეთ ერთმანეთს შემოსვლა. დრო კიდევ

ბევრია. რიგში ჩადექით, და ყველა მოასწრებთ! — ყვიროდა კორნელი. მართლაც, გლეხებმა რიგ-რიგობით იწყეს ვაგონში შესვლა და „ბაირამობაც“ გათავდა.

„ასეა ყოველთვის, — ფიქრობდა კორნელი, — ხალხს თუ წინამძღოლი და ხელმძღვანელი არ აღმოუჩნდა, აირევა და ერთმანეთს დახოცავს“.

კარგა ხანი გავიდა. ბოლოს გლეხები დალაგდნენ თავისი ბარგი-ბარხანით. სველი პაჭიჭების, აბედისა და თუთუნის სუნი დააყენეს.

2

კორნელი ფანჯარასთან იდგა და ნაღვლიანად გასცქეროდა სადგურის იქით აღმართულ, ნისლში გახვეულ იმერეთის მთებს. თბილი პალტო ეცვა. თავზე დაბალი ბუხრის ქუდი ეხურა. ავადმყოფობის მერმე ძლიერ გამოცვლილიყო, არა მარტო ფიზიკურად, არამედ სულიერადაც. თვეზე მეტი დრო შამის ბიბლიოთეკიდან შერჩეული წიგნების კითხვაში გაატარა სოფლად.

ვაგონის სახურავიდან ჩამოდენილი წვიმის წვეთები ვაგონის კიბის საფეხურებს ეცემოდნენ, რკინიგზის გასწვრივ ბოძებიდან ბოძებზე გაჭიმულ მავთულებზე კრიალოსნის მძივებივით მისრიალებდნენ. წვეთი წვეთს ეწეოლა. ერთი მეორეს უერთდებოდა და სიმძიმის გამო მავთულს სწყდებოდა. ასევე კორნელის ფიქრი ფიქრს მისდევდა, ერთ გარკვეულ ძაფზე მძივებივით აცმული, და ეჭ ვისი ფიქრი მიმართული იყო სამშობლოს მომავლისა და სამშობლოში თავისი წილის და დანიშნულების შეცნობისაკენ.

სადგურის ბაქანზე ზარს შემოჰკრეს. მალე ორთქლმავლის კივილიც გაისმა. ბაქანზე სადგურის უფროსი გამოვიდა და კორნელის თვალწინ ეშელონმა გაიარა. აღარ თავდებოდა ზარბაზნებით, ჯავშნიანი მანქანებით, ყუთებითა და სხვა ბარგით დატვირთული თავახდილი ვაგონები. ეშელონი გაჩერდა. ვაგონებს წვიმით გაჟღენთილი ბრეზენტი ეხურა. ბრეზენტიდან პერანგჩაცმული ზარბაზნების ლულები სჩანდნენ. ზარბაზნებთან მწვანე მაზარაში გამოწყობილი, სულ მთლად დასველებული გერმანელი ჯარისკაცები იდგნენ. მხრებაწე-

ულმა ჯარისკაცმა ჯძილო თვალები მიაპყრო კორნელის. კორნელის თურქთა ეშელონი და ასკერები მოაგონდა. ასკერებსაც ასეთივე მაზარები ეცვათ. „როგორ არხეინად მიდი-მოდიან ჩვენს რკინიგზებზე უცხო ჯარები. ჩვენც თავისუფალი ქვეყანა ვართ რაღა!“ — ფიქრობდა კორნელი და ზიზღით უყურებდა გერმანიის კოლონიური არმიის ჯარისკაცს, მის დაჭანცულ, ყვითელ სახეს, წყლისფერ უსიცოცხლო თვალებს, მაზარას, რომელზედაც აბუზულ წიწილასებრ იჯდა სველი და მოკრუნჩხული სამხრეები.

კორნელიმ მეორე ვაგონისაკენ გაიხედა. იქ ხუთი ჯარისკაცი იდგა. ესენიც ამოწუმპული იყვნენ და ამათაც გაშტერებული და ნაღვლიანი თვალები ჰქონდათ. გერმანელი ჯარისკაცის გაწვრთნილობისა, მხედრული წარმოსადეგობისა და სიმხნის ნიშანწყალიც კი არ ეცხოთ. თითქო ბრეზენტში გახვეული ზარბაზნები კი არა, საყვარელი მეგობრების ცუბოები უდგათ ვაგონზე, იმათ გლოვობენ და საპატიო ყარაულში დგანანო, ასე საცოდავად გამოიცქირებოდნენ სხვა ვაგონებზე მდგარი ჯარისკაცებიც, რომლებიც ბედს გადმოეგდო თავიანთ სამშობლოდან მათთვის უცნობ და შორეულ საქართველოში, ამ ნისლით დაბურულ მთათა შორის გაყვანილ რკინიგზაზე.

„რამ დაამუნჯა ეს ხალხი! რა უბედურება ეწვიათ?“ — გაიფიქრა კორნელიმ და ამ დროს ისევ გაისმა ზარის ხმა.

ახლა ბათუმიდან მომავალი ჯარისკაცებით და ზარბაზნებით დატვირთული ეშელონი ჩამოდგა სადგურზე, გერმანელთა ეშელონის იქით, ლიანდაგის პირველ ხაზზე. თავახდილ ვაგონებზე ინგლისელი ჯარისკაცები იდგნენ. მიხაკისფერი მოსასხამები ეცვათ, თავზე გადმოხურული, ჩაბალახის მსგავსი კაპიშონებით. ტანამართულნი, მხნე და დამცინავი სახით მისჩერებოდნენ ისინი თავჩაქინდრულ გერმანელ ჯარისკაცებს. ინგლისელთა ეშელონს თან ჩამოჰყვა მხიარულება, ზეიმი, ხოლო გერმანელთა ეშელონს კი გლოვა და ნაღველი.

ამაოდ ცდილობდნენ გერმანელი ჯარისკაცები წელში გაწყორებას, თავაღებით ცქერას. ინგლისელები დასცინოდნენ მათ, კორნელისათვის გაუგებარ სიტყვებს გასძახოდნენ და შეურაცხყოფას აყენებდნენ. გერმანელ ჯარისკაცს სახეზე ~~კუნთი შეუთამაშდა~~ და ინგლისელებს ზურგი შეაქცია.

ვერ აეხსნა კორნელის ცივი ნოემბრის ამ თოვლჭყაპიან დღეს საქართველოს რკინიგზის პატარა სადგურზე პირისპირ მდგომი ეშელონების ჯარისკაცთა შორის ასეთი მძულვარება. არ იცოდა კორნელიმ, რომ ინგლისელთა ზეიმი, ხოლო გერმანელთა გლოვა გამოძახილი იყო იმ დიდი ისტორიული გარდატეხისა, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინათ მოხდა იქ, ევროპის მატერიკზე.

ას საათს გრძელდებოდა დასავლეთის ფრონტზე ათასი ზარბაზნის განუწყვეტელი და გულშემზარავი გრიალი და მერმე მიწყდა უკანასკნელი გრგვინვა. გაისმა საყვირები და ბრძოლის ხაზი უცნაურმა ავტოებმა გაიარეს. გერმანელი რწმუნებულნი მესაყვირით და თეთრი დროშით გაემართნენ საფრანგეთის ჯარების სარდლობისაკენ ზავის დასადებად. გერმანიის არმიამ წააგო ომი. სამხედრო ძლიერების მზე ჩაესვენა. წასვლის წინ ფელდმარშალმა ჰინდენბერგმა პირჯვარი გადასახა თავის ოფიცრებს და უთხრა: „ღმერთი იყოს თქვენი შემწე, წადით და ეცადეთ მამულისათვის უკეთესს“. მაგრამ გამარჯვებული მტერი ულმობელი აღმოჩნდა. მან მოითხოვა ელზასლორენი, მდინარე რეინის მარცხენა ნაპირი და ქალაქების: მაინცის, კობლენცის, კელნის რაიონების ოკუპაცია. ბლოკადა ძალაში რჩებოდა. გერმანიას უნდა გადაეცა გამარჯვებულ სახელმწიფოთათვის ყოველგვარი საომარი იარაღი ხმელეთზე, ზღვაზე, ჰაერში. უნდა გადაეცა ზარბაზნები, ტყვიამფრქვეველები, ვაგონები, ორთქლმავლები, გემები, თვითმფრინავები. გერმანიას ხელი უნდა აეღო თავდაცვის ყოველგვარ საშუალებაზე. ეს იყო გერმანიის პოლიტიკისა და სტრატეგიის სრული გატკეპნა. ამაოდ უცხადებდა გერმანიის საზავო კომისიის თავმჯდომარე ერცბერგერი საფრანგეთის ჯარების ულმობელ მარშალს ფოშს: სამოცდაათმილიონიანი ხალხი იტანჯება, მაგრამ არ კი კვდებაო.

წელში გატეხილი, მშიერი, სისხლისაგან დაცლილი, უსუსური და უიარაღო სამოცდაათმილიონიანი გერმანელი ხალხის მომავალი წყვდიადში ეშვებოდა.

აი რითი იყო გამოწვეული გერმანელი და ინგლისელი ეშელონების გლოვა და ზეიმი საქართველოს რკინიგზის პატარა სადგურზე.

როდესაც გერმანელ-ინგლისელთა ეშელონები სხვადასხვა

მიჩქარულებით წაკლა-წაქოვიდნენ, სამგზავრო მატარებელიც დაიძრა თბილისისაკენ. კორნელი ფანჯარასთან დაჯდა, თვალი მიმოავლო ვაგონში ბარგი-ბარხანით ეჭთმანეთში უწესრიგოდ არეულ, გაჭედილ ხალხს. დაგლეჯილ, გაძვალტყავებულ და დაჩიავებულ ქლეხებს.

„ნეტავი როდის მოეცემა ეს გაღატაკებული ხალხი ადამიანურ და დოელათიან ცხოვრებას“ — ფიქრობდა კორნელი.

ბორბლების თანაბარი გრიალი და ვაგონების ქანაობა ძილსა გვრიდა. ფანჯრის მოაჯირზე შემოაწყო-ხელები, ზედ თავი დასდო და ჩაიძინა, მაგრამ ვაგონის მძლავრმა შერყევამ მალე გამოაღვიძა. ფანჯარაში გაიხედა. ცხვირწინ აღმართული მთები ისევ ნისლში იყო გახვეული, წვიმა ისევ ჟინჟღლავდა და ბოძიდან ბოძზე გაკრულ მავთულებზე ისევ მისრიალებდნენ უთვალავი წვეთები კრიალოსნის მძივებივით.

მატარებელი სურამის უღელტეხილს უახლოვდებოდა.

მზარეული

მსახურებმა ყველაზე უკეთ იციან, რაც მათი ბატონების ბინაზე ხდება.

ბალზაკი

1

ბოლოს გამოჩნდა კორნელისათვის მუდამ სანატრელი თბილისი, არა მზიანი და ნათელი, არამედ სევდიანი და მოლრუბლული.

არაჭათგამოცლილი ორთქლმავალი დიდის ვაი-ვაგლახით მიადგა სადგურს. კორნელი პაჭანზე გავიდა.

აქა-იქ დაყრილ სამხედრო ბარგზე ინგლისის კოლონიური არმიის ჯარისკაცები ისხდნენ. მათ გატრუსულ, შავგვრემანი სახეები ჰქონდათ და თავზე თეთრი ჩალმა ეხურათ.

— რა რჯულის ხალხია? — იკითხა ვიღაც დედაკაცმა.

— ინდოელები. — მიუგო რკინიგზელმა.

მგზავრები გაოცებით აცქერდებოდნენ უცხო და უცნაურ ჯარისკაცებს, რომლებიც გულუბრყვილოდ იღიმებოდნენ და თეთრი კბილების რკალს აჩენდნენ.

ბრეზენტდაფენილ ბარგზე წამოწოლილი ერთი ჯარისკაცი ცერსა და საჩვენებელ თითებს შორის გაჩრილ, უმუნდშტუკო პაპიროსს ეწეოდა. სქელსა და წამოზიდულ ტუჩებთან ახლოს მიიტანდა, სულს შეითქვამდა და ასე აბოლებდა.

ინღოელების წინაშე უამრავი ხალხი შეგროვდა. ინგლისელმა სერჟანტებმა მრისხანე სახით შეუტიეს ხალხს და გაფანტეს. ბრეზენტზე აოხეინად წამოწოლილ ჯარისკაცებს გაუჯავრდნენ. ჯარისკაცები მაშინვე გასწორდნენ და დადუმდნენ.

კორნელიმ ჩემოდანი და კალათი აიღო, სადგურის უკან მოედანზე გავიდა და ტრამვაის დაელოდა.

პატარა, ღია და ფაროლალა ვაგონი საცოდავად მიირახრახებდა ლიანდაგზე. ვერის ხიდზე სუსხიანმა ქარმა კორნელის ცხვირი და ყურები კინაღამ აო დააძრო.

კორნელი ზემელის აფთიაქთან ჩამოვიდა და მუშა დაიჭირა. ივი რალაც უსიამოდ შეუდგა გრიბოედოვის ქუჩის ალმართს.

ესტატე მაყაშვილის ბინაც გამოჩნდა. კორნელის წინო მოავონდა და, ისე როგორც ყოველთვის, გულის ჩქარი ძგერა აუვარდა. მაგრამ მღელვარებამ მაშინვე გაუარა, რადგან პირადი ბედნიერება და ნინოსადმი სიყვარული ახლა უმნიშვნელოდ ეჩვენა თავისი ქვეყნის უბედურების წინაშე.

დღე და ღამე ჯერაც აო გაყრილიყო, როდესაც კორნელი ალაყაფის კარებს მიუახლოვდა.

ცარ ელ ეზოში შეკიდა. იქი არავის აო შეუმჩნევია. სარდაფში მოთავსებული მრეცხავი ქალის, ბარონეს ბინის პატარა ოთახის კარები დაკეტილი იყო.

„ხომ აო გარდაცვალა მარინე?" — გაიფიქრა კორნელიმ და მოკრძალებით მიაშტერდა უბედური დედის დამუნჯებული ოთახის კარებს, რომელზედაც პატარა მოშავო ბოქლომი ნაღველივით ეკიდა. იმწამსვე ჩრხნილ კიბეზე ესტატე მაყაშვილის ძალმა ყეფა ატეხა. ეზოში გამოვარდა, მუშას შეტია. მაგრამ მალე თავი გაანება, კორნელი იცნო და მას შეხტა. მერმე, როგორც ყოველთვის, კუნტრუშით აირბინა კიბე, თითქო შინაურებს კორნელის ჩამოსვლა უნდა ახაროსო.

მზარეული და გამდელი აივანზე გამოეგებნენ კორნელის....

— შვილო კორნელი! — დაიძახა თავშალიანმა, კბილებჩაცვენილმა სალომემ და კორნელის მოეხვია.

კორნელიმ მოხუც ქალს ლოყაზე აკოცა. სველი შალისა და ბურნავათისმაგვარი უსიამო სუნი ეცა. ასეთი სუნი პირველად დიდედის გარდაცვალების დროს იგრძნო, — დარბაზში ცხედრის, საკმევლის, დამჭკნარი ვარდისა და ყვავილების სუნი იდგა, უსიამო და გულისამრევი.

კორნელიმ შემხმარი და ლურჯი, გაბერილი ძარღვებით შემოხლართული ხელები დაინახა გამდელისა და გაიფიქრა: ამას დიდი დღე არ უწერიაო.

მზარეული, ევტიხი სირაძე გამხდარი, მხარბეჭიანი, შუახნის კაცი იყო. ჭორფლიანი სახე, გახურებულ ღუმელთან მუშაობის გამო, ჭარხალივით გასწითლებოდა. ხელები და ტანიც ჭორფლიანი ჰქონდა ევტიხის და ზედ ფერმჭამელი მოსდებოდა. თეთრი ხალათი ჩაეცვა. თავზე თეთრივე ქუდი — მზარეულის ჩაჩი დაეხურა, ხოლო სახელოაკაპიწებულ ხელში დასტაქარსავით დანა დაეჭირა. სახეზე და ხელებზე, ისე როგორც შიშველსა და ბანჯგვლიან მკერდზე, აგურისფერი თმა ჯაგარივით დასდგომოდა, თითქოს ეს-ეს არის ქვაბი გაუხეხავს და ჟანგი და მური მოსდებიაო.

მზარეულმა კორნელის ხელი ჩაბოართვა, კრეჭა დაიწყო და ხალათი შეათვალიერა: ნეტავი სოფლიდან რა ჩამოიტანაო.

კორნელი სამზადში შევიდა. აქედან უშუალოდ შეეძლო უკანა კარებიდან თავის ოთახში შესვლა, წინა კარებიდან კი ბაყაშვილთა დერეფანი უნდა გაეარა.

კორნელიმ ოთახში პალტო გაიხადა და სავარძელზე დააგდო. მერმე ხალათი ვახსნა. ხალათიდან საამო სუნი ამოვარდა. შივ სანთლის არაყი, დაკლული გოჭი და ინდაურის ეწყო, კომში, ჩურჩხელა, თხილი და უნაბი ეყარა.

კორნელიმ სანთლის არაყით სავსე ბოთლი აიღო და ხელსაბირის დასაბანად სამზადში შევიდა. ბოთლი ევტიხის უფეშქაშა.

ევტიხიმ მადლობა გადაუხადა და ჩამოართვა. ხალათის კალთით გასწმინდა, ლამპასთან მიიტანა და გაჰხედა.

— ჰო, რა ანკარა არაყია! კორნელი, გენაცვალე სულში! — შესძახა მზარეულმა. ბოთლი სასოებით მკერდზე მიიხუტა. მერმე ოსტატურად ცალ ფეხზე შეტრიალდა და ლე

კურ-ბუქნა დაუარა. მისი უცნაური, მომწვანო თვალები ინე ანათებდნენ, როგორც ღამეში კატისა. მზარეული მხიარული გუნების კაცი იყო. ქეიფი უყვარდა და ასე იფიქრებდით: მუდამ შეზარხოშებული არისო.

კორნელის გაეცინა: არაყი და ღვინო ასე გაგიჟებით რამ შეაყვარა ამ ღმერთგამწყრალსო. ქვაბებით სავსე, გავარვარებულ ღუმელს გადახედა და შეეკითხა:

— ჩვენებს ჯერ არ უსადილნიათ?

— ამ წუთში დასხდნენ სადილად. ჯერ მხოლოდ სუპი მივართვი, — მიუგო ევტიხიმ და არაყი კარადაში შეინახა.

2

სამზადში, წინსაფრით კოხტად მოკაზმული, ახალგაზრდა რუსი ქალი შემოვიდა. ხელში ერთმანეთზე შედგმული ღრმა თეფშები ეჭირა. კორნელის მიესალმა და უთხრა:

— სადილად გველოდებიან.

— გადაეცით ჭალბატონ ვარდოს, რომ ეხლავ მოვათქო. — მიუგო კორნელიმ და, ცოტა არ იყოს, ეწყინა ვარდო და ნინო რომ არ გამოეგებნენ.

ხელ-პირის დასაბანად ბაკანს მიადგა.

— სად აწყობ თეფშებს?! — გაუწყრა ევტიხი დამლაგებელ ქალს. ხელი მოხვია და ღუმელიდან მაგიდისაკენ წაიყვანა. ქალმა მზარეულს გვერდში იდაყვი დაატაკა და შერისხა:

— ხელი გამიშვი, სატანა!

— ნუ ცხარობ, შურა! — დაყვავებით უთხრა მზარეულმა.

შურამ ოქროსფერი თმის კულულები გაისწორა და მოღიმარი, ცისფერი თვალებით კორნელის დარცხვენით გადახედა.

„ჰერი-ჰა, ამათაც რომანი გაუჩაღებიათ!“ — გაიფიქრა კორნელიმ და პირსახოცით ხელ-პირი შეიმშრალა.

შურა ევტიხის აჩქარებდა. ევტიხი ლანგარზე შნიტცელს აწყობდა და საკმაზით ოსტატურად რთავდა.

როდესაც შურამ ლანგარი წაიღო, კორნელიმ ევტიხის თვალი უყო:

— ეტყობა, საქმე გაგიჩარხავს, შე მაცდურო!

— ეჰ, ჭირმა გადამაშენოს მაგის თავი! მიუკარებელი და ბუტიაა! ხელი ჩაიქნია ევტიხიმ.

მერმე კორნელის წინ გაჩერდა, დოინჯი შემოიდგა და გულითადის ხმით დაიწყო, თითქო მისი მესაიდუმლე ყოფილიყოს:

— კორნელი, ჩვენი ბატონის ქალი არავინ მოგტაცოს. მაცადინად იყავი. ვაი, საყვარელო, რა ქალია, მისი ნაბანიც კი არ დაიქცევა.

— ვინ უნდა წამართვას, რას ამბობ?!

— ვიღაც ძალიან ნასწავლი კაცი — პლატონ მოგველაძეო, პოეტი რაფაელიო, სანდრო ხოტივარიო... ყოველ დღე დაიარებიან ბატონისას.

— სანდრო ხოტივარი, შე კაცო, ხომ ჩემი მეგობარია!

— ა, პა, პა, პა! მეგობარს ნუ ენდობი. მეგობარი, მაგფერ საქმეში, ავი სანდობია, მეგობარი არ იყო, ჩემს ქალთან რომ შევისწარი? ცოლს იმიტომ არ გავეყარე?!

ეს ამბავი ბევრჯერ ჰქონია კორნელის მზარეულისაგან მოსმენილი და ამიტომ სიტყვა შეაწყვეტინა:

— რა გაეწყობა, სიყვარული არ იქნება, არ იქნება ძალადაო, ხომ გაგიგონია, ჩემო ევტიხი, ეგ სიმღერა?

— როგორ არ გამიგონია! გენაცვალე სულში, ყველაფერი რომ იცი, იმიტომ! — შეაქო მზარეულმა და ახლა თავისიანსავით, მეგობრულად მიმართა:

— კორნელი, ჩემი ბატონის ქალი, ნინო, შენ შეგფერის და, შენი უნდა იყოს კიდევაც. მორჩა და გათავდა! — დაადგინა ევტიხიმ. მერმე ხორცის საჭრელ დიდ დანას დასწვდა, ჰაერში სატევარივით დაატრიალა და დაიყვირა: — თუ გაგიჭირდეს, შემატყობინე და, დედას ვუტირებ ყველას, უხ, დედისა მერდინისასა!

მზარეული მოკიაფე თვალებით მიაშტერდა კორნელის, მკლავში სწვდა და ჩაიხითხითა:

— კორნელი, გვასახელე, გვასახელე, გენაცვალე სულში!

კორნელის გაეცინა. ევტიხი ოთახში შეიყვანა და სანოვაგით სავსე კალათი სამზადში შეატანინა.

როდესაც კორნელიმ ფრენჩი, გალიფე, ჩექმები ჩაიცვა და სადილზე წასვლა დააპირა, შეკრთა და გაიფიქრა: „ევტიხის ნათქვამი არ მომეწონა. როგორც ჩანს, ნინოს არშიყნი

შემოსჩვევიან. იქნებ ჩემი ადგილი სხვამ დაიკავა კიდეც! ეტყობა, ევტიხიმ რაღაც უნდა იცოდეს, თორემ, რატომ მეტყოდა: ნინო არავინ არ წაგართვასო?! მსახურებმა ყველაზე უკეთ იციან, რაც მათი ბატონების ბინაზე ხდება. რაღაც რომ არ მოშხდარიყო, ვარდო და ნინო ამდენხანს უთუოდ მინახულებდნენ. ნეტავი პირველად ეს ევტიხი არ შემყროდა. ძალზე მწითურია და იქნებ დამნავსა“ — გაიფიქრა და მაყაშვილთა სასადილო ოთახის კარებისაკენ გაუბედავი ნაბიჯით წავიდა.

სადილი ცჭლი დესერტით

სადილთ უკან ომი არ დაგვიანებულაო.

ანდაზა

ჩვეულებრივი სიხარულითა და ჭრიამულით როდი მიეგებნენ მაყაშვილები კორნელის.

კორნელიმ მაშინვე შენიშნა, როგორ შეკრთა და ერთბაშად გაწითლდა ვარდო. ვარდომ ნინოს გადახედა, ნინო გაფითრებული იჯდა. თეფშს დასჩერებოდა და თავს არ იღებდა, ძალზე ღელავდა.

მხოლოდ სუფრის თავში მჯდომმა ესტატე მაყაშვილმა დაიძახა ჩვეულებისამებრ:

— ჩვენს დაკარგულ ჯარისკაცს გაუმარჯოს!

სანდრო ხოტივარი კი ბედნიერის ღიმილით მისჩერებოდა მეგობარს და კორნელი დარწმუნდა, რომ ევტიხი ცდებოდა.

პლატონ მოგველაძისათვის, ვენადი ქადაგიშვილისა, ჯიბო და ვილაც უცნობი კაცისათვის კორნელის არ შეუხედავს. ვარდოსთან მივიდა და ხელზე აკოცა, მერმე ნინოს. ნინოს არც ახლა აუწევია თავი, გულგრილად გაუწოდა ხელი.

ეკალივით მოსვდა კორნელის გულზე ნინოს გულგრილობა და გაიფიქრა: „რა დავუშავეო“.

— იცნობდეთ, კორნელი, ეს ესტატეს დედა გახლავთ, დიდედა ჩვენი, ქალბატონი ივლიტე, — გააცნო ვარდომ კახეთიდან ჩამოსული დედაბერი.

— გამარჯობათ, შვილო, — დარბაისლურად უთხრა ჩიხტიკოპიანმა მოხუცმა ქალმა კორნელის. ესტატე ძალიან ჰგავდა დედას.

მერმე კორნელიმ პლატონ მოგველაძესა და გენადი ქადაგიშვილს ჩამოართვა ხელი. პლატონმა გაუღიმა. კორნელი ვერ მიხვდა, რას ნიშნავდა ეს ღიმილი: დაცინვას, თანაგრძნობას თუ გამარჯვებული კაცის შემწყალებელ ღიმილს.

ესტატეს ძმამ, ამჟამად პოლკოვნიკმა, ჯიბო მაყაშვილმა, კორნელის უსაყვედურა:

— ბატარეის უფროსმა, ალექსიძემ შემომჩივლა: კორნელი მხეიძე დაიკარგა, დეზერტირთა სიაში ჩაეწერაო.

კორნელი გაწითლდა და მიუგო:

— დეზერტირი არა ვარ. ავად ვიყავი და ექიმთა კომისიამ ერთი წლის შვებულება მომცა, გამანთავისუფლა.

— აგაშენა ღმერთმა! ჯარიდან ყველა თუ გაიქცა, ვინღა იომოს მაშინ? — ჩაიქნია ხელი პოლკოვნიკმა.

ახლა ტანმორჩილი, მსუქანი კაცის წინ გაჩერდა კორნელი. ვარდომ ესეც გააცნო:

— სენატორი გიორგი დადვაძე.

სენატორს მრგვალი და გაპარსული სახე ჰქონდა, ღვინისაგან ალანძული. თმა სავსებით ჭაღარა, წარბები კი შავი. კაცი იფიქრებდა: იღებავსო. სენატორმა ლმობიერი ღიმილით შეხედა ჯარისკაცს, თითქოს ამ ღიმილით თანაგრძნობას უცხადებსო. იგი კეთილი კაცი ჩანდა.

ბოლოს კორნელიმ სანდრო ხოტივარს ჩამოართვა ხელი, მაგრამ სანდრომ ხელის ჩამორთმევა არ აკმარა: მარცხენა ხელი კისერში მოავლო, მოსწია და ტუჩებში მაგრად აკოცა.

კორნელი სანდროს ვვერდით იჯდა. სანდრომ შეხედა, გაუცინა და ღვინო დაუსხა. თანაც დასცინა:

— ეს ულვაშები რომ მოგიშვია, ვითომ რა ამბავია?

სანდროს აზერბაიჯანთან ომში მიღებული ორდენი — ვიორგის ჯვარი ეკიდა მკერდზე. ვარდომ კორნელის დედა — ტერეზა მოიკითხა: როგორ ბრძანდებაო.

კორნელიმ დედის მოკითხვის გამო მადლობა გადაუხადა და მოკლედ უამბო ყოველივე კარისმერეთის შესახებ.

იონას ხსენებაზე ნინომ თავი ასწია. ოდნავ გაიღიმა და კორნელის შეხედა. „სრულებით არ უხდება ულვაშები, ხა-

რისწაყრილ პროპორშჩიკს დამსგავსებიაო“, — გადაწყვეტა მავრამ უმალ შეკრთა და თვალი მოარიდა.

— კორნელი, მიირთვით სადილი, წვნიანი გნებავთ? — ჰკითხა ვარდომ.

— გმადლობთ, ქალბატონო. მე სადილი უკვე გეახელით, — მიუგო კორნელიმ. ნინოს არ მოეწონა, ბანალურად ეჩვენა თავის დახრა, მკერდზე ხელის მიდება და ასე მადლობის გადახდა. კიდევ უფრო დარწმუნდა თავის დასკვნაში: პროვინციელს დამსგავსებიაო და კარისმერეთის მოქეიფე, თავზე ხელაღებული ვაჟკაცი იასონ ჯანჯღავა მოაგონდა.

ვარდო კი არ ეშვებოდა კორნელის:

— ცოტა რამ მიირთვით. ნასადილევს ბევრ რამეზე უნდა მოგველაპარაკოთ.

ნინო გაწითლდა. პურის გული აიღო და დაგორგალება დაუწყო. მამამ საქმე გაუჩინა:

— ნინო, გილზები გამიტენე თუთუნით.

ნინო ჩქარი ნაბიჯით გავიდა სასადილო ოთახიდან.

პლატონ მოგველაძემ თვალი გააყოლა და კორნელის მოაგონდა ევტიხის ნათქვამი: ჩვენი ბატონის ქალი არავინ მოგტაცოსო.

— უთქვენოდ აქ, კორნელი, დიდი ცვლილებები მოხდა. — ისევ მიმართა ვარდომ, — ელენემ და ეთომ კარგი ბინა მიიღეს ..

ესტატე შეკრთა: ვაითუ ვარდომ, სტუმრების თანდასწრებით, კორნელის „ყველაფერი“ უთხარსო და ცოლს სიტყვა გააწყვეტინა:

—ვარდო, იმ დიდ ცვლილებათა შესახებ საუბარს ნასადილევსაც მოასწრებ, — კორნელის გაუღიმა და გააფრთხილა: — გახსოვდეთ, ვარდო ცნობილი დიპლომატია და არ გაჭიბოთ.

ვარდოს ეწყინა ქმრის შენიშვნა, მაგრამ სხვა გზით შეუძლებელი იყო სულწასული ცოლის შეჩერება.

ესტატე მიხვდა და მაშინვე თავის შენიშვნას სხვაგვარი კუდი გამოაბა. მაშ, რა ცნობილი ვექილი იქნებოდა იგი, თუ ყოველ შემთხვევას თავსა და ბოლოს ვერ მოაბამდა!

— დიპლომატია, ჩვენში ადვილი საქმე, თამაში ჰგონი-

ათ, — დაიწყო ესტატემ. — აი, თვალი კი დაუდგეს სომხეთში წარგზავნილ იმ ჩვენს ბედოვლათ ელჩსა და დიპლომატს!

— ვითომ რათაო? — შეეკითხნენ პლატონი და ჯიბო ესტატეს.

— კაცო, — მიუგო ესტატემ, — ორი თვე არის, რაც ჩვენს ელჩს სვიმონ მდივანს კაჩაზნუნის მთავრობა ლათაიებით ჰკვებავს. კაჩაზნუნი და ტიგრანიანი იმ ჩვენ არიფ დიპლომატს ტკბილი სიტყვით, ქეიფითა და პატივისცემით თვალს უხვევენ: ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ სადავო ტერიტორიის საკითხი მშვიდობიანი გზით გადაიჭრასო და, ამავე დროს, მობილიზაციას აცხადებენ, გაფაცებით ემზადებიან ომისათვის, საქართველოს საზღვრებზე ჯარებს აგროვებენ და თავს გვესხმიან სანიანის რაიონში.

ამ დროს ნინო შემოვიდა და მამას პაპიროსები მოუტანა. იგი, შედარებით, დამშვიდებული იყო, რადგან კაბინეტიდან მოეკრა ყური სხვა საგანზე საუბრისათვის. სამაგიეროდ, ახლა მამამისი, ესტატე ღელავდა. ესტატე ამჟამად სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარედ იყო დანიშნული და სამხედრო საქმეების მცოდნე კაცად მოჰქონდა თავი.

— კაჩაზნუნის მთავრობა, — განაგრძო მან, — ისე გათავხედდა, რომ ჩვენსა და სომხებს შორის ატეხილი ტერიტორიული დავა ხმალს მიანდო. განა ჩვენ არ შევთავაზეთ მას ტერიტორიული დავა მშვიდობიანი გზით გადაგვეჭრა? ოთხჯერ ჩაგვიშალეს დაშნაკებმა თბილისში მოწვეული სამშვიდობო კონფერენცია, არც ერთხელ არ გამოგზავნეს დელეგატები.

— ისინი თბილისში მოწვეულ კონფერენციას არ ეპატიჟებოდნენ. ეს ჩემთვის გასაგებია, — შენიშნა რუსულად სენატორმა გიორგი დადვაძემ და გაიღიმა. ჟილეტი გაისწორა და ოქროს ძეწკვიან საათს დახედა. დადვაძე დიდხანს ცხოვრობდა რუსეთში და რუსული ემარჯვებოდა.

— ვითომ, რათაო? — გაუკვირდა ესტატეს.

— რათა და, — მიუგო დადვაძემ, — იმ კონფერენციაზე აზერბაიჯანის და ჩრდილო კავკასიის მთიელ ხალხთა კავშირის მთავრობათა წარმომადგენლებიც იყვნენ მოწვეული.

— მით უმეტეს. მერე რა?

— ისინი მხარს დაუჭერენ საქართველოს დელეგატებს და სომხები გარიყული აღმოჩნდებოდნენ.

— აგაშენა ღმერთმა! სიმართლისა ეშინიათ? — ნიშნის მოგებით დაიძახა ესტატემ. თეთრი, ქათქათა მანჟეტი ვაისწორა, ხელებით მაგიდას დაეყრდნო, წინ წამოიწია და ღაღვაძეს მიაშტერდა.

ამდენ ხანს გაჩუმებულმა პლატონ მოგველაძემ ველარ მოითმინა, თვალები დააბრიალა და კამათში ჩაება:

— დაე, უწყიდეს ყველამ, რომ საქართველო მუსლიმანთა მიერ დარბეულ და აწიოკებულ სომხეთს შველოდა მრავალგზის! როდესაც სომხეთი მუსლიმანებმა დაარბიეს და მათ სატახტო ქალაქში — ანისში აბულსოვარი გამეფდა, დავით აღმაშენებელმა, სომხეთის დაჟინებითი თხოვნის თანახმად, ერთმორწმუნე ერის გადასარჩენად, სამოცდაათი ათასი ჯარით ანისზე გაილაშქრა, აბულსოვარი სასტიკად დაამარცხა, სომხეთიდან განდევნა და სატახტო ქალაქი — ანისი კვლავ სომხებს დაუბრუნა. როცა, ამრიგად, სომხის ერი საერწმუნოებრივი დევნიდან განთავისუფლდა, „მივიდეს მეფე და კათალიკოსი, ეპისკოპოსნი და ერთობილნი ლაშქარნი დედოფლისა საფლავსა. ახლავ წესი აუგის და თვითონ მეფემან სამჯერ საფლავთა ჩასძახა: გიხაროდენ შენ, დედოფალო, ჩამეთუ იხსნა ღმერთმან საყდარი შენი ურჯულოთა ხელთაგან“-ო... ქართველნი მეფენი დიდად მფარველობდნენ მუსლიმანთაგან დევნილ, დარბეულ და ლტოლვილ სომხებს, ასახლებდნენ თავიანთ მიწა-წყალზე და ნუთუ ახლა, მადლობის ნაცვლად, სომხები უნდა გვეომებოდნენ?

ყველანი სულგანაბულნი უსმენდნენ „ოქროსპირს“. განაკუთრებით კი ვარლო და ნინო. და როცა პლატონი დადუმდა, ვარდომ ნინოს რაღაც უჩურჩულა და კორნელი მიხვდა, რომ პლატონ მოგველაძეს მაყაშვილთა ოჯახი სავსებით მოეკადრებინა და დაეპყრო.

შური შეეპარა და პლატონთან კამათი გადასწყვიტა. მაგრამ, სანამ კორნელი საკამათოდ გამიზნულ სიტყვას მოიფიქრებდა, პლატონს დადვაძე შეედავა:

— აშკარად უნდა ითქვას ერთი რამ: არც დაშნაკური და არც მენშევიკური მთავრობა ამჟამად ერთმანეთს არ ენდობიან. ერთსულოვნების და თანხმობის ნაცვლად, მენშევიკებ-

მა და დაშნაკებმა ქართველი და სომეხი ხალხი ერთმანეთს გადაჰკიდეს. ამ უთანხმოების გაღვივებას უცხო ძალა, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს იმ მიზნით, რომ შემდეგ მთელ კავკასიას დაეპატრონოს. Divide et impera[1] — ეს საუკუნეთა შანძილზე ნაცადი პოლიტიკაა. სხვათა შორის, იცით თუ არა თქვენ ახალი ამბავი? გეგეჭკორმა უორდროპს განუცხადა, რომ ქართველი ჯარი მუდამ იქნება ინგლისის სარდლობას განკარგულებაში, კერძოდ ამიერკავკასიაში, წესრიგის დაცვის საქმეშიო.

— ჯერ იყო და, თურქეთის წინაშე დავიჩოქეთ, მერმე გერმანიისა, ახლა კი — ინგლისისა და, ვინ იცის, კიდევ ვის წინაშე არ მოგვიხდება მუხლმოდრეკა და დამცირება... ესეც ჩვენი „დამოუკიდებელი“ რესპუბლიკა! — დრო შეარჩია და ჩაურთო კორნელიმ.

— როგორც ჩანს, თქვენზე დიდი გავლენა მოუხდენია. იონას, — წყენით შენიშნა ესტატემ. დადვაძეს შეხედა, მასთან კამათი დააპირა, მაგრამ მოულოდნელად ნინომ წამოიძახა:

— კორნელი, თქვენ კარისმერეთელ პროპაგანდისტს დამსგავსებიხართ!

ამ სიტყვებზე ყველას გაეცინა და კორნელი აილეწა. ნინო მიხვდა, უშნოდ რომ წამოაყრანტალა და კორნელის შეეხვეწა:

— არ კი გეწყინოთ!

მაგრამ გვიანღა იყო: ამაზე უფრო განა ვინმე აწყენინებდა ამპარტავან ჭაბუკს? კორნელიმ მაშინვე მოუჭრა:

— კარისმერეთელი პროპაგანდისტი, რაც უნდა იყოს, თელაველთა ქვევრი მაინც არ არის, რასაც ჩასძახებ, იმას რომ ამოგძახებს ხოლმე.

— თქვენ ძალზე მწარე ენა გქონიათ, — წყენით შენიშნა ვარდომ.

— თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილო, ნათქვამია, ქალბატონო.

დადვაძე კორნელისკენ შებრუნდა და ისეთი სახე მიიღო, თითქო არავითარ ყურადღებას არ აქცევდა მას და ბაყაშვილთა ქალებს შორის ჩამოვარდნილ შედავებას.

[1] დააჭუცმაცე და იბატონე.

ბრაზისაგან ალეწილ ჭაბუკს ლმობიერად უთხრა:

— თქვენი შენიშვნა ჟორდანიას, რამიშვილისა და გეგეჭკორის პოლიტიკის შესახებ მართებულია! მუდამ ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ, რომ საქართველოს უცხო ძალის წინაშე მუხლმოდრეკა უბედურებას შეამთხვევს.

სენატორი მენშევიკურ პარტიაში გაჩენილ ოპოზიციას მეთაურობდა. ოპოზიციონერთა ფრაქცია სცემდა თავის გაზეთს „სხივს“, ისინი მოითხოვდნენ ბოლშევიკებთან შეთანხმებას და საბჭოთა რუსეთთან კავშირს.

კორნელის უხაროდა, მისი და დადვაძის მოსაზრება რომ ერთმანეთს დაემთხვა, ნინოს და მის მშობლებს უკმეხად რომ უპასუხა და უსიამოვნება ჩამოაგდო, ეს კი სწყინდა.

მაგრამ კამათი მეტად საჭირბოროტო საკითხს შეეხებოდა. მან დამსწრეთა მთელი ყურადღება მიიპყრო და უსიამოვნება თავისთავად იქნა მივიწყებული.

— უცხო ძალის გარეშე საქართველოს დღეს რა გამოსავალი გააჩნია? — ჰკითხა ესტატემ დადვაძეს.

— საქართველოს ხსნა რუსეთისა და საქართველოს დემოკრატიის ერთობაშია, — მიუგო დადვაძემ.

— შენ მუდამ რუსოფილი იყავი, — ჩაიქნია ხელი ესტატემ.

— არა რუსოფილი, არამედ სალად მოაზროვნე ქართველი ვარ. გაიგეთ, ადამიანებო, — დარწმუნებით განაცხადა დადვაძემ, — უცხო ძალას, მეფის რუსეთის ხელისუფლებას ჩვენში ყოველთვის პირადი ინტერესები ამოქმედებდა... ახლა მდგომარეობა შეიცვალა, რუსეთის ყოფილი იმპერიის ფარგლებში შემავალი ერების რევოლუციური დემოკრატია საერთო ინტერესით სულმძლავნელობს და იმის მიხედვით გადაწყვეტს თავის ბედ-იღბალს.

— საბჭოთა ხელისუფლებამ მიანიჭა რუსეთის სალხს ისეთი თავისუფლება, რომლის მსგავსს ვერავინ მას ვერ მისცემდა. — გაუბედავად ჩაურთო კორნელიმ.

— როგორ არ მოგწყინდათ თქვენ ეს რევოლუციური ფრაზეოლოგია? — გაუკვირდა ესტატეს.

— მაშ, მიდით და პასუხი აგით ინგლისის წინაშე. რომელიც საქართველოში შემოდის ახლა, როგორც დამარცხე-

ბული გერმანიის მოკავშირე ქვეყანაში, — ნიშნის მოგებით გა-
ნაცხადა დადვაძემ.

— ეს ჩვენთვის მართლაც დიდი უბედურებაა, დიდი ღბე-
დურება! — თავი ჩაჰკიდა და მწუხარედ განაცხადა პლატონმა.

— სრულიად არ მოველოდი ასეთ სიურპრიზს! — ვერ,
ურიგდებოდა ესტატე მის მიერ აჩემებული ფალავნის — გერ-
მანიის წაქცევას, სასტიკ დამარცხებას.

ამ დროს სადილიც დამთავრდა, შურამ სუფრა აალაგა და
სტუმარ-მასპინძლები დესერტის მოლოდინში იყვნენ, მაგრამ
დადვაძის მიერ ნათქვამი ისე მოეჩვენათ, როგორც ამ კარგი
სუფრის და ჩინებული კახური ღვინის შემდეგ მთბლენარევი
ღვინო და ძიმწარი.

ორიენტაციების ცვლას ჩვეული ესტატე იხტიბარს არ
ატეხდა:

— არა მგონია, ინგლისმა ჩვენს მიმართ შურისძიებით
იხელმძღვანელოს! ინგლისსა და საქართველოს საერთო ინ-
ტერესები გააჩნიათ.

— რა საერთო ინტერესი? — ჰკითხა დადვაძემ.

ეს იყო ხანა საბჭოთა რუსეთზე კაპიტალისტური ქვეყნე-
ბის ინტერვენციასა, როდესაც ფრანგების ჯარებმა ოდეს. და
სევასტოპოლი დაიკავეს, ხოლო ინგლისის ესკადრა შავ ზღვა-
ში შემოვიდა და ბათუმში დესანტი გადმოსხა. ბათუმის ოლ-
ქის გენერალ-გუბერნატორად ინგლისელი ოფიცერი, გენე-
რალი კუკ-კოლისი დაინიშნა. ამ ამბავმა საქართველოს მა-
შინდელი მესვეურნი საგონებელში ჩააგდო და ათასგვარი
მითქმა-მოთქმა გაჩაღდა. ესტატე მაყაშვილი მშართველ წრე-
ებთან დაახლოებული კაცი იყო და საქმის ვითარებას სხვაზე
უკეთ იცნობდა.

— ჩვენი და მთელი ამიერკავკასიის სურვილია რუსეთს
ჩამოვშორდეთ. ინგლისელების სურვილიც სწორედ ეგ არის:
გადაუღობოს რუსეთს ინდოეთისაკენ მიმავალი გზა და მი-
იპოვოს ახლო აღმოსავლეთის ნავთის ბუდობების რაიონებ-
ში შეუვალი ბატონობა... დიდი ბრიტანეთის ამ დიდ ზრახვას
უნდა ავუღოთ ახლა ალღო და შევუთანხმოთ მას ჩვენი პო-
ლიტიკა, — განაცხადა ახალი ბატონის წინაშე მუხლმოდრე-
კას შეჩვეულმა ქართველმა თავადმა.

მაშინდელი მენშევიკური მთავრობაც იმ გზას დაადგა.

დადვაძე შორსმჭვრეტელი კაცი იყო და ესტატეს შენიშნა:

— ამიერკავკასიის დემოკრატიის სურვილი სრულიადაც არ არის რევოლუციურ რუსეთს მოსწყდეს, ინგლისის იმპერიალიზმს დაუკავშირდეს და მისი ბატონობა აღიაროს. მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატელების ეს პოლიტიკა, რომელიც ცდილობს ამიერკავკასია საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ უცხოეთის ინტერვენციის პლაცდარმად აქციოს, მარცხით დამთავრდება, რასაც თქვენ სულ მალე დაინახავთ.

დადვაძის შენიშვნამ ცხარე კამათი გამოიწვია.

— დამშვიდდით, დამშვიდდით, ბატონებო. — სთხოვა ესტატემ სტუმრებს. — ჩვენი დავა ყავასთან და ლიქიორთან კაბინეტში განვაგრძოთ, წამობრძანდით.

მამაკაცები კაბინეტში შევიდნენ.

ესტატეს დედამ, მოხუცმა ქალმა — კნეინა ივლიტე ვაჩნაძის ქალმა, რომელიც ამდენ ხანს თვლემდა და ამთქნარებდა, თავი ასწია და ჩიხტაკოპი გაისწორა. ირანელ ქალთა მაკეარი, ხშირი და ნასშირისფერი შეერთებული წარბები აჰყარა. საშრობზე დაცემული, წყალნარევი მელნის ლაქის მსგავსი მარღი და ჩანისლული თვალები დააჭყიტა და ვარდოს უთხრა:

— აბა, ერთი უყურე იმ თქვენს ფხიკიან იმერელ მდგმურსა! როგორი მწარე ენა ჰქონია!? თელაველიო! კახელების ღმერთი ილოცონ იმერლებმა, ისა სჯობია!

— არც ჩვენს ქალბატონ ნინოს ჰქონია ტკბილი ენა, დიდედა. — მიუგო ვარდომ და ნინოს უსაყვედურა: — აბა, ხალხში რად დასცინე. განა არ იცი, როგორ ამაყი და ამპარტავანია?!

ნინოს თვალზე ცრემლი მოადგა და გაანჩხლებული ხმით მიმართა ვარდოს:

— ეგ შენი ბრალია, დედა! განა შენ არ მიჩურჩულე: კარისმეერთელ პროპაგანდისტს დამსგავსებიაო?

— ეგ რა პასუხია! მე არა ერთი საოდუმლო მითქვამს შენთვის. მაგრამ ქვეყანას კი არ უნდა შეატყობინო.

— ჰოდა, მე წამომცდა... წამომცდა იმიტომ, რომ თქვენ ყველანი მაძულებთ კორნელის. რა დაგიშავათ, არ ვიცი?..

— განა შენთვის არაფერს არ ნიშნავს, რომ იგი ბოლშევიკებს დაუმეგობრდა... რა ჰქვია... მახათაძეს? ნუთუ არ

გესმის, რომ ბოლშევიკი და დეზერტირი არ შეიძლება იყოს ჩვენი სიძე... ვერ შემოვეშვებით ჩვენს ოჯახში!

ამ დროს მამაკაცები ესტატეს კაბინეტში საქართველოს ბედ-იღბალზე კამათს განაგრძობდნენ.

საშინაო დიპლომატია

რა კარგი იქნებოდა, დედები რომ თავიანთი ქალების გულითად საქმეებში არ ერეოდნენ.

სადღაც გაგინია

ვარდო კორნელის ოთახში შევიდა და საწერ მაგიდასთან დაჯდა. ტანზე შალის მოსასხამი შემოიტმასნა და კორნელის თვალი გაუსწორა. ნინოს სწორედ დედის მსგავსი თვალები გამოჰყოლოდა: ასეთივე შუქიანი, ასეთივე შავი გუგა და ოდნავ მოცისფრო თეთრი გარსი. სიყვარულისა და პატივისცემის გარდა, სხვას არაფერს არ გრძნობდა კორნელი ამქვეყნად ამ დარბაისელი და ლამაზი ქალის მიმართ.

სიჩუმე ჩამოვარდა. გუშინდელი უსიამოვნების გამო კორნელის ბოდიში უკვე მოხდილი ჰქონდა ვარდოს და ნინოს წინაშე და ახლა მის განმეორებას აღარ აპირებდა.

იგი უხერხულად იჯდა სკამზე და საუბრის დაწყებას ელოდა.

ბოლოს ვერ გაუძლო ლოდინს და თვითონვე დაიწყო:

— რა გნებავდათ, ქალბატონო ვარდო, ჩემთვის გეთქვათ? — ხმამ უმტყუნა და თვალი მოარიდა.

ვარდომ, პასუხის ნაცვლად, ქაღალდის საჭრელი ძელის დანა აიღო, შეაბრუნა და მაგიდას ტარით დააბჯინა. ვინური ბებუთივით გაღუნული დანის წვერი ჰაერში თანაბრად ირხეოდა. კორნელიმ შენიშნა, როგორ კანკალებდა ძვირფასი ბეჭდებით შემკული ვარდოს პატარა და თეთრი ხელი.

ვარდო აშკარად ღელავდა.

კორნელის გულისძგერამ უმატა და გაიფიქრა: ეტყობა, ვარდო რაღაც საშინელის თქმას აპირებსო. ტანში გაჟრჟოლა. მაშინვე ქალის ნარნარი და მღელვარებით სავსე ხმა გაისმა

— კორნელი, თქვენ ახლა ბავშვი არა ხართ. სრულუფლებიანი მოქალაქე ბრძანდებით, საკუთარი თავის ბატონ-პატრონი, რომელსაც ბევრი რამ მოეკითხება. ასე არ არის?

— ასე გახლავთ.

— მაშ, პირდაპირ მიპასუხეთ, მიპასუხეთ ისე, როგორც ქალბატონ ტერეზას შვილს შეჰფერის.

ვარდო შეჩერდა, სუნთქვა უჭირდა და მაღალი მკერდი საბერველივით ერხეოდა.

„ვაი, შენ ჩემო თავო“, — გაიფიქრა კორნელიმ.

ვარდომ პირდაპირ ჰკითხა:

— გიყვართ თუ არა თქვენ ჩემი ქალი?

— კორნელის არ მოეწონა რატომღაც „ჩემი ქალი“ და მიუგო:

— განა შეიძლება, ქალბატონო ვარდო, „თქვენი ქალი“ კაცს არ მოსწონდეს და არ უყვარდეს?

„სიტყვას ბანზე მიგდებს“, — გაიფიქრა ვარდომ და დაჟინებით გაუმეორა:

— მე მაგას არ გეკითხებით. გაუმჟღავნეთ თუ არა ჩემს ქალს სიყვარული? ნუ დამიმალავთ, მე ბევრი რამ ვიცი და ბევრ რამესაც ვგრძნობ.

კორნელის მაშინვე მოაგონდა, ნინო რომ მორცხვი, გულჩათხრობილი ქალი იყო, ამაყიც და მიჯნურობის მალვა სჩვეოდა. ისიც მოაგონდა, თუ რა უთხრა ნინომ, როდესაც ცოლობაზე დასთანხმდა: „კორნელი, არავის არ უთხრა, რაც დღეს გითხარი. მე არ მინდა, ვინმემ იცოდეს. მე მრცხვენიაო“. ეს მოაგონდა კორნელის და ვარდოს განუცხადა:

— ჩვენ სიყვარულზე ლაპარაკი არა გვქონია.

— მართალს ამბობთ?

კორნელიმ უტიფრად შეხედა და მტკიცედ მიუგო:

— მართალს მოგახსენებთ.

მერმე თავი დახარა და მალულად ვარდოს ხელს დააცქერდა.

ვარდო ისევ ძვლის დანას აწვალებდა. მღელვარების გამო, ქაღალდივით თეთრი და ნაზი ხელი სისხლისაგან დაშრეტილიყო და კანისქვეშ ცისფერი ძარღვების ხლართი ილანდებოდა. თითებზე წამოცმული ბეჭდების თვალი პატიოსანი —

ზურმუხტი, ლალი და ამეთვისტო ლამპის შუქზე ათასფრად ენთებოდნენ და ციმციმებდნენ.

— ნუთუ სიყვარულზე საუბარი არა გქონიათ? „სიყვარულსა მალვა უნდა“, — ნათქვამია, მაგრამ არა დედის წინაშე, — ისევ ნარნარი მღელვარებით სავსე და მწუხარე ხმით ჩაილაპარაკა ვარდომ და თავი ჩაჰკიდა.

კორნელიმ საწერი მაგიდის ლამპასთან თავდახრილ ქალს შეხედა. შუაზე გაყოფილ, მუქწაბლისფერ თმაში ვარდის ჭაღარა შეპარვია აქა-იქ, თითქოს ოპობას ძნელად შესაჩნევი ქსელი გაუბამსო.

— რისთვის ამბობთ მაგას? — გულითადი ხმით ჰკითხა კორნელიმ.

— იმიტომ, რომ დედა ვარ, მინდა ვიცოდე, რა გზას დავადგე. ჩემი ქალის ბედ-იღბალი როგორ წარვმართო, — ისევ ნაღვლიანი ხმით მიუგო ვარდომ და ამ მწუხარე და შვილის ბედ-იღბლის გამო შეშფოთებული მწოსვლის წინაშე, ალბათ, ქვაგულიც კი გადნებოდა, მაგრამ კორნელი რატომღაც აენთო. ელვის სისწრაფით გატარდნენ მის გონებაში კითხვები: „საქმროს ეძებთ? იქნებ მოსძებნეთ კიდეც! პლატონ ჰოგველაძე ხომ არა? ჩემი სიძობა ხელს არ გაძლევთ!“

სისხლი აემღვრა პატივმოყვარე ჭაბუკს. მრისხანედ შეხედა ვარდოს და აღარ მოერიდა:

— თქვენ გამორკვეული მდგომარეობა გყვარებიათ. ეს ცუდი როდია. მეც ასეთი ვარ. ახლა ნება მიბოძეთ, შეგეკითხოთ: მე და ნინოს ერთმანეთისათვის სიტყვა რომ გვქონდეს მიცემული, ეს ხომ არ დაღუპავს თქვენს ქალს?!

„უი, ჩემს დღეს! ეს როგორ გამიბედა? იქნებ მაითლაც მიცემული აქვთ ერთმანეთისათვის სიტყვა და მე ბრმალავენ“, — გაიფიქრა ვარდომ, გულზე შემოეყარა, ძუ ვეფხვის თვალები შეანათა კორნელის წამიერად, მაგრამ უმალვე თავი დაიჭირა და შორიდან დაიწყო:

— კორნელი, ისევ გიმეორებთ: თქვენი და ნინოს დამოკიდებულების გამო თუ შეგეკითხეთ, ეს იმიტომ, რომ დედა ვარ და ყველაფერი უნდა ვიცოდე.

„მაგრამ შვილის ბედ-იღბლით არ უნდა ივაჭროთ“ — გაიფიქრა კორნელიმ და უკმეხად შენიშნა:

— თქვენ მართალს არ ლაპარაკობთ.

— კორნელი, როგორ გეკადრებათ ეს?

— მაპატიეთ, ქალბატონო. მე მეგონა თქვენ სულ სხვას ფიქრობდით.

— მაინც?

— ერქვნებ სასიძო გყავთ მოძებნილი.

„უი, ჩემს დღეს! ახლანდელ ჭაბუკებს განა რამეს გამოაპარებ?“ — გაიფიქრა ვარდომ და პასუხი მიკიბ-მოკიბა:

— რა დროს ნინოს გათხოვებაა? ნინო ჯერ ბავშვია. ჯერ უმაღლესი სასწავლებელი უნდა დაამთავროს, ცხოვრება ნახოს, გაიგოს და მერმე ქმარ-შვილს მოეკიდოს. ქურთის ქალი ხომ არ არის, ცამეტი წლისა რომ გავათხოვოთ? განა მე კარგი ჩავიდინე, ჩვიდმეტი წლისა რომ გავთხოვდი? — ორი წელი დაიკლო ვარდომ, ცბიერად გაიღიმა და გვერდზე ჩამწკრივებული ოქროს კბილები გამოუჩნდა. ვარდო კარგი პატივით შენახული ქალი იყო. ოცდაათ წელზე მეტს არ მისცემდა კაცი. ტუჩებსა და თვალებთან თუ შეამჩნევდით, დროჭამისაგან გაბზარული სახის კანზე ვიწრო ნაოჭებს!

— არც თქვენ გირჩევთ, კორნელი, უნივერსიტეტის დამთავრებამდე ცოლ-შვილის მოკიდებას, — განაგრძო ვარდომ, — ახლა ისეთი უკუღმართი დროება დადგა, რომ კაცი კაცს ვერარ დაეხმარება. ყველამ საკუთარ თავს უნდა მიხედოს, ძმის იმედით ოჯახს ვინ მოჰკიდებია? ან დედათქვენს რაღა შერჩა, ოთ იმ ჭვრივი და მარტოხელა ჭალის იმედით ფართო ლოგინი ვაშალოთ?!

— ეს მართალია, ქალბატონო ვარდო, მაგრამ გარუბნებთ: ცოლ-შვილზე ჯერ არ მიფიქრია. ჯერ მეც უმაღლეს სასწავლებელს დავამთავრებ. ფეხზე დავდგები და მერმე ვნახოთ, — მიუგო დაბნეულმა ლიპილით კორნელიმ, რადგან წინასწარ იცოდა, თუ როგორ ასიამოვნებდა ასეთი პასუხი ნინოს ბედ-იღბლით შეშფოთებულსა და წარჩინებული სიძის მაძიებელ დედას.

— ყოჩაღ, თქვენ სწორი გეზი აგიღიათ! — მოუწონა ვარდომ და დასძინა: — შეიტანეთ თუ არა თქვენ განცხადება უნივერსიტეტში?

— ჯერ არ შემიტანია.

— აკი დაგვიანებულია!

— ახლა შევიტან. ალბათ, მიმიღებენ.

— ჯერ მხოლოდ სამი ფაკულტეტია გახსნილი: სიბრძნისმეტყველების, სიტყვიერებისა და სამკურნალო. თქვენ რომელზე აპირებთ შესვლას?

— სამკურნალოზე.

— მამისა და ძმის კვალს გინდათ გაჰყვეთ? — გაუღიმა ვარდომ.

კორნელის ესიამოვნა, ვარდო რომ ასეთ ცნობისმოყვარეობას იჩენდა მისი მომავლის მიმართ. ეს კარგი ნიშანია. იქნებ დაწუნებული სასიძო არ ვარო, — გაიფიქრა, ნაგრამ ეს სიხარული წამიერი აღმოჩნდა, რადგან ვარდომ საუბარი, მოელოდნელად, სულ სხვა გზით წარმართა:

— ახლა დეიდათქვენი ელენეც თბილისშია და არა გიშავთ, ხელს შეგიწყობთ. შესანიშავი ბინა მისცეს. ეითი ოთახი კორნელის უნდა დავუთმო, ჩემთან იცხოვრებს და მივხედავო, თვითონ მითხრა. წარმომიდგენია, როგორ გაეხარდება ეს ამბავი ქალბატონ ტერეზას?!

ქალბატონ ტერეზასი რა მოგახსენოთ, ხოლო კორნელის კი არ გაეხარდა. პირიქით — ეკალივით მოხვდა გულზე ვარდოს ნათქვამი.

— ქალბატონო ვარდო, თუ თქვენ არ გაწუხებთ, მე მაინც აქ მირჩევნია ცხოვრება, — გულუბრყვილოდ უთხრა კორნელიმ.

— თქვენ რითი უნდა შეგვაწუხოთ! აბა, რასა ბრძანებთ, ნაგრამ რა ანგარიშია? ელენეს მიერ თქვენთვის ჰიჩნეული ოთახი ამაზე ორჯერ მეტია, — მიუგო ვარდომ და ღარიბულად მოწყობილ კორნელის პატარა სტუდენტურ ოთახს მუშტრის თვალი შეავლო, — რა შედარებაა! იქ გირჩევნიათ ცხოვრება. აბა, რა სათქმელია? — დაამღერა თელავურ კილოზე ვარდომ.

კორნელის ეწყინა და მოუფიქრებლად წამოცდა:

— ამაზე ოთხჯერაც მეტი რომ იყოს, მე მაინც აქ მირჩევნია.

შენ კი გირჩევნია, შენმა გაზრდამ, მაგრამ ჩვენ აღარ გვკიცხავ, გვირჩევნია თუ არაო, გაიფიქრა ვარდომ, წარბები შეჭმუხნა და შუბლზე მრისხანებით სავსე კოპები დაჯდა. მაგრამ მალე გახსნა შუბლი. ვარდისფერი და მსუქანი ქვედა

ტუჩი მუდარით წინ წამოზიდა და კორნელის გულითადი ხმით მიმართა:

— თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ გვჭირდება ჩვენ ახლა ეს ოთახი. გარდა იმისა რომ დიდედა ჩვენი, ქალბატონი ივლიტე ამ ზამთარს ჩვენსა იქნება, კიდევ ერთი გარემოება გვაიძულებს მე და ესტატეს გთხოვოთ თქვენ, დაგვითმოთ ეს ოთახი, — აღარ მოერიდა ვარდო.

კორნელი გაწითლდა. მერე თანდათან დაცხრა და გაიფიქრა: ჩემი მოშორება გადაუწყვეტიათო. სასოწარკვეთილ ჭაბუკს სახსრები მოეშალა, ძალა-გამოელია და ცივმა ოფლმა დაასხა. თითქო საყვარელი არსება გარდაეცვალა და განშორების ჟამს უცნაური ხმა ჩასძახის: მშვიდობით, მშვიდობითო.

ვარდო ამაოდ ელოდა პასუხს. კორნელი დამბლადაცემულივით იჯდა და სდუმდა. ვარდო გაბრაზდა, მაგრამ ისევ დაიჭირა თავი — ისევ დიპლომატია აირჩია.

— თქვენ, ალბათ, არ გაგიგიათ სამწუხარო ამბავი! ერთი თვეა, რაც ელო ქმარს გაეყარა. აი, იმ თქვენ ლოთ მეგობარს — მიხა მაჭავარიანს.

— რაზა ბრძანებთ! — გამოერკვა ფიქრში წასული კორნელი.

— დიახ, — მიუგო ვარდომ და განაგრძო: — როგორც მოგეხსენებათ, ელოს იკვნს მეტი არავინ არა ჰყავს თბილისში. ჩვენა ვართ მისი პატრონი. ელო უცნაური ადამიანია. ჩვენ არც კი შეგვატყობინა თავისი უბედურება. ხან ერთთან და ხან მეორე ამხანაგთან ათევს თურმე ღამეს, საცოდავი. როიალი, საწოლი, ხალიჩები, სავარძლები და სხვა ნივთები კი იმ ვაჟკაცის ბინაზე დაუტოვებია. ხომ იცით, ელო ესტატეს ძმისწულია და ასე უპატრონოდ, აბა, როგორ დავტოვებთ. ნერვები ისედაც მოშლილი ჰქონდა უბედურს და, რა გუნებაზე იქნება ახლა?! მეშინია, ცუდი რამ არ გააკეთოს. — ვარდოს თვალებზე ცრემლი მოადგა.

ვინ იცის, რისთვის მოადგა ეს ცრემლი — ელოს უბედურებისა, ნინოს ბედ-იღბლისა, თუ ამ პატარა ოთახის დაბრუნების გამო. ამ ცრემლს კორნელის თანაგრძნობა არ გამოუწვევია. კორნელის თავისი დარდი აწუხებდა, მაგრამ ბოლოს ხომ უნდა გამოეთქვა რამე ამ უბედური შემთხვევის გამო:

— მე არ ვიცოდი, ელო თუ მიხას გაეყარა. ნუთუ მიჭას ლოთობის გამო მოხდა ეგ?

ვარდო შეწუხდა, რადგან კორნელი ოთახის დათმობაზე პასუხის გაცემას გაურბოდა და უკმეხად მიუგო:

— ლოთობისა, ოხრობისა და გარყვნილების გამო! ღმერთი შეაჩვენებს მას. ელო მეცოდება, თორემ ის წყალსაც წაუღია, ჯანდაბას იქით გზა ჰქონია, რას დავეძებ!

კორნელი გაოცდა. არასოდეს არ უნახავს ვარდო ასე გაბრაზებული. ვარდომ განაგრძო:

— ელოს იღბალი არა ჰქონია, მაგრამ რა? თავის თავს დააბრალოს: ერთი ნახვით შეიყვარა და ისე ჩამოეკიდა კისერზე იმ უმსგავსს და უსაქმურ მხატვარს. ნეტავ, ნიჭი მაინც ჰქონდეს. მისი სურათები დაბმულ ქაჯს ააწყვეტინებს. — ისევ სწყევლიდა ვარდო და ჭოჭოლას აყრიდა თავზე მიხას.

კორნელის კი იმ მხატვრის დარდი არა ჰქონდა, ისევ თავისი ბედი აწუხებდა:

„იქნებ ნინოსიც ეშინიათ — კისერზე არ ჩამომეკიდოს“, — ფიქრობდა, მაგრამ ფიქრისათვის დრო აღარ დარჩა. ვარდომ ველარ მოითმინა და პირდაპირ დაუსვა კითხვა:

— კორნელი, აი თქვენ რომ შეხვიდოდეთ ჩვენს მდგომარეობაში და ამ ოთახს დაგვითმობდეთ, მაშინ ელოსაც ეშველება და მეგობართა კარდაკარ აღარ ივლის. ახლა სჭირია იმ უბედურს ყურადღება და ჩვენი თანაგრძნობა. თქვენ კი რა დაგიშავებათ: დეიდასთან იცხოვრებთ, ამაზე ბევრად უკეთეს ოთახში. შეგიძლიათ თუ არა თქვენ დაგვითმოთ ეს ოთახი?

„ძალაზე ხომ არ არის“, — გაიფიქრა ბოლოს კორნელიმ და მყისვე მიუგო:

— რახან ასეთი გამოუვალი მდგომარეობა ყოფილა, რა გაეწყობა, მე თანახმა ვარ.

თითქოს ამ სიტყვებს გულ-ღვიძლიც ამოატანაო კორნელიმ და ბრაზისაგან გაიგუდა, მაგრამ გამარჯვების გამო გახარებულ ვარდოს ეს არ შეუმჩნევია.

— გმადლობთ, კორნელი, — დაიძახა მან და ოთახს ისევ მუშტრის თვალი შეავლო, თითქოს წინასწარ, გონების თვალით ზომავს, სად რომელი ავეჯი და ნივთი უნდა დაიდგას და მოთავსდესო. სრულიადაც არა ფიქრობდა, თუ რა ცე-

ცხლი ტრიალებდა ამჟამად ბრძი ქალის ბიჯნურის გულში; თუ როგორ დაკოდა და შეურაცხყო გამოცდილმა ქალმა ჯერ კიდევ გულუბრყვილო ჭაბუკი.

ბოლოს გლოვით მოკლული და თავჩალუნული კორნელი რომ დაინახა, მიხვდა და ანუგეშა:

— მართალია, კორნელი, ჩვენ ერთმანეთს შევეჩვიეთ და ახლა, ალბათ, განშორება გეძნელებათ, მაგრამ სხვა გზა ჩვენ არა გვქონდა... ერთმანეთს საუკუნამდე ხომ არ ვშორდებით? თქვენ თბილისში იქნებით და ჩვენსას ვცხოვრობთ. მაშ, რა გეღონა: ელოს ქუჩაში ხომ ვერ დაეტოვებდით?

— რალა თქმა უნდა, — მიუგო კორნელიმ, მაგრამ იგი სხვას ფიქრობდა: „თავიდან ბოშებორეთ და ახლა ნუგეშისცემა ზედმეტია. პირდაპირ გეთქვათ ეს, არა სჯობდა?! შორიდან რად იწყებდით? ესტატემ არა თქვა თქვენზე — ვარდო ღიპლომატია და არ გაჯობოთო? ასეც მოხდა. თქვენ გაჯობეთ და ახლა რა გაეწყობა! იზეიმეთ თქვენი გამარჯვება! მე თაყვანსა გცემდით, გაფასებდით, თქვენ კი ბოროტი და ცბიერი ქალი ყოფილხართ. ფეხქვეშ გახედეთ ჩემი გრძნობა და თავმოყვარეობა". — ასეთი ფიქრების მერე მთვრალივით, რაღაც ბოროტად შეხედა ვარდოს. ვარდო შეკრთა. კორნელის შერცხვა. ნაძალადევად გაუღიმა და უთხრა:

— მაშ ასე, ქალბატონო ვარდო, ეს საქმე მოგვარდა.

— დიდად გმადლობთ, კორნელი, — მიუგო ვარდომ და წამოდგა. კორნელიც წამოიჭრა და ჰკითხა:

— ნინო ძალიან შეწუხდა, ალბათ. ელოს უბედურებაზე?

— ისედაც ერთთავად მოშლილი ჰქონდა ნერვები და ახლა სულ ტირის.

— შეიძლება ვნახო?

— ნინო დიდედამ წაიყვანა თავის დიასწულთან.

„გაჰხიზნეს?!" — გაიფიქრა კორნელიმ.

მეგობარები

ვინც არ უნდა იყოს ადამიანი: კეთროვანი თუ ქალორღელი ტყვე, განკიცხული თუ ავადმყოფი, — უპირველესი მისი მოთხოვნილებაა ჰყავდეს თავისივე ბედში მყოფი მეგობარი.

ბაღზაკი

კორნელი ბორჯომის ქუჩაზე ერთსართულიან პატარა სახლში შევიდა. ბნელი დერეფანი გაიარა და მიხა მაჭავარიანის ბინის კარებზე დააკაკუნა.

ხმა არავინ გასცა.

კორნელი ეზოში შევიდა და ახლა აქედან დააკაკუნა მიხას ოთახის ფანჯარაზე.

ფანჯარასთან, ტახტზე, მიხა იწვა და, კაკუნი რომ შემოესმა, დაფეთებული წამოიჭრა, ფანჯარას მოაწყდა, კორნელი იცნო და დაუძახა:

— კორნელი, შენა ხარ? შემოდი, საიდან — სადაო?

კორნელიმ აივანზე გამოსასვლელი, მინაჩასმული კარები შეაღო და ბნელ ოთახში შევიდა. მიხა გადაეხვია და მეგობარი გადაკოცნა.

მიხა ტანადი, ახოვანი ვაჟკაცი იყო. ოცდახუთი-ოცდაექვსი წლისა თუ იქნებოდა, შავი ხავერდის ხალათი ეცვა, ჰალსტუხი გვერდზე მოქცეოდა, დაკვარკნილი, ღია წაბლისფერი თმა ასჩეჩოდა, ხოლო ნამძინარევი თვალების უპეები დასივებოდა.

— რა დროს ძილია! ალბათ, ისევ ნასვამი იქნები?! — წყენით ჰკითხა კორნელიმ. — ვინ გაიგონა დაუსრულებელი ლოთობა, შე ოჯახჭირო?

— არა, ნასადილევს დავწექი და ჩამძინებია, — პიუგო მიხამ.

მაღალ შუბლზე ხელი გადაისვა და თმა გაისწორა. ელექტრონის ლამპა აანთო, აწეულ ცხვირზე პენსნე გაიკეთა, ბეცი თვალები კორნელის შეანათა და გაიცინა. სქელი ბაგეები გაეხსნა, ცხენსავით გრძელი კბილები გამოუჩნდა.

„ძალიან არ გლოვობს ელოსთან განშორებას, ეს ვაჟბატონი“, — გაიფიქრა კორნელიმ.

მიხას მამა ქართველი იყო, დედა კი — რუსი. მიხა რუს-

სა ჰგავდა. ქართული სათავადაზნაურო გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული. მერმე სამხატვრო აკადემიაში და კოხსერვატორიაში სწავლობდა. ჩინებული ხმა, სწორი რუსული და არტისტული იერი თვალში ეცა ელოს და მოხიბლა. ნაცრისფერ კოსტუმში გამოწყობილი, ფერადი ჰალსტუხით მოკაზმული და თმადაკვარკნილი მხატვარი მაშინვე მოეწონა ელოს და, ხანმოკლე რომანის მერმე, ცოლად გაჰყვა. ქორწილში ქეიფის ბოლოს უზარმაზარი ყანწი რომ დაცალა და ყველა დაათრო მიხამ, ეს როდი ეუცხოვა ელოს. მერმე კი, სწორედ ეს გამუდმებული ქეიფი და უზომო ღვინის სმა გახდა ცოლ-ქმრის უთანხმოების საბაბი.

— რა კარგია, რომ მინახულე, სხვა რა ამბავია ქუთაისში? — ჰკითხა მიხამ კორნელის.

— ქუთაისში კარგი ამბავია, მაგრამ თბილისში კი ცუდი დამიხვდა, — უგულოდ მიუგდო კორნელიმ.

— რა ცუდი ამბავია?

— კაცო, რა ღმერთი გაგიწყრა? რად გაეყარე ელოს? თავი დაიღუპე და მეც უბედურებას შემყარე.

— შენ რა შუაში ხარ?

— იმ შუაში ვარ, ვარდომ და ესტატემ დეიდასთან გადასვლა მაიძულეს. თქვენი ოთახი ელოს დაუთმეთ, ქმარს გაეყარა და უბინაოდ არისო, — მიუგო კორნელიმ, ქუდი მოიხადა და სკამზე ულონოდ დაეშვა.

მიხა ცნობისმოყვარეობამ წაიღო და დაწვრილებით გამოჰკითხა კორნელის ყოველივე.

— რა ვუყო, კაცო, რა წყალს მივცე თავი, არ ვიცი! ელოსთან ცხოვრება შეუძლებელია, — სწუხდა მიხა.

— შენი ბრალი იქნება, განა არ ვიცი, რა ვაჟბატონი ბრძანდები! პირველად, ალბათ, მამა აბრამის ბატკანივით დაუტკბი და მერმე კი შენებურად აურიე და გადაამლაშე. ვაი, შენს პატრონს, რა ქალი გაგექცა! — არ დაინდო მეგობარი კორნელიმ.

მიხამ ტუჩებზე ხელი მიიფარა და გააფრთხილა:

— ჩუმად ილაპარაკე, მეზობლები გაიგონებენ.

მიხას ოთახის გვერდით რუსები ცხოვრობდნენ — წყნარი და წესიერი ცოლ-ქმარი. მათ თავისი ბინიდან გასასვლელი მიხას ოთახზე ჰქონდათ. ეს ოთახი კი არა, დერეფანი არი-

სო, — ცხაროზდა ელო და ესეც ითასგვარი უსიაძოვხეთის საბაბად იქცა. მიხამ იმდენი ფული ვერ იშოვა, რომ ამ მეზობლებისთვის აივანზე ცალკე გასასვლელი კარები კედელში გამოეჭრა.

— რაღა ჩუმად ვილაპარაკო, შვილოსან! ახლა ხომ ყველაფერი გათავდა. რას დაეძებ მეზობლებს?! — მიუგო კორნელიმ, მაგრამ მიხა იმედს არ ჰკარგავდა:

— ვინ იცის! ელო განა პირველად მეყვრება? კვირაში შვიდი პარასკევი აქვს.

— ღმერთმა ქნას. იმედიც კარგი საქონელია! რამ გ მოიწვია მაინც ელოს წასვლა? აკი გითხარი, შე ვერანავ წენა, გადაამლაშებდი-მეთქი!

— არა, ჩემმა მზემ! რა რომ ყვარი დავიწერეთ, ლოთობა და ქეიფი მივატოვე. ამ ორი წლის განმავლობაში წყლიწადნახევარი ხმას არ მცემდა, მეშეუროდა.

— ვითომ რათაო?

— ელო მეტისმეტად ამყვა და ფიცხი, მორცხვი და აზიზი ქალია, ამაზე არა ღირს ლაპარაკი.

„ეტყობა, ახლაც უყვარს ელო, ამ აღვირახსნილმა ქალმა მასთან ცხოვრების ინტიმური მხარეების გამჟღავნება რომ არ ისურვა“, — გაიფიქრა კორნელიმ.

— ნალვინევი, ან გვიან თუ მოვიდოდი, მაშინ სოც ახლოსაც არ გამიკარებდა. ფეხაკრეფით უნდა მევლო ოთახში. ჩუმად გავშლიდი ამ ტახტზე ლოგინს და უხმოდ დავიძინებდი. ჩახველებისაც კი მეშინოდა. ეს ოხერი, ღვინის შემდეგ ხვრინვა ვიცი და ელო-ტუფლს აიღებდა და ჩემკენ გამოაქანებდა. კარგია, თუ ამაცდენდა, თორემ ხანდახან პირდაპირ სახეში მომახვედრებდა და იყვირებდა: ნუ ხვრინავ, შე ლირო! — სიცილი წასცდა მიხას, ცხენისავით გრძელი კბილები გამოუჩნდა, ზედ ხელი აიფარა და ჩაიხვითინა.

— პერი-ხალ ეს რითი იყო ლამაზი ყოფილა?! — ვერაფერს ვერ ხვდებოდა. ამ თანაგრძნობით წასულებულმა ხან ამას აწია კვეშნები სახე მიიღო და კორნელის გული ეკალივით.

— ჩემს ტანჯვას კაცი ვერასდროს ვერა აღუწერს — ამოიოხრა მან. წამოდგა, კიბეში ხელი ჩაიყო და თოკში სიგრძელი დაიწყო. სიცივის გამო ბაგეები ასჩხიროდა. თოკში შირმა იდგა. შირმის იქით კოხტად ნოხებული რკინის საწოლი.

როდესაც ძიძა შორიდან მოუახლოვდებოდა, მაშინვე შეჩერდებოდა და ცარიელ საწოლს კაეშნით გადახედავდა. სიცივეს და სიცარიელეს იგრძნობდა და, ალბათ, ფიქრობდა: ვაი, რა ქალი დავკარგეო!

შირმისა და საწოლის გარდა, ოთახში როიალიც იდგა. ფანჯარასთან, ფარდაგდაფენილი ტახტი, ერთი საკარძელი, სკამები, ტახტის წინ კი — მაგიდა და კუთხეში — კარადა. იქვე პატარა საწერ მაგიდაზე ეწყო ხელოვნებასა და მხატვრობაზე სურათების რეპროდუქციები, ალბომები და ფუტფურისტული ჟურნალი. კედელზე მოხას სურათი ეკიდა — მყვარალა საღებავებით დახატული შიშველი ქალი, რომელსაც ვნებააშლილი სახე. ავხორცი ბაგეები ჰქონდა და უტიფრად იღიმებოდა. შირმის ახლოს, პიკასოს მიბაძვით დახატული, კუბისტური სურათი დაენახა კორნელიმ, ერთმანეთში არეული, უცნაური და გაუგებარი საგნები: ჭიანური, სიმები, უზარმაზარი ყური, თვალი. თვალიდან გამოსროლილი ხმივები, ნოტები და სხვა. იქვე — ფანტასტიკური ყვავილები, ვარდები და დეკორაციული ხეები, ნიამორებ. შვლები, წმინდა ნინოს პორტრეტი ირანული მინიატურის მსგავსი, და ჯვარი ვაზისა. მოხა თეატრის დეკორატორიც იყო და ზოგიერთი დადგმების გაფორმებაც ალბომში ჰქონდა შენახული.

კორნელი მანამდეც ყოფილა ამ ოთახში, როცა ელო მოხასთან ცხოვრობდა.

ელო ოცდასამი წლის იქნებოდა. ნინოს ჰგავდა. განსაკუთრებით — თვალ-წარბით, მაგრამ ნინოზე მაღალი და გამხდარი იყო. ნინოზე უფრო გრძელი, ფერმკრთალი სახე და კაეშნიანი თვალები ჰქონდა. იშვიათად თუ ხახავდით გაცინებულს. თემცა მის ლამაზ ტუჩ-კბილს ძლიერ შვენოდა ღიმილი. სწორედ ელოს მწუხარე სახე და კაეშნიანი თვალები გამოიყენა მოხამ ნინოს პორტრეტში — მინიატურაში.

კორნელის წასვლა დააკვირდა. მოხა მკლავში სწვდა, პალტო გახადა და სკამზე დააგდო.

— დაიცა. სად მიგეჩქარება?! — უთხრა მისამ. კარადისაკენ გაიხედა და თვალები აცრემლდა: — ბიჭო, მეთორმეტე ღვინო უნდა მეწონდეს.

წამოდგა. კარადისაკენ ქუთდივით ცეკვად წავიდა. ელოს წინაშე მოკრძალებულს, ფეხის წვერებზე ფრთხილი და უხმო

სიარული სჩვეოდა. კარადაში სამი ბოთლი ღვინო აღმოაჩინა და აღტაცებით ჩაიხვიხვინა:

— სამი ბოთლი ღვინო მქონია! დაიცა, აი, ძეხვი და ნაშხი, — უცნაურად გაუწვრილა ხმას ამოდენა კაცმა.

დასხდნენ. დიდი ჭიქებით დაიწყეს სმა და ორი ბოთლი ღვინო უმალვე დასცალეს.

ღვინომ სევდა ვერ განუქარვა კორნელის, პიროქიი — ვარდოსთან საუბარი აგონდებოდა და ერთსა და იმავეს გაიძახოდა:

— ვატყობ, მაყაშვილები თავიდან მიშორებენ. აღბათ სასიძო მოძებნეს, პლატონ მოგველაძე უნდა იყოს.

— ნინო რას ამბობს?

— ნინო დიდედამ გახიზნა.

— ნინო თუ ცოლობაზე დაგთანხმდა და დღესაც უყვარხარ, მშობლები მიზანს ვერ მიაღწევენ.

— არა მგონია, ნინომ ასე უმიზეზოდ ამოიღოს გულიდან ჩემდამი გრძნობა, — მიუგო კორნელიმ.

ელოსაგან უარყოფილ მიხას ასეთმა პასუხმა გულში შური ჩაუღვარა, რადგან უნდოდა მისივე ბედი სწვეოდა კორნელისაც და ანუგეშა:

— ნუ დარდობ, ბიჭო! მერწმუნე, ნინოს ხელში ჩენც ჩემსავით უბედური იქნებოდი.

— შენ გიყვარდა ელო და ცოლადაც შეირთე, მერმე ქრთამანეთს ვერ შეეგუეთ და განშორდით, ეგ სხვა ამბავი! — მიუგო სასოწარკვეთილმა მეგობარმა მიხას.

— კორნელი, ნინოსთან თუ არ გიცხოვრია და ისე განშორდი, ხოლო სიყვარული ახლაც გულში გინთია, მაშინ მიუღწეველი სიყვარულის გამო გამოწვეული დარდი სიკვდილამდე არ მოგასვენებს, — ცეცხლს უნთებდა მიხა ისედაც გულდაწვარ ჭაბუკს.

— ეს მართალი უნდა იყოს, — წამოიცდა კორნელის, ჰკრა შერცხვა და დასძინა, — სიყვარულის დროს ადამიანი ბევრ რაშეზე არ ფიქრობს.

— მე კი სულ ეგ მახსოვს და მაგაზე ვფიქრობ.

— იმიტომ, რომ ქალში მხოლოდ სქესსა სჭვრეტ.

— შენ კი სულს? — დასცინა მიხამ, — თავი გამანებე, ეგ სულ თავის მოტყუილებაა... ილუზიაა!

— ილუზია, ძიებული იდეალი ხშირად უფრო წარმტაცია, ვიდრე მიღწეული იდეალი და რეალობა, — ურჩობდა კორნელი და თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად ცნობილი მაგალითი მოიყვანა: — პეტრარკას რომ თავისი მიჯნური ლაურა ეპოვნა, სიყვარული გაენაღდებინა, ტანჯვა და კაეშანი განექარვებინა, — მაშინ წარმტაცი ლექსების თქმასაც ვერ შესძლებდა.

— და იგი დადუმდებოდა და მიატოვებდა გალობას, როგორც ჩიტები კვერცხის დადების შემდეგ, — დამცინავი ღიმილით დაუმატა მიხამ.

— შენ ყველაფერს დასცინი.

— კაცო, — გაუკვირდა მიხას, — რომეო ხომ არა ხარ, ჯულიეტა პირველად რომ იხილა და აღტაცებით აღმოხდა: „დაიფიცეთ, თვალებო, რომ თქვენ ბეშმარიტი სილამაზე დღემდე არ გიხილავთ“. ან ნინო ჯულიეტა ხომ არ არის, შენს შესახებ რომ ეთქვა: „თუ მისი გული სხვას ეკუთვნის, ჩემი საქორწინო სარეცელი საფლავი იქნება“. დაუკვირდი, როგორ სახიფათო მდგომარეობაში ვარდება ადამიანი მიჯნურობის ილუზიის გამო!

კორნელიმ რომეო და ჯულიეტას მიჯნურობაში სახიფათო ვერაფერი დაინახა. პირიქით, შექსპირის გენიით მოხიბლა, ნინოსთან პირველი შეხვედრა მოაგონდა და, თუმცა იცოდა — მიხა გულგატეხილი, დამცინავი და ცხოვრებაზე ხელჩაქნეული კაცი იყო, მაინც განუცხადა:

— აი, ასეთი მიჯნურობა, აღტაცება და მაღალზნეობისაკენ სწრაფვა ამშვენებს ჩვენს ცხოვრებას, თორემ ადამიანში ნადირი, ცხოველი და მარტო სქესობრივი აღტაცება რომ ეძირა, ეს რა კაცობაა?!

— შენც მშვენიერი ტყუილის ტყვეობაში ყოფილხარ, ძმაო!

— დაე, ასე იყოს, მაგრამ ეს ტყუილი ხომ მშვენიერია. — მიუგო კორნელიმ და განაგრძო: — მე არასოდეს არ დამავიწყდება ნინოსთან პირველი შეხვედრა, — როდესაც მან თანაგრძნობა გამომიცხადა და ულონო ხელები მომხვია. მე ახლაც ჟრუანტელსა მგვრის ეს მოგონება, რა აღტაცება ვიგრძენი მე იმ დღეს, შენ ვერ გაიგებ! რა ბედნიერი ვიყავი მაშინ! როგორ ავმაღლდი მე საკუთარ თვალში!

მიხა განცვიფრებული უსმენდა მიჯნურობის გრძნობით მთვრალ მეგობარს, ბოლოს ველარ მოითმინა და უთხრა:

— კაცს თუ მიჯნურობის სენი შეეყარა, ვერც ერთი ექიმი ვერ განკურნავს მანამდე, სანამ იგი თავის სატრფოს საქორწინო სარეცელზე არ იხილავს.

— ეს მართალი უნდა იყოს, — ისევ წამოიცდა კორნელის.

მიხას ყურადღება არ მიუქცევია კორნელის უკანასკნელი სიტყვებისათვის და განაგრძო:

— ალსარებას გეტყვი და ყური მიგდე. ელო ავადმყოფი ქალია. სულ მასთან უნდა ვყოფილიყავ კაბაზე მიკერებული. თვალში უნდა მეცქირნა და გამერთო. კინოთეატრში და ნაცნობ-მეგობრებში მეტარებინა.

— ყოველი ქალი ასეთია.

— დაიცა, კაცო, — მოუგო მიხამ, — მერმე ესეც ერთბაშად ბობგზრდებოდა და უმიზეზოდ ამიხირდებოდა. არაგლო უცნაური ქალია. მას კონმარული სიზმრები სტანჯავენ, ისტერია ანელებს. ცხოვრებაზე და ადამიანზე დრომოჭმული და გულუბრყვილო წარმოდგენა აქვს. ისეთი რამ გააბრაზებს, რაც ყურადღების ღირსი არ არის. იჭვიანობს. ნერვიულობა მამისგან დასჩენდა. მაგრამ, ხომ იცი, გაგიჟებულა ოდესღაც და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოუთავსებიათ. ივა წინათ ანარქისტი ყოფილა. ემიგრაციაში — შვეიცარიაში კხოვრობდა, ელოსაც იქ ზრდიდა. მერმე საქართველოში ჩაბოვიდა. მამაპაპისეული ადგილ-მამული გლეხებს დაურიგა. რუწვენა შეიცვალა. თმა და წვერ-ულვაში მლვდელსავით მოუშვა, მორწმუნე გახდა: ქრისტეს ცნებათა მიმდევარი. იგი ნასწავლ და წარჩინებულ ცოლს გაეყარა და უბრალო გლეხის ქალი შეირთო. ახირებული კაცია ჩემი სიმამრი ქრისტეფორე და ელოც სწორედ მას ეკუთვნის და უშამენია: ასლა ისაა არ სცემენ ეროვნების. ქეჩაში ხომ დაინახავს ელო ცარიელს და ამალებს. უცნაური აღზრდება და ეზიზღება მთლიანად ამ ყოველივე. მაგრამ ერთის დროს ისე ეიღლება სტანჯვაში, არ ამ ბალიშებში ჩაბრუდა ახას და სტირილა, აცალე ხუჭუა: რატომ და რისთვის! მაშინ ვერ ვხედავდი პირდაპირი მჭირდა. ლვინასაც იმიტომ დავეძალე. ნეომე, შენ ხომ იცი, მე ქალი, ნეოლბრებით ყოფნა მიყვარს, და რა უნდა ვქნა?

— მართალი გითხრა, მე არ ვიცოდი ყველაფერი ეს, — შეეცოდა კორნელის მიხა, მიხამ აღსარება განაგრძო:

— ექიმებმა მირჩიეს ელოს ბავშვი აყოლე და ნერვების მოშლა გაუვლისო. საქმე არა გაქვს. — ჩაიქნია უიმედოდ ხელი მიხამ. — ბავშვი არ გაიჩერა. ახლა ეს მისი ორსულობა და მუცლის მოშლა იყო უდიდესი ტრაგედია... ხომ გითხარი, უცნაური ქალია-მეთქი.

— საკვირველია! მე როგორც მახსოვს, ელოს ძალიან უყვარდა ბავშვები, — შენიშნა კორნელიმ.

— მართალია, ბავშვები გაგიჟებით უყვარს, მაგრამ თვითონ არ სურს ბავშვის გაჩენა, — დაემოწმა მიხა.

კორნელის უნებურად წამოცდა:

— იქნებ, შენგან არა სურდა ჰყოლოდა!

— შესაძლებელია, — მიუგო მიხამ და ეკალივით მოხვდა გულზე კორნელის ნათქვამი. მაგიდაზე იდაყვი შემოსდო, ხელისგულს ყვრიმალით დაებჯინა და შეურაცხყოფილმა ჭაბუკმა კორნელის ნაცემი ძაღლის ნაღვლიანი თვალებით შეხედა.

კორნელი მიხვდა, რა ტკივილიც მიაყენა და შეეცოდა:

— არა, ეგ რა შუაშია! შესაძლებელია მშობიარობა ეზიზღებოდეს. არ ვიცი! ამბობენ, ასეთი ქალებიც არიანო! აბა, ისე მე კარგად ვიცი, ელოს ბავშვები უყვარს. გახსოვს, — მოაგონა კორნელიმ, — ამ ოთახში რომ შევკრიბებოდით შენ, ელო, ნინო და მე? ნინო წესანიშნავი იმიტატორია ბავშვთა ქცევისა და ლაპარაკისა. ბავშვურის მეტყველებით და მიმიკით წაიკითხავდა ხოლმე ლექსს: „მზეო ამოდი, ამოდი, ნუ ეფალები გოლასაო“. ელო სახეში შესცქეროდა და თავშეუკავებლად იცინოდა... არა, ელოს ბავშვები უყვარს, — დაუტკბა კორნელი.

მაგრამ მიხას არ ავიწყდებოდა კორნელის სასტიკი განაჩენი: იქნებ შენგან არა სურდა ჰყოლოდა ბავშვი და ბოროტად ჩაილაპარაკა:

— ელო და ნინო არც ისეთი ბავშვები და წმინდანები არიან. როგორც შენ წარმოიდგენია! სხვას არაფერს აპატიებენ, თვითონ კი ადამიანს შეურაცხყოფას აყენებენ და სტანჯავენ. ელოს მამა ქრისტეფორე ცოლ-შვილს გაეყარა და თვრამეტი წლის სოფლის ვოგო მოიყვანა, ხოლო როდე-

საც ელომ გაიგო, მე რომ სამჯერ ნაცოლები ვიყავი, ანან სულ გააგიჟა—

კორნელის გაეცინა.

— რა გაცინებს? მე წმინდანი და ასკეტი არა ვარ,— განაგრძო, მიხამ,— ღმერთი არა მწამს, მაგრამ არც ეშმაკისათვის მიმიყიდნია სული. მე შენსავით თავს არ ვიტყუებ ილუზიით. ჩემთვის ნაცნობი ჰირია — გულისგატეხა, უბედურება, ვაება და კაეშანი. ცხოვრებას, მეტნაკლებად, ყველა ვიცნობ. წმინდანის ნიღაბს ჩემს წინაშე რად იფარებ? ეგ შენ არ შეგფერის: მე შენი მიჯნური ხომ არა ვარ, პატიოსნებით და სიწმინდით რომ მომაჯადოო?!

კორნელის ეწყინა და უთხრა:

— მე თავს წმინდანად არავის არ ვაჩვენებ, პირიქით! როდის იყო, თავს ვაბეზრებდი ვისმე ჩემის სიწმინდით, პატიოსნებითა და უცოდველობით?

— მეც მანდა ვარ! — შესძახა მიხამ,— როდესაც ად.მიანს და მის ბნელ მხარეებს გაიგებ და შეიცნობ, საოცარი კაეშანი გეწვევა, ცხოვრებას ფარდა აეხდება და სიყვარულზე გული აგიცრუვდება. ელოს და ნინოს არ ესმით ყოველივე ეს. მათ წამხდარი და დაკარგული კაცი ვგონივარ. მათ არა სჯერათ, მე სიყვარული თუ შემიძლია, მათ რა იციან კაცის გული! დასწყევლოს ღმერთმა, რა მემართება, არ ვიცი! — დაიძახა მიხამ და ხელისგული შუბლზე შემოიკრა.— მე ახლა უფრო ვარ ელოზე შეყვარებული!

გასწორდა, ღვინო გადაჰკრა, კორნელის თვალები შეანათა და სიმღერა წამოიწყო:

Увы, сомненья нет; влюблен я;
Влюблен я, как мальчик...

კორნელისათვის ნაცნობი იყო მიხას ასეთი გაორება. ნასვამი მხატვარი ჩინებული და გულითადი ხმით მღეროდა. კორნელი სიამოვნებით უსმენდა მის ბარიტონს. სწორეი ამ ხმამ მოაჯადოვა ელო.

სიმღერის მერმე კორნელიმ მიხას თვალებზე ცრემლი შენიშნა. შეეცოდა. სიჩუმე ჩამოვარდა. ახლა შირმას მიაჩერდა კორნელი. შირმის იქით ბალიშის საფარით და ნაზი ფაიდებით მორთული და მოკაზმული საწოლი იდგა, ქალის ხელ

მიტოვებული, მდუმარე და რაღაც საიდუმლოებით მოცული. და მოაგონდა კორნელის ელო და ამ ოთახში გატარებული საღამოები. მაშინ სხვა იერი ჰქონდა ამ ოთახს. გადამთვრალი ქალის პორტრეტი არ ეკიდა კედელზე. ირგვლივ წესრიგი და სისუფთავე სუფევდა. დაღვრილი ღვინის გამო ამჟამად მოოხრებულ მაგიდას თეთრი, უმტვერო სუფრა ეფინა. ზედ ყვავილებით სავსე ლარნაკი იდგა და მშვენებით სავსე ელოს თვალები კორნელის უღიმოდნენ. საღამოობით, ტკბილი საუბრისა და ჩაის შემდეგ, ნინო პიველს იტყოდა, ელო — მოძახილს, ხოლო მიხა და კორნელი კი პანს და ოთახს საამური ჰანგი ავსებდა, ისმოდა არაგვივით ჩქარი და მონავარდე სიმღერა; ხან ალაზანივით ზანტი და დინჯი, ხანაც კიდევ ისეთი ნარნარი, საამური და ხმაღაბალი, თითქოს ამ შირმის იქით, საწოლზე მძინარ ბავშვს ნანას უმღერიანო. მაშინ ნინოს და ელოს ქალწულური და სათნოებით სავსე თვალები კორნელის და მიხას გულში სპეტაკსა და მშვენიერებისადმი ტრფობის გრძნობას ჰბადებდნენ. ახლა კი ყველაფერი გათავდა. მიხას ოჯახი დაინგრა, უქალობა დასტყობია აქაურობას. ოთახში უცოლო კაცის უწესობა სუფევდა. კედლიდან ისევ შიშველი ქალის ვნებააშლილი და უსირცხვილო თვალები იხედებოდნენ და, თითქო დასცინოდნენ წითელი ღვინით მოსვრილ სუფრასთან დამწუხრებულსა და მთვრალ მხატვარს. იგი დასცინოდა კორნელის და ნინოსადმი მის მიჯნურობასაც.

კორნელიმ დიდხანს უცქირა მიხას. ბევრი იფიქრა მეგობრისა და საკუთარი უბედობის გამო და მაღალზნეობას მოწყურებულმა ჭაბუკმა ასეთი საუბარი დაიწყო:

— ვინ იცის, მიხა, რა ეშმაკი უშლის ხელს ადამიანს, იყოს ხნეობრივად სპეტაკი და ბეღნიერი? ზოგს — ლოთობა, ზოგს — სიძვა და სიმრუშე, ზოგს — პატივმოყვარეობა, სახელის მოხვეჭის წყურვილი და ამ სახელის მოხვეჭისათვის ჩადენილი დაუნდობლობა, კერაგობა... თორემ უმისოდ, ადამიანში ბოროტება და სიავე ვანა გაიმარჯვებდა?!

ასეთ გუნებაზე დადგა კორნელი, როდესაც ამ ოთახში გატარებული საღამოები მოაგონდა და მიხას თვალზე ცრემლი შენიშნა.

კორნელიც და მიხამ შესძლეს ერთმანეთის და ახლა მათ გულში კეთილმა გრძნობამ დაისადგურა.

მეოცნებე კეთილმა ჭაბუკმა სძლია გულვატეხილს და დამცინავ მხატვარს.

ახლა კორნელი უკიდებდა მიხას ცეცხლსა და გენიას:

— სიყვარული აღგვამაღლებს, ვით ეჟვანნი, ამას ჰღერენ...

სიყვარულისა და საყვარელი არსების გარეშე ცხოვრება ძნელი რამ ყოფილა! — თქვა კორნელიმ და კაეშნით სავსე სიმღერა წამოიწყო:

ოდეს მეწვევა სევდა დამწველი
და გულ-ღვიძლს მიღრღნის, ვით გესლი გველის, —
შენი სახე მაქვს მაშინ მხსნელ ფარად,
შენ გეტრფი მარად, შენ გეტრფი მარად!

მიხა მაშინვე მიხვდა, ვისაც ეტრფოდა კორნელი და ვისი სახეც ჰქონდა მას მხსნელ ფარად.

ცოლის მიერ მიტოვებული, დაწუნებული და შეურაცხყოფილი ქმრის გულში ისევ შურმა გაიღვიძა და, ბოროტის აზრით, კორნელის ნინოსადმი ეჭვი ჩაუნერგა:

— ნუ დაღონდები, მერწმუნე, მე შენი კეთილისმსურველი ამხანაგი ვარ, ხშირად მიფიქრია შენზე — რა უბედური იქნება, ნინო თუ შეირთო-მეთქი.

— წინათ ასე არ ფიქრობდი! — მოაგონა კორნელიმ.

— ელოს და ნინოს ხასიათი მე გვიან გავიგე, — დაიწყო თავის მართლება მიხამ. — აკი გითხარი, მათ გვარში სიგიჟე მოსდევთ-მეთქი. მათ წარმოდგენაში არსებული ადამიანი — სატრფო, სენტიმენტალური რომანების მიხედვით არის ჩამოყალიბებული. ამიტომ ისინი სინამდვილეში არსებულ არც ერთი ადამიანით არ კმაყოფილდებიან. მათთან ცხოვრება ტანჯვაა! მენდე, როგორც ძმას, ისე გეხვეწები — ნინოსთან განშორებას ნუ იდარდებ. მე ვიცი ვარდოს აზრი შენს შესახებ, — გესლიანად შეაპარა მიხამ.

კორნელი მიხას ანკესზე წამოეგო, სისხლი მოაწვა ახეზე და ბრაზით მიუგო.

— ვარდომ არც შენ დაგინდო. ისე გლანძღა და გათრია, მტკვარიც კი ვერ გაგრეცხავს.

— ნუ გეშინია, არც შენ გიფენენ მაყაშვილები ქარხსა

და იას, — ბოლშევიკს, დეზერტირს გეწოდებენ, — ისევ დაგესლა მიხამ.

— თუ ჭკუით არ იქნებიან, მე იმ ფილისტერების ბუდეს ავაფეთქებ! — ისეთი რიხით განაცხადა კორნელიმ, თითქო — ტერორისტია და ხელყუმბარის გატყორცნას აპირებსო.

— მეც შენთან ვარ! — კვერი დაუკრა მიხამ, — წავიდნენ ახლა და ჩვენზე უკეთესი საქმრო მოძებნონ ელოსა და ნინოსათვის!

ჭაბუკებმა ერთმანეთს შეხედეს და ახლა მათ თვალში სიკეთის შუქის ნატამალიც კი ჩამქრალიყო და მის ნაცვლად ბოროტი გრძნობა გამოსჭვიოდა.

მიხამ ბეჭზე შეუმოჰკრა კორნელის და უთხრა:

— ერთ ბედს ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ!

მერმე გადაკოცნა და მეგობრობა შეჰფიცა.

ოცნება და სინამდვილე

არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს!

ნ. ბარათაშვილი

მას შემდეგ, რაც კორნელი დეიდა ელენეს ბინაში გადავიდა და უნივერსიტეტში მოეწყო, ერთ თვეზე მეტი იქნებოდა გასული.

კორნელს ვიწრო და მოკრძო, პატარა ოთახი ეჭირა. მაგიდაზე ანატომიური ატლასი გადაშალა და ოსტეოლოგიას მიზადებდა. ადამიანის ჩონჩხის ნაწილების სახელებს იზეპირებდა — os vawicularis, os pisiforme... მაგრამ ბოლოს მაინც ნინოსზე ფიქრმა დასძლია. ხელი ნინოზე ოცნების ქამს, ადამიანის ჩონჩხის ნაცვლად, მშვენიერი ასულის სახე, ლამაზი ტანის აღწერა ეხატებოდა.

მერმე ატლასი გადასდო და ნინოსთან შეხვედრა დაიწყო: შთი გათენის მიზეზი უშველოდ მიჰქონ რომ გადაკოცნოს, ჩუმჩუმად ნინოსთან შეხედრა არ ეწყინოდა, რადგან ნინოს „ფიალის ბეჭი“ და „დიდსულოვანი ქალი“ უთვალთვალებდა. ასეთი სახელი შეარქვა ნინოს დედას კორნელიმ.

ნეკნები, მალები, ბარძაყებისა და წვივის ძვლები ტოშარაში ჩაჰყარა, ხოლო ქალა კი ეტაჟერზე შემოსდო.

კორნელის ათასგვარი ფიქრები სტანჯავდა. იგი ყველაფერს აზვიადებდა და შავი ფერებით ხატავდა, ნაცნობ-მეგობრებისა თუ შინაურების თვალშიაც კი დაცინვას კითხულობდა. ისინი ალბათ, ზურგს უკან ხითხითებენ: მაშ, როგორ ეგონა, მაყაშვილები განა ქალს მიათხოვებდნენ?!

კორნელის გულში ადამიანისადმი ეჭვი და უნდობლობა იჭრებოდა.

მაყაშვილთა ოჯახში პლატონ მოგველაძემ რომ მისი ადგილი დაიჭირა, ეს უდავოდ იორწმუნა. მაგრამ ძალიან კი უკვირდა: „პლატონი ნინოზე ორჯერ უფროსია და, ასეთ ასაკში მყოფი სასიძო, ნინოს მშობლებს სასურველად რად მიაჩნიათ?! უთუოდ უნდა ვინახულო ნინო, რადგან წესიერი ქალისაგან, ყოველივე მას შემდეგ, რაც ჩვენს შორის მოხდა, ასეთი მოულოდნელი გათიშვა, ისიც გაუფრთხილებლად, განა დაჯაშვებია? ვინ იცის, იქნებ ნინოს ისევ ვუყვარვარ და მაშინ ასეთი ტანჯვისათვის საფუძველი არა მქონდეს! იქნებ დიდი ხნით ჩემი დუმილი არ მოეწონა ნინოს! იქნებ ჩემი დეზერტირობა დაჰგმეს მაყაშვილებმა?! ან იქნებ საზოგადოებაში სახელმოხვეჭილი პლატონი არჩია პატივმოყვარე ვარდომ? მაშინ ნინო რა შუაშია?“ — ათასნაირად სწონიდა კორნელი და გულიდან ნინოს ამოღებას ვერას გზით ვერ ახერხებდა.

კორნელის დარდი ის იყო, რომ მასთან შედარებით, პლატონ მოგველაძეს უპირატესობა ენიჭებოდა: საზოგადოებაში მოხვეჭილი სახელისა, მჭევრმეტყველებისა, მწიგნობრისა და პოეტობის გამო. გარდა ამისა, პლატონს უმაღლესი სასწავლებელი ევროპაში ჰქონდა დამთავრებული, კორნელი კი თბილისის უნივერსიტეტში ახლა შევიდა და მისი დამთავრების შემდეგ თუ რა ადგილს დაიჭერდა საზოგადოებაში, ეს ჯერ მომავლის საკითხი იყო.

კორნელის პლატონის ჯობნის სურვილი დაებადა. სარბად დაეწაფა წიგნების კითხვას და უცხო ენების შესწავლას. იგი ცდილობდა მიეგნო ცოდნის იმ წყაროსათვის, რომლითაც პლატონი იკვებებოდა. პლატონის ნაწერების კითხვას და განჭრიქებას შეუდგა.

პლატონი ხშირად ემყარებოდა კანტს, შოპენჰაუერს, ბერგსონს, ნიცშეს, ლომბროზოს, ოტო ვეინინგერს, ფოეიდს და დეკადენტ მწერლობას, ამიტომ კორნელიმ მათი შრომების შესწავლასა და კითხვას მიჰყო ხელი.

იმ ვაჟთა გიმნაზიას, სადაც კორნელის დეიდის — ელენეს ქმარი, დათა მიქელაძე იყო დირექტორად, ჩინებული წიგნთსაცავი გააჩნდა, ცნობილი დირექტორის — ჩეხი დრობოგლავის მზრუნველობითა და ამაგით დაფუძნებული. ამ წიგნთსაცავში ინახებოდა აგრეთვე რუსული და უცხოური ჟურნალგაზეთების წლიური კომპლექტები.

ფილოსოფიურ სისტემაში ელემენტარულად მაინც ერკვეოდა კორნელი და მათი გაგებისათვის წინასწარი ცოდნა გააჩნდა. იგი არასოდეს არ ჩააცივდებოდა ისეთ წიგნს, რომლის გაგებისათვის სათანადო ცოდნა არ ჰქონდა. ამ დადებითი თვისების გამო, იგი არ ჰგავდა იმ ჭაბუკებს, რომლებიც ელემენტარული ბროშურების წაკითხვის მერმე, წინასწარი და სათანადო მომზადების გარეშე, პირდაპირ კანტის, ჰეგელისა და მარქს-ენგელსის ფილოსოფიურ სისტემებს ეჭიდებოდნენ, ზოგნი — ყოველგვარი ხელმძღვანელობისა და კომენტატორების გარეშე. ამგვარი მეცადინეობისა და კითხვის შედეგად იმ ჭაბუკების გონება, გაფართოებისა და გამახვილების ნაცვლად — ჩლუნგდებოდა.

კორნელი წიგნების შერჩევაში და კითხვაში სწორ გზას დაადგა. მაგრამ ამ სწორი გზიდან მასაც არაერთხელ გადაუხვევია.

შოპენჰაუერი და ნიცშე მანამდეც ჰქონდა წაკითხული კორნელის. უკიდურესმა ინდივიდუალისტებმა, უწინარეს ყოვლისა, თავის თავში ხედვასა და ფათურს დააჩვიეს.

ხარბად წაიკითხა იბსენის „მოჩვენებანი“, რამაც წარუშლელი კვალი დატოვა მასზე და მამისაგან მემკვიდრეობით მიღებული ხასიათის თვისებებზე კაეშნით ჩააფიქრა, ისე როგორც სხვა ათასი ჭაბუკი, რომლებიც უკრიტიკოდ, ჰეშმარიტების სახით იღებდნენ დეკადენტი მწერლების იდეალისტურსა და მეტაფიზიკურ ქადაგებას. რა დიდი ზიანი მოჰქონდა ამას მთელი თაობისათვის, თვით მკითხველმა განსაჯოს. საბედნიეროდ, კორნელი არ ეკუთვნოდა ისეთ ჭაბუკთა

რიცხვს, რომლებიც უკრიტიკოდ და გონების თვალის აუწონავად იღებენ შეუმოწმებელ მოსაზრებებს.

ყველაზე დიდი საცდური, რუსეთსა და ჩვენშიც, დოსტოევსკი იყო.

კორნელიმ დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვები“ წაიკითხა, მაგრამ ივანე კარამაზოვის ფილოსოფიას არ დაეთანხმა.

„როგორ? — ურჩობდა კორნელი, — მაშ ადამიანს, ტანჯვით სავსე ამქვეყნიდან გამოსავალი არა ჰქონია! ივანე კარამაზოვს რომ დავუჯეროთ, ადამიანი სხვათა ბედნიერებისათვის არ უნდა ცხოვრობდეს. საზოგადოების მომავალი ჰარმონია აწმყოს დისჰარმონიით იქნება ნასყიდი, ქადაგებს ივანე და ამიტომ, იმ მომავალ ჰარმონიულ საზოგადოებაში შესასვლელ ბილეთს დიდის მადლობით უკანვე გიბრუნებთო. როგორ? — განაგრძობდა მსჯელობას კორნელი. — თუკი უკეთესი მერმისისათვის არა ღირს ცხოვრება. მაშ, რისთვისღა ღირს? ივანე კარამაზოვი თითქოს დასცინის ადამიანს. იგი ამბობს: ცხოვრება ღირს მხოლოდ ახლად გაწმენდილი, ნორჩი და წებოვანი ფოთლებისა და ლურჯი ცის ტატნობისათვის. ყველაფერი, ამქვეყნად, ნებადართულია, რადგან არც სიკეთესა და არც ბოროტებისათვის იმქვეყნად განკითხვა არ არსებობს. უმჯობესია ოქროსფერი, მიუღწეველი და შორეული ცის კიდურების მიმართ ხელი ჩაიქნიო და შეეცალო თვით გახდე კაცთმერთი. ივანეს ასეთი ფილოსოფია აკაკითხის მიჩქმალვაა და ცხოვრებიდან გაქცევა! ეს მართლაც, უდიდესი დაცინვაა ადამიანის ცხოვრებაზე“, — ფიქრობდა კორნელი.

„ძმები კარამაზოვების“ წაკითხვის მერმე კორნელიმ დოსტოევსკის ფილოსოფიის უნიადაგობა დაინახა. კორნელის აზროვნებაში ძირეული გარდატეხა სდებოდა. იგი ამა თუ იმ მოვლენებისა და მოსაზრებისადმი კრიტიკულ მიდგომას ეჩვეოდა. დარწმუნდა, რომ საზოგადოებისა და პიროვნების ბედნიერებისათვის მართებული და სწორი გზა იყო — ბატონყმობაზე, ტირანიაზე, ადამიანთა ჩაგვრაზე აგებული წესწყობილების წინააღმდეგ ბრძოლა, რევოლუცია და პროგრესი.

ამრიგად, პროგრესისა და რევოლუციის იდეის შეგნებამდე და მიღებამდე კორნელი ლიტერატურული გატაცებისა და

გონიერული ვარჯიშის — თეორიული გზით მივიდა და არა-მარტო თავისთავზე განცდილი სოციალური უსამართლობის — პრაქტიკული გზით; მაგრამ ის მაინც აქეთკენ მიდიოდა. თუმცა, კარისმერეთის გლეხთა აჯანყება და გვარდიელების მიერ ოთხმოცი წლის მოხუცი გოჯასპირის მუხაზე ჩამოხრჩობა კორნელისათვის მარად დაუვიწყარი დარჩა და მან მისი პოლიტიკური მრწამსის გამომუშავებას დიდად შეუწყო ხელი.

კორნელი საწერ მაგიდასთან იჯდა. კედელზე გოეთეს სურათი ეკიდა. დიდხანს უცქირა ბრძნული იერით გამოკვეთილ მდუმარე სახეს, მის გაფანჩულ წარბებს, დაძაბული ჭვრეტით ანთებულ, დიდრონსა და უცნაურ თვალებს. ტანში გააჟრჟოლა და გაიფიქრა:

„განა ამ თვალებს ქვეყნად არსებული საიდუმლოება გამოეპარებოდა?! სიკეთე და ბოროტება, ტანჯვა და სიხარული, შეცდომა და გამარჯვება, — ყველაფერი ნაცნობი იყო მისთვის. მისი გონება მის გრძნობას ედაკებოდა. მიწერი და ზეცა, დემონური და ღვთაებრივი, — ყველაფერი განსჭვრიტა მან, მაგრამ ეს როდი აკმაყოფილებდა. და სიკვდილის წუთებში კი ბეშმარიტების და მარად ჩაუქრობი სინათლის ხილვა მოისურვა". — გაიფიქრა კორნელიმ და ფაუსტის გამო მეფისტოფელის მიერ თქმული სიტყვები ღრმად წაიკითხა:

Von Himmel fordert er die schönste Sterne,
Und von der Erde jede schönste Lust,
Und alle Näh und alle Ferne
Befriedig nicht die tiefbewegte Brust[1].

კორნელი წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა. მისი ოთახის ფანჯარა სანაპირო ქუჩაზე გადიოდა. კვიპაროსისა და გუნდის ხეებით ჩაბნელებული ფანჯრის წინ მტკვარი მიდელავდა.

კორნელიმ მტკვარსა და მთის კალთებზე გაშენებულ სახლებს გაცქერდა და ჩუმად წარმოისთქვა:

არც კაცი გარგა, რომ ცისფერი მკვდარსა ენატკბილოსა
იყოს სიტყვაში და ლოცვისთვის არა ანთებდეს!

---

[1] ციდან ნათელი ვის ეშურებიან ვარსკვლავები,
ვის ეძლევიან, — მასაც არსებულ ყველა სიამეს,
ვერ დააკმაყოფილებს ვერაფერი ვერ დაამშვიდებს
ის ძალას ცემა ვერ ეტევიან მისი მღელვარე და ალვარე.

ეს თითქოს ხალხოსანი იონა ჩასჩურჩულებდა მას ყურში: მაღლა ცაში ნუ დაფრინავ, დაბლა მიწაზე ჩამოეშვი, თორემ გადმოვარდებიო.

სამარცხვინო ომი

ვით მამალი სხვის მამალსა დაჰმტერდეს და წაეკიდოს,
მას სცემოს და თვით იცემოს, დაჭრილს და დაეკიდოს,
რა ორნივე დაღალულნი, ძაღლმან ნახოს, პირი ჰკიდოს.

დ. გურამიშვილი

1

კორნელი სანაპირო ქუჩაზე ცხოვრობდა, მისი მეკობარი სანდრო ხოტივარი კი — ყორღანოვისა, მაღალი სახლის შესამე სართულზე.

სანდროს პატარა ოთახი ეჭირა ქვრივი ქალის ბარბალე მაჩაბლის ბინაში. წინათ ეს ოთახი ბარბალეს ქმრის — ეჭიმ მერაბის კაბინეტი იყო. ოთახში ამჟამად ძველი მოდის საავარძლები, ფარდაგდაფენილი ტახტი და ლომბერის მაგიდა იდგა. ექიმის ქვრივმა — ლამაზმა, შავგვრემანმა ქალმა კარგად იცოდა უცხო ენები — ინგლისური, ფრანგული და თავის შვილებს მანანასა და ოთარსაც შეასწავლა.

მაყაშვილისა და მაჩაბლის მსგავსი ოჯახების მდგომარეობის ხვედრი ძალიან ჰგავდა ერთმანეთს. ვარდო და ბარბალეს მსგავსი დიასახლისების ქალიშვილები ხშირად თავიანთ მდგმურებს — სტუდენტებს ეტანებიან. ხდება ისიც, რომ იმ მდგმურებს მოქიშპენი. აღმოუჩნდებათ ხოლმე. სანდრო ამგარიშს უწევდა ამ გარემოებას და ამიტომ არავის არ ეპატიჟებოდა. ხოლო მაჩაბლის ბინაში, მისი ნება-სურვილის გარეშე, თუ რომელიმე ახალგაზრდა კაცი გაჩნდებოდა და მანანას არაშიყობას დაუწყებდა, იგი ისე უხეშად მოეპყრობოდა და გააგებინებდა მას, რომ მეორედ მოსვლის სურვილი აღარ დაჰბადებოდა. სანდრომ იცოდა, რომ კორნელის უყვარდა ნინო და ამიტომ მას თავის მოქიშპედ არ სთვლიდა და მეგობრობდა.

მზიანსა და მოწმენდილ დღეს კორნელი და სანდრო სარკმელს გამოაღებდნენ და მტკვრის გაღმა-გამოღმიდან ცხვირსახოცის ფრიალით და პირობითი ნიშნებით საუბრობდნენ. ახლა მოღრუბლული დღე იდგა, სანდროს ოთახის სარკმელი დახურული იყო და კორნელიმ არ იცოდა, ვისთან მისულიყო „ფიქრთ გასართველად“, თუმცა „მრავალ დროების მოწამე“ მტკვარი იქვე „ნელა მოღელავდა“, მაგრამ ჭმუნვარების დროს ადამიანი, მეტადრე კი მეგობარი, უფრო სასურველი მესაიდუმლეა, ვიდრე უტყვი მდინარე, მთა და ტყეველი.

კორნელიმ ქალაქში წასვლა დააპირა და მაშინვე ბორბლების გრიალი შემოესმა. ვერის დაღმართზე, ხიდისკენ ცხენოსანი ჯარი მოდიოდა. მერმე ქვეითი გამოჩნდა და ბოლოს — არტილერია.

კორნელი ხიდის თავში გაჩერდა.

ქუჩაში უამრავი ხალხი შეგროვილიყო.

კაპიტანი ალექსიძე თავის ჯიშიან, წაბლისფერ ცხენზე — „გიაურზე“ იჯდა და ბატარეას წინ მოუძღოდა. თხაფეხა „გიაურმა“ გრძელი კისერი მოღუნა, ყურები აცქვიტა და ხიდზე თამაშით წამოვიდა. მის მსუბუქსა და ჩაზნექილ ზურგზე კაპიტანი ისე ირხეოდა, თითქოს ნავში ზის და ტალღები აქანავებენო.

კორნელიმ ბატარეის ოფიცრები, მზვერავები და ჯარისკაცები იცნო, შერცხვა, ხეს მოეფარა და მშობლიურ ბატარეას, რომელთანაც ერთად ბრძოლები გაუვლია, გაჭირვება და გამარჯვება განუცდია, საფარიდან დარცხვენით გაჰხედა.

ქუჩაში სამთო ზარბაზნები დაირაზმნენ. ზარბაზნებს სალაშქროდ გამოწყობილი და შეიარაღებული ჯარისკაცები მისდევდნენ.

ბატარეა სომხეთის წინააღმდეგ ომში მიდიოდა.

უცბად კორნელიმ სანდრო სოტივარი დაინახა. იგი კორნელის ლურჯაზე იჯდა. მაზარა ჩაეცვა და ისიც სალაშქროდ შეჯურვილიყო. კორნელიმ თავისი ლურჯა რომ დაინახა, შეკრთა, ველარ მოითმინა და სანდროსკენ გაეშურა.

სანდრომ ცხენი ქუჩის კიდეზე შეაყენა. მხედარს ხალხა შეშოერტყა.

ცხენმა იცნო კორნელი. ხუნდ ჩაიხვიხვინა, თითქოს ჰი-

რუტყვის ენით მიესალმაო. მეორე ხანგრძლივით ნაზი და რბილი ჩიჩვირი წამოზიდა. კორნელის ხელს შეახო და მოუსვა. გაწუწკებული ლურჯა შაქრის ჰმევას ჰყავდა შეჩვეული. კორნელიმ კისერზე ხელი მოუთათუნა და გული აუჩვილდა. რამდენჯერ უვლია ამ ცხენით ომში! ღამით, ჯავახეთის მთებიდ ნაპრალის პირას, დაღლილ-დაქანცული უნაგირზე პირქვე დამხობილა და დაუძინია კიდეც, მაგრამ ლურჯას სამშვიდობოზე უვნებლად გაუყვანია. სწორედ იმ ლურჯაზე იჯდა სანდრო, როდესაც ომში მძიმედ დაჭრილი და ფურგონზე მოთავსებული ამხანაგი — გრიგოლ ცაგურიშვილი — ახალქალაქიდან ცხრაწყაროს გზით გადმოიყვანა და ბორჯომამდე მოაცილა. ასპინძის ომში დაჭრილი და ბორჯომში გარდაცვლილი ამხანაგი — ცაგურიშვილი მოაგონდა ახლა კორნელის. ომში მიმავალი სანდრო შეეცოდა და ჰკითხა:

— სად მიდიხართ?

— შულავერში! — მიუგო სანდრომ.

— ზარბაზნებზე ისევ ძველი ბიჭები მუშაობენ?

— ჰო! თითქმის ყველანი ძველი ბიჭებია. მართლა, ბატარეის უფროსმა გაკითხა: კარგი მემიზნე იყო და ომში წამოვიდესო.

— თქვენ უკვე ფრონტზე მიდიხართ და თქვენთან წამოსვლას ვერ მოვასწრებ.

— ვაგონებში ბატარეის გადაბარგებას დიდი დრო დასჭირდება. მანამდე როგორ ვერ მოასწრებ! — ანუგეშა სანდრომ და ცხენი ნაბიჯით წაიყვანა.

კორნელი ფეხით მიჰყვებოდა და დუმდა.

პლეხანოვის პროსპექტზე გავიდნენ.

კორნელის ნაცნობი ჯარისკაცები და ოფიცრები ესალმებოდნენ, ულიმოდნენ და აქეთ-იქიდან ეძახდნენ: ომში რად არ ბოდიბარო.

კორნელის სახეზე ალმური წაეკრა.

[illegible] მისასვლელი ბოლოდან ჯარით ავსებულიყო. ლეკვების სუსხიანი ქარი ცხვირავდა. ტრამვაის სადგურთან, ორმოცდაათამდე ვაგონისგან შემდგარი ეშელონი იდგა და ბარაქიანად გამეცხელებული იყო.

[illegible] წინ, ცალი, ორნაწილიანი ჭიშკარი — შარვალ და ქვემო ბარაქიანი ჭიშკარ შიგნით

შვილი და ჯარისკაცი მიხა მაჭავარიანი გამოჩნდნენ და ისინიც ტრამვაის სადგურთან მიიღნენ.

მიხა მაჭავარიანიც სალაშქროდ იყო გამოწყობილი. ტყავის ჩანთა და ხმალი ეკიდა... კორნელიმ ბრაზით და შურით გადახედა და გაიფიქრა:

„მე ძმობა და მეგობრობა შემომფიცა, ხოლო პირველი შემთხვევისთანავე მიღალატა და ვამრიყა. მეგობარიც ასეთი უნდა!“

ელო და ნინო ტრამვაის სადგომთან გამოვიდნენ, ქუჩა გადაირბინეს და გასტრონომიულ მაღაზიაში შევიდნენ.

ვარდო მიხასთან დარჩა, იცინოდა და კორნელი დარწმუნდა, რომ მასა და მაყაშვილებს შორის შერიგება მომხდარიყო.

ჯიბომ გერმანელ ქალს — მარგარიტას მკლავში ხელი გაუყარა და ტრამვაის სადგურის უკან გაიყვანა. ქალი მთელი ტანით ეკეროდა და ყურში რაღაცას უჩურჩულებდა. კორნელიმ ჯიბოს ნათქვამს ყური მოჰკრა:

— ეგრე ნუ მიცქერით, თორემ ამ ხალხის წინაშე გაკოცებთ...

— თქვენ ვერ გაბედავთ, — მიუგო მარგარიტამ და გულიანად ჩაიკისკისა.

მაღაზიიდან ელო და ნინო გამოვიდნენ, დაფეთებული თვალებით გაიხედეს ქუჩას — ტრამვაის უფრთხოდნენ. ერთმანეთს ბავშვებივით ჩასჭიდეს ხელი და ქუჩაზე გადმოირბინეს. უმიზეზოდ იცინოდნენ და ვერცერთ კანჭებს ულამაზოდ, განდაგან ისროდნენ. თითქო დიდი მანძილი გაირბინეს და არაჭათი გამოელიათო. ნაყიდი ბიხას გადასცეს — ქალალდის პარკი და კონსერვები. მიხამ მადლობა გადაუხადა ქალებს და შლიქვნელურად ხელზე აკოცა.

„უკვე შერიგებულან“, — გაიფიქრა ისევ კორნელიმ. ელოს და ნინოს დააცქერდა. ისინი მოწაფე გოგონებივით იდგნენ მიხას წ ნაშე. ლოყები გაბრწყინებოდათ. თანაგრძნობით სავსე, ვულუბრყვილო ბავშვის თვალებით მისჩერებოდნენ ომში მიმავალ მებრძოლს, რომელიც მათ საჩუქრებს ტყავის ჩანთაში ალაგებდა.

„ცხადია, მიხას ომში წასვლა იმიტომ გადაუწყვეტია, რომ ელო შერიგებოდა“, — გაიფიქრა კორნელიმ. შეურაცხყოფილი ჭაბუკი ღაიბნა, გაბრაზდა და მაყაშვილებს ამრეზით მი-

აჩერდა, ამიერიდან მათი არაფერი აღ მოსწონდა. ელო მიხას უღიმოდა და მისი ღიმილი „საკმაოდ სულელურ“ ღიმილად ეჩვენა. ნინოც ბედნიერი თვალებით შესცქეროდა ცოლ-ქმარს და მისი ღიმილიც „სულელურ ღიმილად“ ეჩვენა კორნელის.

„რამოდენა ლაშები ჰქონიათ ნინოს და ელოს! რა უშხიდ იცინიან! ლოყებიც რომ უსიცოცხლოდ, შეღებილ დედოფალასავით წამოსწითლებიათ!“ — ეკიფიქრა კორნელის და დასცინა: „ქართველი ქალები ომში მიმავალ მებრძოლებს აღიდლებენ“. ეს როდი აკმარა: „ისღა აკლიათ ელოს და ნინოს, მიხას წინაშე ბავშვებივით ხელების მტვრევა და ჩვილის მსგავსი ტიკტიკი დაიწყონ: ომში ლატოძ მიდიხალ, ვიღილებთო!“ ფუი, — გადააფურთხა კორნელიმ და გაიფიქრა: „ტიკინების კომედია!“

კორნელიმ ესტატე მაყაშვილი და პლატონ მოგველაძე დაიხახა. ისინიც ტრაძვაის სადგომთან მივიდნენ.

პლატონს შავი კატელოკი ეხურა და შავივე პალტო ეკვა. ყელზე ჭადრაკის დაფასავით შავად და თეთრად მოსატული კაშნე მოეხვია. წვერ-ულვაში გაპარსული ჰქონდა, ხელთათმანი გაიძრო, შორიდანვე მოიხადა კატელოკი, მარცხენა ხელში დაიჭირა, ქალებთან მიიჭრა და ხელზე ეამბორა.

— როგორ ბრძანდებით, ბატონო პლატონ? რად დაგვიწყეთ? მთელი საუკუნეა, რაც ჩვენსა არ ყოფილხართ, — უსაყვედურა ვარდომ.

— გმადლობთ, ქალბატონო. ასეთ უკუღმართ დროში კარგად ვინღა იქნება?! თქვენს თავს რა დაძავიწყებს!.. — ძიუგო პლატონმა. შავი ხელთათმანი ისევ გაიკეთა, გაიღიმა და ნინოს გადახედა. ვარდო მიხვდა, თუ რისთვის არ დაივიწყებდა პლატონი მაყაშვილებს. იამა და მოაგონა:

— ნინოობა ახლოვდება. იმ დღეს ჩვენსა უნდა იყოთ. თამადობა არ აგცდებათ, — თელავურად დაამღერა და ჩიჩიკჩიკა ვარდომ, მაყვლისფერი თვალები განაბა და გაიცინა.

— ნინოობას ჩინებულად ვიზეიმებთ, — მიუგო პლატონმა და ნინოს გვერდით დადგა, თავი დახარა და ჩუმად დაუწყო ლაპარაკი.

კორნელი აილეწა.

— პლატონს დაავიწყდა, რომ თოთხმეტ იანვარს იგი ქაქოში იქნება, — უთხრა ცოლს ესტატემ.

— როგორ? — ერთხმად დაიძახეს და გაიკვირვეს ვარდომ და ნინომ, წარბები შეჰყარეს და პლატონს გაოცებული მიაშტერდნენ, თითქოს საქვეყნო, მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარება შეფერხდაო.

— მართლა, ბაქოდან ჩემი მეგობრის — ცნობილი რუსი პოეტისა და ფილოსოფოსის — ვიაჩესლავ ივანოვის წერილი მივიღე. იქით მიხმობს. იგი ამჟამად ბაქოს უნივერსიტეტში ანტიკური ლიტერატურის კურსს კითხულობს. მეხვეწება, საათები გავიყოთ და აგრეთვე ცოტა ხნით ვესტუმრო, ჩვენი სულიერი მეგობრობა დიდი ხანია უკვე რაც გაინასკვა. მერე რა? თუ მშვიდობა იქნა და ეს ომი ჩვენდა სასარგებლოდ დამთავრდა, ნინოს დღეობაზე ბაქოდან საგანგებოდ ჩამოვალ, — დაამშვიდა დედა და მისი ქალი პლატონმა.

ამ დროს მოედანზე მანქანა გამოჩნდა. შიგ სამხედრო მინისტრი გიორგაძე და სარდალი მაზნიაშვილი ისხდნენ.

ჯარი შეირხა და ახმაურდა:

— სარდალი, სარდალი!

ესტატე და პლატონი სადგურისაკენ გაემართნენ.

2

მთავრობის დარბაზი ოფიცრებით იყო სავსე. ესტატემ დარბაზის გვერდით ოთახის კარი შეაღო და შიგ შევიდა. მას პლატონიც მიჰყვა.

ოთახი ჭაღებით იყო განათებული. იატაკზე დიდი ფარდაგი ეფინა.

კედლებზე მარქსის, ენგელსის, კაუცკის, პლეხანოვისა და ტორდანიას სურათები და ამიერკავკასიის რუკა ეკიდა; კუთხეში — ტელეფონი.

ოთახის შუა ადგილას, წითელი მაუდით გადაფენილ გრძელ მაგიდასთან, რომელსაც ლარნაკები და მაღალყელიანი სურები ამკობდნენ, მინისტრი გიორგაძე და სარდალი მაზნიაშვილი ისხდნენ და საუბრობდნენ.

ესტატე და პლატონი მიესალმნენ მათ.

ჩაის ტანის შავწვერა და ფერმკრთალ მინისტრს შავი პალტო ეცვა, შავივე კრაველის ქუდი ეხურა. იგი ესტატეს და

პლატონს კარგად იცნობდა. აღგა და ორთავეს ხელი ჩა-მოართვა. სარდალიც ასევე მოიქცა.

გენერალ მაზნიაშვილს მაზარა ეცვა. მსოფლიო ომის დროს, დასავლეთის ფრონტზე დაჭრილი მარცხენა ხელი შემხმარი ჰქონდა. მაზარის სახელო ცარიელივით ეკიდა და ცალხელა ინვალიდი გეგონებოდათ. ერთი შეხედვით, იგი თითქოს არაფრით არ განირჩეოდა მკვრივი, ჯმუხი და ტა-ბაკვერა ქართლელი გლეხისაგან, მაგრამ ომებს შეჩვეული მსედრის გარუჯულ სახეზე, მონღოლსავით აზიდულ ყვრიმა-ლის ძვლის ზემოთ ანთებული თვალები ისეთი ძალით აშუ-ქებდნენ, რომ მაშინვე მოპირდაპირეს გასტეხდნენ და თავისი გავლენის ქვეშ მოაქცევდნენ.

— როგორი მდგომარეობაა ფრონტზე? — ჰკითხა ესტატემ და პლატონმა.

გენერალი ამიერკავკასიის რუკასთან მივიდა. ქართული და სომხური ჯარების განლაგება უჩვენა.

სარდალი არც კი უცქეროდა რუკას, ისე ატარებდა საჩ-ვენებელ თითს კედელზე და გაზვიადებულ გაკვეთილსავით ლაპარაკობდა, რადგან უკვე ორი კვირა იქნებოდა, რაც მთავ-რობის თვითეულ წევრს, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვა-წეებს უნმარტავდა ფრონტზე შექმნილ მდგომარეობას და ბოლოს მობეზრდა.

სარდლის ახსნა-განმარტების მერმე ესტატეს და პლატონს ნათელი სურათი წარმოუდგათ.

ოთახში არმიის შტაბის უფროსი შემოვიდა და მას სარ-დალმა მთელი რიგი დავალება გადასცა.

სადღეისოს წინ ორთქლმავლის კვამლი და ვაგონებ ქაო-ბორბლების გრიალი გაისმა.

პლატონი დარბაზში გაიქრა. ცოტა ხნის მერმე ისევ ოთახ-ში შემოვარდა და შეშინებული ხმით სარდალს ახალი ამ-ბავი შეატყობინა:

— ჯავშნიანი მატარებელი წვიდა.

მაზნიაშვილმა გაიღიმა, ესტატეს [illegible] და სა-ზოგადო ეშელონში [illegible] და [illegible]

— მართალია, ვენერალო, საბჭოს [illegible]

ჩვენი ჯავშნიანი ბატარეები დაამსხვრიესო? — ჰკითხა ესტატემ.

— დიახ, ამას გენერალი წულუკიძის მოხსენება ადასტურებს.

— მაშასადამე ნამდვილად გვეომებიან!

— მაშ, რა გეგონათ!.. სომხის ჯარები ღამით მოულოდნელად დაგვესხნენ და ჩვენი მესაზღვრენი ამოჰხოცეს, — ყრუდ წარმოსთქვა გიორგაძემ.

— ისინი დიდხანს ემზადებოდნენ ამისათვის და არავის ჩვენგანს ეს არ სჯეროდა. — უსაყვედურა მინისტრს ესტატემ.

გიორგაძე დაიბნა.

— ტყვე ოფიცერს მნიშვნელოვანი საბუთები აღმოაჩნდა...

— საიდუმლო თუ არ არის, როგორი?

— სომხური არმიისადმი ბრძანება, რომელიც ამჟღავნებს სომხური მთავრობის აღმაშფოთებელ გეგმებს.

— როგორ აფასებთ თქვენ ფრონტზე შექმნილ მდგომარეობას? — ჰკითხა გენერალს ესტატემ.

სარდალმა ღიმილით გადახედა ესტატეს, პლატონს, თვით მინისტრსაც. თითქო ჰყვედრიდა: „უკეთესი იქნებოდა თქვენი საქმე გეკეთებინათ, უქმად არ დაგეკარგათ ძვირფასი დრო და ხელი არ შეგეშალათ, ჩვენთვის გვეწარმოებინა ომი“. მაგრამ იგი ისევ მივიდა რუკასთან.

— აი აქ. სადახლოს რაიონში მტრის ჯარებმა სოფლები აშალპერალი და შულავერი დაიკავეს.

— ღმერთო ჩემო, ეს დაუჯერებელია, — ღელავდნენ ესტატე და პლატონი.

მინისტრმა დარცხვენით ჩაჰკიდა თავი.

— ბატონებო, დამშვიდდით, დამშვიდდით, — თქვა გენერალმა, — ამდენ ხანს ჩვენი არმია-ლეგიონერი მოსაზრებით იხევდა უკან... ამჟამად კი ფრონტზე ჯარების იმდენი რაოდენობა მოგვეპოვება და იმდენი რეზერვები ზურგში, რომ შეგვიძლია სომხეთ არმიაზე გაცილებით უფრო მრავალრიცხოვან მტერსაც კი ვეომოთ და დავამარცხოთ.

— მე მაწუხებს ის გარემოება, რომ სომხებმა სწორედ მაშინ დაიწყეს ჩვენს წინააღმდეგ სამხედრო მოქმედება, როდესაც ამიერკავკასიაში ინგლისელებმა შემოდგეს ფეხი.

— ამ ორ მოვლენას შორის უთუოდ არსებობს კავშირი, — დაადასტურა სამხედრო მინისტრმა.

— დაშნაკები ისევ განაგრძობენ დიდი სომხეთის ფანტასტიკური იდეით გატაცებას, რომელიც შავი, კასპიისა და ხმელთაშუა ზღვებს შორის უნდა გადაიჭიმოს, — ამბობდა ესტატე და თან უჩვენებდა რუკაზე დიდი სომხეთის ნაკადაუდევ ტერიტორიას — თურქეთის ვილაიეთებს, ამიერკავკასიის ნაწილს, მტკვრის მარცხენა ნაპირის, თბილისითურთ ბათვლით და კილიკიას, ხმელთაშუა ზღვაზე გასასვლელით.

— სისულელეა! — აღმოხდა მაზნიაშვილს.

— არა, ეს სისულელე არ არის. დიდი სომხეთისთვის იღვწის ახლა პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე სომხური დელეგაცია, ცნობილი ნუბარ-ფაშას მეთაურობით. მის წინადადებას მხარს უჭერენ: ლოჯი, ვილსონი და ლოდ-ჯორჯი. ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ მათ ინგლისისა და ამერიკის ჯარები მიეშველონ!

— გაბედონ, მაშინ ჩვენ მათ ჯარებსაც შევუტევთ. ცნობილია, რა მებრძოლებიც გახლავან ინგლისელები და ამერიკელები, — ცხარობდა სარდალი.

— მათთან ომი, გენერალო, ჩვენ ხელს არ მოგვცემს, — შენიშნა ესტატემ.

უხერხული ატმოსფეროს გასაფანტავად მინისტრმა დამწრეთ საიდუმლო გაანდო:

— მეგობრებო, მე შემიძლია სრულიად საიდუმლოდ გადმოგცეთ ახალი ამბავი: გუშინ ლონდონიდან ჩვენი დელეგატებისაგან — ავალიშვილისა და ღამბაშიძისაგან ჟორდანიამ დეპეშა მიიღო. ისინი გვატყობინებენ, რომ ინგლისის მთავრობასთან ჩვენს მოლაპარაკებას კარგი პირი უჩანსო. ინგლისის მთავრობამ კარგი მიღება გაგვიმართა და არის უტყუარი შანსები იმისა, რომ ინგლისი საქართველოს დამოუკიდებლობას ცნობსო.

— ეს დიდი ამბავია! საქართველოს ბედი სწვევია, — იახდნენ უცხო ძალის იმედით ფართო ლოგინის გაშლას ჩვეული ესტატე და პლატონი.

— ამიერიდან ინგლისი ჩვენთან ომს მოერიდება, — დასძინა მინისტრმა.

სარდალს კი მინისტრის ცნობისათვის მაინცდამაინც დიდი

ყურადღება არ მიუქცევია, იგი მხოლოდ ომით იყო გატაცებული და თავისი ჯარების იმედი ჰქონდა. კარებისაკენ იცქირებოდა; საქმეზე მოსული ოფიცრები ხშირად აღებლნენ კარებს, მაგრამ სარდალთან მოსაუბრე სამხედრო მინისტრს, ესტატეს და პლატონს რომ დაინახავდნენ, ოთახში შესვლას ერიდებოდნენ და ისევ დარბაზში ცდას არჩევდნენ.

ბოლოს სარდალმა მოიხმო ჯარის ნაწილების უფროსები და ოთახში ახოვანი ოფიცრები შეიკრიბნენ. მათ შორის პოლკოვნიკი ჯიბო მაყაშვილიც იყო.

მცირე თათბირის შემდეგ მინისტრი და სარდალი ეშელონების დასათვალიერებლად წავიდნენ, ხოლო ესტატე და პლატონი კი, მინისტრის მიერ გადმოცემული ახალი ამბავით დაიმედებულნი, მოედნისაკენ გაეშურნენ.

ესტატემ ცოლს სრულიად საიდუმლოდ ახალი ამბავი შეატყობინა. ვარდომაც საიდუმლოდ მეგობრებს უამბო, მეგობრებმა კი — თავისიანებს. მალე ახალი ამბავი მთელმა ქალაქმა შეიტყო და მეორე დღეს უკვე არავითარ საიდუმლოს აღარ წარმოადგენდა.

3

როდესაც ესტატე ცოლ-შვილთან მივიდა და ახალი ამბავი შეატყობინა, ჯარი უკვე წასულიყო მოედნიდან და ახლა ჯგუფ-ჯგუფად დარჩენილი ხალხი იდგა მხოლოდ. მოქალაქენი ომისა და სასურსათო გაჭირვებაზე ხმამაღლა კამათობდნენ. ხალხს უკიდურესი აგზნება ემჩნეოდა.

— როგორც ჩანს, ცოტა ვიომეთ, — აღშფოთებას გამოთქვამდა დაბამბულ ქურთუკში გამოწყობილი მოხუცი. — ისევ სასაკლაოზე მიჰყავთ ჯარისკაცები!

— რა სამარცხვინო ამბავია! ნახეთ გუშინ, როგორ მიერეკებოდნენ პროსპექტზე ტყვე სომხებს? რას მოვესწარით! — ამბობდა ახალგაზრდა კაცი, გაზეთით ხელში.

— პატრიოტული გრძნობის ასაწევად... — დასცინა მოხუცმა მეშამ.

— ეხ, ეს მენშევიკური პატრიოტიზმი ჩვენ ბოლოს მოგვიღებს!

— უთუოდ, — დაეთანხმა მაღალი გამხდარი ქალი. — ი

წავედი ბაზარში და ვერაფერი ვერ ვიშოვე. კიდეც რომ იშოვო, მენშევიკების ბონები არ გეყოფა...

— შეუძლებელია ცხოვრება, — იყვირა მუშამ. — შეპირებებით გვკვებავენ მხოლოდ, საქმით კი — რვასაათიანი სამუშაო დღის ნაცვლად — თორმეტი, თოთხმეტი საათი უნდა იმუშაო გამომხმარი კუჭით საამქროში. მოიჭირე და მოიჭირე ქამარი. ხალხი ასეთ სამუშაოსაც კი ეპოტინება. აბა სცადე გაფიცვა — მათი სახალხო გვარდიელები გცემენ და ბოლოს დაგაპატიმრებენ. სამუშაო თუ დაჰკარგე, ქუჩაში დარჩები და შიმშილისაგან სული ამოგხდება, როგორც ძაღლს!..

ჭაბუკმა სათვალე მოიხსნა, გაზეთი დაკეცა და დაიწყო:

— ყოველ დღე იხურება ქარხანა, ფაბრიკა და სახელოსნო. გაზეთში სწერენ, რომ ჭიათურის ოცდაექვსი სარეწაოსაგან მხოლოდ სამი მუშაობსო. იცით, მეპატრონენი როგორ ხსნიან სარეწაოების დახურვას? ისინი ამბობენ, რომ მუშების ხელფასი ძალიან დიდი არისო.

ხალხში აღშფოთების ხმები გაისმა:

— ყელში გაეჩხიროთ მათ ის ხელფასი!

— ხელფასის მიღებამდე კიდევ ათი დღეა, შინ კი პურის ნამცეციც არ მომეძებნება.

— მათი ხელფასით ხუთ გირვანქა დამპალ კარტოფილსაც ჯი ვერ იყიდი.

უცბად ლაპარაკი შეწყდა. მოედანზე შეკრებილმა ხალხმა ანდრეევის ქუჩისაკენ გაიხედა. იქიდან ხმათა გუგუნი და ყვირილი მოისმოდა, მოედანზე ბავშვები გამოცვივდნენ და მერმე „ინტერნაციონალის“ სიმღერა გაისმა.

— ეს რკინიგზელები და ტრამვაის მუშებია! — დაიძახა ვიღაცამ.

— გაფიცულნი მთავრობის შეცვლას და სომხეთთან ზავს მოითხოვენ.

სიმღერა უფრო და უფრო ახლოვდებოდა. ტრამვაის პარკისა და რკინიგზის სახელოსნოების მუშები მოედნისაკენ ჩქარი ნაბიჯით მოდიოდნენ. მათში ჯარისკაცებიც ჩამდგარიყვნენ. წინა რიგებში წითელი დროშა ააფრიალეს.

უცებ სადგურის ქუჩის მხრიდან ცხენების თქარუნი მოისმა. მუშები და გვარდიელთა ცხენოსანი რაზმი ერიდროუ-

ლად შემოვიდნენ მოპირდაპირე ჭუჩით მოედანზე. ტრამვაის სადგურის პატარა შენობამდე მიაღწიეს.

რაზმის უფროსმა ცხენი შეაყენა. ჩოხაში გამოწყობილი მხედარი უზანგებზე ალიმართა. მათრახი ასწია და ჭირვეულად დაიძახა:

— დაიშალეთ!

მუშები კი ისევ მწყობრად მოდიოდნენ.

— დასცალეთ მოედანი! — იყვირა ისევ რაზმის უფროსმა, ცხენი დასძრა და ხალხში შეიჭრა.

რაზმები გაიწალნენ, ცხენები მიაგდეს და მუშებს გარს შემოერტყნენ, მათრახს სცემდნენ, თელავდნენ და აღარ ზოგავდნენ.

— ამხანაგებო, დადექით! იცოდეთ, ვინც გაიქცევა, მხდალი და მოღალატე! დასცხეთ ჯალათებს, დასცხეთ ხალხის მტრებს, — გასძახა ხალხს ტყავის ქარხანაში გამოწყობილმა ახოვანმა მუშამ. კორნელიმ მაშინვე იცნო თებერვლის რევოლუციის მერმე ნაძალადევში მოწყობილ მიტინგზე მენშევიკების წინააღმდეგ გამოსული ახალგაზრდა მუშა, რომელმაც ხალხს მიმართა: ჯერ კიდევ დიდი ბრძოლები გველის.

მუშები ცხენოსან რაზმელებს მისცვივდნენ. ზოგი უნაგირიდან გადმოიღებს, მოკორწყლული ჭუჩა აჰყარეს, გვარდიელებს ქვები დაუშინეს და გააქციეს.

ახლა მოედანზე ზღვა ხალხი ტრიალებდა, ხალხის თავზე კიდევ რამდენიმე წუთიერი დროშა გაიშალა.

— ამხანაგებო, — გაისმა სახელდახელოდ მოტანილ მაგიდაზე გაბმული ქუთუთქიანი ორატორის ძლიერი ხმა.

ორატორი აღშფოთებას გამოთქვამდა ქართველ-სომეხთა ომის გამო, წყევლა-კრულვას უგზავნიდა ამიერკავკასიის ხალხთა შორის ომის გამჩაღებელ მენშევიკებს და დაშნაკებს.

ყოველი მისი სიტყვა რწმენით იყო სავსე, ბევრს ორატორი წყმტებს იკნევდა და ისე ბიერგებდა, თითქო ქვირის წინ ... და ცვირთაბეჭდილ ყოლაბს აწრიალებს და ჩაქუჩივით ურტყამსო, განიერი ბეჭები წრისქვეშის დოლაბებივით ერთიანეთზე უწევთ. ჰან ამიერკავკასიის ხალხთა შორის მანამდე არსებულ ურთიერთობაზე და სოციალიზმზე ილაპარაკა და თავისი სიტყვა მიწურებით დაასრულა:

— ვიცით, მიერკავკასიის მშრომელთა ინტერნაციონა-

ნალურ კავშირს! გაუმარჯოს საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანის ოქტომბერს!.

— გაუმარჯოს! — შესძახა ხალხმა.

მოედანზე სამი მხრიდან შემოვიდნენ ჯარები. მისა გაწმენდა მხოლოდ ღამით მოხერხდა. ქალაქში დაჭერები გაჩაღდა.

4

დეკემბრის ბოლოს ქართული ჯარის ნაწილები ჯავშნიანი მატარებლებისა და ოფიცერთა სატყვიამფრქვევო ბატალიონების დახმარებით შეტევაზე გადავიდნენ. სომხური ჯარები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. შეტევაზე გადასულთ ალექსანდროპოლისა და ერევნისაკენ მიმავალი გზა გაეხსნათ. ფრონტიდან თბილისში დაჭრილი მებრძოლებით სავსე მატარებლებმა იწყეს ჩამოსვლა.

კორნელის ძმა — ქირურგი ევგენი მხეიძე დღისით და ღამითაც ჰოსპიტალში მუშაობდა.

მოკლულთა რიცხვი მატულობდა.

სხვათა შორის, დათას ნათესავი — სტუდენტი ჯვებე მიქელაძე შულავერზე იერიშის დროს იქნა მოკლული. ახოვანი ვაჟკაცი ლიანდაგზე გაშოტილი იპოვეს. ტყვია ჰკერდში მოხვედროდა.

ჯვებე მიქელაძის დაკრძალვის დღეს მთავრობის ზოგიერთი წევრიც მივიდა. სამხედრო მინისტრის გვერდით ესტატე მაყაშვილი, მწერალი პლატონ მოგველაძე, დირექტორი დათა მიქელაძე, პროფესორები და საზოგადო მოღვაწენი იდგნენ. დაკრძალვას ბევრი ხალხი დაესწრო. ფრონტიდან ჩამოსული, მაზარაში გამოწყობილი ჟურნალისტები — ერემო გოდებანიძე და გენადი ქადაგიშვილი გლოვით მიკლულ მშობლებთან მივიდნენ, სამძიმარი უთხრეს და მერმე კუბოში ჩასვენებულ მებრძოლს ბუკნარე სახით დააცქერდნენ.

მეგობრის კუბოს დანახვიას კორნელის ახალქალაქთან ბრძოლა მოაგონდა, როცა ზარბაზნების გრიალის დროს, იქვე ორთვალაში მძინარი ჯვებე გააღვიძა და ყელში მობჯენილი ცრემლით გაიგუდა.

ელომ სამხედრო ტანისამოსში გამოწყობილი ერემო გო-

დებანიძე და გენადი ქადაგიშვილი რომ დაინახა, ომში წასული ქმარი — მიხა მოაგონდა და ნინოს წასჩურჩულა:

— ყველა ჯარში ჩაეწერა. მალე, ალბათ, ესტატე და პლატონიც კი ომში წავლენ და, შეხედე კორნელის, ყურსაც არ იბერტყავს, თითქო სამშობლოს დაცვა მას არ ეკითხებოდეს! დეზერტირი!

ნინომ ვერ მოითმინა, დრო შეარჩია, კორნელისთან მივიდა და ჰკითხა:

— რატომ თქვენ ფრონტზე არა ხართ?

— მე სიკვდილის არ მეშინია. — დაიბნა კორნელი და სიტყვა ბანზე აუგდო: — ომში და შინაც იმდენი უბედურება განვიცადე, რომ სიცოცხლეს ჩემს თვალში ფასი დაეკარგა. თქვენთან განშორების მერმე გულზე ისეთი ნაღველი შემომაწვა, გული ისე დაცარიელდა, რომ ახლა არც სიძულვილი და არც სიყვარული არ შემიძლია.

კაეშნით სავსე ეს სიტყვები ისეთი მღელვარებით და მწუხარებით წარმოსთქვა კორნელიმ, რომ ნინო შეკრთა, კორნელი შეეცოდა და უთხრა:

— ნუ ამბობთ მაგას...

— აბა, რა არის ჩემი ცხოვრება! — მიუგო კორნელიმ, — რასაც ვეტრფოდი, თურმე ტრფიალად არ ღირდა... ვინც თავზე უფრო მიყვარდა და ვეთაყვანებოდი, მტრად მომეკიდა. რატომ და რისთვის, ალაჰმა უწყის! ნინო, — ნაცნობი ხმით უთხრა კორნელიმ და ისე უცნაურად ჩახედა თვალებში, თითქო ნუსხავსო და მერმე ნელა და დაჟინებით ჩასჩურჩულა: — რაღაა ჩემი ცხოვრება! ახლა ომში თუ წავალ მხოლოდ იმისთვის, რომ ტყვია გავაცივო და ჯვებესავით სამუდამოდ მოვისვენო...

კორნელიმ მიზანს მიაღწია. ქალი გადნა. კორნელის მიეჭმასნა, ხელი ხელზე მოუჭირა და მიუგო:

— ჩვენ უნდა შევხვდეთ ერთმანეთს.

— სად და როდის?

— მე შეგატყობინებთ.

— დაგელოდებით.

ნინო მთვარეულივით წავიდა მშობლებისაკენ. კორნელი კი ქუჩაში გავიდა და ჯვებეს გამოსვენებას იქ დაელოდა. ბოლოს პროცესიას სასაფლაოსკენ გაჰყვა.

ჯვებე სამარის პირას დაასვენეს.

სიტყვას ყელზე კაშხე შემოხვეული, გამხდარი, შავწვერა და სათვალიანი კაცი — ერემო გოდებანიძე ამბობდა. ყორნის ფრთასაებრ შავი თმა შუბლზე გადმოსცვენოდა. ბუდეში ღრმად ჩამჯდარი თვალები ნაკვერცხლებივით ანათებდნენ. ერემომ ჩონჩხის მსგავსი ხელი სასაფლაოსაკენ გაიშვირა და აგზნებით სავსე სიტყვა მოწოდებით დაასრულა:

— მამულიშვილნო, ნუთუ არ გესმით სამაჩაბლის ხმა სამარიდან: „ყველანი ჯარში, ყველანი ფრონტზე!“

ერემოს სიტყვა ზოგთა გონებას ათრობდა და ისინი აღარ შედიოდნენ იმის გარჩევაში, სომეხ-ქართველთა შორის გაჩაღებული ეს დამღუპველი ომი უცხო ძალისა და საქართველო-სომხეთის მმართველი პარტიების მიერ რომ იყო გამოწვეული.

იმავ დღეს კავკასიაში ინგლისური ჯარების სარდალმა გენერალმა ტომსონმა შემდეგი განცხადება გაუკეთა საქართველოს მთავრობას:

— მოკავშირე სახელმწიფოები, ისე როგორც რუსეთის მთავრობა უფაში, არ სცნობენ არავითარ დამოუკიდებელ რესპუბლიკებს, რომლებიც რუსეთში წარმოიშვნენ. მათი ამოცანაა: რუსული ხელისუფლების სახელით კავკასიაში მეფისნაცვლის ინსტიტუტის აღდგენა, ბოლშევიკებისაგან კავკასიის გაწმენდა... ინგლისის მთავრობა ამ მხარის ოკუპაციას ახდენს, ადგილობრივი ჯარები ინგლისის სარდლობას ემორჩილებიან...

იმათთვის, ვინც ფხიზელი თვალით უკვირდებოდა ტომსონის მოღვაწეობას, ნათელი იყო, რომ ქართველ-სომეხთა ომს აჩაღებდნენ იგივ ინგლისელი დიპლომატები, ინგლისური მისია, ინგლისელი აგენტები. ისინი ძველ, გამოცდილ პრინციპით ხელმძღვანელობდნენ: ერთმანეთზე აჭენებდნენ ხალხებს მათზე ადვილად ბატონობის მიზნით.

ინგლისელ გენერლებს ვერ ერკვეოდნენ ამიერკავკასიის გეოგრაფიასა და ეთნოგრაფიაში. თუ საქართველო და სომხეთი იხსენიებოდა მათ დეკლარაციაში, სამაგიეროდ აზერბაიჯანი არა ჩანდა. იგი შეცვლილი იყო სიტყვა „ბაქოთი“. გასაგებია, რატომ.

— ბაჰო, — ამბობდნენ ინგლისელი საქმოსნები, — მსოფლიოს უდიდესი სანავთო ცენტრიაო.

ბაჰოს დაპყრობა — აი, რა წარმოადგენდა ამიერკავკასიაში ბრიტანეთის სარდლობის მოღვაწეობის არსს.

ტომსონის განცხადებას დადებითად შეხვდნენ მაშინდელი საქართველოსა და სომხეთის მთავრობები. ისინი მზად იყვნენ ქედი მოეხარათ ყოველ უცხო სახელმწიფოს წინაშე, ოღონდაც თავიდან აეშორებინათ საბჭოთა რევოლუცია.

გაგეცნობინა გენერალ ტომსონს, მისი განცხადების საპასუხოდ ქართული მთავრობის მემორანდუმი გადასცა.

— მემორანდუმი, — უხსნიდა იგი ხალხს, — ეხება საერთო მიზნისადგის რესპუბლიკის ძალებისა და საშუალებების გამოყენებას მოკავშირეთა მიერ ბოლშევიკებთან ბრძოლასა და წესრიგის დაცვაში.

5

ჯვებე მჭედლაძის დაკრძალვის მეორე დღეს, დილით, ევგენიმ დედა ელენესთან შეაბრა და კორნელის შეატყობინა:

— ჩვენს ჰოსპიტალში შენი მეგობარი მოიყვანეს. იგი მძიმედ არის დაჭრილი. შესაძლოა ამპუტაცია დასჭირდეს.

— ვინ არის? — ჰკითხა გაოცებით კორნელიმ.

— პეტრე ცხოველიძე, — მიუგო ევგენიმ და დიდრონი, მგზნებარე და შუქიანი თვალები შეანათა.

— რას ამბობ? რა დაემართა?

— მარცხენა ხელი ყუმბარის ნამსხვრევით აქვს დაგლეჯილი და ძვალი დალეწილი. მტევნიდან ვიდრე იდაყვამდე ხელი ერთიანად დასისხლიანებულია. მძიმე ჭრილობაა. მოკვეთა სჯობია, მაგრამ ჯიუტი ყოფილა: არ მანებებს.

— შენი ამხანაგები, ზოგი დაჰხოცეს და ზოგიც დასჭირდეს, წუნკი შინ ჩაბრძანდი, — უთხრა დედამ კორნელის.

— როგორ გაკადნიერდა ჩემს დასწრებას იქით შესვლას უკრძალავდე? რას ბედავს ეს! — შესძახა ელენემ ქმარს, სახეზე სისხლი მოაწვა და ქმარს თვალები დაებრიალა.

დედა გაჩუმდა. ევგენიმ ხელი მხარზე გადმოსცხებით დაარტყა და მიუგო:

— ნუ ღელავ, დედაც მშვიდდები! მე თქვენზე ნაკლებ

არ მიყვარს კორნელი, მაგრამ სამშობლო ჩვენზე უფრო საყვარელია. ახლა შინ ჯდომა სამარცხვინოდ მიმაჩნია! — დათა წამოდგა და იყვირა: — მეც ფრონტზე მივდივარ, მივდიცარ დღესვე, მორჩა და გათავდა!..

იგი ოთახში დარბოდა... ღელავდა, დაკვარკნილ შავ ჭვერს გამეტებით იწიწკნიდა.

ელენე არ მოელოდა მშვიდი და უწყინარი ქმრისაგან ასეთ აფეთქებას. რაღაც უბედურება მოხდაო, — გაიფიქრა და, შეშინებული ხმით ჩაილაპარაკა:

— რა ამბავია, დიდება შენს სახელს, ღმერთო! რა ამბავია, დიდება შენს სახელს, ღმერთო!

პირჯვარი გადაისახა. ევგენის და კორნელის გამოლენჩებული თვალებით შეხედა და დადუმდა.

ამ წუთას ელენე თავის ძმას — ოტიას ჰგავდა, რომელსაც ჩეჩაზენში ქეიფის დროს, ღამით, აჯანყებული გლეხები თავს დაესხნენ, სახლ-კარი აუფორიაქეს, იარაღი წაართვეს და სტუმრები დაუპატიმრეს. განიარაღებული და თავზარდაცემული ოტიაც სწორედ ასე იძახდა მაშინ: დიდება შენს სახელს, ღმერთოო.

ეს მოაგონდა კორნელის. ადგა, თავის ოთახში შეცვიდა, სარკმელთან გაჩერდა და ფიქრში წასულმა, მტკვარს ჯაჭხება. მიუხედავად მმართველი პარტიების მოწოდებისა, აგიტაციისა, შინ და გარეთ ატეხილი საყოველთაო განგაშისა და დათას საყვედურისა, კორნელიმ ომში წასვლა ისევ მიუღებლად ჩასთვალა.

მეორე დღეს კორნელი პეტრე ცხომელიძის სანახავად წავიდა. გრიგოლ ცაგურიშვილისა და სანდრო ხოტივარის წემდევ, პეტრე მისი ყველაზე უფრო ახლობელი მეგობარი იყო.

პეტრე მუშტაიდის ბალთან, ყოფილ სააბრეშუმო სდგურის შენობაში გამართულ ჰოსპიტალში იწვა.

ჰოსპიტლის დერეფანი დაჭრილებით იყო სავსე. ზოს თავი და ზოგსაც ხელი და ფეხი ჰქონდა შეხვეული. ზოგი კიდევ ყავარჯნებით დადიოდნენ, ესენი მსუბუქად დაჭრილები იყვნენ. კორნელის მოეჩვენა, თითქო დაჭრილმა ჯარისკაცებმა დაცინვით და ზიზღით შეხედეს მას.

კორნელი ჰოსპიტლის აფთიაქში შევიდა. გრვო თავაძის და ოლღა მოძებნა და შეეხვეწა: პეტრე ცხომელიძე ეჩვე-

ნებინა. შავგვრემანმა და შავთვალწარბა ქალმა მაშინვე ქირურგთან — კო მოსეშვილთან მიიყვანა. ხიკო კორხელის ძმის, ეკგენის, ასისტენტი იყო, ქირურგმა თეთრი ხალათი ჩააცვა კორნელის და პეტრე ცხომელიძესთან წაიყვანა.

დერეფანი გაიარეს, პალატების კარები ღია იყო და დაჭრილთა კვნესა და ოხვრა მოისმოდა. ბოლოს უკანასკნელ პალატას მიაღწიეს. ეს ყველაზე უფრო პატარა, მაგრამ მყუდრო ოთახი იყო — ოთხსაწოლიანი. შიგ ბნელოდა და კორხელიმ დაჭრილთა სახეები ძლივს გაარჩია.

ერთს თავი შეხვეული ჰქონდა და მარტო ცალი თვალი უჩანდა, ისე უცნაურად ანთებული, თითქოს ამ ცალი თვალითაც კარგად ახერხებს საშინელების ხილვასო. იგი არ შერხეულა.

მეორეს თვალები დაეხუჭა და ერთსა და იმავე სიტყვას მალი-მალ გაიძახოდა: მოვკვდი, მოვკვდიო, თითქოს ეს სიტყვა სახელდახელოდ შეუარჩევია, მისი მნიშვნელობა არ ესმის, თუთიყუშივით გაუსწავლებია და ტკივილისა და დროის მოსაკლავად იძახისო. იგი მუცელში იყო დაჭრილი და, ალბათ, ამ ერთი სიტყვის გარდა სხვა სიტყვის თქმა, ტკივილის გამო, არც კი შეეძლო საცოდავს.

მესამეს გაბრტყელ მარჯვენა ფეხქვეშ ბიჯგი ჰქონდა შეყენებული. იგი წედარებით უფრო არხეინად გრძნობდა თავს, რადგან ბიჯგზე შემდგარ, ჭერისაკენ აშვერილ და ხელებით დაჭერილ თავისსავე დაჭრილ ფეხს ეფიცხებოდა და ქირურგს ეკითხებოდა: როგორ ვოგწონთ ჩემი საზენიტო ზარბაზანიო. იგი, ალბათ, ქირურგის ყურადღების მიპყრობას ცდილობდა და ამიტომ ოხუნჯობდა, თორემ ოხუნჯობის თავი არ ჰქონდა. როდესაც ქირურგი მის საწოლს მოშორდა, დაჭრილმა შეშინებული თვალები გააყოლა და ხაფანგში მოჭყვდეული მელიის მსგავსად დააცეცა.

მეოთხეს — ახოვან ქართველ ჭაბუკს, თავი გაპარსული ჰქონდა და გატანჯული სახით დასჩერებოდა ზვიხისოდენა, ტკეჩებით შეკრულ, გაბინტულ და გვერდით მდებარე ხელს. ეს პეტრე ცხომელიძე იყო. ანთებული თვალები მიაშტერა ქირურგს. ცოტა ხნის მერმე ნაძალადევად გაუღიმა კორნელის და უთხრა:

— გადაეცი შენ ძმას, ევგენის, ხელს არ მოგაკვეთინებსთქო.—

— ხელის მოკვეთას არც აპირებს, საიდან მოიგონე! — მიუგო კორნელიმ.

— არ ვიცი, კი დაუჩემებია და... — შენიშნა ქირურგმა სიკო მოსეშვილმა.

— ყურთასმენას კიდეც რომ ეღალატნა, განა მე ღვალებში არა მაქვს, — მიუგო პეტრემ და ახლა ისევ კორნელის უთხრა: — ხელს ნოკვეთას არავის არ დავანებებ, მორჩა და გათავდა! უხელობას — სიკვდილი მიჯობს. წუხელ ღამით სისხლმა დენა დამიწყო. დავხედე: ბინტი სიახლით გაჟღენთილიყო. სისხლში ერთთავად ვცურავდი. შენს ძმას ბინიდან დაერეკნა, წინასწარ ეგრძნო ჩემი ასეთი ყოფნა. ცოტა დაგვიანება და — სისხლისგან დავიცლებოდი. შუაღამეს მივარდა და საკუთარი ხელით შემიხვია. ო, რა ტანჯვა გავიარე! ო, რა ტანჯვა გავიარე! — თქვა პეტრემ, თავი ბალიშზე გადასწია, თვალები დახუჭა და დადუმდა. მერმე ერთბაშად გაახილა თვალი, გაბინტულ ხელზე ზიზღით დაიხედა და ქირურგს უთხრა: — მგონი ჰყარს, ჰყარს ეს ოხერი!

— არაფერიც არა ჰყარს. შენ გეჩვენება, — მიუგო ქირურგმა, პეტრეს შუბლზე ხელი გადაუსვა და მოეფერა: — დამშვიდდი, ეგ წამლის სუნია. დამშვიდდი, მეგობარო.

— დამამშვიდე, ექიმო, დამამშვიდე! სულ ერთია, ხელს მაინც არ მოგაკვეთინებთ, არ მოგაკვეთინებთ! — დაიჩემა ისევ პეტრემ. სახე წუხილით დაემანჭა და მერმე მარცხენა ხელს ისეთი სასოებით დააცქერდა, თითქო ყუმბარის ნამსხვრევით დაგლეჯილი, დაჩირქებული და აყროლებული ხელი კი არა, არამედ ახალშობილი და ჩვრებში გახვეული ბავშვი გერდით უწევს და მის დაკარგვას ვერ ურიგდებაო.

კორნელის გაუკვირდა უშიშარი მებრძოლის ასეთი გულჩვილობა.

პეტრემ მოულოდნელად ჰკითხა:

— ფრონტზე რა ამბავია?

— კარგი ამბავია, — მიუგო კორნელიმ, — ჩვენებმა შულავერი და სადახლო აიღეს.

— მადლობა ღმერთს! — დაიძახა პეტრემ.

კორნელის შეეშინდა: ვაითუ საყვედური მითხრას, შინ რას უსიხარო, მაგრამ პეტრემ სულ სხვა უთხრა:

— გადაეცი შენს ძმას, თუ ცოცხალი დავრჩი, მის პატივისცემას აღ დავივიწყებ... სამაგიეროს გადავუხდი.

— რა პატივისცემა! ეს მისი მოვალეობაა, — მიუგო კორნელიმ და რადგან შეატყო, ამხანაგს ტკივილი სტანჯავდა და ძალ-ღონე ელეოდა, დაემშვიდობა: — გული გაიმაგრე, ნუ ღელავ, პეტრე! მე კიდევ გნახავ, — უთხრა და დახეთქილ, დასიცხულ ტუჩებში აკოცა.

ჯიუტი მებრძოლის ქერა ულვაშები კორნელის ჯაგარივით შეეხო, უცნაურად აგზნებულ და ანთებულ პეტრეს თაფლისფერ თვალებში ცრემლი ჩამდგარიყო.

— როგორ არის მისი საქმე? — ჰკითხა კორნელიმ დერეფანში ქირურგს.

— კიდევ ორ დღეს დავაცდით და ვუყურებთ, მერმე კი ამპუტაციას გავუკეთებთ, ჭრილობა ჰყარსო რომ მითხრა, არ მომეწონა, — მიუგო სიკომ.

6

კორნელი გულმოკლული გამოვიდა ჰოსპიტლიდან. „ჩვისთვის ვხოცავთ და ვანადგურებთ ერთმანეთის სომხები და ქართველები? რა გვაქვს გასაყოფი? ახლა, როდესაც ამერიკა ჩასაყლაპავად უცხო ძალა კარზე არის მომდგარი, სოლიდარობის ნაცვლად, ერთმანეთს მტრად მოვკიდეთ. აი, ჩვენი და სომხების მმართველი წრეების ბრძნული პოლიტიკა, — ფიქრობდა პლეხანოვის პროსპექტზე, სამხედრო სასწავლებლის წინ მიმავალი კორნელი და მყისვე უკნიდან დოლების ბრახუნი და უცხო საკრავთა ხმა შეესმა. ქორწილი თუ არის და დაფა-ზურნას უკრავენო, — გაიფიქრა კორნელიმ. შეჩერდა. დოლების ცემა და ბრახაბრუხი ახლოკდებოდა.

ტრამვაიში მყოფი მგზავრებიც წამოცვივდნენ და პროსპექტს გაჰხედეს.

პროსპექტზე ჯარი მოდიოდა. წინ უცნაური ორკესტრი მოუძღოდა.

ჯარისკაცებს პატარა და ვეება დოლები, ნაღარები და დიპ-

ლიპიტოები ჰქონდათ. თავკომბალა ჯოხებს სწოაფად, გაცეტებით სცემდნენ დოლებს, ჰაერში ატრიალებდნენ, თითქო ჟონგლიორები უამრავ ბურთებს მაღლა ისვრიან და ისევ იჭერენო. გაბერილი ტიკჭორები იღლიაში ამოეჩარათ და ჩაჭველთა სტვირის მსგავსად მორთულ საკრავებს, საზანდარს, დუდუკსა და სალამურს აჭყვიტინებდნენ, ერთფეროვან და უსიამო ჰანგს გამოსცემდნენ. ეს ჭყვიტინი და ყურთასმენის წამლები ბრახაბრუხი იქაურობას აყრუებდა და ერთთავად აფორიაქებდა.

კორნელის გაუკვირდა: ეს კიდევ ვინ ოხრები შემოჭრილან ქალაქშიო! მაგრამ ამ უცხო ორკესტრის უკან მწყობრად მოაბიჯებდნენ დარჩეული ვაჟკაცები. მხარზე თასმებით თოფები ეკიდათ. თავზე ბერეტები ეხურათ, ტანზე კი ხაკის ფრენჩები ეცვათ და კუნთმაგარ, შიშველ მუხლებამდე დაშებუდული მოკლე და ჭრელი კაბები. ფეხებზე — ჰამაშები და ბუცები.

კორნელიმ მაშინვე შენიშნა ამ მუხლმაგარ და ახოვან ვაჟკაცებს ძალ-ღონე. ეს წითური და გაწვრთნილი ვაჟკაცები შოტლანდიელი ჯარისკაცები იყვნენ. მათი უცნაური ორკესტრი, შიშველი მუხლები და ჩაცმულობა — ჭალური კაბა, ხალხს სასაცილოდ ეჩვენა.

განცვიფრებული ხალხი ჯარს აედევნა.

კორნელი ჯარის წინ მედიდური სახით მომავალ ოფიცრებს დააცქერდა და გაიფიქრა: „რა არხეინად და თავხედურად მოაბიჯებენ ინგლისელები თბილისის ქუჩაში! თბილისი მათთვის იგივე ბაღდადი, თეირანი და კალკუტაა... ინგლისელები ამიერკავკასიაშიც, თითქო წესრიგისა და თავსუფლების დასამყარებლად შემოდიან. მე ვიცი, რა მუცლის გვრემაც სჭირთ მათ: ისინი მსუნაგი მგლებივით დაქანებით მოისწრაფიან ბაქოს ნავთისაკენ. ამას წინათ, როდესაც ინგლისის ჯარები კავკასიას მიუახლოვდნენ, ჩვენს გახეთში ერთი ინგლისური ეკონომიური ჟურნალიდან ამონაწერი ადგილი წავიკითხე: „ნავთის მხრივ ბაქოს ვერავინ შეეცილება. ბაქო უდიდესი სანავთო ცენტრია მთელს მსოფლიოში. ნავთი თუ დედოფალია, ბაქო — უთუოდ მისი ტახტია და ამიტომ იგი ჩვენ უნდა გვეკუთვნოდესო“.

კორნელი ჯარს ვერის ხიდამდე მიჰყვა, მერმე კი სანა-პირო ქუჩაზე გადაუხვია და შინისაკენ გასწია.

7

დათა და ელენე სასადილო ოთახში ისხდნენ და საუბ-რობდნენ. დათა მშვიდი, წყნარი და უნებისყოფო კაცი იყო. ელენე ბრძანებლობდა. შვილი არ გაუჩნდათ. ალაჰმა უწყის, ჯანსაღი და კარგი პატივით ჩასუქებული ელენე მდივნის ქა-ლი იყო უშვილო, თუ გამხდარი და კაფანდარა დათა მიქე-ლაძე! მიუხედავად უშვილობისა და თავისი ასაკისა, ელენე არც ახლა იშლიდა ფლირტს და ბევრ ახალგაზრდასაც სჯაბ-ნიდა. რომელ ქალაქსაც მივიდოდა, მოტრფიალე მაშინავე გა-უჩნდებოდა. იგი ამჟამად ინსპექტორს, დიმიტრი ჯანელიძეს ეკურაუოებოდა. ინსპექტორძა მიქელაძისას სიარულს მო-უხშირა ელენე სარკესთან მივიდოდა, ოდნავ შეჭალარავე-ბულ თმას ოატატურად გადაივარცხნიდა, სახეზე პუდრს შე-იფრქვევდა, ვარდიაფერი ენის წვერით მსუქან, ხალიან ტუ-ჩებს გაილოკავდა და სასტუმრო ოთახში ასე შევიდოდა. ელე-ნეს ჩიხებული თავის დაჭერა, მომხიბლავი საუბარი, პიკან-ტური ანეგდოტის და ვნების აღმძვრელი ორაზროვანი ამ-ბების თხრობა იცოდა. ინსპექტორს, დროდადრო მაცდურად გაუღიმებდა და მომნუსხველად მიანათებდა ხოლმე მოცისფ-რო თვალებს. მაშინ დინჯი ინსპექტორი — დიმიტრი ჯანელი-ძე წონასწორობას ჰკარგავდა, სახეზე ჭარხალივით წამოწითლ-დებოდა, ელენესთან მიიჭრებოდა და ფაფუკ ხელზე ხანგრძ-ლივი კოცნით დააცხრებოდა. მსუქანი და სანდომიანი ქა-ლი — დეიდა ელენე კი გულიანად ჩაიკისკისებდა, წინ დაიხ-რებოდა, ხანაც გაიმართებოდა, თითქო უძალდება, ხელის წართმევა სურსო და მერმე ნახევრად ჭელოტი ინსპექტორის თავს კორსეტით აფუებულ, მაღალ მკერდს ეშმაკურად შეა-ხებდა და დაიძახებდა: „კმარა, კმარა, ბატონო დიმიტრი!“

ელენეს, — როგორც თვითონვე იტყოდა ხოლმე, — „ინ-ტელიგენტურ, კულტურულ ხალხში“ ტრიალი უყვარდა. ელე-ნე პატივს სცემდა დათას, თავისებურად უყვარდა იგი და ეცოდებოდა კიდეც. ცოლი აფასებდა ქმრის ჭკუას, გულკე-თილობას, სინდისს და პატიოსნებას, ხოლო ხანდახან თუ არ-

შიყობდა, ეს თავისი მეუღლის — დირექტორის დათა ქიქელაძის ღირსებისა და თავმოყვარეობის შებღალვად როდი მიაჩნდა. როდესაც ელენე დათას მკტისმეტად დაუტკბებოდა და მოფერებას დაუწყებდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ მას არშიყი უკვე გაჩენილი ჰყავდა, ან ახალი საყვარლის ჯაჭვას აპირებდა. ახლა ჯანელიძე იყო მისი არშიყი და ამიტომ დიდი დასვენებისას შინ მოსულ თავის მეუღლეს უჩვეულოდ ეფერებოდა, ენას უჩლექდა და თურქული ყავით უმასპინძლდებოდა.

კორნელიმ პეტრე ცხომელიძისა და შოტლანდიური ჯაჭვის შესახებ უამბო მათ:

— ვინ იცის, გადარჩება თუ არა საცოდავი პეტრე! ესეც მეწშევიკების და დაშნაკების ჭკუის ნაყოფია: ერთმანეთი იმისათვის გაჟლეტეთ, რომ ინგლისელებმა ამერკავკასია უფრო ადვილად იგდონ ხელში.

— მიკვირს, ინგლისელებს რა უნდათ ჩვენში! — იკითხა ელენემ.

— ჩვენში — ბავი ქვა... აბერაიჯანი კი — ხავი, — ძიუგო დათამ.

— მეც ბანდა ვარ! — შენიშნა კორნელიმ, — ჩვენი ლაშაზი ბუნებაა. ჩვენი ლამაზი ხალხისა და ლამაზი თვალებისათვის კი არ ეკამათებიან ისინი საქართველოს.

— შენ მართალი არა ხარ, კორნელი, — არ დაეთანხმა დეიდა ელენე — ინგლისელები რომ არ მოსულიყვნენ. სომხები, თათრები და ქართველები ერთმანეთს შევჭამდით. ჩემის თვალით ვნახე ბაქოში სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტა.. რა საშინელება იყო...

— დიდი ძმცილობისა! მეც სწორედ მაგას მოგახსენებთ; უჭკუონი ერთმანეთს-მეთქი. ხომ გახსოვთ გერასიმოვლის:

ვით მამალი სხვის მამალს დაჭერდეს და წაეკიდოს,
მას ცემოს და თვით იცემოს, დაჭიჩროს და დაეკიდოს,
რა ორნივე დაღალულნი ძაღლმან ნახოს, პირი ჰკიდოს...

— საცოდავი პეტრე ცხომელიძე სულ ამას გაიძახოდა: ნუთუ არა კარა ღირსი იმისა რომ ჩვენი თავი ჩვეხვა გაეკუთვნოდეს? — უთხრა დათას და ელენეს კორნელიმ.

— იქნებ ღირსნიცა ვართ, მაგრამ ვინ გაცლის, — ჰიუგო

დათამ და ახლა თვითონვე ჰკითხა: — ახალი ამბავი თუ გაგე? ომი გათავდა, ჩემო კორნელი, — კმაყოფილი ღიმილით შეატყობინა დათამ. — სომხეთ-საქართველოს კოხფლიქტი მოგვარება ინგლისელებმა იკისრეს. პირისპირ მდგარ ქართველ და სომეხ ჯართა შორის ნეიტრალური ზონა დააწესეს და შიგ თავისი პიკეტები ჩააყენეს.

— ინგლისელებისაგან კარგს ნუ მოელით, — მოუჭრა კორნელიმ.

— შე კაცო, — გაუკვირდა დათას, — აბა, ასე ჩვენს ნებაზე ვინ გაგვიშვებდა? ნუთუ შენ მართლა გგონია, რომ ჩვენისთანა პატარა ერს შეუძლია იყოს ნეიტრალური და დაბიუკადებელი? ახლა მერყეობის დრო არ არის: ან აღმოსავლეთთან, ან დასავლეთთან უნდა ვიყოთ. ინგლისი დემოკრატიის ქვეყანაა. იგი პატარა ერებს თავისუფლებას ანიჭებს.

— ისეთს, როგორსაც ინდოეთს, ეგვიპტეს... შავკანიანებს. ეს დიდი იმედია, — ისევ გესლიანად შენიშნა კორნელიმ. — ადგა და სარკმელში გაიხედა.

— მართალი გითხრა, მე თქვენი ვერაფერი გამიგია. ჩვენ რუსეთთან ყოფნა გვერჩია, მაგრამ რუსეთში ახლა ანარქიაა. და აბა, რა გზას დავადგეთ? — აღშფოთდა დათა. — ამასთანავე, ჩვენ ვერ შევძლებთ გადავუჭრათ ინგლისს ამიერკავკასიაში მომავალი გზა, სულ ერთია იგი შემოიჭრება აქ, შემოიჭრება ძალით.

— ჩვენ რომ ერთი პირი გვქონდეს და რუსეთთან ერთად ვყოფილიყავით, გარეშე მტერი ამიერკავკასიაში ვერ შემოიჭრებოდა.

— მაინც შემოიჭრებოდა.

— არა მგონია.

დათამ ყავის ფინჯანი გადადგა. ულვაშები და ტუჩები ხელსახოცით გაიწმინდა, სერთუკი გაისწორა და გამნაზიანდა.

ვერდა ელენე კმაყოფილი იყო, ომი რომ დამთავრდა, დათა და კორნელი ომში რომ არ წაიდიდნენ და შინ ეგულებოდა. ეშმაკურად აუციმციმდნენ თვალები. თითქო რაღაც საიდუმლო იცის და არ ამბობსო. მერმე ველარ მოითმინა. საძინებელ ოთახში შეგორგმანდა, კონცერტი მოიტანა, კორნელის გაუღიმა და გადასცა:

— ვიღაც შავტუხა, ეშხიანმა გოგონამ გაკითხა და ეს წერილი დაგიტოვა. შე ეშმაკო, ახლა სხვა გაიჩინე? ნინოს რას უპირებ?!

კორნელიმ კონვერტი გახსნა და წერილი წაიკითხა.

— რაო? სიყვარულს გიხსნის? — ჩააცივდა დეიდა. მოცისფრო, ბედნიერი თვალები შეანათა. იგი სამიჯნურო ამბების და მაჭანკლობის-მოყვარული ქალი იყო.

— არა, ჩემი სკოლის ამხანაგი — ლეონ მერაბიანი დაუპატიმრებიათ და მისი მამა გედეონი მეხვეწება უშველეთი, — მიუგო კორნელიმ. — მე კარგად ვიცნობ გედეონს, მის მკულლეს — ანაიდას, მთელ ოჯახს. მათ ქართველები არა სძულთ, პირიქით, ჩინებული ქართული იციან. წესიერი ხალხია, — მიუგო კორნელიმ. თავის ოთახში შევიდა, ჩაიცვა და გედეონ მერაბიანისაკენ გასწია.

ურარტუელთა ნაშთები

ჩვენი ქვეყნის უძველესი ისტორიის და განსაკუთრებით კი საქართველოს და სომხეთის ისტორიის შესწავლისათვის ურარტუს სახელმწიფოს ისტორიას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ვ. სტრუვე

I

გედეონ მერაბიანი პლეხანოვის პროსპექტზე ცხოვრობდა. კორნელი სამსართულიანი ქვის დიდ სახლში შევიდა, ვესტიბული გაიარა და ზარი დარეკა. ლეონის დებმა შუშნიკმა და არფენიამ მაშინვე კარები გაუღეს, პალტო და ქუდი ჩამოართვეს და მამის კაბინეტში შეიყვანეს.

წინათ სიცილ-კისკისით ეგებებოდნენ ხოლმე ისინი კორნელის. ახლა კი — ძმის, ლეონის დაპატიმრების გამო — მოწყენილი და კაეშნიანი იყვნენ.

შუშანიკს გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული და ნინოსთან ერთად კონსერვატორიაში სწავლობდა. არფენია კი ოპერის ბალეტის მოცეკვავე ქალი იყო. ლამაზად ჩამოქანდაკებული ფეხები ჰქონდა, უკან — წვივებზე, ბალეტში ვარჯიშობს გა-

მო, მოძრავი კუნთები ბურთებივით აჯდა. არფენია მშობლებია დასაძახებლად წავიდა. კარებთან კოხტად შეკრებულნი და კორნელის ეშხიანად გაუღიმა

შუშანიკს არფენიასავით შავგვრემანი სახე ჰქონდა, გრძელი წამწამები და მიბნედილი, გიშრისფერი უძირო თვალები. იგი არფენიაზე უფრო დაბალი იყო. კორნელის წინაშე დის საქციელი — კეკლუცობა, არ მოეწონა. საწერ მაგიდასთან სავარძელში მჯდარმა კორნელიმ ჰკითხა:

— როდის დააპატიმრეს ლეონი!

— გუშინწინ ღამით.

— რას ერჩოდნენ?

— არ ვიცი, — მიუგო შუშანიკმა. თავი ჩაჰკიდა და გაიფიქრა: რაღვან სომეხია, ალბათ, იმიტომო.

კორნელის ლეონი მოაგონდა. ლეონი ეშხიანი ჭაბუკი იყო, კრაველსავით დაკვარკნილი გიშრისფერი თმა, ბროლივით თეთრი კბილები, სქელი ბაგეები და გაპობილი პატარა ცხვირი ჰქონდა. შავი თვალები კი — ძალიან ლამაზი, მაგრამ არა ძალიან ჭკვიანი. იგი არაბსა ჰგავდა. მისი უფროსი ძმა — სურენი — ვიმხაჩიის დაშთავრების შემდეგ უმაღლესი განათლების მისაღებად პარიზში გაემგზავრა. კორნელი ხშირად დაიარებოდა ლეონთან. ბევრი ქეიფი და ნადიმი ახსოვდა ამ ოჯახში.

ლეონის მამა — გედეონი — მდიდარი ვაჭარი და საქმის კაცი იყო. ქალაქში მრავალი მაღაზია ჰქონდა: ტყავის, ფეხსაცმლის, ფართლისა და საგალანტერიო. იგი ევროპულ და აზიურ ქვეყნებში ნავალი კაცი იყო. ბინა ირანული ხალიჩებით, ევროპაში შეძენილი ავეჯითა და შესანიშნავი ნივთებით მდიდრულად მოერთო.

მზარეული, მეკარე, მეეტლე და მეჯინიბე ჰყავდა. თბილისში ჩამოსვლისას, იმჟამად უსწავლელმა ღარიბმა ჭაბუკმა სინდიდრე და ქონება დიდი შრომითა და ჯაფით შეიძინა. იგი გამხდარი, გონებამახვილი, გულჩათხრობილი და სავაჭრო საქმეებით გართული კაცი იყო. შვილების აღზრდა და ოჯახის მართვა ცოლს, ანაიდას, დააკისრა. მსუქანს, დარბაისელს, გულკეთილსა და განათლებულ ანაიდას შვილებისათვის აღმზრდელი ქალი, გუვერნანტი ჰყავდა დაქერილი. შვილების ამხანაგებში ყველაზე უფრო კორნელი მოსწონდა,

უყვარდა კიდეც და უხაროდა, კორნელი ლეონს რომ მეკობრობდა.

სასტუმრო ოთახის კარები გაიღო და კაბინეტში გედეონი, ანაიდა და არფენია შემოვიდნენ. კორნელიმ ოთახში თავშეყრილ ხალხს თვალი მოჰკრა. ისინი შეშინებული თვალებით იჭვრიტებოდნენ კაბინეტში და დუმდნენ. მათი სახეების დანახვისას კორნელის ჯავახელი სომხები მოაგონდა, რომლებიც ასპინძის ბრძოლის დროს, სოფელ ტამალას მიწურ სახლებთან შიშისაგან გაფითრებულნი და აკანკალებულნი იდგნენ და სოფელში თურქთა ჯარის შემოჭრისა და ხოცვა-ჟლეტისა ეშინოდათ.

მიუხედავად იმისა, რომ ომი გათავებული იყო, თბილისში მცხოვრები სომხები, მათ წინააღმდეგ შემოღებული რეპრესიების გამო, შიშობდნენ და საგონებელში იყვნენ ჩაცარდნილნი.

გედეონი და ანაიდა ისეთი მწუხარე სახეებით შემოვიდნენ და ისე მიესალმნენ კორნელის, თითქო შვილი გარდაცვლიათ და ჭირისუფლებივით იქცევიანო.

ანაიდას — სათნო და სანდომიანი სახის მქონე, ჩასუქებულ და აწ ჭაღარა ქალს, მხრებზე შავი შალი წამოესხა. იგი ფარდაგგადაფენილ ტახტზე დაჯდა. მარჯვნივ და მარცხნივ შუშანიკი და არფენია მოუსხდნენ. ხალიჩის ფონზე მჯდარი ქალების სურათი ირანულ მინიატურას მოაგონებდა კაცს.

გედეონი საწერ მაგიდასთან სავარძელში კორნელის პირისპირ დაჯდა.

გამხდარი და მელოტა კაცი — გედეონ მერაბიანი ორმოცდაათი წლისა იქნებოდა, მაგრამ სავსებით ჭაღარა შეჭმნილიყო და შავი წვერ-ულვაში თუ არა, ღრმად მოხუცებული გეგონებოდათ. სახე დანაოჭებული და გაყვითლებული ჰქონდა. თვალები — შავი, დიდრონი და კაეშნიანი. ეტყობოდა, რაღაც სენი შეჰყრობოდა და ის აწუხებდა. გედეონი ღვიძლისა და ნაღვლის ტკივილს უჩიოდა. ან კი რად არ ასტკივდებოდა ნაღველი. როდესაც ცნობილ სოვდაგარს დიდი ხანია, რაც ევროპა-რუსეთიდან საქონელი არ მოსდიოდა, საეჭვო არა ჰქონდა რა. გედეონს ბაქოსა და თბილისში დიდი მალზიები და სახლებიც ჩამოართვეს და ახლა ლამის უბრალო ხელვარილმანის ბედი ეწვიოს. არაფრის ხალისი არა ჰქონდა. ახლა

კი, კორნელის შესახვედრად დიდი ხნის წინათ შენახული და ნაფტალინგადაყრილი ინდიკოს კოსტუმი ჩაეცვა. ძველ მოდაზე და ყაიდაზე შეკერილი, მუხლებამდე დაშვებული და გრძელკალთებიანი ეს სასაცილო პიჯაკი და მოკლე შარვალი პეტრე ცხომელიძეს ერთ დროს ძლიერ მოსწონდა: გედეონს მისი პიჯაკისა და შარვლის თარგი უნდა ვთხოვოო, — ოცნებობდა.

გედეონს ფეხი-ფეხზე გადაედო და მოკლე შარვლიდან გაშხდარი კანჭები და კოჭები უჩანდა.

2

ქალები, როგორც თაეის მხსნელს, ისე მისჩერებოდნენ კორნელის, გედეონი კი თვალს არიდებდა. მარჯვენა ხელი იდაყვით მაგიდაზე შემოედო, ყვრიმალით მუშტს დაბჯენოდა და საათწარკვეთილი ერთ წერტილს დაშტერებოდა.

ბუშანაკსა და არფენიას შეეცოდათ მგლოვიარე მამა და თვალზე ცრემლი მოადგათ.

სიჩუმე ჩამოვარდა. კორნელიმ უხერხულობა იგრძნო და დაიწყო:

— თქვენი წერილი ვიცით, გედეონ.

— კარგი. წერილი გამოგიგზავნეთ... — მიუგო გედეონმა, თავი ასწია და კორნელის შეხედა. კორნელიმ გედეონის თვალებში უხერხულობა ამოიკითხა. შეკრთა და თვალი მოარიდა.

ორივემ უხერხულობა იგრძნო და მიხვდნენ, თუ რა ზღვარი გაეხსნა სომეხ-ქართველთა შორის.

სომეხ-ქართველთა შორის ატეხილი ომის შემდეგ ისინი თავს ისე გრძნობდნენ, თითქო მათაც წილი ედოთ ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტაში.

გედეონი გრძნობდა, რომ სომხებმა და თითქო მანაც, ცუდი და რაღაც უმსგავსო გაუკეთეს ქართველებს. კორნელიც გრძნობდა, რომ ქართველებმა და თითქო მანაც, ცუდი და რაღაც უმსგავსო გაუკეთეს სომხებს — ძალიან ცუდი, ბოროტი და საზიზღარი, რაც არ უნდა ეცუებოდეს ადამიანს ბუნებას: ადამიანის მიერ ადამიანის მოკვლა, ადამიანისათვის ყველაზე უძვირფასესი — სიცოცხლის წართმევა

ამ სამარცხვინო გარემოების გამო მათი საუბარი შეუძლებელი გახდა. ალბათ, ამასვე გრძნობდნენ დამუნჯებულნი და გლოვით მოკლული ქალებიც.

ბოლოს ასეთი ხანგრძლივი დუმილი უხერხული შეიქნა და გედეონმა ნიადაგი მოსინჯა:

— ლეონი დააპატიმრეს, თქვენ კარგი მეგობრები იყავით და ვიფიქრე, იქნებ კორნელი დაეხმაროს-მეთქი, — დაიწყო სასოწარკვეთილის ხმით გედეონმა.

— დავეხმარები, — მიუგო კორნელიმ.

— დავიღუპეთ, შვილო, გვაშველეთ! — დაიძახა დედამ, ანაიდამ, ხელები მუხლებზე შემოჰკრა, ხალისგულებით მუხლებს დაიბჯინა და გლოვით მოცულმა ქალმა ქედლის საათის ჭანჭარასავით ქნახაობა დაიწყო

— რა ჰოგაკადათ, რა მოხდა ასეთი? — დააშშვიდა კორნელიმ

— როგორ რა მოხდა, შვილო! — მოთქმით გაიბა ანაიდამ. — მეზობელი სოფეს პატიმრებს ხვრეტენო გიხდა ლაგერში გაგზავნონ, ესეც უარესია — ამბობენ, ლაგერში პარტახტიანი ტიფი მძვინვარებს და ხალხი ერთთავად იქლიტებაო..

— დაშშვიდდით! დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მე ლეონის ისეთივე აქ ნაცარი და მეგობარი ვარ, როგორიც ვიყავი და ყოველგვარ ზომებს მივმართავ მის დასახსნელად, — უთხრა კორნელიმ.

— უშველე, შვილო! — დაიძახა ანაიდამ.

გედეონმა ქვევიდან აჰხედა კორნელის. სურდა გაეგო, მართალს ამბობს, თუ თაღლითობსო. კორნელიმ დაჭირა ეჭვით სავსე გედეონის გამოხედვა და ეწყინა. თვალი აუსწორა. გედეონი გატყდა და ახლა კი საბოლოოდ დარწმუნდა, კორნელი რომ მართალს ამბობდა. კოპებშეკრულ ვაჭარს ყუშტ სახეზე ღიმილმა გადაურბინა, კოლოფი გახსნა, კორნელის პაპიროსი მიაწოდა. ერთი თვითონაც აიღო, ცეცხლი მოუკიდა და გააბოლა. კორნელის თუთუნის გემო მოეწონა და კოლოფს დახედა. კოლოფზე მაიმუნის — ორანგუტანგის თავი ეხატა. მაიმუნი პაპიროსს ეწეოდა. კოლოფის შუა ადგილას განდაგან ინგლისურად ეწერა: „ინტელიჟენ", „ფაბი 25 ცალი — 50 კაპიკი". ქვევით კუთხეში — „კავკასიონი".

— კავკასიის მაიმუნი, — წამოიცდა კორნელის და ყველამ გაოცებით შეხედა მას, — რას ამბობსო.

— რატომ მოგაგონდათ სახელმწიფო სათათბიროში შავრაზმელის — პურიშკევიჩის მიერ თქმული სიტყვები? — ჰკითხა გედეონმა კორნელის.

— აგერ, კოლოფზე რომ მაიმუნი ხატია და ქვევით „კავკასიონი“ სწერია, ამან მომაგონა, — მიუგო კორნელიმ.

— მაგ სიტყვაზე, იმ შავრაზმელს კავკასიის ხალხთა დეპუტატმა ჩხეიძემ ჩინებული პასუხი გასცა.

კორნელი გედეონის შემდგომმა საუბარმა გააოცა, რადგან ამ საუბარში სომეხი ვაჭრის ნაკითხობა, საქმეში ჩახედულობა და ცოდნა ჩანდა.

— ევროპელებს ავიწყდებათ, რომ აღმოსავლეთი დასავლეთზე უფრო ძველი და ბრძენი ქვეყანაა, — დაიწყო გედეონმა, — კერძოდ, სომხებს და ქართველებს უძველესი, მდიდარი და კულტურული სახელმწიფოები გააჩნდათ. ქრისტიანობაც სომხებმა და ქართველებმა ევროპელებზე ადრე მიიღეთ, — ამბობდა გედეონ მერაბიანი და მისი შავად გარუჯული სახე, გაშრისფერი და სოლივით წაგრძელებული წვერი, დაღრონი თვალები და არწივისებური მოღუნული ცხვირი ძველ ბარელიეფზე ამოტვიფრულ — აშურბანიპალის სახესა ჰგავდა; ხოლო მამაც და მედგარ სარდურისა და ურარტუელთა ნაშიერს, ჟამთა ვითარების გამო, გადაგვარება დასტყობოდა. მისი დაავადებული ღვიძლი, ნაღველი — ჯიგარი, შკვდრის მზესავით გაყვითლებული სახე. უზომოდ დიდი ცხვირი, თითქოს ამას მოწმობენო. ქაშნიანი, ნაღვლიანი და თავისი ხალხის ტრაგედიის მხილველი თვალები კი, ოდესღაც ძლიერი და მედგარი თავისი ტომის უბედობას და უბედურებას დასტიროდა; უბედობას იმ ტომისას, რომლის ნაშიერნი, სახელმწიფოებრიები მარცხის შემდეგ, მთელი დედამიწის ზურგზე განიბნენ ლუკმა პურის საძებნელად და აბიერიულან საბაყვანებელ საცხად და კერპად ოქრო დაისახეს, მსგავსად ებრაელთა; და რა ხელობისათვის არ მოუკიდიათ მათ ხელი და რამდენი წამება, დაცინვა, დამცირება და ჟლეტა არ განუცდიათ და გადაუტანიათ ძლიერთაგან ამა ქვეყნისა! ასე ფიქრობდა კორნელი, როდესაც გედეონ მერაბიანის თქმულს უსმენდა ურარტუზე, ძველ სომხეთზე,

რომაელთაგან მის დამარცხებაზე, ოსმალეთის ვილაიეთებში მცხოვრებ ახლანდელი სომხების მარცხზე, სირია-მესიპოტამიის უდაბნოში მათ გადასახლებაზე და ათასობით და ასიათასობით ჟლეტაზე. გედეონ მერაბიანი ბევრის მცოდნე, მხილველი და საინტერესო მოსაუბრე კაცი აღმოჩნდა. იგი თურქეთში მცხოვრებ სომხეთის მარცხს მეფის რუსეთის და ბრიტანეთის პოლიტიკას აბრალებდა.

— მე კარგად ვიცნობ ინგლისელებს, მე მინახავს იგინი კალკუტასა და ქაიროში, — თქვა გედეონმა.

— კალკუტაში და ქაიროში ბრძანებულხართ? — ჰკითხა კორნელიმ.

— როგორ არა, — მიუგო გედეონმა და კალკუტა-ქაიროზე საუბარს მოჰყვა, მაგრამ ანაიდას გული გენია ედებოდა და ქმარი დაჭუქსა:

— რა დროს ქაირო და კალკუტაა, შე კაცო! შვილი გეღუპება! — შერმე კორნელის ჰკითხა: — როგორ უშველი ლეონს, კორნელი?

— ვუშველი, დარდი ნუ გაქვთ, — მიუგო კორნელიმ

— ახლავე უნდა უშველო, შვილო, დაყოვნება არ შეიძლება, — შენიშნა ანაიდამ. — ახლა ციხიდან კაცის გამოხსნა ადვილი საქმე როდია.

— ამბობენ, განსაკუთრებული რაზმის უფროსის, კედიას, ხელში ვინც ჩავარდება, ადვილად თავს ვერ დააღწევსი, — უიმედოდ ჩაილაპარაკა გედეონმა.

— ესტატე მაყაწვილი განა ციხიდან ვერ გამოაშუბინებს! — დაიძახა ამდენხანს დადუმებულმა შუშანიკმა.

კორნელი შეკრთა, რადგან იცოდა — ესტატეს ამ საქმისათვის ვერ მიჰმართავდა. მაგრამ გედეონს ესტატეს ხსენება გაეხარდა და განაცხადა:

— ესტატე მაყაწვილი თუ ინებებს, ამ საქმეს უთუოდ გააკეთებს.

— გვიშველე, კორნელი, — ისევ შეევედრა ლეონის დედა კორნელის.

კორნელი წამოდგა. საპატიმროდან ლეონის გამოშვება აღუთქვა მშობლებს და შუჩაში გამოვიდა.

მარგარიტა

ფაუსტი: აი იქ ვინ არის?
მეფისტოფელი: კარგა დააცქერდი — ის ლილიტია.
ფაუსტი: ვინ?
მეფისტოფელი: ადამის პირველი ცოლი, ერიდე მის გაშლილ თმას... რომელიმე ჭაბუკს მან თუ თავისი დაკლაკნილი თმის ნაწნავები მოახვია, გათავდა — აღარ გაუშვებს.

გოეთე

1

„სად წავიდე, ვის მივმართო? ლეონის მშობლებს სიტყვა მივეცი და რომ არ შევასრულო, მათ წინაშე პირშავად დავრჩები და ორპირს შემარქმევენ", — გაიფიქრა კორხელიმ. მას თვითონ სურდა ახლა კეთილი საქმის ჩადენა, ეს იმის შინაგანი მოთხოვნილება იყო. „ომის, სისხლისღვრის, კაცთა ქლეტისა და ვაებების შემდეგ, თითქო ყველანი სისხლისმსმელნიც, კი მათ საწინააღმდეგოდ მოიმართნენ და ცოდვათა მონანიების სურვილი დაებადათ. თითქოს ადამიანს სურს დაიძახოს: შევჩერდეთ, შევჩერდეთ, ძმებო, სანამ ჯერ კიდევ გვიან არ არისო!" — ფიქრობდა კორნელი. ასეთ ზნეობრივ ფერისცვალებას იქნებ თავის თავში გრძნობდა კორნელი და სხვასაც მას მიაწერდა. ვინ იცის!

იგი კირკის ჭუჭას მიუახლოვდა. გერმანული ეკლესიის კარები ღია იყო და იქიდან ორღანის ხმა და მომღერალთა გუნდის გალობა შემოესმა:

Dies irae, dies illa
Solvet saeclum in favilla[1].

კორნელის საბრალო ასული — გრეთჰენი მოაგონდა, კათოლიკეთა ეკლესიის სკამზე როგორ გულწასული იჯდა და, ჩადენილი ცოდვისა და შერცხვენის გამო, ხალხში დამალვას ლამობდა. მიჯნურისაგან შეცთუნებულს და უგულოდ გაწირულს, დამღუპველ ძმისაგან, ხალხისაგან და ღვთისაგან დაწყევლილს, სალმრთო წერილის სიტყვების გალობაზე და ორღანის ხმაზე, განკითხვის თავზარდამცემი საყვირები ძოესმოდა და გულს უგმირავდა იგი.

[1] დღე რისხვისა, დღე იგი ყოველიეს მტვრად აქცევს.

ეს მოაგონდა კორნელის და თვალწინ მაშინვე ხიხოს მწუხარე სახე დაუდგა. ჩუმი, ნარნარი და კაეშნიანი ხმა ჩაჩოესმა: „კორნელი, ჩვენ უნდა შევხვდეთ ერთმანეთს, ჩვენ უნდა შევხვდეთ...“ კორნელის ტანში გააჟრჟოლა. „როდის შევხვდეთ ერთმანეთს, როდის? რამდენი რამ მაქვს სათქმელი! იქნებ მეც საშინლად დავტანჯე საწყალი ნინო!“ — გაიფიქრა კორნელიმ და პლეხანოვის პროსპექტზე გადასვლა დააპირა, მაგრამ ეკლესიის გალავნიდან ვიღაცამ დაუძახა. შებრუნდა. ეკლესიის კიბეზე არა გულწასული და შეძრწუნებული ასული — გრეთჰენი, არამედ მხიარული და მოლაჟარი ქალი — მარგარიტა ლეტცი ჩამოდიოდა.

— კორნელი, — დაუძახა ქალმა, — სად მიდიხართ?

— შინ, — მიუგო კორნელიმ, შეეგება და ხელზე აკოცა.

— გეტყობათ, თქვენც ჩემს მეუღლესავით, შინ ჯოჯოხეთად გყვარებიათ. ხელი გამიყარეთ მკლავში და ცოტაზე გამაცილეთ, — უბრძანა მარგარიტამ და ეშმაკურად გაიღიმა.

მარგარიტა ლეტცი თბილისელი გერმანელის შვილი იყო. იგი ამჟამად ოცდაათი წლის ქალი იქნებოდა. მოწაფეობის დროს იგი მართლაც გოეთეს გრეთჰენს ჰგავდა. ოქროსფერი კულულები, ბავშვური უბიწოებით სავსე ცისფერი თვალები დღისითა და ღამითაც ეჩვენებოდნენ რუსული ენის მასწავლებელს სტეფანე შემანსკის. მაშინ მარგარიტა უკანასკნელი კლასის მოწაფე იყო. სტეფანემ, გიმნაზიის დამთავრებისთანავე შეირთო იგი. უზადო სიყვარულით აღტაცებული, ათრთოლებული ტუჩებით ჰკოცნიდა ქალის კულულებს. ასე უყვარებდა და რამდენი ლამაზი სიტყვები არ მოუსმენია ქმრისაგან ცოლს, ვინ მოთვლის. გადიოდა დრო, როდესაც სტეფანე შემანსკი მოსაბეზრებელ ზნეობრივ ქადაგებას დაუწყებდა, მარგარიტა მორცხვი მოწაფის მსგავსად დადუმდებოდა, გულუბრყვილო მასწავლებელი კი ფიქრობდა: რაგინდ მაღალფარდოვანი და გაუგებარი ენით არ უნდა ვუქადაგებდე მე ცოლს მაღალ ზნეობას, ის მაინც ჩაწვდება და გაიგებს მას შეურყვნელი ქალური თავისი ბუნებითო. ეროცნებობდა, უნებისყოფო მასწავლებელი ლიტერატურით და ფილოსოფიით იყო გატაცებული. მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა: რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე. ეს ბიბლიოთეკა და მაღალ საგანზე ქმრის დაუსრულებელი საუბარი

მალე მოსწყინდა მარგარიტას, არც ქმრის ამხანაგები — ჩანჩურა და არაქათგამოლეული მასწავლებლები მოსწონდა. სამაგიეროდ მას ოფიცრები, მათი ცხოვრება და დროსტარება აჯადოებდა. ოთხი თუ ხუთი წლის ცოლქმრობის შემდეგ სტეფანე არ მიჰყვებოდა მარგარიტას ოპერაში, კინოთეატრში, კაფე-რესტორანში, ნაცნობ-მეგობრებში და ნათესავებში. სტეფანეს არ მოსწონდა ცოლის მშობლები, ნათესავები, მეგობრები და არც რაიმე საერთო ჰქონდა მათთან. ხან დალილობას, ხან გაკვეთილების მზადებას, ან კიდევ სხვა რამეს მოიმიზეზებდა და ქალაქში ცოლს მარტო გაისტუმრებდა. იმჟამად სტეფანე უნივერსიტეტის ლექტორი იყო. მის შინაარსიან და მიმზიდველ ლექციებს მრავალი ახალგაზრდა, ელო, ნინო და მათი ამხანაგები ესწრებოდნენ. სტეფანეს „ცოდნის წყაროს“ და „მოძრავ ბიბლიოთეკას“ უწოდებდნენ. მაგრამ ქმრის ასეთი ღირსებანი სრულიადაც არ ხიბლავდნენ მარგარიტას და ერთ მშვენიერ დღეს ქალი კალაპოტიდან ამოვარდა. პირველი თავისი რომანი მარგარიტამ რამაზ ვაჩნაძესთან, ახალგაზრდა და ლამაზ გუსართან გააჩაღა. შემდეგ კაპიტან ჯიბო მაყაშვილთან... კაპიტანი შეტევაზე გადავიდა და საოპერო თეატრიდან კაფე-რესტორნის კაბინეტამდე და სასტუმროს ნომრამდე მიმავალი გზა მალე განვლო. ხშირად მიაცილებდა ხოლმე სახლამდე ეტლით. ერთხელ მარგარიტა გვიან დაბრუნდა შინ. ქმარს დილამდე არ დაუძინია. მის თავში ათასი ეკვი ტრიალებდა. ბოლოს ზარის ხმა გაისმა. ქმარმა ცოლს კარი გაუღო, გონიერი თვალებით შეხედა. მარგარიტას მთვრალი თვალები ენისლებოდა. ხახიდან ალკოჰოლის, თუთუნის სუნი ამოსდიოდა, ფეხი და ენა ეშლებოდა. სტეფანე საწოლზე დავარდა და აქვითინდა: „ყველაფერი დავკარგე, უკანასკნელი ნუგეში და თავშესაფარი“, — გაიფიქრა მან. ქალი გაღიმა შეედავა: შენ არსად არ დამყვები, ჩემთვის არასოდეს არ გცალიაო. ერთხანს სტეფანე ცოლს გაებუტა, მერმე წინადადება მისცა განქორწინებულიყვნენ, რაზედაც მარგარიტა დასთანხმდა. თავზარდაცემული მეუღლე ქალს მუხლებზე მოეხვია და შეევედრა: კვლავ მასთან დარჩენილიყო და არ დაეღუპნა მათი რვა წლის შვილი — პატარა კარლო.

ამ გამარჯვებიდან მარგარიტამ სათანადო დასკვნა გამო-

იტალია და პოროტად გამოიყენა იგი. ამ დღის შემდეგ სტეფანე შემანსკი საშინელ დამცირებას იტანდა. იგი ცოლს თავმოყვარეობას, სინდისს და სახელს ალახვინებდა. ქალმა უნებისყოფო კაცი ხელში ჩაიგდო და ჩვრად აქცია.

ომისა და რევოლუციის დროს არსებული ნივთიერი სიკეთე ხელს უწყობდა ქმრისადმი მარგარიტას ღალატს. ახლა მას არა მარტო ლამაზი და ახოვანი იტალიელები მოსწონდა, არამედ ფულიანი კაცი, სულ ერთია ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი.

კორნელი წარჩინებულ ხალხში ტრიალებდა და მარგარიტას შეძლებული და ფულიანი მშობლების შვილი ეგონა. ბიჭადაც მოსწონდა იგი.

2

— ეკლესიაში ცეცხლს არ ანთებენ და შემცივდა, — ჭთხრა მარგარიტამ კორნელის. მხრები აიჩეჩა და ხელზე ილლია მოუჭირა.

ტყუილს ამბობდა მარგარიტა — შემცივდაო. ცივის ტყავისაგან შეკერილი, ნაცრისფერი თბილი ქურქი ემოსა და ილლია ღადარივით ცხელი ჰქონდა. კორნელი ფეხაწყობით გაჰყვა. მწყობრად და რიტმულად ჩნდებოდნენ კაბის ქვეშ პატარა და მოგრძო წვერიანი, ლაიკის ტუფლები. მარგარიტა კატასავით, ისე ჩუმად და რბილად მიაბიჯებდა, რომ კორნელის გაუკვირდა — ამ მკვრივსა და ზორბა სხეულს ეს პატარა და უსახსრო ფეხები როგორ ზიდავენ და ატარებენო. ქალმა შენიშნა, კორნელი ფეხებზე რომ აკვირდებოდა და ჰკითხა:

— მოგწონთ ჩემი ტუფლები?

— მშვენიერია.

— განა ტუფლებზე იტყვიან მშვენიერიაო?

— მაშ?

— მშვენიერი შეიძლება იყოს ბუნება, პეიზაჟი, ვაზი, ქალი... ტუფლები კი — ელეგანტური, ჩინებული...

— თქვენ ტუფლებიც და ფეხებიც მშვენიერი გაქვთ, — შენიშნა კორნელიმ. მარგარიტამ გაიცინა:

— ო, თქვენ მელა ყოფილხართ, ტყუილს ამბობთ, განა დაგიჯერეთ?

— ღმერთს გეფიცებით.

— თქვენ ღმერთი გწამთ?

— კიდეც რომ მწამდეს, თქვენ განა მაწამებინებთ?

ქალი შეკრთა. მთელი ტანით შეირხა და კორნელისაკენ ისე მიბრუნდა, რომ მისი მაგარი, დოვლათიანი მკერდი ჭაბუკის ხელს მიებჯინა. ქალმა ცისფერი თვალები შეანათა და წყენით უთხრა:

— კორნელი, როგორ გეკადრებათ. მე ეკლესიიდან მოვდივარ. რა აზრით ამბობთ მაგას?

— ისე, ყოველგვარი მოსაზრების გარეშე.

— თქვენ სცრუობთ. აბა, თვალებში შემომხედეთ! — უთხრა მარგარიტამ და კიდევ უფრო მიეტმასნა. კორნელი ქალის ცისფერ შლიაპაზე, ზურმუხტისმაგვარ აბზინდით დამაგრებულ და წარმტაც ფერებით მოლივლივე უცხო ფრინველის ფრთას დააცქერდა. აღელვებული ქალი კარგა ხანს უცქერდა ჭაბუკს. ჭაბუკის მომწვანო, შუქიანი და უცნაური თვალები მოეწონა. ერთბაშად მოიღუშა, თითქოს რაღაც უკეთურმა აზრმა გაუელვა თავში. პატარა ცხვირის ნესტოები დაებერა, გაუფითრდა და აცახცახდა. ლამაზი ქალის სახემ, მისმა ცისფერმა, მიბნედილმა თვალებმა, რომლებიდანაც ნემსის ყუნწისოდენა შუქი კიაფობდა, მონუსხეს კორნელი. ქალმა აჩემებულ მსხვერპლს თვალი დაადგა. მახვში გაება, მაგრამ მერმე თავი დაიჭირა და დინჯად უთხრა:

— თქვენ რაღაც უცნაური და გულჩათხრობილი კაცი ხართ. მუდამ მოწყენილი დაიარებით, თქვენ თითქო ქალს გაურბით.

— აბა, საიდან მოიტანეთ ყოველივე ეს? — გაუკვირდა კორნელის.

— შეგამჩნიეთ. — მიუგო მარგარიტამ და მოულოდნელად ჰკითხა: — როგორ მიდის თქვენი სამიჯნურო საქმე? თქვენსა და ნინოს შორის, მგონი, შავმა კატამ გაირბინა! გინდათ დაგეხმაროთ? — დამცინავი ღიმილით შესთავაზა დახმარება მარგარიტამ.

— რა სამიჯნურო საქმეები? ყველაფერი რიგზეა. გმადლობთ, — მიუგო კორნელიმ და კაეშნიანი ცალგვერდა ცქე-

რით სადღაც შორს გაიხედა. ასეთი ცქერა გრიგოლ ცაგურიშვილმა იცოდა, როდესაც რამეზე დარდიანად ფიქრობდა. ირემივით ყელმოღერებული ჭაბუკი თავით ფეხებამდე შეათვალიერა ქალმა და უთხრა:

— თქვენ თითქო რაღაც გაწუხებთ, რაღაცაზე ფიქრობთ, თითქო გაქცევას აპირებთ.

— მართალს ბრძანებთ. ერთი საქმე მაქვს მოსაგვარებელი და ის მაწუხებს, — მიუგო კორნელიმ.

— რა საქმე?

— ჩემი მეგობარი — სომეხი დააპატიმრეს, მშობლებს ჩემი განთავისუფლება შევპირდი და ახლა ვის უნდა მივმართო, არ ვიცი...

— ესტატეს.

— ესტატეს ვერ გავუცხადებ.

— დადვაძეს?

— დადვაძე ესტატეს ეტყვის და ესტატე გაბრაზდება: ომში არ წავიდა და ახლა დაპატიმრებული სომხების ქომაგობა დაუწყიათ.

— დათას მიმართეთ.

— დათას სომხეთთან ომში ნათესავი მოუკლეს და ამ საქმეზე ვერც მას მივმართავ.

— თქვენს ძმას — ევგენის?

— ვერც ევგენის.

— მე რომ დაგეხმაროთ და ის თქვენი ამხანაგი ციხიდან გამოგაშვებინო, მაყარიჩი თუ იქნება? — მოულოდნელად ჰკითხა მარგარიტამ.

— მერმე როგორი, რომ იცოდეთ! ჩემი მეგობარი ლეონი მეტად მდიდარი კაცის შვილია, — მიუგო კორნელიმ.

— ქალმა ყური ცქვიტა, იქნებ ანკესს ღლავი მოჰყვესო.— გაიფიქრა, ფულისა, ჩაცმა-დახურვის, ქეიფის მოყვარულმა და მდიდარი კაცის მაძებარმა მარგარიტამ.

— მოიტა ხელი! — უთხრა მან კორნელის.

კორნელიმ სიტყვა მისცა და ხელი ჩამოართვა.

— მაშ წავიდეთ, — დაიძახა მარგარიტამ და ისინი ტრამვაის გაჩერებისაკენ წავიდნენ.

სასტუმრო „ნოეს“ მახლობლად, სამხედრო ტანისამის-

ში გამოწყობილი მიხა მაჭავარიანი შეეყარათ. მიხამ კორნელი გადაჰკოცნა, მარგარიტას კი ხელზე ეამბორა.

— ბიჭო, — უთხრა მიხამ კორნელის, — როდემდის უნდა იყო დეზერტირი? იცი, რა ცხარე ომში მოვხვდი? თურქებთან ომი მონაგონია! საფუძვლიანად, რომ დავსხდებით, მაშინ გიამბობ ყოველივეს. — „საფუძვლიანად დასხდომას“ მიხა ქეიფსა და ღვინის სმას ეძახდა.

კორნელი ნინოსთან შეხვედრას, ნინოსთან გაწყვეტილი კავშირისა და ურთიერთობის აღდგენას ელოდა და ამიტომ მიხასთან კავშირის გაწყვეტა ხელს არ აძლევდა.

— ჩვენი საქმე ახლა კარგად მიდის, — შეატყობინა მიხამ კორნელის. მერმე ჩუმად და ჭურდულად უთხრა: — ნინოს უყვარხარ.

— საიდუმლო ლაპარაკს თავი გაანებეთ. — შენიშნა ჭაბუკებს მარგარიტამ და ტრამვაიში პირველი შევიდა.

ისინი სამხედრო სამინისტროს მახლობლად ჩაბრუნდნენ. მარგარიტა საქმეთა მმართველთან შევიდა. საქმეთა მმართველი პატარა ჩია კაცი იყო, ირიბი თვალები ჰქონდა და თვალის უპეები დასივებოდა. მმართველი დიდის ამბით შეეგება მარგარიტას და სკამი შესთავაზა. ქალმა კორნელი და მიხა გააცნო და სამხედრო მინისტრთან შესვლა სთხოვა. მინისტრს ჯერ არ სცალია და ცოტა ხანს დაიცადეთო, — მიუგო მმართველმა და მისაღებ ოთახში მომლოდინე ოფიცრებს გადახედა. ამ დროს ახალგაზრდა, მაღალი ქალი შემოვიდა და მმართველს მანქანაზე დაბეჭდილი ქაღალდები შემოუტანა. მარგარიტა დაინახა, გაეხარდა, მივიდა და აკოცა. მარგარიტამ ეს ქალიც გააცნო ჭაბუკებს. იცნობდეთ, ჩემი მეგობარი — ქეთო მაღალაშვილი აჩისო. მიხამ კოხტა და მაღალ ქალს შეხედა და უთხრა: მართლაც, მაღალის შვილი ყოფილხართო. ქალი მიხას და კორნელის თვალს ვერ უსწორებდა, უმიზეზოდ იცინოდა და მარგარიტას პატარა. ლამაზ ხელს ეალერსებოდა. მარგარიტა და ქეთო მეგობრები იყვნენ და მუდამ ერთად დაიარებოდნენ. უერთმანეთოდ ვერ სძლებდნენ და ერთმანეთის საიდუმლო გულისთქმა და ყოველი წვრილმანიც კი იცოდნენ.

უცბად მარგარიტამ რედიკული გახსნა, იქიდან პატარა წიგნაკი ამოიღო და კორნელის ჰკითხა: თქვენს ამხანაგს რა

ჰქვიათ. კორნელიმ უთხრა და მარგარიტამ ჩასწერა: ლეონ გედეონის ძე მერაბიანი, მერმე კორნელი გააფრთხილა, ლეონთან ნადიმზე ქეთოც უნდა წავიყვანოთო. ჩვენ ოთხივენი იქ ვიქნებითო, — მიუგო კორნელიმ. მინისტრის კაბინეტიდან სამხედრო პირები გამოვიდნენ და მმართველმა შიგ მარგარიტა შეუშვა.

კორნელის და მიხას ლოდინი მოუხდათ. ბოლოს კაბინეტიდან გაწითლებული და მოღიმარი მარგარიტა გამოვიდა.

— შეგიძლიათ მერაბიანისას წახვიდეთ, თქვენი ლეონი შინ დაგიხვდებათ, — უთხრა მან კორნელის.

მ რ ა ვ ა ლ თ ა ვ ი

უღრმესი მელანქოლიის გრძნობა მოიცავს ამ წარმოდგენის რეჟისორს, როდესაც იგი ფარდის წინ, სცენაზე ზის და გაჰყურებს ბაზრობას და მის მყვირალა ამაოებას..

თ ე კ ე რ ე ი

1

მეორე დღეს კორნელი, მიხა. მარგარიტა და ქეთო მღალაშვილი მერაბიანებს ვახშმად ეწვივნენ.

სევრის იშვიათი სერვიზით გაწყობილი, მდიდრული სუფრა, რომელსაც შუახნის კაცი — ცნობილი ვექილი, გონიერი, მჭევრმეტყველი ბეგთაბეგოვი თამადობდა, გედეონის და ლეონის ნათესავებით და მეგობრებით იყო სავსე. ისინი სადღეგრძელოებით მისჩერებოდნენ ლეონის მხსნელებს: კორნელის და მარგარიტას.

როდესაც სტუმრები ნაირ-ნაირი, უხვი და გემრიელი საჭმელებით დანაყრდნენ, კახური ღვინითა და შამპანურით შეზარხოშდნენ, — მიხა მოცეკვავე ქალს — არფენიას ჩააცივდა და არშიყობა დაუწყო. მიხა დეკორატორიც იყო და არფენია საოპერო თეატრის სცენაზე ჰყავდა ნანახი. მათ შორის ბევრი რამ საერთო გამოიძებნა და უმალვე მხიარული საუბარი გააჩაღეს. ლეონს ქეთო მაღალაშვილი მოეწონა. მარგარიტა კორნელის არ ეშვებოდა და ისევ თავისი ეშხით და

სილამაზით ჰხიბლავდა. შუშანიკსაც კორნელის სკოლის ამხანაგი ბალასიანი მოჯდომოდა, როიალს აგრიალებდა და უხვი მასპინძლის — გედეონ მერაბიანის სტუმრები ხელგაშლილი ქეიფობდნენ, მღეროდნენ და ცეკვავდნენ.

თამადამ, სომეხ-ქართველთა მეგობრობის გამო, ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა:

— სომხებსა და ქართველებს შორის ომი სამარცხვინო ამბავია! მე აქაური ძველი მოქალაქე ვარ, თბილისელი. პაპაჩემიც კი აქ დაიბადა. ჩემი სამშობლო საქართველოა... — კიდევ დიდხანს ილაპარაკა თამადამ სომეხ-ქართველთა მეგობრობაზე, წყევლა-კრულვას უთვლიდა ამიერკავკასიის ხალხთა შორის კაცთმძულვარების, შხამის მთესველთ, ომის გამჩაღებელთ და მერმე სკოლის ამხანაგების — კორნელის და ლეონის სადღეგრძელო ყანწით შესვა. ქართული „მრავალჟამიერიც“ წამოიწყო. მარგარიტას საამო ხმა ჰქონდა, ქართული სიმღერები მანაც იცოდა და ისიც სიმღერაში ჩაება. ჩინებულად მოიღხინა და მერაბიანები ისე მოაჯადოვა, რომ გედეონმა დაავადებულ ღვიძლს არ მიჰხედა, აინუნშიაც არ ჩააგდო, ჭაბუკებთან ერთად მალალყელიანი ბროლის ჭიქით შამპანურის ქაჩვა დაიწყო, გარიჟრაჟზე ლეკურ-ბუქნაც კი დაუარა და თავისი მეუღლე — ანაიდა აცეკვა.

მარგარიტა გედეონის მთელმა ოჯახმა შეიყვარა, განსაკუთრებით კი ანაიდამ. შინ ეპატიჟებოდა. გერმანულად ესაუბრებოდა. გერმანიაში, საფრანგეთსა და შვეიცარიაში მოგზაურობაზე უამბობდა. გედეონი და ანაიდა ზაფხულობით ბადენ-ბადენის და კარლსბადის სანატორიუმში ისვენებდნენ და მკურნალობდნენ. ამაზე დაუსრულებელი ლაპარაკი ანაიდას არასოდეს არ მოსწყინდებოდა. საბრალო ქალს, ტვინის ანთების შედეგად, მეხსიერება ღალატობდა და ყოველდღე ერთი და იგივე ამბების მოყოლით მსმენელთ, და მათ შორის მარგარიტასაც, სტანჯავდა. სამაგიეროდ, ანაიდამ მარგარიტა მდიდრულად დაასაჩუქრა: უცხოეთში შეძენილი, ზურმუხტის თვლიანი ძვირფასი საყურე და ჟენევაში ნაყიდი — მინიატურული ოქროს საათი უძღვნა.

ლეონიც ცდილობდა მარგარიტასათვის სამაგიერო გადაეხადა და კორნელის და გერმანელი ქალის პატივსაცემად შინ გამართული ვახშმით არც კი კმაყოფილდებოდა.

საღამო იყო. გარეთ თოვდა და ციოდა. კორნელი და მიხა ღუმელთან ისხდნენ და ელოს და ნინოს შესახებ ბჭობდნენ. კორნელიმ მიხას საიდუმლო გაუმხილა და გაკვირვება გამოთქვა:

— ნინო ჯვებეს დაკრძალვის დღეს ვნახე. მან ჩემთან შეხვედრა და მოლაპარაკება მოისურვა. იმ დღის მერმე ერთი კვირა გავიდა და არ შემატყობინა, სად ან როდის უნდა შევხვდეთ ერთმანეთს.

— ეგ სულ ვარდოს ბრალია, — შენიშნა მიხამ.

— რა გააჭირვეს საქმე მაყაშვილებმა! შენ ხომ იცი, მე თავმოყვარე კაცი ვარ და თავს არავის წინაშე არ დავიმცირებ. — მიუგო კორნელიმ.

— მართალია, ელო და ნინო დედისა და დიდედის ყურმოჭრილი მონები არიან, ვარდო კი ძველებური შეხედულების ქალია. ვარდო რომ ხელს არ მიშლიდეს, ელოს ჩემებურად მოვთოკავდი. ფრონტიდან რომ ჩამოვედი, პირველ ორსამ დღეს კარგად მეპყრობოდა, მერმე კი, ალბათ, ვარდომ დაჭორა და, ისევ აიმრიზა და აურია. ეხ, — ამოიოხრა მიხამ და განაგრძო, — შენ ჯერ აო იცი, რანი არიან მაყაშვილები! აი, როდესაც ნინოს შეირთავ, მაშინ გაიგებ. მართლა ბიჭო, ამ ოთხი დღის შემდეგ ხომ ნინოობაა; რას აპირებ?

— რას უნდა ვაპირებდე? სანამ ნინოსაგან პასუხი არ მიმიღია, სანამ ჩვენი შეხვედრა და მოლაპარაკება არ მომხდარა, მანამდე მაყაშვილებთან მისვლაზე ფიქრიც კი ზედმეტად მიმაჩნია, — მიუგო კორნელიმ.

— თქვენ ხომ უსიამოვნება საჯაროდ არ მოგსვლიათ, მილოცვას რას ერჩი? — ასწავლა მიხამ.

— ნინო ხომ დედასთან ცხოვრობს?

— დედას შეურიგდი, მოთაფლე, დიპლომატია ყველგან საჭირო ყოფილა, ჩემო კორნელი, — ისევ ასწავლა მიხამ.

— არა, ძმაო, მე მაგ გზას ვერ დავადგები. კაცი თავმოყვარეობას რომ დაკარგავს, მერმე მისი ნურაფერი ღირს გინდა, — მიუგო კორნელიმ.

მიხამ გაიფიქრა: „მაშ მე ვირი ვყოფილვარ, მაყაშვილები თავმოყვარეობას წამდაუწუმ ჯიბეში რომ მადებინებენ“.

ოთახში სიარული დაიწყო.

ამ დროს ქუჩიდან ლეონმა კორნელის დაუძახა.

ლეონს ძვირფასი ბეწვით მორთული შავი დრაფის პალტო ეცვა და ხელზე ტყავის ხელთათმანი ჰქონდა გაკეთებული. იგი გაპარსული იყო. კმაყოფილი ღიმილით შეხრილ მსუქან ტუჩებს ინგლისურად შეკრეჭილი ულვაშები უმშვენებდა. პალტოს საყელო და შლიაპა თოვლის ფიფქით დაეპენტოდა. კორნელის ბნელ ოთახში ჯანსაღმა ჰაბუკმა სიცოცხლე და მხიარულება შეიტანა.

— კორნელი, ჩაიცვი: მარგარიტა და ქეთო გვიცდიან. ერთად უნდა ვივახშმოთ, — უთხრა მან კორნელის.

— მე ვახშმობის გუნებაზე არა ვარ, ჩემო ლეონ.

— რა მოგივიდა?

— სამეცადინო მაქვს. ესეც არ იყოს, მე რა შუაში ვარ?

— როგორ თუ რა შუაშიო?! სწორედ მარგარიტამ გამომიგზავნა შენთან.

— სცრუობ.

— ჩემმა მხემ.

— თუ გინდ მართალი იყოს, აკი გითხარი: მე ქეიფის გუნებაზე არა ვარ-მეთქი.

— რა მოგივიდა? რა ცხვირი ჩამოგიშვია? შეყვარებული ხომ არა ხარ? ადე, ჩაიცვი, კორნელ-ჯან, იშტაზე მოგიყვანო... — ჩააცივდა ლეონი.

— კაცო, როგორ წამოვიდე! სხვა რომ არა იყოს რა, სტენმარი მყავს, — მიუგო კორნელიმ და მიხას შეხედა.

— განა მიხა ვერ წამოვა! — დაიძახა ლეონმა. ახლა მიხას მოჰხვია ხელი.

მიხას პატიჟი არ დასჭირვებია. სათვალე გაისწორა კმაყოფილების ნიშნად ჩაიხვიხვინა, ცხენსავით გრძელი კბილები გამოაჩინა და კორნელის შეეხვეწა:

— ჩაიცვი, ბიჭო! რა დროს მეცადინეობაა?

— როგორ მალე დასთანხმდი, ვერან! — უთხრა სხვის ხარჯზე ქეიფის მოყვარულ მხატვარს კორნელიმ. — ვახშმის შემდეგ შინ მთვრალი რომ მიბრძანდები, ელოსი არ გეშინია?.. ტუფლით თავი რომ გაგიტეხოსო, უნდოდა ეთქვა კორნელის, მაგრამ შეიბრალა.

— თავი გამანებე, ბიჭო! ელოს და ნინოს რომ დავუჯე-

როთ, მაშინ მე და შენ მონასტერში ბერებად უნდა ავიკვეცოთ! — მიუგო ძმამ.

კორნელი დიდხანს იდგა უარზე, მაგრამ რადგანაც ახსნაგები არ ეშვებოდნენ და თვითონაც ნაწყენი იყო ნინოზე იმის გამო, რომ შეპირებულ პაემანს არ უნიშნავდა, დასთანხმდა და ლეონს გაჰყვა.

ლეონმა ეტლი დაიჭირა. მარგარიტა ესტატე მაყაწვილის ბინის გვერდით ცხოვრობდა და ამიტომ კორნელი და ჰიხა საოპერო თეატრთან ეტლიდან გადმოვიდნენ და იქ დაელოდნენ.

ლოდინი დიდხანს არ დასჭირვებიათ. მალე ლეონმა ქალები ეტლით მოიყვანა.

მარგარიტას ისევ ციყვის ტყავისაგან შეკერილი ნაცისფერი ქურქი ემოსა და ცისფერი ფეტრის შლიაპა ეხერა. ოქროსფერ კულულებზე და გრძელ წამწამებზე თოვლის ფიფქი სცვიოდა. ქალმა ჟუჟუნა, ცისფერი თვალებით გაუღიმა კორნელის და მადლობა გადაუხადა, თხოვნა რომ შეუსრულა და ლეონს წამოჰყვა. სიცივის გამო ლოყები ვასწითლებოდა. ოცი წლის გოგოს ჰგავდა.

— თეატრში წასვლას აპირებთ? — ჰკითხა მარგარიტამ.

— არ ვიცი, — დაიბნა კორნელი.

— გინდათ, ერთი ან ორი აქტი მოვისმინოთ და მერმე ვივახშმოთ, — კორნელის მაგიერ მიუგო ლეონმა.

— დღეს რა მიდის? — დაინტერესდა მარგარიტა და აფიშისკენ გაიხედა.

— აიდა.

— ვინ მღერის?

— აიდას — ბოკოვა, ხოლო რადამესს კი — სარაჯიშვილი.

ოპერას მოვისმენთ და ვახშამსაც ვჭამო, იანვარიშა ჰარგარიტამ. მის მიერ გაწვრთნილ მეგობარ ქალს — ქეთოს თვალი უყო, დასთანხმდიო და მერე ჰკითხა:

— პირველი ორი აქტი მოვისმინოთ. შენ რას იტყვი, ქეთო?

ქეთო მაღალაშვილს საყელოზე მელიას ქურქი შემოეკვია, თავით შიგ ჩამძვრალიყო და მარტო თვალები უჩანდა.

ლეონი ახლო მივიდა და მანაც ჰკითხა:

— თქვენ რას იტყვით, ქალბატონო?

— რასაც უმრავლესობა გადასწყვეტს, მეც იმის მომხრე ვარ ყოველთვის, — ძიაძიტად მიუგო ქეთომ, თითქოს უმრავლესობის ცნება მარგარიტას სურვილი იყო მისთვის კანონი. თავი მოიწონა და მუქი თაფლისფერი, ლამაზი თვალები ლეონს შეანათა.

— არის! — დაიძახა ლეონმა და თეატრის ვესტიბიულში ბილეთების შესაძენად შეირბინა.

მარგარიტამ ქეთო გაიხმო და ჩურჩული დაუწყო. მიხამ ამ შეშთხვევით ისარგებლა, კორნელის მხარი წაჰკრა და უთხრა:

— ბიჭო, მარგარიტა და ყველანი უნდა გავაფრთხილოთ: ელოსთან ან ნინოსთან არაფერი წამოცდეთ, თორემ ვაი, მაშინ ჩვენი ბრალი!

— რა თქმა უნდა, — დაუდასტურა კორნელიმ და თანაც გააფრთხილა, — შენ თვითონ არ წამოგცდეს.

ძიხამ იწყინა. ჯიბეში ხელები ჩაიწყო. კორნელის წინ გადაეღობა. განიერი მხრები ასწურა. თავი განზე მოიქცია, ირიბად და ჯიქურ შეხედა ამხანაგს, თითქო ბუღა გაბრაზდა, ჭიდაობას და რქენას აპირებსო. კორნელისთან სულ ახლოს მივიდა და უთხრა:

— არა გრცხვენია, ბიჭო, ჩემში ეჭვი შეგაქვს!

ამ დროს ლეონიც მოვიდა, ხელში პირველი რიგის ბილეთები ეჭირა და ყველანი თეატრში შესასვლელ კარებისაკენ გაეშურნენ.

მეორე აქტის შემდეგ მარგარიტა და ქეთო, კორნელი და მიხა პაპიროსის მოსაწევ ოთახში შევიდნენ, ხოლო ლეონი — სცენის უკან მსახიობთა ფოიეში და ცოტა ხნის შემდეგ მოცეკვავე ქალი — ზინა მარჩენკო მოიყვანა. ზინა ტანმორჩილი, მაგრამ ჰარმონიული აღნაგობის მკვრივი ქალი იყო. თმა — ქერა, თვალები — ნაცრისფერი, ცხვირი — პაღლა აწეული და მსუქანი ბაგეები ჰქონდა.

3

სასტუმრო „ნოესთან“ ორი ეტლი გაჩერდა. ეტლიდან ჩამოსულნი არა პლეხანოვის პროსპექტზე მდგარ ფასადის მთავარი შესასვლელით, არამედ ქსენიევის ქუჩით. გვერდის

კარებიდან შევიდნენ სასტუმროში. წვერიანი, ახმახი კარისკაცი დიდის ამბით მიესალმა სტუმრებს და მერმე ისე დაფაცურდა, თითქო დიდი ხნით სხვაგან წასული მისი ბატონი და ბატონის ოჯახობა ჩამოვიდაო.

სასტუმროს რესტორნის გამგე ადრევე ჰყავდა გაფრთხილებული ლეონს, — დიდი კაბინეტი შეენახა მისთვის და განსაკუთრებული ვახშმით გამასპინძლებოდა.

კაბინეტში სუფრა უკვე გაშლილი იყო და მის ირგვლივ ორი ოფიციანტი ტრიალებდა.

კაბინეტი ორი ოთახისაგან შედგებოდა. ერთი — სასტუმრო და სასადილო, ხოლო მეორე კი — საძინებელი იყო. ოთახები ერთურთისაგან ოქროსფერფოჩიანი, ცისფერი დიდი ფარდებით განიყოფოდა. სასტუმრო ოთახის იატაკზე ფართო ფარდაგი იყო დაფენილი. კედლებზე დიდი სურათები ჰკიდა — „ირემზე ნადირობა“, „ნატურმორტი“... კუთხეში პიანინო და გრამაფონი იდგა და იქვე ფირფიტები ეწყო. ოთახში ღუმელი ენთო და თბილოდა.

ქალები საძინებელ ოთახში შევიდნენ და სარკის წინ კოხტაობა დაიწყეს. როდესაც მორთვა და მოკაზმვა დამთავრეს, ჯერ მარგარიტა გამოვიდა გულამოჭრილი სერისფერი ხავერდის კაბით. ჭაღით განათებულ მაგიდასთან რომ მივიდა, შემოტრიალდა და მაშინვე, დაგრაგნილი ოქროსფერი და ხუჭუჭი თმის მორგვში ჩარჭობილი ფართო სავარცხლის თვლები აციმციმდნენ. მერმე მაღალ კანჭებზე ირეჟიორით შემდგარი ქეთო მაღალაშვილი გამოჩნდა. მასაც გულამოჭრილი ხავერდის კაბა ეცვა, მაგრამ თრიკინას ბეწვისფერი. მაღალ, დაკუთხულ მის შუბლზე, გრძლად გაწოლილი წარბებიდან ქვეშ, მუქი თაფლისფერი თვალები ანათებდნენ. ზედაზე გაყოფილი წაბლისფერი თმის დალალები გარდგრეხმო გადაჰფენოდა. შინაურნი ამ ქალს „ჩხებიანს“ ეძახდნენ და იგი, თუმცა ქალი იყო, ჭორბუდიან ხარირემს ჰგავდა. ქეთოს ზინა გამოჰყვა. მას უბრალოდ ეცვა, ელექტრიკის ფერი მოქარგული კოფთა და ინგლისური მუქი ლურჯი, ეწერო და მოკლე ქვედატანი. ქერა თმა, ჭაბუკის მსგავსად, შეკრიჭა და გვერდზე გაეყო. ზინა ტანის ისეთი რხევითა და მსუბუქად მოაბიჯებდა, რომ მაშინვე იტყოდით: მოვარჯიშე ან ილეკვავე არისო.

კორნელი მარგარიტას გვერდით დაჯდა, ლეონი — ქეთოს, ხოლო მიხა კი სინას მიუჯდა.

ვახშამი ხიზილალით, ხრამულითა და „სალათ-ოლივიეთი“ დაიწყო. ამას შემწვარი დურაჯები და მერმე სუკის მწვადები მოჰყვა. ბოლოს ფორთოხლები, ვაშლები. ხმელი ხილი და ფსტა მოხალული... შამპანურსა და ლიქიორებს სვამდნენ, მიხა ჩინებული თამადა იყო. პიკანტური ანეგდოტებით, ორაზროვანი ამბების თხრობით ქალებს აცინებდა და სუფრაზე მხიარულება გააჩაღა. როდესაც ყველანი შეზარხოშდნენ, ადგა, პიანინოსთან მივიდა, დაუკრა და ბოშური რომანსები დაამღერა. ქეთოს ისე მოეწონა მიხა, რომ ლეონის ხათრი დაჰკარგა, ლეონს ზინა შეატოვა და თვითონ მიხასთან დაჯდა. ლეონს ეწყინა, მაგრამ მასპინძელი იყო და თავი შეიკავა. მარგარიტა და კორნელი რბილ ტახტზე ნახევრად წამოწოლილიყვნენ და საუბრობდნენ. ლეონი მაგიდასთან მივიდა, ჭიქა ასწია, კორნელის და მარგარიტას მეგობრობა შეჰფიცა.

უეცრად, რატომღაც, მიხას გული აუჩვილდა და სიყვარული გაუმჟღავნა კორნელის. იმანაც სამუდამო მეგობრობა შეჰფიცა, გადაკოცნა და დამსწრეთ უთხრა:

— იცით, თუ არა თქვენ, რომ ჩვენ სულ მალე ქვისლები გავხდებით. ქვისლები, ქვისლები... — დაიჩემა მიხამ და მერე ტირილი დაიწყო.

ქეთომ ხელი მოხვია და დააწყნარა. მარგარიტას გაუკვირდა და კორნელის ჰკითხა:

— ნუთუ თქვენ ქალის თხოვნას აპირებთ?

— მიხა დათვრა და რას ამბობს, თვითონაც არ იცის. რა დროს ქალის თხოვაა! — მიუგო კორნელიმ.

— მეც ასე მგონია. მე ყოველთვის ვამბობდი, რომ თქვენ ქალს არ შეირთავთ! თქვენისთანები ცოლშვილისათვის არ არიან შექმნილნი, — ეშმაკურად გაუღიმა მარგარიტამ.

— მაინც როგორები? — გაოცდა კორნელი.

ქალმა ხელი მოუჭირა ხელზე. ჭაბუკის ხელი მკერდისაკენ მიიზიდა, ზედ მაგრა მიიკრა და ჩურჩულით უთხრა:

— თქვენ უცნაური, ძალზე თავმოყვარე და ეჭვიანი კაცი ხართ. თქვენ გეწინიათ ქალისა...

— ისინი უმრავლეს შემთხვევაში, არაგულწრფელებ,

მაცდურები და ვერაგები არიან, — მიუგო კორნელიმ და მის წინაშე ბალიშებზე წამოწოლილი ქალის მარმარ მკერდს დაჰხედა და შეკრთა.

— აკი გითხარით ქალის გეშინიათ-მეთქი, — შენიშნა მარგარიტამ და ვულითადი ხმით განაგრძო: — განა ყოველი ქალი მაცდური და ვერაგია? მაგალითად, მე თქვენ ვერასოდეს ვერ გიღალატებთ... რისთვის იღიმებით? — ჰკითხა მარგარიტამ კორნელის, — ნუთუ ეს მართალი არ არის?

— მე სხვა რამეზე გამეღიმა.

— მაინც?

— ჩვენ შეყვარებულთა მსგავსად ვსაუბრობთ.

— მე თქვენთვის სიყვარული არ ამიხსნია, — შენიშნა მარგარიტამ. ხანგრძლივ შეაცქერდა კორნელის. მერმე გაიღიმა და ჰკითხა: — მითხარით, თქვენ ლექსებსა წერთ? ხატავთ? მუსიკოსი ხართ?

— არა.

— არა მჯერა?

— რატომ?

— თქვენ ისეთი უცნაური თვალები გაქვთ, თქვენ „ვუნდერკინდს“ გიწოდებთ პლატონ მოგველაძე.

— ვუნდერკინდები ხშირად იდიოტობით ამთავრებენ თავიანთ ცხოვრებას, — შენიშნა კორნელიმ და დასძინა: — პლატონს ნუ მომაგონებთ.

— საბრალო, ჩემო კორნელი, იმ ყალბ კაცსა და პიზორში გაგცვალათ თქვენმა თავქარიანმა გოგონამ, — მოულოდნელად შენიშნა მარგარიტამ.

— არა მგონია... საიდან იცით? — აენთო კორნელი და უკვე მზად იყო ხელი ეშვა ქალისათვის, მაგრამ ქალი ხთელის ტანით მიეტმასნა, თვალებში შეხედა და უთხრა:

— ნუ ფიცხობთ. ალბათ, ჭორია. თუგინდ მართალიც იყოს, მერმე რა? ნუ იდარდებთ. თავი დაანებეთ თავქაიიან და გამოუცდელ გოგონებს. ეხ, თქვენ გეტყობათ ჯერ კიდევ არ იცით საკუთარი თავის ფასი. თქვენ შეგიძლიათ მოაჯადოვოთ და მერმე დაღუპოთ ქალი.

— ეგ რა საკადრისია, — სიტყვა შეაწყვეტინა კორნელიმ. მაგრამ ქალი მთვრალივით განაგრძობდა ჩურჩულს:

— მიბრძანეთ და მე თქვენი მონა გავხდები. მე ყველა-

ფერს გაეკეთებ თქვენთვის. განა მე არ გაგიკეთეთ ლეონის საქმე...

ქალი ისევ ბალიშზე იწვა და სახეზე და მკერდზე ჭერიდან დაშვებული შუქფარიანი ლამპა ანათებდა. შუქფარი შეირხა და ქალის მარმარ მკერდზე ფეერიულმა ნახატებმა და ნაქარგებმა იწყეს ახლა ქანაობა. კორნელის მოეჩვენა, თითქო ქალის მკერდი კი არა, ანკარა წყლის ზედაპირი ირხევა, ქანაობს და, შიგ, როგორც აუზში, წითელი და ოქროსფერი თევზები შლეიფიან ბოლოებს და უცხო მარაოს მსგავს ფრთებს იქნევენ და ნელა მიცურავენო.

უცბად ქალმა მკერდზე იტაცა ხელი, თითქო ბებუთის წვერით შეეხენო, და მწუხარე ხმა გამოსცა:

— ო, როგორ მიცქერით! ღამე შავია თქვენი თვალები და დღისით კი — მწვანე, არა — ამეთვისტოსფერი... თავბრუ მეხვევა.

ქალი ტახტიდან წამოიწია, ცისფერი თვალები განაბა. ცხვირის ნესტოები დაებერნენ, გაუფითრდნენ და რიყეზე გამოსროლილ კალმახის ლაყუჩებივით აუთრთოლდნენ და აუთამაშდნენ.

ქალი უმალვე ტახტიდან წამოიჭრა და, როცა მიხამ პიანინოზე ვალსი დაუკრა, — ჭაბუკთან ცეკვა დაიწყო.

კორნელიმ მაგრა მოხვია ხელი და შმაგი როკვით წრე შემოატარა. იგი შამპანურით, ქალის ეშხით და ალერსით, ოხმაგად თვრებოდა.

დიდხანს ცეკვავდნენ ისინი და მერმე ფარდას დაეჯახნენ. უმალ შეირხა და ალივლივდა ოქროსფერი ჯინჯილებითა და ფოჩებით მორთული, ატლასის ცისფერი დიდი ფარდა. მოცეკვავენი შიგ გაეხვივნენ, თითქოს ზღვის ტალღებში შესცურეს და ჩაიძირნენო, ბოლოს გაუჩინარდნენ კიდეც.

4

თოთხმეტ იანვარს. ქართველთათვის ტრადიციულ დღეს, ესტატე მაყაშვილმა ისევ ნინოობა გადაიხადა.

პლატონ მოგველაძე შეპირებისამებრ ბაქოდან თბილისში ვერ ჩამოვიდა. კორნელი კი ნინოს პასუხს ელოდა და ღელავდა.

დღისით ნინოს სანდრო ხოტივარმა ვიზიტი გაუკეთა. თავისი და კორნელის საჩუქარი მიუტანა — ტორტი და ყვავილებით სავსე კალათა. კალათა კორნელისა იყო, შიგ წერილი იდო.

როდესაც სანდრო წავიდა, დედამ შვილს კორნელის წერილი მოსთხოვა, გაშალა და წაიკითხა:

„ძვირფასო ნინო, დიდად ვწუხვარ, დაბადების დღეს პირადად რომ ვერ გილოცავთ. იყავით ბედნიერი. ნახვამდის. ვნახავთ და შევხვდებით კი ერთმანეთს? სად ან როდის? ველი თქვენს ცნობას. ბევრი რამ მაქვს სათქმელი. მარად თქვენი კორნელი“.

ვარდოს შავი ხავერდის კაბა ეცვა. ხავერდის ფონზე, მისი მარმარი მკერდი, უფრო თეთრი ჩანდა. უცბად ვარდოს მკერდზე, ყელსა და სახეზეც წითელი ზოლები დააჩნდნენ, თითქო ცეცხლი წაეკიდა და ალის ენები ულოკავენო. წერილი დაკეცა და კალათში ბრაზით ჩააგდო. მერმე სავარძელში მოცელილივით დავარდა, სახე უსიამოდ დაეღმიჭა, ნინოს გაოცებით შეხედა და უთხრა:

— რა არის ღმერთმანი, ვერ გამიგია! რა გააჭირვა იმ კაცმა საქმე! თავმოყვარეობა სულაც არა ჰქონია! რა უნდა შვნგან, ვერ გამიგია!?

ნინომ პასუხის გაცემა ვერ მოასწრო, რადგან სასტუმროში იმ წუთს ელო საჭორაოდ შემოვიდა. ვარდოსთვის უნდა ეთქვა: კორნელის მარგარიტა მოსწონებია და დღე და ღამე ერთად არიანო, მაგრამ ნინოს სახე რომ დაინახა, შეშინდა, კედელს გაეკრა და გაირინდა.

ნინო ციებაშეყრილივით ცახცახებდა. კორნელის წერილს ხევდა, ნაკუწ-ნაკუწად აქცევდა და თანაც გიჟივით გაიძახოდა:

— აი, მოისვენეთ! აი, დამშვიდდით! ჭორიკანებო!

— ნინო, როგორ მიბედავ? — იკივლა ვარდომ.

— კმარა, მეტის ატანა აღარ შემიძლია! დავიღალე! — ისტერიულად იძახდა ნინო, სახეზე ისე წამოწითლდა, თითქო ცდგომის კვერცხივით შეღებესო.

მხრებიდან მოსასხამი ჩამოუვარდა, როიალთან მიიჭრა, ყვავილებით სავსე კალათს ხელი წაავლო, სასადილო ოთახისაკენ ისროლა და კედელს შეანარცხა. დალეწილი ყვავილე-

ბის ფურცლები ფრთამოტეხილი პეპლებივით დაცვივდნენ იატაკზე. ნინოს ბოღმა და ცრემლი ყელში მიებჯინა, თითქო ყელში თოკი წაუჭირესო, სახეზე ხელი მიიფარა და აქვითინდა.

ასე დაიწყო მაყაშვილების სახლში ნინოობა.

ცუდი ჯაემანი

მაგრამ წინასწარ ვგრძნობ რა ვაებას,
განშორების ჟამს გარდუვალს ველი, —
მსურს ჩამოგართვა, ჩემო ღვთაებავ,
უკანასკნელად მთრთოლვარე ხელი.

პუშკინი

1

ოც იანვარს, საღამოს, ესტატე მაყაშვილის მზარეული — ევტიხი სირაძე ესტუმრა კორნელის და პატარა კონვერტიც გადასცა. კორნელიმ ნინოს ხელი იცნო და მაშინვე გახანა.

„კორნელი, — სწერდა ნინო, — ჩვენი შეხვედრა აუცილებელია, ფრიად მნიშვნელოვან საკითხზე უნდა მოგელაპარაკოთ. საპატიო მიზეზების გამო, ჩვენსა ვერ მიგიღებთ, ვერც მე გიახლებით თქვენსა. ხვალ, საღამოს რვა საათისათვის ელოს ბინაზე შევხვდეთ ერთმანეთს. ევტიხის გამოატანეთ წერილი. მაცნობეთ, შესძლებთ თუ არა ხვალ საღამოს ელოს ბინაზე მოსვლას? ნახვამდის. ნინო მაყაშვილი“.

კორნელიმ რამდენჯერმე წაიკითხა წერილი. მაგიდაზე დასდო და მხოლოდ მაშინ შეამჩნია, ევტიხი აქამდე რომ ფეხზე იდგა. მახარაში გახვეულ მზარეულს ბუხრის ჭუდი მოეხადა და ჯარისკაციით გაჭიმულიყო.

კორნელიმ სკამი შესთავაზა და თვითონ მაგიდასთან დაჯდა.

ევტიხი განცვიფრებით მიაშტერდა ეტაჟერზე შედგმულ თავის ქალას, წიგნებით სავსე კარადას, საწერ მაგიდას, რომელსაც ყუმბარის ცარიელი ვაზნა ამშვენებდა, ოთახის კუთხეში მიყუდებულ შაშხანას და ხმალს.

— რა ამბავია მაყაშვილებისას? — ჰკითხა კორნელიმ.

— ნინოობა დღეს დიდი არეულობა, მეორე მისვლა იყო, — მიუგო ევტიხიმ. სახეზე ჭარხალივით წამოწითლდა, თვალები მელასავით აუციმციმდა და დაწვრილებით უამბო ყოველივე, რაც ნახა და მოისმინა.

— ახლა კი ვიცი, ჩემო კორნელი, ჩვენსას რატომ არ დაიარები. ნინო პლატონ მოგველაძეს უნდათ მიათხოვონ, მაგრამ ქალს შენ უყვარხარ.

— რა იცი? ქალის ამბავს შენ გაიგებ?!

— რომ არ უყვარდე, გულიც არ შეუღონდებოდა. სულ იმას გაიძახოდა: პლატონს არასგზით არ მივთხოვდებიო. ქალს არ უყვარს და ქალის მშობლებს რამ შეაყვარა ის ულაწირაგაპარსული, საჭურისივით დამჭკნარი კაცი! — უკვირდა ევტიხის.

— რატომ? — არ დაეთანხმა კორნელი, — პლატონი ლამაზი, სახიერი, განათლებული და მდიდარი კაცია.

— რა შენი შესადარია, — აღშფოთდა ევტიხი, — წენი გვარიშვილობა, შენი გარეგნობა და მოგველაძისა, განა ერთია! განათლებას თუ იტყვი, განათლება არც შენ გაკლია. ამდენ წიგნს დღედაღამ კითხულობ. დედათქვენის სიმდიდრეს და ქონებას პლატონის მამის — საწყალი დიაკონის ქონება შეედრება?

— სანამ მამაჩემი ცოცხალი იყო და ხალხს აჭირვებდა, — მიუგო კორნელიმ, — მართლაც მდიდრებში ვეწერეთ. ახლა კი რა სიმდიდრე და ქონება გააჩნია დედაჩემს — დაჩაგრულსა და ქვრივ ქალს?

კორნელის უფროსმა ძმამ — ქირურგმა ევგენიმ, რომელიც მას ეხმარებოდა, მეცნიერული მივლინება ჰქონდა და ამას წინათ ცოლითურთ პარიზში გაემგზავრა. დედა ელენეს მოხუცი მაზლი — სამსახურიდან გადამდგარი და ცროელ-ტარიელი პოლკოვნიკი ჩამოუვიდა რუსეთიდან ოჯახითურთ.

თბილისში ცხოვრება მართლაც გაჭირდა. სურვილ-სანოვაგე არ იშოვებოდა. ელენეს წუწუნი არ გაემეტებოდა. სოფლადაც ისევ დიდი გაჭირვება, შიმშილი და გლეხია შორის მღელვარება სუფევდა. ადგილის, სახნავ-სათესი მიწის ან სხვა რაიმეს გაყიდვა კიდეც რომ მოსახერხებელი ყოფი-

ლიყო, ფული არავის ჰქონდა და ვინ იყიდდა? ყველა დარწმუნებული იყო, დღეს თუ არა, ხვალ, გლეხები მემამულეთა მიწებს უთუოდ დაიტაცებდნენ. ამიტომ სოფლიდან დედა კორნელის ფულს ვერ უგზავნიდა. კორნელი კი ძალიან ხელმოკლედ ცხოვრობდა. ჩემისთანა სიძე ვის რად უნდაო, — ფიქრობდა. ევტიხიმ როდი იცოდა მისი გაჭირვება. იგი მხიარულ გუნებაზე იყო და თავისას გაიძახოდა:

— დასწყევლოს ღმერთმა, როგორი ხალხია ჩემი ხაზეინები, ვერ გამიგია! ადამიანი თუ გიყვარს, განა მისი სიმდიდრე და ქონება უნდა ეძიო? ეჰ, — ჩაიქნია ხელი ევტიხიმ და ხრინწიანი ხმით შიქასტებს მოჰყვა:

რად მინდა მე სიმდიდრე ან ქონება,
თუ ვინც მიყვარს — გვერდზე არ მეყოლება!

მხარეულმა კორნელის მუხლში ხელი წაავლო, ჩაიხითხითა და მერმე ისევ განაგრძო:

— ქალი ბრავალნაირი გამონავალა. მე ბათუმის სადგურის მხარეულად რომ ვიყავი, სიმდიდრე და ქონება არ მაკლდა, მაგრამ ჩემმა ქალმა უქნარა, მოქეიფე და ღატაკ კაცში გამცვალა. იმ ღამეს შინ ადრე რომ არ მოვსულიყავი, ვერაფერს ვერ შევიტყობდი...

კორნელის შეეშინდა, ათასჯერ მოყოლილი ამბის თხრობა ისევ არ დაიწყოსო და ჰკითხა:

— ევტიხი, როგორ არის შენი და შურას საქმე?

— საქმე იჩარხება. როგორც იქნა, შურას გული მოვინადირე და ბოლოს ცოლობაზე დამთანხმდა. უთქვენოდ ქორწილი არ იქნება, — მიუგო ევტიხიმ.

— ყოჩაღ. შენ ჩინებული მხარეული რომ ხარ, ადრევე ვიცოდი, მაგრამ ასეთივე კარგი მონადირე და მებადური თუ იყავი, როდი მეგონა. — შენიშნა კორნელიმ.

— მონადირისა და მებადურის შესახებ, რა მოგახსენო, — აღარ გაკადნიერდა ევტიხი.

— კარგი მონადირე და მებადური რომ არ ყოფილიყავ, იმ ღამეს ქალს შენს ბადეში ვერ გახვევდი, — უთხრა კორნელიმ.

ევტიხიმ გულიანად გადაიხარხარა. კორნელი შეეხვეწა:

— წერილს გაგატან ნინოსთან და ისე გადაეცი, არავინ დაინახოს. არც არავისთან წამოგცდეს. გესმის?

— დაწერე და გადავცემ. დარდი ნუ გაქვს! დედამიწის გულში რომ ჩამაგდონ და ჯოჯოხეთში ეშმაკებმა გახურებულ შამფურზე ამაგონ, იქაც ვერ წამომაცდენენ.

კორნელიმ ქაღალდი აიღო და დაწერა:

„ნინო, ელოსთან დანიშნულ დროზე გეახლებით... თქვენ მართალი ხართ, ჩვენი შეხვედრა აუცილებელია...“ მერე შეჩერდა, სხვა ვეღარაფერი ვერ დაუმატა, რადგან მოზღვავებული გრძნობის დაოკება ვერ შესძლო.

ადგა, კარადა გამოაღო, შენახული ერთი ბოთლი სანელის არაყი გამოიღო და კარგი ამბის მახაროებელს — ევტიხი სირაძეს საჩუქრად მიართვა.

მზარეულის თვალები კვლავ ისე ალენთნენ, როგორც ღამეში კატის. ფანჯარასთან მივიდა, ბოთლი მაღლა ასწია, გახედა და დაიძახა:

— ჰო, რა ანკარა არაყია! კორნელი, გენაცვალე სულში! თუ გაგიჭირდეს, ჩემი სახელი ახსენე და მაშინვე შენთან გავჩნდები. ნუ გეშინია, ჯარში ნამსახური ვარ, ომში ნაყოფი და დაჭრილი. თოფ-იარაღის ხმარება შენზე უკეთ ვიცი. თუ გინდა ბატონის ქალს მოვიტაცებ, ნაბადში გავახვევ და სადაც მეტყვი, იქ მივიყვან, მოგიკვდეს ბიჭი არსენა!

კორნელიმ გაიცინა და ბებეზარ მზარეულს მადლობა გადაუხადა.

ევტიხიმ ბოთლი მაზარის ჯიბეში ჩაუშვა, ზედ ჭორფლიანი ხელი სასოებით დადო და კორნელის დაემშვიდობა.

2

კორნელი საპარიკმახეროში შევიდა და მარე ელოს ბინისაკენ გაეშურა. საპარიკმახეროში დიდი რიგი იყო და დანიშნულ ვადაზე მისვლა ოცი წუთით დააგვიანა. პაემანზე დაგვიანება კი შეუვარებულთა ჩხუბისა და უკმაყოფილების საბაბია. ამიტომ, როცა კორნელიმ ბორჯომის ჭუჩაზე, ელოს ბინის კარებზე დააკაკუნა, ოთახიდან ქალის ანჩხლი ხმა შემოესმა: ვინ არის. ტანში გააცივა. „მე ვარ კორნელი“, — გაუპედავად მიუგო ჭაბუკმა. ქალმა კარები გაუღო, ცივად შე-

ხედა, ჩქარი ნაბიჯით წავიდა, ტახტზე დაჯდა, ფეხები აიკეცა და ხედ კაბის კალთა გადაიფარა, მერმე სახეზე წამოწითლდა და სიცხიანივით თვალები კორნელის შეანათა, კორნელიმ მაჯის საათს დახედა და ბოდიში მოიხადა:

— უკაცრავად, ოცი წუთი დამაგვიანდა.

— ოცი წუთით კი არა, ორმოცი წუთით. — ოცი წუთი მიუშატა ნინომ. ამრეზილ და გაბუტულ ბავშვივით საყვედურები დაიწყო: — ასეა ყოველთვის, ვისთანაც გულით შეხვედრა გსურთ, დანიშნულ დროზე, ზუსტად გამოცხადდებით ხოლმე. აბა, თქვენ საყვარელ მეგობრებს თუ აკადრებთ მაგას?!

მარგარიტა ლეტცთან შეხვედრას ხომ არ გულისხმობსო, გაიფიქრა კორნელიმ და დარცხვენით შენიშნა:

— ვინ მეგობრებს?

— თქვენ კარგად იცით! — მოუჭრა ქალმა.

„უი, ჩემს თავს“, — გაიფიქრა კორნელიმ და პასუხი მიკიბ-მოკიბა:

— ჩემი მეგობრები ყველანი ომში დაიხოცნენ: გრიგოლ ცაგურიშვილი, ჯვებე მიქელაძე, საბრალო ყმაწვილი კანარეიკა...

— კანარეიკა ვინ არის?

— ასპინძის ბრძოლაში მოკლულ კაკო ბაქრაძეს ჩვენი ბატარეის ბიჭები კანარეიკას ეძახდნენ.

— განა სხვა მეგობრები არ დაგრჩათ?

— დამრჩა. მაგრამ რა? საცოდავი პეტრე ცხომელიძე მძიმედ არის დაჭრილი. მიხას, სანდრო ხოტივარს, გიგა ხუციშვილს, მიტო ჩიქვაიძეს და კუკური ზარანდიას კი, ამ ბოლო დროს, იშვიათად ვხვდები. — მიუგო კორნელიმ.

— თითქო იშვიათად ხვდებით! თქვენი სიმეხი მეგობარი — ლეონ მერაბიანი და გერმანელი ქალი — მარგარიტა ლეტცი რად დაივიწყეთ, — გესლიანად შეახსენა ნინომ.

კორნელი გაბრაზდა და მერმე ჰკითხა:

— ლეონ მერაბიანი საიდან იცით ვინ არის? ან მარგარიტა ლეტცის ხსენება რად დაგჭირდათ? ალბათ, მისა გეტყოდათ!

— მისა მე არც მინახავს. ახლა ქალაქში ყველანი ამაზე ლაპარაკობენ. კორნელი დეზერტირია, ქართველების მტრებს

მეგობრობას, გერმანელ ქალთან დროს ატარებს და ქეიფობსო, — მიუგო ნინომ. ისევ საშინლად გაწითლდა და კორნელის ზიზღით შეხედა. კორნელის კარგა ხანია, რაც აო ენახა ნინო და ამ ხნის განმავლობაში ქალი მეტად ნერვიული გამხდარიყო.

„უთუოდ მიხა გამცემდა. ან იქნებ ქალებმა — მარგარიტა ლეტცმა და ქეთო მაღალაშვილმა ილაყბეს! ამ დასაწყავ, ჭოროკანა ქალებში განა რაიმე დაიმალება?“ — გაიფიქრა კორნელიმ და ნინოს ცივად მოუჭრა:

— ილაპარაკონ. რამდენიც სურდეთ. მარგარიტა ლეტცი თქვენი ბიძის, ჯიბოს, მეგობარია და არა ჩემი. იგი მე არ დამიპატიჟნია, არც რამე საქმე მაქვს მასთან, — მიუგო კორნელიმ და მერმე ლეონი დაიცვა: — ლეონი ჩვენი მტერი არ არის.

ნინომ თავი ჩაჰკიდა. მარგარიტაზე ლაპარაკი უხეიხელად მიიჩნია და ამიტომ კორნელის სხვა საგანზე დაუწყო ლაპარაკი.

— აღიარეთ, ნუ გრცხვენიათ. ომში რომ არ წაგვიდით, ხომ დიდად დააშავეთ?

— მე სომეხ-ქართველთა ომის წინააღმდეგი ვიყავი, ახლაც წინააღმდეგი ვარ და ვიქნები. არც ქართველებს და არც სომხებს თანხმობის გარეშე ამიერკავკასიაში ცხოვრება არ გვიწერია. ჩვენი და მათი ისტორიული მტრები თურქები არიან, განა არ ვიბრძოლე მე მაშინ, როდესაც თურქები თავს დაგვესხნენ. თუ მათ შემოგვიტიეს, მე ისევ ჯარში წავალ და თავგამეტებითაც ვიბრძოლებ.

— ვნახოთ.

— თქვენ ძალიან ცუდი თვალით შეხედეთ ამ ჭირვეულ დროს, მაგრამ ეს თქვენი ბრალი როდია, — წყენით უთხრა კორნელიმ.

— მაშ ვისი?

— თქვენი მშობლების, ნათესავებისა.

„გულთმისანი ყოფილა“, — გაიფიქრა ნინომ და ხანგრძლივ დააცქერდა სტუდენტურ შავ პალტოში გამოწყობილ ჭაბუკს, მის გიშრისფერ, გვერდზე გაყოფილ თმას და ლამაზ თვალებს. ისევ მოეწონა კორნელი, ისევ მოუნდა ერფი-

ალი, მაგრამ თავი დაიჭირა, თვალზე ცრემლი მოადგა და ნაზად დახარა თავი.

კორნელიმ გულითადი ხმით უთხრა:

— ნინო, ჩხუბს თავი დავანებოთ, თქვენც წვალობთ და მეც მაწამებთ... შეიძლება პალტო გავიხადო?

ქალი შეკრთა. მაშინვე მოაგონდა ელოს თქმული: „ის გაიძვერა ისევ ტკბილად მოჰყვება სიმღერას, შენ გადნები და ისევ თავიდან დაიწყება თქვენი რომანი და ერთმანეთის წამებაო". ეს მოაგონდა და ნინო წამოიჭრა და დაიძახა:

— არა, შინ წასვლის დროა.

პალტო ჩაიცვა. უკანა კარებით კორნელი აივანზე გაიყვანა. გასაღები ელოს მეზობელს დაუტოვა და ქუჩაში გავიდა.

კორნელი გვერდით მიჰყვებოდა. მათი საუბარი არ ეწყობოდა. ვერის ალმართი დუმილით აიარეს. მხოლოდ გრიბოედოვის ქუჩის დასაწყისთან შედგა ნინო, კორნელის შეხედა, გაფითრდა და უთხრა:

— კორნელი, როდესაც ცოლობაზე დაგთანხმდით, მაშინ ძალზე გამოუცდელი, მიამიტი და სულელი ვიყავი. ახლა კი... — ნინომ ბრაზით ტუჩი მოიკვნიტა, შერცხვა, თავი ჩაჰკიდა და ქუჩის ალმართს ნელი ნაბიჯით აჰყვა.

— რისთვის ამბობთ მაგას? — ჰკითხა კორნელიმ და მაშინვე შენიშნა, როგორ შეეშალა ფეხი ნინოს. ქალი მთვრალივით დაბარბაცდა და კორნელის მიუგო:

— მე ის არა ვარ, რაც ვიყავ, ბევრი რამ გადავიფასე. ბევრი რამ გავიგე თქვენს შესახებ.

— მაინც, რა გაიგეთ?

— ის, რომ თქვენ არა ხართ გულწრფელი. თქვენ სცრუობთ. თქვენ მე არ გიყვარებივართ. მატყუებდით, მღალატობდით...

ნინოს ცრემლი მოსდიოდა.

— ნინო, გეყოფათ! — შესძახა კორნელიმ და შეაჩერა.

— არა. მე იმიტომ დაგინიშნეთ პაემანი, რომ თქვენთვის ყველაფერი მეთქვა.

— ცუდი პაემანი გამოვიდა.

— მე ვიცი, რომ ცუდია, მაგრამ იძულებული ვარ... უარი გითხრათ თქვენ ცოლობაზე... მე თქვენი მეშინია... მე თქვენი არა მჯერა...

ნინოს ხმა აუკანკალდა. ამოიოხრა და ჩქარი ნაბიჯით გაბ-წია შინისაკენ, თითქოს ეშინოდა ქუჩაში არ დავეცე და სახლამდე როგორმე მივაღწიოო.

კორნელის თავზარი დაეცა. ერთბაშად გაშრა და მხოლოდ ესღა თქვა:

— განა დამშვიდებით არ შეიძლებოდა მოგველაპარაკნა?

სჯობდა არ ეთქვა, რადგან ქალი აილეწა, აღშფოთდა და ასე მწარედ შენიშნა:

— ეს თქვენ შეგიძლიათ ასეთ რამეზე დამშვიდებით ლაპარაკი. მე არ შემიძლია. მე მეზიზღება.

ნინო წინა კარებში შევარდა. კორნელი კვალდაკვალ მიჰყვებოდა. ქალმა ბარბაცით აირბინა კიბე. კარებთან შედგა, მიაწვა და სახელურის მოსინჯა. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ კორნელის შეხედა და გაოცდა.

კორნელის ქუდი მოეხადა და თმა ასწეწოდა. თითქოს ჭარიშხალმა გადაურბინაო. გახევებული და დადუმებული იდგა. მკლავები ჩამოსცვენოდა, თითქო ჭარმა ხეს ტოტები მოამსხვრიაო. თითქოს მეხი დაეცაო, ისე უცნაურად ანთებოდნენ და კიაფობდნენ სიბნელეში მისი თვალები. ზეზეულად იწვოდა ჭაბუკი.

ნინომ ხელი გაუწოდა და უკანასკნელად უთხრა:

— მშვიდობით, მე ცოლობაზე უარს გეუბნებით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერთმანეთს მტრად უნდა ვოვეკიდოთ. ჩვენს ურთიერთობებში ბედნიერი დღეებიც იყო. მიპასუხეთ: განა არ იყო? განა არ იყო? რამ დაგადუმათ: — ცრემლმორეული ხმით იყვირა ნინომ.

კორნელი შეირხა. ნინოს მკლავში ხელი წაავლო და უთხრა:

— იყო, არის და იქნება. განა შემიძლია მე თქვენი მტერი გავხდე? ნუთუ თქვენ არ გჯერათ, რომ მე თქვენ მიყვარხართ? განა შემიძლია მე თქვენი მოტყუება? ნინო, თქვენცა და მეც ჭორების მსხვერპლი ვართ. ნინო, ჭორები შეამოწმეთ! ნინო... — დაძახა კორნელიმ, ქალს სახელო აუწია და, ნაცნობი და საამო სურნელით დაპკურებულ ხელთათმანის ზემოთ, შიშველ მკლავზე აკოცა.

ნინომ ხელი გამოსტაცა და ზარი დარეკა. კორნელი ბნე-

ლი დერეფნის კედლის სვეტს გაეკრა. კარები გაიღო და ნინო შინ შევიდა.

კედლის სვეტს გაკრული კორნელი ჯვარცმულივით გაშეშდა. ირგვლივ წყვდიადი და საოცარი სიჩუმე დამკვიდრებულიყო. მხოლოდ კორნელის ყურებს გაუდიოდათ ჟივილი, თითქოს ათასი ჭრიჭინის ძახილი ესმისო.

უცბად კარი ოდნავ გაიღო. იქიდან შუქი გამოიჭრა და კორნელი გაანათა. კარებში ნინოს თავი გამოჩნდა. ქალმა სახე და ტუჩები მუდარით წინ წამოსწია და კორნელის ჩუმად უთხრა:

— მშვიდობით, ნუ გამკიცხავთ. მშვიდობით.

ნინომ ნელა მოხურა კარი. ჯერ ნახევარი მისი სახე დაიმალა, მერმე, ცრემლიანი ცალი თვალი და ბოლოს — ყველაფერი დაიხურა, თითქო კორნელის თვალწინ შავი ფარდა ჩამოეშვაო.

ᲛᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲘ

Мы так недавно, так нелепо разошлись.

ᲡᲕᲔᲚᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲡᲘᲓᲐᲜ

1

„ყველაფერი გათავდა, ყველაფერი! სად წავიდე? — ფიქრობდა კორნელი. — რა მოხდა ასეთი, ამრიგად ფერი რომ უცვალა ნინოს? საბრალო, როგორ ღელავდა და თრთოდა! ხანდახან შმაგსა ჰგავდა. საყვედურებით ამავსო. ვინ დაუჭვა იგი ასე, რომ არაფერი სჯერა ჩემი გულწრფელობისა, ხნეობისა და კაცობისა!? ნეტავი ვიცოდე, ვინ გამაშავა? ნეტავი ვინ იყო ის ჭორიკანა და ბრიყვი? მარგარიტა, ქეთო, მიხა ხომ არა?“ — გაუელვა თავში კორნელის და ბრაზისაგან გაიგუდა, ხელ-ფეხი გაუცივდა და სულ შავგარი კუნთები აეზიდნენ. „სურგში ქურდულად დანა თუ ჩამეც, მაშინ ამოვრთხილდი, შეფიცულო მეგობარო! ღალატისა და გაცემისათვის ჩემი ხელით დავაჭრიდი და ყიამყურალა ხახიდან ამოვაცლი შხამიანსა და გველის წიწილასავით საზიზღარ ენას!“ — ფიქრობდა კორნელი და თითები დაეკრუნჩხნენ,

თითქო მიხას ყელში სწვდა და ყანყრატოს ამოცლას უპირებსო.

პირველად შეიძულა და გასწირა ადამიანი კორნელიმ ამ-რიგად. „ჩანს ძმობა და მეგობრობა მეოცნებეთა მოგონილია და მხოლოდ სიცრუე და ბოროტება სუფევს ამ ქვეყნად“, — ფიქრობდა სასოწარკვეთილი ჭაბუკი.

იგი ჭავჭავაძის ქუჩით რუსთაველის პროსპექტზე ჩავიდა. მოსახვევში მზარეული — ევტიხი სირაძე შემოეყარა, კორნელიმ ვერ შეამჩნია და გვერდზე ჩაუარა.

— კორნელი!

კორნელი შეკრთა და შეჩერდა.

— ჩვენსა ხომ არ ბრძანებულხართ? როგორ არის საქმე? — დაელოდა მზარეული.

— ჩემია და ქვეყნის საქმეც შავად არის, ჩემო ევტიხი. ელოს ქმარს — მხატვარს, მიხა მაჭავარიანს რაღა უშავს, საქმე გამოუჩნდა. შავად არის ქვეყნის საქმე, მიადგეს და შავად ღებოს ახლა ქვეყანა.

მზარეულმა კორნელის ნათქვამიდან ვერაფერი ვერ გაიგო. გაოცებით მიაშტერდა: რას ამბობსო. კორნელიმ მკლავში ხელი გაუყარა, ცოტაზე გაატარა და სარდაფში მოთავსებულ რესტორნის კარებთან მიიყვანა.

მზარეულმა ისევ გაოცებით შეხედა.

— ჩავიდეთ, ერთი ბოთლი ღვინო დავლიოთ, — უთხრა კორნელიმ.

— რასა ბრძანებთ, ბატონო. თქვენი პატივისცემა მე არ მაკლია, — თავპატიჟი გაიდო მზარეულმა.

— შურასთან საქმე მოგიგვარებია და უნდა დაგლოცოთ. — მიუგო კორნელიმ. ხელი მაგრა ჩასჭიდა და კიბეზე ჩაიყვანა.

მზარეულმა ჩაიცინა, თავი ჩაჰკიდა და რესტორანში დარცხვენით ჩაჰყვა.

ესტრადასთან მაგიდა დაიჭირეს. მოძველებულ კოსტუმში გამოწყობილი მელოტი კაკი პიანინოზე უკრავდა, კისერი მოეღრიცა, კამეჩისავით ბრიალა თვალებით გადმოხედა იოსულთ. ევტიხი იცნო და გაუკვირდა: ამ ლამაზ და ახოვან სტუდენტს მაზარაში გამოწყობილ მზარეულთან რა საქმე აქვსო?.. კორნელიმ გაუღიმა და მიესალმა: მაესტროს ეხლავარო! მაესტროს გაუხარდა. კორნელის დიდის ამბით ია-

ვი დაუკრა და მერმე გაშეშებული და ბანჯგვლიანი ხელის ვეება თითები კლავიშებს გამეტებით დასცხო. თითქოს ერთმანეთზე მიწყობილ მორებს ნაჯახით აპობსო.

— იქით დავჯდეთ, თორემ ეს ოჯახქორი ყურის აპკს ვაგვიხეთქავს, — უთხრა კორნელიმ ევტიხის და დარბაზს თვალი მოავლო, მაგრამ ცარიელი მაგიდა არსად იყო.

— მაგან თათრული სიმღერები და შიქასტები იცის, ჩოხანსაც ინტერესნად უკრავს, — მიუგო ევტიხიმ კორნელის, ბუხრის ქუდი მოიხადა, დაკეცა, მუხლზე დაიდო და მაესტროს კმაყოფილი ღიმილით მიაჩერდა. ევტიხი მელოტი და ჭერა იყო. მოთეთრო თმა გაპუტული ბატის ღინღლივით აქაიქ შერჩენოდა. კორნელიმ კვინიხზე დახედა და გაიფიქრა: „ეხ, ევტიხი, ნეტავი იცოდე, რა ცეცხლი ტრიალებს ახლა ჩემს გულში“, მერმე მაგიდაზე მაგრა დააკაკუნა. მაგრამ ოფიციანტი არსად ჩანდა. ევტიხი წამოხტა, ბუფეტში მდგარ ღიპ ან და ზორბა კაცთან მივიდა. ბუფეტის გამგე მთვრალი იყო. თვალებს ნაბავდა და ზეზეულად თქვლემდა: ევტიხი დახლს დაეყრდნო, გადაიხარა და რაღაც უჩურჩულა. გამგემ მაშინვე კოხტელაკენ გაიხედა, ულვაშები გაისწორა, სამზარეულოში გამოჭრილ პატარა ფანჯარასთან მივიდა და ოფიციანტს დაუძახა.

მყისვე მოირბინა გრძელულვაშებიანმა ჭონდრის კაცმა, კვერნასავით პატარა თვალები კორნელის შეანათა და ჭურჭლის ჭუჭყიანი ტილოთი მაგიდის გასუფთავება დაიწყო.

— რა მოვართვათ? — ჰკითხა მან კორნელის.

— ჯერ შენი სახელი მაჩუქე, — ღიმილით მიუგო კორნელიმ.

— ავქსენტი, ბატონო, — მიუგო ოფიციანტმა.

— აბა, ჩემო ავქსენტი, საუზმე და კახური ღვინო მოგვიტანე, სუკის მწვადი და სამტრედიის კუპატი თუ გაქვთ, ის შეგვიწვი, — შეუკვეთა კორნელიმ ვახშამი.

— ჩემი თავი თქვენ გენაცვალოთ, — მიუგო ავქსენტიმ, მკერდზე ხელი მიიდო, თავი დახარა და წასვლა დააპირა, მაგრამ ევტიხი ადგილზე ვეღარ დაეტია, წამოხტა, მკლავში ხელი გაუყარა და სანოვაგის ასარჩევად სამზარეულოსაკენ გაჰყვა.

კორნელიმ მიიხედ-მოიხედა. დარბაზში უცნობი ხალხი ჭეიფობდა. მოქეიფეთა შორის ნახევარზე მეტი მეფის რუ-

სეთის ყოფილი ოფიცრები იყვნენ. ახოვან და რჩეულ ვაჟკაცებს ინგლისური ფრენჩები და ჟილეტისმაგვარი ტყავის სათბურები ეცვათ. რუსეთში დევნას გადარჩენილ ამ თეთრგვარდიელ ოფიცრებს მენშევიკური მთავრობა უფლებას აძლევდა ეცხოვრათ თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში, ასმევ-აჭმევდა, ჯამაგირს აძლევდა და მერმე ისინი და საომარი იარაღი საბჭოთა რუსეთთან საბრძოლველად დენიკინს ეგზავნებოდნენ. სამშობლოს მოწყვეტილ ამ უჯარო ოფიცრებს პირში ინგლისური ჩიბუხები გამოეჩარათ, კანიანი თვალებით იცქირებოდნენ და რუსეთის მომავალ ბედიღბალზე ჩუმად საუბრობდნენ. მათ ინგლისისათვის მიეყიდნათ სამშობლო და, უცხო ძალის სამსახურში მყოფნი, თავს არხეინად გრძნობდნენ. კორნელიმ ყური მოჰკრა ოფიცრების საუბარს:

— აფსუს, ახლა საქართველო ჩვენთვის უცხოეთია — თქვა ერთმა.

— ჩვენ ბოლშევიკებს მოვუთავებთ რუსეთში და მერმე საქართველოსთვისაც მოვიცლით, — მიუგო მეორემ.

„გარეწრები, რა ჩინებულ გეგმას აწყობენ ჩვენს წინააღმდეგ საქართველოს დედაქალაქში“, — გაიფიქრა კორნელიმ და მეფის რუსეთის ყოფილ ოფიცრებს ბრაზით შეხედა, ეითმა თვალი უყო მეგობრებს: ასე ნუ ლაპარაკობთო და კორნელისაკენ დარცხვენით გაიხედა. ოფიცრებმა ჩუმად დაიწყეს საუბარი.

საქვეყნო საკითხზე ფიქრს დიდხანს არ გაჰყოლია კორნელი. ახლა თეთრგვარდიელ ოფიცრებს თვალი აარიდა და განზე გაიხედა. კუთხეში ქალები ისხდნენ და საუბრობდნენ. კორნელის გაუღიმეს, შეეთამაშნენ და რახან ძაგიდასთან მარტო მჯდარი იხელთეს, მისი ანკესზე წამოგება სცადეს რა იცოდნენ, თუ რა ცეცხლი ტრიალებდა მათთვის უცობი ჭაბუკის გულში! კორნელიმ მთვრალივით შეხედა მათ და გაიფიქრა: ‚ესენი უნდა სტიროდნენ და იცინიან! რა საშინელია მათი სიცოცხლე! რა მინდოდა აქ? რად ჩაბოვიყვანე ევტიხი?“

უაზროდ დააშტერდა სუფრას, რომელზედაც ახლა ქსენტი თეფშებს, დანა-ჩანგალს და საუზმეს აწყობდა. ევტიხი ჩუმად დაჯდა. კორნელი სუფრაზე უცნაურ სიტყვებს

წერდა და ფანტასტიკურ სურათებს და ფიგურებს ხატავდა. ევტიხიმ განცვიფრებით შეხედა და, როცა კორნელიმ თავი ასწია, დამნაშავე ბავშვივით თვალები დაახამხამა, გაუღიმა და ღვინო დაუსხა. კორნელიმ დიდი ჭიქა ასწია, ევტიხის გაბედნიერება მიულოცა და დასცალა. ღვინომ დარდი ვერ განუქარვა. ისევ უაზროდ დააშტერდა სუფრას და ზედ ფანქრით დაწერა: „ევტიხი ბედნიერია, ევტიხი კაცია ქვეყანაზე“, მერმე ევტიხის შეხედა და უცნაურად ჰკითხა:

— ადამიანი თუ არის ბედნიერი?

— ზოგი ბედნიერია და ზოგიც უბედური. უბედური სჭარბობს, რაღა თქმა უნდა, — მიუგო ევტიხიმ.

— ინდოელების ღმერთი ამბობს: ადამიანი გინდ ღარიბი და გინდაც მდიდარი იყოს, სულ ერთია, მაინც უბედური არისო, — უთხრა კორნელიმ.

— ინდოელების ღმერთი რომელია?

— ბუდა.

— ბუდურა ყოფილა.

— რატომ?

— მაშ ჩემი ბატონი — ესტატე მაყაშვილი უბედურია? — ჰკითხა ევტიხიმ და ეშმაკურად გაუღიმა.

— ერთი მასაც ჰკითხე, — არ დაეთანხმა კორნელი.

— სიმდიდრე, ქონება და სწავლა მას არ აკლია. ქალიშვილი ლამაზი ჰყავს და ჩინებული ბინა აქვს. მეტი რაღა უნდა? ნინოს რომ შეირთავდე, შენც ბედნიერი იქნები, — დაადგინა ევტიხიმ.

— განსაზღვრულ დროზედე... ებრაელებს ჰყავდათ ლამაზი ქალების პატრონი ბრძენი და ყველაზე მდიდარი ერთი მეფე, მაგრამ ისიც უბედურ კაცად თვლიდა თავისთავს. სიბერეს და სიკვდილს კაცი ხომ ვერ გაექცევა? — მიუგო კორნელიმ.

— სიბერეს და სიკვდილს დაუდგეს თვალი! სიბერე და სიკვდილი მართლაც უბედურებაა, მაგრამ რას იზამ, ადამიანის შვილს მას ვერ გაექცევა. სანამ ცოცხალი ხარ, კარგად უნდა მოსჭამო ეს წუთისოფელი და დრო გაატარო, — ასწავლა ევტიხიმ.

— ყოჩაღ, შენ თავისებური ფილოსოფოსი ყოფილხარ, მაგრამ ეს მითხარი: ღვიძლის და ახლობლის სიკვდილი ან

საყვარელ არსებასთან განშორება ხომ ტანჯვაა? — ჰკითხა კორნელიმ.

— ტანჯვაა, მაგრამ რას იზამ, უნდა გაუძლო, — მიუგო ევტიხიმ. მერმე თვალები აუციმციმდნენ და კორნელის გულითადის ხმით ჰკითხა: — კორნელი, გენაცვალე სულში, თუ არ გეწყინება, მითხარი: ბატონის ქალთან, როგორ არის საქმე?

— ისე, ასე... — მიკიბ-მოკიბა კორნელიმ.

ევტიხიმ დიდი ჭიქით დალია კორნელის სადღეგრძელო და „ნინოზე გაბედნიერება“ უსურვა.

2

დარბაზში ხმამაღალი ლაპარაკი, სადღეგრძელოები, ყიჟინა და სიმღერები თანდათან მინელდა. ბევრმა ქეიფი გააგრძელა, ანგარიში გაასწორა და ქუჩაში გავიდა. ნაშუადამევს რესტორნის დარბაზში სამი საეჭვო ყოფაქცევის ქალი, ექვსიოდე რუსი ოფიცერი, კორნელი და ევტიხი დარჩნენ.

უცებ ესტრადაზე ქერა, ლამაზი და ახოვანი რუსი ოფიცერი ავიდა, მაესტროს ადგილი დაიკავა, როიალზე აკორდები აიღო და საამო ბარიტონით ძველებური ნაღვლიანი რომანსი დაიწყო:

Я помню вальса звук прелестный...[1]

დარბაზში დარჩენილმა მოქეიფე ხალხმა ტაშისცემით დააჯილდოვა მომღერალი. განსაკუთრებით ქალებმა აიკლეს იქაურობა. კორნელი კი უფრო დასევდიანდა. ოფიცერმა კიდევ სამი რომანსი იმღერა და სამივე ნაღვლიანი. ყველაზე უკეთ — უკანასკნელი, „დაბრუნდი“.

არც ერთი რომანსი არ ჩასწვდენია კორნელის ისე ღრმად სულსა და გულში, როგორც ამჟამად მოსმენილი ეს ძველებური, დრომოჭმული რომანსი და ამ რომანსის ბანალური სიტყვები. კორნელი გაოცდა: „თითქო მომღერალმა იცოდა ჩემი გულის დარდები“. ჭაბუკის თვალები უცნაურის ძალით აღენთნენ. ყოველი მისი ძარღვი ჩანგის სიმივით დაიჭიმა, ხის ყურებში განუწყვეტლივ ჟღერდნენ განუკურნელი სევდისა და კაეშნის მომგვრელი, ნაღვლიანი სიტყვები.

[1] მე მახსოვს ვალსის ხმა მშვენიერი...

Мы так недавно, так нелепо разошлись[1].

„არა, შეუძლებელია ასეთი უაზრო და უსაფუძვლო განშორება, შეუძლებელია“, — კინაღამ არ იყვირა კორნელიმ, ჭიქაში ჩარჭობილი თხელი ქაღალდის ხელსახოცი აიღო და ზედ ფანქრით სულმოუთქმელად დაწერა:

„ძვირფასო ნინო, მივდივარ და არ ვიცი — სად, რატომ და რისთვის? მიზანი აღარ არის ჩემს წინაშე. მე ახალი ცხოვრების დაწყებას ვაპირებდი მთელის ჩემი არსებით და გატაცებით, ახლა გშორდებით სრულიად გაძარცული. გულში მხოლოდ ტკივილი, ტანჯვა საშინელი. მე ახლაც ვახერხებ ღიმილს, მაგრამ ეს ღიმილია იმ ადამიანისა, რომელიც კარგა ხანია, რაც გარდაიცვალა. მიმყვებია თქვენი უნაზესი და წმინდა სახე, რომლის ღირსი არა ვარ, არ ვყავი და რა საჭირო იყო ჩვენს ურთიერთობაში მესამე პირის ჩარევა? ეგანა გამბედაობა არ შემწევდა თვითონვე მეთქვა თქვენთვის ყოველივე? რად დაუჯერეთ ჭორებს? ბრალდებებს რომ მიყენებდით, პასუხიც უნდა მოგესმინათ. თქვენ ეს არ ისურვეთ და ახლა რა გაეწყობა! ჩანს, თქვენ მე მართლაც არ მიცნობდით, მე კი მეგონა — ჩვენ ერთმანეთს სავსებით ჩავწვდით. ჩამოიხედეთ ღრმად და დაკვირვებით ჩემს სულსა და გულში. ჩემი გადარჩენის და ჩემი დაღუპვის სათავე თქვენ ხელთ არის. მოეპყარით ფრთხილად და ფაქიზად თქვენდამი ჩემს გრძნობას, რომლის სრული გამჟღავნება თქვენს წინაშე ვერ მოვახერხე, ვერ შევძელი, რომ ერთხელ და სამუდამოდ დარწმუნებულიყავით ჩემს კაცობაში, ზნეობაში და არ წამოგცდენოდათ ჩემს შესახებ: „არაგულწრფელი“. თუ ასე იფიქრებთ, სრული შეგნებით გეუბნებით, მაშინ სიკვდილი მიჯობს. ეს არ არის ნიღაბი და პოზა, არც თავის შეცოდება და არც მუდარა. დაე, ყოველივე, რაც უნდა მოხდეს, ასრულდეს!

მშვიდობით. იყავით ბედნიერი. მაპატიეთ იმ ტკივილი რომელიც მე თქვენ მოგაყენეთ, ნეტავ ჩვენი სიყვარული ასე უნდა დამთავრდეს! შეუძლებელია ჩვენი ასეთი უსაფუძვლო და უაზრო დანშორება:

Мы так недавно, так нелепо разошлись.

ველი პასუხს, კორნელი“.

[1] ჩვენ სულ ახლახან ასე უაზროდ დავშორდით ერთმანეთს.

სარჩევი

წიგნი პირველი

ნაწილი პირველი

თებერვალი 5
მოედანი და სასახლე . . 11
პირველი ნაბიჯი . . . 19
ღალატი 29
სარკოია 37
ჯარისკაცთა მოგონებანი . 52
წყვდიადში 59
მოხალისენი 63
მაყაშვილის ბინაზე . . 73
სამასმესამე ვერსზე . . 83

ნაწილი მეორე

შამქორი 101
მოულოდნელი შეხვედრა . 145
დედის ჯავრი . . . 153
ნინოობა 163

ნაწილი მესამე

საბურთალოზე . . . 179
ალექსანდრეს ბაღი . . 191
ჰოსპიტალში 205
ომის მოლოდინში . . 217
ბათუმის ფრონტზე . . 233
ბორჯომი — თბილისი . . 252
პაემანი 262
განშორება 268

ნაწილი მეოთხე

ბაკურიანი 273
ჯავახეთი 283
ასპინძა 289
ვარევანი 312
შესაყვირე 320
ახალქალაქთან 327
სიზნები 334
ცხრაწყაროს მერმე . . . 337

წიგნი მეორე

ნაწილი პირველი

ლილიჭანი 344
კარისმერეთში 350
იონა 361
მთვარიან ღამეს . . . 368
კარისმერეთის პატარა ომბავი 371
სოფლიდან სადგურამდე . 379
კამათი ცაცხვის ქვეშ . . 397
სანტიმენტალური გასეირნება 401
ქალბატონისა და ნაყმევის შეჭირვებანი . . . 406

ნაწილი მეორე

ბაზრის მოედანზე . . . 413
მუხის ქვეშ 426
ოტია 432
მამა-პაპათა ურმით . . 440
სტუმრები მოვიდნენ . . 444
დაირა და ჩარირამა . . 456
ბაბო 475
ისევ კარისმერეთში . . 484
ყვირილაზე 497
მიტინგი 510

ნაწილი მესამე

ისევ აივანი და სალაყბო . 517
სტუმარ-მასპინძელი . . 526
გოჯასპირის აღსასრული . 531
განშორება 541
ჯაჯანა მენჯავიძესთან . . 554
დედა და შვილი . . . 558

ნაწილი მეოთხე

ქუთაისში 568
რკინიგზაზე 581
მზარეული 586
სადილი ცუდი დესერტით . 591
საშინაო დიპლომატია . . 600
მეგობრები 608
ოცნება და სანამდვილე . 619
სამარცხვინო ომი . . . 624
ურარტელთა ნაშიერი . . 648
მარგარიტა 655
მრავალთავი 662
ცუდი პაემანი 673
წერილის სათავე . . . 681